ევრაზიის იდუმალი ისტორია

ჩვენ, ქართველები ...

ავტორი:ზურაბ ჭკადუა

ევრაზიის იდუმალი ისტორია

ჩვენ, ქართველები ...

ტომი I

თბილისი-2018 წ

მეორე კორექტირებული გამოცემა

რედაქტორი:გულიადა ჭკადუა

სარჩევი

1.ავტორისაგან 1

2.წინასიტყვაობა 3

3.პელაზგები 45

4.კოლხები 109

5...და კენები-ხალიბები 127

6.იბერია-ქართლი 219

7.ალექსანდრე მაკედონელი და საქართველო 247

8.დურძუკეთი, ალბანეთი, სანარია,ლეგეთი 310

9.ლაზები, ზან-ზიხები 396

10. მისიმიანელები 491

11.აფშილები 514

12.სვანები 520

13.იმერეთი 634

14.აბზოის ტომი 545

15.კერკეტები დაახაიელები 605

16.ბოსფორი და ხერსონესი 632

17.საქართველოს უსტორიის არასწორად წაკითხული ფურცლები 667

18.სახელობითი გზამკვლევი 723

19.რუქები 732

ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი...

ავტორისაგან!

წინამდებარე ნაშრომის ავტორი ისტორიკოსი არ გახლავთ. ისტორია მისთვის უფრო მეტია, ვიდრე პროფესია.ისტორია მისი ჰობია! მადლობით მინდა მოვიხსენიო პროფესორიგოჩა ჯაფარიძე, ბატონები მიხეილ ოტიაშვილი და თამაზ ყოლბაია უანგარო დახმარებისათვის!

წინასიტყვაობის მაგიერ

დევნილი გახლავართ აფხაზეთიდან. ყველაზე ქმედითი იარაღი, რითაც სეპარატისტები გვიპირისპირდებოდნენ, შეკითხვა იყო- ვისი მიწაა? შეკითხვა თავის თავშივე გულისმობდა პასუხს-თქვენი!
რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა სიტყვიერი კენწლაობა ჩვენს აფხაზძმებთან (ამ სიტყვებს ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ, რამეთუ იქითა მხარეც ჩვენი,ქართველების სისხლი და ხორცი იყო უთუოდ). მაგრამ ჩამოყალიბული აზრი, გარდა იმისა, რომ აბაზგები ჩრდილოეთ კავკასიიდან მეთექვსმეტე საუკუნეში გადმობარგებული ტომია, ქართველთა მხრიდან ვერ მოვისმინე!
მეტნაკლებად ღირებული საბუთი ჩვენი ავტოხთონობისა ვერ წარმოვადგინეთ. მეოთხედი საუკუნე გავიდა აბაზგებთან კონფლიქტის მერე, მაგრამ ზოგიერთი ქართველის არგუმენტი მხოლოდ ისაა, რომ არ დავადგეთ მკვდრად შობილ იდეას და არ ვეძებოთ წერილობითი დასაბუთებული ცნობები ჩვენი აბორიგენობისა. არადა, როგორი საშურია თურმე!

ისტორიული და ლიტერატურული წყაროები, რომლითაც სარგებლობენ ჩვენი ოპონენტები, XIX საუკუნის რუსი ავტორების (შემდგომში ისტორიის შემქმნელი მწერლები) ბუტკოვის, დუბროვინის და პოტტოს გონებისა და კალმის ნაყოფია მხოლოდ! ამ თემებს ჩვენ ნაშრომის ბოლოს შევეხებით, მაგრამ წინასწარ ვაანონსებთ, რომ ამ წყაროების მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ელემენტები, XVIII-XIX საუკუნეების შემოტანილია მხოლოდ!
აქ, ამ საკითხში ჩანს ქართული გულარხეინობა, რომელმაც არ (თუ ვერ) იზრუნა ისტორიული სიმართლის დასადგენად.პირადად კვლევა დავწყე იმ მიზნით რომ გამერკვია, გვაქვს თუ არა ისტორიული ფესვები იქ, აფხაზეთში. კვლევის პროცესში საკმაოდ მალე მივიღეთ არსებითი, მტკიცებითი შედეგები.

...მაგრამ აფხაზეთში მცხოვრები ტომების, თემების გენეზისის კვლევისას, ისტორიის ისეთ სიღრმისეულ პლასტებში აღმოვჩნდით, რომელმაც საკითხის დამატებითი შესწავლა და შესაბამისად, დამატებითი დრო მოითხოვა.ჩვენს მი-

ერ არჩეულმა მიმართულებამ, რომ კვლევით პროცესში დავყრდნობოდით მხოლოდ პირველად, უძველეს წყაროებს (და არა XVIII-XIX საუკუნეების მკვლევართა ინტერპრეტაციებს) საშუალება მოგვცა მინიმუმამდე დაგვეყვანა შესასწავლი წყაროები.

...უფრო მეტიც, უძველესი წყაროების ანალიზის საშუალებით შესაძლებელი გახდა იმ შცდომების აღმოჩენაც, რომელიც ათეულობით საუკუნეები ურყევ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. კვლევის საკვანძო ობიექტი ჩვენთვის, აფხაზეთში დაფიქსირებული ტომი-ჰენიოხი გახდა. ეს ის ტომია, რომელთა წარმომადგენლობასაც ჩემულობენ აბაზგები, ადიღეელები თუ ჩრდილოეთ კავკასიისელები, თუმცა ტომის განსაკუთრებული ღვაწლი არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ დაფიქსირებულა-უბრალოდ, ეს ტომი მოიხსენიება იქ, აფხაზეთში, როგორც ავტოხთონი და ფაქტიურად პირველმოსახლე! წინასწარ დავაანონსებთ, რომ ჩვენი არჩევანი უკიდურესად სწორი და მომგებიანი აღმოჩნდა.ჰენიოხთა ტომი ისტორიის უცნობი ფურცლების გასაღები გახდა და არა მხოლოდ საქართველოსი!

მკითხველო! შენ აქ საქართველოს სხვა ისტორიას იხილავ!

...უფრო მეტიც, სხვა საქართველოს ისტორიას იხილავ!

და ის არ იწყება საქართველოსა და კაბადოკიაში!

... საქართველოს ისტორია ევროპაშიც გადადის და არა მარტო ევროპაში!

წინასიტყვაობა

ელამი

შუმერულად-ნიმი, აქადურად-ელამტუ, თვითდასახელება ჰაიტამტი-ისტორიული ოლქი და უძველესი სახელმწიფო (ჩვ.წ. აღრიცხვამდე **III** ათასწლეულის **VI** საუკუნის შუა წლები, თანამედროვე ირანის სამხრეთ დასავლეთით , ხუზი-ხუზისტანის და ლურისტანის პროვინცია) ცენტრი (დედაქალაქი) სუზა.

ელამის ენა

გენეტიკურად ელამური ენა იზოლანტია, თუმცა არსებობს დრავიდულ ან აფრაზიულ ენებთან მისი ნათესაობის ჰიპოთეზები. გრამატიკული თვალთვალსაზრისით ის აგლუტატიური ერგატიული ენაა. ჩვეულებრივი-თანამიმდევრობა სიტყვებისა- **SOV** თავდაპირველად გამოიყენებოდა პროტოელამური პიქტოგრაფიული დამწერლობა, ჩვ. წ. აღრიცხვამდე **XXIII** - ელამის ხაზოვანი დამწერლობა, შემდეგ- ლურსმნული.

ელამის ისტორია

ელამის ისტორია პირობითად შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად, რაც ორ ათასწლეულზე მეტ დროს მოიცავს. პირველ პერიოდზე უფრო ადრინდელი ცნობილია როგორც პროტოელამური.

0 პროტოელამურ პერიოდად ითვლება ჩვ. წ. აღრიცხვამდე **3200-2700** წწ ლოკა-ლურად სუზაში;

0 ძველი ელამური პერიოდი- ჩვ.წ. აღრიცხვამდე **2700-1600**წწ, ადრეული პერიოდი. სუზაში ეპარიტების დინასტიის მოსვლამდე.

0 ახალი ელამური პერიოდი- ჩვ.წ. აღრიცხვამდე **1500-1100**წწ, პერიოდი ბაბილონის სუზაში შემოჭრამდე;

0 ახალი ელამური პერიოდი- ჩვ.წ. აღრიცხვამდე **1100-539** წწ. ეს პერიოდი ხასიათდება ირანულ-სირიული გავლენით. ჩვ.წ. აღრიცხვამდე **549** წელს ელამი სპარსელებმა დაიპყრეს, თუმცა ისინი იმდენად ადაპტირდნენ დაპყრობილი ქვეყნის კულტურაში, რომ იოსებ ფლავიოსი ელამიტებს სპარსელთა წინაპრებს უწოდებს.

პირველი ცნობები ელამის სამეფოს შესახებ დაფიქსირებულია ჩვ. წ. აღრიცხვამდე 27-ე საუკუნის ბოლოს და 26-ე საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ შუამდინარეთში მბრძანებლობდნენ ავანის მეფეები. ჩვ.წ. აღრიცხვამდე დაახლოებით 2500 წელს, შუმერის ქალაქ კიშის მმართველებმა შეძლეს ელამის ბატონობის გადაგდება. ამ დროისათვის ავანში ახალი დინასტია გაძლიერდა, რომლის დამფუძნებელიც პელი უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდის ისტორია ძალიან ცუდადაა ცნობილი. ჩვ. წ. აღრიცხვამდე დაახლოებით 2300 წლისთვის, ელამი აქადის სამეფომ დაიმორჩილა, მაგრამ აქადელებმა ვერ შეძლეს ქვეყანაში თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნება და იძულებული გახდნენ რამდენიმე წლით დაეტოვებინათ ის. აქადის ახალმა მეფემ რიმუშმა შეს ძლო ისევ დაეპყრო ელამი და მთლიანად დაარბია იგი. ამასთან, აქადის მეფეებმა, რიგი ლაშქრობების მიუხედავად, საბოლოოდ ვერ დაიმორჩილეს ელამი, ამიტომ მანიშტუს ძმისშვილმა, მეფე ნარამ- სინმა ელამელებთან წერიბითი ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვით ელამმა ივალდებულა საკუ თარი საგარეო პოლიტიკა შეეთანხმებინა აქადის სამეფოსთან, მაგრამ შეინარჩუნა შიდა დამოუკიდებლობა. ეს ჩვენთვის მსოფლიო ისტორიაში ცნობილი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. ის დაწერილია ელამის ენაზე, თუმცა აქადის ლურსმნულით, რომელმაც ამ დროისათვის ელამში გავრცელება დაიწყო. ავანის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის კუტიშე-ინშუშინაკის დროს, როდესაც აქადი გუტიების შემოტევის შედეგად დაეცა, ელამმა დამოუკიდებლობა დაიბრუნა, მაგრამ გუტიი თავს დაესხა ელამსაც, რის შედეგადაც სახელმწიფო რამდენიმე ოლქად დაიყო, მხოლოდ ასი წლის შემდეგ შეძლო ქვეყანამ გაერთიანება და სიმაშკის დინასტიის მეფეების ხელმძღვანელობით ელამის ახალი აღზევება დაიწყო.

სიმაშკების დინასტია

მალე ავანის სამეფოს და დინასტიის სრული დაქუცმაცების შემედეგ, ელამის სამეფო დაპყრობილ იქნა ურის მეფის შულგის მიერ. რამდენიმე ათეული წელი ქვეყანას მართავდნენ შუმერი (აქადი) ჩინოვნიკები. მხოლოდ ურის მეფის შუსუნის დროს გაჩნდა ცნობა, რომ ელამის ქალაქ სიმაშკს მართავს ვინმე მეფე გირნამე. მისმა მემკვიდრემ, ენპილუხანმა შეძლო ურიდან განთავისუფლება და დაიპყრო ქალაქები ავანი და სუზი.თუმცა ემპილუხანი მალე დაატყვევა შუმერთა ჯარმა. ელამმა ამ დროისათვის სრულიად გადააგდო შუმერთა მბრძამბრძანებლობა. ურის გარნიზონი ელამის ყველა კუთხიდან იდევნებოდა. თავად შუმერებს (აქადებს) მალე მოუწიათ ქვეყნიდან გაქცევა. ელამელებმა მეფე

ხუტრანტემპის მეთაურობით დაიწყეს შუამდინარეთის ტერიტორიებზე თავ-დასხმები და მალე შეძლეს ურისთვის ეზღვევინებინათ ელამის დაპყრობისათ-ვის. ურის მესამე დინასტიის უკანასკნელი მეფე იბბი სუმი დამხობილ იქნა ელამელთა ჯარის დახმარებით, რის შემდეგაც ელამის გარნიზონი განლაგე-ბულ იქნა ურში და შუმერთა (ელამელთა) სხვა დიდ ქალაქებში. მიუხედავად ამისა, მათ რამდენიმე წელიწადში შუმერის დატოვება მოუწიათ. მეფე იდატუ პირველის მეთაურობით სიმაშკის მმართველებმა დაიმორჩილეს მთელი ელა-მი, თუმცა ელამის სახელმწიფოს აყვავება ნახევარ საუკუნეზე ნაკლებ ხანს გა-გრძელდა. მალე სიმაშკის მეფეებმა დაიწყეს თავიანთი ძლიერების დაკარგვა და ჩვ. წ. აღრიცხვამდე დაახლოებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ელამში ძალაუფლება ახალი დინასტიის-სუკალ-მახების ხელში გადავიდა.

სუკალ-მახების (ეპარტდების) დინასტია

სუკალ-მახების (ეპარტდების) დინასტიის დამფუძნებელი ვინმე ეპარტი იყო, დაბალი ფენის წარმომადგენელი, რომელმაც ხელისუფლება მიიღო არა მემ-მემკვიდრეობით, არამედ ბრძოლის შედეგად. ეპარტის მემკვიდრეებმა, განსა-კუთრებით დედოფალმა შილხახამ, შეძლეს არსებითად განემტკიცებინათ სა-მეფო ხელისუფლება და გაეძლიერებინათ ელამის სახელმწიფო. ელამის ხელი-სუფლება წარმოადგენდა თავისებურ ტრიუმვირატს. ქვეყანაში ერთდროულ-ად არსებობდა სამი მმართველი. 1. სუკკალი სუზისა, 2. სუკკალი ელამისა და სამაშკისა, 3. სუკკალი მახი. ქვეყნის მეფედ ფაქტიურად ითვლებოდა სუკკალი მახი. მისი რეზიდენცია მდებარეობდა სუზაში. მისი სიკვდილის შემდეგ,რო-გორც წესი, ელამის ტახტზე ადიოდა ელამის და სიმაშკის სუკკალი. ჩვეულებ-რივ ეს იყო გარდაცვლილის ძმა, ხოლო სუზის სუკკალად (დედაქალაქის მმარ-თველად) სუკკალ-მახი ნიშნავდა თავის უფროს შვილს. ამგვარად, ხელისუფ-ლება ელამში გადადიოდა არა მამიდან შვილზე, როგორც ეს მაშინ მიღებული იყო სხვა ქვეყნებში, არამედ უფროსი ძმიდან უმცროსზე. სუკკალ-მახების დი-ნასტიის პოლიტიკური ისტორიის შესახებ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ცნო-ბათა ნაწყვეტებმა. ელამი მაშინ გარდამავალი წარმატებებით აწარმოებდა ომს ბაბილონთან და აქადის სამეფოსთან. ჩვ.წ. აღრიცხვამდე XV საუკუნის დასაწ-ყისში, სუკკალ-მახების დინასტია მოულოდნელად შეწყდა. არაა ცნობილი რა-ტომ, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელამი დაპყრობილ იქნა კასიტების მიერ. მხოლოდ ასწლეულის შემდეგ შეძლო ელამმა დამოუკიდებლობის დაბ-რუნება ანშანის და სუზის მეფეების მმართველობის დროს.

ანშანების და სუზის მეფეების დინასტია

(იგეხალკიდები და შუტრუკიდები)

ეს უდაოდ ყველაზე დიდებული პერიოდია ელამის ისტორიაში, რომელმაც დატოვა შედარებით დიდი რიცხვი არქეოლოგიური ძეგლებისა, კერძოდ, ცნობილი ზიქურათი დურ- უნტაში (ახლანდელი ჩიგა ზამბილი) , რომელიც აშენებულია მეფე უნტაში-ნაპირშეს დროს. ახალ ელამურმა დინასტიამ, სავარაუდოდ, ამ დროისათვის შეძლო გაეტეხა ადგილობრივი დიდებულების სეპარატიზმი და განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლება. ჩვ. წ. აღრიცხვამდე XIII საუკუნის დასაწყისიდან ელამის დაპყრობების ახალი სერია იწყება.ელამელებმა შეძლეს მიეტაცათ დიდი ოლქი მდინარე დიალეზე, მათ შორის, ქალაქი ეშნუნუ (მეფე) უნტაშ- ნაპირშეს ზეობისას. (ეს უკანასკნელი მეფე გახდა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1275 წელს). ამ ოლქზე გადიოდა საქარავნო გზა შუამდინარეთიდან ირანის ზეგანისაკენ. ელამელების ამ გამარჯვებამ ხელი შეუწყო კასიტების დინასტიის კრიზისს ბაბილონში და ელამელების სრულ განთავისუფლებამ ბაბილონელთა ბატონობისგან.

მეფე კიტენ-ხუტრენის დროს (მეფობდა ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1235 წ.) განხორციელებულ იქნა ორი დაპყრობითი ლაშქრობა ბაბილონიაზე, აღებული იქნა ნიპპური, მერე ისინ-ი. მაგრამ ელამის მმართველის მთელი ძალისხმევა განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება ბაბილონში, ჩაშლილი იქნა ასირიის მეფის თუქულთ-ნინურთა I-ის მიერ, რომელიც თავად იყო დაინტრესებული ბაბილონის დამორჩილებით, და რომელსაც ამ კუთხით უფრო მეტი წარმატებები ჰქონდა, ვიდრე ელამის მეფეს. მალე კიტენ-ხუტრუნის სიკვდილის შემდეგ, ელამის ხელისუფლებაში მოდის ახალი დინასტია- შუტრუკიდები, რომლის სახელწოდებაც მეფე შუტრუკ-ნახუტუს სახელთან არის დაკავშირებული. ამ მეფემ ჩვ. წ. აღიცხვამდე 1160 წელს წარმატებული ლაშქრობა განახორციელა ბაბილონში, მთლიანად გაძარცვა ქალაქი და უზარმაზარი ხარკი წამოიღო ბაბილონიდან. სამხედრო ნადავლს შორის იყო ცნობილი სტელა ჰამურაბის კანონებით, რომელიც არქეოლოგების მიერ სუზაში ნახულია გვიან. ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1157 წელს, ბაბილონის კასიტურმა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ელამმა ვერ შეძლო სრულად დაემორჩილებინა ბაბილონი. ელამის სახელმწიფომ უდიდეს განვითარებას მიაღწია მეფე შილხაკ-ინშუშინაკის დროს რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ელამის სახელმწიფო, განსაკუთრებით ზაგროსის მთებისკენ და მისგან აღმოსავლეთით. მან შეძლო შეჭრილიყო ასირიაში, სადაც დაიკავა სამხრეთ ასირიული ქალაქი ეკკალლატე. ჩვ.წ.აღრიც ხვამდე 1130 წელს, ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ I- ის მიერ ელამის დამარცხების შემდეგ

(ომი- მდინარე ულაისთან), ხოლო ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIII-XII საუკუნის ბოლოს ასირიის მეფის ტიგლატპალასარ პირველის მიერ ბაბილო ლონის დამარცხების შემდეგ, ორივე ქვეყანა, ელამი და ბაბილონი რეგრესს განიცდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაბილონი არ კარგავს მიმზიდველობას როგორც დაპყრობის ობიექტი. აღსანიშნავია, რომ შემდგომში, მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ელამის შესახებ ცნობები არ არსებობს . ელამში აღდგენას იწყებს ან ნარჩუნდება ადგილობრივი დიდებულების ბატონობა. მკაცრი ცენტრალიზებული ხელისუფლების არარსებობა და უკიდურესად არამყარი სამეფო ხელისუფლება, რომელიც ადგილობრივი დიდებულებისათვის სათამაშოდ არის გადაქცეული, დამახასიათებელია პირველი ათასწლეულის ელამის ისტორიისათვის.

ახალელამური დინასტია

I.ხუმბატ ტახ-რახი (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 762-742წწ.), დინასტიის დამფუძნებელი, მათზე მცირეოდენი ცნობებია შემონახული.

II. ხუმბატ ნიკაში (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 742-719 წწ. შვილი წინა მმართველისა. მართავდა დიდი ასირიელი თვითმპყრობელობის ჩამოყალიბებისას ტიგლატპალასარ მესამის დროს. ჩვ.წ. აღრიცხვამდე 781 წელს დარასთან დაამარცხა მისი შვილი სარგონ მეორე.

III. შუტრუკ-ნახუნტე (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 711-699 წწ.) ხუმბატ ნიკაშის დისშვილი. მხარს უჭერდა სარგონ მეორის წინააღმდეგ ბაბილონელი მეფის, ხალდეური წარმოშობის მარდუკ- ალლადაინ მეორეს. გააფართოვა ელამის საზღვრები. ჩვ. წ. აღიცხვამდე 709 წელს, სარგონ მეორემ დაიპყრო ბაბილონი, ხოლო მისმა შვილმა სინაქერიბმა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 702 წელს, კიშთან სასტიკად დაამარცხა ხალდეის და ელამის ჯარი. შუტრუკ-ნახხუნტე მეორე ჩამოგდებულ და დატუსღებულ იქნა მისივე ძმის, ხალლუტეშ-ინშუშინაკ მეორის მიერ.

ხალლუტუშ- იმნშუშინაკ II-მ (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 699-693წწ.) ჩვ. წ. აღრიცხვამდე 694 წელს სიპართან დაამარცხა და ტყვედ აიყვანა სინაქერიბის შვილი, ბაბილონის მეფე აშურ- ნადიმ -შუმი და მალევე გარდაიცვალა (თუ მოკლეს) ელამში. ბაბილონის ტახტზე (ელამის მეფემ) დასვა ნერგალ-უშეზიბა. ჩვ. წელთა აღიცხვამდე 693 წელს სინაქერიბის მიერ დამარცხებულ იქნა ნიპურში.

ნერგალ- უშეზიბა ტყვედ ჩავარდა და საჩვენებლად ნინევიაში, გალიაში მოთავსებული ქალაქის კედელთან გამოიყვანეს. თავად ხალლუტუშ- ინშუშინაკ მეორე გაიქცა სამშობლოში, მაგრამ ელამის დედაქალაქის, სუზის მცხოვრებლებმა მას ქალაქის კარიბჭე დაუკეტეს და მოკლეს.

IV. კუტირ-ნახხუნტე (ჩვ. წელთა აღრიცხვამდე **692-683** წწ.) ხალლუტუმ ინშუ-შანიკ მეორეს უფროსი შვილი. მისი მმართველობის პერიოდში ელამში შემო-იჭრა სინაქერიბი, თავად კუტირ-ნახხუნტე მალევე მოკლულ იქნა აჯანყების დროს.

ხუმბატ- ნიმენა (ჩვ. წ. აღ-მდე **692-688** წწ) უმცროსი შვილი ხალლუტუშ -ინშუშუნაკ მეორესი, ბაბილონთან კავშირში აგრძელებდა ომს ასირიასთან. ჩვ. წ. აღ-მდე **689** წელს დამბლა მიიღო, რამაც სინაქერიბს ბაბილონში გალაშქრების საშუალება მისცა , რაც იმავე წელს ბაბილონის დაქცევით დამთავრებულა. ხუმბათ ხალტაშ **I** (ჩვ. წ. აღ-მდე **688-691**წწ) ბიძაშვილი ორი წინა მეფისა, ქვეყა-ნას მშვიდობიანად მართავდა. მოკვდა უეცრად. (რაც არ გამორიცხავს მის მო-წამვლას). შილკას- ინშუშანიკ **II** (ჩვ. წ. აღ-მდე **681-668** წწ.), ბიძაშვილი სამი წი-ნა მეფისა, მართავდა სუზას, თანამმართველად ჰყავდა ბიძაშვილი ხუმბატ-ხალტაშ **II** (ჩვ. წ. აღ-მდე **681-675**წწ), ორივე მეფე ცდილობდა ასირიის მეფე ასარქადონთან, სინაქერიბის შვილთან მშვიდობიან ცხოვრებას, რის გამოც-მოკ-ლეს კიდეც ელამში გამოქცეული ნაბუ-ზერ კიტილიშირი, მარდუკ-ალლა -დინ **II**-ის შვილი. მაგრამ ჩვ.წ. აღრიცხავამდე **675** წელს სუმბატ -ხალტაშ **II** თავს და-ესხა სიპპარს, რის შემდეგაც „ მოკვდა ისე, რომ ავადმყოფობის არავითარი ნი-ნიშანი არ ჰქონდა“. სავარაუდოდ, ასირიის სპეცსამსახურებმა მოკლეს. სუმბატ -ხალტაშ **II**-ს მემკვიდრე გახდა მისი ალალი ძმა ურტაკი (ჩვ.წ. აღრიც-ხვამდე **675-663**წწ.) სიცოცხლის ბოლოს თავს დაესხა ბაბილონს, სადაც მას მხა-რი დაუჭირეს ადგილობრივმა თავადებმა. ელამში დაბრუნებისას ყველა ისინი მოულოდნელად გარდაიცვალნენ. სავარაუდოდ, ასირიის მომხრეების მიერ იქ-ნენ დახოცილნი.

V. ტემპტი-ხუმპან-ინშუშანაკი (ასირიულად ტე-უმმანი, ჩვ. წ. აღრიცხვამდე **668-653**წწ.) შვილი შილკახ- ინშუშინაკ **II** -ისა. თავიდან მართვდა მხოლოდ სუზაში. ურტაკის სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელოც მიიტაცა. ელამის სამეფო ოჯახის **60**-მა წევრმა, ურტაკის სამი შვილის და სუმბატ-ხალტაშის **2** შვილის ჩათვლით თავშესაფარი ჰპოვეს ასირიაში. ელამის შემოგარენში დასახლებუ-ლი ტომების წინააღმდეგ წარმატებულად ჩატარებული ლაშქრობის შემდეგ, ელამმა განუწყვეტელი ომებისგან ამოისუნთქა და აყვავება დაიწყო. ეგვიპტემ გამოაცხადა რა საკუთარი დამოუკიდებლობა, ლიდიისგან მხარდა-ჭერილმა, ასირიის წინააღმდეგ გაილაშქრა, რამაც ტე- უმმანსაც უბიძგა ასირი ის წინააღმდეგ ომისკენ და გაქცეული ნათესავების დაბრუნება მოითხოვა, მაგ-რამ ასირიის მეფემ აშურბანაპალმა ეგვიპტესთან და ლიდიასთან ზავის და-დება მოახერხა, რის შემდეგაც ასირიის არმია მთლიანად მოუტრიალდა ელამს. სუზის ახლოს ელამიტებმა სრული მარცხი განიცადეს. ტე-უმმანი ტყვედ იქნა

აყვანილი და ელამის ტყვედჩავარდნილი არმიის წინაშე დასჯილი. ელამი ასირიაში თავშეფარებული ტე-უმმანის ნათესავების მიერ იქნა განაწილებული. ანტტახამიტტი-ინშუშინაკი (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 653 წ.) ბიძაშვილი ტე-უმმანისა, მოკვდა თავისი სიკვდილით სუზაში.
სუმბატ- ნიკაშ II (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 653- 651 წწ) ურტაკის შვილი. ემხრობოდა შამ-აშ-შუმ-უკინის აჯანყებას ბაბილონში (ჩვ. წ. აღრიცხავმდე 652-648წწ). მაგრამ ბაბილონში გაგაზავნილი არმია დამარცხებულ იქნა, ხოლო სუმბატ -ნიკაშ მეორე დამხობილ და დასჯილ იქნა საკუთარი ძმის, ტამარიტუს მიერ.
ტამარიტუ (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 653-649წწ), ურტაკის შვილი. მან ჩვ. წ. აღრიცხვამდე 649 წელს ასირიასთან ომი განაახლა, მაგრამ დამხობილ იქნა დიდებულის, ინდაბიგაშის მიერ. ტამარიტუ გაიქცა, მაგრამ ასირიელებმა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 646 წელს დააკავეს . ასირიელების მიერ გამეფებულ იქნა ელამში. მალევე აჯანყდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.
ინდაბიგაში (ჩვ. წ. აღრიცხვამდე 653-648 წწ) არ დაეხმარა უკვე გ ანწირულ შამაშ- შუმ -უკანს, მაგრამ ბაბილონის დაცემის შემდეგ უარი განაცხადა გაეცა ნაბუ-ბილ-შუმატი, მარდუკ-ალლა-დან II-ის შვილიშვილი და სხვა ბაბილონელი ლტოლვილები. მალე მოკლულ იქნა სუმბატ-ხალტაშ III-ის მიერ.

VI. სუმბატ-ხალტაშ III (ასირიულად უმმანალდაში, ჩვ. წ. აღრიცხვამდე 648-644 წწ.), შვილი ატახამიტტი-ინშუშინაკისა. ასევე, უარი თქვა ბაბილონელი ლტოლვილების გადაცემაზე. ჩვ. წ.აღრიცხვამდე 646 წელს ასირიელთა შემოსევისას დაიმალა მთებში . მეფედ იქნა დასახელებული უმბახაბუა, რომელიც ასირიელთა მოახლოებასთან ერთად გაიქცა „ცალკეული წყლების წიაღისაკენ“. (ტბისკენ? ავტორი) ასირიელებმა ტახტზე დასვეს ტამმარიტუ, რომელიც მალე აჯანყდა და დატყვევებულ იქნა ასირიელების მიერ. ასირიული ჯარის წასვლის შემდეგ სუმბატ- ხალტაშ III დაბრუნდა და ისევ დაიკავა ტახტი. ჩვ. წ. აღრიცხვამდე 645 წელს ისევ მოხდა ასირიელთა ახალი შემოსევა თავად აშურბანაპალის ხელმძღვანელობით. სუმბატ-ხალტაშ IIIდამარცხდა და ისევ მთებს შეაფარა თავი. ელამის მეფედ დასახელდა პასე, რომელიც მალევე დანებდა ასირიელებს. აშურბანაპალმა გაძარცვა სუზა და დაარბია მთელი ქვე-ყანა. ასირიელების წასვლის შემდეგ სუმბატ- ხალტაშ III დაქცეულ მადაკტაში დაბრუნდა და ზავი დადო, დათანხმდა გაეცა ნაბუ-ბელ- შუმატი. ჩვ. წ.აღრიცხვამდე 640 წელს ასირიელები ისევ შემოიჭრნენ და შემდეგ წელს ელამელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხეს. მთას შეფარებული სუმბატ-ხალტაშ III ადგილობრივმა ტომებმა ასირიელებს გადასცეს.
ელამის სამი მეფე- სუმბატ ხალტაშ III, პასე, ტამარტუ და დატყვევებული არაბი შეიხი აშურბანაპალის საბრძოლო ეტლში შეაბეს ელამის დამორჩილებისადმი

მიძღვნილ ზეიმზე. ელამი გახდა ასირიის პროვინცია და დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა.

ელამიტების რელიგია

ელამიტების რელიგია -პოლითეიზმი, მრავალი ნიშნის მიხედვით მეზობელი მესოპოტამიის რელიგიის მსგავსია. მთავარ ღვთაებად ჩვ. წ. აღრიცხვამდე III ათასწლეულში იყო ქალღმერთი პინეკირი. (არსებობდა კიდევ 2 ქალღმერთი-პარიტი და ქირირშა) ათასი წლის შემდეგ „ტახტზე"ის შეცვალა მამრობითმა ღმერთმა ხუმპანმა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, ქალაქ სუზის ღმერთის ინშუშანაკის კულტს. სხვა ცნობილი ღმერთები- ხუტრანი (ხუმპანის შვილი), მენზატი, ნახხუნტე, ნერუნდი. ელამიტების რწმენით, ყოველი ღმერთი ფლობდა ზებუნებრივ აურას-კიშენს, რომელსაც შეეძლო გადაქცევა მეტალურ ან ქვის ნიშნად-ტაბუ. ღმერთებისთვის მიჰქონდათ შესაწირავი და თაყვანს სცემდნენ ტაძრებში. მესოპოტამიურის მსგავს საფეხურებიან პირამიდაზე-ზიქურათებზე. ასეთი ზიქურათი შემონახულია დღევანდელ ჩოგა-ზამბილში. ის აშენებულია მეფე უნტაშ-ნაპირშის დროს. გარდა ამისა, ცნობილია ღმერთები სადმი თაყვანისცემის რიტუალები წმინდა ტყეებში, რომლებიც ბორცვების ახლოს იზრდებოდნენ.

დამწერლობა

ელამიტური ენის გავრცელების არეალში დამოწმებულია სამი სახეობის დამწერლობა.

1.პროტოელამური დამწერლობა- შემორჩენილია 1600-მდე ტექსტი, აღმავალი ჩვ. წ. აღიცხვამდე 3100- 2900 წწ. პერიოდი. ჰქონდა პიქტოგრაფიული ხასიათი. გაუშიფრავია, და ამდენად გაუშიფრავია ეს ენა არის თუ არა ელამური

2.ხაზოვან- ელამური- ვითარდებოდა პროტოელამურიდან ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXIII საუკუნემდე. დაფიქსირებულია 19 წერილობითი ძეგლი (10-ამოჭრილია ქვაზე, 7- გამოყვანილია თიხაში, 1- ამოკაწრულია ნალესზე, 1-ამოტვიფრულია ვერცხლზე). ატარებდა სილიბურ (მარცვლოვან) ხასიათს ჩამატებული ლოგოგრამებით, გაუშიფრავი.

3.ლურსმნული- მთლიანად გამოდევნის ელამურ ხაზოვან დამწერლობას დაახლოებით ჩვ. წ. აღრიცხვამდე 2200 წ. იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ.

ერთი შეხედვით ელამის სახელმწიფოს ისტორია ფაქტიურად საკმაოდ შესწავლილი ჩანს, თუმცა...ისტორიის მამა ჰეროდოტე სუსას (სუზი) მემნონის ქალაქად მოიხსენიებს, იმ მემნონისა,რომელმაც ომის ბედი ელინ-ბერძენთა და ტროელთა დაპირისპირების დროს, კინაღამ ამ უკანასკნელთა მხარეს გადმოხა-

რა. მართალია, ჰეროდოტე ერთ სიტყვასაც არ ძრავს მემნონის ეთნიკური კუთვნილების შესახებ, მაგრამ კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ის მემნონს ეთიოპად თვლის (1) თავად ჰეროდოტეს მემნონის ეთნიკური კუთნილების შესახებ ორი წყაროთი შეეძლო ესარგებლა:
1.ჰესიოდე,თეოგონია (ჩვ. წ. აღრიცხვამდე VII ს.);
2.არკტინ მილეტელის პოემა „ეთიოპიადა“ (ჩვ. წ. აღრიცხვამდე VIII ს.).

ლოგიკურია ჩაითვალოს, რომ თავად ჰესიოდე, რომელიც გაკვრით ეხება მემნონის (და მისი ეთიოპობის) თემას, განსჯის წყაროდ იგივე არკტინ მილეტელის ჩვენამდე მოუღწეველ პოემას „ეთიოპიადას“ იყენებს, ისევე როგორც ჰეროდოტე. როგორც ჩვენამდე მოღწეული ისტორიული მონაცემებით მტკიცდება, ტროას ომის პერიოდი ემთხვევა ანშანების (იგეხალკიდების) სამეფო დინასტიის ზეობას ელამსა და სუსაში. ამ პერიოდისთვის ელამის ქვეყანა განიცდის პოლიტიკურ აღმავლობას, ანხორციელებს დაპყრობით ომებს ბაბილონისმიმართულებით ... და თუ ტროას ომი რეალობაა (და რომ ეს რეალობაა დაამტკიცა ტროას ტერიტორიაზე ჩატარებულმა არა ერთმა გათხრებმა) ამ დროისათვის ელამიტთა სამეფოში ეთიოპთა (აფრიკული ტომის) ზეობა უბრალოდ წარმოუდგენელია! რიგი მეცნიერების მოსაზრებით,არკტინ მილეტელის „ეთიოპიადა“ უსწრებს კიდეც დროში ჰომეროსის უკვდავ პოემებს, ხოლო ზოგიერთი მოსაზრებით, იგი დამაკავშირებელი რგოლია ჰომეროსის ორი პოემისა.
არკტინის პოემაში აღწერილია ომის მიმდინარეობა ჰექტორის დაღუპვი შემდეგ. მოთხრობილია აქილევსის მიერ ამაზონების წინამძღოლის, პენტესილეას დამარცხების ეპიზოდზე, ტროელთა ომში საშველად „ეთიოპიელი“ მემნონის მიერ აზიიდან უთვალავი მეომრის ჩამოყვანაზე. ომი აზიელი მემნონის მეთაურობით ევროპელი (პელაზგი, აქაველი, ელინი) მეომრების წინააღმდეგ. მემნონის დაღუპვა, აქილევსის სიკვდილი, აიანტის სიკვდილი, ტროას განადგურება.
... სამწუხაროდ, არკტინ მილეტელის პოემას ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს: თავად „ ეთიოპი“ მემნონი, ისევე როგორც აქილევსი, ღვთიური წარმოშობისაა და მასაც ზუსტად ისეთივე ჯავშანი აცვია (სპილენძის იარაღისათვის მოუწყვლადი) როგორიც აქილევსს(2)...
...როგორც ირკვევა აიანტსაც...

ელინისტ მეცნიერთა მიერ საყოველთაოდ გააზრებულია ოფიციალური ვერსია, რომ არკტინ მილეტელის პოემის მოტივები (ნაწილობრივ მაინც) გაზიარებული აქვს კვინტუს სმირნელს (IV ს. ჩვ. წ აღრიცხვით) საკუთარ პოემაში ტროას დაცემის შესახებ. აქ აღწერილია მემნონის მიერ შავკანიანი მეომრების ჩამოყვანა, მათი პირისპირ შერკინება აქილევსთან, აქილევსის დაჭრა და საბოლოოდ აქილევსის ხელითვე მისი დაღუპვა.აღსანიშნავია, რომ ჰესიოდე არსად

არ აღნიშნავს მემნონის (და მისი მეომრების) სიშავეს. უფრო მეტიც, ჰესიოდე ამ „ეთიოპების“ სამშობლოდ ემაფიას ასახელებს, რაც ელამისა და ელამიტთა ბერძნული დასახელება ჩანს უთუოდ (ამ დასახელების გენეზისის თემა სცილ-დება წიგნის ფარგლებს). ეთიოპთა კანის ფერს არც ჰეროდოტე აღნიშნავს. არც სტრაბონის ნაშრომებშია კანის ფერზე აქცენტირება. ცხადია,არც არკტინ მილე-ტელის „ეთიოპიადაში“ იყო მოსალოდნელი ეთიოპთა პიგმენტაციის შესწავლა. ეთიოპთა (და, საერთოდ შავკანიანთა) კანის ფერზე აქცენტირება და სეგრეგა-ცია, სავარაუდოდ, უკვე II საუკუნიდანაა სავარაუდებელი(3).

უცნაურია, მაგრამ თითქმის იგნორირებულია დიკტის კრეტელის ანა-ლოგიური, პროზაულად დაწერილი, სპეციალისტთათვის „ტროას ომის დღი-ურად“ ცნობილი ნაწარმოები. თავად დიკტის კრეტელი იდომენევსის თანამებ-რძოლად და ტროას ომის თანამონაწილედ ასაღებს თავს, თუმცა მისი ვერსიის სიყალბე აშკარაა და თვალშისაცემი(4). შესაძლებელია თამამად ჟღერდეს, მაგ-რამ დიკტის კრეტელის ცხოვრების და (შესაბამისად, ტროას ომის დღიურის) ნაწარმოების დაწერის პერიოდის ლოკალიზაციაც კი ჩანს შესაძლებელი. დიკ-ტის კრეტელის მოღვაწეობის პერიოდი ჩვ. წ. აღრიცხვამდე IV- III საუკუნით შეიძლება განისაზღვროს (5). მართალია, დიკტის კრეტელს არქაულობისა და ორიგინალობის პრეტენზია აქვს, თუმცა არქტინის პოემისგან დიდად განსხვა-ვებული ტექსტის შეთხზვა მას არ შეეძლო! ეს უშუალოდ იმ დროის მკითხვე-ლისთვის გაუგებარი და მიუღებელი იქნებოდა, რომელიც ასე თუ ისე ჩახედუ-ლი იქნებოდა „ ეთიოპიადის“ თუნდაც ფაბულაში.

შესაბამისად, დიკტის კრეტელის მიერ ხსენებული ელამელი (სუსელი) მემნონის მიერ **<u>კავკასიიდან</u>** და ფინიკიიდან მეომრების ჩამოყვანა იმავე არქტ-ინის პოემისათვის უცხო თემა არ უნდაყოფილიყო! შესაბამისად, ახლებუ-რად არის გასააზრებელი მთელი რიგი მოვლენები შორეული ისტორიისა:

როგორც კვლევის შედეგად ირკვევა (მოცემულია ამავე წიგნის შემეცნე-ბით ნაწილში),ალექსანდრე მაკედონელის მიერ დალაშქრული და მისივე თა-ნამებრძოლი მემატიანეების, არისტობულესა და პტოლომეოსის მიერ ნახსენე-ბი პაროპამისი- ეს ჩრდილო კავკასიაა, პაროპამისელები- სვან-ინგუშები! უფრო მეტიც, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დალაშქრული არახოსია და ინდები (სხვადასხვა წყაროების მიხედვით თეთრი ინდები, მთის ინდები, **უშინაგანესი** ჰინდონი) აღმოსავლეთ საქართველოა, უფრო გვიან სახელდებული შესაბამი-სად, იბერიად და ფხოვად! კიდევ უფრო მეტი, ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეს მიერ სპარსული სატრაპიების ჩამონათვალაში, მეჩვიდმეტე სატ-რაპია, ასიის (აზიის) ეთიოპები და პარიკანები- შესაბამისად, აღმოსავლეთ სა-ქართველოს რეგიონების მცხოვრებნი, არახოტები-იბერები , და ასევე ქართვე-ლური ტომი, ჰირკანები-გელები-ჰერები ყოფილან! ეთექვსმეტე სატრაპია იმა-

ვე ჰეროდოტესი, კახეობია! უფრო მეტიც: დარიოს პირველის მიერ ჩვ.წ. აღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში, ბეჰისტუნის წარწერებში მოხსენიებული სატრაპია ხარახვატი (ზოგიერთი მეცნიერის წაკითხვით არახოტია), იმავე არახოსია ყოფილა, ზემოთ ნახსენები მეჩვიდმეტე სატრაპია სპარსეთისა!

სწორედ გეოგრაფი და ისტორიოგრაფი სტრაბონის შეცდომებმა დაუკარგა კავკასიური გამარჯვებების ნაწილი ალექსანდრე მაკედონელს, ხოლო საქართველოს 24 საუკუნის ისტორია... ისტორია, მისთვის ჩვეული გმირული ომისა მომხდურთა წინააღმდეგ!ეს მისმა შეცდომამ (რომელიც სათავეს, სავარაუდოდ გაცილებით ადრე იღებს)აქცია არახოსია-ავღანეთად, არახოტები და თეთრი ინდები- ბელუჯებად! სწორედ ავღანელებს მიეწერებათ ის მეომრული შემართება და რიხი, რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა მრავალ ომგადახდილი ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც რამდენჯერმე დაიჭრა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს გურ- ასაკენების (ფხოველების) ქალაქის შტურმისას!

სწორედ არახოტებთან (იბერებთან) შეტაკებისას დაიმსახურა ალექსანდრე მაკედონელმა თავის მხედრულ ცხოვრებაში ერთადერთი შავი ლაქა, როდესაც ომით ვერდამარცხებულ და მის ფიცს მინდობილ მეომრებს გაშლილ ადგილას ალყა შემოარტყა და საშინელ, უთანასწორო შეტაკებაში შეძლო მათი ამოჟლეტა, რაც არანაკლები მსხვერპლი დაუჯდა მაკედონელთა მხარეს, და სავარაუდოდ, არა მხოლოდ მაკედონელთა... როგორც ირკვევა, მაკედონელის გამარჯვებათა სიაში ლომის წილი ისევ ქართულ გენს მიუძღვის...

ბელუჯებს (პაკისტანურ ტომებს)უწოდებენ აზიის ეთიოპებს წიგნში „ირანის უძველესი ცივილიზაცია“, იმავე ბერძნული წყაროების მოშველიებით, რაც აბსოლუტურად არასწორია! არქაული ბერძნული წყაროები ბელუჯებს „აზიის ეთიოპებს“ ვერ შეარქმევს.ტერმინი„ბელუჯი“ავღანური ტომის მიმანიშნებლად მხოლოდ ჩვ. წ. აღრიცხვით მე-10-ე საუკუნეში თუ ფიქსირდება. (თუმცა ამ ტომის გენეტიკას გარკვეული გამოძახილი უნდა ეძებნებოდეს იბერებთან თემა სცილდება წიგნის ფორმატს) იმავე სტრაბონის ფატალური შეცდომის გამო არახოტები და თეთრი ინდები (იბერია და ფხოვი) ავღანურ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებად ითვლებიან. საკმარისია აღინიშნოს, რომ იმავე არქაული ანტიკური წყაროს მიხედვით არახოსია პონტოს (შავი) ზღვის მიმდებარე სამეფოდ მოიხსენიება, რომელ ზღვასაც ავღანეთიდან რამდენიმე ათასეული კილომეტრი აშორებს!

...და კიდევ, შეუძლებელია ავღანეთის არქაულ მოსახლეობას პრომეთეს მითი გააჩნდეს,რომლის კლდეზე მიჯაჭვის ადგილს არახოსიაში აჩვენებე ალექსანდრე მაკედონელს და მის თანამოლაშქრეებს!..და,როდესაც დაბეჯითებით ვიცით, რომ არახოტებს და ინდებს (მთისას თუ თეთრს) უძველესი ბერძნული წყაროები“აზიის ეთიოპებს“ უწოდებენ, სამართლიანია დაისვას კითხვა, რატომ

ეთიოპებს? უბრალო შედარება გვარწმუნებს, რომ არქაულმა ბერძნულმა ლიტერატურამ ქუშანთა ეთიოპური (აფრიკული) ტომი და ქუშთა აზიური ტომები ერთმანეთში აურია! აზიელ ქუშთა ტომი აფრიკელ ეთიოპებად, ქუშანებად მიიჩნია!

მართალია ელამელებსა და და ელამს ამ სახელს სხვები უწოდებენ, მაგრამ იმავე ჰესიოდეს მონაცემებით, მათ ემაფია ჰქვია, ხოლო ეთნიკური თვითდასახელება ხუსები- ხუშებია! ასირიულ ლურსმნულ ძეგლებში „ხუსას“და „ხუშალხის“ სახელით დაფიქსირებულია სახელმწიფოები სპარსეთის ყურეში, მეწამული ზღის სანაპიროზე (იქ, სადაც ელამის სამეფო მდებარეობდა). უნდ აღინიშნოს, რომ ეთნიკური ჯგუფი „ხუშის“ სახელით დაფიქსირებულია არმენიულ ძველ წყაროებშიც კავკასიის მთიანეთში (ქისტების და დიდოელების უშუალო სიახლოვეს). უფრო მეტიც, ინგუშები დღესაც ხევსურებს ხუშებს უწოდებენ!

ყოველივე ზემოთმოყვანილი ფაქტი გვაიძულებს სულ სხვა კუთხით შევხედოთ ელამიტთა სამეფოში სუკკალ-მახების დინასტიის გაქრობას ჩვ. წ. აღრიცხვამდე XV საუკუნეში. აღნიშნული დინასტიის სახელი, როგორც აღმატებული პიროვნებისა, თავს იჩენს საქართველოს სხვადასხვა სივრცეში, რო მელსაც არ შეიძლება შემთხვევეითი ხასიათი ჰქონდეს! არქაული ფხოვური ლეგენდის მიხედვით, ამირანის (პრომეთეს) მამა მონადირე <u>სულკალმახია! სულა კალმახელის სახელს (სავარაუდოდ, ტიტულს) ატარებენ საქართველოს მოპირდაპირე კუთხეში</u> მესხეთში (ადრინდელ ტაოში) ჩორდვანელები. მკითხველს შევახსენებ, რომ ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის ისტორული პოემის „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი თორნიკე ბერი, გვარად ჩორდვანელი გახლდათ. ეს მან იტვირთა ქართველთა (ტაოს) ლაშქრის მთარსარდლობა ბიზანტიის მცირეწლოვანი იმპერატორის, ბასილის ტახტის გადასარჩენად. ჩორდვანელთა გვარის უძეოდ გადაშენების შემდეგ, ტიტულის მფლობელი ჯაყელთა გვარი ხდება, სავარაუდოდ, ჩორდვანელთა გვერდითი შტო. ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით მტკიცდება, რომ სუკკალ-მახები დინასტია არ გადაშენებულა. ის ქრება ელამში XV საუკუნეში ჩვ. წ. აღრიცხვამდე, მაგრამ აღორძინდება ქართულ პროვინცია ტაოში და დღესაც განსხეულებულია ჯაყელთა გვარში! (სახელი, ტერმინი იმდენად სპეციფიკურია, რომ ყოველგვარი შემთხვევითი ფონეტიკური თანხვედრა გამორიცხულია!)

...და, მაინც, არსებობს თუ არა სხვა წყარო, ვიდრე სრულიად რეალური სამტკიცი სუკკალ-მახების საქართველოში მკვიდრობისა? ასეთი არქაული წყარო არსებობს და თანაც არა ერთი...როგორც ირკვევა, იგივე სტრაბონის მიერ ნახსენები ტეარკონ ეთიოპი, რომელმაც ჰერაკლეს სვეტებს (გიბრალტარს) მიაღწია, სხვა არავინაა, თვინიერ თარხონ ქუშისა-ქართისა (დამამტკიცებელი ფაქტის ხილვა შეიძლება აქვე, წიგნის შემეცნებით-მეცნიერულ ნაწილში).

თარხონ ქუშის (ქართლელის) ლაშქრობის თარიღის განსაზღვრ შესაძ-ლებელი ჩანს. ერთის მხრივ ის წინ უნდა უსწრებდეს ეგვიპტის ფარაონ სესოს-ტრისის (ჩვ. წ. აღრიცხვამდე XIV ს.) ლაშქრობას, ვინაიდან სტრაბონი ქრონოლო-გიურად ასე აღწერს ლაშქრობათა მიმდევრობას, ხოლო მეორე მხრივ დინასტია სუკკალ-მახების ელამში გაქრობა (და საქართველოს გამოჩენა) ძვ. წელთა აღ-რიცხვით XV საუკუნეში ხდება. (ირიბი ცნობებით თარხონ ქუშის ლაშქრობა ჩვ. წ. აღრიცხვამდე არაუგვიანეს XXV საუკუნეში ჩანს განხორციელებული!). უნდა აღინიშნოს,რომ სტრაბონი ამ ცნობებს ვინე მეგასთენეს ნაწერებიდან იღებს,რო-მელიც ჩვ.წ. აღრიცხვამდე IV-III სუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსია. (მკითხველს ვაუწყებთ, რომ მეგასთენე თავად არახოსელია, ქუშ-იბერი და შესაბამისად, მი-სი მოწოდებული ცნობები ამ თემაზე უაღრესად კომპეტენტურია)

პირენეის ნახევარკუნძულზე იბერების ლაშქრობა უხსოვარ დროში ბერ-ძენი და რომაელი ავტორების მიერ მოწოდებული სხვა ცნობებითაც მტკიცდება (იხ. წიგნის შემეცნებით- მეცნიერულ ნაწილში). ამავე მიმართულებით ახორცი-ელებენ ლაშქრობებს ფინიკიელი და სპარსელი მოლაშქრეებიც სპარსელი მო-ლაშქრეებში ეჭვმიუტანლად იგივე ელამიტები იგულისხმება, ბერძენთა მიერ სპარსელთა წინაპრებად ჩათვლილები,რასაკვირველია, არასწორად. (რაც შეეხ-ება ფინიკიელთა საკითხს, ეს თემა წიგნის ფორმატს აშკარად სცილდება).
იმავე არქაული ავტორების ცნობით, ესპანელები-ეს იბერებისა და კელტების ერთი რასაა, რომელიც დროთა განმავლობაში ამ ორი ერის საომარი თუ სამშვი-დობო კონტაქტების შედეგად ჩამოყალიბდა!...უფრო მეტიც,ლუზი ტანია (პორ-ტუგალია) ეს სუფთა იბერთა მოდგმის ხალხია! (რასაკვირველია, აქ აღმოსავ-ლეთი იბერია იგულისხმება, რამეთუ დასავლეთი იბერია- ეს შემდგომ დროში მათვე მიერ შექმნილ-ჩამოყალიბებულია!). ლუზიტანელთა (იბერთა) საცეკვაო ილეთები,მშვიდობიან პერიოდში ომისთვის მზაობის საწვრთნელეტაპი ყოფი-ლა მხოლოდ!

იმავე რომაული წყაროების მიხედვით, დასავლეთის იბერიიდან ჩამოსახ-ლებულმა სიკანთა ტომებმა დაასახლეს კუნძული სიცილია, უკვე სხვა ტომთან (სიკულებთან და ფინიკიურთან) ერთად. სიკანების სატომო სახელი ალექ-სანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობისას, გამოძახილს ფშავ -ხევსურთა ტომთან პოულობს! ისტორიკოს ჰეროდოტეს მიხედვით, კუნძული კრეტა პირ-ველად იმ ხალხების დასახლებულია, რომელთაც რკინის მოპოვების საიდუმ-ლო აჩუქეს მსოფლიოს! ეს ის კრეტელებია, საიდანაც სახელმწიფოს მმართვე-ლო-ბის საუკეთესო კანონები გადმოიღეს **არაელინმა** ლაკედემონოლებმა...
არქაული ბერძნული წყაროების ცნობით, კრეტის მოსახლეობა ახალგაზრდო-ბის წვრთნისას (ბერძენ-რომაელებისათვის მუღებელ და გაუგებარ) რკინის ია-რაღს იყენებს...ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეებში საომარი წვრთნის ბრწყინვალე

მაგალითი იყო ხევსურული კეჭნაობა,რომელიც მხოლოდ ფოლადის საბრძოლო იარაღით ტარდებოდა! ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე სულსხვა დატვირთვას ღებულობს ხევსურთა უძველესი საცხოვრებლის კედლებშიჩატანებული ქვა-პიქტოგრამები, მსოფლიო ანბანური დამწერლობის ერთ-ერთ წინარე ნიმუშებს წარმოადგენს უთუოდ!

მოკვლეული წყაროების შეჯერება საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ კავკასიის ტერიტორიის ათვისება ხდება-ჩვ.წ.აღრიცხვამდე არა უადრეს XX საუკუნეში (...სავარაუდოდ გაცილებით უფრო ადრეც)... როგორც ირკვევა, ტეარკონ -ეთიოპის ლაშქრობა გიბრალტარის მიმართულებით ერთადერთი არ ყოფილა. იკვეთება სრულიად სხვა სალაშქრო მარშრუტებიც , რომელთა შორის საქართველოც მოიაზრება...სავარაუდოდ სხვა ტერიტორიების, მათ შორის საქართველოს ათვისების პროცესი პარალელურია ტეარკონ -ქუშის მიერ ჩატარებული ექსპედიციისა და ამ ლაშქრობებსაც საკუთარი თარხონები ყავდა უცილობლად. (ეს თემაც სცილდება წიგნის ფორმატს) ამ დროს ერთდროულად ათვისებულ იქნა ორი რეგიონი: იბერია(შესაძლებელია ტაოც),შესაბამისად იბერი და ქუშის ტომის მიერ. არ არის გამორიცხული, რომ ამავე დროს იქნა მიგრირებული, ასევე, ქართველური ტომები კასპები-კახების წინაპარნი, თუმცა, სავარა-უდოა რომ მათი მიგრაციის პერიოდი არ ეთხვეოდეს ქუშების მიგრაციას. სავარაუდოა, რომ მათი მიგრაციული გზა მეწამული ზღვის სანაპიროდან კასპიის ზღვის სანაპიროზე პირდაპირ ხაზოვნად გადის.(თემა აშკარად სცილდება წიგნის ფარგლებს)

რაც შეეხება საკუთრივ ქართებს, ისინი გაცილებით გვიან ჩანან მიგრირებული საქართველოსაკენ. მართალია, მათი თავდაპირველი მიგრაციის ამოსავალი წერტილი უეჭველად ელამი და შუამდინარეთი ჩანს, თუმცა მიგრაციის დრო და შუალედური წერტილი აბსოლუტურად განსხვავებულია წინამორბედებისგან. შესაძლებელია ქართ-იბერთა იმ ნაწილის მიგრირების ზუსტ ამოსავალი თარიღის დასახელებაც , რომლებიც პირველი ნაკადისაგან განსხვავებით არა ევროპისაკენ, არამედ ისევ აზიისკენ მიემართებიან: ჩვ. წ. აღრიცხვამდე 646 წ. ისინი ელამიდან მიგრირდებიან ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, ქმნიან საკუთარ პოლიტიკურ წარმონაქმნს (თუმცა არა ურარტუს!)

... და კოლხეთი...

არქაული ანტიკური წყაროების შეჯერება თვალნათლივ მიანიშნებს, რომ იმ კოლხეთის ტერიტორია, საითაც „ არგოს“ მეზღვაურებმა ილაშქრეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, იონიისა და ადრიატიკის ზღვის შესაყარში მდებარე-

ობდა, დღევანდელი ალბანეთისა და საბერძნეთის საზღვარზე.(ამ სამეფოს მოგ-ვიანებით ეპირის სამეფო ეწოდა, აქილევსის შვილის, ნეოპტოლომის ჭაბუკო-ბის სახელის მიხედვით)გვიანდელი ეპირი-ეს გახლდათ კოლხთა ტომის ისტო-რიული სამშობლო, დასავლეთის პელაზგთა სამშობლო! აქვე იყო აღმოსავლეთ პელაზგიიდან (სკოუტექსიდან) გადმოტანილი დოდონას სამისნო, უძველესი მთელი შემდგომი საბერძნეთის ტერიტორიაზე! აქ შესწირა ლტოლვილმა ფრ-იქსემ ვერძის ტყავი დოდონას სამისნოს! სწორედ ამ კოლხეთის (ეპირის) და მისგან რამდენიმე კილომეტრზე მდებარე კუნძულ კორკირის სუზერენი იყო კოლხი აიეტი და არა ასეული კილომეტრით დაშორებული კორინთოსი, რაც უძველესი (ანტიკური ბერძნებისთვის ხელმისაწვდომი) წერილობითი წყაროს შეცდომა ჩანს მხოლოდ.(6) სწორედ ამ ეპირში ილაშქრა დორიელთა და პელაზ-გთა აღმოსავლურმა შტომ ვერძის ტყავის დასაბრუნებლად, რომელზედაც ოქ-როს (და არა მისი მოპოვების) წესია გამოსახული, თუმცა ელინებმა მაინც ვერ შეძლეს ამ ეტრატის მნიშვნელობის გააზრება.

კოლხეთში (ეპირში) ლაშქრობა უაღრესად სახიფათო იყო არა იმიტომ, რომ ის შორს, სამი ზღვის იქით მდებარეობდა, არამედ იმ მიზეზით, რომ კოლ-ხეთის და ელინთა გამყოფ მდინარეს **აქერონტი** - სულეთის მდინარე ერქვა. ამ მდინარის გადალახვა სიკვდილის ტოლფასია! ამ გზით ცდილობს კოლხეთი-დასავლეთის პელაზგია ელინთა სამყაროსგან იზოლაცია-დისტანცირებას, რო-მელმაც თვალსა და ხელს შუა აღმოსავლეთის პელაზგია ელადა გახადა, გაა-ლინა მისი მოსახლოება! მხოლოდ მოგვიანებით დაერქვა აღმოსავლეთის პელა ზგიას თესალია, იაზონისა და ედეას საერთო შვილის, თესალის მიხედვით, რო-მელიც მამის სამკვიდრეო ტახტზე კოლხებმა (ეპირელებმა) დასვეს, სადაც ეს უკანასკნელი იზრდებოდა!...ვერ უშველა კოლხეთს და კოლხებს იზოლაციის მცდელობამ. სულ მალე კოლხთა ის ნაწილი, რომელმაც გაელინება არ მოისურ-ვა, დაადგა გრძელ და ძნელ მიგრაციულ გზას შავი ზღის სანაპიროსკენ!
როგორც ჩანს, ჩვ. წ.აღრიცხვამდე VII საუკუნეში კოლხებს თავიანთი მიგრაციის გზაზე მინიმუმ მარმარილოს ზღვა (ჰელესპონტი) უკვე გავლილი აქვთ. სავარა-უდოა, რომ ისინი უკვე შავ ზღვაზე სინოპას ნახევარკუნძულსაც გაცილებული არიან, საიდანაც ტროას ომში ჩასულ მოლაშქრეებს ახსენებს ჰომეროსი და კოლხებზე ერთ სიტყვასაც კი არ ძრავს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე VI საუკუნეში, ისინი უკვე ტრაპეზუნდიდან ფაზისამდე (ფოთი) გავრცელებული ჩანან.(როგორც ირ-კვევა, კოლხური ტომის მიგრაციას საბერძნეთიდან არა თანდათანობითი, არა-მედ ერთბაში ერთჯერადი მიგრაციული ხასიათი ჰქონდა, თან გაცილებით ად-რე) ადგილზე დარჩენილი ნაწილი საკმაოდ დიდი ხანი ინარჩუნებს დამოუკ-იდებლობას და არც ელინთა კავშირში შემავალი ქალაქი-სახელმწიფოა.საკმა-რისია აღინიშნოს, რომ ალექსანდრე მაკედონელის დედა, ოლიმპიადა, ეპირის

მეფის ქალიშვილია. ის აღმოსავლელი პელაზგის, აქილევსის შვილის, ნეოპტოლომის შთამომავალი, რომლის ჭაბუკობის სახელიც პირია და ზუსტად ეპირში (კოლხეთყოფილში) იზრდებოდა კიდეც!

აღსანიშნავია, რომ ეპირის საბოლოო დაპყრობა- დამორჩილება რომის იმპერიამ საკმაოდ გვიან, უკვე ახალი წელთა აღრიცხვის საუკუნეებშიღა შეძლო! უნდა აღინიშნოს, რომ ტრაპეზუნდის მეფეები, კომნენები, რომლებსაც ბერძნები ირონიულად კოლხების, ლაზების მეფედ იხსენიებენ, თავიანთ სამკვიდროდ ასევე მიიჩნევენ ეპირს,ათასეული კილომეტრით დაშორებულს ტრაპეზუნდიდან, და ინარჩუნებენ კიდეც მასზე გარკვეულ უფლებებს.

ლიდიელები

სხვა აღმოსავლურ-ქართველური ტომები, პელაზგ -მეონები,ასევე მიგრირდებიან აზიის კონტინენტიდან ევროპისაკენ. თარხონ„ეთიოპისაგან“ (თარხონ -ქუშისაგან) განსხვავებით, ამ ექსპედიციასაც საკუთარი თარხონი (სარდალი) ჰყავს, ასევე მშვიდობიანი ხასიათი აქვს და მიმართულია ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე აზიის ნაწილიდან ჭარბი მოსახლეობის განტვირთვისაკენ. როგორც ჩანს, პელაზგ- მეიონებმა , რომლებიც რამდენიმე ათწლეული უმოსავლ წლების შემდეგ შიმშილობის ზღვარზე იმყოფებოდნენ, პრობლემის გადაწყვეტა მოსახლეობის მიგრაციის გზით გადაწყვიტეს.აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ მოსახლეობის რომელი ნაწილი განიცდის უმოსავლობის პრობლემას და მის გადაწყვეტას მიგრაციის გზით, მოსახლეობის ხელოვნური შემცირებით ცდილობს. ჰეროდოტეს თქმით, ეს ლიდიელია , სტრაბონის სიტყვებით,ხმელთაშუა ზღვის აღმოსალეთის ნაწილის კუნძულების, ასევე პელაზგი მოსახლეობაა. ფაქტის კონსტატაცია შესაძლებელია: ეს პელაზგური -ლიდიური მოსახლეობა, მათი წინამძღოლის სახელის მიხედვით ტირსენებად არის წოდებული.

ევროპელ ექსპერტთა ვარაუდით, აზიიდან ევროპის მ იმართულებით, იტალიისკენ მიგრირების პერიოდი ჩვ. წ. აღრიცხვამდე IX-VII საუკუნით უნდა თარიღდებოდეს (ირიბი წყაროები მიგრაციის თარიღს ჩვ. წ. აღრიცხვამდე XIII საუკუნეს მიანიშნებს) როგორც არქაული წყაროებით მტკიცდება, მიგრაციი ამ პროცესს საკუთარი მეთაური ჰყავს და ის სპეციფიკური სახელით-თარხონად იწოდება! ის, რომ თარხონ ქუშის და თარხონ ტირსენის ეპითეტები,როგორც წინამძღოლების,ფაქტიურად, ერთმანეთს ემთხვევა, იმის მიმანიშნებელია რომ ლიდიელ-მეიონთა მიგრაციის პერიოდისათვის ელამისა და ლიდიის მოსახლეობის ენა ჯერ კიდევ ახლოს დგას ერთმანეთთან! (თავად ტერმინი თარხონი გვიანი საუკუნეების რუსული ტერმინის„„ვოევოდას“ შესატყვისი ჩანს და სამ-

ხედრო მეთაურს, ომის საქმეთა განმკარგულებელს, სარდალს უნდა ნიშნავდ-ეს).

საინტერესოა, რომ ლიდიელ პელაზგ-მეიონებს მეორე სახელი იბერიც შენარჩუნებული უჩანთ. ის უკვე ფიგურირებს როგორც იტალიური მდინარის, ტიბრო- სის სახელით, რაც ტირსენთა ჰეროდოტესეული ვერსიის, მათი აზიის კონტინენტიდან წარმომავლობის ნიშანი უნდა იყოს! ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ თავად მიგრირებული მოსახლეობის უმაღლესი კლანის წარმომადგენლები არქმევენ შვილებს სახელად ტიბერიუსს- წარმომავლობის მიმანიშნებელ სახელს! საკმარისია აღინიშნოს, რომ ტირსენთა, ეტრუსკთა თემიდან ცნობილია იმ დროის ზესახელმწიფოს, რომის ხუთი იმპერატორი! უფრო მეტიც, თავად მარადიული ქალაქი რომიც ტირსენთა დაფუძნებულია! ტოსკანა, იტალიის ხელოვნების აღორძინების ცენტრი-ეს ტუსკანაა,ტუსკთა ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობას მისცა ისეთი გენიოსები, როგორიც ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო ბუონაროტია!

ლიდიელ პელაზგ- მეიონებს მიეწერება მრავალი სასარგებლო გამოგონება. ჰეროდოტეს სიტყვებით, სწორედ მათ მოჭრეს პირველად ოქროსა და ვერცხლის მონეტები. მათივე გონების ნაყოფია მრავალი გასართობ საშუალება, რომლითაც ცდილობდნენ შიმშლობის გამკლავებას, მათ შორის ბურთისა და ზარის თამაშიც კი! კუნძული კორსიკა, ნაპოლეონის სამშობლო, ეტრუსკთა კუთვნილ მიწა-წყალზე მდებარეობს და თავად ნაპოლეონი ეტრუსკული ფესვებიდან იღებს სათავეს! ეტრუსკები ცენტრალიზებულ სახელმწიფოს არ ქმნიან: ისინი კმაყოფილდებიან ერთმანეთთან პოლიტიკურად თითქმის დაუკავშირებელი ქალაქით, რომელსაც საკუთარი მმართველი, ლუკუმონი ჰყავთ (სიტყვა აშკარად უკვე ევროპეიზებულია, მისი შესატყვისი სიტყვა ელამში უთუოდ ლუხუმი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ფშავ-ხევსურეთში ოდესღაც ამავე ფუნქციის დატვირთვა უნდა ჰქონოდა: სწორედ ბერი ლუხუმია ხევსურთა მეომარი რაზმის სამხედრო ხელმძღვანელი, როდესაც ისინი ბახტრიონს მ იემართებიან თანამოძმე კახთა დასახმარებლად) ეტრუსკთა ტერიტორიები იტალიის თითქმის მთელი ტირენეის ზღვის სანაპიროს მოიცავს. ვრცელდება შორს ჩრდილოეთით, თითქმის ადრიატიკის ზღვის სანაპირომდე.

(სულ სხვა საკითხია, თუ რომელი ტომი ჩანს შერეული იბერ-ხალდებში, რომელთაც ამ უკანასკნელთ ეტრუსკთა სახელი დაანათლა! იხ. ეტრუსკები)

თემს, რომლის ენას „გაფუჭებულ ეტრუსკულს“, ხოლო ხასიათს,ასევე ეტრუსკთა გაფუჭებულ ხასიათს ადარებენ, რეტები ეწოდება. რეტებ განსახლებული იყვნენ ენეტებამდე (ვენეციამდე).ყველა ნიშნით ეს ენაგაფუჭებული ეტრუსკები, რეტები- ის ტომებია, რომელთაც მოგვიანებით მაკრონები და მოსინეკები ეწოდათ. რეტებსა და ვენეტებს შორის, ასევე რომაელი ისტორიკოსების

მიერ დაფიქსირებულია კენომანების (და კარნების) თემი, რომელსაც არცთუ მცირე როლი განეკუთვნა მსოფლიო ცივილიზაციის წინსვლაში. ისტორიული მასალები მიანიშნებს, რომ კენები უხსოვარი დროიდან არიან დაძრული ევროპის კონტინენტიდან.სავარაუდოა, რომ მათი მიგრირება რკინის მოპოვება- ათვისებასთან და მისი საკმაოდ დიდი რაოდენობით გაყიდვასთან იყოს დაკავშირებული (7).

კენების აზიისკენ მიგრაციის სავარუდო შუალედური პუნქტი დღევანდელ საბერძნეთში, თერმოპილეს მიდამოებში ფიქსირდება. მეორე და უეჭველი- ეს თრაკიის ტერიტორიაა (დღევანდელი ბულგარეთი).მესამე დაასევე უეჭველი პუნქტი კენების მიგრაციისა სინოპას ნახევარკუნძულია, უკვე შავ ზღვაზე. ბერძნებისგან ისინი ინათლებიან თავიდან ხალიბებად (მეფოლადეებად), ხოლო შემდგომ-ჰენიოხებად (ხალიბთა ჰენიოხად გადანათვლის პროცესზე იხ. წიგნის მეცნიერულ-შემეცნებით ნაწილში).

ძვ. წ. VII საუკუნეში, ყირიმის ნახევარკუნძულზე მოსახლე სინდური ტომები (დღევანდელი საზომით რუმინული) ყირიმიდან გამოდევნილები სკვითებისაგან (ასევე, დღევანდელი უკრაინელებისაგან) შავი ზღის სანაპიროსა და კოლხეთის გავლით განიფანტნენ და ხალიბთა მეზობლად ამავე ნახევარკუნძულზე დამკვიდრდნენ (შემდგომ პაფლაგონიელები). შევიწროებული ხალხები (ჰენიოხები-კენები) შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით მიგრირებენ. (როგორც ირკვევა, მათი აფხაზეთისაკენ მიგრაციას განსაკუთრებული წინარე პირობა გააჩნია, თუმცა თემა სცილდება წიგნის ფორმატს) უკვე მათ მცირერიცხოვნებას მიანიშნებს ქსენოფონტე ჩვ. წ. აღრიცხვამდე V-IV საუკუნის მიჯნაზე, რაც მათი ნაწილის მიგრაციის უცილობელი შედეგი ჩანს.ენთა (ხალიბთა,ჰენიოხთა) მიგრაციის ადრინდელი და ყოველი შემდგომი მიგრაციის კვალი ზღვის სანაპიროსთანაა დაკავშირებული, რაც შესაძლოა, მიგრაციის საზღვაო ხასიათზე მიუთითებდეს.

საყურადღებოა, რომ ევრაზიის კონტინენტზე, რომლის ცენტრალური ნაწილის აქტიური მოთამაშენი ქართველური ტომები არიან, ჩვ. წ. აღრიცხვამდე VII—VI საუკუნეში, პოლიტიკური კატაკლიზმის ოთხ მოვლენას აქვს ადგილი, მათ შორის სამი აზიაში.. სამივე პროცესიის მონაწილენი და დაზარალებულები ქართველური ტომები არიან. ამ პროცესებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური კონფიგურაციაც კი.

ჩვ. წ. აღრიცხვამდე VI საუკუნეში მიდიამ ურარტუს ქართველური სამეფოს სახელმწიფოებრიობა გაანადგურა დიდი სახელმწიფოს განადგურების ხმაურიანმა პროცესმა გადაფარა სამი სამეფოს (სავარაუდოდ, ქალაქი- სახელმწიფოების), ასევე,დაქცევა- განადგურება მიდიის მოკავშირისა და თანამებრძოლის, ბაბილონის სახელმწიფოს მიერ. ისტორიის ფურცლებზე არსებობს მი-

ნიშნება იმის შესახებ, რომ ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორ II-მ (სხვათაშორის, ეროვნებით ხალდმა, თუმცა არა ჭანმა) გაანადგურა ედომის ებრაული სამეფო. ისტორიკოსთა ჩუმი თანხმობით მიჩნეულია, რომ ეს იუდეის გვერდით მდებარე იდუმეის სამეფოა, თუმცა ეს უკანასკნელი ნაბუქოდონოსორ II- ის მოკავშირედ მოიაზრება კიდეც იუდეასთან ომში. დუმს ბიბლიაც იდუმეი სამეფოს გაანდგურების შესახებ.

როგორც ქვემოთ მოყვანილ ნარკვევში ირკვევა, ედემი- მინამსგავსი ზეციური სასუფევლისა (ისრაელის შვილების მიერ შექმნილი სახელმწიფოს სამართლიანი მოწყობის გამო) ისრაელის შვილების იმ ათი მუხლის მიერ შექმნილი სამეფოა ე.წ. არმენიის ზეგანზე, ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთ 200- კილომეტრის მოშორებით, რომელიც ასირიის მრისხანე მეომრებმა ტყვედ წამოასხეს 722 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე. ედომის სამეფოს გვერდით ორი ძლიერი ქართველური სამეფო მოიაზრება: ქუში და ხავილა, რომელთა შესახებ ბიბლია დაბადების მეორე თავში გვამცნობს. ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ დაქცეული სამეფოებიდან ქართული (ქუში) მოსახლეობა შიდა საქართველოსკენ, მცხეთისკენ მოემართება. აქეთკენ აქვს აღებული მიმართულება იბრების (ეს სახელი მიაჩნიათ სწორად ბიბლიის ებრაელ მკვლევარებს) ერთ ნაწილსაც. ხავილას სამეფოს მოსახლეობა შავი ზღის სანაპიროსკენ ჩანს ლტოლვილი, რომელიც სინოპას ნახევარკუნძულის სიახლოვეს ბინავდება, ტიბარანიის პოლიტიკური ერთეულის სახელით (გვიანდელი გურია).

რეტები

ადრიატიკის ზღვის სამხრეთ სანაპიროს მცხოვრებლები, რომელთა ეტრუსკულთან აშკარა ენობრივ მსგავსებას აღნიშნავენ ომაელი ისტორიკოსები, და რომელთაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ზუსტად ისეთივე პრინციპები გააჩნიათ, როგორიც ეტრუსკებს, და მათგან მხოლოდ „გაფუჭებული ენით და ხასიათით“ გამოირჩევიან, ჩვ.წ. აღრიცხვამდე 594 წელს გალების მიერ განიცდიან აწიოკებას. რეტების ნაწილი მთების სიღრმისკენ (შვეიცარიის ალპებში) იხევენ უკან და დღესაც განაგრძობენ არსებობას კონფედერაციული შვეიცარიის ერთი კანტონის სახით (ენა-რუტო-რომანიული,რაოდენობა-70 ათასი კაცი) და ტიროლი ავსტრიასა და იტალიაში. რეტების მეორე ნაწილი, რაღაც მანქანებით მცირე აზიაში ხვდება, ტროადის სიახლოვეს, რეტების და ბებრიკთა ტომების სახით...ისინი დაფიქსირებული უჩანს აპოლონ როდოსელს, შემდგომ სტრაბონს...და მცირე აზიელი სვანების, მაკრონების და უკვე დიფერენცირებულ თემებს, მოსინიკებს (ლეჩხუმ-რაჭველებს) უკვე შავი ზღვის სანაპიროზე აწყდება იგივე ქსენოფონტე V-IV სააუკუნეების გასაყარზე,სინოპას ნახე-

ვარკუნძულისა და ტრაპეზუნდის სიახლოვეს.. .70-იოდე წლის შემდეგ, მაკრონ ების და მოსინეკების მიგრაციის ბოლო პუნქტი კავკასიაში ხვდება ალექსანდრე მაკედონელს პაროპამისელთა სახელით.

... აი, ასეთი ამოსავალი წერტილი დახვდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს სახით ალექსანდრე მაკედონელსა და მის მოლაშქრეებს, რომელთა სისხლშიც პელაზგური გენიცაა შერეული (მაკედონელთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი სცილდება წიგნის ფორმატს).... რაც არ უნდა საოცარი იყოს, დედით ეპირელი (კოლხეთყოფილი) ქალის შვილის , ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრის კავალერიის საუკეთესო ნაწილი თესალიელი მხედრებია, რომელთა აღმატებულმა მხედრულმა ოსტატობამ და სიმამაცემ მეტწილად განაპირობა მაკედონელთა ლაშქრის წარმატება! (მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ თესალია ეს ყოფილი პელაზგია, უკვე ფინიკიურ-მეიონურ ტომთან შერეული რომელსაც ეს სახელი თესალის-იაზონისა და მედეას ცოცხლად გადარჩენილი ერთადერთი შვილის სახელის მიხედვით დაერქვა!

საუკეთესოთა შორის საუკეთესო კავალერიას ალექსანდრეს „მეგობრებს“ უწოდებენ, ერთმნიშვნელოვნად საბერძნეთისა და მაკედონიის ცალკეული მხედრები ჩანან, თუმცა მათ ძირითად ბირთვს, როგორც ირკვევა, ალექსანდრეს ეპირელი (კოლხეთყოფილი) სიყრმის მეგობრები, ნაწილს „ანთემენტელი“ და პელაზგყოფილი ეტრუსკები წარმოადგენენ! რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის ქვეით ლაშქარს, მათ ერთ ნაწილს ილირიელი მოლაშქრეები, ზანები და ზიხები წარმოადგენენ, მეგრულენოვანი ტომები!

უნდა აღინიშნოს, რომ მაკედონელებმა კავკასიაში პირველად პაროპამისი დალაშქრეს, დღევანდელი გადასახედიდან ჩრდილო კავკასია. მაკედონელი ჯარისკაცები, რომლებიც ჩრდილო კავკასიისთვის დამახასიათებელ დიდთოვლობასა და ყინვაში მოჰყვნენ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ძირითადად სვან-ინგუშებმა გაყინვასა და თოვლში ჩამარხვას გადაარჩინეს და შეიფარეს. ფაქტიურად. მათ შორის საომარ კონტაქტს ადგილი არც ჰქონია. მაკედონელთა ლაშქრობა სტუმარ-მასპინძლობის პროცესში გადაზრდილი ჩანს, რაც ქართველურ ტომებს არც არასდროს ეშლებოდათ. მხოლოდ სტუმართა რაოდენობა მოჩანდა ერთობ მრავალიცხოვანი და ძნელი გამოსაკვები, თუმცა მასპინძლის ამ მოვალეობასაც ქართველმა მთიელებმა თავი ღირსეულად გაართვეს.

გაცილებით უფრო ხისტი გამოდგა არახოტების (იბერ-ქართ-ხევსურთა) და მაკედონელთა შეხვედრა. მათ ერთხელ უკვე გადაუჯვარედინებიათ მახვილი მდინარე გავგამელთან (ქალაქ არბელასთან) ომში. რიცხობრივი უპირატესობით ზურგმომაგრებულმა მაკედონელებმა ალექსანდრე მაკედონელის წინამძღოლობით, როგორც მემატიანეები იტყობინებიან და როგორც დიოდორე სიცილიელი გადმოგვცემს, რამდენიმე დღეში შეძლეს დამხვდურთა წინააღმდე-

გობის გატეხვა. თუმცა არახოტების დედაქალაქ არახოტასთან, რომელსაცამავე დასახლების მდინარე ჩაუდის, სასტიკი შეტაკება გაიმართა- რიცხობრივმა უმ-ეტესობამ მაინც თავისი გაიტანა...უძველესი ქართული ცნობებით, ალექსანდ-რე მაკედონელი შიდა ქართლის დაპყრობას მთელი ექვსი თვე მოუნდა, ხო-ლო სარკინეთის ციხე იქ გამაგრებული დიდოელებით, თერთმეტი თვე უძლბ-და ალყას, რის შემდეგაც მათ მიმდებარე კლდე გახვრიტეს და სამშვიდო-ბოს გააღწიეს...რასაკვირევლია, ქართული წყაროების მიერ მითითებულ ექვს თვე-ში ის დროც შედის, რაც მაკედონელებმა ფხოვის (მათივ მემატიანეების ცნო-ბით, გურ-ასაკენების, ინდების) აღება-დამორჩილებას მოანდომეს. მართალია, აქ ჩატარებული ბრძოლები ისეთი მასშტაბური ხასიათისა არ ჩანს, როგორიც გავგამელის ან თუნდაც გრანიკის ომები იყო, თუმცა ბრძოლის წარმოების სიმ-ძაფრით კიდევაც აღემატება ამ უკანასკნელებს. საკმარისია ითქვას, რომ ამ ომში თავად ალექსანდრე მაკედონელი რამდენიმეჯერ დაიჭრა კიდეც, ხოლო -ერთ-ერთ შეტაკებაში უბრალოდ უზენაესმა ისურვა, რომ ის ცოცხალი გადარ-ჩენი-ლიყო და ინდოეთი (ნამდვილი ინდოეთი, დიდი ინდოეთი) დაელაშქრა. (დეტალური ცნობები მაკედონელის ლაშქროებებზე იხ. წიგნის შემეცნებით-მეცნიერულ ნაწილში).

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ ძირეული ცვლილებები მოახდინა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიასა და აზიის დიდ ნა-წილზეც, რაც კარდინალურად შეეხო საქართველოს ეთნიკურ ისტორიას. სა-ქართველოში მკვიდრდებიან ალბანები (ამ ტომის გენეზისის გარკვევა სცილ-დება წიგნის თემას) და „ანთემუნტელი მეგობრები“სწორედ ისინია ქართული უძველესი მატიანის “არიან ქართველები”. აქვე მკვიდრდებიან პელაზგყოფი-ლი ეტრუსკები ფტიოტდიდან. საქართველოსა და კავკასიაში მკვიდრდებიან ზანების და ზიხების ტომები (ილირიელი არდიები და ავტარიატები). არდიები (ლაზები და ალბანელები) რომელსაც შუა საუკუნეების არაბული წყაროები აფ-ხაზებს უწოდებს, კავკასიის ერთ-ერთ კარიბჭესთან მკვიდრდებიან, რომელსაც გაცილებით გვიან ეწოდა დარი-ალანი, კარი ალანებთან (ამ კარს ყველა დროში ქართული მოსახლეობა და ქართველური გარნიზონი აკონტროლებდა!). თავად ალექსანდრე მაკედონელის ნება-სურვილით ჩანს აშენებული კასპიის ზღვის-დასავლეთ სანაპიროზე ქალაქი-დასახლება, ციხე-სიმაგრე ალექსანდრია, გვიან პერიოდში ტარკად წოდებული. გამომდინარე ევროპა-აზიის, მომთაბარე და მიწათმოქმედ ტომების შორის საზღვრის დაფიქსირება-დაცვი მნიშვნელობი-დან, აშენებულ იქნა დერბენტის ციხე-სიმაგრე, მის მიერ ასევე ალექსანდრიად წოდებული, სადაც დამცველებად მისთვისვე საიმედო გარნიზონი უჩანს და-ტოვებული...ოდნავ მოგვიანებით სახლდებიან კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავ-ლეთ სანაპიროსა და მდინარე ალაზნის ჩრდილო სანაპიროზე კავკასიის მთე-

ბამდე უკვე ზანები (იგივე ზიხები) აქვე ოდესღაც დაფუძნდა გელების ქართული ტომი(ამ ტომის წინარე საცხოვრისის თემა სცილდება წიგნის ფორმატს) სწორედ ამ ტომის სახელის სპარსულ ენაზე პირდაპირი თარგმანი ხდება ყველა ქართველის და საქართველოს აღმნიშვნელი-გურჯი-გურჯისტანი!

კასპიის მეორე, აღმოსავლეთის კარიც ჩანს გამაგრებული მაკედონელის მიერ. საკუთარი, დაპყრობილი იმპერიის საზღვრების მყარად მოსახაზავად მას დრო და სახსრები არ დაუშურებია. აღნიშნული კარის მნიშვნელობისა და მისი დაცვის გაძნელების კვალობაზე (დასაცავი პერიმეტრის განვრცობის გამო) მას აქ სამი საყრდენი პოსტი, სამი სხვადასხვა ტომი განულაგებია: ზიხები (არაბული წყაროების მიხედვით- დიხები) აბზოის მრავალსახელა ტომი აბაზგები-ტაბარისტანელები და დეილემები (აღსანიშნავია, რომ სამივე ტომი ასევე ილირიულია).

და ისევ საქართველო და ქართველური ტომები...

ისტორიული ქართული ალბანეთი, რომელიც უკვე მოიხსენიება ძველი და ახალი წელთააღრიცხვების გარდამავალ პერიოდში, ასევე ილირიელი მოლაშქრეებისა და ეპირელი მოახალშენეების დაფუძნებული ჩანს. ეთნონიმმა „ალბანეთი“მთლიანად გადაფარა უძველესი ტომების, კასპების სახელი, რომელიც ამ რეგიონში მოსახლეობდადა, რომელმაც თავისი სახელი დაარქვა ზღვას. (უეჭველია, რომ აღმოსავლური ქართული ტომის ეს სახელი მჭიდროდ უკავშირდება კოსეების სახელს, რომელიც სტრაბონის თქმით, კასპიის ზღვიდან თითქმის წითელ ზღვამდე იყო გავრცელებული, თუმცა ალბანთა ტომების დაფუძნებისას ისინი გაცილებით აღმოსავლეთით მოიაზრებოდნენ) ამ კასპებს მიდიის შემადგენლობაში განიხილავს სტრაბონი, რომელთაც შემდგომ სომხებმა წაართვეს ეს ოლქი კამბისენასთან ერთად. გადაადგილდებიან უფრო დასავლეთისაკენ (სავარაუდოდ სპარსული ტომების ზეწოლის შედეგად) საუკუნეების შემდეგ კასპები საკუთარ სატომო სახელს კახების სახელით იბრუნებენ, ხოლო ალბანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, კახებშივე იქნა ინტეგრირებული, ასევე ჰერულ (კუხეთის) მოსახლეობასთან ერთად.

ეპირელები, არტები ჩანან ჩამოსახლებული სამხრეთ საქართველოში, არტანში. მათი ჩამოსახლება აზონს მიეწერება, იმ „ჰრომაელ“ მხედარს, რომელიც საქართველოს განაგებდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ და, რომელსაც ფარნავაზი აუჯანყდა. ვერ უშველა აზონს ეპირელების (კოლხყოფილების) აღმოსავლელი მეზობლების ჩამოყვანამ. მან ომიც და თავიც წაგო საქართველოს ახალ მეფე ფარნავაზთან დაპირისპირებაში. თითქმის ამავე ეპოქას ეხება ფარნავაზის შვილის, საურმაგის მიერ მაკრონების-სვანების ჩამოსახლება საქართველოს მთიანეთში. (სვანური ტომების ჩრდილო კავკასიიდან

ჩამოსახლების დამადასტურებელი ფაქტები მოყვანილია ამავე წიგნის შემეცნებით- მეცნიერულ ნაწილში). ჩვ. წ. აღრიცხვამდეIII საუკუნეში უკვე მოიპოვება უტყუარი წერილობითი ცნობები ხალიბთა (ჰენიოხთა) შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე განსახლებასთან დაკავშირებით. ისინი დიოსკურიადა-ნიკოფსის (ქართული წყაროების მიხედვით ნიკოფსია) მდინარეებს შორის არიან განსახლებული.

ზუსტი ცნობა არ არსებობს, თუ რომელ საუკუნეში დაიწყო ზანებისა და ზიხების მიგრაციის შეუქცევადი პროცესი ადრიატიკის ზღვის ჩრდილოსანაპიროდან, თუმცა სავარაუდოა, რომ ეს აზონის მიერ არტაანის დასასახლებლად გადმოყვანილი ეპირელების (კოლხეთყოფილების) მომდევნო პროცესია და არა უგვიანეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე II საუკუნით უნდა დათარიღდეს.(8). ჩვ. წ. აღრიცხვამდე I საუკუნეში მითრიდატე ევპატორის ზეობისას, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს, ჰენიოხების გაყოლებით ზიხები იკავებენ. უფრო მეტიც, ისტორიულ ცნობებზე დაყრდნობით შავი ზღვის სანაპიროზე თვით ზიხების განლაგების სქემა ბუნდოვანიც კია, იმდენად სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს მათი განსახლების შესახებ. იმავე სტრაბონის ცნობებზე დაყრდნობით უშეცდომოდ შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეების გასაყარზე ზან- ზიხთა მიგრაციის პროცესი დასრულებული არაა. ზანური და ზიხური ტომები (არდიები და ავტარიატები) ადრიატიკის სანაპიროზე კარდინალურად ჩანან შეთხელებული, თუმცა არა ერთმანეთთან ომის შედეგად, როგორც ამას სტრაბონი თვლის- მაკედონელთა ლაშქრობიდან მოყოლებული მთელი 300 წელია მიმდინარეობს ამ უკანასკნელთა მიგრაცია შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსაკენ.

ზიხები (ავტარიატები) და ლაზები (არდიები) (9).

თუ სტრაბონის ცნობის მიხედვითზიხები შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე უკვე ჩვ. წ. აღრიცხვამდე მეორე საუკუნეში ფიქსირდება, ლაზი (როგორც ტერმინი და როგორც ეთნოსი) მთელი ორი საუკუნით გვიან აღინიშნება მეორე რომაელ ისტორიკოსთან, პლინიუს უფროსის ნაწერებში. უკვე ჩვ. წ. აღრიცხვით მეორე საუკუნეში ლაზთა მიგრაციას იმდენად მასშტაბური ხასიათი აქვს მიღებული, რომ თავად ტოპონიმი კოლხიც კი ლაზით ჩანს ჩანაცვლებული, მიუხედავად კოლხი მოსახლეობის პრიმატისა ამ ტერიტორიაზე. ქართველური ისტორიისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანი ისტორიკოსი აქვე ამპრევტების ტომს ასახელებს, რომელიც მომავალში იმერელთა ტომს უდებს საფუძველს. ეს რომაელი ისტორიკოსი ისტორიაში პირველად ახსენებს აფსართა ტომს,კოლხყოფილებს, რომლებიც შემდგომში ფსილეთში(დღევანდელი გულრიფშისა და სოხუმის რაიონები) ფუძნდება.

ბუნდოვანი და გაურკვეველი ჩანს მოსინიკური ტომების (რაჭა-ლეჩხუმის) შემოსვლის თარიღი საქართველოში. მიუხედავად სტრაბონის ცნობისა, სავარაუდოა რომ მაკრონთა და მოსინეკთა ნაწილი გაერთიანებულია ანატოლიის ზეგანზე და უკვე 70 წლის შემდეგ პაროპამისელების სახით ხვდება ჩრდილო კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელს... მაგრამ 50-100 წლის შემდეგ პლინიუს უფროსის ჩანაწერებში მოსინიკების კვალი შეინიშნება აფხაზეთშიც... სავარაუდოდ, ისინი უსწრებენ აფსილების, ლაზების და ამპრევტების ჩამოსახლების პროცესს და იმ ტერიტორიაზე ჩანან განსახლებული, რომელსაც მოგვიანებით მისიმიანეთი ეწოდება! (სავარაუდოა, რომ რაჭა-ლეჩხუმელთა საქართველოს მთიანეთში ჩამოსახლების პ როცესი სვანური ტომების პარალელურად ხდება ასევე ჩრდილო კავკასიიდან)

გაკვრით ახსენებს ისტორიკოსი მარდებსაც, რომელთა აქ მიგრირებაც სრულიად სხვა დროს და სრულიად სხვა პროცესებთან ჩანს დაკავშირებული (აბასკთა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე დამკვიდრების გარემოება ასევ სცილდება აღნიშნული წიგნის თემას) აბაზგები, აბზოის ამ მრავალსახელა ტომის ნაწილი, ნახევარი საუკუნის შემდეგ დაფიქსირებულია უკვე მათ ახალ ისტორიულ სამშობლოში (დღევანდელი გუდაუთის რაიონი).

პართიის ქართველური სახელმწიფოს კრახმა III საუკუნის შუა ხანებში შესამჩნევი ცვლილება შეიტანა აღმოსავლეთ საქართველოს კონფიგურაციაში. პართიის ყოფილი სახელმწიფოს შემადგენელი ქართველური ტომების ნაწილი, რომლისთვისაც ახალშქმნილ სპარსულ იმპერიაში სპარსელთა დომინანტობა მიუღებელი აღმოჩნდა,კავკასიისაკენ დაიძრა. პართიის კატაკლიზმის შედეგად გამოწვეული პროცესებით უნდა იყოს გამოწვეული სანართა (ჭანთა, ხალდთა) ორი ტომის შემოსვლა კავკასიის ტერიტორიაზე: ერთი ტომი ხალდებისა, სანარიად წოდებული, ხევსურეთის დასავლეთით იკავებს ტერიტორიას, წილკანის უღელტეხილს აკონტროლებენ. არაგველები, შემდგომში დუშეთის და თიანეთის რაიონები, 300 არაგველის სამშობლო... მეორე ტომი ხალდებისა, სანარედ სახელდებული, მტკვრისა და არაქსის შესაყართან, შირვანის მახლობლად იკავებს ტერიტორიას. ეს ტომიც საკუთარ კვალს ტოვებს საქართველოს ისტორიაში, სამწუხაროდ, არა ისეთ დადებითს, როგორიც არაგველებისაა.

ამავე კატაკლიზმის შედეგი ჩანს ჩრდილოეთ კავკასიური სამეფოს, სერირის შემადგენელი-ფილანის ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნი.ეს ტომი არაერთგზის და არაერთგან მოიხსენიება შუა საუკუნეების მოგზაურებისა და ისტორიკოსების ჩანაწერებში.არსებული და მოკვლეული ყველა ნიშნის მიხედვით, ტომი ასევე, ხალდეური (სანარიული, ჭანური) ჩანს.
ლაზური ჩანს, ამავე ავტორების მიერ მოხსენიებული პოლიტიკური ერთეული

იმავე სერირის შემადგენლობაში, გუმიკი და ზერეკრანი-მეაბჯრეები. თუმცა ამ შემთხვევაში ჰენიოხთა მჭედელ ტომთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელსაც რომაელი ისტორიკოსი ტაციტი კასპიის ზღვის ახლოს მცხოვრებ ტომად მოიხსენიებს. სავარაუდოა, რომ ელამურ-ქუშურია ხოზონახეთის (ხუნძახის) ქართველური ტომი,დღეისათვის თუშებად ცნობილი.ხუნძახის ტომს ქართველი მეცნიერები სრულიად უსამართლოდ და გაუაზრებლად მე-17-ე საუკუნის მესამე მეოთხედში ჩამოსულ ავართა ტომებად თვლიან.

ოვსები

ოვსთა, ალანთა გენეზისის საკითხი აშკარად სცილდება წინამდებარე წიგის ფორმატს,თუმცა მონდევნო წიგნში აუცილებლად დაექვემდებარება კვლევას... ასეთი პოლიტიკური ვითარებითა და კონფიგურაციით ხვდება საქართველო (და ჩრდილო კავკასია) ადრეულ შუა საუკუნეებს, თუმცა თეთრი წერტილები საქართველოს შუა საუკუნეების, გვიანი შუა საუკუნეებისა და თვით XVIII-XIX საუკუნის ისტორიაშიც მრავლად მოიპოვება!

ბაგრატ მეოთხის მონაგარი ჩანს XI საუკუნეში ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში გურია, გაცილებით აღმოსავლეთით მდებარე იმ პერიოდისათვის და ბიზანტიის იმპერიაში შემავალი პოლიტიკური წარმონაქმნი. იგი კიდევ 15 საუკუნის წინ ცნობილი ტიბარინიად და შემდგომ გურიადაა წოდებული (სავარაუდოდ, ამ ტერიტორიის და მოსახლეობის დედასამშობლოში დაბრუნების საქმეში ფხოველთა ლაშქრის დიდი წვლილისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან გურ-ასაკენებად იწოდებოდა) დავით აღმაშენებლის შემომტკიცებული ჩანს XII საუკუნეში მთათუშეთი ერთიანი საქართველოს იურისდიქციაში, ძველქართული ისტორიის ხოზაონდი, ხოზონახეთი.

მძიმე ისტორიული პერიოდი უდგება საქართველოს XIII საუკუნის დამდეგიდან. თუმცა საქართველოსთვის ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალი სინამდვილეში XIV საუკუნის ბოლოს იწყება. თემურ ლენგის უსასრულო და დამქანცველმა ლაშქრობებმა წელში გატეხა ქართლი, საქართველოს ხერხემალი. ასეთივე ბედი ეწია ჩრდილო-კავკასიურ ქართველურ სახელმწიფოს,რომელსაც არაბი ავტორები სერირს (იშვიათად სერირ-ალანს) უწოდებენ, და რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ქართველური ტომი მოიაზრება. მათ მოგვიანებით შემდეგი სატომო სახელები ეწოდათ-ინგუში, სვანი, ბალყარი, დიდო.

...და ერთი დადებითი მომენტი: XIV საუკუნეში თემურ-ლენგის მიერ დარბეული ზიხეთის ტერიტორია (ჩრდილოეთ შავი ზღვისპირა სამეგრელო) ერთიანი სამეგრელოს იურისდიქციაში შემოდის. თავად ქალაქ ვატის (დღევანდელი ანაპა და მთელი ტამანის ნახევარკუნძული) ჩათვლით. დადიანი ამ პერიოდი-

სთვის ტიტულს ბედიანსაც ითვისებს...უნდა აღინიშნოს, რომ ამ ისტორიულ პროცესებს ვახუშტი ბატონიშვილი მოგვიანებით სავსებით უსწოროდ აფასებს.

კიდევ უფრო რთულდება სიტუაცია XVI საუკუნეში, როდესაც აღმოსავლეთით, სპარსეთის ამორფული სახელმწიფოს ადგილას ერთიანი იმპერია ყალიბდება (1502წ). სავარაუდოდ, ამ ერთიანი იმპერიის სივრცეს გამოექცა თავისუფლებისმოყვარე ჭანთა (სანარე) და დეილემების ნაწილი, რომელიც ჩრდილო კავკასიის გავლით დღევანდელი სოჭის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოსახლდებიან. ამავე ტომების დასასჯელად ჩანს გამიზნული 1533 წლის უჩვეულო მეგრულ-გურული საზღვაო ლაშქრობა, რომელსაც ამ უკანასკნელთა სასტიკი დამარცხება და სოჭს იქითა ტერიტორიების საბოლოო გაუცხოება მოჰყვა.(გაუცხოება და სამეგრელოსგან იზოლაცია იმ დონემდეც კი, რომ სოჭს იქითა ქართველურმა მოსახლეობამ, ზიხებმა-ძიგებმა, საკუთარი ენაც კი დაკარგეს)

ვახუშტი ბატონიშვილს ასევე არასწორად აქვს ინტერპრეტირებული აღმოსავლეთ საქართველოში ჭარ-ბელაქანის პროვინციის წარმოშობის საკითხიც. აღნიშნული პროვინცია შექმნილი ჩანს 1578 წელს ოსმალი სარდლის მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობის შედეგად. მართალია, იმავე ვახუშტის მიხედვით მან ვერ შეძლო საქართველოს დამორჩილება, მაგრამ პირიქითა კავკასიის ქართული სახელმწიფოს, უკვე ტაუსტანად წოდებულს ჩამოაჭრა, ასევე პირიქეთა ჭარი და გადასცა დაღესტანს. შექმნილი რეალობით შეწუხებული ქართველური ქრისტიანობა გადმოდის კახეთში, სახლდება ტერიტორიაზე, რომელსაც იმავე სახელს ჭარს არქმევს...

XVII- საუკუნიდან მოყოლებული, თვით XIX- საუკუნის გენოციდამდე, რომელიც რუსეთის იმპერიამ ზიხებს და აფხაზებს მოუწყო (მხოლოდ და მხოლოდ ქართველური, მეგრული წარმოშობის ტომებს და არა აბაზგებს). შესაბამისი წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, გაძნელებულია ისტორიული პროცესების ჭეშმარიტი აღწერა. მხოლოდ და მხოლოდ დამახასიათებელი გვარების გადაადგილება-განსახლების დინამიკაა ის ერთადერთი საშუალება რომელიც ისტორიული მოვლენების მეტნაკლები სიზუსტით განჭვრეტის საშუალებას იძლევა! ქრესტომათიული მაგალითი პირიქითა კავკასიის ქართველურ-ჭარელთა ვინაობის გარკვევაა:

1. არასწორი ჩანს, ბატონიშვილ ვახუშტის მოსაზრებები, რომ ფიფინეთს მეფე ლევანმა ლეკები დაასახლა.(სწორი ფორმაა ლეგები,როგორც ამას რომაელი ავტორები ახსენებენ). ლეკები დერბენტთან ცხოვრობენ, ასეული კილომეტრის დაშორებით ვახუშტისეული მდინარე ბელაქანიდან და ჭარიდან. სხვა რეალობაა, რომ საქართველო ეთნიკურად ძალიან ჭრელ დაღესტანს მთლიანად ლეკეთს ეძახის!

2. კავკასიის იქითა ქართველური პოლიტიკური წარმონაქმნის ნაწილი, ასევე ქართველური ჭარი, ლალა ფაშამ ამ უკანასკნელთ წაართვა და დაღესტანს გადასცა. ჭარიდან დისკომფორტშექმნილი მოსახლეობა, რომელიც საქართველოს ეკედლება, მხოლოდ ქართული შეიძლება იყოს! სხვა სიტუაციია, რომ მან ადგილობრივ კახელებზე უკეთ იცის ცენტრალური კავკასიონის მარადთოვლიანი მწვერვალებისკენ გზასავალი და უჭირვებლად შეუძლია კახთბატონს ლევანს ყინული ჩამოუტანოს იქიდან. ეს ჰუმანური მეფეც ლტოლვილ ხიზანს მხოლოდ ასეთი სახის ბეგარას ავალდებულებს.

3. ფიფინეთს პირველად ვახუშტი ბატონიშვილი ახსენებს. ამასთან, ახსენებს მას წარსულ დროში, და კონკრეტულად იმ პერიოდში, როცა კახთა მეფემ ლევანმა „ლეკები დასვა აქ“. ვახუშტის აღწერიდან ვერ ირკვევა, ამ ადგილის ტოპონიმი„ფიფინეთი“ადრევე იყო აქ,თუ ის კავკასიის იქითა ჭარელებმა დაანათლეს მათ. სავარაუდოა, რომ ზუსტად ეს უკანასკნელია.

4. ჭარ- ბელაქნის საკითხთან დაკავშირებით ორი არცთუ მრავალრიცხოვანი გვარი იქცევს ყურადღებას: ჭარაია და ბელქანია. ეს გვარები იმ ხალხით დასახლებულ რეგიონშია გავრცელებული, რომელიც გამოირჩევა ჭანური-(სანარიულ -ხალდეური),აფხაზური (ზანურ-ლაზური) მოსახლეობით: გალისა და წალენჯიხის რაიონებში, განსაკუთრებით დაბა ჯვარზენის მიმდებარედ.

5. შეიძლება ტერმინ ჭარ-ბელაქანთან ამ გვარების აბსოლუტური დამთხვევა შემთხვევითობად ჩაითვალოს, თუ არა ერთი შეხედვით ასეთივე „შემთხვევითი“უცნაურობა: აქვე, ამავე ჭანურ-ლაზურ გარემოცვაში ფიქსირდება ფიფიათა საკმაოდ მრავალრიცხოვანი გვარი.

6. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთაგან ოდნავ მოშორებით, სვანეთში ფიქსირდება მცირერიცხოვანი გვარი ფილფანებისა, რომელთა გვარი თითქმის აბსოლუტურად ემთხვევა ჩრდილოკავკასიურ სატომო სახელს-ფილანს. ფილანი ეს ის ტომია, რომელიც არა ერთგზის და არაერთგან აღნიშნულა არაბი ავტორების მიერ ჩრდილო კავკასიაში, სერირირის სახელმწიფოში შემავალი თუ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული !

უკვე მოპოვებული არგუმენტების ერთობლიობა იმავე საფუძველზე საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ფილანთა სანარიული (ჭანური, ხალდეური) ტომი, რომელიც ბინადრობდა ჩრდილო კავკასიაში, და, რომელიც აქ არსებული ქართველური პოლიტიკური გაერთიანების ნაწილობრივ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო, 1578 წლის სიახლოვეს დაღესტანს შეუერთა ოსმალმა სარდალმა მუსტაფა ლალა- ფაშამ. ფილანთა დიდმა ნაწილმა, რომლისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა მუსულმანური დაღესტნის შემადგენლობაში ყოფნა, თანამემამულეებისაკენ, ჰერეთისაკენ გამოსწია. ეახლა კახთა მეფეს და სამოსახლოც გამოსთხოვა. ადრინდელი სამშობლოს მიხედვით, ახალ საც-

ხოვრისს ფიფინეთი დაერქვა (ფიფიათა საცხოვრისი). მოგვიანებით მას ჭარი ეწოდა, ისევე როგორც წინარე სამშობლოს. მუსულმანთა მოძალების შემდეგ ჭარის მცხოვრებთა დიდი ნაწილი სამეგრელოსკენ, წალენჯიხისკენ მიემართება, სადაც ადრე ხსენებულ სამ საგვარეულოს უდებს სათავეს. ცხადია, ფილანთა სანარიული (ჭანური, ხალდეური) ტომი პართიის ქართველური სამეფოს დეზინტეგრირებული ნაწილი უნდა იყოს. თავად პართიაში, ასევე დეზინტეგრირებული ურარტუს ქართველური სამეფოდან თუ მოხვდებოდნენ... საერთოდ, მათი წარსული კვალი შუამდინარეთსა და ბაბილონისკენ იკარგება. (ხალდების გენეზისის თემა სცილდება წიგნის ფორმატს).
არ არის გამორიცხული,რომ ასევე სანარიული(ჭანური, ხალდეური) ტომი იყოს თუშები, ერთიანი საქართველოს იურისდიქციაში თითქმის ყველაზე გვიან შემოსულ-შემომტკიცებული(10).

თურქი მოგზაური ევლია ჩელები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მოგზაურობისას, პირველად, კაცობრიობის ისტორიაში აღწერს ტომს, რომელსაც ის კამიშებს უწოდებს. მათსავე მეზობლად და გვერდით იგი აღწერს დამბეს ტომს, რომლებიც, სავარაუდოდ, კამიშების უახლოესი ეთნიკური ნათესავი უნდა იყოს! მათ ეთნიკურ კუთვნილებას ის ზუსტად ვერ საზღვრავს. უწოდებს რა მათ ხანდახან აფხაზებს (ლაზებს), ხანდახან ჩერქეზებს.200 წლის შემდეგ იგივე ტომები უბიხებად იწოდება, აბაზგთა ნათესავ ტომად. რომაული წყაროების მიხედვით აბზოის მრავალსახელა ტომი მოხსენიებულია კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.აქვე აღინიშნებიან ისინი მე-10-ე საუკუნის არაბული წყაროებითაც. თუმცა მათი სამხრეთ სანაპიროზე გადმონაცვლებაც სახეზეა. მათი სახელი და თვითდასახელება სხვადასხვა ავტორებთან დილიმნიტები, დეილიმატები, დეილემებია.დროთა განმავლობაში ისინი ჩნდებიან შირვანის (დღევანდელი ბაქოს) მიმდებარე ტერიტორიაზე და თავდასხმებს ახორციელებენ მასზე

და როდის და რა გზით და ვისთან ერთად ჩანს ჩამოსული ეს ტომი შავი ზღვის სანაპიროზე? რასაკვირველიაარასერიოზულია ვიფიქროთ, რომ ეს ტომი ევლია ჩელების მოგზაურობისას მცირე ხნის ჩამოსახლებული იყოს. ტომი უკვე კარგად ჩანს ადაპტირებული ადგილობრივ გარემოში. არც დადიან-ბედიანის და გურიელის მიერ 1533 წელს ჯიქეთში მოწყობილი სადამსჯელო აქცია ჩანს ამ უკანასკნელთა მონაწილეობის გარეშე... აკი სწორადაც აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, რომ ქართველები ძველად ჯიქებში სხვა ჯიქებს გულისხმობდნენ, უფრო შორს მეოტიისაკენ მცხოვრებთ მათგანვე...

...და მაინც რა ფაქტორს შეეძლო დეილემის ტომის საკუთარი ტერიტორიებიდან აყრა? ამის მიზეზი დეილემის ტომის თავისუფლების მოყვარეობასა და ყოველგვარ ბატონობასთან შეუთავსებლობაში უნდა ვეძებოთ. საუკუნე-

ების განმავლობაში, თვით პართიის სახელმწიფოს რღვევის შემდეგ ეს ტომი არ ცნობდა არავის გამგებლობას. მაგრამ 1502 წელს სპარსეთში ცენტრალიზებული ხელისუფლება დამყარდა. ზუსტად ამ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს დაუ-მორჩილებელი ტომი ჩანს დეილემები. რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში როგორც მხოლოდ დაქირავებული, თავისუფალი თემის მოქალაქენი მონაწი-ლეობდნენ სპარსულ ლაშქრობებში (მათ შორის საქართველოსა და აფხაზეთის ტერიტორიებზედაც).1533 წელს იგივე ტომი თავისუფლებისათვის მებრძოლი ჯიქების რიგებშია და, სავარაუდოდ, სათავეშიც....და მაინც, ის ვინც ავბედითი როლი (როგორც ისტორიის მსვლელობამ აჩვენა)ითამაშა ამ ომში,ცანდია ინალ-იფაა (ინალ- დაფითა, ინალიშვილი). ტომით ჭანი, იგივე სანი ჩანს, რომელიც მისსავე სახელში იკითხება.

...და რომელი ჭანი? (სანი)

აქ წინა პლანზე ამოტივტივდება ისევ და ისევ ჩელების ცნობა, რომ სადაშ აფხაზები ყველა სხვა აფხაზური ტომისთვის მიუღებელი თემია, რომელსაც ყველა ტომი უკლებლივ მტრულ ტომად აღიქვამს! ...და მანც რატომ, რა მიზე-ზით? შესაძლოა, გვეფიქრა, რომ სხვა აფხაზებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჩელებისავე სიტყვებით, ლაზური ტომებია, სადაშები (როგორც სახელი ცან-დია- ჭანდია მიანიშნებს) აშკარად ჭანები ჩანან! დიდად საყურადღებოა, რომ ჭანები (სანები) არიან პირველმოსახლე ტომებიც, დიდი და მთის ჩანდები, ჭა-ნები- ყოფილი ჰენიოხები, რომელთაც, როგორც ჩანს, მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ ლაზურ ტომებთან. უფრო მეტიც, ადრეულ შუასაუკუნეებში ისინი ერთ პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდნენ მათსავე მიწაზე (და სავარუდოდ, მათივე თანხმობით) ჩამოსახლებულ აბაზგებთან.

ის, რომ სადაშები ეთნიკური კუთვნილებით ჭანები ჩანან, (არა ჰენიო-ხები, კენი ჭანები) ამ ტომის გვიანდელ ჩამოსახლებას უნდა მიუთითებდეს, არა ილირიიდან! მათი თანამეზობლობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება კამიშებ-თან (დეილემებთან) სავარაუდოდ, ამ ორი ტომის ერთი და იმავე ადგილიდან და ერთდროული მიგრაციის შედეგი ჩანს! მათ ოდითგანვე აფხაზებს უწოდებს არაბული წყაროები. მაგრამ ისინი საფუძველშივე განსხვავებული არიან აქ შა-ვი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მცხოვრები აფხაზებისაგან (არამცთუ აბაზგე-ბისა, რომელთაც ამ უკანასკნელთა სახელი შეთვისებული უჩანთ). ის, რომ აფ-ხაზეთ-სამეგრელოს ტერიტორია საკმაოდ ხშირად ჩანს დასახლებული აშკარა ჭანური წარმოშობის გვარის მატარებელი ხალხებით (არა ჩანდებით) აშკარად მიანიშნებს, რომ ჭანური ელემენტი უცხო არაა შავი ზღვის ჩრდილო სანაპი-როსათვის. დიახ , ისინი ჭანები გახლავთ, თუმცა არა ჰენიოხები, არამედ პარ-თიის სამეფოს ნამსხვრევები, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ხალ-

დების ნაწილი. ესენი, სავარაუდოდ, იმ მრავალრიცხოვანი ხალდეური ტომის წარმომადგენლები არიან, რომლებიც უხსოვარი დროიდან ფიქსირდებიან შუამდინარეთის ტერიტორიაზე, არც ურარტუს სახელმწიფოშია სავარუდო მათი ნაკლებობა და არც შემდგომ ქართველურ სახელმწიფოში-პართიაში. ამ უკანასკნელის დეზინტეგრაციის შემდეგ ისინი ბინადრობენ შირვანსა და მის შემოგარენში, ე.წ. სანარეში.

უდავოა, რომ ჰენიოხებისა და სანარების პირველსამშობლო მხოლოდ და მხოლოდ ენეტიკა უნდა იყოს (დღევანდელი ვენეცია და სინოპას კონცხი თურქეთში). თუმცა მათი ისტორიული გზები შორეულ წარსულში ჩანს გაყრილი. ასეთ მიმართებაშია ისინი აფხაზებთან (ლაზებთან), რომელთა გვერდითაც უხდებათ მათ ცხოვრება შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. ამ ისტორიული გაუცხოების შედეგი უნდა იყოს აფხაზების (ლაზ-ჭანების) მხრიდან შირვანის ტერიტორიებიდან გვიან ჩამოსახლებულთა მიმართ მტრული დამოკიდებულება, რომელსაც აღნიშნავს კიდეც თურქი მოგზაური ევლია ჩელები. სადაშ აფხაზებს მტრობენ ყველა სხვა აფხაზები! თუმცა იგივე ჩელები კამიშთა და სადაშთა შორის ანალოგიურ მტრობის ფაქტს არ ახსენებს.სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სადაშები და კამიშები (სანარები და დეილემები)1502-1533 წლების პერიოდში ერთდროულად და ერთი მიგრაციული პროცესის შედეგად მიგრირდებიან კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროდან. მათი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე (დღევანდელი ქალაქ სოჭის დასავლეთით) ჩამოსახლების თარიღის უფრო მეტი ლოკალიზება გაძნელებულია პირდაპირი მტკიცებულების არარსებობის გამო, თუმცა რამდენიმე ირიბი მონაცემი მათი ჩამოსახლების თარიღის დასაზუსტებლად, მაინც არსებობს: ქართველი ხალხის კოლექტიური მეხსიერება ინახავს ფაქტს საქართველოს (და სამეგრელოს) ხელდებულ ტერიტორიაზე, კერძოდ სოჩიდან ნიკოფსიამდე მონაკვეთზე მთის გადაღმელ (ჩრდილო კავკასიიდან) ჩამოსახლებულთა შესახებ, რომელსაც მე-16-ე საუკუნეს უკავშირებენ. უცილობელია,რომ მეგრელ-გურულთა შეტაკებას 1533 წელს ჯიქებთან, (ვახუშტის სიტყვებით, არა ადრინდელ ჯიქთა) ქალაქ სოჩის დღევანდელი ტერიტორიების მიმდებარედ მოხდა, რომელიც ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იმყოფებოდა (სხვა საკითხია, რომ თემურლენგის ლაშქრობის შემდეგ სამეგრელოს მთავარის, დადიან-ბედიანის ძალაუფლება გავრცელებული ჩანს როგორც მინიმუმ ანაპამდე მაინც). ქართული გენეტიკური მეხსიერების მიერ აღნიშნული თარიღი, მე-16-ე საუკუნე, ზუსტად ჯდება სადაშ- კამიშთა სავარაუდო ჩამოსახლების პერიოდში და დამატებით ერთ ინფორმაციასაც იძლევა: სადაშ- კამიშთა მ იგრაცია კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროდან ჩრდილოეთ კავკასიის გავლით ხდება.

ურიგო არ არის გავიხსენოთ სტრაბონის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ეს ტომი (დეილმიტები) უფრთხილდება თავისი წარმოშობის მაჩვენებელ სიტყვა-სინონიმს „დალმიის“. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანში მე-18-ე საუკუნეში დაფიქსირებული სოფელი „დალიი“, აჯანყებულ მთიელთა პოლიტიკური ცენტრი ა სევე, დალმატების, დეილმიტების ჩამოყალიბებულ-დასახლებული უნდა იყოს. ზუსტად ამ შუალედური პუნქტიდან, ჩრდილო კავკასიიდან (და არა კასპიისპირა სტეპებიდან) ხდება დეილემთა და სანართა ერთდროული ჩამოსახლება შავი ზღვის სანაპიროზე. თუ ჩავთვლით, რომ სოფელი დალიი და დეილემთა საცხოვრებელი 1502 წლიდან იწყებს ფუნქციონირებას,სავარაუდოა,რომ მათივე და სანართა გამოჩენა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მე-16-ე საუკუნის 20-იან წლებში ხდება, რასაც თითქმის მყისიერად მოჰყვება მათი დაპირისპირება სამეგრელოს სუზერენთან.

კიდევ ერთი კატაკლიზმი სამეგრელოს ოდინდელ ტერიტორიაზე ნაჟანეულსა და ხოირში (გაგრა-ხოსტის და გუდაუთა-გაგრის მონაკვეთზე) 1704 წელს ხდება. საბედნიეროდ,ეს ფაქტიც დაფიქსირებულია ქართულ ისტორიულ და ტერიტორიულ დოკუმენტებში, რომლებიც ჩვენამდე გაშიფრულიც არ ყოფილა.1704 წელს ჭირის ეპიდემიამ ერთიანად შეცვალა დემოგრაფიული მდგომარეობა და ძალთა ბალანსი აღნიშნულ რეგიონში.იგივე ქართული საისტორიო წყაროებში აღნიშნული რეგიონის მოსახლეობა ჭირისგან მთლად ამოწყდა. რასაკვირველია, ინფორმაცია მთლად არ შეესაბამება სინამდვილეს. თუმცა რეგიონის თითქმის სრული დაცარიელება რეალური ფაქტი ჩანს.

ნაჟანეულის (დიდი ჩანდების,ჰენიოხების, ხალიბების, კენების) ტომს თავშესაფარი ძიხებთან უპოვნიათ (ადიღე). უკვე 1724 წელს ძიქებთან დაფიქსირებულია უძლიერესი და ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი, უკვე ძიხთა (ჩერქეზთა) სტატუსით. ტომი საკუთარ თავს ორმაგი სახელს კემგუის და თემირგოის უწოდებს.(სიტყვა-სიტყვით ეს კენის შთამომავალს, რკინის შთამომავალს ნიშნავს). ამ ტომის ქრისტიანებში გადასული ნაწილი (უკრაინა, რუსეთი) გვარში საკუთარი წარმოშობის ორმაგ თიკუნს ინარჩუნებს: ისინი კანტემიროვებად იწოდებიან! დიდი ჩანდების მცირე ნაწილი სამეგრელოს აფარებს თავს, თუმცა,სავარაუდოდ, ბატონყმობის უღელს ვერ იტანს და სვანეთში გადადის, ბატონიანი და უბატონო სვანეთის მიჯნაზე.

მცირე ჩანდების ერთი ნაწილი, სავარაუდოდ, მცირე ჩანდების დასავლეთი ნაწილის მცხოვრებნი, დიდი ჩანდების და არლანების (აბაზგების) მეზობელი, არტების აფხაზურ(ლაზურ) ტომს აფარებს თავს დღევანდელი ქ. სოჩი მიდამოებში. მცირე ჩანდების აღმოსავლეთი ნაწილი გადაურჩა ჭირის ეპიდემიას, თუმცა ტერიტორიიდან მიგრირების პროცესს საბოლოოდ ვერც ისინი გაურბიან.უნდა აღინიშნოს, რომ ჩანდების მიერ მიტოვებული ტერიტორია უყუ-

რადღებოდ არ დარჩენილა. დროთა განმავლობაში იგი აითვისეს სუბეშიდან გადმოსულმა, ჩელებისეული და ვახუშტისეული „მეთაფლია“ აფხაზების ტომებმა (ტომის სახელი საუკუნეების განმავლობაში მჭიდროდაა დაკავშირებული კოლხურ თაფლთან) .სამი თაობის შემდეგ, 1780 წელს ოსმალეთის მიერ სამეგრელოს წინააღმდეგ მოწყობილ საომარ ექსპედიციაში დიდი ჩანდებიც მონაწილეობენ. მათ, როგორც ჩანს, უკვე დავიწყებული აქვთ მეგრელებთან (კოლხებთან) ოდინდელი ნათესავ-მოყვრობა და მათ წინააღმდეგ იბრძვიან მდინარე ენგურთან... ამ ომის მონაწილე ქართველი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი მათ კემურგებად ახსენებს...

...და დიდი უზუსტობანი ე.წ. მუჰაჯირობის პროცესთან დაკავშირებით. მუჰაჯირთა საერთო სიის თვალის უბრალო გადავლებაც კი საკმარისია, რომ ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი დარწმუნდეს: სიები აშკარად გაბერილია! გაბერილია ის უკვე რუსული შტაბის უმაღლესი ოფიცრების მიერ. არც მუჰაჯირთა რიცხვის უზომოდ გაზვიადება უნდა წარმოადგენდეს გამოუცნობ საიდუმლოს:რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე მესამის ბრძანებით თითოეულ სულზე გამოყოფილი ჩანს საკომპენაციო თანხა. სიების გაბერვა საკომპენსაციო თანხის მითვისებასთან და კორუფციასთან არის დაკავშირებული, რითაც რუსი სამხედრო ელიტა ყოველთვის გამოირჩეოდა. უშუალო გაანგარიშება ცხადყოფს, რომ ნახევარი მილიონი გადასახლებული- ჩერქეზ-აფხაზიდან 200 000 აღმატებული, გაბერილი ციფრია, მკვდარ სულებია!!! ...რატომღაც ისტორი-კოსების ყურადღების მიღმა რჩება ფაქტი, რომ რუსეთის თვითმპყრობელის ალექსანდრე მესამის ბრძანება, რომელიც წყვეტდა ჩრდილო შავიზღვისპირა მცხოვრები ჩერქეზების (ძიქების და აფხაზების) შემდგომ ბედს, ითვალისწინებდა ორ ალტერნატიულ გამოსავალს:

1. მშობლიური ზღვისპირეთის მიტოვებას და რუსეთის შიდა (არაზღვისპირა) გუბერნიებში გადასახლებას.
2. ასევე მშობლიური ზღვისპირეთის მიტოვებას და თურქეთში გადასახლებას.

...ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მუჰაჯირობა აბზოის აბაზგთა ტომს საერთოდ არ შეხებია! აბაზგი ხალხი გამოცხადდა რუსული იმპერიისათვის არასაიმედო ხალხად და მათ ზღვის სანაპიროდან ათეულ კილომეტრზე დასახლება აეკრძალა! ამ იარლიყის და აკრძალვის მოხსნა შეძლო რუსეთის იმპერატრიცა სოფიას მორგანეტულმა ქმარმა, მავანმა პრინცმა შერვაშიძემ!

ჩერქეზებს (ძიხების) ერთი ნაწილი ყარაჩაი-ჩერქეზეთში გადასახლდა შავი ზღვის სანაპიროდან საკმაოდ შორს. სავარაუდოა, რომ მათ კომპენსაცია მიიღეს. ჩერქეზთა ის ნაწილი, რომელიც ადიღეში (აძიხეში) რაღა მანქანებით დარჩა საცხოვრებლად, გადასახლებას თავ არიდებულნი ან გადასახლების შემდგომ დაბრუნებული ჩანან მშობლიურ ადგილებში, სადაც უკანასკნელი 17 საუ-

კუნეს იცხოვრეს!...და თითქმის არაფერია ცნობილი ჩერქეზების (ძიხებისა და უბიხების) და აფხაზების (ლაზ-ჭან-კოლხი) ტომების იმ ნაწილზე, რომლებიც საცხოვრებლად რუსეთის სხვა გუბერნიაში გადადიან!

რასაკვირველია,აქ ყველა ფორმალობა შესრულებულია, ჩერქეზ- აფხაზები რუსეთის გუბერნიის არაზღვისპირა რეგიონში ბინავდებიან, თუმცა,როგორც ეტყობა , რუსებისთვის გაგრა- ანაპის საზღვაო სანაპიროს მოსახლეობისაგან დაცლა ჩანს პრიორიტეტული და ამ ნაწილის მოსახლეობის ზღისპირა სამეგ-რელოს (თუ სხვა) რეგიონში განსახლებას ფაქტიურად არ ეწინააღმდეგება! (გუ-დაუთა-სოხუმის აბაზგურ მოსახლეობას რუსეთმა ზღვის სანაპიროდან ათეულ კილომეტრზე დასახლება აუკრძალა)

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზიხთა ნაწილს მიგრაციის გზები და ადგილიც ადრიდანვე უკვე ნაპოვნი უჩანთ საკითხი ეხება პირველ რიგში ჩელებისეულ შანებს, რუსი ავტორების ჟანებს, დიდსა და პატარას. უდა-ოდ მცირე ხაზარეთში შემავალი ტომები მე-10-ე საუკუნეში წარმატებით უმკ-ლავდებიან მტერ-მოყვარე ოვსთა დავლაზე დაგეზილ თარეშს. მათ საკმაოდ საშიში მეზობელი ჰყავთ მე-12-ე საუკუნიდან ყირიმელი თათრების (ნაქართვე-ლარი ყივჩაღების) სახით.ძიქურ ტომებს მე-13-ე საუკუნეში მრისხანე და საშიში მეზობელი გამოუჩნდა ჩინგიზ- ხანის მონღოლი მეომრების სახით, არანაკლებ საშიში მე-15-ე საუკუნის დამდეგს, თემურ ლენგის ახალმონღოლების, ნოღაე-ლების სახით... ამ უამრავ ავისმოსურნე მეზობლებთან ძიქების პირველი ფორ-პოსტი შანები იყვნენ, ეს უმამაცესი ძიხური ტომები.. სწორედ მათ მეზობლებ-თან პერმანენტულ ომებს მიეძღვნა ის ლეგენდები, რომელიც ძიხურ ეპოსშია გახმოვანებული და რუსული აღწერილობების მიხედვითაა ჩვენამდე მოღწე-ული. ოსმალთა მიერ ყირიმის დაპყრობის შემდეგ (1475 წ.) შანების მდგომარე-ობა უფრო და უფრო რთულდება. ოსმალეთი მეთოდურად იწყებს ტამანის ნა-ხევარკუნძულის დაპყრობა-ათვისებას. ყირიმელი თათრები, გაძლიერებული ოსმალური შენაერთებით, შანებისათვის დაუძლეველი ძალა ხდება, რომლებიც ტამანის მ იმდებარედ ცხოვრობენ... და უკვე იწყებს მოქმედებას ქართველთათ-ვის უხსოვარი დროიდან ნაცნობი პრონციპი: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგანო! შანები აღმოსავლეთისაკენ ჩანან მიგრირებული, თუმცა ძირითადად სამეგრელოში კონცენტრირდებიან.

„აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხობის დიდ დავთარში“, რომელიც 1621 წლით თარიღდება, მოხსენიებულია მავან შამბიათა საგვარეულო. ტექსტში მოხსენიებული გვარის ფონეტიკა აშკარად გვიჩვენებს, რომ იგი შორს დასავ-ლეთიდან შემოსულ მოსახლეებს ეკუთვნის: თვით სუბვი-სუბეშშიც კი (ქალაქ ტუაფსესთან) გვარი დამთავრებული ბაიათი, ბიათი არ ფიგურირებს, მაშინ , როდესაც ზიხურ და აბაზგურ გვარებს ეს ბოლოსართი საყოველთაო უჩანთ, ის-

ევ და ისევ თათრული ბაის გავლენით. შამბიების განსახლების ადგილმდებარეობა და ბეგარის სპეციფიკა (მენავეობა და მეთევზეობა) გვიჩვენებს, რომ საუბარი აშკარად შამგონას ეხება, სოფელს ზუგდიდის რაიონში, მდინარე ენგურის ორ ტოტს შორის, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი ახლოსვე უჩანს. სოფელი ტოპონიმიკის მიხედვით, შამუგიათა საგვარეულოს სოფლად, მათ სამშობლოდ მოიაზრება. გვარის ადრინდელი ჟღერადობა შან-ბია უნდა ყოფილიყო. თუმცა ბგერათა წარმოქმნის თავისებურებამ იგი შამბიად აქცია! (ბგერა ნ და ბ, რომლებიც გვარის დასახელებისას გვერდიგვერდ დგას, სამეტყველო აპარატის მიერ სხვადასხვა მეთოდით წარმოითქმება, მაშინ როდესაც გახმოვანების მიხედვით მ და ბ აბსოლუტურად იდენტურია. ასევე, დროთა განმავლობაში ასო ბ ასო გ-თი ჩანს ჩანაცვლებული) რაც შეეხება სოფელ შამგონას ტოპონიმიკისა და დასახელების ქართულ ვერსიას, ის აშკარად არასწორი ჩანს. თავად სოფელ შამგონის დასახლების ქართულ თარიღი, სავარაუდოდ, ამ ადგილის უკვე მეორედ დასახლების ისტორიაა, როდესაც შამგიები უკვე გადანაწილებული ჩანან დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში. (მეგრული კილოკავში ეს გვარი დღესაც, ასევე, შამგიად წარმოითქმება!) ძნელი სათქმელია ვამტკიცოთ, შანების რომელ ტომს ეკუთვნიან შამბიები (შამგიები, შამუგიები) დიდსა თუ პატარა შანებს, თუმცა საღი აზრი მეორე ვარიანტზე ჩერდება: დიდი შანები, გამომდინარე საკუთარი მრავალრიცხოვნებიდან, თავს ასევე, შედარებით დაცულად იგრძნობდნენ და შეეცდებოდნენ მომხდურთან ადგილზევე გამკლავებას. შესაბამისად, ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიებიდან, პირველად ლტოლვილი ჩრდილო სამეგრელოსაკენ, ეს მცირე შანების ტომი უნდა იყოს. მათი მცირე ნაწილი აფხაზეთშიც ჩანს დამკვიდრებული...

შანების მეორე ტომი, დიდი შანების ნაწილიც შიდა სამეგრელოსაკენ ჩანს მიგრირებული, თუმცა გაცილებით გვიან. მათი კომპაქტური დასახლება აღინიშნება დაბა ჯვართან, საშანოს (ოშანეს) უბნის დასახლებით. სავარაუდოა, რომ ეს ორი ტომი მცირე და დიდი შანებია, ძიხთა პირველი ტალღა, რომელიც აძიხედან შიდა საეგრელოსკენ დაიძრა და საკუთარი მიგრაციით ძიხთა და აფხაზთა (ლაზთა) ტომებს გზა-სავალი უჩვენა შედარებით უსაფრთხო ადგილისაკენ. ამავე ტომის წარმომადგენლები ჩანან იმერელი შანიძეებიც. ადგილზე დარჩენილი შანები ეპიდემიებს და თათარ-თურქთა მახვილს ემსხვერპლნენ, ხოლო შეთხელებული და კანტიკუნტი მოსახლეობა რუსულენოვანი ავტორების ცნობით ე.წ. შავიზღვისპირა კაზაკებმა ამოწყვიტეს.

ასევე, ქართულ ანდაზის მიხედვით იქცევა სხვა, შაგაკეს ძიხური ტომი, თუმცა ანდაზასაც ასევე, სხვა შინაარსი აქვს: „დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო“. შაგაკეს ტომმა იძმო ნოღაის ახალმონღოლური ტომი, რომელიც მათზე

გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, თანაც ოსმალთა ქვეშევრდომი. ეს იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისას, ოსმალთა ქვეშევრდომმა ნოღაელთა ტომმა ახალი სამშობლოს დაცვა არ ისურვა და ვოლ-გისპირა სტეპებისკენ გაირეკა საკუთარი ჯოგები. შაგაკეს ტომის კვალი რუსეთ-თურქეთს შორის დატრიალებული სისხლის კალოში იკარგება...

თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიერ შაგაკეს აღმოსავლეთ მეზობლად დასახლებულია კიუტსების ძლიერი ტომი. ეს ის კიუტსები ჩანს, რომელთა ანა-ლოგიური დასახლების ქალაქს ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ყირიმის ნახევ-არკუნძულზე ასახლებს პლინიუს უფროსი. სავარაუდოდ,ისინი ოსმალთა მიერ ყირიმის დაპყრობის (1475წ) შემდეგ გადაადგილდებიან აღმოსავლეთ ანაპის მიდამოებში. აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხობის დიდი დავთარი ჩელები-ზე ადრე , 1610 წელს მიანიშნებს მობეგრე გლეხებს სუბეშის რაიონში, გვარით კიტიებს. (ის, რომ დავთარი მართლაც შეესაბამება 1610 წელს, იმ არქაული სიტ-ყვებითაც მტკიცდება, რომელიც მოიპოვება დავთარში და, რომლის ანალოგია სულხან-საბასთან უკვე აღარ ჩანს. (11).

ძნელი სათქმელია , მუჰაჯირობის დროს (1878წ) ხდება კიუტთა მიგრაცია სამეგრელოსა და გურიის (ძირითადად ზღვისპირა) რეგიონებში, თუ უფრო ადრე, თუმცა ფაქტი სახეზეა: გურიაში მიგრირებული კიუტები ადვილად ამო-საცნობი ჩანს გვარის სპეციფიკური დაბოლოებით- ტი, როგორიცაა ჯიბუტი, ღლონტი, ჟღენტი. წარმატებით ინიღბება კიუტთა გვარები სამეგრელოში, მეგ-რული გვარებისთვის დამახასიათებელი ა დაბოლოებით: ხუბუ- ტი-ა, ჯუმუ-ტი-ა, მირგა-ტი-ა, გელან-ტი-ა, კვირ-ტი-ა, ეგუ-ტი-ა, ჩიკვატი-ა, თვით კიუტიც კი... მათ შორის აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დავთარში მოხსენიებუ-ლი კიტია, ასევე ჩხეტი-ა (გვარი მოგვიანებით ლაზთა თავადებად ფიქსირდე-ბიან ხოფასა და რიზეს შორის მდებარე ტერიტორიაზე) რაც შეეხება იტალიურ გვარებთან კიუტების გვარების ფონეტიკურ მსგავსებას, შესაძლოა, ის შემთხვე-ვითი სრულებითაც არ იყოს. (12).

ევლია ჩელების მიერ მე-17-ე საუკუნეში დაფიქსირებული ბოზდუკები (მათი ნაწილი აფხაზია -ლაზი და ნაწილი ჩერქეზი -ზიხი). იგივე ხალხი, უკვე რუსი მწერლისა და გენერლის მიერ დაფიქსირებულია ბჟედუგები სახელით და მიკუთვნებულია ჩერქეზული ეთნოსისათვის.მათი დიდი ნაწილი, სავა-რაუდოდ, ასახლებს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ჩერქეზულ ნაწილს. უკვე ზღვის სა-ნაპიროდან მოშორებით ჩრდილოეთისაკენ. ნაწილი რაღაც მანქანებით რჩება ძველ სამშობლოში, ადიღეში. ეთნიკური ბჟედუგების ნაწილი ჩანს მეგრული მოსახლეობა დღევანდელი აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში გვარებით: ბჟ-ალავა, ბჟინავა, ბჟანია. ისეთივე მიგრაციული პროცესი უჩანთ აბაძეხებსაც, რო-მელთა ეთნონიმში პირდაპირ იკითხება აფხაზებისა და ძიხების სახელი...

ძიხების მიგრაციის მძლავრი კვალი ჩანს აფხაზეთის აღმოსავლეთისაკენ, ძირითადად გალის რაიონისაკენ. აქ გვხვდება ზიხების(ჯიქების, ზიგების, ძიგ-ების, ძიხების) მახასიათებელი გვარები: ჯიქია, ზუხბაია, ეზუგბაია, ძიგუა. არ-სებობს ნიშნებიც, რომ სამეგრელოს შიდა რაიონებში განსახლებული ღურწკა-იებიცა და ცაავებიც ამავე წარმოშობის არიან.

უცხოელი ავტორები ორი ათეული საუკუნის წინ სუბეშის სიახლოვეს ასახელე-ბენ დასახლებულ პუნქტ ლაიას. ყოველგვარი ქართველურის ხმალამოღებული დამცველი პავლე ინგოროყვა ამ ტოპონიმის ქართული წარმოშობის დამტკი-ცებას ცდილობდა და არგუმენტად , ასევე , წალენჯიხის რაიონში არსებული ქართული სოფლის თითქმის ანალოგიური დასახელება „ლია“ მოჰყავდა. დი-დი ქართველი ისტორიკოსი აქ ნაწილობრივ ცდება, რამეთუ თავად სუბეშის ლაიადან გადმოსახლებულთა დასახლებული ჩანს წალენჯიხის ლია თავად წალენჯიხის და გალის რაიონი- შავი ზღვი ჩრდილო სანაპიროდან ძალდატა-ნებითი გზით მიგრირებულთა თავშესაფარი ჩანს,რომლის პრაქტიკული ცენ-ტრს დაბა ჯვარი წარმოადგენდა. შიდა სამეგრელოსკენ ჩანან მიგრირებული სა-დაშებიც. როგორც ზემოთ ვთქვით, ისინი სანარები (ხალდები, ჭანები) ჩანან და, შესაბამისად, მათი მახასიათებელი შემდეგი გვარები ჩანს: ჭანტურია და ჭა-ნია. ამ თემის- სადაშების, საძების კუთვნილება ჩანს საჯაიებიც.თვით უბიხ-ების დიდი ნაწილიც ქართველურ-მეგრულ სივრცეში ჩანან ინტეგრირებული. (საკითხი სცილდება წიგნის ფორმატს).

გალის რაიონის სოფელ ხუმუშქურის (ხუმფუშ სკურის, ხუმფუს წყა-როს) და აქვე რუკაზე შემორჩენილი ხუმენი-ნათოფურუს შემორჩენილ ტოპო-ნიმში სუბეშელი, აშეღალელი და სუკ-სუს აღმოსავლეთისაკენ მიგრირებული მოსახლეობის კვალი უნდა იკითხებოდეს. სავარაუდოა, რომ მიგრაციის პრო-ცესი გაცილებით ადრინდელია, ვიდრე მუჰაჯირობა, და ის ქართველური მო-სახლეობის ისლამის რელიგიის მოძალებისგან ლტოლვას ჰგავს. ტოპონიმში აშკარად იკითხება ხუფენიათა და თოფურიათა გვარები, რაც სავარაუდოდ, თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების „მეთაფლია“ აფხაზებთან ასოცირდება (ასეთივე პასაჟი იკითხება მოგვიანებით ბატონიშვილ ვახუშტის გეოგრეფი-აშიც).სამეგრელოსაკენ ჩანან მიგრირებული ჩელებისეული კეჩი-ლარებიც,რომ-ლებიც სოჩის დასავლეთით ფიქსირდებიან არტ-ლარების მეზობლად, რომლე-ბიც ერთ დროს პირველობას ეცილებოდნენ კიდეც შერვაშიძეებს. ეს მათი წარ-მომადგენელია ალბათ, სოხუმის კომენდანტი ჩერქეზი გეჩი. როდესაც შერვა-შიძეების კლანს თურქეთთან ურთიერთობა დაძაბული ჰქონდა, სოხუმის კო-მენდანტი გეჩი, სავარაუდოდ, ჯვარზენისა და მის მიმდებარედ შემდგომში დაბინადრებული გეთიათა საგვარეულოდან იყო. ამავე კეჩი- ლარების თემის კუთვნილება ჩანს გუჩუათა აქვე დაბინადრებული გვარიც.

უფრო დიდი სპექტრით არიან წარმოდგენილი ამავე რეგიონში ჩელებისეული არტ-ლარები, რომლებიც ჩელებისთან სოჩის რაიონში ფიქსირდებიან. დღევანდელ სინამდვილეში ისინი არქანიათა გვარს ატარებენ (მათი გვარის წარსული ჟღერადობა უსათუოდ ართა-ნია უნდა ყოფილიყო!) ამ საკმაოდ მრავალრიცხოვან გვარს გვერდს უმშვენებს თანატომელები, ქ-არდა-ვები. შედარებით მცირერიცხოვანი ჩანს იმავე არტების თანამოგვარეები მცირეოდენი ინტერპრეტაციებით: არდია, ს-ართა- ნია, ეს- ართია, ართი-ლაყვა, ვ-არდა-ნია, ვ-არდა-ია, ნ-არდა-ია, ბ-ართა-ია. ასევე, სუბეშის რეგიონიდან ჩანან მიგრირებული „მეთაფლია“ აფხაზთა მეორე შტოც, რომელიც გეჩების და არტების გავლით იკავებენ დიდი ჭანდების მიერ 1704 წელს მიტოვებული ტერიტორიებს- ბზიფსა და ხოსტას შორის. განსხვავებით ლაზებისა და ზიხებისა, ისინი წარმოშობით კოლხები ჩანან. სწორედ მათ აფიქსირებს ქსენოფონტე ჩვ. წ. აღრიცხვამდე ოთხი საუკუნით ადრე გიუმნიასში (დღევანდელი გიუმრი, არმენიის შემადგენლობაში). იგივე ხალხი უკვე ტრაპეზუნდის მახლობლად ფიქსირდება სტრაბონთან, ჩვ. წ. აღრიცხვამდე პირველ საუკუნეში. მათი უპირველესი გვარი კოლაიები უნდა ყოფილიყო . შემდგომში ისინი თათრულ ყაიდაზე, ყოლბაიებად იქნენ წოდებული. მათ ჯერ კიდევ წინა თაობას კარგად ახსოვდა, რომ მათი საგვარეულო ხატი ბზიფში მდებარეობდა. ბზიფი-ხოსტას ტერიტორიის დაკავება მათ მხოლოდ 1704 წლის შემდეგღა შეეძლოთ, როდესაც უძველესმა მოსახლეობამ, დიდმა ჩანდებმა (ჭანებმა, ჰენიოხებმა, ხალიბებმა, კენებმა) ჟამიანობისგან ლტოლვილებმა მიატოვეს თავიანთი სამშობლო და თავი აძიქეს შეაფარეს.

უხუცეს ყოლბაიათა გადმოცემით, მათი სუზერენები თავადი აქირთავები იყვნენ. სწორედ აქირთავები ეცილებოდნენ პირველობას შერვაშიძეებს. გიულდენშტედტის ცნობით, მუდავიოდ (მეთაფლიად) წოდებულნი... და, თავად აქირთავათა გვარს რა წარმოშობა აქვს?

1878 წლის მუჰაჯირობის სიაში ნაჩვენებია დასახლებული პუნქტი აქირთავაწყუ, რაც სავარაუდოდ,აქირთავათა წყალს, ქართველების წყაროს უნდა აღნიშნავდეს. (დასახლების ადგილი დამატებით კვლევას მოითხოვს). სიმპტომატურია, რომ ამ დასახლებიდან მუჰაჯირად განდევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა, ერთი ასეული ოჯახი მარშანიათა გვარს ატარებდა. ცხადზე ცხადია, რომ აქირთავათა საგვარეულო თავად მარშანიას გვარის განაყოფია!

„მეთაფლია“ აფხაზების (კოლხების) მიერ დიდი ჩანდებისგან მიტოვებული ტერიტორიების დაკავების დრო, დიაპაზონი და მისი საზღვრების დაზუსტებაც კი შესაძლებელი ჩანს. ისინი მხოლოდ დიდი ჩანდების (ჭანების) ტერიტორიებს იკავებენ გაგრა-ხოსტის მონაკვეთში, ხოლო ამ ტერიტორიების ათვისება 1704-1772 წლებს შორის პერიოდში მერყეობს(13). გაგრის მთებისკენ

დუბროვინის მიერ აღწერილი თემი (ბრაკი თუ ბარაკა) სავარაუდოდ, ბარქაიე-ბისა და ბარკალაიების გვარებს უდებენ სათავეს.

უფრო რთული ჩანს სიტუაცია მცირე ჩანდებთან (ჭანებთან) მიმართება-ში. უნდა ვიცოდეთ, რომ ე.წ.„აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავ-თარი“ მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო გლეხების იმ სიას, რომლე-ბიც ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდნენ, ან ვალდებულნი იყვნენ ამ უკა-ნასკნელის წინაშე. რასაკვირველია, დავთარში ჩამოთვლილი გვარები იმავე ნა-ჟანეულის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. ამასთან,დავ-თარში მოხსენიებული გვარები , სავარაუდოდ, ეხება როგორც მცირე, ისე დიდ ჩანდებს. ასევე, სავარაუდოა, რომ ნაჟანეულში ნახსენები გვარები, რომლებიც ქართული სინამდვილიდან გამქრალია, დიდ ჩანდებს (ჭანებს) შეეხებოდა. აი, მათი სავარაუდო სიაც: ბუბუტია (თუ სუბუქია), კუატარა, სამელია, მატოფია, ჯომნია, ციკუტია, ღრუბლაია, მესტუმრია, ცისტარია, რუსაყია, ჭვიტიშია, ფიო-ლია, სოხერდია;

მცირე ჩანდების (ჭანების) თემის წარმომადგენლები ჩანან: უჩაია (უჩაძე), ჯაკობია, დიდია, კოდია (კოდუა), ჯგუბურია, შუშანია, აბრამია, მჭითანა (ჭით-ანავა) ძაძუა, გოგილა (გოგილუა, გოგილაძე). ქაჯაია, კოჩილა (ქორჩილავა), გუ-რუა (გურჯუა), ლოგუა, ელიშია, კონჯარია, კოტარია, კონტარია, ასევე, მცირე ჩანდების თემიდან ჩანან კაკუები (კაკუბა, კაკუბავა) და კაკულიები.
(მკითხველს შევახსენებ, რომ დასახლებული პუნქტ გაგრის უძველესი და უპ-ირველესი დასახლება კაკური იყო!)

დალის ხეობიდან გამოდევნილი ქართველების გვარი- ხორავა ჩანს, მათი სამშობლოს დასახელება ხორირიდან! დალის ხეობის თემის წევრები ჩანან: მარ-შანიები, მარშავები, მარღანიები, მარხულიები, ქიშმარიები, მარგიანები და მარ-გველანები... მცირერიცხოვანი აფხაზური ტომის, ბაგის სუზერენი ჩანს ბაგაფ-შთა საგვარეულო. (ბაგა-ფში, ჩერქეზულად ბაგების დასახლების მთავარია) ასე-თივე გენეზისისა ჩანს ძიაპშიპათა თავადური გვარი, რომლის ბოლოსართი აშ-კარად დამახინჯებული ბოლოკიდური ბაი ჩანს. ფუძეში აშკარად იკიხება ძიქა -ჰში, ძიქების მთავარი (ერთ-ერთი გვარი, რომელიც შერვაშიძეებს ხელისუფლ-ებაში ეცილებოდა, შეიძლება ასევე მარშანიათა გამონაყოფი გვარი იყოს)
ასევე საინტერესოა წარჩინებული გვარის,ანჩაბაძეების გენიოლოგია. ანჩბეიები და ანჩაბაძეები ქართველობენ, ხოლო აჩბებ აბაზგებად თვლიან თავს, თუმცა ამ გვარის წარმომავლობა სამხრეთ საქართველოდან მოდის (14)ასევე ჩრდილო საქართველოდან, ხევიდან (სტეფანწმინდის- ყაზბეგის რაიონი) ჩანს ჩამოსახ-ლებული ტყვარჩელელი არშბები, რომელთა საგვარეულო ციხე აქვე მდებარე-ობს. ამავე ადგილიდან ჩანან ჩამოსახლებული გალელი და ზუგდიდელი ჩხო-ტუები, რომელთა ადრინდელი საცხოვრისი არშის ციხის ქვემოთ მდებარე აჩ-

ხოტის ხევი ჩანს.ეს არის ის მოკლე და არასრული მონაცემები, რომლის მოძიებაც ჯერჯერობით მოხერხდა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა რიგი სხვა საკითხებ (მტკიცებულებებით),რომლის გამოქვეყნება ამ ეტაპზე და წიგნის ამ ფორმატში, ავტორმა მიზანშეუწონლად ჩათვალა! საძიებელი კიდევ ბევრია...

შენიშვნები

1.ჰეროდოტეს მიხედვით მემნონის საჭურველის ერთი ნაწილი ეთიოპურია, მეორე- ეგვიპტური, რაც მის ეთიოპობას უნდა მიანიშნებდეს.

2.რასაკვირველია, ვერც აქილევსისა და ვერც მემნონის ჯავშანი მჭედლობის ღმერთ ეფესტოს გამოჭედილი ვერ იქნებოდა. ის იმ დროის მჭედლობის„ღმერთების“-ხალიბების, კენების გამოჭედილი ჩანს. ის, რომ ჯავშანი ხელმისაწვდომია აქილევსისა და მემნონისათვის (ასევე აიანტისათვის), ამ უკანასკნელთა ხალიბების ტომთან გენეტიკური ახლობლობის მიმანიშნებელი ჩანს.

3.კანის ფერის სიმუქეს, ამ შემთხვევაში ინდიელებისას, უკვე აღნიშნავს ფლავიუს არიანე „ალექსანდრეს ლაშქრობა“-ში.

4. დიქტისი სამართლიანად აღნიშნავს,რომ მოწინააღმდეგეთა იარაღი ბრინჯაოსი იყო, თუმცა აქვე ეპარება ერთი ლაფსუსი, როდესაც სხვადასხვა წესით გამოჭედილ შუბებზე საუბრობს: ბრინჯაოს იარაღი არ იჭედება,ის მხოლოდ ჩამოსხმულია.

5.დიკტის კრეტელი საკუთარ ნაწარმოებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი დაწერილია ფინიკიური ანბანით. დიკტისის მიზანი აშკარაა: ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ წიგნი იწერება იმ ეპოქაში, როდესაც ბერძნული ალფავიტი ჯერ კიდევ არაა შემოღებული ...და დიკტისის შეცდომაც ესაა! სრულიადაც არაა საჭირო ფინიკიური ანბანისათვის ხაზგასმა, ვინაიდან იმ პერიოდისთვის ანბანი მხოლოდ ფინიკიური იყო!. დიკტის კრეტელი ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი ლაშქრობის შემდგომი ეპოქის ლიტერატორი ჩანს. სავარაუდოდ, მას უკვე წაკითხული აქვს არისტობულის თუ პტოლემეოსის მემუარები მაკედონელთა მიერ განხორციელებული ლაშქრობების შესახებ. მართალია, დიკტისს ამ ლაშქრობამდეც შეეძლო სცოდნოდა მემნონის მიერ კავკასიიდან მეომრების ჩამოყვანის შესახებ (სავარაუდოდ, იმავე არქტინ მილეტელის პოემიდან), თუმცა, ამავე კავკასიელ მეომრებს „ინდები“ წერილობით წყაროებში მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის თანამოლაშქრე მემუარისტების არისტობელის და პტოლომეოსის ჩანაწერების მიხედვით ეწოდათ! ცხადია დიკტისი ქრისტემდე IV- IIIსაუკუნეზე ადრინდელი მწერალი ვერ იქნება!

6.როგორც ირკვევა ბერძნების მიერ კუნძულ კორკირისა და კორინთოს აღრევა გარემოებათა გარკვეულმა დამთხვევამ გამოიწვია: კუნძულ კორკირასა და კორინთოს მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი ყოფილა! შესაბამისად, კორინთელები ასევე კოლხები ჩანან., თუმცა არა აიეტის ხელქვეითნი. გარდა ამისა, კორინთოს მთავარი ქალაქი ეფირად იწოდება, ეპირის საწინააღმდეგოდ, რომელმაც ბერძნებში ამ უკანასკნელთა აღრევა გამოიწვია.

7. ერთი საქმეა რკინის მიღება-გამოჭედვის საიდუმლოს ფლობა, მაგრამ, ასევე,

არანაკლებ რთული ჩანს მისი პოპულარიზაცია-გაყიდვის პროცესი. კენები, სავარაუდოდ, თავიანთ მიერ მიგნებულ რკინის დამორჩილების საიდუმლოს სხვა ტომებს არ უმხელდნენ და თავიანთ ცოდნას საიდუმლოდ ინახავდნენ (ისევე, როგორც სხვა მრავალ აღმოჩენას კაცობრიობის ისტორიაში. მათ შორის, ქაღალდის, აბრეშუმის, ფაიფურისა თუ სარკის დამზადებას).

ნაკეთობის დიდი წონა მის სავაჭროდ ტრანსპორტირებასაც ზღუდავდა, რამაც კენთა ცალკეულ თემებს მიგრაციისკენ უბიძგა! კენების ახალ-ახალი მცირე თემი სავარაუდოდ გადადიოდა მეზობელი ტომის ტერიტორიაზე და მათსავე მიწაზე იწყებდა რკინის მოპოვება- რეალიზაციის პროცესს. 3-4 თაობის შემდეგ კენები ერწყმოდნენ ამ ტომებს და კარგავდნენ დამახასიათებელ ნიშან- თვისებებს, ამიტომაც აღნიშნავს სტრაბონი მათ ყველგანმყოფობას, ხოლო შემდგომ გაუჩინარებას... ცხადია, კენთა მიგრაციას ადგილი ჰქონდა შიდა ევროპისაკენ, რომელი პროცესიც არქაულ ლიტერატურაში, უბრალოდ, ასახული არ ჩანს. სტრაბონის ვერსიის მიხედვით, სწორედ ილირიკა განიცდის დაცარიელებას და არა ეპირი. ხალხმრავალი ჩანს ეპირის მოსახლეობა ოდნავ მოგვიანებითაც, რომაელი ავტორების ტაციტის და ტიტუს ლივიუსის ნაშრომებშიც, აღნიშნული მომენტი თვალნათლივ მიანიშნებს, თუ რომელი ტერიტორიიდან ხდება პონტოს ზღვისა და კავკასიის მთისწინეთის ათვისება ადრიატიკიდან წამოსული ქართველური ტომებით.

8. აღსანიშნავია, რომ ზიხების გამოჩენა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე , არსებული ინფორმაციით, მინიმუმ ორი საუკუნით წინ უსწრებს ლაზების გამოჩენას, თუმცა მკვეთრი ზღვარი ამ ტომებს შორის არ არსებობდა არც ილირიკაზე და არც შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. ტერმინი ლაზი- წინა ქართველური თავსართით „ლა“ ჩანს წარმოებული, რომლის ფუძეს „ზი“ წარმოადგენს. ბოლოსართი ხი-თი ჩანს წარმოქმნილი ტერმინი ზი-ხი, რომელის ფუძეც ასევე „ზი“ ჩანს. ბოლოსართითაც ქართულ ჩვეულებრივ ტომთა დასახელებას აწარმოებს: კოლ-ხი, მეს-ხი, ტაო-ხი, კა-ხი, უბი-ხი...

9.შესაძლოა, ამ ჰიპოთეზის სამტკიცი (თუმცა სუსტი) უძველესი თუშური სოფლის დოჭუს დასახელება იყოს, რომელიც მხოლოდ მეგრულ ენაზე იშიფრება. ..თუმცა არსებობს თუშების წარმოშობის სულ სხვა ვერსია, უძველესი....

10. შანების ტამანის ნახევარკუნძულის მიმდებარედ ცხოვრებას აღნიშნავს თურქი მოგზაური ევლია ჩელები 1650 წლის სიახლოვეს.ისინი ამ დროისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩანან, თუმცა რეგიონში ე. წ. შავი ზღვისპირელი კაზაკების გამოჩენისას მე-18-ე საუკუნის ბოლოს ისინი არსებითად შემცირებულ-შეთხელებული არიან.

11. სულხან-საბა ორბელიანი, რომლის მიერ ქართული ლექსიკონი რამდენიმე ათწლეულით გვიან შეიქმნა, ვიდრე „ აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხობის

დიდი დავთარი“, არ (ვერ) ახმოვანებს იმ ქართულ სიტყვებს და მცნებებს, რომელიც ამ დავთარშია მოცემული. ასე მაგალითად:
ხეში- ეს უცილობლად იხვის უპირველესი ქართული სახელი ჩანს.
გოწრაული- ასევე, ინდაურის, ინდური ქათმის შესატყვისი.
ოზურლი- მოზვერის უპირველესი ფორმა.
თარხანი- საბას განმარტებული აქვს როგორც უცხო სიტყვა, თუმცა ის აშკარად ქართული ჩანს. თარხონს ისეთივე მნიშვნელობა უჩანს, როგორც რუსულ ვოევოდას და სამხედრო საქმეთა გამგებელს, სარდალს შეესაბამება- ნამდვილად უცხო სიტყვას.
12. კიუტები, როგორც მტკიცდება, ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპიროს მცხოვრები ტომებია და ისინი კოლხობაზე დებენ თავს. თუ მათ პირველი სამოსახლო ადგილი სამი ზღვის იქითა სანაპიროზე, ყირიმში ჰპოვეს, არც ადრიატი-კის ვიწრო ზღვის გადაცურვა და იტალიაში დასახლება უნდა გასჭირვებოდათ!
13 . რამდენადაც ცნობილია, დიდმა ჭანებმა გაგრა - ხოსტის მონაკვეთი 1704 წელს დატოვეს, ხოლო 1772 წელს აკადემიკოს გიულდენშტედტი უკვე აღწერს ვინმე თავად მუდავიოს, რომელიც პირველობას ეცილება აბაზგია- აფსილიის მთავარს შერვაშიძეს. რასაკვირველია, მუდავიო მხოლოდ შერვაშიძის უშუალო მეზობელი შეიძლება იყოს, ხოლო ტერმინი მუდავიო რუსულენოვანი გერმანელი მეცნიერის მიერ პირდაპირ თარგმნილი „მეთაფლიაა“. ამ პერიოდისთვის „მეთაფლია“ აფხაზთა სუზერენი თავადი მარშანია (ან მათი გამონაყოფი აქირთავა ან ძიაპში) ჩანს, რომლებიც საერთოდ არ ცნობდნენ შერვაშიძეთა უზენაესობას.
14.ანჩა-ეს მეტროპოლია იყო კლარჯეთის მხარეში. არსებული წყაროების მიხედვით (გიორგი მერჩულე, პავლე ინგოროყვა) მეტროპოლია დაარსებულია მე-6-ე, მე-7-ე საუკუნის მიჯნაზე.ეს აქედანაა გადმოსვენებული ანჩის წმინდა ხატი, თბილისში, სადაც ამ ხატის სახელობის ტაძარიც არსებობს. ანჩელები-ეს კლარჯები არიან!

...პელაზგები ...

პირველი ანბანური სამწერლობო პოემის ''ილიადას'' გამოჩენასთან ერთად პელაზგთა სახელიც გაიელვებს.გაიელვებს ისეთ აღმატებულ რანგში, რომ პელაზგთა ტომის უკვდავი წარმომადგენელი, აქილევსი, 21-ესაუკუნეში კინოს ბესტსელერად იქცა...თუმცა ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ იგი აქაველი ან ელინი მოლაშქრე არ ყოფილა, არამე დ მხოლოდ მოკავშირე ტომის პირველ- მეომარი. ...უფრო ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ ვისი გორისა იყო აქილევსი....

ჭეშმარიტად უკვდავი და უაღრესად ზუსტი ფორმულირების მატარებელია პომპონიუს მელას უკვდავი ფრაზა, ერები არ ქრებიან, ისინი აგრძელებენ ცხოვრებას თავისსავე ტერიტორიაზე სხვისი სახელის ქვეშ, ან სხვა ტერიტორიაზე საკუთარი სახელით, ან ასევე სხვა ტერიტორიაზე სხვისი სახელით...
იგივე ბერძნები, ჰომეროსის ეპოქიდან მოყოლებული, სახელის რიგ ტრანსფარმაციას განიცდიან, რომელიც ძირითადად ამავე პოეტის ძალისხმევის შედეგად შემორჩა ისტორიას: აქაველები, დანაელები, არგიველები, ელინები და ბოლოს ბერძნები. შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ ასეთსავე ტრანსფარმაციას არ განიცდის პელაზგთა სახელიც, რომელსაც სამწუხაროდ ისეთი მემატიანე არ აღმოაჩნდა, რომელიც ჰომეროსის მსგავსად დააფიქსირებდა პელაზგთა შემდგომ სახელცვლილებებს. ეს სახელცვლილებები უნდა მოიძებნოს იმ ქვეყნის შვილების მიერ , რომელსაც ამ უკანასკნელებთან პირდაპირი მემკვიდრეობის პრეტენზია აქვს და რომელთაც ეს კვლევა ხელეწიფებათ! იმ ასეულ ტომებსა და თემებს შორის, რომელიც მოხსენიებულია ანტიკურ ლიტერატურაში, უშეცდომოდ მოძებმოს პელაზგთა შთამომავალნი, ასევე მყარი წერილობითი სამტკიცის საფუძველზე!

უნდა ითქვას , რომ ჰომეროსის ნაწარმოები ''ილიადა'' არ არის გადატვირთული ცნობებით პელაზგთა ტომის შესაძლო ვინაობით და საკმაოდ ძუნწ ცნობებს იძლევა მათ შესახებ. (ტროელების სავარაუდოს რომანიული წარმოშობის შესახებ ჩვენ სხვაგან ვილაპარაკებთ).
საინტერესოა ჰომეროსის ხომალდთა სია, თუ ვისი შეიარაღებული რაზმები რომელ მხარეს იბრძვიან, ვინ არის ამ საქმეში ელინთა (აქაველთა, დანაელთა, არგიველთა) მხარდამხარ და ვინ ჰყავს მოკავშირედ ტროას. ხომალდთა ჩამონათვალის სიას ჰომეროსი აბანტებით იწყებს, კუნძულ ევბეას მცხოვრებლებით, დღევანდელ ხალკიდასთან.

ორქომენი- ჰელესა და ფრიქსეს სამშობლო-მინიები, ფინიკიური ტომი. ფოკეელები- ცენტრალურ საბერძნეთში, ყველა ნიშნით ეოლიელები.

ლოკრები- ქალაქი სახელმწიფო საბერძნეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კუნ-ძულ ევბეას პირდაპირ.
ათენი- საბერძნეთის დღევანდელი დედაქალაქი, იონიელები.
ბეოტია-ათენსა და კორინთოს ჩრდილოეთით, ფინილიური წარმოშობის ტომი.
სალამინი-კუნძული ატიკის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში.
არგოსი-(ტირინთი, ჰერმონე, ასინე, ტროიძენი) ქალაქები არგოლიდასა და ლა-კონიაში-დორიელები.
აიგინა-კუნძული ეგეოსის ზღვაში (ათენსა და არგოსს შორის)
კორინთო, მიკენი-იონიური, მოგვიანებით დორიული.
სპარტა-პელოპონესი, ჯერ კიდევ იონიელები.
პილოსი-ჯერ კიდევ იონიური
არკადია-მხარე ცენტრალურ პელოპონესში, იონიური.
კეფალონია-კუნძული საბერძნეთის დასავლეთით, ასევე იონიური.
კრეტა,კუნძული-დორიული.
როდოსი- კუნძული მცირე აზიის სამხრეთ- დასავლეთით.
ეტოლია-თერმოპილეს კარიბჭის სამხრეთ- დასავლეთით, ასაკენური ტომი, დორიელები.
ალოსი-პელაზგია, შემდგომი თესალია.
ტრექისი-ქალაქი მალის უბეში, თერმოპილესაგან დასავლეთით.
ფთია-ფტიოტისი, აქილევსის სამშობლო.
ფილიკე- (ფილისი) ადგილი ჩრდილო აღმოსავლეთ თრაკიაში.
იოლკოს- არგონავტელთა ლაშქრობის საწყისი პუნქტი, მდებარე ასევე პელაზ-გთა მიწა-წყალზე.
...ტროადის მხარეს
ტროა-ცნობილი წარმომადგენელი ჰექტორი.
დარდანია-ასევე ცნობილი წარმომადგენელი ენეასი.
ლარისაში დასახლებული პელაზგები-სავარაუდოდ აზიელები.
ჰალიძონები-ალიბები მცირე აზიიდან.
პაფლაგონები - სინოპას ნახევარკუნძულზე დასახლებული ტომები (სინდური, კიმერიელები...ამ ტომს ტროას ომში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო)

ცხადია ჰომეროსი გემების (შესაბამისად ტომებისა და თემების)მისეულ აღწერაში იმ რეალობას გულისხმობს, რაც მისი ეპოქისათვის (ტროას ომიდან 6- 7 საუკუნის შემდეგ) ჩამოყალიბდა (1) ტომების ამ განლაგების მიხედვით, ძნელი არ უნდა იყოს ელინური ტომების გავრცელების სურათის აღდგენა. მხე-დველობაში მისაღებია ის რეალობა, რომ მოსახლეობის რაოდენობა მთელ მსოფლიოსა და მათ შორის საბერძნეთში განუზომლად მცირე იყო, შესაბამი-სად ტერიტორიებიც მეჩხრად დასახლებული. ელინები, მიუხედავად გაბატო-ნებული მოსაზრებისა, ინდოეთის ოკეანის სანაპიროს გაყოლებით ჩანან სამ-ხრეთ ევროპისაკენ მიგრირებული. (ელინთა მიგრირების პროცესი დამატე-ბითი კვლევის ობიექტს წარმოადგენს) ბერძნებმა დაიკავეს არგოლიდა, კეფა-

ლონია, (ნაწილობრივ) ხალკიდა. სავარაუდოდ ამ ტერიტორიებზე შედარებით მეჩხრად დასახლებული პელაზგების სრული ასიმილაცია ხდება იმავე ელინურ ტომში, რომელიც სტრიქონებს შორის იკითხება იმავე იაზონის კოლხური ლაშქრობისა თუ ტროას ომის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ლეგენდებში.

საინტერესოა ჰომეროსისეული ფრაზა, რომლითაც ის აღმოსავლეთ პელაზგურ მიწებს აღწერს (იმათ, რაც მისი ეპოქისათვის ჯერ კიდევ შემორჩა არა ასიმილირებული ბერძნებთან, ელინებთან):

"ახლა ვუმღეროთ პელაზგურ არგოსში მცხოვრებთ, ალოსს, ალოპეს, ტრექისსა და ფტიაში დასახლებულთ" (ილიადა,II- სიზმარი, ბეოტია ანუ ხომალდთა სია. თბილისი 1978 წ)

ალოსი, ტრექისი და ფტია- დღესაც ადვილად საპოვნელი რეგიონებია რუქაზე. როგორც ფრაზის კონტექსტიდან ჩანს, ასეთივე ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი რეგიონია პელაზგური არგოსი. ჰომეროსის მთელ ნაწარმოებს წითელ ხაზად გასდევს, რომ არგოსი დანაელთა და იმავე არგიველთა სამშობლო და მათი კუთვნილი (უკვე კუთვნილი!) ტერიტორიაა. ცხადია ელინური და პელასგური არგოსი ორი სხვად სხვა რეგიონი და ტერიტორიაა . პელასგური არგოსის შესახებ მეტ მონაცემებს პოეტი არ ახმოვანებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსის აზრით, პელაზგური **არგოსის** ხსენებით მან სრულყოფილად მიანიშნა მისი ადგილმდებარეობაც. ასეთ შემთხვევაში, პელაზგური არგოსის მიმათითებელ ერთადერთ ატრიბუტად მისი ფორმა გვევლინება, რომელიც იმ მეორე, ელინური არგოსის იდენტური უნდა იყოს.

ასეთი ნახევარკუნძული ნამდვილად არსებობს და ეს ხალკიდიკა უნდა იყოს, ათონის ყურესთან, რომელიც იოლკოსთან (ადრევე ასევე პელაზგური ტერიტორია) უერთდება ფტიას(2), ასევე პელაზგურ ტერიტორიას თერმოპილესთან, რომელიც ფაქტიურად არგოსის (ელინურის) შემცირებულ კონტურებს იმეორებს.

კვლევის თვალსა ზრისით საინტერესოა აქილევსის ერთი ფრაზა, რომელსაც ჰომეროსი ათქმევინებს:

„პელაზგთა და დოდონათა ღმერთო „ (იქვე, გვ 147)

აქილევსის მონოლოგიდან ჩანს, რომ უძველესი პანთეონი ღმერთებისა- პელაზგთა კულტურის განუყოფელი ნაწილია. რაც შეეხება ფრაზის მეორე ნაწილს, დოდონას არა ერთხელ ახსენებს ისტორიკოსი ჰეროდოტე, და ის ყოველთვის ადგილის აღმნიშვნელი ეპითეტია და არა ტომისა, ან თუნდაც თემისა (სავარაუდოა რომ ქართულ თარგმანში ტექსტის არასწორ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე)

ჰომეროსი, რომელიც ხელმძღვანელობს მისი დროისათვის არსებული

რეალობით, თავისი ნაწერებით არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განისაზღ-ვროს პელაზგთა ეთნიკური მიკუთვნებულობა, თუმცა უდავად მრავალ საინ-ტერესო ცნობებს გადმოგვცემს მათზე (და არა მხოლოდ მათზე)

(პელაზგთა ტომის ვინაობის გარკვევის მეტ-ნაკლებად ზუსტ საშუალე-ბას სულ ორი ისტორიკოსის ცნობების შეპირისპირება გვაძლევს: დიოდორე სიცილიელისა და ჰეროდოტესი. ამდენად ეს ავტორები თემის ბოლოს იქნება განხილული)

გაკვრით შეეხო პელაზგთა თემას აპოლონ როდოსელიც:

„მალე ნისლებში თვალს მიეფარა პელასგთა მიწა ყანები უხვი“

(აპოლონ როდოსელი; არგონავტიკა; წიგნი I-580 თბილისი 1975 წ)

სახელთა საძიებელში, ტექსტის განმარტებაში ნაჩვენებია, რომ პელასგ-თა თემი-ეს თესალიელთა თემია, რაც მთლად კორექტული არ უნდა იყოს. ჰე-როდოტეს მიხედვით, ყოფილ პელასგიაში უკვე თესალიური ტომები ცხოვრ-ობს. ამის შესახებ სადღაც უკვე დავწერეთ, რომ თესალიელები-ეს იაზონის კუ-თვნილი ტომისა და დასავლეთ პელაზგური შტოს გაერთიანებული ტომია,რო-მლებიც თესალიელიად მხოლოდ იაზონის შვილის გამეფების შემდეგ იხსენე-ბა. ტომი მუდმივად განიცდის ელინიზაციას და ეს პროცესი ჰეროდოტეს ეპო-ქისათვის უკვე დასრულებული ჩანს და ტომი უკვე ბერძნულენოვანია (3)

არგონავტების თემას, შესაბამისად პელაზგებს გვერდს ვერ უვლის სტრა-ბონიც:

„დემეტრიი ამბობს, რომ აქილევსმა დაარბია ლესბოსი და სხვა ადგილები , მაგრამ დაინდო ლემნოსი და მეზობელი კუნძულები იასონთან და მის შვილ-თან, ევნემთან ნათესაობის გამო, რომელიც მაშინ კუნძულ ლემნოსს ფლობდა. როგორ შეიძლება , რომ პოეტმა (ჰომეროსმა) რომელმაც იცოდა რომ აქილევ-სი და იასონი იყვნენ ნათესავები, თანამემამულენი თუ მეზობლები თუ რა-ღაც მეგობრები (და ეს ნათესაობა აიხსნება არა სხვა რაღაცით, თუ არა იმით, რომ ორივე თესალიელები იყო- ერთი იოლკოსიდან, ხოლო მეორე აქაიური ფტიოტიდიდან“(4)(სტრაბონი; წიგნი I; 2-38)

სახელგანთქმული ისტორიკოსი აქ უხშად ცდება: თუ მისი ეპოქისათვ-ის, (თვით ჰეროდოტეს ეპოქისათვისაც) ფტიოტიდა და იოლკოსი-ეს თესალიაა, აქილევსის და იაზონის ეპოქაში-ეს პელაზგიაა (თესალიას ეს სახელი დაერქვა იაზონის და მედეას შვილის, თესალის სახელის მიხედვით),პელაზგიურია აქვე მდებარე ნახევარკუნძულიც, რომელსაც ჰომეროსი კარტოგრაფიული მსგავსე-ბის გამო პელაზგიურ არგოსს უწოდებს და რომლის ფტიოტიდასთან შეერთე-ბის ადგილას ქალაქი იოლკოსი დევს, პაგასეს ყურესთან და რომელსაც აპოლონ როდოსელი ერთმნიშვნელოვნად მინიურად აცხადებს. იაზონისა და აქილევ-სის ნათესაობა უბრალოდ გამორიცხულია:ერთი მინიაა, მეორე პელაზგი, თუმ-

ცა ეს ხელს არ უშლით, რომ ორივეს ერთი და იმავე აღმზრდელი (რასაკვირ-ველია სხვადასხვა დროს) ჰყავდეთ, კენტავრი ქირონი. იაზონი და აქილევსი მხოლოდ მეზობლები ჩანან....

„რომაელები ახსენებენ ტირენეელებს ეტრუსკებად და ტუსკებად...უნდა ით-ქვას ქალაქ კერეს (ეტრუსკულიქალაქი) მცხოვრებთა გმირობაზე; კერეელებმა დაამარცხეს გალატები, რომელთაც რომი აიღეს. ისინი თავს დაესხნენ უკან გა-მობრუნებულ გალატებს საბინთა ქვეყანაში, წაართვეს მათ მთელი ნადავლი, ასევე ის,რაც რომაელებმა თავისი ნებით მისცეს გალატებს, გარდა ამისა , მათ შეიკედლეს ყველა ლტოლვილი, მათ შორის რომაელები. დაიხსნეს მუდმივი ცეცხლი ვესტის ქურუმ ქალთან ერთად... ბერძნებთან ამ ქალაქმა სახელი გაითქვა ვაჟკაცობით და სამართლიანობით. სინამდვილეში, ისინი არა მარტო თავს იკავებდნენ მეკობრეობისაგან, თუმცა ქალაქი საკმაოდ მძლავრი იყო. სწირავენ დელფოს სამისნოს ეგრეთ წოდებულ ა გილიელების განძს, თანამედ-როვე კერეიას ადრე აგილია (5) ერქვა და როგორც ამბობენ დაფუძნებული იყო პელაზგების მიერ (6), ჩამოსულები თესალიიდან...რაც შეეხება პელაზგებს,თი-თქმის ყველა თანახმაა, რომ რომელიღაც უძველესი ტომი ამ სახელით გავრ-ცელებული იყო მთელ საბერძნეთში, განსაკუთრებით ეოლიელებსა და თესა-ლიელებს შორის. ეფორი ფიქრობს (მისი სიტყვებით) რომ ისინი იყვნენ პირ-ველად არკადიელები, აირჩიეს მეომრის ცხოვრება, და გადააქციეს ბევრი ასე-თივე ცხოვრების მიმდევრებად, ყველას გადასცეს თავისი სახელი, ძალიან გაითქვეს სახელი ბერძენთა და სხვა ხალხებს შორის, რომელთანაც მხოლოდ მათ არ უხდებოდათ ურთიერთობა. დანამდვილად, ისინი იყვნენ კრეტაზე და-სახლებულებიც, როგორც ჰომეროსი ამბობს: სხვადასხვა ისმის აქ ენა: იქ პოუ-ლობ აქაელებს, მეომარი კრეტელების პირველ ტომს; კიდონები იქ ცხოვრო-ბენ, დორიელები ხუჭუჭთმიანები, პელასგთა ტომი...

და თესალიას (პენეის შესართავსა და თერმოპილს შუა მთიან ქვეყნამდე პინდამდე) ეწოდება პელასგური არგოსი, იმიტომ როდესაც პელასგები ფლო-ბდნენ ამ ქვეყანას, ასევე დოდონას ზევსს თვითონ პოეტი არქმევს პელასგურს: ზევსი პელაზგური, მბრძანებელი, დოდონელი. ბევრი უწოდებს ეპირულ ტომს პელაზგურს, ფიქრობს რომ პელაზგებმა გაავრცელეს თავიანთი ძალაუფლება ამ საზღვრამდე. ისედაც მრავალ გმირს არქმევდნენ პელასგის სახელს, გვიან-დელმა ხალხმა ამ გმირების სახით მრავალ ხალხებს დაანათლეს სახელი. ასე მაგალითად , მათ დაარქვეს ლესბოსს პელაზგური, და ჰომეროსი კილიკიელთა მეზობლებს ტროადაში პელაზგებსუწოდებს:

ჰიპოფრეი მეთაურობდა შუბით მებრძოლ პელაზგებს,
ისინი, რომლებიც ბორცვდებიან ლარისაში,
ღრუბლიან მინდვრებზე ბინადრობენ.

გარდა ამისა, ესქილეს «მახვეწარები» თუ «დანაიდები» გამოყავს მათი წარმომავლობა არგოსიდან, რომელიც მიკენის ახლოსაა. ეფორის ცნობით, პელოპონესი იწოდებოდა პელასგისად.(7) ევრიპიდე «არხელაეში» ასევე ამბობს:
ორმოცდათი გოგოს მამა დანაე,
მისული არგოსში, დაარსა ინახეში ქალაქი,
და ყველა პელაზგთა სახელს ვინც ატარებდა,
დანაელთა სახელის ტარება უბრძანა ელადაში.
<u>შემდეგ ანტიკლიდი ყვებოდა, რომ პელასგებმა პირველებმა დაასახლეს ტერიტორიები ლემნოსის და იმბროსის ახლოს და სინამდვილეში მათი ნაწილი, ტირენეს მეთაურობით, ატისის შვილისა, გადავიდა იტალიაში(8). და შემდგენელი «ატფიდის ისტორიისა» გვამცნობენ აგრეთვე პელაზგების ყოფნას ათენში.“</u> (სტრაბონი; წიგნი V; თავი 2;3-4)

უნდა გავითვალისწინოთ, რ ომ პელაზგთა ტომის ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ მრავალრიცხოვანი ცნობა მხოლოდ სტრაბონთან და ჰეროდოტესთან იძებნება,ამდენად მათი ყოველი კომენტარი ამ ტომის შესახებ,უკიდურესად საყურადღებოა და ყურადღებით შესასწავლი:

1.ის, რომ <u>პელაზგყოფილი ეტრუსკები</u> დელფოს სამისნოს სწირავენ აგილიელთა განძს (რომლის მიღება მხოლოდ წინაპარი აგილიელებისაგან შეეძლოთ) პირდაპირ მიანიშნებს ამ ხალხების, ადგილობრივი პელაზგების და აგილიელების იდენტობას

2. სტრაბონის სიტყვებით ,კერეელთა ქალაქი -პოლისი ელინიზირებულია და ის ბერძნულ ენაზე საუბრობს, განსხვავებით ლიდიელი ეტრუსკებისა, რომელთაც საკუთარი მეტყველება გააჩნიათ.

3. სტრაბონისვე სიტყვებით, პელაზგური ტომის ყველაზე მეტ გავრცელებას ეოლიელებს და თესალიელებს შორის აქვს ადგილი. თესალიელები, ეს ადგილობრივი (ადგილობრივ- ეოლიური და ჩამოსახლებული მინიური) და იონიური (ეპირული-კოლხური) ტომების ურთიერთშერწყმული შედეგად ჩამოყალიბებული ტომია.

4. ის, რომ პელაზგებმა დაასახლეს ტერიტორიები კუნძულ ლემნოსის ახლომახლო და მათი ნაწილი ატისის შვილის , ტირენეს მეთაურობით გადავიდა იტალიაში, ეტრუსკთა პელაზგურობას უსვამს ხაზს. (თუმცა როგორც ირკვევა, ეტრუსკთა პელაზგურობა სრულიადაც არ უშლის ხელს მათსავე ლიდიურობასაც)...

5. სტრაბონი ერთპიროვნულას აცხადებს ეპირულ ტომს პელაზგურად, რაც იძლევა საშუალებას ამავე ტომის იდენტიფიცირებისა სხვა, საზოგადებისათვის უფრო ცნობადი დასახელების ტომით (იხ. ქვემოთ)

6. ის, რომ ს აბერძნეთი ელინური ტომების შემოსვლამდე თითქმის მთლიანად

პელაზგური ტომებით იყო დასახლებული, თვით სტრაბონის სიტყვებიდანაც საეჭვო აღარ უნდა იყოს (ასეთივე აზრისაა ჰეროდოტეც)

7. სტრაბონის (ეფორის) სიტყვებით, ეს ის ტომია, რომელმაც აირჩია მეომრის ცხოვრება და ეს ხელოვნება სხვასაც კი შეასწავლა!

8. სტრაბონის სიტყვებით, თვით კუნძულ კრეტას პირველმცხოვრებლებიც პელაზგები იყვნენ.

9. სტრაბონისვე მოწოდებული ცნობებით, თვით პელოპონესი იწოდებოდა პელასგისად. სტრაბონის სიტყვები სრულიად რეალურ დატვირთვას იძენს, ვინაიდან როგორც ანტიკური მწერლების ცნობებითვე ირკვევა, არკადიელი პელაზგები, კორინთელები (კოლხები) და თვით არგოსიც (ელინური!), ელინთა ჩამოსახლებამდე პელაზგები ყოფილან.

10. სტრაბონის სიტყვებით, თვით ევრიპიდეც დარწმუნებული იყო, რომ არგოსიც (ელინური!) თავდაპირველად პელაზგებით ყოფილა დასახლებული.

11. ის რომ პელაზგური მოსახლეობა ვრცელდება თვით ეპირშიც (რასაკვირველია მის ორგანულ ნაწილშიც, ილირიასა და ენეტიკაშიც) რომელიც ჩვენი კვლევების თანახმად კოლხთა პირველსამშობლოა,ქართველური (პელაზგური) ტომის დასავლეთი შტოსი, კვლევას ხელშესახებ და რეალურ მიმართულებას აძლევს!

12. ...და ყველაზე სენსაციური, იგივე სტრაბონისბოლო აბზაციდან გამომდინარე: <u>ეს დანაემ, ორმოცდაათი ქალიშვილი მამამ, პელაზგ სიძეებს დირექტიულად უბრძანა, ელაპარაკათ მხოლოდ ელინთა ენაზე...</u>როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია...**"თესალია დაყოფილია 4 ნაწილად. ერთ ნაწილს ეწოდება ფტიოტიდა, მეორე-გასტიოტიდა, მესამე-თესალიოტიდა და მეოთხე პელასგიოტიდა. (სტრაბონი; წიგნი IX; თავი 5-3)**

თვით სტრაბონის ეპოქაშიც კი,როდესაც პელაზგების ელადაში დაჩენილი ნაწილი დიდი ხანია ასიმილირებული ჩანს ბერძნებში, ქვეყნიერების ნაწილს მაინც შემორჩენილი უჩანს მათი სახელი:

„შედარებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა სკიროსს, ლიკომედსა და აქილევსს შორის ოჯახური ნათესაობის გამო, ასევე ამ კუნძულზე აქილევსის შვილის, ნეოპტოლომეს დაბადებისა და აღზრდის გამო"(იქვე; წიგნი IX; თავი 5-16)

ციტატით იკვეთება კუნძულ სკიროსის, როგორც პელაზგთა (პელაზგი აქილევსის სისხლისმიერი ნათესაობა) მიკუთვნებულობის საკითხი, რომელიც როგორც ელადის უმრავლესი ნაწილი, ასევე პელაზგური ყოფილა"

„თეოპომპის სიტყვებით ეპირული ტომი 14-ია. ყველაზე ცნობილები მათგან ხაონები და მოლოსებია...უკანასკნელებმა მიაღწიეს უფრო დიდ აღიარებას ,თავიანთი მეფეების მაღალი ჩამომავლობის გამო (ისინი მიეკუთვნებოდნენ ეაკიდთა საგვარეულოს, რომელსაც ჩამომავლობა ზევსიდან მოჰყავდა) (9) ასევე

იმიტომ, რომ მათ ქვეყანაში მდებარეობდა დოდონას სამისნო, უძველესი და ცნობილი“(სტრაბონი; წიგნი მე-7-ე; 7-5)

სტრაბონი ერთმნიშვნელოვნადა ცხადებს, რომ ეპირში, დოდონაში მდებარეობდაპელაზგთა უძველესი სამისნო:

„წარსულ დროში, როგორც მე ვთქვი, მთელი ეპირი და ილირია იყო მჭიდროდ დასახლებული, თუმცა ეს ქვეყანა უსწორმასწოროა და დასერილია მთათა სისტემით. ახლა დიდი ნაწილი დაცარიელებულია და დასახლებული ოლქები წარმოდგენილია მხოლოდ სოფლებით და ნანგრევებით. გაჩუმდა თვით დოდო-ნას სამისნოც, როგორც სხვა სამისნოები“ (სტრაბონი;იქვე; წიგნიVII-9)

აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ერთად ახსენებს და არ განაცალკევებს ეპირს (კოლხეთყოფილს) და ილირიას (ზან-ზიხეთს)მათ ერთ ორგანიზმად თვლი(10) რომელიც ისტორიის ადრეულ ეტაპებზე, ერთი და იმავე, დასავლურ-პელაზგური ტომებით იყო დასახლებული. გაცილებით გვიან, ვიდრე ჰეროდოტე, მაგრამ უფრო ადრე, ვიდრე სტრაბონი, წერდა რომაელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ციცერონი (2-1 საუკუნე ჩ. წ. აღრიცხვამდე) ეპირისა და დოდონას სამისნოს შესახებ:

„დავათვალიერე ტყიანი მონაკვეთი ტერენციისა. რა შემიძლია გითხრა? თუ არ ჩავთვლით დოდონას მუხის არ არსებობას აქ, არაფერი გვიშლის ვიფიქროთ, რომ ჩვენ ვლობთ თავად ეპირს“ (ციცერონი; წერილი 31-5)

ცხადია, ჰეროდოტეს, ციცერონის, სტრაბონის და პლინიუს უფროსის ცნობები ეჭვგარეშე მიუთითებს დოდონას სამისნოს ეპირში მდებარეობას. ციცერონის სიტყვებით, თვით მისი ეპოქისათვისაც კი, დოდონას მუხა და შესაბამისად სამისნოც უკვე აღარ არსებობდა. რაც შეეხება ციცერონის ილუზორულ ფიქრებს რომის მიერ ეპირის ფლობის შესახებ, თითქმის ორი საუკუნე დასჭირდა რომს ამ უკანასკნელის სრულ დამორჩილებისათვის.

„ეს სამისნო, ეფორის სიტყვებით, პელაზგების მიერ იყო დაარსებული და პელაზგები იყვნენ უძველესი იმ ტომთაგან, რომელნიც მბრძანებლობდნენ საბერძნეთში. ჰომეროსი ამბობს მათზე ასე: ზევსი პელასგური, დოდონური, შორს მცხოვრები მბრძანებელი...და საერთოდ, დავუძახოთ თუ არ ამათ გელები, პინდარეს მიხედვით, თუ სელები, როგორც ფიქრობენ უნდა იკითხებოდეს ჰომეროსთან, ამაზე შეიძლება გარკვეული პასუხის გაცემა“...(სტრაბონი; წიგნი VII-9)

კიდევ ერთხელ სტრაბონის კალმით გაცხადებულ უძველესი ჭეშმარიტებას, რომ პელაზგები საბერძნეთის პირველმაცხოვრებელი <u>(და ერთადერთი)</u> ტომია.

„ძველ დროს დოდონა ფესპროტების ძალაუფლების ქვეშ იყო, როგორც მთა ტომარი, რომლის ძირში დევს სამისნო, ტრაგიკოსები და პინდარე უწოდებენ დოდონას«ფესპროტულს»შემდგომში ის გადავიდა მოლოსების ხელისუფლე-

ბის ქვეშ“ (იქვე;VII-11)

სტრაბონის ეპოქაში, როგორც თვითონვე აღნიშნავს ,დოდონას სამისნო (როგორც სხვა დანარჩენი სამისნოები) ''გაჩუმდა''. ცხადია, სამისნოს ფესპროტებიდან მოლოსებზე გადასვლა, სტრაბონზე და თვით ციცერონზე უფრო ადრეულ პერიოდს შეეხება, რომელთა ეპოქაში დოდონას სამისნო მათივე სიტყვებით, უკვე გაჩუმებული ჩანს....

...მაგრამ ფლობდნენ თუ არა ფესპროტები (რომელთა კოლხური, შესაბამისად ქართველურ ტომებად დამტკიცება გართულებულია) დოდონას სამისნოს დაარსებიდანვე?

„კინეია მბობს, რომ თესალიაში არის ქალაქი , რომ მუხა და ზევსის სამისნო გადატანილია აქედან ეპირში. ..წარსულ დროში სამისნო მდებარეობდა სკოუტექსის ახლოს, პელასგიოტიდის ქალაქისა. მას შემდეგ, რაც ვიღაცამ დაწვა ხე, სამისნო აპოლონის მისანის გამკარგულებით, გადატანილ იქნა დოდონაში“ (სტრაბონი; წიგნი-VII; ფრაგმენტები 1-1ა)

უფრო პირდაპირი მტკიცების პოვნა უბრაოდ შეუძლებელია, დოდონას სამისნო გადატანილ იქნა პელაზგიის ერთი ნაწილიდან, ყოფილი ეოლიელებიდან (ხალდებიდან) მეორეში, ასევე პელაზგებთან, იონიურ (კოლხურ) ტომში, პელაზგიოტიდიდან-ეპირში (პელაზგიეში) სავარაუდოა, რომ სამინოს გადატანის სტრაბონისეული ვერსია ზედაპირულია, არასწორი და მუხის გადაწვასთან სავარაუდოდ კავშირი არც უნდა ჰქონდეს. სავარაუდოა, რომ დასავლეთის პელაზგების კომპაქტური დასახლება კოლხების (და ზან-ზიხების) სახით, შედარებით მეტ ხანს დარჩა ელადაში (უკვე ელადაში) ვიდრე აღმოსავლეთის პელაზგებისა, ეოლიელბისა და იბერებისა, რომლების დიდი ნაწილი მიგრირებული ჩანს აზიის კონტინენტზე. თვით აიოლიდის ქვეყანა, ეოლიელების საბინდარო, ძირითადად თესალიელებმა დაიკავეს, უკვე ნაწილობრივ ელინიზირებულმა ტომებმა . საყურადღებოა, რომ ფოკიდას (დელფოს) სამისნო ეოლიურია (ხალდეურია) ასევე ფუნქციონირებს და ზუსტად ის წარმოადგენს აპოლონის სამისნოს...

ვერც კოლხებმა აუარეს ელინიზაციის პროცესა გვერდი, ხოლო მოგვიანებით მათივე ბედი გაიზიარეს ილირიელებმა, ზანებმა და ზიხებმა.(ასევე ისტრების კოლხურმა ტომმაც, ილირიელთა გაგრძელებაზე ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე) რაც შეეხება ილირიის და ისტრების გაგრძელებას, ასევე პელაზგურ ენეტიკას (ჭანებს-ხალდებს) მათ შეძლეს თავიანთი საცხოვრისი ტერიტორიების შენარჩუნება, რამეთუ მე-4-ესაუკუნიდან ჩვ.წ. აღრიცხვამდე, უკვე რომის მფარველობის (შესაბამისად მოქალაქეობის) ქვეშ იმყოფებოდნენ, თუმცა მთლიანად დაკარგეს ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, ენა...

...და ერთი საჩოთირო საკითხი, რომელსაც მონდომებით უვლის გვერდს

ბერძნული პოეზია: თუ გავიხსენებთ ოქროს საწმისის მოტაცების (მოპარვის) სურათს, პელაზგმა და ელინმა გმირებმა დოდონას ახალი სამისნო გაძარცვეს:

აქ მწვანე ველზე მოდრიკა მუხლი პირველად ვერძმა , როცა კოლხეთში
ჩამოიყვანა ქებული ფრიქსე, <u>მინეიოს ათამანტის ძე,</u>
იქ ჩანდა ფუძე გაჭვარტლული და ჩამოქცეული საკურთხევლისა,
რაც აღუმართა ოდესღაც ფრიქსემ ლტოლვილთა მფარველ ფიქსიოს ზევსსა,
როდესაც ოქროს ის საოცრება მსხვერპლად შესწირა უზენაესსა-
მას შემდეგ , რაც მას კეთილი ზრახვით შეხვდა ჰერმესი, და ესუბრძანა.
ახლა მედეა და იაზონი აქ გამოგზავნეს, არგოსის რჩევით
წმინდა ჭალაკის ბილიკს დაადგნენ დაფეხაკრეფით წავიდნენ წინა,
რათა ეპოვათ უზარმაზარი ბებერი მუხა, რომლს თავზეც
ოქროს საწმისი ეკიდა მაღლა, შესახედავად ღრუბელს რომ ჰგავდა "
(აპოლონ როდოელი, არგონაცტიკა; წიგნიIV ; 116-125)

უკიდურესად საყურადღებოა, რომ აქ აპოლონ როდოსელი ფრიქსეს ტომობრივი მიკუთვნებულობის შესახებ ცნობას იძლევა, ის მას მინეიოსს უწოდებს, რაც ზუსტად შეესაბამება ამავე ადგილზე ჰომეროსის მიერ დაფიქსირებულ მინიათა ტომს!.. საინტერესოა, რომ სტრაბონი პელაზგთა მრავალრიცხოვან ჩამონათვალში (იხ. წინა ციტატა) რეალურად პელაზგთა მხოლოდ ერთ ტომს, ეოლიელებს აღნიშნავს. მის მიერ პელაზგთა ჩამონათვალში მოხსენიებული: არკადიელები, თესალიელები, ეპირელები, ლესბოსელები, ლემნოსელები, იმბროსელები -რეალურად პელაზგთა საცხოვრის ადგილს, რეგიონს ასახავს და არა მათ ტომობრივ მიკუთვნებულობას.

რაც შეეხება მის მიერ ამავე ციტატაში ნახსენებ აგილიელებს, აქ დახმარება უკვე სხვა ავტორებმა უნდა გაგვიწიოს:

„ამის შემდეგ ჰეკატა გათხოვდა აიეტზე და გაუჩინა მას ორი გოგო-კირკე და მედეა, ასევე ვაჟი ეგიალეა“
(დიოდორე სიცილიელი; წიგნი IV-45)

მკითხველს მოეხსენება, რომ ჰეკატა აიეტის მეუღლე არ ყოფილა და არც კირკეა მისი ქალიშვილი, აქ საინტერესო აფსირტეს ეგიალედ მონათვლის ფაქტია. ეს სახელი უკვე პელაზგურ-იონიურ-კოლხურ ტომთან ასოცირდება...

„დაპყრობილი მიწების ნაწილს ის უერთებდა თავისი სიმამრის სამეფოს, რომ გაექარვებინა მისთვის წინა ლაშქრობით მიყენებული წყენა, რომლის დროსაც იაზონმა მოიტაცა აიეტის ქალიშვილი მედეა, და მოკლა მისი ვაჟი ეგიალეა“
(პომპეი ტროგი, ფილიპეს ისტორია)

ანალოგიურად, აქაც ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს იაზონის (ვითომცდა) სხვა ლაშქრობები, რომლის დროსაც ის აფართებს კოლხთა სამეფოს, თუმცა აფსირტეს ეგიალეთი ჩანაცვლება აქაც სახეზეა-უკვე სხვა ანტიკური

წყაროს და სხვა ქრონოგეაფის მიერ.

აფსირტეს ეგიალედ გადაქცევის ფაქტს გამოეხმაურა ციცერონიც:
„ხოლო რა ვთქვა მის ძმა აფსირტეზე (პაკუვიისთან ის ატარებს სხვა სახელს- ეგიალეს, მაგრ ძველი სახელი უფრო გამოიყენება ძველ წიგნებში)“ (ციცერონი, ღმერთების ბუნებაზე; წიგნი IV-46)

ის რომ „ახალი“ მწერლების მიხედვით აფსირტეს სახელი უკვე ეგიალეა, და რომელიც ციცერონის სიტყვებით პაკუვიიდან (III-საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხ-ვამდე) ღებულობს სათავეს , ცხადად მიანიშნებს: ეგიალე შედარებით ახალი, პელაზგების შემდგომი ტერმინია ანტიკურ ლიტერატურაში.

პელაზგების თემაში გარკვეული სინათლე შეაქვს თუკიდიდეს, მონაწლეს და ავტორს „პელოპონესის ომების ისტორიისა“:
„დასახლებულია ის ორენოვანი ბარბაროსული ტომებით. მათი მცირე ნაწილი ხალკიდელებია (ელინები) ძირითადად ესენი პელაზგებია ტირსენთა ჩამომა-ვალი, რომლებიც ოდესღაც ცხოვრობდნენ ლემოსსა და ათენში“
(თუკიდიდე, ისტორია პელოპონესის ომებისა; წიგნი 4 -109)

ეს ის გამონაკლისი შემთხვევა , როდესაც ტირსენები და პელაზგები მოხსენიებულია წინაპართა და შთამომავალთა რანგში და თავისთავად უნიკა-ლურ ლიტერატურულ- ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს და გარკვეულ ისტორილ საიდულოსაც ხსნის...ამასთან, თუკიდიდეს მიერ ნახსენები ტერ-მინი-ტირსენი, ცალსახად მიუთი-თებს მათი რაღაც პერიოდი იტალიაში ცხოვ-რების აუცილებლობას. (ამაზე უკვე IIტომში ვისაუბრეთ)
„ქალაქში იმყოფებოდნენ აგრეთვე ჩამოსახლებულნი არგილიდან (ანდროსის კოლონია) და სხვა ვიღაცეები, შეთქმულთა მომხრენი (ერთნი შეაგულიანა პერ-დიკამ, სხვა ხალკიდელებმა) განსაკუთრებით დაეხმარნენ გამცემებს არგილი-ელები. არგილიელები ცხოვრობდნენ რა ამფიპოლის სიახლოვეს, ათენელებში ისინი დიდი ხანია ეჭვს იწვევდნენ თავიანთი პრეტენზიებით ამ ქალაქზე. არ-გილიელებმა უკვე დიდი ხანია დაიწყეს მოლაპარაკება თავიანთ თანამემამუ-ლეებთან ამფიპოლში ქალაქის ჩაბარებაზე. ახლა როდესაც ბრასიდის (ლაკედე-მონელთა წინამძღოლი) მოსვლით დადგა შესაფერისი მომენტი, ისინი აჯანყდ-ნენ ათენელების წინააღმდეგ და შემოუშვეს ქალაქში ბრასიდი.” <u>შენიშვნა</u>:
ქალაქი არგილი მდებარეობდა მდინარე სტრიმონზე, ამფიპოლსა და სტაგირს შორის. ის იხდიდა დაახლოებით 1000 დრახმის ტოლ გადასახადი“(იქვე; წიგნი 4-109)

თუკიდიდე აქ ქალაქ არგილს აღნიშნავs, თუმცა ქალაქის დასახელება მი-სივე მოქალაქეების, აგილიელების სახელიდან მოდის. აქაც, თუკიდიდეს წინა პლანზე აქვს გამოტანილი არგილთა თემა, რომლებიც ქალაქ ამფიპოლში მომ-ხდარი დრამის აქტიური მონაწილენი ჩანან. აგილიელებს აქვთ პრეტენზიები

ქალაქ ამფიპოლისადმი და ეს პრეტენზიები მხოლოდ ტერიტორიული უნდა იყოს. ამფიპოლი ედონების მიერ დაარსებული ქალაქია, შესაბამისად მათი პრეტენზია ამ რერიტორიაზე, აგილიელთა ავტოხთონობაზე უნდა მიუთითებდეს...და არგილების ტომობრივ მიკუთვნებულობას თუკიდიდე თავადვე ახსენებს-ისინი ანდროსის კოლონია გახლავან, ერიტრიელები...ერიტრე-ეს იბერიულიპოლიტიკური წარმონაქმნ იყო...

ქალაქ - პოლისი, ამფიპოლი გადასახადს არ იხდის, თუმცა მთელი რეგიონის გადასახადების ადიმინსტრირება ამფიპოლიდან ხდება. რაც შეეხება საკუთრივ ქალაქ არგილს, როგორც წინა შენიშვნიდან ჩანს, ათენელთა კავშირში ის 1000 დრახმას იხდის.ამასთან,არგილი ცდილობს ათენელთა დიქტატისაგან განთავისუფლებას, რაც ამ კავშირში არგილის წევრობის არა ნებაყოფილებითი ხასიათის აშკარა ნიშანი. სავარაუდოდ, ეს ჯერ კიდევ პელაზგური, არაასიმილირებული იბერიული ტომი უნდა იყოს, ამ დროისათვის იონიურად ცნობილი. ...თუკიდიდეს კომენტატორის განმარტებით, ედონელები-ეს იგივე გრესტონელებია, რაც არ შეესაბამება რეალობას. გრესტონია, იმავე ჰეროდოტეს სიტყვებით ყოფილი პელაზგიაა, უძველესი ავტოხთონი მოსახლეობით, მაშინ როდესაც ედონები-ეს ყველა შემთხვევაში შედარებით გვიან მოსული ტომი ჩანს.

უფრო სიტყვამრავალია პელაზგებისა და მათი საცხოვრისი ადგილების აღწერისას ჰეროდოტე. ის ფაქტიურად პელაზგებს ყველგან წარსულ დროში ახსენებს და ხაზს უსვამს მათ ასიმილაციას ბერძენებთან:

„თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ პელაზგები, ამის თქმა არ შემიძლია დანამდვილებით, ხოლო თუ შესაძლებელია იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ახლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენთა ზემოთ (11) ქალაქ კრესტონში (12) და რომლებიც ემეზობლებიან ახლა დორიელებად წოდებულებს (მათ ეკუთვნით ის მიწა, რომელიც ახლა თესალიოტიდად იწოდება) (13) ან თუ შეიძლება იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ჰელესპონტში ცხოვრობენ , პლატიესა და სიკელიეში და რომლებიც ათენთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, და ასევე პელაზგური პუნქტების მიხედვით, რომლებმაც სახელი გამოიცვალეს, თუ ამის მიხედვით შეიძლება მიხვედრა, მაშინ პელაზგები ლაპარაკობდნე ბარბაროსულ ენაზე. პელაზგური მოდგმის ატიკურმა ტომმა, ელინური რომ გახდა, თავისი ძველი ენაც დაივიწყა.. .მე ვფიქრობ, ელინური ტომი, თავისი შექმნის დღიდან სულ მუდამ ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდა, პელაზგურ ტომს რომ გამოეყო, ის სუსტი იყო; დასაწყისში ის მცირე იყო, გადიდდა და მრავალრიცხოვან ტომად იქცა. ეს განსაკუთრებით იმის შედეგად, რაც მრავალი პელაზგური ტომი შეუერთდა მას და კიდევ სხვა ბარბაროსული ტომები. ხოლო მე ვფიქრობ, რომ პელაზგური ტომი, რომელიც ბარბაროსული იყო, არასდროს

გამრავლებულა დიდად“(14) (იქვე I-57-58)

ჰეროდოტე პირდაპირ აღნიშნავს, რომ პელაზგური ტომის დიდი ნაწილი შეუერთდა ელინებს და საკუთარი ენა დაივიწყა! თვით ატიკური ტომიც კი, ელინურად გახდომამდე პელაზგური იყო! რაც შეეხება ბოლო ფრაზას (თუ იგი სინამდვილეში მას ეკუთვნის) ისტორიკოსი აქ აშკარად ცდება. მომდევნო საუკუნეების ისტორიკოსის პომპონიუს მელას პერეფრაზირებას თუ მოვახდენთ, ტომები (მათ შორის პელაზგები) ა ნ აქვე აგრძელებენ არსებობას სხვისი სახელის ქვეშ, ან სხვაგან თავიანთი სახელით, ან სხვა სახელით ასევე სხვაგან. პელაზგების შემთხვევაში მელასეული სამივე ვარიანტი მოქმედი ჩანს.

„არგოს მეზღვაურთა შვილიშვილები გამოაძევეს ლემნოსიდან იმ პელაზგებმა, რომლებმაც ბრავნონიდან მოიტაცეს ათენელი ქალები“ (იქვე, წიგნი IV -145)

ჰეროდოტე აქ ლემნოსის პელაზგიზაციის პროცესს აღნიშნავს.

„ოტანესმა დაიპყრო ლემნოსიცა და იმბროსიც, ორივენი მაშინ ჯერ კიდევ პელაზგებით დასახლებული“ (იქვე, წიგნი V-26,)

ცხადია ამ კუნძულებზე პელაზგები ''არგოს'' ლაშქრობიდან მალევე გამოჩენილან (მათ არგონავტთა შვილიშვილები გამოაძევეს აქედან) და მანამ ფლობდნენ მათ სანამ:

„ხოლო მილტიადესიმა, კიმონის ძემ ლემნოსი ასე დაიპყრო: პელაზგები ატიკიდან ათენელებმა გააძევეს, სამართლიანად თუ უსამართლოდ. ვერაფერს ვიტყვი... ჰეკატაიოსი (მილეტელი) ამბობდა, თავის ისტორიაში, უსამართლოდო... ...(ბერძნებს შეშურდათ პელაზგების კარგად დამუშავებული მიწები)... როგორც კი მოვიდოდნენ ქალები (წყლის ასაღებად) პელაზგები ძალას ხმარობდნენ ამას ათენელები ჰყვებიან...იმ პელაზგებმა,რომლებმაც დაიკავეს ლემნოსი მოინდომეს ათენელებისათვის სამაგიერო გადაეხადათ... აქედან ამ ქალთაგან ელინთაგან ბევრი მოიტაცეს“. (იქვე VI-137-139)

დაზარალებულმა ბერძნებმა პელაზგებისაგან დაკმაყოფილება მოითხოვეს. მოსთხოვეს პელაზგებს დაეტოვებინათ საცხოვრისი და სხვაგან გადაბარგებულიყვნენ. დამნაშავე პელაზგები ათენელებს შეჰპირდნენ მიწის დაცლას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთის მხრივ მომქროლავი ქარის მიმართულებით, დაფარავს მანძილს ხომალდი თქვენი ქვეყნიდან (ატიკიდან) ჩვენამდეო. პელაზგები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ატიკა შორს, ლემნოსიდან სამხრეთისაკენ მდებარეობს. (შესაბამისად, ეს არამცირე მანძილი ბერძნებს ქარის საწინააღმდეგოდ უნდა გაეცურათ ერთ დღეში) მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ჰელესპონტის ქერსონესი ათენელთა ხელში იყო, მილტიადეს კიმონის ძემ წლიური ქარების ქროლვის დროს ქერსონესიდან ლემნოსამდე მანძილი ერთ დღეში დაფარა, შეახსენა პელაზგებს თავიანთი სიტყვა და აიძულა ისინი დაეტოვებინათ ლემნოსი. მარტივი ანგარიშით,

პელაზგები კუნძულ ლემნოსს 700 წელზე მეტ ხანს ფლობდნენ:

„იონიელებმა 100 ხომალდი მოიყვანეს. ისინი ისე იყვნენ აღჭურვილი, როგორც ელინები. როგორც ელინები ამბობენ, იონიელებს, რომლებიც პელოპონესის ამ ნაწილში ცხოვრობდნენ, რომელსაც ამჟამად აქაია ეწოდება ,დანაოსისა და ქსუთოსის პელოპონესში მოსვლამდე ეწოდებოდათ პელაზგი -აიგილები,იონიელები ეწოდათ ქსუთოსის ძის, იონის მიხედვით.…როგორც ელინები. ესეც პელაზგიური ტომი იყო, შემდგომში მათ იონიური ეწოდათ…ეოლიელებმა სამოცი ხომალდი მოიყვანეს, ისინიც ელინებივით იყვნენ აღჭურვილი და როგორც ელინები ამბობენ,ძველად მათაც პელაზგები ეწოდებოდათ“ (იქვე 7-94-95)

''დიდი სისულელეა იმის თქმა, თითქოს ეს იონიელები რაღაცით უფრო მეტნი არიან სხვა იონიელებზე, ანდა რაღაცით უკეთესი თავისი წარმოშობით, პირიქით, მათ შორის მცირე ნაწილი როდი უჭირავთ აბანტებს, რომლებიც ევბეიდან არიან და რომელთაც იონიასთან სახელიც კი არაა ქვთ საერთო, ამის გარდა ორქომენელი მინიები შეერივნენ მათ…არკადიელი პელაზგები… და მრავალი სხვა ტომი'' (იქვე; წიგნი 1-146;)

„ხოლო დაღუპული ნავების ხალხი კართაგენელებმა და ტირსენებმა იგდეს ხელთ, ბევრი მათგანი გამოიყვანეს ნაპირზე და ჩაქოლეს. ამის შემდეგ, აგილიელთაგან ყოველივე, რაც კი ჩაუვლიდა ამ ადგილას, სადაც ჩაქოლეს ფოკეელები, იღრძობდა რასმე, დასახიჩრდებოდა და დამბლა ეცემოდა“ (იქვე I-167)

ჰეროდოტეს ისტორიის სხვადასხვა წიგნიდან მოყვანილი ნაწყვეტები, რამდენიმე დასკვნის საფუძველს იძლევა:

1.ბერძნების მიერ დღევანდელი საბერძნეთის დაპყრობა -ათვისების პროცესში, გარდა კომპაქტურად ჩასახლებული აღმოსავლეთის და დასავლეთის პელაზგებისა, ელინებს ასიმილირებული უჩანთ პელაზგური ტომები ცენტრალურ საბერძნეთშიც.

2. მართალია პელაზგები ათენის ტერიტორიაზე ჰეკატე მილეტელის მიხედვით აკროპოლის კედლის შემოსავლებლად ჩანან მოწვეული, ხოლო შემდგომ ამავე ათენის ტერიტორიიდანვე უსამართლოდ განდევნილები, თუმცა ისინი ათენში ათენისვე მახლობელი ტერიტორიებიდან უნდა ყოფილიყვნენ მოწვეული და არა ქვეყნიერების მეორე ბოლოდან.

3. ჰეკატე მილეტელის მიხედვით, პელაზგების ელინების მიერ განდევნის მიზეზი ამ უკანასკნელთა თვალხარბობა ხდება, მათ შეშურდათ პელაზგების კარგად მოვლილი მიწების ხილვა, რომელიც მათ გასამრჯელოდ მისცეს ამ უკანასკნელებს და რომელ მიწებსაც თვითონ უვარგისად თვლიდნენ.

4. ის, რომ ელინებმა პელაზგების განდევნის საბაბად ქალებზე ძალადობა დაასახელეს, ამ ვერსიის უსუსურობას ამტკიცებს კიდეც: მათ დაჭერილი უჩანთ ამ ინციდენტში მონაწილე პელაზგები, თუმცა არ სჯიან პირადად მათ, სანაცვლ-

ოდ მთელი თემის გადასახლებას მოითხოვენ და აღწევენ კიდეც ამას.
5. მხოლოდ ამის შემდეგ იპყრობენ ეს პელაზგები კუნძულ ლემნოსს და სდევ-ნიან აქედან მინიათა შთამომავლებს, არგონავტების შვილებს, რომელსაც ლაკე-დემონი შეიფარებს.... .რომლებიც ამ უკანასკნელებს თავისიანებად თვლიან...
6. მხოლოდ ამის შ ემდეგ მოიფიქრეს უკვე ლემნოსელმა პელაზგებმა ათენელი ქალების მოტაცება ათენელებზე შურისძიების მიზნით და აღასრულეს კიდეც.
7. აქედან, კუნძულ ლემნოსიდან აიძულა გადასახლება პელაზგებს მილტიადეს კიმონის ძემ, თითქმის 700 წლის ცხოვრების შემდეგ.
8. ის რომ იონიელების ადრინდელ საცხოვრებელ ადგილას უკვე აქაიელები ცხოვრობენ, ამ ორ ტომს შორის აშკარა გაუცხოებაზე მეტყველებ. მართლაც, აქ-აიელთა მიერ იონიელების გაძევებაზე საუბრობს ჰეროდოტე (იქვე -145) და რომელსაც ადრე პელაზგია აერქვა
9. ტომს პელაზგები ჰქვია, თუმცა ერთობ საყურაღებოა მათი მეორე სატომო სახელიც **<u>აიგილები</u>**, რომელიც არაერთგზის გვხვდება სხვადასხვა ანტიკურ ავ-ტორებთან, ტერმინ პელაზგებთან ერთად თუ მის გარეშე და ყველა ნიშნით ქართველური ტომის აღმნიშვნელი ჩანს**!**(15)
10. ჰეროდოტეს სიტყვებით, იონიელებს ადრე პელაზგები ერქვათ (16)
11. მისივე სიტყვებით, ეოლიელებიც პელაზგები არიან (იქვე VII-95)
12. ჰეროდოტეს სიტყვებით, არკადიელებიც პელაზგები არიან.
13. როგორც ზემოთმოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, ლაკედემონელებიც (დო-რიელები) პელაზყოფილი ტომია!
14. კორინთელებიც ასევე პელაზგები ჩანან (იხ, კოლხეთში)

როგორც V საუკუნის შემდგომი ისტორიკოსის, სტრაბონის ნაშრომებშია მითითებული, ჰეროდოტეც სულ რამდენიმე ავტოხთონ ტომს ახსენებს, ყო-ფილ პელაზგებს, სხვა დანარჩენი აქაც მხოლდ პელაზგთა საცხოვრის ადგი-ლად გვევლინება: იონიელები, ეოლიელები, ელინები, დორიელები:
„ხოლო ათენელები, სანამ პელაზგებს ეპყროთ დღევანდელ ელადად (მთელი საბერძნეთი!) **წოდებული ქვეყანა, თვითონაც პელაზგები იყვნენ და ეწოდებო-დათ კრანაები, მეფე კეკროპის დროს კეკროპიდები ერქვათ, ხოლო როდესაც მმართველობა ერეხთეევსმა დაიმკვიდრა, მაშინ დაერქვათ ათენელები. მაგრამ იონ ქსუთოსის ძე რომ გახდა მხედართმთავარი,ათენელებს მისი სახელის მი-ხედვით ეწოდათ იონიელები“. (იქვე; VIII-44**

ჰეროდოტეს ვერსიის თანახმად, ეს პელაზგებს ეწოდათ ათენელთა ახალ მიღებული სახელის მიხედვით იონიელები. სავარაუდოა, რომ ეს ათენელთა ამ ახალი სახელის მიხედვით ეწოდათ დანარჩენ პელაზგებს იონიური ტომი!
...თუ შესაძლებელია ატიკური (ელინური) ტომის პელაზგებთან შესაძლო ნა-თესაობაზე ვისაუბროთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იონიური ტომის მეშვეობ-

ით ხდება!...იონიური ტომის პელაზგურობა, ისევე როგ ორც ეოლიურისა, ეჭვს ქვეშ არა დგას!

„მან (კროისოსმა, ლიდიის სუზერენმა) გამოიკვლია და ამოარკვია, რომ ლაკედემონელები და ათენელები არიან უპირატესნი ელინ ტომთა შორის, პირველი დორიულ ტომში, მეორე -იონიურში. ესენი არიან გამორჩეული, რადგან ერთი არის უძველესი პელაზგური ტომი, ხოლო მეორე -ელინური“ (იქვე, I-56)

...და რა მანქანებით ხდება დორიული ტომი პელაზგური? ის რომ მრავალ დორიულ ტომებს შორის მხოლოდ ლაკედემონელებს უწოდებს ჰეროდოტე უძველეს პელაზგურ ტომს, ცხადად მიანიშნებს: აქ დორიულობა უბრალოდ არავითარ შუაშია! პელაზგურობა ლაკედემონელებს იმ ტომისაგან მოდგამთ, რომელსაც ის შეერწყა!

„ლაკონიელთა მიწა-წყალზე,პელოპონესში,სადაც თავდაპირველად ცხოვრობდნენ ლელეგები, აქაიელები შემოიჭრნენ, განდევნეს რა ლელეგები. მოგვიანებით პელოპონესის ტერიტორია დაიპყრეს დორიულმა ტომებმა. მთავარი ქალაქი გახდა სპარტა, რომელმაც როგორც დანარჩენმა აქაიურმა ქალაქებმა , პოლიტიკური უფლებები დაკარგეს. აქაიური და დორიული მოსახლეობა შეერია ერთმანეთს. ლაკედემონს (სპარტას) ორი მეფე ყავდა (ფიქრობენ და ალბათ სწორადაც, რომ ეს ორი ავტონომიური ტომის გაერთიანების ნიშანია) . მიღებულია,მოსაზრება, რომ რომ ლაკედემონის მოსახლეობის დორიული ნაწილი-ეს არისტოკრატიაა. პოლიტიკურად უუფლებო , თუმცა პიროვნულადთავისუფალი ადამიანი-ეს ახაიელია, რომელსაც პერიკი ეწოდება. პერიკს გააჩნია საკუთრების (მათ შორის მიწის) უფლება, ასევე უფლება ხელოსნობისა და ვაჭრობისა.მესამე კატეგორია წოდებული ილოტებად-სახელმწიფო მონებია.“

(ვიკიპედია, იბეჭდება შემოკლებით)

როგორც ამონარიდიდან ჩანს, ლელეგები განიდევნე პელოპონესიდან და ისინი დორიული ტომების უძველეს პელაზგ ტომებად მოხსენიებაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ ღებულობენ. რაც შეეხება ახაიელებს, საბერძნეთის ტერიტორიაზე შედარებით გვიან შემოსულ ტომად ითვლება, და ის ერთმნიშვნელოვნად ინდო- ევროპეიზირებული ტომი ჩანს: ჰომეროსი თვით დანაელებზე უპირატესად და უადრეს უწოდებს მათ ელინებს. ისინი საბერძნეთის ტერიტორიაზე მოსვლისდანვე (როგორც ეტყობა მანამდეც) ევროპეიზირებულები არიან, დორიელები-არა. ამავე დროს, ფაქტიურად არ მტკიცდება ახაიელთა უფლებრივი დისკრიმინაცია:

„როდესაც კლეომენესი (ლაკედემონის მეფე) ავიდა აკროპოლზე მის დასაპყრობად, შევიდა ღმერთქალის სამლოცველოში, თითქოს სალოცავად, ხოლო ქურუმი ქალი ტახტიდან უწინ წამომდგარა, ვიდრე ეს ბჭეს გადააბიჯებდა და უთქვამს შემდეგი: ლაკედემონელო სტუმარო, გაბრუნდი, ნუ შემოხვალ სამ-

ლოცველოში, რადგან დორიელთათვის აქ შემოსვლა არაა ნებადართული. ხოლო კლეომენესმა მიუგო:ქალო, დორიელი კი არა , აქაიელი ვარო“ (იქვე; V-72)

როგორც ტექსტიდან ირკვევა, ახაიელს ლაკედემონში არამც თუ არისტოკრატის უფლებები, არამედ მეფის თანამდებობის დაკავებაც კი შეუძლია. როგორც ჩანს, დორიელები გამოუკლებლად ყველა არისტოკრატები-მეომრები არიან, ხოლო აქაიელები-როგორც არისტოკრატები-მეომრები, ასევე პერიკები, ხელოსან-ვაჭრები. აქაიელის პოლიტიკური უფლება, თვით მეფობამდე აღზევებასაც ითვალსწინებს. სავარაუდოა, რომ ახაიელთა ნაწილი პერიკები, ვაჭრები, ხელოსნები და მიწათმოქმედები, ეს მშვიდობიანი, არამეომარი ხალხია არც საომარ მოქმედებებში ევალებათ მონაწილეობის მიღება.

და მაინც, შედარებით ახალ ჩამოსული ინდო-ევროპული ტომი ვერ იქნება პელაზგი, რომელიც ჰეროდოტესვე სიტყვებით ბარბაროსული ტომია და ახაიელთა მიგრაციის პერიოდისათვის უკვე გაქრობის გზას ადგას:

„მე ვფიქრობ, იონიელებმა თორმეტი ქალაქის კავშირი შექმნეს და არც უნდოდათ ამ კავშირში მეტის მიღება იმის გამო, რომ როდესაც პელოპონესში ცხოვრობდნენ, 12 ნაწილად იყოფოდნენ, ისევე როგორც ახლა 12 ნაწილად იყოფიან აქაიელები, რომლებმაც გააძევეს იონიელები“ (იქვე;I -145)

მართალია ჰეროდოტე დარწმუნებულია, რომ აქაიელებმა გამოაძევეს პელოპონესიდან იონიელები, სიტუაცია სულ სხვა შედეგს გვკარნახობს:

1.შეუძლებელია დორიულ ტომს პელაზგყოფილი დაუძახო, თანაც უძველესი, თუ დორიული ტომის საფუძველში იონიურ ტომს არ ვიგულისხმებთ.

2. ასეთი სიტუაცია მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს: აქაიელებს არ გაუძევებიათ იონიური ტომი და ის უკვე მათ რიგებში მოიაზრება.

3. როგორც ჩანს, აქაიელებს შეთვისებული უჩანთ იონიელების მიერ ქალაქმოწყობის და მათი ურთიერთკავშირის ფორმებიც.

4. ჰგავს, ახაიელები უბრალოდ შეერივნენ შედარებით მეჩხერად მცხოვრებ იონიელებს, არც შიდა მოწყობის სისტემა შეუცვლიათ:უბრალოდ, უფრო მრავალრიცხოვანმა მოსულებმა,აქაიელებმა თავიანთი სახელი მისცეს დამხვდურ იონიელებსაც.

ზუსტად ასეთ სიტუაციას ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოში, როდესაც ჰეროდოტეს მიერ კოლხეთად სახელდებული ქვეყანა, 2-3 საუკუნეში ლაზების დიდი რაოდენობით შემოსვლის შემდეგ ლაზიკა ხდება, თუმცა კოლხი მოსახლეობის განადგურებას ან განდევნას ადგილი არ ჰქონია!

ჰეროდოტეს მიხედვით ელინები საკმაოდ ძლიერ ჩანან გაჯერებული სხვა ტომებით, რომელთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა პელაზგები ჩანან. პელაზგური ჩანს ელინთა ზეციური პანთეონიც:

„ელადაში ყველა ღმერთის სახელი ეგვიპტიდანაა შემოსული, ეს სახელი ბარ-

ბაროსთაგან არის გადმოღებული ეს დანამდვილებით შევიტყვე გამოკითხვის შედეგად, ხოლო მე უფრო ის მგონია, რომ სწორედ ეგვიპტიდან შენოვიდა ელადაში ეს სახელები...ღმერთების სახელები, რომელზედაც ეგვიპტელები ამ-ბობენ არ ვიცითო, მე ვფიქრობ, დარქმეულია პელაზგების მიერ...ხოლო ჰერ-მესის ქანდაკებათა კეთება გამართული სარცხვენელით ეგვიპტელთაგან კი არ გადმოულიათ, არამედ პელაზგებისაგან და ელინთა შორის პირველად ათენე-ლებმა გადმოიღეს, ხოლო ამათგან დანარჩენებმა (იქვე; წიგნი II-50-51)

''როგორც მე დოდონაში მოვისმინე, პელაზგები პირველად ყოველგვარ მსხვერ-პლშეწირვას ლოცვას ღმერთების მიმართ ისე ახდენდნენ, რომ სახელით ან ზედწოდებით არ მიმართავდნენ ...პელაზგებმა სახელთა შესახებ დოდონეში იკითხეს“ (იქვე; წიგნიII-52 ევტერპე)

„იმ სამისნოების შესახებ, რომელთაგან ერთი ელინთა შორისაა., ხოლო მეორე ლიბიეშია. ეგვპტელები შემდეგ ამბავს მოგვითხრობენ თებეელი ზევსის ქუ-რუმებმა მითხრეს, რომ ორი ქურუმი ქალი წაუყვანიათ თებედან ფინიკიელებს და ერთი მათგანი , როგორც მათ შეიტყვეს, გაუყიდიათ ლიბიეში, ხოლო მ ეო-რე-ელინებში. აი ეს ქალები იყვნენ , რომელთაც პირველებმა დაარსეს სამისნო ზემოთხსენებულ ხალხებში ...დოდონას წინასწარმეტყველი ქალები შემდეგს ამბობენ: ორი შავი მტრედი აფრენილა ეგვიპტის თებედან, იმათგან ერთი ლი-ბიეში დამჯდარა, ხოლო მეორე მათთან მოფრენილა. ეს დაჯდა მუხაზე და ადამიანის ხმით დაილაპარაკა, რომ აქ ზევსის სამისნო უნდა იყოსო. დოდო-ნას მცხოვრებლებმა ეს გამოცხადება ღვთის ნება-სურვილად მიიღეს და ამის შესაბამისად მოიქცნენ. ამბობენ, რომ წასულმა მტრედმა უბრძანა ლიბიელებს, ამონის სამისნო დაეარსებინათ, ესეც ხომ ზევსის სალოცავიაო. ეს მიამბეს დო-დონის ქურუმმა ქალებმა.. .მათივე აზრისა იყვნენ სხვა დოდონელებიც, რომ-ლებიც ამავე სალოცავს ემსახურებოდნენ.

...მე კი ამის შესახებ ა მ აზრისა ვარ: თუ კი ფინიკიელებმა მართლა წაი-ყვანეს წმინდა ქალები და ერთი მათგანი ლიბიეში გაჰყიდეს, ხოლო მეორე ელადაში, მე ვფიქრობ რომ ეს ქალი გაიყიდა დღევანდელი ელადის სწორედ იმ ნაწილში, რომელსაც უწინ პელაზგიე ეწოდებოდა, სახელდობრ თესპრო-ტებით დასახლებულ ნაწილში. (17) შემდეგ მან მონობაში მყოფმა დააფუძნა აქ მუხის ქვეშ, ზევსის სამლოცველო, რაც სრულიად ბუნებრივი იყო. თებეში ის ზევსის ტაძარს ემსახურებოდა...ჩემი აზრით, დოდონელებმა ამ ქალებს იმი-ტომ უწოდეს მტრედები, რომ ქალები ბარბაროსები იყვნენ და დოდონელებს ეჩვენებოდათ, რომ ისინი ჩიტის მსგავსად ლაპარაკობდნენ. დოდონელები ამ-ბობდნენ, ხანი რომ გავიდა, მტრედი ადამიანის ენაზე ალაპააკდაო'' (იქვე; წი-გნი II-54-55-56-57)

ასევე საგულისხმო დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი ჰეროდოტეს ისტორიის ამონარიდიდან:

1.ჰეროდოტეს აზრით, ღმერთების სახელი ელინებმა ეგვიპტურისაგან აიღეს, თუმცა არა პირდაპირი გზით, არამედ პელაზგების საშუალებით, რომელთაც ის უშუალოდ ეგვიპტელებისაგან შეითვისეს.

2.მართალია ჰეროდოტეს აზრით ელინებმა ღმერთების სახელები ეგვიპტელებისაგან გადმოიტანეს, თუმცა ეგვიპტელებისათვის უცნობი ღმერთების სახელებს ის ერთ მნიშვნელოვნად პელაზგთა პანთეონს აკუთვნებს.

3.როგორც ჰეროდოტესთან ჩანს, დოდონა (დოდონე) სატომო სახელი არაა, არამედ ადგილის სახელი, რომელიც დოდონას სამსხვერპლოს ადგილსამყოფელს დაერქვა. (სავარაუდოა, რომ დოდონა თავად წარმოადგენს პელაზგური პანთეონის უზენაეს ღმერთთაგანს, რომელსაც პელაზგები სამსხვერპლოს უგებენ და რომელი ღმერთის სახელი არა ჩანს გადასული ელინთა პანთეონში, სავარაუდოდ ეს დიდი-ნანა უნდა იყოს)

4. როგორც ცნობილია, ეგვიპტის (ოთხივე ნაწილის) უზენაესი ღვთაება ამონი იყო (და არა ზევსი) მას გამოსახავდნენ ვერძის სახით. ჰეროდოტეს მიერ ამონისა და ზევსის (რომაელთა იუპიტერის) გაიგივებას მხოლოდ ერთი გამართლება თუ აქვს- ორივე უზენაესი ღმერთი იყო.

5. თვით აქილევსის მიერ წარმოთქმული ფრაზა ზევსზე და დოდონაზე ადასტურებს, რომ ორივეს კულტი მინიმუმ 700 წლით უფროსია ჰეროდოტეზე (მასა და ჰომეროსს შორის ასაკთა სხვაობას თავად ჰეროდოტე აზუსტებს, თუმცა საეჭვოა ეს და ზუსტება ჰეროდოტეს კალამს ეკუთვნოდეს) თებეელი ქურუმი ქალები რომ მოეტაცათ ფინიკიელებს, გაეყიდათ ლიბიესა და პელაზგიეში, თებეელი ქურუმი ქალი პელაზგიეში ამონის სალოცავის დაარსებას თუ შესძლებდა,ისე როგორც მისი და აფრიკაში, ვინაიდან ლოგიკურია რომ უზენაესი ღმერთის სახელი ზევსი აქ არც უნდა არსებულიყო! ცხადია ზევსის კულტი ელინებში, განსაკუთრებით პელაზგებში მანამდეც უნდა არსებულიყო, ხოლო თებეელი ქურუმი ქალის დამსახურება უკვე არსებული ღმერთის, ზევსის სამსხვერპლოს გახსნა შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ (ეგვიპტურის ანალოგიურად) პელაზგიე -თესპროტები, ეს ჰეროდოტესვე სიტყვათა განმარტებაში განმარტებულია, როგორც ხალხი ეპიროსში, მდინარე აქერონტთან:

6. უფრო ძველი, უფრო პირდაპირი, უფრო წონადი და უფრო ავტორიტეტული წყაროს პოვნა შეუძლებელია! თვით ისტორიის მამად ცნობილიჰეროდოტე ამტკიცებს, რომ თესპროტების ტერიტორიას ადრე პელაზგია ერქვა. ადრე ამ ტერიტორიას და ამ ხალხებს (ელინთა მიერ ასიმილაციამდე) სხვა სახელი ერქვა: კოლხეთი და კოლხები!

„ეს ზღუდე შეშინებულმა ფოკეელებმა ააგეს , მაშინ როდესაც თესალიელები

მოვიდნენ თესპროტების ქვეყნიდან და დაასახლეს აიოლიდის ქვეყანა, რომელიც ახლა უჭირავთ“ (იქვე; წიგნVII-176)

„ყველა ეს მოლაშქრე ცხოვრობს თესპროტებისა და მდინარე აქერონტის აქეთა მხარეს, რადგან თესპროტები ამპრაკიოტებისა დ ა ლევკადების მეზობლები არიან; ესენი კი ელადის უკიდურესი ქვეყნიდან მოვიდნენ სალაშქროდ“ (იქვე; წიგნი VIII-47;)

„გაუჩინა მას შვილები- თავიდან ტყუპები თესალი და ალკიმენა, მერე მესამე, გაცილებით უმცროსი ტისანდრი...ის იმდენად განრისხდა, ეჭვიანობით და გაშმაგებით რომ ის (იასონი) გადაურჩა ხიფათს და არ დაიღუპა თავის საცოლესთან ერთად, მედეამ მიაყენა მას სასტიკი ტანჯვა, დახოცა რა მათი საერთო შვილები. ერთმა შვილმა შეძლო გადარჩენა , მაგრამ ორი დანარჩენი მედეამ აჩეხა... დედის ხელიდან სიკვდილს გაქცეული თესალიგაიზარდა კორინთოში, მაგრამ შემდეგ მივიდა მამის სამშობლოში –იოლკოსში. რამდენადაც მანამდე ახლო ხანებში გარდაცვლილიყო აკასტი, მეფე პელეასის შვილი, მან მიიღო მისი კუთვნილი სამეფო ხელისუფლება ,ხოლო მის ქვეშევრდომებს დაარქვეს თესალიელები მისი სახელის მიხედვით'' (დიოდორე სიცილიელი; წიგნი IV-44-45)

საინტერესო პარალელები იკვეთება და საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებასაც იძლევა ამ ორი არქაული ისტორიკოსის მიერ დანახული რეალობანი იმ დროისათვის.

1.თესალიელების და მინიების გაძლიერების კვალდაკვალ, ეოლიელები თმობენ საკუთარი მიწა-წყლის ნაწილს და ოლიმპოს მთისკენ გადაადგილდებიან, ამასთან ააგეს დამცავი ზღუდეები და...სახელიც კი გამოიცვალეს, მათ უკვე ფოკეელები ეწოდებათ.

2.ჰეროდოტე ფაქტიურად ელადის საზღვრის დელიმიტიზაციას ახდენს, როდესაც ამ საზღვრად მდინარე აქერონტს და თესპროტებს (ეპირს) ასახელებს. მართლაც, აქერონტს აქეთა მხარე, გარდა გამონაკლისისა, წარმოდგენილია ქალაქი პოლისების სახით, სხვადასხვა კავშირში შემავალი, ეპირი კი უკვე სამეფოა, რომელსაც აქილევსის შთამომავალნი მართავენ.

3.მართალია ელადის საზღვარი მდინარე აქერონტზე ჩანს, თუმცა ამ მდინარის აღმოსავლეთით მცხოვრები ამფილოხები ელადის დასაცავად ლაშქარს არ აგზავნიან. ცხადია მდინარე აქერონტი პირობითი საზღვარია, რომლის ორივე მხარეს მცხოვრები ტომი ორენოვანი ჩანს (18)

4.დიოდორეს სიტყვები ხსნის იმ საიდუმლოებასაც, თუ რატომ და როდის დაერქვა პელაზგთა კუთვნილ ტერიტორიას თესალია და ვინ არიან თესალიელები სინამდვილეში. როგორც ჰეროდოტეს სიტყვებიდან ირკვევა, ისინი პელაზგთა დასავლური შტოა, რომელიც თესპროტებიდან (იმავე კოლხეთიდან) მოვიდა პელაზგთა აღმოსავლეთის შტოსყოფილ ტერიტორიაზე, რომელსაც უკვე

მინიები ფლობენ და იაზონის მამის კუთვნილ ტახტზე მისივე შვილი თესალი გაამეფა.
5. შეუძლებელია ითქვას, რომ ამ გამეფების შედეგად იაზონის მამის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები, მინიები, განიდევნნენ: დამხვდური ტომი და კოლხური წარმოშობის პელაზგები ასიმილირებულნი ჩანან ერთმანეთში.
6. ჰეროდოტეს სიტყვებით, თესალიელები თესპროტებიდან (კოლხეთიდან) გადმოვიდნენ აღმოსავლეთის პელაზგიეში, ხოლო დიოდორეს სიტყვებით სახელი მათ წინამძღოლის სახელის მიხედვით დაერქვათ. თესალმა შეიძლება კოლხების ჯარი გაიყოლიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იაზონისა და მედეას გადარჩენილი შვილი იზრდება კოლხეთში და არა კორინთოში!
7. თესალი ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს კოლხეთში, თუ ის დედასთან იზრდება (კოლხეთში) სადაც მედეა თქმულების მიხედვით დაბრუნდა და არა კორინთოში!
8. თუ თესალი კოლხეთში იზრდება დედასთან და არა კორინთოში, ცხადია დედა (მედეა) მას მოსაკლავად არ დასდევს!
9. თუ მედეა მოსაკლავად არ დასდევს თესალს, იაზონისაგან ჩასახულს, აპრიორი არც დანარჩენი ორი შვილი, ალკიმენა და ტისანდრი ჩანს მის მიერ მოკლული.
10. თუ იაზონის და მედეას საერთო შვილები მედეას არ დაუხოცია (და რომ ისინი ნამდვილად ტაძარში დახოცეს, იმავე დიოდორე სიცილიელის ნაწერებშიც გამოსჭვივის) მათი დახოცვა მხოლოდ კორინთელებს შეეძლოთ!
11. აბსოლუტურად მართებული ჩანს ვერსია, რომ კორინთელებმა ფული გადაუხადეს ტრაგიკოს დრამატურგს ევრიპიდეს, რომ როგორმე ბავშვების დახოცვის ცოდვა ჩამოერეცხათ. ამ უკანასკნელმაც ეს ცოდვა მედეას მიაწერა.
12. ის, რომ მედეა დაბრუნდა სამშობლოში, გათხოვდა და სათავე დაუდო მიდების (თრაკიულ) ტომს, ისეთვვე ისტორიული შეცდომა ჩანს, როგორც ჰეკატე მილეტელისეული მესხეთის მთებში აღწერილი კორაქსების ძებნა მდინარე კოდორთან. მედეა ვერ მისცემდა სათავეს ტომს, რომელსაც მიდი ჰქვია და არა მედი. მედები, აი ამ თრაკიულ- ილირიულ ტომს გადაარქვა სახელი ლეგენდარულმა მედეამ , დაბრუნებულმა კოლხეთში , რომელიც ამავე თრაკიისა და ილირიკის გვერდზე მდებარეობდა. სულ სხვა საკითხია, რომ სავარაუდოდ აქედანვე მიგრირებული მედები აზიის კონტინენტზე მიდების სახელს იღებენ.

ის, რომ პელაზგური (და პელაზგთაგან ელინების შეთვისებული) ღმერთების პანთეონი სრულიად ვერ იქნება შეთვისებული ეგვიპტელთაგან, თვით ჰეროდიტეს ნაშრონშივე იკვეთება:
„როგორც მე დოდონეში მოვისმინე და შევიტყვე პელაზგები პირველად ყო-

ველგვარ მსხვერპლშეწირვას დალოცვას ღმერთების მიმართ ისე ახდენდნენ რომ სახელით და ზედწოდებით არ მიმართავდნენ არცერთ მათგანს , რადგან არ გაეგონათ ასეთი არაფერი...ამის შემდეგ დიდმა დრომ რომ განვლო, პელ-აზგებმა შეიტყვეს ეგვიპტელთაგან შემოსული სხვადასხვა ღმერთების სახე-ლები...პელაზგებმა სახელთა შესახებ დოდონეში იკითხეს. ეს სამისნო უძვე-ლესად ითვლება ელინთა სამისნოებს შორის, ხოლო ამ დროს ის ერთადერთი იყო ...ხოლო ამის შემდეგ ელინებმა გადაიღეს" (ჰეროდოტე; წიგნი II-46)

ჰეროდოტეს ამ ციტატიდან ირკვევა, რომ პელაზგებს გაცილებით ადრე გააჩნდათ სამისნო, ვიდრე ღმერთების სახელებს შეიტყობდნენ (თუ თებეელი ქურუმი ქალის ვერსია შეეფერება სინამდვილეს) რაც აბსოლუტური აბსურდია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პელაზგთა ადრინდელი სალოცავი დიდი-ნანა, ყოველივეს წარმომშობ ღმერთს უნდა გულისხმობდეს.

...და ურთიერთობის რა დონეზე იმყოფებიან იგივე იონიელები და თეს-პროტები ელინებთან?

„სამოსიდან მოციქულებად მოვიდნენ ლანპონი, თრასიკლეესის ძე,ათენაგო-რესი, არქესტრატიდესის ძე და ჰეგესისტრატოსი, არისტაგორესის ძე. ისინი სპარსელთადა მათ მიერ დაყენებული თავისი ტირანის, თეომესტორ ანდრო-დამასის ძისაგან ჩუმად გამოეგზავნათ სამოსელებს . როდესაც ისინი მოვიდნენ მხედართმთავრებთან, ჰეგესისტრატოსმა, ილაპარაკა ბევრი ყოველმხრივ და-საბუთებულად , რომ იონიელენმა ოღონდ კი დაინახონ ელინები მაშინვე გა-დაუდგებიან სპარსელებს" (იქვე;წიგნი IX-90)

„...რომელთაც მოაქვთ ის დასავლეთისაკენ, ვიდრე ადრიას არ მიაღწევენ. ხო-ლოა აქედან სამხრეთისაკენ იგზავნება და ელინთა შორის მას დოდონელები ღებულობენ" (იქვე; წიგნი IV-33; მელპომენე)

1. ციტატიდან გამომდინარე, იონიელები ჯერ კიდევ ელინებად არ თვლიან თავს და არც ჰეროდოტე უწოდებენ მათ ელინებს. ჰეროდოტესვე სიტყვებით, იონიელ (პელაზგ) ტომში შერეულია აბანტები, ორქომენელი მინიები, კადმე-ელები, დრიოპები, გამდგარი ფოკიდელები, მოლოსები, არკადიელი პელაზ-გები ,ეპიდავრელი დორიელები,და მრავალი სხვა თემი.

2. განსხვავებით აზიელი იონიელებისა, რომლებიც გარკვეულ სხვაობას მაინც ინარჩუნებს ელინებისაგან, თესპროტები , ეს ყოფილი კოლხეთი მთლიანად ასიმილირებული ჩანს ელინებში და მათ ასევე უწოდებენ.

მოძიებული და სისტემაში მოყვანილი მასალების საფუძველზე, შესაძ-ლებელია კონსტატირება, რომ პელაზგები-ეს იონიური და ეოლიური ტომია და სხვა არც ერთი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტები ირიბი ხასია-თისაა. ჰეროდოტეს და დიოდორე სიცილიელის ერთი ცნობის შეპირისპირება იძლევა საშუალებას, არგუმენტი კიდევ უფრო გამყარდეს:

„ხოლო კადმოსთან ერთად მოსულმა ფინიკიელებმა, რომელთაგანიც იყვნენ გეფირაიები,ესქვეყანა დაასახლეს, ბევრი სხვადასხვა ცოდნა შესძინეს ელინებს და განსაკუთრებით აღსანიშნავია მათ შორის დამწერლობა, რომელიც უწინ არ ჰქონდათ ელინებს. მე მგონია პირველად იმ დამწერლობას ხმარობდნენ, რომ-ელსაც იყენებდა ყველა ფინიკიელი, ხოლო დრო რომ გავიდა, ენის შეცვლას-თან ერთად შეიცვალო ასოების მოხაზულობაც. ხოლო იმ დროს მოსული ფი-ნიკიელების ირგვლივ ქვეყნის მეტი წილი ელინთაგან ეჭირათ იონიელებს. ამათ ისწავლეს ფინიკიელთაგან ასოები, მცირედ შეუცვალეს მოხაზულობა და ისე იყენებდნენ მათ, ხოლო ხმარებისას, როგორც სიმართლე მოითხობდა, ამ-ბობდნენ რომ ფინიკიური დამწერლობა ეწოდებაო, რადგანაც ფინიკიელების მიერ იყო შემოტანილი ელადაში. ბერძნები ძველიდანვე წიგნებს ტყავებს უწო-დებდნენ, რადგანაც ოდისღაც ჭილის ნაკლებობის გამო ისინი ცხვრისა და თხის ტყავებს ხმარობდნენ საწერად. ჯერაც ჩემს დროს, ბევრი ბარბაროსი ამი-სთანა ტყავებზე წერს“ (იქვე, წიგნი V-58)

...და თითქმის ანალოგიური ციტატა დიოდორე სიცილიელისა:

„მანვე (ლინმა)პირველმა შეუთანწყო ელინურ დიალექტს ასოები, ჩამოტანილი კადმოსის მიერ ფინიკიიდან; ყოველი მათგანისათვის მან დაადგინა სახელი და გარკვეული მოხაზულობა. ამ ასოებმა მიიღეს საერთო დასახელება ფინიკიუ-რისა იმიტომ, რომ ისინი გადმოღებული იყო ელინების მიერ ფინიკიელებისა-გან, ხოლო რამდენადაც პელაზგებმა პირველებმა გამოიყენეს გადმოღებული ნიშნები, ამ ასოებმა მიიღეს კერძო დასახელება პელაზგურისა“ (დიოდორე სი-ცილიელი, წიგნი III- LXVII)

ფაქტიურად, ჰეროდოტეს და დიოდორეს ციტატები იდენტურია, ერთი მცირე განსხვავებით: ამონარიდთა შედარება უყოყმანოდ იძლევა საშუალებას დაისვას ტოლობის ნიშანი პელაზგებსა და იონიელებს შორის!

(ერთი„მცირე“ შესწორებით...კარიელები და მისიელები, რომელთაგან პირვე-ლი ანტიკური ავტორების მიერ გაიგივებულია იონიელებთან, მეორე არც თუ იშვიათად, მხოლოდ პირველი იმსახურებს იონიელებთან გაიგივებას, თუმცა მათ ისტორიაში უფრო ხმაურიანი სახელიც მოეძებნებათ...ხოლო მეორე, მისი-ელები-რუმინული ტომია...პირველი ყველა პარამეტრით მართლაც იონიელ-ია, ხოლო მეორე ათეული საუკუნით გვიან ჩანს ამ ტერიტორიაზე შემოსულ-დაფუძნებული. (თემის განხილვა ცდება წინამდებარე კვლევის ფარგლებს)

... და ეოლიელები? ის მეორე ტომი, რომელიც ასევე პელაზგური ჩანს და რომელსაც ჰეროდიტე ახსენებს (იხ . ზემოთ VII-95) და ვინ არიან ისინი? ეოლი-ელები ჰეროდოტეს სიტყვებით მცირე აზიაში ცხოვრობენ.დარდანოსიდან სმი-რნამდე(ფაქტიურად ტერიტორია დარდანელის სრუტიდან ქალაქ იზმირამდე) ეოლიელების პელაზგურობა, განსხვავებით იონიელებისა, იმდენად შორეული

ფაქტი ჩანს, რომ როგორც ჰეროდოტეს ციტატიდან ჩანს, ეს ამბავი მხოლოდ ყურმოკვრით იცის.

... და რატომ ეოლიელები? ხელმოსაჭიდი მხოლოდ ეს დასახელება გვაქვს... ხომ არ ნიშნავს ეს ტერმინი ამომავალი მზის ქვეყანას, მსგავსად იაპონიისა? მაგრამ განსხვავებით იაპონიისა, რომლის მოსახლეობისათვის მზე უშუალოდ ოკეანიდან, წყლიდან ამოდის, ეოლიელები მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობენ ეგეოსის ზღვასთან და მათთვის მზე ვერც ერთ შემთხვევაში ზღვიდან ვერ ამოვა.

...როგორც ირკვევა, ეოლიელების წინარე სამშობლო სულ სხვაგან მდებარეობს, კერძოდ თესალიაში. ეოლიელების ყოფილი სამშობლო მინიელებს , იოლკოსელებს უკავიათ, ის იაზონის სამკვიდროა:

„ეს ზღუდე შეშინებულმა ფოკეელებმა ააგეს მაშინ, როდესაც თესალიელები მოვიდნენ თესპროტების ქვეყნიდან და დაასახლეს აიოლიდის ქვეყანა, რომელიც ახლა უკავიათ“ (ჰეროდოტე, წიგნი VII-176)

ციტატის მიხედვით , ეს თესალიელებმა (მინიელებმა-ფინიკიურმა ტომმა და თესპროტელებმა, -კოლხებმა) დაასახლეს აიოლიდის ქვეყანა, უთუოდ XIII საუკუნეში ქრისტეს წინ,თუმცა ტერიტორიას მათ მოსვლამდე ერქვა აიოლიდი და თესალიელებთან არაფერი კავშირი არ უჩანს. სავარაუდოა, რომ ის ეოლიელთა წინარე სამშობლოა...ფოკეელები- ყოფილი ეოლიელები, რომლებმაც თესალიელების მოსვლასთან ერთად ოლიმპოს მთისკენ დაიხიეს. მაგრამ ვერც ეოლიელთა ამ ყოფილ საცხოვრისზე შეიძლება თქმა, რომ ის ამომავალი მზის ქვეყანაა და მისთვის მზე პირდაპირ ზღვიდან ამოდის. ერთადერთი ადგილი, რომელიც ამომავალი მზის ქვეყნის სახელს ამართლებს, ეს ენეტიკაა, ხალდების ყოფილი სამშობლო. ეოლიელებიც, მათი განსახლების ადგილის მიხედვით, მხოლოდ ხალდები(ჭანები) შეიძლება იყოს.

...რასაკვირველია ასეთი მყიფე სამტკიცით შეუძლებელია დაამტკიცო, რომ ეოლიელთა სამშობლო - ეს ენეტიკაა. არსებობს უკიდურესად საიმედო მტკიცებულება, რომ ისტორიამდელ წარსულში ენეტიკას და მიმდებარე რეგიონს სულ სამი ტომი, ხალდი (ჭანი) კოლხი და იბერი იკავებდნენ. **(თუმცა ამ სამტკიცის გამომზეურებას ნაადრევად მივიჩნევთ)**

რაც შეეხება იბერებს, მათი მცირე აზიის ტერიტორიაზე დასწრებულობა აქსიომაა. როგორც დაკვირვებით ირკვევა, იბერები იმავე იონიური და ეოლიური ტომის წევრები არიან. მცირე აზიის ტერიტორიაზე გადასვლა და მდინარე ტიბროსის (ეს დახელი კი ნამდვილად იბერების ტომის სახელის მიხედვით უნდა დარქმეოდა) აუზში რაღაც დროით ცხოვრება, ამ ტომებს ტიბერებისიბერების სახელს ანათლავს. (ტომებს ეს სახელი დაზუსტებით უშორეს წარსულში უნდა დარქმეოდა, თუმცა ამ თემაზე საუბარი ნაადრევი მიგვაჩნია)

...და ელინები?

როგორც ჩანს, სიმართლისგან ძალიან შორს არ უნდა იყოს სტრაბონის მტკიცება (იხ. ზემოთ, წიგნი V-II-4) რომ 50 ქალიშვილის მამამ, დანაემ ქალიშვილები დაათხოვა პელაზგებზე და სიძეებს ამიერიდან მხოლოდ ელინურ ენაზე საუბარი უბრძანა....

...და ებრაელები ...

ამ ხალხის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს. მრავალი ისტორიული თუ ლიტერატურული ნაწარმოებია შექმნილი საუკუნეების განმავლობაში, იწერებოდა და ისწავლებოდა მისი ისტორია...გარემოებათა უცნაური დამთხვევის გამო, თუ ხასიათის თავისებურებიდან გამომდინარე, ამ ერის ისტორია მჭიდროდ ჩანს გადანასკვული ქართველი ერის ისტორიასთან, რომელიც საერთოდ მივიწყებული ჩანს და არაა სათანადოდ გაშუქებული. მჭიდროდ არის მათი ისტორია იმავე მდინარე იბერთან (უცილობლად ეს ჩანს ამ მდინარეს პირველსახელი) და საკუთრივ იბერ-ქართებთან დაკავშირებული.

ჩვენი კვლევის საგანი ამჯერად ამ ერის ისტორიის იმ პერიოდს მოიცავს, რაც იზრაელის შვილების ეკლესიათა გაყოფას ემთხვევა. სოლომონ მეფის სიკვდილის შემდეგ, იზრაელის ხალხი ორ სამეფოდ, ორ სახლად გაიხლიჩა:

1.იზრაელის სახელმწიფო, მასში შემავალი ათი თემით (მუხლით)

2. იუდეას სახელმწიფო, მასში შემავალი ორი მუხლით (თემით)

„722 წელს ჩვ . წ. აღრიცხვამდე , ჩრდილოეთ ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი სამარია , განადგურებულ იქნა ასირიის მრისხანე მეომრების მიერ, ხოლო მისი მოსახლეობა, შთამომავალი იმ ათი მუხლისა იზრაელის შვილებისა , გადასახლებულ იქნა მიდიაში. ტყვეობაში წაყვანილი იზრაელის ხალხი უკვალოდ გაქრა აღმოსავლეთის ხალხებს შორის.

თქმულება <u>ათ დაკარგულ თაობაზე</u> პოპულარული იყო ებრაული, ქრისტიან და მუსულმანურ ფოლკლორში. ამ დრომდე გავრცელებულია აღმოსავლეთის ებრაულ საზოგადოებაში და იუდეურ მოძრაობაში. ერთი ვერსიის თანახმად, ისინი დაბრუნდებიან მესიის მოსვლის წინ " (ვიკიპედია ისტორია ძველი იზრაელისა და იუდეისა.)

მართალია ძველი თქმულებების მიხედვით, იზრაელის ათი თაობა უკვალოდ განიფანტა აღმოსავლეთის ხალხებში, მაგრამ... თუ პომპონიუს მელას შეფასება ერების შესახებ უნივერსალურია, არც ეს ათი მუხლი უნდა იყოს უკვალოდ გამქრალი...და აი კიდევ ერთი განსაცდელი უკვე იუდეველების სამეფოსი,რომელიც ასირიელთაგან გადაურჩათ:

„ზაფხულში 586 წელსქრისტემდე , აპრიის არმია ისევ გამოჩნდა სამხრეთში,

ემუქრებოდა რა ბაბილონის ლაშქარს, რომელსაც იერუსალიმისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, მაგრამ განდევნილ იქნენ და 18 ივლისს 586 წელს ქრისტემდე იერუსალიმი, გატანჯული შიმშილით და ეპიდემიით, დაეცა. სამხედრო მეთაურებს შორის გამოირჩა ნერგალ -შარ-უცური, ბაბილონის შემდეგი მეფე. მეფე სედეკია შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ დაიჭირეს იერიქონთან, დააბრმავეს და გააგზავნეს ბაბილონში. სოლომონის ტაძარი დანგრეულ იქნა, იერუსალიმი გადაიწვა, ხოლო მისი კედლები მოითხარა. ალყასა და შტურმს გადარჩენილი იუდეის მცხოვრებნი მონებად გარეკეს....მერე ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო ქალაქი სიდონი და გაანადგურა სახელმწიფო ედომი...“ (ვიკიპედია; ნაბუქოდონოსორმე-2ე)

აი ამ სახელმწიფო ედომში, ციტატის ბოლოს ისტორია და ისტორიკოსები ავტომატურად ედომის-იდუმეას სახელმწიფოს მოიაზრებენ და არასწორადაც. პერიოდი იერუსალიმის დაცემიდან სპარსელების მიერ ბაბილონის დაპყრობამდე, ბიბლიის ყურადღების მიღმა რჩება. ისტორიისათვის უცნობია ისეთი შორეული რაიონებისადმი, როგორიც იდუმეაა, ნაბუქოდონოსორის ინტერესი, თუმცა ზოგიერთი ისტორიული წყარო, ნაბუქოდონოსორის მიერ ესპანეთის დალაშქვასაც რეალურ ფაქტად უთვლის. ესპანეთის დალაშქვა ბაბილონის მეფის მიერ, რომელსაც ფლოტი არც გააჩნდა, სრული უტოპიაა, ხოლო ვერსია-კიდევ ერთი ისტორიული შეცდომა. ნაბუქოდონოსორის მიერ ასე შორეული ლაშქრობის მოწყობის ფაქტად, სტრაბონი მეგასთენეს ცნობას თვლის, რომლის მიხედვით ნაბუქოდონოსორმა იბერია დალაშქრა. როგორც გავარკვიეთ, მეგასთენეს ცნობ ა იმ იბერიას ეხება, რომელიც ვანის ტბის და შესაბამისად ბაბილონის უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა და არა ესპანეთს, რომლის დასალაშქრავად მისთვის ფლოტი ფიზიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა. ბიბლიაც დუმს იდუმეის სამეფოს ბაბილონის მიერ ანექსიაზე.

ბიბლია, როგორც სამეცნიერო- დოკუმენტალური ლიტერატურა, ერთი ერის, იზრაელის შვილების მიერ გამოვლილი ისტორიული სასიცოცხლო გზის ასახვაა. გაძნელებულია წიგნში მოინახოს ხალხი, (გარდა იზრაელის შვილებისა) რომელიც დადებით კონტექსტშია მოხსენებული.....

ცხადია, ბიბლიური ედემის ბაღის მცხოვრებლებიც, ასევე მხოლოდ იზრაელის შვილებშია საძიებელი.....

სრულიად რეალისტური ჩანს ედემის ბაღი, რომელიც სამოთხის მიწიერი მინამსგავსი ჩანს მხოლოდ...

ასევე სრულიად რეალისტურია ბიბლიისეული ედემის ბაღის კოორდინატებიც...

ედემის ბაღის ტერიტორიული ადგილმდებარეობის გაშიფრვადი მონაცემები ასეთია:

10.მდინარე მოედინება ედემიდან ბაღის მოსარწყავად,მერე იტოტება და იქმნება ოთხ ნაკადად
11. ერთის სახელია ფიშონი: იგი გარს უვლის ხავილას ქვეყანას, სადაც ოქროა.
12. კარგია ამ ქვეყნის ოქრო. აქ არის ანთრაკას ქვაც და ზურმუხტიც.
13. მეორე მდინარის სახელია გიხონი. იგი გარს უვლის ქუშის ქვეყანას.
14. მესამე მდინარის სახელია ხიდეკელი, იგი ჩაუდის აშურს,
მეოთხე მდინარეა ფერატი.
(დაბადება, თავი მეორე)

რამდენიმე სრულიად რეალისტური ფაქტი საშუალებას იძლევა ბიბლიური ედემის ბაღის ადგილსამყოფელი განისაზღვროს:
1.ბიბლიაში საუბარი ა ერთ რომელიღაც ადგილზე, სადაც ოთხი მდინარე იღებს სათავეს, ამასთან ამ მდიმარეებიდან ორის სახელი უშეცდომოდაა ცნობილი: ტიგროსი და ევფრატი.
2.მდინარე ევფრატი აქ ხიდეკელადაა მონათლული,რომელიცაშურს(ასურეთს) ჩაუვლის, თუმცა ზოგი მოსაზრებით ხიდეკელი-ეს ტიგროსია!
3.ამ შემთხვევაში ფირატი მდინარე ევფრატია. მართლაც, დღევანდელ რუკაზე მდინარე ფირატი ევფრატის სათავედაა დაფიქსირებული და ის სულ რამდენიმე ათეულ კილომეტს მოიცავს.
4. ბიბლიაში ნახსენები მდინარე ფისონი-ეს სავარაუდოდ არაქსის სათავეა, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღრიცხვამდე I V-V საუკუნეების მიჯნაზე ფასისად მოიხსენიებს ქსენოფონტე, რომელმაც აქ ბერძნული ათი ათასიანი ლაშქრით ჩაიარა.
5. რაც შეეხება მეოთხე მდინარე გიხონს, სავარაუდოდ ეს მდინარე მურატია, აქვე მომდინარე.
6. ტერიტორიას დღეის მდგომარეობით არმენიის ზეგანი ეწოდება და ათა თურქის სახელობის წყალსაცავს ეკვრის გარს.

მეცნიერთა უმრავლესობის აზრი შეჯერებულია იმაზე. რომ ძველი აღთქმის ტექსტის ფორმირება და წერილობითი ჩამოყალიბება, მე-6-ე, მე-7-ე საუკუნეს ქრისტემდე, უკვე დამთავრებულია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ედემის ბაღის მცხოვრებლებად იზრაელის შვილები იგულისხმებიან უთუოდ...
ცხადია, ამ ეპოქისათვის, ამ ადგილას (ასირიისა და მიდიის უშუალო სიახლოვეს) გამოჩენილი იზრაელის შვილები, ედემის მოქალაქეები მხოლოდ იმ ხალხის შთამომავალი შეიძლება იყოს, რომელიც იმავე ასირიამ წამოასხა ტყვედ და რომელიც იუდეველთა ვერსიით მიდიის ხალხებში გაიბნა... არ გაბნეულან...
ძველი წელთააღრიცხვის 605 წლიდან, ასირიამ, როგორც სამეფომ, საერთოდ შეწყვიტა არსებობა, რომელიც ბაბილონელთა და მიდიელთა მიერ იქნა დაპ-

ყრობილ-განადგურებული.

მართალია იზრაელის სახელმწიფოს დამაქცევარი, თვითონვე დაიქცა მისივე მეზობლების მიერ, მაგრამ იზრაელის ათი მუხლის ჩამომავალს, სავარაუდოდ ტყვეობიდან თავდაღწეულს, არც არავინ შეაქმნევინებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს ახალ ტერიტორიაზე. იზრაელის შვილების ნატყვევარი ათი მუხლი გარიდებული ჩანან მიდიასა და ბაბილონს ასევე ასირიასაც, რადგან ებრაული სახელმწიფო ედომი გაცილებით ადრინდელი პრიმატი ჩანს... და საკუთარი სახელმწიფოებრიობა სხვა ტერიტორიაზე, კერძოდ არმენიის ზეგანზე შეუქმნია, რაც ასევე ძლიერი მფარველი თუ მოკავშირე სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელი ჩანს. იზრაელის შვილების ამ ახალ სახელმწიფოს ჰქვია ედომი, ხოლო მისი მფარველი (თუ მფარველები) მისივე მეზობლები იმავე ბიბლიის თანახმად ქუში და ხავილას სახელმწიფოები ჩანან (19)

<u>ამ მიწაზე დაამარცხა და გააცამტვერა ქართების და ტიბარანების ძლიერება ნაბუქოდონოსორმა, აქედან აიძულა მათ უკან დახევა , ტიბარანებს შავი ზღვის სანაპიროსაკენ, იბერ-ქუშებს კავკასიის მთებისაკენ და არა ესპანეთის იბერიიდან, სადაც არც არასდროს ულაშქრია! ...ილაშქრა იმ იბერებზე, რომლებმაც დიდი ხნის წინათ თარხონ- ქუშის მეთაურობით, მანამდე არნახული სიშორის ლაშქრობა მოაწყვეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დაასახლეს ის, და რომელზედაც უძლეველობის ორეოლი ასეული წლობით თაობიდან თაობას გადაეცემოდა.... ამ ლაშქრობით დაენათლა უძლეველის სახელი იბერს, ხოლო მის დამმარცხებელ ნაბუქოდონოსორ II -უკვე ანატოლის ზეგანზე, ჰერაკლეზე ძლიერი.....</u>

ამავე კომპანიის, ამავე ომის შედეგი ჩანს ედომის, იზრაელის შვილების სახელმწიფოს იავარქმნა-განადგურებაც. როგორც ბიბლიის მკვლევართათვის ცნობილია, ამავე პერიოდიდან ღებულობს ზედწოდებას იზრაელის შვილებიც. ეს ასევე მდინარე ტიბროსი (და არა ტიგროსი) გვევლინება მათ ნათლიად (ისევე, როგორც იბერებისა და ტიბარანებისა)

იბრი-ამ ვარიანტს გვთავაზობენ ბიბლიის მკვლევარები იზრაელის შვილების არქაულ სახელად.

ის, რომ აქ მდებარე ედემი (ედომი) მართლაც იზრაელის შვილების სახელმწიფოა, რამდენიმე დამატებითი არგუმენტითაც მტკიცდება:

1.მხოლოდ ეს მდინარე (ტიბროსის ზემო წელი) აძლევს თემებს საკუთარ სახელწოდებას ეს აქედან წასული ტიბროსელები არქმევენ იტალიის მდინარეს ანალოგიურ სახელწოდებას.

2.აქედანვე წასული თემი აარსებს ტიბარანიას შავი ზღვის სანაპიროზე, ნაბუქოდონოსორთან დამარცხებული ქართების ტომი, აქედან მიემართება მცხეთისაკენ, იმავე იზრაელის შვილების ერთ ნაწილთან ერთად.

3. თვით საქართველოს და არმენიის ბაგრატიონთა მირონცხებულ სამეფო დინასტიას საკუთარი ჩამომავლობა ებრაელთა მე-2-ე მეფისაგან, მეფსალმუნე და მეშურდულე დავით მეფისაგან მოყავთ: ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობით, ისინი დავით მეფისა და ბერსაბეს (ურია ხეთელის ცოლყოფილი) შთამომავლებად თვლიან თავს.

...და სულ სხვა ტომი იზრაელის შვილებისა ჩანს დასახლებული რაჭის მთიანეთსა და კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილშიც კი (თემა სცილდება წიგნის ფორმატს)

დიდი ალბათობით, ნაბუქოდონოსორის მიერ ქუშის, ხავილასა და ედომის სახელმწიფოების იავარქმნა-განადგურება 585 წ. ქრისტემდე ჩანს მომხდარი, მაშინ როდესაც ნაბუქოდონოსორის მოკავშირე მიდიის სახელმწიფო ანალოგიურად უსწორდება ურარტუს (ასევე ქართველურ) სახელმწიფოს. ამ უკანასკნელ-თან მიდიის სამეფოს ხმაურიანმა ომმა გადაფარა შედარებით მცირე სახელმწიფოების, ქუშის, ხავილას , ედომის დარბევა და ვერ ხვდება ისტორიის პირველ ფურცლებზე.....

...ჰპოვებს თუ არა გამოხმაურებას სხვა რომელიმე ისტორიულ წყაროებში, გარდ აბიბლიისა, იბერთა და ებრთა სახელმწიფოები? პასუხი დადებითია, ხოლო წყაროები-პირველხარისხოვანი....

ესაა ჩამონათვალი პროვინციებისა, დამოკიდებული და დამოუკიდებელი სამეფოებისა, აშურბანაპალის მმართველობის დროს (669-652 ჩვ.წ.აღრიცხვამდე)

ხილაკუ-
ია[მა] ნა
[.....]-?
[შიბარტე]-?
ისკალუნა-
უდუმუ-
მა'აბა -
ამმა [ნა]
ეთიოპია
მადაი

(И. М. Дьяконов. История Мидии от древнейших времен до конца Ivв. до. н э стр-303)

აქ არის ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, რომელიც დოკუმენტის შედგენის დროს აღნიშნულ პერიოდში დამოკოდებული იყო ასირიაზე და მეფე აშურბანაპალზე. სინამდვილეში, ბევრი მათგანი უკვე დამოუკიდებელი სტატუსით არსებობდა, დიაკონოვის მიხედვით:

1.ხილაკუ-ეს კილიკიაა, არნიშნული დროისათვის უკვე დამოუკიდებელი.

2.იამანა-ამ ერთეულის ქვეშ დიაკონოვი საბერძნეთს, კვიპროსს გულისხმობს, თუმცა რეალურად ეს იონია უნდა იყოს, მცირე აზიის სამხრეთი სანაპირო.
3.შიბარტე-აქ აშკარად იკითხება სუბართუს სახელი, თუმცა იმ დროისათვიეს ჰეროდოტეს მიხედვით მას უკვე მატიენა ჰქვია.
4.ისკალუნა-აშკელონი, ფინიკისს შემადგენლობაში, უკვე დამოუკიდებელი.
5. მა'აბი- მოაბი ტრანსიორდანიაში, მოკავშირე და სავარაუდოდ ვასალი ასი-რიისა.
6. ამმა [ნა] ამონი ტრანსიორდანიაში, ასევე მოკავშირე და სავარაუდო ვასალი ასირიისა.
7.ეთიოპია-დიაკონოვის მიხედვით არასდროს არ ყოფილა ასირიისაგან დაპ-ყრობილი, სავარაუდოდ ამ ეთოპიის ქვეშ ელამი იგულისხმება, ადრე ეთიოპ-იად წოდე-ბული.
8.მადაი-მიდია, იმ დროისათვის უკვე დამოუკიდებელი სამეფო.

...და ედომი... დიაკონოვი მასაც ტრანსიორდანიაში ასახელებს, მაგრამ ასირიას არ უჩანს დაყრობილი არც იუდეა და უკვე არ არსებული იზრაელის სამეფოც

...და როგორ შეიძლება იყოს მისი მისი ვასალი ამ შემთხვევაში ედომი? სრუ-ლიად უბრალოდ, ედომის სამეფო, (ედემის ბაღი, ბიბლიურად) ჰქვია იმ სამე-ფოს, რომელიც მდინარეების, ტიგროსის და ევფრატის ზემო წელში გააშენე სი-რიელთა მიერ ჩვ.წ. აღრიცვამდე 722 წელს წამოსხმულმა იზრაელის შვილებმა.

მეფე აშურბანიპალს ისრაელის სახელმწიფოც არ უჩანს დაპყრობილი, არამცთუ იდუმეა (როგორც უდუმუს, ედომს) ინტერპრენირებს დიაკონოვი... არადა ედომი წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე მის ხელქვეით, სატე-ლიტ ქვეყნად მოიაზრება ...რასაკვირველია, უდუმუ იუდეა არაა, არამედ ისრა-ელის შვილების მიერ არმენიის ზეგანზე შექმნილი სრულიად ახალი სამეფოა...

ჩვენთვის საინტერესო აქ ეთიოპიაცაა, რომელიც დიაკონოვის მოსაზრებ-ით არასდროს არ ყოფილა ასირიული ძალაუფლების ქვეშ. რამდენად სწორია დიაკონოვის ეს მოსაზრება?
რასაკვირველია ე თიოპია (აფრიკის, ნამდვილი ეთიოპია) ასირიელების ძალა-უფლების ქვეშ არც არასდროს ყოფილა, თუმცა ასირიის ძალაუფლების ქვეშ ხშირად ექცეოდა ელამის სამეფო, რომელსაც აღნიშნული პერიოდისათვის ასე-ვე ეთიოპიას და ემაფიას ეძახის ჰესიოდე. ქვეყნის დედაქალაქს აღნიშნული დოკუმენტიდან ორი საუკუნის შემდეგაც მემნონის ქალაქად ახსენებს ჰერო-დოტე. ამასთან, ის აღნიშნავს მემნონის ეთიოპობასაც. ასიელი (აზიელი) ეთი-ოპები მის დროს და მისივე აღწერით უკვე სრულიად სხვა რეგიონში ფიქსირ-დებიან, თუმცა ადგილზე დარჩენილი ელამიტების ნაწილი (ხუზები) სპარ-სულ სივრცეში ჩანან ინტეგრირებული. ინტეგრირებულნი იმ დონეზე, რომ

მათ სპარსელების წინაპრადაც კი თვლიან, თუმცა ეთნიკურ განზოგადოებასა და თვით ენასაც X საუკუნეშიც კი ინარჩუნებენ.
შესაბამისად, აქ ჩამოთვლილი ქვეყნები ასირიის ვასალურ სამეფოებად მოიაზრება, მათ შორისაა ედომი, ისრაელის შვილების სამეფო დევნილობაში... რომელიც დიაკონოვის მიერ (რასაკვირველია არასწორად) ასევე ტრანსიორდანიაშია ნაგულისხმევი...
ორი სახელმწიფო ჩანს ბიბლიაში ედემის გვერდით, ქუში და ხავილა.

...ორი ქართული ტომი ჩანს დარბეული ნაბუქოდონოსორ მე-2-ის მიერ, იბერი და ტიბერი...და ვინ ვინ არის?
შეუძლებელია ქუში (ქუშის სახელდებაში სავარაუდოდ წინა პლანზე ფიზიოლოგიური თვისებები გამოდის) დაუძახო ტიბარანებს, რომელსაც მთელი ადრეული შუასაუკუნეების რომაელი და ბიზანტიელი ისტორიკოსები, მსოფლიოში ყველაზე მხიარულ ხალხს ეძახდა (იხ. ტიბარანები)
ხავილა—ეს ტიბარანიაა!
ქუში-შესაძლოა , რომ ამ ხალხს ეს სახელი თავიანთი სიზვიადის გამო ეწოდათ (თუმცა როგორც ეტყობა, არსებობს სხვა, გაცილებით წონადი მიზეზით მათი ასეთი დასახელებისა-თავად სიტყვა ქუში ჩანს ამ ტერმინს მორგებული) მათ პიროვნულ სიზვიადეს ისტორიკოსი ასე აღნიშნავს:
„მან (ბარდა ფოკამ) მტრული გეზი აიღო და თავისთვის შეკრიბა იბერიელთა ჯარი (ეს ხალხი სიმაღლით მეათე ფუტს აღწევს და წარბებიც მრისხანედ აქვთ შეჭმუხვნილი)“ (გეორგიკა; ტომი VI; მიქაელ პსელოსი. გვ !). თბილისი 1966 წ)

ქუშები მოხსენიებულია VIII საუკუნის ნაწარმოებში, ცნობილი „სომხური ანონომური გეოფრაფიად“ . კონტექსტის მიხედვით ასე ხევსურებს ეწოდებათ. დღესაც კი ინგუშები ამ უკანასკნელთ ხუშად იხსენებენ.სრულიად სხვა აზრისა ჩანან თავად ფხოველნი (ფშავ-ხევსურნი):
„ფშაველებს და ხევსურებს პირქუში ერთ-ერთ ძლიერ გმირთაგან , ღმერთადაც კი მიაჩნდათ და ხევსურეთში, სოფელ ბაცალიგოში, პირქუში ძლერ ხატად ითვლება“ (ივ. ჯავახიშვილი; ტომი 1; გვ 191 თბილისი 1979 წ)

ქუშებად ფხოველნი თავიანთ სახლიკაცებს ,იბერებს (ქართლელებს) თვლიან და აბსოლუტურად სწორადაც (თემა დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს)
ქუში—ეს იბერიაა!
„სესოსტრის ეგვიპტელი და ტეარკონ ეთიოპი ევროპამდე მივიდნენ. ნაბუქოდონოსორი, რომელიც ხალდებში უფრო სახელოვანია, ვიდრე ჰერაკლე, მივიდა სვეტებამდე (ჰერაკლეს სვეტები, გიბრალტარი) ამ ადგილებს, მეგასთენეს სიტყვებით მიაღწია ტეარკონმაც, ხოლო სესოსტრისი კი იბერიიდან დაი-

ძრა თრაკიასა და პონტოს წინააღმდეგ“ (სტრაბონი; წიგნი XV- 1-6)

ნაწყვეტი სტრაბონს ეკუთვნის, თუმცა როგორც კონტექსტიდან ჩანს, ის ამოღებულია მეგასთენეს ჩვენამდე მოუღწეველი ნაშრომიდან „ინდოეთი“. ეს ის მეგასთენეა, რომელსაც ანტიკური წყარო იონიელ ბერძენად იცნობს, ცხოვრობს არახოსიაში (დღევანდელი იბერიაში) და სავარაუდოდ ასევე იბერიელი ჩანს.

ეს მისი ციტატიდან გამომდინარე წერს სტრაბონი, რომ ეგვიპტის ფარაონი სესოსტრისი იბერიიდან დაიძრა თრაკიასა და პონტოს წინააღმდეგ: გეოგრაფიაში მცირედ გარკვეული მკითხველიც კი ადვილად დარწმუნდება, რომ ეგვიპტელი სესოსტრისი ლაშქრობის საწყისი პუნქტი მხოლოდ ის იბერია შეიძლება იყოს, რომელიც მცირე აზიაშიშუა მდებარეობდა, მე-14-ე საუკუნეს ქრისტეს წინ!

ეს ამ ციტატიდან გამომდინარე წერს სტრაბონი, რომ ნაბუქოდონოსორი, უფრო სახელოვანი ხალდებში , ვიდრე ჰერაკლე , მივიდა გიბრალტარამდე , სადაც სტრაბონს ნაგულისხმევი აქვს იბერთა დამარცხება მის მიერვე!

(რასაკვირველია იბერები ნაბუქოდონოსორმა ანატოლიის ზეგანზე დაამარცხა)

ეს ამ ციტატიდან გამომდინარე წერს იგივე სტრაბონი, რომ სუზელი, ელამელი (ხუში, დღევანდელი ხუზისტანის პროვინცია სპარსეთში) ტეარკონი ეთიოპია! (ეთიოპ კუშანთა და იბერ- ქუშანთა სატომო სახელთა თანხვედრის გამო...???)

ისტორიული ექსკურსი

...და ვინ ახსენებს ისტორიაში ეთიოპიას პირველად, ან ვინ და რომელი ხალხი იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ ? მემნონს, როგორც ეთიოპთა მეფეს, ანტიკურ ლიტერატურაში პირველად ჰესიოდე ახსენებს:

„ეოსმა—აისმა ტიფონისაგან შვა ეთიოპთა მეფე
მემნონი სპილენძის იარაღიანი, ემაფიის მეფე“

საინტერესოა, რომ ემაფია აფრიკის ეთიოპიას არასდროს რქმევია (თუმცა იგივე სახელი ერქვა მაკედონიას, ალექსანდრე მაკედონელის სამშობლოს...) ემაფია აზიის ეთიოპია ჩანს, რომელსაც მემნონი ფლობს .... მემნონის სამეფოს უხსოვარი დროიდან ელამი ჰქვია...ჰესიოდე და მისი სტრიქონები „თეოგონიიდან'' ჩანს ის მიზეზი, რის გამოც ხუშების (ხუზების, ქუშების) სამეფო აზიელ ეთიოპებად გადაიქცა იმავე ჰეროდოტესთანაც კი,რომ არაფერი ვთქვათ უფრო გვიანი ხანის ისტორიკოსებზე!...

.მემნონის აბჯარი, ისევე როგორც პელაზგი აქილევსისა, მჭედლობის ღმერთ ჰეფესტოს გამოჭედილია! როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღმერთი აქ არაფერ შუაშია, აქილევსის აბჯარი ფოლადისა ჩანს და ის ქართველური ტომის, ხალიბების (კენების, ჰენიოხების, სანიგების) გამონაჭედი შეიძლება იყოს მხოლოდ!

ასეთივე იარაღის მფლობელი ჩანს „ეთიოპი'' მემნონი. მისი მოკვლა, ისევე როგორც ჰექტორისა, რომელიც აქილევსისეულ ჯავშანში ჩანს გამოკვართული, აქილევსმა მხოლოდ ჯავშანისაგან დაუცველ ადგილას, ყელის არეში შუბის ჩაცემით შესძლო! ცხადია აქილევსმა იცის, რომ ასეთი აბჯრით შემოსილი მოწინააღმეგის მოწყვლადი ადგილი მხოლოდ მისი ჯავშნისაგან დაუცველი ადგილია! ზუსტად ამიტომ ჰგავს წყლის ორი წვეთივით მემნონისა და აქილევსის აბჯრით შეჭურვილი ჰექტორის მოკვდინების სცენა აქილევსისვე მიერ!

ზუსტად ამიტომაც ვერ ახერხებს აქილევსის ბიძაშვილი და თავადაც პელაზგი აიანტი უფაროდ დარჩენილი მემნონის მოკვლას, სანამ აქილევსი ყელში, აბჯრისგან დაუცველ ნაწილში მუხანათურად არ ჩასცემს შუბს!

ჰესიოდეს მიხედვით, მემნონის ბიძამ აღმართა მემნონის სამახსოვრო ფრიგიაში.

მართალია აქილევსი ხალიბთათვის უახლოესი მონათესავე ტომის ჩამომავალი ჩანს და მისთვის ხალიბური აბჯარი, რომელიც მტერზე უდიდეს უპირატესობას აძლევს, ხელმისაწვდომია, როგორ მოხვდა იგი ეთიოპთა მეფის, მემნონის ხელში?

„თუ კარგად გავზომავთ სამეფო გზას ფარსანგებით, სარდედან სამეფო სამყოფელამდე, ე.წ. მემნონამდე 13500 სტადიონია (2655კმ)“ (ჰეროდოტე, წიგნი V--53;თბილისი-1975წ)

ეს მანძილი საბერძნეთიდან სუზამდე მანძილია და ერთობ მნიშვნელოვანი ჩანს...ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ საუბარი შეეხება ე ლამის სამეფოს დედაქალაქ სუსას სპარსეთს ყურის სანაპიროზე. ამავე ქალაქს, როგორც მემნონის (ყოფილ) ქალაქს, რამდენჯერმე ახსენებს იგივე ჰეროდოტე

„პართები, ხორასმები, სოგდები და არიები იხდიდნენ 300 ტალანტს, ესაა მეთექვსმეტე სატრაპია. პარიკანიები და ასიელი ეთიოპები იხდიდნენ 400 ტალანტს, ესაა მეჩვიდმეტე სატრაპია. მატიენებს სასპერებს და ალაროდებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი, ესაა მეთვრამეტე სატრაპია „(იქვე წიგნიIII-93-94)

როგორც ირკვევა (იხ. იბერებში) ჰეროდოტეს მიერ აქ აღწერილი სატრაპია აზიელი ეთიოპებისა და პარიკანიებისა, სხვა არავინ არ შეიძლება იყოს, თვინიერ ჰირკანებისა და ქუშ-იბერებისა, რომელიც ტერიტორიულად უკვე კავკასიაში (იბერიაში, არახოსიაში) ჩანს განლაგებული და არსად სხვაგან! ეთიოპის სახელი, უკვე აზიელი ეთიოპისა, ქართების ქართველურ ტომთან ჩანს გაიგივებული, რომლის ადრინდელი სახელწოდება ქუში ჩანს. რაც შეეხება ელამელთა ეთიოპიასთან გაიგივებას, მისი მიზეზი უკვე ზემოთ ვახსენეთ (...და როგორც ირკვევა, სხვა მიზეზთა გამოც...თემა აშკარად ცილდება წიგნის ფორმატს)

„ესაპიდან (....) მანძილზე , ამაღლებულ ბორცვზე , მიუთითებენ მემნონის ყორ-

ღანს, ტიფონის შვილისა, აქაა დასახლება მემნონი“ (სტრაბონი, წიგნიXIII ;1-11)

დასახელებული ადგილი ტროადის უშუალო სიახლოვესაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აქ მემნონის დაღუპვის ადგილია მინიშნებული. მართლაც, მემნონის დასაფლავების ადგილს სტრაბონი მოშორებით მიუთითებს:

„როგორც ამბობენ, სუსა დაარსებულია ტიფონის მიერ, მემნონის მამისა .... სუსას აკროპოლს უწოდებენ მემნონისას.... მემნონი , ამბობენ დასაფლავებულია პელტის ახლოს, სირიაში მდინარე ბადასთან'' (იქვე, წიგნი XV ; 3-2)

როგორც ვხედავთ, მემნონის მშობლიურ ქალაქად სუსა ითვლება, (უკვე) სპარსეთის დედაქალაქი, თუმცა მისი სასაფლაო უკვე სხვა სახელმწიფოში, სირიაშია...კვანძის გახსნის კულმინაციური მომენტი, ანტიკური მწერლის, დიკტის კრეტელის ნაწარმოებშია მოცემული:

„შემდეგ დღეს მოვიდა მემნონი, ტირინთის და ავრორას შვილი, უამრავი ჯარით <u>ინდუსებისა და ეთიოპებისა</u>.. . იგი გარემოსილი იყო ხმამაღალი დიდებით, იმდენად რამდენადაც შეკრიბა ერთად მრავალი ხალხი სხვადასხვა წარმომავლობისა. მემნონმა ტროაში ყველა ისინი მოიყვანა <u>კავკასიის მთებიდან</u>,, ხოლო დანარჩენები, არანაკლები რიცხოვნებისა, გამოაგზავნა ზღვით, დაუყენა რა მათ მეთაურად ფალი. როცა ისინი მოვიდნენ როდოსში და მათ ნახეს, რომ ეს ბერძენთა მოკავშირეა, თუმცა უფრთხოდნენ, რომ როდესაც როდოსელებს , როცა გაიგებდნენ რაში იყო საქმე, გემებისათვის ცეცხლი არ წაეკიდებინათ, მაინც იქვე დარჩნენ... ცოტა მოგვიანებით როდოსელებმა დაადანაშაულეს ფალი, რომ მისი სურვილია ალექსანდრეს დახმარება, რომელმაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ გაძარცვა მისი სამშობლო სიდონი და ამით იგი შეურაცხყო...ხოლო ფინიკიელებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ფალის ჯარის უმრავლესობას. ...ჩაქოლეს იგი ქვებით....ამ დროს ჯარი, რომელიც მოვიდა მემნონთან ერთად, დაბანაკდა ღია ადგილას (ქალაქის კედლებში ამდენი ხალხის მოთავსება გაჭირდა). სხვადასხვა ხალხი ვარჯიშობდა საკუთარ ყაიდაზე. თვით ერთი და იგივე იარაღ ი არ იყო სრულებით ერთნაირი და პასუხობდა ცალკეული რეგიონების გემოვნებას; ასე, სხვადასხვა მხარეში გამოჭედილი შუბი იყო სხვადასხვანაირი, ხოლო განსხვავებული ფარების და მუზარადების მრავალსახეობა ჰქმნიდა ომის შემაშფოთებელ სურათს“

(დიკტის კრეტელი, ტროას ომის დღიური; წიგნი IV ; 4-4-5)

დიკტის კრეტელი-ეს ბერძნული მწერლობის არქაული პერსონაჟია. გადმოცემის მიხედვით, დიკტისი იდომენევსის ამხანაგია ტროას ომის დროს. წიგნი ნათარგმნია ფინიკიურიდან ლათინურად მე-4-ე საუკუნეს და ცნობილია ''ტროას ომის დღიურის სახელით''. მეცნიერებს მის რეალურობაში ეჭვი ეპარებათ (20)

აღვნიშნავთ, რომ მემნონი, მემნონ-ეთიოპიელი, ზუსტად იმავე მიზეზით

ჩანს ეთიოპიელად შერაცხული, როგორც ტარხონი (თარხონ-ქუში) და რომელ-საც მეომართა ძირითადი მასა იმავე კავკასიის მთებიდან მოყავს, რომელიც ქართების ერთი ნაწილის ოდინდელი სამშობლო ჩანს! ...თუმცა ჰესიოდეს ეპო-ქისათვის ქუშის ქართველურ ტომებთან იდენტურობა დაკარგული ჩანს. (21)

„მას შემდეგ, როდესაც რიგები გადაეწყო ახალი წესრიგით და ყველგან იწყება შუბების ტყორცნა, იხოცება მრავალი ხალხი ყოველ მხარეს, და ბრძოლა არ შე-წყვეტილა იმ დრომდე, სანამ მემნონი საომარი ეტლით არ შემოიჭრა ბერძენთა შუაგულში სრული სიჩქარით, გადააქცია და წააქცია ყოველი, ვიმც წინ შემო-ხვდა. როცა ბევრი ჩვენიანი დაიღუპა, ყისმათი ჩვენგან შეტრიალდა და არ დაგვიტოვა არავითარი იმედი გადარჩენისა, გარდა გაქცევისა. ბელადებმა აღი-არეს მემნონის გამარჯვება. ამ დღეს დაიწვებოდა და განადგურდებოდა ყვე-ლა გემი , თუ არა ღამეს, უბედურება შეყრილთა თავშესაფარს, არ შეეშალა ხელი მტრებითვის თავდასხმის განზრახვაში. იმდენი იყო მემნონში ძალა, გა-მოცდილება და შესაძლებლობა დაემარცხებინა ჩვენები“ (იქვე)

განსხვავებით ჰექტორისა, რომელიც აქილევსის იძულებითი უმოქმედო-ბის დროს ჩაგრავს ელინებს, და შეძლებისდა გვარად თავს არიდებს აქილევსს, მემნონი ჩაგრავს ელინებს თვით აქილევსის თანდასწრებით და სავარაუდოდ მისი აქტიური წინააღმდეგობის პირობებშიც კი!!!უფრო ჰგავს, რომ თავად აქი-ლევსი ერიდება მასთან პირისპირ შებმას!

თავად ფინიკიელები, ფალის მეთაურობით, რომლებმაც ზღვიდან გაი-ლაშქრეს ტროასაკენ, (მეწამულ ზღვასთან-სინამდვილეში სპარსეთის ყურეს-თან მცხოვრები ქუშელების, მემნონელების გარდა) ამ უკანასკნელთა მოკავში-რეები ჩანან: ომს ნამდვილად ევროპა-აზის შეტაკების სახე უჩანს, როგორც მას ჰეროდოტე აღნიშნავს კიდეც!... თავად დიკტის კრეტელი ამ ომის შესახებ გაცი-ლებით ინფორმირებული ჩანს, ვიდრე ჰესიოდე და თვით ჰომეროსიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ჰეროდოტეზე!

„მერე ისინი (ელინები) თათბირობდნენ მემნონთან მომავალ ორთაბრძოლაზე; გადაწყვიტეს, რომ კენჭისყრა გადაწყვეტს საერთო სახელს ბელადისა, რომელ-იც მას შეერკინება. აქ აგამემნონმ ა გამორიცხა მენელაოსი, ულისე, იდომენევ-სი, დარჩენილებიდან წილისყრა საერთო ერთობით ირჩევს აიაქს ტელამო-ნის ძეს ...მალე აიაქსმა, შეარჩია რა მოხერხებული დრო, გამოვიდა ორ ლაშ-ქარს შუა, გამოიწვია მემნონი, გააფრთხილა რა წინასწარ ოდისევსი და იდო-მენევსი, რომ დაეცვათ იგი დანარჩენებისაგან. მემნონმა, რა დაინახა აიაქსის მისკენ მიმართება, ჩამოხტა საომარი ეტლიდან და შეება მას ქვეითად. ორივე მხრიდან უყურებდნენ შიშითა და მოლოდინით, როცა ჩვენმა ბელადმა მთელი ძალით ესროლა შუბი მოწინააღმდეგის ფარს, თითქმის გახვრიტა იგი და და-აწვა რა მთელი სიმძიმით, მთელი ძალებით მიმართა შუბი (მემნონის) გვერ-

დისაკენ . ნახეს რა ეს, გამოიქცნენ მეფის მომხრეები, ცდილობდნენ აიაქსის განდევნას. მაშინ აქილევსმა, ნახა რა ბარბაროსების ჩარევა ორთაბრძოლაში, გამოვიდა მათ წინააღმდეგ და ყელში ჩასცა შუბი მტერს, უფაროდ დარჩენილს“ (იქვე, წიგნიIV- 6)

დიკტისის ცნობები ყოვლისმომცველი და უმდიდრესია, რომელიც სათანადო განხილვას იმსახურებს:

1.მემნონი უმძლავრესი მეომარი ჩანს, თვით ჰექტორზე აღმატებული. იგი არ უფრთხის აქილევსთან საომარ ასპარეზზე შეხვედრას, უფრო პირიქით!

2.მემნონთან შესაბმელ გმირებთანგან აგამემნონმა იმთავადვე გამორიცხა მენე-ლაოსი, ოდისევსი, იდომენევსი.რასაკვირველია, ამ გმირების რიცხვს თავად აგამემნონიც ემატება! ელინთა საერთო წინამძღოლმა მემნონთან შებმა ფაქტიურად ყველა ელინ გმირს აუკრძალა! მემნონის წინააღმდეგ საბრძოლველად მხოლოდ პელაზგი გმირები რჩებიან!

3. როგორც დიკტის კრეტელის დღიურიდან ჩანს, კენჭისყრას ფაქტიურად ადგილიც არა ჰქონია, დარჩენილმა გმირებმა მემნონთან შესაბმელაად აიაქსი აირჩიეს! (და არა აქილევსი) მკითხველს შევახსენებ, რომ პელაზგებს, აიანტსაც და აქილევსსაც სპილენძის იარაღისათვის მოუწყლვადი ჯავშანი აცვიათ, სავარაუდოდ რკინის ჯაჭვის პერანგი, ისევე როგორც მემნონს.

4. სავარაუდოა, რომ თვით აქილევსი უფრთხის მემნონთან შერკინებას, რომლის წინაშე მას არავითარი უპირატესობა არა აქვს, ორივე ხალიბთა მიერ გამოჭედილ ფოლადის (სპილენძის იარაღისათვის) მოუწყვლად ჯავშანს ატარებენ!

5. აიაქსმა შეძლო მემნონის ფარის (სავარაუდოდ არა მძიმე ფოლადისა) თით ქმის გახვრეტა შუბით. ფარიდან ნაწილობრივ გამოჩრილი შუბის წვერით და აღ-მატებული, გოლიათური (22) ძალით იგი ცდილობს შუბის წვერი მიმართოს მემნონისაკენ, თუმცა ვერ ახერხებს მისი ჯავშანის დაზიანებას.

6. არ ჩანან მემნონის დასახმარებლად გამოქცეული ''ბარბაროსების'' წინააღმდეგ იგივე ოდისევსი და იდომენევსი, რომლებიც აიაქსმა ამ მისიით წინასწარვე აღჭურვა.

7. არ ჩანან აიანტის მშველელი ოდისევსი და იდომენესი, მაგრამ მემნონის უფაროდ დარჩენით მშვენივრად ისარგებლა აქილევსმა, აიაქსთან ხელდახელ შერკინებით შებოჭილ მემნონი ყელში შუბის დარტყმით განგმირა !

8 . მართალია მემნონი დიკტისის მიხედვით უფაროდ ჩანს დარჩენილი, თუმცა ეს უმძლავრესი მეომარი როგორმე შესძლებდა ჯავშნით დაუფარავი ყელის დაცვას თვით აქილევსისაგანაც კი, მაგრამ ამ უკანასკნელმა შესძლო ბრძოლით გართული მემნონის მოკვლა. აქილევსის შუბის დარტყმა მუხანათურსა ჰგავს, თუმცა დიქტისი მის გამართლებას ცდილობს, თითქოსდა აქილევსი ორთაბრძოლაში ჩაერთო მხოლოდ მასში ბარბაროსთა ჩარევის მცდელობის შემდეგ.

9. სავარაუდოა, რომ მემნონის დაძლევის ეს გეგმა აიანტსა და აქილევს წინასწარ ჰქონდათ კიდევაც დამუშავებული, რამეთუ ცალ-ცალკე ისინი მემნონს ვერც დაძლევდნენ! (აკი აღნიშნავს მემნონის თესალიელთა ჩასაფრებაში მოყოლას და დაღუპვას სხვა ანტიკური ავტორი, ჩასაფრება კი თავისთავად გამორიცხავს რაინდულ ორთაბრძოლას!)

როგორც ირკვევა, „ეთიოპი“ მემნონის შესახებ სხვა, უფრო ზუსტი ცნობებიც არსებობს, რომელიც საერთოდ იგნორირებულია:

„თუ ერთი მხრივ, კტესიამ არ იცის ის, რომელიც არ შეიძლებოდა მას არ ცოდნოდა, თუ ის სარგებლობდა მეფის ქრონიკებით (არქივით) მაგრამ მან (იცის) ის, რაც იქ (არქივებში) არ უნდა ყოფილიყო: მაგალითად ის ჰყვება რომ (ბარბაროსული) ქრონიკები გვატყობინებს მიმოწერის შესახებ რომელიღაც (ასირიელი) მეფის ტევტამასა და....მის ქვეშევრდომ მითიურ პრიამოსთან, ტროის მეფესთან, რომელიც თხოვდა გამოეგზავნა დახმარება ბერძნებთან ომში, რომელსაც აგამემნონი მეთაურობდა . ვითომც და ტევტამმა გაგზავნა ტროაში მემნონი 10000 ეთიოპით (!) და 10000 სუზელით. მემნონი როგორც ცნობილია , გამოყვანილია ბერძნულ ეპოსში როგორც ქალღმერთ აისისა და ტიფონის შვილად და პრიამოსის მოკავშირედ. კტესიამ კი დააკავშირა მისგან გამოგონილი ასირიული ისტორია და საკუთარი ხალხის ისტორია“

(И. М. Дьяконоа История Мидии стр 26-27 Баку-2012 «нагыл Ева“)

ცხადია, დიაკონოვმა იცის მემნონის საომარი ისტორიის შესახებ ტროაში, იმავე ჰესიოდეს, არკტინის თუ გვინდელი ვერსიების მიხედვით, თუმცა მისთვის მიუღებელია ის, რომ ანალოგიური ვერსია კტესიას სპარსეთშიც აქვს გაგონილ-წაკითხული, შესაბამისად არა სპარსულ ან ასირიულ ენაზე)... საინტერესოს, რომ კტესიის ტყვეობაში ყოფნის (ამ პერიოდში ის სპარსეთის იმპერატორის პირადი ექიმია) დიდი პერიოდი ქალაქ სუსაზე მოდის, მემნონის ქალაქზე (როგორც მას ჰეროდოტე უწოდებს) ამასთან, ერთობ ყურადსაღებია, რომ ეს თქმულება „ბარბაროსებში“, შესაბამისად ხუზებში (და სუსელებში) არსებობს და არა სპარსელებსა თუ ასირიელებში!

მცირედ, მაგრამ განსხვავდება კტესიასა და დიკტისის ვერსიები:

1.კტესიის ვერსიის მიხედვით, მემნონი ასირიის მეფის განკარგულებით მიდის ტროელთა დასახმარებლად, შესაბამისად ეთიოპია (ხუში-ხუშალხი,) ასირიაზე დამოკიდებული სამეფო ჩანს.

2.დიკტისის მიხედვით არა ჩანს, დამოუკიდებელია თუ არა მემნონის სამეფო, თუმცა ცნობილი წყაროებით, XIV საუკუნე ჩვ. ერამდე, ასირიის სახელმწიფოს აღორძინების წლებია, როდესაც ის დაპყრობით ომებს აწარმოებს ყველა მიმართულებით , ამდენად თავად ელამის სამეფო ამ პერიოდისათვის ასირიისაგან, მონათესავე სახელმწიფოსაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ვერა ჩანს...

3. კტესია 10000 სუზელ და 10000 ეთიოპ მეომარზე საუბრობს.
4. დიკტისი კი ეთიოპიელ და ინდუს მეომრებზე მუთითებს.
5. ცხადია კტესიას ნახსენები მემნონის ლაშქარი,სუზელი და ეთიოპი მეომრები, იგივე დიქტისის ნახსენები ინდუსი და ეთიოპი მეომრებია! ამასთან, ფაქტიურად მნიშვნელობაც კი არა აქვს, რომელი ტერმინის ქვეშ იგულისხმებან კავკასიიდან ჩამოყვანელი მეომრები:ინდუსების თუ ეთიოპების...

ცხადია, კტესია მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტურ სიმართლეს ჰყვება: ეს ხუშების-ელამიტების უძველეს ჩანაწერებში არსებობს გმირული ფურცლები მემნონის შესახებ... იმ „ბარბაროსებისა“, რომელიც აღმოსავლეთ ქართველთა ტომების წინარე სამშობლოს წარმოადგენს და რომელთა წიაღშიც მსოფლიოს ანბანური დამწერლობის განვითარების საფუძვლები უნდა ვეძებოთ....

...ზოგიერთი მონაცემის გათვალისწინება დიკტისის მოღვაწეობის ეპოქის უფრო დაზუსტების საშუალებასაც კი იძლევა.(23) ...ტროას ომს, ევროპისა და აზიის ფაქტიურად უპირველეს მსოფლიო ომს ქართველური გენის გარეშე არ ჩაუვლია: ერთის მხრივ, ევროპის მხარეს იბრძოდნენ პელაზგები , თითქმის ელინიზირებული ქართველური ევროპული ტომები, ხოლო აზიის მხარეს, ჰომეროსისეული შუბით მებრძოლი აზიელი პელაზგები და იბერ- ქუშები, იმ დროის ცივილიზირებული სამყაროსათვის ქუშის სახელით ცნობილნი.

ყოველივე ზემოთ თქმული გათვალისწინებით, სულ სხვა დატვირთვის მატარებელი ჩანს სტრაბონის ამონარიდი იმავე მეგასთენესაგან:რასაკვირველია მეგასთენეს ზემოთ აღნიშნული ცნობის მისეულ ვარიანტს ჩვენ უკვე ვეღარ ვიხილავთ. იგი სტრაბონის მიერ მისივე დროის პრიზმაში (უფრო კალეიდოსკოპში) ჩანს გატარებული. (გავიხსენოთ, რომ მეგასთენე 300 წლით ადრე წერს თავის ''ინდოეთს'' , ვიდრე სტრაბონის ისტორია დაიწერებოდა!) იმაზე, რომ ეგვიპტის ფარაონი სესოსტრისი თრაკიასა და პონტოსაკენ მხოლოდ ''ლიდიის იბერიიდან'' თუ შესძლებდა დაძვრას, ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მეგასთენეს ცნობებშიც უცილობლად მხოლოდ იბერია იყო აღნიშნული, თუმცა სავარაუდოდ მისი ადგილმდებარეობის ჩვენების გარეშე. სტრაბონის დროს, ეს იბერია უკვე აღარ არსებობდა, ხოლო აღმოსავლეთში არსებული იბერიის საომარ მარშრუტში, ეგვიპტე, თრაკია, პონტო ვერაფრით ეწერებოდა (სტრაბონის ეს ცნობაც, გეოგრაფიულ ანაქრონიზმად რჩება მისსავე ისტორიაში)...მსოფლიო ისტორიას ნაბუქოდონოსორ მე-2-ემ თავი დაამახსოვრა იმით, რომ საზღვრისპირა ომებს აწარმოებდა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და არავითარი ამბიცია (სავარაუდოდ უნარიც) არ გააჩნდა ისეთი შორეული ლაშქრობების მოსაწყობად, როგორიც ჰერაკლეს სვეტები (გიბრალტარი) არის. საკითხავია ვინ ცდება, მეგასთენე თუ სტრაბონი? სიტუაციასი გასარკვევად, ოდნავ უკან უნდა დავიხიოთ:

„ბოლოს და ბოლოს კოლხეთს დაეუფლა პოლემონი, მისი სიკვდილის მერე მართავდა მისი მეუღლე პითადორიდა, რომელიც იყო დედოფალი კოლხეთისა, ქალაქ ტრაპეზუნდისა, ფარნაკიისა და ზემოთ მდებარე ბარბაროსული ოლქებისა, რომელზეც მერე ვილაპარაკებთ. მოსხების ქვეყანა, რომელშიც მდებარეობს სამისნო, იყოფა სამ ნაწილად: ერთი ნაწილი კოლხების ძალაუფლების ქვეშაა, მეორე იბერიელებისა, ხოლო მესამეს ფლობენ არმენები. იბერიაში არის აგრეთვე ქალაქი (ფრიქსეს ქალაქი) თანამედროვე ედესა, კარგად გამაგრებული პუნქტი კოლხეთის საზღვარზე“ (სტრაბონი; წიგნი XI, II-18)

...და სად მდებარეობს იბერიული ქალაქი ედესა? მართალია ამ ქალაქის არსებობას დიდი ქართველი მეცნიერი, პავლე ინგოროყვა ანატოლიის ზეგანზე ვარაუდობს, თუმცა ადგილმდებარეობას ვერ აზუსტებს....

„მან (ტიგრანმა) დაიმორჩილა ატროპატენა და გორდიენას (ქურთისტანის) მბრძანებლები და მათი დახმარებით მესოპოტამიის დანარჩენი დაწილი. გადავიდა რა ევფრატზე, მან დაიპყრო თავად სირია და ფინიკია. ამაღლდა რა ასე მაღლა საკუთარი ძლიერებით, ტიგრანმა დაარსა ქალაქი იბერიის ახლოს, ამ ადგილას და ზევგმას შორის ევფრატზე“ (იქვე; წიგნი XI -15)

ქართველი მეცნიერები (და არა მარტო ქართველი) ვარაუდობენ, რომ სტრაბონს შეეშალა და ევფრატის სიახლოვეს იბერია არასდროს არ დაფიქსირებულა!

„ქალაქი (ანტიოქია) დევს მთა მასიის ძირში, ისევე როგორც ტიგრანოკერტი“ (იქვე, წიგნი XVI; I-23)

მკითხველს შევახსენებ, რომ აქ და ქვემოთ მეზობელ ტერიტორიებზე იქნება საუბარი, კერძოდ:ქალაქ ტიგრანოკერტის შესახებ, რომელიც ევფრატზე მდებარეობს და ქალაქ ანტიოქიაზე, რომელის იმავე მასიის მთის ძირში მდებარეობს, როგორც ტიგრანოკერტი. ....მაგრამ ქალაქ ტიგრანოკერტის მდებარეობა საკმაოდ ცნობილი ფაქტია, ეს ქალაქი სილვანია დიარბექერის ახლოს დღევანდელ თურქეთში....

„ევფრატსა და ტიგროსს შორის მდებარეობს კიდევ ერთი მდინარე-ბასილი, ხოლო ანთემუსიის ახლოს მეორე, აბორა. გადადიან ევფრატზე მოგზაურები ანთემუსიის ახლოს, მესოპოტამიაში. მდინარიდან 4 სხოინზე (18კმ) განლაგებულია ქალაქი ბამბიკა, რომელსაც ედესა და გიეროპოლად (წმინდა ქალაქი) უხმობენ“(იქვე; I-27)

ზუსტად ეს ქალაქი, ედესა (გიეროპოლი) ჩანს იბერების მიერ დაარსებული, მდინარე ევფრატის მახლობლად. აქვე ჩანს მათი საზღვარი კოლხეთთან, რომლის სიმძიმის ცენტრი სავარაუდოდ ჯერ კიდევ ტრაპეზუნდია! ეს ამ კოლხებთან ერთად წყვილდება ლაშქრობისას მარები , რომელთა სამშობლო სავარაუდოდ დღევანდელი ქალაქ კახრამანმარაშის მახლობლა საგულებელი!

ეს მდიდარი „წმინდა ქალაქი“ ედესა ჩანს გაძარცვული სინოპელი ფარნაკესა და მითრიდატე პერგამოელის მიერ! ცხადია სტრაბონია ეპოქისათვის აქ უკვე იბერები ვეღარ იქნებიან, (პომპონიუს მელასი არ იყოს, ან არიან იქვე და სხვა სხვა სახელს შეფარებული) ვერც მესხების უკიდურესი ფრთა უწევს ედესამდე, ისინი ნაბუქოდონოსორ II მიერ განდევნილები დიდი ხანია მცხეთას არიან შემოფარებული, ამ ახალ იბერიაში. ქალაქ ედესას შესახებ ცნობები სტრაბონს მხოლოდ მეგასთენეს ნაშრომიდან შეეძლო ამოეღო, რომელიც თავად გახლავთ ამ ახალი იბერიის მოქალაქე! (როგორც ირკვევა, სტრაბონთანაც ფიქსირდება ამ ტერიტორიაზე იბერიული ტომი და პოლიტიკური წარმონაქმნი, უკვე სრულიად სხვა სახელით...)

ცხადია მეგასთენეს რეალისტურ ტექსტში მითითებულია ნაბუქოდონოსორის მიერ იბერების უკუქცევა, ძალდატანებითი გადასახლება მათ ახლანდელ საცხოვრისში იმ <u>იბერიიდან , რომელიც</u> უკვე არ არსებულია სტრაბონის ეპოქაში. სტრაბონი არ იცნობს ამ სახელმწიფოებს, თუმცა მეგასთენეს ცნობები მასზე სტრაბონის ეპოქისათვის ნამდვილად არსებული ჩანს. იგივე სტრაბონი არმენთა მეფის, ტიგრანის მიერ აშენებულ ქალაქს, ტიგრანოკერტს ევფრატზე ახსენებს, მისივე სიტყვებით , იბერთა მოსაზღვრედ. აქ კი მხოლოდ მეგასთენეს მიერ აღწერილი იბერია შეიძლებოდა ყოფილიყო.

(დღესაც, ათეულობით საუკუნეების შემდეგ შემორჩენილია იბერ-ქუშების სახელი თანამედროვე რუკაზე: არავითარ სირთულეს წარმოადგენს ქუშ-ტეპეს მოძიება სამხრეთ- დასავლეთ ანატოლიაში, ქუშების ტბის სახელთ .რაც ქუშების აქ ოდინდელი დასწრებულობის აშკარა ნიშანი ჩანს!) (24)

შემდგომი ეპოქის ისტორიკოსებისათვის, იბერები ნაბუქოდონოსორის მიერ დასავლათის იბერიიდან გადმოსახლებული ტომია: (იხ, ევსევი კესარიელის ნაწყვეტები იბერების თემაში იბერიის, ნაბუქოდონოსორ მე-2-ის და ლიბიის შესახებ)...ცხადია, რატომაც ''ილაშქრა'' სტრაბონის ნაბუქოდონოსორმა ესპანეთამდე, დასავლეთის ამ იბერიამდე, საიდანაც მან იბერები გადმოასახლა საქართველოში...მაშ იმავე მეგასთენეს გადმოცემით, ვინ ილაშქრა ჰერაკლეს სვეტებამდე?

...გიბრალტარამდ ე ტეარკონ ქუშმა ილაშქრა!!! და რატომ ეთიოპიელი სტრაბონისათვის (მეგასთენესათვის? ის ქუშის სამეფოს არ ცნობს, მის დროს ის უკვე რამდენიმე საუკუნის არ არსებულია! (ეს თემა ნარკვევების მეორე ტომში იქნება შესაბამისად გაშუქებული) მაგრამ მის დროს არსებობს ეთიოპთა ქუშანის სახელმწიფო, რომელიც ტეარკონის სამშობლოდ ჩათვალა! (დღესაც ისტორიაში მიღებულია ვერსია, რომ ეთიოპია ანტიკურ ხანებში ფლობდა სუზას?! თუმცა ჯერ კიდევ ჰესიოდესათვის ეს უკანასკნელი ეთიოპია იყო) .. .ეს ტეარკონმა (თარხონმა) ქუშის სამეფოს მთავარსარდალმა შესძლო ჰერაკლეს

სვეტებამდე , გიბრალტარამდე ლაშქრობა!

...და სულ სხვა, ათეული საუკუნის შემდგომმა თარხონმა, მთავარსარდალ-მა, ტირსენ ატისის ძემ, უკვე ლიდიიდან, მეიონი და პელაზგი მოლაშქრეებით სხვა ეტრუსკულ კულტურას ჩაუყარა საფუძველი ეტრურიაში!

ეს ის ხალხია,რომელმაც რომი, მარადიული ქალაქი ააშენა და რომელთა წიაღიდან გამოსული რომაელი იმპერატორები ტარკვინიუსის სახელს ირჩევენ, და ეს სავარაუდოდ ტეარკონის ჩამომავლობისათვის ხაზგასმაა მხოლოდ, რომ-ლითაც ეს უკანასკნელნი სამართლიანად ამაყობენ კიდეც.

ეს ის თარხონია, რომელიც ომის ღმერთის სახელით მკვიდრდება ხეთურ პანთეონში!

ეს ის თარხონია, რომლის სახელი ამა თუ იმ ფორმით მოჩანს მითანელი, არზანანის მილიდელი თუ გურგუმელ სამეფო სახელებში!

ეს ის თარხონია, რომელზეც ლეგენდები თვით არმენებსაც კი შემოუნა-ხავთ!!

ეს ის თარხონია, რომელსაც თავისი (მარსის დღისათვის) განკუთვნილი სახე-ლი სამშაბათისათვის, თახას დღისათვის გადაუცია დასავლეთ ქართულ ენაში-მეგრულში!

ამ ტეარკონის სამშობლო, ქუშის ახალი სამეფო გაანადგურა ნაბუქოდო-ნოსორმა, ამიტომაც ჩათვალა სტრაბონმა, რომ ამ უკანასკნელმა ჰერაკლეს სვე-ტებისაკენ ილაშქრა,თუმცა ქუშის სამეფო გიბრალტარიდან სულ სხვა მხარესაა.

რეზიუმე:

ქუშის ბიბლიური სამეფო-ეს იბერიაა!

ხავილას ბიბლიური სამეფი-ეს გურიაა!

ედემის ბაღი-ეს ებრალთა ათი მუხლის მიერ შექნმილი სახელმწიფო ედომია!

ქუშის და ხავილას ქართული სახელმწიფოები, მათ გვერდით მდებარე , იზრა-ელის შვილების სამეფო ედომთან ერთად, განადგურებული და ამოძირკვული აქვს ნაბუქოდონოსორ II. ამ უკანასკნელის ეს ლაშქრობა უნისონში მოდის მისი მოკავშირის, მიდიის მიერ ურარტუს ასევე ქართველურ სამეფოს განაგურების პერიოდთან. მიდია და ბაბილონი ამ ომში მოკავშირეები იყვნენ, ხოლო მათ მი-ერ განადგურებული სამი სახელმწიფო ვანის ტბი ს უშუალო სიახლოვეს იყო განლაგებული. აქედან ლტოლვილი იბერთა ტომი მკვიდრდება მათივე ნათე-სავი იბერ-ქართების ტომების კუთვნილ მიწა-წყალზე. მათსავე გვერდით სახ-ლდება იზრაელის შვილთა გარკვეული ნაწილი, უკვე იბრ-აელად წოდებული. იბრაელთა გარკვეული ნაწილი გადასული ჩანს ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლ-გისპირეთსა და ყირიმშიც კი. მათი ნაწილი, სახანოს სახითაც კი ფიქსირდება, ტაკაკუ-ხანის სახელით ასტრახანთან. ამ ებრაელების გავლენით ჩანს ხაზართა

ელიტა და სამეფო სახლი ებრაული. ებრაული წარმოშობისაა თვით ქართველი და არმენი მეფეები, ბაგრატიონები... ეს ბაგრატიონებმა მოახერხეს თავისუფლების მოყვარე ქართული ტომების დარწმუნება, რომ ძალა ერთობაშია!

ლტოლვილ იბრაელთა ნაწილი საბერძნეთშიც კი ჩანს გადასული. სავარაუდოდ, ევროპის ებრაელობაც საბერძნეთიდან ჩანს მიგრირებული. (საკითხი აშკარად ცდება წიგნის ფორმატს).

აქედანვე, ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიიდან ლტოლვილი მეორე ქართული შტო, ტიბარანიას აარსებს შავი ზღვის სანაპიროზე, სინოპაზე. ამავე პერიოდისა ჩანს ტაოს იბერიული შტოც....

ის, რომ თქმულების მიხედვით იზრაელის შვილები დაბრუნდებიან იერუსალიმში მესიის მოსვლის წინ, უკვე აღსრულებულია. ზუსტად ისინი, იზრაელის „'უკვალოდ''გამქრალი ათი მუხლის შთამომავალი ჩანს ის ვოლხვები, რომლებმაც მესიის, ქრისტეს დაბადების თარიღი გამოთვალეს და დაიძრნენ იზრაელისაკენ. მათივე ნაწილი ჩანს ქართველი ებრაელობა, რომლებმაც მოგვიანებით, ქრისტეს სამსჯავროზე ორი ქართველი ებრაელი მიავლინეს.ჭეშმარიტად გენიალური ჩანს პომპონიუს მელას გამონათქვამი: ერები არ ქრებიან, ისინი განაგრძნობენ ცხოვრებას იქვე სხვა სახელის ქვეშ. ან სხვაგან თავიანთი სახელით, ან სხვაგან სხვისი სახელის ქვეშ...

... და ეტრუსკები...

...ისევ და ისევ ანტიკურ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, სრული დარწმუნებით შეიძლება ფაქტის კონსტატირება, რომ პელაზგები მხოლოდ და მხოლოდ დასავლურ ქართული ავტოხთონური ტომები: ხალდები (იგივე ჭანები) კოლხები და იბერები არიან, რომლებიც გავრცელებული ჩანან ანტიკური საბერძნეთის და მცირე აზიის ტერიტორიაზე. კოლხური ტომები გავრცელებული ჩანან ეპირის, კორინთოს და თესალიის ტერიტორიაზე. იბერები, აღმოსავლეთ საბერძნეთში, ეგრეთ წოდებული საბერძნეთის იონიაში, ასევე მცირე აზიის ფაქტიურად მთელს ტერიტორიაზე. ხალდების ერთი ნაწილი ასევე გავრცელებული ჩანს მცირე აზიაში, კერძოდ შუამდინარეთში და ენეტიკაში, დღევანდელ ვენეციაში, იტალიაში, ასევე ცენტრალურ საბერძნეთში ფოკეელების სა-

ხელით…ასევე ანტიკურ ლიტერატურაზე დაყრდნობით მტკიცდება პელაზგებისა და ეტრუსკების მჭიდრო კავშირი, როგორც წინაპარისა და მემკვიდრისა! ...მაგრამ პელაზგებს და ეტრუსკებს შორის უბრალო ტოლობის ნიშნის დასმა აბსოლუტურად არასწორი ჩანს.

აღსანიშნავია, რომ ადრეულ პერიოდში აღმოსავლეთ ქართველურ და დასავლეთ ქართველური ტომებს შერეულ ერთობლიობას ეტრუსკები არ ეწოდება! ფაქტიურად, პირენეის და აპენინის ნახევარკუნძულების შერეული მოსახლეობა, ერთი და იმავე წარმომავლობისა ჩანან, თუმცა პირველებს ძირითადად კელტ-იბერები ეწოდებათ. (კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ესპანეთის ათვისება მინიმუმ 10-13 საუკუნით წინ უსწრებს იტალიის ათვისებას და ორივე პროცესი გაცილებით ძველი ჩანს, ვიდრე დღევანდელი ვერსიით ითვლება)

მართალია არახოსიელი (იბერიელი) მეგასთენე სტრაბონის პირით გვაუწყებს, რომ თარხონ-ქუში (იბერიელი) ჰერაკლეს სვეტებამდე (გიბრალტარამდე) მივიდა, ლაშქრობა გიბრალტარის სრუტის მეორე სანაპიროზეც ჩანს გაგრძელებული!.. .მდინარე იბერის სახელწოდება (აქედანვეა ესპანეთის სახელწოდება იბერია) შემთხვევითი და აღმოსავლეთის იბერიასგან დამოუკიდებელი არა ჩანს და აქ როგორც ირკვევა, ბგერათა უბრალო დამთხვევასთან ნამდვილად არა გვაქვს საქმე:

„მარკ ვარონი გადმოგვცემს , რომ მთელი ესპანეთი (სხვადასხვა დროს) **მოყვა <u>იბერების</u>, სპარსელების, ფინიკიელების და ასევე კელტების და კართაგენელების თავდასხმების ქვეშ“ (25)** (**პლინიუსუფროსი; წიგნი მე-3-ე;პარაგრაფი 1-8)**

ის, რომ იბერები მოხსენიებულია აღმოსავლეთის ხალხების (სპარსელების, ფინიკიელების, კართაგენელების) გვერდით და მათზე წინ, გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს, ეს აღმოსავლეთის იბერიაა! დასავლეთის იბერია იმ ეპოქისათვის არც არსებობდა! ამასთან ის ესპანეთის დამყრობადაა მოხსენიებული! არა აბორიგენად, ისევე როგორც კელტები...

ზუსტად ამავე თეზისის მატარებელი ჩანს ტაციტიც, რომელიც აღმოსავლეთის იბერებს დასავლეთის იბერების წინაპრებად ასახელებს! (იხ, იბერები) სპარსელების და კელტების ქვეშ რასაკვირველია ელამიტები, ანტიკური წყაროების „ეთიოპები“იგულისხმება,რომელთაც თანამედროვე ისტორია სპარსელთა წინაპრებად თვლის!...ასევე, პლინიუსი არ ღალატობს საკუთარ ჩვეულებას და ერთი და იმავე ტომის დუბლირებას ახდენს:ფინიკიელები და კართაგენელები ფაქტიურად ერთი და იმავე ტომია!

...პროტოქართველებს როგორც ეტყობა , არა მარტო ულაშქრნია, არამედ ახალშენი (სავარაუდოდ ახალშენები) დაუტოვებია პირენეის ნახევარკუნძულზე: სტრაბონი თავის წიგნში (სტრაბონი, წიგნიIII; თავი 4-3), ყვება ესპანეთში

მდინარე იბერთან მდებარე ქალაქ ამფილოხზე, ვითომც და ვინმე მითიური ამ-ფილოხის მიერ დაარსებულზე. როგორც სხვა თავებიდან სარწმუნოდ მტკიც-დება, ამფილოხების სახელის ქვეშ, ერთ- ერთი ქართველური ტომი იგულის-ხმება, დღევანდელ რეალობაში იმერლებად წოდებულნი.

უფრო სენსაციური ცნობების მატარებელია მეორე ანტიკური ისტორიკო-სის დიოდორე სიცილიელის ცნობები, თუმცა სანამ ამ ცნობების განხილვაზე გადავიდოდეთ, შეძლებისდაგვარად უნდა გაიმიჯნოს ისტორიული პროცესე-ბი და მათში მონაწილე სუბიექტები:

1. ანტიკური ისტორიკოსების, ჰეროდოტეს, ანტიკლიდის, სტრაბონის (თუმცა ამ უკანასკნელს ეკუთვნის ცნობა ტეარკონ ეთიოპის მიერ გიბრალტარამდე ლაშქრობის შესახებ) და ტიტუს ლივიუსის ფაქტიურად ანალოგიური ცნობები პელაზგთა ნაწილის მშვიდობიანი გადასახლებისა იტალიის ტერიტორიაზე, ატისის შვილის ტირსენეს მეთაურობით - ეს ერთი მშვიდობიანი პროცესია, რომლის შედეგად ჯერ კიდევ რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, დღევან-დელ იტალიაში ეტრუსკები მკვიდრდებიან.

2. მეგასთენეს მიერ ნახსენები ტეარკონის ეთიოპის (თარხონ ქუშად ცნობი-ლის) ლაშქრობა ესპანეთში, რომელმაც ეს უკანასკნელი მცირე აზიის ტერიტო-რიაზე ომის ღმერთის რანგამდე აიყვანა-ეს უკვე სხვა, ქუშ-იბერიული ტომის ექსპედიციაა, ასევა დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებისა!

3.ქუშების, იბერების ეს ლაშქრობა აქვს მხედველობაში არახოსიელ (იბერ) მე-გასთენეს!

4.ქუშების იგივე ლაშქრობა ჩანს მარკ ვარონის მიერ, პლინიუს უფროსის პირით ზემორე მოხსენებულ ციტატაში ესპანეთის შესახებ!

5. სწორედ იბერების (ქუშების) ლაშქრობის ამ შედეგებზე გვესაუბრება დიოდო-რე სიცილიელი ესპანეთის აღწერისას:

„სასარგებლოა დავაზუსტოთ რაღაცა, მრავალთათვის უცნობი. ხალხები, რომ-ლებიც ცხოვრობენ მესალიის ოლქებში (მარსელი) და ალპებთან, ასევე პირე-ნეის მთების ამ მხარეს, იწოდებიან კელტებად, ხოლო ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ამ კელტიკის ჩრდილოეთით, ოკეანის მახლობლად და გერინის მთასთან თვით სკვითიამდე, ეწოდებათ გალლები...

...ვისაუბროთ მათ მეზობელ კელტ იბერებზე. უძველეს დროს იბერები და კელტები იბრძოდნენ ერთმნეთში ამ ქვეყნის გამო, თუმცა შემდეგ შეწყვი-ტეს შუღლი და დაწყეს იქ ერთად ცხოვრება. დაიწყო ტომთაშორისი სა-ქორწილო კავშირები და შერევის შედეგად მიიღეს ასეთი სახელწოდება. იმდენად რამდენადაც ერთმანეთში შერეული ხალხები იყვნენ მძლავრები, ხოლო მათი დასახლებული ქვეყანა შესანიშნავი, კელტიბერები სარგებლო-ბენ დიდებით...ომში კელტიბერები განთქმული არიან არა მხოლოდ როგ-

ორც ბრწყინვალე მხედრები, ასევე ვეითთა შესანიშნავი ღონითა და გამძლეობით. ისინი ატარებენ მკვრივ შავ მოსასხამს, ჩოხისას, თხის ბალნის მინამსგავსს ...ომს კელტ-იბერები აწარმოებენ ორი ხერხით: იბრძვიან რა ამხედრებულნი, მოიგებენ ბრძოლას თუ არა, ისინი ჩამოხდებიან ცხენიდან და იბრძვიან ქვეითთა მწყობრში, იწვევენ მხილველთა აღტაცებას...ავისმოქმედთა და მტრების მიმართ კელტიბერები მკაცრნი არიან, ხოლო სტუმრებთან--მეგობრული და კაცთმოყვარე. ასე, მათთან მოსულ უცხოელს ყველა ცდილობს თავდ უმასპინძლოს, კამათობენ ერთმანეთში მასპინძლობის უფლების შესახებ, ხოლო ვისთანაც უცხოელი ჩერდება, აქებენ და თვლიან ღვთის რჩეულად...ყველაზე მამაცად იბერებიდან ითვლება ლუზიტანელები პორტუგალია) , რომლებიც ატარებენ მცირე ზომის ფარებს...ადვილად ამოძრავებენ ამ ფარებს ბრძოლისას ყველა მხარეზე (მეომარი) ადვილად იგერიებს მისთვის ნასროლ ისრებს... მაგრამ მწყობრში ჩეხვისას მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან კელტიბერებს. მშვიდობიან დროს ისინი ვარჯიშობენ, ასრულებენ რა მსუბუქ ცეკვას, რომელიც მოითხოვს ფეხების საკმაო ძალას“

(დიოდორესიცილიელი. წიგნი მე-5-ე; 32-33-34)

1.დიოდორე სიცილიელის მიხედვით, სამხრეთ- და დასავლეთ გალიის და პირენეის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებს კელტები ეწოდებათ. ხოლო ყველა დანარჩენებს თვით ოკეანემდე და სკვითიამდე: გალები. (ეს უმნიშვნელოვანესი თეორიაა, რომელიც ასეთ კლასიფიკაციას უხუცესი ისტორიკოსიდან , ჰეროდოტედან იღებს. მოგვიანებით ის დამახინჯდა ანტიკურ მწერალთა მიერ და კელტებად გერმანიკული ტომები იქნა აღიარეული , რაც ისტორიული პროცესების სწორ გაგებას ერთობ აფერხებს)

2. ამავე ციტატიდან გამომდინარე, კელტებში იოდორე სიცილიელი სხვა ტომებს გულისხმობს (არაინდოევროპელებს), ელამიტებს-ქუშებს (აზიელ ეთიოპებს ჰეროდოტეს მიხედვით) სიკანებსა(იხ შემდეგ ციტატაში) და როგორც ეტყობა ფინიკიელებსაც...ცხადია, ქუშების (და შესაბამისად სიკანების და ფინიკიელების) კონტაქტი იბერებთან მცირე აზიის ტერიტორიაზე ჩანს მომხდარი და არა ევროპის კონტინენტზე. ..იბერებმა, იმავე ვარონის (და არა მარტო მისი სიტყვებით) ილაშქრეს ტერიტორიაზე, რომელსაც შემდგომ ესპანეთი ეწოდა , დამკვიდრდნენ აქ და წარმოადგენენ მათსავე წინაპრებს ...იბერების ლაშქრობა იმავე ტეარკონ ეთიოპის (აზიელი ეთიოპის-თარხონ ქუშის) წინამძღოლობით კი იმის მტკიცებულებაა, რომ იბერები და კელტები (ქუშები, სიკანები და ფინიკიელები) ლაშქრობამდე უკვე შეხვედრილნი და შერეულნი არიან ერთმანეთთან, რომელიც მხოლოდ მცირე აზიის ტერიტორიაზე შეიძლებოდა მომხდარიყო! წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია რატომ და როგორ ილაშქრეს იბერებმა ქუში (ეთიოპი) ტეარკონის მეთაურობით პირენეის ნახევარკუნ ძულ-

ზე

3.იბერების (ლაპარაკია აღმოსავლეთის იბერებზე, რამეთუ დასავლეთის იბერ-ები იმდროისათვის ჯერაც არ არსებობენ) და კელტების (დორიული ტომის) ნაჯვარი რასა-ეს ესპანელებია!

4. კელტ-იბერები თვით იმ დროშიც შავ მოსასხამს ატარებენ, რომელიც სავარა-უდოდ ქართული ნაბადის შორეული პროტოტიპია!

5. კელტ- იბერები ასევე ომის დიდოსტატები არიან, როგორც მეომარ პელაზგთა შთამომავლობას ეკადრება.

6. მასპინძლობის ზუსტად იმავე თვისებები აქვთ შენარჩუნებული, რითაც იბე-რია და ყოველი საქართველოც დანარჩენი მსოფლიოსაგან გამოირჩეოდა და გა-მოირჩევა!

7. კელტიბერები, -როგორც ეს დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, მთელი ეს-პანეთის და სამხრეთ საფრანგეთის მოსახლეობაა!

8. ლუზიტანიელები (პორტუგალიელები) -ეს უკვე ნაჯვარი ტომი არაა, ისინი აღმოსავლეთის იბერთა პირდაპირი შთამომავალია!

9. ლუზიტანიელები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები, მცირე ზომის ფარს ატარებენ, რომლითაც ისევ, როგორც ეს უკანასკნელები, ადვილად იგერიებენ მოწინააღმდეგისაგან წამოსულ საფრთხეს! ...და ბოლოს, მათ დავლაზე ლაშქრობის ზუსტად ისეთივე მეთოდი უჩანთ, როგორც აღმო-სავლეთ საქართველოს მთიელებს.

10. თვით ქართული ცეკვის ელემენტები, ეს საომარი ვარჯიშის ელემენტები ყოფილა.....

11. მართალია აქ დიოდორე სიცილიელი არ აღნიშნავს, თუმცა როგორც სხვა წყაროებით მტკიცდება, ქუშებსაც (ეთიოპებს) დამოუკიდებელი ტერიტორიუ-ლი წარმონაქმნი შეუქმნიათ უკვე გიბრალტარის სრუტის მეორე მხარეზე, რო-მელსაც შემდგომ მაროკო დაერქვა! ...ხოლო ტუნისი და ალჟირი, შესაბამისად სხვა ელამიტური- ტომების დაფუძნებულია!

12. სავარაუდოა, ამავე ლაშქრობის შედეგი უნდა იყოს დღევანდელი კატალო-ნია, რომელიც ფინიკიელების დაარსებული უნდა იყოს და რომელიც დღეს სე-პარატისტული პოლიტიკით გამოირჩევა!

„ძველად ამ კუნძულს მისი მოხაზულობის მიხედვით უწოდებდნენ ტრინაკ-რიას, ხოლო მასზე დასახლებული სიკანების გამო ეწოდა სიკანია...აუცილებე-ლია ასევე მოკლედ ვილაპარაკოთ სიკანებზე, რომლებიც ამ კუნძულის პირვე-ლი მცხოვრებნი იყვნენ...ასე, ფილსტი გვამცნობს, რომ ისინი დასახლდნენ ამ კუნძულზე ჩამოსულები იბერიიდან, ხოლო დასახელებ მიიღეს მდინარე სიკა-ნიდან იბერიაში ...ისინი არ ემორჩილებოდნენ ერთი მეფის ხელისუფლებას, მაგრამ ყოველ მათმმართველს ჰქონდა ცალკე ქალაქი... დაბოლოს, მრავალი

თაობის შემდეგ იტალიიდან სიცილიაში გადმოსახლდა სიკულების ხალხი მთლიანად. და ბოლოს სიცილიაზე დაფუძნდა ელინური მოსახლეობა... შეერ-ივნენ რა ერთმანეთს და იმ მიზეზით, რომ ზღვიდან მრავალი ელინი მოცურ-და და შეითვის ეს მათი ენა და ცხოვრების ნირი (კუნძულის) მცხოვრებლებმა ბოლოს და ბოლოს შეიცვალეს თავიანთი ბარბაროსული ენა და თავიანთი დასახელება, იწოდებიან უკვე სიცილიელებად" (იქვე; წიგნიმე-5-ე 2-1; 6-1)

როგორც წინამდებარე ციტატიდან ირკვევა, სიკანებს ჩამოსულად თვლი-ან იბერიიდან (უკვე დასავლეთის იბერიდან) მდებარე მდინარე სიკანის სანა-პიროდან...ცხადია, ამ მდინარის სახელი იმავე სიკანური ტომის მიერ ჩანს სა-ხელდებული, რომლებიც აქ, პირენეის იბერიაში ტეარკონ-ეთიოპის ლაშქრო-ბის შედეგად უნდა იყვნენ მოხვედრილი (სიკანთა ტომის გენეზისის საკითხი სცილდება წიგნის ფორმატს) რასაკვირველია, იბერიის და ტრინაკრიის-სიცი-ლიის დამსახლებელი სიკანები ერთი და იმავე ტომის სხვადასხვა თემები ჩანან მცირე აზიიდან და არა ესპანეთიდან მობრუნებულები.

ტომები, რომლებმაც პირენეის ნახევარკუნძული აითვისეს, ფაქტიუ-რად იგივე ტომები ჩანან, რომლებმაც დუჟინი საუკუნის შემდეგ აპენინის ნახე-ვარკუნძული აითვისეს და სახელად ეტრუსკები დაენათლათ. როგორც ჩანს ათეულზე მეტი საუკუნით ადრე ტომთა კელტ-იბერიული გაერთიანება საკ-მაოდ მყიფეა (ამას მათ მიერ ცალკე-ცალკე პოლიტიკური წარმონაქმნების შექ-მნა მეტყველებს) რომ ერთი ტომობრივი გაერთიანება შექმნან ერთი დასახელე-ბით... საოცარია, მაგრამ დიდი ალბათობით სიკულების, სიცილიაში სიკანთა შემდეგ დასახლებული მეორე ტომის ეთნიკური მიკუთვნებულობის გარკვე-ვაც შესაძლებელია:

„(პირველად) ამ სანაპიროს (იტალიაში, დალმატიის პირდაპირ) დიდ ნაწილზე ცხოვრობდნენ სიკულები და ლიბურნები, განსაკუთრებით პალმის, პრეტუტი-ის, და ადრიას ახლოს. ეს ხალხი განდევნილ იქნა უმბრების მიერ, ესენი ეტ-რუსკების მიერ, ეტრუსკები გალების მიერ" (პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ის-ტორია , წიგნი III-14)

ეტრუსკები განდევნილ იქნენ VI საუკუნის დასაწყისს ქრისტემდე, ხო-ლო მათ მიერ უმბრების განდევნა და ამ უკანასკნელთა მიერ სიკულების გან-დევნა გაცილებით უფრო ადრინდელი ჩანს...დაბეჯითებით შეიძლება ვამტკი-ცოთ, რომ კუნძულ სიცილიის მოსახლეობის ფესვები ფშავ-ხევსურული -სიკა-ნურია (სიკულთა ტომი თითქმის იმავე წარმოშობისა ჩანს, როგორც სიკანები, თუმცა პუნების --კართაგენელებთან შერეული და სიცილიაში სავარაუდოდ უფრო გვიან მოხვედრილები) იმავე ფილსტის მიხედვით სიცილიის კუნძუ-ლის პირველ -მცხოვრებლები, ეს სიკანთა ტომია, რომელთაც ეს სახელი ამავე სახელწოდების მდინარისაგან მიიღეს,რომელიც მდინარე იბერს ერთვის, პირე-

ნეის იბერიაში, ესპანეთში. პლინიუს უფროსის მახვილგონივრული მინიშნებით, ეს ტომები არქმევენ ადგილმდებარეობას (მთა, მდინარე) თავიანთ სახელს და არა პირიქით. პლინიუსის თეზისი ამ შემთხვევაშიც გამართლებული ჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა სიკანთა ცხოვრება იტალიის სხვა ტერიტორიაზეც. (ვირგილიუსი მათ ახსენებს თავის „ენეიდაში"იტალიის სხვა ადგილასაც ; წიგნიVII- 796; წიგნიVIII- 328;)

ცხადია ეს სიკანებმა მისცეს სახელი მდინარეს და არა პირიქით. სავარაუდოა, რომ სიკანთა ტომი ტარხონის (თარხონ ქუშის) იმ სახელგანთქმული ლაშქრობის მონაწილე თემია,როდესაც იბერთა ტომი ამ უკანასკნელის მეთაურობით მკვიდრდება ტერიტორიაზე, რომელსაც შემდგომში ესპანეთი ეწოდა...

..არცთუ ისე განსხვავებული ჩანს თემის სატომო სახელი სიკანი-ასაკენისაგან, რომელთა დასაპყრობად გააფთრებული ომის წარმოება დასჭირდა ალექსანდრე მაკედონელს (ფლავიუს არიანეს სიტყვებით) არახოსიაში. (იბერიასა და არა სტრაბონისეულ მითიურ ავღანეთში)

„...შემდეგ ანტიკლიდი ყვებოდა, რომ პელასგებმა პირველებმა დაასახლეს ტერიტორიები ლემნოსისა და იმბროსის ახლოს და სინამდვილეში მათი ნაწილი ტირსენეს მეთაურობით, ატისის შვილისა, გადავიდა იტალიაში. და შემდგენელი ატფიდის ისტორიისა გვამცნობს აგრეთვე პელაზგების ყოფნას ათენში" (სტრაბონი, წიგნი V, 2-4)

მართალია ანტიკლიდისტრაბონის ენით გვამცნობს, რომ პელაზგები და ეტრუსკები-ეს ერთი და იგივე ხალხია, ანტიკლიდის ვერსია სწორი არ უნდა იყოს: პელაზგი მხოლოდ მაშინ სახელდება ეტრუსკად, როდესაც ის ლიდიურ (ფინიკიურ-მეიონურ) ტომთამ ერთად მიგრირდება აპენინის ნახევარკუნძულზე (და ისიც არა ყოველთვის)...და მაინც,სტრაბონის მიერ გახმაურებული ვერსია პელაზგთა და ეტრუსკთა მჭიდრო ნათესაობაზე მეტყველებს:

„ადამიანთა შორის ლიდიელები პირველები არიან, ვინც კ იჩვენ ვიცით, რო მელთაც მოსჭრეს და გამოიყენეს ოქროსა და ვერცხლის ფულები. ესენი იყვნენ პირველი წვრილვაჭრები. თვითონ ლიდიელები ამბობენ,რომ თამაშობანი, რო-მ ელიც იმართება მათთან და ელინებთან, მათი გამოგონილია (იგულისხმება ოლიმპიური თამაშობანი)

„ამბობენ, რომ ეს გამოიგონეს მაშინ, როდესაც ტირსენიე დაასახლეს. ხოლო ამის შესახებ ჰყვებიან: მანესის ძის, ატისის მეფობის დროს მთელ ლიდიაში საშინე ლი პურის ნაკლებობა იყო, ლიდიელები ერთხანს ითმენდნენ, ხოლო შემდეგ, რადგანაც არ გათავდა ეს შიმშილობა, გამოსავალს ეძებდნენ. ზოგი რას იგო ნებდა და ზოგი რას. მაშინ იქნა გამოგონილი კამათელის,ზარის, ბურთი-სა და ყველა ყველა სხვა სათამაშოების სახეები, გარდა კოჭებისა; აი ამის აღმოჩენას ლიდიელები არ იჩემებდნენ შიმშილობის წინააღმდეგ გამოიგონეს და

შემდეგ ნაირად იცეოდნენ: ორი დღიდან ერთს მთლიანად თამაშობაში ატარებდნენ, რა თა არ მოსდომებოდათ საჭმელი, ხოლო მეორე დღეს თავს ანებებდნენ და სჭამდნენ. ასე გაატარეს მათ 2 წელ ნაკლები 20. მაგრამ გაჭირვება არ შენელებულა, ის კი არა უფრო გამძაფრდა. ამიტომ მათმა მეფემ ყველა ლიდიელი ორ ნაწილად გაჰყო და კენჭი ხვდა მხოლოდ ერთს, ხოლო მეორე ნაწილს ერგო ქვეყნიდან წასვლა. იმ ნაწილს, რომელსაც წილად ხვდა დარჩენა, ის თვითონ დაუდგა მეფედ, ხოლო იმას , რომელიც უნდა წასულიყო, მან მეფედ დაუყენა თავისი შვილი, სახელად ტირსენი. ის ნაწილი, რომელსაც ერგო ქვეყნის დატოვება, წავიდა სმირნაში და იქ ააგო ხომალდები, დააწყო ზედ ყოველივე, რაც კი ესაჭიროებოდა ცურვისათვის და გასცურა სარჩოსა და მიწის საძებრად.მათ ბევრ ხალხს ჩაუარეს და მივიდნენ ომბრიკებამდე. აქ მათ დაარსეს ქალაქები და აქვე ცხოვრობენ დღემდე. ლიდიელების ნაცვლად მათ ახალი სახელი დაირქვეს იმ მეფის ძის მიხედვით, რომელმაც ისინი თავის ახალ ქვეყანაში წაიყვანა. მისი სახელწოდების მიხედვით იწოდებიან ისინი ტირსენებად". (ჰეროდოტე, წიგნი I-94)

საეჭვოა, რომ ჰეროდოტეს ფრაზა, რომ ლიდიელებმა მრავალ ხალხს ჩაუარეს, სწორი იყოს: ჰეროდოტე თავისი პერიოდისათვის იტალიის დასახლების სიხშირის მიხედვით მსჯელობს. იტალიის ფაქტიური პირველმოსახლენიც (ტროელთა შემდეგ) სავარაუდოდ ტირსენები (ეტრუსკები) ჩანან...მაგრამ ვინ არიან ლიდიელები?

„აგრონის უწინარესი მეფეები იყვნენ ლიდოს ატისის ძის ჩამომავლები, ამის მიხედვით დაერქვათ სახელი მთელ ამ ლიდიელ ხალხს, უწინ მეიონებად წოდებულს" (იქვე,I-7)

...მაგრამ ვინ არიან თავად მინიები? აპოლონ როდოსელის არგონავტიკის პერსონაჟნი, არგონავტები, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ლაშქრობებში მონაწილეობენ პელაზგები (კასტორი და პოლიდევკე, პელევსი-აქილევსის მამა, ოილევსი- პელევსის ძმა და აიანტის მამა) ძირითადად მინიები, ელინები და ლაკედემონელები-სპარტელები არიან. იაზონის მშობლიური ქალაქი იოლკოსი, მინიური ჩანს, თუმცა ისინი პელაზგთა ყოფილ ტერიტორიაზე, ეოლიაზე, აიოლიდის ქვეყანაში ცხოვრობენ. მინიურია ორქომენიც და ამას ამგვარად ხსნის აპოლონ როდოსელი:

„აქ იაფეტის ძემ დიდებულმა,პრომეთემ შექმნა პირველი მეფე.
დევკალიონი სახელოვანი, ვინც დასაბამი მისცა ქალაქებს,
აუგო უკვდავ ღმერთებს ტაძრები, ხოლო მოკვდავთა გახდა ხელმწიფე.
აქ ჰემონიად ხმობილ მხარეში ჩემი იოლკოსია.
იმ იოლკოსის კიდეგან ბევრი დასახლებული ქალაქიც არის,
სადაც ხალხს დღემდე არც კი სმენია, თუ არის სადმე აიაია.

ამბობენ ძველადჰემონიიდან კადმოსის მხარეს გაეშურაო
მინიას მეფე, ეოლისის ძე, და დაარსა ორქომენიო-
ის ორქომენი, რაც ესაზღვრება კადმოსელების დიდებულ მხარეს...“
(აპოლონ როდოსელი, წიგნი III-1087; თბილისი-1975წ)

საყურადღებოს, რომ ორქომენის დაარსების დრო თვით იაზონისათვისაც კი უცნობია და მის დაარსებას ლეგენდის დონეზე ყვება-ცხადია მინიების ტომი XIII საუკუნეზე რამდენადმე ადრე ჩანს საბერძნეთში დაფუძნებული. (აპოლონ როდოსელის ნახსენები კადმოსი-ეს ჩვ. -აღრიცხვამდე XVIII საუკუნის პერსონაჟია)... და ერთი უაღრესად საინტერესო პასაჟი: ხომალდ „არგოს“ მეზღვაურთა შვილთაშვილები გამოაძევეს კუნძულ ლემნოსიდან პელაზგებმა. გამოძევებულები მივიდნენ ლაკედემონში (სპარტაში). სპარტელთა კითხვაზე, თუ რატომ მოვიდნენ აქ, მათ უთხრეს, რომ პელაზგებისაგან გამოგდებულებმა მამებს (ლაკედემონელებ) მიაშურეს. ლაკედემონელებმა მინიები მიიღეს. მკითხველს შევახსენებ, რომ კუნძულ ლემნოსის მდედრობითი მოსახლეობა (მამრობითი დედაკაცებმა გაწყვიტეს) ტომით სინტიები იყვნენ, შესაბამისად-დარ--დანები, სინდები. რასაკვირველია, მათი და არგონავტების შთამომავლობა პელაზგებმა მინიებად ჩათვალეს. (მიუხედავად არგონავტების ლაშქრობაში პელაზგების მონაწილეობისა). ცხადზე ცხადია, ლაკედემონელებმა მინიები მიიღეს როგორც თანატომელები, დორიელებმა- დორიელები...(იხ ჰეროდოტე, წიგნი IV-145)

„მან გამოიკვლია და გამოარკვია, რომ ლაკედემონელები და ათენელები არიან უპირატესი ელინ ტომებს შორის. პირველი დორიულ ტომში , მეორე იონიურში; ესენი არიან გამორჩეული, რადგან ერთი არის უძველესი პელაზგური ტომი, ხ ოლო მეორე-ელინური...ხოლო ჰისტიაიოტისიდან ისინი გამოაძევეს კადმელებმა და <u>მაკედონესებად</u> წოდებულნი დასახლდნენ პინდოსში,აქედან დრიოპიდიდან მოვიდნენ პელოპონესში და ეწოდათ დორიელები,“ (ჰეროდოტე, წიგნი I-56)

არ ვიცი, ვინ როგორ შეაფასებს ამ ფაქტს, ჩემთვის როგორც მკვლევარისათვის სრული მოულოდნელობაა ასეთი ცნობის მოძიება, რომ ლაკედემონელები და მაკედონელები -ორივე ერთი და იმავე ტომის წარმომადგენლებია. წარმომადგენელია დორიული ტომისა, რომელსაც მიუხედავად ჰეროდოტეს მტკიცებისა ელინურთან და ინდო-ევროპულ ტომებთან მეზობლობის გარდა გენეტიკური ნათესაობაც კი არ უჩანს! ის, რომ მინიები, მეიონები და თვით მეფე მინოსის ქვეშევრდომები-ერთი და იმავე ხალხია, დორიული ტომები, ეჭვიც კი არ უნდა შეგვეპაროს (ამ ვერსიის სრული მტკიცებულება არსებობს, რომელიც სამწუხაროს სცილდება ამავე წიგნის ფორმატს)

...და ეს დორიული ტომი მინიებისა-ფინიკიელებისა, ევროპაში აპენინის ნახევარკუნძულზე ქმნის ტირსენთა-ეტრუსკთა ტომს!...ეტრუსკთა ტომის სრულიად გასაშიფრავად , მისი შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის, დორიული ტომის გაშიფრვაღაა საჭირო!

კოსი-დორიული კუნძული მცირე აზიიდან სამხრეთ-დასავლეთით

ასეთია განმარტება კუნძულისა თავად ჰეროდოტესთან. კოსი, კოსეელები-ეს ის ხალხია , რომელსაც ქუშებისაგან , აზიელი ეთიოპთაგან საერთოდ არაფერი ჰყოფთ, ხანდახან სატომო სახელიც კი! დღევანდელ სინამდვილეში ისინი კახებად იწოდებიან!

(მრავალი არგუმენტის მოყვანა შეიძლება იმავე კოსეელების და სუზელების (ელამელების) ძმობაზე იმავე სტრაბონის დამოწმებით, თუმცა ამას საჭიროდაც კი არ ვთვლით: მოიპოვება პირდაპირი ცნობები ქუშ-კოსალთა იდენტურობისა (ამ სამტკიცს ურწმუნოთათვის და მეორე ნაშრომისათვის შემოვინახავთ)

...რაც შეეხება„აზიის ეთიოპებს“ის ქართველთათვის კარგად ცნობილი ქართლის ტომია... მეიონები, ეს დორიული ტომის ის ნაწილი გახლავთ, რომელსაც რაღაც გარკვეული თვისებების გამო ეწოდათ ფინიკიელები. მათ საერთო წინაპარი უჩანთ ქუშებთან და ისევე მრავალი დასახელება ანტიკური პერიოდისათვის, როგორც ქუშებს. ავტორისათვის ცნობილი მათი თვითდასახელებაც...

უცნობი არაა ტირსენების (ეტრუსკების) ჩამომავლობის ჰეროდოტისეული ვერსია სტრაბონისთვისაც, რომელიც ჰეროდოტეს ეპოქიდან 4,5 საუკუნის შემდეგ მოღვაწეობს და სწერს მსოფლიო ისტორიის მისეულ ვარიანტს. ზუსტად ახდენს ჰეროდოტისეული ვარიანტის ციტირებას **(წიგნი V. თავი II-2) აღნიშნავს მხოლოდ რომ რომაელები ა მ ხალხს ეტრუსკებს, ტუსკებს უწოდებენ, ხოლო ბერძნები ტირსენებს.**

ამ ქვეყანას სახელი მისცა მათმა ახალმა მეფემ, ატისის ძე ტირსენმა, რომელმაც დაარსა აქ 12 ქალაქი და მათ მომწყობად დანიშნა ტარკონი (თარხონი!). სტრაბონის სიტყვებით, ტრიუმფალური და საკონსულო მორთულობანი, ისევე როგორც ნაჯახები, მილები, წმინდა რიტუალები, მკითხაობის საიდუმლოებანი

და მუსიკა რომაელებმა ტირსენებისგან (ეტრუსკებისაგან) შეითვისეს ...ნაშრომის ამ თავში ჩვენ პელაზგების თემის მუსირებას არ ვახდენთ, თუმცა სტრაბონი მრავალ საქებარ ეპითეტს მათი მისამართით არ იშურებს.ჩვენთვის საინტერესოა სტრაბონისეული (უფრო სწორედ მასზე სამი საუკუნით ადრე მოღვაწე ათენელი ისტორიკოსის ანტიკლიდის) ვერსია ტირსენთა (ეტრუსკთა) ჩამომავლობის შესახებ:

„..შემდეგ ანტიკლიდი ჰყვება, რომ პელაზგები პირველები დასახლდნენ ლემნოსის და იმბროსის ახლოს და სინამდვილეში, მათი ნაწილი ტირენეს მეთაურობით, ატისის შვილისა, გადავიდნენ იტალიაში,(სტრაბონი, წიგნი Vთავი III-4)

წინააღმდეგობრივია სტრაბონის (ანტიკლიდის) ეს ვერსიები ჰეროდოტესს ვერსიასთან მიმართებაში,და როგორც ირკვევა,სამივე ეს ვერსია მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი.

1. ჰეროდოტეს მიხედვით, ტირისენები (ეტრუსკები) აზიიდან, ლიდიიდან იტალიაში გადმოსახლებული ხალხია.

2.სტრაბონის (ანტიკლიდის) მიხედვით, ტირენები (ეტრუსკები) პელაზგებია, თუმცა მათი აზრით ისინი ლემნოსიდან , იმბროსიდან (საერთოდ თესალიიდან) ჩამოსახლებულებია. იმ შემთხვევაში ანტიკლიდი ფაქტიურად მიუთითებს რომ ეტრუსკები (იგივე ტირსენები ან მათი შემადგენელი ნაწილი) ეს პელაზგთა ყოფილი ტომია, მაგრამ მან არ იცის სხვა საცხოვრისის შესახებ ლიდიის მახლობლად და ლიდიაშივე, თუმცა ლემნოსსა და იმბროსზე მათი ცხოვრების ფაქტზე ინფორმირებულია.

3.ქრონოლოგიურად ტირსენთა (ეტრუსკთა) მიერ იტალიის ნაწილის დასახლება ფაქტიურად ასეული წლებით წინ უსწრებს ნაბუქოდნოსორის მიერ იბერთა განდევნას ლიდიის მეზობელ ტერიტორიიდან. ცხადია, ლიდიის მიმდებარე და თავად ლიდიის ტერიტორიიდან პელაზგყოფილთა იტალიაში ჩამოსახლება ნამდვილად ნებაყოფლობითი პროცესი უნდა იყოს. ლიდიელთა მეორე ნაწილი აზიის კონტინენტზე ჩანს დარჩენილი.

...და მთავარი ... ეტრუსკებად წოდებული ხალხები სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები ჩანან...რასაკვირველია განსხვავებული ენით...

1.კლუზიის ეტრუსკები მათი სახელგანთქმული მეფით, პორსენათი, მართლაც ლიდიელები ჩანან, მშობლიური (თითქმის) ლათინური ენით. დღევანდელი ტოსკანა სამხრეთ იტალიაში.

2.კამპანიის (და ნეაპოლის) ეტრუსკები იბერები ჩანან, ხალკიდის (მაშინდელი ევბეის) კუნძულიდან, შესაბამისად იბერიული ენით, თუმცა სავარაუდოდ ტირსენ ატისის ძის ექსპედიციის აცდენილი დროში. რასაკვირველია იტალიაში ლათინურის შეთვისება უწევთ.

3. კერეს ეტრუსკები ასევე იბერები (ან კოლხები) ჩანან, სტრაბონის მიხედვით თესალიიდან, ორენოვანნი ,ბერძნული და კოლხური ენით (თუმცა სინამდვილეში ისინი კუნძულ ევბეადან უნდა იყვნენ-აგილიელები ჰეროდოტეს მიხედვით მათ ერქვათ) ასევე ტირსენ ატისის ძის ექსპედიციის მონაწილენი. როგორც ჩანს მათთვის ლინგვა-ფრანკა ენას თავდაპირველად ბერძნული ასრულებს.

4.ვეი ეტრუსკები ასირიელები ჩანან, მეფე ტოლუმნიათი. ასევე ტირსენ ატისის ძის მიგრაციული ექსპედიციის მონაწილენი, მათთვის ლინგვა- ფრანკა ენას უკვე ლათინური ასრულებს.

5.ფალისკები და ფიდენები ახაიელები ჩანან ადრე აქილევსის კუთვნილი ფტიოტიდიდან, უკვე ახაიურად გადაქცეული. თავდაპირველი ენა ასირიული,თუმცა საბერძნეთში ბერძნულ ათვისებულნი. თუმცა იტალიაში ლათინურზე უწევთ გადასვლა, ისევე როგორც ყველა დანარჩენ ტომს,იბერიულის ჩათვლით.

6. რეტები მცირე აზიიდან, სვანური ტომები, რასაკვირველია საკუთარი ენით, თუმცა ლათინურის ათვისების საჭიროებით.

სამწუხაროდ წიგნის შეზღუდული ფორმატი საშუალებას არ იძლევა ზემოთ გამოთქმული პოსტულატების სრული მტკიცებულების გამოქვეყნებისა. ამჯერად დავკმაყოფილდები ეტრუსკთ ა ცალკეული ტომების, კამპანიელების კერეელების და რეტების ზედაპირული გამოკვლევა-დახასიათებით.

...დღევანდელობაში, ეტრუსკულ ენად კამპანიის-ნეაპოლის ენა მიაჩნიათ, რომლის ნიმუშები შემონახულია ქალაქ პომპეის მდიდრული ვილის ბრწყინვალედ მოხატულ კედლებზე...ასევე ცალკეულ თიხის ფირფიტებზე... სინამდვილეში ეს ეტრუსკი იბერების ენაა, ნაწილობრივ ლათინიზირებული...

...უაღრესად საინტერესოა I საუკუნეში ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ლავით და ფერფლით დაფარული მდიდრული ვილის კედელზე შემონახული წარწერიანი მხატვრობა. კედელზე გამოსახულია ეტრუსკთა ნადიმის პროცესი. ახალგაზრდა მამაკაცი ფიალით ხელში (სვარაუდოდ ღვინით სავსეთი) მიმართავს მოპირდაპირედ მსხდომთაგან ერთ-ერთს: “ჰეი ლარგენ,დალიეს!“. წინა საუკუნის ქართველი მკვლევარის (მიხაკო წერეთელის) მოკრძალებული (ვერ გახმაურებული და მხოლოდ ქართული ყურისათვის გამიზნული) კითხვა: ნუთუ? არადა აქ საკამათოც არაფერი უნდა იყოს! ეს სიტყვები სინამდვილეში ე ტრუსკი იბერიელისაა და ზუსტად იმას ნიშნავს, რაც ქართულში: ჰეი ლარგენ, დალიე?-უკვე ნაწილობრივ ლათინიზირებულს... არსებობს ორსტროფიანი ლექსი ამავე იბერიულ ენაზე, აშკარად ქართული რიტმით და მსგავსი სიტყვებით, მაგრამ უკვე ჩვენთვის გაუგებარ ენაზე...ვცდიდი კი გაშიფრვას, მაგრამ სამწუხაროდ წიგნი აფხაზეთში დამრჩა...

…და კერე-ელი ეტრუსკები...მათ შესახებ სანტერესო ცნობებია სტრაბონთან: **„ეს მე ვთქვი ცნობილ ტირენელებზე. საჭიროა ვახსენოთ კიდევ ქალაქ კერეს მცხოვრებთა გმირობაზე; ეს მათ დაამარცხეს გალატები, რომლებმაც აიღეს რომი. ისინი თავს დაესხნენ გალატებს ამ უკანასკნელთა დასაბრუნებელ გზაზე საბინიანთა ქვეყანაში და წაართვეს მათ როგორც ნადავლი, ასევე რომაელთა მიერ ნებაყოფლობით გაღებული ხარკი. გარდა ამისა, მათ მისცეს თავშესაფარი ყველა გამოქცეულს რომიდან და იხსნეს მუდმივი ცეცხლი ვესტას ქურუმ ქალთან ერთად. რომაელებმა, სავარაუდოდ, თავიანთი მაშინდელი მმართველების მიზეზით, არ გაიხსენეს საკმარისი კეთილგანწყობით მათთვის გაწეული სამსახური. მართალია მათ დაასაჩუქრეს კერეელები სამოქალაქო უფლებებით, მაგრამ არ ჩარიცხეს ისინი მოქალაქეთა რიცხვში და სდევნიდნენ კიდეც სხვა პირებს, რომელთაც არ ჰქონდათ ისონომები.(26) სწერდნენ მათ კერეელთა რიგებში, ბერძნებში ეს ქალაქი სახელქანთქმული იყო ვაჟკაცობით და მისი მცხოვრებლების სამართლიანობით. სინამდვილეში ისინი არა მარტო თავს იკავებდნენ მეკობრეობისგან, თუმცა ქალაქი იყო საკმაოდ მძლავრი, არამედ შესწირეს პითიას ეგრეთ წოდებული აგილიელთა განძი. თანამედროვე კერე ადრე იწოდებოდა აგილიად და როგორც ამბობენ, დააფუძნეს პელაზგებმა, მოსულებმა თესალიიდან როცა ლიდიელები, რომლებმაც შეიცვალეს თავიანთი სახელი ტირენეელებზე, გამოვიდნენ აგილიელთა წინააღმდეგ სალაშქროდ, ერთ-ერთი მათგანი მივიდა ქალაქის კედლებთან და კითხა ქალაქის სახელი; მაშინ ერთმა თესალიელმა, მდგარმა კედელზე. პასუხის ნაცვლად მიმართა მას მისალმებით; ხერე. ტირენელებმა მიიღეს ეს კარგ ნიშნად და აღებულ ქალაქს სახელი შეუცვალეს ასეთნაირად“. (სტრაბონი წიგნი 5, თავი 2-3)**

პელაზგთა ერთი ნაწილი, გადმოსახლებული თესალიიდან (საბერძნეთიდან) ქალაქს აგილიას არქმევს და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, უკვე ლაპარაკობს არა პელაზგურ , არამედ ბერძნულ ენაზე! ქალაქისთვის ლიდიელი პელაზგთა, (ეტრუსკთა, ტირსენთა) მიერ შერქმეული სახელი კერე, სტრაბონის ვერსიისთ თესალიელი პელაზგის მიერ წარმოთქმული ბერძნული სიტყვა ხერე ხდება! ცხადია, თესალიელი პელაზგი უკვე ბერძნულად საუბრობს! კიდევ ერთი დამამტკიცებელი ფაქტი, რამდენად პლასტიკურია პელაზგური (ქართველური) გენი ენობრივ მიმართებაში. როგორც წინა თავში აღინიშნა, პელაზგური და ეტრუსკული ენების სრული იდენტურობა გამორიცხულია. ეტრუსკული ენა უკვე ინდოევროპული ენაა. (თავად ქალაქ კერეს მოსახლება, იტალიაში თესალიიდან გადმოსული, აშკარად კოლხური (იბერიული) უნდა იყოს. თესალიის მიმდებარე ტერიტორია და თავად თესალიაც თავიდან ეოლიური იყო, თუმცა ისინი განდევნა მინიებმა, იაზონის ტომმა, ხოლო თესალია დაერქვა მის შემდეგ, რაც კოლხებმა იაზონის შვილი, თესალი გაა-

მეფეს მამის ტახტზე)...სავარაუდოდ, კოლხი მოლაშქრეები მინიელებსსვე შეუერთდნენ იმავე თესალიის ტერიტრიაზე-ქალაქი აგილია, სტრაბონის სიტყვებით, მისი პერიოდისათვის კერედ წოდებული, საბერძნეთიდან, თესალიიდან გადმოსახლებულნი არიან...აგილიელები-კერეელები, თესალიიდან გადმოსახლებული პელაზგები რომ კოლხები არიან, ფაქტიურად მტკიცებას არც მოითხოვს და აი რატომ:თესალია ადრე პელაზგების, ეოლიელების-ხალდების, იგივე ჭანების ნამოსახლარი ჩანს.როგორც ზემოთ ითქვა, აქ თესალის მამის ტახტზე გამეფების პერიოდში ეპირელები-კოლხებიც უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი. ნებისმიერ შემთხვევაში კერეელები პელაზგები ჩანან, ამ ხალდი ან კოლხი ...როგორც შემდგომი კვლევებით ირკვევა, აპენინის ნახევარკუნძული სხვადასხვა ადგილიდან გადმოსახლებული ჭანების ნაკლებობას არ განიცდის თურმე...მაგრამ პელაზგი კერეელები ნახევარკუნძულზე მარტონი ჩანან, თანატომელების გარეშე.შესაბამისად აგილიელები-კერეელები მხოლოდ კოლხები შეიძლება იყვნენ...

...და რეტები...ეგვიპტის ფარაონმა ჰორემხებმა, აიეტის თანამედროვემ, თრაკიული ლაშქრობის დაწყებისას დაამარცხა მავანი რეტები, ადგილმდებარეობის მიუთითებლად, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეს მცირე აზიის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო. თუმცა დმარცხება განადგურებას არ ნიშნავს- რეტების ტომის ნაწილი ათეული საუკუნის მერეც დაფიქსირებულია მცირე აზიის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიდესი ნაწილი ადრიატიკის ზღვისკენ ჩანს მიგრიებული, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIII საუკუნეს...

„მათ (გალებმა) დაიკავეს მიწები, რომელსაც ადრე ამუშავებდნენ ეტრუსკები. თითქოსდა კლუზიელმა არუნტმა მიიტანა ღვინო გალებთან იმისათვის, რომ მიეზიდა ეს ტომი-ის გაბრაზებული იყო ლუკუმონზე, რომლის მეურვე ადრე ის იყო. იმისათვის რომ მან შეაცდინა მისი მეუღლე, და რამდენადაც ეს ჭაბუკი ფლობდა ისეთ ძალაუფლებას, რომ შეუძლებელი იყო მისი დასჯა, თუ არა უცხოტომელთა ძალების მიერ. ვითომდა ამ არუნტმა გადმოიყვანა მტერი ალპებზე და გახდა კლუზიის გარემოცვის მიზეზი...მე არ ვუარყოფ, რომ კლუზი-ას გალები მიუსია არუნტმა, ან სხვა ვინმე სხვა კლუზიელმა, მაგრამ სრულიად ცხადია, რომ კლუზიის გარემოცვა არ იყო პირველი: გალებმა ხომ გადმოლახეს ალპები ორასი წლით ადრე კლუზიის გარემოცვამდე და რომის აღებამდე (600 ჩვ .წ. აღრიცხვამდე)...გალების მეომრები ეომებოდნენ არა ამ ეტრუსკებს, ბევრად ადრე ისინი არაერთხელ შეჯახებიან მათ, რომლებიც ცხოვრობდნენ აპენინსა და ალპებს შუა...ჯერ კიდევ რომის სახელმწიფოებრიობის შექმნამდე , ეტრუსკთა ხელისუფლება ფართოდ იყო გავრცელებული ხმელეთაშუა ზღვაში...სამტკიცი იმისა, თუ რამდენად დიდი იყო მათი ძლიერება, ამტკიცებს

ზემოთა თუ ქვემოთა ზღვის სახელებიც, რომლითაც როგორც კუნძული გარშემორტყმულია იტალია; ერთ-ერთ მათგანს იტალიური ტომები უწოდებენ ტუსკებს, ამ ხალხების საერთო სახელის მიხედვით, ხოლო მეორეს ადრიატიკისას- ადრიიდან, ტუსკების კოლონიიდან. ბერძნები უწოდებენ ამ ზღვებს ტირენეისა და ადრიატიკისას. ტუსკებმა დაასახლეს მიწები ერთი ზღვიდან მეორემდე. თავიდან დაარსეს თორმეტი ქალაქი, აპენინების იმ მხარეს , ქვემო ზღვაზე, შემდეგ გამოიყვანეს სხვა კოლონა ქალაქების რიცხვის მიხედვით. ამ კოლონიებმა დაიკავეს პადს იქით, თვით ალპებამდე, ვენეტების კუთხის გარდა, მცხოვრებნი ზღვის ბოლოს . რასაკვირველია მათვე მისცეს დასაბამი ალპურ ტომებს, პირველრიგში რეტებს. მართალია ადგილმა, სადაც ცხოვრობდნენ რეტები, გახადეს ისინი მრისხანენი, არ დაუტოვეს არაფერი, გარდა ენისა და ისიც გაფუჭებული'' (ტიტუს ლივიუსი. წიგნიV, 33)

ტიტუს ლივიუსის ეს (და სხვა) ციტატა ერთობ მნიშვნელოვანია ეტრუსკთა (და შესაბამისად პელაზგყოფილთა) გავრცელების საზღვრების მოსანიშნავად:

1. წინ უსწრებს რომაელთა მმართველობას და კულტურას, ან თანაბარია.

2.ტუსკების საცხოვრებელი, იმავე ლივიუსის მიხედვით, არა მარტო ტირენეის ზღვის სანაპირო და ეტრურია ყოფილა (სამხეთი იტალია) არამედ მთელი პადს იქითა მხარე თვით ადრიატიკის ზღვამდე, ვენეტებამდე და თვით ალპებამდე. ეს იტალიის მთელი დასავლეთ ნაწილია ზღვამდე, რომელზედაც ლივიუსის სიტყვებით, უკვე რეტების --სახელმიღებული ეტრუსკები ცხოვრობენ.

3.ეტრუსკებს არ აკუთვნებს ლივიუსი ვენეტებს, თუმცა ისინი პელაზგთა დასავლეთ შტოს შერეული ტომი ჩანს, რომლებიც დიდი ხანია უკვე რომაელთა მფარველობის ქვეშ იმყოფებიან

4. მართალია ლივიუსი რეტებს ეტრუსკებად მიიჩნევს თუმცა აქ სახელგანთქმული ისტორიკოსი მცირედ უნდა ცდებოდეს: მართალია რეტებს ცხოვრების და მმართველობის ისეთივე ფორმა უჩანთ, მაგრამ განსხვავდებიან ეტრუსკებისაგან სალაპარაკო დიალექტით, რომელსაც ეს უკანასკნელი გაფუჭებულ ენას უწოდებს. გარდა ამისა რეტები ხასიათითაც კი განსხვავდებიან ეტრუსკებისაგან, რასაც ლივიუსიც აღნიშნავს.

და როგორ ხვდებიან ისინი ალპებში? ამ კითხვას თავად ლივიუსი პასუხ-ობს:

„გაბეზრებული (შიმშილობით) ისინი (გალები) მივიდნენ იტალიაში, გარეკეს დასახლების ადგილიდან ტუსკები და დააფუძნეს მედილიონი, კომი, ბრიკსია, ვერონა, ტრიდენტი, ვიცეტინი. ტუსკებმა დატოვეს თავიანთი წინაპრების მიწა და რეტის წინამძღოლობით დაიკავეს ალპები და დააფუძნეს რეტის (რეცია) რეტების ტომის სახელის მიხედვით“ (იქვე, 34-3)

ლივიუსი ამ საკითხში აშკარად ცდება: ტომს რეტი, შერქმეული თავიან-

თი ბელადის სახელის მიხედვით, გაცილებით ადრე, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIV საუკუნეს უკვე მინიჭებული ჰქონდა...რეტებს, რეციას არაერთხელ აღნიშნავენ ისტორიკოსები ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც პელოპონესზე მესენიური ომები მძვინვარებდა VIII-VII საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვამდე.როგორც ჩანს, რეტიელები და მესენიელები ერთი და იმავე დორიული ტომის წევრები არიან, თუმცა მათი მიგრაციის ბოლო პუნქტი ევროპისაკენ განსვავებული და სხვადასხვა მოჩანს. რეციელები მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ მესენიელებს, თუმცა ქმედითი დახმარება ვერ შესძლეს. მესენიელთა დამარცხების შემდეგ, მათი ნაწილი თავშესაფარს სიცილიაზე, ნაწილი თვით აფრიკის კონტინენტზე და ნაწილი რეტებთან პოულობენ. სწორედ ეს ნაწილი ჩანს რეტიელებისა გალების მიერ აწიოკებული და დარბეული VI საუკუნის დასაწყისში ჩ.წ. აღრიცხვამდე და რომელსაც -გაკვრით აღნიშნავს კიდეც პლინიუს უფროსი.

რეტების ენა ეტრუსკულის მსგავსია, რამეთუ ერთიც და მეორეც დორიული ტომია.რეტების ენა „გაფუჭებული“ ჩანს იმიტომ, ფუძეშივე განსხვავებული იყო... (დროს არ დავაკონკრეტებ) რაც მთავარია, ეს ხასიათ და ენაგაფუჭებული ეტრუსკები წყლის ორი წვეთივით გვანან მაკრონებს, სვანებს, რომელთაც ანატოლიის ზეგანზე ხვდები ბერძენი მოლაშქრე, ქსენოფონტე. რეტების ერთი, სავარაუდოდ ის ნაწილი, საიდანაც ჩანან რეტები მიგრირებული ევროპაში, მცირე აზიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე, ტროას ნანგრევების მახლობლად ქალაქ-პოლისში ბინადრობს:

„დილით გმირებმა დამაშვრალებმა ზღვა ზემო მხარეს დატოვეს უკან,
ღამით კი გაჰყვა მათი ხომალდი შეუსვენებლად იმ გზას, რომელიც
იქით რეტიის ნაპირსა რწყავს და მარჯვნივ კი უძევს იდე მთიანი
დარდანიასაც რომ ჩაუარეს, მალე აბიდოსს მიადგნენ კიდეც“
(აპოლონ როდისელი; არგონავტიკა, წიგნი I-927-930)

ცხადია, როდესაც ჩვ.წ. აღრიცხვამდე IV საუკუნის პოეტი როცა რეტიას ილიონთან აღწერს, მას ეს ცნობები უფრო ადრინდელი ისტორიკოსისაგან უჩანს აღებული. აქვე აპოლონ როდოსელს ბებრიკთა ტომი აქვს აღწერილი, რომელიც ყველა ნიშნით, ასევე სვანური ტომის ნაწილი ჩანს.(ბებრიკთა თემა სცილდება წიგნის ფორმატს):

„მერე მდებარეობს რეტიი-ქალაქი გაშენებული ბორცვზე და მიმდებარე რეტიასთან დაბალი სანაპიროთი, რომელზედაც მდებარეობს სასაფლაო და სა მსხვერპლო ეანტისა და მისი სტატუით...სიგეაზე მდებარეობს სამსხვერპლო და სამახსოვრო ა ქილევსისა, ასევე სამახსოვროები პატროკლესი და ანტილოხისა. ყველა ამ გმირებს, როგორც აიანტს, ილიონელები (რეტები) მსხვერპლს სწირავენ, მაგრამ ჰერაკლეს ისინი პატივს არ სცემენ, მის მიერ მიყენებული ნგრევისა და განადგურებისათვის...(სტრაბონის ეს ცნობა დამატებით შ ესწავ-

ლას მოითხოვს) მაგრამ იმავე გმირებმა , რომლებსაც ისინი თვლიან ღირსეულად მსხვერპლშეწირვისათვის და პატივს სცემენ როგორც ღმერთებს , გაანადგურეს ქალაქი ძირამდე. ილიონელებს შეეძლოთ თავის გასასამართლებლად მოეყვანათ ის მოსაზრება, რომ ამ გმირებს მიჰყავდათ სამართლიანი ომი“ (სტრაბონი, წიგნი XIII, I-30-32)

1. რომ სტრაბონი რეტებს ილიონელებს უწოდებს, ცხადად მიანიშნებს, რომ ისინი დიდი ხანია აქ ცხოვრობენ. იმდენად დიდი ხანი, რომ სტრაბონმა არ იცის მათი წარმოშობა და მათ ილიონელებად თვლის.

2.რეტები პატივს არ მიაგებენ დორიელ ჰერაკლეს, რომელიც მათ თანატო-მელად ან ნათესავად არ მიაჩნიათ. ისინი ჰერაკლეს უკვეელინებთან აიგივებენ.

3.სავარაუდოა, რომ რეტები საკუთა თარ თავს არაელინ პელაზგებს აკუთვნებენ, და მათ საკუთარ წინაპრად თვლიან.

4.ამიტომაც მიაგებენ პატივს ისინი აქილევსს, აიანტსა და პატროკლეს, როგორც ევროპელ პელაზგებს.

...და ვირგილიუსი, იტალიელი პოეტი:

„...ეტრუსკული ნაკადით აქ გზა მოჭრილი ვართ ჩვენ,
იქიდან რუტულები გვავიწროვებენ .
....მეზობლად ცხოვრობენ, დააფუძნეს ძველ ფრიალოზე
ქალაქი აგილი, ხალხი მეომრული სიმამაცით განთქმული:
მოვიდა ის ლიდიიდან და მთებს შორის დასახლდა ეტრუსკებში
მრავალი წელი ავიწროებდა შეუპოვარი მეზენციი
ამ ამაყ ხალხს , დაიმორჩილა იარაღის ძალით
...მეტის მოთმენა ხალხმა ვერ შეძლო, უამრავი სიავის თმენა
ქალაქი აღსდგა მეფეზე: სასახლე გარშემორტყმულია შეიარაღებულებით,
მაშხალებს ესვრიან და ტირანის მეგობრებს ანადგურებენ.
მაგრამ ხოცვისას გაიპარა და რუტულებს შეეფარა მეზენციი.
დამნაშავე სტუმარი შეიფარა ტურნმა სიამოვნებით,
ახლა ეტრურია მთლიანად, სამართლიანი შურისძიებით ანთებული,
მოითხოვს მის გაცემას, იმუქრება მარსის ძალით.
მე შენ ენეას, ამ ურდოს სათავეში დაგაყენებ:
შეკრული მწყობრით დგანან მათი გემები, ომისთვის მზადნი,
საომრად მიიწევენ ბაირაღაწეულები, მხოლოდ ჭაღარა მისანი
ცდილობს მათ შეკავებას, ღაღადებს: <u>მეონიელთა თაიგულო,</u>
მშობელთა სიამაყევ! მეომრის სიმამაცე და სამართლიანი რისხვა

თქვენ გიბიძგებენ მტრისაკენ, და მეზენციი შურისძიების ღირსია,-
მაგრამ არ შეგვიძლია ასე მძლავრი ხალხის დამარცხება იტალიელებს
საჭიროა უცხოელი ბელადის მოძებნა! და საომარი ძალა ეტრუსკებისა
ამ მინდვრებზე დარჩა, უკვდავთა ნებით დაშინებულნი.
თვით ტარხონმა გამოგზავნა ჩემთან ელჩები...“
(ვირგილიუსი, წიგნიVIII-, 473-504)
„...ჭალა და მისი შემოგარენი, როგორც ამბობს გადმოცემა, სილვანს,
ნათესებისა და ჯოგების ღმერთს, უძველეს დროში შესწირეს პელასგებმა
უწინარესად და შორეულ დროში მფლობელებმა ლათინთა მხარისა...:
(იქვე, 600-603)

აგილიელები-კერეელები ვირგილიუსს, რუტულებთან აქვს გაიგივებული მეიონ ეტრუსკებთან ერთად და მხარდამხარ აქვს მოხსენიებული, რუტულები-ეს ლათინებია, რომელთაც ამავე ვირგილიუსის მიხედვით პელაზგები განდევნეს ჯერ კიდევ შორეულ დროში (დიდი ალბათობით ფტიოტიდიდან, აქილევსის სამშობლოდან(26)... მაგრამ ვირგილიუსთან იკვეთება ერთი კანონზომიერება...ეტრუსკების, ამ პელაზგყოფი-ლების სატომო სახელი (უსათუოდ ლიდიიდან იტალიაში გადმობარგებამდე და ხანდახან მერეც , როგორც წინარე შემთხვევაში) მეიონებია!

...და სტრაბონისეული ტეარკონიც ნამდვილად თარხონია, (ქართული ალფავიტის, როგორც ვირგილიუსთან არის ნახსენები!

... საოცრებაა ის, რომ ეტრუსკთა წინამძღოლი თარხონი, ამავე ეტრუსკებს (მეიონებს) საპირისპიროდ იტალიელებს უწოდებს! ვირგილიუსის მიხედვით, ეტრუსკები ნაღდი იტალიელები არიან, ხოლო ლათინები არა...სავარაუდოდ, იტალიის სიდიდით მეორე კუნძულის, სარდინიის სახელწოდებაც სარდედან მოდის, ლიდიის დედაქალაქიდან....

რაც შეეხება ეტრუსკთა ძლიერების დაქვეითებას, რომლებიც ამ ტერიტორიის უძლიერესი და უმამაცესი მეომარი ტომები იყვნენ, მიზეზი ადვილი სანახავი ა და ის ზედაპირზევე დევს: ეტრუსკები ერთიან სახელმწიფო არ ჰქონიათ, ისინი 12 დამოუკიდებელი ქალაქი-პოლისისგან შემდგარი კავშირი იყო. თითქმის ასეთივე წყობის მიმდევარნი იყვნენ ბერძნებიც (მათი რიხვი დადად არის გაჯერებული ქართველური ტომებით) და მხოლოდ ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ შეძლეს აღდგომოდნენ ისტორიის ქარტეხილებს. რაღა შორს წავიდეთ, პელაზგების კუთხურობამ და გაუერთიანებლობამ მისცა საშუალება მცირერიცხოვან ელინებს დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები საბერძნეთში. ფაქტიურად იგივე ხალხები, პელაზგთა და ეტრუსკთა სხვა შტო ქართველებისა, როდესაც ახერხებდნენ ერთიანი სახელმწიფოს შექმნას, მთელ კავკასიასა და წინარე აზიას აზანზარებდნენ...თუმცა ამავე დროს მათვის უცხო არ

ყოფილა გათითოკაცება, განცალკევება, დაქუცმაცება მცირე პოლიტიკურ წარ-მონაქმნებად-სამთავროებად, რამეთუ „ნათესავი ქართველთა ღალატიანი არს“

ეტრუსკებმა, რომლებიც დიდად აფასებდნენ დამოუკიდბელი ქალაქი-პოლისების იდეას, ვერ შეძლესერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ერთიანი სახელმწიფო- შემდგომ იმპერია, მათივე მეტოქე რომაელებმა ჩამოაყალიბეს, რომელთა გავლენის ქვეშაც ეტრუსკები მოექცნენ. რომის იმპერიამ თავის წიაღ-ში გადახარშა მთელი რიგი ხალხებისა: ლათინები, საბინები, უმბრები, სამნიტ-ები, კომპანიელები, ვენეტები, გენუელები, და მრავალი სხვა. მათ რიცხში მოყ-ვნენ ეტრუსკებიც. ენა საერთო, იტალიური, სალაპარაკო ლათინურის საფუძ-ველზე...

რეზიუმე:

ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, პელაზგები მხოლოდ და მხო-ლოდ დასავლეთ- ქართველური ავტოხთონური ტომები ჩანან, საბერძნეთის (ნაწილობრივ იტალიის) ტერიტორიაზე...ანტიკური ავტორებისათვის ეს იბე-რიული და ჭანური ტომებია. იმავე ჯიშისაა კოლხური ტომებიც, თუმცა მათი (უკვე) საბერძნეთიდან დიდი დ აცილების გამო, ვერ ხვდებიან ელინთა თვალ-საწიერში...უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ტომი ერთი საერთო ფესვიდან ჩანს აღმოცენებული და სამტკიცი მასალა ზედაპირზევე დევს. (თემა სცილდება წიგნის ფორმატს)

რაც შეეხება ეტრუსკებს, ამ მცნების ქვეშ აშკარდ სხვადასხვა ტომი იგუ-ლისხმება...მათგან მთავარი - ეს მეიონების ფინიკიური ტომია. თუმცა არიან სხვებიც...ანალოგია შეიძლება„კაზაკებთან“ მიმართებაში მოვიძიოთ...

...და კიდევ, ის რომ გალები, ფრანგების წინაპარი, გადმოდიან ტუსკებთან ღვინით მოხიბლულები, ნათლად აჩვენებს თუ ვისი პრიმატია ღვინოს კულ-ტურა. ის მხოლოდ ეტრუსკულ პელაზგური ბრენდი შეიძლება იყოს! მართა-ლია მისი სამშობლო ამ კერძო შემთხვევაში კახეთი არ ჩანს, მაგრამ სრული დარ-წმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყურძენი პირველმა ქართველმა დაწუ-რა და იგემა!არაქვს მნიშვნელობა, ეს მოხდა საქართველოსტერიტორიაზე, იტა-ლიასა თუ მაკედონიაში! (მაინც იბერიაში თურმე!!!)

...უცნობია, თუ რა ფაქტებს და ცნობებს ემყარებოდა დიდი გერმანელი ფილო-სოფოსი და მოაზრობნე-ჰეგელი. როცა აცხადებდა, რომ ცივილიზაციის სათავ-ში კავკასიური რასა იდგა....

შენიშვნები

1.სიზუსტეს მოკლებული ჩანს ჰომეროსის მიერ ელინური ხომალდების დახასიათება. იგი მათ ყოფს ორმოცდათნიჩბიან ნავებად და ტრიერებად (სამგემბანიან ხომალდებად). ეს უკანასკნელი, როგორც წინარე შენიშვნიდან ირკვევა, ტროას ომიდან რამდენიმე ასწლეულის მერე იქნა შექმნილი. ცხადია, აქ ჰომეროსს ტროას ომის ეპოქის ხომალდებად მისი თანამედროვეობის დროინდელი გემები აქვს წარმოდგენილი.
2.ფტია-ფტიოტიდა, ეს დღესაც ამავე სახელით არსებული ტერიტორიაა, აქილევსის სამშობლო, პელაზგია.
3. ჰეროდოტე არსად არ აღნიშნავს თესალიელთა ბარბაროსობას და მათ ყოველ-თვის ელინურთან კონტექსტში ახსენებს.
4.იაზონი აქილევსისათვის შესაძლებელი იყოს მხოლოდ უფროსი მეგობარი, როგორც მამის-პელევსის თანამებრძოლი, რომელიც თან ახლდა იაზონს კოლხეთის ლაშქრობაში. ნათესაობა ამ ორ პერსონაჟს შორის ფაქტიურად გამორიცხული ჩანს, აქილევსი-პელაზგია, იაზონი-მინია.
5.საკუთარ ნაშრომებში სტრაბონი არა ერთხელ აღნიშნავს პელაზგთა მიერ დაარსებულ ქალაქს კერეს.
6.კერე, ეს იტალიაში მდებარე პელაზგების- იბერების და რუტულების მიერ აშენებული ქალაქი, ეტრუსკების მიერ ანექსიამდე ბერძნულენოვანი იყო, რომელიც შემდეგ უკვე ეტრუსკულად იხსენიება.
7.ის რომ პელოპონესი ეფორის მიერ იწოდება პელაზგისად, არავითარ სენსაციას არ შეიცავს: ისტორია პელაზგებად აღნიშნავს აქვე მცხოვრებ არკადიელებს, პელაზგურია აგრეთვე კორინთო, რომელიც დორიული ტომით გაჯერებამდე კოლხური იყო, პელაზგყოფილად (იბერიელებად) აცხადებს ჰეროდოტე ლაკედემონის დორიულ ტომსაც. უფრო მეტიც, ანტიკური მწერლები პელაზგყოფილებად თვლის თვით არგოსსაც, ელინთა ტომის აკვანს.
8.ფაქტიურად არ მართლდება სტრაბონის (ანტიკლიდის) ვერსია იტალიის კუნძულელი პელაზგებით დასახლებისა, თუმცა ეტრუსკებში პელაზგთა კომპონენტის აუცილებლობა უსვამს ხაზს.
9.ეაკს ჩამომავლობა ზევსიდან მოყავს-ამ „ეაკის“ ნამდვილი სახელი დაკარგული უჩანთ ელინებს, სინამდვილეში ეს აიეტი უნდა იყოს, მზის ღმერთ ჰლიოსის შვილი...
10. მართალია სტრაბონი ერთ ორგანიზმად თვლის ეპირსა და ილირიას, მაგრამ ანტიკური წყაროები მათ მაინც ცალ-ცალკე განიხილავს: ეპირი-კოლხეთი უხსოვარი დროიდან ცენტრალიზირებული მონარქია იყო, თუმცა ამავეს ვერ ვიტყვით ილირიის შესახებ.
11.შეუძლებელია ამ ტერმინში ჰეროდოტე იმ ტირსენებს გულისხმობდეს, რომელთა ტერიტორია ტირენეის ზღვის სანაპიროზე, იტალიაში იყო განლაგებული. ცხადია, ტირსენთა ნაწილი მას აქვე, საბერძნეთშივე ეგულება.
12.კრესტონი-ამ ტერმინის ქვეშ ის ტერიტორია იგულისხმება, რომელიც თუკიდიდეს გრესტონიად, შესაბამისად ეტრუსკების დასახლებად აქვს მოხსენი-

ებული. ცხადია, ჰეროდოტეს პელაზგები და თუკიდიდეს ეტრუსკები, ეს ერთი და იმავე ხალხია!

13.თესალიოტიდა, თესალის ადგილ- მამული, ასე ეწოდა ყოფილ პელაზგიას, იაზონის შვილის, თესალის სახელის მიხედვით, რომელმაც მამის კუთვნილი სახელმწიფო დაიბრუნა ეპირელთა (იკითხე კოლხთა) დახმარებით, რომლებთანაც ის იზრდებოდა! (აპოლოდორეს მიხედვით)

14.ეს უკანასკნელი ფრაზა სავარაუდოდ შემდეგ ჩამატებული უნდა იყოს, იმდენადაა ის იმავე ჰეროდოტეს აზრებისაგან დაცილებული. ეს ელინური ტომი ჩანს ჰეროდოტეს სიტყვებით მცირერიცხოვანი და სუსტი, სანამ სხვა ტომებს (მათ შორის ძირითადად პელაზგებს) შეიერთებდ ა და არა ეს უკანასკნელი.

15.აიგილები- ეს კიდევ ერთი სახელი ჩანს ქართველური ტომებისა, რომელიც ჩვენთვის ცნობილ ყველა შემთხვევაში ტერმინ პელაზგებისა და ეტრუსკების გვერდით (ან მათ აღსანიშნავად იხმარება. მრავალი შემთხვევაა ავტორის მიერ დაფიქსირებული, რომ იგივე ტერმინი, უკვე ირიბად, არა ბერძნულ, მაგრამ დაუმტკიცებელ ქართველურ ტერიტორიას თუ დასახლებას უნდა აღნიშნავდეს.

16.ის, რომ ჰეროდოტეს მიხედვით იონიელებს ადრე პელაზგები ერქვათ, ერთ-ერთი უცილობელი მტკიცებულებაა იმისა, რომ ისტორიისათვის ''იონიელ ბერძენად'' ცნობილი მეგასთენე ქართველური წარმომავლობისაა, კერძოდ იბერი და ამას მისი არახოსიაში ცხოვრება ამტკიცებს კიდეც.

17.თესპროტებით დასახლებული ნაწილი, ეს ეპირია (რომლის სახელი სავარაუდოდ აქილევსის შვილის, ნეოპტოლომის სახელიდან მოდის, რომლის სიყრმის სახელი პირი იყო), კოლხეთყოფილი. ერთობ საყურადღებოა, რომ მას ჰეროდოტე პელაზგიას უწოდებს. ეს დასავლეთის პელაზგიაა, განსხვავებით აღმოსავლეთისა, რომელიც პელაზგიოტიდად იწოდებოდა.

18.ამფილოხების ორენოვნებაზე თუკიდიდე მიუთითებს, ხოლო თესპროტების ორენოვნება თავად ჰეროდოტეს სიტყვებიდან გამომდინარეობს: თუ თესპროტებს ადრე პელაზგიე ჰქვია, ცხადია ისინი ამ ენას უნდა ფლობდნენ კიდეც, თუმცა ეს უკანასკნელი პელაზგურ დიალექტს კრესტონებთან მიუთითებს, ცხადია თესპროტები უკვე ელინურ ენაზე მეტყველებენ. ჰეროდოტე, როგორც ქვემოთ მოყვანილ ციტატაში ცხადი ხდება, მათ უკვე ელინებად თვლის კიდეც.

19.შეუძლებელია იმ პირობებში, როდესაც ადამიანი ადამიანისათვის, მით უმეტეს სახელმწიფო სახელმწიფოსათვის მგელია, შორეული ისრაელიდან ასირიის მიერ ტყვედ ჩამოსხმულმა იზრაელის შვილებმა დამოუკიდებლად შეძლონ სახელმწიფოს დაარსება-ჩამოყალიბება. ქართველური ტომები, რომლებიც პელაზგების და დორიელების ჩამომავალნი, თავისუფლების მოყვარე ტომები, ცენტრალურ სამეფოს არ ქმნიან. ისინი ცალკეული ქალაქების ნებაყოფილებით გაერთიანებას სჯერდებიან, რომელთაც მხოლოდ სამხედრო თავდაცვა აკავშირებთ. (მხოლოდ ამით შეძლეს რომაელებმა და ლათინებმა პირველობა წაერთმიათ მათთვის, როდესაც ცენტრალიზირებული სახელმწიფო შექმნეს) სავარაუდოა, რომ ეს ორი ქალაქი-პოლისი, ქუში და ხავილა მფარველობს ისრაელის შვილებს სახელმწიფოს შექმნის პროცესში.

20.დიქტისი თავს ტროას ომის თანამედროვედ ასახელებს, ტროას ომის ერთ-ერთი გმირის, იდომენევსის გარემოცვიდან, თუმცა მისი ვერსია რასაკვირველია არასწორია (იხ, შენიშვნა N 23)
21.მემნონის ქუშად ხსენება ჩანს ზუსტად ის მიზეზი, რომლის მიხედვით ჰესიოდე მას ეთიოპად თვლის (თუმცა მისი ქალაქ სუსიდან წარმოშობის შესახებ იცის) ხოლო დიკტის კრეტელის მიერ ხსენება მეომრების კავკასიიდან ჩამოყვანის შესახებ, ერთ საკითხს უეჭველად ხდის ფარდას: ჰომეროსამდე, ჰესიოდემდე და რასაკვირველია დიქტის კრეტელამდე ადრე არსებობდა წერილობითი მასალა ტროას ომის შესახებ, სადაც მემნონი ქუშად იყო ნახსენები.
22.აიაქსის გოლიათური ფიზიკური ძალა ცნობილი იყო იმ ეპოქისათვის-ის თვით ჰერაკლესაც კი ეტოქებოდა ფიზიკური შესაძლებლობებით.
23. მართალია დიქტისი მთელი შესაძლებლობებით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ის ტროას ომის თანამედროვეა (დღიურსაც კი ფინიკიურ ენაზე წერს) მისი ერთ-ერთი ციტატა აშკარად „ყიდის'' მას, მისი სიტყვებით, მემნონის მიერ მოყვანილი ხალხების შუბები გამოჭედილია სხვადასხვა ყაიდაზე. საქმეც ის არის, რომ ტროა ომის დროს გამოყენებული იყო მხოლოდ ბრინჯაოს იარაღი, რომელსაც მხოლოდ ჩამოსხმის წესით ღებულობენ. შესაბამისად, დიქტისი იმ დროის მწერალი ჩანს, როდესაც ფოლადის იარაღი ჩვეულებრივი მოვენაა და ჩვეულებრივ ის მზადდებაჭედვის საშუალებით.
კენჭისყრის ჩატარებისას, დიქტისი აღნიშნავს, რომ პროცესი ფინიკიური ანბანის საშუალებით ჩატარდა...აი ზუსტად ამის ხაზგასმა არ იყო საჭირო, ანბანი იმ ეპოქისათვის მხოლოდ ერთი, ფინიკიური იყო... (დღევანდელი ვერსიით)
მისივე სიტყვებით, აქილევსის შვილი, ნეოპტოლომი მამის სიკვდილის შემდეგ მოლოსებთან მივიდა... ვერ მივიდოდა ... იქ ჯერ კიდევ ჰეროდოტეს ეპოქაში თესპროტები ფიქსირდებიან ამ უკანასკნელის მიერ. ..უფრო მეტიც, მემნონის მეომრების ინდებად დასახელება აშკარად აჩვენებს, რომ დიქტისი ალექსანდრე მაკედონელის შემდეგი ეპოქის მწერალია: ეს მაკედონელის ეპოქაში უწოდეს ფხოველებს თეთრი, თუ მთის ინდები.
24.დღესაც არსებულია სამხრეთ დასავლეთ მცირე აზიაში ტბა დასახელებთ „ქუშ- ტეპე," ფრინველების ადგილი თურქულად .. .მერწმუნეთ, ტბას ფრინველების სახელს არც არავინ დაარქევს ...გავიხსენებ ელამის მეფის უმბახაბუას ლტოლვას ასირიელთაგან, „ცლკეული წყლის წიაღში"...
25. პლინიუს უფროსის სიტყვები, რომ მარკ ვარონის თქმით პირენეის ნახევარკუნძული გარდა იბერებისა დალაშქრეს ფინიკიელებმა, პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: თვით ესპანეთის ქალაქი კარტახენა ფინიკიური (კართაგენული) წარმოშობისა ჩანს, ხოლო სპარსეთის მიერ პირენეისაკენ გალაშქრება უბრალოდ ფაქტის დუბლირება უნდა იყოს: ელამის სამეფო, საიდანაც გაილაშქრა თარხონ ქუშმა, ვარონის და პლინიუსის დროს უკვე სპარსეთის შემადგენლობაშია.
26. ჯერ კიდევ ჰეროდოტე აფიქსირებს, რომ აგილიელები-ეს პელაზგების სახელია აღმოსავლეთ საბერძნეთში...იქ კი, პელოპონესს და ფტიოთიდაში მხო-

ლოდ იბერიელი იონიელი-პელაზგები ფიქსირდებიან...ოფიციალურად, ფტი-ოტიდა-ისევე როგორც პელოპონესი,ახაიელებმა დაიპყრეს...ფილმ „ტროა“ რომ გავიხსენოთ, იბერიელი პელაზგი აქილევსი ხელმძღვანელობს ფტიოტიდელ... მირმიდონებს და ეს სინამდვილის ზუსტი ასახვაა-სწორედ მირმიდონები არი-ან ახაიელები, უკვე იბერებს შერეული...არ უნდა გაგვიკვირდეს ახიელთა ბერ-ძნული მისალმება „ხერე“-ზუსტად ახაიელები გაელინდნენ პირველები...არც მათი ლათინებთან ნათესაობაა უცხოდ მოსასმენი...

კოლხეთი

კოლხეთის პირველი ხსენება საისტორიო წყაროებში ჰეკატე მილეტელი-საგან მოდის ჩვენს წელთა აღრიცხვმდე მე-6-ე საუკუნეში. აქ კოლხეთი აწმყო დროში არის მოხსენიებული, თუმცა მისი ხსენება არქაულ ბერძნულ ლიტერ-ატურაში უფრო ადრე იწყება, უკვე წარსულ დროში. ცნობილია თქმულება არგონავტებზე, (რომელსაც მიზეზთა და მიზეზთა გამო მითს ვერ ვუწოდებთ) ფაქტიურად ორმოქმედებიანი თქმულება. პირველი მოქმედება- ეს არგონავტ-ების მიერ ხომალდ არგოს აგებაა (სავარაუდოდ, არგო არის ერთ-ერთი პირვე-ლი ბერძნული ხომალთთაგანი) და ხომალდისა და მისი ეკიპაჟის გაცილება შორეულ (ბერძენთათვის) და სახიფათოი ნაოსნობაში:

„თვითონ ფილირეს ვაჟი ქირონი მთის მწვერვალიდან დაბლა დაეშვა, ზღვასთან მივიდა, დადგა იქ, სადაც ტალღა ტყლაშუნით ეცემა ნაპირს. ჯერ წყალში ჩადგა წინა ფეხები, მერე ასწია მძიმე მარჯვენა, სალამს უთვლიდა მიმავალ გმირებს, გზას ულოცავდა,აძლევდა რჩევებს და უსურვებდა ბრძენი კენტავრი მათ უხიფათოდ შინ დაბრუნებას. ქირონს თან ახლდა თავისი ცოლი, ყრმა აქილევსი ეჭირა ხელთა და მაღლა სწევდა აღსაზრდელს, რათა მამამისს, პელევსს ეხილა შორით“ (აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, წიგნი1,-552-557, თბილისი,1975წ.).

აქილევსის, ტროას ომის ამ ცნობილი გმირის მამა პელევსი სალაშქროდ მიდის კოლხეთში, ხოლო კოლხეთის ლაშქრობიდან ზუსტადერთი თაობის მე-რე (18-21 წ) პელევსის შვილი აქილევსი ტროაში იბრძვის. ტროას ომი- ეს ჩვ.წ აღრიცხვამდე მე-13-ე საუკუნის მიჯნის ისტორიული მოვლენაა, რაც თვალსა-ჩინოდ დაამტკიცა გერმანელმა ებრაელმა შლიმანმა თავისი გათხრებით. ამდე-ნად, შეუძლებელია ბერძენთა მიერ კოლხეთში ლაშქრობას მითი და არარეა-ლობა უწოდო. აქილევსის მამამძუძუზე , კენტავრ ქირონზე, სინამდვილეში მხედარ კერკეტზე და შემდგომში ყაბარდოში დამკვიდრებულ ჩერქეზზე და ატალიკობის ინსტიტუტზე სხვა თავში ვისაუბრებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მხედარი მთებიდან ეშვება ძირს და მისი აღსაზრდელი- ეს ტომით პე-ლაზგი აქილევსია! იმდენად, რამდენადაც ტროას ადგილსამყოფელი, ომი და მისი ქრონოლოგია ზედმიწევნით არის განსაზღვრული, ასევე რეალური ჩანს ბერძენთა კოლხეთში ლაშქრობაც ... მხოლოდ, საკითხავია, რომელ კოლხეთ-ში? პოემაში არსებობს, აშკარად ანომალიური რამდენიმე მოემნტი, რომელსაც ისტორიკოსთა ჯეროვანი ყურადღება ჯერჯერობით არც მიქცევია:

1.აპოლონ როდოსელზე თითქმის ორი საუკუნით ადრე მოღვაწე, ისტორიის მამად ცნობილი ჰეროდოტე, კოლხთა დასავლეღის საზღვარს მდინარე ფაზის-ზე (რიონზე) მონიშნავს:

„ხოლო მაიეტის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული კაცისთვის. (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი 1, 104, თბილისი.1975წ)

შეუძლებელია კოლხთა დედაქალაქი პირდაპირ საზღვარზე ყოფილიყო გაშენებული!

2. ჰეროდოტე საერთოდ არ ახსენებს კოლხთა დედაქალაქს კუტაიას, მას ახსენებს აპოლონ როდოსელი საუკუნის შემდეგ.

3.ერთობ ბუნდოვანია ელინ მოლაშქრეთა ლტოლვისა და მათი კოლხთა მიერ დევნის მარშრუტი! როდოსელის ვერსიით, ლტოლვილი ბერძნები კოლხეთიდან (ფაზისიდან) ჯერ აღმოსავლეთის მიმართულებით მიცურავენ , მესამე დღეს პაფლაგონიას (სინოპას ნახევარკუნძულს) ჩაუარეს, გასცდნენ ბოსფორის სრუტეს, გაუარეს კუნძულ პევკას, ისტროსთან (დუნაისთან) შესცურეს დუნაიში და მისი მეორე (არარსებული) ტოტით მოხვდნენ ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. ჭეშმარიტად ფანტასტიკური კრუიზია! აპოლონ როდოსელის ვერსიით, მათ თითქმის მთელ შავ ზღვას შემოუარეს!

4.კოლხებმა, რომელთაც არ იციან „არგოს“ მარშრუტი (და რასაკირველი ვერ ხედავენ მას ვიზუალურად) ზუსტად მისი გზა გაიმეორეს, გაუსწრეს კიდეც მათ და მათზე ადრე აღმოჩნდნენ ადრიატიკის ზღვაში, დღევანდელი ტრიესტის ყურეში ისტროსის (დუნაის) არარსებული ტოტით და შესაბამისად, მარშრუტით.

5.უცილობელი და უეჭველი ფაქტი ისაა, რომ კოლხურმა მდევარმა ადრიატიკის ზღვაში, ტრიესტას ყურესთან მიუსწრო ბერძნებს. ბერძნებმა ღალატით მოკლეს აფსირტე, მედეას ძმა, რომლის დანაწევრებული გვამი ახლო - მახლო კუნძულებზე მიმოფანტეს. ამ კუნძულებს შემდგომში აფსირტიდები დაერქვათ.

ფანტასტიურია კოლხებისა და ბერძნების ადრიატიკის ზღვაში მოხვედრის ფაქტი, თუმცა მათი შეხვედრის სურათი სრულიად რელისტური ჩანს. თუ დავუშვებთ, რომ ბერძნები ჰელესპონტით-ბოსფორით და დარდანელით დაბრუნდნენ ხმელთაშუა ზღვაში, გაუგებარია , რატომ გასცდნენ ისინი ასე შორს საბერძნეთს. აღნიშნული ფაქტი არგონავტების შესახებ თქმულების სისწორეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, თუმცა გმირები, მათ შორის აქილევსის მამა, რეალური პიროვნებები ჩანან! პრობლემის გასაღები ისევ თქმულებაში უნდა ვეძიოთ. არგონავტიკაში აღწერილ მოქმედებასა და როდოსელის დაწერილ პოემას შორის თითქმის მთელი 1000 წელია. მართალია, აპოლონ როდოსელს ჰყავდა წინამორბედი პოეტები, რომლებმაც ჩვენამდე მოუღწეველი არაერთი პოემა მიუძღვნეს ამ თემას, თუმცა მხატვრული თუ რეალური ისტორიოგრაფია მხოლოდ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-6-ე საუკუნიდან ვითარდება. გეოგრაფიული

მდებარეობის აღწერის პიონერი ჰეკატე მილეტელი იყო. თუ თქმულება ტროას გმირთა შესახებ 600-700 წელი ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა შთამომავლობას, არგონავტებზე თქმულება ამავე მეთოდით, მინიმუმ 1000 წლის გამავლობაში გადაეცემოდა მომდევნო თაობებს. სტრაბონის პირველი საუკუნის ცნობა ქალაქ პოლას (დღესაც არსებული ტრიესტას ყურეში) კოლხური წარმოშობის შესახებ სოფოკლემდე მიდის (496-406 ჩვ.წ. აღრიცხვამდე), მაგრამ სხვა ცნობები კოლხეთის და შესაბამისად, კუტაიას ადგილმდებარეობის შესახებ, დაცული არ ყოფილა.(1) რეზიუმეს სახით ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს ცნობები, რომლებიც აპოლონ როდოსელს თავისი ეპოქისათვის გააჩნდა:

1.არსებობდა მითიური კოლხთა ძლიერი სახელმწიფო დედაქალაქ კუტაიათი, თუმცა მისი ადგილსამყოფელი მისთვის უცნობი ჩანს.(ის რომ კუტაია აპოლონ როდოსელის ეპოქისათვის მეხსიერებაში ჯერ კიდევ არსებული ქალაქია, შესაძლოა მიანიშნებდეს ასეთი ქალაქის რეალურად არსებობას არგონავტების ლაშქრობის პერიოდისათვის)

2 სახელგანთქმული ელინი (და პელაზგი) გმირები, რომელთა რიცხვი 50-ზე მეტია, კოლხეთის დასალაშქრად მიემართებიან ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

3. კოლხური ხომალდების მიერ ბერძნების დევნის პროცესი ადრიატიკის ზღვაში ხდება, მის თითქმის უკიდურეს დასავლეთის ნაწილში!

4)მისთვის ცნობილია კოლხთა (მისი ეპოქის) საცხოვრისი შავ (პონტოს)ზღვაზე.

აი, ამ ინფორმაციის მცონდე ჩანს აპოლონ როდოსელი, როცა პოემა „არგონავტიკას“ ქმნიდა...კოლხთა განსახლების დინამიკას თუ დავაკვირდებით, პოემის შექმნის მომენტისათვის კოლხები ცხოვრობდნენ ზუსტად იქ, სადაც აპოლონ როდოსელსა აქვს აღწერილი და ჰეროდოტეს ეპოქისაგან განსხვავებით, მათი დასავლეთით გავრცელების არეალი მდინარე ფაზისს (რიონს) კარგა მანძლით გაცილებული ჩანს! როგორც ირკვევა, როდოსელისეული არგონავტების მოგზაურობა შავ ზღვაზე აპოლონ როდოსელისავე პოეტური ფანტაზიის ნაყოფი ჩანს მხოლოდ და ამ უკანასკნელის მიერ შავი ზღვის გეოგრაფიის კარგ ცოდნას ადასტურებს მხოლოდ.

ქართველი მეცნიერის გიორგი მელიქიშვილის დასკვნით, ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-13-ე საუკუნეში, არც ისტორიული და არც არქეოლოგიური მასალა მდინარე რიონის მიდამოებში ესოდენ მაღალგანვითარებულ კულტურას არ აჩვენებს. მისი მოსაზრებით კოლხეთი და კუტაია მდინარე ჭოროხის ზემო წელში არის საძიებელი. მისი ეს მოსაზრება ერთდროულად სწორიც ჩანს და მცდარიც. სწორი- პირველ ნაწილში, სადაც ის რიონის ტერიტორიაზე აიეტის სამეფოს არსებობას უარყოფს და მცდარი, მეორე ნაწილში, სადაც ასეთ ტერიტორიად მდინარე ჭოროხის ზემო წელი მიაჩნია. პროკოფი კესარიელი, ჩვენს

წელთა აღრიცხვის მე-6-ე საუკუნეში აღნიშნავს, რომ ჭოროხთან მცხოვრები ჭანები, ძირითადად მეცხოველეობას მისდევენ და მიწათმოქმედებას- ნაკლებად იცნობენ და ეტანებიან. ამასთანავე, ჭოროხის სათავეები სახნავ-სათესად მცირემიწიანი ტერიტორიებია , რაც მიწათმოქმედების მაღალ დონეს გამორიცხავს. გავიხსენოთ, რომ კოლხეთის მეფე აიეტი ფაქტიურად მიწათმოქმედებაში ცდის იაზონს სპილემძის ჩლიქიანი (ალბათ, სპილენძის ნალებით დაჭედილი) ხარების საშუალებით.თვით სტრაბონიც აღნიშნავს, რომ კოლხეთის ეპითეტი უძველესი დროიდანვე „ოქრომრავალი“ იყო, ხოლო მისი ეპოქისათვის ოქრო წამლადაც არ მოიპოვება კოლხეთში.

როგორც კვლევებით ირკვევა, ვენეტები (ვენეცია) ჭანური ტომის მოსახლეობაა, რომლებიც იკავებენ ადრიატიკის ზღვის უკიდურეს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს, ხოლო გაგრძელებას თვით ქალაქ ანკონამდე სვანთა რეტიული ტომები იკავებენ . ვენეტების მიმდებარედ , ადრიატიკის ჩრდილო სანაპიროს ზანები, ლაზები და ზიხები იკავებენ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტომი მეგრულენოვანია. მხოლოდ მათში, ან მათ მეზობლადაა საძიებელი, ასევე მეგრულენოვანი კოლხური ტომი, რომელთაგან მას მხოლოდ კილო-კავი აშორებს... (სავარაუდოა, რომ ჭანური იმ დოზით განსხვავდებოდა ლაზურისაგან, როგორც საკუთრივ ლაზური კოლხურისაგან). მეგრულენოვანი კოლხეთი ენობრივ განვითარებას და ჩამოყალიბებას მხოლოდ მათ გვერდით თუ შესძლებდა.

წინარე კოლხეთის ძიების თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია დღეს საბერძნეთის შემადგენლობაში მყოფი ეპირის ოლქი, რომელიც უშუალოდ, დღევანდელ ალბანეთს ესაზღვრება ადრიატიკისა და იონიის ზღვის შესაყართან (ადრეული პერიოდის ილირიის, ზანების პირველსამშობლოს მიმდებარედ). ჯერ კიდევ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-5-ე საუკუნეში, მაკედონია და ეპირი საბერძნეთად არც კი ითვლებოდა. ცნობილია, რომ მაკედონელებს ბერძნულ ოლიმპიურ თამაშობებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ, როგორც არაბერძნებს. სავარაუდოა, რომ ეპირიც ასეთსავე დისკრიმინაციას განიცდიდა. საყურადღებოა, რომ მეოთხე საუკუნეში, ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელების ეპოქაში ბერძნული ქალაქი-პოლისები დ ემოკრატიული მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, ტირანი მართავდა. მაკედონიასა და ეპირის ამ დროისათვის მეფეები მართავდნენ (საკმარისია აღინიშნოს, რომ ალექსანდრე მაკედონელის დედა ოლიმპიადა, ეპირის მეფის ქალიშვილი იყო). ბერძნებისგან განსხვავებით, მათი მმართველობითი ორგანო დემოკრატიული, სახალხო და ხალხის არჩეული არ ყოფილა.

პირდაპირი, წერილობითი ცნობები იმის შესახებ, რომ წინარე კოლხეთი-ეს ეპირია, ბერძნულ ლიტერატურაში არ მოიპოვება. ბერძნული წერილობითი წყაროები ასეთ ისტორიულ ფაქტებს ვერ აფიქსირებს, იმდენად შორეული ჩანს ეს ფაქტები. და მაინც, კოლხური სული აღნიშნულ ტერიტორიაზე კიდევ დიდ-ხანს ტრიალებს. თუმცა ამ ტერიტორიას დიდ ხანია ეპირი ჰქვია. აქვეა კუნძულ-ი კორკირა, რომლის მცხოვრებნი პელოპონესის (IV საუკუნე ჩვ. წ. აღრიც-ხვამდე) ომებში ყოველთვის დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილ-ობდნენ და თავად ამ კუნუძლის სახელი ბერძნებს კირკედან, აიეტის დისგან მოჰყავდათ. იმ პერიოდისათვის, როდესაც ტრიესტას ყურეში (დღესაც კი) მდე-ბარე ქალაქი პოლა უკვე ვეღარ კოლხურობს , ის სოფოკლესათვის წმინდა კოლ-ხური ქალაქი იყო ძველ წელთა აღრიცხვის მე-6-ე საუკუნეში. სტრაბონისათვის მისივე გავლენით, ასევე კოლხური ქალაქია ახ. წელთა აღრიცხვის I საუკუნე-ში, თუმცა ამავე წიგნის სხვა ტომში მას უკვე ისტრიულ ქალაქს უწოდებს. უაღ-რესად საინტერესოა სტრაბონის მსჯელობა კოლხეთისადმი ჰომეროსის დამო-კიდებულებაზე:

„...ზუსტად ასევეა, კოლხებზე რეალური ცნობების მიხედვით, იასონის აიაში ლაშქრობის შესახებ. იცოდა რა მოგონილი თუ ნამდვილი ნაამბობი კირკესა და მედეაზე (ჯადოსნურ ბალახებზე, მათი ხასიათისა და ცხოვრების ნირის მსგავ-სებაზე) ჰომეროსმა მოიგონა მათი სისხლისმიერი ნათესაობის შესახებ, თუმცა ისინი ცხოვრობდნენ შორს ერთიმეორისაგან (ერთი-პონტოს უშორეს ნაწილში, მეორე-იტალიაში) განათავსა ორივე ისინი ოლქში, მდებარე შორს ოკეანეში (2), შესაძლოა, რომ იაზონი დაეხეტებოდა თვით იტალიამდეც კი . ხომ არსებობს რამდენიმე მაჩვენებელი არგონავტთა მოგზაურობისა კერევნის მთების რაი-ონში, ადრიატიკის ზღვის მახლობლად, პოსეიდონის ყურეში და კუნძულებ-ზე, ტირენეის წინ მდებარეზე. (სტრაბონი, წიგნი 1, 2-10).

სტრაბონი, რომლისთვისაც როგორც ჩანს კარგადაა ცნობილი აპოლონ როდოსელის არგონავტიკა და მის მიერ არგონავტთა მოგზაურობის მარშრუტი, რომლისთვისაც ასევე კარგადაა ცნობილი კოლხთა მისი ეპოქისეული საცხოვ-რისი პონტოზე (შავ ზღვაზე), ჰომეროსის მოგონილად მიიჩნევს კირკეს და მე-დეას ნათესაობას. კირკეს, მედეას მამიდის საცხოვრისად კუნძული კორკირას მიიჩნევენ (და სრულიად არასწორად), იონიისა და ადრიატიკის ზღვის შესა-ყარზე, ხოლო მედეა იმავ როდოსელის სიტყვებით, პონტოს (შავ) ზღვაზე ცხოვრობს. თუმცა სტრაბონი ვერ უარყოფს იაზონის ლაშქრობის მისი დრო-ისთვისაც არსებულ ვერსიას, რომ ლაშქრობა ადრიატიკის ზღვის მიმართუ-ლებით ჩატარდა თვით იტალიამდეც კი! გასაგებია, აპოლონ როდოსელისა და სტრაბონის პოზიციებიც, რადგანაც მათი დროისათვის კოლხთა სამშობლო- ეს

უკვე ევქსინის პონტოა, როგორც მათზე გაცილებით ადრე ჰეროდოტე აღნიშ-ნავს და არსად სხვაგან!

ჰომეროსისთვის, რომლის ეპოქისათვის კოლხთა პირველსამშობლო ჯერ კიდევ ერთადერთი სამშობლოა, ან უკიდურეს შემთხვევაში, კოლხთა პირველ-საცხოვრისის კერია ჯერაც არ ჩამქრალა და კვალი არ წაშლილა ადრიატიკაში, იასონის ლაშქრობა ადრიატიკის მიმართულებით სრულიად რეალური ჩანს, ხოლო კირკე-მედეას სისხლისმიერ ნათესაობა-უცილობელი. (ჰომეროს- სტრა-ბონის თემას ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდებით) ის რომ არგონავტების „არგო“ რაღაც მანქანებით მოხვედრილია ადრიატიკის ზღვაში , ტრიესტის (უშორეს) ყურეში, მუსირებს არქაულ ბერძნულ წყაროებში, სავარაუდოდ აპო-ლონ როდოსელამდეც კი.აპოლონ როდოსელი ადასტურებს ამ ცნობას, რომელ-საც ფაქტიურად სტრაბონიც იზიარებს.ხოლო სტრაბონის უმცროსი თანამემა-მულე, პლინიუს უფროსის მიხედვით კი :

„მრავალი ავტორი, მათ შორის ნეპოტი (92-24 წ ქრისტემდე) რომელიც თვითონ ცხოვრობდა პოზე,, შეცდომით ამტკიცებდა, რომ მდინარე გისტერი (დუნაის ნაწილი) გამოყოფილი მდინარე დუნაიდან, ჩაედინება ადრიატიკის ზღვაში პადის შესართავის წინ...მაგრამ თავის თავად არ არსებობს არავითარი მდინა-რე, რომელის გამოეყოფოდა დუნაის და ჩაედინებოდა ადრიატიკის ზღვაში. მე ვფიქრობ, რომ (ეს ავტორები) მოტყუებული იყვნენ (გადმოცემით რომ ხომალ-დი) „არგო“ მდინარეზე ეშვებოდა ადრიატიკის ზღვაში ტერგესტის ახლოს-გაუგებარია რომელი მდინარით. უფრო ჩაფიქრებული (მკვლევარები) ამბობენ, რომ არგონავტებმა გადაიტანეს თავიანთი გემი ალპებზე (!) მხრებთ, შემდეგ გაცურეს გისტერით ზემოთ, მერე სავაზე (მდინარე), მერე ემონიასა და ალპებს შუა აღმავალი ნუპორტით“ (პლინიუს უფროსი, წიგნი III-128)

პლინიუს უფროსის მიერ განმეორებული „მოაზროვნეთა'' მიერ შეთხ-ზული მარშრუტი იმდენად ზღაპრულია, რომ ლეგენდის რეალობას სერიოზუ-ლი ეჭვის ქვეშ აყენებს, თუმცა არგონავტების ისტორია აშკარად რეალური ჩანს, რამეთუ ეს მათი შვილების თაობა იბრძვის ტროადაში ბერძენთა მხარეზე, იგი-ვე აქილევსის და აიანტის სახით.

„გისტრიის ქალაქები რომაული მოქალაქეობით (შემდეგია) : ეგიდა, პარანტიი, როდესღაც დაარსებული კოლხების მიერ კოლონია პოლა. ახლანდელი პიატას-იულია, ტერგესტიდან 105 მილი. მასზე შემდეგ უცებვე ქალაქი ნესაკტიი და მდინარე არსია, ახლანდელი საზღვარი იტალიისა. პირდაპირი მანძილი ანკო-ნიდან პოლამდე 120 მილი“ (იქვე-129)

„მდინარე ნერონის იქით, ას მილზე ეპიდავრის კოლონია, ეპიდავრს იქით ქა-ლაქები რომის მოქალაქეობით: რიზინიი, აკრუი. ბუტუანი, ასევე ოლკინია, რომელიც ადრე კოლხინიად იწოდებოდა და როგორც ამბობენ, კოლხების და-

არსებული (იქვე -144) „სანაპიროზე დგას ქალაქი ორიკი, დაარსებული კოლხე-ბის მიერ“ (იქვე145)

ყველა ზემოხსენებული ქალაქი- ეს ადრიატიკის ზღვის ქალაქია! უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული სამი კოლხური ქალაქი, დღევანდელი კოლხეთის „უკანა ეზო'' ვერ იქნებოდა. მათ შორის რამდენიმე ზღვა მდებარეობს, შავი, მარმარილოს,თრაკიის, ეგეოსის, იონიისა და საბოლოოდ ადრიატიკის ზღვა, სადაც ეს უკანასკნელნი არიან განლაგებული. საზღვაო სივრცით გაზომილი მარშრუტი მინიმუმ 2500 კილომეტრია! ცხადია კოლონიებს ასეთ სიშორეზე არც არავინ აარსებს, განსაკუთრებით იმ პერიოდის საკომუნიკაციო საშუალებათა გათვალისწინებით. ნათელია, რომ ზემოთ ხსენებული ქალაქები კოლხეთის უძველეს კვალს წარმოადგენს ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, იმ კოლხეთისა, რომელიც ამავე ზღვის სანაპიროზე უნდა ყოფილიყო გაშენებული!

...და სრულიად მოულოდნელი და სენსაციური ცნობა პავსანიასი, II-საუკუნის ბერძენი ისტორიკოსისა:

პოეტი (ევმელი) გვაცნობებს, რომ ჰელიოსმა მისცა ასოპიის ქვეყანა ალოეს, ხოლო ეეტს-ეფირი და რომ ეეტმა, მიმვალმა კოლხთა ქვეყანაში, გადასცა ეს მიწა ბუნს-ხოლო ბუნი იყო შვილი ჰერმესისა და ალკიდამიისა...შემდგომში რადგანაც კორინთმა, მარათონის შვილმა, არ დატოვა მემკვიდრე, კორინთელებმა გამოიწვიეს მედეა იოლკოსიდან და გადასცეს ხელისუფლება.“ (პავსანია, ელადის აღწერა, წიგნი II, თავი 3-10)

რასაკვირველია ლეგენდაზე ხელაღებით დაყრდნობა შეძლებელია: ის უბრალოდ გვამცნობს გაბატონებულ შეხედულებებს იმ საზოგადოებაში, დროის იმ მონაკვეთისათვის...თუმცა არსებობს გაცილებით უფრო არქაული ცნობები კოლხეთის შესახებ, იმდენად არქაული, რომ დათარიღებას არც კი ექვემდებარება, და რომელი ცნობებითაც იმავე პავსანია სარგებლობს:

„შემდგომ კი როდესაც დაიბადა ეეტი, ალოისთან ერთად
ჰელიოსის ჩასახული ანტიოპასთან -ქვეყანა თანაბრად
ჰიპერიონის ბრწყინვალე შვილმა გაყო მემკვიდრეებს შორის.
მისცა ღვთის დარ ალოისს ასოპის მიწა
სრული მფლობელობა მდიდარი ეფირისა შეხვდა ეეტს
საკუთარი ნებით მან ბუნს მიანდო მისი მეურვეობა
სანამ თავად არ დაბრუნდება, ან მისი რომელიმე შთამომავალი
შვილი თუ შვილიშვილი, თავად გაემართა ჯოლხეთის მიწისაკენ“
(ევმელი, კორინთული ნათქვამები: ჩვ.წ. აღრიცხვამდე VIII-III საუკუნე)

ევმელი იმდენად არქაული ეპოქის პოეტი ჩანს, რომ მისი მოღვაწეობის თარიღი იდენტიფიკაციას არც კი ექვემდებარება! ის თავად ჰომეროსზე უფროსიც კი ჩანს! (ეს უკანასკნელი ჩვ.წ. აღრიცხვამდე არა უადრეს 630 წლის პოეტი

ჩანს, ევმელი-მთელი საუკუნით უფროსი) ის ფლობს ისეთ ცნობებს კოლხეთის შესახებ, რომელსაც სავარაუდოდ ჰომეროსიც ეპოქისათვის უკვე მივიწყებულია! (თუმცა სავარაუდოდ ჰომეროსიც ფლობს ინფორმაციას ეპირისა და არქაული კოლხეთის იდენტურობის შესახებ) ცხადია, პავსანია-ეს კოლხეთზე არქაული (მისთვისაც კი) ცნობების გამტარია მხოლოდ!

1.თვით პავსანიასათვისაც კი და იმ პერიოდისათვისაც კი ცნობილია ეპირის და კორინთოს, კოლხური ტომების მჭიდრო ნათესაობა, ფაქტიურად იდენტურობა.

2.აიეტი ერთმნიშვნელოვნად დასახელებულია ეპირის სუზერენად- მეფედ, და რადგანაც ის ეპირის მეფეა ჯერ კიდევ მედეას გათხოვებამდე, ეპირი- ეს ერთმნიშვნელოვნად კოლხეთყოფილია!

3.ასევე ერთმნიშვნელოვნად არის ნაჩვენები პირადად აიეტის გადაადგილება კოლხეთისაკენ.

4. წინამდებარე სიუჟეტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ დღევანდელი კოლხეთი, ეს ეპირიდან და კორინთოდან გადაადგილებული კოლხების მასაა.

5. ეპირი,კუნძული კორკირა და კორინთო ერთი და იმავე ტომის ხალხის, კოლხების მიერ არის დასახლებული.

6.ფაქტიურად ჩანს იმ ლეგენდის უსაფუძვლობაც, რომლის მიხედვით მედეა ათენის მეფის ცოლი გახდა.

...ფაქტიურად, შესაძლებელია კოლხეთის თემა ამოწურულად ჩავთვალოთ კიდეც, თუმცა მოძიებული მონაცემები არ იქნება ზედმეტი მკითხველთათვის;

„პოლები ქალაქია ეპირში, დაარსებული იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედეას დაედევნენ და ვერ შეიპყრეს. ხოლო აიეტის შიშით იქვე დასახლდნენ და ქალაქი დაარსეს, რომელსაც კოლხური ენით პოლები ეწოდება, ხოლო „პოლა“ კოლხურად ლტოლვას ნიშნავს, როგორც ამბობს კალიმაქე.“

(გეორგიკა, ტომი VII, იოანე ცეცე, გვ.37, თბილისი).

პოლა კოლხურად გაქცევას ნამდვილად არ ნიშნავს. სიტყვა დამალ ვასთან-ფოლა-სთან ძალზე ახლოს დგას (ფაქტიურად იდენტური სიტყვებია, ქართველური ფოლა ლათინური ალფაბეტის პოლაა) სავარაუდოა, რომ ისინი აიეტის რისხვას აქ, (ტრიესტას ყურეში, დღევანდელი ქალქი პულა) დაემალნენ და ამისთვის დიდი მოხერხების გამოჩენა არც და სჭირვებიათ, მათ მხოლოდ მეგრულის კოლხური კილო-კავი ლაზურზე გაცვალეს! კოლხებს ლაზურ ტომად თვითონ იოანე ცეცე აცხადებს. (იქვე). ცხადია, ეპირში კოლხები, განსაკუთრებით აიეტისგან გამოქცეულები, არ დასახლებულან და იოანე ცეცეს სიტყვები კოლხების აქ ჯერ კიდევ დასწრებულობის აშკარა ნიშანია.! უფრო მეტიც, იმავე იოანე ცეცეს განცხადებით:

„იმ კოლხთაგან, რომლებიც მათ (არგოს) დაედევნენ , ერთნი კერავნეს მთებში დასახლდნენ, სხვები კიდევ ილირიადასა და აფსირტეს კუნძულებზე, ზოგიერთები კიდევ ფეაკიაში“.(იქვე).

მკითხველს შევახსენებთ, რომ კერავნის მთები (მიუხედავად „ აშხარაცუის, VII საუკუნის ანონომური სომხური გეოგრაფის მტკიცებისა) სტრაბონის სიტყვებით, ადრიატიკის ზღვაზე ეპირს ზემოთ აღმართული მთიანი სისტემებია, ილირიადა და აფსირტეს კუნძულები იმავე ადრიატიკის ზღვაში, ხოლო ფეაკები, ისევ იოანე ცეცეს სიტყვებით, იონიის კუნძულებზე მცხოვრებნი არიან (ეპირთან უშუალო სიახლოვეს).რატომღაც იოანე ცეცეს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა ქართველი მეცნიერების ყურადღების გარეშე რჩება. არადა ეს ციტატა იოანე ცეცესი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჯერ კიდევ მის თანამედროვე (მე-12-ე საუკუნე) ილირიკასა და აფსირტიდებზე კოლხური და ლაზური ელემენტი (მათ შორის სალაპარაკო ენაც) დომინანტურია! საინტერესოა, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პახიმერე, ტრაპიზონის იმპერატორს კომნენოსს ლაზს ეძახის,შესაბამისად, მთელ მის საგვარეულოს , ფაქტიურად ლაზებად თვლის **(იქვე, გვ.74).** საინტერესოა ამავე პერიოდის ბიზანტიელი მოღვაწის ნიკიფორე გრიგორასის განცხადება:

„მაშინ ზოგიერთები დამარცხებული იყვნენ, სხვები კიდევ თავისი ნებით დაემორჩინენ და ამგვარად მიემხრნენ მას, გარდა ალექსი კომნენოსისა, რომელიც კოლხიდის ქვეყანას (ტრაპეზუნტს, ლაზისტანს, ავტორი) ფლობდა და იმის გარდა, რომელიც ევროპაში განაგებდა თესალიასაც და იმასაც, რასაც ძველად ეპირს ეძახდნენ,- ეს იყო ანგელთა გვარიდან მიხეილ კომნენი... მიითვისეს ძალაუფლება და დღემდე ფლობენ მას და თავიანთ შვილებს და შვილთაშვილებს გადასცეს იგი, ვითარცა რაღაცა მამისეული მემკვიდრეობა“ (იქვე, გვ.174).

ის, რომ ბერძენთა მიერ ლაზებად შერაცხული საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი მართავს ტრაპზონის იმპერიას (ბიზანტიელთა თქმით, ლაზისტანს, კოლხეთს),ხოლო მეორე ძმა ეპირს და თესალიას, დაშორებულს პირველიდან თითქმის ორი ათასი კილომეტრით და არამცთუ მართავს, არამედ სამემკვიდრეოდ გადასცემს შვილთა შვილებს, როგორც წინაპრისეულ მემკვიდრეობას, აშკარად მიანიშნებს კოლხური წარმოშობის კომნენთა გვარის მემკვიდრეობით უფლებებზე როგორც ერთ, ისე მეორე პოლიტიკურ წარნმონაქმნზე. ის, რაც ჩვენთვის დღეს კვლევის საგანს წარმოადგენს, კომნენთათვის და მისი თანამედროვე ქართველთათვის იმთავითვე ცნობილი ისტორია ჩანს. ეპირი-ეს ყოფილი კოლხეთია, თესალია-აღმოსავლეთის და დასავლეთის პელაზგყოფილებით დასახლებული ტერიტორია (იხ, პელაზგები) ეს უკანასკნელი მიგნება აშკარად სპობს იმ შეთავსებლობას აპოლონ როდოსელის პოემაში, რომელსაც ვერც მისმა წინამორბედებმა და ვერც მისმა მიმდევრებმა შესაბამისი ახსნა

ვერ მოუძებნეს: ესაა არგონავტებისა და კოლხების გამოჩენა ადრიატიკის ზღვაში. ახსნა საკმაოდ მარტივია და ზედაპირზევე დევს: ცბიერმა ბერძნებმა სწორად განსაზღვრეს, რომ მედეას მოტაცებას აუცილებლად მოჰყვებოდა მდევრის დადევნება. ღია ზღვაში ბერძნების სწრაფმავალი „არგო“ აშკარად ნელმავალი გამოჩნდებოდა კოლხების მსუბუქ ნავებზე- რომაელთა და ლიბურნთა ნავების პროტოტიპებზე. ღამის სიბნელეში ბერძნებმა გეზი ადრიატიკის ზღვის სიღრმეებისაკენ, დასავლეთისაკენ აიღეს, საბერძნეთის მიმართულების საწინააღმდეგოდ. მადევარმა კოლხებმა იონიის ზღვისკენ გაცურეს, კონტინენტალური საბერძნეთის მიმართულებით. დიდი მანძილის გაცურვის შემდეგ მიხვდნენ ელინთა მიერ გამოყენებულ ცბიერებას , რომ ისინი ასე შორს ვერ მოასწრებდნენ გაცურვას. კოლხური არმადა შემობრუნდა და საპირისპირო მიმართულებით, ადრიატიკის ზღვის სიღრმისაკენ გააგრძელეს დევნა. დევნა ორივე შემთხვევაში ნაპირის თვალსაწიერის გაყოლებით ხდებოდა (იმ დროისთვის და გაცილებით გვიანაც ცურვა კაბოტაჟური იყო და მხოლოდ ნაპირის გაყოლებით ხორციელდებოდა). შესაძლებელია, სწორი კვალი ილირიის სანაპიროზე მცხოვრებმა თანამოძმეებმა ზანებმა ან ზიხებმაც მიანიშნეს, რომელთაც არ გამოეპარებოდათ უცხო კონფიგურაციის ხომალდის ილირიის სანაპიროსთან ცურვა..

როგორც ზემოთ ითქვა, ელინ- კოლხთა შეხვედრა ტრიესტის ყურეში მოხდა, სდააც მედეას ძმა აფსირტე ღალატით იქნა მოკლული. მისია შეუსრულებელმა კოლხებმა აიეტის შიშით უკან დაბრუნება გადაიფიქრეს . ქალაქი პოლა დაარსეს, ხოლო ელინები იონიის ზღვაში და სამშობლოში, სავარაუდოდ, ადრიატიკის ზღვი ს დასავლეთის სანაპიროს გაყოლებით ჩავიდნენ. გარდა იმისა, რომ ადრიატიკის ზღვის სამხრეთი სანაპიროთი დაბრუნება ელადაში გამართლებულია კოლხთაგან უსაფრთხოების თვალსაზრისით, არსებობს სხვა მოტივიც: მედეას სურს განწმენდა მიიღოს მამიდამისის, კირკეს ხელიდან, რომელის ადგილსამყოფელი მას ეცოდინებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მისგან მიუწვდომლად შორს არ ცხოვრობდა:

„გაცილებით უკეთესად კირნზე (კორსიკაზე) იხედება კუნძული ეფალია (ელბა) რომელიც უფრო ახლოსაა მატერიკთან, ისე რამდენადაც განლაგებულია მისგან თითქმის 300 სტადიონზე და ასეთსავე მანძილიდან კირნიდან... ეფალიაზე არის ნავმისადგომი არგოსი, როგორც ამბობენ, ხომალდ არგოს სახელის მიხედვით. ეს ამ უბეს მოადგა იაზონი, კირკეს ადგილმდებარეობის მაძიებელი, იმიტომ რომ მედეამ მოინდომა ქალღმერთის ნახვა...ასეთი მითიური ისტორიები ამყარებს ჩემს მტკიცებულებას, რომ ჰომეროსს ყველაფერი არ გამოუგონია“ (სტრაბონი, წიგნი V; II-6)

მედეა, რომელიც განწმენდას საკუთარი მამიდისაგან, კირკესაგან ელის, ეძებს მას ადრიატი კიდან არც ისე შორს, ტირენეის ზღვაში! აბსოლუტურად რეალისტური ჩანს ჰომეროსისეული ვერსია კირკე-მედეას ნათესაობის შესახებ, რომელიც სტრაბონს ზღაპარი ჰგონია! ვერც ერთ შემთხვევაში მედეას არ ეცოდინებოდა და ვერ მიაგნებდა კირკეს ადგილსამყოფელს ტირენეის ზღვის კუნძულზე , თუ თავად მედეას საცხოვრისი პონტოს (შავი) ზღვა იქნებოდა! იმ დროისათვის ,ნავიგაციის გარიჟრაჟისათვის, შესაბამისი რუქების უბრალოდ არ არსებობის გამო ეს წარმოუდგენელი იყო! ...და კიდევ , ელადიდან ლტოლვილი მედეა კოლხეთში დაბრუნდა(2) მედეას მეორე ქორწინებიდან შეეძინება შვილი, მედოსი(სავარაუდოდ არსწორი ცნობით ათენის მეფისაგან) რომელიც თავისი სახელობის სახელმწიფოს აარსებს, უკვე მცირე აზიაში. რატომღაც მედოსის სახელთან მიდიის სახელმწიფოს აკავშირებენ, რომელსაც კოლხეთიდან ათასეული კილომეტრი აშორებს, თანაც მედეას შვილს მედოსი ჰქვია და არა მიდოსი. არა ერთხელ არის აღნიშნული მედების ტომი მაკედონიისა და ეპირის სიახლოვეს სხვადასხვა ისტორიკოსების მიერ, რაც სავარაუდოდ, მედეას ვაჟთან, მედოსთან არი ს დაკავშირებული. (სხვა თემაა, და სავარაუდოც კი, რომ მიდიის სამეფო დააფუძნეს ევროპიდან აზიაში მიგრირებულმა მედებმა)

ეპირთან და უკვე აქ მცხოვრებ თესპროტებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მათივე მეზობელი ამპრაკიოტები , რომელთაც მდინარე აქერონტი ჰყოფთ. მდინარე ტალღებს იონიის ზღვისკენ მიაქანებს...და ცხადი ხდება, თუ რატომაა ეგზომ სახიფათო ელინთათვის კოლხეთის სამეფოში მგზავრობა! აქ მთავარი მანძილი კი არა ჩანს, არამედ ის ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბებული ჩანს ელინთა და კოლხთა შორის: გულუბრყვილობაა ვიფიქროთ. რომ ამ უკანასკნელთა გამყოფ მდინარეს შემთხვევით ჰქვია სახელად აქერონტი, რაც მკვდრების მდინარეს ნიშნავს! ამ მდინარის მეორე ნაპირზე მოხვედრა ელინურ ეპოსში, გარდაცვალებას ნიშნავს! სავარაუდოდ ამ მეთოდით იცავს თავს კოლხეთი ელინთა ექსპანსიისაგან, რომლებმაც კოლხების თვალწინ შესძლეს აღმოსავლეთის პელაზგიის გაელინება ! გაელინებული პელაზგებისა და ელინთა პირველი შეღწევა დასავლეთის პელაზგების სამკვიდროში ის პრეცედენტი გახდა, რომელსაც მოკლე დროში ამ უკანასკნელთა ელინიზაციაც მოყვა (გარდა იმათი, ვინც გაერიდა ელინიზაციის პროცესს და ახალი სამშობლო მოძებნა, უკვე შავ ზღვაზე. ამ უკანასკნელთა მიერ ახალი სივრცეების ათვისების პერიოდი ჩანს ჰეროდოტეს ისტორიაში ასახული) **იხ. რუქა N6**

და კიდევ... კოლხეთის და საბერძნეთის გამყოფი მდინარე აქერონტი-მკვდების მდინარე იყო.კოლხების და ილირიკის გამყოფი სტრაბონის მიხედვით-მდინარე აუსი . მაგრან კოლხეთის-- ეპირის მთავარი მდინარე ტიამისი ჩანს, ეპირის ცენტრალურ ნაწილში ჩამდინარე ზღვასთან-კუნძულ კორკირას

პირდაპირ. ზღვიდან ათიოდ კილომეტრის მოშორებით გაყოფილი, ზღვაში ეს მდინარე ორ თითქმის თანაბარ ტოტად ჩადის. ზუსტად ამ მდინარის დელტაზე უნდა ყოფილიყო კოლხთა დედაქალაი აია გაშენებული, ფორტიფიკაციული მოსაზრებით ნაკარნახევი...

ისტორიული ექსკურსი

„კოლხეთის ახლოს მდებარეობს კირკეს კუნძული აია...აიეტის სახელიც კი აქედან იწარმოება... რომ მრავალ წამალთა შემცველია ელადის ქვეყანა, ნათელყოფს პოეტი (ჰომეროსი!) და ამბობს რომ მედეა ათენიდან გაიქცა ეგეოსის შიშით, რადგან მან (მედეამ) თეზევსს საწამლავი ჩაურია და დასახლდა ელადის მახლობლად ეპირში"(გეორგიკა, ტომი VIII,ევსტათი თესალონიკელი, გვ-12. 1970 წ)

ჰქონდა მედეას რამენაირი შეხება ათენთან თუ არა, ამაზე საკმაოდ ვისაუბრეთ . ჩვენთვის სიახლეა ვერსია , რომ ამ თემაზე ჰომეროსი საუბრობდა. ...თუმცა ჩვენთვის მთავარი სამტკიცი ისაა, რომ მედეა ეპირში დასახლებულა, არა ელადაში...ყველაფერი სწორია მკითხველო! მედეა სამშობლოში დაბრუნდა, კოლხეთში, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა ეპირი.. .სავარაუდოდ მას შემდეგ, რაც კოლხთა დიდმა ნაწილმა დატოვა იგი...(ვინც ამ გზით გაერიდა ელინიზაციის პროცესს).. თუმცა ზოგიერთი ბერძნული წყარო მიზეზად ნეოპტოლომს ასახელებს, აქილევსის შვილს, რომელიც აქ იზრდებოდა და რომლის სიყრმის სახელი პირი იყო....

„ალექსანდრე (მაკედონელი) მამის მხრიდან ჰერაკლეს ჩამომავალი იყო დედის მხრიდან ეაკისა (2)... თესალიელები პირველი დაარწმუნა მან, მიენიჭებინათ მისთვის სახალხო დადგენილებით ჰეგემონია, რომელიც მამამისისაგან მემკვიდრეობით გადმოდიოდა; მან შეახსენა თესალიელებს, რომ ისინი უძველესი დროიდან მასთანდაკავშირებული არიან ნათესაობით ჰერაკლეს მეშვეობით" (დიოდორე სიცილიელი; წიგნიXVII, I-III)

ალექსანდრე დედის მხრიდან ენათესავება თესალიელებს, რომელთა სახელი იაზონისა და მედეას შვილის , თესალის მიხედვით მოდის და რომელიც მამის ტახტზე ეპირელებმა გაამეფეს...

„მდინარე აუსი, წოდებული ვინმე ეასი-ს სახელის მიხედვით. აპოლონია, კორინთელების კოლონია, დაშორებული ზღვიდან ოთხ მილზე . .. ხმელეთზე დგას ქალაქი ორიკი, დაფუძნებული კოლხების მიერ. აქ იწყება ეპირი" (პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ისტორია, წიგნი III-23)

არც პლინიუს უფროსმა იცის თუ ვის სახელს ატარებს მდინარე ეასი, ეპირის დასავლეთ საზღვართან, მასა და ილირიას შორის... ამავე მდინარეს სტრაბონი ეანტ-ს, ეანფ-ს უწოდებს . **(3)**

“მაკედონელებს შორის გაჩაღდა დიდი შეჯიბრი სიმამაცეში: ვინ პირველი ავა (მოწინააღმდეგის) კედელზე. პირველი ავიდა ნეოპტოლომი, ერთ- ერთი „მეგობარი“, წარმოშობით ეაკი-დი“(ფლავიუს არრიანე ; ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი II, 27-6)

ძნელი სათქმელია, იცის თუ არა ფლავიუს არრიანემ მის მიერ ნახსენები ნეოპტოლომის ზუსტი გენიოლოგია, მაგრამ თავად სახელი, რომელიც ამ მეომრის საგვარეულო სახელი ჩანს, აქილევსის შთამომავლობაზე მეტყველებს!

ეაკიდები-მითიური ეაკის შთამომავალნი, მოლოსების მეფისა

(სტრაბონი, საკუთარ სახელთა და გეოგრაფიული პუნქტების მაჩვენებელი)

მოლოსების დედოფალი ანდრომახაა, ჰექტორის ცოლყოფილი, რომელიც აქილევსის ვაჟმა, ნეოპტოლომმა ცოლად შეირთო და ეპირში წაიყვანა! მოლოსები, ხაონები და თესპროტები -ეს კოლხური ტომებია, შემდგომში გაელინებული! ეს აიეტის საპატივცემლოდ ჰქვია ეპირისა და ილირისს გამყოფ მდინარეს ეასი-აიასი- სტრაბონისეული ეანტი!...თვით ანდრომახა, ჰექტორის ცოლყოფილი კოლხური წარმოშობისა ჩანს, თავად ნეოპტოლომის ეპირიდან წარმომავლობა კიდევ ერთხელ თვალნათლივ აჩვენებს, თუ ვინ წარმოადგენს ალექსანდრე მაკედონელის„მეგობართა“ რიცხვს-ეს ნეოპტოლომი წარმოშობით იბერი ჩანს... თავად ბერძნულ ეპოსსი არსებული მოარული ლეგენდა ჰერაკლეს მიერ კოლხეთში განხორციელებული ლაშქრობის შესახებ, ახსნას იმავე ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში ჰპოვებს:

„გერიონთან მიმართებაში, რომელთანაც არგოსელი ჰერაკლე გაგზავნა ევრისთევსმა, რომ წაერთვა გერიონისათვის ძროხები და მიეგვარა ისინი მიკენში, ლოტოგრაფი ჰეკატე (მილეტელი) ამბობს, რომ აქ საუბარი არაა იბერთა (ესპანეთის იბერია) მიწებზე და ჰერაკლე გაგზავნილი იყო არა კუნძულ ერიფეიზე, მდებარე დიდი ზღვის(ოკეანის) იქით: მატერიკზე, ამბრაკიასა და ამფილოხიას შორის ცხოვრობდა მეფე გერიონი, ამ მატერიკიდან ჰერაკლემ გამოირეკა ძროხები და მართლაც დიდი გმირობა იყო. ჩემი მხრიდან დავუმატებ, რომ ეს ადგილი მდიდარია საძოვრებით, და ძროხები იქ ძალიან ლამაზია. შესაძლებელია ევრისთევსამდე მივიდა ქება ეპირელთა ძროხებისა და რომ ეპირის მეფეს მართლა ერქვა გერიონი“ ფლავიუს არიანე, ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი II;16- 5,6)

როგორც ცნობილია, ჰერაკლეს თანამედროვე მეფე კოლხეთში აიეტი იყო, და ამ უკანასკნელთა პირად დაპირისპირებაზე არაფერი იცის ბერძნულმა ეპოსმა. თუმცა როგორც ტექსტიდან ირკვევა, ჰერაკლე ამ შემთხვევაში არც ჩასულა ეპირში (კოლხეთში) მან მხოლოდ მისი სამეზობლოდან გამოირეკა ძროხები და დაარბია მეფე გერიონი. თუმცა ბერძნულმა ეპოსი მაინც აღნიშნავს მის ყოფნას იქ: ერთ შემთხვევაში როდესაც ის ვითომდა ესპანეთიდან ბრუნდება

უკან გერიონის ძროხების გამორეკვის შემდეგ და გზადაგზა ეფირს გაივლის (დიოდორე სიცილიელი წიგნი IV-XXV)და მეორე შემთხვევა, როდესაც ის ლაშ-ქრობას აწყობს თესპროტების წინააღმდეგ (აპოლოდორი, მითიური ბიბლიო-თეკა, წიგნი II, VII-6) რასაკვირველია ორივე შემთხვევაში ჰერაკლე კოლხეთში იმყოფებოდა (თუ რასაკვირველია ის მართლა იმყოფებაოდა ეპირში) თუმცა ლეგენდის შექმნის დროისათვის ეპირის კოლხეთყოფილობას ათეული საუ-კუნის დავიწყების მტვერი ადევდა!

„აია, კოლხთა ქალაქი, აშენებული აიეტის მიერ, ზღვიდან დაშორებულია სამ-ასი სტადიონით;(4) არის კიდევ თესალიის აია, რომელსაც იხსენებს სოფოკ-ლე; პირველის შესახებ ის ამბობს ,<აიაში მისცურავდა> ხოლო მეორის შესა-ხებ ის ასე ამბობს: არის რომელიღაც აია თესალიელთა სამფლობელო. არის აგრეთვე წყარო მაკედონიაში, როგორც ამბობს ანტიმაქე“ (გეორგიკა, ტომი III სტაფანე ბიზანტიელი;გვ-274, 1936წ)

თესალიის აია იმ გადმოსახლებული კოლხები მეომრების დაარსებული ჩანს, რომლებმაც მედეასა და იაზონის შვილი თესალი გაამეფეს პელაზგიაში, და რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს თესალია ეწოდა.საინტეერსო პასაჟია ეგვიპტის ფარაონის სესოსტროსის ლაშქრობაც. ჰეროდოტეს სიტყვებით:

„დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. მე ვფიქრობ, რომ ის უშორესი ადგი-ლია, სადამდეც მივიდა ეგვიპტელთა ლაშქარი, სწორედ აქ იყო, რადგან ამათ ქვეყანაში კიდევ ჩანს მათ მიერ დაყენებული სვეტები, ხოლო ამათზე შორს კი აღარ არის. აქედან შემობრუნდა და უკან წავიდა. შემდეგ კი მდინარე ფასისთან იყო. მე არ შემიძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ამ ადგილას თვით მეფე სე-სოსტრისმა გამოყო თავის ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მაცხოვრებლად, ამ კიდევ იმიტომ,რომ ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი, გადაღლი-ლი ხეტიალით დარჩა მდინარე ფასისთან“. (ჰეროდოტე,ისტორია, წიგნი II, - 103, თბილისი, 1971 წ.).

როგორც ჰეროდოტე წერს, მისი დასკვნა ეყრდნობ ა ეგვიპტელებისა და კოლხების მიერ წინდაცვეთის წესის დაცვას და სხვა არაფერს. შესაძლებელია, კოლხებმა მართლაც ეგვიპტელებისგან აითვისეს წინდაცვეთის წესი და იმ კოლხეთში დარჩა კიდეც სესოსტრისის გადაღლილი ჯარის ნაწილი, თუმცა ეს ქმედება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ ეპირში. სესოსტრი-სის ლაშქრობის ტრასის თანხვედრილად და არა დღევანდელ კოლხეთში, ვინა-იდან იგი ფარაონ სესოსტროსის სავარაუდო ლაშქრობის ტრასიდან განუზომ-ლად შორს დევს. კოლხეთში ჩასვლა ფარაონ სესოსტრისისათვის ახალი ლაშქ-რობის ტოლფასი იქნებოდა, რომელიც თრაკიის ლაშქრობიდან (დღევანდელი ბულგარეთ-რუმინეთი) ბრუნდებოდა შინ. ..

„კიდევ სხვა რამის თქმა შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტე-

ლების მსავსნი არიან. მაგალითად კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ „ეგვიპტიდან შემოსულს კი-ეგვიპ-ტურს“ (იქვე, II-105)

ჰეროდოტეს ეს ცნობა კი ძირშივე ცვლის რეალობას... როგორც ჩანს, კოლხების და ეგვიპტელების შეხვედრ ა ფარაონ სესოსტრისის თრაკიაში ლაშ-ქრობისას დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე ხდება, რომელსაც ეს ლა-შქრობა უშუალოდ გვერდზე ჩაუდის...და კიდევ, როდესაც ორი ერი, ერთმანე-თისაგან დაშორებული რამდენიმე ათასი კილომეტრით ერთსა და იმავე ენა-ზე ლაპარაკობს, ან ერთი ერი არის მეორის ნაწილია, ან ორივე ერს ერთი საერ-თო სამშობლო უჩანთ შორეულ წარსულში...(სად და როდის, ეს უკვე შემდგომ კვლევის ობიექტი იქნება)

რეზიუმე: უძველესი ბერძნული წყაროები, თუმცა ერთობ ძუნწი და ირიბი ცნობებით, კოლხთა პირველ სამშობლოდ მხოლოდ და მხოლოდ ეპირს მიანიშ-ნებს! აქ და მხოლოდ და მხოლოდ აქ, დასავლეთ-ქართული ტომების გვერდით და მათშივე მოიაზრება კოლხური ენის ჩასახვა და განვითარება. აქ, იონიისა და ადრიატიკის ზღვების შესაყარზე მდებარეობდა ანტიკური კოლხეთი. აქვე ილა-შქრა მინიელთა და აღმოსავლეთის პელაზგთა ნარჩევმა ვაჟკაცებმა ოქროს საწ-მისის მოსაპოვებლად, ვინაიდან სასაზღვრო მდინარის, აქერონტის (მკვდრების მდინარე) გადალახვა ელინთათვის სიკვდილის ტოლფასი იყო! ასევე ბერძნუ-ლი წყაროებით ირკვევა, რომ დოდონეს სამისნო მდებარეობდა ეპირში, დასავ-ლეთის პელაზგიაში და ის აღმოსავლეთ პელაზგიის ქალაქიდან, სკოუტექსი-დანაა აქ გადმოტანილი! თავად ვერძის, კრიოსის ტყავი, რომელის დოდონეს სამისნოს შეეწირა, ორქომენიდან, ასევე აღმოსავლეთის პელაზგიიდან აქ მოხ-ვედრილი ფრიქსეს საშუალებით. ის ისეთსავე სიწმინდეს წარმოადგენს აღმო-სავლეთის იოლკოს-ორქომენელების, მინიებისათვის, როგორც დასავლეთის პელაზგთათვის-ეპირელთათვის. კოლხთა ტომის შემდგომი ისტორიული გზა ასე გამოიყურება:კოლხთა ერთი, არცთუ მცირე ნაწილი მთლიანად ასიმილირ-დება ელინებში. ნათელი მაგალითი კუნძულ კორკირას მცხოვრებლებია, რომ-ლებიც V- IV საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე პელოპონესური ომების მსვლელობი-სას დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობენ და ხშირად აღწევ-დნენ კიდეც. ასევე ასიმილირებული ჩანს ეპირის დიდი ნაწილიც. კოლხთა და-ნარჩენი ნაწილი მიგრირებული ჩანს მცირე აზიისაკენ, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით, ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ. ჰეროდოტეს ეპოქაში ისინი მდი-ნარე ფაზისს (რიონს) აღწევენ, ხოლო სტრაბონის ეპოქისათვის მდინარე კოდო-რის სანაპიროს. კოდორს იქით კი უკვე ჰენიოხთა (სანიგთა) ტომის მიწებია!

თემა გვინდა დავხუროთ ზეელიგერის სიტყვებით:“ სისულელე იქნებოდა აიას გეოგრაფიული მდებარეობი განსაზღვრა რომ ვცადოთ (არგონავტიკა, გვ.36). ჩვენი მხრივ, დავუმატებთ, რომ ვცადეთ და მოვნახეთ კიდეც!

P.S. სტატიაში არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი კოლხთა ტომის მიერ შეტანილ წვლილზე კაცობრიობის ცივილიზაციის მონაპოვარში. ასეთი წვლილი უდავოდ არსებობს, თუმცა ავტორი ამ მომენტისათვის თავს იკავებს მისი გამომზეურებისაგან... ზოგიერთი ვაი-ისტორიკოსი კოლხეთის მთავარ დამსახურებად ამ მიმართულებით მხოლოდ „არგონავტებზე“ შექმნილ ლეგენდებში ხედავს, თუმცა კოლხეთი ამ ლეგენდებში სტატისტის ფუნქციას ჯერდება მხოლოდ...

შენიშვნები

1.კოლხეთის სახელი პირველად მოხსენიებული ყოფილა ევმელოს კორინთელის გენეალოგიურ პოემა „კორიანთიაკა“ ძვ .წ. აღ .მე-8-ე საუკუნეში. პოემა თქმულების უძველესი კორინთულ ვერსიას გადმოსცემდა. (აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, გვ.10, თბილისი-1975 წ). კიდევ ერთი ისტორიული გაუგებრობა რომელიც არგონავტებისა და კოლხეთის თემას შეეხება, მჭიდროდაა დაკავშირებული კორინთოსა და კირკეს თემას. ბერძნულ ავტორთა შორის გავრცელებული მოსაზრებით, აიეტი დასახელებულია კორინთოსა და კოლხეთის მეფედ! კორინთოს დღევანდელი კოლხეთიდან ათასეული კილომეტრები აშორებს, ხოლო ეპირიდან (კოლხეთყოფილიდან) ასეული. ისტორიულ გაუგებრობას სავარაუდოდ ორთოგრაფიული შეცდომა უდევს საფუძვლად: აიეტის სამეფო კოლხეთის გარდა კორკირა ჩანს, კუნძული, ეპირიდან 7 კილომეტრის დაცილებით მყოფი ზღვაში. კუნძული მთელი ადრეული ანტიკური პერიოდი ეპირისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა და აღწევდა კიდეც.

რაც შეხება კორინთოს, როგორც ირკვევა ის იმავე ეთნიკური მიკუთვნებულობის ხალხებით, შესაბამისად კოლხებით ყოფილა დასახლებული და მასაც გააჩნია ქალაქი სახელით ეფირი, რომელმაც ბერძნებში ცნობათა ზემოთ მოხსენებული აღრევა გამოიწვია. ეს კორინთოს მეფის ქალიშვილს გაუმიჯნურდა იასონი, რომელიც მედეას მამიდაშვილად (სისხლისმიერ ნათესავად) ერგება! რაც შეეხება იაზონს, იმავე ბერძნულ ლიტერატურაში არსებობს ცნობები, რომ ის სამშობლოში არ გაჩერებულა, ჩაესიძა აიეტს კოლხეთში:

„პელეასის შვილებმა ის ისევ განდევნეს თესალიიდან. მაშინ იაზონმა მრავალრიცხოვანი მხლებლებთ, რომლებიც მოხიბლული იყვნენ მისი დიდებით და ვაჟკაცობით, დაიწყეს თავმოყრა მასთან სხვადასხვა ტომებიდან, გაემართა უკან კოლხებისაკენ; მას მოაცილებდა მისი ცოლი მედეა, რომელსაც ის ადრე დაცილდა, მააგრამ განდევნილის სიბრალულის გამო ისევ დაიბრუნა მის შვილთან მედთან ერთად, შობილი მედეასა და ათენის მეფის ეგეისაგან. კოლხებში იაზონმა აღადგინა თავის უფლებებში თავისი სიმამრი აიეტი, რომელიც დამხობილი იყო ტახტიდან. მერე იაზონი ეწეოდა მძიმე ბრძოლებს მეზობლებთან. დაპყრობილ ტერიტორიებს ის უერთებდა სიმამრის სამეფოს, რომ გაექარვებინა მისთვის წყენა წინა ლაშქრობისა, რომლის დროსაც იაზონმა მოიტაცა აიეტის ქალიშვილი და მოკლა მისი ვაჟი ეგიალე“ (ეპიტომა, თხზულება პომპეი ტროგისა „ფილიპეს ისტორია“ წიგნი -42, თავი 2-3)

სავარაუდოა რომ ტროგი უსაფუძვლო მითს ეყრდნობა იაზონის და მისი თანმხლების, არმენის ლაშქრობის შესახებ სომხეთისა და საქართველოს ტერი-

ტორიაზე, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია და რომელსაც იმეორებს სტრაბონიც. სავარაუდოდ, ორივე ერთი და იმავე (არასწორი) წყაროთი სარგებლობს.პომპეი ტროგის ეს ისტორია , დაწერილი პირველ საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე, სავარაუდოდ მრავალ ქრონოლოგიურ დარღვევას შეიცავს და ეს არც უნდა იყოს საკვირველი: არგონავტების ისტორია იმდენად ძველია, რომ მასა და ბერძნულ ანტიკურ ლიტერატურას შორის საუკუნეები შუალედია, რომლის განმავლობაში ლეგენდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით გადაეცემოდა მომავალ თაობას. ცხადია ტროგი სარგებლობს იმ უძველესი ლიტერატურული თუ საისტორიო წყაროებით, რომელიც მისი დროისათვის არსებობდა და რომელიც მხოლოდ ზემოხსენებული გზით თუ მოაღწევდა მის წინამორბედებამდე. მართალია პომპეი ტროგი იაზონის დაპყრობილ და კოლხეთთან შეერთებულ ტერიტორიებად ახალი კოლხეთის მოსაზღვრე ტერიტორიებს თვლის, თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ ეპირი ყოფილიყო, კოლხეთყოფილი, რამეთუ ახალი კოლხეთი იაზონის ეპოქისათვის უბრალოდ არ არსებობს, ვერ იარსებებდა!

2.აქ ნახსენები ეაკი ნახევრად ღვთიური პერსონაჟია, ზევსისა და ეგინას მიწიერი შვილი. მისგან წარმოიშვნენ პელევსი-აქილევსის მამა, თავად აქილევსი და მისი შვილი ნეოპტოლომი-პირი. მეორე შტო, პელევსის ძმა ტელამონი და აქილევსისვე ბიძაშვილი აინტი...ზუსტად მათ საერთო ძალით შეძლეს „ეთიოპი“ მემნონის დამარცხება.

3.პლინიუსის ნახსენები მდინარე აუსი ილირიკის მხარეს, რომელსაც სტრაბონი ეანფს, ეანტს უწოდებს, აიეტის სახელობის მდინარე უნდა იყოს, თუმცა ამ ორი (და სხვებსაც) ქრონოგრაფისთვის ეს მომენტი ისტორიის წიაღში ჩაკარგული ჩანს.

4.როგორც ჩანს, სტეფანე ბიზანტიელი უზუსტესი და უძველესი, სხვებისთვის უცნობი დოკუმენტით სარგებლობს. მის მიერ ნაჩვენენები მანძილი (44,4 კმ) არაა ქუთაისს და რიონის შესართავს შორის მანძილი (სადაც ანტიკურ კუტაიას გულისხმობენ) რომელიც ფაქტიურად 80 კმ-საღემატება...ეს მანძილი არაა ის დაშორებაც, რომელიც ჩვენს მიერ ნავარაუდებ მანძილამდეა მდინარე ტიამისზე...მაგრამ ამავე დროს, მანძილი ჩვენს მიერ ნავარაუდევ კუტაისს-მდინარე ტიამისის დელტაზე, იონიის ზღვის სანაპიროს შორის...ზუსტად ამ ციფრზე ათჯერ ნაკლებია...მოსდით ხოლმე მემატიანებს ასეთი შეცდომები, ზუსტად ათჯერადი, ან ერთ-ან მეორე მხარეს...მაგალითი ამავე ტომის ბოლოშოც საკმარისი შეგხვდებათ...

...და კენები (ხალიბები)...

გამარჯობა აფხაზეთო....

„პაფლაფონიელთა სპას მიუძღოდა პილემენი მკერდჯაგრიანი.
-ყველას, მობინადრეს ენეტებში, სადაც ჯოგდებიან ველური ჯორები, იმათ ვინც კიტორს ფლობდა და სესამის ახლოს ცხოვრობდნენ. პაფლაგონიის სანაპიროსთან მშვენიერ სახლებში ცხოვრობდნენ, ერიფიმის მწვერვალებზე, და ეგიალეში ცხოვრობდნენ, კრომნაში“.

წინამდებარე ჰეგზამეტრის ნაწყვეტი ჰომეროსს ეკუთვნის,კაცობრიობის ისტორიაში პირველ ისტორიულ პოემა-რომანს-ილიადას. მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ისტორიული ბერძნული საგა შეიქმნა VIII საუკუნეს ჩვენს წელთა აღრიცხვამდე (როგორც უკანასკნელი კვლევებით ირკვევა, გაცილებით გვიან 630-- 625 ჩვ.წ აღრიცხვამდე ...)მაშინ, როდესაც ტროას ისტორიული ომი იყო 1290-1280 ჩვ.წ. აღ-მდე. ისტორიულად ომიდან პოემის ქაღალდზე გადატანამდე არანაკლებ 650 წელია გასული. ეს 650 წელი პოემა-ლეგენდა გადმოცემის სახით არსებობდა ხალხში, რომელი ლეგენდის ნაწყვეტები ჰომეროსმა სათითაოდ შეაგროვა და პოემად ჩამოასხა. ომის ფაქტსა და ომის აღწერას შორის ექვს საუკუნე ნახევარი სხვაობა არ იძლევა საშუალებას, რომ ჰომეროსის პოემის ყოველი პასაჟი უკრიტიკოდ იქნას მიღებული. არსებობს მინიმუმ ორი თვალშისაცემი შეუსაბამობა, რაც წარსულში მომხდარი ფაქტების აუცილებელ კოერქტირებას მოითხოვს:

1. ჰომეროსი თავის პოემა „ილიადაში“ ბერძენ მეზღვაურ-მეომრებს ტრიერებზე (ხომალდი სამსართულიანი გემბანით) ათავსებს, გარდა ფილოქტეტეს ორმოცდაათ ნიჩბიანი ნავებისა.

2. ჰომეროსის პოემის არასწორი წაკითხვა გახდა მიზეზი იმისა, რომ ომის მონაწილედ კენებიც (ენეტები) გამოცხადდა, რამაც საშუალება მისცა ელინ დრამატურგებს, ენეტიკა (ვენეცია) ტროას ომიდან დაბრუნებულ ენეტთა მიერ დასახლებულად გამოეცხადებინათ. (აქ და შემდგომ, ავტორს წყაროები, სამტკიცი არგუმენტები წიგნის მეორე ნაწილში გადააქვს,შენიშვნებში რამეთუ მთავარი ნაწილი მსჯელობით არ გადაიტვირთოს და მთავარი ხაზი არ დაიკარგოს. წიგნის მეორე ნაწილი, შენიშვნები, რომლის წაკითხვაც სასურველია პარალელურ რეჟიმში, არანაკლებ საინტერესო საკითხავია).

ბერძენთა საზღვაოსნო მიღწევა, „ნოუ-ჰაუ“ იმ პერიოდისათვის მხოლოდ ორმოცდაათ ნიჩბიანი ხომალდი იყო! (1) რაც შეეხება ფოლადის იარაღს, ტროას ომის ეპოქა, ბრინჯაო- რკინის გარდამავალი პერიოდით ხასიათდება. ტროას

ომში ფოლადის სულ ორი აბჯარი მონაწილეობდა: აქილევსის პირველი საჭურველი, რომელიც, გმირმა ჰექტორმა აართვა დამარცხებულ პატროკლეს, და ასევე, აქილევსის მეორე საჭურველი, რომელიც პოემის მიხედვით ჰეფესტომ გამოჭედა! (2)

ილიადას წინამდებარე ნაწყვეტში პაფლაგონიელთა ბელადის, პილემენის ეპითეტი „მკერდჯაგრიანი“ ერთობ გასაგებია და მისაღებია ქართველთათვის, თუმცა პილემენი ქართველური წარმოშობისა არ ყოფილა! სტრაბონის მიხედვით, რომელიც ამავე რეგიონიდანაა, პაფლაგონიელებსა და კაბდოკიელებს ერთი და იმავე სასაუბრო ენა აქვთ. (სავარაუდოდ სირიული, შეთვისებული პაფლაგონიელების მიერ). რაც შეხება სინოპელ ენეტებს,კენებს, ჩვენი კვლევებით (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) ეს ის თემია, რომელსაც ორიოდ საუკუნით გვიან ხალიბებად, ფოლადის პირველმომპოვებლებად იხსენიებენ!
ზემოთ მოყვანილი ჰომეროსის ციტატა, რომ ომში პაფლაგონიელები მონაწილეობენ (და არა ენეტები) პოემის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტშიც მკაფიოდ იკითხება. ენეტთა ტომის საცხოვრისი ადგილის მითითებით, რომლებიც უძველესი მცხოვრებნი ჩანან ამ ადგილისა, და რომლის შესახებ ელინური საზოგადოება ინფორმირებული ჩანს, ჰომეროსი მიანიშნებს და საზღვრავს გვიან ჩამოსახლებული პაფლაგონების ბინადრობის ადგილს. მეტიც, შემდგომი კვლევებით მტკიცდება, რომ პაფლაგონიელები ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით არიან შემოჭრილი. როგორც ზემოთ ითქვა, ჰომეროსი საკუთარი ეპოქის სინამდვილეს აღწერს და გვიან დასახლებულ პაფლაგონებს არ შეეძლოთ ტროას ომში მონაწილეობა. უფრო მეტიც, პაფლაგონთა ხსენება სინოპას ნახევარკუნძულზე, პოემა „ილიადის“ შეთხზვის თარიღის კორექტივასაც კი მოითხოვს!

იმავე მიზეზით, რომ ხალიბები(ენეტები) ამ პერიოდისათვის უკვე ფლობენ ფოლადის იარაღს (და მისი წარმოების ტექნოლოგიას), მათი მონაწილეობა ტროას ომში გამორიცხულია! წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ არა ერთი აქილევსი იქნებოდა ფოლადის იარაღ-- საჭურველის მფლობელი, ვინაიდან ხალიბები (ენეტები) თავიანთი გამოკვერილი ფოლადის აბჯარ-იარაღით მიიღებდნენ მონაწილეობას ომში!...და მაინც, ეს ქართველ ტომთაგან ერთ-ერთი პირველი ხსენებაა ანტიკურ ლიტერატურაში.
ქრონოლოგიურად ხალიბების შემდგომი ხსენება უკვე ჰეკატე მილეტელთანაა, VIს. ჩვ. წ. აღ.-მდე. ჰეკატე მილეტელი (3) ბერძენი მოგზაური და ისტორიკოსია, „დედამიწის აღწერილობის“ ავტორი. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ფრაგმენტი, მაგრამ უკიდურესად მნიშვნელოვანი!ჰეკატესეული შემორჩენილი ფრაგმენტი იყოფა ფაქტიურად ორ ნაწილად: „აზია“და „ევროპა“შემონახული ბიზანტიური ე. წ. სვიდას ლექსიკონში, სადაც ზოგიერთი განმარტებითი სახის შე-

ნიშვნა გვიანაა გაკეთებული. „აზიის“ჩვენთვის საინტეერსო ფრაგმენტი ასე გამოიყურება:

185.კორაქსი,კოლხური ტომი, კოლების მეზობელი, კორაქსების ქვეყანა და კორაჩეს კედელი.

186. კოლები, ხალხი კავკასიის მთებთან, კავკასიის მთისწინეთი, კოლების მთებად იწოდება კოლები ქვეყანა.

187. ჰეკატეს მიხედვით, ფაზისი არ ერთვის ზღვას?!

188. მოსხები კოლხური ტომი, მატიენების მეზობლად.

189. გიონე, მატიენების ქალაქი, გორდიელების მეზობლად. ამ ქალაქის მცხოვრებნი იცვამდნენ პაფლაგონიელების მსგავსად.

190. ხოი, ბეხირების მეზობელი ტომი, ხოის აღმოსავლეთ საზღვარზე ცხოვრობენ დიზერები.

191. მაკრონები, ამ დროისათვის სანები.

192. მარები, მოსინიკების მეზობელი ტომი

193. ტიბარანების აღმოსავლეთ საზღვრებზე ცხოვრობენ მოსინიკები. მათ აქვთ ქალაქი ხოირედესი.

194. ტეირეა, ლევკოსირების ქალაქი.

195. ხალიბები, მცირერიცხოვანი ხალხი პონტოსთან, თერმოდონტზე, ხალიბების სამხრეთით ეკრობა არმინა. (4)

196. სტემენა, ხალიბთა ქალაქი

197. გერმონესა, ადგილი (კოლონია) ტრაპეზუნტთან

198. პატრასისი, ქალაქ ი პონტოსთან.

199. კროსსა, ქალაქი პონტოსთან.

212.ამაზონიონი, ასე ადრე ეწოდებოდა კიტას, სადაც ცხოვრობდნენ ამაზონები.

რაც შეეხება ჰეკატე მილეტელის „ევროპის“ აღწერას, აქ ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ერთი ფაქტია:

„დანდარიები, ტომი კავკასიის მახლობლად, როგორც ამბობს ჰეკატე „ევროპაში“ (სტეფანე ბიზანტიელი, გეორგიკა, წიგნი მე-3, გვ. 277).

ჰეკატე მილეტელის ჩვენს დრომდე მოღწეული ნაწყვეტების კვლევა №187 მუხლით დავიწყოთ. ამ მუხლის მიხედვით, მდინარე ფაზისი ზღვას არ ერთვის. აქსიომაა, რომ მდინარე, რომელიც ზღვაში არ ჩაედინება, ერთვის ან ტბას, ან სხვა მდინარეს. რა მდგომარეობაა ჩვენს მდინარე ფაზისთან (რიონთან) დამოკიდებულებაში? პალიასტომის ტბა ფაქტიურად ლიმანია (ლაგუნა), რომლის მსგავსი არაერთია შავი და აზოვის ზღვების გასაყარზე. ჰეკატეს პერიოდში, ჩვ.წ.აღ.-მდე მე-6 საუკუნეში ფაზისი რომ პალიასტომის გავლით შესულიყო შავ ზღვაში, ასევე ჩაითვლებოდა, რომ ის ზღვას უერთდება. შავი ზღვა-პალიასტომი- ფაზისი, ჰეკატე მილეტელისეული ვარიანტიდან უნდა გამოირიცხოს...

არსებობს თუ არა სხვა მდინარე ფასისი, რომელიც ასევე, მდინარეს უერთდება? პასუხი დადებითია, ასეთი მდინარე არსებობს! ის მდინარე არაქსის ზემოწელია, რომელსაც ამავე სახლით არაერთგზის ახსენებს ბერძენი ისტორიკოსი და მოლაშქრე- ქსენოფონტი. ის, რომ მოინახა მდინარე, ფასისად სახელდებული, რომელიც ზღვაში არ ჩაედინება, ვერ იქნება სამტკიცი იმისა, რომ ჰეკატეს აზიის ეს მდინარე აქვს მხედველობაში, საჭიროა დამატებითი სამტკიცები:

„რატომაა მისი საზღვრები- ნილოსი, რომელიც ითვლება ეგვიპტის მდინარედ და ფასისი, კოლხეთის მდინარე (ხოლო სხვები ასახელებენ მაიეტსის მდინარეს ტანაისს და კიმერიულ გადასასვლელს) არც სახელები ვიცით იმათი, რომლებმაც ასე დაჰყვეს დედამიწა, და არც ის, თუ საიდან დაარქვეს ეს სახელი“. (ჰეროდოტე, ტომი 1, ნაწილი IV-45 , თბილისი, 1975).

ჰეროდოტე აქ აფრიკა, აზია, ევროპის საზღვრებზე საუბრობს.ჰეროდოტეს სიტყვებიდან გამომდინარე ჰეკატე მილეტელი (ფაქტიურად ჰეროდოტეს ერთადერთი წინამორბედი) ევროპა-აზიის საზღვრად მდინარე ფასისს (რიონს) უნდა გულისხმობდეს, განსხვავებით, სხვა არცთუ მრავალრიცხოვან გეოგრაფთაგან. მხედველობაში რომ არ მივიღოთ სტაფანე ბიზანტიელის ზემოთ მოყვანილი ციტატა იმავე ჰეკატესეული ნაშრომიდან, რომელიც დანდარიებს ევროპაში ასახელებს, სხვა აზრისაა დანდარიების შესახებ მოგვიანებით სტრაბონი:

„მეოტების რიცხვს მიეკუთვნებიან სინდები და დანდარები,ტორეტები, აგრები და აპრეხები, ასევე ტერპეტები, ობიდიაკენები, სიტტაკენები დოსკები და ზოგიერთი სხვა“(სტრაბონი, წიგნი XI, II-11)

სტრაბონი ევროპა-აზიის საზღვრად ერთმნიშვნელოვნად მდინარე ტანაისსს (დონს) მიიჩნევს. გამომდინარე ამ პოსტულატიდან, დანდარები, ტორეტები და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ტომები, რომლებიც მეოტიის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ, სტრაბონისათვის უკვე აზიაა, მდინარე ტანაისის აღმოსავლეთით მდებარე! იგივე ტომი დანდარიებისა, ჰეკატე მილეტელს ევროპაში აქვს მოხსენიებული! ცხადია, ჰეკატე მილეტელისეული საზღვარი ევროპა-აზიას შორის, მდინარე ფაზისზე (რიონზე) გადის! თუ ევრაზიის საზღვარი მდინარე ფაზისია (რიონი), ჰეკატე მილეტელის „აზიის“ აღწერაში მოხსენიებული კოლები და კორაქსები ვერანაირად მოხვდებოდნენ გვიანდელ ქალაქ სოხუმთან, ვინაიდან ეს ტერიტორიები უნდა მოხვედრილიყო „ევროპის“ აღწერაში! ცხადია, ჰეკატე მილეტელის ჩვენამდე მოღწეული „ აზიის“ აღწერა იწყება მესხეთის მთებით, კოლების და კორაქსების აღწერით. მიყვება როგორც შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთის მიმართულებით, ასევე აზიის კონტინენტს რამდენიმე ასეული კილომეტრის სიღრმეზე. №185-186 პუნქტი ჰეკატესეული ცნობებისა, რომელიც კოლებსა და კორაქსებს შეეხება, განთავსდება მესხეთის (კორაქსის) მთების ზემოთ. ასე რქმევია VI ს. ჩვ. წ. აღ-მდე, ასე ჰქვია პლინიუს

უფროსთან I საუკუნეში, ასევე უწოდებს პროკოფი კესარიელი VI საუკუნეში ამ მთებს!

კორაქსების ტომების განთავსება სოხუმთან ახლოს გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული ჰეკატესეული ტექსტის არასწორი წაკითხვით: ჯერ ფსევდო სკილაქს კარიანდელის, შემდგომ პომპონიუს მელას მიერ. საბოლოოდ რუკაზე შესაბამისი კოორდინატების დატანა მოხდა კლავდიოს პტოლომაიოსის მიერ. კორაჩეს კედელი, როგორც სვიდაში ჩანს, შესაძლებელი იყო მხოლოდ VI საუკუნის მერე ჩვ.წ. აღრიცხვით იყოს შეტანილი (როდესაც ეს კედელი უკვე აშენებული ჩანს) ვურჩევდი ქართველ, (და არა მხოლოდ ქართველ) მეცნიერებს, კორაქსთა ტომის უნაყოფო ძებნას თავი დავანებოთ კელასურის კედელთან, რომელიც იუსტინიანე კეისარის ხელშეწყობითაა აშენებული VI საუკუნეში ქრისტესით. ამრიგად, ეჭვმიუტანლად დამტკიცებულია, რომ კორაქსების მთები და შესაბამისად კორაქსები მესხეთის (ჰეკატესეული მოსხების) გვერდზე არიან განლაგებული. სავარაუდოა, რომ ჰეკატე ტერმინ კოლხებში- ქართველებს გულისხმობს. კოლები, კორაქსების ახლოს, რასაკვირველია, კოლას მიდამოში მცხოვრები ქართველური ტომები იგულისხმება, რა ვერსიასაც უდიდესი ქართველი მკვლევარი, პავლე ინგოროყვაც ანვითარებს. დამაფიქრებელია, რომ ამ დროსათვის არტაანი იქ არ ჩანს. (ჯერ არ ჩანს....)

მატიენები, ეს ინდოევროპული ტომი ჩანს კონტინენტის სიღრმეში. მისი ლოკალიზაცია შესაძლებელია ჰეროდოტეს ისტორიის მიხედვით. ბეხირები- სავარაუდოდ, ქართველური ტომი (ბახარი- ასეთი დასახლებული პუნქტი დღესაც არსებობს დღევანდელ თურქეთში. ტრაპეზუნტ- კერასუნტს შუა, კონტინენტის სიღრმეში). ხოი, მაკრონები, მარები, ტიბარანები, მოსინიკები, უმრავლესობა ადგილნაცვლებულია (საქართველო სახელმწიფოს ფარგლებში თუ ფარგლებს გარეთ). მათი იდენტიფიკაცია, განსახლების შუალედური თუ საბოლოო პუნქტების აღმოჩენა- დამტკიცება ხდება ანტიკურ ავტორთა ეჭვმიუტანელი ცნობების საფუძველზე. ტომების გადაადგილებისა და მათი საბოლოო განსახლების ადგილების პოვნა ბიზანტიური, თურქული და რუსული წყაროების საშაუალებით ხდება შესძლებელი.

„ტომები არ ქრებიან, ისინი განაგრძობენ არსებობას სხვა სახელის ქვეშ ან სხვაგაან“ (პომპინიუს მელას პერიფრაზა) დაუჯერებელია, მაგრამ ზოგიერთიტომის წარმომადგენელთა გვარებიც კი არის დაფიქსირებული, ხოლო ზოგიერთი გვარის ამა თუ იმ ქართველური ტომისათვის უშეცდომოდ მიკუთვნებაც კი არის შესაძლებელი! ჰეკატე მილეტელის ცნობა:

ხალიბები, მცირერიცხოვანი ხალხი, მცხოვრები პონტოსთან, თერმოდონტზე. ხალიბების სამხრეთით ეკვრის არმინა...

ერთობ საყურადღებოა. ის, რომ აქ ხალიბების მცირერიცხოვნობაზეა საუბარი,

რომელსაც ჩვენ მოგვიანებით შევეხებით. - ხალიბები, სავარაუდოდ, სამხრეთის მიმართულებით მდინარე თერმოდონტიდან მოყოლებული, ზღვის სანაპიროს გასწვრივ მეჩხრად ცხოვრობენ, არცთუ მრავალრიცხოვანი არიან. სახეზეა ხალიბთა რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება ამ ადგილებზე, სავარაუდოდ, მათი სიმჭიდროვის ხარჯზე. ტერიტორიულად ისინი მდინარე თერმოდონტიდან სინოპის მთელ ნახევარკუნძულზე ჩანან მიმოფანტული, ვინაიდან არმინაეს პროვინცია სინოპელთა ნავმისადგომია, სინოპიდან 6-9 კილომეტრი სამხრეთით.

...წიაღსვლანი...

მართალია პირველი ცნობა ენეტთა შესახებ ჰომეროსთან მოიპოვება, ხოლო ქრონოლოგიურად შემდეგი, ეს ჰეკატე მილეტელია, რომლებიც ენეტებს ერთმნიშვნელოვნად სინოპას ნახევარკუნძულზე ათავსებენ, მაგრამ ისინი ვერ საზღვრავენ მათ უპირველეს სამშობლოს, თუ საიდან არიან ისინი სინოპაზე ჩამოსახლებული. სინოპას ნახევარკუნძულის მათ სამშობლოდ ჩათვლამ ბერძენ დრამატურგებს საშუალება მისცა ემტკიცებინათ, რომ ვენეტები ტროას ომიდან დაბრუნებული სინოპელი ენეტები არიან, რომელიც ამ უკანასკნელთათვის სრულიად უცხო ბელადმა, ანტენორმა წაიყვანა ენეტიკაში (ვენეციაში). საბედნიეროდ, არსებობენ გეოგრაფები, რომლების ზუსტად საზღვრავენ ამ ხალხის ჩამომავლობასაც და (როგორც მინიმუმ) წინარე სამშობლოს:

„პადის მხარეს ცხოვრობენ გენეტები და ისტრები, მობინადრენი ამ სივრცეში თავად პოლამდე. გენეტებს ზემოთ ცხოვრობენ კარნები და კენომანები, მედიაკები და სიმბრები. ამ ხალხებიდან ერთნი იყვნენ რომაელების მტრები, კენომანები და გენეტები იყვნენ მათი მოკავშირეები, როგორც ჰანიბალის ლაშქრობის წინ (როცა რომაელები იბრძოდნენ ბოიებისა და სიმბრების წინააღმდეგ) ასევე მას მერე“ (სტრაბონი, წიგნი V; 1-9)

ამ ხალხის, კენომანების ხსენება სტრაბონთან ამ ამონარიდით თითქოსდა მთავრდება, თუმცა მათი ბინადრობის სხვა ადგილის პოვნა შესაძლებელი ჩანს:

„ევბეაზე დევს კენეი-კონცხი მიმართული დასავლეთისაკენ...“(იქვე, წიგნი IX; IV-4)

სავარაუდია, რომ კენეის კონცხი- კენომანების მიგრაციის ერთ- ერთი პირველი შესამჩნევი წერტილი იყოს. მიგრაციის ეს და ყველა შემდგომი სავარაუდო დასახლების ადგილი ზღვის სანაპიროს სიახლოვესაა განლაგებული, რაც მათი მიგრაციის საზღვაო ხასიათს მიანიშნებს:

„მაგალითად, ის დაეხმარა დემეტრის, სელევკის შვილს, დაემარცხებინა ომში ალექსანდრე, ანტიოხის შვილი, ხოლო რომაელთა მხარეს იბრძოდა ფსევდო-

ფილიპის წინააღმდეგ და ლაშქრობაში თრაკიის წინააღმდეგ. დაამარცხა დია-გელი, კენების მეფე“ (იქვე, წიგნი XIII, IV-2)

მართალია სტრაბონის წიგნის ანონსში კენომანი ერთგან განმარტებულია როგორც კელტური ტომი, ხოლო მეორეგან-კენები-როგორც თრაკიული, სინამდვილეში ეს ტომი ერთი და იგივე-გენეტების ცალკეული თემი ჩანს, გვიანი დროის ვენეტებისა, ნამდვილად კელტური. სავარაუდოდ, ამავე ტომიდანაა მაკედონელის სარდალი კენიც, რომლისთვისაც სავარაუდოდ ეს მეტსახელია! არ აუვლია გვერდი კენომანების თემისთვისაც პლინიუს უფროსს:

„განცალკევებული ზღვიდან ნაწილი მეცხრე (ოლქისა), კოლონიები კენომანების მიწაზე, ატესტე ვენეტების მიწაზე. ქალაქები:აკელი, პატავია (პადუა) ოპიტერგი, ვალიუნა, ვიკეტია (ვინჩენცა) მანტუა ეტრუსკული -ერთადერთი დარჩენილი (მდინარე) პოს იქით (ეტრუსკული ქალაქი“

(პლინიუს უფროსი; წიგნი III; გეოგრაფია ესპანეთიდან მეზიამდე -19)

კენომანების,კენების მოსახლეობის დაქსაქსულობა სავარაუდოდ საკუთარი ნაწარმის, ფოლადის მოპოვება-რეალიზაციასთან ჩანს დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ მათ ფოლადის გამოჭედვა სინოპას ნახევარკუნძულზე მოსვლამდე ისწავლეს,ჯერ კიდევ მცირე აზიის სირრმეში ბინადრობისას, თუ უფრო ადრე არა...(კენების მიგრაციული მიმართულება სცილდება წინის ფორმატს)

ქრონოლოგიურად შემდეგი ავტორი, რომელთანაც ჩვენთვის საინტერსო ცნობებია, ჰეროდოტეა, ისტორიის მამად სახელდებული. ჰეროდოტეს „ისტორია“ იყო პირველი წერილობითი (ანბანური) ფორმატიანი ისტორიული ნაშრომი, სადაც მოცემულია ქვეყნიერების იმ დროისათვის ცნობილი გეოგრაფიული და ისტორიული მონაცემები. წიგნში მოქმედება მიმდინარეობს საბერძნეთ-სპარსეთის ომის ფონზე, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა იმ დროისათვის მეტ-ნაკლებად ცივილიზებული ტომები ევრაზიისა.

…განცვიფრებას იწვევს ჰეროდოტეს თუნდაც ფრაგმენტული ცოდნა ევრაზიის კონტინენტის იმ ნაწილისა, რომელზედაც დღეს რუსეთია განლაგებული. სამწუხაროდ, დღეს ჰეროდოტეს მიერ აღწერილი ჩრდილოეთის და ჩრდილოაღმოსავლეთის მიწები, იმავე ანტიკური მწერლების მიერ ჩათვლილია როგორც შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს აღწერა (5) და რევიზიას არ დაქვემდებარებია მთელი 25 საუკუნის მანძილზე! ინფორმაციას ამ ტერიტორიის შესახებ, რომელსაც ფლობს ჰეროდოტე, ცნობილი ისტორიკოსისათვის, სტრაბონისთვის, ხუთი საუკუნის შემდეგაც მიუწვდომელია და ზღაპრად თვლის.

ტერიტორიები ქერჩიდან, კიმერიული ბოსფორიდან მდინარე ფასისამდე (რიონამდე) ჰეროდოტეს ყურადღების მიღმა რჩება, შემოიფარგლება მხოლოდ ცნობით, რომ ეს მანძილი 30 დღის სავალია მსუბუქად აღჭურვილი ქვეითი მეომრისათვის (6) ამასთან ჰეროდოტეს ჰიპოთეზა, რომ კოლხეთი ეგვიპტელების

შთამომავლები არიან, სრულიად სხვა გააზრებას მოითხოვს (7) საინტერსოა ჰეროდოტესეული აღწერა აზიის დომინანტი სახელმწიფოს, სპარესეთის მიერ ტერიტორიების სატრაპიებად დაყოფისა, სახელმწიფო მოწყობისა. (8) მოსხები, ტიბარანები, მაკრონები, მოსინიკები, მარები, ეს მეცხრამეტე სატრაპში გაერთიანებული ქართველური ტომებია, სავარაუდოდ, სასპერებიც ქართველური ტომებია, ტერიტორიული განზოგადების გამო გადანაწილებული მეთვრამეტე სატრაპიაში.

რაც შეეხება კოლხებს, პრაქტიკულად მათ დამოუკიდებლობა შინარჩუნეს, ხალიბები ჰეროდოტეს ამ ჩამონათვალში არ ხვდებიან, თუმცა ისინი სპარსელების მოხარკენი ჩანან. კიდევ უფრო საინტერესოა ტომების სამხედრო დაწყვილება, ჩვეულებრივ ორ - ორად და სავარაუდოდ ნებაყოფლობით, ერთი სპარსელი სარდალის მეთაურობენ.(9). ეს დაწყვილება თითქმის უშეცდომოდ გვიჩვენებენ ტომების ეთნიკურ- ტომობრივ მიკუთვნებულობას, როგორც ქართველურ, ასევე , არაქართველურ ტომებში. მართალია, ორიენტირი ეთნიკურობისა სატრაპებად დაყოფაც კი შეიძლება იყოს , მაგრამ ეს დაყოფა მაინც პირობითია.

„საგამგებლოებად რომ დაჰყო, საგამგებლოებ ს გამგებლები დაუყენა და დაუწესა ხარკი, რაც მისთვის უნდა გადაეხადათ ცალკეული ხალხების მიხედვით, ხოლო ამ ცალკეულ ხალხებს მიაწერა მათი მეზობლებიც. მახლობელ ხალხებს რომ გასცდა, დანარჩენები- ზოგი ერთ ხალხთან გაანაწილა და ზოგიც მეორესთან.“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი III თბილისი1975 წ.)

რაც შეეხება ჩვეს საძიებელ ტომს, ის მათ ენეტებად იხსენიებს და ისიც დღევანდელ ვენეციაში, მისი სიტყვებით ენეტიკაში (ჰეროდოტე, I-196; V-9) როგორც ირკვევა, კენებს-ხალიბებს მაინც ახსენებს ჰეროდოტე:

„კაბელ -მეიონებს, ლასონიებად წოდებულებს ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც კილიკიელებს“ (იქვე, წიგნი VII-77)

მკითხველს ვაუწყებ, რომ აქ ლასონიები შეცდომით ნახმარი ტერმინი ჩანს, პირველი ასო I გამომცემელის მიერ ასო L არის წაკითხული. იასონია-ეს სინოპას ნახევარკუნძულის ანტიკური სახელია. ზუსტად ასეა განმარტებული იმავე წიგნის საძიებელშიც...რაც შეეხება ხალიბებს, მოხსენიებულს იმავე წიგნი (VII-76) ბერძნულიდან მთარგმნელის, ქალბატონ თინათინ ყაუხჩი შვილის მიერ ლაკუნას ადგილზე ჩასმული შეცდომაა-იქ სრულიად სხვა ხალხი იგულისხმება...

შემდეგი მემატიანე, რომლის მცირე, მაგრამ ერთობ საგულისხმო ფრაგმენტია შემონახული, ჰელანიკე მიტილენელია (480-400 წწ . ჩვენს წ. აღრიცხვამდე). ეს ცნობა დიდი ვნებათა ღელვის საგანია ქართველ ისტორიკოსთა შორის. აი, ისიც:

„კერკეტებს ეკრობიან მოსხები, ხოლო ქარიმანტები ფლობენ პარფენიას ევქსე-ნის პონტომდე“ და მეორე **„ კერკეტებს ზევით ცხოვრობენ მოსხები და ქარი-მანტები, ქვევით ჰენიოხები, ხოლო ზემოთ- კორაქსები“. (გეორგიკა, ტ. III , თბი-ლისი, 1936 წ. გვ. 288-289).**

აქ ქართველი (და არა მარტო) მეცნიერთა დავის საგანი იყო მოსხების (მესხების) ერკეტების, კორაქსების (ტომი შეცდომით დაფიქსირებულია აფხა-ზეთში) ფაქტიურად გვერდიგვერდ მოხსენიება. ახლა, როდესაც ისტორიული შეცდომა, მომდინარე 20 საუკუნის განმავლობაში გასწორებულია, ცნობების წინააღმდეგობრივი ხასიათიც ამოწურულია. მოსხები, კერკეტები და კორაქსე-ბი შედარებით კომპაქტურად ცხოვრობდნენ ტრაპეზუნდ-ბათუმის ზემოთ გან-ლაგებული მთების სიახლოვეს. მართალია, ცოტა მოშორებით, მდინარე პარ-თენიის ზემოწელში, რომელიც აღნიშნული მთების სიახლოვეს ღებულობს სათავეს, უცხოვრიათ ქარიმანტებსაც (ტერმინი მოგვიანებით დასახელებულ მდინარე ქარიენტსა და სოფელ ქარიატაში ჩანს დაუნჯებული) .... და ყველაზე საყურადღებო ჩავენთვის: ოთხი საუკუნის შემდეგ, სტრაბონის მიერ ამავე ადგ-ილზე დაფიქსირებული კერკიტები მხოლოდ და მხოლოდ იგივე ჰელანიკესე-ული კერკეტები შეიძლება იყოს . კერკეტები აქაც ქართველთა მეზობელი (და მოკეთე) ტომი ჩანს....

შემდეგი მემატიანე , რომელსაც მოუხდა უშუალო შეხება ქართველურ ტომებთან, ანტიკური მეომარი, სარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტეა. 401 წე;ს ჩვ. წ. აღრიცხვამდე, უფლისწული კიროსი, სპარსეთის კ ანონიერი მეფის, არტაქსერქსის ძმა, აუჯანყდა მეფეს. კიროსმა, ქსენოფანტის მიხედვით გამორ-ჩეული ბუნების ადამიანმა,არც თუ ისე ცოტა მომხრე შეიძინა სარდეში, ლიდი-აში, სადაც ის მეფისნაცვლის როლში იყო მივლინებული. კიროსი, მიუხედვადა მისი ახლგაზრდობისა, წინდახედული და ჭკვიანი პოლიტიკოსიც აღმოჩნდა. აზიის ბერძნულ ნაწილში არაერთი ბერძენი მოლაშქრე იქნა დაქირავებული, რომელთა საბოლოო რიცხვმა 14 . 000-სს გადააჭარბა.ქსენოფონტე ახალგაზრდა, ენერგიული და როგორც გაირკვა, გონიერი ბერძენი მოლაშქრეც, მათ შორის აღმოჩნდა.

მეფე არტაქსერქსის და უფლისწული კიროსის ლაშქრები ბაბილონში, ქა-ლაქ კუნაკსთან შეეჯახნენ ერთმანეთს. კიროსი, რომელიც არტაქსერქსის პირი-სპირ აღმოჩნდა, უშიშრად შეიჭრა არტაქსერქსის არმიის რიგებში, დაჭრა კიდეც პირადად არტაქსერქსი, მაგრამ მოკლული იქნა მეფის დაცვის მიერ. ფაქტიუ-რად, ერთი შეტაკებით ომი დამთავრდა კიდეც. სამფო ტახტის მეორე პრეტენ-დენტი უკვე ფიზიკურად აღარ არსებობდა . აქტიური გახდა ბერძენ მოქირავ-ნეთა საკითხი. მეფე არტაქსერქსი მათ მოღალატეებად თვლიდა, შესაბამისად, იარაღის დაყრა მოითხოვა. მოლაპარაკების პროცესში ბერძენ მოლაშქრეთა მე-

თაურები დაპატიმრებული და დასჯილი იქნენ. უმეთაუროდ დარჩენილ ბერძნებს ქსენოფონტემ უმეთაურა , ფაქტიურად, რაზმში შემთხვევით მოხვედრილმა (ჩვენდა და ბერძენთა საბედნიეროდ) ახალგაზრდა მოყვარულმა მეომარმა. განსაზღვრა რ ა სწორად, რომ თუ სპარსელებმა შეიარაღებული 14.000-იან არმიას მეთაურობა უბოდიშოდა დაუხოცა, განიარაღებულ ბერძნებს ან სიცოცხლესთან მოუხდებოდათ გამოთხოვება, ან თავისუფლებასთან, გადაწყვიტა სამშვიდობოს იარაღის ძალით გასულიყო. მოქირავნე ბერძენ მეომრებს მეფე არტაქსერქსმა თავის ერთ-ერთი სატრაპი მიუსია. ბერძნებს მძიმე არიერგარდული ბრძოლებით მოუხდათ უკანდახევა. ბერძნებმა წვრილ-წვრილი შეტაკებებით გაიარეს კარდუხებით (ქურთებით) დასახლებული ტერიტორიები. შემხვედრი მდინარის გადალახვის შემდეგ, რომელიც კარდუხ-არმენთა საზღვარი აღმოჩნდა, ისინი არმენიის ტერიტორიაზე მოხვდნენ . ნიშანდობლივია, რომ მდინარის სანაპიროზე არმენთა მხარეს მთელი დღის სავალზე სახლები არ არსებობდა, რაც კარდუხ-არმენთა ომით ყოფილა გამოწვეული. არმენთა ტერიტორიების მშვიდობიანად გავლის შემდეგ , ბერძენი მოლაშქრეები ტაოხთა მიწა-წყალზე მოხვდნენ. ტაოხებმა ბერძნებს წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა ამ წინააღმდეგობას სპონტანური, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. (10).
არმენთაგან წამოსული ბერძნები მდინარე ფასისს მიადგნენ, რომლის მოპირდაირე მხარეზე შეიარაღებული ხალიბები(11), ტაოხები (12) და ფაზიანები (ბასიანები)იყვნენ განლაგებული.

ტაოხთაგან წამოსული ბერძნები, რომლებიც თავს ძარცვა-გლეჯით ირჩენდნენ, (ახლა ამას მაროდიორობა ჰქვია და ჟენევის კონვენციით იკრძალება) ხალიბების (სავარაუდოდ არა ხალიბების, არამედ ხალდების) ტერიტორიაზე ხვდებიან რომელსაც ბერძენი ავტორები ერთმანეთში ურევენ. ხალიბებიდან წამოსული ბერძნები შკვითინების (13) დიდ, ხალხმრავალ და მდიდარ ქალაქში, გიუმნიასში ხვდებიან. ქალქის თავმა, სავარაუდოდ დააპურა და მოამარაგა ბერძენი მოლაშქრეები, გააყოლა გზამკვლევი და მშვიდობიანად გააცილა საკუთარი ტერიტორიიდან. ხუთი დღის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, მოქირავნენი მივიდნენ მთა ფეხესამდე (14), საიდანაც ზღვა დაინახეს.

აქედან ბერძენი მოქირავნენი მაკრონთა (15) სოფელში აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი ბერძენი მოლაშქრე, მონაყოფილი , ადგილობრივი ენის მცოდნე აღმოჩნდა. მიხვდა, რომ ამ ხალხის შთამომავალია და მათთან მოლაპარაკება შესთავაზა მეთაურს, ქსენოფონტეს. მოლაპარაკების შედეგად მაკრონებმა დააპურეს მოლაშქრეები და კონფლიქტის გარეშე გაატარეს . ის, რომ მონაყოფილი მაკრონი აღმოჩნდა, საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ მაკრონთა ტომობრივი მიკუთვნებულობა, წინააღმდეგ გაბატონებული მოსაზრებისა მაკრონები სვანურ ტომთან იდენტიფიცირდებიან.

მაკრონთაგან წამოსული ბერძენი მოლაშქრეები სამი დღის სავალის შემდეგ კოლხების საზღვრებში შეიჭრნენ. გაფანტეს რა კოლხთა ლაშქარი, დაბანაკდნენ მოსახლეობისგან დაცლილ კოლხთა სოფლებში. ბერძნები გააკვირვა დიდი რაოდენობის ფუტკრის სკამ. მათრობელა თაფლით მთვრალ -მოწამლულმა ბერძნებმა მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეძლეს გზის გაგრძელება. (თაფლით განთქმული მეგრულენოვანი ტომი კიდევ ამოტივტივდება ქართულ ისტორიაში, უკვე ადგილგადანაცვლებული). „მეთაფლეების“ სოფლებიდან დაძრული ბერძნები სამი ათეული კილომეტრის გავლის შემდეგ ტრაპეზუნტში აღმოჩნდნენ.ტრაპეზუნტში ბერძენი მოლაშქრეები თბილად მიიღეს, ადგილობრივმა ბერძნებმა მოამარაგეს ისინი საკვებით , დაეხმარნენ ადგილობრივ კოლხურ თემთან მოლაპარაკებაში, რომელთაგან, ასევე, საჩუქრად მსხვილფეხა პირუტყვის ნახირი მიიღეს. კოლხებს როგორც ეტყობა საჩუქრებმა ვერ უშველა(16). პროვიანტგამოლეული ბერძნები თავ ს მარადიორობით ირჩენდნენ. (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს , რომ ეს მოვლემა საერთო ჩანს ყველა ეროვნების არმიისათვის ანალოგიურ პირობებში). ახლომახლო საკვები მარაგის განადგურების შემდეგ, ბერძნები იძულებული ხდებიან უფრო შორეული ლაშქრობები მოაწყონ დრილთა(17) ტომის წინააღმდეგ.

შემდეგი ტომი ბერძენ მოლაშქრეთა გზაზე, ზღვის გაყოლებით მოსინიკები აღმოჩნდნენ. მოსინიკთა ტომი ორ ბანაკად ჩანს გაყოფილი. გაიხადეს რა მოკავშირედ ერთნი, მათთან ერთად ბერძნებმა დაამარცხეს მეორენი, მოიმარაგეს საკვები და გასცდნენ მოსინიკებით დასახლებულ სოფლებს .მოსინიკების შემდეგ თავიანთი მსვლელობის გზაზე ხალიბებს შეეჩეხნენ. ქსენოფანტეს სიტყვებით, ხალიბები მცირერიცხოვანი ჩანან და ემორჩილებიან მოსინიკებს. ხალიბებს სინოპადან, სადაც ისინი ცხოვრობდმენ, მთელი 300 კმ-ით დაუხევიათ უკან.

ხალიბების შემდეგ დასავლეთით ტიბარანთა ქალაქი კოტიორაა. პირდაპირი ომი კოტიორელ ტიბარანებთან ბერძნებს არ უწარმოებიათ, თუმცა მარადიორობის მრავალი შემთხვევა იყო დაფიქსირებული. კოტორის გავლის შემდეგ, ბერძნებმა პაფლაგონიის ტერიტორიაზე გადაინაცვლეს რომელიც ამ პერიოდისთვის კოტიორას უწევდა.. ქართველური ტომების ტერიტორიული დანაკარგი ორი საუკუნის განმავლობაში ზღვის სანაპიროს 250-300 კილომეტრია! პაფლაგონიის შემდეგ ბერძენი მოლაშქრეები გემით გაემგზავრნენ და ქსენოფონტეს მეტი შეხება ქართველურ ტომებთან არ ჰქონია.

ევრაზიისა და ნაწილობრივ აფრიკის კონტინენტების ვრცელი აღწერილობა მოგვცა სტრაბონმა თავის გეოგრაფიაში 64-63 წწ ჩვ. წ. აღრიცხვამდე, 24-23 ჩვ. წ. აღრიცხვით. სტრაბონის მრავალტომეულში უამრავი საინტერსო გეოგრაფიული თუ ისტორიული ცნობაა დაცული. არაერთგზის და არაერთგან და-

ვუბრუნდებით სტრაბონის შესაბამის ნაშრომს. სტრაბონის განხილვას ჩვენ სინოპის ნახევარკუნძულიდან უნდა დავიწყოთ,შავ ზღვაში ღრმად შეჭრილი კონცხით, ბათუმიდან ზღის გაყოლებით 700 კმ-ით სამხრეთით. აი, აქ, ქალაქ სინოპიდან 240 კმ სამხრეთით გადის ანტიკური მდინარე პართენია, დღეს ბარტინად სახელდებული.

„მისი სიტყვებით, კავკონები განლაგებული იყვნენ ჰერაკლიიდან და მარიანდების ოლქებიდან ლევკო-სირიელებამდე, რომელსაც ჩვენ ვეძახით კაპადოკიელებს და კავკონთა ტომი, რომლებიც ცხოვრობდნენ ტიეიასთან, გადაჭიმული იყვნენ მდინარე პართენიამდე,მაშინ, როდესაც მეზობელი ტომი გენეტებისა(19) კოტორის მფლობელები ბინადრობდნენ პართენიის იქით და კიდევ ვიღაც კავკონები ცხოვრობენ პართენიასთან.“ სტრაბონი, წიგნი XII-III-5).

კალისთენე, საიდაანც სტრაბონს მოხსენიებული აქვს ეს ნაწყვეტი, წერს ამ სტრიქონებს IV საუკუნის შუაში ჩვ. წ. აღრიცხვამდე, რომელიც, რასაკვირველია, ადრეულ, ჩვენთვის უცნობ წყაროებს ეყრდნობა.მართალია ქსენოფანტე წერს, რომ ხალიბებს შეხვდა რამდენიმე ასეული კილომეტრით აღმოსავლეთისაკენ, მოსინიკებთან მაგრამ ეს ცნობა ვერ გამორიცხავს კალისთენეს მონაცემებს, რომელიც VIII-IV საუკუნეს ჩვ.წ.აღრიცხვამდე პერიოდს მოიცავს. თვითონ ქსენოფანტე და მისი მოლაშქრეები არც მისულან მდინარე პართენიამდე. ისინი პაფლაგონიიდან გემებით გაემგზავრნენ საბერძნეთში.

„ტიეია-დაბა საერთოდ არც ღირდა დასახელებად. აქედან რომ არ ყოფილიყო ფილეტერი, ატალიდების სამეფო გვარის დამფუძნებლები. მერე მოდის მდინარე პარფენიი, რომელიც მოედინება ისეთ ადგილას, რომელიც დაფარულია ყვავილებით. მდინარის სათავეები პაფლაგონიაშია“ (სსტრაბონი; იქვე).

ატალიდების დინასტია,ეს პერგამოს სამეფოს სახელმწიფო დინასტიაა, სავარაუდოდ -ევერგეტებისა განაყოფისა.ტიეია-ეს კავკონების მთავარი ქალაქია...

„ შემდეგ მოდის პაფლაგონია და ენეტები. საკამათოა, რომელ ენიტებს გულისხმობს ჰომეროსი, როცა მბობს: „ბელადი პილემენი, პაფლაგონიელების წინამძღოლი გულჯაგრიანი, წამოყვანილებს გენეტებიდან, სადც ჯოგდებიან ველური ჯორები“. როგორც ახლა ამბობენ, პაფლაგონიაში აღარაა ენეტები, თუმცა სხვები ამტკიცებენ, რომ ამ სახელის ტომი, მცხოვრები კაბადოკიელების მეზობლად, ერთად ებრძოდნენ კიმერიელებს და განდევნილი იქნენ ადრიატიკის ზღვის მიმართულებით. მეტ-ნაკლებად მიღებული თვალსაზრისი, რომ ეს ენეტები ყველაზე მნიშვნელოვანი პაფლაგონიური ტომია, ვისგანაც იყო წარმოშობილი პილიმენი. გარდა ამისა, უმრავლესობა ენეტები იბრძოდნენ მის მხარეს. წინამძღოლდაკარგული ენეტები, ტროას დაცემის მერე გადავიდნენ თრაკიაში და თვიანთი ხეტიალის დროს მივიდნენ თანამედროვე ენეტიკაში. ზოგიერთი მწერლის მიხედვით, ანტენორი და მისი შვილები მონაწილეობდნენ ამ ლაშ

ქრობაში და დასახლდნენ ადრიატიკის ზღვია ყველაზე დაშორებულ ნაწილში“ (20). (სტრაბონი XII-III-8)

ნიშანდობლივია, რომ სტრაბონის მიერ განხილულ სამივე ვარიანტში გენეტები - ენეტები ა დრიატიკის ზღვის უშორეს სანაპიროზე მიგრირდებიან , სტრაბონის თანამედროვე და უფრო ადრინდელ ენეტიკაში, ცხადია, სტრაბონისათვის და უფრო ადრინდელი თაობებისთვისაც, სინოპის გენეტ- ენეტები და ადრიატიკის ენეტ-ვენეტები ერთი და იმავე ტომის ხალხია!

„მდინარე პარფენიის შემდეგ მოდის ამასტრია... ამასტრია შექმნა 4 დასახლების გაერთიანებამ: სესამა, კიტორა, კრომნა (რომელსაც ჰომეროსი ასახელებს ხომალდთა საბრძოლო განლაგებაში) და ტიეია, რომელიც მალე ჩამოშორდა გაერთიანებას“ (სტრაბონი, წიგნი XII, 3-10).

მართალია, სტრაბონი არ ასახელებს მიზეზს, თუ რა მიზეზით ჩამოშორდა ტიეია ამასტრიას, თუმცა როგორც ჩანს, ტიეია და კავკონები(21) აღმოჩნდნენ სხვა ტომის, მარიანდინების შემადგენლობაში, ხოლო 3 დანარჩენი დასახლება, მათი მცხოვრებლებითურთ, პაფლაგონიის შემადგენლობაში. საფიქრებელია, რომ ტიეია და კიტორა ერთი და იმავე ხალხის სხვადასხვა დასახელებაა, გაყოფილი ბუნებრივი ზღუდით, მდინარით და გადანაწილებული ორ მეზობელ აგრესორ ტომს, მარიანდინებსა და პაფლაგონიელებს შორის. (ინდოევროპული ტომები). ამასტრიის შემდეგ მოდის **ეგიალის** ტერიტორია. მომდევნო არმინა, სადამდეც აღწევდა ხალიბთა საზღვარი აღმოსავლეთიდან არმენამდე ჰეკატე მილეტელის ეპოქაში, ხოლო მომდევნო 8-9 კილომეტრზე აღმოსავლეთით დასახ-ლებული პუნქტი სინოპა.

„სინოპა კეთილმოწყობილია ბუნებრივად და მოსახლეობის მონდომების შედეგად, ის აშენებულია ნახევარკუნძულის ყელზე, ნახევარკუნძული გარშემორტყმულია სანაპიროთი, დახრამული კლდეებით, რაღაცნაირი ტაფობებით მათში თითქოსდა ორმოებით, რომელთაც „ხენიტიკებს“ უძახიან.(22). ეს ორმოები ივსება წყლით ზღვის დონის აწევისას, ასე, რომ ამ მიზეზით ადგილმდებარეობა ადვილი მისადგომი არაა, და კიდევ იმიტომ, რომ კლდეების მთელი ზედაპირი დაფარულია ეკლნარით და მასზე ფეხშიშველა სიარული არ შეიძლება“ (სტრაბონი XII , III-11).

ხინტკილი, გოხინტკილი-პირდაპირი ფორმაა გაჭრილისა(ხისა) გეხინტკილი, -ასევე პირდაპირი ფორმაა ნაჭდევისა, ნაჭდევისა, რომელსაც სრტაბონი ახსენებს... როგორც ეტყობა, ზმნის ეს ფორმა სინოპას ნახევარკუნძულიდან იღებს სათავეს და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი სრულიად სხვა გარემოსა და სხვა ეპოქაშიც ვრცელდება...„ხენეტიკი“, რომელიც ვერ იხსნება ბერძნულ ენაზე, მშვენიერ გამოძახილს პოულობს მეგრულ ენაში, და ზუსტად ასახავს ამ უცნაური ორმოების არსს- ისინი მართლაც ხელოვნურ ნაჭდევებს ემსგავსებიან!

ეტყობა სიტყვა ხინტკი თავად ხენიდან ღებულობს სათავეს. რაც შეეხება ჰენიოხს, ხენიოხს, სატომო სახელი კენი, რიგ შემთხვევაში ფიქსირდება როგორც ხენი. სატომო სახელის ქართული ვარიანტი-ეს უსათუოდ ხენი-ხი იქნება, საიდანაც ერთი ნაბიჯია ჰენიოხამდე, რაც ბერძნულ ენაზე მეეტლეს ნიშნავს. აქედან ჩანს მითი კენების მეეტლეობისა, რომელსაც ბერძენი ავტორები მიაწერენ. გენეტი-ენეტი-კენი-ხენი- ეს ერთი და იმავე ტომის ჟღერადობით ახლომდგომი სახელებია. ტომი (თუ ტომის ნაწილი) ცხოვრობდა სინოპას ტერიტორიაზე.უძველესი ანტიკური მწერლების მრავალსაუკუნოვანი პოლემიკა, მონაწილეობდა თუ არა ეს ტომი ტროას ომში, უსაფუძვლოა. როგორც ზემოთ დაავამტკიცეთ, ფოლადის მოპოვების საიდუმლოებას ნაზიარებ ტომს ტროას ომში მონაწილეობა არ მიუღია.

არქეოლოგიური ცნობებით, ტროას ომიდან 2-3 საუკუნით ადრე, ფოლადის გამოჭედვის ტექნოლოგია ცნობილი იყო სინოპაში მცხოვრები ტომებისათვის (Античние города юго-восточном причерноьория, Максимова М. И.).

რაც შეეხება ხალიბებს, ისინი ჰომეროსის პოემაში ვერ იქნებოდნენ ნახსენები, რამეთუ ეს სახელი მათ უფრო გვიან უჩანთ მიღებული, მაგრამ არა უგვიანეს VI საუკუნისა ჩვენს წელთა აღრიცხვამდე, რადგანაც ამ დროს ჰეკატე მილეტელი ასე იხსენიებს მათ. ვფიქრობთ, რომ რამდენიმე საკვანძო აღმოჩენა, რომელიც მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, მოხდა ერთხელ და ერთგან. ამის ქრესტომათიული მაგალითი სახეზეა და შეგვიძლია ჩამოვთვალოთ:

1.აბრეშუმი (ჩინეთი)

2. ფაიფური (ჩინეთი)

3.რკინა-ფოლადი (სინოპა-ვენთვის ცნობილი)

4.ქაღალდი (ჩინეთი)

5.ვენეციური სარკე (ვენეცია)

6.ვიტრაჟი

7. აცრა (ლაზეთი).

თითოეული მათგანი ასწლეულების განმავლობაში მკაცრ საიდუმლოს წარმოადგენდა. (23). ცნობილია, რომ აბრეშუმი და ფაიფურის წარმოება საუკუნეების განმავლობაში ჩინელთა მკაცრ საიდუმლოს და მონოპოლიას წარმოადგენდა. ქაღალდის წარმოების საიდუმლოს ჩინელები თითქმის 10 საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ გაუვრცელებლად. ვენეციური სარკე, რომელიც ვენეციელთა მონოპოლიის საგანს და სიმდიდრის წყაროს წარმოადგენდა, ოთხი საუკუნის მანძილზე მხოლოდ ვენეციის გამდიდრებას ემსახურებოდა. რაც შეეხება აცრას, ინგლისელმა დიპლომატმა ის მე-18-მე საუკუნის ბოლოს აითვისა სტამბოლში ლაზისაგან და განავრცო!.

რასაკვირველია, ფოლადის წარმოებაც მხოლოდ ერთგან და ერთ ადგლას იქნა ათვისებული. აღმოჩენის საიდუმლო კენთა ვენეტურ ტომს ეკუთვნის და ის გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ტომი სინოპაზე დასახლდებოდა! ეს ის შემთხვევაა, როცა ნაწარმი მცირე ხნით (3-5) საუკუნე, თავის სახელს აძლევს მწარმოებელს.კენები-ხენები, მე-6-ე საუკუნიდან ხალიბებად, ფოლადის ბერძ-ნული სახელის ხალიბკოს (ფოლადი) მიხედვით ეწოდა. რამდენიმე საუკუნეში თემი თავის სახელს იბრუნებს, თუმცა ამა თუ იმ ფორმით რკინა- მჭედელი ამ თემის ხალხების დასახელებაში ძირითადად ფიგურირებს.

საქონლის თავისებურებიდან გამომდინარე (სიმძიმე, მადნის შეზღუდ-ულობა) თემი იძულებული ხდებოდა ევრაზიის კონტინენტზე მისი გავრცელე-ბისთვის სპეციფიკური სახე მიეცა. რამდენიმე ახლობელი ოჯახის კოოპერი-რებს შემდეგ, რომელიც უზრუნველყოფდა ახალწარმოქმნილი თემის თავდაც-ვისუნარიანობის, შრომისუნარიანობის (რკინის მადნის მოპოვების უნარიანო-ბსს) ვაჭრობისუნარიანობის შემდეგ, ისინი განითესებოდნენ ევრაზიის დიდ სივრცეში. რასაკვირველია, რამდენიმე თაობის შემდეგ, კავკონები თუ კენები ასიმილირდებოდნენ ადგილობრივ ტომებში, როგორც ენობრივი, ისე ახალი სათემო პირობების ათვისებით. ზუსტად ეს მიზეზი ჩანს კენეის კონცხზე, თრა-კიაში სინოპაზე და პართენიაზე ჰეკატე მილეტელის, ქსენოფონტის და სტრა-ბონის ეპოქაში, ხალიბების შემცირება, გაქრობისა.

მტკიცდება ასევე, რომ კენები უკვე ჭანური ენეტების ტომის ნაწილად გრძნობს თავს! (ისევე როგორც სვანური ტომი, თუმცა ერთიც და მეორეც აღმო-სავლურ ქართული ტომები ჩანან...კენების ტომის იდენტიფიკაციის თემა სცი-ლდება წიგნის ფორმატს) ჭანი ამ ტომს მოგვინებით დაერქმევა... ქსენოფონტეს დროს (400 2. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ამ ტომს ხალდები ჰქვია. ხალდები, ეს დიდი ტომია, მრავალსახელა, როგორც ამას პროკოფი კესარიელი ამბობს. მარ-თალია კენების ტომი უკვე ხალდებას თვლის თავს (ხალდების მეზობლად დიდი ხნით ცხოვრების გამო) თუმცა საკუთარ სახელს კენებს, ხენებს მაინც ინარჩუნ-ებს (დროის მცირე მონაკვეთში მათ ხალიბებსაც უწოდებენ). მდინარე პართ-ენიის დასავლეთით მცხოვრები ტომი ასევე აღმოსავლურ-ქართველური ჩანს, რომელიც სავარაუდოდ, ასევე ფლობს ფოლადის გამოდნობის საიდუმლოე-ბას, და კავკონები ჰქვიათ. ისინი არა და ვერ ატარებენ ხენების სახელს.

სხვა ხალდები- ესენი ისეთივე ჭანური ტომებია, მაგრამ არ ფლობენ ფო-ლადის გამოდნობის ხელოვნებას. ზუსტად ამიტომაც ის ხალდები, რომლებიც ბერძენ მოქარავნეებს შეეყარნენ ანატოლიის ზეგანზე , თოკისგან მოქსოვილ ჯავშანში იყვნენ გამოწყობილი და არა რკინის აბჯარში.ჰომეროსის სიტყვებზე დაყრდნობით შეგვიძია ვამტკიცოთ, რომ XIII ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე ენეტები, კე-ნები სინოპაზე ცხოვრობენ. თურქულ არქეოლოგიასა და პროფესორ მაქსიმო-

ვაზე დაყრდნობით შეგვიძია ვამტკიცოთ, რომ XV ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე სინოპაზე მიდინარეობდა რკინის მოპოვების სამუშაოები. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ეს ამ თემმა, ხენებმა აზიარა კაცობრიობა ფოლადის გამოდნობის ხელოვნებას, თვითონვე გამოდიოდა ამ ხელოვნების კულტივიზატორად ევრაზიის კონტინენტზე .რაც შეეხება ამ თემის იმ ნაწილს, რომელმაც რაღაც მოსაზრებეებით კომპაქტურად ერთად ირჩია ჩასახლება საქართველოში, ჩვენს მიერ მოკვლეული პირველხარისხოვანი წერილობითი წყაროებით , ის ორი მიმართულებით ჩანს გავრცობილი.

აჭარის შვილი, ერთი ქართველი!

სტრაბონი, რომელიც გამორიცხავს ხალიბების არსებობას სამხრეთ საქართველოში, თავისდაუნებურად ამტკიცებს მათი გარკვეული ნაწილის არსებობას მისსავე სამშობლოში, ამასტრიაში, როცა იქ გენეტთა არსებობას ადასტურებს. (იხ. ზემოთ).

„შემდეგ ლაპარაკობენ, რომ სომხეთი ადრე პატარა სახელმწიფო იყო, გაფართოებული არტაქსისა და ზარიადრის მიერ. ისინი თავიდან სარდლები იყვნენ ანტიოხ დიდისა, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ გახდნენ მეფეები... მათ ერთობლივად გააფართოეს თავიანთი სამფლობელოები, ჩამოაჭრეს რა ნაწილი მეზობელ ხალხებს, სახელდობრ მიდიელებს მათ წაართვეს კასპიანა, ფავნიტიდა და ბასოროპედა, იბერებს- პარიადრის მთისწინეთი, ხორზენა და გოგარენა, რომელიც კირის (მტკვრის) მეორე ნაპირზე მდებარეობს; ხალიბებს და მოსინიკებს- კარიენტიდა და ქსერქსენა, რომელიც ესაზღვრება მცირე სომხეთს და წარმოადგენს მის ნაწილს, კატაონელებს- აკილისენა და ოლქები ანტიტავრის ირგვლივ და ბოლოს, სირიელებს ტარონტოდა, ამიტომაც ყველა ეს ხალხები ლაპარაკობს ერთ ენაზე“ (სტრაბონი, წიგნი XI, XIV-5).

ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ იბერიის მეფემ ფარსმანმა ნაწილობრივ დაიბრუნა ქართული ტერიტორიები, მაგრამ ვერა ხორზენა, კარიენტიდა და ქსერქსენა- სტრაბონის სიტყვებით, იბერების, ხალიბების და მოსინიკების მიწები, შესაბამისად ახლანდელი ყარსის და ბაიბურთის ოლქები! მართალია, სტრაბონი არ აღნიშნავს, მაგრამ უდავოდ არმენთა გაფართოების პროცესს შეეწირა ალაროდთა ტომი და მათი საცხოვრისი ადგილებიც, რომელზედაც სხვა თავში გვექნება საუბარი. სტრაბონი ორი საწინააღმდეგო მიმართულებით და ორ სხვადასხვა წიგნში აღწერს ჩვენთვის საინტერსო სამხრეთის მიმართულებას:

„ტრაპეზუნდსა და ფარნაკიის ზემოთ განლაგებული არიან ტიბარანები, ხალდები, სანები, რომელთაც ადრე მაკრონები ეწოდებოდათ და მცირე სომხეთი.

აპეტები ადრე კერკიტებად ცნობილები, ცხოვრობენ ამ ადგილების ახლოს. ამ ოლქებს გადაკვეთს კლდეების მთაგრეხილი სკიდისი, შეერთებული მესხეთის მთებთან, რომელიც კოლხეთის ზემოთაა (მწვერვალები უკავიათ ჰეპტაკომიტებს) და მთა პარიადრე, რომელიც გადაჭიმულია სიდენის ოლქიდან და თემისკირიდან მცირე სომხეთამდე, ჰქმნის რა პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროს. ამ მთიანი ოლქების მცხოვრებნი მთლად ველურები არიან, მაგრამ ჰეპტაკომიტები ყველას აჭარბებენ. ზოგიერთები ცხოვრობენ ხეებზე, ან კოშკებში, ამიტომაც ძველები მათ მოსინიკებს ეძახდნენ, რამდენადაც მათ კოშკებ ს „მოსინები“ ჰქვია. ისინი იკვებებიან ნადირთა ხორცით და ხეთა ნაყოფებით. ისინი თავს ესხმიან მგზავრებსაც, რომელთაც ზევიდან ახტებიან ხეებზე მოწყობილი თავიანთი ფიცრული ქოხებიდან. ჰეპტაკომიტებმა გაანადგურეს პომპეუსის არმიის სამი მანიპულა, როცა მათ გაიარეს ეს მთიანი მხარე; ბარბაროსებმა მოამზადეს გზებზე ჭურჭლები მათრობელა თაფლით, რომელსაც ხის ტოტებისგან ამზადებენ. მერე ისინი თავს დაესხნენე რომაელ მეომრებს, თაფლდალეულებს და გრძნობადაკარგულებს. და ადვილად დახოცეს ისინი. ზოგიერთი ამ ბარბაროსთაგან იწოდება ბიძერებად“(იქვე, წიგნი XII, III-18-19).

სტრაბონი აქ ერთმანეთში ურევს ხალდებსა და ხალიბებს (ისევე როგორც არაერთი მისი წინამორბედი თუ უკანამორბედი).პროფ. მაქსიმოვას მოსაზრებით მთის და ზღვისპირა ხალიბები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ფოლადის გამომდნობლები, თუნდაც მათი სავაჭრო ურთიერთობიდან გამომდინარე, ზღვისპირა ხალიბები არიან, ხოლო მთიელი ხალიბების უნიკალური თვისება მათი მაღალი საომარი განწყობაა. ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ ზღვისპირა ხალიბები და მთის ხალდები უკვე ერთი დაიგივე ჭანური ტომია, პირდაპირი სამტკიცი პროკოფი კესარიელთან იპოვება.

შემდეგი შავი ზღვისპირეთის აღწერის ავტორი, ფსევდო სკილაქს კარიანდელის სახელით ცნობილი ავტორია. მეცნიერულ წრეებში მიღებულია, რომ ის აღწერს გეოგრაფიულ დისპოზიციას, რომელიც დამყარდა მე-4-ე ს. ჩ. წ. აღრიცხვამდე. სამტკიცი ინსტრუმენტი, რომ ის სინამდვილეში ამ დროს მოღვაწეობს არ არსებობს, საწინააღმდეგო-მრავლად. (24). ჩვენი შეხედულებით, ნაწარმოები I ს. ჩ.წ. აღრიცხვის ძეგლია, რომლის თარიღის დაზუსტებაც კი შესაძლებელია. მისი „პერიპლიუსი“ დაწერილი უნდა იყოს ჩვ. წ. აღრიცხვის 25-47 წწ. ყველა მეცნიერი თანხმდება, რომ ფსევდო-სკილაქსის წყარო ჰეკატე მილეტელი, ან თვითონ სკილაქს კარიანდელიცაა, ფსევდო სკილაქსამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მცხოვრებლებისა და შესაბამისად, მონაცემებიც ძველია, თუმცა რიგ შემთხვევაში ეს ასე არაა. .პომპონიუს მელაა ის შემდეგი გეოგრაფი, რომელიც შავიზღვისპირა ტომებს გაკვრით აღწერს. (43 წ. ჩვ. წ.. აღრიცხვით) თუმცა სამხრეთ საქართველოს მიმართულებით მას ხალიბები ან ჰენიოხები

დაფიქსირებული არა აქვს. შემდეგ სოლიდური გეოგრაფი პლინიუს უფროსია, 22-79 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე.

„{მდ. თერმოდონტს იქით ცხოვრობენ} კენთა ტომი (Caenarum) ხალიბები დევს ქალაქი კოტიორა, შემდეგ ტიბარანია, მასინები ტატუირებული ტანით , მაკროკეფალთა (დიდთავიანების) ტომი, ქალაქი კერასუნტი, პორტი კორდუელა, ბეხირთა ტომი, მდინარე სიდენა, პოლემონიონის ქალაქის კედლებთან, ამისიიდან 120 მილზე, შემდეგ მდინარე იასონიისა, მელანტიისა და ქალაქი ფარნაკია ამისიიდან 80 მილზე, ტრიპოლი ციხე-სიმაგრე და მდინარე, შემდეგ ფილოკალია და ლივიოპილი მდინარის გარეშე.და 100 მილი ფარნაკიიდან თავისუფალი ქალაქი ტრაპეზუნტი, შემოსაზღვრული თავისუფალი მთებით“. (პლინიუს უფროსი, წიგნი VI, თავი IV-11).

პლინიუს უფროსს აღწერის რთული, მეტად თავისუფალი მეთოდი აქვს, რომელიც მის სწორად გაგებას ძალიან ართულებს. პრაქტიკულად პლინიუს უფროსმა ერთ ფრაგმენტში შეიძლება გააერთიანოს ყველა მის მიერ წაკითხული ცნობა, რომელიც ქრონოლოგიურად ძალიან დაშორებულია ერთმანეთისაგან. ამასთან, პლინიუს უფროსი საყრდენ ათვლით წერტილს აფიქსირებს და მის ორივე მხარეზე, ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს უჩვენებს მანძილს ათვლის წერტილიდან ობიექტამდე. (როდესაც ეს დანამდვილებით იცის), ხანაც თავს არიდებს მანძილის განსაზღვრას (სავარაუდოდ, როცა ზუსტი ცნობა არა აქვს), თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ პლინიუს უფროსი ხანდახან ვერ ანსხვავებს სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა ინტერპრეტაციით აღწერილ რომელიმე ტომს, შეიძლება ერთსა და იმავე ადგილას ერთი და იმავე ტომის სახელი რამდენჯერმე განმეორდეს, ასევე, სხვადასხვა ინტერპრეტაციით ან ერთი და იგივე ტომი რამდენიმე ადგილას იქნას მოხსენიებული. ყველა შემთხვევაში მისი მონაცემები სწორია, სხვა გეოგრაფებისგან თუ მოგზაურებისგან ამოკითხულ - მიღებული. თუმცა ადგილმდებარეობა და მანძილების ზუსტ განსაზღვრას არ ცდილობს. (სავარაუდოდ, ზუსტი რუკების უქონლობის გამო).

წინა პარაგრაფში მას საყრდენ წერტილად მდინარე თერმოდონტი აქვს აღებული. კენები, გენეტები მის წინამორბედ სტრაბონსაც აქვს დასახელებული (სტრაბონის ცნობები ა მ რეგიონის შესახებ პრიორიტეტულია, ვინაიდან ის თვითონ გახლავთ ამ რეგიონის, ამასტრიის მცხოვრები, ხალიბების არსებობას კი ამ დროისთვის კატეგორიულად უარყოფს) ტერმინი ხალიბი ამ დროისათვის აღარ იხმარება. რასაკვირველია, პლინიუს უფროსს ჰეკატე მილეტელის, ქსენოფონტის, ფსევდო სკილაქსის ცნობებით აქვს ნასარგებლევი.

ქალაქი კოტიორა- ტიბარანები, მასინები (ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პლინიუსს უფროსი მოსინიკებს მასინებს უწოდებს). ქალაქი კერასუნტი, ბეხირები და ბუქსერები- ეს აღწერა ყველა აღმოსავლეთის მიმართულებისაა. მდი-

ნარე მელასი- აღნიშნული აქვს არიანეს კოტიორიდან აღმოსავლეთით 60 სტა-დიონის, 11 კმ-ის მანძილზე. სიდენა-მდინარე პოლომონიონის ქალაქი. პოლე-მონიოენი ეს ქალაქი დასავლეთით საკმაოდ შორსაა მდინარე მელასიდან. მათ შორის მანძლი დაახლოებთ 66 კმ-ია, 370 სტადიონი, თუმცა პლინიუსი მათ გვერდიგვერდ მოიხსენიებს. ამასიიდან 120 000 ნაბიჯი, ასე ახასიათებს პოლე-მონიის ქალაქს პლინიუს უფროსი. შემდეგი მდინარე იასონისაა- დღევანდელი იასონ- ბურენი- ასევე, აგრძლეებს ა ღწერას დასავლეთის მიმართულებით და 80 000 ნაბიჯი ქალაქ ფარნაკიამდე- აღწერის მიმართულება ისევ აღმოსავლე-თისაკენ ტრიალდება. სიმაგრე და მდინარე ტრიპოლი, ფილოკალია და 100 000 ნაბიჯი ფარნაკიიდან ტრაპეზუნტამდე- ისევ ა რძელებს აღმოსავალეთის მი-მართულებით აღწერას. აი, ასეთი და უფრო რთული აღწერის მანერა აქვს პლი-ნიუსს. მისი ცნობები პრაქტიკულად სწორია, მაგრამ , ძნელად გასაშიფრი. აქ უამრავი თეთრი ლაქებია მკვლევართათვის და ძალზე საინტერესო. პლინიუს უფროსზე დაყრდნობით ავტორმა რამდენიმე მცირე ისტორიული აღმოჩენა მოახერხა კიდეც.

„ტრაპეზუნტის წინ -მდინარე პიქსიტი, მის იქით ტომი სან-ჰენიოხებისა, მდი-ნარე აბსარი და თანამოსახელე ციხე- სიმაგრე შესართავთან, ტრაპეზუნდიდან 160 მილის დაშორებით. ამ თებს იქით იბერიაა, ხოლო ხმელეთზე ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები, მდინარე აკამფსისი, ისისი, მოგროსი, ბატისი, კოლხთა ტომები, ქალაქი მატიი, მდინარე ჰერკლეა და კონცხი მისივე სახელობისა და პონტოს ყველაზე სახელგანთქმული მდინარე-ფასისი“ (იქვე, წიგნი VI, IV-12).

ამ ნაწყვეტში შედარებით გასაგებადაა სიტუაცია აღწერილი, თუმცა მან-ძლები მთლად კორექტული ვერ არის. ვერ ხერხდება გაშიფვრა მხოლოდ ქლაქ მატიისა, მდინარე და კონცხი ჰერაკლიისა, თუმცა პლინიუსის აღწერილ ამ დი-დი მანძილზე, ტრაპეზუნტიდან ფასისამდე კიდევ ბევრი სიურპრიზია მოსა-ლოდნელი მკვლევართათვის. პლინიუსის ნახსენები არმენოხალიბები, სავარა-უდოდ სტრაბონის ზემოთ აღწერილი ნაწყვეტიდან იღებს სათავეს, სადაც სტრაბონი საუბრობს არმენების მიერ ხალიბების კუთვნილი კარიენტიდის მი-ტაცების შესახებ. პლინიუსის ვარაუდით (ალბათ სწორი) რადგან სტრაბონი ახსენებს, რომ არმენთა მიერ მიტაცებულ მიწებზე უკვე ერთ ენაზე ლაპარაკო-ბენ ხალიბთა (ხალდთა) ნაწილი ასიმილირებულია უნდა იყოს არმენებთან. რაც შეეხება სან-ჰენიოხებს, ის არავითარ ტომთა გაერთიანებას არ წარმოად-გენს. სანი-ჭანი - ეს ტომის საერთო სახელია, ხოლო ჰენიოხი- მისი ლაზური შე-ადგენელი. ნებისმიერ შემთხვევაში, პლინიუს უფროსის მიერ ტერიტორიაზე, საქართველოში დაფიქსირებულია ჰენიოხ-ჰენები-კენები, მცხოვრებნი ამ ტე-რიტორიაზე.

შემდეგი მოგზაური რომელმაც ამ ტერიტორიების შესახებ ამომწურავი და სანდო ინფორმაცია შემოგვინახა, რომაელი მოხელე, მეფისნაცვალი ფლავიუს არიანეა. მისი „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ შედგენილია 131 წელს. არრიანე ამ დროისათვის რომის მეფისნაცვალს წარმოადგენდა კაბადოკიის პროვინციაში, ხოლო დაწერილი „პერიპლუსი“რომის იმპერატორისათვის წარსადგენად გახლდათ დანიშნული.

„შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი. როგორც ქსენოფონტე ამბობს: არიან კოლხები და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტე დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან. ესენი მეტად კარგი მეომრები არიან და და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავთ. ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა. და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი. მაგრამ, ამის შემდეგ, თუ ღვთის ნება იქნება, ან წესიერად გადაიხდის, ეს ტომი გადასახადს, ან ჩვენ გავაძევებთ მათ ქვეყნიდან. ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები. მათი მეფე ანქიალეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლად ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზებია, მათი მეფე მალასაა, ტახტი შენგან აქვს მიღებული“. (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღის გარშმო, &11 , გვ. 42, თბილისი 1961 წ).

ტრაპეზუნტეელბის მოსისხლე მტრებში, სანებში, რა თქმა უნდა ჭანები იგულისხმება. შემდგომში ბიზანტიურ წყაროებში ეს ტერმინები სანი- ჭანი იდენტური ჩანს. მაკრონები- ეს ზემოთ განვმარტეთ, აშკარად , სვანური ტომებია, რაღაცნაირად და როგორღაც შემორჩენილი ტრაპეზუნტის სანაპიროსთან. საინტერესოა, რომ ჰენიოხებისთვის- კენებისთვის უცხო არაა მონათესავე, ენობრივად განსხვავებულ ტომთან შეკავშირება. ეს მომენტი კიდევ უფრო წინა პლანზეა წამოწეული აბაზგებთან მიმართებაში. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ჰენიოხების- ხენების-კენების- ხალიბების კვალი უწყვეტია შავი ზღვის სამხრეთის სანაპიროზე.

ამავე ნაწარმოების ფაქტობრივი რევიზიის მცდელობაა ანონიმი სახელი ცნობილი, იმავე დასახლების და იმავე სიუჟეტის „პერიპლუსი“. ავტორი იმავე ფლავიუს არიანეს ენით გველაპარაკება, გამოყენებულია წინამორბედის სიუჟეტი, ფაბულა და მოქმედი პირებიც კი. დაფიქსირებულია ის ცვლილებებიც, რომელიც მოხდა ამ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროზე. ასახავს რეალობას, რომელიც შეიქმნა მე-5 საუკ. ჩვ. წ. აღრიცხვით, აღნიშნულ სანაპიროზე:

„... გავიარეთ შემდეგი ტომები: ტრაპეზუნტელების მეზობლად, როგორც ქსენოფონტე ამბობს, ცხოვრობენ კოლხები და ისინი, რომლebიც მას მიაჩნია მეტად კარგ მეომრებად და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტრებად. ქსენო-

ფონტე მათ დრილებს უწოდებს. მე კი მგონია ისინი სანები არიან. ესენი ახლაც მეტად კარგი მეომრები არიან და ტრაპეზუნტელების დიდი მტრები. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობენ, მეფეები არ ჰყავთ. წინათ ისინი რომაელების მოხარკენი იყვნენ, მაგრამ ახლა ყაჩაღური ცხოვრების წესს ეწევიან და სრულიად არ იხდიან ხარკს. კოლხებს ზემოთ მაქელონები და ჰენიოხები ცხოვრობენ. ჰენიოხების ტომები შერეულია. ზოგიერთნი ამბობენ, რომ ამათ ჰენიოხები ჰქვიათ ამფისტატესაგან და ტელქისგან, კასტორისა და პოლიდევკის მეეტლეებისგან. ხომ გადმოგვცემენ, რომ ისინი აქ მოვიდნენ იაზონთან ერთად ლაშქრობის დროს. ამ ადგილებში დასახლდნენ თავისიანებისგან მიტოვების შემდეგ. ასე მოგვითხრობს მითი. ჰენიოხების ზემოთ ეგრეთ წოდებულ კასპიის ზღვაა. მას გარშემო ჰყავს შემოხვეული ბარბაროსთა ტომები, რომელნიც ცხენის ხორცით იკვებებიან, მათ შორის მიდიელთა საზღვარია. მაქელონთა და ჰენიოხთა მეზობლად ძიდრიტები ცხოვრობენ, ფარესმანის ქვეშევრდომები არიან“
((ანონიმი, V ს, ახ. წ. აღ. , მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, პარაგრ. 8-9, გვ. 88-89-90, თბილისი,1961 წ)

ის, რომ ჰენიოხთა ტომები მეეტლეთა შთამომავალია, რასაკვირველია ბერძნილი მითია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მითი დაფუძნებულია სიტყვათა მსგავსებაზე ხენი-ჰენი; ეს ტომის წარმომადგენლის სახელია. ხენიხი-ჰენიხი ეს კი უკვე მთელი ტომის ქართველიზირებული ვარიანტია, ისევს როგორც კოლი- კოლხი. სიტყვების ჰენიხის და ჰენიოხის მსგავსებამ სინოპელი ჰენიხები დიოსკურელთა მეეტლეებად გადააქცია (ჰენიოხი ბერძნულად მეეტლეს ნიშნავს) არ არის სწორი ფსევდო-არიანეს განცხადებაც, რომ ჰენიოხები რაღაც შერეული ტომია. ჰენიოხებს საკუთარ თვისტომთა, ჭანთა ტომებს შორისაც კი განცალკევებულად უჭირავთ თავი და სხვა ტომებთან მხოლოდ თანასწორუფლებიანობის, კონფედერაციის საფუძველზე თუ ერთიანდებიან. ჰენები, ვინც ერთად, კომპაქტურად გაადწყვიტა ცხოვრება, საკმაოდ პურიტანულად იცავენ ტომის, თემის სიწმინდეს (მათ შორის ოჯახის შექმნის საკითხში) ფლავიუს არიანედან მოყოლებული, ანონიმ ავტორამდე , თითქმის 3, 5 საუკუნე, სამხრეთ საქართველოში ტომთა ადგილმ ონაცვლეობას ფაქტიურად ადგილი არ ჰქონია. ასეთივე სიტუაცია ჩანს შემდეგ საუკუნეებშიც, რადგანაც ამ ტერიტო-რიაზე ძალთა შედარებითი ბალანსი დამყარებული ჩანს.

ირიბი, მაგრამ საყურადღებო ცნობა ინახება ბასილი სოფენელთან, მოთავსებული ძეგლში სახელით, რომელი ლიტერატურაში ცნობილია სახელწოდებით Notitia dignitatum.ეს ძეგლი შეიცავს რომის იმპერიის ყველა როგორც სამოქლაქო, ისე სამხედრო თანამდებობის პირთა ნუსხას. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან. პირველ ნაწილში ჩამოთვლილი არის აღმოსავლეთის პროვინციის მოხელეები, ხოლო მეორეში- დასავლეთისა. ამ ნუსხის უკანასკნე-

ლი რედაქცია მკვლევართა აზრით , მეხუთე საუკუნეს (413-415 წლები) მიეკუთ-ვნება. აღმოსავლეთის მმართველთა სიაში დასახელებულია ცამეტი სარდალი. ერთი მათგანია Dux Armeniae. არმენიის დუკს ექვემდებარება მთელი „პონტოს სასაზღვრო ხაზი “ (Limen Ponticum). დუკის განკარგულებაშია ერთი მხრივ ის სამხედრო ერთეულები, რომლებიც შედის შიდა არმენიაში, ხოლო მეორე მხრივ, პოლემინიის პონტოში ჩაყენებული დანაყოფები. ამ უკანასკნელს ეკუთ-ვნის

Praefectus legion primae Ponticao Trapezuntx
Ala Rizena Aladxlearis
Ala Theodosiana, apud Avaxain
Ala felix Theodosiana Silvanis
Ala prima Sovia Felix chaszanenica
Ala felix Theodoosiana Pithiae
Cohors prima Theodosiana Valentia
Cohors Apuleia civinm Bomanorum Usiporto
Cosors prima Lepidiana, Caene Paranbole
Cohors prima Claudia oquitata, ,Sebastopolia
Cohors secunda Valentina, Zigane
Colors Mochora

ამგვარად, პოლემონიის პონტოში დგას ერთი ლეგიონი, რომლის საბი-ნადრო ადგილია ტრაპეზუნტი, რაზმი ცხენოსანთა (ala) და ექვსი კოჰორტა. მოგვყავს პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის თვალსაზრისი:

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნ. ადონცის (სომეხი პროფესორი) აზრი მცდარია, აქ მოხ-სენიებული გეოგრაფიული პუნქტები ძველ ლაზეთშია მოთავსებული.

1.Pithiae გამომცემლის (ო. ზვეკის) აზრით არის Putyunte, ე. წ. ბიჭვინთა.

2.Sebastopilis-ზემოთმოყვანილი სიის კონტექსტში სხვა არაფერი შეიძლება იყ-ოს, გარდა აფახეზეთის სებასტოპოლისისა (ე.ი. სოხუმისა).

3.Mochora-ძალიან მოგვაგონებს ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ აღწერილ მუხურისს, რომელსაც ბიზანტიის მმართველები დიდ მნიშვნელობა ანიჭებ-დნენ.

4. Caene Parambole- ადონცის აზრით, საკუთარი სახელი უნდა იყოს. ნამდვი-ლად კი პროკოფი კესარიელის მიერ (D aed III)მოხსენიებული Bouryabeuc ლა-თინური სახელია. (Burgus nous- ახალი ციხე) და ზედმიწევნით უდრის ბერძ-ნული (ახალი ბანაკი). ეს ციხე აგებული იყო ჭანეთი ს საზღვარზე, ჭანთა თავ-დასხმის საწინააღმდეგოდ.

5.usiportio-როგორც ცნობილია, წარმოადგენს ბერძნული (ჰისოს ნავსადგურის ლათინურ თარგმანს და უდრის დაბა სუსურმენეს, რომელიც ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარეობს.

ასეთ კონტექსტში Zigane- სავარაუდებელია არა შიდა არმენიაში, არამედ სამ-ხედრო სუბორდინაციის თავლსაზრისით, იმავე პონტოს დაქვემდებარებული სამხედრო გარნიზონთა სადგომ ადგილას... რადგან საეპისკოპოსო ეკლესიებში მოხსენიებული არის ზიგანევი, რომელიც ფასისის (ფოთის) მეტროპოლიას ეკუთვნის. უნდა ვიფიქროთ, რომ Notitia Dignitatum-ის Zigane იგივეა.

...“სახელდობრ ზიგანე, რომელ არს გუდაყვა“. (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ IV.ნაწ.2, გვ. 191,192,193, თბილისი, 1952 წ.)

ნაწილობრივ ვეთანხმებით პროფ. ს. ყაუხჩიშვილს და დავუმატებთ, ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, რომ რიგ საკითხებში აშკარად ცდება.

1)Pithiae-ბიჭვინთა ნამდვილად არ არის. სტრიქონების ავტორის გამოკვლევით პითია- ეს ბერძნული სახელია ქალაქისა, რომელიც ქობულეთის ფიჭვნარში მდებარეობდა, ლათიnურად პინუსად წოდებული.

2).Caene Parambole- ეს სიტყვა სიტყვით ბერგუსნოისი არაა. მისი პირდაპირი თარგმანი ზემოთმოყვანილი სტრიქონებიდან გამომდინარე კენთა ბანაკია, ჭა-ნების ბანაკი.

3)Mochota- მუხური, სავარაუდოდ ადგილის ეს დასახელება შენარჩუნებული უჩანს ანაკლიის გვერდით მდებარე განარჯია მუხურს.

კიდევ ერთხელ ჩნდებიან ხალიბები ისტორიის ფურჩლებზე და ხაზს უს-ვამენ საკუთარ წარმომავლობს...მკითხველს გავაფრთხილებ, რომ აღნიშნული განაწესი რომაული სამხედრო თუ სამოქალაქო კანონმდებლობა სკრუპულო-ზულად იქნება კიდევ ერთხელ განხილული ამავე ტომის ფარგლებში, უკვე სხვა სუბიექტთან მიმართებაში.

...**პროკოფი კესარიელი 545-553 წ.** ძალზე საყურადღებო და მრავლისმომცველი ცნობებია დაცული პროკოფი კესარიელის „ჭანებში“, თუმცა რეალობა საკმაოდ ძნელად დასაჭერია:

„... ეს ქვეყანა სამ ჯვარედინ გზად არის გასერილი, აქედან იწყებენ ხომ გაყრას რომაელთა პერს-არმენიელთა და თვით ჭანთა საზღვრები. აქ იუსტინიანემ ძა-ლიან მტკიცე ციხე ააგო, რომელიც წინათ არ ყოფილა, სახელად ჰორონონი და ამით საფუძველი ჩაუყარა ზავის საქმეს. პირველად ხომ აქედან გახდა შესაძლე-ბელი ჭანეთში შესვლა. აქვე ჩააყენა ჯარის მთავარი, რომელსაც დუკს ეძახიან. ერთ სოფელში, რომელიც ჰორონონიოდან ორი დღის სავალი გზით არის და-შორებული და სადაც საზღვრებია ეგრეთწოდებული. <u>ოკენიტის ჭანების</u> (ჭანე-ბი ხომ მრავალ ტომად განიყოფებიან), სადაც სიმაგრე იყო, ძველადვე მცხოვ-რებთა მიერ აშენებული, რომელიც კარგა ხანია ნანგრევებად ქცეულა მოუვლე-ლობის გამო. მისი სახელია ხარტონი. იუსტინიანე მეფემ ის განაახლა, ჩაასახლა იქ ხალხი კარგა ბლომად და დაავალა ამ ადგილების დაცვა და მოვლა. იქედან რომ მოდიხარ აღმოსავლეთის მიმართულებით, ერთი კლდიანი ნაწილია. გა-

დაჭიმული ჩრდილოეთისადკენ. აქ იუსტინიანემ ციხე ააგო, სახელად ბარხონი. გადაღმა მთის ძირში ბოსლებია, სადაც ეგრეთწოდებული ოკენიტის ჭანების საქონელია მოთავსებული, რომელსაც ჭანები ინახავენ იქ არა მიწის ხვნის დროს გამოსაყენებლად, ვინაიდან ჭანები სრულიად უქნარანი არიან და მათთვის მიწათმოქმედების სამუშაოები უცხოა. უკვე როგორც ვთქვი, მათ არც ხვნა იციან და მიწათმოქმედების სხვა საქმიანობა. საქონელს ისინი ინახავენ იმისთვის, რომ წველონ ხოლმე და მისი ხორცით გამოიკვებონ თავი. შემდეგ მთის ძირს, სადაც დაკავებულ ადგილას სოფელი კენა არის. დასავლეთის მიმართულებით რომ იარო,, არის ერთი ციხე, სახელი მისი სისილასიონი, რომელიც ძველადვე აუშენებიათ , ხოლო დროთა ვითარებაში გაუკაცურებულია. იუსტინიანე მეფემ ის განაახლა და როგორც სხვა დანარჩენ ციხეებშიაც, აქაც რომაული ჯარისკაცებისაგან შემდგარი საკმაორიცხოვანი მცველი რაზმი ჩააყენა. აქედან რომ მიდიხარ მარცხნივ ჩრდილოეთის მიმართულებით, არის ერთი ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ლონგინეს თხრილს ეძახიან, რადგან წინა ხანებში რომაელთ სტრატეგოსი ლონგინე, ტომით ისავრიელი, ერთხელ ჭანების წინააღმდეგ რომ ულაშქრია, აქ დაბანაკებულა. ჩვენმა მეფემ იქ ააშენა ციხე, სახელად, ბურგუსნოისი, რომელი სისილასიონიდან ერთი დღის სავალზეა. სისილსიონის ეს ციხე, რომელიც ცოტა ზემოთ ვთქვი, ამავე მეფის მიერ არის მტკიცედ აშენებული. აქედან ეგრეთწოდებული კოქსილანის ჭანთა საზღვრები იწყება, ამჟამად აქ აგებულია ორი ციხე; ერთი ეგრეთწოდებული სქამალინიხონი და მეორე ის - რომელსაც ჯანზაკონს უწოდებენ. აქ იუსტინიანემ ჯარის მეორე მთავარიც ჩააყენა“.(ს.ყაუხჩიშვილი. გეორგიკა ტომი II. გვ. 216-217.218. თბილისი ...).

წინამდებარე, ნაყოფიერი ნაწყვეტი საკმაოდ შორის მიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ..ოკენიტ ჭანებს თავიანთი საზღვრები მკაფიოდ აქვთ მოხაზული. ხარტონის უძველესი, ჭანების აშენებული ციხე, ასევე სისილასიონი, რომლებიც ასევე ოკენიტი ჭანების აშენებული ჩანს ძველთაგანვე, სოფელი - დასახლების კენას მახლობლად. ოკენიტ ჭანებს მოწყობილი საზღვრები უჩანთ როგორც რომაელებთანაც, ასევე კოქსილან ჭანებთან, რაც კენთა, (იგივე ხენთა, ჰენიოხთა) შერეულობას კიდევ ერთხელ გამორიცხავს. რასაკვირველია ოკენიტი ჭანები - ეს კენი ჭანებია! ... და კიდევ , პროკოპი კესარიელის კოქსილანი ჭანები -ეს მხოლოდ და მხოლოდ კორაქსებია, ჰეკატე მილეტელის თუ ჰელანიკე მიტილენელის ჭანები ,რომელსაც ყველა შემდეგი დროის ისტორიკოსი(ქართველი თუ არაქართველი)მდინარე კოდორთან დაეძებს...შემდგომი ისტორიკოსი თუ ისტორიული მოღვაწე, ძველი თუ ახალი დროის ისტორიკოსი, ისტორიული გაუგებრობი მსხვრეპლია!...

ფაქტიურად, XIII საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვამდე უწყვეტი ჯაჭვი სამხრეთ საქართველოში კენთა თემის არსებობისა სახეზეა...შემორჩენილი თუ არა კენთა (ხენთა,ჰენიოხთა,ხალიბთა) ხელშესახები კვალი დღევანდელი სამხრეთ საქართველოში? რასაკვირველია! საკითხის კვლევამ მაჭახელას ხეობამდე მიგვიყვანა. ხეობა, რომელიც იარაღის და შესაბამისად ფოლადის წარმოებასთან საუკუნეების მანძილზე უწყვეტად, (თვით მე-20-ე საუკუნემდეც) მყარად იყო დაკავშირებული...არქაულ საქართველოში სულ ორი დასახელების ადგილობრივი წარმოების თოფი იპოვებოდა: ჯაზაირი-აღმოსავლეთ საქართველოში და მაჭახელა-დასავლეთ საქართველო-ში...და მაინც რატომ სახელი **მაჭახელა? მაჭი -ერქვანის სახელური (ლექსიკონი ქართული. სულხან - საბა)** განმარტება რასაკვირველი ალოგიკურია, რომელსაც ჩვენს საძიებელ ელემენტთან საერთო არაფერი აქვს. საბედნიეროდ სიტყვამადლიანი ქართული ლიტერატურა ამ კითხვაზე ამომწურავ ინფორმაციას იძლევა:

„გაღმა მხარისა და შიგნით კახეთისათვის“ხოლო კუალად ბელაქნის წყლის შესართავს ზემოთ მოერთვის ალაზანს მაწის წყალი. გამოსდის ხუნზახსა და ამათ შორისს კავკასს, ჩრდილო- აღმოსავლის შუიდამ დასავლით სამხრეთს შუა. ამ ხევზედ არს, მთასა შინა, თოღა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენვარე ზაფხულს,ამას ეწოდა მაჭი“(ქართლის ცხოვრება ტომი 4 გვ. 543. თბილისი 1973წ.).

მშუებელი - მშვებელი, შვების მოქმედი (სულხან - საბა იქვე)

...წინადადება თანამედროვე ენაზე ასე უნდა წავიკითხოთ: სასახლე მეფეთა, ფრიად შვების მოქმედი ზაფხულში, ამას ეწოდა მაჭი! მაჭი-ეს საზაფხული სადგომი, საზაფხულო აგარაკი ყოფილა! ვფიქრობ, ხენთა განსახლების კომპაქტური ადგილი სამხრეთ საქართველოსთვის ყველასთვის უდავოა! ეს მა-ჭახენას (და არა მაჭა-ხელას) ხეობა, მასში შემავალი სოფლებით, ხენთა საზაფხულო სადგომებია! სოფლები: ზემო ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარის აღმართი, ქედქედი, სინდიეთი, ჟანივრი, გორგაძეები, საფუტკრეთი. რასაკვირველია, რაიონის დასახელება ხელვაჩაურიც დამახინჯებლი სახით არის შემორჩენილი. ადგილმდებარეობის პირველადი სახელწოდება უდაოდ ხენვაჩაური უნდა ყოფილიყო! სავარაუდოდ რამდენიმე თაღოვანი ხიდის არსებობა, ხელვაჩაურის, ქობულეთის და სოხუმის რაიონში მდინარე ბესლეთზე, ერთი და იმავე ტომის (შესაძლოა ერთსა და იმავე ქვისხუროთა) ოსტატობის უმაღლესი გამოვლინების ნიმუში უნდა იყოს!

შავი ზღვის ჩრდილო სანაპრო

შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო, განსაკუთრეით მისი ის ნაწილი, რომელიც კოლხეთს ესაზღვება, საკმაოდ გვიან ექცევა ბერძენი ისტორიკოსების თვალთახედვის არეში. უძველესი ისტორიკოსის, ჰეკატე მილეტელის „აზიის“ შემორ-

ჩენილი ფრაგმენტი მესხეთის მთებში იწყება. ასევე „ევროპის“აღწერის შემორ-ჩენილი ვარიანტი დანდარიების ტომით იწყება, რომელიც ტანაისის (დონის) აღმოსავლეთითაა მხოლოდ. დასაშვებია, რომ ჰეკატე მილეტელისეული მსოფ-ლიოს აღწერაში შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო ყოფილიყო კიდეც, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში ის ვეღარ ფიგურირებს. პირველი ბერძენი ისტორიკოს, ვინც ამ ტერიტორიებს გაკვრით მაინც ეხება, ეს ჰეროდოტეა: **„ხოლო მეოტიდის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამადე არის 30 დღის სავალი, მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის“ (ჰეროდოტე, წიგნი I-104 თბილისი 1975 წ)**

ჰეროდოტე არავითარ ინფორმაციას არ იძლევა არც პიტიუნტზე . არც დიოსკურიაზე, არც აქ მცხოვრებ ბერძენ მოახალშენეებზე (სავარაუდოდ იმ დროს არც არსებობენ). არც მდინარე ფასისის (რიონის) პირას მდებარე ბერ-ძნულ მოსახლეობაზე იძლევა მინიშნებას , თუმცა ადგილობრივი კოლხური მოსახლეობა აღნიშნული მდინარის პირას ნახსენები აქვს! ძალიან და ძალიან საყურადღებოა , რომ ჰეროდოტესათვის იმ პერიოდში არსებული კოლხების განსახლების არეალის საზღვარი მდინარე ფაზისია, თუმცა ხუთი საუკუნის შემდეგ მისივე უმცროსი კოლეგა სტრაბონი ამ საზღვარს ირიბად გაცილებით ჩრდილოეთით აჩვენებს. ფსევდო სკილაქსის სახით ცნობილი ავტორი, სინამ-დვილეში I ს.ჩვ.წ. აღრიცხვის მოღვაწე ჩანს, და ის ვერანაირად ვერ ასახავს რეა-ლობას. ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული წყარო, ეს სტრაბონია, რომელიც იმ-ოწმებს და იყენებს რიგ წინამორბედი ავტორების ნაშრომებს, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავღრმავდეთ სტრაბონამდე ორიოდ საუკუნის წინა ეპოქაში:

„სინდების და გორგოპიას შემდეგ, რომელიც ზღვაზეა, მოყვება ნაპირები ახა-იელებისა, ზიგებისა და ჰენიოხებისა, დიდწილად ნავმისადგომების გარეშე და მთიანი, რამდენადაც ეს წარმოადგენს კავკასიის ნაწილს. ეს ხალხები ცხოვრო-ბენ ზღვაზე ყაჩაღობით, რისთვისაც მათ აქვთ არცთუ დიდ ზომის ვიწრო და მსუბუქი ნავები, დაახლოებით 25 კაცის ტევადობით, იშვიათად -30; ბერძნები მათ კამარებს უწოდებენ, როგორც ამბობენ, ახაიაში დასახლდა ფტიოტიელი ახაიელები იაზონის არმიიდან, ხოლო ლაკონიელები დასახლდნენ ჰენიოხი-აში, რომელთა წინამძღოლები იყვნენ კრეკასი და ამფისტრიტი, დიოსკურების მეეტლეები; ცხადია, ჰენიოხებმა მიიღეს თავიანთი სახელი მათგან. ასეთი „კა-მარებით შედგენილი ფლოტილიით ესხმიან რა სავაჭრო გემებს, რომელიმე ქვეყანასაც კი ან ქალაქს, ისინი ბატონობენ ზღვაზე. ზოგჯერ, მათ ეხმარებიან ბოსფორის მცხოვრებნიც, უთმობენ თავიანთ ნავმისადგომებს, ბაზარს ნადავ-ლის გასასასღებლად. როდესაც ისინი ბრუნდებიან საკუთარ მხარეში, ნავმი-სადგომის უქონლობის გამო მათ უხდებათ თავიანთი ზურგით გადაიტანონ „კამარები“ ტყეში, სადაც ისინი ცხოვრობენ, ამუშავებენ მწირ მიწას. როცა დგე-

ბა დრო ზღვაზე გასვლისა, მათ ისევ უკან მოაქვთ ნავები სანაპიროზე. ზუსტად ასე იქცევიან ისინი სხვის ქვეყანაში, სადაც მათ კარგად იციან ტყიანი ადგილები: იქ ისინი მალავენ თავიანთ „კამარებს“, ხოლო თვითონ ქვეითად დაეხეტებიან დღე და ღამე. იტაცებენ ხალხს მონებად გასაყიდად. მოტაცებულებს ისინი სთავაზობდნენ გამოსასყიდით გაშვებას, აცნობებენ რა მოტაცებულების ნათესავებს ზღვაში გასვლის შემდეგ. ამ ადგილებში, რომელიც ემორჩილება ადგილობრივ ხელისუფალთ, მმართველები ეხმარებიან ძალადობის მსხვერპლთ, ისინი ხშირად თვითონ ესხმიან თავს ავაზაკებს და აკავებენ რა მათ „ კამრებს“. მოყავთ უკან ეკიპაჟთან ერთად. ოლქები, რომლებიც ემორჩილებიან რომაელ ებს , უფრო უძლური არიან ამ ბოროტების წინააღმდეგ, იქ გაგზავნილი მმართველების უსუსურობის გამო.

ასეთია ამ ხალხების ცხოვრების წესი. ხელმძღვანელობენ მათ ე.წ. „სკეპტუხები“ ხოლო ეს უკანასკნელნი თვითონ ემორჩილებიან ტირანებს და მეფეებს. ასე მაგალითად, ჰენიოხებს ჰყავთ 4 მეფე. იმ პირობებში, როცა მითრიდატე ევპატორი, განდევნილი თავისი წინაპრების ქვეყნიდან ბოსფორში, მიდიოდა მათ მიწაზე, ეს ქვეყანა ადგილი გასავლელი აღმოჩნდა, ხოლო ზიგების ქვეყანაზე გავლისაგან მას თავის შეკავება მოუხდა მათი სიმკაცრისა და ველურობის გამო. მხოლოდ გაჭირვებით შეძლო მითრიდატემ გაევლო სანაპიროს გასწვრივ. გზის დიდი ნაწილი გაიარა ზღვის კიდეზე, სანამ არ გადავიდა ახაიელთა ქვეყანაზე, მათი მხარდაჭერით შესძლო მეფემ თავისი მოგზაურობის დამთავრება ფაზისიდან- არანაკლებ 4 ათასი სტადიონი(712 კილომეტრი, სინამდვილეში მანძლი რამდენადმე ნაკლებია-560 კმ).კოროკონდამიდან საზღვაო გზა ერთბაშად მიდის აღმოსავლეთისაკენ. 180 სტადიონზე (27 კმ) მდებარეობს სინდების ნავმისადგომი და ქალაქი, შემდეგ 400 სტადიონის (58კმ) მანძილზე მდებარეობს ე.წ. ბატი- დასახლება და ნავმისადგომი იქ , სადაც სამხრეთის მიმართულებით, როგორც ფიქრობენ, თითქმის საწინააღმდეგოდ ამ სანაპიროსი დევს სინოპა იმისი მსგავსად , როგორც კარამბისის კონცხი დევს კროუმეტოპონის საწინააღმდეგოდ.

ბატის შემდეგ არტემიდორი ასახელებს კერკეტების სანაპიროს, (სადაც არის ნავმისადგომი და დასახლება), სიგრძით თითქმის 850 სტადიონი (116 კმ), შემდეგ ჰენიოხების სანაპირო- 1000 სტადიონი (148 კმ), შემდეგ დიდი პიტიუნტი-360 სტადიონი (53 კმ) თვით დიოსკურიამდე. მითრიდატული ომების ისტორიკოსები, რომლებიც იმსახურებენ მეტ ნდობას, პირიქით ასახელებენ თავიდან ახაიელებს, მერე ზიგებს, მერე ჰენიოხებს, მერე კერკეტებს , მოსხებს, კოლხებს, მათ ზემოთ მცხოვრებ ფტიროფაგებს და სვანებს და სხვა მცირერიცხოვან ხალხებს კავკასიასთან (მთებთან). თავიდან სანაპირო, როგორც მე ვთქვი მიიწევს აღმოსავლეთისაკენ და მიმართულია სამხრეთისაკენ, მაგრამ ბატიდან

ის ნელ- ნელა აკეთებს მოხვევას და შემდეგ მიმართულია დასავლეთისაკენ, მთავრდება პიტიუნტსა და დიოსკურიასთან; ეს ადგილი კოლხეთისა ხომ უერთდება ზემოთ დასახელებულ სანაპიროს, დიოსკურიის შემდეგ მოყვება დანარჩენი სანაპირო კოლხეთისა და მიმდებარე მასთან მნიშვნელოვანი მოხ-ვევის შემდეგ სანაპირო ტრაპეზუნტისა. მთელი სანაპირო ახაიელებისა და სხვა ხალხებისა თვით დიოსკურიამდე და ადგილებამდე, განლაგებული პირდაპირ ხაზზე სამხრეთით მისგან და ქვეყნის სიღრმეში დევს კავკასიის მთების ძირში“. (სტრაბონი, წიგნი XI, XI-14).

ბევრის მომცემია სტრაბონისეული ეს ცნობები (კიდევ უფრო მეტისა, სტრაბონისეული სხვა ცნობები, რომელთაც აქ არ შევეხებით).მარტო აღწერა და გადაზომვა სანაპიროსი ბერძნულ -რომაული საზომავით, სტადიონით, ადვი-ლად გვარწმუნებს, რომ ეს გაზომვები და შესაბამისად, ტომთა დისპოზიცია არ-ტემიდორისეულია! გაცილებით ადრინდელი, ვიდრე მითრიდატე ევპატორის იმ ისტორიკოსებისა, რომელნიც სტრაბონამდე მოღვაწეობდნენ, კერძოდ, II- I ს. ჩვ.წ.აღრიცხვამდე.შესაბამისად ტომთა დისპოზიცია და მათ მიერ დაკავებული მანძილები ამავე საუკუნეებისაა.(განსხვავებით ზიგების ხსენებისა, რომელიც არტემიდორის ეპოქაში აქ საერთოდ არ ჩანან). არტემიდორ- სტრაბონის მიხედ-ვით:

სინდების ნავმისადგომი-27კმ ქერჩის ყურიდან, ეს დღევანდელ დაბა ვესიო-ლოვსკაიას ახლოს უნდა იყოს ვიტიაზოვსკი (გაერთიანებული) ლიმანის შიგ-ნით, სადაც ლიმანი-ზღვის გამყოფი ხმელეთის ზოლის ნაწილი ლიკვიდირე-ბული იყო, ხოლო სინდთა ნავსადგური ლიმანის შიგნით მოქცეული. (საერ-თოდ, ჩრდილო შავიზღვისპირეთის აღწერის შემორჩენილი ვარიანტები სკრუ-პულოზურ შესწავლას მოითხოვს). ბატი - კერკეტების ნავმისადგომი და ქალა-ქი, ეს დღევანდელი ქალაქი ანაპაა, სინდების ნავმისადგომიდან 58 კილომეტ-რის მოშორებით. აქვე გრძელდება კერკეტების სანაპირო, სიგრძით 116 კილო-მეტრამდე, რომელსაც ახაიელების სანაპირო მოსდევს, 72,5 კმ-ი. შემდეგი უკვე ჩვენთვის ეგოდენ საინტერესო სანაპიროა - ჰენიოხებისა, სიგრძით 148 კმ- ი. დიდი პიტიუნტი - 53 კმ. დიოსკურიამდე . არტემიდოროსაგან განსხვავებით, რომელიც შემდეგი თანამიმდევრობით ალაგებს ტომებს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე: სინდები, კერკეტები, ახაიელები, ჰენიოხები თვით დიოსკურია-მდე.

„ მითრიდატული ომის ისტორიკოსები, რომლებიც იმსახურებენ უფრო მეტ ნდობას, პირიქით, ასახელებენ თავიდან ახაიელებს , მერე ზიგებს, მერე ჰენიო-ხებს, მერე კერკეტებს. მოხსებს, კოლხებს, მცხოვრებ მათ ზემოთ ფტიროფაგებს და სვანებს და სხვა მცირე ერები კავკასიის მთების ახლოს“ (სტრაბონი: იქვე).

თვალში საცემი, რომ არტემიდორი და შესაბამისად სტრაბონიც, დიოსკურიამდე ჰენიოხებს ასახელებს, ხოლო დიოსკურიასთან ერთბაშად კოლხეთი იწყება:

„თავიდან ხმელეთი, როგორც მე ვთქვი გადაჭიმულია აღმოსავლეთისაკენ და მიმართულია დასავლეთისკენ, მაგრამ ბატიდან ის ნელნელა უხვევს და ბოლოს მიემართება დასავლეთისაკენ, მთავრდება პიტიუნტთან და დიოსკურიამდე; დიოსკურიის შემდეგ ხომ კოლხეთის ეს ადგილი უერთდება ზემოთ მოხსენებულ სანაპიროს“. (სტრაბონი იქვე.).

რასაკვირველია, სტრაბონის მიერ ნახსენებ მითრიდატეს „ მეტად“ სანდო ისტორიკოსებთან ჰენიოხების მერე მოხსენიებული კერკეტები, მოსხები, კოლხები (მაღლა, მთებში მცხოვრები ფტიროფაგებისა და სოანების გარდა) ჰენიოხების მერევე მცხოვრები კოლხური ტომების სიღრმეში და მათშივე იგულისხმება, როგორც მოხსენიებულა მოსხები სტრაბონთან, მათივე გვერდით კერკეტები და რასაკვირველია კოლხები. ერთობ თვალშისაცემია, რომ ჰეროდოტეს შემდეგ გასულ ხუთ საუკუნეში, კოლხთა საცხოვრისი ფაზისიდან, მინიმუმ დიოსკურიამდე გაგრძელებულა! ფაქტიურად უცნობია სტრაბონისეული მითრიდატული ომების ისტორიკოსები, თუმცა მათ მიერ აღწერილი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს აღწერის ვარიანტი: ახაიელები, ზიგები, ჰენიოხები, სინამდვილეში მითრიდატე ევპატორის დროისათვის შექმნილ რეალობას უნდა ასახავდეს. ჩამონათვალს აშკარად აკლია სინდები, თუმცა სატომო სახელის ეს ხსენება უკვე გამქრალია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ეს მხოლოდ ფსევდო-სკილაქთანაა) შემორჩენილია მხოლოდ ადგილის სახელწოდება, სინდიკე. (25.) მითრიდატული ომების ისტორიკოსების და სტრაბონის აღწერით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან გამქრალია კერკეტთა ტომი, ადგილმდებარეობა შეინარჩუნეს ახაიელებმა და ჰენიოხებმა, ჩამოსულია ახალი ტომი ზიგების სახით. ვფიქრობთ აქ რეალობა დამახინჯებულია:

„ ხოლო მითრიდატე, წასულა პონტში, ებრძოდა კოლხებს და ბოსფორელებს, მისგან განდგომილებს. კოლხებმა მოსთოვეს მას მიეცათ მათთვის მეფედ მისი შვილი, მითრიდატე, რომლის მიღებისთანავე ისინი მორჩილ იქნენ“

(აპიანე მითრიდატული ომები 64).

ცოტა მოგვიანებით, აპიანე ახმოვანებს ომის შედეგებს იმავე ახაიელებთან:

„გამოიყენა რა სიმშვიდე, მითრიდატე შეეცადა დაუფლებოდა ბოსფორს დ ადაენიშნა ბოსფორელებისათვის მმართველად ერთ - ერთი თავისი შვილი, სახელით მახარე. დაესხა რა თავს კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრებ ახაიელებს, რომელთაც თვლიან ტროის ომის დამთავრების მერე გზადაბნეულ მეომრებად და დაკარგა თავისი არმიის ორი მესამედი ომებში. ყინვისა და ჩასაფრებები-

საგან. ის დაბრუნდა უკან და გააგზავნა რომში რწმუნებულები, რომ დაედოთ ხელშეკურლება“ (აპიანე ;მითრიდატული ომები 67).

ვაინახების კოლექტიური მეხსიერება ინახავს ცნობას, რომ ისინი შამიდან (სირიიდან) არიან , ცოტა ხანს ქართველე-ბის გვერდით იცხოვრეს და მერე მოვიდნენ იქ, სადაც დღეს ცხოვრობენ.(სავარაუდოდ ახაიელები-ეს ვაინახთა ტომი უნდა იყოს, თუმცა არა ის ნაწილი, რომელიც სირიიდან მოსულად თვლის თავს) სტრაბონი აშკარად ურევს ერთმანეთში მოანთესავე კერკეტებსა და ახაიელებს. სავარაუდოდ, ახაიელები და კერკეტები სწორად განსაზღვრეს, რომ დამარცხებული მითრიდატე შურს იძიებდა და მის რისხვას მეოტიის-აზოვის ზღვის ნაპირებისაკენ გაერიდნენ, ჩრდილოეთით. დაცარიელებული ადგილები დაკავებული ჩანს ზიხების, ახალი ტომის მიერ , რომლებიც მითრიდატეს ზეობისას ჯერ კიდევ აქ არ ცხოვრობენ. ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანი, რომ სტრაბონთან საუკუნეების გასაყარზე დაფიქსირებულია დიოსკურიადიდან დღევანდელ ნოვომიხაილოვკამდე, თითქმის 200 კმ-ის მანძილზე, ჩვენთვის ესოდენ საინტერესო კენთა, (ხენთა-ჰენიოხთა) ჭანური -ქართველური ტომი.

...ქრონოლოგიურად შემდეგი გეოგრაფიული აღმწერი, ვინც ხსენებული სანაპირო გაკვრით მაინც აღწერა ეს პომპონიუს მულაა. ჩვ. წ. აღრიცხვს 43წელი.

„ ხმელეთის მოხვევის ადგილას მდებარეობს ქალაქი, რომელიც როგორც ამბობენ, დააარსეს ბერძენმა ვაჭრებმა, დაარქვეს მას კიგნი, იმიტომ, რომ როცა ქარიშხალს დაჰქონდა ისინი უკუნეთში (ზღვაზე) და მათ არ იცოდნენ , სად მდებარეობს მიწა, გედების წივილმა მათ მისცა ნიშანი. დანარჩენ ნაწილს სანაპიროსას ფლობენ ველური და უხეში ტომები, დასახლებული ზღვის სანაპიროზე: მელანხლაინები, ტორეტები, ექვსი კოლიკე, კორაკსები, ფტიროფაგები, ჰენიოხები, ახაიელები, კერეკტები და უკვე მეოტიდასთან სინდები“.(პომპონიუს მელა ხორიოგრაფიის შესახებ 110).

ხმელეთის მოხვევის ადგილას დაარსებული ქალაქი კიგნი (გედი) მხოლოდ კინდღი შეიძლება იყოს, რომლის ეტიმოლოგიას ვერ ხნის მეგრული, აფხაზური თუ სვანური ენები. ჯერ კიდევ 1970 წელს, ზღვის სანაპიროზე შეიძლებოდა ნახვა საკმაოდ კარგად შენახული ციხე-კოშკისა, რომელიც ზღვას გადა-ჰყურებდა ათეულობით მეტრ სიმაღლიდან, ყოფილი სმხედრო ნაწილისმეაზ რვრეების გვერდით, შუქურას შენობასთან. რაც შეეხება დანარჩენ ტომებს, აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი კინდღის და აზოვის ზღვას შორის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ჰენიხთა (კენთა) ტომების ბინადრობა. ჰენიოხების ბინდრობის ადგილის დაზუსტება შესაძლებელია სხვა , შედარებიტ ზუსტი წყაროებით პლინიუს უფროსისა 78წ. ჩ.წ. აღრიცხვით:

„ზოგიერთი ავტორი ფიქობს, რომ ის (დიოსკურიადა) დაარსებული იყო კასტორისა და პოლუქსის მეეტლეების, ამფიტისა და ტალხისაგან, საიდანაც საკ-

მაოდ სარწმუნო წყაროებით მოყავთ თავიანთი წამოშობა ჰენიოხებს. ქალაქი ჰერაკლეა ჩამორჩება დიოსკურიას 100 მილზე, ხოლო სებასტოპოლი 70 მილზე. ახეელები, მარდები, კერკეტები, მათ იქით სირაკები, კეფალოტომი, ამ სივრცის შიგნით უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი იყო გაძარცული ჰენიოხებისაგან . მათ უკან ცხოვრობენ ენეგერიტები, სარმატული ტომი კავკასიურ მთებში, ხოლო მათ იქით სავრომატები." (პლინიუს უფროსი წიგნი VIV -16).

პლინიუსის წერის თავისებულებებიდან გამომდინარე, არც ისე ადვილი მისი ყველა ცნობის გაშიფრვა. ქალაქი ჰერაკლეა ჩამორჩება დიოსკურიას 100 მილზე, ხოლო სევასტოპოლი 70 მილზე - ცხადია, პლინიუსს ორი სხვადასხვა ცნობა აქვს გაერთიანებული. სინამდვილეშიც, ჰერაკლიიიდან (ანაკლიადან) სოხუმამდე (სებასტოპოლამდე) მართლაც დაახლოებით 105 კმ-მდეა, 70 მილი. რაც შეეხება მერე ჰერაკლიიდან დიოსკურიამდე დღევანდელ სოხუმამდე - აქ მანძილი მოცემულია მოპრდაპირე მხრიდან, არიანეს ჰერაკლეს კონცხიდან და მდინარე ნესოსიდან, სადაც აღნიშნულია კონცხი და ალბათ ქალაქიც ჰერაკლეა არსებობდა, 140-150 კილომეტრია, 100 მილი. ცხოვრობენ ახეელები, მარდები, კერკეტები, მათ იქით სირაკები, კეფალოტომი, ამ სივრცის შიგნით უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტია, გაძარცვული ჰენიოხებისაგან, (- რასაკვირველია პლინიუსს აქ სხვადასხვა სხვადასვა ეპოქის (მისთვის ცნობილი) წყაროებიდან მოყვანილი აქვს ყველა მის მიერ წაკითხული ცნობა, რომელიც დროის რაღაც მომენტში სწორი იყო. ერთმა მხოლოდ ღმერთმა უწყის, გაძარცვეს თუ არა თავიანთი ქალაქი ჰენიოხებმა, შესაძლოა პლინიუსმა ერთმანეთს „ მყარად" დაუკავშირა „ მდიდარი" ქალაქი პიტიუნტი და ზღვის მეკობრეენი ჰენოხები, თუმ-ცა საეჭვოა მათ თავიანთი ქალაქი გაეძარცვათ.

ახატლბს და კერკეტებს აქ უკვე ერთად აფიქსირებს პლინიუსი, 50 წლით ადრე ფლავიუს არრიანეზე, თუმცა ასეთი წიაღსვლა უცხო არაა პლინიუსისათვის, რომელიც დროის დიდი დიაპაზონის ცნობებით სარგებლობს. მარდები-სენსაციური ცნობა პლინიუსისა, რომელიც ასე ბლომად მოიპოვება მის თხზულებებში. საქმე იმაშია, რომ მარდები აშკარად სპარსეთში მცხოვრები ტომებია, კასპიიის ზღვისგან სამხრეთით მცხოვრებნი და არავითარ შემთხვევაში დიოსკურიადის სიახლოვეს! (მარდების თემა განიხილება ამავე წიგნში, აბზოურ ტომებთან ერთად).... და ბოლოს, ყველა შემთხვევაში (არაერთგან) პიტიუნტთან პლინიუსის ეპოქაში ჰენიოხები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

ფლავიუს არიანე (შესრულებულია 131წ. ქრ) უკიდურესად ზუსტი და საიმედო, თვითმხილვლის თვალით დნახული. კაბადოკიის პროვინციის მეფისნაცვალის ფლავიუს არიანეს მიერ დათვალიერებული და აღწერილი პროვინციის ის ნაწილი, რომელიც მთელ შავზღვისპირეთს მოიცავს და რომლის ანგარიში რომის იმპერატორს გაეგზავნა:

„ლაზების მეზობლები, აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენ-გან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი.სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახ-ტი"(ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო გვ. 43 თბილისი 1961).

ის, რომ ზოგიერთი ტომის მეფე დანიშნულია იმპერატორის მამის (შესა-ბამისად წინა იმპერატორის) მიერ, ხოლო ზოგიერთი ტომის მეფე უკვე ამ იმპე-რატორის მიერ, განსაზღვრული ჩანს მხოლოდ მეფეთა ასაკით. ცხადია, ყოვე-ლი ტომის ახალ მეფეს იმპერატორი ნიშნავს (ჩვეულებრივ წინა მეფის შვილს) და უგზავნის შესაბამის სამეფო რეგალიებს. ფლავიუს არიანეს აღნიშვნა მეფეთა დანიშვნის შესახებ, ამ პროცესის სიტყვიერი შეხსენებაა მხოლოდ. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანის, რომ ყოველი ტომის დამოუკიდებელ ელემენტს, რომელიც აკონტროლებს ტომის კუთვნილ ტერიტორიას, დამოუკიდებელი მეფეები ჰყავს: ანქიალე, ფარესმანი, მალასა, იულიანე, რესმაგა, სპადაგა. მნიშვ-ნელოვანია ხაზგასმა, რომ სებასტოპოლისი (სოხუმი) ჰენიოხთა მიწაზე იმყო-ფება, რასაკვირველია ის ტერიტორიები, რომელიც სებასტოპოლისს ჩრდილო-ეთით იმყოფება, ასევე ჰენოხების მიწას უნდა წარმოადგენდეს! ნომინალურად მაინც! საყურადღებოა, რომ კოლხთა ტომობრივი სახელი მთელი ტერიტორი-ის სიგრძეზე ჩანაცვლებულია ლაზებით, ამ სანაპიროს უკვე არა კოლხეთი, არა-მედ ლაზეთი, ლაზიკა ჰქვია!

„ზემოთ მოტანილი მანძილები ტრაპეზუნდიდან დიოსკურიადამდე, გამოან-გარიშებულია მდინარეების მიხედვით . სულ ტრაპეზუნდიდან დიოსკურიამ-დე, ახლანდელ სებასტოპოლამდე, ესაა ორიათას ორას სამოცი სტადიონი. ესაა მანძილი ბიზანტიიდან დიოსკურიადამდე, თუ მისცურავ (პონტოში შესვლის შემდეგ) მარჯვნით. აქ მთავრდებ რომალთა სამფლობელოები პონტოს მარჯვე-ნა მხარეში მოცურავეთათვის" (ფლავიუს არრიანე, იქვე)

ფაქტიურად, ერთადერთი შემთხვევაა, როცა მეფისნაცვალი ფლავიუს არი-ანე დიოსკურიადაზე როგორც რომაელთა ბოლო პუნქტზე ლაპარაკობს , რომე-ლიც მისივე სიტყვებით ჰენიოხთა მიწა- წყალზე მდებარეობს.(თუ რატომ და როგორ დასახლდნენ აბასკები ჰენიოხების კუთვნილ მიწა-წყალზე, როგორც ჩანს ყოველგვარი კონლიქტის გარეშე, სცილდება ნაშრომის ფორმატს)

...მნიშვნელოვანია, რომ ფლავიუს არაინეს სიტყვებით, სებასტოპოლისში მთავ-რდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეზე. ძალიან დიდი ალბათობით , პლინიუს უფროსის მოყვანილი ციტატა, ბიჭვინთა, უმდიდრესი ქალაქი, გაძარცვული ჰენიოხების მიერ, სიმართლეს არ უნდა წარმოადგენდეს. მართალია, ჰენიოხი ზღვაზე თუ ხმელეთზე მეკობრისა და მძარცველის სტატ-უსით სარგებლობს, მაგრამ სებასტოპოლი, მით უმეტეს პიტიუნტი, რომელიც

მის მიწაზე არსებობს, ფაქტიურად მისი საკუთრებაა. თავის აკუთრებას კი არავინ არ ძარცვავს.(26)

„ამრიგად, დიოსკურიიდან რომ მიდიხარ, პირველი სადგურია პიტიუნტში, ,სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე. აქედან ნატიკემდე ას ორმოცდაათი სტადიონია. აქ ძველად ცხოვრობდა სკვითთა ტომი, რომელსაც იხსენებს იტორიკოსი ჰეროდოტე. მათ ის გირჩის მჭამელებს უწოდებს (ფთიროფაგებს)... ეს აზრი დღემდეა შემონახული მათ შესახებ, ხოლო ნატიკედან მდინარე აბასკოსამდე ოთხმოცდაათი სტადიონია. ბორგისი აბასკოსს დაშორებულია ას ოცი სტადიონით: ნესისი ბორგისს - სამოცი სტადიონით; აქ არის კონცხი ჰერაკლეა. ნესისიდან მასაიტიკამდე ოთხმოცი სტადიონია. აქედან მდინარე აქეუნტამდე - სამოცი. ეს მდინარე ჰყოფს ძილქებსა და სანიგებს. ძილქების მეფე სტაქემფაკია. ამასაც შენგან აქვს ტახტი მიღებული. აქეუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე ას ორმოცდაათი სტადიონია. აქედან ას ოთხმოცი სტადიონია ბორცვამდე, რომელიც იცავს (მოგზაურს) თრასკიული ქარისაგან და ბორეასისგან. აქედან ძველ ლაზიკედ წოდებული ადგილამდე ას ოცი სტადიონია. აქედან ძველ აქაიამდე - ას ორმოცდაათი. აქედან ნავსადგური პაგრამამდე - სამას ორმოცდაათი. პაგრამიდან ჰიერონის ნავსადგურამდე - ას ორმოცი. აქედან სინდიკამდე - სამასი“. (ფლავიუს არიანე. მოგზაურება შავი ზღვის გარშემო გვ. 52. თბილისი 1961წ.).

არსებულ რუკებთან შედარების საფუძველზე, მარტივია მდინარეების თუ სხვა პუნქტების იდენტიფიკაცია.

ნატიკე - გაგრა

აბასკოსი - მდ. ფსოუ

ბორგისი - მზიმთა

ნესოსი - ხოსტა, აქვე ჰერაკლე კონცხი

მასაიტიკი - მდ. მაცესტა

აქეუნტი - მდ. დაგომისი (საზღვარი ჭანებსა და ზიხებს შორის).

ჰერაკლეს კონცი - ლაზურნი ბერეგი.

თრაკიურლი ქარისაგან დამცავი ბორცვი - პსეზუაპსე

ძველი ლაზიკე - მდ. შეპსი

ძველი აქაია - ნოვომიხაილოვკა

ნავმისადგომი პაგრამი - გელენჯიკი

ჰიერონის ნავმისადგომი - ნოვოროსიისკი

სინდიკე - ანაპა

უამრავი ინფორმაციაა დაკვირვებული მკითხველიათვის. მართალია, ფლავიუს არრიანეს არა აქვს დაფიქსირებული საზღვარი ლაზებსა და აფსილებს, აფსილებსა და აბაზგებს, აბაზგებსა და სანიგებს შორის, მაგრამ საზღვარი

სანიგებსა და ზიხებს შორის ზუსტად აქვს ნაჩვენები -ეს მდინარე აქეუნტია (დაგომისი). საინტერესოა, რომ მდინარე დაგომისს აღმოსავლეთით თვით ანაპის ჩათვლით, მას მხოლოდ ერთი ტომი და შესაბამისდ ერთი მეფე, ზიხები და სტაქემფაკია მოხსენებული! მსჯელობა იმის შესახებ, რომ ახაიელებს ეს ტერიტორია მითრიდატესთან ომის შემდეგ უნდა დაეტოვებინოს, მართლდება. მართლდება ეს თეორია აგრეთვე ძველი ახაიის არსებობით , სადაც აქაიელები უკვე აღარ ცხოვრობენ.

ასევე, კერკეტების ყოფილი ნავმისადგომი ბატი, (დღევანდელი ნოვოროსიისკი) ფლავიუს არიანეს სინდთა ნავმისადგომად აქვს მიჩნეული. გამომდინარე არრიანედან, კერკეტებსაც ე ს პოზიციები მიტოვებული აქვთ და კონტინენტის სიღრმეში ჩანან დახეული. ამასთანავე, სინდთა ტომი, როგორც ზემოთ ვივარაუდეთ, არ იხსენება არიანეს მიერ. უფრო მეტიც, სინდთა ნავმსადგომი, რომელიც სტრაბონთან ყურის დასაწყისშივე იხსენება რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, უკვე აღარ არსებობს. სავარაუდოდ, ლიმანის მიტოვებული ყელი ბუნებრივად დაიხურა, სინდთა ნავმისადგომი განადგურდა. (სინდების ნავმისადგომად, განსხვავებით სტრაბონისაგან, ფლავიუს არრიანე ანაპას თვლის) ძალზე საყურადღებოა, რომ კოლხეთის სახელცვლილებას ლაზიკად, გავლენა არ მოუხდენია სანიგთა ტომობრივ სახელზე - ის ისევ სანიგად, ჭანიგად იწოდება და არა ჭანად.

ფსევდო არიანე (Vს. ჩვ.წ.). ფსევდო-არიანეს სახელით ცნობილი ნაწარმოების ავტორი, სარგებლობს იმავე ფაბულით, იმავე მოქმედი პირებით, ფლავიუს არიანეს, იმპერატორს თუ ადგილობრივი მეფეები სახელებით, თუმცა აფიქსირებს იმ ახალ რეალობებსაც, რაც განვლილი პერიოდის განმავლობაში ტერიტორიაზე თუ ტომთა ცხოვრებაში მომხდარა:

„დიოსკურიიდან, ანუ სებასტოპოლიდან მდინარე აფსარიოსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი, კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახეშეცვლილი“. (ანონიმი. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. Vს. ახ. წ. გვ. 88-& 7. თბილისი 1961წ.).

ფსევდო არიანე ნამდვილი არიანესაგან განსხვავებით კონსტატაციას აკეთებს, რომ ლაზებს ადრე კოლხები ერქვათ, ამასათან აჩვენებს ლაზთა ზუსტ საზღვარსაც - აფსაროსი (მდინარე ჭოროხი)- დიოსკურია (სებასტოპოლისი).

„ეს მდიანრე აქეუნტი (იწოდება ბასისად) და ძიქებსა და სანიგებს შუა არის. ძიქების მეფე სტექემფლასია. ამასაც შენგან აქვს მეფობა მიღებული. ამრიგად, მდინარე აქეუნტიდან მდინარე აბასკოსამდე სანიგები ცხობრობენ“. (ფსევდო - არიანე , იქვე).

განსხვავება ფსევდო-არიანესა და არრიანეს აღწერას შორის ისაა, რომ არრიანესაგან განსახვავებით, ფსევდო არიანე სანიგების (ჭანების) ორივე საზღვარს იძლევა, როგორც აღმოსავლეთით, ისევე ჩრდილო-დასავლეთით: აქეუნტი (დაგომისი) - აბასკოსი (ფსოუ). ტერიტორიები დიოსკურიასა (სებასტოპოლის) და ფსოუ შორის, შესაბამისად აფშილი და აბასკი ტომები ჩანს განლაგებული.

პროკოპი კესარიელი(545-553 წ. ჩვ.წ.აღ). უამრავი და ღირებული მასალა იპოვება პროკოპი კესარიელთან, თუმცა გეოგრაფიის მისეული ცოდნა მოიკოჭლებს (სავარაუდოდ დამახინჯებული, მასშტაბის შეუსაბამო რუქებით სარგებლობის გამო). როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, პროკოპი კესარიელი სარგებლობს სახელმწიფო პიტაკებით. შედეგნილი ცალკეული სარდლების მიერ, თუმცა გეოგრაფიული მოზაიკის ცალკეული ნაწილებისაგან სრული პოლიტიკური გეოგრაფიული რუკის შედგენა უჭირს. შევეცადოთ პოლიტიკური რუკის აღდგენას კესარიელის ცალკეული ცნობების მიხედვით:

„ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრამდე, სადაც ევქსე-ნის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის. პონტო რომ მთავრდება აქ ქმნის ნახევარი მთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს, ხოლო მას უკან მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც ეწოდება“. (გეორგიკა ტომი II გვ. 126 თბილისი 1965წ.).

.... ამ მთებით, რომლებიც აქ არის, ჩამოდის მდინარე ფაზისი, რომლის სათავე კავკასიის მთებშია, და პონტოს ერთვის ნახევარმთვარის ნაპირის შუაში. ზოგიერთები ამობობენ, რომ აქ ფაზისი ორად ჰყოფს ხმელეთს. ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის აზია, ხოლო მარჯვნივ ევროპად იწოდება. ევროპის ნაწილშია ლაზთა ყველა საბინადრო ადგილები, ხოლო მეორე ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც რაიმე სიმაგრე, არც დაბა, მოხსენების ღირსი გარდა იმისა, რომაელებმა აქ პეტრა ააშენეს წინათ....“ (იქვე , გვერდი 127)....

„მაშასადამე, ფაზისი აქ მომდინარე, როგორც ჩემს მიერ მოთხრობილი, ერთვის ევქსენის პონტოს, იქ სადაც ეს უკანასკნელი თავდება. ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირისპირ , მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა. აფსილები ლაზთა ქვეშემდრომები არიან და და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ“ (პროკოპი კესარიელი იქვე გვ. 128).

პროკოპი კესარიელიის აღწერის ამ ეპიზოდში, ფაქტიურად უშეცდომოდ არის მითითებული ამ დროისათვის არსებული პოლიტიკურ-გეოგრაფიული პალიტრა. პროკოპი კესარიელი იმეორებს ძველ (ჰეკატე მილეტელისეული) ვერსიას, რომ ევრაზიის გამყოფი მდინარე ფაზისია. ასევე აღნიშნავს, რომ ფაზისის მარცხნივ, აზიის ტერიტორიაზე ლაზებს მნიშვნელოვანი არაფერი აუშე-

ნებიათ გარდა რომაელები მიერ აშენებული პეტრასი (ციხისძირი). რასაკვირველია, ლაზების ძირითადი საბინადრო ადგილები ლაზიკის ევროპულ ნაწილშია, როგორც ზემოთვე აღნიშნავს კესარიელი, ერთმნიშვნელოვნად ფაზისის (ფოთს) მარჯვნივ . (წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ლაზთა ძირითადი სიმაგრეების და ქალაქების მდებარეობა საერთოდ).

რასაკვირველია სწორია პროფესორ ლომოურის წაკითხვა ტექსტისა, რომ აფშილეთი მდებარეობს არა ფაზისის გადაღმა, მარჯვნივ , არამედ ნახევარმთვარის მეორე ნაპირზე. რუკაზე დაკვირვებით ცხადია, რომ ნახევარმთვარის ერთი ნაპირია ბათუმის მიმდებარე ტერიტორია, ხოლო ნახევარმთვარის მეორე ნაპირი, ეს დღევადენლი მდინარე კოდორი და შესაბამისად პროკოფი კესარიელისეული აფშილებია.

„აფსილებისა და ნახევარმთვარის ნაპირის შემდეგ, მეორე ნაწილში, ზღვის პირის აბაზგები მოსახლეობენ,, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება. აბაზგები ოდითგანვე ლაზების ქვეშემდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი, ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთში ... მალე ორივე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ ... აბაზგების საზღვრების შემდეგ, კავკასიის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუხები, აბაზგებსა და ალანებს შუა, ხოლო ევქსენის პონტოს ნაპირზე ზიქები არიან დამკვიდრებული. ზიქებს ძველად რომაელთთა თვითმყრობელი უყენებდა მეფეს, ამჟამად ეს ბარბაროსები არაფერში ემორჩილებიან რომაელებს. ამათ შემდეგ ცხოვრობენ საგინები ამათი მიწა-წყლის ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გაშენეს: სებასტოპილისი და პიტიუნტი, რომლების ერთმანეთს ორი დღის სავალი გზით არიან დაშორებული და იმთავითვე ჩააყენეს მათ მცველთა რაზმები. პირველ ხანებში რომაელ ჯარისკაცთთა რაზმებს ეჭირათ მთელი ადგილები ტრაპეზუნტის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე საგინების ქვეყნამდე, როგორც ეს ჩვენს მიერ უკვე ითქვა: ამჟამად მათ დარჩათ მხოლოდ ეს ორი სიმაგრე, სადაც ჩვენს დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები. ხოსრომ, სპარსთა მეფემ, ლაზები რომ წამოუძღვნენ მას პეტრისაკენ, გადაწყვიტა იქ სპარსთა ჯარის გაგზავნა ამ სიმაგრეების ასაღებად და იქ სადარაჯოებში ჩასადგომად. როდესაც რომაელთა მხედრებმა ეს წინასწარ გაიგეს, დაასწრეს და გადასწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები, დაუყოვნებლივ ჩასხდნენ ხომალდებში, გასწიეს პირისპირ მდებარე ხმელეთისაკენ და მივიდნენ ქალაქ ტრაპეზუნტში. საგინების ზემოთ დამკვიდრებულია ჰონთა მრავალი ტომი“.(გეორგიკა ტომი II გვ133-136,თბილისი, 1965)

საინტერესოა, რომ მიუხედავად გეოგრაფიის აღრეულობისა, პიტიუნტს და სებასტოპოლისს კესარიელი საგინების (სანიგების-ჭანების) კუთვნილ ქა-

ლაქებად აღნიშნავს. აფსილების და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ, მეორე ნაწილში, ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობენ -ასე განსაზღვრავს პროკოპი კესარიელი აბაზგთა საცხოვრის ადგილს. აზუსტებს თუ არა აბაზგიის აღმოსავლეთ საზღვრებს პროკოპი კესარიელი? აზუსტებს და აი როგორ:

„ აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესასვლელში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება როგორც კიბე და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირშესანიშნავი სიდიდისა. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებდნენ შემოტევას მტრისას, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა თითო-კაცად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი, მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით ადგლიც ამ ნაპრალის შესაფერ სახელწოდებასაც ატარებს: იქაური მცხოვრებლები ელინურად მას ტრაქეას უწოდებენ“ (პროკოპი კესარიელი იქვე გვ. 158-159).

ცხადია, აბაზგების აღმოსავლეთი საზღვარი აფსილებთან (ხაზგასმულია რომ ეს სხვადასხვა ტომია) ტრაქეასთანაა, აბაზგების გამაგრებულ ადგილთან. ტრაქეა - აბაზგების გამაგრებული ადგილი, როგორც არქეოლოგიური ნაშთებით და ისტორიული წყაროებით მტკიცდება, ეს ანაკოფია, დღევანდელილ ახალ ათონი. აფსილეთ- აბაზგების საზღვარი, დამტკიცებულად ახალ ათონთანაა.რაც შეეხება აბაზგების ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარს, აქ პროკოპი კესარიელი ერთმნიშვნელოვნად ასახელებს ბრუქებს (ბრუხებს) კავკასიონის მთის გასწვრივ, აბაზგებსა და ალანებს შორის მცხოვრებთ. ამ თემას ჩვენ სხვა თავში შევეხებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბრუხები (ბრუქები) ის ტომი უნდა იყოს, რომლის სახელიც მარუხის უღელტეხილს უჩანს შემონახული.

რთულადაა საკითხი აბაზგეთის სამხრეთ- დასავლეთის საზღვართან მიმართებაში, თუმცა ეს საკითხი გარკვევით და გასაგებად აქვს აღწერილი თურქ მოგზაურს, ევლია ჩელების მთელი მილენიუმის შემდეგ . შევეცადოთ პროკოპი კესარიელისვე ჩანაწერებით სინათლე შევიტანოთ ისტორიის ამ გორდიას კვანძში. კესარიელი მართალია არ აღნიშნავს აბაზგიის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარს, თუმცა ასეთად ერთმნიშვნელოვნად აბაზგიის შემდეგ მცხოვრებ ზიქებს ასახელებს. როგორც ადრინდელი (არიანე, ფსევდო არიანე) წყაროებიდან ცნობილია, აბაზგთა შემდეგ სანიგები ცხოვრობენ, მხოლოდ შემდეგ ზიქები. ამასთანავე, პროკოპი კესარიელი ზიქების შემდეგ, სადღაც შორს ასახელებს საგინებს (სანიგებს), რომელთა მიწა-წყლის სანაპირო ზოლი ძველთაგანვე სჭერიათ რომაელებს და მათსავე მიწებზე ორი სიმაგრე გაუშენებიათ, სებასტოპოლისი და პიტიუნტი. კესარიელისვე სიტყვებით, ეს ქალაქები, ერთმანეთისაგნ ორი დღის სავალზე მყოფნი, უკვე აღარ არსებობენ, ვინაიდან რომაელებმა იგი

თავისივე ხელით დაანგრიეს. ცხადია აბაზგების და სანიგების ეს ურთიერთ-განლაგება (უცხოთათვის ვიტყვი, რომ სანიგთა მიწაზე აშენებული პიტიუნტი და სებასტოპოლისი გაცილებით აღმოსავლეთითაა, ვიდრე აბაზგთა კუთვნილი ტრაქეა!) ცხადია, პროკოპი კესარიელი აქ ცდება (შესაძლოა შესაბამისი რუქის უქონლობის გამო) ერთმანეთში ურევს ძველ და ახალ ცნობებს და პრაქტიკულად კარგავს სანიგეთს, რომელიც მის შემდეგ ფაქტიურად აღარ იხსნება (თუ არა შეცდომით).

სავარაუდოა, რომ პროკოპი კესარიელი ორი სხვადასხვა პიტაკით სარგებლობს, რომელთაგან ერთი აღწერილია ფაზისიდან სებასტოპოლისის (ფოთი-სოხუმი) მიმართულებით, მეორე რომაელი მეზღვაურებისათვის ტრადიციული სინოპა-ყირიმის პირდაპირი საზღვაო ტრასიდან გამომდინარე, ბატი-სებასტოპოლისი (ანაპა-სოხუმი). მხოლოდ ამ შემთხვევაში ფიქსირდებიან სანიგები (პროკოპისეული საგინები) ზიხების შემდეგ...**რაც შეეხება აბასკების საზღვარს ჩრდილო- დასავლეთით, სანიგებთან, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს საზღვარი მოძრავი- „ცოცხალი“ ჩანს...ფლავიუს არრიანეს და V საუკუნის ანონიმის დროს, საზღვარი აბასკ-სანიგთა,ჰენიოხყოფილთა შორის მდინარე აბასკოსი ჩანს-დღევამდელი ფსოუ...მაგრამ იმავე პროკოპი კესარიელის მიერ აღნიშნული , სპარსელთა შიშით რომაელთა მიერ დიოსკურიის და პიტიუნტის ფორტების საკუთარი ხელით დანგრევისა და ბიზანტიისკენ რეტირების შემდეგ სანიგებს ტერიტორია აბასკოსს და პიტიუნტს შორის დაბრუნებული უჩანთ (ამაზე და აფხაზეთის სამეფოს შემდეგ ფორმირებაზე უკვე წიგნის II ტომში გვექნება საუბარი)...**და მაინც სად „კარგავს“ სანიგეთს პროკოპი კესარიელი? სხვათაშორის, როგორც ისტორიული ცნობებით ირკვევა გაცილებით მრავალრიცხოვან და ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს,ვი-დრე რეალური აბაზგეთია....

„იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ ისევ დაიყენეს თავსთვის მთავრები, აღმოსავლეთი ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისთვის სკეპარნა“(პროკოპი კესარიელი იქვე გვ. 157).

კესარიელის სიტყვები ეხება ზუსტად იმ დისპოზიციას, როდესაც რომაელებმა ფორტები მოშალესდა გაიქცნენ...აქ აბაზგებს,თითქოსდა ერთ ტომს, ორი მთავარი -სუზერენი ჰყავთ. რამდენად არის ასეთი სიტუაცია მისაღები რომისთვის და რომაული სამართლისათვის? იურიდიული და უფლებრივი საკითხების გარკვევისათვის, უნდა დავიხიო ოდნავ უკან, ვისარგელოთ ფსევდო - არიანეს სანაპიროს აღწერით და ამ სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა პოლიტიკური აღწერით: ტრაპიზუნტელების მეზობელ კოლხებს მეფე არა ჰყავთ, იგულისხმება რომ ისინი რომის უშუალო მმართველობის ქვეშაა, ხოლო ფლავიუს არიანე მათი მმართველი.

მაკრონების და ჰენიოხების მეფე ანქიალეა;

ზიდრიტები ფარესმანის ქვეშევრდომები არიან ;
ლაზების მეფე მალასაა;
აფსილების მეფე იულიანეა;
აბასკთა მეფე რესმაგაა ;
სანიგთა მეფე სპადაგაა ;
ძილქების მეფე სტაქემფაკია;
რომთან, რაღაც ფორმით, დაკავშირებული ნებისმიერ ტომს რომი უმტკიცებს ადგილობრივი მოსახლეებისაგან არჩეულ, ჩვეულებრივ ძველი სიუზერენის შვილს მეფედ. გარდა მაკრონ-ჰენიოხთა პოლიტიკურ-ეთნოლოგიური გაერთიანებისა, ერთი ტომისათვის ერთი მთავარია მიზანშეწონილი და რომაული სამართლისათვის ორი მთავრის დანიშვნა მიუღებელია.

„ მეფე გობაზი და მისი შვილი

გობაზმა ელჩობა გაგზავნა რომაელებთან. რომაელებმა უპასუხეს გობაზის მოციქულებს, რომ შესწყვეტენ ომს, თუ ან თვითონ გობაზი გადადგებოდა ტახტიდან, ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან: ძველი კანონების თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივე მეფობდეთო; ასე რომ, ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე, ან გობაზი ან მისი შვილი და მაშინ შევწყვეტთ ომსო-ურჩევდა ევფემოსი, რომელსაც მაგისტროსის თანამდებობდა ეჭირა... ასეთი არჩევანი მისცეს გობაზს, იმან აირჩია გადამდგარიყო სამეფო ტახტიდან შვილის სასარგებლოდ და თავის სამეფო ნიშნები გაიძრო, და რომაელთა მპყრობელის მოციქულები გაუგზავნა თხოვნით: უკვე ერთი კოლხი მეფობს და ნუღარ ჯავრობ, იარაღი დაჰყარეო“.(პროსკე პანიონელი, გეორგიკა ტომი I გვ 254-255. თბ.1961წ.)

თუ რომაელთა ძველი წესებით, კოლხეთს არ შეიძლება ჰყავდეს ერთდროულად ორი მმართველი,კოლხეთს- რომელსაც რამდენიმე პოლიტიკური ერთეული, ტომი ემორჩილება, შეუძლებელი ასეთი უფლება ჰქონდეს პოლიტიკურად განუზომლად მცირე აბაზგეთს. ტერმინ აბაზგიის ქვეშ, რასაკვირველია ორი ტომი იგულისხმება, აღმოსავლეთით-აბაზგია მისი მმართველი ოფსიტეთი, დასავლეთით - სანიგეთი, მმართველი სკეპარნათი. ლოგიკურია კითხვა, რა გარემოებამ გამოიწვია სანიგთა ტომის სახელის ცვლა? არც ერთ ბიზანტიელი ისტორიკოსი თუ სახელმწიფო მოხელე, ამ ტერიტორიას კოლხეთს არ ეძახის, ის უკვე ლაზიკაა. (კოლხეთი სამხრეთ- აღმოსავლეთით რჩება, ტრაპეზუნდის მიმდებარედ და მდინარე აფსაროსამდე) მეფე გუბაზი ძირითადად იხსენება, როგორც ლაზიკის მეფე. ტერიტორიულად ლაზების მეზობლად მისივე ხელქვეითნი, აფსილები ცხოვრობენ, მათ შემდეგ აბაზგები, მხოლოდ მათ შემდეგ თითქმის იმავე ენაზე მოსაუბრე სანიგები, იგივე ჭანები, მათივე ხელქვეითები. დასავლეთ ქართულს, მეგრულს ამ კუთხის აღმნიშვნელი სახელი <u>აფხა-ლაზი</u> განაპირა ლაზი უჩანს, რომელიც ძირითადი ლაზიკისაგან ორი მო-

ნათესავე ტომით არის დაშორებული და რომელიც ამ უკანასკნელის ხელქვეითი ჩანს.

ქართველი ისტორიკოსთა გამოკვლევით (ი. ჯავახიშვილი) მეგრული ენა ასო **ლ**-ს სირბილისათვის კარგავს ხოლმე:

სიტყვის თავში

ლეღვი - ლუღი - იუღი

სიტყვის ბოლოში

დედალი - დადული - დადუი

სიტყვის შუაში

მონაზონი - მალაზონი - მაიაზონი

<u>ზუსტად ეს ვარიანტი გვაქვს სიტყვა აფხალაზთან მიმართებაშიც;</u>

„ ნაბედი ჯარით შეიჭრა ლაზიკეთში და სხვა ისეთი ღირშესანიშნავი არაფერი მოუმოქმედებია, ხოლო ამ ჯარითურთ ჩადგა რომალებისა და ლაზებისაგან განდგომილი აფხაზთა ქვეყანაში“.(პროკოპი კესარიელი იქვე გვ. 156).

ეს ერთ-ერთი შემთხვევაა (თუ ერთდაერთი არა) როცა ბერძენი ავტორი აფხაზეთად და არა აბაზგიად იხსენიებს ამ კუთხეს.საკუთარი არსებობის მთელ მანძილზე ბიზანტია ჯიუტად ამ კუთხეს აბაზგიას ეძახის. ასეთივე სიჯიუტით პასუხობს ქართული და მთელი აღმოსავლეთის მწერლობა, როდესაც ამავე კუთხეს მხოლოდ აფხაზეთს უწოდებს. ცხადია, ქართული აფხაზეთი თუ ბერძნული აბაზგია, ერთი და იმავე ტომთაშორისი გაერთიანების სხვადასხვა სახელია, რაც არსებით ვითარებას არა ცვლის, აფხაზეთი-ტომთა კონფედერაციული გაერთიანება ჩანს, რომელიც ომის წარმოების საკითხებს წყვიტავს მხოლოდ და თავდაცვის უნარიანობის ამაღლებას ემსახურება უთუოდ:

„აბაზგთა ერთი წინამძღოლთაგანი, სახელად სკეპარნა, სპარსეთში იმყოფებოდა; ცოტა ხნის წინათ ის ხოსროსთან დაებარებინათ და იქ წასულიყო. ხოლო მეორემ, რომ შეიტყო რომაელთა შემოტევის შესახებ, შეკრიბა ყველა აბაზგი და გადაწყვიტა დახვედროდა მტერს“. (პროკოპი კესარიელი იქვე გვ. 158).

როგორც ჩანს, პირველი დარტყმა აბაზგიამ მიიღო. რიცხობრივმა უპირატესობამ გამარჯვების სასწორი რომაელებისაკენ გადახარა. დამარცხებულმა აბაზგეთის მთავარმა ოფსიტემ კავკასიის მთებს შეაფარა თავი. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბაზგია- აფხაზეთის ტერმინის ქვეშ ყოველთვის იგულისხმება გაერთიანების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, სანიგთა (სინამდვილეში ლაზთა კენური ტომი) , რომელიც აშკარად მხოლოდ მე-17-ე საუკუნის თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების ნაშრომში ამოტივტივდება.

პირდაპირი ცნობები ხსენებული ტერიტორიების შესახებ საკმაოდ დიდი ხანი ქრება, თუ არ ჩავთვლით ჯუანშერის ნახევრად ზღაპრულ ცნობებზე არჩილსა დამირზე (27),დაწერილს (როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს და ჩვენც

სრულიად ვიზიარებთ) არაუადრეს მე-11-ე საუკუნისა. ბიზანტიური წყაროები ამ ეპოქის შესახებ დუმილს ამჯობინებენ. ქართული (არასაიმედო) წყაროების მიხედვით, არაბთა ლაშქრობის უკუქცევა მოხერხდა მხოლოდ ანაკოფიის კედლებთან. მე-8-ე საუკუნის 50-იან წლებში, არაბთა ხალიფატში შიდაარეულობაა, დინასტიათა ცვლილება. ამავე დროს მიმდინარეობს ბიზანტიის იმპერიის აღორძინების პროცესი და სართაშორისო გავლენის გაძლიერება. ამ პერიოდისათვის დასავლეთ საქართველო არაბთა ბატონობისაგან თავისუფალი ჩანს.

ისტორიის თვალსაზრისით, არაა მიზანშეწონილი და საინტერესო კვლევა, თუ ვინ არის უკვე ერთიანი აფხაზეთის მეფე (აბაზგი თუ აფხალაზი) ვინაიდან, როგორც ცნობილია, მეფეს ეროვნება არ გააჩნია, ის ერთა -ტომთა გაერთიანების მეფეა. გაერთიანებულ აფხაზეთს უკვე შემოერთებული უჩანს აფსილები, მისიმიანები და ...კიდევ რამოდნიმე ტომი. ლეონ II, რომლის ქვემდებარე მამულები აშკარად აღემატება მთავრის ტიტულატურას, დგამს გადამწყვეტ ნაბიჯს და იღებს მეფის წოდებას:

„გაადგა ბერძნეთა, დაიპრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“. (მატიანე ქართლისაი გვ. 441.218).

ამ პერიოდიდან შესაძლებელია ქართულ წყაროებზე დაყრდნობა, საისტორიო მწერლობას უკვე საკმაოდ დიდი ტრადიციები გააჩნია საქართველოში. გაერთიანებული აფხაზთა სამეფო ლიხამდე ვრცელდება. ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით მისი საზღვრების ზუსტი კოორდინატები მოგვიანებით გამოიკვეთება. ბიზანტია აფხაზეთის განდგომას ასე იოლად არ შერიგებია:

„...და კიდევ, აფხაზეთში გაგზავნილ იქნა თეოფობე და თეოდორას ძმა ბარდა დიდძალი ძალით და სასტიკად დამარცხდნენ ისე, რომ ძალიან ცოტანიღა დაბრუნდნენ იქიდან უკან“ (თეოფანეს გამგრძელებელი. გეორგიკა ტომი II. გვ.327).

პრაქტიკული დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ აფხაზეთი ცდილობს მიაღწიოს იდეოლოგიურ დამოუკიდებლობას ბიზანტიისაგან. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნოტაციების (ნუსხების) საშუალებით ირკვევა, რომ მე-6-ე საუკუნის ნახევრიდან მე-8-ე საუკუნემდე (ჩათვლით) , ე.ი. იმ ხანებში, როდესაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიის მმართველობის ქვეშ იმყოფება, დოკუმენტებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილად იხსენება დასავლეთ საქართველოში არსებული საეკლესიო ოლქები.

ნოტაცია N6-ით ცნობილი დოკუმენტით, რომელიც კეისარ ლეონ IV (886-911) ეკუთვნის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში უკვე აღარ არის მოხსენებული დასავლეთ საქართველო. სახელდობრ დასახელებული არაა დასავლეთ საქართველოს შემდეგი ექვსი კათედრა: ფასისის მიტროპილია, საეპისკოპოსო ძიღანებისა, ცაიშისა, პეტრასი, ვარდიციხისა, აგრეთვე- სამთავარეპისკოპოსო ნიკოფსიისა (აფხაზეთის ჯიქეთისა), როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ფარგლებში ნოტაცია N6-ში,

დასავლეთ საქართველოდან აღნიშნულია მხოლოდ ერთადერთი კათედრა:სებასტოპოლისი.

პავლე ინგოროყვა ასკვნის, რომ სებასტოპოლისის ამ კათედრის სამწყსოს სავარაუდოდ შეადგენდა მარტოოდენ ქალაქ სებასტოპოლისის ბერძნული კოლონია, რომელსაც არ შეუწყვეტია ეკლესიური ერთობა კონსტანტინოპოლთან. არგუმენტად პავლე ინგოროყვას გეოგრაფიული მდებარეობა მოყავს. მისი აზრით, თუკი კონსტანტინოპოლს ჩამოშორებული იყო თანამედროვე იმერეთი, გურია და ოდიში, მეორე მხრივ ნიკოფსის კათედრა, ჩამოშორებული უნდა ყოფილიყო სებასტოპოლისიც. გურია, რომელსაც ჯერაც არ მიუღია ეს სახელი, გაცილებით გვიან ჩანს შემოსული ქართულ სასულიერო სივრცეში. (სავარაუდოდ ამიტომაც იყო ბიზანტიური საეკლესიო სახელების სიუხვე გურიის მოსახლეობაში). კონსტანტინე პორფიროგენტი 949 წელს ბიზანტია - საქართველოს საზღვარს სოტორეპოლისთან ათავსებს:

„ჯიქეთის საზღვრეთის შემდეგ ესეიგი ნიკოფსიიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტოროპოლისამდე უჭირავს აბაზგიის ქვეყანას“.
(კონსტანტინე პორფიროგენტი გვ. 233).

ჩვენი მხრიდან დავუმატებთ სოტეროპოლისი-ეს უფრო საეპისკოპო კათედრა ჩანს, თუმცა შესაძლებელია მცირე ქალაქის არსებობაც ბუკნარის მიდამოში, ან ციხისძირში. ნიკოფსიის ჯიქეთის საეკლესიო კათედრა დანრჩენებთან ერთად გაემიჯნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოფსია უკვე არ არის სანიგების (ჰენიოხების) მიწა-წყალზე, ის ჯიქების ტერიტორიაზეა განლაგებული. ამ მოვლენამ მოითხოვა განსა კუთრებული ყურადღება ჯიქებისადმი. შედეგი გამაოგნებელი გამოდგა, ჯიქები ქართველური ტომებია! (ჯიქებზე ცალკე თავში ვისაუბრებთ)... რაც შეეხება სებასტოპოლისს, პ. ინგოროყვას აზრით, სებასტოპოლისის კათედრა ადგილზე მცხოვრები ბერძნების გავლენით რჩება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელდებული.(28)

შემდეგი მოგზაური , რომელსაც გარკვეული შეხება აქვს აფხაზეთის სანაპიროსთან. იტალიელი ვაჭარი, დიპლომატი და მოგზაური იოსაფატ ბარბაროა, რომელსად დიდი ხნის განმავლობაში (1436.-1456წ) უცხოვრია იტალიურ ფაქტორიაში, ტანაში (დონის შესართავთან) ის შესწრებია ნოღაელთა (მონღოლური ტომების) ჩამოსახლებას შუა რუსეთის სტეპებიდან დონის და ყირიმის მიმდიბარე ტერიტორიებზე. თვალნათლად ჩანს ის სურათი, რასაც ქართველი მემატიანე დიდი თურქობას უწოდებს. ნათელია ამ გამანადგურებელი პროცესის მთელი სიღრმე და შესაბამისად, ამ მოვლენის აღმკვეთი ღონისძიება, რაც გაუტარებია დიდ დავით აღმაშენებელს მათ განსადევნად:

„დავუბრუნდები ტანას შესახებ თხრობას. მე გ ავყვები დასავლეთ სანაპიროს, ზაბაკის ზღვის გაყოლებით, ხოლო მისგან გამოსვლის შემდეგ მოვბრუნდები

მარცხნივ. შემდეგ გავივლი ცოტაოდენს, დიდ ზღვაზე თვით პროვინციამდე წოდებულს სამეგრელომდე თუ ვივლით ტანადან, ნახსენები ზღვის (აზოვის) გაყოლებით, სამი დღის მგზავრობის შემდეგ შეგვხვდება ოლქი კრემუკად წოდებული. აქ მშვენიერი სტეპია და მრავალი და შესანიშნავი ტყე., მრავალი მდინარე. დიდებულები ამ რაიონებში ცხოვრობენ იმით, რომ დადიან სტეპებში და ძარცვავენ, ძირითადად (სავაჭრო) ქარავნებს, მიმავალს ადგილიდან ადგილამდე. აქ მცხოვრებთ მშვენიერი ცხენები ჰყავთ, თვითონ ისინი ძლიერი აგებულებისა და ეშმაკი ხასიათის არიან. სახით ისინი გვანან ჩვენს თანამემამულეებს. პური აქვთ მრავლად, ასევე, ხორცი, სპილენძი, მაგრამ ღვინო არ ა აქვთ. ამ ხალხს იქით არის ოლქები, დასახლებული სხვადსხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებით, მაგრამ არცთუ ძლიერ დაშორებული ერთმანეთს. ეს ტომებია კიპკე- chipce; ტატარიკოსია-Tataricosia- Titarcosia; სობაი-Sobai; kaverta- chaveritei-charbati; ასი ანუ ალანები, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ ზემოთ. ისინი განლაგებული არიან ერთი მეორის შემდეგ სამეგრელომდე, 12 დღის სავალ მანძილზე.ამ სამეგრელოს აქვს საზღვარი კაიტაღებთან(დაღესტანი), რომლებიც ცხოვრო-ბენ კასპიის მთების ახლოს. და ნაწილობრივ საქართველოსთან და დიად ზღვა-სთან, ასევე, მთის ქედთან, გამავალს ჩერქეზეთში. ერთი მხრივ აქვთ მდინარე ფაზოდ სახელწოდებული, რომელიც მას შემოუვლის და ჩაედინება დიდ ზღვ-აში.ამ ოლქის მმართველს ეწოდება ბენდიანი. ის ფლობს ორ სიმაგრეს დასახე-ლებულ ზღვაზე: ერთ ეწოდება ვატი, მეორეს-სევასტოპოლი. ამათ გარდა მათ აქვთ სხვა სიმაგრეებიც. მთელი ქვეყანა ქვიანია და უნაყოფო. იქ არაა პური სხვა ხარისხისა, გარდა ფეტვისა, მარილი აქ მოაქვთ კაფადან. მცხოვრებნი ქსო-ვენ მცირე რაოდენობის ტილოს, საკმაოდ ცუდს. ხალხი აქ ველურია“. (იოსაფატ ბარბარო-მოგზაურობა ტანაში).

ბარბაროს ლიტერატურულ-ისტორიული ნაწარმოები, „მოგზაურობა ტანაში“ რუს ისტორიკოსებს თავდაყირა აქვთ დაყენებული, რომელსაც ჩუმი თანხმობით კვერს უკრავენ ქართველი ისტორიკოსებიც. ბარბარო ერთმნიშვნელოვნად ლაპარაკობს , რომ მისი მოგზაურობის ტრასა მიყვება ზაბაკის (აზოვის) ზღის დასავლეთ სანაპიროს. რუსულ ისტორიულ კვლევებში აზოვის აღმოსავლეთ სანაოპიროა მხოლოდ განხილული. შეუძლებელია ვამტკიცოთ , რომ თავისი დროის განსწავლულ პიროვნებას, ვაჭარსა და დიპლომატიურ მოღვაწეს აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროები ერთმანეთში აერიოს და გაუსწორო მისი მოგზაურობის მიმართულება 500 წლის შემდეგ!

უბრალოდ, რუს ისტორიკოსებს მე-19-ე საუკუნის რეალობა ავტომატურად გადააქვთ მე-15-ე საუკუნეში, რა დროსაც ვენეციელი დიპლომატი მსახურობდა და აღწერა ტომების ის დისპოზიცია, რომელიც მისი ეპოქისათვის იყო დამყარებული. იოსაფატ ბარბარო ნათლად ამბობს თავის სათქმელს, რომ

ტანადან გამოსვლის შემდეგ მიუყვება ზაბაკის ზღვის დასავლეთ სანაპიროს,სანაპიროდან გამოსვლის (დამთავრების) შემდეგ მობრუნდება მარცხნივ, გაივლის ცოტაოდენს შავი ზღვის სანაპიროზე და მივა სამეგრელოს პროვინციამდე. ტანადან გამოსვლიდან სამი დღის მოგზაურობის შემდეგ (სავარაუდოდ, ცხენებზე) მიდის კრემუკამდე. თანამედროვე რუკაზე დაკვირვებთ დავრწმუნდებით, რომ ეს თანამედროვე მარიუპოლის მიმდებარე ტერიტორიაა. ბარბაროს მიერ აქ დანახული მოსახლეობა სამხრეთ ევროპული ტიპაჟია. მათ ის ბიბერდის ხალხს (ტომს) უწოდებს. ბიბერდი-ეს მოგვიანებით „ჩერქეზეთის,“აძიხეს ტერიტორი-აზე ფიქსირებული „ჩერქეზული“ ტომია. 12 დღის სავალ ნაწილზე (ზაბაკის, აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე) განლაგებულია თათრული მოსახლეობა. ამავე ზღვის დასავლეთი სანაპიროს ბოლოს, განლაგებულია ასეების (ოსების) ალანური ტომი.

ზაბაკის ზღვიდა ნ გამოსვლის შემდეგ, დიდი ზღვის (შავი ზღვის) სანაპიროზე ცოტაოდენი მანძილის გავლის შემდეგ მიდის სამეგრელომდე!ცხადია სამეგრელო-ეს ვატია, ანაპა და არა ბათუმი, რომელიც ამ დროისათვის საერთოდ არც კი შედის სამეგრელოს შემადგენლობაში- ის ამ დროისათვის სამცხეს შემადგენლობაში შედის და ჯაყელების (ყვარყვარე-გორბოლა) მამულს წარმოადგენს! რუსული ისტორიოგრაფიული ლიტერატურის დიდი მტკიცების მიუხედავად, რომ ვატი-ეს ბათუმია და სანაოსნო ტრასა ბოსფორიდან ბათუმზე გადის, რბილად რომ ვთქვათ სიმართლეს არ შეესაბამება! სანაოსნო ტრასა, როგორც აღწერილია XIV-XV საუკუნის ლოციაში, ბოსფორი-სინოპა-ვატიას (ანაპა) და არა შემოვლითი გზა ბათუმზე! (დაწვრილებით ნახეთ ზიხებთან) ბარბაროს სიტყვები, რომ სამეგრელოს აქვს საზღვარი კა ტაღებთან (დაღესტანის მონღოლური ტომი) დამაფიქრებელია,თუმცა მისი შესანიშნავი ახსნა მოიპოვებათურქი მოგზაურის, ევლია ჩელების ჩანაწერებში.

საინტერესოა ევროპელთა მიერ დანახული საქართველო მე-15-ე საუკუნის შუა წლებისათვის. 1459 წელს. საქართველოს მეფე-მთავრებს შორის ზავი უკვე ჩამოგდებულია და ხელშეკრულებაც დადებული. პაპი პიოს -II მიერ გამოგზავნილი ელჩისათვის, ლუდოვიკო ბოლონიელისათვის ქართველთა მიერ შეთავაზებული სამხედრო (ქრისტიანული) კოალიცია კონსტანტინეპოლის განსათავისუფლებლად და წარდგენილი 1460 წელს ელჩების მიერ ევროპაში, ასე გამოიყურება:

ბენდას-სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე;

ბაგრატ-იბერთა, რომელნიც აწ გიორგიანებად იწოდებინ;

მანია-გურიის მთავარი;

ფაბია-ანგოსის მთავარი, სხვა წყაროებით რებია-ანაკოფიის მთავარი;

ეს უკანასკნელი დღევანდელი გუდაუთის თავადს ნიშნავს, სავარაუდოდ შერვაშიძეს, ჩაჩს, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე უკვე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული ჩანს. ანაკოფიის თავადი- ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ის აფსილეთის და შესაბამისად სებასტოპოლის (სოხუმის) მთავარი არ არის, ჯერ არ არის. სებასტოპოლისი ბენდიანს და შესაბამისად კოლხეთს ეკუთვნის. რატომღაც კითხვაც კი არავის გასჩენია, თუ სად მდებარეობს ბენდიანის კუთვნილი აფხაზეთი? ცხადია ბენდიანის კუთვნილი აფხაზეთი მხოლოდ ბზიფის ხეობის ჩრდილო-დასავლეთით იგულისხმება! საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომელიც საქართველოს ამ ნაწილში ხდება, აღწერილი აქვს ბატონიშვილ ვახუშტის:

“შემდგომად შეიკრნენ დადიანი მამია და გურიელი მამია. და წარვიდეს ჯიქეთს სპითა, რამეთუ ეკირთებოდნენ ისინი ოდიშს და გურიას. ზღვით ნავითა მისულთა ჯიქეთს, ეწყვნენ ჯიქნი სიმაგრის გამო, ჰყვეს ბრძოლა ძლიერი და აოტნეს სპანი იმერთა, მოკლეს დადიანი მამია და შეიპყრეს გურიელი მამია და დაიხსნა ვერცხლით ძემან მისმან როსტომ და მოვიდა გურიასვე”(ქართლის ცხოვრება; ტომი IV- გვ 811, ტბილისი-1973 წ)

უნდა გავიხსენოთ, რომ რამდენიმე ასეული კილომეტრი საზღვაო საზღვრის მქონე საქართველოს საზღვაო ფლოტი არასდროს ჰყოლია და ხსენებული საზღვაო ლაშქრობა აშკარად იძულებითი ხასიათს ატარებს. ოდნავ განსხვავებულია ცნობები თედო ჟორდანიასთან ქრონიკებში:

„-ქ’კსა: სკა: დადიანი მამია და გურიელი მამია წავიდეს ჯიქეთს საბრძოლად ზღვით ნავებითა და შეიბნეს თვესა იანვარს ალ: პირველსა დღესა ამათ გაემარჯვა. მეორე დღესა პარასკევს, განრისხდა ღ-თი ოდიშელთათვის უღალატეს და გამოექცნეს დადიანი და გურიელის ლაშქარი დაუტეევეს. მოეხვივნეს ჯარნი და შეიბნეს ; მრავალი დახოცეს დადიანმა, გურიელმა და გურიელის ლაშქარმა; მოკლეს გურიელის შვილი გიორგი, დაღალულნი (დამალულნი) ომისაგან შეჩვენებულმა ცანდიას ინალდაფითა გაინდუნა; (29)დადიანი გააშიშვლეს სრულიად, შიშველი დაჭრეს; გურიელნი და სამნი მისნი ძმანი და მისი ეპისკოპოსი და მისი ლაშქარი ტყვედ ყვეს. წავიდა მალაქია კ ათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალ-ნი და მკვდარნი ფასით იყიდა და მისნი აზნაურისშვილნი“ (თ ჟორდანია; ქრონიკები. ტII გვ 378-379)

1)როგორც აღვნიშნეთ, ეს საზღვაო ლაშქრობა იძულებით ხასიათს ატარებს. მეგრელ-გურულთა, როგორც ყველა ქართველთა ჩვევაა ამხედრებულებმა იბრძოლონ, თუმცა ამ შემთხვევაში ეს გამორიცხულია:ცხენებს ნავებით ვერ გადაიყვამდნენ. ცხადია, აქ დამოუკიდებლობა მოპოვებულმა აბაზგეთმა გაერთიანებული ლაშქარი არ გაატარა!

2)მართალია ვახუშტი 200 წლის შემდეგ ლაშქრობის მიზეზად ჯიქთა ოდიშისა

და გურიის ადრინდელი დაწიოკებას მიიჩნევს, ხოლო ჟორდანიასეული ქრონ-იკები მიზეზზე საერთოდ დუმან, ომის მიზეზი უფრო ღრმად მოჩანს საძიებე-ლი.

3)როგორც ქრონიკა აღნიშნავს, პირველ დღეს გურულ -ოდიშართა გაემარჯვ-ნათ, მაგრამ მეორე დღეს ღალატით დამარცხდნენ. მაგრამ ვინ იღალატა? ღა-ლატი მხოლოდ შინაურს შეუძლია, მტერი მაინც მტერია...თუ დავაკვირდებით კონტექსტს, აშკარა ხდება, რომ ეს ოდიშელთა ლაშქარია...**დადიანის და გურიე-ლის ლაშქარი მიატოვეს...მრავალი დახოცეს დადიანმა, გურიელმა და გურიე-ლის ლაშქარმა...**სავარაუდოა, რომ დადიანის კოლხურმა ლაშქარმა არ მოინდო-მა ბრძოლის გაგრძელება ჭანებსა და ზიხებთან, ასევე მეგრელებთან...

4)ცანდია ინალდაფითა (ინალ-იფა, ინალიშვილი) სახელის მიხედვით აშკარად ჭანი ჩანს, ხოლო სიტყვა გაინდუნა-ეს სავარაუდოდ არ დანდობას ნიშნავს. (გვა-რი დღესაც მეგრულ სინამდვილეში ფიგურირებს) მთავარი შედეგი დადიანის დაჭერა და მოკვლა არ უნდა იყოს....

5)როგორც იოსაფატ ბარბაროს ცნობებიდან ირკვევა, შავი ზღვის ჩრდილო სანა-პიროს მთლიანად აკონტროლებენ მეგრელები (კოლხები, აფშილები, ჭანები და ზანი-ზიხები) გარდა ანაკოფიის მონაკვეთისა, რომელსაც აბაზგები (არლანები) ფლობენ (სავარაუდოდ ასევე ჭანების კეთილი ნებით). ბარბაროსვე ცნობით ირ-კვევა, რომ მთელი ამ მხარის დომინანტი (სავარაუდოდ თემურ -ლენგის ზიხე-ბის ამაოხრებელი ლაშქრობის შემდეგ) სამეგრელოს მთავარი დადიან-ბედი-ანია.

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ მალე, 1475 წლიდან, ოსმალეთის პორტა ყირიმის სუზერენიც გახდა. ვაჭრობის მონოპოლია, როგორც ბიზანტი-ასთან, ასევე ოსმალეთთან, ზღვისპირა ქართველური ტომებისა ჩანს. თუ ბი-ზანტიის პირობებში, სადაც მონებით ვაჭრობა აკრძალული იყო, ოსმალეთის შავ ზღვაზე გაბატონებასთან ერთად ეს ხელობა აყვავებას იწყებს. ვაჭრობის მთელი მონოპოლია სამეგრელოს თავადობის ხელში უნდა ყოფილიყო კონცენ-ტრირებული. გარდა ამისა, XVI- საუკუნის დასაწყისში, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე შირვანიდან ჩრდილო კავკასიის გამოვლით შემოსული ჩანს აფხა-ზური(ჭანური) და დეილემის ტომები. თავისუფლებისმოყვარე ბუნებიდან გა-მომდინარე, ისინი ტრადიციულად ვერ ჰგუობენ ფეოდალურ- პატრონყმურ წყობას. (თემას მოგვიანებით დაწვრილებით განვიხილავთ). ამავე დროს ჩრდი-ლო სანაპიროს მცხოვრები ადგილობრივი ტომებისათვის აქტუალური ხდება სამეგრელოს მთავრისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი.აბაზგების ამოცანა კი ამ ეტაპზე დამოუკიდებლობის შენარჩუნება- განმტკიცება ჩანს. სა-კუთარი ამოცანების გადაწყვეტა ყველამ მეტ-ნაკლებად მოახერხა, დადიან-ბენ-დიანის უფლებები შემცირების ხარჯზე:

1)აფხაზურმა და დეილემურმა ტომებმა მოახერხეს დადიანისაგან დამოუკიდებლობის მიღწევა და ზღვისპირა გარკვეული ტერიტორიების კონტროლქვეშ აყვანა.

2)ჩრდილო-შავზღვისპირეთის ქართველურმა ტომებმა მოახერხეს სამეგრელოს მთავრის სუზერენობისაგან თავის დაღწევა. ამასთან მათ დაკარგეს გარკვეულ ზღვისპირა ტერიტორიებზე კონტროლი, რომელის სადაშებმა და დეილემებმა მოიპოვეს.

3)აბაზგეთმა შესძლო საკუთარი სუვერენი ტეტის დაცვა-განმტკიცება, რომელიც მალე დადიანის კუთვნილი აფსილეთის ნაწილი მიერთებითაც დაგვირგვიმდა,

4)სამეგრელომ წააგო ომი მოპირდაპირესთან, დაკარგა არცთუ ისე დიდი ხნის მოპოვებული უფლებები ჯიქეთზე, უახლოეს მომავალში დაკარგა აფსილეთის დიდი ნაწილიც, ხოლო თავად დადიანმა-სიცოცხლე.

უნდა აღინიშნოს, რომ ანაკოფიისა (მდინარე ბზიფის) ჩრდილო დასავლეთით მდებარე ტერიტორიები ჩამოსცილდა ქართულ (მეგრულ) პოლი ტიკურ წარმონაქმნს ტერიტორიულად, თუმცა სასულიერო ერთიანობას ქართველურ სახელმწიფოსთან კიდევ საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებს. მტკიცებულება ქართულ სასულიერო ლიტერატურაში საკმაოდ მოიპოვება, თუმცა სათანადო ყურადღება ამ თემაზე არ გამახვილებულა. (თემას ქვემოთ დავუბრუნდებით)

ქრონოლოგიურად შემდეგი ავტორი, ვინც ჩვენთვის საინტრესო რეგიონს აღწერს, არქანჯელო ლამბერტია, იეზუიტი იტალიელი სასულიერო მოღვაწე, რომელიც დიდი ხანი მოღვაწეობდა საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში. მისი ისტორიული ნაწარმოები „სამეგრელოს აღწერა“ დაწერილია 1654 წელს. ნაშრომში მოყვანილი სინამდვილე ასახავს სამეგრელოს (და აფხაზეთს) იმ საზღვრებში, რომელიც იმ დროისათვისიყო ფიქსირებული.

„კოლხიდა მდებარეობს იმერეთის (აგრეთვე ბაში-აჩუქად წოდებულისა) და აფხაზებს შორის, იმერეთი აღმოსავლეთით აქვს და აფხაზეთი ჩდილოეთით,. იმერეთისაგან მას ყოფს სახელგანთქმული მდინარე ფაზისი, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება რიონად. ეს მდინარე გამოდის კავკასიის მთებიდან. მას შეერთვის მეორე მდინარე, სახელად ცხენის-წყალი) რომელსაც ძველი ბერძნები ჰიპოსად (ცხენი) უწოდებენ. რიონი ჰყოფს აგრეთვე სამეგრელოს და გურიას, და ბოლოს წყნარად შეერთვის ზღვას სებასტოპოლისის მახლობლად, დღეს კი წყალში ჩანთქმულია. კოლხიდის საზღვარი აფხაზების, ანუ აბაშების მხრით მდინარე, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და ჩემის აზრით კი ძველი კორაქსია. სამხრეთის მხრივ კოლხიდის საზღვარია შავი ზღვა ანუ ევქსენუს პონტუსი, რომლის უკიდურესი ადგილი სტრაბონის სიტყვით სწორედ აქ არის.

ჩრდილო- დასავლეთით იწყება კავკასიის მთების „ზურგი“ (არქანჯელო ლამ-ბერტი, სამეგრელოს აღწერა; გვ-23, „მთაწმინდა“, თბილისი 2011წ)

მართალია არქანჯელო ლამბერტი ცნობილ გეოგრაფს, სტრაბონს იმოწ-მებს, თუმცა გეოგრაფიის ცოდნით ვერ დაიკვეხნის. ქალაქი ფაზისის ანტიკური ნანგრევები პალიასტომის ტბასთან სებასტოპოლისი ჰგონია , გაცილებით ჩრდილოეთში მდებარე ასევე ანტიკური ქალაქის ნანგრევები. სამეგრელოს აფ-ხაზეთის (აბაზგეთის) მხრიდან საზღვარს მდინარე კოდორს ასახელებს ლამ-ბერტი თუმცა:

„მართალია ზღვის მხრიდან ზოგან არც ტყე არის და არც ჭაობი და იქიდან მტე-რი ადვილად შესძლებდა შემოსვლას, ამ ადგილების დასაცავად აუშენებით რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც:რადგან ერთ ადგილს, რომელსაც ოდუშე ჰქვია, მთები გახსლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოს-ვლა და ქვეყნის აოხრება, -დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი. სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა იქ აუშენებიათ კოშკები, რომელშიაც დგანან თოფით შეიარაღებული მცველები. რომ ამ კოშკებს დარაჯი არასდროს არ მოაკლდეს, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებს და დიდებულებს თავის შო-რის მორიგეობა გაუნაწილებიათ თვეობით, ისე რომ თითოეული თითო თვეს იცავს ამ ადგილებს თავისი კაცებით (იქვე; გვ-188)

მართალია არქანჯელო ლამბერტი არ მიანიშნებს კედელის კოორდინა-ტებს, თუმცა მისი ადგილმდებარეობის ზუსტი ადგილი საყოველთაო ცნო-ბილია, ის კელასურის დიდ კედლად იწოდება:

„შემორჩენილია ლევან II დადიანის მიერ აფხაზი ფეოდალების შემოსევის შესა-ჩერებლად XVII საუკუნეს აშენებული სასიმაგრო ნაგებობათა სისტემა (საერთო სიგრძე 60 კმ) კედელი იწყება მდინარე კელასურის შესართავიდან, მიუყვება მდინარის მარცხენა ნაპირს, შემდეგ უხვევს ჩრდილო -აღმოსავლეთისაკენ და ფანავის ქედის ძირის სამხრეთის მხრიდან გრძელდება მდინარე ღალიძგის ხეობაში“ (ბერაძე თ; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომიV; გვ-462 თბილ-ისი 1980წ)

ცხადია მდინარე კელასურის მარცხენა სანაპიროზე დაწყებული კედელი, რომელიც მდინარე კოდორის ჩრდილო-დასავლთითაა მთელი 15-კმ-ით, ფაქ-ტიურად ნეიტრალური ტერიტორიაა ოდიშის პრიორიტეტით. მდინარე კელა-სური თითქმის შუაზე ყოფს აფშილთა საცხოვრისს, ამდენად ლამბერტის ცნო-ბები მთლად კორექტული ვერა ჩანს. რაც შეეხება ჩრდილოეთის მხარეს, დალის ხეობას, თავდასხმები ოდიშზე აქიდანაც ხორციელდებოდა, თუმცა ისინი სხვა, აბაზთაგან განსხვავებული ტომები იყო და მათ შესახებ სხვა თავში გვექნება სა-უბარი. საინტერესოა, რომ ლამბერტის აღწერილ საზღვრებში ხვდება დღევან-

დელი დრანდის ტერიტორია და მოქმედი საეპისკოპოსო დრანდაში, თუმცა ჟან შარდენის დროისათვის ეს ეკლესია ეტყობა აღარც მუშაობს და კოდორს იქითა ტერიტორია აფშილეთისა მთლიანად აბაზგეთის საზღვარშია მოქცელი.

ოდნავ წინ გავუსწრებთ მოვლენებს , დავარღვევთ ქრონოლოგიას , 1672 წელს დასავლეთ საქართველოზე გაიარა და აღწერა მოგზაურმა და დიდვაჭარმა, ებრაული წარმოშობის ფრანგმა, ჟან შარდენმა:

„კოლხიდა მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება პატარა სამეფო,რომელიც საქართველოს ნაწილს შეადგენს და რომელსაც ადგილობრივი მთავრები იმერეთს, თურქები კი ფაშაჩუკს ანუ ფაშა ქუჩუკს უწოდებენ , რაც მცირე მთავარს ნიშნავს. სამხრეთით კოლხიდას შავი ზღვა აკრავს, დასავლეთით აფხაზეთი, აღმოსავლეთით კავკასიის მთები. ეს ქვეყანა გადაჭიმულია ზღვიდან მთამდე, სიგანით კი აფხაზეთიდან იმერეთის სამეფომდე. მას საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიკოსების მიერ ცნობილი მდინარეები, რომელიც დღეს კოდორისა და რიონის სახელწოდებითაა ცნობილი. (შარდენის მოგზაურობა; გვ-107, თბილისი 1975 წ)

საყურადღებოა რომ დასავლეთის პოლიტიკური საზღვარი აფხაზეთთან უკვე მდინარე კოდორია, და არა კელასური.რატომ? როგორც ცნობილია, ლევან II დადიანი გარდაიცვალა 1657 წელს. ლევან დადიანის მერე ვერ ხერხდება კელასურის დიდი კედლის სისტემატური დაცვა. პოლიტიკური საზღვარი მდინარე კოდორზე, ბუნებრივ ზღუდეზე გადმოდის. აფშილთა ტომი მთლიანად რჩება სამეგრელი-აფხაზეთის პოლიტიკურ საზღვარს დასავლეთით, აფხაზთა მხარეზე.

პირველხარისხოვანი ცნობები , ფაქტიურად ფასდაუდებელი, მოიპოვება თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების „მოგზაურობათა წიგნში“. ჩვენთვის სა ინტერესოა ეპიზოდი , როდესაც ჩელები შავი ზღვის აღმოსავლეთით მოგზაურობს, მე-17-ე საუკუნის შუა წლებში:

„300 მსროლელი იანიჩარის და ხუთი მენიჩბის თანხლებით, გავემართეთ ლაზური ბარკასებით, მუნკესილებით. ისინი კეთდება ძველი ჭადრისაგან, რომელიც იზრდება მდინარე ჭოროხთან. შედგება სამი ფიცრისაგან, ორი მათგანი წარმოქმნის ბარკასის კედლებს, მესამე ფსკერს. კედლები შემოჭედილია ლელქაშით, ორჯერ უფრო მსხვილი ადამიანის მაჯაზე და ეს გარსსაცმი იცავს მას ქარიშხლის დროს ჩაძირვისაგან, რომელიც მძვინვარებს შავ ზღვაზე, უკავიათ რა მუნკესილები წყალზე როგორც საცობი.მათ არა აქვთ კიჩო და არც საჭე. ისინი ერთნაირია ორივე მხრიდან და ეწოდება მუნკესილები. ასეთი ბარკასით ჩვენ გამოვცურეთ გონიიდან. ზურგქარის დახმარებით მივედით ნავსადგურ სოფარში, სამეგრელოს საზღვარზე. ნავმისადგომზე (iskele, scala, echelle). შესამჩნევია ძველი ნავმისადგომის კვალი, ხოლო ნავმისადგომ იარისაში ციხის ნან-

გრევები, სადაც ახლა თხების სადგომია. ნავმისადგომი რაიჯი (ridjer) ასევ ნავ-სადგურის გარეშეა, არის ციხე სიმაგრის ნანგრევები. ეს ხუთი ნავმისადგომი ყველა არის სამეგრელოს საზღვრებში, მხოლოდ ზაფხულში მოდიან მონებით მოვაჭრეები. მთებში ცხოვრობენ მეომარი მეგრელები 40000 დან 50000-მდე. ჩა-ვუარეთ რა ამ ნავმისადგომებს, შემდეგ დღეს მივედით მდინარე ფაზისამდე, გონიოდან ასი მილის მოშორებით" (ევლია ჩელები:თურქი მოგზაურის მგზავ-რობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე; თარგმანი ფ. კ. ბრუნი -1875 წ)

პირველ რიგში გარკვევით უნდა ითქვას თუ რა მდინარეა ჩელებისე-ული ფაზისი, რომ ყოველგვარი ორმაგი წაკითხვის შანსიც კი არ არსებობდეს (თავად ბრუნი მის ფაზისად, რიონად ჩათვლასაც კი არ გამორიცხავს. სტრიქო-ნების ავტორს უნახავს შავი ზღვის იტალიური რუკები, სადაც სახელწოდებით „ფაზო"-მდინარე ჭოროხია აღნიშნული) მანძილი ევლია ჩელებისეული გონი-ოდან :"ფაზისამდე"-ასი მილია. ჩელების პერიოდისათვის რომაული მილი უკ-ვე ისტორიის კუთვნილებაა, ხმარებაშია ინგლისური-ევროპული მილი.

1 სახმელეთო მილი-1609 მეტრი.

1 საზღვაო მილი უდრის 1853 მეტრი.

1. ჩელები, რომელიც საზღვაო ტრანსპორტით მოძრაობს, სავარაუდოდ საზ-ღვაო მილს ხმარობს. მანძილი გონიოდან კოდორამდე ხმელეთის გასწვრივ 175-185 კმ-ია, რაც ზუსტად ემთხვევა ჩელებისეულ 100 მილს.

2. თითქმის ჩელების თანამედროვე ჟაკ შარდენისა და არქანჯელო ლამბერტის მიერ სასაზღვრო მდინარედ სამეგრელო-აფხაზეთს შორის დაფიქსირებულია მდინარე კოდორი.

3. ევლია ჩელების მიერ ნახსენები ნავმისადგომი echelle- იტალიური იმავე პე-რიოდის რუკების მიხედვით ის მდინარეა, რომელიც უშუალოდ აღმოსავლე-თიდან ჩამოუდის ზღვის სანაპიროზე მდგომ ეკლესიას. რასაკვირველია ეს წმინდა გიორგის სახელობის ილორის ეკლესიაა, მდინარე -კი ღალიძგა, რომე-ლიც სავარაუდოდ ამ პერიოდისათვის ეგრის წყალის სახელს ატარებს (მტკიც-დება ვახუშტის გეოგრაფიითაც) ფაზისი- ეს უდიდესი მდინარეა სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარზე, რომელიც ჩელებისეული echelle-ს დასავლეთით მოე-დინება. რასაკვირველია ის მხოლოდ მდინარე კოდორი შეიძლება იყოს. როცა „ფაზისის" საკითხი საბოლოოდ გარკვეულია, სამეგრელოს დანარჩენი ნავმი-სადგომების განსაზღვრა ძნელი არ უნდა იყოს. პირველი მიტოვებული ციხე სიმაგრე, სადაც ჩელების მიხედვით თხებია დამწყვდეული, მხოლოდ ციხისძი-რი (პეტრა) შეიძლება იყოს- ჩელებისაგან იარისად წოდებული. მეორე ციხე ზღვის სანაპიროზე-ეს ბერძნების მიერ აშენებული კიგნი უნდა იყოს (იგივე კინ-დღი)-რაიჯად, ციხედ წოდებული ჩელების მიერ. (ანაკლიის ოსმალური ციხე იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო აშენებული)

სურიი-ეს სავარაუდოდ რიონის ზემოწელი აღნიშნული იმავე დასახელების ქალაქი უნდა იყოს. Echelle-როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელი ოჩამჩირის ტერიტორიაზე, მდინარე ღალიძგაზე (იმ დროის ეგრის წყალი) არსებული ნავმისადგომია... Iskele-ეს შარდენისეული ისგაური (სქურჩა) უნდა იყოს.

„ჩავუარეთ რა ამ ნავმისადგომებს, შემდეგ დღეს ჩვენ გავედით მდინარე ფაზოსთან, გონიოდან ასი მილის მოშორებით. ეს მდინარე სიდიდით დუნაის გავს. ზოგიერთ ადგილას აქვს მთელი მილის სიგანე, სხვაგან მხოლოდ ნახევარი მილი, სიღრმით 8-10 საჟენი.წყალი მასში სუფთაა, ისევე როგორც ადამიანის ცხოვრების დასაწყისი. უერთდება გი შავ ზღვას ჩრდილოეთ ნაპირას, 1300 მილი კონსტანტინეპოლიდან. ის გამომდინარეობს კავკასიის მთებიდან, უბურიდან და სადაშიდან, რწყავს ჩერქეზეთს, დაღესტანს, საქართველოს, სამეგრელოს და მათ შორის აფხაზეთს, უერთდება შავ ზღვას. აღმოსავლეთ სანაპიროზე დევს მეგრული სოფლები, დასავლეთით აფხაზური და ორივე სანაპირო დაფარულია ხშირი ტყით. ორივე ხალხი ჰპარავს ერთმანეთს ბავშვებს ორივე სქესისას და ჰყიდიან მონებად. გადავლახეთ რა ფაზისი, ჩვენ გავემართეთ დასავლეთისაკენ. მივდიოდით მთელი დღე შავი ზღვის სანაპიროზე. ეს ხმელეთი გადაჭიმულია ფაზისიდან ანაპის ციხემდე, ტამანის კუნძულთან ახლოს“ (იქვე)

ჩელები აქ სამეგრელეოსა და აფხაზეთს შორის საზღვარს აფიქსირებს, მდინარე კოდორს, თუმცა როგორც ირკვევა, ეს პოლიტიკური საზღვარია და არა ეთნიკური. საინტერესოა ევლია ჩელებისეული სიცოცხლის ხე, რომელიც მუსულმან ჩელების არაბი ეთნარქისაგან მოყავს:

„მათი ბიძა არაბი გახდა ომანის მფლობელი, და კისი, მათი მამა და ორ ძმა, ლაკზი და აბაზი, ხალიდ ბენ-ვალიდისაგან ლტოლვილები, მივიდნენ თავიდან კონიაში, მერე კონსტანტინეპოლში...აქ ჯორუგის (ჭოროხის) სანაპირო ციხე-სიმაგრე გონიოთი დაეთმო ლეზგებს, რომლებიც ასევე არაბული წარმოშობისანი არიან. აბაზებმა მიიღეს ქვეყანა, რომელსაც დღესაც მათი სახელი ჰქვია. ასე რომ ჩერქეზები, ლაზგები, აფხაზები, ალბანელები, არაბულ მუხლს, ტაი-ს და კისს მიეკუთვნება, კორეიშების გვარისას“ (იქვე)

დამაფიქრებელი და დასაფიქრებელი მსჯელობაა!

1. ჩელები, როგორც თავისი დროის განათლებული პიროვნება, ცდილობს პარალელი გაავლოს ჩერქეზებს, ლაზგებს, აფხაზებს , ალბანელებს (უთუოდ ნაგულისხმევია ადრიატიკის ალბანეთი) არაბულ მუხლს შორის. რასაკვირველია არაბული წარმოშობის ტაი და კისი ჩელების მიერ ყურით მოთრეული მცნებებია, თუმცა სხვა ტომების ნათესაობის შესახებ სხვა წყაროებიც ამტკიცებს.

2. ჩელები ხანდახან ხმარობს ტერმინ ლაკზს, ლაზგი, მაგამ მათი განსახლების ადგილი ჯორუგი (ჭოროხი) და ციხე სიმაგრე გონიო მხოლოდ მათ ლაზობას ამტკიცებს.

3. ჩელები გონიოსთან მცხოვრებ ლაზს და აფხაზს ძმებად ასახელებს, რაც აფ-ხაზთა სახელით აბაზგთა გულისხმობას საერთოდ გამორიცხავს (რაც მისივე მემუარების გაგრძელებაში თვალნათლივ მჟღავნდება კიდეც)

4. ევლია ჩელები, თურქი ემისარი, ბიზანტიის და კონსტანტინეპოლის სამარ-თალმემკვიდრე, დაჟინებით გაურბის ტერმინ აბაზგიას და აბაზგის ხმარებას. ტომის აღმნიშვნელად ის ქართულ აბრავიატურას, აფხაზეთს და აფხაზს იყე-ნებს, ისევე როგორც ქართველები.

5. ასევე უკიდურესად საინტერესოა, რომ ჩელებისათვის ა ფხაზური სანაპირო მდინარე კოდორიდან იწყება და ანაპათი მთავრდება. არც ერთ დროში აბაზ-გთა, ანუ ანაკოფიის საერისთავო პოლიტიკურად თუ ეთნიკურად ანაპამდე არ ვრცელდებოდა (30)

ჩელებისათვის ტერიტორია კოდორიდან ანაპამდე, კავკასიონის ქედის დასავ-ლეთით, პოლიტიკური აფხაზეთია, ერთმანეთთან პოლიტიკურად ნაკლებად დაკავშირებული. კავკასიის ქედს ჩრდილოეთით , ჩელებისათვის ჩერქეზეთია, პოლიტიკურად ასევე ნაკლებად დაკავშირებული. ტომთა შორის განსხვავებუ-ლობას ჩელების მახვილი თვალი ადვილად ამჩნევს:

„აფხაზეთის მთავარი ტომი ჩაჩია, იმავე მეგრულ ენაზე მოლაპარაკე, რომელიც მეორე მხარეზეა გამოყენებული. ისინი საკმაოდ მამაცები არიან. მათი რაოდე-ნობა 10000 კაცამდეა. ისინი არ აღიარებენ ერთ რომელიმე რელიგიას და შფო-თიანი ხალხის თავყრილობას წარმოადგენენ. მათი მთები სავსეა ნაყოფით, გან-საკუთრებით თხილით. კაკლითა და აბრიკოსით. არაბების მსგავსად ისინი შე-იარაღებული არიან მშვილდებით, ისრებითა და შუბით. მხედრობა მათ ნაკ-ლებად ჰყავთ, მაგრამ ქვეითი შესანიშნავი. მათი ნავმისადგომია ლაკია, დასავ-ლეთით ორი დღის სავალზე ტრაპიზუნდიდან, მაგრამ სამხრეთის და აღმოსა-ვლეთის ძლიერი ქარების გამო, გემებს აქ გამოზამთრება არ შეუძლიათ (იქვე)

მოვინიშნოთ, რომ ჩაჩის ტომი მთავარი ტომია აფხაზეთში და იგი ხაზ-გასმულად მხოლოდ მეგრულ **(იმავე მეგრულ)** ენაზე საუბრობს . (აფსილების თემას შესაბამის თავში განვიხილავთ)... და მაინც რატომ ჩაჩი? აქ უხსოვარი დროიდან აფსილებია მოხსენებული და მათი ადგილმონაცვლების შესახებ ცნობები არ მოიპოვება:

„გამოვედით რა აქედან, ჩვენ მივედით ადგილას, სახელით ფენლი პრევოლი, ეს დიდი დასახლების ცენტრია, ტრაპიზონს დაქვემდებარებული. მთელი მო-სახლეობა ჩიჩუა...გავაგრძელეთ რა ჩვენი გზა, მივედით ადგილამდე ხოფა. ეს ლამაზი ადგილია ტრაპიზუნდის მიწაზე. ზღვის სანაპიროზე გაშენებულია ვე-ნახები და ბაღები. მთელი მოსახლეობა-ლაზები-ჩხეტია“ (ევლია ჩელები, მოგ-ზაურობის წიგნი, თავი 2-3, 1983 წ)

ცხადია ევლია ჩელები გურული და ლაზი თავადების, ჩიჩუასა და ჩხეტიას გვარებით იხსენიებს მთელ მათ კუთვნილ სათავადოებს, მათ შორის კუთვნილ გლეხებსაც . ზუსტად ასევე , ჩელები ჩაჩად მოიხსენიებს აფშილეთის მთელ მოსახლეობას, რომლის სუზერენი ახლა ჩაჩია (ჩაჩიბაია- შერვაშიძე)

„შემდეგ დასავლეთისაკენ ზღვის სანაპიროზე დევს ხაფალი, არლანის ტომის სასაზღვრო სოფელი. (ტომი) შედგება 10000 მამაცი ვაჟკაცისაგან. მათი ნავმისადგომია ლაჩიგა. ჩვენ ღამე გავატარეთ ამ ნავსადგურში, სადაც გემებს შეუძლიათ გაჩერდნენ ზამთარშიც და ზაფხულშიც“ (ევლია ჩელები; თურქი მოგზაურის მოგზაურობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თარგმანი ფ.კ.ბრუნი 1975 წ)

ერთობ საგულისხმოა, თუ რატომ არ აღნიშნავს თურქი მოგზაური არლანთა ტომობრივ მიკუთვნებულობას, ის არც მათ ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე აკეთებს აქცენტს...ტერიტორიულად არლანთა საცხოვრისი ყველა დროში და ყველა პარამეტრებით აბსოლუტურად ემთხვევა ანაკოფიის საერისთავოსაბაზგეთს. ცხადია ევლია ჩელების ამ „მცირე აფხაზეთში“ ანაკოფიის საერისთავო უნდა ვიგულისხმოთ, რომლის ერისთავი ჩაჩია(შერვაშიძე) და რომელსაც მიტაცებული აქვს ლაზიკის, შემდგომი სამეგრელოს კუთვნილი აფშილეთი მდინარე კოდორს დასავლეთით. ჩელების სიტყვებით, აქ მთავარი ტომი ჩაჩია (აფშილი) მეგრულ ენაზე მოსაუბრე. ჩელები არლანების ენის შესახებ არ ლაპარაკობს, **(სავარაუდოდ არც იცნობს)** თუმცა ნებისმირ შემთხვევაში ლინგვა-ფრანკა, ტომთაშორისი საურთიერთო ენა მეგრული უჩანთ. ისინი იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რაზედაც დანარჩენი ჩაჩები (თავად ჩაჩიბაიას-ჩაჩბას-შერვაშიძეს ქვეშევრდომები)

„დასავლეთით ორდღიანი სიარულის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ ჩანდების ტომის საზღვარს. ისინი ჭეშმარიტი აფხაზები არიან, რიცხვით 1500-მდე მამაცი ვაჟკაცი და იწოდებიან მთის ჩანდებად. მათი ნავსადგურია კაკური. მათ ახლოს დევს სოფელი ხაკე, გარშემორტყმული ბაღებით ზღვის სანაპიროს გასწვრივ. შემდეგ ასევე მასთან (სანაპიროზე) სამი დღის სავალზე, არის დიდი ჩანდების საცხოვრებელი; ისინი 15000-მდე ვაჟკაცია 25 სოფელში. მათი ნავმისადგომია ჩანდალარი. ზამთარში ის უსაფრთხო არაა“ (იქვე)

საყურადღებოა, რომ მათი მეზობელი არლანების ტომისაგან განსხვავებით ჩელები ჩანდებს ჭეშმარიტ აფხაზებს უწოდებს! არც მიზეზი ჩანს ძნელი მისახვედრი: ზემოთ, გენიოლოგიური ხის აღწერისას, ჩელები ლაზს და აფხაზს ძმებად მიიჩნევს-რასაკვირველია ძმები მხოლოდ ერთ ენაზე საუბრობენ! (მათგან აბსოლუტურად განსხვავებული ჩანს აბაზგური ენა, რის გამოს ამ ენის შესახებ ჩელები ხმას არა ძრავს!

1)სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ჭანები ბერძნულ ლიტერატურაში სანე-

ბად გარდაიქმნებიან!
2)აღმოსავლეთ საქართველოში მათივე თანამოძმე წანარები, იმავე ბერძნულ ლიტერატურაში სანარებად გარდაიქმნებიან.
3) შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე უხსოვარი დროიდან მოსახლე ჰენიოხები, კენები, იმავე ბერძნული წყაროს სანიგები ხდება.
4)ამავე ხალხი, ჩელებისეული (Chand)-ქართველი ისტორიკოსების მიერ წაკითხულია ცანდებად....

რასაკვირველია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელი ერთი ტომის, ჭანების კუთვნილი დამახინჯებული სახელებია (ლათინური ანბანში ქართულ მთელ რიგ ასოებს არც წერს და არც გამოთქვამს-ჭ; წ; ც;ყ; მოყვანილ ასოებს როგორც წესი, -ს- ასო ცვლის. ზემოთ მოყვანილ სახელებში ასოები აღდგენილი და ჩასმულია მთარგმნელის შეხედულების მიხედვით. რასაკვირველია განსხვავებით ანაკოფიის საერისთავოსი, რომელიც ლაპარაკობს აბაზგურ (და სავარაუდოდ მეგრულ) ენაზე, ჭანიდები ჭანურ, „ჭეშმარიტ აფხაზურ“ და შესაბამისად საკუთარი ძმის, ლაზურ ენაზე საუბრობს (და რომელსაც არცთუ მცირეოდენი სხვაობა კოლხურ ენასთან უჩანს) ჩელების უაღრესად საინტერესო ჩანაწერების პუბლიკაციას აქ დროებით ვწყვეტთ, მისივე ნაწერებში ჩვენთვის საინტერესო ჰენიოხ-სანიგთა ტომის დაფიქსირების შემდეგ.

ისტორიული ექსკურსი

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა შეუფასებელმა დოკუმენტმა, შემონახული ისტორიის ანალებში სახელწოდებით „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხობის დიდი დავთარი“ წიგნის სათაური მიგვანიშნებს, რომ იგი ეკუთვნის „დიდ აფხაზეთს“, რომელიც აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვრცელდება, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით... წიგნი მოძიებულია და გამოცემულია სერგი კაკაბაძის მიერ. ხელმოწერის ბოლო ფურცელზე მიწერილია: „ჩაწერილ არს კომიტეტსა შინა საეკლესიო ჩყლვ წელსა, (1835 წ N111 ქუთაისი) ზემოთ მოხსენებული დავთარის ჩანაწერი დამთავრებულია,როგორც ბოლო მინაწერიდან ჩანს 8 ნოემბერი 310 ქორონიკონს (1621 წელი). მასში ჩამოთვლილია დასახლებული პუნქტები და იმ გლეხობის სიები, რომელთაც აფხაზეთის საკათალიკოსოს წინაშე გარკვეული ვალდებულებები და ბეგარა გააჩნიათ. დასახელებულია გვარებიც კი.

არს ნაჟანეულს: სასახლე: და: მრთებლი: გამოსავალი: მოსაკრებელი:

დასახელებულია მრევლის გვარები:უჩაია, ჯაკობია, დიდია, ჯგუბურია, ბუბუტია, სუბუქია, შუშანია, კუატარია, აბრამია, მჭითანა, ძაძუა, მარსალია, სა-

მელია, გოგილა , მარტოფია, ხისტარია, ცისტარია, ლოგუა, კოდია, რუსაყია, ელიშია, კონჯარია, ჭვიტიშია, ფიოლია, კოტარია, კონტარია.

არის: ხოირს: სასახლე; და მრთებლი: გმსვლი: მოსაკრებლისა.

დასახელებულია გვარები: დიდია, ჩაგუა, ლასურია, მუზურგია, მულია, ქუნია, ჯიტა, გრიგოლია, ჯიქია, ბიჭვა, დამკოჩია, ხუხულია, ამბალია, ჯომნია, კაკუა, ქურია, კოსატაია, გამკერვლია, ხერგუა.

ქართული ისტორიოგრაფია ნაჟანეულსა და ხოირს შესაბამისად გალის რაიონის სოფლებად, აჩიგვარად და ოხურეიდ გულისხმობა, რაც აბსოლუტურად არ შესაბამება სიმართლეს:

„საფიცარი წიგნი ყვაპუ შერვაშიძისა გრიგოლ კათალიკოსისადმი.

....ესე საფიცარი ფიცი და წიგნი მივეცით ჩვენ შერვაშიძემ ყვაპუმ და ჩვენმა შვილმა ავთანდილ, თქვენ კათალიკოზ ბატონ გრიგოლს, ასე და ამა პირსა ზედან რომე ჟამთა ვითარებითა ქვეყანა ამოწყდა და საკათალიკოზო ნაჟანეური და ხირული კაცები ჩვენა გვყავს, თავს ხატისთვის და მემ (sic)თქვენთვის სამსახუროთ მომირთმევია, თავს და ერთი მოსახლე კაცი ბაბადიში კონდარია, მეორე მოსახლე ხუცესი ღრუბელაია, მესამე მოსახლე კაკა ელიშია, მეოთხე მოსახლე ზუმალეი კოდია, მეხუთე მოსახლე ჯიმადიში უჩაძე, მეექვსე მოსახ--ლე მამაკოჩი სუბუქია, მეშვიდე მოსახლე ხუხუტა ჯგუბურია, მერვე მოსახლე ციცორია, მოჯალაბე ბაძღალეი მარკოზია, ამის გარეთ მოსახლე სახირო მიამია ბიგვავა და ათი მოსახლე კაცი მოჯალაბიანად როგორც ცხვა ქათალიკოსს სახურობდა (sic)აგრეთვე გემსახუროთ და თქვენი სამსახური არ დაუშალოთ და არც ჩვენგან ამ კაცებს არც აყრით და არც გაყიდვით არა უშავდეს რა. აწ ამის თავდებით გასათავისუფლებლად მომიცია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი, ქვეყნისანი, უხორცონი და ხორციელი. ამაზე მიწერილს წმინდათ მადლმან ხელით მართალის გულით ჩაგვირთავ“ აქ დასმულია ჯვარი; თ. ჟორდანია, ქრონიკები 1696-1704 წ

როგორც მკითხველი ადვილად მიხვდება, ყვაპუს წერილის შინაარსი აფხაზეთის კათალიკოზისადმი ისაა, რომ სადღაც ყვაპუს სამფლობელოს მახლობლად საეპისკოპოსო ნაჟანეული და ხოირი მთლიანად გამწყდარა, ისე რომ კათალიკოსს ამის შესახებ ვერც ვერაფერი გაუგია! იმისათვის, რომ აღსდგეს მე-18-ე საუკუნის დამდეგის აქ აღწერილი სრული სურათი, აუცილებელია დაწვრილებით იქნას განხილული სამეგრელო-აფხაზეთს შორის იმ პერიოდისათვის დაფიქსირებული საზღვარი და აფხაზეთის (დიდი აფხაზეთის) რეგიონებად დაყოფის ვერსია:

„სორეხ შარვაშიძემ და მისმა სახლიკაცმა ყვაპუმ, მათი მომხრე აფხაზი ფეოდალების დახმარებით, რამდენჯერმე სცადეს ენგურის დასავლეთით გადასვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ მტკიცედ დამკვიდრდნენ

ოდიშის ჩრდილო ნაწილში, ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე შეიქმნა XVII საუკუ-ნის ბოლოს მდინარე ენგური აფხაზეთისა და ოდიშის საზღვრად“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები; ტომი IV გვ354, თბილისი 1973წ)

...და რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, წყაროდ დასახელებულია ვახ-უშტის ქართლის ცხოვრება!

„ამას ჩრდილოით დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მას-ვე სუანეთს და ოდიშს შორის კავკასს, მოდის აღმოსავლიდან დასავლეთად, მო-ერთვის ზღვას ანაკრიას...კუალად ამ ეგურს ჩრდილოეთით დის დადის წყალი (ოქუმი) წოდებული დადის დაბის გამო...გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავ-კასსა, და მიდის დასავლად, და მოერთვის ზღუას. ამ დადის წყალს ჩრდილო-დასავლად დის ეგრის წყალი, წოდებული ეგროსად , თარგამოსის გამო. გამოს-დის მასვე კავკასს დის დასავლად და მოერთვის ზღვას ილორს.ხოლო ზღვის კიდეზედ, ამ წყლის დასავლეთს კიდეზედ, არს ილორის ეკლესია წმინდას გი-ორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქვისა და უძეს სამხრით ზღუა და ჩრდილოთ ველი...აქ მოიყვანს ხარს ყოველწლივ ი“ ნოემბერს, რომელსა დაჰკლავენ და განიყოფენ მეფე დიდებულითურთ გარნა არა ფრიად სასწაულმოქმედი ჭეშმარიტსა ზედაცა“ (ქართლის ცხოვრება; ტომიIV, გვ-779-780 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსი საქართველოსი, თბილისი -1973 წ)

როგორც ვხედავთ, ვახუშტის მიერ მდინარე ეგური (ენგური) არც პირდა-პირ და არც ირიბად მეგრელ- აფხაზთა საზღვრად არაა მოხსენებული. უფრო მეტიც, ენგურიდან გაცილებით ჩრდილო- დასავლეთით მდებარე ეკლესია ილორისა მოქმედი ჩანს და ეკლესიისათვის შეწირულ ხარის ხორცს მეფე (უცი-ლებლად იმერეთისა ან სამეგრელოსი) და დიდებულები ინაწილებენ კიდეც...

“ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა (იგულისხმება ღალიძგა), მთასა შინა არის ეგრი, სადაც მოვიდა პირველად ეგროსი, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალა-ქი და და ზღვარი თვისი... არამედ მას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელი დასუა მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთსა , ვინაიდან ჰპოვა ბედი. მერმე აფხაზთა მეფე ლევანისაგან განიყო, და ცხომის ერისთავი სხუა, ბედიისა სხუა, აფხაზთა სხუა, თამარ მეფემდე ესრეთ. შემდგომად რუსუ-დანისა- ოდიშისა დადიანი, და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა,აქავ ბედიას, აღაშენა ნ-დ მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ-შუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა ფრიად. ამისთვის წერილ არს: ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ ნ-დ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ. დას-უა ეპისკოპოზი ოდიშისა და აწცა ზის, და მწყემსი არს დადის-წყლისა და მოქ-ვის წყლის შუათისა ადგილისა” (იქვე)

ბაგრატ მეფის მიერ აშენებული ბედიის ეკლესია ოდითგანვე ოდიშის კუთვნილება ყოფილა, თუმცა ვისი კუთვნილება იყო ის მე-18-ე საუკუნის პირ-

ველ ნახევარში, როდესაც ვახუშტი თავის გეოგრაფიულ ტრაქტატს ადგენს?
„ხოლო ამ ეგრის მდინარესა(ღალიძგა) დასავლით დის მოქვს მდინარე ჩრდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მოერთვის ილორს ზღუას. ამ მდინარესა ზედა მთაში არს მოქუს ეკლესია, გუნბათიანი, დიდნაგები. აღაშენა ის მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქუს დის მოქუამდე (იგულისხმება სოფელი მოქვი) აღმოსავლიდან დასავლად. ხოლო მოქუს მდინარის დასავლად დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორისა და ანაკოფიას შორის ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი"(იქვე, გვ780-781)

არქანჯელო ლამბერტს „სამეგრელოს აღწერაში" მოცემული აქვს სამეგრელოს ექვსი საეკლესიო კათედრა: დრანდა, მოქვი, ბედია, ცაიში, წალენჯიხა, მარტვილი. დრანდისა და მოქვის კათედრალი, ბატონიშვილი ვახუშტის მიხედვით, უკვე უმოქმედო ჩანს! ბედიის მოქმედი ეკლესია მდინარე მოქვის გაყოლებით, ისევე როგორც ადრე, ოდიშის ადიმინსტრაციულ ერთეულს შეადგენს! ვახუშტის მიხედვით, საზღვარი მდინარე მოქვი ჩანს და არა ენგური!!!
ქრისტიანობისაგან ზურგ შექცეულ აბაზგების კონტროლირებად ტერიტორიებზე, მდინარე მოქვის ჩრდილოეთით ღთისმეტყველება შეწყვეტილია, განსხვავებით ოდიშის კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ილორის და ბედიისა. საზღვარი სამეგრელო-აბაზგეთისა მდინარე მოქვს გაყვება! ცხადია, ნაჟანეული და ხოირი ვერ იქნება შესაბამისად აჩიგვარა და ოხურეი (გალის რაიონი) წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზეთის კათალიკოსი გაცილებით ადრე შეიტყობდა ამ საეპისკოპოსოს ამოწყვეტას, ვიდრე აბაზგების მთავარი ყვაპუ!
ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობა ოხურეისა და აჩიგვარის ტერიტორიიდან, ვერაფრით ვერ მოხვდებოდა აბაზგების კონტროლირებად ტერიტოეიაზე ყვაპუ შერვაშიძესთან. ცხადია ნაჟანეული და ხოირი აბახაზეთის ტერიტორიის სიღრმეშია საძიებელი! ...და მაშინ რომელ ამომწყდარ ქართულ საეპისკოპოსოზეა საუბარი?
„ მუწუს წყალს დასავლით არის ბიჭვინტის ეკლესია დიდი, დიდშენი კეთილი ფრიად, გუმბათიანი, ზღვის კიდესა ზედა, ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველი იყო საეპისკოპოზო. ჟამთა აფხაზთა მეფეთა იქნა საკათალიკოზოდ და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის ამარად, ვინაით „ამ მუწუს წყლის დასავლით არის ბიჭვინთას ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილიგან აფხაზნი არღარა მოწმობენ რჯულისა და სარწმუნოებისა" (იქვე; გვ784-785)

სიტუაციაში გასარკვევად, აუცილებელი ჩანს აფხაზეთის საერისთავოს იმ პერიოდისათვის ჩამოყალიბებული სამმართველო რგოლი და სტრუქტურა სკრუპულოზულად იქნეს განხილული:

„XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე აფხაზეთის სამთავრო პატარ-პატარა ფეოდალურ სამფლობელოებად იყო დაშლილი. მთავარ ზეგნაყ შერვაშიძის შვილებმა, სამთავროს ტერიტორია გაიყვეს: უფროსს როსტომს ერგო აფხაზეთის ჩრდილო ნაწილი. მდინარე ბზიფსა და კოდორს შორის მდებარე მიწები. შუათანას ჯიქეშიას-შუა სოფელი (აბჟუა) ტერიტორია მდინარე კოდორსა და მდინარე ღალიძგას შორის, ხოლო უმცროსს-ყვაპუს- მდინარე ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე მხარე, რომელიც სამეგრელო-აფხაზეთს შორის მდებარე ომის დროს ძალიან მოოხრდა. ყვაპუ შერვაშიძემ თავის სამფლობელოში ბზიფის ხეობიდან მოყვანილი აფხაზები ჩამოასახლა. აფაზეთის მთიანი თემები, მაგალითად წებელდა (წიბელი, დალის ხეობა) მთავრის ხელისუფლებისაგან თითქმის დამოუკიდებელი იყვნენ " საქართველოს ისტორიის ნარკვევები; ტომი IV გვ- 468 თბილისი 1973 წ) გადმოცემით, ყვაპუს მემკვიდრე მურზაყანმა ეს მხარე „აღაყვავილა" და ამის გამო ამ ტერიტორიას სამურზაყანო დაერქვა "(იქვე)

1. დავიწყოთ იქიდან, რომ აფხაზეთის დაყოფის ეს „ქრესტომათიული"მაგალითი აღებული ყოფილა ჟურნალ„კვალის"უავტორო სტატიიდან !??(კვალი1897 წ)
2. როგორც ზემოთ დამტკიცდა, აღნიშნულ პერიოდში ტერიტორია მოქვიდან ენგურამდე არ შედიოდა აფხაზეთის შემადგენლობაში, რაც ამ საეჭვო ხასიათის ცნობის არასწორობას ამტკიცებს.
3. ამავე „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" იმავე ტომის გვ354. ყვაპუს ძმად სორეხია დაფიქსირებული და არავითარი მინიშნება როსტომსა და ჯიქეშიაზე არ არსებობს!
4. ყვაპუს წინამდებარე წერილში, მემკვიდრე შვილად ავთანდილი ჩანს და არავითარი მურზაყანი!
5. ამავე წერილის მიხედვით, ბზიფის ჩრდილეთით მდებარე ტერიტორიები აფხაზეთს არ ეკუთვნოდა და ვერავითარი არ არსებული მურზაყანი ვერ ჩამოიყვანდა არარსებულ ბზიფელ აფხაზებს ე.წ. „სამურზაყანოში"
6. „ მურზა"-თათრული გავლენით, ქართული აზნაურის სინონიმია. „სამურზაყანო" სააზნაუროს, საუმცროსოს ნიშნავს, საპირისპიროს სათავადოსი და ასეც იყო ძველ აფხაზეთში. სათავადო, საუფროსო- ეს გუდაუთა და სოხუმი ჩანს, სამურზაყანო, საუმცროსი, გულრიფში და ოჩამჩირე.

მთელი ეს ისტორია აფხაზეთის პოლიტიკურ- ქრონოლოგიური მოწყობისა, ისეთივე მითი ყოფილა, როგორიც არა ერთი შეთხზულა კაცობრიობის ამა თუ იმ ნაწილის წარმოშობის და განვითარების შესახებ, ანტიკური ბერძნებით დაწყებული და თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების ვერსიით დამთავრებული

ლაზების არაბული წარმოშობის შესახებ. ცხადია ყვაპ შერვაშიძე აფხაზეთის ერთ-მმართველია. აფხაზეთის არავითარ ანალოგიურ დაყოფას ბუნებაში ადგილი არა ჰქონია, ხოლო ნაჟანეული და ხოირი აფხაზეთის სიღრმეშია საძიებელი! ხოირის (ყვაპუსეული ვარიანტით ხირის) ადგილმდებარეობის გარკვევაში, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა დაგვეხმარება, რომელი ხატიც ლევან დადიანმა შესწირა ილორის ეკლესიას აფხაზ ფეოდალებზე გამარჯვების აღსანიშნავად:

„...მივუვარდით შერვაშიძესა ზუფუს (ლიხნს), მუწუს წყალს აქეთ ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. და კაპოეტს წყალზედ (ბზიფი) შემოგვეგებეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯვა და დავხოცეთ. ზოგი ხელთ დაგვრჩა და გამარჯვებული მოვედით...“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები; ტომი IV გვ-340, თბილისი 1973 წ)

ცხადია აქ „სიხუარი“ მარშანია- ხვარელ, ხოირელ მარშანიას ნიშნავს, მარშანიას-რომელთა ბზიფის წყალზე შემოეგება თავდამსხმელ დადიანს. (მარშანიებს სხვა მამულებიც უჩანთ მოგვიანებით მდინარე ლაბასთან და დღევანდელი კრასნოდარის მხარის მთიანეთში, თუმცა უფრო გვიან მათი ძირითადი ადგილ მამული-ეს დალის ხეობაა)...და არსებობს თუ არა სხვა მტკიცებულება, ხირელთა (ხოირელთა) აფხაზეთის მთიანეთში ბინადრობისა? თურმე არსებობს:

„აფხაზეთი იყოფოდა სამ მთავარ ნაწილად: საკუთრივ აფხაზეთი, რომელიც ბოლო დრომდე მთლიანად იყო ფეოდალური გვარის, შერვაშიძეების მფლობელობაში, განივრცობოდა ზღვის სანაპიროზე, გაგრის ვიწროებიდან და მდინარე გაგრიპშიდან და ფსხუდან, მდინარე ღალიძგამდე. აფხაზეთში მცხოვრებთა რიცხვი არ აჭარბებდა 80000 სულს. წებელდელებს, ანუ ზამბალებს, მცხოვრებთ აფხაზეთის ზემოთ, მთების ხეობებში, კოდორის ზემო წელში, უპირატესად დალის ხეობაში, ჩერქეზები ეძახიან წებელდელებს, ხირპ-ჯუაჯს... ამ ორი თემის სამხრეთით , მდინარეებს დიდსა დაპატარა ლაბას შორის, ცხოვრობდა 500 სულამდე ყიზილბეკები (იგივე ყაზბეგ-ყაჯი) რომელთა შორის ბატონობდა მარშანიების გვარი... სამხრეთ აღმოსავლეთით, მდინარე ურუპისპირა და დიდი ზელეჩუკის ზემო წელთან, ცხოვრობდნენ ბაშილბეები. ისინი იმყოფებოდნენ მარშანიების ხელისუფლების ქვეშ და მათი რიცხვი არ აჭარბებდა 1800 სულს“ (Истщрия войни и владечество русских на Кавказе; Н. Дубровин. ТомI книгаII стр2-3 Петербург 1871 г)

ცხადია გარდა ზამბალებისა (წებელდელებისა) რომელსაც ჩერქეზები ხირ-პიტებს ეძახიან (ხირელებს) ყაზილბეკები და ბაშილბეები ისეთივე ქართველური ტომები ჩანან, როგორც თავად დუბროვინისეული ჩერქეზები. მდინარე ლაბასა და ურუპისპირა მთაში გადახვეწა სავარაუდოდ იმავე ჟამიანობის

შედეგია, რომელმაც ნაჟანეულელების დიდი ნაწილი იმსხვერპლა, ნაწილმა აძიხეში გაქცევით უშველა თავს. მოგვიანებით, XVIII საუკუნიდან თავად მარშანიების სამფლობელო ხოირი, აფხაზეთის მთიანეთი ჩანს, კოდორის ზემო წელი-სავარაუდოდ ისინი ჟამიანობა გამოვლილ ტერიტორიებს არ უბრუნდებიან , გაგრასა და მისი დასავლეთით... ისინივე აკონტროლებენ უცილობელ უღელტეხილებს ქლუ-ხორსა და მარუ-ხს, რომელთა ტოპონომში მათივე სატომო სახელი იკითხება კიდეც. (ხოირელების, მისიმიანების თემა ამავე წიგნში განიხილება) ცხადია, ხოირი-ეს იმ დროისათვის ბიჭვინთა -მაწის წყალს, ჭანდრიფშს შორის აღმნიშვნელი ტოპონომია, მისი მეზობელი ნაჟანეული კი მდინარე ბზიფის დასავლეთით მდებარე სანიგეთი, ჩელებისეული დიდი და პატარა ჩანდებია უთუოდ!

„სიგელი აფხაზეთის კათალიკოზის გრიგოლ ლორთქიფანიძისა, დაწერილი ქაღალდზე, ზომით 140X20 სანტიმეტრი, ნუსხა ხუცურად, დაცულია ბიჭვინთის ტაძრის საბუთებში N75 თავში. დასმულია ბეჭედი გრიგოლ კათალიკოზისა, ნიშნად ფრიად იშვიათად იხმარება წერტილი და სამი წერტილი. ..კიდევ ნაჟანევს სფლი სკზო ნემსაძე კზის ელშიდ აფხაზისაგან აყრილიყო, ყვაპ შერვაშიძეს სხვა დაეყიდა და ექუსი მოსახლე კაცი ყველა. ის კზიც ბევრს ედავადა ჩნც, მაგრამ არც მს და არც ჩნდა ანიშნად მართებული ავიღეთ და ექუსი მოსახლე კცის მეტი აღარ იყო და ის წამოვიყვანეთ მისის ყისფერით: ღრუბელაია ამხსნელი და მისი სახლის კ'ცი ელიშია ხუტალია, და მისი ძმები. კიდევ ელიშია ხუხია და მისი ძმები ზუმალეი კოდია და მისი შვილები; კიდევ ჯგუბურია და სუბუქია და ბიგვაა, კიდევ ერთი მოსახელე კაცი ჯღერის ნაყმევი პაპაი ხუცო ბავა და მისი ძმა შარვაშიძისაგან სადეო კ;ცი იყო ჩნი და იმისად წამოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ, არმანაი ყვაპუსეული კაცი მაგიერშიდ ამოვიყვანეთ და ხიბლას დავასახლეთ" (ქრონიკები 1706 წ) (29)

რასაკვირველია აქ ხალხის იმავე ჯგუფზეა საუბარი, რომელსაც წინა ეპიზოდში ყვაპუ ჟამისაგან გადარჩენილად აცხადებს. კათალიკოსს არ სჯერა ვერსია ნაჟანეულელების ჟამისაგან გაწყვეტისა. მისი აზრით, კენი ჭანები, აბაზგბმა აყარეს. რასაკვირველია ცდება კათალიკოსი...კენების და ხოირელების სამხედრო ძალა დაუძლეველი ჩანს შერვაშიძის სამთავროსათვის, რომელსაც აღემატება კიდეც ამ უკანასკნელი რიცხოვნობით. კათალიკოსისავე აზრით, დარჩენილი მოსახლეობა ჟამს კი არ გაუწყვეტია, არამედ ყვაპუს მიერ გაყიდულად მიაჩნია! რასაკვირველია აქაც ცდება კათალიკოსი....რომც მოენდომებინა გადარჩენილი ნაჟანეულელებისა და ხოირელების გაყიდვა ყვაპუს, ვინ შევიდოდა ტერიტორიაზე, სადაც ჟამი მძვინვარებდა და ან ვინ იყიდიდა აქედან ამოყვანილ ტყვეს?

...და სად გაქრნენ ჟამიანობას გადარჩენილი კენები (ხალიბები, ჰენიოხები). თუ ისინი მთლიანად იმსხვერპლა ჭირმა? ყურადღებას იპყრობს ერთი უცნაური ტომი აძიხეში, (დღევანდელი მაიკოპის ახლოს) კურგანსკის ტერიტორიაზე... თურქი მოგზაური , ევლია ჩელები, რომელმაც ყველა მიმართულებით გადასერა კავკასია 60 წლის წინათ, აღწერს ყველა შემხვედრ ტომს, თუნდაც 300 კაცის შემადგენლობით, თუმცა არაფერს ამბობს ფაქტიურად ამ უდიდესი „ჩერქეზული“ ტომის შესახებ. ის პირველად ყირიმში ფრანგი კონსული ს თვათახედვის არეში ჩნდება:

„მერე მდებარეობს ოლქი გამირგია (ანუ გემირგოი) მართული ორი ბეის მიერ, რომელთაგან ერთი იწოდება ოლქის სახელით, მეორე ატარებდა სახელს მოკოსიგალანს. ახლა არსებობს მხოლოდ ერთი ბეი, რომელიც ატარებს ორივე დასახელებულ ტიტულს და მართავს 2000 სახლს“ (აღმოსავლური ლიტერატურა; დოკუმენტები; კავკასია, ფრანგი კონსული ყირიმში და პირველი ექიმი ბახჩისარაიში, კსავერიო გლავანი. 20 იანვარი, 1724წ)

ძნელი სათქმელია, შეუერთდა თუ არა რომელიმე მომთაბარე ნოღაურ ტომს გაგრა-ხოსტის მონაკვეთიდან ლტოლვილი დიდი ჩანდები, თუმცა მომდევნო პერიოდში ტომი ასევე ორმაგ სახელს ატარებს:თემირგოი და კემგუი. აქედან პირველი რკინის ნაშიერებს ნიშნავს (თემირი თათრულად რკინაა) ხოლო მეორე კემის- კენის ნაშიერებს... თავად „ჩერქეზულივე “ ვერსიით , ტომი უდიდეს გავლენას ახდენს ჩერქეზული რასის ეთნიკურ ჩამოყალიბებაში...

მაიკოპსა და არმავირს შორის მდებარე ოლქში, მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში თემირგოის, იგივე კემგუის 15000 მოსახლეობას ასახელებს რუსი გენერალი და მწერალი ნ.ფ.დუბროვინი (31) საინტერესოა, რომ ლტოლვილი დიდი ჭანების ნაწილი რომელმაც ქრისტიან კაზაკებს შეაფარა თავი, საკუთარი ორმაგი სახელის (თიკუნის) შენარჩუნებას ცდილობს და ახერხებს კიდეც...

კანტემიროვი- ეს დიდი ჭანების გასლავებული გვარი გახლავთ, სადაც ორივე კომპონენტი, კენიც და ტემირიც სახეზეა! ეს გვარი და ტოპონომიც კი აქტუალურია დონის როსტოვში, დონეცკში და ვორონეჟის ოლქში..

ის, რომ 60000- იანი მოსახლეობა (32) მოხუცი თუ ახალგაზრდა, მორჩილად დაელდებოდა ღვთის განაჩენს, არარეალურია. რასაკვირველია მოსახლეობის ახალგაზრდული ნაწილი, ჭარმაგი ნაწილის რჩევით (და სავარაუდოდ ბრძანებითაც) დატოვებდა ინფიცირების კერას. მოსახლეობის ასაკოვანი ნაწილი საკუთარ მიწაზე და კერაზე შეეცდებოდა ჭირთან გამკლავებას. ვერ გაუმკლავდა...ყვაპუ სულ რამდენიმე გადარჩენილ ოჯახზე საუბრობს...

შეუძლებელია რომ ჰენიოხებმა , არქაული დროის ხელოსნებმა , ვაჭრებმა და... მეკობრეებმა საზღვაო სივრცე და ხომალდები არ გამოიყენეს თავის საშველად. სავარაუდოა, რომ ჭანების ნაწილმა ჟამისაგან გასარიდებლად მათივე ცნობილი

კამარები და მუნკესილები გამოიყენეს და საფრთხეს ასე გაერიდნენ. ზუსტად ეს კვალი უნდა ჩანდეს ოდიშისა და შემდგომ ზემო სვანეთის ისტორიაში ჩაკარგული...

უცნაური სოფელი ჩნდება ოდიშში მე-18-ე საუკუნის დასაწყისს. არსებობს სოფლები სამეგრელოში, მაგალითად: ნაჯაიანუ. ნაგვაზაუ, ნაცატუ , რაც აღნიშნული გვარის ამ ტერიტორიაზე ადრე მოსახლეობის დასტურია. ცნობები; ლე-სიჭინე, ლე-დგებიე-ასევე ამ გვარის ხალხების თანამედროვე საცხოვრისის მიმანიშნებელი. განსხვავებით ჩამოთვლილთაგან, სხვა დატვირთვის მატარებელი ჩანს ზუგდიდის რაიონის სოფელი ჭკადუაში. დასახელება აშკარად კუთვნილებითი სახისაა , თუმცა გვარი არამცთუ თავადად, აზნაურადაც კი არ ფიქსირდება. სწორი ჩანს ოფიციალური ვერსია, რომ სოფელში ჭკადუ-ებს უცხოვრიათ, თუმცა ერთი ხელობის ხალხის კომპაქტურად ერთ სოფელში ცხოვრება ნონსენსია, ისინი უბრალოდ თავიანთი ნაკეთობისათვის გასაღების ბაზარსაც კი ვერ მოძებნიდნენ. სავარაუდოა, რომ იმ პერიოდისათვის სამეგრელოს სუზერენმა ჩიქოვან-დადიანმა გარკვეული გასამრჯელოს ფასდად მიჰყიდა ხსენებული ადგილი თემს , რომელსაც საწარმოო, სავაჭრო თუ სამეკობრეო წარსულიდან გამომდინარე, მამულის ყიდვის საშუალება აუცილებლად ექნებოდა. (ცხადია ისინი ცნობას ჟამიანობის შესახებ არავითარ შემთხვევაში არ გაავრცელებდნენ, რითაც აიხსნება კათალიკოსის არაინფორმირებულობა ამ საკითხზე). ამავე ჩიქოვან-დადიანის მიერ ჩანს დანათლული გვარი ჭკადუაც, რაც მათი საერთო პროფესიის მიმანიშნებელი ჩანს. (რასაკვირველია, მათგან ყველა მჭედელი ვერაა) არ არის ცნობილი ის ფაქტი, თუ რამ გამოიწვია კენთა კიდევ ერთხელ ლტოლვა, უკვე ზემო სვანეთისაკენ, თუმცა ამ საკითხზე ჰიპოთეზის დონეზე მსჯელობა შეიძლება:

1. ახალგაზრდა კენებმა ვერ გამოჭედეს ის საოცარი იარაღი (სავარაუდოდ ჩიქოვად-დადიანისათვის შეპირებული) ჯავშნის მკვეთელი „გორდა“
2. კენებმა ვერ იგუეს სამეგრელოს ფეოდალური წყობისათვის დამახასიათებელი ბატონყმური დამოკიდებულება და ამ მხრივ მეტ-ნაკლებად თავისუფალი სვანეთი ირჩიეს.
3. არც მატერიალური დაინტერესების გამორიცხვა შეიძლება, რომელიც ამ უკანასკნელთ მშვენიერ პერსპექტივას უქადდა კიდეც.

ფაქტი, რომ იტყვიან სახეზეა, სოფელი ჭკადუაში დაცარიელდა ამ უკანასკნელთაგან, რომლებიც ზემო სვანეთში სოფელ ლახამულას აფუძნებენ. კენთა ნაწილი, რომლისთვისაც აფხაზეთის მთავრის, შერვაშიძის სუზერენობა მისაღები აღმოჩნდა, აბაზგეთსა და აფშილეთს (ამავე გვარით) და მდინარე მოქვს იქითა ტერიტორიას შეაფარეს თავი (მოქვს აქეთა ტერიტორია უკვე ოდიში იყო) რაც შეეხება ლახამულის ლაზურ თემს, აი ასე აღწერს მათ რუსი დიდმოხელე,

გენერალყოფილი დუბროვინი:

„მთელი მათი (სვანების) სავაჭრო საქმიანობა ებრაელი ლახამულელების ხელშია. მცხოვრებნი დაახლოებით 50 ოჯახში, საბატონო სვანეთში. მიუხედავად იმისა, რომ ლახამულელები ქრისტიანები არიან, ლაპარაკობენ ადგილობრივ ენაზე, ჰყავთ მღვდელები, სვანები ვერ იტანენ მათ, არა აქვთ მათთან ურთიერთობა. არამცთუ არავინ არ შესჭამს საჭმელს ლახამულელთან ერთად, ლახამულელის ხელით დაკლულ საქონლის ხორცსაც კი არ შესჭამს“ (Дубровин Н. Ф. История воини и владечество русских на Кавказе Том I книга II стр-87)

მიუხედავად რუსი ავტორის მტკიცებულებისა, ლახამულელები (ჭანები-უფრო ზუსტად ლაზები-ხალიბები) შეუძლებელია ებრაელები იყვნენ. მსოფლიოს არ ახსოვს ასეთი პრეცედენტი, რომ კომპაქტურად მცხოვრებ ებრაელ ტომს შეეცვალოს რელიგია და ერთბაშად ქრისტიანულ აღმსარებლობაზე გადასულიყოს, ქრისტიანობის ყველა ატრიბუტით (მათ შორის ეკლესიის აგებით და მღვდელების ყოლით)...და რატომ ასე დიდი გაუცხოება ადგილობრივი მოსახლეობისა ჭანური თემისადმი , რომელიც იმავე დუბროვინის სიტყვებით (უკვე!) ადგილობრივ დილექტზე საუბრობს? სვანების რწმენა, რომ ეს თემი არაა სვანური, ეყრდნობა რასაკვირველია იმ ფაქტსაც, რომ თემი გაცილებით გვიან მე-18-ე საუკუნის მეორე- მესამე მეოთხედშია ჩამოსახლებული სვანეთში, თუმცა დუბროვინის პერიოდისათვის უკვე სვანურ დიალექტზე საუბრობს. ასევე სავარაუდოა, რომ კენთა ტომი ცხოვრებით ნირით განსხვავებულია ადგილობრივი სვანური ტომისაგან, თუმცა ჭანების ებრაელობის ვერსიას სხვა სარჩული უჩანს:

„ეს ხალხი (სვანები) როგორც ვთქვი, ფულს არ იღებს მეთქი. ზოგჯერ მე ვცდილვარ შემეგონებინა მათთვის, რომ ფულით კაცს შეუძლია შეიძინოს ყოველგვარი ნივთი, რასაც კი მოისურვებს. მაგრამ მათ აი რა პასუხი მოუციათ ჩემთვის,რა საჭიროა რომ ორჯერ გავსწიოთ ჯაფა: ერთი ფულის შოვნაზე და მეორე ფულით საჭირო საქონლის ყიდვაზე“ (არქანჯელო ლამბერტი; სამეგრელოს აღწერა, გვ190 გამომცემლობა მთაწმინდა, თბილისი 2011 წ)

ცხადია , ვაჭრობა რაც ათეულობით საუკუნის მანძილზე ჭანთათვის,(კენთათვის) ხელოსანი, ვაჭარი და მეკობრე ტომისათვის ყოველდღიური საქმიანობის წყაროს წარმოადგენდა, სვანური ტომისათვის მიუღებელი, არაპრესტიჟული და ებრაელობისათვის დამახასიათებელი ხელობა ყოფილა! აქედან იღებს სათავეს ვერსია ჭანური ტომის ებრაელობის შესახებ, თუმცა ეს ვერსია ამ ბოლო დროს რამდენადმე შერბილებული ჩანს: სვანები ჭანთ-კენთა ამ ტომს (უკვე!) სვან ებრაელებს ეძახიან! ვაჭრობისათვის ხელსაყრელი და უკონკურენციო გარემო-ერთ-ერთი ფაქტორი ჩანს ჭანური ტომის სამეგრელოდან სვანეთში გადმოსახლებისა! დიდი ჭანების (კენების, ხალიბების, ჰენიოხების) თემისადნი

კუთვნილება სავარაუდოდ იმ ხალხებს უმტკიცდება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ცდილობს საკუთარი წარმოშობის სამტკიცი თიკუნის შენარჩუნებას. აძიხეში: თემირგოები, იგივე კემგუიები, სლავებში: კანტემიროვები, ქართველებში და აფხაზებში ჭკადუა, და ჟიბა (ეს უკანასკნელი მჭედლის პირდაპირი თარგმანია აბაზგურ ენაზე) რაც შეეხება ჰენიოხთა იმ შტოს, რომელზედაც ტაციტი მიუთითებს აღმოსავლეთ საქართველოში, სავარაუდოდ მათი შთამომავლები მჭედლიძეები და მჭედლიშვილებია.

უნდა აღინიშნოს, რომ „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ აღნიშული ნაჟანეულელი გლეხობის გვარები მოიცავს როგორც დიდ, ასევე მცირე ჭანდებსაც. ცალკეულ შენთხვევებში ხერხდება გვარების თემური მიკუთვნებულობის განსაზღვრაც. ასე მაგალითად, გვარ კონჯარიაში პირველი მარცვალი აშკარად კენი-ს მიმანიშნებელი თავსართი უნდა იყოს. ასეთივე ტიპისა ჩანს გვარები:კოდია, კოტარია და კონტარია . სავარაუდოდ დიდი ჭანდების გადაშენებული გვარებიც: სუბუქია, სოხერდია, კუატარა, მარტოფია, ღრუბლაია, ცისტარია, რუსაყია, ჭვიტიშია...ყურადღებას იქცევს გვარი ხისტარია ნაჟანეულში და ხერგუა ხოირში. სავარაუდოდ, ამ გვარის წარმომადგენლებმა ჟამიანობას ინდივიდუალურად გაასწრეს ზემო სვანეთში (სავარაუდოდ ხოირის, დალის ხეობის გზით) და შესაძლოა სათავეს აძლევენ სვანურ გვარებს: ხვისტანი, ხერგიანი და ხორგუანი. მცირე ჭანების თემის წარმომადგენლები, რომლებმაც ჟამიანობას კოლხეთისაკენ გაერიდნენ, შემდეგი გვარების წარმომადგენლები ჩანან: უჩაია (უჩაძე), ჭითანავა (მჭითანა) ჯაკობია, დიდია, ჯგუბურია, ელიშია, ქაჯაია, ძაძუა...

....და ევროპელები...

ჯერ კიდევ Vსაუკუნეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე, ბერძენი დრამატურგი სოფოკლე აღნიშნავდა ტრიესტის ყურეში, ვენეციაში ენეტთა (ხალდთა, ჭანთა) ტომებს, რომლების მისეული ვერსიით ტროას ომის შემდეგ იყვნენ გადმოსული XIII- საუკუნეს ჩვ. წ, აღრიცხვამდე. მთავარი და ყურადსაღები სოფოკლეს ვერსიაში ის რეალობაა, რომ იტალიის ჩრდილო დასავლეთში უკვე იმდროიდან ენეტთა ტომი ფიქსირდება, მათივე გვერდით კი კარნათა არცთუ მრავალრიცხოვანი ტომი... ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სოფოკლეს ენეტთა მიგრაციის პროცესი სიმართლესთან წილნაყარი უნდა იყოს... ენეტთა (ამ ქართველური) ტომის მეზობლები იმავე ვენეციაში, სამხრეთიდან რეტების (სვანური) ტომი წარმოადგენდა, ჩრდილოეთიდან ისტრების კოლხური (მეფე აიეტისაგან შერისხულთა) ტომი. უკვე ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპიროს გაყოლებაზე ზიხების ზანური ტომი, დალმატების (როგ-

ორც ირკვევა ჭანური ტომი), მარგების აბზოური ტომი, ლაზების ზანური ტომი, კოლხები, იმერლები და მთელი აღმოსავლურ- ქართველური ტომები...აქ უკვე ქართველური ტომების უწყვეტი ჯაჭვი ჩანს მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ვენეცია, ილირიკი, და საბერძნეთი ჰქვია დღეს...(ენეტების და რეტების სამხრეთით მცხოვრებ ხალხები უკვე სხვა თემაა) ერთი და იმავე ენა (თუნდაც სხვადასხვა დიალექტი) ამ ტომების ერთად და გვერდი-გვედ ცხოვრების უცილობელი ნიშანია!

თუ სოფოკლე ენეტთა ტომს სინოპადან გადმოსახლებულად თვლის, ამ ვერსიას საეჭვოდ მიიჩნევს სტრაბონი, რომლის აზრითაც შესაძლოა ვენეტები ტრიესტის ყურეში ატლანტის ოკეანის სანაპიროდან (დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია) გამოჩნდნენ, სადაც მათთან სისხლისმღვრელი შეტაკება ჰქონდა მის თანამედროვე რომაელ დიქტატორს, ცეზარს. ფაქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ატლანტისპირელი ვენეტები არიან ენეტთა შთამომავალი და არა პირქით: ენეტიკაში ენეტები (იგივე ვენეტები) დამწერლობის არსებობის გარიჟრაჟიდან, XIII-საუკუნიდან მოიაზრებიან აქ, მაშინ როდესაც ატლანტისპირა ვენეტები (ნაწილობრივ ფლანდრიელებიც, იგივე ბელგიელებიც) მხოლოდ მთელი 12 საუკუნის შემდეგ....და კიდევ, ის რომ ტომის პირველადი სახელი ვენეტებია და არა ენეტები, ამ პირველისაგან მეორის წარმოქმნას მიანიშნებს და არა პირიქით. (ატლანტიკელი ვენეტების თემა სცილდება წიგნის ფორმატს) პირველი ამომწურავი ინფორმაცია ადრიატიკის ზღვის ენეტების შესახებ, ჰომეროსის, ჰეროდოტეს და კალიმაქეს შემდეგ სტრაბონს ეკუთვნის:

„მაგრამ გვიან დროს, როცა რომაელებმა მიანიჭეს იტალიელებს სამოქალაქო უფლებამოსილება, მათ გადაწყვიტეს მიენიჭებინათ ასეთივე საპატიო უფლება გალატებისათვის მცხოვრებნი ალპების მხარეზე და გენეტებისათვის და დაეძახათ მათთვის ყველასათვის იტალიელები და რომაელები“ (სტრაბონი;წიგნი, V; I-I)

ეს ენეტები კი ზუსტად ის ენეტებია რომელსაც სოფოკლე სონოპადან ტროას ომის დამთავრების შემდეგ წამოსულებად მიიჩნევს XIIIსაუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე.

„ერთნი ამტკიცებენ, რომ გენეტები-ეს კოლონისტები არიან თანამედროვე კელტებისა, მცხოვრებნი ოკეანის სანაპიროზე, მეორეთა სიტყვით, გენეტთა ნაწილი გადარჩენილია ტროელთა ომებისაგან პაფლაგონიიდან, ანტენორთან ერთად. ამ უკანასკნელის დასამტკიცებლად მოყავთ მათი გატაცება ცხენების მოშენებით, რომელიც ახლა სავსებით გაქრა, თუმცა ეს ადრე მათთან დიდ პატივში იყო ძველებური პაექრობის გამო, ფაშატი ცხენების გამოზრდისა ჯორების გასამრავლებლად. ამაზე ლაპარაკობს ჰომეროსიც:..გამოყვანილია გენეტში, სადაც ჯოგდებიან ველური ჯორები...ასევე დიონისემ სიცილიის ტირანმა მოაწ-

ყო ცხენსაშენი თავისი სარბოლო ცხენებისათვის, ასე რომ გენეტიკური სახელ-მძღვანელო ულაყების გამრავლებისა და გამოწვრთნისა , ბერძნებთან სახელ-განთქმული იყო და ეს ჯიში დიდი ხანი ძვირად ფასობდა“ (იქვე I-5)

რასაკვირველია სტრაბონის მთელი ეს ტირად ა ეძღვნება მთლიანად ეძ-ღვნება იმის დამტკიცებას, რომ ვენეტები სინოპელთა ნაწილია და არა ფლანდ-რიელი ვენეტებისა. ჩვენის მხრიდან დავუმატებთ, რომ სტრაბომის მსჯელო-ბაში რაციონალური მარცვალი არსებობს... და კიდევ, განსხვავებით ჰომერო-სისა, რომელიც პაფლაგონთა ახალი სამშობლოს განსასაზღვრავად სინოპელ ენეტებს იყენებს, სტრაბონი პირიქით, სინოპიდან ფაქტიურად გამქრალი გენე-ტების ყოფილი საცხოვრისის განსასაზღვრავად იმავე პაფლაგონებს იშველი-ებს, რომელთა საცხოვრისა იმ დროის ინტელიგენტი საზოგადოებისათვის უკვე კარგად ნაცნობი მოჩანს. სტრაბონის სიტყვებით, სახლები ვენეტიკაში მთლიანად აშენებულია ხიმინჯებზე და მათან მოხვედრა მხოლოდ ნავიდან არის შესაძლებელი. რასაკვირველია, აქ სანაპირო ჯერ კიდევ პირველი საუკუ-ნისათვის კარგად ათვისებული ჩანს (წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერატორ კონ-სტანტინე პორფიროგენტის მტკიცებისა)

საინტერესოს სტრაბონის ერთი სიუჟეტი: აქ, ამ ტერიტორიაზე არსებობს დიომედეს (ტროასთან მებრძოლი გმირი) სალოცავი, სადაც გენეტები სწირავენ თეთრ ცხენს (ისევე როგორც თეთრ ხარს წმინდა გიორგის ილორში) და სადაც მხეცებიც კი თავს იკავებენ თავიანთი მხეცური ინსტიქტებისაგან. ერთხელ მონადირეებმა შესთავაზეს ცნობილ მონიძლავეს, რომ გაუშვებდნენ დაჭერილ მგელს, თუ მონიძლავე დათანხმდებოდა მგლისგან მოსალოდნელი შესაძლო ზარალის ანაზღაურებას. მონიძლავე დათანხმდა და მგელი გაუშვეს თავისუფ-ლებაზე. მგელმა არც მეტი არც ნაკლები, მონიძლავეს თავლაში მიურეკა დაუ-დაღავი ცხენების რემა. უკანასკნელმა მიიღო ეს საჩუქარი და დაადო ყველა ცხენს მგლის გამოსახულებიანი დამღა. ცხენები გამოირჩეოდნენ სრბოლის სის-წრაფით, და მიღებული იყო წესად , რომისინი არ გაყიდულიყო სხვებზე, რომ ეს ჯიში სწრაფმავალი ცხენებისა მხოლოდ მათთან, გენეტებთან დარჩენილ-იყო ...ლამაზი ლეგენდაა, თუმცა გენეტური დამღა მგლისა გაგრა- ხოსტის მო-ნაკვეთში პოვებს გაგრძელებას, სადაც ხალიბები (კენები) მსოფლიოში საუკე თესო ხმალს „გორდას“ ჭედავდნენ და ამავე დამღით ამკობდნენ (ალბათ ნიშნად უბადლობისა)

„ტიმავს შემდეგ მოდის ისტრიელების სანაპირო პოლამდე, იტალიის მიმდე-ბარედ...პოლა განლაგებულია ნავსადგურის მსგავს ყურეში, მასში ნაყოფიერი კუნძულებით ხომალდთა სადგომებად მოხერხებულები. ის დაასახლეს ძველ დროში კოლხებმა, მედეას საძებნელად წამოსულებმა. მათ ვერ მიაღწიეს მი-ზანს და თავად მიუსაჯეს თავიანთ თავს განდევნა, როგორც ამბობს კალიმაქი:

პატარა ქალაქი, რომელსაც ბერძენი დაარქმევდა განდევნილთა ქალაქს, მათ ენაზე ამას პოლა დაარქვეს; ოლქებს პადს იქით ცხოვრობენ გენეტები და ისტრები, მცხოვრები სივრცეში პოლამდე“ (იქვე I-9)

როგორც სხვა ანტიკური წყაროს მიხედვით გაირკვა, ისტრები-ეს ზუსტად იმ კოლხების შთამომავალნი ყოფილან, რომლებიც მეფე აიეტმა გამოადევნა მედეასა და იაზონს, და რომლებმაც ვერ შეძლეს მათი დაკავება (იხილეთ მასალა აფსილებში) რაც შეეხება კალიმაქეს ვერსიას პოლას დევნილი კოლხი მეომრების მიერ დაარსებისა, ეს სინამდვილე ჩანს და ამავე ქალაქის სახელწოდებაც ამის დასტური ჩანს: ჩვეულებრივ, სტრაბონის (და სხვა არქაულ ტექსტებს) ვკითხულობთ რუსულ თარგმანში, რომლის ასოთა ჟღერადობა ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია ორიგინალისაგან (ლათინურისაგან) ქალაქ პოლას შემთხვევაც არ ჩანს გამონაკლისი. ჩვეულებრივ მას პოლად ვკითხულობთ, მაშინ როდესაც ორიგინალის POLA- გაცილებით უფრო ახლოს დაგას კოლხურ ფოლასთან, რაც გაქცევას კი არა, დამალვას ნიშნავს! არცთუ შორს ჩანან წასული იაზონის და მედეას ძებნაში მდევარი კოლხები, რომ შურისმაძიებელი აიეტი ვერ მისწვდენოდა მათ , ადრიატიკის ვიწრო ზღვის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე! (მით უმეტეს უცნობია ის საზღვარი ილირიკის მხარეზე, სადამდის კოლხეთის გავლენა ვრცელდებოდა). სავარაუდოა, რომ მადევარ და ლაშქრობაგაცუდებულ კოლხებს არა გაქცევამ უშველა, არამედ დამალვამ! ...და დასამალავადაც დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ: მათი ახალი სამშობლოს სამხრეთი მეზობელი ენეტიკაა, (ჩრდილოეთი ჯერ დასახლებული არცა ჩანს) რომელიც ლაზურ(ჭანურ) დიალექტზე ლაპარაკობს-კოლხებს დასამალავად დიქციის შეცვლაღა დასჭირდებოდათ...

შემდეგი რომაელი ავტორი, რომელიც ენეტიკის თემას ეხება, ტიტუს ლივიუსიათავად ვენეტი... მთლიანად ეთანხმება რა სოფოკლეს ვერსიას, რომ ენეტები სინოპას ნახევარკუნძულიდან მიგრირდნენ ვენეციისაკენ, ფართოდ აშუქებს მათ ყოფა ცხოვრებას, სამხედრო პოტენციალსა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თავად ლაკედემონელთა- სპარტელთა ოფიციალური ლაშქარის წინააღმდეგ:

„და რამდენადაც მარცხნიდან მას ემუქრებოდა არმისადგომი იტალიური მხარე,ხოლო მარჯვნიდან ილირიელები, ლიბურნები, ისტრები- ველური ტომები, არცთუ ნაკლებად ცნობილნი საზღვაო ძარცვით, იგი მიცურავდა უფრო შორს, თვით ვენეციის ნაპირებამდე. იქ გაგზავნა რამდენიმე კაცი ადგილმდებარეობის დასაზვერად, და გაიგო, რომ მის წინ მდებარე ხმელეთი- მხოლოდ ხმელეთის ვიწრო ზოლია, რომლის იქით- ლაგუნებია ზღვის წყლით შევსებული, გაგრძელებაზე დაბლობი, მას იქით გორაკები დაბოლოს შესართავი ძალიან ღრმა მდინარისა, სადაც შეიძლება გემების უხიფათო დაყენება (ეს იყო მდინარე მე-

დუკი). მაშინ კლეონმა ბრძანება გასცა შეეყენებინათ გემები შესართავში და ასულიყვნენ მაღლა მდინარის გაყოლებაზე. მაგრამ ყველაზე დიდი გემებისა-თვის მდინარე გამოდგა წყალმარჩხი. მაშინ მისი მეომრები, გადაინაცვლეს რა უფრო მსუბუქ და პატარა გემებზე , მივიდნენ დასახლებულ ადგილებამდე, სადაც სანაპიროზე იდგა სამი სათევზაო ხომალდი პატავიელებისა. გამოვიდ-ნენ რა სანაპიროზე, მათ დაიწყეს მოსახლეობაზე თავდასხმა, სახლების გადა-წვა, მიჰყავდათ საქონელი და ხალხი, და გართულები ძარცვით, სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ გემებს. როცა ყველაფერი შეიტყვეს პატავიელებმა, მისმა მცხოვრებლებმა -ხოლო გალების გვერდით ცხოვრებამ ისინი მიაჩვია მუდმივ მზადყოფნას-გაყვეს თავიანთი ახალგაზრდობა ორ რაზმად. ერთნი დაიძრნენ იქით, სადაც ხმაურის მიხედვით დათარეშობდნენ მძარცველები,ხოლო მეორე-ნი, მათ რომ არ შეჯახებოდნენ, შემოვლითი გზით გაგზავნეს გემების სადგომე-ბისაკენ-ხოლო იდგნენ ისინი ქალაქიდან 14 მილის მოშორებით. გაწყვიტეს რა მცველები, პატავიელებმა შეუტიეს პატარა გემებს, ხოლო შეშინებულმა გემების ეკიპაჟმა მდინარის მეორე სანაპიროს მიაყენეს ხომალდები. ასეთივე წარმატე-ბული იყო სანაპიროზე დაფანტულ მძარცველებთან შეტაკებაც, ხოლო როდე-საც ბერძნები გაიქცნენ უკან ხომალდებისაკენ, მათ გზაზე უკვე ვენეტები იდგ-ნენ. ასე იქნა მტერი ალყაშემორტყმული და განადგურებული. ხოლო ტყვედ აყვანილებმა აღიარეს, რომ სამ მილზე მათგან იდგა დიდი ხომალდები და თა-ვად მეფე კლეონი. მაშინ ვენეტებმა ტყვეები ჩააბარეს მეთვალვურეობის ქვეშ და დაესხნენ ბერძენთა (ლაკედემონელთა) მოუქნელ გემებს, რომელთათვისაც უცნობი წყლები სასტიკი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, ხოლო გაშლილ ზღვაში გაქცევა-სასიამოვნო წინააღმდეგობა.ვენეტები მათ მისდევდნენ შესართავამდე. აქ დაწვეს რამდენიმე ხომალი მტრებისა, შიშისაგან წყალმარჩხზე შეგდებულ-ები და ასე დაბრუნდნენ სახლში გამარჯვებულნი. კლეონი, რომელსაც მხო-ლოდ ხომალდების ერთი მეხუთედი ნაწილიღა შერჩა, წავიდა ადრიატიკის ზღვიდან დამარცხებულლი“ (ტიტუს ლივიუსი; წიგნი X, 2 (1) 302 წელი ქრისტემდე)

რასაკვირველია ვენეტები თავდაცვისუნარიანები ჩანან ქრისტემდე სამი საუკუნით ადრეც.როგორც ავტორი აცხადებს, ეს მათი მუდმივი მზადყოფნის შედეგია გალების წინააღმდეგ. მართალია რომის ხელისუფლებამ ვენეტების ოფიციალურად უკვე აღიარა რომის მოქალაქებად და შესაბამი სად რომის სახ-ელმწიფო ტერიტორიად, რომელსაც რომის სახელმწიფოვე იცავს, მაგრამ თავ-ად ვენეტებიც აბსოლუტურად თავდაცვისუნარინნი ჩანან. მათ რომის დახმა-რების გარეშე შესძლეს ლაკედემონის ბერძნული სამეფო ფლოტის დამარცხება და განდევნა ადრიატიკის ზღვიდან.

შემდეგი ისტორიული მოღვაწე, ვინც ვენეციის თემის შესახებ გარკვეულ ინფორმაცია გვაწვდის, ეს კონსტანტინე პორფიროგენტია, იმპერატორი ბიზანტიისა X საუკუნეში. ვერ ვიტყვით, რომ მისი მსჯელობა ვენეტიკის შესახებ გამოიჩევა საკითხის ღრმა ცოდნით:

„უნდა ვიცოდეთ, რომ ვენეტიკები, მანამდე სანამ მოცურავდნენ და დასახლდებოდნენ კუნძულებზე, რომელზედაც ცხოვრობენ ახლა, იწოდებოდნენ ენეტებად და ცხოვრობდნენ ხმელეთზე“ (კონსტანტინე პორფიროგენტი; „თემებზე“)

უნდა განვაცხადოთ, რომ კონსტანტინე პორფიროგენტის მოწოდებულ ცნობას არც წყარო გააჩნია და არც ანალოგი! ანბანის ისტორია დედამიწაზე ვერ ჩანს იმდენად ასაკოვანი, რომ ენეტების ვენეტიკის გარეთ ცხოვრებაზე ინფორმაცია შემოენახა! (თემა აშკარად სცილდება წიგნის ფორმატს)

„ამბავი იმისა, თუ როგორ იყო დასახლებული ქალაქი, დღეს წოდებული ვენეციად. უნდა ვიცოდეთ, რომ უძველეს დროს ვენეცია იყო უდაბური ადგილი, უკაცრიელი და დაჭაობებული. ახლაწოდებული ვენეტები იყვნენ ფრანკები აკვილიიდან და სხვა ადგილებიდან საფრანგეთისა, დაცხოვრობდნენ ისინი ხმელეთზე, ვენეციის მოპირდაპირედ. როდესაც ატილა, ავარების მეფე მოვიდა, გაძარცვა და გაანადგურა მთელი საფრანგეთი, მაშინ ყველა ფრანკმა მეფე ატილას შიშით დაიწყეს გაქცევა ადგილიდან საფრანგეთის სხვა სიმაგრეებში, მვიდნენ უკაცრიელ კუნძულებზე და ააგეს მათ იქ ქოხები. მაშინ როდესაც მეფე ატილამ გაძარცვა ხმელეთის მთელი სივრცეები, მივიდა რომსა და კალაბრიამდე, დატოვა გვერდზე შორს ვენეცია. აქ მცხოვრებმა ხალხებმა მოიპოვეს უსაფრთხოება და როგორღაც ჩამოიფერთხეს შიში. მოინდომეს ყველამ აქ დასახლებულიყვნენ, რაც გააკეთეს და ცხოვრობენ დრომდე აქ. ატილას წასვლიდან მრავალი წლის, მოვიდა მეფე პიპინი“ (იქვე)

კონსტანტინე პორფიროგენტის შემდეგი თხრობით, მეფე პიპინმა მოინდომა ვენეტთა დაპყრობა, თუმცა ვენეტებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მას. საბოლოოდ მხარეები ზავზე და ხარკზე შეთანხმდნე, რომლის რაოდენობას ვენეტები წლიდან წლამდე უკლებდნენ.კონსტანტინე პორფიროგენტი ძალიან ცუდი, უვიცი ისტორიკოსია. ის არ იცნობს ისეთ ანტიკურ გეოგრაფებსა და ისტორიკოსებს, როგორიც ჰეროდოტე, სტრაბონი, პლინიუს უფროსი, ტიტუს ლივიუსი და აპიანეა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენეტების (ვენეტების) აქ მოსახლეობა დასტურდება XIII- საუკუნიდან ქრისტემდე და არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიკოსი ამ ტომს გვერდს არ უვლის. უფრო მეტიც, ისინი რომის მოქალაქეობას ღებულობენ IV საუკუნეს ქრისტემდე და ზუსტად იმავე ტერიტორიაზე, სადაც დღესაც მდებარეობს. მკითხველს შევახსენებ, რომ მეფე ატი-

ლა-მისი ზეობის წლებია 434-453 წ. ქრისტესით, ხოლო მეფე პიპინი (მოკლე)-მეფობდა 751 წ. ქრისტესით.

ვენეციელთა აქტიურობა საქართველოს მიმართულებით მკვეთრად გამოიკვეთა ვენეტების მიერ დამოუკიდებლობის (1204 წ) მოპოვების შემდეგ. პირველი სავაჭრო ფაქტორია (ტანა) ევრაზიის კონტინენტის გასაყარზე, მდინარე დონის შესართავთან მათი აშენებულია. დიდი თამარ მეფისათვის ფლოტის შექმნის გეგმა ასევე ვენეციელების ჩანაფიქრი ჩანს, რომელთაც სავარაუდოდ ახსოვთ კიდეც თავიათი ქართველური ფესვები....

ვენეციელთა აქტიურობა საქართველოს ტერიტორიაზე, კარგად ჩანს თვით მონეტარულ პოლიტიკაზე დაკვირვებითაც: სამეგრელო -იმერეთში ფართო ხმარებაში იყო მე-16-ე საუკუნეს მოჭრილი ვერცხლის მონეტები, მარჩილი-რომელიც ვენეციის დოჟ ნიკოლო მარჩელოს პერიოდში მოიჭრა და მისივე სახელს ატარებდა. ოსმალთა იმპერიის მიერ ბოსფორის სრუტის ჩაკეტვამ, ეკონომიური კავშირები შეასუსტა და შეწყვიტა კიდეც....

გაქებ ხმალო ვინცა გჭედა...

ამ სტრიქონების ავტორს 2013 წელს ხელთ ჩაუვარდა მავანი მცირე სტატია ქართულ გაზეთში, რომელიც სამწუხაროდ დაკარგა...პატიოსან სიტყვაზე უნდა დამიჯეროთ: გერმანიის რომელიღაც ქალაქში, მარტოხელა მოხუცი არქეოლოგი სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლის...და რჩება ერთი საიდუმლო, რომლის ამოხსნას სიცოცხლის დიდი ნაწილი ამაოდ შეალია...საიდუმლო ძველ სკივრშია მოთავსებული, რომელიც სულთმობრძავი მოხუცის ლოგინქვეშ დევს... საიდუმლოს შუა საუკუნეების ხმლის პირის ნატეხი წარმოადგენს, რომლის ყუა, ძირითადი ნაწილი დრეკადი, ელასტიური ფოლადია... მჭრელი პირის ვიწრო ხაზი, უბასრესი და უკან დაუხევარი ლეგირებული ფოლადი, რომელიც არქეოლოგისათვის უცნობი ხერხით ხმლის ყუაზეა მიდუღებული...ხმალი საშინელ უპირატესობას ანიჭებს მის მფლობელს- მოწინააღმდეგის ჯავშნის დასაფხრეწად ხმლის პატრონს მარტო მძლავრი მარჯვენა და მისი მძლავრადვე დაქნევა ჭირდება... მოხუცი არქეოლოგი ისე აღესრულა, ვერც სხვადასხვა ფოლადის ურთიერთდაკავშირების ხერხი ამოხსნა და ვერც ხმლის გამომჭედ ქვეყანას მიაკვლია...მოგვყავს ფრანგული წარმოშობის რუსი მოხელეს და მწერალის, პოტტოს დოკუმენტური ნოველის მცირედ შემოკლებული ვარიანტი, საკუთარივე სახელწოდებით:

ცივი იარაღი

„...წამოჭრა საკითხი რუსული ჯარის ცივი იარაღით მომარაგებაზე. ჩვენ ვხედავდით რამდენად მომთხოვნი იყო პასკევიჩი რუსული კავალერიის მოქმედებაზე, ამიტომ მისი ბუნებრივი სურვილი იყო, კავალერია მოეყვანა შესაძლო სრულყოფილებამდე. მაგრამ კავალერიაში ყველაფერი მნიშვნელოვანია მხედარი, ცხენი, იარაღი. ნიჟეგოროდელი დრაგუნი სტეპის ულაყზე, მცირდ გაწვრთნილი, მაგრამ მიჩვეული საბრძოლო ცხოვრების ყველა გასაჭირს, საუკეთესო იყო, მაგრამ რაც შეეხება იარაღს, თავისი ხარისხით ის ბევრად ჩამორჩებოდა მოწინააღმდეგისას, რომელთანაც მას საქმე ჰქონდა. მახვილთა შესანიშნავი ნიმუშები, რომელთაც პასკევიჩი ხედავდა სპარსელებთან, თურქებთან, ქურთებთან და ჩვენი ხაზის კაზაკებთან, ჩააგონა მას აზრი, რომ შეეიარაღებინა ჩვენი რეგულარული კავალერია ზუსტად ასეთი ხმლებით. მეორე მხრივ, ეს საკითხი ასევე აინტერესებდა ფინანსთა მინისტრს, გრაფ კონკრინს, რომელსაც რუსეთის იარაღის ქარხნები ექვემდებარებოდა, მათ შორის ქარხანა თეთრი იარაღისა. ახლო ჟამებში გახსნილი ორენბურგის გუბერნიაში. ეს იყო ახლანდელი ზლატოუსტის ქარხანა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა **1812** წელს რამდენიმე ზოლინგენელმა მეიარაღემ, რომელთაც მიმართეს წინადადებით, დაეარსებინათ რუსეთში სახაზინო ქარხანა მხოლოდ ცივი იარაღის საწარმოებლად. ევროპულმა ომებმა, რომლებიც გრძელდებოდა **1816** წლამდე შეაყოვნეს ეს საკითხი, და ის შესრულდა მხოლოდ **1819** წლს,როცა ზლატოუსტში დასახლდა რამდენიმე უცხოელი მეიარაღე,რომელთაც მიუყენეს დამხმარედ რამდენიმე რუსი ოსტატები და საჭირო რაოდენობის მუშა.

ბუნებრივმა მოთხოვნილებამ გაეუმჯობესებინა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მაშინ ჩვენთვის ჯერ კიდევ ახალი დარგი,ცივი იარაღის წარმოება, აიძულა კონკრინი მიემართა ცნობებისათვის პასკევიჩისათვის, რომელსაც თავისი აზიური ლაშქრობების გამო სხვებზე კარგად შეეფასებინა აღმოსავლური მახვილები. აღმოსავლური იარაღი ძველთაგანვე იყიდებოდა ევროპაში; მაგრამ იმ პერიოდიდან, როდესაც რუსებმა დაიწყეს ომი კავკასიაში, გახდა ცნობილი ჩერქეზული ხმლები, რომელთა დარტყმა არცთუ იშვიათად თოფის ლულებს ჩეხავდა და ჯავშანსაც კი სჭრიდნენ, მოყავდათ რა ამით ყველა განცვიფრებაში. კონკრინს უნდოდა გაეგო, რომელი მასალით მზადდებოდა ეს იარაღი, მუშაობის პროცესი და ხმლის წრთობის ხერხი. მიმართეს თბილისში საუკეთესო ოსტატს, კახრამან ელიზაროვს (ყარამან ელიზარაშვილი) მან გააკეთა ას ორმოცდაათ ჩერვონცად სასინჯი ხმალი და ხანჯალი ნამდვილი ბულატისაგან (ფოლა-დისაგან)...

ბულატის (ფოლადის) მერე პირველი ადგილი მიეკუთვნება ძველ ევროპულ მახვილებს, განსაკუთრებით ჯვაროსნული ომის პერიოდისას. რატომღაც

ძველებური მახვილები სჯობია უახლეს გამოშვებებს-ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ადრე იარაღის გამოშვება ინტელექტუალური ხალხის ხელში იყო, მეცნიერების მცოდნეთა, რომლებიც ხარჯავდნენ შრომას, მთელ თავიანთ ცოდნას, რომ ჩამოესხათ , გამოეჭედათ და გამოეწრთოთ მაღალხარისხოვანი მახვილები. მაშინ ერთ მახვილზე მუშაობდნენ მთელი თვეები, ზოგჯერ წლებიც, ასჯერ გადაჭედავდნენ და ასწორებდნენ მას იქ, სადაც შეატყობდნენ რაღაც ცდომილებებს. ახლა ხელის შრომა შეცვლილია მანქანურით , და მახვილებს უშვებენ არა ერთეულ ცალებს, არამედ მთელი პარტიებით. მეცნიერი ხალხი, რომლებიც იდგნენ ქურასთან და გრდემლთან, შეცვალა უბრალო მუშამ. მაშინ როდესაც ძველი მონათხრობი გვეუბნება ბევრ ცნობილ მეცნიერ-მეიარაღეზე, ასე მაგალითად, ცნობილი გენუელი ფერარი და მცხოვრებნი XIV; XV; XVI საუკუნეებში (ვენეციელნი). სამწუხაროდ ისტორიკოხები ჰყვებიან მათ საოცარ ნაწარმზე და არაფერს ამბობენ გამოკვერვის საიდუმლოებაზე, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ.....

კაზაკები შოულობდნენ ასეთ იარაღს მხოლოდ მთიელებისაგან, მაგრამ რჩება კითხვა- საიდან ხვდებოდნენ ისინი კავკასიაში. ქრისტიანულ საქართველოში კიდევ შეიძლება ახსნა მისი ახლო ურთიერთობებით ჯვაროსნული ომის რაინდებთან, რომელთა ხმაური შეეხო ევერიასაც და ჯვაროსნებს არ შეეძლოთ არ დაეტოვებინათ თავიანთი კვალი მათ იარაღზე. მაგრამ ასეთი მახვილები, თუმცა იშვიათად, მაინც გვხვდებოდა ჩეჩნეთში, დაღესტანში, ოსებთან, და განსაკუთრებით ბევრი იყო ისინი ყუბანში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. საფიქრალია, ეს გენუელი და ვენეციური კოლონიების კვალი უნდა იყოს, მათი კოლხეთში და ფანაგორიაში ბატონობის დროინდელი. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი შემოტანილია ჯვაროსანი რაინდების მიერ. უკიდურეს შემთხვაში ცნობილი, რომ ჩერქეზებს უყვართ საფლავების და ყორღანების გათხრა, ხშირად ნახულობენ იქ განლეულ ძვლებს, ხოლო მათთან ერთად რაინდების აბჯარს და მახვილს, რომელთაც გადააკეთებენ ხმლებად. ვის ეკუთვნის ეს საფლავები, თუ არა წმინდა მიწის პილიგრიმ რაინდებს, რომლებმაც ჩაყარეს თავიანთი ძვლები და იარაღი აქ...

ფერარის და სხვა ოსტატების ნაწარმის მერე, საუკეთესო ევროპული ხარისხის ხმლად ითვლებოდა, ეგრეთწოდებული „მგლის ლეკვი“- ვოლჩონოკ. საერთოდ ეს სახელი დაარქვეს რუსებმა, მთიელები ასეთ მახვილს „კალდინს“ ან „ტერს მაიმუნს“ უწოდებენ, თუმცა ეს ორივე ხარისხი განს ხვავდება ერთმანეთისაგან გარეგანი ფორმებითაც. კალდინი გვხვდება ძირითადად მთიან დაღესტანში, ხოლო ხევსურებთან-თითქმის გამორიცხულია. ფართო, ერთ მხარეზე ჯვრით წრის ზემოთ, ხოლო მეორე მხარეს- მორბენალი მგელი. ტერს- მაიმუნს აქვს აგრეთვე მცირე ჯვრები, გარკვეული წესრიგით განლაგებული, მხო-

ლოდ მორბენალი მხეცი გამოსახულია რამდენიმე ხაზით, ხოლო მხეცის გვერ-
დზე ხან არის, ხან არ არის ლათინური ასოები H.M.ეს მახვილები დიდად დაფა-
სებულია კავკასიაში, ხშირად გვხვდება ჩეჩნეთში, თუმცა ჩეჩნებისათვის სხვე-
ბზე რთულია კარგი მახვილის შეძენა, იმდენად რამდენადაც ისინი შავი ზღვი-
დან შორს ცხოვრობენ და აგრეთვე საქართველოდან-ამ ორი ცენტრიდან, საი-
დანაც ხდებოდა იარაღის გავრცელება. გაუგებარია, რატომ დაინახეს ამ მხეცში
ჩეჩნებმა მაიმუნი, რის გამოც ისინი ამ მახვილებს ასე ეძახიან. ამ ხმლის წარმო-
მავლობას ისევე ჯვაროსნებს უკავშირებენ. საქმე იმაშია, რომ ცნობილ ფრან-
გულ გვარს, მონმორანსს გერბზე მგელი ჰქონდა გამოსახული. ერთ- ერთი ეს
მონმორანსი, კერძოდ ჰენრი, მონაწილეობდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში და იმ
საუკუნეების შესაბამისად, მხლებლები და საჭურისმთვირთელები, როგორც
ყველა სხვა არისტოკრატისა,ატარებდა იარაღზე მბრძანებლის გერბს, ამშვენებ-
და ზოგჯერ საწყისი ასოებით H.M.-ე.ი. ჰენრი მონმორანსი.

ამ იარაღმა, აუცილებლად შეკვეთილი იმ დროისათვის საუკეთესო ოსტა-
ტისათვის, მოიპოვა აღმოსავლეთში ხმაურიანი წარმატებები. არაფერია საკვი-
რველი იმაში, რომ ქართველები, რომლებიც თავინთ ლაშქარს აგზავნიდნენ
იერუსალიმში ჯვაროსანთა დასახმარებლად, ცდილობდნენ შეეძინათ ეს მახ-
ვილები და შემოეტანათ საქართველოში, სადაც ახერხებდნენ მათ გადაკეთებას
კუთხის საჭიროებისამებრ-გადააკეთებდნენ მათ ხმლებად. მაგრამ ეს ხმლები
გამოდიოდა თითქმის სწორები და მხოლოდ ბოლოში იქლიბებოდა ისე, რომ
წარმოადგენდნენ სუსტად მოხრილ ხაზს... მაგრამ ადგილობრივ ოსტატებს შო-
რის ძველ დროში იყვნენ ისეთები, რომელთა ნაწარმი არამცთუ ჩამორჩებოდა
ძველ ევროპულ ნიმუშებს, აღემატებოდნენ მათ, გამიზნულნი ჯავშნის გასაპო-
ბელად. ასეთია მაგალითად მთელ კავკასიაში ცნობილი „გურდა“. ამბობენ,
რომ ერთი ოსტატი, რომელმაც უკიდურესი შრომისმოყვარეობით და ძალისხ-
მევით შეძლო ამ საოცარი მახვილების გამოჭედვა, შეხვდა მოწინააღმდეგეს,
ასევე იარაღის ოსტატს, რომელიც ცდილობდა ამ პირველის ოსტატობის განქი-
ქებას. მოხდა კამათი და პირველმა ოსტატმა, რომელიც ცდილობდა თავისი
იარაღის უპირატესობის დამტკიცებას, ყიჟინით გურდა! (ნახე) ერთი დარტყ-
მით გადაჭრა მოწინააღმდეგის ხმალი და თვითონ პატრონიც. ამ ოსტატის სახე-
ლი დავიწყებას მიეცა, ხოლო მისი წამოძახილი გურდა! ასევე დარჩა იარაღის
სახელად....

ასევე დიდებით სარგებლობდა კავკასიაში მოხუცი ბაზალაის სატევრები,
მაგრამ ნამდვილი ბაზალაი ისე იშვიათია, რომ მხოლოდ მცირეოდენმა რაოდე-
ნობამ თუ ნახა იგი, უმრავლესობას მასზე მხოლოდ მოუსმენია. ეს მახვილები
ჰყრიან ნაპერწკალს არა ნაკლებ კვესისა, და პარსავენ წვერს როგორც საპარსი...
თვით ელიზარაშვილი, იმ დროის საუკეთესო ოსტატი, ვერაფერს ამზადებდა

გორდასა და მგლის ლეკვის მსგავსს. ყარამანმა ახსნა, რომ საუკეთესო ფოლადები მზადდებოდა რკინის ნალებისაგან, რომელსაც ამუშავებდნენ თურქული თუჯის ფხვნილით და შემდეგ დუღდებოდა თურქულ ფოლადთან; თავად იარაღის გამოწრთობა ხდებოდა ორიგინალური ხერხით:მის სამჭედლოსთან იდგა გამზადებული მხედარი; საქშენში გავარვარებულ ხმალს მჭედელი გადასცემდა მხედარს ხელში, რომელიც ადგილიდან მოწყვეტდა ცხენსმიაჭენებდა მთელი სისწრაფით ქარის საწინააღმდეგოდ აწეული ხმლით. ფოლადი იწრთობოდა ჰაერშ ი სწრაფი ტრიალით ...1830 წელს ზლატოუსტიდან გამოაგზავნეს თბილისსი ოთხი ოსტატი, ორი გერმანელი და ორი რუსი, რომლებიც მოვიდნენ ელიზარაშვილთან და ორწლიანი სწავლების მერე გაბრუნდნენ უკან; უნდა ვივარაუდოთ, რომ ს წავლებამ ქარხანას დიდი სარგებლობა მოუტანა, იმიტომ რომ შემთხვევით თუ არაშემთხვევით- საუკეთესო მახვილები, გამოშვებული ქარხნის მიერ, კავალერიაში ყოველთვის ითვლებოდა ის, რომელზედაც იყო დამღა 1832;1833;1834 წელი, რომელიც ზუსტად ემთხვევა ყარამანის მოსწავლეების პირველი წლების მოღვაწეობას...გორდა და მგლის ლეკვი იმითააკარგი, რომ საშიშია ბავშვის ხელშიც კი!" (Потто В. А. Том- IV –XXXVIII, იბეჭდება შემოკლებით)

უნდა აღინიშნოს, რომ რუს მოხელეს და ისტორიკოს პოტტოს, ცივი იარაღის შესახებ მნიშვნელოვანი მასალა შეუგროვებია, თუმცა მისეული დასკვნები ძალზე შორს დგას რეალობისაგან. მისივე ცნობებზე დაყრდნობით, შესაძლებელია მთელი რიგი დასკვნების დადება, რომელთა რეალობას მკითხველი განსჯის:

1. როგორც თვითონ პოტტო აღნიშნავს, რუსეთში ცივი იარაღის ქარხნის დამფუძნებელნი, ზოლინგენელი (გერმანელი) ოსტატები არიან, რომლებიც დღესაც ევროპაში ცივი იარაღის მოდის მდებელნი არიან. რუსების მიერ ოთხი ოსტატის თბილისში გამოგზავნა ხელობის დასაუფლებლად, ცივი იარაღის ევროპული ხარისხით უკმაყოფილებაა.

2. პოტტო დიდ ყურადღებას უთმობს ჯვაროსნული ომების დროინდელ მახვილებს, თითქოსდა მთიელ ჩერქეზთა ხელში ძირითადად ეს იარაღი იმყოფებოდა, ცალ მხარეზე გალესილი და ბოლოში ოდნავ მოღუნული .როგორც ცნობილია, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა 1095 წელს მოხდა, უკანასკნელი 1204 წელს. ჯვაროსანთა მახვილები, გადაკეთებული ხმლებად, პოტტოს ეპოქისა და კავკასიის ომის პერიოდისათვის, 630-740 წლისა იყო უკვე. ცივი იარაღის მეტნაკლებად მცოდნე ნებისმიერი პიროვნება ერთმნიშვნელოვნად იტყვის, რომ ფოლადი მუზეუმის სტერილურ პირობებშიც კი ვერ ძლებს ამდენ ხანს, არამცთუ ჯვაროსნების საფლავებიდან თუ ყორღანებიდან ამოთხრილი (პოტტოსვე სიტყვებით) რომლიც შავი ზღვის ამ სანაპიროზე არ არსებობს (უბრალოდ ვერა-

ნაირად ვერ მოხვდებოდა)

3. პოტტოს მოხსენებული იტალიური ხმლები ფერარიდან XIV; XV; XVI; საუკუნეში შემოტანილი, რომელიც მას კავკასიელ მთიელთა ხელში ეგულება, არ შეიძლება რეალური იყოს. როგორც იარაღმცოდნეთათვის ცნობილია, ხმალმა შესაძლოა ორ ბრძოლას ან რამდენიმე შეტაკებას გაუძლოს. არ ყოფილა ისტორიულად შემთხვეა კავკასიაში, რომ საუკუნეს უომრად ჩაევლოს, პირიქით, თითო საუკუნეში რამდენიმე ომია დაფიქსირებული. ვერც 400-200 წლიანი ომგამოვლილი ხმლები იბრძოლებდნენ ეგოდენ წარმატებით მთიელთა ხელში.

4. მართალია იტალიელთა მრავალრიცხოვანი კოლონიები არსებობდა ყირიმს, აზოვს თუ ანაპაში, მაგრამ მათგან უკანასკნელი 1482 წელს, გიზოლფთა საგვარეულო იყო ტამანზე (როგორც ირკვევა, ზიხ თავადთან ზედსიძედ შესული) რასაკვირველია ამ კოლონიაში გამოჭედილი ხმლებიც უკვე მწყობრიდან იქნებოდა გამოსული, ასევე ზემოთ მოხსენებული მიზეზით.

5. ევროპის ფარიკაობის მთელი სკოლა დაფუძნებულია მოწინააღმდეგის ჯავშანში ხარვეზის პოვნაზე, ამ ხარვეზის გამოსაყენებლად და მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ევროპის, მათ შორის იტალიური იარაღის გამოწრთობის თეორია და პრაქტიკა არ იცნობს ჯავშანის მკვეთელი ხმლის საიდუმლოს (ამ საკითხზე დასაწყისში მოხსენებული გერმანელი მოხუცი არქეოლოგის თემაც ნათლად მეტყველებს)

6. დამღა მგლისა, რომელსაც პოტტო ჰენრი მონმორანსის საგვარეულო დამღად თვლის, გაცილებით ძველია.თავად სტრაბონი აღწერს ორი ათასი წლის წინანდელ ამბავს, ვენეტთა მგლისდამღიან ცხენთა რემის შესახებ.

7. თავად პოტტოც აღიარებდა, რომ ადგილობრივი ოსტატების დამზადებული „გურდა“ (გორდა) ყველა მაჩვენებელით ჯობდა ევროპულ (და საერთოდ ყველა სხვა) ხმალს მსოფლიოში.

8.თავად ყარამან ელიზარაშვილიც კი, რომლის მიერ განსწავლული გერმანელი ოსტატები ამზადებდნენ რუსული კავალერიის საუკეთესო ხმლებს, ვერ ამზადებდა ხმალს, რომელიც თუნდაც ახლოს მივა გორდასთან ან მგლის ლეკვთან მაინც.

9)პოტტოს სიტყვებით, გურდას მიმანიშნებელი არა ოსტატის დამღა და სხვა ნიშნებია, რომელის გაყალბება დამწყებ ოსტატსაც შეუძლია, არამედ ამ ხმლის თვისება დაფხრიწოს მოწინააღმდეგის ჯავშანი და მისი სიბასრე, რომელიც ბავშვის ხელშიც კი ამ ხმალს სახიფათოს ხდის.

ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ არც ერთ ქართველურ (და არაქართველურ) ენაზე „გურდა“ -ნახეს არ ნიშნავს, გორდას საბასეული განმარტება ასეთია: **გორდა- ხმალია ერთგვარი (ამას ქართველნი ყვარობენ)** თანამედროვე ქართულ ენციკლოპედიაში ის ასე ითარგმნება: **გორდა-**

უვადო, ოდნავ მოხრილი ხმალი.

საინტერესოა, რომ აღმოსავლურ ქართული ლექსიკა ამ სიტყვას ვერა ხსნის. ვერ ხსნის მას კოლხური ლექსიკაც, რომლის მიხედვით გაღუნული- ეს გოღვანკილია.ზედმიწევნით და ზუსტად ხსნის ამ სიტყვას მეგრული სლენგი, რომელიც თავისთავად არქაული სიტყვა ჩანს და ხმარებაშია ოჩამჩირის, გალისა და წალენჯიხის სოფლებში, რომელიც გაჯერებული ჩანს ჭანურ- ლაზური ელემენტებით...გორდა-ეს ოდნავ მოღუნულს ნიშნავს, სავარაუდოდ ლაზურ -ჭანურ მეტყველებაში. სტრიქონების ავტორს არაერთგზის ახსოვს შემთხვევა, რომ როდესაც უფროსები საიატაკე ფიცარს არჩევდნენ, გვერდზე გადადებდნენ ზოგიერთს იმ მიზეზით, რომ ის „გორდაა“ (გაღუნული) და საიატაკედ ვერ ივარგებს (არ გასწორდება) ადვილი წარმოსადგენია, რა ზომაზე შეიძლება გაიღუნოს მთელ სიგრძეზე ნედლი ფიცარი, რომ ის საიატაკედ ვერ გასწორდეს. აი ზუსტად ესა მოღუნვის ის დოზა, რასაც გორდა ჰქვია, რაც ამ ხმალს სახელად დაენათლა კიდეც....

... და საერთოდ რამდენად გამართლებულია მსოფლიოში საუკეთესო ხმლის, გორდას გამომწრთობი ქვეყანა და თემის ძებნა სხვაგან, როდესაც აქვე, გაგრა- ხოსტას მონაკვეთზე ჰენიოხებს უცხოვრიათ , ხალიბთა კომპაქტური შტოს?

„კერკეტები დაეუფლნენ ძველ ზიხიას, იმდენად რამდენადაც ახაიელებიდან (ანაპიდან) <u>ხალიბებამდე (აფხაზებამდე)</u> ამ დრომდე იწოდება ჩერკეს-ტოპრაგ (ჩერქეზების ქვეყანა)“ (Всеобшее историко- топографическое описание Кавказа Якоб Рейнеггс)

ავტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1744-1793) ხუთი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ავტორი კავკასიაში... მკითხველს ვთხოვ გაიხსენოს თურქი მოგზაური, ევლია ჩელების აღწერა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსი, სადაც ის პირველად ხმარობს ტერმინ „ჭეშმარიტ აფხაზს“ ზუსტად გაგრიდან ხოსტამდე დასახლებული მცირე და დიდი „ჩანდების, “სინამდვილეში გაგრელი ჭანებისა და ხოსტელი ლაზების აღსანიშნავად. ერთი ესაა, ხოსტელი „აფხაზები“ სინამდვილეში კენი -ხალიბი- ლაზები აქ უკვე 1704 წლის შემდეგ არ სახლობენ...

სრულიად ნათელია, თუ რატომ ვერ ჭედავს ყარამან ელიზარაშვილი გორდას ან მგლის ლეკვის თუნდაც მიახლეებულ ფოლადს, ის ხომ მთელი საუკუნით გვიანაა დაბადებული, ვიდრე გორდასა და მგლის ლეკვის საიდუმლო ფაქტიურად სამუდამოს დაიკარგა ისტორიის წიაღში... ცხადია რატომ ლაპარაკობს პოტტო გორდასა და მგლის ლეკვზე წარსულ დროში, რომ ამ ხმლების შესახებ უფრო გაგონება შეიძლება, ვიდრე ნახვა. საუკეთესო ფოლადის გამოწრთობის დროდან პოტტონდე მინიმუმ 130 წლის დისტანციაა....რასაკვირველია

გორდასა და მგლის ლეკვის (33) გამოწრთობის საიდუმლო სამარეში გაიყოლიეს იმ ჭარმაგმა თაობამ „დიდი“ ჭანებისა, რომელთაც 2000-წლიან მშობლიურ მიწაზე მოინდომეს ჟამთან გამკლავება და დამარცხდნენ...

...ხოლო ამოუხსნელი საიდუმლო მოხუცი გერმანელი არქეოლოგისა?... საიდუმლო ხომ არც არსებობდა... მოხუცი არქეოლოგი იმფორმაციის ნაკლებობამ დააღალატა:

„არამედ წყალიცა ყანდაარისა შეეკრა სპითა და მოსრულთა ქართველთა, იხილეს რა შეიცურნეს ცხენნი და ერთხმობით განვიდნენ და იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, მისცა ღმერთმან ძლევა, აოტნეს და მოსწყვდნეს მრავალნი. კუალადცა წარმოსულთა მრავალგზის ეწივნენ, გარნა ქართველნი მძლე ექმნებოდენ, შემდგომისად ეწივნენ ი“ე ჩ“ მხესაბნი, ქართველთა ხუთასთა ბრძვეს ძლიერად, ძალითა ღ’თისითა მოსრნეს, რამეთუ მცირედნიღა განერნეს ლტოლვითა და ქართველნი მოვიდნენ გირიშკს გამარჯვებულნი. არამედ საცთურითავე მირ ვეისისითა არა მისცეს აქაცა ნავნი, შეიცურვეს კუალად ცხენნი და განვიდნენ უვნოდ. არამედ დაშთა კაცი უძლები მუნ კიდესა ზედა, ამას მოუხდნენ ავღანნი, ჰკრა ხმალი ქუეითმან და განკუეთა ავღანი ჯავშნოსანი სრულიად და შეჯდა ცხენსა მისსა და გამოვიდა იგიცა. ხოლო ავღანთა მიართუეს განკუეთილი ჯავშანი მირვეისსა და რქუეს: ამის მოქმედთა არა ძალგვიძს ბრძოლა“
(ბატონიშვილი ვახშტი; აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ტომი IV,გვ484-485,თბილისი-1973 წ)

ეს ინფორმაცია კი ვახუშტიმ მე-18-ე საუკუნის პირველ მეოთხედში უკვე გაახმოვანა, სავარაუდოდ საუკუნით ადრე მოხუცი გერმანელი არქეოლოგის გარდაცვალებამდე ...დასასრულს,თემას პოტტოსავე სიტყვების პერიფრაზირებით დავამთავრებთ:

... ფერარაში- ევროპაში საუკეთესო ფოლადს (ხმალს) ჭედავდნენ!
...გაგრაში-მსოფლიოში საუკეთესოს!..აქაც და იქაც მას კენი ჭედავდა!

შენიშვნები:

1. როგორც ცნობილია, არგონავტების ლაშქრობა ტროას ომს 18-21 წლით უსწრებდა. ხომალდ „არგოზე“ ტროაში მებრძოლთა მამებმა ილაშქრეს. მათი საბრძოლო ხომალდი ბერძნული გემთმშენებლობის უკანასკნელი სიტყვა იყო, უსწრაფესი არსებულ ყველა ბერძნულ ხომალდზე. ცურვის გარკვეულ ეტაპზე ხომალდი სიმპლიგადებს, მოძრავ კლდეებს მიადგა. ბერძნებმა მხოლოდ მას შემდეგ გაბედეს შეცურვა შიგ, როდესაც გაშვებულმა მტრედმა უვნებლად გაასწრო კლდეთა შეჯახებას... „არგოს“ მიერ ამ საწყალოსნო სივრცის გადალახვის შემდეგ სიმპლიგადები ადგილზე გაჩერდნენ, რადგანაც ასე იყო ნაწინასწარმეტყველები: მასში პირველად გაცურული ხომალდის შემდეგ კლდეები ადგილზე უნდა შეჩერებულიყო. ვინაიდან აქამდე კლდეები ვერავის გაეცურა, შესაბამისად „არგო“ თავისი დროის უსწრაფესი ხომალდი იყო, თუმცა მხოლოდ 50 ნიჩბიანი...შეუძლებელია ბერძნულ გემთმშენებლობას ასე მოკლე პერიოდში, როგორიც იყო ტროას ომამდე (18-21წელი) ისეთი გარღვევა გაეკეთებინა, რომ ამ ომში მონაწილე ხომალდების უმრავლესობა ტრიერები (სამიარუსიანი ნიჩბიანი გემი) ყოფილიყო, რომლების ერთი-ორად უფრო სწრაფნი იყვნენ, ვიდრე 50 ნიჩბიანი. შეუძლებელია ტროას ომში ბერძნებს სამნიჩბიანი ტრიერები ჰყოლოდათ! მართლაც ძიების პერიოდში ავტორი „შემთხვევით“ წააწყდა ცნობას, რომ პირველი ტრიერები კორინთოში ააშენა გემთმშენებელმა ამინოკლმა 960-980 ჩვ.წ. აღრიცხვამდე, 300 წლის შემდეგ ტროას ომის დამთავრებიდან **(თუკიდიდე; წიგნი 1-13)** რასაკვირველია ჰომეროსმა ბერძენი მეომრები ჩაასხა თავისი ეპოქის სატრანსპორტო საშუალებებში, სინამდვილეში ბერძენ მეომრებს 50 ნიჩბიანი ხომალდებიღა ყავდათ...

2. თითქმის იგივე სიტუაციაა საჭურველ-იარაღთან მიმართებაში. ტროას ომის ეპოქა (1290-1280 ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ბრინჯაოს ხანის რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდია, რომელიც სავარაუდოდ რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. ჰომეროსი ორივე მებრძოლ მხარეს ბრინჯაოს (რვალის) იარაღით აიარაღებს, რაც რეალობის ზუსტი ასახვა ჩანს. ამასთან პოემაში სულ რამდენჯერმე, მაგრამ მაინც რკინაცაა ნახსენები. ორ შემთხვევაში ის ნახმარია მეომრის გულადობის, შეუბრალებლობის სიმბოლოდ: **„პელიდს ცეცხლივით უჭრის მკლავი, სული აქვს რკინის....’ (თავი 20-373; ილიადა)** **„...შენ რკინის გული გაქვს მკერდში...“ (თავი22-358; იქვე)** ორ შემთხვევაში როგორც ღირებულება: „...**აქედან ბევრი მიმაქვს ოქრო, სპილენძი, რკინა... „(თავი 9-366; იქვე)** „...**სახლში მიყრია ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი ...“ (თავი10-379; იქვე)** ერთხელ როგორც ბლაგვი იარაღი„**...რკინის კომბლით ფლეთდა ფართო ფალანგებს...“(თავი 7-141; იქვე)** და მხოლოდ ერთხელ როგორც მჭრელი იარაღი და ისიც მხოლოდ ნაჯახი დურგლის ხელში ხის მოსაჭრელად: „...**ალვას, მეეტლე რომ შეარჩევს, ელვარე რკინით მოჭრის....“ (თავი 4-485; იქვე**

შეუძლებელია ჰომეროსის დროს რკინის საბრძოლო იარაღი ხმარებაში არ ყოფილიყო, თუმცა ტროას ომის დროს ის დიდი გამონაკლისი ჩანს...და მაინც, აქილევსის ჯავშანი ფოლადისა ჩანს , რაც მისი უძლეველობის ერთ -ერთი ფაქტორი ჩანდა, მოუწყლვადობისა- ერთადერთი. გადმოცემის მიხედვით, ქუსლში, შეუჭურველ ადგილას მოხვედრილი ისარი გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. სამტკიცი იმისა, რომ აქილევსი ს აბჯარი აღმატებული ხარისხისა იყო, ჰომეროსის ვერსიით ვითომცდა მისი უკვდავის, ჰეფესტოს მიერ დამზადებაა. პოეტი ერთობ ხატოვნად აღწერს იარაღის დამზადების პროცესს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის მხატვრულ ღირებულებას... აქილევსისათვის, მეომრისათვის, აბჯრის ღირებულება მისი სიმტკიცეა, მოწინააღმდეგისაგან მოუწყლვდობა, და არა დეკორატიული სილამაზე. ზუსტად უჯავშნობის გამო ვერ ეშველება აქილევსი ელინებს, როცა ისინი პატროკლეს ცხედრის დაცვას ცდილობენ ტროელებისაგან. ის ამ შეტაკებაში მონაწილეობას ვერ ღებულობს, შორიახლო სერზე შემდგარი, საბრძოლო ყიჟინით ცდილობს ტროელთა დაშინებას. რასაკვირველია მას თავისუფლად შეუძლია ბერძენთა რიგებში ინათხოვროს აბჯარი, ან შეიმოსოს რომელიმე ნაალაფარით, თუმცა ის დალოდინებას ამჯობინებს, სანამ დედა წინა აბჯრის ბადალს არ მოუტანს....

ბევრის მთქმელია ის სცენაც, როდესაც ჰექტორი თავპირისმტვრევით გარბის ილიონისაკენ, რომ ვინმე ტროელმა არ დაასწროს აქილევსისეული აბჯრის დაპატრონება, რომელიც ტროელებმა დამარცხებულ პატროკლეს გახადეს.

გლავკოსის საყვედურს, რომ ის ბრძოლის ველიდან გარბის, ჰექტორი ასე პასუხობს:“მე ბრძოლას არ გავურბივარ! დარჩი ჩემთან და ნახავ, აქილევსის აბჯარ-ბექთარში ჩამჯდარი რა დღეს დავაყრი აქაველთა ლაშქარს.“ საყურადღებოა აქილევს-ჰექტორის ორთაბრძოლაც, რომელნიც თანაბრად, მაღალხარისხოვანი ჯავშან-იარაღით ჩანან შეჭურვილი: **„მხოლოდ იქ, სადაც ყელი ჩანდა, ხორხის ნაწილიც იყო შიშველი, სული სიკვდილს ვერ აიცდენდა“ (თავი 22-324-325; იქვე)**

რასაკვირველია აქილევსისეული აბჯარ- ჯავშანი უფრო მაღალი ხარისხისა, ვიდრე დანარჩენ ტროელ- აქაველთა მხედრობისა. ასეთი შესაძლებელია მხოლოდ რკინა (ფოლადი) ყოფილიყო, რომელსაც მაშინ მხოლოდ ხალიბები ჭედავდნენ. ამიტომაც არ ჩანან ენეტები (ხალიბები) ტროელთა მხარეს მებრძოლთა რიგებში, თუმცა მათი მეზობლები, პაფლაგონიელები და კავკონები ტროელთა მხარეს იბრძვიან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თვითნასწავლ არქეოლოგს, შლიმანს, რომელმაც მიკენის სასახლე გათხარა და მისივე ვარაუდით აგამემნონის და მის თანმხლებთა საფლავებს მიაკვლია , ნამდვილად მათთვის უნდა ჰქონდეს მიკვლეული. არქეოლოგთა ვარაუდი, რომ გახსნილი საფლავები აგამემნონის და მის მხლებელთა არ ყოფილა, იმ არგუმენტს ემყარება, რომ საფლავები ბრინჯაოს ეპოქისაა და არ შეიძლება მათ ეკუთვნო-

დეთ. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ტროას ომში მთავრი იარაღი ზუსტად ბრინჯაოსი იყო, გარდა აქილევსისეული ორი კომპლექტი ჯავშნისა!...და მეორე, შლიმანის აღმოჩენილი ილიონის განძი, თურმე სხვა „ვიღაცისა“ ილიონის ადრინდელი მცხოვრებისა იყო, ვინაიდან იგი ადრინდელ ფენებშია აღმოჩენილი, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ქალაქი, ციხე-სიმაგრე, რომელიც ათი (ათი!) წელიწადია ელინთა შეტევის ობიექტს წარმოადგენს, რომელსაც უკვე გაუნადგურეს მისი ყველაზე სახელოვანი დამცველები და რომლის ელიტამ იცის, რომ ის განწირულია დასამარცხებლად, განძი მიწაში გადამალა, ღრმად ჩათხარა!. განძი იმდენად ღრმად ჩაითხარა, რომ რამდენიმე კულტურული ფენის ქვეშ მოყვა და რომელსაც ელინებმა (სავარაუდოდ დიდი ცდის მიუხედავად) ვერ მიაკვლიეს! დიახ, შლიმანმა თავისი დროის უდიდეს აღმოჩენა გააკეთა, მაგრამ ტრიუმფი ბოლომდე ვერ იგემა, პროფესიონალი არქეოლოგიური წრეების შურის გამო. . .-უჩემოდ ვით იმღერეთა- მარტო ქართველთა სენი არა ყოფილა!

3. ჰეკატე მილეტელის „დედამიწის აღწერილობის“ფრაგმენტების, „ევროპა“ და „აზიის“ განხილვამდე, აუცილებელია ევროპა-აზიის იმდროინდელი საზღვრების დადგენა. ჰეროდოტეს მიხედვით (იხ ტექსტში) ზოგიერთი ამ საზღვრად კოლხეთის მდინარე ფაზისს (რიონს) მიიჩნევს, ზოგიერთი კი ტანაისს (დონს)... და რომელ მდინარეს მიიჩნევს საზღვრად თავად ჰეკატე მილეტელი? როგორც სტეფანე ბიზანტიელის (იხ.ტექსტში) ჩანაწერებიდან ირკვევა, ჰეკატე მილეტელი დანდარიების ტომს „ევროპაში“ახსენებს. იმავე ტომს სტრაბონი, რომელიც ევროპა-აზიის საზღვრად ტანაისს თვლის, აზიის დასაწყისში, ტანაისიდან პირველს აღნიშნავს.ცხადია ჰეკატე მილეტელისათვის სასაზღვრო მდინარე ფაზისია (რიონი)....და თუ აზიის საზღვარი ჰეკატესათვის ფაზისია, „აზიაში” ნახსენები კორაქსებიც ასევე აზიაშია, ფაზისის -რიონის აღმოსავლეთით და ის ვერაფრით ვერ იქნება დიოსკურიასთან (სოხუმთან), რომელიც ჰეკატესათვის რასა-კვირველიაუკვე ევროპაა!

„უფრო მეტიც, ქანცგამოლეული მაგრამ ზღვას გადაცილებული (მთაგრეხილზეა საუბარი) ის აძლევს სახელს სხვადასხვა ხალხებს; მარჯვნივ მას ჰქვია ჰირკანიისა და კასპისა, მარცხნივ პარიადრისა და მოსხებისა, ამაზონებისა, კორაქსებისა და სკვითებისა“ (პლინიუს უფროსი;წიგნი V, XXVII-99)

პლინიუსის სიტყვებით ხალხებმა, კერძოდ ჰირკანებმა,კასპებმა, მოსხებმა, კორაქსებმა და სხვა ტომებმა მთის იმ ნაწილს, სადაც თავად ცხოვრობენ, გადასცეს თავიანთი სახელი...და თუ დვუკვირდებით, კორაქსებს ის ამაზონების გვერდით ახსენებს, რომლებიც ჩვეილებრივ თერმოდონტზე მოიაზრებიან, სინოპას კონცხთან ტრაპიზუნდიდან 300 კმ. სამხრეთით და კონტინენტის სიღრნეში...

„მდინარე კირი (მტკვარი)იღებს სათავეს ჰენიოხიის მთებში, რომელსაც სხვები

კორაქსებს უწოდებენ“ (იქვე, X—26)

რასაკვირველია კორაქსები მესხეთის მთების სიახლოვეს არის საგულებელი და არა იქ, სადაც მას შეცდომით მიუთითებს ფსევდო სკილაქსი (კიდევ ერთი სამტკიცი, რომ ის პომპონიუს მელას თანამედროვეა) პომპონიუს მელა და მათზე დაყრდნობთ უკვე კლავდიოს პტოლომაიოსი.

4. ჰეკატე მილეტელს ნახსენები აქვს არმენა და არა არმენია) როდესაც სვიდას ლექსიკონი დგებოდა, ტერმინ არმინას მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჩანს (ამ ტერმინის მნიშვნელობა არ იცის კონსტანტინე პორფიროგენტმა 948 წელს)

„კარამბისის შემდეგ მოდის კინოლისი, ანტიკინოლისი დაბა აბომუტეიოსი და არმენა, საიდანაც წამოვიდა ანდაზა:ვინც უსაქმურობით ეყუდებოდა , არმენას კედლებიც ის იყო. 50 სტადიონზე (დაახლოებით 7, 5 კმ) არმენიდან მდებარეობდა თვითონ სინოპა-სხვებზე აღმატებული ქალაქი ქვეყნიერების ამ ნაწილში“ (სტრაბონი,; წიგნი XII, III-10-11)

ხალიბებს ჰეკატე მილეტელი სინოპასთან, ზღვის სანაპიროზე ასახელებს. როგორც ცნობილია, არმენია ერთადერთხელ გავიდა ზღვის სანაპიროზე და ეს კილიკიის არმენია იყო, სრულიად სხვა მხარეს სინოპადან და სრულიად სხვა ეპოქაში, აღწერილი ფაქტიდან მრავალი საუკუნის შემდეგ. რასაკვირველია აქ ლაპარაკი არმენაზეა, დასახლებულ პუნქტზე სინოპასთან და არა არმენიაზე კავკასიაში.

5„გეროსის გადაღმა არის სამეფოდ წოდებული მხარე, სადაც არიან უმამაცესი და სამეფოდ წოდებული სკვითები, რომლებიც სხვა სკვითებს თავის მონებად მიიჩნევენ. სამხრეთისაკენ ისინი აღწევენ ტავრიკემდე, ხოლო აღმოსავლეთისაკენ მიწაყრილამდე, რომელიც მოთხარეს უსინათლოებმა და მაიეტსის ტბის სავაჭრო პუნქტამდე, რომელსაც ეწოდება კრემნო. მათი ადგილები ვრცელდება მდინარე ტანაისამდე. სამეფო სკვითების ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მელანქლაინები, ეს სხვა ტომია, არა სკვითური. ხოლო მელამქლაინების ზემოთ არის ტბები და უკაცრიელი ადგილები, როგორც ჩვენ ვიცით“ (ჰეროდოტე; წიგნი IV-20 თბილისი 1975 წ)

ცხადია აქ აღწრილი ტერიტორია, დღევანდელი უკრაინის ნაწილია ტანაისამდე (დონამდე) როგორც ფრაგმენტიდან ჩანს, მელანქლაინები (შავტანსაცმლიანები) მდინარე დონის მარჯვენა ნაწილში, მდინარის დინების აყოლებით ცხოვრობენ და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსთან არაფერი აკავშირებთ. შემდეგი ისტორიკოსების მიერ აღნიშნული ფრაგმენტის არასწორმა წაკითხვამ, გამოიწვია მელანქლაინების საცხოვრისის არასწორი განთავსება ჩრდილო შავზღვისპირეთში (სავარაუდოდ არა მცირე როლი შეასრულა იმ პერიოდის მასშტაბ დარღვეულმა და დამახინჯებულმა რუკებმა)

„ხოლო ტანაისს რომ გადაივლი, უკვე სკვითია კი აღარაა, არამედ აქაა პირველი

სავრომატული ქვეყანა. ეს სავრომატული ქვეყნები იწყება მაიეტსის ტბის უკიდურესი წერტილიდან და ვრცელდება ჩრდილოეთის მიმართულებით 15 დღის სავალ მანძილზე. მთელ ამ მხარეში ვერ ნახავთ ვერც ველურ მცენარეს და ვერც ხეხილს. ამათ ზემოთ მეორე მხარეში ბუდინები ცხოვრობენ. მათ უჭირავთ ქვეყანა. რომელიც დაფარულია სხვადასხვა ხშირი ტყით" (იქვე IV-21)

ჰეროდოტესეული პირველი (და კონტექსტიდან გამომდინარე სხვებიც) სავრომატული ქვეყანა იწყება დღევანდელი დონის როსტოვიდან და გრძელდება ვორონეჟამდე. მათ ზემოთ მცხოვრები ბუდინები- ეს დღევანდელი ბელორუსია, ჰეროდოტეს მიხედვით არასლავი მოსახლიობით. (სავარაუდოდ, გერმანიკული ტომი)

„ბუდინებს ზემოთ ჩრდილოეთისაკენ პირველია დაახლოებით 7 დღის სავალი უდაბნო, შემდეგ რომ გადაუხვევ უფრო აღმოსავლეთისაკენ, არიან თისაგეტები, მრავალრიცხოვანი და თავისებური ტომი. ისინი თავს ირჩენენ მონადირეობით. მათ მახლობლად იმავე ადგილებში ცხოვრობს ხალხი, რომელთაც სახელად იირკები ჰქვია. ესენიც მონადირეობით ირჩენენ თავს" (იქვე IV-22)

თისაგეტები და იირკები-დღევანდელი ტამბოვ, სარატოვის ხაზზე საგულებელი.

„მთელი ეს ქვეყანა, რომელზედაც ვილაპარაკეთ, ვიდრე ამ სკვითების მიწა წყლამდე, - დაბლობი და პოხიერ ნიადაგიანია, ხოლო აქედან ქვეყანა ოღრო-ჩოღროა. ამ ოღრო-ჩოღრო მხარის დიდ ნაწილს რომ გაივლი, მაღალი მთების ძირას მდებარე ადგილებში, ამბობენ რომ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც დაბადებით ყველანი მელოტები არიან, კაცებიცა და ქალებიც ერთნაირად, მათ აქვთ მიჭყლეტილი ცხვირები და დიდი ნიკაპი(იქვე; IV-23)

ჰეროდოტესეული მელოტები აშკარად მონღოლოიდური რასის წარმომადგენელნი ჩანან, მათი სიმელოტე კი სავარაუდოდ რელიგიური თუ კულტურული მოსაზრებით თავის გადაპარსვასთან ჩანს და კავშირებული. სავარაუდოდ, ეს ის ტომები შეიძლება იყოს, რომელმაც ბაშკირულ ეთნოსს ჩაუყარა საფუძველი.

„ამგვარად, აქამდე მდებარე ქვეყანა ცნობილია, ხოლო მელოტთა ზემოთ რა ხდება, დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს იტყვის, რადგან ისინი მოჭრილი არიან მაღალი, გაუვალი მთებით, რომელზედაც არავინ გადასულა. თვით ეს მელოტები ამბობენ (მე კი ამისი არ მჯერა) რომ მთებში ცხოვრობენ თხისფეხა ხალხი...მელოტებისაგან აღმოსავლეთით, კარგად არის ცნობილი, რომ ისედონები ცხოვრობენ" (იქვე IV-25)

რასაკვირველია, ეს მაღალი მთები, რომლის ძირში დასავლეთის მხრიდან მელოტები ცხოვრობენ, ურალის მთებია! ამ მთებს მოგვიანებით რიპეის მთებს უწოდებენ, ისევ და ისევ რუკაზე მასშტაბთა აღრევის გამო სხვადასხვა ადგი-

ლ-ას ათავსებენ და რომელსაც ჰეროდოტესაგან განსხვავებით ხუთი საუკუნის შემდეგ სტრაბონი მითად, ზღაპრად, მონაჭორად და სიცრუედ თვლის. (ისდონებზე-წიგნის IIტომში)

6. ჰეროდოტესეული ოცდაათდღიანი სავალი გზა მსუბუქად აღჭურვილი კარგად მოსიარულე ქვეითისათვის, ეს 600-700 კმ მანძილია.

7. „ქურუმები მოგვითხრობენ, რომ ის პირველი გამოვიდა არაბიის უბიდან გრძელი ხომალდებით და დაიპყრო მეწამულ ზღვასთან მცხოვრები ხალხები... დაბრუნდა ეგვიპტეში, წამოიყვანა დიდძალი ლაშქარი, გამოიარა ხმელეთი და დაიმორჩილა ყოველი ხალხი...მან ეს გააკეთა და გადაიარა ხმელეთი, ვიდრე აზიიდან ევროპაში არ გადავიდა, დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. აქედან შემობრუნდა და უკან წავიდა, შემდეგ კი მდინარე ფასისთან იყო“ (იქვე; წიგნი II- 102-103)

თრაკია-ეს დღევანდელი ბულგარული ტომებია, ევროპული სკვითია -ევროპული სლავური ტომები (განსხვავებით უკრაინელებისა, რომელთაც ჰეროდოტე სამეფო სკვითებს უწოდებს) რუკაზე ერთი შეხედვით ცხადი ხდება, რომ ლაშქრობა ფაზისისაკენ ეგვიპტელთათვის ახალი ლაშქრობის ტოლფასია! ჰეროდოტეს სიტყვებით, კოლხებს უფრო კარგად ახსოვთ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. და რაზე საუბრობს ჰეროდოტე, ეგვიპტელების მიერ კოლხეთში ყოფნაზე თუ ფაზისში ყოფნაზე? შექმნილი რაელობიდან გამომდინარე,მას ფაზისი და კოლხეთი გაიგივებული აქვს. და იყო კი ასე ფარაონ სესოსტრისის ლაქრობისას? როგორც ირკვევა არა! იმ დროის კოლხეთი ფარაონ სესოსტრისის ლაშქრობის ტრასის მხოლოდ ოდნავ გვერდით ყოფილა, თრაკიაში... რაც შეეხება კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობას, ფესვები გაცილებით ღრმად საძიებელი უნდა იყოს, ვიდრე თუნდაც ფარაონ სესორტრისის უძველესი ლაშქრობა!

8.”ჰელესპონტელთაგან, რომლებიც ცხოვრობენ მარჯვენა ნაპირზე, მისთვის ვინც მიცურავს ევქსენის პონტოსაკენ, ფრიგიელთაგან, თრაკიელთაგან, რომლებიც აზიაში არიან, პაფლაგონიელთაგან, მარიანდინებთაგან და სირიელებისაგან 360 ტალანტი იყო გადასახადი, ესაა მესამე სატრაპია“(იქვე, წიგნი III-90)

აქ ჰეროდოტეს ორი ტომი აქვს გამოტოვებული,ენეტები პაფლაგონელების გვერდით და კავკონები მარიანდინების გვერდით. ისინი ჰომეროსთან მოხსენიებული არიან 300 წლით ადრე და სტრაბონთან 500 წლით გვიან.ჰეკატე მილეტელისეულ „აზიაში“ ჩვენამდე მოღწეულ ნაწილში პაფლაგონიელების გვერდით ნაჩვენებია ენეტები, რომელთაც უკვე ხალიბები ჰქვიათ. უცნობია ჰქონდა თუ არა ჰეკატეს მოხსენიებული კავკონები, აღწერილობის ეს ნაწილი შემონახული არ არის. ხალიბების და კავკონების იგნორირებას ჰეროდოტეს მიერ სხვა სარჩული უჩანს: ისინი ჰეროდოტეს სრულიად სხვა სახელით აქვს ნახ-

სენები და ეს თემა სცილდება მოცემული წიგნის ფარგლებს....

„მატიენებს, სასპეირებს და ალაროდებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი, ესაა მეთვრამეტე სატრაპია“ (იქვე; წიგნი III-94 თალეია)

სასპეირებისა და მატიენების გეოგრაფიული მდებარეობა კარგადაა ცნობილი, მატიენა არმენიას ეკვრის, სასპეირები-სირიას. აქვე მათ გვერდითაა საგულებელი ალაროდთა ტომი, არმენიის მახლობლად და კონტინენტის სიღრმეზე.

„მოსხებს, ტიბარანებს, მაკრონებს, მოსონოიკებსა და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი, ესაა მეცხრამეტე სატრაპია“ (იქვე)

მოსხები, მაკრონები და მარები კომტინენტის სიღრმეში განლაგებული ტომებია. მოსინოიკები და ტიბარანები, ზღვის სანაპიროზე.

9. მოლაშქრე ტომების გამსხვილება-გაერთიანება ტაქტიკური ვარიანტით გამართლებული ჩანს. ვინაიდან ტომთა გაერთიანება ნებაყოფილი ჩანს, სავარაუდოა, რომ ისინი წყვილდებიან ეთნიკური ნიშნით, პირველ რიგში კომუნიკაციის საშუალების, ენის მახლობლობის გამო. მშვიდობასა და ომში (განსაკუთრებით ამ უკანასკნელში) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება ქვეგანაყოფთა შეთანხმებულ, სინქრონულ მოქმედებას, რომელსაც ორივე ტომისათვის ერთიანი (ან ერთმანეთთან მიახლოებული) სალაპარაკო ენა დიდწილად განსაზღვრავს კიდეც:

„არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად იყვნენ მოწყობილები.ამათ ორივეს მართავდა არტოქმესი, რომელსაც დარიოსის ასული ჰყავდა ცოლად“ (იქვე; წიგნი VII-73,)

ცხადია, დაწყვილების პრინციპი ახლო ნათესაობა და ენობრივი ბარიერის არ არსებობაა.

„პაფლაგონიელებს და მატიენებს დოტოსი განაგებდა, მეგასიდროსის ძე, ხოლო მარიანდინებს, ლიგიებსა და სირიელებს-გობრიესი, დარიოსისა და არისტონეს შვილი“(იქვე -72)

პაფლაგონიელები, როგორც ცნობილია, ინდოევროპული ტომებია (სავარაუდოდ თრაკიული-სინდური) ასეთივე ჩანან მატიენები. რაც შეეხება დანარჩენებს, საკითხი დამატებით კვლევებს მოითხოვს.

„ მათ მეთაურობდნენ დ განაგებდნენ შემდეგი პირები:მოსხებსა და ტიბარანებს არიომარდოსი, რომელიც დარიოსისა და პარმისის შვილი იყო, ეს უკანასკნელი კი სმერდისის შვილი იყო, კიროსის შვილისა. მაკრონებს და მოსინოიკებს განაგებდა არტაიკტესი, რომელიც ჰელესპონტის სესტოსს მეურვეობდა... მარებს და კოლხებს განაგებდა ფარანდატეს ტეასპისის ძე, ალაროდებსა და სასპერებს, მასისტიოსი, სირომიტრესის ძე“ (იქვე-77)

მოსხები და ტიბარანები აღმოსავლეთ ქართველური ტომები ჩანს, ერთ დიალექტზე, ქართულად მოლაპარაკე. კოლხები და მარები კი დასავლურ ქართველურზე, მეგრულზე მოლაპარაკე ტომები ჩანან. მაკრონები, როგორც ქსენოფონტეს მიხედვით მტკიცდება, სვანურენოვანი ტომია. მასთან ახლო ხასიათი უჩანს მოსინოიკურ ტომსაც.უფრო რთულადაა საქმე ალაროდებთან და სასპერებთან მიმართებაში . ალაროდების იდენტიფიკაცია გაძნელებულია , თუმცა სასპერთა ტომი ქართულ-არმენიულ ურთიერთთანაცხოვრების წიბოზე აღმოჩნდა. უფრო გვიან ნაწილი არმენიულ გავლენაში ჩანს მოქცეული, ხოლო მეორე ნაწილი ჯერ ქართველურ, ხოლო შემდგომ ბერძნულ გარემოში ასიმილირდება (სავარაუდოდ, ორივე ასაკენური ტომი უნდა იყოს, მცირეოდენიენობრივი ნიუანსით)

10. ბერძენთა 14 ათასიან მწყობრ, დისციპლინირებულ და გაწვრთნილ ჯარს, რომელიც იმ დროის საუკეთესო საბრძოლო მექანიზმი იყო, ვერც სპარსეთის იმპერიის ერთიანმა ჯარმა გაუძლო პირისპირ ომში. ბერძნებმა კუნაქსში სპარსელთა რიცხობრივად აღმატებული კავალერია აოტეს. ვერ გაუმკლავდებოდა რასაკვირველია ვერც მეომარ ტაოხთა ცალკეული სოფლებში თუ დასახლებულ პუნქტებში სახელდახელოდ შეკრებილი მოსახლეობის ბრძოლის უნარიანი ნაწილიც, რომელიც მოულოდნელობის ფაქტორიც გათვალისწინებით, თვით ორგანიზაციასაც კი ვერ ახერხებდა. მათ წინააღმდეგობას მხოლოდ სპონტანური ხასიათი ჰქონდა, თუმცა ტყვეობას სიკვდილს არჩევდნენ.

11. ტაოხები, ფაზიანები და ხალიბები-ტაოხები ამ ვრცელ ტერიტორიაზე გაბნეული ტაოელები არიან. ტაო-ხი მთიელს ნიშნავს (სავარაუდოდ ძველქართულად) ხოლო ტომის სახელი ისეთივე ქართული ფორმით ჩანს ნაწარმოები, როგორც კოლ-ხი, კა-ხი, და სხვა. ფაზიანებს -ქსენოფონტე სავარაუდოდ ტომს მდინარის სახელის მიხედვით უწოდებს (მდინარე არაქსის სათავეს ფასისი ერქვა) ხალიბებს კი ასე აღწერს ქსენოფონტე: ხალიბთა ტომი ყველაზე მამაცია მათ შორის, სადაც ელინებმა გაიარეს; ისინი ბერძნებთან ხელჩართულ ომში ჩაებნენ. ხალიბები ატარებენ ბამბის ჯავშნებს , რომელიც მუხლის ქვედა ნაწილამდე სწვდებათ, ხოლო ჯავშანის როლს ასრულებდა შესკვნილი,ერთმანეთზე მჭიდროდ გადაწნული თოკები. ხალიბები ატარებდნებ მუზარადებს, წელზე ხანჯალს, ლაკონური ხმლის მზგავსს ... ხალიბებს აგრეთვე ჰ ქონდათ შუბები 5 წყრთის სიგრძისა ერთი წამახული წვერით; საოცრად არა ჰგავს იმ ტომის შესაძლო შეიარაღებას, რომელმაც სახელი მის მიერვე გამოჭედილი ფოლადისაგან მიიღო. აქაც და შემდგომაც , დიდი ალბათობით ანტიკური ავტორები ერთმანეთში ურევე ნ ხალიბს და ხალდს, რომელსაც სულ სხვადასხვა დატვირთვა აქვს, თუმცა ისინი უახლოესი ნათესავები არიან.

12. ტაოხები-ქართული ტომის ეს სახელი იმავე დატვირთვისა ჩანს, როგორიც

სატომო სახელი მოსხი. ჰეროდოტე ყველგან სატომო სახელს, მოსხს ახსენებს, ქსენოფონტე-ტაოხს. გეოგრაფიულად ეს ტომები გადაფარავს ფაქტიურად ერთ ტერიტორიას, რომლის სამხრეთი ფლანგი ტაო-დ იწოდება.(და საერთოდ ტაოხი მთიელს ჰქვია მხოლოდ, რაც წარმატებით მიესადაგება მთიან მესხეთში მცხოვრებ მესხებს)

13. შკვითინები-ქსენოფონტეს„ანაბასისის“რუსულენოვან განმარტებაში მითითებულია, რომ ეს მრავალრიცხოვანი სკვითური კოლონიების შთამომავალნი უნდა იყვნენ. როგორც ეტყობა რუსები საკუთარ არ არსებულ კვალს ეძებენ აზიაში და სიტყვათა მსგავსება გამოიყენეს მხოლოდ. შკვითინები სტრაბონისეულ ჰეპტაკომიტებს (შვიდსოფლელებს) უკავშირდება და შესაბამისად მეგრულენოვანო ტომი ჩანს (კოლხები ან ჭანები) რომელთა დიალექტზე შკვითი-შვიდს ნიშნავს.

14. ფეხესის მთა-ერთი შეხედვით იდენტიფიკაციას არ ექვემდებარება, თუმცა **იგივე მთა დიოდორე სიცილიელთან ჰენიის მთად იწოდება: (წიგნი XIV-29) მდინარე კირი (მტკვარი) იღებს სათავეს ხენიოხიის მთებში, რომელსაც სხვები კორაქსებს უწოდებენ“ (პლინიუს უფროსი; წიგნი V, X-26)**

რასაკვირველია ჰენიის მთები-ეს იგივე ჰენიოხიის მთებია (ამ ვერსიას საბოლოოდ პროკოპი კესარიელის „ჭანეთის აღწერა“ ადასტურებს) საინტერესოა ჰენიხის, როგორც ჰენიოხის გარდამავალი ფორმის აღმოჩენა, საიდანაც სიტყვა ჰენიი, გახმოვანების მსგავსების გამო ჰენიოხად გარდაიქცევა.

15. ბერძენი მოლაშქრეები, რომლების სამშობლოსაკენ მიიკვლევენ გზას ანატოლიის ზეგანზე, შეიარაღებულ კონტაქტში შედიან ტაოხებთან, ამ ქართულენოვან (მესხურ) ტომთან. მოლაშქრეებს შემდეგი შეტაკება ხალიბებთან (ავტორის მტკიცებით ხალდებთან) აშკარად ჭანურ ტომებთან უხდებათ. შემდეგი მათი კონტაქტი , უკვე მშვიდობიანი, შკვითინებთან უჩანთ, მეგრულენოვან ტომთან. და ბოლოს ბერძნები უშუალო კონტაქტში მაკრონებთან აღმოჩნდებიან. მდინარის ერთ მხარეზე ბერძენი მოლაშქრენი დგანან, მეორე მხარეს სახელდახელოდ შეიარაღებული მაკრონი მეომრები., რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ბერძნებს მდინარის გადალახვაში. ამ დროს ქსენოფონტეს მიმართავს თანამოლაშქრე, მონაყოფილი, რომელსაც ესმის მაკრონთა გადაძახილი, ხვდება რომ ყოფილ თანატოლებთან აქვს საქმე. ის თხოვს ქსენოფონტს, ბერძენთა ფაქტიურ წინამძღოლს, მაკრონებთან მოლაპარაკების უფლებას. მოლაპარაკება შედგა და ბერძნებმა მშვიდობიანად დატოვეს მაკრონთა ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ მონაყოფილი მოლაშქრე თავიდანვე ახლდა ბერძენ მოლაშქრეებს, მას არ ესმის საკუთრივ ქართული (ტაოხ-მესხური) ენა, არც მეგრული (ხალდ-კოლხური), მაგრამ ესმის და ფლობს მაკრონთა დიალექტს! დასკვნა ერთადერთი შეიძლება იყოს, მაკრონები სვანური ტომია! თავად ტერმინი მაკრონი, რომ-

ლის საფუძველზე ამ ტომს მეგრულთან აკავშირებენ, მცდარია! მაკრონი ბერძ-ნული სიტყვაა და ის დიდს ნიშნავს მხოლოდ!

16. ბერძნებმა, რომლებმაც საჩუქრები აიღეს ტრაპეზუდდელი კოლხებისაგან, მაინც გამოუძევებიათ ისინი სახლებიდან, შემოეჭამათ მთელი მათი სიმდიდ-რე, სარჩო- საბადებელი. მათი კეთილგანწყობა ტრაპეზუნდელთა მიმართ იმა-ში გამოიხატებოდა, რომ ხელს არ ჰყოფდნენ მათ სიცოცხლეს დ ა არ აჰყავდათ ისინი მონებად.

17)დრილები-უმამაცესი თემი ტრაპეზუნდის შემოგარენში, ნახსენებია მხოლ-ოდ ქსენოფონტეს მიერ. დრი-ლი; ფუძე აქ დრი ჩანს; ძი-დრი-ტი, ნახსენები სხვა ანტიკური ავტორების მიერ მოგვიანებთ, შესაძლებელია იგივე ფუძის დანახვა. ძიდრიტები ფარესმანის ხელქვეითები არიან, შესაბამისად იბერები-ისინი ტი-ბარანთა ნაწილი უნდაიყოს...

18. ქალაქი კოტიორა-ტიბარანების ქალაქი, სავარაუდებელია დღევანდელი ორ-დუს ადგილას თურქეთში. ყურადსაღებია, რომ სინოპადან უკუქცეული ხალი-ბები ტიბარანიას გაივლიან და მხოლოდ მოსინეკებთან ჩერდებიან საბინადრ-ოდ. აქაც სავარაუდოდ პრიორიტეტი ენიჭება კომუნიკაციის საშუალებას, ენას. როგორც ზემოთ ვთქვით, ტიბარანები უკვე აღმოსავლურ -ქართველურ ენოვან ტომთა ჯგუფს მიეკუთვნება, ხალიბები დასავლურ-ქართველურს.

19. საყურადღებოა, რომ ჰომეროსი იყენებს ტერმინ გენეტებს, გენეტებს ასახე-ლებს კალისთენეც. ზენოდატი- (ზენოდატ ეფესელი, 325-260 ჩვ.წ. აღრიცხვამ-დე, ერთერთი პირველი ბიბლიოთეკარი ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა; ჰომე-როსის პოემების, „ილიადა“ და „ოდისეის“ უდიდესი ექსპერტი იმ დროისათ-ვის) წერს“ენეტები“ და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ამასტრიასა და სინო-პაზე.

20. სტრაბონის სიტყვები, რომ ზოგიერთი პოეტის აზრით ანტენორი და მისი შვილებიც მონაწილეობდნენ ამ ხეტიალში, სოფოკლეს გულისხმობს, ათენელ დრამატურგს, ტრაგიკოსი 496-406 ჩვ.წ. აღრიცხვამდე. რასაკვირველია პოეტის ეს ვერსია სერიოზულად არც შეიძლება ჩაითვალოს,თუმცა ენეტთა მიერ ადრი-ატიკის ზღვის სანაპიროზე უუძველეს ეპოქაში ცხოვრების მაჩვენებელის უცი-ლობელი სამტკიცია.

21. “ასევე შეიძლება ითქვას კავკონების შესახებაც, ახლა უკვე არ არსებულზე, თუმცა ადრე ბინადრობდნენ ბევრ ადგილას“ (სტრაბონი; წიგნი VII: VII-2)

„გეოგრაფის სიტყვებით, კავკონების ტომი მთლიანად გადაშენდა. გეოგრაფი ამბობს, რომ პელოპონესელმა კავკონებმა ვერ აიტანეს ლეპრეის გვარის მბრძან-ებლობა და გადაიხვეწნენ ლიკიაში” (იქვე, ფრაგმენტი-63)

“ეს ოლქები იყო :პისიტიდა, რომლის ნაწილია ოლიმპია, ტრიფილია და კავკო-ნთა ქვეყანა“ (იქვე; წიგნი VIII: III-3)

“ზოგიერთი დიმას ასევე ეძახის კავკონიურს, ხოლო დიმას ტერიტორიაზე, დიმასა და ტრიტეიას შუა მოედინება მდინარე კავკონად სახელდებული“(იქვე;-10)
„კავკონებზე არსებობს მრავალი ნათქვამი. მათ, ისევე როგორც პელაზგებს, თვლიან არკადიულ ტომებად, და როგორც პელაზგებს, მომთაბარედ“ (იქვე; -17)
პელაზგების მომთაბარეობაზე სტრაბონს ვერ დავეთანხმებით, თუმცა პელაზგები დღეს არსებულ რამდენიმე ერს უდებენ სათავეს და იღებენ მათ სახელს. რაც შეეხება კავკონებს, სავარაუდოდ ისინი ხალიბთა ბედს იზიარებენ .
22. ხენეტიკი-გაურკვეველი წარმომავლობისა და უცნობი სიტყვა ჩანს სტრაბონისათვის . ხენეტიკი- ხინტკირი, ეს მეგრულ დიალექტზე ხრტილს ნიშნავს, ხინტკი-ნაჭდევს, ხინტკილი-ნაჭდევიანს. ხენეტიკი-ეს ამავე სიტყვის ჭანური ვარიანტი ჩანს, რომელიც მეტ-ნაკლებად განსხვავებულია კოლხურისაგან (მეგრულის დღევანდელი ძირითადი დიალექტისაგან)
23. როგორც ჩინური წყაროებიდან ცნობილია, აბრეშუმის წარმოება ძველ ჩინეთში ჩაისახა, ძვ წ, III ათასწლეულში. ჩინელები თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე ინახავდნენ საიდუმლოდ მისი დამზადების მ ეთოდს და ინარჩუნებდნენ მონოპოლიას აბრეშუმზე. ბევრისათვის ცნობილია აბრეშუმის ჭიის (მურის) გამოპარების პროცესის ვერსია, რომ თესლი გამოტანილ იქნა ღრუ ბამბუკის ჯოხის საშუალებით. ასევე ჩინეთში ჩაისახა ფაიფურის წარმოება, რომლის დაუფლებასაც ევროპა მრავალი საუკუნე ამაოდ ცდილობდა. მხოლოდ XVII-საუკუნეს (თანაც სრულიად შემთხვევით) საქსონიაში შეიქმნა იშვიათი თეთრი ფაიფური, რომელმაც საქსონიას სახელი გაუთქვა და ჩინეთის მონოპოლია დაასრულა. ასევე ჩინელებმა გამოიგონეს ქაღალდი, II-საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე. 751 წელს, სამარყანდის მახლობკად არაბებმა მოახერხეს რამდენიმე ჩინელი ოსტატის ტყვედ აყვანა, რომლებიც იძულებული გახდნენ გაეცათ ქაღალდის დამზადების ტექნოლოგიის საიდუმლო.
როგორც ცნობილია, სარკის დამზადების ოსტატები ვენეციელები იყვნენ, იგივე ენეტები, რომლებიც დიდხანს ინარჩუნებდნენ სარკის დამზადების ტექნოლოგიას საიდუმლოდ და ამ გზით დიდ მოგებას ნახულობდნენ. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა კოლბერმა გაგზავნა ნდობით აღურვილი პირები და ვენეციიდან ოთხი ოსტატი გამოაპარა.. .ამ ოსტატებზე აქტიური ნადირობა გამოაცხადეს ვენეტთა დაქირავებულმა მკვლელებმა, რათა დაეცვათ საიდუმლო სარკის დამზადებისა. ვერ მოახერხეს და საფრანგეთიც დაეუფლა სარკის დამზადების ხელოვნებას, თუმცა ვენეტთა მონოპოლია ამ საქმეში მინიმუმ ხუთი საუკუნე გრძელდებოდა. უცნობია, თუ რამდენ ხანს ფლობდნენ ლაზები აცრის ხელოვნებას, სანამ ამ ცოდნას ინგლისელ დიპლომატს, ჯენერის გაუმჟღავნებდნენ.

რაც შეეხება რკინა-ფოლადის დამზადებას, როგორც ყველა დიდი აღმოჩენა კაცობრიობისა, ის ერთხელ, ერთ ადგილას და ერთი ხალხის მიერ ჩანს

აღმოჩენილი. ამ მონოპოლიის შენარჩუნებას რასაკვირველია ისინც დიდი ხნით ეცდებოდნენ...მისი დანარჩენ მსოფლიოში გავრცელების გზაც არაორდინარული მოჩანს: ფოლადის ნაკეთობა (პირველ რიგში იარაღი) საკმაოდ მძიმეა ტრანსპორტირებისათვის, ხოლო მისი მადანი ერთ კონკრეტულ ადგილას, ამოწურვადი. (სავარაუდოა, რომ კენებმა ჯერ კიდევ ენეტიკაში მოსვლამდე აითვისეს ფოლადის წარმოება). ფოლადის მოპოვება, დამზადება , რეალიზაციის პროცესებში მონოპოლიის შენარჩუნების გზა შემდეგი ჩანს: მცირე თემებთ, რომელიც საკმარისი იყო თაცდაცვისუნარიანობასა და ფოლადის მოპოვება- დამზადებისათვის, თემი გადიოდა სხვადასხვა ტომებში და იწყებდა საქმიანობას, საიდუმლოს სხვებისათვის გაცემის გარეშე. რამდენიმე თაობის შემდეგ თემი ავტომატურად ერწყმოდა იმავე ტომს, რომლის ტერიტორიაზეც საქმიანობდა და მისი განუყოფელი ნაწილი ხდებოდა. ზუსტად ასეთი სიტუაცია ჩანს კავკონებთან მიმართებაშიც, რომლებიც სტრაბონის სიტყვებით ყველგან იყვნენ უახლოეს წარსულში და ამ დროისათვის სრულიად გადაშენდნენ.

24. ფსევდო სკილაქს კარიანდელი, რომელიც ხანდახან არასწორ ინფორმაციას აწვდის მკითხველს (იგივე კორაქსები დღევანდელ აფხაზეთთან მის მიერ ჰეკატე მილეტელის ჩანაწერების არასწორი ინტერპრეტაციაა) გაცილებით გვიანდელი ეპოქის გეოგრაფი ჩანს, ვიდრე მას თვლიან. საკვანძო სიტყვა კაბოტაჟი ჩანს. სიტყვა ესპანური წარმოშობისაა და სანაპირო ნაოსნობას ნიშნავს, როცა ნაპირი თვალსაწიერზე ჩანს. თავად ესპანეთი რომის შემადგენლობაში მოხვდა მეორე პუნიკური ომის შედეგად, 218-208 ჩვ,წ. აღრიცხვამდე, შესაბამისად ესპანური სლენგის გავრცელება მხოლოდ ამის შემდეგა შესაძლებელი მოხვედრილიყო რომაულ სალიტერატურო ენაში.მართალია პროფესორი მაქსიმოვა მთელი სერიოზულობით ამტკიცებს, რომ პირდაპირი ნაოსნობა ყირიმიდან სინოპაზე უკვე ჩვ. წ. აღიცხვამდე IV საუკუნეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ეს მხოლოდ ფაქტების არასწორი შეფასება ჩანს მხოლოდ.

უძველესი ბერძენი ისტორიკოსი, რომელიც აღწრს პელოპონესის ომებს (შიდაბერძნული ომები, რომელშიც თავადაც იღებს მონაწილეობას 460-400 ჩვ.წ. აღრიცხვამდე) იგი აღწერს მოწინააღმდეგეთა საომარი ფლოტების იმ დროისათვის გამოყენებულ ნავიგაციურ მეთოდებს. მის მიერ აღწერილია ძირითადად მხოლოდ სანაპირო ცურვა (ე.წ.კაბოტაჟი, თუმცა ამ სიტყვას საერთოდ არ ხმარობს, რომელიც გაცილებით გვიან ჩანს ლექსიკაში შემოსული) თუკიდიდე ორიოდეჯერ აღწერს მოწინააღმდეგეთა ფლოტის შებრძოლებას ღია ზღვაში, როდესაც მოწინააღმდეგენი თავს არიდებენ ამა თუ იმ ყურის სივიწროვეს. მხოლოდ ერთი შემთხვევა აქვს აღწერილი თუკიდიდეს, როცა ფლოტი პირდაპირი გეზით მოდის გაშლილ ზღვაში:

„ეფესოდან ალკიდმა საჩქაროდ გაცურა, უფრო სწორედ გაიქცა. კლერთან დგო-

მის დროს იგი შენიშნეს <სალამინიდან> და <პარალადან> (ეს ხომალდები მოცურავდა ათენიდან) ეშინოდა რა დევნისა, ალკიდმა აიღო კურსი ღია ზღვისაკენ, ფიქრობდა არ შეეცურა არც ერთ ნავსადგურში“ (თუკიდიდე, პელოპონესის ომები; წიგნი III-33)

სტრაბონის აღწერით, ყირიმის ნახევარკუნძულის უკიდურესი სამხრეთის კონცხიდან, კრიუმეტოპონიდან თითქმის პირდაპირ დევს ასევე სინოპას კონცხი. პირდაპირი ცურვა ამ ორ კონცხს შორის მისი პერიოდისათვის უკვე ხორციელდება. სტრაბონის სიტყვებით, არსებობენ მეზღვაურები, რომელთაც შუა ზღვიდან ხმელეთის ორივე ნაწილი ერთდროულად უნახავს. ამ ინფორმაციაშიც თავად უეჭველად დარწმუნებული ვერ არის, რაც ადასტურებს ტრასის შედარებთ ახალგახსნილობას. რასაკვირველი ეს ტრასა 400 წლის წინ ვერ და არ იარსებებდა.გეოგრაფიაში (განსაკუთრებით არქაულში) უახლესი ცნობები ფასეულია. ყოველი გეოგრაფი ცდილობა ისარგებლოს წინამორბედის ახალი გეოგრაფიული ცნობებით და არა მოძველებულით. თუ მელას მიერ შავი ზღვის სანაპიროს აღწერას დავაკვირდებით, ის იგნორირებს სტრაბონს და ეყრდნობა ფსევდო-სკილაქსის მონაცემებს, რომელიც მისი შეხედულებით უფრო ახალი და შესაბამისად უფრო სწორია.(ავტორი პირადად თვლის, რომ ფსევდო სკილაქსად სახელდებული ნაშრომი თავად პომპონიუს მელას კალამს ეკუთვნის, მით უმეტეს ერთიც და მეორეც ესპანური წარმოშობისანი ჩანან)

25. უცნაურია, მაგრამ ამ დასახელების სოფელი ახლაც არსებობს მაჭახელას ხეობაში. აპრიორი შეუძლებელია გამორიცხვა, რომ ამ სოფელს არავითარი კავშირი არა აქვს ქერჩისპირა სინდთა თემთან .(ან ჟანივარს -ქერჩისპირა ჟანებთან, დიდსა და პატარასთან)

26. სამეგრელო -ყაიტაღების საზღვარი განხილვა სხვა თემაა და ამავე ნაშრომის სხვა თავში იქნება განხილული.

27. ნებისმიერი ისტორიული ტრაქტატი სრულიად სერიოზულად უნდა იქნეს აღქმული...ამაში ზუსტად ჯუნშერის „ნახევრად ლეგენდარული“ ისტორია გვარწმუნებს ქართლის მეფეების, მირისა და არჩილის შესახებ:

„ხოლო სტეფამოზ ესხნესორნ ძენი: აჩილ და მიჰრ, და განუყო ყოველი ხვასტაგი სამეფოისა მისისა, საგანძური ოქროისა და ვერცხლისა და თუალი პატიოსნთაი, ნახევარი წარიღო ქვეყანასა ეგრისისა და ნახევარი საქონლისა მისისაი მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თვისსა. ხოლო არჩილ დაჰფლა საგანძური უფროისა ხევისა კახეთისასა, ხოლო სამსაურებელნი ოქროისა და ვერცხლისანი-ხევსა უჯარმოისასაა.“ (ქართლის ცხოვრება, ჯუანშერი,გვ-190; 2012 წ)

ეს ზუსტადის განძია, რომელიც აღმოაჩინეს უკვე აზებეიჯანში,კახეთის მიმდებარედ ორიოდ წლის წინათ და ქართველი ექსპერტებისათვის არც უჩვენებიათ

28. სებასტოპოლისის საეპისკოპოსო ერთადერთია იმ დროისათვის, რომელიც

ბიზანტიის ეპარქიის იერარქატში ინარჩუნებს დასწრებულობას... ეს ის საეპი-სკოპოსოა, რომელიც ემსახურება აფშილებს და...აბასკებს...გასაგები უნდაიყოს, რტომ რ ცნობენ ისინი ქართულ საეკლესიო იურისდიქციას...

29. ტექსტი დამახინჯებული ჩანს, რომლის კონტექსტი შემდეგი უნდა იყოს: ომისაგან დაღალულნი ცანდია ინალ-იფას შეეხიზნენ, რომელმაც არ დაინდო (გაინდუნა, გასცა) დადიანი გადასცა იგი მის მტრებს.

30. ეს „აფხაზეთი“ დიდი აფხაზეთია, მთელი კუთხე ფაქტიურად თითქმის დღევანდელ ქერჩის სრუტემდე- აქ ნახსენები ანაპა არასდროს არ შედიოდა „მცირე“აფხაზეთის შემადგენლობაში...

31. ის რომ დიდი და მცირე ჩანდების მოსახლეობა რომ 60 000 აღემატება 1704 წლისათვის, იმავე ჩანიდი მეომრების რიცხვიდან გამომდინარეობს: ჩელების სიტყვებით, ჩანდი მეომრების საერთო რაოდენობა XVII შუა წლებისათვის 16500 მეომარია .

32.საინტერესო ისტორიაა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ფესვებს ხალ-ხური გადმოცემიდან იღებს: ვაჟა ფშაველას ცნობილი პოემის საგანი ხმალია, ხიმიკაურისეული. ვაჟა პოეტურად მიუდგა ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილ სიუჟეტს და ოდნავ გადაასხვაფერა. სინამდვილი კი ოდნავ სხვანაირია და უფ-რო საინტერესოც კი. ეს ამბავი 1937 წელს ჩაუეწერია თელავის მუზეუმის დი-რექტორს, ალექსანდრე მამულაიშვილს:ასპინძის ომში ერთ თუშს, გვარად დი-ლოიძეს დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია. უკან დაბრუნებულებს წალკაში შეუ-სვენიათ. მეფემ დილოიძე იხმო და ჯილდოდ მთელი წალკის ხეობა შეაძლია. თუში უკმაყოფილო დარჩა: -მიწა წყალი რომ მინდოდეს, განა მთა ველი ცო-ტაა? მიუგო მეფეს, -მე მეომარი ვარ, კარგი იარაღი მომეც, უფრო გამომადგე-ბაო.-რა იარაღი გიბოძო?- შეეკითხა მეფე. იმავე ომში ყოფილიყო ერთი სახე-ლოვანი ხევსური მეომარი, ძაღლიკა ხიმიკაური. მისი ხმალი დილოიძეს ძა-ლიან მოსწონებია. კაცი ხელზე დაიხვევდა და ხელის გაშვებისთანავე ბზრი-ალით გაიშლებოდა. ამ ხმალზე შევარდნია გული დილოიძეს. მეფემ მისი გუ-ლის მოსაგებად ხიმიკაური დაიბარა და ხმალი სთხოვა. ძაღლიკა უარს ვერ ეტ-ყოდა მეფეს! სამაგიეროდ მეფემ სხვა ხმალი და ოქროს ზარნაშიანი თოფი უბო-ძა. დილოიძე კმაყოფილი დარჩა, ხიმიკაური ნაწყენი. ბევრ დროს არ გაუვლია, რომ მტერი ისევ შემოესია საქართველოს. მეფემ ისევ შეკრიბა ლაშქარი, დილო-იძემაც სიხარულით მიაშურა ბრძოლის ველს- დრო იყო მტრის კისერზე მოე-სინჯა საყვარელი იარაღის ფხა... ძაღლიკა ხიმიკაური კი გაჯიუტდა, განა მე დიაც ვიყავ, მეფემ რომ ხმალი წამართვა და სხვას მისცაო? ხევსურნი უწინამ-ძღვროდ ომში არ მიდიოდნენ, ძაღლიკა კი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

ბოლოს საქმეში დედაკაცები ჩაერივნენ. ერთმა მათგანმა მანდილი მოი-ხსნა და ძაღლიკას ასე მიმართა: თუ დიაც ხარ აჰა, მანდილი დაიხურე და ჩვენ-

თან დაჯექიო. ეს კი ძალინ იწყინა ხიმიკაურმა და იძულებული გახდა ომში წასვლაზე დათანხმებულიყო. იარეთ და დაგეწევითო, უთხრა ხევსურებს, გამოთალა ხის ხმალი, ჩამოიკიდა წელზე და ჯარს წამოეწია. მეფეს რომ წარუდგინეს, ეუცხოვა ხის ხმალის დანახვა, ერთბაშად ვერ მიუხვდა ძაღლიკას, მერე გულიანად გაიცინა, მხლებლებს სამეფო ხმლის მოტანა უბრძანა და ხიმიკაურს გადასცა. ძაღლიკას შუბლზე ნაოჭები გაეშალა და არც მტერთან შებრძოლებისას შეურცხვენია თავი.

საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ-წერს ალექსანდრე მამულაიშვილი-მაგრამ ხიმიკაურის ჩამომავლებს, ლიქოკელებს წინაპრის საამაყო ხმალი ჯერაც არ დაჰვიწყებიათ. ერთ -ერთ მათგნს ზემო ალვანში დილოიძეთა შთამომავლებში უძებნია კიდეც- დამიბრუნეთ, კარგ ფასს გავიღებთო. დილოიძეებს ხევსურისათვის ჟანგისაგან შეჭმული, ქარქაშგაქუცული ხმალი უჩვენებიათ. ხევსურს არ მოსწონებია, მატყუებთ, ეს იმის ხმალი არ არისო და ხელცარიელი გაბრუნებულა უკან. ტექსტის დასასრულს ალ.მამულაიშვილს მიუწერია : ეს თოფი ახლა თელავის მუზეუნშია მოთავსებული. თოფი შედარებით უკეთ არის შენახული, ხმალს კი სადავე და ქარქაში აღარ უვარგა. ყუასთან ლომი აქვს გამოსახული და ისევ კარგი ჭრა აქვს. ეს ხმალი მუზეუმის დირექტორს დილოიძეთა შთამომავლისაგან შეუძენია (ვიკიპედია, კახა კენკაშვილი) ყველა ნიშნით საქმე „გორდას“ -თან გვაქვს...გამოსახულება, რომელიც ალექსანდრე მამულაიშვილს ლომად შეუცვნია, სინამდვილეში ზოგადი შტრიხებით გამოხატული მგელია . ... მგელი, რომელიც ჩეჩნებს მაიმუნად ჩათვლიათ...

ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ ერთი ძირითადი საყრდენი, იბერია, ზღვის სანაპიროს საკმაოდ მოშორებულია, შესაბამისად ბერძენთა და რომაელთა თვალსაწიერზე შედარებით გვიან ხვდება (1) ირიბი ცნობა, რომელიც ჩვ.წ. აღრიცხვამდე VI საუკუნეს იბერთა ტომს შეეხება, ასევე ირიბი გზითაა ჩვენამდე მოღწეული.

„ნაბუქოდნოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მას შემდეგ როცა საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა. ერთი წილი მათგანი გადაადგილა პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დაასახლა. აგრეთვე მეგასთენე ამბობს თავის ,,ინდოეთი"-ს მეოთხე წიგნში, რომელიც მოგვითხრობს ამისწინ მოხ სენიებულ ბაბილონთა მეფის შესახებ, რომ სიმამაცით და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, იმდენად აღემატებოდა რომ ლიბიის (?) და იბერიის მეტი წილი, ამბობს იგი, დაიპყრო" (გეორგიკა, ტომი IV წიგნი I ევსევი კესარიელი, ქრონიკები გვ.30 თბილისი 1941წ)

ცნობებში მოხსენიებული ნაბუქოდონოსორი, ეს ბაბილონის მეფე ნაბუქოდნოსორ II-ა, რომლის ზეობის ხანა 605-562წ. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე. თავად ევსევი კესარიელი სარგებლობს უძველესი ბერძენი (?) ისტორიკოსის (IV-III საუკუნე ჩვ. წ.აღრიცხვამდე) მეგასთენეს ცნობებით. ერთობ საყურადღებოა, რომ მეგასთენესაგან აღებული ცნობაში საუბარია იბერთა ქვეყანაზე, როგორც პოლიტიკურ ერთეულზე და არა იბერთა ტომზე ან მის ნაწილზე. ერთობ საინტერესოა, რომ ევსევი კესარიელი პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე გვიჩვენებს და არა კონტინენტის სიღრმეში, სადაც სინამდვილეში იბერებია განლაგებული.

ევსევი კესარიელი (263-340წ ქრისტესით) ისევე როგორც მეგასთენე არ აზუსტებს იმ იბერიის ადგილმდებარეობას, რომელიც ნაბუქოდნოსორმა დაამარცხა და გადასახლება აიძულა, ერთადერთი, რაც ხელმოსაჭიდია ამ ორივე ცნობაში, ლიბიის და იბერიის გვერდიგვერდ ხსენება. აი როგორ განიმარტება ლიბიის ადგილმდებარეობა:

„ლიბია-ახლანდელი აფრიკა ან მისი ნაწილი ნილოსიდან დასავლეთით"
(ჰეროდოტე გვ.620 თბილისი 1975წ)

როგორც ჩანს გასული საუკუნეების ლიბიას არც ადგილმდებარეობა შეუცვლია და არც სახელი...ნაბუქოდნოსორ მეფე საკმაოდ წარმატებული მეფე იყო, როგორც საომარ ბილიკებზე , ისე ქვეყნის აღმშენებლობაში. 601 წ. ქრისტემდე , ეგვიპტესთან ომში ბაბილონმა ვერ გაიმარჯვა , თუმცა გამარჯვებას ვერც ეგვიპტე იზეიმებდა. ადგილი ჰქონდა ორ შეტაკებას: ხმელეთზე ფაქტიურად ბაბილონის არმიამ სძლია მოწინააღმდეგეს, მაგრამ საზღვაო ბრძოლაში ეგვიპტემ დაამარცხა ტვიროსისა და კვიპროსის ფლოტი, რომელიც ბაბილონის

მხარეს იბრძოდასაკითხი დასკვნას თავისთავად მოითხოვს : ბაბილონი, როგორც სახმელეთო სახელმწიფო, ფლოტს საერთოდ არ ფლობს! შესაბამისად მას მხოლოდ იმ იბერიის პოლიტიკური წარმონაქმნის დამარცხება შეუძლია, რომელიც მასთანვე ახლოს ხმელეთზე მდებარეობს და არა სამ ზღვას იქით მდებარე დასავლეთ იბერიისა, იგივე ესპანეთისა!

... უფრო მეტიც, უფლოტო სახმელეთო სახელმწიფოს, (რომლის ნათხოვარი ფლოტი ეგვიპტემ დაამარცხა და გაანადგურა) არ შეიძლება დაელაშქრა და დაეპყრო ისეთი სახელმწიფო როგორიცაა ლიბია. ეს სახელმწიფო იგივე ბაბილონის გაფართოებული ტერიტორიებიდან გამოყოფილია ეგვიპტით, ზუსტად იმ სახელმწიფოთი, რომლის წინააღმდეგ ბაბილონი პერმანენტულ ომს აწარმოებს საყაიმო შედეგებით. მეგასთენე თავის ნაწარმოებში, განსხვავებით გვიანდელი ბერძნული ინტერპრეტაციებისა, არ აცხადებს რომ ნაბუქოდნოსორმა დასავლეთის იბერები, ესპანელები დალაშქრა და იბერები პონტოს სანაპიროზე დაასახლა, ის მხოლოდ იბერთა დალაშქვრაზე საუბრობს. ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით :

სირიაში ჩრდილოეთიდან არა ერთხელ შემოიჭრნენ ლიდელები, ეგვიპტელთა მოკავშირეები, რომლებიც ეომებოდნენ მიდიას, ბაბილონის მოკავშირეს. (ვიკიპედია)

მართალია პირდაპირი ომი ლიდია-ბაბილონს შორის არ დაფიქსირებულა, მაგრამ ალიანსი ბაბილონი-მიდია და ეგვიპტე-ლიდია სახეზეა ... და მაინც, ნაბუქოდნოსორის ისტორიაში ომი ლიბიასთან არასდროს დაფიქსირებულა.

...მაგრამ, იყო თუ არა ლიბია ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო-ტერიტორიალური წარმონაქმნის სახელი? როგორც ირკვევა არა! ჰეროდოტეს ისტორიაში ერთხელაც არ არის ნახსენები აფრიკა! აფრიკის სახელი მთლიანად ლიბიითა ჩანაცვლებული, თუმცა ლიბია ხშირ შემთხვევაში იხმარება იმ ტერიტორიების აღსანიშნავად რომელთაც ეგვიპტეს ეკვრის და დღესაც ლიბია ეწოდება.

„როგორც ამბობენ მთელი ქვეყანა სამი ნაწილისაგან შედგება: ევროპის, აზიისა და ლიბიისაგან.“ (ჰეროდოტეს ისტორია წიგნი II -16. თბილისი 1975წ)

„ეს იყო ხარკი რასაც ღებულობდა დარიოსი აზიიდან და ლიბიის მცირე ნაწილიდან“ (იქვე წიგნი III-96)

„ეს არის უკიდურესი ქვეყნები აზიისა და ლიბიაში“(იქვე-115)

,“მე ძალიან მაკვირვებს ქვეყნის განსაზღვრა და დაყოფა ლიბიად, აზიად დაევროპად“ (იქვე წიგნი IV -42)

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ცხადი ხდება, რომ ჰეროდოტე (და რაკვირველია სხვა ანტიკური მწერლები) ხმარობენ ტერმინ ლიბიეს, რომელიც

პარალელურ რეჟიმში აღნიშნავს როგორც სახელმწიფო-პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულს, ლიბიას, თუმცა ის უფრო ხშირად მთელ აფრიკის მთელი კონტინენტის აღმნიშვნელად გვევლინება ...და მაინც როდის და როგორ დაამარცხა ნაბუქოდნოსორმა ,,ლიბიე"? როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 601 წელს ქრისტემდე , ნაბუქოდნოსორი ს ბაბილონს შ ეტაკება ჰქონდა აფრიკის (ლიბიეს) მაშინდელ სახესთან და ველაზე დაწინაურებულ სახელმწიფოსთან -ეგვიპტესთან. ამ ომშ ი ნაბუქოდნოსოსრის მხარეს მეომარი ტვიროსის ა და კვიპროსის ფლოტი დამარცხდა ეგვიპტურ ფლოტთან. ამავე დროს ნაბუქოდონოსოსრის ფეხოსანმა არმიამ ფაქტიურად დაამარცხა ეგვიპტის არმია. ამ ომის შედეგად მოწინააღმდეგე მხარეები იმდენად დაზარალდნენ, რომ ნაბუქოდნოსორს 20 თვე დასჭირდა არმიის ბრძოლისუნარიანობის აღდგენისათვის. ხოლო ეგვიპტის ფარაონი ნეხო იძულებული გახდა უახლოეს მომავალში აზიურ პროვინციების პრეტენზიაზე უარი განეცხადებინა. რასაკვირველია, აზიური კოლონიებიდან ეგვიპტის განდევნა ბაბილონის და მათი მეფის ნაბუქოდნოსორის გამარჯვებად იქნა შერაცხული და ზუსტად ამ ფაქტს კონსტატირებს მეგასთენე. რაც შეეხება იბერების საკითხს, მისი ხსენება ეგვიპტის დამარცხების კვალდაკვალ და ყველა ნიშნით ბაბილონის გვერდით, მათი შუამდინარეთში მოსახლეობის უცილებელი მანიშნებელია. სიპტომატურია რომ მეგასთენეს გახმოვანებულ ნებისმიერი ცნობა იბერიების შესახებ უკომპეტენტურესია და ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით.....

,,მერე ნაბუქოდნოსორმა დაიპყრო სიდონი და გაანადგურა სახელმწიფო ედომი (ვიკიპედია).

თუ ვინ არის იდუმალი და ამოუხსნელი სახელმწიფო ედომი და ვინ არის ედომელები - ამაზე უკვე ვისაუბრებთ.

ნაბუქოდონოსორ მეფის წინასწარმეტყველება - ბიბლია და მეცნიერება -ავტორი ოპარინი ა.ა. ასეთი სათაურით დევს ინტერნეტ საძიებელზე ნახსენები ავტორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა.

„ამ მეფის სახელთან პირდაპირაა დაკავშირებული ორი საოცრება ძველი სამყაროსი: დაკიდული ბაღები და ბაბილონის გოდოლი.... ამ მბრძანებელთანაა დაკავშირებული ასირიის იმპერიის დანგრევა, საშინელი დამსჯელი ლაშქრობა ეგვიპტეზე , მოავის ამონიტების, ედომის და იუდეის სამეფოების დაქცევა" (თავი I ნაბუქოდნოსორ მეფის წინასწარმეტყველება ოპარონი ა.ა.)

ცხადია ამ პერიოდისთვის რუკები გაცილებით გვიან, ათეული საუკუნის შემდეგ არის შესრულებული, ასევე ისტორიაზე (ცნობილზე) დაყრდნობით, თუმცა ამ შემთხვევაშიც მცირე აზიის იბერიის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის გამონაკლისი არსებობს: ნაბუქოდნოსორის ბაბილონი ვერ შეძლებდა იბერიის დამარცხებას, მით უფრო ვერ აიძულებდა ლტოლვას, თუ იბერია ბა-

ბილონის შეხების წერტილი ბაბილონისავე გვერდით, ე.ი. შუამდინარეთში არ იქნებოდა. შეხების ეს წერტილი ტიგროსის სანაპიროზე, ლიდიასა და მიდიას შორის დარჩენილ სივრცეში არის სავარაუდებელი. ცხადია მეგასთენეს ნახსენები იბერთა ქვეყნის დაპყრობა, ტიგროსის და ევფრატის სანაპიროზე არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფო წარმონაქმის დაპყრობას ნიშნავდ ა, რომელიც არც მიდიას, არც ლიდიას (მით უმეტეს ბაბილონს) არ ემორჩილებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაბილონის სახელმწიფო ან ერთთან, ან მეორესთან კონფლიქტში იქნებოდა ჩათრეული, რასაც თითქმის ნახევარი საუკუნე ერიდებოდა!

ერთობ საინტერესოა ამ მიმართულებით თავად სტრაბონის ცნობები, თუმცა ის საკუთარი 600 წლიანი სიშორის პრიზმიდან უყურებს წარსულში მომხდარ ისტორიულ პროცესს. მრავალჯერ და მრავალ ადგილას ეყრდნობა სტრაბონი არახოსიელ (როგორც ვახსენე უკომპეტენტურეს) მეგასთენეს ცნობებს ინდოეთის შესახებ, სადაც ამ უკანასკნელმა ელჩის რანგში იმოგზაურა. ჩვენთვის საინტერესოა ის პასაჟი, რომელიც ეძღვნება არა ინდოეთში მეგასთენეს მოგზაურობას, არამედ მეგასთენეს მონათხრობს ეგვიპტის ფარაონის ლაშქრობის შესახებ ევროპისკენ:

„მართლაც სესოსტრის ეგვიპტელი და ეთიოპი ტეარკონი ევროპამდე მივიდნენ, ნაბუქოდნოსორი, რომელიც ხალდეებში ჰერაკლეზე უფრო განდიდდა, მივიდა თვით სვეტებამდე (ჰერაკლეს): ამ ადგილებს (ჰერაკლეს სვეტებს) მეგასთენეს სიტყვებით მიაღწია ტეარკონმაც, ხოლო სესოსტროსი იბერიიდან წამოვიდა ლაშქრობაში თრაკიასა და პონტში“ (სტრაბონი წიგნი XV 1-6)

ტეარკონ ეთიოპის ლაშქრობა ჩვენ უკვე განვიხილეთ. რაც შეეხება ფარაონ სესოსტროსის ლაშქრობას თრაკიასა და პონტოში, უბრალო ნონსენსია თვით განხილვაც კი იმ შემთხვევისა, რომ ეს ლაშქრობა ეგვიპტის ფარაონმა მისგან დასავლეთის მიმართულებით თრაკიისკენ (დღევანდელი ბულგაერთი ესპანეთის იბერიიდან დაიწყო, რომელიც ეგვიპტიდან თრაკიაზე გაცილებით დასავლეთისკენაა რამდენიმე ათას კილომეტრზე! იბერთა ის სახელმწიფო, საიდანაც ეგვიპტის ფარაონმა სესისტროსმა გაილაშქრა თრაკიასა მიმართულებით ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIV საუკუნეს და იბერთა სახელმწიფო, დალაშქრული ნაბუქოდონოსორ II მიერ ჩვ.წ. აღრიცხვამდე VI საუკუნეს, შეიძლება ხვადასხვა პოლიტიკური წარმონაქმნი იყოს …უფრო მეტიც, ზემოხსენებული ორი სახელმწიფო წარმონაქმნისაგან დამოუკიდებელი ჩანს სტრაბონის აღწერილი ედესას-ოსროენას სამეფოც (თუმცა ეს უკანასკნელი უფრო გვიან ჩანს ფორმირებული, ვიდრე ნაბუქოდონოსორის, მთ უმეტეს ფარაონ სესოსტრისის ლაშქრობა დაფიქსირდებოდა.... რასაკვირველია იბერები, მსოფლიო მიგრაციული პროცესების მამოძრავებელი ტომი მცირე აზიიდან, რომელსაც დასახლებული უჩანს ევროპის, აზიის და თვით აფრიკის კონტინენტები, საკუთარივე სამშობლოში

ვერ და არ უნდა გადაშენებულიყო... (ამ თემაზე ამომწურავად II ტომში იქნება საუბარი)

არც ერთი იბერია და საერთოდ პოლიტიკური წარმონაქმნი ამ სახელით, არაა ნახსენები ისტორიის მამად ცნობილ ჰ ეროდოტეს ,,ისტორიაში." როგორც ირკვევა, ქართველი ტომების (იბერების და სხვა ქართველური ტომების) ხსენებას ჰეროდოტე მაინც ახერხებს, ოღონდ სხვისი სახელით და სრულიად სხვა ადგილას... რასაკვირველია სიტყვები, რომ ნაბუქოდონოსორმა მიაღწია ჰერაკლეს სვეტებს, თავად სტრაბონის ინტერპრეტაციაა, რომელსაც მხოლოდ აქ ეგულება იბერია-ესპანეთი. ყველა ნიშნით მეგასთენე მხოლოდ ნაბუქოდონოსორის მიერ იბერთა დალაშქრვაზე საუბრობდა.

„და გამოჩნდეს ამასა შინა ჟამნი მრავალნი, მაშინ ნაბუქოდნოსორ ი მეფემან წამოსტყუვნა იერუსალიმი, და მუნით ოტებული ჰურიანი მივიდეს ქართლსა და მოითხოვეს მცხეთელი მამასახლისაგან ქვეყანა ხარკით"

(ქართლის ცხოვრება, ლეონტი მროველი. გვ. 20. 2012წ)

როგორც წესი ლეონტი მროველი თავის ამ ცნობას რიცხვით თარიღთან არ აკავშირებს (ისევე როგორც მისი სხვა ცნობები). როგორც ისტორიიდან ცნობილია, ნაბუქოდნოსორმა მართლაც დაიპყრო იერუსალიმი (ორჯერ) თუმცა ომს გენოციდის სახე არ ჰქონდა. პირველი ომის შემდეგ მან მეფეც კი დაუნიშნა ებრაელებს, მათივე ტომის კაცი. მეორე ომში ებრაელები მეტნაკლებად დაზარალდნენ, როგორც ჩვეულებრივ ომში. განუზომლად დიდია რომაელი იმპერატორების, ტიტეს და ვესპასიენეს გამანადგრებელი მოქმედება იზრაელში. მართალია იმ დროინდელი ცნობები რიცხოვნობაზე ძალიან გაზვიადებულია, თუმცა ომში დაღუპულ ებრაელთა რაოდენობა ათასებს და ათი ათასებს აღწევს, ცოცხლად დარჩენილი ებრაელები იუდეიდან ამ ომების შედეგად დაიფანტა მთელ მსოფლიოში, რასაც ვერ ვიტყვით ნაბუქოდნოსსრის მიერ წარმოებულ ომზე. მართალია ლეონტი მროველი ტექსტში ურიათ ახსენებს, თუმცა მის ხელთ არსებული ტექსტებში ურიათა კანონიკური სახელი იქნებოდა მოცემული.

„იუდეველთა სამშობლოდ იოსებ ფლავიუსს და ტაციტთან ფიგურირებს ეგვიპტე, კრეტა, ლიკია და ბოლოს ასირია, ე.ი. ჩრდილოეთ მესოპოტამია. უკანასკნელი მონაცემით ყველაზე მეტად უახლოვდება თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებას. ალბათ ტომების წინაპრები, გამოჩენილები იორდანს იქით, შემდეგ შემოჭრილები პალესტინაში, იყვნენ ამორეველები ზემომესოპოტამიიდან, რომლებიც XVI-XV ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე, გამოდევნილი იყვნენ ევფრატიდან მითანელი ხურიტებისა და კ ასიტებისგან . ევფრატზე გადასულები და მომთაბარენი XIII-XII ს.იორდანიის იქით, სუტიელი (ამორეველი) ტომები საკუთარ თავს

იბრ-ს-ს უწოდებდნენ“ (ეპიტომა პომპეი ტროგისა, ფილიპეს ისტორია, წიგნი XXXVI შენიშვნა 2-1)

... მაგრამ რომელი სახელი: იბრი თუ იბერი? ყველა ნიშნით ჩანს რომ ლეონტი მროველს „მცირე“ შეცდომა დაუშვია , რომელსაც ნაბუქოდნოსორისაგან დევნილი და მცხეთაში დასახლებული იბერები და ა დგილნათხოვარი იბრები ერთ ხალხად ჩაუთვლია და ამავე დროს მიგრირებულ იბერებზე სიტყვასაც არ ძრავს. ის, თუ რატომ ეძებენ დასასახლებელ ადგილს (და შესაძლოა მფარველობასაც) შორეული იუდეასა და იზრაელისაგან ლტოლვილი ებრაელები (და არა უკვე იზრაელის შვილები) ასე შორს, უკვე ზემოთ ვისაუბრეთ. არსებობს თუ არა რაიმე ხელშესახები ფაქტი, რომელიც შ უამდინარეთის ტერიტორიაზე იბერთა ყოფნის ფაქტს ადასტურებს? ფაქტები რომლებიც ამ ტერიტორიაზე იბერთა ყოფნის რეალობას ადასტურებს, (მართალია არაპირდაპირი) ნამდვილად არსებობს. იბერთა ლტოლვიდან თითქმის 200 წლის შემდეგ, 401 წელს ქრისტემდე, ამ ტერიტორიის უშუალოდ სიახლოვეს გაიარა ბერძენთა 14000 მოქირავნე ლაშქარმა და მათმა მეთაურმა ,,ანაბასისის“ ავტორმა ქსენოფანტემ. მთლიანობაში იბერი, ტაოხი და მოსხი ეს ერთი საერთო ენოვანი ტომის ცალკეული თემებია მხოლოდ. ფასიანები, ბერძენი მოქირავნების წინააღმდეგ ტაოხებთან და ხალიბებთან ერთად გამოდიან, რაც ამ ტომთა საერთო ფესვებს ადასტურებს. ფასიანები (ბასიანები) სავარაუდოდ აღმოსავლეთ ქართველური ტომები არიან, მათი გავრცელების არეალი მდინარე არაქსს სცილდება სამხრეთით, ხოლო არაქსიდან ევფრატამდე და ბაბილონელთა საზღვრამდე ერთი გადასასვლელია მხოლოდ (2)

„მოსხების ქვეყანაში, ნახსენები მდინარეების ზემოთ, არის ფრიქსეს დაარსებული ლევკოთეის სალოცავი და ფრიქსეს სამისნო, სადაც მსხვერპლად ცხვარს არ სწირავდნენ. ოდესღაც მდიდარი სამისნო გაძარცვული იქნა ფარნაკეს მიერ ხოლო მოგვიანებით მითრიდატე პერგამოელის მიერ...ბოლოს და ბოლოს, კოლხეთს დაეუფლა პოლემონი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ამ უკანასკნელს მართავდა მისი მეუღლე პითადორიდა, რომელიც კოლხთა დედოფალი იყო, ქალაქებისა ტრაპზუნტი და ფარნაკისა და მის ზემოთ ბარბაროსული ოლქებისა, რომელთა შესახებ შემდეგ მოგითხრობთ. მოსხების ქვეყანა, რომელშიც სალოცავია, იყოფა სამ ნაწილად: ერთს ფლობენ კოლხები, მეორეს იბერიელები, ხოლო მესამეს არმენები. იბერიაში არსებობს აგრეთვე ქალაქი (ფრიქსეს დაბა) თანამედროვე ედესსა, კარგად გამაგრებული პუნქტი კოლხეთის საზღვართან“ სტრაბონი წიგნი XI; 2-17-18)

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება გაამახვილოს იბერიულ ქალაქ ედესაზე... ფრიქსეს დაარსებული სალოცავს (უსახელოდ) აღნიშნავს აგრეთვე ტაციტი:

„ისინი (იბერები და ალბანები) პატივს სცემენ მის (იასონი) ხსოვნას, ასევე ფრიქსეს სალოცავს და მათგან არც ერთი არ შეწირავს ცხვარს, რადგან თვლიან, ფრიქსე მიიყვანა მათთან ცხვარმა: (ტაციტი ანალები წიგნი VII-34)

მართალია უშუალოდ ბაბილონის ტერიტორიის ახლოს ქსენოფანტე იბერიული სახელმწიფო წარმონაქმნს არ შეხვედრია, თუმცა ცალკეულ ქართველურ ტომებთან შეხვედრა იშვიათობა არ ყოფილა.ქსენოფანტე აღწერს ბერძენთა წინააღმდეგ კოლექტიურად გამოსულ ქართველურ ტომებს ტაოხებს, ფასიანებს და ხალიბებს(3) საჭიროების შემთხვევაში სამივე ტომი ერთად გამოდის საფრთხის დასაძლევად. უძველესი წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით, აშკარად ჩანს ქართველების (იბერების) დასწრებულობა გაცილებით სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვიდრე დღეს ან თუნდაც გვიან შუა საუკუნეებშიც არის დაფიქსირებული. ქართველი მეცნიერი პავლე ინგოროყვა მესხებს სამხრეთ იბერებს უწოდებს. თუ პლინიუს უფროსის სიტყვებით ვიხელმძღვანელებთ, მესხი ტომთა ის სახელია, რომელიც მას მოსხის მთამ დაანათლა. მეორეს მხრივ ჰეროდოტე თავის ,,ისტორია"-ში ყველგან ტერმინ მოსხს იყენებს და იგნორირებას უკეთებს ტერმინ ტაოხს. მეორე ისტორიკოსი ქსენოფონტე 50 წლის შემდეგ იყენებს ტერმინ ტაოხს და არსად არ ახსენებს მოსხს. ტაოხების გვერდით მოსხების არსებობის შემთხვევაში ის მათ აუცილებლად გადააწყდებოდა. ცხადია ქსენოფონტეს მიერ ნახსენები სატომი სახელი ტაოხი მთლიანად მოიცავს შინაარსით მოსხს და მისი იდენტურია(3) სტრაბონი მოსხების ქვეყანაში მდებარე ფრიქსეს სალოცავს ახსენებს. მოსხების ქვეყნის ნაწილი, მისივე სიტყვებით შედის კოლხეთში,რომელთა შესახებ სხვადასხვა ცნობები არსებობს:

„ტიბარანებს და ხალდებს კოლხეთამდე, ფარნაკიასა და ტრაპეზუნტს მართავს პითადორიდა." (სტრაბონი. წიგნი 12; III-29).

(კოლხეთი, რომელიც მისივე სიტყვებით ტრაპიზუნდამდე აღწევს.

ქართველური ტომების სახოვრებელი ადგილს, რომელიც ტრაპზუნდის ტერიტორიას მოიცავს, ზემო კოლხეთს უწოდებს (პლუტარიქე, რჩეული ბიოგრაფიები, პომპეუსი გვ.323 თბილისი 1975წ).

თურქი მოგზაური, ევლა ჩელები ტრაპიზონს ქვემო ბათუმსა და ლაზების ქალაქს ეძახის.(ევლია ჩელები, ამიერკავკასიის, მცირე აზიისა და ირანის მიმდებარე მიწები; II ტრაპიზონი გვ 82-83)

თვითონ ფრიქსეს სალოცავი, რომელიც გაიძარცვა ფარნაკეს, ხოლო მოგვიანებით მითრიდატე პერგამოელის (პერგამოს სახელმწიფო სინოპას ნახევარკუნძულის სამხრეთით მდებარეობდა, ზღვის სანაპიროსვე) მიერ, ტრაპეზუნტის ზემოთ მთიანეთშია საძებარი მხოლოდ, ორივესთვის ადვილად ხელმისაწვდომ და ახლო ადგილას. იბერთა საზღვარი ქალაქი ედესაც აქვეა საძიებელი, სტრაბონის დროს არსებული კოლხეთის საზღვართან...იბერთა კარგად გამაგ-

რებულ დაბას, ედესას პ.ინგოროყვა ერთმნიშვნელოვნად ანატოლიის ზეგანზე ათავსებს (თუმცა დაუმტკიცებლად). როგორც ცნობილია, სტრაბონამდე ნახევარი საუკუნით ადრე, დიდი სომხეთის მეფემ, ტიგრანმა დაარსა თავისი სახელობის ქალაქი ტიგრანოკერტი:

„მეფემ (ტიგრანმა) გადარეკა ყველა მაზაკელი მესოპოტამიაში, შეადგინა მათგან ტიგრანოკერტის მოსახლეობა (სტრაბონი წიგნი XII; I-9) მეორეს მხრივ:

,,გადავიდა რა ევფრატზე, მან ძალით დაიპყრო სირია და ფინიკია. ამაღლდა რა ასე მაღლა თავისი სიძლიერით, ტიგრანმა დაარსა ქალაქი იბერიის ახლოს, ამ ადგილას და ზევგმას შორის ევფრატზე. შეკრიბა რა მოსახლეობა მის მიერ დარბეული 12 ქალაქიდან, მან დაარქვა ამ ქალაქს ტიგრანოკერტი“ (სტრაბონი, წიგნი XI ; თავი XIV-15)

სტრაბონი იბერების ტერიტორიებს ტიგრანოკერტის გვერდით ასახელებს, ქალაქისა, რომელიც მდინარე ევფრატთან იმყოფება! (დღევამდელი თურქული ქალაქის, დიარბექერი ს სიახლოვეს) ცხადია მისი ეს ცნობა მხოლოდ და მხოლოდ მეგასთენესაგან გამომდინარე უჩანს, რომლის შრომებსაც ის ფართოდ ეყრდნობა ინდოეთის ტერიტორიების აღწერისას და მას კარგადაც იცნობს. თავად მეგასთენე ჩვ.წ აღრიცხვამდე IV საუკუნის ისტორიკოსია და მისი ცნობა გაცილებით უფრო შორეულ წარსულს უნდა ასახავდეს. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ის ისტორიკოსია რომელის ყველა სიტყვა იბერიისა და იბერთა სახელმწიფოს შესახებ სრულ ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს და რომელშიც უახლესი კვლევის შედეგებით დავრწმუნდებით (5) (როგორც ბოლო დროს მოპოვებული მონაცემებით ირკვება, სტრაბონი აქვე, ამ ტერიტორიის მახლობლად ახსენებს იბერებს. ახსენებს მათ სრულიად სხვა სახელით. ეს მონაცემები, როგორც მოგვიანებით მოპოვებული, ვერ აისახება წიგნის მოცემულ ფორმატში) შესაბამისად, მე-7-ე საუკუნეს ქრისტემდე, მცირე აზიის იბერია საკმაოდ წარმატებული პოლიტიკური ერთეული უნდა იყოს, რომელიც ვანის ტბის მახლობლად (სავარაუდოდ მისგან სამხრეთ დასავლეთით) მდებარეობს. საინტერესოა სტრაბონის შეხედულება იბერებზე , უკვე კავკასიის იბერებზე, რომელიც მათ იმ დროისათვის მოწინავე კულტურის ტომად წამოაჩენს:

„სინამდვილეში დიდი ნაწილი იბერიისა ისე კარგად არის გაშენებული, ქალაქებითა და დასახლებებით, რომ იქ კრამიტის სახურავებიც არსებობს, საბაზრო მოედნები და სხვა ნაგებობები, არქიტექტურის წესების გათვალისწინებით. ამ ქვეყნის ნაწილი გარშემორტყმულია კავკასიის მთებით. როგორც მე ავღნიშნე ადრე. მთების განშტოებები მიმართულია სამხრეთის მიმართულებით. ისინი ნაყოფიერია, მოიცავს მთელი იბერიას, მიმდებარეს კოლხეთსა და არმენიაზე. იბერიის ცენტრში არის დაბლობი რომელზედაც მიედინება მდინარეები. ყველაზე დიდი მათგან კირია (მტკვარი). ის იღებს სათავეს სომხეთში და შედის რა

აღნიშნულ ზეგანზე, ღებულობს არაგს (არაგვს), (მიმავალს კავკასიიდან) და სხვა შენაკადები, ხოლო შემდეგ ვიწრო ხეობით მიედინება ალბანეთში. ამ დაბლობსა და არმენიას შორის მდინარე მძლავრად მიედინება დაბლობზე, საძოვრებით საკმაოდ მდიდარზე, ღებულობს სხვა მრავალ მდინარეებს, მათ შორის ალაზონიი, სანდობანი, რატეკი და ხანი (ყველა სამდინაროა და ბოლოს ჩაედინებაკასპის ზღვაში. ადრე მას ერქვა ქორი.

იბერიის დაბლობზე ცხოვრობს მოსახლეობა, უფრო მეტად მიდრეკილი მი-წათმოქმედებასა და მშვიდობაზე, რომლებიც იცვამენ არმენთა და მიდიელთა ყაიდაზე. მთიანი ნაწილი, საწინააღმდეგოდ დაკავებულია მდაბიო ხალხით და მეომრებით, მცხოვრებნი სკვითებსა და სარმატების მსგავსად, რომელთა მეზობლები ისინი არიან. მაგრამ ისინი დაკავებული არიან მი წათმოქმედებითაც. რაღაც საგანგაშო მდგომარეობის შემთხვევაში, მათ გამოჰყავთ მრავალი ათეული ათასი მეომარი, როგორც თვითონ, ისე სკვითებისა და სარმატების რიცხვიდან. ქვეყანაში არსებობს 4 შესასვლელი. ერთი მიდის კოლხური სიმაგრე სარაპანისიდან (შოროპანი) და ხეობით მის ახლოს. ამ ხეობით ფაზისი (ამ მდინარის დაკლაკნულობის გამო მათზე გადებულია 120 ხიდი) მქუხარე და სწრაფი დინებით შედის კოლხეთში, კოკისპირული წვიმების დროს ადგილმდებარება იფარება მრავალრიცხოვანი შენაკადებით. ფაზისის სათავეები მთებშია, რომელიც იბერიის ზემოთ ძევს, სადაც ის ივსება მრავალი შენაკადით, ხოლო დაბლობში ის ღებულობს სხვა მდინარეებსაც , მათ შორის გლავკი და ჰიპპი (ცხენისწყალი) ივსება რა შენაკადების წყლით და ხდება სანაოსნო. ეს მდინარე ჩაედინება პონტოში. შესართავთან არის მდინარის თანამოსახელე ქალაქი და ახლოს მისგან ტბა. ასეთია კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელი გადაღობილი მთებით, სიმაგრეებითა და მჩქეფარე მდინარეებით.

ჩრდილოეთის მომთაბარეებისაგან მიდის ძნელი სამდღიანი აღმართი, რომლის შემდეგ მოსდევს არაგის ვიწრო სამდინარო ხეობა, რომელზედაც გადის გზა, კაცისთვის ოთხდღიანი სავალის ტოლი. გზის ბოლო მონაკვეთი დაცულია მიუდგომელი სიმაგრით. ალბანეთიდან შემოსასვლელი მოდის პირველად კლდეებში გამოჭრილი ბილიკით, ხოლო შემდეგ ხევით, შექმნილი ალაზონიის (ალაზნის) მიერ, მომდინარე კავკასიონიდან. არმენიიდან შემოსასვლელი ეს კირის და არაგის ხეობაა. ამ მდინარეების შეერთების ზემოთ კლდეებზე გაშენებულია ქალაქები, დაახლოებით 16 სტადიონზე (2,5-3კმ) ერთმანეთისგან. კირზე- გარმოძიკა (არმაზი), მეორე მდინარეზე -სევსამორა (წიწამური). ამ შესასვლელებით ისარგებლა თავიდან პომპეუსმა, მომავალმა არმენიიდან, შემდეგ კანიდიიდან. ამ ქვეყნის მოსახლეობა იყოფა 4 კატეგორიად. ერთი კატეგორია ყველაზე მთავარია - აქედან ისინი ირჩევენ მეფეებს, უფროსებს გვარიდან და ასაკით; შემდეგი მნიშვნელოვანი პირები - ეს უმაღლესი მოსამართლე-

ები და სარდლები. მეორე კატეგორია - ეს ქურუმებია, სხვა საქმეთა შორის მეზობლებთან უთანხმოების მომგვარებლები. მესამე თანრიგი შედგება მეომრებისა და მიწათმოქმედებისაგან და ბოლოს მეოთხე - უბრალო ხალხი; ეს სამეფო მონებია, რომლებიც ასრულებენ ყველა სამუშაოს და მოიპოვებენ სასიცოცხლო საშუალებებს. საგვარეულოში მათი ქონება საერთოა, რომელსაც ასაკით უფროსი ინახავს და განკარგავს. ასეთია იბერიელები და მათი ქვეყანა." (სტრაბონი წიგნი XI; III-1-5)

სტრაბონისეული აღწერა იბერიისა საკმაოდ კარგად არის გაშუქებული ქართული ისტორიულ ლიტერატურაში, ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ იბერიის იმ **დროინდელი დაყოფა კატეგორიებად, ოდნავადაც არ ჩამორჩება მსოფიოში პირველი სახელმწიფოს, რომის იმპერიის შინაგან დაყოფას და იბერთა საზოგადოების მაღალი განვითარებულობაზე მეტყველებს.**

…და აი როგორ ახასიათებს იბერებს რომაელი ისტორიკოსი, აპიანე:

,,იბერებს, მცხოვრებთ აზიაში, ერთნი თვლიან წინაპრებად, სხვები- ევროპული იბერების კოლონისტებად, მესამენი მხოლოდ მოსახელე ტომებად; მათ არა აქვთ საერთო არც ზნე-ჩვეულებით,არც ენით."(აპიანე მითრიდატული ომები 101)

ყველა ისტორიკოსის მიერ იგნორირებულია აპპიანეს სიტყვები, რომ ეს იბერები, ქართველი იბერები მოხსენიებულია ევროპელი იბერების შესაძლო წინაპრებად და როგორც ირკვევა, სრულიად სამართლიანად. აპიანეს ეპოქაში იბერთა წინა სამშობლოს კონტურებიც და ადგილსამყოფელიც უკვე წაშლილი ჩანს ისტორიული მეხსიერებიდან , (ანალოგიურად კოლხეთის შემთხვევისა), მაშინაც კი როდესაც მეგასთენეს ჩანაწერებიდან ცნობები ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია. შემდგომი დროის ისტორიკოსები უკვე იბერთა წინარე სამშობლოს არსებულ დასავლეთ იბერიასთან, ესპანეთთან აიგივებენ, რამეთუ წინა აზიაში მდებარე იბერთა პოლიტიკური წარმონაქმნი მეხსირებაში უკვე დაკარგული ჩანს (6) ვეყრდნობით რა ზემოთ მოყვანილ ცნობებს, ერთმნიშვნელოვნად ვასკვნით, რომ იბერებიის ეს პოლიტიკური წარმონაქმნი ფუნქციონირებდა კაბადოკიის ზეგანზე, მიდიას ა და ლიდიას შორის მდებარე სივრცეში, არ მორჩილებდნენ რა არც ლიდიას, მიდიას თუ ბაბილონს 600 წლის სიახლოვეს ჩვენს წელთ აღრიცხვამდე. უკუქცეული იქნა ბაბილონის მეფე ნაბუქოდნოსოს II-ს მიერ , იხევდა უკან რამდენიმე მიმართულებით. ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო მესხეთი,შუა ქართლი, რაც მტკიცდება კიდეც უახლესი არქეოლოგიური კვლევებით. იბერთა მცირე ნაწილი რჩება ანატოლიის ზეგანზე ტაოხების და ფასიანთა სახით. კავკასიაში კი ანატოლიის ზეგანიდან ლტოლვილი ქართებით მომძლავრებული და გამრავლებული იბერთა ტომი ვრცელდება აღმოსავლეთით საქართველოს თითქმის მთელ სივრცეზე.

საყურადღებოა ქართულ სამეცნიერო წრეებში თუ ინტელიგენციაში მიმ-დინარე პოლიმიკა ტერმინ ,,გეორგიანების“ და ,,გორჯის“ წარმოშობის შესახებ. კეთდება სხვადასხვა მოსაზრებები, მანიპულირებები , რომ ერთი მეორესთან დააკავშირონ, მიიღონ იმისაგან, რაც საფუძველშივე არასწორია(7)

,,კასპიის ზღვას და შავ ზღვას შორის ცხოვრობს აღმოსავლელი ხალხი, იბერე-ბი, რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ პირენეებიდან და სასტიკი ომი აუტეხეს ჰირკანებს.“ (დიონისე პერიგეტი 1-2 საუკუნე).

პირენეიდან იბერთა ,,მოსვლის“ შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ იბერების და ჰირკანების საომარი კონფლიქტი მხოლოდ მათი ურთი-ერთშეხებისას არის შესაძლებელი. (როგორც ირკვევა, აქ კავკასიის ჰირკანებზე-გელებზეა საუბარი და იბერ-გელთა შეჯახება ჩვ.წ. აღრიცხვამდე VII საუკუნეს მომხდარი ფაქტია) ქართველთა კასპიის ზღვამდე გავრცელება- აქსიომაა! აი რას წერს ამ ხალხების შესახებ მოგვიანებით ბერძენი საისტორიო მწერალი

„ალექსანდრე მაკედონელმა ჰირკანიის ზღვიდან მოულოდნელი დარტყმით დასცა იბერიელები. მაშინაც არ გაქცეულან იბერები უბრძოლველად, დიდი ბრძოლა (გაუმართეს) ბევრი ამოწყდა და ბევრიც ტყვედ ჩაიგდო მაკედონელმა“ (გეორგიკა ტომი VI. იოანე ზონარა გვ. 196 თბილისი 1966წ).

იოანე ზონარის ცნობა იბერებზე მაკედონელის დარტყმის მოულოდნე-ლობის შესახებ ჰირკანიის ზღვიდან, ვფიქრობთ კასპიის ზღვის შემოვლას და ჩრდილოეთის მიმართულებიდან მოულოდნელ დარტყმას უნდა გულისხმობ-დეს. ვფიქრობთ რომ აუცილებელია გადაიხედეს საკითხი ალექსანდრე მაკე-დონელის ქართული ლაშქრობის შესახებ. იბერიის შემდგომი ისტორია მეტ-ნაკლებად კარგადაა გაშუქებული ქართველი ისტორიკოსების მიერ. ყურადღე-ბას მივიპყრობთ იმ საკითხებს, რომელიც არასაკმაოდ არის შეფასებული ან არასწორადაა გაშუქებული.ერთ-ერთი არასწორად გაშუქებული სიუჟეტი ეხება საქართველოს ამაგდარ მეფეს, დავით კურაპალატს.

როგორც ისტორიიდან ცნობილია, მეფე დავით კურაპალატმა მცირეწლო-ვან ბიზანტიის იმპერატორს, შემდგომში ბასილ ბულგართმმუსრველად ცნო-ბილს, აჯანყებული სარდალის, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ 12000 მეომარი მიაშველა. ბრძოლა მდინარე ღალისის პირას (დღევანდელი თურქეთის ტერი-ტორია) მოხდა. ბასილ კეისრის გაერთიანებულ ლაშქარს ბარდა ფოკა ხელმძ-ღვანელობდა. ბრძოლაში გაერთიანებულმა ლაშქარმა გაიმარჯვა, ქართველთა არა მცირე მონაწილეობით გადაარჩინა ბიზანტიის კანონიკური საიმპერატორო ტახტი. ტაოს ქართულმა სახელმწიფომ ამ აქციისგან არამცირე სიკეთე მიიღო. კეისარი ბასილისაგან მას საჩუქრად გადაეცა საკმაოდ დიდი ადგილ-მამული. მისსავე საზღვარზე, ასევე ქართველური ტომებით დასახლებულები. მოგვიანე-ბით, უკვე სრულწლოვან ბასილი კეისარს თვითონ ბარდა ფოკა აუჯანყდება.

ერთადერთი ისტორიკოსის, იაჰია ანტიოქელის ვერსიით, აჯანყებულთა მხარეს მონაწილეობა მიიღო ტაოს ქართულმა ლაშქარმაც. ისტორიკოსის სიტყვებით სარდალ ფოკას და მეფე დავით კუროპალატს ძველი ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებდათ, ამიტომაც დავითი ლაშქრით მიეშველა ბარდა ფოკას. აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ, დავით კუროპალატი იძულებული გახდა სიკვდილის შემდეგ თავის სამეფოს ბასილ კეისარის შეჰპირებოდა. შესაბამისად იაჰია ანტიოქელის სიტყვებით მეფე დავით კუროპალატმა არასწორი გათვლა გააკეთა რის გამოც, საბოლოოდ საქართველოს ერთიანობის იდეამ იზარალა. არც ერთი სხვა წყაროებით აღნიშნული ფაქტები არ მტკიცდება:

„სომეხი ისტორიკოსის ასოღაკის (XI-XII საუკუნე) ცნობით, ბარდა ფოკამ გაუშვა ქართველი მეომრები თავისი რიგებიდან, როდესაც ის ბასილ კეისარს აუჯანყდა! საწინააღმდეგო ცნობები მოიპოვება ბერძნულ ლიტერატურაში: ,,მან (ბარდა ფოკამ) მტრული გეზი აიღო და თავისთვის შეკრიბა იბერიელთა ჯარი ეს ხალხი სიმაღლით მეათე ფუტს აღწევს და წარბებიც ქედმაღლურად აქვთ შეჭმუხნული. მან თავის ახლოს შეაგროვა ქვეითი ჯარი, მე ვგულისხმობ უმამაცესად მებრძოლ იბერიელებს, ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი და თვით გაფურჩქვნილ ყვავილს ჰგავდნენ, მაღალი ტანისა იყვნენ და თანაზომიერნი, თითქოს კანონის მიხედვით მოზომილნი, შეიარაღებულნი იყვნენ მახვილით , რომელიც მარჯვნა ხელში ეჭირათ და შემართებით იყვნენ უძლეველი. ესენი რომ თავისთან ჰყვანდნენ , ის მათ მართავდა ერთნაირი გეზით. ფალანგას წინ მიუძღოდა... მაშინვე მოწინააღმდეგეთა ფალანგებმა, ორივემ დაინახეს ეს, ერთი მაშინვე დაიქსაქსა და რადგან საბრძოლო კავშირი დაიშალა, უკუიქცნენ და ყველანი ლტოლვილებად გახდნენ. ხოლო მეორენი, მეფის გარშემო რომ იყვნენ, მაშინვე ეცნენ დაცემულ ტირანს, გაფანტეს იბერიელები, თვით იგი ნაკუწებად აქციეს“. (გეორგიკა. ტომი VI მიქაელ პსელოსი გვ. 11-12)

ცხადია ყველა ქართველი მეომარი მეათე ფუტის სიმაღლე ვერ იქნებოდა, თანაც იბერიელთა საკმაოდ ადვილად გაფანტვა მათ მცირერიცხოვნობაზე მიუთითებს. ეს ტანმაღალი და წარბშეჭმუხნული მცირერიცხოვანი ჭაბუკი იბერიელი მეომრები, დაქირავებულ მცველებს ჰგვანან და არა დავით კუროპალატის მრისხანე 12000 -იან არმიას. არც დავით კუროპალატი გახლდათ გამოუცდელი პოლიტიკოსი, რომ წინდაუხედავად უზურპატორის მხარე დაეჭირა. ბასილი ბულგართმმუსვრელმა დასაჯა კიდეც ერთ ერთი ბაგრატიონი (ადგილობრივი სუზერენი) სავარაუდოდ მისი ხელქვეითი ქართველთა ნაწილის აჯანყებაში მონაწილეობისათვის, თუმცა არა დავით კუროპალატი, რაც ამ უკანასკნელის სწორი და წინდახედული პოლიტიკის შედეგი ჩანს. სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაეცის ცნობით, დავით კუროპალატი ჯერ მოწამლეს, ხოლო შხამის უმოქმედობის გამო (მან დალია ანტიდოტი) ბალიშით დაახრჩვეს. მონაწილეობდა

არქიეპისკოპოსი და თავადები. არისტაკ ლასტივერცი (XI საუკუნე) ემხრობა ამ ვერსიას, თუმცა არქიეპისკოპოსის მონაწილეობაზე ცნობა მას არა აქვს. კრიმინალისტიკიდან ცნობილია, ბოროტმოქმედებას ჩადის ის ვისაც ამ ბოროტმოქმედებისაგან მოგების მიღების იმედი აქვს. დავით კუროპალატის სიკვდილის შემდეგ უმოკლეს დროში ჩამოდის ბიზანტიის იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი ადრე ნაჩუქარი მიწების დასაბრუნებლად...და რა შეიძლება იყოს ბიზანტიის მიერ ,,საჩუქრად" გაცემული მიწების უკან მიტაცების მიზეზი?

„ძლიერ მოეწონა მას ეს გამჭრიახობა, უბოძა მას მაგისტროსის პატივი და უთხრა, სანამ ცოცხალი ხარ, ანისის და ეგრეთწოდებული დიდი არმენიის მმართველი იყავიო. ხოლო მოსთხოვა წერილობითი საბუთი, რომ მისის გარდაცვალების შემდეგ მთელი ეს სამფლობელო გადავიდოდა მისი (მეფის) განკარგულებაში და რომაული სახელმწიფოს ნაწილი იქნებოდა". (გეორგიკა, ტომი V, გიორგი კედრენე გვ. 56-60 თბილისი 1963)

როგორც კონტექსტიდან ირკვევა, ბიზანტიის იმპერიაში მოქმედებს დაუწერელი (თუ დაწერილი) კანონი, რომლის მიხედვით ბიზანტიის მეზობელი უმემკვიდრო სუზერენის მამულები ავტომატურად გადადის ბიზანტიის იმპერიის მფლობელობაში. შეგახსენებთ რომ, ანისის მმართველი აჯანყების მხოლოდ თანამგრძნობი, პასიური მომხრე იყო. (ნაწყვეტი მას ეხება)

,,ხოლო დიდმა დავითმა თავისი მიწაწყალი არ მისცა მეფეს, თუმცა უნდა ითქვას, ის აკამფსისისა და მურღულის მიდამოების მოსაზღვრე არის. (გეორგიკა. ტომი IV -ის წიგნი II კონსტანტინე პორფიროგენტი. გვ. 284 თბილისი 1952წ)

ცხადია დიდ იმპერიებს, მათ შორის ბიზანტიასაც ოდითგანვე ერთი ავადმყოფობა ჰქონიათ, მიწით, მეზობლის მიწით გაუმაძღრობა, რისი ქრესტომათიული მაგალითი წინა ორი ნაწყვეტია! ამასთან უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ თვითონ იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობით, დავითმა არა თუ ცნობა არ შეადგინა სამეფოს ბიზანტიაზე გადაცემის შესახებ, სიტყვიერი თანხმობაც კი არ გამოუცხადა! ეს ფაქტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვჩვენებს, რომ დავით კუროპალატს არც არაფერი არ შეშლია და არც მის სპას მიუღია ბასილ კეისრის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში მონაწილეობა (გავიხსენოთ რომ აჯანყების პასიური მონაწილე ანისის მთავარ იძულებული გახდა ანდერძის წიგნი დაეწერა იმპერატორ ბასილისათვის)

,,თვითონ იბერიაში ავიდა, დავით კუროპალატი გარდაცვლილიყო და თავისი სამკვიდროების მემკვიდრედ მეფე დაეწერა". (იგულისხმება ბასილ კეისარი) (გეორგიკა. ტომი V გიორგი კედრენე თბილისი 1963წ).

რასაკვირველია, წინა ცნობებიდან გამომდინარე, დავით კუროპალატს არაფერი დაუწერია! მას მემკვიდრე დიდი ხანია უკვე ჰყავს, ეს ბაგრატ III-! მაგრ-

ამ...

,,ცოტა ხნის შემდეგ მან (კეისარმა) მოლაპარაკებები გამართა მეფესთან, დაუთმო თავისი ქვეყნის ის ნაწილები, რომლებიც მეფეს სურდა და ზავი შეიკრა.“ (გიორგი კედრენე, იქვე გვ. 48)

ხომ არ გეცნობა მკითხველო მეზობელ მიწებზე თვალხარბობა დიდი იმპერიისა? შესაძლოა მოინახა კიდეც ვიღაც სულწაწყმედილი ქართველი, სასიკვდილო განაჩენის შემსრულებელი, თუმცა მთელ ამ პერეტურბაციებით მხოლოდ ბიზანტიის იმპერიამ მოიგო, შესაბამისად დავით კუროპალატის მოკვლის მოტივიც მხოლოდ და მხოლოდ მას გააჩნდა!...სულ სხვა საკითხია, სად და როდის დააბრუნა ბიზანტიის იმპერიამ წაღებული ტერიტორიები....

ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობით, ქართველებმა თეოდოსიუპილში (არზრუმი) არაფრის დიდებით არ იომეს, თუმცა ამის პირობა დადებული ჰქონდათ:

,,და იბერებს მუდამ სიყვარული და მეგობრობა ჰქონდათ თეოდოსიუპოლელებთან, აბნიკელებთან, მანძიკერტელებთან... იბერებს არ სურდათ, რომ თეოდოსიუპოლი განადგურებულიყო, არამედ უფრო მოწადინებულ იყვნენ, რომ ის სურსათით მომარაგებული ყოფილიყო ... (გეორგიკა. ტომიIV წიგნი II კონსტანტინე პოროფიროგენტი გვ. 263-265 თბილისი)

მიზეზს, რის გამოც ქართველები თავს იკავებენ თეოდოსუპოლზე თავდასხმისაგან, ისინი ასეხსნიან:

,,ეს რომ ვქნათ, უპატიოსნობას ჩავიდენთ ჩვენი მეზობლების მიმართ, მაგალითად აფხაზეთის მაგისტროსისა და მთავრის, ვასპურაკანელის და არმენიელთა ზემთავრების მიმართ.“ (კონსტანტინე პორიფოროგენტი, იქვე გვ. 264)

მართალია იბერები არმენიელთა ინტერესებსაც ითვალისწინებენ, მაგრამ როცა ეს მათ ინტერესების თანხვედრილი არ არის, ამ უკანასკნელ წინაღობას არაფრად დაგიდევენ:

,,და ფარსმანმაც, მოკლა რა თავისი შვილი რადამასტი, ვითომდა ღალატისათვის, ცდილობდა დაემტკიცებინა ჩვენთვის თავისი ერთგულება, დაიწყო მტკიცე მოქმედება არმენთა წინააღმდეგ რომელიც ძველთაგანვე სძულდა . მაშინ პირველად იქნა შემომტკიცებული კავშირში მესხები და ეს ხალხი, ყველაზე სანდო მოკავშირეები რომაელებისა, გაეშურნენ არმენების ყრუ და ძნელად მისადგომი ადგილებისკენ.“ (ტაციტი ანალები წიგნი XIII -37)

ფარსმან II-მ , უკან დაიბრუნა არმენიელთაგან ძველადვე მიტაცებული იბერიული პროვინციები: პარიადრეს მთისწინეთი და გოგარენა სტრაბონის სიტყვებით, ხალიბთა და მოსინეკთათვის არმენთა მიერ წართმეული პროვინციების კარენტიდის და ქსერქსენას დაბრუნება, მან ვერ შეძლო. ცხადია ეს ტერიტორიები, რომელზედაც მოგვიანებით ბიზანტიის იმპერიამ ციხეები ააგო,

ქართველური ტერიტორიები იყო. სავარაუდოდ თეოდოსიუპოლისი -ყოფილი კარინის და მანძიკერტი-ყოფილი ქსერქსენას ციხეების წინააღმდე ბიზანტიელთა გალაშქრების დროს, აქ კიდევ ტრიალებდა დასავლეთ ქართველური სული და სავარაუდოდ ენაც(8) რასაკვირველია ამ ადგილების აწიოკება საწყენი იქნებოდა აფხაზეთის მაგისტროსისათვის რომელიც ამავე ენაზე საუბრობს და ამავე ტომის წარმომადგენელია კიდეც...იბერებს კარგად ახსოვთ ის საერთო ქართველური ერთობა, ადგილობრივ ტომებთან, რომლებთანაც მათ კონსტანტინე პორფიროგენტის სიტყვებით ძველი სიყვარული და ძმობა აკავშირებთ... ბიზანტიელეთა მხურვალე სურვილის მიუხედავად იბერებმა აქ იარაღი არ შეიტანეს, არ დაუთმეს ბიზანტიელებსაც ერზრუმის გარემოცვისათვის ესოდენ საჭირო ქაჯის ციხე რომელსაც თვითონ ფლობენ.

ისტორიული ექსკურსი

უცხოელთათვის მიმართვის წესთა რიგები

„იბერიის კუროპალატს ოქროს ბულები ორი სოლიდისა, „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან უდიდეს კუროპალატს,“კუროპალატს თავისადმი დაქვემდებარებული ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო. ვერიასახის ერსთავს იბერიაში, კარნატაის ერისთავს იბერიაში, ყუელის ერისთავს იბერიაში, აჭარის ერისთავს იბერიაში: „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავანს“.

ალანიის მთავარს ოქროს ბულები ორი სოლიდისა. „სახელითა მამისითა და ძისითა და სულისა წმინდისათა, ერთისა და მხოლოისა ჭეშმარიტისა ღმერთისა ჩვენისითა, კონსტანტინე და რომანოზი თვით ღვთისა მიერ მორწმუნე მეფეები რომაელებისა, ალანიის მთავარს და ჩვენს სულიერ შვილს“

აბაზგიის მთავარს ოქროს ბულები ორი სოლიდისა„მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან ბრწყინვალე მთავარს აბაზგიისა“

ალბანეთის ერისთავს; კრევატადთა ერისთავს, ანუ ეგრეთ წოდებულ კრევატასს; კედონიის ერისთავს; ჭანარიის ერისთავებს, ერისთავს შარვანისას, რომელიც მდებარეობს ალანიასა და ჭანარიას შუა; ერისთავს აჟიისას, სადც არის კასპიის კარები; ხრისას ერისთავს; მოკანის ერისთავს (საცოდნელია რომ მოკანიდან იწყება მეოტიდა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილისადმი გაგზავნილი მიმართვას წაეწეროს: „მიმართვა ქრისტეს მოყვარე უფალთა ამა და ამ ქვეყნის მთავარს (გეორგიკა, ტომი IV; ნაწილი II კონსტანტინე პორფიროგენტი, გვ 291-292, 1952 წ)

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ირკვევა, ბიზანტიელი იმპერატორის საუბრის თემა საქართველოა და აქ მოყვანილი სამეფოები თუ სათავა-

დოები ქართული. სამწუხაროდ ბიზანტიელი იმპერატორის მიერ სკრუპულოზულად მოხსენებული პოლიტიკური ერთეულები გაშიფრული არ ყოფილა... თუმცა ეს დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს...

1. აჭარის საერისთავო- ყველა ქართველისათვის ცნობილი პოლიტიკური ერთეულია.

2. ყველის ციხე -(შესაბამისად ყველის ციხის საერისთავო) ფიქსირდება სამცხეში

3. ვერიასახის საერისთავო- ვერიასახი, ორმაგი სიტყვაა და სიტყვის მეორე ნაწილი, სახი-ეს აშკარად ციხეს ნიშნავს. პირველი სიტყვა, ვერი-აშკარად მიანიშნებს რომ აქ მტვერის ციხეზე-ხუნანზე უნდა იყოს საუბარი, ან სვერის ციხეზე, რომელიც ცხინვალის ახლოს მდებარეობდა. საეჭვოა, რომ იბერიის სამეფო 950 წლის ახლო პერიოდში ისე შორს ყოფილიყო გადაჭიმული, როგორც ხუნანია (დღევანდელ აზერბეიჯანში) სავარაუდოა, რომ ვერიასახის საერისთავო-ეს სვერისციხის მფლობელის საერისთავო უნდა იყოს შიდა ქართლში.

4. კარნა ტაუ-აქ აშკარად იკითხება ორმაგი სიტყვა; კარი -ქართული და ტაუ. ტაუ- ტაი-ტაო, კლდის აღმნიშვნელი ტერმინია. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ ტერმინი თურქულია, ის აშკარად ძველქართული უნდა იყოს, ზუსტად აქედან ჩანს სიტყვა ტაოხები უუძველეს ბერძნულში. სიტყვა იშიფრება როგორც კარი-კლდე, კლდეკარი! (არსებობს ტერმინის სხვა ვერსიაც, რომელიც ამ ფორმატში ვერ განიხილება) კარნატაი-ეს კლდეკარის საერისთავოა!

5. ის, რომ ალანიის მთავარს ისეთივე ორსოლიდიანი ბულები ეგზავნება, როგორც იბერიის და აბაზგიის სუზერენებს, ალანიის სიდიდე-სიძლერის და მნიშვნელობის მიმანიშნებელია . ამასთანავე, ალანიის სუზერენისადმი მიმართვა განსხვავდება იბერიის და აბაზგიის სუზერენებისადმი მიმართვისაგან და აშკარად რელიგიური მოტივების წინ წამოწევას ემსახურება. სავარაუდოა. რომ ეს ალანიის შედარებით გვიან გაქრისტიანებით არის გამოწვეული. ამასთან, ალანია მოხსენიებულია კონტექსტში: **რომ შარვანი მდებარეობს ალანიასა და ჭანარიას (ეს უკანასკნელი, სანარიად წოდებული არაბულ წყაროებში, მდინარეების, მტკვარის და არაქსის შესართავთან მდებარეობდა) შორის. მოხსენიებული ადგილმდებარეობა ალანიასი პირდაპირ მიანიშნებს: კონსტამტინე პორფიროგენტის ალანია-ეს სერირალანია, ქართული წყაროებისათვის დურძუკეთად ცნობილი... ამასთან, იბერიის და ალანიის მთავრების ორ-ორი სოლიდის ღირებულების ოქროს ბულები მათი ფაქტიური თანაბრობის მიმანიშნებელია.ერთია, იბერიის სუზერენი კუროპალატის ტიტულს ფლობს, ალანიისა და აბაზგიისა არა....**

(ალანია, ჭანარია, შარვანის ურთიერთმიმართება შესაბამის თავშია განხილული)

6. არ ღალატობს ბიზანტიის ჩვევას კონსტანტინე პორფიროგენტიც და ტერმინ აბაზგიას იყენებს, თუმცა როგორც ამავე წიგნიდან ირკვევა, აბაზგი ეთნოსი მხოლოდ ერთი შემადგენელია იმ დიდი გაერთიანებისა, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია და სადაც ეს ეთნოსი არ და ვერ ასრულებს ჰეგემონის როლს...აბაზგის მთავარიც ისეთივე ორსოლიდიანი ბულის საშუალებით მოიკითხება, როგორც იბერიისა და ალანიისა.

7. ალბანეთის ერისთავი- მიუხედავად გაბატონებული აზრისა, ალბანეთის საერისთავი ჯერ კიდევ მე-10-ე საუკუნის შუა წლებში ფუნქციონირებს. აქ სავარაუდოდ ჰერეთის ერისთავი იგულისხმება.

8. კრევატადთა ერისთავი, კრევატასი-ეს კვეტარის საერისთავოა .

9. ჭანარიის ერისთავები -როგორც შესაბამის თავში მტკიცდება, ორი ჭანარია არსებობდა, სანარია-არაგვის ხეობაში და სანარე-შარვანის მიმდებარედ.

10. აჟიის ერისთავი, სადაც არის კასპიის კარები-ეს ტოპონომი აღირიცხება ახმეტის რაიონში, თუმცა პორფიროგენტის მიხედვით ის გაცილებით შორს კასპიის კარებისაკენ არის საგულებელი. სავარაუდოდ, ტოპონომი გვიან გადმოტანილი ჩანს აღმოსავლეთიდან აქ. გვიან, ისლამის შემოტევას მთიან კახეთში გაერიდნენ.

11. ხრისას ერისთავი-აშკარად იკითხება ტოპონომი ხირსა, დღევანდელ ქიზიყში.

12. ვრეჟანის ერისთავი-ვეჟინის ერისთავი.

13. მოკანის ერისთავი -მოვაკანის ერისთავი. (მეოტიდა აშკარად მექანიკური შეცდომაა)

რაც შეეხება კედონიის საერისთავოს, ის აშკარად მოითხოვს დამატებით კვლევას და სცილდება წიგნის ფორმატს.

ტიბარანები

ეს ის ქართველური ტომებია, რომლებიც წერილობით წყაროებში პირველადაა დაფიქსირებული ჰეკატე მილეტელთან სხვა ქართველურ ტომებთან ერთად.

193) ტიბარანების აღმოსავლეთ საზღვარზე ცხოვრობენ მოსინეკები, მათ აქვთ ქალაქი ხოირედესი.

ამ ძუნწი ცნობით ამოწურულია ტიბარანების თემა ჰეკატე მილეტელთან, თუმცა სრულიად საკმარისი, რომ მათი ყოფნა VI საუკუნეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დაადასტუროს.

არ უვლის ტიბარანებს გვერდს ჰეროდიტეც:

,,მოსხებს, ტიბარანებს, მაკრონებს, მოსინოიკებს და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი. ესაა მეცხრამეტე სატრაპია. (ჰეროდოტე. წიგნი III -94 თბილისი 1975წ)

საყურადღებოა, რომ ტომთა სურვილისამებრ დაწყვილების პრეცენ-დენტში, ისინი მოსხებთან წყვილდებიან:

,,ლაშქრობდნენ ტიბარანები ... მათ მეთაურობდნენ და განაგებდნენ შემდეგი პირები: მოსხებსა და ტიბარანებს- არიომარდოსი, რომელიც დარიოსისა და პარმისის შვილი იყო, ეს უკანასკნელი კი სმერდისის შვილი იყო, კიროსის შვილისა.“ (იქვე,VII -78 თბილისი 1975წ)

ბაბილონიდან დაბრუნებულ ბერძენ მოქირავნეთა რაზმი თავის მსვლე-ლობის გზაზე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, გადაეყარა ტიბარანებს და ასე მათ აღწერს ქსენოფონტე.

,,იქიდან (ხალიბებიდან) ელინელები მივიდნენ ტიბარანებთან . ტიბარანების ქვეყანა გაცილებით ბრტყელია და მასში არის ზღვის სანაპიროზე განლაგებუ-ლი და არც ისეძლიერ დაცული დასახლება. სტრატეგებს უნდოდათ თავს დას-ხმოდნენ მათ და მიეცათ ჯარისკაცებისთვის გასაძარცვად, ამიტომაც არ მიიღეს საჩუქრები, გამოგზავნილი ტიბარანებისაგან. მაგრამ უბრძანებს ელჩებს მოე-ცადათ თათბირის შედეგებისათვის, შეწირეს მსხვერპლი. მაგრამ მრავალრიც-ხოვანი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, ყველა წინასწარმეტყველმა ერთხმად გა-ნაცხადა, რომ ღმერთები ერთმნიშვნელოვნად არ იზიარებენ ომის იდეას. მერე სტრატეგებმა მიიღეს საჩუქრები და გაიარეს ამ ქვეყანაზე, როგორც მეგობრულ-ზე, ჩავიდნენ ელინურ ქალაქ კოტიორაში, სინოპის კოლონიაზე ტიბარანულ მიწაზე.“ (ქსენოფონტე, ანაბასისი თავი V-1)

ყურადსაღებია რომ ტიბარანები, ისევე როგორც ადრე, ზღვის სანაპირო-ზე ცხოვრობენ, ბრტყელ დაბლობზე. ისინი ფლობენ ზღვის სანაპიროს 60-70 კმ-ის ზოლს მიმდებარე მთებით. წერილობითი წყაროები დიდი ხანი დუმან ქარ-თველური ტომის შესახებ შავ ი ზღვის ამ სანაპიროზე. დიდი ხნის განმავლო-ბაში ელინთა თვალი გონება და ისტოროგრაფია მიმართულია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებისაკენ, რომელიც აცდენილია ამ მიმართულებას. ჩვე-ნამდე მოღწეული წყაროებით, დიდი გეოგრაფი სტრაბონი ეხება ამ სანაპირო-საც და ასევე აღწერს მას.

,,ტრაპეზუნტს და ფარნაკიის ზემოთ განლაგებულია ტიბარანები, ხალდები, სანები, რომლებიც ადრე მაკრონებად იწოდებოდნენ და მცირე არმენია.“ (სტრაბონი; წიგნი XII თავიIII-18)

განვლილი თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში ტიბარანებს მიტო-ვებული აქვთ (არა ნამდვილად ნებაყოფლობით) ზღვის სანაპირო, რამდენიმე

ასეული კილომეტრით უკან აქვთ დახეული ჩრდილო- აღმოსავლეთის მიმართულებით, სხვა ქართველურ ტომებთან ერთად. ცხადია, ამ მოვლენაში აშკარად ჩანს ინდო-ევროპული ტომების, უკვე რომაელთა სახით, გავრცელება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თუ როგორი სახით შეიძლება ყოფილიყო მათი ეს გავრცელება- გაფართოება ზღვის ამ სანაპიროზე, კარგად ჩანს გვიან ბიზანტიურ წყაროებში. ტრადიციულ მანერაში, ბუნდოვნად მიუთითებს ტიბარანების საცხოვრისზე პლინიუს-უფროსი, რომელიც თერმოდონტიდან ტრაპეზუნამდე აღწერს ადგილმდებარეობას და მცხოვრებ ტომებს:

,,(თერმოდონტს იქით და აღმოსავლეთისაკენ მოყვება) ტომი გენეტთა და ხალიბთა, ქალაქი კოტიორია, ტიბარანთა ტომი, მასინები, რომლებიც სხეულზე ტატუირებას იკეთებან.“ (პლინიუს უფროსი წიგნი V-11)

ქრონოლოგიურად მომდევნო ლიტერატურა, ეს ფლავის არიანე 130წ. ჩვ.წ აღრიცხვით და უკიდურესად სანდო:

,,მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარესმანის ქვეშევრდომები არიან, ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან.“ (ფლავიუს არიანე, თავი 11. გვ 42-43 თბილისი 1961წ)

ყველა ნიშნით ძიდრიტები, ფარსმანის-იბერიის ეს ქვეშევრდომები ქვეშევრდომები, ტიბარანები (გურულები) ჩანან, რომლებიც თვით არქაულ პერიოდში საომარ მწყობრში წყვილდებიან მხოლოდ მესხებთან (აღმოსავლურ ქართულ ტომებთან). სტრაბონის ეპოქიდან საუკუნეზე მეტის გასვლის შემდეგ, ქართველური ტომები, მათ შორის ტიბარანები ტერიტორიულად უფრო უკან ჩანან დახეული. ძიდრიტების ტომის განთავსების ადგილის განზაღვრა ფლავიუს არიანესთან გაძნელებულია, თუმცა ანონიმი ავტორის ნაწარმოების, შეფასებული V საუკუნის ნაშრომად, რომელიც ამავე სიუჟეტს იყენებს ძიდრიტთა სახოვრებელი ადგილი დაზუსტებული აქვს:

,,მდინარე აფსაროსიდან (ჭოროხი)მდინარე არქაბისამდე ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული ბიძერები (ახლა კი ცხოვრობენ ზიდრიტები) “
(იქვე, ანონიმი V ს ახ.წ აღრ. გვ84)

ფარსმანის ქვეშევრდომებს, ზიდრიტებს (ტიბარინებს) მეორე საუკუნის შუა წლებში, მდინარე ჭოროხის აღმოსავლეთით უცხოვრიათ. ვრცლად ეხება ამ ხალხს მე-6-ე საუკუნის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი:

„ რიზეს მოსდევს მიწაწყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს. იქ მდებარეობს ერთი სოფელი, სახელად ათინა... ათინას შემდეგ მდებარეობს არქაბეც და აფსარუც, რომელიც კაი სამი დღის სავალი გზით არის რიზეს მოშორებული. ის ძველად აფსირტად იწოდებოდა. მას კაცის სახელი დაერქვა ერთი შემთხვევის გამო: ამბობენ რომ აფსირტე მოკლულ იქნა მედეას და იასონის ვერაგობის გამო და ამ ადგილმა მიითვისა მისი სახელი...ეს

ქალაქი წინათ მრავალრიცხოვანი ყოფილა... ამჟამად სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა... ამბობენ აგრეთვე, რომ რომაელთა თვითმყრობელ ტრაიანეს დროს იქ ვიდრე ლაზების და საგინების ქვეყნამდე დაფუძნებულ იქნა რომაელი ჯარისკაცთა რაზმები, ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა რომ რადგან ქრისტიანები არიან, ლაზათა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს. ისინი ისწრაფვიან ორივესთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები. ასე იქცევიან ისინი ჩვენ დრომდე: ისინი თავიანთი მსუბუქი ხომალდებით მიაცილებენ ერთი მეფის გზირებს, რომელნიც მეორე მეფესთან მიდიან. დღემდე ისინი არავითარ გადასახადს არ იხდიან." (გეორგიკა ტომი II პროკოპი კესარიელი გვ. 123-125 თბილისი 1965წ)

ცხადია იბერიის ხელისუფლების შესუსტებასთან ერთად, იბერთა მეფეებმა დაკარგეს ხელისუფლება ძიდრიტებზე (ტიბარან-გურულებზე). არ ემორჩილებიან ისინი ამ დროსთვის რომაელებსაც. როგორც ნაწყვეტიდან ცხადი ხდება, ისინი არ ცნობენ ლაზთა ხელისუფლებასაც, თუმცა ცდილობენ ნეიტრალიტეტის და ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას ყველა მხარესთან. ის, რომ აფსაროსი, რომაელთა მიერ აშენებული ციხე სიმაგრე გავერანებულია, ხოლო ამ ტერიტორიას ფლობს რომაელების არამორჩილი ტომი,თვალნათელი მაგალითია ქართველური ტომების ჩრდილო დასავლეთისკენ გადაადგილებისა.

შემდგომი კომპეტენტური ავტორი, ეს კონსტანტინე პორიფიროგენტია, ბიზანტიის იმპერატორი:

,,ჯიქების საზღვრებს შემდეგ, ესეიგი მდინარე ნიკოფსიიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტეროპოლისამდე, 300 მილის მანძილზე, უჭირავს აბაზგიას: (გეორგიკა. ტომი IV წიგნი 2 კონსტანტინე პორფიროგენტი გვ. 233)

კონსტანტინე პორფიროგენტის ნაშრომი ასახავს 959 წლამდე რეალობას. ქართული ისტორიოგრაფიისათვის პრობლემურია თვითონ სოტეროპოლოსის განსაზღვრა. იგივე პავლე ინგოროყვას მტკიცებით, საშუალო საუკუნის ბერძნულ წყაროებში დაცულია ცნობარი რომ: **,,სოტეროპოლისის მეორე სახელწოდება იყო პთია" (G. pazthey, Hieroelis Synccdemys.....1886წ. გვ315).** იგივე კონსტანტინე პორიფიროგენტის ცნობის მიხედვით, აღნიშნული ქალაქი 300 მილის (444კმ) მანძილზეა დაშორებული ნიკოფსიიდან. პავლე ინგოროყვას სიტყვებით ბიზანტია აფხაზეთის სასაზღვრო ზოლი დასახელებულია ყოროლის წყალი, ბათუმთან. აღნიშნულ სექტორთან ახლო ს (დღევანდელ ქობულეთთან) უძველესი დროიდანვე დაფიქსირებულია ანტიკური ქალაქი პთია-პინუსი (ბერძნულ რომაული დასახლებები) პლინიუს უფროსის მიერ რომელიც მისივე აღწე-

რის მანერიდან გამომდინარე, დღევანდლამდე გაუშიფრავია:

„სხვა სანები, მდინარე ხობი, ჩამომდინარე კავკასიიდან სუანებიდან, მერე რო-ანი, ეგრიტიკის ოლქი, მდინარე სიგიმა, ტარსი, ასტელფი, ხრისორი, აბსილთა ტომი, ციხე-სიმაგრე სევასტოპოლ-ფასისიდან 100 მილზე, სანიგთა ტომი ქალა-ქი კიგნი, მდინარე და ქალაქი პენიი, მერე მრავალსახელა ჰენოხები.“ (პლინიუს უფროსი წიგნი VI; IV. 14)

პლინიუსს სხვადასსხვა ავტორისაგან სხვადასხვა დროს დაწერილ ყველა ცნობა, რომელიც აღნიშნული რეგიონის შესახებ აქვს წაკითხულ მოპოვებული, შეტანილი აქვს საკუთარი მანერის მიხედვით, წინა უკმო. ციტატის დასწყისში მდინარე ხობამდე, აღწერის მიმართულება აღმოსავლეთიდან ჩრდილო დასავ-ლეთითაა, შემდეგ უცებ მოდის ცნობა როანი, რაც სხვა არაფერი შეიძლება იყოს ვიდრე მდინარე რიონის პირველი ხსენება. (ამ ტერმინს იცნობს მისი წინამორ-ბედი ნახევარი საუკუნით ადრე, სტრაბონიც) უბრუნდება ძველ მიმართულე-ბას, ქალაქი კიგნი სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი კინდღი ოჩამჩირის რაიონში. შემდეგ უკვე მდინარე და ქალაქი პენიი (პთია-პინუსი ბერძნულ-რო-მაულად ფიჭვს ნიშნავს), არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბიჭვინთა იყოს, რომელიც შემდეგ ეპიზოდში ნახსენები აქვს პიტიუნტის სახით! სავარაუდოა, რომ ეს იმ პერიოდისთვი ს არსებული საკმაოდ დიდი ქალაქი, ქობულეთის ფიჭვნარი იყოს, რომელსაც პთია-პინუსი (ბერძნულ-რომაული) ჰქვია და რომე-ლიც მე-6-ე საუკუნეშიც ცნობილია.

დისლოკაციის ადგილი Ale felix, Theodosiana, pithiae.

(გეორგიკა ტომი IV წიგნი 2 ბასილი სოფენელი გვ 191 თბილისი)

სავარაუდოდ იმავე დასახელებას, როგორც კოლხთა ქალაქს პხვენისს აღნიშ-ნავს სტეფანე ბიზანტიელი (გეორგიკა, ტომი III სტეფანე ბიზანტიელი გვ. 289)

მას შემდეგ, რაც ქობულეთის ფიჭვნარი (პთია) დანგრეულ (სავარაუდოდ ზღვის აბრაზიული პრეცესით) მივიწყებული იქნა, ქალაქის სახელწოდება ცი-ხისძირზე ან ბუკნარზე გადადის. სწორედ აქ ჩანს სოტეროპოლოსის საკათედ-რო ტაძარი განთავსებული, ქართულ საეკლესიო იურისდიქციის მიღმა. სოტე-როპოლოსი, პავლე ინგოროყვას სიტყვებით, ფიქსირდება როგორც საეკლესიო კათედრა და არა ქალაქი (იმავე კონსტანტინე პორფიროგენტთან) რასაკვირვე-ლია სოტოროპოლის კათედრა, რომელიც შეთავსებით ალანიის ეპარქიასაც ემ-სახურება, იმ რეგიონში უნდა იყოს განთავსებული იქ, სადაც ქართულ სასუ-ლიერო იერარქია არ ვრცელდება, ასეთად სოტეროპოლოსი-პთია-პინუსი, თა-ნამედროვე ქობულეთის ფიჭვნარი ჩანს გადაქცეული. საზღვარი, მაშინ მსოფ-ლიოს მიწების გადანაწილების უსრული პროცესი, ცოცხალი ორგანიზმი იყო. უკვე კონსტანტინე პორფოროგენტის დროს. 959 წელს, საზღვარი აღმოსავლე-თით ათეულ კოლომეტრზე გადატანილი ჩანს. ამასთან ის ინარჩუნებს სოტე-

როპოლისის, როგორც კათედრის სახელს და არა პთიას, როგორც ქალაქისა. სავარაუდოა, რომ გურიის მოსახლეობაც ამ ორ სახელმწიფოს და ორ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის არის გაყოფილი.(სავარაუდოდ აქედან უნდა იყოს წინა საუკუნეების გურულთა ბერძნული სტილის სახელებიც)

,,ამოიარა და მოვიდა ქუთაისს და მოაყენა ქუთაისისა სამოქალაქოსა ლაშქარი და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანა ხუფათსა, და დაუდგნეს ფილაკავანნი და ჰბრძოდეს."(მატიანე ქართლის ტომი 1 გვ. 237 სულაკაური ს გამ.)

ნაწყვეტიდან ირკვევა, რომ ახალი საზღვარი საქართველო- ბიზანტიისა ხუფათის (ხოფას) სიახლოვესაა. სამწუხაროდ პოზიციები, რომელსაც ფლობენ გურულები 4 საუკუნის წინათ, ქალაქ რიზესთან, უკვე დათმობილია. ერთადერთი ნუგეში, შეიძლება ითქვას ისაა, რომ გურულები, ქართველები, უკვე მთლიანად გადმოსულნი ჩანან, ქართული სასულიერო თუ სამოქალაქო იურისდიქციის ქვეშ და იარაღით ხელში იბრძვიან დანარჩენ ქართველთა გვერდით საქართველოს მოპირდაპირეთა წინააღმდეგ.

საინტერესოა ის პასაჟიც, თუ რატომ შეერქვა ტიბარანიას სახელად უკვე გურია.... და ვინ არიან სამოქალაქოს (ქუთაისი) და უკვე გურულ აზნაურებთან მოხსენებული ლომსიანნი? ლომისა, წინაქრისტიანული ღვთაება ყოფილა აღმოსავლეთის მთიანეთში, სავარაუდოა, რომ მისი კულტი ამ რეგიონის ავტოხთონი მოსახლეობისაგან ვრცელდება. სანარია-ეს ლომსიანთა ეთნიკური შემადგენლობა უნდა იყოს, რომლებიც ხევსურებთან და იმერლებთან ერთად ლაშქრობენ ტიბარანიის დასაბრუნებლად. ფხოვი - ასეთი იყო წარმართული ფშავ-ხევსურეთის სახელი, თუმცა...ჩვენამდე მოღწეულია არქაული წყაროებით, იმავე ფლავიუს არიანეს აღწერილი აქვს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა, რომლის აღწერისას ის ალექსანდრეს თანამედროვეობის და თანამებრძოლების მემუარებით სარგებლობს. ფლავიუსის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელმა პირადად უსარდლა ჯარის ნაწილს,რომელმაც <u>გურ-ასაკანების</u> წინააღმდეგ გაილაშქრა.ის რომ გურია ეს სწორად ფხოვის არქაული სახელი ყოფილა, მტკიცდება არაბი გეოგრაფის, მას'უდის ჩანაწერებითაც.

,,დავუბრუნდეთ ახლა მთა კაბკის (კაეკასის) აღწერა, ბაბ-ვალ-აბვაბის (დერბენდის) აღწერას, ასევე ამ რეგიონის ხალხებისას, რომელთა დიდი ნაწილი ჩვენ უკვე ავღწერეთ. ალანების გვერდით ცხოვრობენ აფხაზები, ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები და ჩვენს დროში მათ ჰყავთ მეფე. მეფე ალანებისა მათზე ძლიერია და მათი (აფხაზების) ოლქები ვრცელდება კაბკამდე. აბხაზების სამეფოს გვერდით მდებარეობს <u>სამეფო ჯურია,</u> დასახლებული დიდი ქრისტიანული აღმასრულებლობის ტომით: მათ ჰქვიათ ხაზრანები. მათ მმართველს ამ დროისათვის ჰქვია ტაბი და ცხოვრობს ადგილას წოდებულს, <u>ძულ- კარნაინის ტაძრად.</u> აფხაზები და ხაზრანები უხდიან ხარაჯს ტფილისის მოსაზღვრე რაი-

ონის მფლობელს... ხაზრანის სამეფოს გვერდით მდებარეობს სამსახის სახელ-მწიფო რომლის მცხოვრებლები ქრისტიანებია, შერეული კერპთაყვანისმცემ-ლებთან, მათ არა ჰყავთ მეფე. სამსახის მეზობლად, ტიფლისსა და ალანების გამაგრებას შორის, რომელიც ჩვენ უკვე ვახსენეთ (დარი-ალანი) მდებარეობს სა-ეფო სახელწოდებით სანარია, ხოლო მათ მეფეს ეწოდება კურისკუსი. ეს ხა-ლხი ქრისტიანია.“ (მას’ უდი. ოქროს მდელოები და ძვირფასი ქვები წყაროები. თავი ჩვიდმეტი. 164,11)

ქართული ანდაზაა, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო! ცუდია, როცა ისეთ უძველეს ერს, როგორიც საქართველოა, ისტორიას სხვები გიწერენ და თა-ვად ბრმად ეთანხმები. აქ რუსი მთარგმნელის ვინმე კარაულოვის მიერ უამრა-ვი შეცდომაა დაშვებული, ფაქტიურად არაბული ტექსტის რუსული თარგმანი თავიდან ბოლომდე ყალბია...როგორც არა ერთი მისი ანალოგი....

1. ავტორს, მას’უდის ერთმნიშვნელოვნად აქვს მოთხრობილი რომ ალანების ქვეყნის გვერდით ცხოვრობენ აფხაზები, იმ ალანებისა, რომელიც დარი-ალან-თან ცხოვრობენ. ალანებს იქით ზღვამდე (შავ ზღვამდე) კეშის ხალხი ცხოვ-რობს. მაშასადამე, ალანები და აფხაზები ცხოვრობენ კაბკის (კავკასიის) მთებს იქით გვერდიგვერდ! თავად აფხაზების ტერიტორია ვრცელდება კაბკამდე! თუ გავიხსენებთ, რომ მუსლიმანი ავტორები ლაზს აფხაზს ეძახიან, ყველაფერი თავის ადგილას დგება! მას’უდის აფხაზეთი ეს დღევანდელი ხევია, თავისი ლაზური მოსახლეობით, რომელიც მართლა ესაზღვრება ალანებს ქედს იქით და მისი ტერიტორია კავკასიის ქედამდე ვრცელდება!

2. აფხაზეთის სამეფოს გვერდით მდებარე ჯურიის სამეფო, ეს ფხოვია თავისი ხევისბერით, რომელიც სალოცავში ცხოვრობს, ძულ -კარნაინის სასახლეში...

3. ჯურიის სამეფოს გვერდით მდებარე სამსახა, ქრისტიანული კერპთაყვანის-ცემელთა მინარევით და უმეფო-ეს თუშეთია! ის რომ სამსახა მხოლოდ მთათუ-შეთის აღმნიშვნელი ტერმინია, ჩანს არაბ გეოგრაფ ხორდადბესთანაც, რომელ-საც შესაბამის თავში განვიხილავთ. შესაბამისად, ტიბარანიას სახელი გურია შეიძლება დარქმეოდა ხევსურების, გურ-ასაკენების მიერ ამ მხარის საქართვე-ლოსათვის შემოერთებისათვის გაწეული ღვაწლისათვის, თუმცა არ გამოირიც-ხება, რომ ხევსურთა ნაწილი დარჩა კიდეც აქ საცხოვრებლად...

...და არასწორი ჩანს ისტორია ტრაპეზუნტის იმპერიის დაარსებისა:

,,წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწივნეს რაი კონსტანტინოპოლად, ესმა მეფე-სა ბერძენთასა ალექსისა ანგელსა, რომელმან ძმასა თვისსა ისაკს თუალნი დას-წუნა და მეფობა წარუღო. ეს ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო და შეუტყობელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათვის საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიადე მათ ოქროსი, რომელ მიეცა თამარს, და წარუღო მათ მონაზონთა.“

(ქართლის ცხოვრება. ტომი 2. ბასილი ეზოსმოძღვარი. გვ. 130, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ დიდი თამარის გულუხვობაში და მონაზვნების დიდძალი ოქროთი დასაჩუქრებაში. არც მონაზვნების გაძარცვა ჩანს მოულოდნელი იმდროინდელ ბიზანტიის არეულ დედაქალაქში, თუმცა ამის ჩამდენი მემატიანესათვის საძულველი ალექსი ანგელი ვერ იქნებოდა. ჯვაროსნებმა 1204 წელს ბიზანტიის იმპერიის ანექსირება მოახდინეს:

,,რომაელთა სამფლობელოების აღმწერლები დანიშნეს იმ სურვილით, რათა წინასწარ სცოდნოდათ რა ყოველწლიური გადასახადები შემოუვიდოდათ და ამრიგად ისინი გაეყოთ ერთმანეთში წილისყრით, ხოლო სხვა ტომებსა და მეფეებთან არსებული მოხარკე სამფლობელოები და სახლები მაშინვე გაინაწილეს. აღმოსავლელი იბერები და ასირიის ქვეყანაც. (გეორგიკა ტომი VI ნიკიტა ხომიატე გვ.138 თბილისი 1966წ)

ცხადია მონაზვნების მძარცველებიც ჯვაროსნები იქნებოდნენ, რაც შეეხება ხომიატეს მიერ ნახსენებ მოხარკე იბერიას, დიდი პოლიმიკა იყო გაჩაღებული, თუ როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო იბერია მოხარკეთა სიაში. პასუხი საკმაოდ მარტივია:

„სათნო,მუდამ სათნო, ავგუსტოსი, ისავრიელი, კილიკიელი, არმენიელი, დალმატიელი, უნგრელი , ბოსთნიელი, ხორვატელი, <u>ლაზთა</u>, <u>იბერთა</u>, ბულგართა, სერბთა, ჯიქთა, ხაზართა, გუთთა ღვთივ მმართველი, მემკვიდრე დიდი კონსტანტინეს გვირგვინისა, ყველა მის სამართლითა სულით მწყემსავი.“ (ნიკიტა ხომატე იქვე)

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი, ეს ბიზანტიის იმპერატორის ტიტულია, მასში ნახსენები ლაზეთი და იბერია სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს, გარდა ჯერ კიდევ გიორგი I-სა და ბასილ ბულგართმმუსვრელის შორის გამართული დავის საგანი ქართველური მიწებისა რომელიც საბოლოოდ ბასილ ბულგართმმუსვრელს დარჩა და საიდანაც იბერიის საკატებანო დაარსდა. მართალია ტერი-ტორიის ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს გიორგი II-ს ეპოქაში, თუმცა იბერიის საკატებანო მაინც რჩება ბიზანტიის შემადგენლობაში, რომელსაც მემატიანეს სიტყვებით არა ერთი ტერიტორია დაემატა. (არის ახლი გარემოებანიც, თუ რომელი „იბერია“ , ასირიის გვერდით მდებარე მოხვდა ჯვაროსანთა გამგებლობის ქვეშ, თუმცა ამ თემაზე ამჯერად ვერ ვისაუბრებთ)

გავიხსენოთ, რომ თვით ქალაქ ტრაპიზონსაც დიდი ხნის შემდეგაც ლაზთა, ე.ი. ქართველური ქალაქის წოდება აქვს. რასაკვირველია, ჯვაროსანთა მიერ მონაზვნებისთვის წართმეული ოქრო მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი ჩანს და არა ერთადერთი. ჯვაროსანთა მიერ ქართველური მოსახლეობის, როგორც დაპყ-

რობილი ტერიტორიის დახარკვა მიუღებელია ძლევამოსილი საქართველოსათვის.

,,წარიგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითურნი და წარუღეს ლაზია, ტრაპზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფაბლაღონიისა და პონტოსი; და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა , რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარი მეფისა შემოხვეწილი“ (ქართლის ცხოვრება, იქვე. გვ 130-131)

ამრიგად ნათელ ხდება, რომ ტრაპეზონტის სახელმწიფო და შესაბამისად ტერიტორიები დიდმა თამარმა ჯვაროსნებს წაართვა და არა ბიზანტიას, რომელიც ფაქტიურად ამ დროისთვის არც არსებობდა. ნიშანდობლივია, რომ ახალი სახელმწიფოს ტრაპეზუნტის იმპერიის სამხრეთი საზღვრები იმ რაიონში მთავრდება, სადაც მოღწეული ლიტერატურული წყაროებით, დაფიქსირებილი იყო ქართველური ტომების უკიდურესი სამხრეთული ფლანგი. (თუმცა ისინი გაცილებით შორიდან ჩანან გადმოადგილებულები აქ

„ბერძენი მემატიანეს აღწერით: ,,სძლია აგრეთვე მეფე თოდორემ პაფლაგონიის ბრძანებულ დავითს და დაიპყრო ერაკლეა, ამასტრისი და მთელი გარშემო ადგილები და დაბა ქალაქები.“

(გეორგიკა ტომიVII გიორგი აკროპოლიტე გვ 45 თბილისი)

ტერიტორიის ნაწილი ტრაპზუნტის იმპერიისა მალევე დაუკარგავს, რამეთუ პაფლაგონიის მბრძანებელი დავითი ტრაპზუნდის იმპერატორის ძმაა, რომელიც დამარცხდა ბიზანტიის სამეფოს მემკვიდრეებთან ომში. რასაკვირველია მდინარე პარფენიაზე, სინოპსა და ამასტრიაზე ქართველური სული უკვე ვეღარ ტრიალებს, ოლქი მთლიანად ელინიზირებულია, ამიტომაც ვერ ახერხებენ პროქართული ორიენტაციის ტრაპიზუნტელი მეფეები ამ ტერიტორიის შენარჩუნებას.რაც შეეხება საკუთრივ გურიის ისტორიას, ქართული ერთიანი პოლიტიკური სივრცის დარღვევის შემდეგ, იბერია (ქართლი) პოლიტიკურად ვერ აღწევს გურიის ტერიტორიამდე, ხოლო დანარჩენების, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის და სამეგრელოს ვასალობაზე, როგორც ყოველთვის თავს იკავებს.

... და კიდევ, ანტიკური თუ მომდევნო ხანის ბევრი ბერძენი ისტორიკოსი აღნიშნავს ამ ხალხის უცნაურ თვისებას, იცინონ გაუთავებლად და ამაში ნახონ ცხოვრების მთელი სიამოვნება... არ ჰგვავს და არც ყოფილა გურული ხალხი ასეთი ,,ჭკუამხიარული“ არასდროს: ცხადია ენაქილაკა გურული (ახლაც და როგორც ეტყობა მაშინაც!) ამ ამბავის აღმწერ უცხოელს დასცინის, სავარაუდოდ კვიმატური გამონათქვამებით და რასაკვირველია უცხოელისთვის გაუგებარ ენაზე, რაზედაც გურულის თანამემამულეები ხარხარებენ.... უცხოელის ,,გაბეჩებული“ სახის დანახვაზე გურულები უფრო და უფრო ფიჩინდებიან... უცხოელს ეს მათი ყოველწუთიერი ცხოვრება ჰგონია...

რეზიუმე: იბერები და გურულები (მესხ-ტაოხებთან ერთად) ერთი ტომის ქართველები ჩანან. მათი წინარე სამშობლო (არა პირველი სამშობლო) ეს ლიდია-მიდიისა და ბაბილონის სამეფოს შორის ჩანს, ეგრეთ წოდებულ არმენიის ზეგანზე. ბაბილონის მეფე ნაბუქოდნოსორ მე-2-ის მიერ მათ დამარცხების შემდეგ, ქართის ნაწილი ჩრდილოეთისკენ, მესხეთის გავლით დღევანდელი ქართლისაკენ ჩანს მიგრირებული, რასაც უკანასკნელი არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ. ტომის მეორე ნაწილი დასავლეთისაკენ ზღვის სანაპიროსაკენ მიგრირებს,ხალიბთა და მოსინეკთა შორის იკავებს ადგილს, სადაც აღნიშნავს მათ ჰეკატე მილეტელი. ბერძნული ტომის ზეწოლას (დემოგრაფიული თუ ფიზიკური) შემდეგ ის ნაბიჯ ნაბიჯ ინაცვლებს შავ ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, საბოლოოდ მკვიდრდება ადგილას დღეს გურიად წოდებულად.

შენიშნვები

1.„კრეტიდან ლიკურგე აზიაში გაემგზავრა. როგორც ამბობდნენ, მსგავსად ექიმისა, რომელიც ჯანსაღ სხეულს სუსტსა და დაავადებულს უპირისპირებს,

კრეტელთა სადა , მკაცრი ცხოვრების ნირი იონიელთა ფუფუნებასა და განცხრომისათვის შეედარებინა და სახელმწიფოებრივი წყობილების სხვაობას და-
ჰკვირვებოდა...მაგრამ ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ მწერალს, ჰიპარქეს ძის არის-
ტოკრატე სპარტელის გარდა, რომელიც ამბობდეს, თითქოს ლიკურგე ლიბიას (აფრიკას) და <u>იბერიასაც</u> ესტუმდა დაინდოეთსაც ესტუმრაო“ (პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ლიკურგე“
მკითხველს შევახსენებ, რომ სპარტიატი ლიკურგე ჩვ.წ. აღრიცხვამდე VIII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. (არსებობს მეორე ლიკურგეც, მთელი 10 საუკუნთ უფროსი და დიონისეს თანამედროვე-რომელსაც ანტიკური ლიტერატურა არაიშვიათად ურევს ერთმანეთში)... დორიელები სინამდვილეში აზიური ტო-მებია, გარდა ჰერაკლესი, რომლის შვილები მამისეულ მემკვიდრეობას, დორიელთა მეფობას, ძირითადად აზიაშივე ეძიებენ- ერთ, ერთი მეიონებია, ფინიკიელები...არა ვარ დარწმუნებული, რომ ლიკურგეს დროს დორიელი იბერიელები-ესპანელები რაიმე ღირებულს ჰქმნიდნენ, ყოველ შემთხვევაში ანტიკური ლიტერატურა მათ იმ დროისთვის საერთოდ არც იცნობს... რაც შეეხება აზიის იბერიას, კავკასიას-ზუსტად აქედან აწვევს მეომრებს ლაკედემონელთა შორეული წინაპარი მემნონი ტროას ომში...და კიდევ, ამ უკანასკნელებს მთის, თეთრ ინდებს უწოდებდნენ
2. ქსენოფონტის აღწერილი ფასიანები, ეს იგივე ბასიანებია, რომლებიც სხვა ქართველური ტომების, ტაოხების და ხალიბების გვერდით იკავებენ თავდაცვით პოზიციებს მისავე ,,ანაბასისში“
3. თვით ამ ხალიბების აღჭურვილობა ჰეროდოტესთან მოწმობს, რომ ისინი ხალდები არიან, მთის მცხოვრებლები, საერთო ჭანური ოჯახიდან და არა ხალიბები.
4. იბერი, ტაოხი, მოსხი-ეს იბერიელი ტომის ცალკე თემია მხოლოდ, რომელიც საცხოვრებელი ადგილთღაა გამორჩეული ერთმანეთისგან.
5 მეგასთენე, IV-III ს. ჩვ. წ.აღრიცხვამდე, მოგზაური, ისტორიკოსი და დიპლომატი. სელევკის დავალებით იმოგზაურა ინდოეთში. მეგასთენეს ცნობები იბერიაზე მით უფრო მნიშვნელოვანია რომ ის თვითონ არახოსიელი-იბერიელი იყო..
6. შემდგომი საუკუნეებისბერძენი თუ რომაელი ავტორები
ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ იბერების ესპანეთიდან გადმოსახლებას ნაბუქოდონოსორის მიერ, მიზეზიც მარტივი ჩანს და ზედაპირზევე დევს: მესოპოტამიის (ბაბილონთან მდებარე) იბერია დიდი ხანია აღარ არსებობს და მის ყოფილი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციაც საფუძვლიანად დავიწყებლი. თუმცა ინორმაცია, რომ ისინი ნაბუქოდონოსორმა გადმოასახლა (უფრო სწორედ განდევნა) არსებობს. დასკვნა თავისთავად კეთდება, ნაბუოდონოსორმა იბერები გადმოასახლა...იქიდან რომელი იბერიაც იცის ახალი წყაროს ავტ-

ორმა....

7.„ამ ქვეყნის მცხოვრებნი, სინდიკის აზიურ ოლქებთან ერთად, ხარკის სახით მითრიდატეს უხდიდნენ 180000 მედიმნ (ერთეული) ხორბალს და 200 ტალანტ ვერცხლს. ძველ დროში აქედან გაჰქონდათ პური ბერძნებთან, ისე როგორც მიჰქონდათ დამარილებული თევზი სარეწებიდან. როგორც ფიქრობენ, ლევკონმა გაუგზავნა ფეოდოსიიდან ათენელებს 210000 მედიმნი ხორბალი. ხერსონესის (ყირიმის) ხალხებს ეწოდათ „გეორგები“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იმიტომ რომ სკვითთა ტომი, მცხოვრებნი მათ ზემოთ, იყვნენ მომთაბარეები“ (სტრაბონი; წიგნი VII, IV-6)

როგორც ვხედავთ, ტერმინი „გეორგი“ -მიწათმოქმედი, პირველად სტრაბონთან იხსენიება, ყირიმის ნახევარკუნძულის არაბერძენ, არასკვით და არაგოთ მცხოვრებთა აღსანიშნავად. სიტყვა“ჯორჯ“ -„გორგ“ სრულიად სხვა გენეზისი უჩანს , რომელსაც შესაბამის თავში გავახმოვანებ.

8. მართალია რუსი მეცნიერი ხალიბებს აღწერს აფხაზეთში, თუმცა მისი ცნობები მოძველებული ჩანს-ხალიბები აქ უკვე 1704 წლის შემდეგ არა ცხოვრობენ

ალექსანდრე მაკედონელი და საქართველო

მაკედონია როგორც პოლიტიკური ერთეული და მაკედონური ტომის შესახებ პირველი წერილობითი წყაროები ჰეროდოტესთან იპოვება, V ს. ჩვ. წ. აღ-

რიცხვამდე:

,,როდესაც ალექსანდრემ (მაკედონიის მეფის, ამინტესის ვაჟი) მოინდომა მონაწილეობის მიღება ამავე შეჯიბრში, ის ელინები რომლებიც უნდა შეჯიბრებოდნენ სირბილში აძევებდნენ მას, ამბობდნენ რომ ეს შეჯიბრება ბარბაროსთა ასპარეზობა კი არ არის, არამედ ელინთა ასპარეზობაა, ხოლო როდესაც ალექსანდრემ დაუმტკიცა მათ, რომ ის არის არგოსელი, აღიარეს მისი ელინობა"

(ჰეროდოტე , წიგნი V-22)

მართალია ალექსანდრემ, ალექსანდრე მაკედონელის წინაპარმა დაუმტკიცა ელენებს რომ ის არგოსიდანაა და მაშასადამე ელინია (თუმცა არგოსელები დორიულ ტომებად ითვლებიან და არა ელინურად...), თვითონ მაკედონიას ელინები ,,ბარბაროსულ" ქვეყნად თვლიან! (მაკედონიის ეთნიკური მიკუთვნებულობის საკითხი სცილდება წიგნის ფორმატს) თვითონ უფროსი ალექსანდრეს წინაპარი, პერდიკესი შვიდი თაობით უფროსი იყო ალექსანდრეზე (არა მაკედონელზე). არგოსიდან ილირიაში გაქცეული სამი ძმა, მათ შორის პერდიკესი ემსახურებოდა ილირიის მეფეს , მისგან გამოქცეულებმა, გადალახეს მდინარე, რომელზედაც გადასვლა მდევრებმა ვერ შეძლეს. ჰეროდოტეს სიტყვებით, ყმაწვილები მივიდნენ მაკედონიის სხვა მხარეში და იქ დასახლდნენ. ეს ადგილი რომ დაიპყრეს, აქედან დაიპყრეს დანარჩენი მაკედონიაც. ჰეროდოტეს სიტყვებით ტერიტორია ეკუთვნოდა მიდესს, გორდიესის ძეს, ფრიგიის ლეგენდარულ მეფეს: ჰეროდოტედან სულ ერთი თაობის მერე, მაკედონია რომელიც ადრე ბარბაროსულად ითვლებოდა, ელინური სივრცის სრულფასოვანი მონაწილეა. პელოპონესური ომის პერიოდში ათენი მაკედონიის მოკავშირეობას მიესალმება. ელინური ქალაქ პოლისებიდან განსხვავებით, სადაც სახალხო მმართველობაა, მაკედონიას , ისე როგორც თრაკიელი ოდრისებს, მეფეები ჰყავთ. ასეთივე მდგომარეობაში ჩანს ეპირიც. საინტერესოა რომ მაკედონიის დედოფალი, ალექსანდრე მაკედონელის დედა ეპირიდანაა, მაკედონელთათვის უცხო ქვეყნიდან, რომელსაც თავის წარმომავლობა აქილევსიდან მოყავს!

აღსანიშნავია, რომ დაარსებულია ბერძნული ქალაქების საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ახალი ინსტიტუტი, შექმნილია საერთო საბჭო და შემოღებულია ელინთა ჰეგემონის ტიტული, რომელიც სამხედრო მთავარსარდლის ფუნქციითაა აღჭურვილი. მთავარსარდლის მოვალეობას, მამის სიკვდილის შემდეგ, ახალგაზრდა ალექსანდრე ასრულებს. ალექსანდრემ შეძლო დაემშვიდებინა ელადის ქალაქ-სახელმწიფოები, წავიდა თრაკიაში, დაიმორჩილა იქაური განდგომილი ბარბაროსული ტომები. მას შემდეგ, რაც ზურგის უზრუნველყოფა შეძლო, ალექსანდრე მაკედონელმა აზიის დასალაშქრად მზადება დაიწყო. დიოდორე სიცილიელის სიტყვებით, მცირე ხანში ალექსანდრემ შეძლო იმაზე მეტი, ვიდრე ყველა მეფემ მის ეპოქამდე: მან 12 წლის განმავლობაში და-

იმორჩილა დიდი ნაწილი ევროპისა, თითქმის მთელია აზია:

„ალექსანდრე მაკედონელმა პირველ რიგში ჯარების დათვალიერება და აღ-რიცხვა მოაწყო. ,,მაკედონელი ქვეითი აღმოჩნდა 12 ათასი. მოკავშირეები 7000, დაქირავებული 5000-ყველა ისინი პარმენიონის დაქვემდებარების ქვეშ იყვნენ. ოდრისები, ტრიბალები და ილირიელები 5000. ეგრეთ წოდებული ,,მშვილდო-სანი აგრიანები 1000. ასე რომ მთელი ქვეითი ჯარი იყო 30 ათასი. მხედარი მა-კედონელები 1500, ხელმძღვანელობდა ფილოტა, პარმენიონის ძე, თესალიე-ლები 1500 კალტს ხელმძღვანელობით, გარპალის ძისა, დანარჩენი ელინებს სულ 600, ხელმძღვანელობდა ერიგეი. მზვერავი თრაკიელები და პეონები 900 კაცი კასანდრის ხელმძღვანელობით“ (დიოდორე სიცილიელი, წიგნი XVII-XVII) ოდნავ განსხვავებული ციფრი მოყავს ფლავიუს არიანეს:მისი სიტყვებით, მსუ-ბუქად შეიარაღებული და ქვეითები ოდნავ მეტი 30000, ხოლო მხედრები 5000.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა აზიის კონტინენტის სიღრმეში, საკმაოდ კარგად არის ცნობილი. ცნობილია მის მიერ განხორციელებელი რეი-დის მარშრუტიც. კავკასია თითქოსდა ისე შორს მდებარეობს ამ მარშრუტი-დან, რომ მისი დაპყრობა ახალი ლაშქრობის ტოლფასია. ამ თვალსაზრისით სწორი ჩანს ქართველი (და არა მარტო) მეცნიერთა დასკვნები, რომ მაკედონელს კავკასიაში არ ულაშქრია, თუმცა უძველესი ქართული (და არა მარტო) საისტო-რიო წყაროები საწინააღმდეგოს ადასტურებენ. სტრაბონის აზრით, მითი ალექ-სანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობაზე შეთხზეს ბერძნებმა, რათა ალექ-სანდრეს, როგორც ძლევამოსილი სარდლის როლი კიდევ უფრო წარმოეჩინათ. როგორც ისტორიიდან ცნობილია, მცირე აზიის დაპყრობა მაკედონელის ლაშ-ქრმა 334-332 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე დაამთავრა. რამდენიმე ომში დაამარცხა და გაანადგურა სპარსეთის მხედრობა 331-330წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე ფლავიუს არ-რიანე ასე აღწერს დარიოსის ლაშქრს გავგამელთან მაკედონელებთან მეორე და როგორც აღმოჩნდა გადამწყვეტი ბრძოლის წინ:

,,დარიოსის დასახმარებლად მოვიდნენ ინდები, ბაქტრელთა მეზობლები, თვი-თონ ბაქტრები და სოგდები. მათ ყველას მეთაურობდა ბესი, ბაქტრიის მიწების სატრაპი. მათთან ერთად იყვნენ საკები - ეს სკვითური ტომია, იმ ტომებიდან, რომლებიც ცხოვრობენ აზიაში-ისინი არ ემორჩილებოდნენ ბესს, არამედ იყვნენ დარიოსის უშუალო მოკავშირეები. მეთაურობდა მათ მავაკი. ესენი იყვნენ ცხე-ნოსნები, მშვილდისრით შეიარაღებულები. ბარსაენტი - არახოსის სატრაპი და ეგრეთ წოდებული მთის ინდები (1). სატიბარზანმა, არიის სატრაპმა, მოიყვანა არიელები. პართელები, ჰირკანები და ტაპურები-ეს სულ კავალერია - მოიყვანა ფრატაფერნმა. მიდიელებს ხელმძღვანელობდა ატროპატი. მიდიელებთან ერ-თად იყვნენ კადუსიელები, ალბანები და საკასენები. წითელი ზღვიდან ხალ-ხებს მეთაურობდნენ ორონტობატი, არიობარზანი და ორკსინი. სუსიელებს და

უკსიებს მეთაურობდა ოკსაფი, აბულიტის ძე. ბაბილონელები მოყავდა ბუპარს, ბაბილონელებთან ერთად იყვნენ ,,გადასახლებულები", კარიელები და სიტა-კენები. არმენებს ხელმძღვანელობდნენ ორონტიც და მიფრსავტიც. კაბადოკი-ელებს-არიაკი, კელასარიიდან სირიელებს და შუამდინარეელებს მოუძღოდა მაზეი. ამბობენ დარიოსის არმია იყო 40000 ცხენოსანი, 100000 ფეხოსანი, 200 ეტლი ცელებით და 15 სულამდე სპილო, რომელიც მოიყვანეს ინდებმა ამ სანა-პიროდან. (ფლავიუს არინე, ალექსანდრეს ლაშქრობა წიგნი III; 8-3-6)

ფლავიუს არიანეს ტექსტი უთუოდ მაკედონელის თანამებრძოლების, პტოლომაოსის და არისტობულის მემუარების შეჯერებული ვარიანტი, (როგ-ორც თვითონ არიანე აღნიშნავს) გამოწვლილვით განხილვას მოითხოვს:

1. საბრძოლო სპილოთა უჩვეულოდ მცირე რიცხვი, გადამწყვეტი ომის წინ, სპა-რსელთა მიერ მათი საბრძოლო გამოყენების ტრადიციის არქონას მიანიშნებს.

2. ინდები, მოხსენებული არინეს მიერ, ბაქტრიელების მეზობლები არიან, სავა-რაუდოდ მათვე ეკუთვნით სპილოები, ინდები და სოგდები ბაქტრიელთა ქვე-შევრდომები არც ჩანან, ბესი მათ მხოლოდ სარდლობს.

3. ამ ინდებისაგან განსხვავებით, არახოსიის ინდებს ფლავიუს არრიანე მთის ინდებს უწოდებს, ამავე მთის ინდებს სხვა წყაროებით თეთრი ინდები ჰქვია. სავარაუდოა, რომ ინდოელთა კანის ფერის კარგად მცოდნე არრიანე ამ ტერ-მინს ვერ ხმარობს. ამ ფრაგმენტში არრიანე ბარსაენტს არახოსიის სარდლად ასახელებს, თუმცა სხვა სიუჟეტში იგივე ბარსაენტი დრანგების სატრაპად აქვს დასახელებული.

4. ამ ნაწყვეტში ფლავიუს არრიანე ალბანებს ახსენებს, რომლებიც აქ მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მერე ჩანან დამკვიდდრებული. როგ-ორც ჩანს, აქ სხვა ხალხების, კასპების (იგივე კოსეების) სახელი იყო მოხსენიე-ბული. ფლავიუს არრიანეს აზრით, მიდიელთა გვერდით მათი ხსენება შეც-დომა იყო. როგორც სახელმწიფო მოხელემ , გეოგრაფიის იმავე სტრაბონის-ეული ინტერპრეტაციიდან იცის, რომ მიდია , კადუსია, ალბანეთი და საკასენა მოსაზღვრე რეგიონებია! ფლავიუს არიანე აქ თვითონ ,,ასწორებს" მემუარის-ტის შეცდომას და კასპების (უფრო კოსეების) ადგილას ალბანეთს წერს. (ალბა-ნები არც შეიძლება სპარსელთა რიგებში ებრძოლათ, ისინი ალექსანდრე მაკე-დონელის მოლაშქრეებია ამავე დასახელების რეგიონიდან ადრიატიკის ზღვა-ზე)

5. ალბანეთის გვერდით ის საკესინს ახსენებს- აზიელი სკვითებისაგან განსხვა-ვებით, ისტორიკოსებისათვის ისიდორე ხარასკელისა და თვით სტრაბონისათ-ვის ეს არის საკასტანი, არახოტთა გვერდით მდებარე რეგიონია.

დარიოსის გაერთიანებული ლაშქარი გავგამელთან სასტიკად დამარც-ხდა. 329-32 წელი, მაკედონიის ლაშქარმა შუა აზიაში იტრიალა,დაიპყრო შუა

აზიის ქვეყნები, საიდანაც კავკასია შორეული რეგიონი არ არის...

,,ალექსანდრე თავისი ჯარით შეიჭრა ჰირკანიაში და დაეუფლა ამ ქვეყნის ყველა ქალაქს თვით კასპიის ზღვაზე, რომელსაც ზოგჯერ ჰირკანიისას უწოდებენ: (დიოდორე სიცილიელი. წიგნი XVII-LXXV)

შეგახსენებთ დიოდორე სიცილიელი II-I ს. ჩვ.წ. აღრიცხვამდე ისტორიკოსია. უფრო ადრეული პერიოდის ნაშრომი ალექსანდრე მაკედონელზე არ შემონახულა...გავიხსენოთ, რომ ეს ის ჰირკანიაა, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილს აკრავს და რომელსაც:

„კავკასიის ზღვას და შავ ზღვას შორის ცხოვრობს, აღმოსავლელი ხალხი იბერები, რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ პირენეებიდან და სასტიკი ომი აუტეხეს ჰირკანელებს“. (დიონისე პერიგეტი 1-2 საუკუნე)

რასაკვირველია ამ იბერების სამშობლო ესპანეთი არ არის, წინა თავში ჩვენ მივანიშნეთ მისი წინარე საცხოვრისი. ციტატის დედააზრი ისაა, რომ ზოგიერთი ანტიკური ავტორი აღმოსავლეთისა და დასავლეთის იბერებს ერთ ხალხად თვლსი და რომ უშუალო კონტაქტის გარეშე იბერები ჰირკანებს ვერ შეებრძოლებოდნენ… როგორც ირკვევა, აქ საუბარი კავკასიის ჰირკანების, გელების შესახებაა, რომელნიც კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელზე სულ რამდენიმე საუკუნით ადრე მოხვდნენ (ისტორია კავკასიის ჰირკანების, გელების შესახებ წიგნის მეორე ტომში იქნება განხილული) შესაბამისად იბერებისა და ჰირკანების ომს მაკედონელის ეპოქისაგან ორიოდ საუკუნე უნდა აშორებდეს, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარს იბერიისაგან, სრულიად უმნიშვნელო მანძილი, ჰირკანია-ეს სამხრეთ აღმოსავლეთი კასპიაა)...

ალექსანდრე მაკედონელმა, რომელმაც ჰირკანია დაიპყრო, საკმაო ხნით რეზიდენციას ჰირკანიაში იდებს:

,,ალექსანდრემ დაიმორჩილა ჰირკანია და მისი მიმდებარე ტომები... გაიარა რა ჰირკანიის სა ნაპიროზე, ალექსანდრე შეიჭრა ე.წ. მარდების ქვეყანაში... ალექსანდრემ აიყვანა მძევლებად მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანები“. (დიოდორე სიცილიელი წიგნი XVII-LXXV).

მარდები ეს დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიაზე მობინადრე ტომია, ბაქტრებისაგან დასავლეთით, დღევანდელი ქალაქი მარი. ალექსანდრეს ლაშქრობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ხორციელდება.აღსანიშნავია, რომ მისი თანამებრძოლების, არისტობულის და პტოლომეს მემუარებზე დაყრდნობით შეუცდომლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰირკანიის სასახლეში ალქსანდრე აქტიური სამხედრო მოღვაწეობას ეწევა: მაკედონელები იპყრობენ ტერიტორიებს ჰირკანიიდან ყველა მიმართულებით, თითქმის 2000 კილომეტრის მანძიზეც კი, ამასთან:

„ყოველი ლაშქრობის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელი ბრუნდებოდა ჰირკანიაში“ (დიოდორე სიცილიელი წიგნი XVII-LXXV).

ქრონოლოგიურად შემდეგ ღირსშეანიშნავი მოვლენა ალექსანდრეს ცხოვრებაში, შეთქმულების გამომჟღავნება და მათი დასჯა გახდა. დაისაჯა ცხენოსანთა ჯარის უფროსი ფილოტა და მისი მამა პარმენიონი.

,,ამის შემდეგ მოაგვარა რა ყველაფერი დრანგიანაში (სასახლე ჰირკანიასთან) ალექსანდრემ გაილაშქრა ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც ადრე ერქვა არიმასპები, ახლა უწოდებენ კეთილისმყოფელებს....ასევე (მშვიდობიანად) მოექცა მას მეზობელი ხალხები გედროსიისა. დაიმორჩილა ასევე არახოტებიც“ (დიოდორე სიცილიელი წიგნი XVII-LXXV).

დრანგიანას სასახლე- ეს კასპების სატრაპაშია, დღევანდელი ლურისტანის პროვინცია ირანში, გადაჭიმული სპარსეთის ყურიდან თითქმის კასპიამდე. არიმასპები, ეს ის ხალხია რომელიც მოხსენებული აქვს ჰეროდოტეს კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. (თუმცა აქ დიოდორე სიცილიელი უნდა ცდებოდეს, ალექსანდრე მაკედონელმა ილაშქრა ევრგეტეზზე და არა არიმასპებზე- მონღოლებზე) ამასთან (როგორც მტკიცდება) დიოდორესეული გედროსები-ეს არმენიაა, სრულიად მოპირდაპირე მხარეს არიმასპებიდან-მონღოლებიდან. სინამდვილეში ევერგეტები უკსიები უნდა იყვნენ, კახების ნაწილი...არმენია, რომელიც უომრად დანებდა მაკედონელს, საიდანაც საქართველომდე სულ ერთი ხელის გაწვდენაა...მაკედონელი იპყრობს არახოსიასაც, მაგრამ როგორც ჩანს მის მხოლოდ აღმოსავლეთ შემადგენელს-სავარაუდოდ კახეთს, დრანგების ნაწილს...(2)

მაშასადამე ალექსანდრე მაკედონელი ჯართან ერთად იკავებს კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს (ჰირკანია ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში მდებარეობდა გაცილებით ჩრდილოეთით კასპიის ზღვის სანაპიროზე, ვიდრე მოგვიანებით) ლაშქრობს ამავე ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, იმორჩილებს მარდებს (ბეხისტუნის წარწერების მარგუ). რადგანაც ის დრანგიანას სასახლეში ცხოვრობს, მას დაპყრობილი უჩანს ზრანკას (დრანგიანას, კასპების) სატრაპიაც. ომის გარეშე დაიმორჩილა გედროსები-არმენები, ისევე როგორც ევერგეტები. რჩება კასპიის ზღვის ერთადერთი, დასავლეთი სანაპირო (იმ დროისათვის მაკედონელს შუა აზიასა და ბაქტრიაში ერთი პირი ლაშქრობა მოთავებული უჩანს) ხელიმასწვდომი ლაშქრობისათვის ჰირკანიიდან და აი ისიც მორიგი ლაშქრობა და მისი დროც:

,,ამ წლის გასვლის შემდეგ ათენის არქონტი გახდა ევფიქრიტი, ხოლო რომში კონსულის უფლება მიიღო ლუციუს პლავტიიმ და ლუციუს პაპირიიმ. მიდიოდა 113 ოლიმპიადა (328 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე). ამ წელიწადს ალექსანდრე გაემართა პარაპამისელების წინააღმდეგ. მათი ქვეყანა დევს უკიდურეს ჩრდილო-

ეთში, ყველაფერი დაფარულია თოვლით და მიუდგომელია სხვა ხალხებისა-თვის სიცივის გამო. დიდი ნაწილის მისი უტყეო დაბლობია, დაფარული სოფ-ლებით, სახლების სახურავები კრამიტისაა (3)მახვილი კეხით, სახურავის შუ-აში ტოვებენ სიცარიელეს, საიდანაც ბოლი გადის, სახლის ყველა მხრიდან გარ-შემორტყმულია ნაგებობით, მცხოვრებლები კარგად არიან დაცული სიცივისა-გან. მცხოვრებლები, დიდთოვლიანობის გამო წლის დიდ დროს ატარებენ სახ-ლებში, იმზადებენ რა წინასწარ საკვების მარაგს, ვაზის რტოებს და ხეხილის ხეებს ზამთრისთვის ისინი ფარავენ მიწით, რომელსაც მცენარის გაფურჩქვნის პერიოდისთვის აშორებენ. ქვეყანა არც ტოვებს შთაბეჭდილებას დამუშავებუ-ლისა და მოვლილისა. ის დევს თოვლისა და გაქვავებული ყინულის მბრწყინავ სითეთრეში. არ დაფრინდება სადმე ფრინველი და არ გადაირბენს გზას მხეცი; ყველაფერი არამეგობრული და მიუწვდმელია ამ ქვეყანაში და მაინც მეფემ, მი-უხედავად ამ წინაღობისა, გადალახა ყველა სიძნელე მაკედონელების ჩვეულე-ბრივი სიმამაცით და შეუპოვრობით, ბევრი ჯარისკაცი და ხალხი, გამცილებე-ლი ჯარისა, გამოიფიტა ძალებისაგან და ჩამორჩა. ზოგიერთები დაბრმავდენენ თოვლის ბრწყინვალების გამო და სინათლის მკვეთრი არეკვლისაგან. არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა შორი მანძილიდან. მხოლოდ კვამლის მიხედვით მა-კედონიელები საზღვრავდნენ, სად იყო სოფელი. ჯარისკაცები ნახულობდნენ აქ უხვ საკვებს და აღიდგენენ ძალებს. მალე მეფემ დაიმორჩილა ყველა ადგი-ლობრივი მცხოვრები, ამის შემდეგ ის მივიდა კავკასიასთან და განალაგა აქ ბა-ნაკი. ზოგიერთები ამ მთას უწოდებენ პაროპამისს. (დიოდორე სიცილიელი წიგნი **XVII-LXXV).**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაკედონელის მოლაშქრეებს ეს ლაშქრობა კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე უჩანთ ჩატარებული,სამხრეთიდან ჩრდი-ლოეთის მიმართულებით, ა რიმასპებზე (სინამდვილეში ევერგეტების) ლაშქ-რობის კვალდაკვალ. აქ დიოდორე სიცილიელი პარაპამისზე საუბრობს, რომე-ლიც მხოლოდ კავკასიაში (მის იმიერ ნაწილში) შეიძლება მდებარეობდეს (მხო-ლოდ კასპიის ზღვის ეს სანაპირო უჩანს ჯერჯერობით დაულაშქრავი მაკედო-ნელს) ამასთან, აღწერილი პარაპამისი მთისწინეთში მდებარეობს, და არა თა-ვად მთებში და მისი ადგილმდებარეობის განზღვრაც ძნელი არ უნდა უნდა იყოს.(ამაზე ოდნვ მოგვიანებით)...ამასთან, ეს პაროპამისი, მაკედონელების მი-ერ დიდთოვლობისას დალაშქრული, უბრალოდ ტერიტორიადაა ნახსენები და არა ვისიმე სატრაპიად...მკითხველს ვთხოვდი ამ საკითხზე განსაკუთრბით გა-ამახვილოს ყურადღება, რადგან... ამ დასახელების ტერიტორია შუა აზიაშიც ამოყვინთავს, თუმცა ამჯერად როგორც სეულფასოვანი სატრაპია.

უნდა აღინიშნოს რომ ალექსანდრე მაკედონელზე, შექმნილი მთელი რი-გი ავტობიოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ლიტერა-

ტურა სათავეს ორი პიროვნებიდან, ორი მემუარიდან ღებულობს:
1.პტოლემეოს 1-სოტერი, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი და თანამებრძოლი, შემდგომში ეგვიპტის მეფე, მემუარების ავტორი ალექსანდრე მაკედონელზე და მაკედონელის მიერ ჩატარებულ ლაშქრობაზე.
2. არისტობულ კასანდრიელი - ასევე ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლი, თუმცა გაცილებით დაბალ რანგში- ინჟინერ არქიტექტორი მაკედონიის არმიისა და ასევე მემუარების ავტორი მაკედონიური არმიის მიერ ჩატარებული ომებისა.

ყველა დანარჩენი ისტორიულ- ლიტერეტურული ნაშრომი- ეს ამ მემ უარებიდან ამოკრეფილ ცნობებზეა დაყრდნობილი: დიოდორე სიცილიელი ,სტრაბონი, პლუტარიქე, ფლავიუს არიანე და პომპეი ტროგი თუ კურციუს რუფი, ჩვენამდე მთლიანად თუ ფრაგმენტულად მოღწეული. ცხადია, აღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები, შექმნილია მემუარებზე გაცილებით გვიან: ორი, სამი, ოთხი და მეტი საუკუნის შემდეგ. ამასთან არც ერთი ავტორი პრაქტიკულად ამ ტერიტორიებზე ნამყოფი არაა და მთელ იმ დროინდელ გეოგრაფია (მათივე საფუძველზე იმავე პერიოდებში შექმნილი რუქები) ამ მემუარებში აღწერილი გეოგრაფიული პუნქტების მათეული ინტერპრეტაციაა. გათვალისწინებით ამ პოსტულატისა, მემუარის ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიული ნაწილი აშკარა გადახედვას მოითხოვს.

სტრაბონის მრუდე სარკე

ანტიკური ბერძნულ-რომაული ლიტერატურა ორი მიმართულებითაა დაყოფილი იმ თვალსაზრისში, ილაშქრა თუ არა ალექსანდრე მაკედონელმა კავკასიაში. ერთი მიმართულება, რომელიც იმარჯვებს და პირობითად სტრაბონის მიმართულება დავარქვათ (მის აზრს იზიარებს ,,ალექსანდრიადას“ კანონიკური ავტორი ფლავიუს არრიანეც) ამ ლაშქრობას საერთოდ უარყოფს. მეორე მიმართულება, პირობითად პლინიუს უფროსის მიმართულება (ამავე აზრის უამრავი დამცველი ჰყავს, დაწყებული იოანე ზონარათი და ლეონტი მროველით დამთავრებული) ამ ლაშქრობაში ეჭვიც არ ეპარება.

... და რა არგუმენტებით სარგებლობს სტრაბონი, გამარჯვებული ვერსის ავტორი? სტრაბონის სიტყვებით, მდინარე ტანაისი (დონი) ყოფს ევროპასა და აზიას, ხოლო ადგილი კასპიის ზღვასა და ტანაის შორის, აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაუპყრია ალექსანდრე მაკედონელს. რადგანაც მაკედონელი მთელი აზიის დამპყრობლად არის წარმოდგენილი, ალექსანდრეს მადიდებლებმა შეთხზეს მითი, რომ ორივე წყალსაცავი (კასპია და მეოტია) დაკავშირებულია ერთმანეთთან მიწისქვეშა დინებით და ერთი მეორის (ამ შემთხვევაში

მეოტიდაც) კასპიის ნაწილია. ამგვარად ალექსანდრეს მომხრეები აპელირებენ, რომ აზიის მეოტიისა და კასპიის შუა მდებარე ნაწილი შესაბამისად კავკასია მას დაპყრობილი აქვს. მისივე სიტყვებით, კავკასია აღმართული კოლხიდის და ევქსენის პონტის (შავი ზღვა) თავზე, გადაიტანეს ინდოეთის მთებზე და აღმოსავლეთის ზღვაზე (წყნარი ოკეანე) სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სტრაბონის შეცდომის მიზეზი მისი წინამორბედი ისტორიკოსი, დიოდორე სიცილიელი უნდა იყოს, რომლის ჩანაწერების ბუნდოვნებას მოყვა მისი ის შეცდომა, რომელიც 20 საუკუნე კრიტიკას არც დაქვემდებარებია:

„რაც შეეხება აზიის სატრაპიებს, გადაწყვიტეს არაფერი შეეცვალათ და დატოვეს ძველი მმართველები. სახელმწიფოები, ამ სატრაპიების მეზობლები, დარჩა ტაქსილის ხელისუფლების და სხვა მეფეების ხელში ამავე ოლქებისა. ოლქი გან-ლაგებული კავკასიაში და ცნობილი როგორც პარაპამიზიდების ქვეყანა,გადაეცა ბაქტრიის მეფე ოქსიარტს, რომლის ქალიშვილზე, როქსანაზე დაქორწინებული იყო ალექსანდრე...სტეზანორ სოლიელმა მიიღო არია და დრანგიანა; ფილიპმა-ბაქტრიანა და სოგდიანა; ფრატაფერნმა -პართია და ჰიეკანია; ატროპატმა-მიდია; ტაქსილმა და პორმა შეინარჩუნეს თავისი სატრაპიები“ (იქვე, წიგნი XVIII-III)

და კიდევ:

„ანტიპატრმა მოახდინა ახალი გადანაწილება სატრაპიებისა: პიფონმა მიიღო მიდია, ფილიპემ- პართია, სტეზანორ კვიპროსელმა - არია და დრანგიანა, სტეზანორ სოლიელმა-ბაქტრია და სოგდიამა, ოქსიარტს, როქსანას მამას მისცეს პარპამიზიდების ქვეყანა, პიფონს- ინდოეთის ნაწილი პაროპამიზიდების მოსაზღვრედ. სამეფოები ინდის იმ მხარეს გადაეცა პორს, ხოლო ამ მხარეს გიდასპისა-ტაქსილს“ (იქვე, წიგნი XVIII-XXXIX)

უაღრესად საინტერესოა დიოდორე სიცილიელის უშუალოდ ეს ამონარიდი, რომლითაც ნამდვილად სტრაბონიც ისარგებლებდა-დიოდორე სიცილიელი სტრაბონზე მხოლოდ ნახევარი საუკუნით ადრე მოღვაწეობდა... საინტერესო მასალაა განსჯისათვის:

1.როგორც დარიოს I ბრძანებით კლდეზე ამოკვეთილი ძეგლი, დასახელებით „ბეხისტუნის წარწერების“ სკრუპულოზილი შესწავლა ცხადყოფს, სადღაც ავღანეთის მახლობლად (ზოგიერთ ისტორიკოსს ავღანეთად მიაჩნია კიდეც , თვით დარიოსისათვის და მისი სპრსელების ჩათვლით ავღანეთად ცნობილი) თითქმის პარაპამისის ანლოგიური დასახელების (უკვე პოლიტიკური წამონაქმნი) სატრაპია- პარუპარასანა არსებობს, (სპარსულ ენაზე გაიდარა- ავღანეთი, ელამურ ენაზე-პარუპარასანა.

2.ეს ფაქტი თავად დიოდორე სიცილიელისათვისაც უცნობი უნდა იყოს, უბრალოდ არც არავინ თარგმნიდა იმ დროს ელემურ ვარიანტს წარწერისას, ოფიციალური ენა სპარსეთის (უკვე სპარსეთის იმპერიისა)-სპარსული იყო, თუმცა იმ-

პერია ელამელი კაცის-კიროს I შექმნილია...
3.ბაქტრელთა (უზბეკეთის) მეფის და ამავე დროს ალექსანდრეს სიმამრის ოქსიარტისათვის, კავკასიის პარაპამისში გამწესება, თუნდაც პარაპამისელთა სატრაპად, მისი გადასახლების ტოლფასი იქნებოდა და არა დასაჩუქრების... ცხადია ოქსიარტი ავღანეთთან, გაიდარასთან მდებარე პარუპარასანას სატრაპად იქნა დანიშნული...
4.რამდენადაც ცნობილია იმავე მემატიანეებისგან, ბაქტრიის (უზბეკეთის) სატრაპი ბესია, დარიოსის მკვლელი, რომელმაც შესაძლებლობით ისარგებლა, რათა მოეშორებინა დამპყრობელი მეფე დარიოსი და მისი მოშორება არახოსიის სარდალ ბარსაენტთან ერთად განახორციელა... მაგრამ სავარაუდოდ მემუარისტებს ბაქტრიის მეფედ -სატრაპად ოქსიარტი არა აქვთ მოხსენიებული... სინამდვილეში ოქსიარტი ბაქტრიის სატრაპი არა ჩანს, კვინტუს კურციუს რუფის სატყვებით ის სხვა, (მისთვის უცნობი) ოლქის (პარუპარასანას) სატრაპია .
5.დიოდორე სიცილიელის თხრობაში პაროპამისელებზე ლაშქრობას თითქმის უწყვეტად მოსდევს გურ- ასაკენებზე (მთავარ ასაკენებზე?) მაკედონელთა ლაშქრობა, სადაც ეს უკანასკნელები ჯერ ასაკენებს, ხოლო შემდეგ ინდებს (მთის ინდებს-თეთრ ინდებს) შეეჯახა... „ინდებთან“ შეჯახებან სტრაბონს აფიქრებინა რომ პაროპამისელებზე მაკედონელთა ლაშქრობა სადღაც ინდოეთის სიახლოვეს, გაიდარაში- ავღანეთში მოხდა და მაკედონელს კავკასია არ დაულაშქრავს...მისი ვერსიის რევიზია 20 საუკუნის განმავლობაში არ მომხდარა...

... და სტრაბონის ეს მოსაზრება გამარჯვებულია, მიუხედავად ანტიკურ მოწინააღმდეგეთა დიდი რიცხვისა. რაც შეეხება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიას, მისთვის სტრაბონის ეს ვერსია უცილებელი ფაქტია, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ეს ვერსია მთელი 100%-ით გაზიარებულია რუსულ მეცნიერებაში, მიუხედავად ლეონტი მროველის მტკიცებისა, რომლ ისთვისაც მაკედონელის ლაშქრობა საქართველოში ეჭვშეუტანელი ა ქსიომაა! რას ემყარება პარაპამისის და კ ავკასიის ინდოეთთან იდენტიფიცირების თეორია? სავარაუდოდ ეს ზემოთ ნახსენები მემუარებისეულ ინტერპრეტაციის სხვადასხვა ვარიანტებია:
,,მორჩა რა ამას ის გაემართა ბაქტრიისაკენ, ბესის წინააღმდეგ, დაიმორჩილა რა გზა და გზა დრანგები და გადროსები. დაიმორჩილა მან არახოტებიც, სატრაპად მათთან დააყენა მემნონი. ის მივიდა ინდთა მიწებამდე, მაცხოვრებნი არახოტთა მეზობლად. ამ მიწების გავლისას, ჯარი გამოიფიტა იდო დიდი თოვლი და არ კმაროდა საჭმელი.... ალექსანდრე მივიდა კავკასის მთამდე, სადაც დაარსა ქალაქი და დაარქვა მას ალექსანდრია. შესწირა რა მსხვერპლი ღმერთებს, ... მან გადალახა კავკასიის მთები. (ფლავიუს არიანე წიგნი III; 4-5, გვ-28).

ფლავიუს არიანეს ,,ალექსანდრეს ლაშქრობის“ ეს ამონარიდი ემთხვევა დიოდორი სიცილიელის ამონარიდის წინა მდებარე ეპიზოდს, თუმცა რიგი განსხვავებაც სახეზეა, რომელიც სავარაუდოდ ალექსანდრეს ლაშქრობის მემუარების სუბიექტური აღქმის შედეგი ჩანს:

1. დიოდორე სიცილიელი ერთი ლაშქრობის ეპიზოდად აღიქვამს სატრაპია დრანგიანადან წამოსული ალქსანდრეს მიერ არიმასპების (ევერგეტების) და გედროსების (არმენიის) დაპყრობას მშვიდობიანად. ასევე არახოტების დამორჩილებაც (დიოდორესეული „არიმასპები“ რომ სინამდვილეში კისიელები ჩანან, ანაზე ზემოთ ვისაუბრეთ)

2. ფლავიუს არრიანეც ასევე ერთი ლაშქრობის შედეგად თვლის დრანგების, არიმასპების (ევერგეტების) გედროსების (არმენების) დამორჩილებას. როგორც ჩანს , მშვიდობიანად და მოვლენების ასეთი განვითარებაც აბსოლუტურად სწორი ჩანს. მაკედონელმა ასევე დაიმორჩილა არახოტები...

3.დიოდორე სიცილიელის მიხედვით, პაროპამისელებზე ლაშქრობა უსწრებს თეთრი ინდების და მათი უდიდესი ქალაქის, მასაგას დალაშქვას. ამავე აზრისაა ფლავიუს არრიანეც.

4. არრიანეს ზუსტად ზემოთ მოყვანილი ამონარიდი ითვალისწინებს პარაპამისელებზე ლაშქრობას, თუმცა ესუკანასკნელები არახოტების მეზობელი ინდებით უჩანს ჩანაცვლებული. და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ქალაქ ალექსანდრიას აფუძნებს, თუმცა დიოდორე სიცილიელისაგან განსხვავებით მხოლოდ ერთ ქალაქზე საუბრობს.

5.ზუსტად ასეთივე თანამიმდევრობით ყვება ალექსანდრეს ლაშქრობის ამ მონაკვეთზე კვინტუს კურციუს რუფიც .თავდაპირველად ალექსანდრე შეიჭრა დრანგიანაში. დრანგიანას სატრაპად მასთანაც ბარსაენტია მოხსენიებული,რომელიც მდინარის გაღმა, ინდებისაკენ გაიქცა.ინდებმა ბარსაენტი დაიჭირეს და ალექსანდრეს გადასცეს.

6.ალექსანდრემ ასევე დალაშქრა არიმასპები (ევერგეტები) თუმცა გედროსებს არ ახსენებს. რუფის სიტყვებით ალექსნდრემ ასევე დალაშქრა არახოტებიც.

7.ალექსანდრემ რუფის მიხედვითაც ილაშქრა პარაპამისელებზე, თუმცა პაროპამისი სადღაც ბაქტრიის გვერდით ეგულება (აშკარად სტრაბონის გავლენით, რომელზედაც მინიმუმ ერთი თაობით უმცროსი ჩანს.

8....და მაინც კავკასიის მთებთან მიდის-ეჭვის შეტანაც არ შეიძლება, რომ აქ ნამდვილ კავკასიის მთებზეა ლაპარაკი, მას სამხრეთ კავკასიის მთებიც კი აქვს აღწერილი, რომელიც ფაქტიურად ცენტრალურ კავკასიონს უერთდება. ასევე მითითებული აქვს ქალაქის, სახელად ალექსანდრიის დაფუძნება.

9.და სამივე ავტორი ერთხმად ყვება პრომეთეს მიჯაჭვის ადგილის შესახებ, რომელზედაც ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს....

10. გურ ასაკენები მართლაც სადღაც შორს , ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს , მაგრამ მასაგას დალაშქვრის აუცილებლობა გვიჩვენებს, რომ მემატიანების მიხედვით წინა ლაშქრობაში დალაშქრული არახოსიის მხოლოდ ნაწილი, სავარაუდოდ კახები ჩანან დამორჩილებული.

იოანე ზონარას ვერსია (იხ. იბერია-სთან) რომ მაკედონელებმა იბერების დამარცხება მხოლოდ მიპარვით შეძლო, ფაქტიურ გამართლებას პოულობს. პარაპამისელებზე ლაშქრობის შემდეგ ალექსანდრე ისევ ბაქტრიასა და სოგდიაში ჩანს გადასული სხვა... სამი სხვადასხვა ავტორი გვიყვება, თუმცა ლაშქრობის ისტორიის თხრობისას მსგავსებასაც ვერ უვლის გვერდს: სამივე საუბრობს დიდ თოვლსა და გაუსაძლის პირობებზე, სამივე საუბრობს ჩრდილო კავკასიის რომელიღაც ხალხის- პარაპამისელების დალაშქვრაზე, სამივე საუბრობს ალექსანდრეს მიერ დაარსებულ ქალაქ ალექსანდრიაზე, სამივე საუბრობს კავკასიის გადალახვაზე. ცხადია ეს ერთი და იმავ საომარი ეპიზოდის ორი სხვადასხვა ვერსიაა: არისტობულისა და პტოლომეოსის თვალით დანახულ- აღწერილი, დიოდორ სიცილიელის თუ ფლავიუს არიანეს პრიზმაში გატარებული (შეგახსენებთ, რომ გეოგრაფიული ადგილები ორივესთვის სრული აბსტრაქციაა) ეპიზოდები აშკარად იდენტურია და ერთსა და იმავე მოვლენის მიმდინარეობას აღწერს. დიოდორე სიცილიელის LXXXIII და LXXXIV -ს შორის არსებულ ტექსტში წყვეტაა.და როგორც ჩანს ეს წყვეტა მემუარებიდან მომდინარეობს. ტექსტის მიხედვით, მაკედონელები, რომლებიც უეჭველად არახოტებს უტევდნენ, მიაღწევენ შეთანხმებას ალყაშემორტყმულთა დედოფალთან, ,,დაქირავებული“ მეომრები ტოვებენ ციხეს-იმაგრეს უვნებლობის პირობით. ცხადია გამოტოვებულ ტექსტში არახოტების პოლიტიკური გაერთიანებასთან ბრძოლის დასაწყისია ასახული...ამ ბრძოლების გაგრძელება ორივე ავტორთან რელიეფურადაა ასახული (რუფს სრულიად სხვა, მაკედონელების და ლაკედემონელების ბრძოლის ეპიზოდი აქვს ჩასმული) თუმცა მათ ძირითადად ინდების სახელი აქვთ მიკუთვნებული, ... და რატომ ინდები?

ჩვ.წ.ღრიცხვამდე II-**I** საუკუნის ბერძენი მწერალი ისოდორე ხარასკელი (4), რომელიც კარგად ჩანს გაცნობილი მაკედონელის მოლაშქრეყოფილთა მემუარებს, ასევე დიოდოხოსთა ლაშქრობების მატიანებს, თავად ცნობილია ჩვენამდე მოღწეულ ნაშრომით, რასაც ,,პართიული სადგომები“ ჰქვია. პართიაში აქ თითქმის მთელი თანამედროვე სპარსეთია ნაგულისხმევი. მოცემულია სპარსეთის ვრცელ სივრცეებზე განლაგებული სადგომების , სამგზავრო პუნქტების განლაგების გეგმა. ჩვენთვის საინტერესო სულ სამი პუნქტია:

17. აქედან ზრანგიანა, გადაჭიმული ოცდა ერთ სხოინზე, აქაა ქალაქი პარინ და კრორეკი.

18. აქედან საკასტანი, რომელიც ასევე იწოდება პარეტეკანად, მიწები სკვითე-

ბისა და საკებისა, სიგრძით სამოცდასამი სხონი. აქაა ქალაქი ბარდა, მინ, პალა-კენტი და სიგალი. აქაა დედაქალაქი საკებისა და ახლოში განლაგებულია ქ-ალაქი ალექსანდრია. სოფლები ექვსი .

19. აქედან არახოსია გადაჭიმული ოცდა თექვსმეტ სხოინზე, პართელები მას უწოდებენ თეთრ ინდოეთს. აქაა ქალაქი ბიუტი, ფარისანა, კოროხოაბი, დემეტ-რია. მერე ბერძნული ქალაქი ალექსანდრეპოლი, დედაქალაქი არახოსიისა, მას-ზე მოედინება მდინარე არახოტა. ამ ადგილამდეა პართების სამფლობელო.

1-სხოინი=11098 მეტრს. 36 სხოინი=400 კილომტრი.

აქ ისიდორ ხარასკელი არახოსიის დედაქალაქად ალექსანდრეპოლს ასახელ-ებს, ალექანდრეს ქალაქს, რომელსაც წინ მდინარე არახოტა (მტკვარი ?) ჩამო-უდის...არახოსია, რომელსაც პართები (ყველა არახოტს) მთის ინდებს უწოდ-ებს. ჩვენის დიდი პატივისცემის მიხედავად, ავღანელებს თეთრს ვერ და უძა-ხებთ, თუმცა შესაძლოა ისინიც და ინდებიც ადრე უფრო თეთრები იყვნენ?

,,ისინი (ინდები) უფრო შავები არიან, ვიდრე სხვები, გარდა ეთიოპებისა“. (ფლავიუს არინე. წიგნი V; 4-4)

ინდოელი და ავღანი ორი ათასი წლის წინაც შავი ჩანს და არა მერე გაშავე-ბული...და ისიდორე ხარასკელის არახოსიას მეზობელი ქვეყანა საკასტანი სად იყო?

,,იგივეს აქვს ადგილი მატიენთა მხარეში, მიდიაში , საკასენასა და არაქსენაში არმენიაში“. (სტრაბონი წიგნი XI; VII-2) ... მდინარე არაქსი მიედინება ალბანე-თის საზღვრამდე, ვარდება კასპის ზღვაში. ამ ველის შემდეგ მოდის საკასენა, ასევე ალბანეთისა და მტკვარის მოსაზღვრე“. (სტრაბონი წიგნი XI; XIV-4)

საკაშენა კი- ეს ისიდორე ხარასკელის საკასტანი ჩანს, ფლავიუს არრი-ანესელი საკესინი! (საკასტანი და პარეტეკანა შემდგომი კვლევის საკითხია, უკიდურესად საინტერესო და მოულოდნელი შედეგებით) ...თუ საკაშენა ეს არ-მენიაა და გამომდინარე კონტექსტიდან არაქსის მხარეა, საკასენას მეზობელი არახოტა-ეს იბერია და მტკვრის ხეობაა მხოლოდ და მხოლოდ! ავღანეთამდე მას ათასეული კილომეტრი აშორებს! შედარებით მოგვიანებით, საქართველოს ორი სამეფოს სახელი ჩნდება ევროპის ისტორიოგრაფიში, იბერია და ალბანეთი თუმცა ეს მაკედონელის ლაშქრობის შემდგომი სახელებია... .და რა ერქვა სა-ქართველოს დარიოსის სპარსული იმპერიის არსებობისას? ის, რომ თვით კოლ-ხებმაც ნებაყოფლობით იკისრეს საჩუქრები დარიოსის იმპერიისათვის, უცი-ლობელი ნიშანია იმისა, რომ სპარსეთთან გაცილებით ახლოს მყოფი აღმოსავ-ლეთ საქართველო მისი ერთ- ერთი სატრაპია უნდა იყოს! (როგორც ირკვევა, მეტიც!)

...და ბეხისტუნის წარწერები...

მკითხველს შევახსენებთ, რომ ზემოთ მოხსენებული წარწერები შესრულებულია სამ ენაზე, ძველ ირანულზე, ელამურზე და აქადურზე. ელამურ ენაზე წარწერის დუბლირება აშკარად მიანიშნებს ამ სატრაპიის უდიდეს კულტურულ და პოლიტიკურ როლზე სპარსეთის იმპერიაში.

...ელამელთა ენა პროტო ქართული იყო, ელამი-დორიული ტომის სამშობლო, აღმოსავლეთ ქართველებისა, თვინიერ ფინიკიელების,რომელიც ასევე დორიული ტომი ჩანს, თუმცა მისი მიგრაციის ტრასა ოდნავ განსხვავებულია....

მესამე სვეტი 54-64. ამბობს დარიოს - მეფე : ვახიაზდატა , რომელიც ირქმევს ბერდიას, გაგზავნა ჯარი ხარახვატში , ხარახვატის სატრაპის წინააღმდეგ, სპარსელი სახელით ვივანა, ჩემი მონა. ციხე - სიმაგრე კაპიკანიშთან მოხდა შეტაკება...ისევ შეიკრიბნენ აჯანყებულები... მათ გამართეს ომი განდუტავას ოლქში ...ის მივიდა ციხე-სიმაგრე არშადასთან ხარახვატში...აი რა გავაკეთე მე ხარახვატში. თარგმნა მ.ა.დანდამაევისა.

ზუსტი ანალოგია ამ ტექსტების თარგმანისა მოეპოვება ვ.ი. აბევსაც... მხოლოდ ერთი განსხვავებით, მისთვის ხარახვატი-ეს არახოზიაა!

ხარახვატი-არახოზია; აი სატრაპიის ის სპარსული სახელი, რომლის ქვეშ მაშინდელი იბერია უნდა იმალებოდეს!

პირველი სვეტი 12-17 ამბობს მეფე დარიოსი. აი ქვეყნები, რომლებიც მე მხვდა აჰურაზამდას წყალობით, მათზე მე ვარ- მეფე. სპარსეთი, ელამი, ბაბილონია, ასირია, არაბია, ეგვიპტე, (ქვეყნები) ზღვასთან, სპარდა, იაუნა, მიდია, არმენია, კაპპადოკია, პარფია, ზრანკა, ხარაივა, ხორეზმი, ბაქტრია, სოგდიანა, გაიდარა, საკა, საგატუ, ხარახვატი, მაკა-სულ 23 ქვეყანა.

წინამდებარე სახელები სატრაპიებისა ევროპეიზირებული ჩანს, ისე როგორც ანტიკური ბერძნული და რომაეული წყაროებში არის მიღებული. აი მათი სპარსული შესატყვისები, როგორც „ბეხისტუნის წარწერებშია“ მოხსენებული: სპარ-ულად, შესაბამისი თანამიმდევრობით:

პარა, უვაჯა, ბაბირუშ, ათურა, არაბია, მუდრაია, თიაუა დარაიაჰა, სპარდა, იაუნა, მადა, კათპათუკა, პარათეკანა, ზარანკა, ჰარაივა, უვარაზმია, ბაქთრია, სუგუდა, განდარა, საკა, თათაგუშ, ჰარაუმათიშ, მაკა...

...და იგივე ელამურ ენაზე :

პერშინ, აპირთუპ, პაპილიპ, აშშურაპ, არპაიპ, მუზარიაპ, ან-კან იდ-იპ, იშპართა -პე, იაუნაპ, მათა-პე, არმინიაპ, კათპათუკაშ-პე, პარტუმაპ, ზარანკაშ-პე, არ-

იაპ, მარაშმიაპ, პაკშიშ, სუკთაშ-პე, პარუპარასანა, შაკკა-პე, სათთაკუშ, არაუმა-თიშ, მაკა...

ხარახვატი - არახოზია- ჰარაუმათიში- არაუმათიში- ეს მომავალი იბერია ჩანს!

პარუპარასანა-ის სატრაპია, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა ჯერ დიოდორე სიცილიელი, შემდეგ სტრაბონი...მკითხველს შევახსენებ, რომ კავკასიის პაროპამისი სატრაპია არა ჩანს, განსხვავებით შუა აზიური პარუპარასანასი...

საკა-საკაშენა , საკასტანი , თითქმის სახლი კაცები ფხოველი მოსახლეობისა (როგორც ირკვევა ლეგები, ჩვენთვის უკვე ლეკებად ცნობილნი) მდებარე მდინარე მტკვარის (ინდის) კასპიის ზღვასთან შეერთების ადგილიდან ჩრდილოეთისაკენ, იმავე ზღვის სანაპიროს გაყოლებით!

(სპარსეთის სატრაპიების,შესახებ დაწვრილებით შესაბამის თავში ვისაუბრებთ) ბაქტრიად თვლის ფლავიუს არრიანე ჰირკანიას, ბაქტრიაა მისივე სიტყვებით პარეტეკანა, რომელსაც იარაღი ჯერაც არ დაუყრია. პარატეკანას წინააღმდეგ გაგზავნილმა მაკედონელთა ჯარმა დაამარცხა ისინი, მათი ერთი სარდალი კატანა ომში დაიღუპა, სხოლო მეორე, ავსტანა ცოცხლად ჩაიგდეს ხელში. ...თუმცა არრიანესვე ნაშრომში ინდოეთის შესახებ, რომელიც ძირითადად მეგასთენეს წყაროებს ეყრდნობა, პარატეკანა-ეს საკასტანია!

...და აი გაზაფხულის ბოლოს ალექსანდრე მაკედონელი ინდებზე სალაშქროდ გაეშურა. გაემართა რა კავკასიისაკენ, ათ დღეში მივიდა ქალაქ ალექსანდრიაში (5), პაროპამისელების ქალაქში, მისგანვე დაარსებული წინა ლაშქრობის დროს. მან აქ ორად გაყო თავისი არმია. ჰეფესტიონი და პერდიკა გააგზავნა პავლიკიოტების მიწისაკენ და მდინარე ინდისაკენ. მისცა დავალება გზაში შეხვედრილი ხალხები დაემორჩილებინა ნებსით თუ ძალით, ხოლო მისული მდინარე ინდამდე, მოემზადებინა ყველაფერი მოპირდაპირე მხარეზე გადასასვლელად. ჰგავს, რომ ჰეფესტიონი და პერდიკა„ნამდვილი - შავი“ინდოეთისაკენ მიემართებიან. დიდი დრო მოანდომა ალექსანდრე მაკედონელმა „თეთრი“ ინდების დაპყრობას (ლეონტი მროველის სიტყვებით, ექვსი თვე), თუმცა საბოლოოდ შესძლო მათი ნაწილის ამოწყვეტა, ნაწილის განდევნა და ნაწილის დამორჩილება...“თეთრი ინდების შემდეგ შემდეგ ალექსანდრე მაკედონელს საკასტანისკენ-პარეტეკანისკენ მოუწია გალაშქრება-იქაურ სუზერენება, კატანას და ავსტანას აჯანყება დაეწყოთ. მაკედონელებმა კატანა მოკლეს, ავსტანა ტყვედ ჩაიგდეც და აჯანყებაც ჩააქრეს. აქედან ომგადახდილი ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთისაკენ გაეშურა, ჰეფესტიონთან შესახვედრად, რომელსაც ამ დროისათვის ფლავიუს არრიანეს (და შესაბამისად მაკედონელის თანამოლაშქრე მემუარების ავტორების თქმით) უკვე ყველაფერი მოემზადებინა მდინარე ინდის

გადასალახავად. გადაედო მდინარეზე ხიდი, ორი ოცდაათნიჩბიანი ხომალდი და მრავალი უფრო პატარა ნავი დაემზადებინა.

...სიტუაციის საკვანძო საკითხი ისაა, რომ ალექსანდრე მაკედონელი „თეთრი ინდებიდან“-არახოტებიდან ინდოეთის მიმართულებით ლაშქრობისას ქალაქ ნისას გაივლის , მომავალი პართიის სახელმწიფოს დედაქალაქს. ქალაქის მდებარეობა დღეის მდგომარეობითაც კარგად ცნობილი ადგილია, იგი დუშანბედან 18 კმ-ის მანძლით არის დაშორებული. ავღანეთიდან ინდოეთში მიმავალი ლაშქარი, რომლისთვისაც (ინდოეთი) ა ვღანეთიდან სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით იმყოფება, ვერაფრით ვერ მოხდება ქალაქ ნისაში, რომელიც იმავე ავღანეთიდან შორს ჩრდილო-დასავლეთისაკენ იმყოფება! ცხადია პაროპამისი და შესაბმისად მის ახლოს მდებარე არახოსია ეს ავღანეთი არ არის! კავკასიიდან (საკასტანიდან) ინდოეთისკენ მიმავალი ლაშქარი კი თითქმის აუცილებლად ქალაქ ნისას გაივლის, რომელიც შესაბამისი ტრასის ახლოს ჩანს!

...და არქაული დროიდან, ქვეყნიერებაზე პრომეთეს მითის ერთადერთი ვარიანტი არსებობს, პელაზგების გახმოვანებული და ელინ-ქართველთა მიერ შეთვისებული...

და ისევ დიოდორე სიცილიელისეული წინარე გახმოვანებული ნაწყვეტი:

,,ამის შემდეგ ის მივიდა კავკასიასთან და განალაგა იქ ბანაკი, ზოგიერთები ამ მთას უწოდებენ პაროპამისს, გადალახა რა ეს მთები 16 დღეში, მიდიაში მიმავალ გადასასვლელთან დაარსა ქალაქი რომელსაც დაარქვა ალექსანდრია. კავკასიის შუაში არსებობს ფლატე, რომლის გარშემოწირულობა 10 სტადიონია. სიმაღლე ოთხი სტადიონი. ადგილობრივი მცხოვრებლები მიუთითებენ მასში პრომეთეს მღვიმეს, ზღაპრული არწივის ბუდეს და ჯაჭვის კვალს“.

(დიოდორე სიცილიელი წიგნი XVII-LXXV).

დიოდორე სიცილიელი, სარგებლობს რა მაკედონელის თანამებრძოლების მემუარებით, სახელობით მიანიშნებს არა მარტო კავკასის მთაზე (და აქვე მდებარე პაროპამისზე და პაროპამისელებზე) არამედ იმ ტრასაც ასახელებს, რომელიც კასპიის ზღვის გაყოლებით მიდიამდე მიდის... და კიდევ:

,,ის ჰყვებოდა, რომ მაკედონელმა პაროპამისელების ქვეყანაში შენიშნეს გამოქვაბული, რომელზედაც მოისმინეს ადგილობრივი თქმულება, რომ ეს პრომეთეს მღვიმეა, სადაც ის იყო მიჯაჭვული. აქ მუდმივად მოფრინდება არწივი, პრომეთეს შიგნეულების საჭმელად და აქვე მოვიდა ჰერაკლე, რომელმაც მოკლა არწივი და გაანთავისუფლა პრომეთე. მაკედონელებმა თავიანთი ნაამბობით გადაადგილეს კავკასიის მთები პონტოდან აღმოსავლეთის რაიონებისაკენ, პაროპამისების ქვეყანა ინდებისაკენ, პაროპამისის მთას დაარქვეს კავკასია, რომ განედიდებინათ ალექსანდრე, თითქოს ის კავკასიაზე გადავიდა.“

(ფლავიუს არინე, ალექსანდრეს ლაშქრობა წიგნიV ; 3-2-3)

ამავე ლეგენდას ზედმიწევნით იმეორებს კვინტუს კურციუს რუფიც, რაც მათ წყაროებში, არისტობულის თუ პტოლომეს მემუარებში პრომეთეზე ლეგენდის უცილობელ არსებობაზე მიუთითებს:სამი ისტორიკოსი ერთსა და იმავე თემაზე დამოუკიდებლად მომუშავე, ერთმანეთის იდენტურ სიუჟეტს ვერ დაწერდა, თუ ის მათ მიერ ნასარგებლებ საერთო წყაროში არ იქნებოდა მითითებული... სამი ავტორი ერთსა და იმავე ლეგენდას იმეორებს, რომელიც რასაკვირველია პტოლომაიოსისა და არისტობულის მემუარებში მის უეჭველ არსებობას ამტკიცებს. ამასთან, ფლავიუს არრიანე თითქმის სიტყვა- სიტყვით იმეორებს სტრაბონის ვერსიას მაკედონელთა მიერ „შეთხზულ ლეგენდას“ კავკასიის დალაშქრვისა, უფრო სწორედ-არ დალაშქვრისა... მკითხველს შევახსენებ, რომ პრომეთეზე ლეგენდა(რუსულადБИЛИНА-ოდესღაც მომხდარ ამბავს ნიშნავს) პელაზგების საკუთრება ჩანს, მათგან ელინებში-ბერძნებში გადასული...

<u>და როცა ელინთა (ბერძენთა) ქვეყნიდან შეიარაღებული ლაშქარი (თუნდაც ნაწილობრივ ბერძნული) ხვდება სხვა უცხო ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი ხალხი აჩვენებს მათ მთას, რომელზედაც პრომეთეა მიჯაჭვულია , იმ არწივს, რომელიც მოფრინდება პრომეთეს ღვიძლის საკორტნავად, შეუცდომლად შეიძლება ითქვას რომ ეს ქვეყანა იბერიაა, თუნდაც მას არახოსია ერქვას და ეს ხალხი ქართველებია, თუნდაც მათ არახოტები დაუძახონ!</u>

,,არახოსია ასევე ახლო მახლოს მდებარეობს; ის განლაგებულია მთების დასავლეთ კალთებ ქვეშ, გადაჭიმულია მდინარე ინდამდე და წარმოადგენს არიანის ნაწილს“. (სტრაბონი წიგნი XI. X-1)

სტრაბონი რამდენადმე ათასი კილომეტრის სიშორიდან მსჯელობს არახოსიაზე, რომელიც მისთვის აბსტრაქტული მცნება. მთელი მისი ცნობა ეყრდნობა უცილობლად არისტობულის მემუარების ტექსტს. მათავარი გზის ამბნევი მისთვისაც ,,თეთრი ინდი“ მოჩანს, აიგივებს რა მას ჩვეულებრივ ინდებთან, მემუარიდან გამომდინარე ათავსებს მას ინდოეთის სიახლოვეს, უცილობლად მთების სამხრეთ კალთებზე, რამეთუ მისი ვერსიით ნახსენები მთები, ტიანშანი, ყველა შემთხვევაში ინდოეთიდან ჩრდილოეთით მოჩანს გადაჭიმული. მისი ცნობა არახოსიის შესახებ ნაწილობრივ ერატოსთენეზეც ჩანს დამოკიდებული, რომლის სიტყვებით არახოტები ცხოვრობენ ბაქტრიის მეზობლად, მათაგან დასავლეთით, არახოტების მეზობლები სამხრეთიდან გედროსები არიან. რასაკვირველია ერატოსთენე აბსოლუტურად სწორია: <u>არახოტები და კავკასიის საკები ბაქტრებისაგან დასავლეთით</u> ცხოვრობენ, თუმცა მათ კასპიის ზღვა ყოფს და ისინი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ. თვით ერატოსთენეს ცნობები, ალექსანდრე მაკედონელის მემატიანეთა ცნობების მისეული ინტერპრეტაცია ჩანს მხოლოდ. (ვერ ეწერება სტრაბონისეულ პარამეტრებში არახოსია, რომლის ადგილი მისივე მონაცემებით შედგენილ მავან დიაკონოვი-

სეულ რუკაზე მხოლოდ ბაქტრიისაგან (დღევანდელი უზბეკეთი) სამხრეთით მოიძებნა! ვფიქრობთ არახოსის და არახოტების თემა თითქმის ამოწურულია. არახოტები ნამდვილად ქართველები, იბერები არიან, პაროპამისელები-დურ-ძუკ-სვანები... ქართულ კოლექტიური მახსოვრობას შემოუნახავს ეს ერთ-ერთი უძველესი დასახელება ტოპონიმი იბერიისა, მის უძველეს და ხელუხლებელ კუთხეში, ფხოვში:

„გუმან აქვს გადაავლიონ, არხოტის თავი მთიანი.“

ხევსურული ბალადის ეს ავტორი ალბათ ყველა ქართველისათვის ცნობილია, ხოლო არხოტი-ეს ხეობაა ულამაზეს და უარქაულეს ხევსურეთში... ფლავიუს არიანეს მიხედვით , არახოსიის და ზრანკას (დრანგიანას) სატრაპი (მეფისნაცვალი) ბარსენტია ის პიროვნება, ვინც სპარსეთის სუზერენის, დარიოს კოდომანის მოტაცების და შემდგომი მკვლელობის მონაწილეა.

,,მათ აცნობეს მას, რომ ნაბარზანმა, მხედრობის ჰილარხმა, გაქცეულმმა დარიოსთან ერთად , ბესმა, ბაქტრიის სატრაპმა და ბარსაენტმა, არახოტების და დრანგების სატრაპმა, დააპატიმრეს დარიოსი.... ბესმა და მისმა თანამზრახველებმა სცადეს წაეყვანათ ეტლით დარიოსი, მაგრამ როდესაც ალექსანდრე თითქმის ეწეოდა მათ, სატიბარზანმა და ბარსაენტმა მიაყენეს მრავლობითი ჭრილობები დარიოსს, მიატოვეს იგი და თვითონ გაიქცნენ 600 მხედართან ერთად. (ფლავიუს არიანე, ალექსანდრეს ლაშქრობა წიგნი IIIგვ. 21; 1-9)

როგორც ვხედავთ, იბერია და მისი მეფისნაცვალი აქტიურად მონაწილეობს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებში და ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენს. დარიოსის მკვლელობაში მონაწილეობისათვის ალექსანდრემ სიკვდილით დასაჯა კიდეც ბარსაენტი.

და მაინც საბოლოო წერტილს არახოსია-ავღანეთი-იბერიას საკითხის გადაწყვეტაში ისევ ანტიკური მწერალი სვამს, მისი სახელია კვინტუს კურციუს რუფი, პირველი საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვით, თავის ნაწარმოებში, ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა გვიამბობს:

„...რომ არ ვილაპარაკოთ სოგდებზე, არახოსიელებზე და სხვა ტომებზე, მცხოვრებნი კავკასიაში, რომლებიც მეოტიდას აღწევენ'' (კვინტუს კურციუს რუფი; ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, წიგნი 4, თავი 5-1)

მართალია კვინტუს რუფი არახოსიას კავკასიაში ახსენებს დაინტერესებულ მხარეს აქ ტექსტის ორმაგი ტრაქტირების საშუალება აქვს, ვინაიდან სტრაბონის მონაცემებით, მაკედონელის ლაშქრობის მემუარების ავტორები მეოტიდად, არალის ტბას მიიჩნევდნენ:

„დააყენა რა მათ სათავეში ახიმედინი, დარიოსის ყოფილი მდივანი, მან დაიმორჩილა არახოსიები, რომელთა ქვეყანა ვრცელდება პონტოს ზღვამდე ...არა-

ხოსების ნაცვალად დანიშნულ იქნა მემნონი, მცველებად დატოვებულ იქნა 4 ათასი ქვეითი და 600 მხედარი“ (იქვე;წიგნი 7, თავი3-4)

...აქ კი უკვე ყველაფერი ნათელია; არახოსია პონტოს ზღვის მიმდებარე ქვეყანაა, პონტოს ზღვა-ეს შავი ზღვაა და ავღანეთს ამ ზღვისაგან რამდენიმე ათასი კილომეტრი აშორებს...

რეზიუმე: მიუხედავად სტრაბონის აბსურდული მტკიცებისა, ალექსანდრე მაკედონელს ულაშქრნია ამიერკავკასიაში ...უფრო მეტიც, მის პირველი ლაშქრობის ობიექტი, პარაპამისი, ჩრდილო კავკასია ჩანს. მხოლოდ ზურგის უზრუნველყოფის შემდეგ ილაშქრა მან იბერიაზე, სავარაუდოდ კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროს შემოვლით (იბერებზე მაკედონელთა მიპარვაზე ამახვილებს ყურადღებას იოანე ზონარა და ასევე ჩრდილოეთიდან შემოტევაზე აპელირებს ლეონტი მროველი) სადაც სასტიკი შეჯახებები ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, იბერებთან და გურ-ასაკენებთან (ფხოველებთან) მაკედონელის ლაშქრისადმი ლოიალური დამოკიდებულება ჩანს თავად პაროპამისში, თუმცა ბარდავში (საკასტანში) მის არმიას ბრძოლა გაუმართეს. რაც შეეხება იბერიას- არახოსიას და გურია-ფხოვს, აქ მას სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლები გაუმართეს, თავად მაკედონელი რამდენჯერმე დაიჭრა კიდეც.

ისტორიული ექსკურსი

მკითხველო, ეს ის სტრიქონებია, რომლითაც მემუარისტმა 2350 წლის წინათ აღნიშნა იბერთა და ქართების მიერ სამშობლოს გმირული დაცვა და რომელიც დღესღა პოულობს დამსახურებულ ადრესატს. რამდენიმე სხვადასხვა ისტორიკოსის გადმოცემული ზოგირთი სიუჟეტი ანალოგიურია, ერთმანეთისგან 200 -ზე მეტი წლით დაშორებულებისა. პირველი ისტორიკოსი, ეს დიოდორე სიცილიელია რომლის აღწერილ სიტუაციაში წყვეტაა წინა თავებთან, სადაც სავარაუდოდ არახოტის დაუპყრობელ ნაწილთან, იბერ-ქართებთან ომის დასაწყისია ასახული, რამეთუ ეს ეპიზოდი უშუალოდ ალექსანდრეს მიერ ინდოეთში სალაშქროდ გამგზავრებამდე მომხდარია ... (ე ს წყვეტა მხოლოდ ამ ავტორთანა, და არა სხვა ისტორიკოსებთან)

„ამაზე შეთანხმდნენ და დედოფალმა, ალექსანდრეს დიდსულოვნებით გაოგნებული, გამოაგზავნა მდიდრული საჩუქარი და შეჰპირდა შეესრულებინა ყველაფერი რაც ნათქვამი იყო...დაქირავებულებმა მაშინათვე, პირობის თანახმად, გამოვიდნენ ქალაქიდან და გაიარეს რა 80 სტადიონი, განთავსდნენ ბანაკად, მომავლის ყოველგვარი შიშის გარეშე. ალექსანდრე ყოველთვის მტრობდა დაქირავებულებს: დააწყო რა თავისი ჯარისკაცები, ისე გაემართა ბარბაროსების კვალდაკვალ და მოულოდნელად დაესხა თავს, ბევრი დახოცა. მოქირავ-

ნენი თავიდან ყვიროდნენ, რომ მათ თავს დაესხნენ მოლაპარაკების პირობის საწინააღმდეგოდ და უხმობდნენ ღმერთებს, შეურაცხყოფილნი ალექსანდრე-სგან. მან ხმამაღლა დაუძახა მათ პასუხად, რომ ნება დართო წასულიყვნენ ქა-ლაქიდან, მაგრამ ისინი აშკარა მტრები არიან მაკედონელების. მოქირავნენი არ შეუშინდნენ მრისხანე საშიშროებას, დადგნენ მჭიდრო მწყობრში, შეკრეს წრე, სადაც შიგნით მოათავსეს ბავშვები და ქალები, ასე რომ მტერს შემოსეულს ყო-ველი მხრიდან, პირისპირ ხვდებოდნენ. იბრძოდნენ ისინი მამაცურად და შე-უპოვრად: შეტაკება იყო საშინელი, მათი ომებში გამოწრთობილი სიმამაცის გამო და მაკედონელთა მონდომების გამო, რომელთაც არ სურდათ სიმამაცეში დაეთმოთ მათთვის. იბრძოდნენ ხელჩართულად მტრები, შეჯახებულნი მკერ-დით. გმირავდნენ ერთმანეთს სასიკვდილოდ და აყენებენდნენ ერთმანეთს მრავლობით ჭრილობებს. მაკედონელებმა გაარღვიეს რა ბარბაროსთა ფარები შუბით, ჩაარჭვეს რკინის შუბის პირები მათ ფილტვებში; დაქირავებულებნი ისროდნენ რა შუბებს მტრების ერთიან მასაში, ისროდნენ აუცდენელად ახლო მანძილიდან. ბევრი იყო დაჭრილი, არცთუ ცოტა მკვდარი, ქალები იტაცებდ-ნენ დაცემულთა იარაღს და იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით. საშინელმა სა-ფრთხემ დაავიწყა მათ თავიანთი ბუნება და ჩართულიყვნენ ომში. ზოგიერთე-ბი, იარაღშემართული, აწყვილებდნენ ფარებს ქმრის ფართან, სხვები თავს ესხ-მოდნენ მტერს უიარაღოდ, სტაცებდნენ მოწინააღმდეგეს ფარს და ძლიერ უშ-ლიდნენ ხელს. ყველა, მამაკაცები და დედაკაცები იბრძოდნენ რა ერთად. იხო-ცებოდნენ მრავალრიცხოვანი მტრების ხელით, ირჩევდნენ რა მამაცურ სიკვ-დილს, დამცირებასა და ასე ცხოვრებაზე. ალექსანდრემ მოაბრუნა უკან მხედ-რობა, წაიყოლა რა უიარაღო ბრბო და ომში გადარჩენილი ქალები." (დიოდორე სიცილიელი; წიგნი XVII-LXXXIV)

24 საუკუნის შემდეგაც ძნელია გულუძრავად წაიკითხო დიოდორე სიცი-ლიელის ეს მხატვრული აღწერა პროფესიონალ მეომართა უკანასკნელი თავ-განწირულ იბრძოლისა აღმატებულ მოწინააღმდეგესთან,სადაც გამარჯვების ჯილდო მხოლოდ ღირსეული სიკვდილი შეიძლება ყოფილიყო...ბევრმა ქალმა ნებაყოფილებით გაიზიარა ქმრი ვაჟკაცური, მაგრამ მძიმე ხვედრი... კვინტუს კურციუს რუფს, რომაელ მწერალს არახოტთა გმირული ეპოპეის ეს სურათი სრულიად უსამართლოდ ჩანაცვლებული უჩანს მაკედონელთა და ლაკედემო-ნელთა ერთ-ერთ მთავარ შეტაკებით, სადაც ამ უკანასკნელთა მეფ აგისი იღუ-პება კიდეც(6)

...და აორნის მთა აქვე, შეტაკების უშუალო სიახლოვეს და ამ შეტაკების მერე: „მრავალი სხვა ქალაქების ალყაშემორტყმის მერე ანადგურებდა რა მოწინააღ-მდეგეს, ის მივიდა ქარაფთან წოდებლ აორნად (7) აქ თავი მოიყარა გადარჩე-ნილმა მოსახლეობამ, ამ მთების სრული მიუდგომლობის იმედით. ამბობენ,

რომ ჰერაკლემ ალყა შემოარტყა ამ სიმაგრეს და მოხსნა ძლიერი მიწისძვრისა და სხვა ნიშნების გამო. ამ ნაამბობმა გაუმძაფრა სურვილი ალექსანდრეს დაეპყრო სიმაგრე და შეჯიბრებოდა ღვთისშვილს დიდებაში. ქარაფის გარშემოწირულობა იყო **100** სტადიონი **(17,8**კმ**)** ხოლო სიმაღლე **16 (2,85**კმ**)** ის სრულიად მრგვლი და უნაოჭო, მის სამხრეთის ნაწილს რეცხავდა ინდი, ყველაზე დიდი მდინარე ინდოეთისა **(8)**. დაათვალიერა ეს ადგილი და უარი თქვა შეტევით მის აღებაზე. ამ დროს მასთან მივიდა ვიღაც მოხუცი თავისი ორი შვილით. ის სრულიად ღატაკი იყო და ამ ადგილების ძველი მცხოვრებები, დასახლებული მღვიმეში, რომლის კლდიან კედლზე ამოტეხილი იყო სამი საწოლი. მოხუცმა თავისი შვილებით აქ ჰპოვა თავშესაფარი. მან ბრწყინვალედ შეისწავლა მთელი არე-მარე. მივიდა რა მეფესთან , მან მოახსენა საკუთარი თავის შესახებ და უთხრა რომ გაიყვანს ამ უგზოობიდან და ის აღმოჩნდება ბარბაროსებს ზემოთ, მთებზე. ალექსანდრე შეჰპირდა მას მდიდრულ საჩუქარს და აიყვანა ის გზამკვლევად. პირველად მან დაიკავა გასასვლელი, მომავალი კლდისკენ და რამდენადაც ის ერთადერთი იყო, ბარბაროსები აღმოჩდნენ სრულიად ჩაკეტილები. შემდეგ ჰყავდა რა ბლომად ხალხი, მან ბრძანა ამოევსოთ უსკრული და გაეკეთებინათ მიწაყრილი ქარაფის ძირში. მივიდა რა მასთან მჭიდროდ, მან მოაწყო ენერგიული ალყა. **7** დღის და ღამის განმავლობაში გადაჰყავდა ჯარი შტურმზე. თავიდან ბარბაროსები, რომლებიც იკავებდნენ პოზიციებს უფრო მაღლა, იმარჯვებდნენ. ბევრი მეომარი მედგრად მიმავალი შეტევაზე, დაიღუპა. როცა მიწაყრილი დამთავრდა, დააყენეს კატაპულტები, ისრის მტყორცნელები და სხვა მექანიზმები. მიხვდნენ რა, რომ მეფე არ აპირებს ალყის მოხსნას, ინდები შეშინდნენ. ალექსანდრე მიხვდა რა თუ რა მოხდებოდა, უკუ გაიხმო ჯარისკაცები, რომლებიც გასასვლელს კეტავდნენ და გაუხსნა გზა, ვისაც უნდოდა კლდიდან წასულიყო. ბარბაროსებმა, მაკედონელების მამაცობით და მეფის პატივმოყვარეობით გაოცებულებმა, ღამე დატოვეს კლდე“. **(**იქვე**-LXXXV)**

„ ალექსანდრემ ეშმაკობით დაამარცხა ინდები, რომელთათვისაც უცნობი იყო ომის წარმოების ასეთი ხერხი და დაიკავა კლდე, არ ჩაიგდო რა თავი საფრთხეში. გზამკვლევი მან დაასაჩუქრა შეპირებულით, ხოლო თვითონ ჯარით გაემგზავრა. ამ ადგილას აღმოჩნდა ვინმე ინდი, სახელით აფრიკი, **20** ათასიანი არმიით და **15** სპილოთი. ის მოკლეს მისი თავი ალექსანდრეს მიუტანეს და ამ სამსახურით თავიანთი გადარჩენა გაინაღდეს, მეფემ მიიღო ისინი თავისთან და დაისაკუთრა სპილოები, მოხეტიანელნი ქვეყნად” **(**აქვე**-LXXXVI)**

დიოდორე სიცილიელის და ფლავიუს არიანეს ტექსტის შედარება- ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ ადგილამდე სადაც ლაპარაკია აორნის დაპყრობამდე, საქმე ნამდვილად არახოსის ნაწილს, თეთრ (მთის) ინდებს, იბერებს და ქარ-

თებს უნდა ეხებოდეს. სავარაუდოა,რომ მაკედონელისეულიაორნის მთა-ეს ზედაზენია, რომელსაც მართლაც ჩამოუდის წინ არახოსიის (იბერიის) ყველაზე დიდი მდინარე. ეს ჰერაკლეს კავკასიურ ლაშქრობაზეა შემორჩენილი ცნობები ანტიკურ ბერძნულლიტერატურაში, რომელიც აქ მიჯაჭვული პრომეთეს გასათავისუფლებლად ჩანს ჩამოსული...ჰერაკლეს ლაშქრობას შუა აზიისაკენ, ბერძნული ანტიკური ლიტერატურა არ იცნობს...ხოლო შემდეგ, სადაც ვინმე აფრიკზეა საუბარი, ეს უკვე მიმავალ ალექსანდრეს უნდა ეხებოდეს, რომელმაც დატოვა არახოსია და ნამდვილი ინდოეთისკენ მიმავალ გზას ადგას. აფრიკი მაკედონელს ჰირკანიიდან ნისამდე (აშხაბადამდე) მდებარე ტერიტორიაზე გადაეყარა მისდა სავალალოდ.

ფლავიუს არიანე ,,ამ ინდების“ შესახებ თავის „ალექსანდრეს ლაშქრობაში“: პირველსავე სერიოზულ შეტაკებაზე გაქცეული დარიოსის დანახვაზე გაიქცა სპარსელთა ცენტრიც, თუმცა სხვა ნაწილები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგეზე იერიშს:

,,მაკედონელებს მარცხენა ფლანგზე საქმე ცუდად ჰქონდათ, მათი რიგები აქ გარღვეული იქნა; გარღვეულზე ინდთა ნაწილმა და სპარსელმა კავალერიამ შეაღწია მაკედონელების აღალში. აქ გაინასკვა ცხელი საქმე, სპარსელები მამაცურად ესხმოდნენ თავს ხალხს, უმრავლესობა შეუიარაღებელს (და არა მომლოდინეთ, რომ მათამდე შეიძლებოდა შეღწევა, ორმაგი ფრონტის ხაზის გარღვევა)(9) ტყვე ბარბაროსები შეუერთდნენ სპარსელებს და მათთან ერთად დაესხნენ მაკედონელებს.... თავიდან ის (ალექსანდრე) თავს დაესხა მტრის გაქცეულ კავალერიას, პართებს, ინდების ნაწილს და სპარსელთა ყველაზე მრავალრიცხოვან და ძლიერ რაზმებს. დაიწყო მხედართა ომი, ყველაზე ცხელი საქმე ამ მთელ ომში. ბარბაროსები, დაწყობილი სიღრმეში რაზმებად, შემობრუდნენ და დაესხნენ ალექსანდრეს მეომრებს, მათ წინ პირისპირ მდგომთ. ისინი არ უტაცებდნენ ხელს მოწინააღმდეგის შუბებს, წრებს არ ურტყამდნენ, როგორც ეს მიღებულია კავალერიის ომში; ყოველი ჩეხავდა იმას, ვინც მის წინ იყო, ხედავდა რა ამაში თავის ერთადერთ შანსს გადარჩენისას...

... ბაქტრიიდან გაზაფხულის ბოლოს ალექსანდრე გაემართა ინდებისაკენ. გადავიდა კავკასიაზე ათ დღეში. ის მივიდა ალექსანდრიაში, ქალაქში, დაარსებულ ი პაროპამისელების ქვეყანაში მისი პირველი ლაქრობის დროს ბაქტრიაში (10)... გადაასახლა რა კიდევ ახლო-მახლო მცხოვრებლები ალექსანდრიაში. დატოვა იქვე ჯარისკაცები, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისები... პაროპამისელების და მთელი მიმდებარე მხარის სატრაპად თვით მდინარე კოფენამდე, დანიშნა ტირიესპი. მივიდა რა ნიკეაში (11) და შესწირა მსხვერპლი ათინას“. (12)

დიოდორე სიცილიელის სიტყვებით პაროპამისელთა ქვეყანაში მაკედონელმა ორი ალექსანდრია დაარსა (შემდგომ ტარკად და დერბენტად მონათლული). ამ ქვეყნის სატრაპად ტირესპია დანიშნული მდინარე კოფენამდე. ლოგიკურია, რომ ორივე ქალაქი მის სატრაპიაში. პაროპამისში დაარსებული ალექსანდრია, სადაც მაკედონელმა ახლო-მახლო მცხოვრებლები გადაასახლა, ასევე დატოვა(ფლავიუს არრიანეს სიტყვებით) სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი (თრაკიელი ოდრისები)- ქალაქი და დასახლება თრაკია, დღეს მახაჩ-ყალად ცნობილი. სავარაუდოდ მდინარე კოფენი-ეს მდინარე ვოლგაა (პლინიუს უფროსთან მითითებული მანძილების მიხედვით) დერბენტიდან სამხრეთით საკასტანია.საკასტანი იმავე ფლავიუს არრიანეს მიხედვით -პარატეკანაა. პარატეკანას ნაწილი ხორიენის მეთაურობითა ნებაყოფლობით დანებდა მაკედონელს. დაუმორჩილებელი ნაწილი კატანას და ავსტანას წინამძღოლებით, მაკედონელებმა კრატერის წინამძღოლობით დაამარცხეს ალექსანდრეს პ ირადი მონაწილეობის გარეშე. უცნობია ის ბერძნული ქალაქი ნიკეა, სადაც მაკედონელმა შესწირა მსხვერპლი ათენას, თუმცა ის მდინარე კოფენიდან (ვოლგა) გაცილებით სამხრეთით მოჩანს, სადაც მაკედონელი მოლოცვის შემდეგ ისევ ბრუნდება.

,,აქ მან გაყო თავისი არმია; ჰეფესტონი და ჰერიდიკა მან გაგზავნა პავკელაოტეზის მიწებისაკენ, მდინარე ინდისაკენ, მისცა რა მათ პოლკი გორგისა, კლიტისა და მელეაგრისა, ნახევარი კავალერია ,,მეგობრებისა" და მთელი დაქირავებულები კავალერია. მან დააბარა რომ ყველა მიწები, მათ ტრასაზე მდებარე, ან დაემორჩილებინათ, ან შემოიერთებინათ ხელშეკრულების საფუძველზე და ინდთან მისულებს მოემზადებინათ ყველაფერი გადასასვლელად. მასთან გაემართნენ ტაქსილი და სხვა კნიაზები. მივიდნენ რა ინდთან, მათ ისე გააკეთეს, როგორც ალექსანდრემ უბრძანა. ასტისმა, პავკელაოტიდთა კნიაზმა გადაწყვიტა აჯანყება, დაიღუპა თვითონ და დაღუპა ქალაქი, სადაც გაიქცა. ჰეფესტიონის მეომრებმა აიღეს იგი ოცდაათდღიანი ალყის შემდეგ. თვითონ ასტისი დაიღუპა, ქალაქის მმართველობა დაავალეს სანგეის, რომელიც კ იდევ ადრე გამოიქცა ასტისისაგან ტაქსილთან; მან ალექსანდრე მისადმი ნდობით განაწყო. ალექსანდრემ წაიყვანა რა ფაროსნები, მხედარი ,,მეგობრები" რომლებიც არ წავიდნენ ჰეფესტიონთან ერთად, ქვეითი ,,მეგობრების" რაზმები, მშვილდოსნები, აგრიანები და მხედარი მეშურდულები. გაემართა ასპასიების მიწებისაკენ,გურასაკენებისაკენ. გაიარა რა რთული გზა, მთის მდინარის ხოის ნაპირებით, გაჭირვებით გადავიდა რა მასზე, მან უბრძანა მთელ ფეხოსნებს, ეარათ მის კვალდაკვალ ჩვეულებრივი მარშით. თვითონ კავალერიით, შეაჯინა რა ცხენებზე რვა ასეული მაკედონელი (ქვეითთა ფარები მათ დაიტოვეს თან) აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა წინ, რამდენადაც გაიგო, რომ ადგილობრივი ბარბაროსები გაიქცნენ ირგვლივ მდებარე მთებისკენ და თავიანთი ქალაქებისაკენ, საიდანაც

შეიძლებოდა მტრის წარმატებით მოგერიება. მივიდა რა პირველ ქალაქამდე, მან მაშინათვე შერეკა ისინი ქალაქში და გამოკეტა ბარბაროსები, არმია განალა-გა ქალაქის წინ, მაგრამ თვითონ დაიჭრა მხარში ისრით, ჯავშანში შეღწეულით. ჭრილობა მსუბუქი გამოდგა, ჯავშანმა არ მისცა საშუალება ისარს მხარი გამჭო-ლად გაეხვრიტა.. .დაიჭრა აგრეთვე პტოლმეოსი, ლაგის შვილი და ლეონნატი“

ფლავიუს არრიანე ჩვენდა საბედნიეროდ ენაწყლიანობი გამოირჩევა, მათ შო-რის მაკედონელთა ლაშქრობის იმ პასაჟებში, რომელიც საქართველოს ანტიკუ-რი ისტორიისათვის უკდურესად მნიშვნელოვანი ჩანს. ალექსანდრე პაროპამი-სელებთან მდებარე მისივე დაარსებულ ქალაქ ალექსანდრიიდან (ტარკიდან) სალაშქროდ გაემართა ასპასიების, გურ-ასაკენების მიწებისაკენ (როგორც ტიბა-რანებზე თხრობაში მოცემულია: ჯურია-გურია, ეს ფხოველების, ფშავ-ხევსურ-თა სახელია XIII საუკუნისათვისაც კი, არაბი მოგზაური მ’ასუდისათვის). შესაბამისად,მდინარე ხოი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომავა-ლმა მაკედონელთა ლაშქარმა გაჭირვებით გადალახა- დღევანდელი მდინარე თერგი ჩანს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მოლაშქრეების ძირითადი ნაწი-ლი ალქსანდრეს „მეგობარი“მხედრები არიან...პირველი ქალაქი, ციხე-სიმაგრე, სადაც ახლო მახლო მცხოვრებლებმა თავი შეაფარეს წინააღმდეგობის გასაწე-ვად, ისტორიისთვის ჯერ კიდევ უცნობი ციხე-სიმაგრე,დასახლება უნდა იყოს, რომელიც დღევანდელ ქალაქ სტეფანწმინდაზე გაცილებით ჩრდილოეთის უნ-და ყოფილიყო. როგორც ფლავიუს არრიანე აღნიშნავს, ამ ციხისათვის ბრძო-ლაში თავად ალექსანდრე მხარში დაიჭრა ისრით, თუმცა მსუბუქად. (ხევსურე-ბის ტომი გამორჩეული მოისრები იყვნენ კაცობრიობის ისტორიაში-ამაზე სხვა დროს ვისაუბრებთ) რომ ეს ასაკენების, არახოტიის სატრაპის მიწაა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ამაზე ოდნავ ქვემო ვილაპარაკებთ) ...ცხადია ისიც რომ ჰეფეს-ტიონის და ალექსანდრეს მარშრუტები განსხვავებულია, ჰეფესტონი ნამდვილ ინდისაკენ მიდის, ალექსანდრე არა... მიწები ასპასიების ტომისაა იგივე გურია-ასაკენებისაა.....

,,მან ისინი გაუვალ ადგილებშიგანალაგა ქალაქიდან იმ მხარეს, სადაც კედელი შედარებით სუსტი მოეჩვენა, თუმცა ძალიან მონდომებულად აშანებული კედ-ელი (ქალაქი ორმაგი კედლით იყო გარშემორტყმული) მეორე კედელს ბარბა-როსები ერთი ხანი ინარჩუნებდნენ, მაგრამ როცა კიბეები მომზადებული იყო და მეომრებს კედელზე ყველა მხრიდან ისრები დაუშინეს, ისინი ვერ დაუდგ-ნენ და ქალაქის კარიდან მთებისაკენ გაიქცნენ,მათი ნაწილი დაიღუპა გაქცევის დროს. ტყვედ აყვანილნი ალექსანდრეს დაჭრის გამო გაბრაზებულებმა გაჟლი-ტეს. ბევრმა შეძლო მთებს შეფარებოდა: მთები ახლოს იყო ქალაქიდან. ალექსა-ნდრემ ბრძანა ქალაქი ბოლომდე მოეთხარათ და თვითონ გაემართა ანდაკისკ-ენ, სხვა ქალაქისაკენ, ანდაკა დანებდა; ალექსანდრემ დატოვა აქ კრატერი, ფე-

ხოსნებთან ერთად, უბრძანა გაენადგურებინა ქალაქები, რომლებიც ნებით არ დანებდებიან, და მოაწყოს ქვეყანაში ყველაფერი საუკეთესოდ იმ დროის შესაფერისად. თვითონ იგი ფაროსნებით, მშვილდოსნებით, კენის და ატალის რაზმებით, ოთხი ჰიპარხიით დანარჩენი ,,მეგობრებისა" და ცხენოსანი მშვილდოსნების თანხლებით გაემართა მდინარისაკენ, სადაც ასპასიების კნიაზი იყო. გაიარა რა დიდი მანძილი, ის მეორე დღეს მივიდა ქალაქთან. ბარბაროსებმა, რომ გაიგეს ალექსანდრეს მოახლოება, ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს და მთებში გაიქცნენ. ალექსანდრეს მეომრები მისდევდნენ მთებამდე და ამოწყვიტეს ბევრი ბარბაროსი, სანამ დაიმალებოდნენ. პტოლომეოსმა ლაგის შვილმა, დაინახა იქაური ინდების მეთაური, გორაკზე მდგომი. მის ირგვლივ იდგნენ მეომრები ფარებით. პტოლომეოსს გაცილებით ნაკლები ხალხი ჰყავდა, მაგრამ ის მაინც გაეკიდა ინდებს, თავიდან ცხენით. ცხენებს გაუჭირდათ გორაკზე არბენა, პტოლომეოსი ჩამოხტა ცხენიდან, აღვირი გადასცა რომელიღაც ფაროსანს, თვითონ ინდს გაეკიდა. როცა მან დაინახა რომ პტოლომეოსი ახლოს იყო, ის და მისი მეომრები მობრუნდნენ მისკენ სახით. ინდმა გაუქანა გრძელი შუბი პტოლმეოსს მკერდში; ჯავშანმა შეაჩერა დარტყმა. პტოლომეოსმა გაუხვრიტა ბარძაყი ინდს გამჭოლად, დაანარცხა იგი მიწაზე და გახადა მას ჯავშანი. მეომრები დაცემული კნიაზის ნახვაზე შედრკნენ და გაიქცნენ; ისინი რომლებიც უკვე კლდეებში ისხდნენ, ხედავდნენ რა რომ მათ მეთაურის სხეულს მტრები ეუფლებოდნენ, დამწუხრებულებმა ჩამოირბინეს ძირს და გორაკზე გაჩაღდა სასტიკი შეტაკება. გორაკზე თვითონ ალექსანდრე აღმოჩნდა, მოსული აქ თავისი ქვეითებით, რომლებიც მან ისევ დააქვეითა. მიუხედავად ამ დახმარებისა, ინდები გაჭირვებით განდევნეს გორაკიდან და დაეუფლნენ ბელადის სხეულს. გადაიარა რა მთაზე, ალექსანდრე შევიდა ქალაქში, რომელსაც არიგეი ეწოდებოდა, მან მხოლოდ კოცონს მიუსწრო. მცხოვრებლებმა მოუკიდეს ქალაქს და გაიქცნენ მთაში. აქ მოვიდა კრატერი თავის არმიით, რომელსაც უკვე შეესრულებინა მეფის ყველა დავალება. ეს ქალაქი განლაგებული იყო ძალიან ხელსაყრელ ადგილას, მან უბრძანა კრატერს შემოერტყა მისთვის კედელი და დაესახლებინა მახლობლად მცხოვრებნი, ვინც მოისურვებს, ასევე ჯარისკაცები, სამხედრო საქმისათვის უკვე უვარგისები. თვითონ წავიდა იქით, საითაც მისი ცნობით, შეგროვდა აქაური ბარბაროსების დიდი რაოდენობა.მივიდა რა მთასთან, ისინი განლაგდნენ მის მახლობლად"

აი ეს ქალაქი არიგეი, რომელიც ჯერ კიდევ იმავე მდინარის, ხოის (თერგის) ხეობაში მდებარეობს, და სადაც მაკედონელის ბრძანებით ჯარისკაცები დაასახლეს (მიუხედავად ფლავიუს არრიანს მტკიცებისა,აქ დასახლებული ჯარისკაცები სამხედრო საქმისათვის უვარგისნი არა ჩანან, მათ ალექსანდრეს ახალი იმპერიის ზურგი უნდა დაეცვათ სავარაუდო მომხდურისაგან და თვით

ციხის ადრინდელი პატრონის, ასაკენების-მთის ინდებისაგან) ალექსანდრეს ილირიელი, ლაზი მოლაშქრეები უჩანს დასახლებული.

„პტოლომეოსი ლაგის ძე, გაგზავნილი ალექსანდრეს მიერ ფურაჟზე, გავიდა რა მოშორებით რამდენიმე მეომართან ერთად, მოახსენა ალექსანდრეს, რომ ბარ-ბაროსებს უფრო მეტი კოცონი ენთოთ, ვიდრე ალექსანდრეს ბანაკს. კოცონების სიმრავლის შესახებ ცნობას ალექსანდრე გულგრილად შეხვდა. გაიგო რა, რომ ადგილობრივი ბარბაროსები აქ თავს უყრიან თავის ძალებს, არმიის ნაწილი დატოვა მთის ძირში, სადაც ისინი ბანაკად იდგნენ. თვითონ მან აიყვანა რაო-დენობა, შესაბამისი დაზვერვის მონაცემისა, და როდესაც კოცონები უკვე ახლ-ოს გამოჩნდა , გაყო თავისი არმია სამ ნაწილად. ერთს უსარდლა ლეონატი, მცველი, მიანდო მას ატალისა და ბალაკრის რაზმების მეთაურობა, მეორეს წი-ნამძღოლობა დაავალა პტლომეოსს, ლაგის შვილს-აქ იყო მესამედი მეფის ფა-როსნებისა, ფილიპისა და ფილოტის რაზმები, მშვილდოსნების ორი ჰილარხი, აგრიანები და ნახევარი მხედრობისა-მესამეს თვითონ გაუძღვა იქითკენ, სადაც თავი მოეყარა ყველაზე მეტ ბარბაროსს. ბარბაროსებმა, მაღლა მყოფებმა დაი-ნახეს მაკედონელთა მოახლოება თავიანთი რიცხოვნებით დაიმედებულებმა არაფრად ჩააგდეს მათი აზრით მცირე რიცხოვანი მაკედონელები და დაეშვნენ დაბლობში. გაჩაღდა მძაფრი შეჯახება, მაგრამ ამ მოწინააღმდეგეებზეც ალექ-სანდრემ ადვილად გაიმარჯვა. პტოლომეოსის რაზმი იდგა უსწორმასწორო ად-გილას; ბარბაროსები, რომლებიც ბორცვს იკავებდნენ, გადარიგდნენ მწკრივე-ბად სიღრმეში პტოლომაიოსმა წაიყვანა თავისიანები შეტევაზე, იქიდან საიდა-ნაც ჯერ ყველაზე მეტად ადვილი დასაძლევი იყო, მაგრამ ალყა არ შემოარტყა მას ყველა მხრიდან, არამედ დატოვა თავისუფალი არე იმისთვის, თუკი ბარბ-აროსები მოინდომებდნენ გაქცევას,აქაც ცხარე ბრძოლა გაჩაღდა: ადგილი მოუ-ხერხებელი იყო, გარდა ამისა ინდების შედარება არ შეიძლება სხვა ადგილობ - რივ ბარბაროსებთან: ისინი თავიანთ მეზობლებზე გაცილებით გულადები არ-იან. მაკედონელებმა შეძლეს მათი მთებისკენ შევიწროვება. იმ მესამედი არმი-ისამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლეონატი გააკეთა იგივე; მათაც გაიმარ-ჯვეს თავიანთ მტრებზე. პტოლომეოსი ამბობდა, რომ ტყვედ ჩაიგდეს **40000** კა-ცი, ხოლო რქოსანი პირუტყვი **230000** ზე მეტი. ამ პირუტყვებიდან ალექსანდ-რემ ამოარჩია ყველაზე ლამაზები-ისინი გამოირჩეოდნენ სილამაზით და სიდი-დით-რათა გაეგზავნათ მაკედონიაში მინდვრის სამუშაოებისთვის.

აქედან მან წაიყვანა ხალხი ასაკენების მიწებისაკენ. მას მოახსენეს რომ ის-ინი ემზადებიან იმისთვის, რომ მათ ყავთ **2000** მხედარი, **30000** ზე მეტი ფეხო-სანი და **30** სპილო. კრატერმა ამ დროისათვის კეთილმოაწყო ქალაქი, რომლის დასასახლებლადაც იყო დატოვებული და წავიდა ალექსანდრესაკენ, მძიმედ შეიარაღებული ჯარით და საალყო მანქანებით. თვითონ ალექსანდრე ცხენოსა-

ნი „მეგობრებით“, ცხენოსანი მეშურდულეებით, კენისა და პოლიპერხონტის პოლკებით და **1000** აგრიანელი მემშვილდოსნით გაემართა ასაკენებისაკენ გურების გზის გავლით გაჭირვებით გადავიდა ის მდინარე გურეიზე, რის მიხედვითაც ქვია ქვეყანას სახელი. ის ღრმაა, დინება ჩქარი, ფსკერზე მიმოფანტულია მრგვალი ქვები, რომელზედაც მდინარის გადალახვისას ბარბაცდებოდნენ.ბარბაროსებმა რომ გაიგეს ალექსანდრეს მოახლოება ვერ გადაწყვიტეს საერთო შეტაკება, გაიფანტნენ თავიანთ ქალაქებში და გადაწყვიტეს მათი დაცვა მოგერიებით“

აქ უკვე მაკედონელები სხვა მდინარის-გურეის ხეობაში ლაშქრობენ. მდინარე, რომელსაც სახელი გურეი, გურ ასაკენების სახელის მიხედვით ჰქვია. რასაკვირველია ეს უკვე არაგვის ხეობაა, იქ მცხოვრები გურ-ასაკენებით.

„ალექსანდრე წავიდა თავიდან მასაგაში, ყველაზე დიდ ქალაქზე აქაურობიდან, როდესაც ის მივიდა მათ კედელთან, ბარბაროსებმა შორეული ადგილებიდან დაქირავებული ინდების იმედით, სირბილით მიმართეს მაკედონელებს, როდესაც ისინი ბანაკის გასაშლელად ემზადებოდნენ. ალექსანდრემ შეამჩნია რა, რომ შეტაკება მოხდებოდა ქალაქის კედლებთან, მოინდომა გაეტყუებინა ბარბაროსები შორს კედლისაგან, რომ გაქცეულებს (ის ხვდებოდა რომ ბარბაროსები გაიქცევიან) არ შეძლებოდათ უცებ თავი შეეფარებინათ ქალაქისათვის. მან დაინახა, რომ ისინი გამორბიან ქალაქიდან, მან უბრძანა მაკედონელებს მობრუნებულიყვნენ და დაეხიათ უკან ბორცვისაკენ. დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც მათ გადაწვიტეს დაბანაკება **7** სტადიონით. მტრება, რომლებიც ფიქრობდნენ რომ მაკედონელები უკვე იხევდნენ , გათამამდნენ და სრულიად უწესრიგოდ დაედევნენ მათ, მათი ისრები უკვე მიფრინავდა მაკედონელებამდე: მაშინ ნიშანზე მოცემულს ალექსანდრესგან ფალანგა შემობრუნდა და სირბილით გაემართა მტრებისაკენ, პირველად შეეჯახნენ ბარბაროსებს ცხენოსანი მეშურდულენნი, აგრიანები და მშვილდოსნები. ფალანგას საბრძოლო წყობით მიყავდა მას თვითონ.

ომის მოულოდნელი შემობრუნებით შემკრთალი ინდები შეკრთნენ როცა საქმე მივიდა ხელჩართულ ომამდე და გაიქცნენ ქ ალაქისაკენ. დაიღუპა **200** ადამიანი; დანარჩენები ქალაქის გალავანში ჩაიკეტნენ. ალექსანდრემ მიიყვანა თავისი ფალანგა კედელს. ის აქ მსუბუქად დაიჭრა ბარძაყში ისრით გალავნიდან. მოიყვანა რა მეორე დღეს საალყო მანქანები კედელთან, მან გაუჭირვებლად გაანგრია ისინი, მაგრამ ინდები მამაცურად თავს იცავდნენ, უკუაგდებდნენ მაკედონელებს, განგრეულ გალავანში შეჭრის მსურველებს. ამ დღეს ალექსანდრემ უკუიხმო ჯარისკაცები. მეორე დღეს მაკედონელებმა მტერს უფრო ენერგიულად შეუტიეს, კედელთან მოყენებული იქნა ხის კოშკი, აქედან ინდებს დაუშინეს ისრები მშვილდებიდან და მანქანებიდან. ბევრი ჩამოყარეს კედ-

ლიდან, მაგრამ ქალაქში შეჭრა ვერ შეძლეს. მესამე დღეს ალექსანდრე ისევ გაუ-ძღვა ფალანგას, ბრძანა გადაესროლათ კოშკი იქ, სადაც გალავანი იყო შენგრე-ული. გაადებინა ხიდი და მიუშვა ფაროსნები, რომლებიც ასეთივე წესით აი-ღეს ტირი. (ტვიროსი-ფინიკია) ხალხი ბრძოლისაკენ მიიწევდა. დაიწყო ჭყლე-ტა, ხიდმა ვერ გაუძლო სიმძიმეს, გატყდა და მასთან ერთად დაეცნენ მაკედო-ნელებიც. ამ სანახაობაზე ბარბაროსებმა ყიჟინით დაიწყეს მაკედონელთა ჩაქ-ოლვა გალავნიდან ქვებით, ისრებით, ყველაფრით რაც ხელქვეშ მოხვდათ. ზო-გიერთები გამორბოდნენ პატარა კარებიდან, კოშკურის გალავანში მოთავსებუ-ლი და ჩეხავდნენ შედრეკილ მაკედონელებს

ალექსანდრე გაგზავნა ალტეკი მისი რაზმით დაჭრილთა ასაყვანად და მათ მოსახმარებლად ბანაკში, ვინც კიდევ იბრძოდა. მეოთხე დღეს მან ბრძანა ასევე გადაეგდოთ სხვა მანქანებიდან გადასასვლელი გალავანზე. <u>ინდები მამა-ცურად იბრძოდნენ, სანამ მათთან იყო მათი ბელადი. როცა ის მოკვდა, ისრით განგმირული, სასროლი მანქანიდან გაშვებულით,</u> როცა ხალხის ნაწილი დაი-ხოცა ამ განუწყვეტელი ალყის დროს ბევრი დაჭრილი იყო და ომი არ შეეძლო, მაშინ მათ გადაწყვიტეს დაეწყოთ მოლაპარაკება ალექსანდრესთან. მას გაუხარ-და, რომ შეიძლება ასეთი მამაცებისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და მოლა-პარაკება ინდ-მოქირავნეებთან, რომ მათ განათავსებენ მის არმიაში და იმსახუ-რებენ ალექსანდრესთან. ისინი გამოვიდნენ ქალაქიდან და განლაგდნენ ცალკე ბანაკად მაკედონელთა ბანაკის პირდაპირ. ღამით მათ გადაწყვიტეს დაბრუნე-ბულიყვნენ თავიანთ სამშობლოში, არ მოინდომეს იარაღის აღმართვა სხვა ინ-დებზე. როცა ალექსანდრეს ამის შესახებ შეატყობინეს, მან განალაგა მთელი არ-მია გორაკის ირგვლივ და ამოხოცა ინდები, მოაქცია რა ისინი ალყაში. ქალაქი მან აიღო-მისი დამცველი უკვე აღარავინ იყო და აიყვანა ტყვედ ასაკენის დედა და გოგო. მთელ ამ ალყაში ალექსანდრემ დაკარგა **25** კაცი“

აი აქ კი ცდება არრიანე, ეს ქალაქი, მასაგა, ასაკენებისა არ არის, ისინი ხეობის ზემოთ ცხოვრობენ ... მასაგა, როგორც დიოდორე სიცილიელი აღნიშ-ნავს, უკვე სხვა მდინარეზე, ინდოეთის (სინამდვილეში ინდების) უდიდესი მდინარის, ინდის მახლობლად არის აშენებული...და ის ინდებისაა, თეთრი ინდების... ისიდორე ხარასკელი ამ ქალაქს ალექსანდრეპოლისს უწოდებს, მის წინ ჩამომავალ მდინარეს-არახოტას, ხოლო სამეფოს-არახოტიას ...

და რამდენიმე წამოჭრილი შეკითხვა ფლავიუს არრიანეს ამ ამონარიდზე:
1. როგორც დიოდორე სიცილიელის მსგავსი ამონარიდიდან ირკვევა, მოლაპა-რაკებას ალექსანდრე მაკედონელთან მასაგას (სავარაუდოდ სრულიად არახო-სიის) დედოფალი აწარმოებს:რა ენაზე შედგა კომუნიკაცია?
2.ვინ არის მასაგას დაცვის ხელმძღვანელი, ბელადი, რომელიც მოიკლა ბალის-ტადან ნასროლი რკინის ისრით, და რომლის სიკვდილის შემდეგ გადაწყვიტა

დედოფალმა ინიციატივის საკუთარ თავზე აღება, მოლაპარაკება მაკედონელებთან?

3…და რატომ იმუხთლა ალექსნდრე მაკედონელმა, ჩრდილი მიაყენა თავის მხედრულ დიდებას იმ მომენტით, როდესაც ინდებთან დადებული მოლაპარაკება დაარღვია და დადებული სიტყვა გატეხა? რასაკვირველია მთის ეს „ინდები“ არავითარ ნათესაურ კავშირში არ არიან იმ ინდებთან, რომელთა წინააღმდეგ მაკედონელებთან ერთად გალაშქრება გადაწყვიტეს...

...ყველა ამ კითხვას პასუხი ქვემორე გაეცემა, ამავე თემის შიგნით... და ისევ აორნის მთა ინდთაა მთავარი ქალაქის, მასაგას მახლობლად:

„ყველ ქალაქის მცხოვრებლები გაიქცნენ და მიაშურეს აორნის კლდეს... სარგებლობდა ამ ქვეყანაში უზარმაზარი დიდებით, ამბობენ მისი დალაშქრვა ვერ შესძლო თავად ჰერაკლემო... მისი გარშემოწერილობა 200 სტადიონია (29,9კმ) სიმაღლე მის ყველაზე დაბალ ადგილას 11 სტადიონი (1, 63 კმ) ერთადერთი გზა, რომელიც მიდის მასთან, გაკეთებულია ადამიანის ხელით და ძალზე ძნელი მისასვლელია. კლდის ზემოთ მოდის წყარო, სუფთა წყაროს წყალი, ტყე და ბრწყინვალე სახნავი მიწა, რომლის დამუშავების შემდეგ ის ათასობით ადამიანს გამოკვებავს“

ზემოთ მოხსენებული ნაწყვეტიდან მოყოლებული სავარაუდოა რომ ის ტერიტორიები და ხალხები, რომელიც ფლავიუს არიანეს (რასაკვირველია მემუარებშიც) აქვს მოხსენიებული, უკვე არახოსის თუ საკასტანის ტერიტორია არაა. შემდეგ მოხსენებული ქალაქი ბაზირა მართალი ა ნაწარმოებში მასაგას გვერდით იხსენება, სავარაუდოა რომ მათ ტერიტორიულად რამდენიმე ასეული კილომეტრი აშორებთ.

ყველაზე უფრო გულადი ინდოელები, დაქირავებულ მეომრებად რომ მსახურობდნენ , ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ, ამ ქალაქებს მამაცურად იცავდნენ და ალექსანდრეს დიდ ვნებას აყენებდნენ. მან ერთ- ერთ ქალაქში ამ ინდოელებთან საზავო პირობა შეკრა, მაგრამ როგორც კი წავიდნენ ისინი, თავს დაესხა გზაში და სულ ერთიანად ამოჟლიტა. ეს საქციელი მის საქმეებს ერთგვარ ლაქად აჩნდა, თუმცა ყველა დანარჩენ შემთხვევაში ალექსანდრე ომს კანონიერად და მეფისთვის საკადრისი წესით აწარმოებდა“ (პლუტარქე, რჩეულ-ლი ბიოგრაფიები. ალექსანდრე მაკედონელი გვ.450. თბილისი 1975წ)

პლუტარქეს მიერ აღწერილი ეპიზოდი, რომელიც თითქმის უცვლელად მეორდება ალქსანდრე მაკედონელის ლაშქრობებზე თხრობაში, აშკარად მიუთითებს ამავე ეპიზოდის მემეუარებში უცილობელ არსებობაზე. ცხადია, ესიგივე ბრძოლის ეპიზოდია, რომელთა შესახებ ზემოთ მოვყევით. მით უმეტეს პლუტარქეს ზემოხსენებულ ბიოგრაფიებს დართული აქვს განმარტებითი შენ-

იშვნები, სადაც პირდაპირ მითითებულია ამ საბრძოლო შეტაკების ადგილი-მასაგა...

...და ისევ აორნის მთა:

„როდესაც მეორე ასეთსავე ციცაბო კლდეს შემოარტყა ალყა (პირველ კლდეში იგულისხმება ბაქტრიაში მდებარე კლდე, სადაც მისი მოწინააღმდეგე სისიმიტრე აფარებს თავს) მასზე იერშს მიტანისას ახალგაზრდა მაკედონელებს უბრძანა...“

პლუტარქეს ხაზგასმით აქვს მითითებული, რომ მის მიერ ნახსენები პირველი და მეორე აორნი სხვადასხვა კლდეებია (სხვადასხვა ადგილას მდებარე) თუმცა სხვა ავტორები ხშირად ურევენ ამ ორ აორნს-კლდეს ... და ეს უცხოელთა მიერ მასაგად მონათლილი ქალაქი, თავისებურად ინტერპრეტირებული მცხეთა ჩანს...

„იქიდან გაემართა დედალის მთისაკენ და სამეფოსაკენ დედოფალ კლეოფიდისა. ის დანებდა ალექსანდრეს და მიიღო ამის საშუალებით თავისი სამეფო უკან, მიაღწია ცდუნებით იმას, რასაც ვერ მიაღწია იარაღით. შვილს დაბადებულს მისგან, დააექვა ალექსანდრე. ის შემდგომ დაეუფლა ინდოეთის სამეფოს. დედოფალმა კლეოფიდამ იმ დროდან მიიღო ინდებისაგან ზედმეტსახელი „სამეფო კახპა“. მოაწყო რალაშქრობა ინდოეთში, ალექსანდრე მივიდა ქარაფთან, უჩვეულოდ მკაცრ და მაღალთან, სადაც გაიხიზნა მრავალი ტომი. ალექსანდრემ გაიგო, რომ მიწისძვრამ შეუშალა ხელი ჰერაკლეს, აეღო ეს მთა. ჯიბრით შეპყრობილმა, რომ გადაეჭარბებინა ჰერაკლეს მოქმედებისათვის, მან დიდი ძალისხმევის შემდეგ დაიმორჩილა ამ ადგილას ყველა ტომი“(პომპეი ტროგი, ფილიპეს ისტორია)

მართალია პომპეი ტროგთან ამ ფრაგმენტს ფაქტიური მისამართი არ უჩანს და არც დედალის მთაა ცნობილი ისტორიისათვის, მაგრამ ჰერაკლესაგან ვერ აუღები ქარაფის ხსენება მიგვანიშნებს, რომ ეს იბერიას და აორნის მთად ხსენებულ ადგილს უტევს მაკედონელი. რაც შეეხება დედოფალ კლეოფიდას მოქმედებას და მის ზედმეტ სახელს-აქ ნამდვილად პომპეი ტროგის თვითშემოქმედებისა უნდა გვქონდეს საქმე, რისი მოტივიც მას დამარცხებულმა დედოფლმა და საკუთარმა ფანტაზიამ უკარნახა...(13)

...და მეოთხე (უფრო სწორედ მეხუთე) ანტიკური ავტორი „ალექსანდრეს ლაშქრობისა“ რომელმაც წერტილი დაგვასმევინა იბერია-არახოსიის იდენტობის შესახებ მსჯეობაზე...შესაბამისად, კავკასიაში იბერიაზე-არახოტიაზე ლაშქრობა მაკედონელის მიერ საკამათო არც უნდა იყოს-არახოტებზე (იბერ-ქართებზე) ლაშქრობას ოთხიდან ოთხი ავტორი ადასტურებს (პლუტარქეს გამოკლებით, თუ არ ჩავთვლით ამ უკანასკნელის მონაყოლს გმირი „დაქირავებული“ ინდების შესახებ, რომელიც ალექსანდრემ ფიცის დარღვევით და ღალატით

ამოახოცვინა)...და ისევ იმავე ავტორმა, კვინტუს კურციუს რუფმა უნდა გაგვახსნევინიოს ის „გორდიას კვანძი“, რომელიც უცილობელ ახსნას მოითხოვს:

„ალექსანდრე გაემართა მასაგასაკენ, ახლო ჟამს ასაკენის სიკვდილის გამო, რომელსაც ეკუთვნოდა სამეფო, ქალაქის სათავეში ჩადგა მისი და კლეოფისი. 38 ათასი ქვეითი იცავდა ქალაქს, გამაგრებული არა მარტო ბუნებრივი, არამედ ხელოვნური ნაგებობებითაც.აღმოსავლეთის მხრიდან უვლიდა გიჟმაჟი მდინარე, მისი ორივე ციცაბო ნაპირი შეუძლებელს ხდიდა ქალაქთან მიახლოებას. დასავლეთიდან და სამხრეთიდან ბუნებას დახორხოლავებული აქვს მაღალი კლდეები, რომლის ქვეშაც მდებარეობს ქარაფები და ღრმულები, წარმოშობილი დიდი ხნის განმავლობაში. ხოლო იქ სადაც კლდეები თავდება, გადის არხი, ამოთხრილი დიდი შრომით. აქლაქი გარშემორტყმულია კედლით 35 სტადიონზე (5,2 კმ). მისი ძირი აშენებულია ქვისაგან, ხოლო ზემოთ ალიზით. ალიზში შიგა-და შიგ ჩაყოლებული იყო დიდი ქვები, რომ მაგარი მასალა დაყრდნობოდა უფრო რბილს...კედლიდან ვიღაცამ მსუბუქად დაჭრა ალექსანდრე ისრით. ცხრა დღე გრძელდებოდა საალყო სამუშაოები...დამცველებმა დაიხიეს ციხისკენ. ...მოსალაპარაკებლად გამოვიდა და ზავი ითხოვა დედოფალმა, მოსულმა სეფე ქალთა ამალით...ალექსანდრეს მუხლებზე დაუჯინა პატარა შვილი. დედოფალმა მიიღო არამცთუ ზავი, არამედ შეინარჩუნა დედოფლობა. ზოგიერთები თვლიან, რომ ეს იყო უფრო საჩუქარი მისი სილამაზისა, ვიდრე თანაგრძნობა. ყოველ შე მთხვევისათვის მომდევნო შვილს, შემდეგ დაბადებულს, ერქვა ალექსანდრე“(წიგნი VIII თავი10, 34-38)

...და აორნის მთა:

„ახლომახლო ქალაქების შეიარაღებულმა მოსახლეობამ კლდე აორნზე შეაფარეს თავი. გადმოცემა ყვება, რომ ჰერაკლემ ამაოდ შემოარტყა ალყა ამ მთას და იძულებული გახდა მიწისძვრის გამო შეეწყვიტა ის...მთა არ აღიმართება მაღლა, ჩვეულებრივ დამრეცი ფერდობებით, ის აღმართული იყო როგორც ბოძი. ფუძეში ფართო, ზემოთ თანდათან ვიწროვდებოდა...საფუძველს ბანდა ინდის მდინარე...

კვინტუს კურციუს რუფის ამ ამონარიდში ცხადად იკითხება, რომ სარგებ-ლობს პომპეი ტროგის ანალოგიურ თხრობით ალექსანდრე მაკედონელზე, ხოლო აღნიშნული სიუჟეტის თხრობისას მთლიანად ეყრდნობა მის ვერსიას, ფაქტიურად მიუთითებს კიდეც ამაზე. არ უნდა დაგვვიწყდეს, რომ ალექსანდრე მაკედონელი ერთდროულად აწარმოებს ცალკეულ დამსჯელ ლაშქრობებს სპარსეთის იმპერიის ცენტრალურ ნაწილში, ჰირკანიას, პართიას, და არიანაში... იპყრობს ასევე დრანგიანას, აქვე მდებარეს და „ხურდაში“ გედროსიას (არმენიას) მიაყოლებს ...იპყრიობს არახოსიის ნაწილსაც (როგორც ჩანს კახებს- დრანგების, კასპების ტომიდან). დრანგიანას და არახოტიის სატრაპი

ბარსაენტი თავს მდინარის გაღმა, ინდებთან აფარებს...თუმცა ამ უკანასკნელე-ბმა ის დაიჭირეს და მაკედონელებს გადასცეს, რომელმაც ბარსაენტი სიკვდი-ლით დასაჯა, დარიოსის მკვლელობაში ბესის- ბაქტრიის სატრაპთან თანამ-ზრა-ხველობისათვის...დიდი ალბათობით არახოტიის (რომლის შემადგენლო-ბაშიც ის მდინარისგაღმელი „თეთრი-მთის ინდებიც“ შედიან). სატრაპი ინდე-ბის თანატომელი არ უნდა იყოს: არ გასცემდნენ საკუთარ თანატომელს იბერ-ქართები მაკედონელებს, ამავე დროს ამ აქტით სპარსეთისგან დამოუკიდებ-ლობასაც იბრუნებდნენ. (14) ლოგიკურია, რომ სპარსეთის იმპერიაში სატრა-პიების მმართველი, სატრაპი-მეფისნაცვალ ადგილობრივი ვერ იქნება, ის სპარ-სეთიდან მოვლინებული სპარსი უნდა იყოს, თუმცა საკუთარს საგამგებლოში უკვე ფესვებგადგმული...

…დროის ამავე მონაკვეთში (ინდოეთში ლაშქრობის დაწყებამდე) ალექსან-დრე მაკედონელი პარალელურად ლაშქრობს ჩრდილო კავკასიაში, პაროპამი-სელებზე...ასევე შუა აზიაში ბაქტრიასა და სოგდიანაზე, სოგდიელი სპიტამე-ნის დახმარებით ტყვედ აჰყავს ბაქტრიის სატრაპი ბესი, რომელმაც გენერალუ-რი ბრძოლაც კი ვერ გაუმართა მაკედონელებს...რასაკვირველია ბესიც სპარსე-ლი უნდა იყოს,ბაქტრიაში უკვე მყარად ფეხგადგმული და ადგილობრივ ელი-ტას დანათესავებული. ამიტომაც ადვილად გადაწყვეტს სოგდიელი სპიტამენი (თუმცა არა სოგდიის სტრაპი-ეს უკანასკნელიც სპარსელი იქნებოდა უთუოდ) ბესის დატუსაღებას (ზოგიერთი ცნობით სპიტამენმა უკანასკნელ მომენტში ამისგან თავი შეიკავა). ეს სოგდიის დამოუკიდებლობასაც მოასწავებდა, ვინა-იდან ბაქტრიის სატრაპმა თავი დარიოსის მემკვიდრედ და მეფედ (სპრსეთის თუ მხოლოდ შუა აზიის) გამოაცხადა...თავად აჯანყებული სოგდი სპიტამენის თავიც კი მოართვა სპიტამენისვე ცოლმა ალექსანდრე მაკედონელს...

ლეონტი მროველის სიტყვები, რომ იბერიის დალაშქვას მაკედონელმა ექვსი თვე მოანდომა, ხოლო დიდოელებმა სარკინეთის უბანში (15)ალყას თერ-თმეტი თვე გაუძლეს, შემდეგ კლდეში გვირაბი გახვრიტეს და კავკასიის მთებს მიაშურეს (იქ, სადაც დღეს ცხოვრობენ) სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ალე-ქსამდრე მაკედონელი ეს თერთმეტი, ან თუნდაც ექვსი თვე ფეხმოუცლელად ხელმძღვანელობდა ომებს იბერიაში...სკრუპულოზული ანალიზი ალექსადრე მაკედონელზე შექმნილი ისტორიული ნაწარმოებებისა თვალნათლივ გვაჩვე-ნებს, რომ თავად ალექსანდრე ამ დროს აქტიურ მოძრავ ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა კმაყოფილდებოდა სპარსეთის კანონიკური სარტაპიების სრული დამო-რჩილებით- და სანამ ეს პროცესი სრულიად არ დაასრული, ინდოეთზე ლაშ-ქრობა არ განუხორციელებია...

ამავე დროსვე ლაშქრობს ალექსანდრე მაკედონელი სამხრეთ კავკასიაში, თუმცა ჩრდილოეთის გზით, ჩრდილო კავკასიიდან და პარაპამისის გავლით. ამას უნდა ნიშნავდეს იოანე ზონარას (იხ ზემოთ) სიტყვები, რომ ალექსნდრე მაკედონელი მიეპარა იბერიელებს, თუმცა ეს უკანასკნელნი არც მაშინ გაქცეულან... და ლეონტი მროველის სიტყვები **„შემოვიდა ჩრდილოით, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად“** ...პირველად შეტაკება ასაკენებთან- ფხოველებთან ჰქონდა , რომლის ნაწილიც იმ დროს ჩრდილო კავკასიაშიც გადადიოდა, შემდეგ მდინარე თერგის და არაგვის ხეობით მასაგამდე, „თეთრი-მთის ინდების“ მთავარ ქალაქ მცხეთაზე...ლეონტი მროველის სიტყვებით, იბერიის დაპყრობას ალექსანდრე მაკედონელმა ექვი თვე მოანდომა...და რასაკვირველია ის ექვსი თვე მუდმივად იბერიაში არ იმყოფებოდა, იპყრობდა, განაგებდა და აშოშმინებდა შუა აზიის სატრაპიებს..

აი ძირითადი ხუთი წყარო, ხუთი ავტორი ჩვენამდე მოღწეული ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა აღმწერნი...ძირითად წყაროს, მემუარებს ალექსანდრეს ლაშქრობათა შესახებ, დაწერილი მისი თანამებრძოლების, არისტობულის და პტოლომეს მიერ, ჩვენამდე არ მოუღწევია. რასაკვირველია ალექსანდრეს ლაშქრობის შესახებ ისტორიის ავტორების მოღვაწეობის პერიოდში ეს მემუარები ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს ვერ გამორიცხავს ამ ავტორების მიერ დაწერილი ლაშქრობების ისტორიიდან სარგებლობას. მკითხველს შევახსენებ, რომ ამ მწერლების, ქრონოგრაფების მოღვაწეობის თარიღებს:

1.დიოდორე სიცილიელი-ძვ,წ I საუკუნე, პირველი ნახევარი

2.პომპეი ტროგი -ძვ.წ I საუკუნე, მეორე ნახევარი

3. კვინტუს კურციუს რუფი -ახ.წ.I საუკუნე

4.პლუტარქე -ახ.წ.45-127 წელი

5. არრიანე -ახ.წ. 97-157 წელი

ამ ავტორთა მოღვაწეობის ხანა გვიჩვენებს, რომ ყოველმო მოდევნოს შეეძლო ესარგებლა მისი წინამორბედი ქრონოგრაფის ნაშრომით და ასეთი მომენტის დაფიქსირება შეიძლება კიდეც კვინტუს კურციუს რუფთან, რომელსაც ნაწილობრივ პომპეი ტროგის ნაშრომით უსარგებლია კიდეც...მაგრამ ამ ავტორების მიერ ალექსანდრეს ლაშქრობის ისტორიებში იმდენად დიდი სხვაობებია (გარდა დამთხვევებისა) თამამად შეიძლება ითქვს, რომ ისინი ძირითადად დამოუკიდებელი წყაროებით სარგებლობენ, რომელსაც რასაკვირველია არისტობულის ან პტოლომეს მემუარებთან მივყავართ. ამასთან უნდა აღინიშნოს ცალკეული პასაჟები, რომელიც ამა თუ იმ ავტორის უცილობელ შეცდომას მიგვანიშნებს. არავითარი მექანიზმი იბერია- ქართლის შესახებ ჭეშმარიტების დაგენისა არა გვაქს, მხოლოდ დედუქცია...

1.ალქსანდრე მაკედონელი ჩრდილოეთისან, დარიალის ხეობით ჩანს შემოსუ-ლი-პირველად ის გურ-ასაკენებს, ფხოველებს ჩანს დაპირისპირებული .
2.ფხოველები ჩრდილოეთით უფრო შორს არიან განფენილი, ვიდრესა საზღვ-რო ციხე-სიმაგრე არშადა (დღევანდელი არშის ციხე) მდებარეობს. ცხადია ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ევროპელ სკვითებთან, (დღე -ვანდელ უკრაინელებთან) კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.
3.ხეობის (არაგვის ხეობის ბოლომდე) ეს ასაკენების საბინადრო ადგილია.
4. ქალაქი მასაგა -ეს უკვე ინდების, თეთრი ინდების, მთის ინდების სამფლო-ბელოა.
5. ბარდადან (დღევანდელი აზერბეჯანი) არახოტა 400 კილომეტრზე არის გა-დაჭიმული (ისიდორე ხარასკელის მიხედვით, იხ.ზემოთ) შესაბამისად არახო-ტა ლიხის მთამდე ვრცელდება. არახოტიას მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი, დღევანდელი კახეთი ჩანს მაკედონელების მიერ დაპყრობილი, დრანგიანაზე და გედროსიაზე (არმენიაზე) ლაშქრობისას. მერე დაუპყრობელი ნაწილი არა-ხოტიისა-ეს თეთრი ინდების სამფლობელოა.
6.არრიანეს სიტყვებით, ქალაქ მასაგასთან მხოლოდ ინდები (მთის- თეთრი) იბრძვიან, მაგრამ შეცდომით მასაგას სუზერენად ასაკენს ასახელებს, ხოლო ასაკენის დას-დედოფლად. (16)
7.დედოფლის წოდებას ქალი მხოლოდ ერთ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის მეფის (ამ შემთხვევაში სატრაპის)ცოლია.
8.დედოფალი კლეოფიდა არახოტიის (და არა მასაგის-დედაქალაქის) სუზერე-ნის, სატრაპ (სპარსეთის მეფისნაცვალი არახოტაში) ბარსაენტის ცოლი ჩანს.
9.რამდენმე ავტორი მიუთითებს, რომ დედოფალს ქმარი ახლო წარსულში მო-უკვდა და სინამდვილეშიც ასეც იყო: არახოტიის სარდალი წყალგაღმა (ალბათ არაქსს გაღმა) გაექცა მაკედონელებს დრანგიანაში ლაშქრობისას (ბარსაენტი დრანგიანასა და არახოტიის სატრაპი იყო), მაგრამ ინდებმა დაიჭირეს და მაკე-დონელებსვე გადასცეს:ალექსანდრემ სიკვდილით დაასჯევინა ბარსაენტი, რო-გორც ბაქტრიის სარტაპის, ბესის თანამზრახველი მეფე დარიოსის მოკვდინე-ბის საქმეში.
10.ბარსაენტი, დარიოს-მეფის ნაცვალი არახოტიაში, სატრაპი იბერ-ქართებთან სპარსელი უნდა იყოს, სპარსელები არამცთუ სატრაპიის მმართველად, არამედ ცალკეული ადგილობრივი რაზმების სარდლად აუცილებლად სპარსელს ნიშ-ნავდენ. (ჰეროდოტეს მხედვით)
11.ამითაც უნდა აიხსნას ინდების მიერ სპარსელების დანიშნული სპარსელივე სატრაპის გაცემა მაკედონელებზე:ამით ისინი სპარსეთისგან დამოუკიდებლო-ბას აღწევენ. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა ინდების მიერ საკუთარი თანა-ტომელი მეფის გადაცემა მაკედონელებისათვის.

12.და ვინ უნდა იყოს ის მამაცი მეთაური მასაგას დაცვისა, რომელიც მოიკლა ბალისტადან ნატყორცნი (რკინის) ისრით, და რომლის სიკვდილის შემდეგ გადაწყვიტა დედოფალმა საზავო მოლაპარაკება?და ვინ უნდა იყოს თავად დედოფალი კლეოფიდა, რომელიც ქმრის, სატრაპი ბარსაენტის სიკვდილის მერეც მასაგის (და ალბათ მთელი დაუპყრობლად დარჩენილი არახოტიის) ინდების დედოფალობას ინარჩუნებს?

13.თუმცა დედოფალ კლეოფიდას დედოფლობა დროებითი ჩანს, საბოლოოდ მაკედონელთა ახალ იმპერიაში იბერიას (ლეონტი მროველის მიხედვთ) აზო ეუფლება, როგორც ჩანს-უცხო...

14.კვინტუს კურციუს რუფიც, ისევე როგორც არრიანე, აღნიშნავს (რასაკვირველია შეცდომით) რომ მასაგას ციხე ასაკენს ეკუთვნის და მისი სიკვდილის შემდეგ (აქ უსათუოდ მასაგის დაცვის ხელმძღვანელი უნდა იგულისხმებოდეს, რომლის სიკვდილის შემდეგ დედოფალი გადაწყვეტს ალექსანდრე მაკედონელთან მოლაპარაკებას) ხდება დედოფალი მისი და კლეოფიდა .

15.კითხვას, თუ ვინ შეიძლება იყოს ალყაშემორტყმული არახოტიის დედაქალაქ მასაგას თავდაცვის ხელმძღვანელი, ნაწილობრივ პასუხს ლეონტი მროველი სცემს:

„ესე ფარნავაზ იყო... და დედულად სპარსი, იგი იყო ძმისწული სამარასი, რომელი მოევლასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო. ესე სამარ და ძმაი მისი, მამაი ფარნავაზისი, მოკლულ იქნა ალექსანდრესაგან, ხოლო დედასა ფარნავაზისსა წარეყვანა ფარნავაზ, სამისა წლისა ყრმაი“(ლეონტი მრველი, ქართლის ცხოვრება, გვ25, 2012 წელი)

და რა პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მცხეთის მამასახლისის ძმისშვილს იბერიის სამეფო ტახტზე? თითქოსდა არაფერი...მაგრამ მის მიერ მოწვეულმა, კოლხეთის სუზერენმა ქუჯიმ, რომელსაც შესთავზა მომავლი გაერთიანებული იბერია -კოლხეთის ტახტი, ასე უპასუხა: **შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა...** ქუჯი ფარნავაზს ფაქტიურად ქართლის- იბერიის მეფის მემკვიდრეს-შვილს უწოდებს... ჰგავს, ის არა სამარას ძმისშვილი (რატომღაც სამარას ძმის, ქუჯი სიტყვებით „თავთა მათ ქართლისათა“-ს სახელი ლეონტი მროველმა არ იცის) არამედ მისი დისშვილია, დედოფალი კლეოფიდა მისი დედაა, ბარსაენტი , არახოტიის სატრაპი- მამა და სამარა მართლაც ბიძა , ოღონდ დედის მხრიდან. სატრაპ ბარსაენტის დაქორწინება მცხეთის მამასახლისის (სატრაპის მერე მეორე კაცი სატრაპიაში) დაზე-დინასტიური ქორწილი ადგილობრივ დიდებულზე. ზუსტად ჯდება კვინტუს კურციუს რუფის მონაყოლი იმის შესახებ, რომ დედოფალმა კლეოფიდან ალექსანდრეს მუხლებზე დაუსვა საკუთარი პატარა ბიჭუნა-ლეონტი მროველის სიტყვებთ,ფარნავაზი იმ დროს სამი წლისა იყო...

...და მისი სახელი სინამდვილეში სამარაა? როგორც ჩანს არა...ერთი აშკარად მცდარი ცნობა იმავე ვინტუს კურციუს რუფისა:

„სოგდიელმა არიმაზმა 30 ათასი მეომრით, მომზადებული 2 წლის საკმარისი საკვებით, აჯანყებულებმა მაკედონელების წინააღდეგ, აორნის კლდეს შეაფარეს თავი. აორნი 150 სტადიონის (22, 2 კილომეტრი) მთა იყო, სიმაღლით 30 სტადიონი (4, 44 კილომეტრი)

აორნზე ზემოთ მოყვანილი ცნობა რუფისა აშკარად ზღაპრულია.ზღაპრულია ეს ცნობაც. რუფის სიტყვებით, აორნის მთას შუაგულში იმყოფება გამოქვაბული,რომელშიცმოჩქეფს წყაროები და ეს 30 ათასი კაცი აქვე აფარებს თავს. თითქოსდა ალექსანდრემ შეარჩია 300 ცოცვაში დახელოვნებული ყმაწვილი და ზურგიდან მოუარა აჯანყებულებს, მთის წვეროში მოექცა...შუამავალმა დანებება შესთავაზა არიმაზს...ეს უკანაკნელი, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, დამრჩილდა მაკედონელს ... და ამ უკანასხნელმა იმავე კლდის ძირში ისინი სიკვდილით დასაჯა...

კვინტუს კურციუს რუფის ეს ამონარიდი აშკარად ამ უკანაკნელის შეცდომა ჩანს.არც ერთ ქრონოგრათან, ალექსანდრეს ლაშქრობათა აღმწერთან ეს სიუჟეტი არ მეორდება. რუფს, განსხვავებით სხვებისგან, სამი აორნი უჩანს. ორი აქ მოხსენიებული და მესამე ნამდვილად შუა აზიაში, მავანი ხორიენის და მისი მომხრე აჯანყებულების მიერ დაკავებული... ხორიენი მოლაპარაკები შემდეგ მშვიდობიანა დანებდა მაკედონელებს და ალექსანდრესგან დასაჩუქრებულ იქნა კიდეც...ალექსანდრე პირობის და ფიცის გატეხვას ერიდება... მკითხველისთვის კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ალექსანდრე კავკასიასა და შუა აზიაში პარალელურად აწამოებს ომებს...და მაინც სოგდები (თითქოს) მხოლოდ შუა აზიაში არის აღნიშნელი-მაგრამ სოგდებიც (დღევანდელი ტაჯიკები) ზუსტად ისეთივე ასაკენები არიან, როგორც კავკასიელი გურ-ასაკენები, ფხოველები... მის ფიცს მინდობილი მოწინააღმდეგენი კი მაკედონელს არც არასდროს დაუხოცავს...და პლუტარქეს მიხედვით,მხოლოდ ერთი შავი ლაქაა ალექსანდრეს მხედრულ ცხოვრებაში დაფიქსირებული, როდესაც მან მასაგაში მის ფიცს მინდობილი ინდები ამოწყვიტა ... და ერთიც, კვინტუს კურციუს რუფს არა აქვს ეპიზოდი ინდი მეომრების ღალატით ამოწყვეტისა...დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუფისეული არიმაზის და მისი მეომრების ამოწყვეტ ამ „აორნის“კლდის (დიოდორე სიცილიელთან ბორცვის) ძირას-ეს არახოტიელი ინდების (მთის, თეთრი ინდების) ამოწყვეტის სცენაა,რომლის გათეთრებასაც რუფი ცდილობს...შესაბამისად, მასგას თავდაცვის უფროსს არა სამარა, არამედ არმაზი (არიმაზი-რუფის მიერ სახელის დამახინჯებაა ალბათ) ერქვა, იბერიელი (თუ ასაკენი-ფხოველი) დიდებული, ფარნავაზის ბიძა, დედოფალ კლეოფიდას ძმა და არახოსიის სატრაპ ბარსაენტის ცოლი ძმა...არმაზის, ალბათ საყ-

ვარლი ბიძის სახელი არ დაკარგა დისშვილმა, ფარნვაზმა,რომელმაც მისი კულტი შემოიღო და ღვთაების რანგში აიყვანს...

მკითხველის ადგილას კიდევ ერთხელ დავუბრუნდებოდი დიოდორე სიცილიელის მიერ „დაქირავებული“ მეომრების ამოწყვეტის ეპიზოდს...იმის გაგებით,რომ ეს „დაქირავებული“მეომრები სინამდვილეში იბერიელი და ქართლელი სამშობლოს დამცველები არიან...ისინი, ვისაც უკანასკნელი უთანასწორო ბრძოლის გადახდა მხოლოდ ღირსებისა და ვაჟკაცური სიკვდილისათვის მოუწიათ...იმათ, რომელთა მხედრულ დიდებას ახლა, თითქმის 24 საუკუნის შემდეგ იგებს შთამომავლობა...

და რატომ დაქირავებულები? თითქმის ყველა ავტორი აღნიშნავს, რომ მთის ინდების, თეთრი ინდების ძირითად (სინამდვილეში ერთადერთ) ძალას დაქირავებული-ასევე ინდი მეომრერები შეადგენენ, რატომ?

„ამ ქვეყანას (იბერიას) ასახლებს ოთხი თანრიგის ხალხი. პირველი თანრიგია შემდეგი მნიშვმელოვანი პიროვნება-ესუმაღლესი მოსამართლე და მხედართმთავარია. მეორე თანრიგი- ეს ქურუმებია, რომლებიც სხვა საქმეებთან ერთად აგვარებენ უთანხმოებებს მეზობლებთან; მესამე თანრიგი შედგება მეომრებისა და მიწათმოქმედებისგან. და ბოლოს, მეოთხე-უბრალო ხალხი; ეს სამეფო მონე -ბია, რომლებიც ასრულებენ ყველა სამუშაოს სასიცოცხლი საშუალებების მოსაპოვებლად. მათი ქონება საერთოა ამ თემში, ინახავსდა განკარგავს ყველა ამ საშუალებას უფროსი.ასეთია იბერია და მათი ქვეყანა“

(სტრაბონი, წიგნი XI, V-6)

აქ სტრაბონი ხაზგასმით არ აღნიშნავს,მაგრამ მესამე თანრიგი-მეომართა და მიწათმოქმედთა კასტა ერთიანი ჩანს, უფრო გასაგებად ყოველი მეომარი თავად წარმოადგენს მიწათმოქმედს და ამავე დროს თავსუფალ მეთემეს-ის გადასახადს არ იხდის! მისი გადასახადი, ბეგარა-ეს სახელმწიფოს დაცვაა! შესაბამისად , ის დაქირავებული მეომარია , რომელიც იღებს ალოდს - სამემკვიდრეო მამულს სახელმწიფოსაგან და მის საფასურს სამხედრო ბეგარით-სამშობლოს დაცვით იხდის... შესაბამისად, მაკედონელებმა ისინი დაქირავებულ მებრძოლებად ჩათვალეს...

არახოსია სპარსულ და ბერძნულ წყაროებში

უცხოურ წყაროებში პირველად არახოსიას ნახსენებად თვლიან VI საუკუნეს. ჩვ. წ.აღრიცხვამდე, ცნობილი ეგრეთ წოდებულ ბეხისტუნის წარწერის სახელით 520-521წ.

„54-64 ; ამბობს მეფე დარიოსი : ვახაიაზდატამ, რომელიც უწოდებს საკუთარ

თავს ბერდიას, გაგზავნა არმია ხარახვატში, ხარახვატის სატრაპის წინააღმდეგ, სპარსელისა სახელად ვივონა,(17) ჩემი მონა. მან (ვახაიაზდატამ) მათ უფრო-სად დააყენა ერთი კაცი და უთხრა მათ: წადით და დაამარცხეთ არმია, რომე-ლიც თვლის თავს (არმიად) დარიოსისა. ამის შემდეგ არმია, რომელიც გააგ-ზავნა ვახაიაზდატამ, გაემართა რომ შეჯახებოდა ვივანას. <u>ციხე- სიმაგრე კაპი-კამიშთან</u> მათ გამართეს ომი. აჰურამაზდა დამეხმარა მე. აჰურამაზდას წყა-ლობით ჩემმა არმიამ სრულიად გაანადგურა მოჯანყე არმია. მე-13-ე დღეს ანა-მაკისა (იანვარი 520 წელი)მათ გამართეს ომი.

64-69; ამბობს დარიოს მეფე:მოჯანყეები ისევ შეიკრიბნენ და გაემართნენ, რომ შეტაკებოდნენ ვივონას. მათ გამართეს ბრძოლა <u>განდუტავას</u> მიდამოებში. აჰუ-რამაზდა დამეხმარა მე. აჰურამაზდას წყალობით ჩემმა არმიამ სრულიად გა-ანადგურა მოჯანყე არმია მე-7-ე დღეს ვიახმას თვეს (მარტი 520წ) მათ გამარ-თეს ომი.

69-75;ამბობს მეფე დარიოსი:მერე კაცი, რომელიც იყო არმიის უფროსი, გაგზავ-ნილი ვახაიაზდატას მიერ ვივანას წინააღმდგ, გაიქცა მცირე მხედრობით. ის მივიდა <u>ციხე-სიმაგრე არშადასთან ხარახვატში. (18)</u>ამის შემდეგ ვივანა არმიით გაემართა მის კვალდაკვალ, შეიპყრო იგი და მისი ხალხი, რომლებიც იყვნენ მისი ცნობადი მიმდევრები და დასაჯა ისინი.

75-76;ამბობს მეფე დარიოსი: ამის შემდეგ ქვეყანა გახდა ჩემი. აი რა გაკეთდა ჩემს მიერ ხარახვატში. (ბეხისტუნის წარწერები, სვეტი 3)

რასაკვირველია, ბეხისტუნის წარწერების ამ ფრაგმენტში იბერიაზეა სა-უბარი! დასახელებული ციხე-სიმაგრეებიც და დასახლებული პუნქტიც იბერი-აშივე მდებარეობს. ბედნიერი შემთხვევის წყალობით არშადის ციხის იდენტი-ფიკაცია შესაძლებელი ხდება, თუმცა კაპიკამიშის ციხე და დაბა განდუტავა-სამუდამოდ დაკარგული ჩანს ისტორიის წიაღში.... ბეხისტუნის წარწერების თარგმანის ხელმისაწვდომი ორი ვერსია არსებობს, დანდამაევისა და აბაევისა. ძირითადად აბაევის თარგმნა-რეკონსტრუქცია, რომელიც მიზნად ისახავს წა-რწერის ევროპაში გავრცელებულ ტოპონომიკასთან შეთანწყობას, მცირეოდენ სხვაობას შეიცავს დანდამაევის ზედმიწევნით თარგმანთან შედარებით.

სპარდა დანდამაევთან, რომელის წარწერის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს და რომელიც აღნიშნავს სარდეს-ლიდიის დედაქალაქს და როგორც ეტყობა ქვეყ-ნის სახელს.აბაევთან სრულიად სამართლიანად შეცვლილია ლიდიის სახელმ-წიფოთი.

იაუნა დანდამაევისა, აბაევთან იონიაა, მცირე აზიის და ხმელთაშუა ზღვის ამ ნაწილის მოსახლეობა, უკვე ნაწილობრივ ელინიზირებული.

ზრანკა დანდამაევისა, აბაევთან დრანგიანაა, ტოპონომი, რომლითაც მაკედო-ნელის მოლაშქრე მემუარისტები ამ პოლიტიკურ წარმონაქმნს ახსენებენ.

ხარაივა დანდამაევისა-აბაევთან ეს არიაა.
საგატუ დანდამაევთან-აბაევთან ეს საგატაგიდიშია.
ხარახვატი დანდამაევისა-აბაევთან ეს არახოსიაა.

ნისეა, სადაც მოიკლა თვითმარქვია მეფე სპარსეთისა, სინამდვილეში მაგი გაუტამა, დანდამაევი მიდიის ქალაქად ახსენებს, აბაევი კი ინდოეთისად და სრულიად უსამარლოდ: არა ერთი ავტორის მიერ აღნიშნულია მიდიელი მაგის მიერ სპარსეთის ტახტის მიტაცება-რასაკვირველია მიდიელი მაგი სატახტო ქალაქად მიდიას აირჩევდა და არა მისთვის უცხო ინდოეთს...და სპარსეთის სატახტო ქალაქი ინდოეთში არც არასდროს არავისგან არ აღნიშნულა...
პართიისა და ვარკანას აჯანყებაზე ჰყვება დანდამაევის თარგმანი, აბაევთან ეს შესაბამისად პართია და ჰირკანიაა.
დანდამაევის მიხედვით, ვახაიაზდატას დასასჯელად სპარსეთისა და მიდიის ჯარი გაიგზავნა , სპარსეთისა და ინდოეთისა-აბაევის მიხედვით. სავარაუდოდ აქ აბაევი უხეშად ცდება: მიდია და ელამი სპარსეთის სამეფოს ძირითად დასაყრდენად მოიაზრება (სპარსთა შემდეგ) თუმცა ასეთად ინდოეთი არც ერთ ანტიკურ მწერალთან არ დაფიქსირებულა.
...და საინტერესო პასაჟი ბეხისტუნის წარწერიდან: ელამიტებს, ისევე როგორც საკებს, აჰურამაზდა არა სწამთ, სპარსეთის სახელმწიფოს ძირითადი რელიგიური მრწამსი...
,,ამბობს მეფე დარიოსი; აი ქვეყნები, რომლებიც მე მერგო ა ჰურამაზდას წყალობით, მათზე მე ვარ ხელმწიფე, პერსიდა, ელამი, ბაბილონი, ასირია, არაბეთი, ეგვიპტე, [ქვეყნები] ზღვასთან, სპარდა, იაუნა, მიდია, არმენია, კაბადოკია, პართია,ზრანკა,ხარაივა, ხორეზმი, ბაქტრია, სოგდიანა,გაიდარა, საკა, საგატუ, ხარახვატი, ხორეზმი, მაკა - სულ 23 ქვეყანა. (ბახისტუნის წარწერა, 1 სვეტი 12-17)

უპირველესად, დარიოსისეული სატრაპიების ზუსტი მიკუთვნებულობა უნდა განვსაზღვროთ, ვინ ვინ არის:
1.პერსიდა-რასაკვირველია სპარსებია, თავად ფარსის ხალხი
2. ელამი- ელამიტები სპარსეთის ყურესთან, კუშების სინამდვილეში ქუშების) ქართლელთა შორეული წინაპარი.კიროსი-გვიან სპარსულად ცნობილი იმპერიის შემქმნელი
3.ბაბილონი-შუმერები, თუმცა დარიოსის დროისათვის მოსხლება ნაწილობრივ ჩამნაცვლებული ჩანს.
4.ასირია-ერთ დროს ძლიერი ასირიული იმპერიის ნარჩები.
5.არაბეთი-აფრიკელი არაბები, იმ დროისათვის საკმაოდ მცირე ქვეყანა.
6.ეგვიპტე-დაპყრობილი დარიოსი წინა მეფის, კამბისესის მიერ.
7.ქვეყნები ზღვასთან-აქ ფინიკია, პალესტინა ლიბია და კართაგენი

იგულისხმება.
8.სპარდა-ლიდია, მცირე აზიის სამხრეთული ნაწილი.
9.იაუნა-აზიელი იონიელები (არა ბერძნები) მილეტელები და იბერები, თვით იასონიელების, ხალიბების ჩათვლით.
10.მიდია-თრაკიული (ბულგარული)ტომი, დღევანდელი აზერბეიჯანი.
11.არმენია-სომხეთი.
12.კაბადოკია-ცენტრალური მცირე აზია, დაახლოებით სირიის ადგილას.
13.პართია-სახელმწიფო გადაჭიმული კასპიის სამხრეთ აღმოსავლთით.
14.ზრანკა-დრანგიანა, დღევანდელი ლურისტანის პროვინცია სპარსეთში, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან დაშორებით.
15. ხარაივა-არია, დრანგიანას აღმოსავლეთით.
16.ხორეზმი-დღევანდელი თურქმენეთი
17.ბაქტრია-შუა აზიის ქვეყანა, დღევანდელი უზბეკეთი.
18.სოგდიანა, შუა აზიის ქვეყანა, დღევანდელი ტაჯიკეთი.
19. გაიდარა-პარუპარასანა, სატრაპია ავღანეთთან, დღევანდელი ადგილ მონაცვლებული ალანია-ოსეთი.
20.საკა-პოლიტიკური წარმონაქმნი დღევანდელი ყირგიზეთის ადგილას...
21.საგატუ-პოლიტიკური წარმონაქმნი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროსა და ჩრდილო კავკასიაში, ლეგები-ლეკები და ბორკანები-ინგუშები-ჰერები.
22. ხარახვატი-არახოსია, იბერია.
23. მაკა-მოსხები, ტიბარანები, მაკრონები, მოსინეკები და მარები (ქართველური ტომებისგან შემდგარი სატრაპია (შესაძლო ემატებოდნენ ალაროდები და სასპერები)

საინტერესოა წარწერის დარიოსეულ ი ვარიანტის შედარება ჰეროდოტესთან, რომელსაც დარიოსის მოღვაწეობის და ელადასთან ომის პერიპეტიები აქვს გადმოცემული, მოქმედებიდან 70-80 წლის შემდგომ. ბეხისტუნის დარიოსისეულ წარწერაში, დარიოსის მიერ აღნიშნულია 23 (ოცდასამი) სხვადასხვა ქვეყანა (სავარაუდოდ ამდენივე სატრაპია!) მაშინ როდესაც ჰეროდოტეს სპარსულ სახელმწიფოს რიგებში მოხსენებული აქვს ოცი სატრაპია!.... და მაინც რომელი ტყუის? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: არც ერთი! ჰეროდოტეს სატრაპიების რიცხვში დასახელებული არა აქვს თავად სპარსეთი, ელამი და მიდია, რომელსც ის ერთ, სპარსულ ელენენტად თვლის (და სრულიად უსამართლოდ) არადა ამ სამივე სატრაპიას საკუთარი ენა და რასკვირველია დამოუკიდებელი ისტორია აქვთ. გარდა ხსენებული ფაქტისა, ჰეროდოტეს მანც უჩანს საკმაოდ დიდი განსხვავებები ბეხისტუნის წარწერებთან მიმართებაში-სავარაუდოდ ეს წარწერები მის დროს გაშიფრული არც იყო.
1.იონიელები და ეოლიელები, კარიელები და ლიკიელები, პამფილიელები ჰე-

როდოტეს პირველი სატრაპია, ეს დარიოსის წარწერისეული იაუნა უნდა იყოს.
2. ლიდიელები, მისიელები, ლასონიები, კაბალიელები, ჰიტენეელები-ჰეროდ-ოტეს მეორე სატრაპია, ეს დარიოსის სპარდა (ლიდია) ჩანს. (19)
3.ფრიგია, თრაკია, პაფლაგონია და სირია-ჰეროდოტესეული მესამე სატრაპია, დარიოსისეული კაპპადოკია ჩანს.
4, კილიკიელები, ჰეროდოტესთან დასახლებული დამოუკიდებელ მეოთხე სა-ტრაპიად, დარიოსთან ხსენებაც არ არის. ტერიტორიული მდებარეობიდან გა-მომდინარე, დარიოსთა კლიკია იმავე კაპპადოკიის,ან მიდის სატრაპიებში უნ-და იგულისხმებოდეს,
5. ფინიკია, პალესტინა და კვიპროსი, მეხუთე სატრაპია ჰეროდოტესი- დარი-ოსისეული (ქვეყნები) ზღვასთან უნდა იყოს.
6. ეგვიპტე, კირენე-ლიბია და ბარკე- კართაგენი, ჰეროდოტესეული მეექვსე სა-ტრაპია, დარიოსისეული ეგვიპტე ჩანს.(განსხვავებით დარიოსისაგან,ჰეროდო-ტე არაბეთს დაუხარკავად მიიჩნევს, თუმცა ეს სრულიადაც არ უშლის ხელს არაბები დარიოსის მოლაშქრეთა შორის მოიხსენიოს)
7. სატაგიდები, განდარიები, დადიკები და აპარიტები-ჰეროდოტესეული მეშ-ვიდე სატრაპია, აწერილი ადგილმდებარეობის მიხედვით, დარიოსისეული გაიდარა უნდა იყოს.(20)
8. სუსელები და კისიელები-ჰეროდოტეს მერვე სატრაპია, აშკარად დარიოსი-სეული ელამიტები არიან.
9. ბაბილონია და ასირია ერთად -ჰეროდოტესთან მეცხრე სატრაპიაა, დარიო-სის წარწერებში-ცალკეული სატრაპიები.
10. აკბატანა და მიდია, **<u>აქვეა პარიკანიელებიც,</u>** და ორთოკორიბანტები-ეს მეა-თე სატრაპიაა ჰეროდოტესი, მიდია დარიოსისა.

11.კასპიები და პავსიკები, პანტიმათიები და დარეიტები-ეს მეთერთმეტე სა-ტრაპიაა ჰეროდოტესი, ანალოგია დარიოსთან არ იძებნება, თუმცა ეს უთუოდ სატრაპია ზრანკაა-დრანგიანა, და მხოლოდ მოგვიანებით, ჰეროდოტეს ეპოქი-სათვის ჩანს გაყოფილი (21)
12.ხალხები ბაქტრებიდან ეგლებამდე -ეს მეთორმეტე სატრაპიაა ჰეროდოტესი, დარიოსისეული ბაქტრია.
13. პაქტიკე, არმენია და მათი მეზობლები-ეს მეცამეტე სატრაპიაა ჰეროდო-ტესთან და არმენია -დარიოსთან.
14. საგარტიები, სარანგიები, თამანელები, უტიები, მიკები-მეთოთხმეტე სატ-რაპია ჰეროდოტესი, სამხრეთ ირანული ტომები,სპარსეთის ყურის სანაპიროზე და მეწამული ზღვის კუნძულებზე მცხოვრებნი, დარიოსთან ანალოგია არ ეძე-ბნება.

15.საკები და კასპიები- მეხუთმეტე სატრაპია ჰეროდოტესთან, დარიოსისეული საკები. (თუმცა კასპების ხელმეორედ ხსენება ჰეროდოტესთან აშკარა შეცდომაა.

16.პართები, ხორასმები, სოგდები და არიები-მთექსმეტე სატრაპია ჰეროდოტესი. პართია-ცალკე სატრაპიაა დარიოსისა, ისევე როგორც ხორეზმი და სოგდიანა. არია-ეს ხარაივაა დარიოსთან, ასევე ცალკე სატრაპია.

17.<u>პარიკანიები</u> და ასიელი (აზიელი) ეთიოპები-მეჩვიდმეტე სატრაპია ჰეროდოტესი-არახოტია დარიოსთან. სატრაპია, რომელიც ქართველი მკითხველისაგან უდიდეს ყურადღებას მოითხოვს!

18. მატიენები, სასპერები და ალაროდები-მეთვრამეტე სატრაპია ჰეროდოტესი, დარიოსთან ანალოგი არ ეძებნება.

19.მოსხები, ტიბარანები, მაკრონები, მოსინეკები და მარები-მეცხრამეტე სატრაპია ჰეროდოტესი, მაკა დარიოსთან(ქართველური სატრაპია) შესაძლოა აქვე იგულისხმებოდეს ალაროდებიც და სასპერებიც

20. ინდოელები- მეოცე სატრაპია ჰეროდოტესი, ანალოგი არ ეძებნება დარიოსთან.

წარწერაში ვერ ხვდებიან ქართველური (და კავკასიური) ტომების უშუალო მეზობლები პაფლაგონელები,მირიანდინები, რომლებიც ჰეროდოტისეულ მესამე სატრაპიაში არიან გაერთიანებულები. მიზეზი აქაც მარტივი ჩანს; ბეხისტუნის წარწერებში ეს უკანსაკნელები კაბადოკიელთა სახელის ქვეშ არის ნაგულისხმევი. სხვა სიტუაცია ჩანს ჰეროდოტეს ეპოქაში, როდესაც ტომების რანგი უკვე დამოუკიდებული მე-18-ე სატრაპიამდე ჩანს ამაღლებული. უფრო მეტიც V-IVსაუკუნეების გასაყარზე ქრისტემდე ბერძენი მოლაშქრე ქსენოფონტე მცირე აზიაში აღწერს დამოუკიდებელ კარდუხთა (ქურთების) ტომს, რომლებიც სპარსულ გავლენას აღარ მორჩილდებიან. ასევე არ მორჩილებს სპარსელებს ქართველური ტომი, ყოფილი მე-19-ე სატრაპია, ხოლო პაფლოგონური ცხენოსანი არმია აღარ ემორჩილება სპარსელთა მოთხოვნას სალაშქროდ წვევაზე და ფეხს ითრევს.

,,კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიის მთამდე (რადგანაც ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის მმართველობა, ხოლო კავკასიისდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებმა არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა) (ჰეროდოტე წიგნი III -97, თბილისი 1975წ)

ის რომ კოლხები (თუნდაც მისი აღმოსავლეთი ნაწილი ბათუმსა და ტრაპეზუნდს შორის) განუზომლად უფრო შორს მყოფი სპარსეთის იმპერიისაგან, ვიდრე იბერია, საჩუქრებს უგზავნის სპარსეთს, გვაფიქრებინებს რომ ჰეროდოტეს მიერ მოწოდებულ პოლიტიკურ ერთეულთა, სატრაპიათა შორის იბერიაც უნდა ფიგურირებდეს. აშკარაა, ისევე როგორც დარიოსი, არც ჰეროდოტე იცნობს

იბერებს ამ დასახელებით, თუმცა რამდენიმე მტკიცებულება არსებობს, რომ მის ჩამონათვალში იბერია ფიგურირებს, თუმცა სხვა სახელით...

1.ჰეროდოტეს ჩამონათვალში მე-19-ე სატრაპიაში გაერთიანებულია შემდეგი ქართველური ტომები:მოსხები, ტიბარანები, მაკრონები,მოსინეკები და მარები. როგორც ცნობილია, ყველა ეს ტომი, გამოკლებით მოსხებისა, აღწერილი აქვს ტრაპიზუნდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ანატოლიის ზეგანზე 50 წლის შემდეგ. რაც შეეხება მოსხებს, ჰეროდოტე აქ ყველა შემთხვევაში ტაოხებს გულისხმობს, რომლებიც აქვე ხვდება ქსენოფონტეს და რომლებზეც სიტყვასაც კი არ ძრავს იგივე ჰეროდოტე. რასაკვირველია მოსხები (მესხები) და ტაოხები ერთი და იგივე ტომია, თავად ტაოხი მთიელს ნიშნავს მხოლოდ. ცხადია, მე-19-ე სატრაპიის სახელით ჰეროდოტე გაცილებით სამხრეთით მდებარე ტომებს აღწერს, ვიდრე დღევანდელი სინამდვილის მესხებს და მით უმეტეს იბერებს.

2. ის რომ ჰეროდოტეს ეპოქის იბერია უკვე დღევანდელ ტერიტორიაზე მდებარეობდა, იმავე ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაც“ ამტკიცებს, რომლის მიხედვით ნაბუქოდონოსირ -II ის მიერ დარბეული ებრაელობა მცხეთას შემოეფარა, რომელიც მე-6-საუკუნის დასაწყისს ხდება ქრისტემდე.

შესაძლოა მცხეთა -ეს მესხთა ქალაქს ნიშნავდეს, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ამას არც უნდა ჰქონდეს: ჩამოსახლების მერე ქართები საკმაოდ მალე იკავებენ ჰეგემონურ მდგომარეობას.შესაბამისად, დარიოს მეფის ეპოქისათვის იბერ-ქართები იბერიაში (არახოსიაში) მჭიდროდ ფეხმოკიდებული ჩანან.

3. წარმოუდგენელია კაცმა, ისტორიის მამად ცნობილმა, რომელმაც თვით ურალის (რიპეის) მთების არსებობაც და ადგილმდებარეობაც კი ზუსტად იცის (რომელიც 450 წლის შემდეგ არანაკლებ ცნობილ ისტორიკოსს, სტრაბონს ზღაპარი ჰგონია) არ იცოდეს იბერიის და იბერთა ტომის არსებობის შესახებ, თუმცა სავარაუდოდ სხვა სახელით.

...და სად, რომელ ადგილს, ვის სახელს შეფარულად აცხადებს მას ჰეროდოტე? საკითხი სკრუპულოზულ შესწავლას მოითხოვს, იმდენად რამდენადაც შეეხება ისტორიულ ლიაფსუსს, რომელიც ბოლო 2500 წელია მეორდება:

„აგბატანელთაგან და დანარჩენი მიდიიდან, პარიკანიებისაგან და ორთოკორიბანტთაგან -450 ტალანტი, ესაა მეათე სატრაპია“(ჰეროდოტე, წიგნი III-92)

...იქვე:

„პარიკანიელები და ასიელი (აზიელი) ეთიოპელები იხდიდნენ 400 ტალანტს. ესაა მეჩვიდმეტე სტრაპია“ (იქვე II-94) ... შემდეგ:

„პაქტიების მსგავსად ყვნენ აღჭურვილი უტიები, მიკები და პარიკანიები“ (იქვე, **წიგნი VII-68) ...** და იქვე:

„ასევე კასპიები და პარიკანიები იმის მსგავსად იყვნენ აღჭურვილნი, როგორც მათი ქვეითი ჯარი, ისინი ყველა აქლემებზე მსხდარნი მოვიდნენ“(იქვე VII-86)

...და კიდევ: **„მაშ ასე, ეთიოპთა წინანძღოლი, ეგვიპტელთა სამხრეთით მცხოვრებლებისა და არაბებისა იყო არსამი. აღმოსავლეთის ეთიოპები (ლაშქრობაში მონაწილეობდა ორი ტომი ეთიოპებისა) მიერთებული იყვნენ ინდებთან. გარეგნულად ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ, მხოლოდ ენით და თმებით. ასე, აღმოსავლეთის ეთიოპებს თმები სწორი აქვთ, ხოლო ლივიისას (აფრიკისას) ყველაზე ხუჭუჭი თმები ქვეყნიერებაზე(22)... შეიარაღებული იყვნენ ეს აზიელი ეთიოპები ინდოელების მსგავსად"(იქვე VII-70) (16)**

...და ნაწყვეტი ჰეროდოტეს ისტორიიდან, რომელმა ისტორიის ეს გორდიას კვანძი უნდა გაგვახსნევინოს:

„ჰირკანიელები სპარსების მსგავსად იყვნენ შეიარაღებული, ხოლო წინამძღოლად ჰყავდათ მეგაპანოსი, შემდეგ ბაბილონის მეურვე" (იქვე, წიგნი -VII-62)

...და საიდან მოვიდა ეს ხალხი, ჰირკანები? როგორც ჩანს საკმაოდ მრავალრიცხოვანი, იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ არავისთან კოოპერირება არ სჭირდება, ისე იმსახურებს სპარსელ სარდალს? თუმცა არა იმდენად მრავალრიცხოვანს, რომ დამოუკიდებელი სატრაპია შექმნას? (ჰირკანია როგორც დამოუკიდებელი სატრაპია, ჰეროდოტეს საერთოდ არ უჩანს ნახსენები) მას, როგორც ტომს, შემვალს რომელიმე სატრაპიაში- არც ასე არ ახსენებს ჰეროდოტე... თუმცა ჰირკანებს ახსენებს სხვა სიუჟეტში იქ, სადაც ის ჩვეულებრივ ფიქსირდება: ხორასმიების, პართების,სარანგიების და თამანელების გვერდით...ცხადია ჰირკანიელები, რომელიც ჰეროდოტეს საომარ მწყობრში ყავს მოხსენებული და რომელთაც დამოუკიდებელი წინამძღოლი უჩანთ (რაც მათი მრავალრიცხოვნების უცილობელი ნიშანი ჩანს) ასევე მოხსენებული უნდა ყოფილიყო მის მიერ სატრაპიების აღწერისას და ის ზემოთ ხსენებული პარიკანეები უნდა იყოს: **„დანარჩენი მიდია, პარიკანია და და ორთოკორიბანტები იხდიდნენ 450 ტალანტს. ესაა მეათე სატრაპია"(ჰეროდოტე; წიგნი III -92) მავანი ვ.ვ. სტრუვე (ეტიუდები, გვ 256) გვთავაზობს პარიკანიების ნაცვლად წავიკითხოთ ჰირკანები (იქვე, შენიშვნა 57)**

სტრუვეს მთელი მოსაზრება ემყარება იმ ფაქტს, რომ პარიკანიები ჰეროდოტეს სატრაპიების ჩამონათვალში ორგანაა მოხსენიებული: ერთი მეათე სატრაპიაში, მეორე მეჩვიდმეტეში. რასაკვირველია ერთ-ერთი პარიკანია-ეს ჰირკანია უნდა იყოს, რომლის მრავალრიცხოვანი შეიარაღებული მეომარი მონაწილეობს სპარსეთ-საბერძნეთის ომში. სტრუვეს მოსაზრებით, ჰირკანები-ეს მეათე სატრაპიაში ნახსენები პარიკანიები უნდა იყვნენ, სინამდვილეში მეჩვიდმეტე სატრაპიაში აზიელ ეთიოპებთან ნახსენები პარიკანიაც ჰირკანია ჩანს...

თავად პარიკანიები? **ტომი ცენტრალურ სპარსეთში, როგორც ჩანს ორ სხვადასხვა ადგილას მცხოვრები, გაერთიანებული X და XVII სატრაპიებში**-ასეთი ახსნაა ამ ტომისა იგივე ჰეროდოტეს საძიებელში. საყურადღებოა, რომ ტომს დასა-

ხელებით პარიკანიები-ჰეროდოტეს მიერ ნახსენები ამ კონკრეტული სიტუაციის გარდა არსად და არასდროს არავინ არ ახსენებს...

რაც შეეხება ჰირკანთა ტომს, ის ზუსტად იქ არის საძიებელი, სადაც ის აქვს აღნშნული ჰეროდოტეს- მიდიაში, თუმცა ჰირკანიის დაუფლებისათვის დაუსრულებელი ომი მიმდინარეობდა მიდიასა და პართიას შორის.ტომის სპარსული დასახელება **ვორკანა** არის...და მეორე, დასახელებული აზიის ეთიოპებთან ერთ სატრაპიაში?

„კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის ცხოვრობს, აღმოსავლეთის ხალხი, იბერები,რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ პირენეებიდან და სასტიკი ბრძოლა აკიდეს ჰირკანებს“(დიომოსე პერიგეტი, 1-2 საუკუნე)

...რასაკვირველია კავკასიელი იბერები პირენეებიდან არ ჩამოსულან-ისინი იმავე ტეარკონ ეთიოპის მოწყობილი მიგრაციული ექსპედიციის კავკასიური შტო უნდა იყოს, იბერები და ქართები. ტეარკონ ეთიოპის (სინამდვილეში თარხონ ქუშის მიგრაციული ექსპედიცია მცირე აზიიდან დასავლეთისკენაა მიმართული, იმავე დროს იბერებისდა ქუშების სხვა ექსპედიცია იმავე მცირე აზიიდან ჩრდილოეთისკენაა მიმართული (სავარაუდოდ, სხვა ექსპედიციები სხვა მიმართულებებით უნდა ყოფილიყო მიმართული, სავარაუდოდვე სხვა ქართველური ტომის თარხონების წინამძღოლობით)...ხაზს ვუსვამ , რომ ექსპედიციები აბსოლუტურად მშვიდობიან ხასიათს ატარებს, ქვეყნიერების დაუსახლებელი ნაწილების ასათვისებლად, ვ.წ. აღრიცხვამდე XXV საუკუნეს.
აღსანიშნავია, მრავალი საუკუნე იბერ-ქართებს მეზობელი ტომი არ ჰყოლიათ.
... მხოლოდ თითქმის X საუკუნის შემდგ ჩნდებიან ჩრდილოეთში სკვითი მომთაბარეები... (ამ და მსგავსი თემების განხილვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ წიგნის II ტომში)

...და აი მთელი 18 საუკუნის მერე გელთა მცირე აზიიდან ლტოლვილი ტომი (ლტოლვის მიზეზებზე ამჯერად ვერ ვისაუბრებთ) კაპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროს გავლით ტოვებს კავკასიას. მათი ერთი ნაწილი კავკასიაში დარჩენას არჩევს, კავკასიის ქედის გაღმაც და გამოღმაც...ზუსტი თარიღი 686 წელი ქრისტემდე...შუა საუკუნეებში ქედს გაღმელ გელებს-დურძუეკებს ეძახდენ ქართველები, ახლა ინგუშებს. ქედს გამოღმელ გელებს- ჰერებს ეძახდნენ, დღეს ინგილოებს, ყოფილ გელებს...ანტიკურ ხანაში სპარსეთის იმპერიაში მობინადრე გელებს- ვორკანებს, ეძახდნენ სპარსები, ჰრკანებს-ანტიკური სმყარო. ქედ -გადაღმა მცხოვრებ გელებს -ბორკანებს ეძახდა იგივე ანტიკური სამყარო. (23)აი მ გელებთან-ჰერებთან უჩანთ კონფლიქტი თავიდან იბერ-ქართებს, მაგრამ დარიოს I ზეობისას, VI საუკუნის ბოლოს, ერთ-არახოტიის სატრაპიაში მოჩანან გაერთიანებული,უკვე ჰირკანების სახით (ჰეროდოტესათვის). და მართლაც, იმავე ჰირკანები ჰეროდოტესთან მიდიელების გვერდით არის ხსენე-

ბული (როგორც ჩანს ქვეითები). პაქტიებისდა უტიების გვერდით, ასევე ქვეითები,პარიკანიელების სახელით და კასპიების გვერდით-ამხედრებულები აქლემებზე.

სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ აზიელი ეთიოპები ჰეროდოტესი-ეს იბერ-ქართია, მათთანვე ნახსენები პარიკანიები-ჰირკანები! (აფრიკელ ეთიოპთა კუშანთა ტომის და აზიელი „ეთიოპების“, ქართველი ქუშების სახელწოდებების ფაქტიური თანხვედრის საკითხის კვლევა სცილდება წიგნის ფორმატს) არახოსია-ჰირკანების ერთ სატრაპიაში გაერთიანება-ეს კავკასიური გაერთიანებაა, მაშინ როდესაც მაკედონელის ლაშქრობისას კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ჰირკანია ისევ პართიასთან ჩანს გაერთიანებული, ხოლო არახოსია (აზიელი ეთიოპები) მისსავე უახლოეს ნათესავებთან, დრანგებთან (საკებსა და კასპებთან) და კავკასიელ გელებთან-ჰერეთან...

შესაბამისად, დარიოსისეული და ისიდორე ხარასკელისეული არახოზია ჭეშმარიტად იბერ-ქართების პოლიტიკური წარმონაქმნია, ჰეროდოტესეული ჰირკანები (პარიკანიელები) და აზიის ეთიოპები...და რატომ ეთიოპები?
იბერიელი (თუ ქართი) მეგასთენეს ცნობით, ტეარკონ ეთიოპმა-სინამდვილეში თარხონ- ქუშმა ჰერაკლეს სვეტებს (გიბრალტარის სრუტეს) მიაღწია. მიაღწია მას ჩვ წ. აღრიცხვამდე XXVსაუკუნეს...ჭეშმარიტად აღსანიშნავი მოვლენაა, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად უფრო მნიშვნელოვანია, რომ იმ შორეულ დროშიც ამ კუშის (ქართველთათვის ქუშის) ტომის წარმომადგენელს იმ დროისთვისაც ეთიოპი ჰქვია! არ ვიქნები თავმდაბალი და ვიტყვი, რომ ჩემთვის ამ ტომია უძველესი, ფაქტიურად პირველი სახეელწოდებაც ცნობილია, თუმცა ის აბსოლუტურად არ ემთხვევა მეორე სახელს-ქუშს...მით უმეტეს ელამიტს... საიდან და როგორ ღებულობს ეს ტომი ამ სახელს, ჩემთვისაც უცნობია. რგორც ზემოთ ვილაპარაკე, თარხონ ეთიოპის პირენეული ექსპედიციიც პარალელურად ჩანს კავკასიური ექსპედიციაც ჩატარებული. შესაბამისად, ქუშის, ქართულ ნაწილს მაშინაც ეთიოპი უნდა რქმეოდა. მეტიც, ჩვ.წ .აღრიცხვამდე 1280 წელს, ტროელთა დასახმარებლად ჩასულ ელამიტ მემნონს ჯერ კიდევ ეთიოპი ერქვა. ის ვერ იქნებოდა აფრიკელი ეთიოპი, ვინაიდან აფრიკის ეთიოპია ტროას ომიდან ერთი თაობის მერე დაასახლეს მცირე აზიიდან მიგრირებულმა ელამიტებმა. შესაბამისად, იმ დროისათვის ელამიტებს -სუზელებს ჯერ კიდევ ეთიოპები ჰქვით...(24)

„ინდოელებისა” და არახოტების მეზობლობა-ნათესაობის საკითხში გარკვევა უჭირს სტეფანე ბიზანტიელსაც, რომელიც სავარაუდოდ მე-6-ე საუკუნეში მოღვაწეობს:

„არაქოტები, ქალაქი ინდოეთისა, მდინარე არაქოტასაგან, რომელიც კავკასიიდან გამომდინარეობს, როგორც ამბობენ ფავორინე და სტრაბონი XI წიგნში. არ-

იან აგრეთვე სხვა არაქოტებიც, მასაგეტების მახლობლად (იგულისხმება სატ-
რაპია საკა, თუმცა ეს არაქოტები დიდი ხნის უკანადგილნაცვალნი არიან)**, რო-
გორც ამბობს სტრაბონი XI წიგნში"**
(გეორგიკა, ტომი III; სტეფანე ბიზანტიელი, გვ-276, 1936 წ)

სტეფანე ბიზანტიელის ცნობითაც,არაქოტები და ინდები-ეს ერთი და იმა-
ვე ხალხია,თუმცა სტრაბონის გავლენით მასაც ისინი ინდოეთში ეგულება. თუ-
მცა სტეფანე ბიზანტიელმა იცის სხვა არახოტების არსებობაც, რომელიც მას მა-
საგეტების გვერდით ეგულება, შუა აზიაში...

**„ამ ნეტარი კონსტანტინეს დროს წმინდა ნათლისღება მიიღეს აგრეთვე შინა-
განმა ინდებმა და იბერიელებმა. სომხებმასც სრულიად ირწმუნეს ქრისტე თა-
ვის მეფე ტირიდატესთან ერთად მათი ღვაწლმოსილი მოწამისა და მთავარეპი-
სკოპოსის, დიდი გრიგოლის მეშვეობით" (იქვე, ტომიIV ნაწილი II გიორგი ამარ-
ტოლი, გვ311, 1952 წ)** და იქვე შენიშვნა გამომცემელისა, ალბათ სიმონ ყაუხჩი-
შვილისა **„შინაგანი ინდოების სახელით ეთიოპები იხსენებიან"**

დასავლურ ლიტერატურას, მოყოლებული ჰესიოდედან, ეთიოპებისათ-
ვის არც არასდროს დაუძახია ინდები,მით უმეტეს შინაგანი ინდები...და ინდო-
ეთი, მით უმეტეს შინაგანი ინდოეთი არც არასდროს გაქრისტანებულა... ცხა-
დია გიორგი ამარტოლი ტექსტში მხოლოდ კავკასიის შესახებ საუბრობს... შინა-
განი ინდები და ეთიოპები ერთი და იმავე ხალხია...გიორგი ამარტოლის ეს შე-
ნიშვნა არახოტიის, იმ პირვანდელი იბერიის ტომობრივი შემადგენელის გრა-
დაციის საშუალებასად კი იძლევა:

1.არახოტები-ესენი არახოსიის-იბერიის იბერიული შემადგენელია.
2.უშინაგანასე ჰინდონი,არახოსიის-იბერიისქართული შემადგენელია.
3.ასაკენები-არახოსიის, იბერიის ფხოვური შემადგენელი.

**„ხოლო ის ეთიოპები, რომლებიც მზის აღმოსავლიდან იყვნენ (ორივე ეთიო-
პები იღებდნენ ლაშქრობაში მონაწილეობას) ინდოელებთან იყვნენ დაყენებუ-
ლი. ეს ეთიოპები შესახედავად ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან,
გარდა ენისა და თმებისა, მზის აღმოსავლელი ეთიოპები სწორთმიანები არიან,
ხოლო ლიბიელ ეთიოპებს ყველ ხალხებზე უფრო ხუჭუჭი თმები აქვთ. ის ეთი-
ოპები, რომლებიც აზიიდან იყვნენ, ძირითადად ინდოელებივით იყვნენ აღ-
ჭურვილი, მხოლოდ თავებზე ეხურათ ცხენის თავიდან გადაძრობილი ტყავი,
გატყავებული ყურებიანად და ფაფარს ხმარობენ ისინი მუზარადის ბიბილოს
მაგივრად, ხოლო ცხენის ყურები სწორად ჰქონდათ დაყენებული. ფარების მა-
გივრად ეჭირათ წეროს ტყავი" (ჰეროდოტე, წიგნიVII-70)**

ჰეროდოტე აქ მკაფიოდ აღნიშნავს აზიელი და აფრიკელი „ეთიოპების"
სხვაობას ენასა და თმაში (25) რაც შეეხება კანის ფერს, ამ თემაზე ყურადღების
გამახვილება მხოლოდ მეორე საუკუნეში, ფლავიუს არრიანეს ეპოქის შემდგომ

ხდება.რაც შეეხება ბოლო წინადადებას ფარის შესახებ, შეუძლებელია ის ჰეროდოტეს კალამს ეკუთვნოდეს, ესოდენ რეალისტურ მწერალს: წეროს ტყავი მის პატრონს ვერ იცავს მტაცებელი ფრინველის ჭანგებისაგან, არამცთუ მეომარს მოწინააღმდეგის ფოლადის იარაღისაგან. ეს წინადადება გვიანი საუკუნეების ეგზოტიკის მაძებართა ჩანართი ჩანს. ცხადია მე-17 -სატრაპია, პარიკანიელების (ჰირკანების) გამოკლებით-ეს იბერიაა!

აქედან, იბერიიდან-არახოსიიდან, აგზავნის ელჩობას სელევკ ნიკატორი-ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრე ინდოეთში და აქვე იბერიელი და იბერია-შივე მცხოვრებლები მეგასთენესათვის არაა უცხო იბერიელთა და „ეთიოპთა“ ისტორიული გზის გარკვეული მონაკვეთი და არა შორეულ ავღანეთში მცხოვრებისათვის. მისთვის რასაკვირველია იბერები-ეს უკვე იბერთა ტომია და არა არახოტები თუ თეთრი ინდები, (როგორც პართები ეძახიან, ისიდორე ხარასკელის მიხედვით)

რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის მიერ ,,დაქირავებული ინდი მეომრების“ ღალატით ამოწყვეტას, სრული პასუხისმგებლობით ვაცხდებთ, რომ იბერიის დანაოჭებულ ზეგანზე ერთმანეთს ძირითადად პელაზგური და დორიული (აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართული) გენი ებრძოდა:

1. ალექსანდრე მაკედონელი, პელაზგი აქილევსის პირდაპირი შთამომავალი დედის მხრიდან, თავად დორიელი.(მამისეულ ხაზს არ შევეხებით...)

2.ალექსანდრეს „ანთემუნტელი მეგობრები“ ...

3.პელაზგთა დასავლეთი შტო, ილირიელი მეომრები, ზანები და ზიხები.

4.ქართები და იბერები, პირველმოსახლენი-შესაბამისად დორიელი და პელაზგი...

სამწუხაროდ მრავალი პელაზგყოფილის და დორიელის მზე დაბნელდა სამუდამოდ იმ დღეს... სხვათაშორის ორივე მხრიდან!

ხემ თქვა რკინა ვერაფერს დამაკლებდა ჩემივე ჯიში რომ არ ეხმარებოდესო!.....

„ანთემუნტელი მეგობრები“

ვის გულისხმობს ფლავიუს არრიანე (უფრო სწორედ მაკედონელის მემუარების ავტორები) ,,მეგობრების“ ქვეშ? მათი ვინაობა არ ჩანს არც დიოდორე სიცილიელის და არც ფლავიუს არრიანეს მიერ აღწერილ მაკედონელის ლაშქრობის ისტორიაში. ,,მეგობრები“ ფლავიუს არიანეს მიხედვით ჩანან როგორც მხედრები, ასევე ფეხოსნებიც. მეგობრების რიცხვში, ფლავიუს არრიანეს სიტყვებით, ცალკეული მაკედონელებიც შედიან, შედიან აგრეთვე ცალკეული ბერძნებიც, თუმცა „მეგობრების“, გამორჩეულად უძლიერესი მხედრების ძირითად

ბირთვს სრულიად სხვა ხალხი უნდა წარმოადგენდეს. მათ შესახებ მინიშნებას ისევ არრიანეს ნაწერებში ვპოულობთ:

„წინა მარჯვენა ფლანგზე მათ მოპირდაპირედ იდგა ფილოტა, პარმენიონის ვაჟი, „მეგობარ“ მხედრებთან, მათ უკან იდგა ამინტა, არაბეის შვილი. მხედარ-შუბოსნებთან ერთად...გვერდით იდგნენ „მეგობრებიდან“ ფაროსნები ნიკანორის მეთაურობით, პარმენიონის შვილისა....მარცხენა ფლანგზე პირველი იდგა თესალიური მხედრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კალატი, გარპალის ვაჟი, მას უკან იდგნენ მოკავშირეთა მხედრობა, რომელიც მოყავდა ფილიპს, მენელაოსის შვილს, მათ უკან თრაკიელები, რომელიც მოყავდა აგაფონს“

(ფლავიუს არრიანე, ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი 1; 14-1)

მართალია ფლავიუს არრიანესთან ლაპარაკია მხედარ და ქვეით „მეგობრებზე“, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად აქცენტს მხედრობაზე, კავალერიაზე გავაკეთებთ: ფლავიუს არრიანე აქ ზუსტად ჩამოთვლის მხედრობას ეთნიკური მიკუთვნებულობის მიხედვით, რომლებიც არ წარმოადგენენ „მეგობრებს“: თესალიური მხედრობა, მოკავშირეთა (ბერძნული) მხედრობა, თრაკიული მხედრობა. ჩამოთვლილია ალექსანდრე მაკედონელის კავალერიის ფაქტიურად ყველა ეთნიკური ნაწილი, რჩება ერთადერთი ალტერნატივა: „მეგობარი“ მხედრები მაკედონელები არიან,თუ ისინი არ მოიაზრებიან არრიანესეულ შუბოსან მხედრებში ამინტას სარდლობით! მაგრამ...

„ალექსანდრე მიდიოდა წინ, და როგორც კი (სავალი) ოდნავ გაგანიერდა, მან წინ წასწია მხედრები, ეგრეთ წოდებული „მეგობრები“, თესალიელები და მაკედონელები“ (იქვე, წიგნი 2: თავი 8-9)

ცხადზე ცხადია, რომ მეგობარი მხედრები არც ეთნიკური მაკედონელები ყოფილან! შესაბამისად მაკედონელი მხედრობა წინა ამონარიდში შუბოსნებად იგულისხმება...ვინ შეიძლება ალექსანდრე მაკედონელის მხედარ„მეგობრებში“ იგულისხმებოდეს? რასაკვირველია მხოლოდ და მხოლოდ ისინი, ვინც მაკედონიის სამეფოში არ შემავალია და ალექსანდრე მაკედონელის არც ხელქვეითია და არც მოკავშირე! ვერსიის სისწორის ქრესტომათიული მაგალითია ალექსანდრეს თანამებრძოლის, „კანონიკური სარდალის“, კენის ისტორია: ამ აღიარებულ სარდალს ფლავიუს არრიანე ასევე „მეგობრის“ზედწოდებით იხსენებს:

„ამ დროს ავადმყოფობით გარდაიცვალა კენი, ერთ-ერთი უერთგულესი „მეგობარი“ ალექსანდრესი“ (იქვე; წიგნი VI თავი 2)

...მაგრამ კენი ხომ წმინდა სისხლის მაკედონელია?! -როგორც ირკვევა არა!

„მაგალითად მან (ატტალმა) დახმარება გაუწია დემეტრიოს, სელევკის შვილს, დაემარცხებინა ომში ალექსანდრე, ანტიოხის შვილი. ხოლო რომაელთა მხარეს იბრძოდა ფსევდო-ფილიპის წინააღმდეგ და ლაშქრობაში თრაკიის წინააღმდეგ დაამარცხა დიაგელი, კენების მეფე“ (სტრაბონი;გეოგრაფია, წიგნი XIII; IV-2)

როგორც ეტყობა, სარდალი კენიც ზემოხსენებული ტომის წარმომადგენელია, რომელიც ყმადნაფიც (სატელიტურ) მდგომარეობაშია მაკედონიასთან. ფაქტიურად ისინი არც მაკედონელები ჩანან, თუმცა ვერც მოკავშირის (როგორც ცალკეული ელინური პოლისები) სტატუსამდე ამაღლებულან! ის, რომ

მაკედონიას გააჩნია დაქვემდებარებული და სატელიტი ქვეყნები, აღნიშნული აქვს თუკიდიდეს:

„მაკედონელებად ითვლებიან ლინკესტები, ელიმიოტები და სხვა ტომები ზემოთა მხარეში, მაკედონელთა მოკავშირე და ვასალები, თუმცა მართული საკუთარი მეფეების მიერ“(თუკიდიდე; პელოპონესის ომების ისტორია, წიგნი II-99)

(მკითხველო, ელიმიოტები იგივე ელამელთა ტომი ჩანს, უკვე ევროპაში მცხოვრები- გამომდინარე ყველა შედეგებით...) მაკედონიის გვერდზე და მახლობლად კი ეპირი ჩანს ის სახელმწიფო, რომელიც არც საბერძნეთში შემავალი ქალაქი-პოლისია და არც ალექსანდრე მაკედონელის ოფიციალური მოკავშირე. ეპირი მაკედონელის ფაქტობრივი მეორე სამშობლოა (მკითხველს შევახსენებ, რომ ალექსანდრეს დედა ოლიმპიადა, ეპირის მეფის ქალიშვილი გახლდათ, რომელლსაც საგვარეულო ხე აქილევსიდან მოყავდა!) ზუსტად ეს სახელმწიფო არ იხსენიება ალექსანდრე მაკედონელის შესახებ დაწერილ არც ერთ დოკუმენტალურ-ლიტერატურულ ძეგლში, თუმცა მაკედონიის დაპყრობით ომებში არ მონაწილეობა მაკედონელმა მისგან განუზომლად შორს მდგომ ლაკედემონსაც კი არ აპატია! შესაძლებელია, რომ ალექსანდრე მაკედონელის „მეგობარი“ მხედრობის ბირთვს ეპირელი (კოლხყოფილი და როგორც ჩანს ჯერ კიდევ არა მთლიანად ელინიზირებული) მხედრობა წარმოადგენს. სავარაუდოდ ისინი წარმოადგენენ ქართული მატიანის „არიან ქართლს“. მართალია მხედარი „მეგობრების“ ძირითადი ბირთვი ეპირელები ჩანან, თუმცა ფლავიუს არრიანე ანთემუსიელ „მეგობრებსაც“ ასახელებს , განსხვავებით სხვებისაგან მრავლობით რიცხვში:

,,აკსაის იქით, სტრიმონამდე ისინი ფლობენ ქვეყანას, წოდებულს მიგდონიად. აქედან მათ განდევნეს ედონები. მაკედონიამ დაიმორჩილა და ფლობს ახლაც სხვადასხვა ადგილებს, ადრე სხვა ტომების საკუთრებას, როგორიცაა ანფემუნტა, გრესტონია, ბისალტია და საკუთრივ მაკედონური მიწების დიდი ნაწილი.“ (თუკიდიდე; იქვე. წიგნი II-99)

წიგნზე დართული თანამედროვე განმარტებით, ანფემუნტა -ეს ადგილმდებარეობაა მდინარე აქსაის და სტრიმონს შორის. განმარტება საკმაოდ ზოგადია. საქმე ისაა, რომ მდინარეებს აქსაის და სტრიმონს შორის მოქცეულია მაკედონიის საკმაოდ დიდი ნაწილი. რაც ანფემუნტას ადგილმდებარეობის ლოკალიზაციას აძნელებს, ხოლო ანფემუნტელთა ეთნიკურ მიკუთვნებულობას საერთოდ ვერ ხსნის! ანფემუნტის ადგილმდებარეობის ლოკალიზაციისათვის და ანფემუნტელთა ეთნიკური მიკუთვნებულობის განსასაზღვრავად ვსარგებლობთ რამდენიმე მოსაზრებით.

1. თუკიდიდეს ციტატიდან ჩანს, რომ ის ანფემუნტას გამოყოფს საკუთრივ მაკედონიური ტერიტორიიდან , ანფემუნტელებს - მაკედონელებისაგან. წიგნი პელოპონესის ომების ისტორიაზე დაწერილი ჩანს ამ ომის დამთავრების შემდგომ. შესაბამისად ანფემუნტაც ამ ომის შემდგომ პერიოდში ჩანს მაკედონიის მიერ მიერთებული-ინკორპორირებული.

2. მაკედონელი სამხედრო ვალდებული, ყოველგვარი,,მეგობრობის“გარეშე უნდა გაჰყოლოდა თავის სუზერენს, ალექსანდრე მაკედონელს ომში და ეს მისი პირდაპირი მოვალეობა იყო.

3. ალექსანდრეს თანაშეზრდილი თანატოლი მაკედონელები, ყოველგვარი ეპითეტის „მეგობრის“ გარეშე იკავებენ საკვანძო თანამდებობებს მის მიერ მოწყობილ ლაშქრობაში.

4.ზემოთ მოყვანილ ციტატაში თუკიდიდე თავად უწოდებს ანთემუნტას სხვა ტომების საკუთრებას.

ამრიგად ,, მეგობრების“ მაკედონურობა ფაქტობრივად გამორიცხულია და მათი ვინაობა არამაკედონელებში უნდა ვეძებოთ. შესაბამისად ანფემუნტა ომის პერიოდში საერთოდ ვერ მოიაზრება მაკედონიის სახელმწიფოს მაკედონურ ტერიტორიებთან გაიგივებულად, თუმცა პელოპონესური ომის შემდეგ ,ანფემუნტა უკვე მაკედონიის ვასალი ჩანს! ის რომ მაკედონიას გააჩნია დაქვემდებარებული და მოკავშირე ქვეყნები, აღნიშნული აქვს თვითონ თუკიდიდესაც. (იხ.ზემოთ) კიდევ ერთხელ ახსენებს ანფემუნტას თუკიდიდე:

„უფრო დასავლეთით-ბოტიკიასა და პიერიაში - თრაკიელები არ წავიდნენ, მაგრამ დაიწყეს გავერანება მიგდონიისა, გრესტონიისა და ანფემუნტასი.“ (თუკიდიდე. იქვე II-100)

ცხადია, ანფემუნტა - მიგდონიის მახლობლად მდებარე ტერიტორიაა, ისევე როგორც გრესტონია, მაგრამ მათთგან ცალკე მდებარე და არა მაკედონელებით დასახლებული. ტერიტორიები აშკარად არათრაკიული ჩანს, ისევე როგორც მოსახლეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას თრაკიელთა (ოდრისთა) მეფე სიტალკი არ დაარბევდა.

,,ქალაქში იყვნენ ასევე არგილიდან ჩამოსახლებულები (ანდროსის კოლონია) და ზოგიერთი სხვები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ შეთქმულებას... განსაკუთრებით ეხმარებოდნენ მოღალატე არგილელები. ცხოვრობდნენ რა ამფიპოლის ახლოს, ისინი დიდი ხნის წინათ იწვევდნენ ეჭვს ათენელებში ამ ქალაქზე თავიანთი პრეტენზიების გამო. არგილელებმა უკვე დიდი ხნის წინ დაიწყეს მოლაპარაკებები თავიანთ თანამემამულეებთან ამფიპოლში ქალაქის ჩაბარებაზე”(თუკიდიდე იქვე წიგნი IV-103)

თუკიდიდე თვლის, რომ ედონელები და არგილები -ეს სხვადასხვა ხალხია და ამფიპოლის ათენის დამოკიდებულებებისაგან განთავისუფლება მხოლოდ არგილიელთ ინტერესშია.

,,ბრასიდმა ამფიპოლის აღების შემდეგ, გაილაშქრა მოკავშირეებთან ერთად ნახევარკუნძულზე, აკტე-დ წოდებულა (ხალკიდიკის აღმოსავლეთი ნახევარკუნძული)...მთავრდება (აკტე-ს ნახევარკუნძული) ეგეოსის ზღვაში შეჭრილი მაღალი მთით ათონი. იქ არსებობს შემდეგი ქალაქები: სანა, ანდროსელების

კოლონია, პირდაპირ არხთან ევბეის სანაპიროს წინ; ფისი, კლეონი, აკროფიო და დიი. მათი მოსახლეობა ბარბაროსულია და ორენოვანი. მცირე ნაწილი- ხალკიდელები, <u>ძირითადად კი ესენი- პელაზგებია, ეტრუსკული წარმომავლობისა, რომლებიც ცხოვრობდნენ ლემნოსში და ათენში; ბისელტი, კრესტონი და ედონელები.“ (თუკიდიდე იქვე, წიგნი IV-109)</u>

ერთმნიშვნელოვანია, რომ ავტორიტეტული წყარო თუკიდიდეს სახით პელაზგების და ეტრუსკების უმჭიდროეს ნათესაობას (ფაქტიურად იდენტურობას) აღნიშნავს! კონტექსტის მიხედვით თითქოსდა გაურკვეველია ბისელტების, კრესტონელების და ედონების პელაზგურობის საკითხი, ეხება თუ არა თუკიდიდეს წინადადება მათ:

,,რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ პელაზგები, ამის თქმა არ შემიძლია დანამდვილებით. ხოლო თ უ შესაძლებელია იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ახლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენთა ზემოთ ქალაქ კრესტონში და რომლებიც ოდესღაც ემეზობლებოდნენ ახლა დორიელებად წოდებულებს (მათ ეკუთვნით ის მიწა, რომელიც ახლა თესალიოტიდად იწოდება) ანდა თუ შეიძლება მიხვედრა იმ პელაზგების მიხედვით, რომლებიც ჰელესპონტში ცხოვრობდნენ, პლაკიესა და სიკელიეში და რომლებიც ათენელებთან იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებულები და ასევე პელაზგური დასახლებული პუნქტების მიხედვით, რომლებმაც სახელები გამოიცვალეს, თუ ამის მი ხედვით შეიძლება მიხვედრა, მაშინ პელაზგები ლაპარაკობდნენ ბარბაროსულ ენაზე. თუ მთელი პელაზგური ტომი ასეთი იყო, პელაზგური მოდგმის ატიკურმა ტომმა, ელინური რომ გახდა თავისი ძველი ენაც დაივიწყა. რადგან არც კრესტონელების ენა ჰგავს მეზობელთაგან ვინმეს ენას. არც პლაკიელების, ხოლო ამ ორი ქალაქის მოსახლეობის ენა კი საერთოა, ცხადია რომ როდესაც გადავიდნენ ამ ადგილებში, შეინარჩუნეს ენის თავისებურებები და ამას იცავენ.“ (ჰეროდოტე ისტორია წიგნი 1-57)

...ყურადღება! ჰეროდოტე ქალაქ კრესტონის მოსახლეობას აღწერს, როგორც პელაზგებს, ჩრდილოეთ საბერძნეთში მდებარეს, მისივე სიტყვებით პელაზგების ყოფილ სამშობლოში...მაგრამ იგი მიანიშნებს აქვე, მათგან ქვემოთ (სავარაუდოდ სამხრეთით) მცხოვრებ ტირსენებსაც, რომლებიც აქვე ცხოვრობენ, საბერძნეთის და არა იტალიის ტერიტორიაზე! ყველა ნიშნით, ესენი თუკიდიდეს პელაზგყოფილი ეტრუსკები ჩანს! მინიშნება ჰეროდოტეს და თუკიდიდეს ცნობათა ერთობლიობისა, შეთანასწორებული ასევე არქაულ ცნობებთან, პელაზგყოფილ ტირსენების ვინაობის გარკვეულ გასაღებს იძლევა! (აქ შევჩერდეთ! ტირსენყოფილი ეტრუსკების თემა სცილდება წიგნის ფორმატს)

ჰეროდოტეს კრესტონი - ეს ის თემია, რომელიც თუკიდიდეს ბისელტებსა და ედონებს შორის აქვს მოხსენებული, თუმცა ჰეროდოტე დანარჩენების პელაზგობას არ აღნიშნავს. ის, რომ თრაკიელი (ოდრისი) სიტალკი არბევს გრესტონი-

ას, ანფემუნტას, მიგდონიას და ამავე დროს ხელს არ ახლებს ბისალტიას, ამ უკანასკნელ ტომის თრაკიულობაზე უნდა მეტყველებდეს. მართალია კრეს-ტონებს და ბისელტებს ერთი მეფე ყავთ, მაგრამ ეს მეფე, სახელით თრექსი თრაკიელი ჩანს, შესაბამისად ბისელტები, **თრაკიელებია (ჰეროდოტე VIII-116)**

...და არგილიელებ ი ვინ არიან, ქალაქ ამფიპოლის ათენისაგან გამოხსნაში ესო-დენ მოწადინებული? ჰეროდოტეს მიხედვით, აგილელები (ამ სათემო სახელი-საგან ჩანს ნაწარმოები მათივე ქალაქის სახელი) ეტრუსკები (ტირსენები) არიან **(ჰეროდოტე წიგნი 1 კლიო -167)**

,,ედონები და ბისლეტები ცხოვრობდნენ ქვეყნის დანარჩენ ნაწილში (იგულის-ხმება მაკედონია) სტრიმონამდე. ამ თემებიდან მხოლოდ უკანასკნელნი სახელ-დებოდნენ ბისელტებად, ხოლო ედონებიდან ერთნი ატარებდნენ სათემო სახ-ელს მიგდონები, მეორენი ედონები, მესამენი სიფონები, ყველა ამ ხალხებზე დაამყარეს თავიანთი ბატონობა ეგრეთ წოდებულმა არგეადებმა, ასევე ხალკი-დელებმა ევბეიდან. (სტრაბონი; წიგნი VII ფრაგმენტი 11)

სტრაბონის ნახსენები არგეადები სხვა არავინაა, თუ არა იმავე თუკიდი-დეს „საეჭვო არგილიელები“ რომლებსაც ეს კუთხე სტრაბონის ეპოქისათვის უკვე დაქვემდებარებული უჩანთ. როგორც თუკიდიდე აღნიშნავს, მათ ამ კუთ-ხის მიმარ პრეტენზიები თუკიდიდეს პერიოდშიც ჰქონიათ და სავარაუდოდ მაშინვე შესძლეს მისი დაქვემდებარება. ეს მხარე, თესალიასა და მაკედონიას შორის V-IV ს. ჩვ.წ. აღრიცხვამდე, მთლიანად პელაზგური- ეტრუსკულია, პრო-ტოიბერიული. უდავოა, რომ ანფემუნტა ამ რეგიონში მდებარე ტერიტორიაა, თუმცა ანთემუნტასა და ამფიპოლს შორის პირდაპირ ტოლობის ნიშნის დასმა შეუძლებელია:

1. თუკიდიდე თითქმის გვერდი-გვერდ ხმარობს ტერმინს ანფემუნტა და ამფი-პოლი, თუმცა ერთმანეთთან არ აიგივებს მათ.

2. თრაკიელთა (ოდრისთა) მეფე სიტალიკი, რომელიც ათენის მოკავშირის რო-ლში გვევლინება, არბევს მაკედონიის მეფის პერდიკას დაქვემდებარებულ ტე-რიტორიებს, მათ შორის ანფემუნტს, მაგრამ არა ამფიპოლს! ამფიპოლი ამ დრო-ისთვის ათენის ხელქვეითი ქალაქია, შესაბამისად არ შედის ანფემუნტში.

3. ქალაქ ამფიპოლს ახლო-მახლოს არგილები ცხოვრობენ, რომელნიც ქალაქში მცხოვრები არგილების მეშვეობით ცდილობენ ათენელების გავლენისაგან გან-თავისუფლებას. ცხადია ქალაქი არგილის ტერიტორიაზეა განლაგებული.

4. არგილი ქალაქ სტაგირთან ერთად იხდის 1000 დრახმას ყოველწლიურად (რასაკვირველია არა ნებაყოფლობით) ათენის კავშირის მონაწილეა და ვერ იქ-ნება მაკედონიის მეფის ხელქვეითი.

5. თავად ქალაქი ამფიპოლი არც თუ შორეულ წარსულში ჩანს დაპყრობილი ათენელებისაგან: ამფიპოლის დაპყრობი ათენელი გაგნონი ცოცხალია და ელ-

ჩის რანგში იმყოფება თრაკიის მეფე სიტალიკთან.

6. თავად ხალკიდა იმ დროისათვის უკვე დორიული ჩანს. არგეადების დორიულ ორიენტაცია ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ პელოპონესის ომში ისინი ლაკედემონს (სპარტას) უთანაგრძნობენ. ასევე დორიული ჩანს ქალაქი სტაგირიც, რომელიც იბრძვის ათენის (იძულებითი) კავშირიდან გამოსასვლელად. ასევე (დორიელ) ხალკიდელთა და დორიული ორიენტაციის ანდროსელთა კონფლიქტი (იონიურ) ერეტრესათან, მათი ტომობრივი სხვაობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ცხადია, ათენის მოკავშირე სიტალკი ათენის ხელდებულ ტერიტორიებს არ დალაშქრავდა. არ დაურბევია მას არც ქალაქი ამფიპოლი და არც ათენის კავშირში მყოფი არგილიელები ქალაქი არგილით. ტერიტორიებს რომელსაც ოდრისების (თრაკიელების) მეფე სიტალიკი არბევს (რომელიც ამ დროისთვის მაკედონიის მეფე პერდიკას გავლენის ქვეშ იმყოფება და რომელსაც თუკიდიდე ჯიუტად თრაკიულ ქალაქებად მოიხსენიებს) თუკიდიდე ასე ასახელებს: მიგდონია, გრესტონია და ანთემუნტა. მიგდონია, სტრაბონის მიხედვით, მოიცავს თავად მიგდონებს, სიფონებს და საკუთრივ ჰედონებს. (მიგდონია- სიფონია-ჰედონიის საკითხი ცილდება წიგნის თემას) გრესტონია-კრესტონია, ეს ადგილობრივ პელაზგები ჩანს, რაც შეეხება ანფემუნტას, მის ეთნიკური შემადგენლობა ჯერჯერობით უცნობია. გარდა თუკიდიდესი, ანთემუნტას ახსენებს სხვა ანტიკური ავტორი,პლინიუს უფროსიც(26)

,,მარშრუტის სიგრძე კუნძულის (სამოსი) ირგვლივ 600 სტადიონი (90კმ) უძველეს დროში, როცა კუნძულზე ცხოვრობდნენ კარიელები, ის იწოდებოდა პარფენიად, მერე-ანთემუნტად.“ (სტრაბონი წიგნი XIV-1-15)

აქ სტრაბონი აშკარად ცდბა, კუნძული სომოსი კარიელებს არ ეკუთვნის-ის მართალია ისეთივე იონიურია, როგორც კარია, მაგრამ მისგან განსხვავებით ის იბერიულია! (იბერები ერიტრიდან, ევბეის კუნძულიდან, დიდი ისტორიული მარყუჟის შედეგად მოხვედრილი კუნძულ სომოსზე...ეს საკითხი წიგნის ამ ფორმატში არ იქნება განხილული) როგორც ირკვევა, ანთემუსია და ანთემუნტა ერთი და იმავე მნიშვნელობის ტერმინია და მიშვნელობით გადაფარავს ერთმანეთს. ჩვეულებრივ ის იმ ხალხს ჰქვია, რომელიც ამ სახელს არქმევს თავის საცხოვრისს, მიუხედავად იმისა, იცვლის თუ არა ამ საცხოვრებელ ადგილს:

„გორდიენა, როგორც ამბობენ, დაასახლა გორდიიმ, ტრიპტოლემის ძემ; შემდგომ აქ დასახლდნენ ასევე ერეტრიელები,სპარსელთა მიერ დატყვევებულნი... ევფრატსა და ტიგროსს შორის მოედინება კიდევ ერთი მდინარე-ბასილი, ხოლო ანთემუსიის ახლოს მეორე-აბორა...გადადიან ევფრატზე მგზავრები ანთემუსიის ახლოს“ (იქვე; წიგნი XVI, 1-25-26)

მკითხველის ყურადღებას ერთ ბერძნულ პოლისზე, ერეტრეზე გავამახვილებ, რომელიც აქტიურად ეხმარება (ფაქტიურად ხელმძღვანლობს) სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებულ მცირე აზიელ იონიელებს (ათენელებთან ერთად). იონიური აჯანყების დამარცხების შემდეგ, მათი დატყვევებილი ნაწილი სპარსელებმა შუამდინარეთში დაასახლეს, რომელსაც ამ უკანასკნელებმა, როგორც ჩანს, ანთემუსია დაარქვეს:

„ერეტრეა, უძველესი ქალაქი საბერძნეთში, განლაგებული კუნძულ ევბეის დასავლეთ სანაპიროზე. ერეტრეა წარმოადგენდა დიდ პოლისს. ასევე დიდი ხანი მეტოქეობდა ხალკიდასთან. უძველესი მოსახლეობა დაფიქსირებული 3000 ჩვ. წ. აღრიცხვამდე. 825 წელს, დიდი ხანძრის გამო, ერეტრიელები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი სახლები და ევბეის ყურესთან ახლოს დასახლებულიყვნენ...თავიანთ სანფლობელოებს მიუმატეს კუნძული ანდროსი, ტენოსი, კეოსი და ბეოტიური მიწები...ხალკიდიდან დამოუკიდებლად დაფუძნებულ იქნა კოლონია კუნძულ კორკირაზე, მაგრამ აქ ისინი შეავიწროვა კორინთომ. კოლონისტების უკან მიღებაზე მეტროპოლიამ უარი განაცხადა, ამიტომაც ისინი განსახლდნენ ორიკზე და აბანტიადაზე (ილირიაში) და მეტონზე ხალკიდაში ... განიცადა რა საერთო ჯამში დამარცხება ხალკიდასაგან, ერეტრიამ დაკარგა თავისი მფლობელობა ბეოტიაში და კიკლადებზე (კუნძულებზე) და ნაყოფიერი მიწები ევბეაზე...თუმცა ერეტრიელებმა გააგრძელეს აქტიური კოლონიზაციის პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა თრაკიულ სანაპიროზე. იონიური აჯანყების დროს (500-494 ჩვ.წ. აღრიცხვამდე) მხარდაჭერა მხოლოდ ერეტრეამ და ათენმა გამოუცხადეს…ამიტომ სპარსეთის სარდლებმა, დატისმა და არტაფრენესმა 490 ჩვ.წ, აღრიცხვამდე, მთლიანად დაანგრიეს ერეტრეა და მცხოვრებნი მონებად წაასხეს...343 ჩვ. წ. აღრიცხვამდე, ერეტრეა ხვდება მაკედონიის კონტროლ ქვეშ.

341-338 ჩვ.წ. აღრიცხვამდე, ხვდება ათენის ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ ხერონეის ომში ფილიპე მაკედონელის მიერ ელინთა დამარცხების შემდეგ,ერეტრეა საბოლოოდ ხვდება მაკედონელთა ძალაუფლების ქვეშ“ (ვიკიპედია, იბეჭდება შემოკლებით)

ვიკიპედიის ეს ცნობა საკმაოდ მრავალ ფაქტს დამაჯერებლად ხსნის:

1. მართალია ამ ცნობის პედალირებას არ ვაპირებთ, თუმცა 3000 ჩვ. წ. აღრიცხვამდე, საბერძნეთის ტერიტორიაზე სულ სამი ტომი ოპერირებს: ხალდები-ეოლიელები, კოლხები-იონიელები და ასევე იონიელებად წოდებული იბერები.
2. კუნძულ კორკირაზე კოლონიის გაყვანა, კორკირაზე, რომელიც ძალიან დაშორებული ევბეას და ფაქტიურად ზღვის მეორე მხარეზეა, შემთხვევითი არ ჩანს: ერიტრეას მოსახლეობა იბერიულია, კორკირასი-აშკარად კოლხური.
3. კოლხურ კუნძულ კორკირიდან ასევე იბერიელი მოახალშენე ერიტრეელე-

ბის განდევნა ასევე ყოფილი უკვე დორიული კორინთელების მიერ, უბრალ-ოდ გავლენის სფეროს გადანაწილებას გავს.

4. კორკირიდან განდევნილი ერიტრეელები ქალაქ ორიკს აფუძნებენ ილირი-აში, რომელსაც ასევე კოლხურს უწოდებს პლინიუს- უფროსი (როგორც ჩანს, არასწორად, კოლხიც დ იბერიც იონიელებია)

5. ეს სპარსელი სარდლების მიერ წასხმული ერიტრეელების დაარსებული ჩანს შუამდინერეთის ანთემუსია, რომელსაც სტრაბონი აღწერს. ამასთან, როგორც ეტყობა, ერეტრიელები ამ სახელს არქმევენ ყოველ ახალ ადგილს, სადაც ფაქ-ტიურად ისინი კომპაქტურად სახდებიან.

6.სტრაბონის მიერ კუნძულ სომოსის ადრინდელ სახელად ანთემუნტის დაფ-იქსირება , სომოსელთა იმავე იბერიული მიკუთვნებულობით უნდა აიხსნას, როგორც კონტინენტალური ანთემუნტასი..

7. ისტორიაში ცალსახად აღინიშნება ერეტრიელების მიერ თრაკიის სანაპიროს კოლონიზაცია.

8. და ბოლოს, ერეტრია მთლიანად ხდება მაკედონიის ვასალი ქალაქი პოლი-სი 338 ჩვ. წ. აღრიცხვამდე.

„ იქიდან წამოსული ჰიპიესს ამინტეს მაკედონელმა შესთავაზა ანთემუნტი, ხოლო თესალიელებმა იოლკოსი“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი V-94)

9. ანთემუნტა-ასეთი დასახლებული პუნქტი დღესაც ჩანს რუქაზე, სავარაუდ-ოდ ზუსტად იქვე, სადაც თრაკიის მეფე სიტალკი ლაშქრობს, ალბათ იგივე ან-თემუნტა, რომელიც განდევნილ ჰიპიესს შესთავაზა თავშესაფარად ამინტეს მა-კედონელმა, დღევანდელი ქალაქ სალონიკიდან აღმოსავლეთით 25 კილომეტ-რეზე.

10.ეს ანთემუნტა იმ დროის თრაკიულ სანაპიროზე აშკარად ერიტრეელი კოლ-ონისტების დასახლებული ჩანს. ერიტრელი იბერების, რომელთათვისაც ეს სა-ხელი ტრადიციული ჩანს.

ჰეროდოტეს ზემოხსენებული ციტატა ეხებ ა ეპოქას არაუგვიანეს 450-470 ჩვ. წ. აღრიცხვამდე. შესაბამისად ამინტეს მაკედონელი ჰიპიესს სამფლობელ-ოდ ერეტრეას ვერ შეთავაზებს, ამ დროისათვის ის დამოუკიდებელი პოლისია! შესაბამისად, ამინტესი ჰიპიესს ანთემუნტს,ერეტრიის ნაწილს, კოლონიას სთა-ვაზობს, რომელიც ამ დროისათვის უკვე მის ხელდებულ თრაკიის ტერიტორი-აზეა. შესაბამისად, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დაწყებისას, თრაკი-ის მხარეს მდებარე ანთემუნტა სრულიად იქნებოდა ინტეგრირებული მაკედო-ნელების რიგებში ... იმდენად რამდენადაც თავად ერეტრეა (ანთემუნტასთან ერთად) 338 წელს ჩვ. წ. აღრიცხვამდე ხვდება მაკედონელთა გავლენის ქვეშ, როგორც ეტყობა გარკვეულ ავტონომიას ჯერ კიდევ ინარჩუნებს. ეს ავტონომია მათ აძლევს უფლებას არ ჩათვალონ თავი მაკედონელთა ხელქვეითად, თუმცა

ვერც მოკავშირის სტატუსამდე მაღლდებიან. უყოყმანოდ შეიძლება ფაქტის კონსტატაცია, რომ ალექსანდრე მაკედონელის „ანთემუნტელი მეგობრები“- ეს ყოფილი ერეტრიელია ! (27)ეს ხალხები, ანთემუნტელი იბერები, ეპირელი კოლხყოფილები და ეტრუსკყოფილი პელაზგები (ქართული მატიანეს არიან ქართველნი) წარმოადგენენ ძირითად მასას ალექსანდრე მაკედონელის ეგრეთ წოდებული ცხენოსანი მეგობრებისა. ამავე რანგში ჩანან კენებიც. ბედის ირონიით , კავკასიაში უხსოვარი დროიდან დაფუძნებული იბერები , პელაზგთა შთამომავალი და მათთან შერწყმული ქართები, ისევ პელაზგური გენის მიერ იქნა დამარცხებული:ალექსანდრე მაკედონელის, ანთემუნტელი კოლხების, პელაზგყოფილი ეტრუსკების, კოლხყოფილი ეპირელების და პელაზგივე ილირიელების მიერ... და რას წარმოადგენენ ალექსანდრე მაკედონელის ეპირელი და ანთემუნტელი მეგობრები, პელაზგყოფილი ეტრუსკები სამარი თვალსაზრი-სით?

„კლიტი, დროპიდის ძე და გაყო ,,მეგობრების“ პოლკი ორ ნაწილად; მას არ უნდოდა ჩაებარებინა ხელმძღვანელობა ასეთი დიდი კავალერიისა ერთი კაცისათვის, მით უმეტეს, თავისი მნიშვნელობით და ხარისხით ის იკავებდა პირველ ადგილას კავალერიაში“(ფლავიუს არიანე, ალექსანდრეს ლაშქრობა წიგნი III-27)

პელაზგყოფილ ეტრუსკებს თავიანთი სარდალიც კი უჩანთ ალექსანდრე მაკედონელის,,კანონიკური“ სარდალთა შემადგენლობაში: აპოლოდორ ამფიპოლელი, რომელიც რასაკვირველია ამავე ქალაქიდან და ასევე პელაზგი ეტრუსკი ჩანს, მეტიც, ცნობილია კიდევ ერთი აპოლოდორი (მორბენალი) რომელიც ასევე მაკედონელის სარდალი ჩანს (თემა სცლდება წიგნის ფარგლებს).

და თემის დასწყისში წამოჭრილი შეკითხა, რა ენაზე ესაუბრება არახოტიის დედოფალი მაკედონელებს, როდესაც მცხეთის (მასაგის) გარემოცვის დროს ამ უკანასკნელთაგან ზავი ითხოვა? რასაკვირველია იბერიულ ენაზე, ალქსანდრეს ამ ლშქრობაში ძირითადა ძალას მეგობრები წარმოადგენენ,,„ანთემუნტელი მეგობრები“.რასაკვირველია ენაში უკვე გარკვეული სხვაობა იქნება ამ იბერიულ შტოს შორის, „ანთემუნტელი მეგობრები“ ფაქტიურად ელინურ გარემოცვაში ცხოვრობენ, თუმცა ლეონტი მროველი მათ მაინც „არიან ქართველნი“-თ მოიხსენიებს...

და ბოლოს, ალქსანდრეს მხედრულ ცხოვრებაში ერთადერთი შავი შავი ლაქაა: ფიცის გატეხვა და მასაგის დამცველების ღალატით ამოხოცვა...უცნაური და ერთადერთი შემთხვევა...სავარაუდო ამ ფიცის გატეხვის ინიციატორი თავად ალექსანდრე არ არის...დიდი ალბათობით, აქ „ანთემუნტელი მეგობრების“ ინტერესის წაკითხვა შეიძლება...დაპყრობილ იბერიაში თავად აპირებენ დანკვიდრებას...მეომართა კასტის ამოწყვეტა მათთვის საომარი ასპარეზის მოსუფთავებას ჰგავს...1000 მხედარი „აზონაურნი“ ჩანან დარჩენილი იბერიაში, რომე-

ლიც სამეფო ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლაში ასევე იბერ-ქართ ფარნავაზს დაუჭერენ მხარს და არა აზონს-უცხოტომელს...

რეზიუმე:როგორც მტკიცდება, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა კავკასიასა და იბერიაში ეჭვს გარეშე დგას. მის მიერ იბერიაში გადახდილი ბრძოლების შესახებ მოულოდნელი, ხელშესახები და სენსაციური ცნობები ამოტივტივდა! კიდევ ერთხელ ხდენა ნათელი იბერიელი ხალხის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის... უფრო მეტიც, ამოტივტივდა ალექსანდრე მაკედონელის პროტო -ქართველი მეგობრებისა და მეომრების დიდი რიცხვი, რომლებიც სავარაუდოდ მაკედონელის ლაშქრობაში რიცხობრივად მეორე ადგილზე ჩანან, თავად მაკედონელების მერე. თვისობრივად ქართველური კავალერია, როგორც ეპირელებისა და ანთემუნტელი „მეგობრებისა," ასევე თესალიელებისა, მთელ მაკედონურ არმიაში კონკურსგარეშე დგანან და მხოლოდ ერთმანეთთან თუ იყოფენ პირველობას! არანაკლები სიმამაცისა და მხედრული შემართებისა ჩანან იბერიელი პროფესიონალი მეომრები, რომლებმაც სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს მომხდურის წინააღმდეგ. იბერიელ მეომართა სიმამაცე და სიქველე 2343 წელი ფერფლწაყრილი ელოდა ქართველი ხალხის მიერ შეფასებას და დაფასებას....და კიდევ, არიან ქართველი- ეს არანელი ქართველი არ არის, არამედ გაცილებით შორიდან, საბერძნეთ- მაკედონიის ტერიტორიის გასაყარიდან ჩამოსული ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლი პელაზგყოფილი თუ ეტრუსკყოფილი „მეგობრები". არიან ქართველნი ჩანან აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის იბერიელი და ილირიელი მოლაშქრეებიც, დასავლეთ პელაზგური შტოს წარმომადგენლები...

შენიშვნები

1. საყურადღებოა, რომ ფლავიუს არიანე ჩამონათვალში ჯერ ახსენებს ბაქტრიის მეზობელ ინდებს, რომლებსაც ბაქტრიისვე სატრაპი ბესი ხელმძღვანელობს (ნამდვილი ინდები)...და ეგრეთ წოდებული მთის ინდები, არახოტები, რომელსაც არახოსიის სატრაპი ბარსენტი ხელმძღვანელობს. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენამდე მოუღწეველ მემუარებში მაკედონელის თანამებრძოლებისა, ისინი ასევე ცალ-ცალკე არიან მოხსენებული.

2. სავარაუდოა, რომ დრანგიანასა და არახოსსიის სატრაპ ბარსაენტს დრანგების ნაწილი არახოსიის აღმოსავლეთ ნაწილშიც ყავს გადასახლებული-ზუსტად მათვე იპყრობს ალექსანდრე დრანგიანასთან და გედროსიასთან ერთად, თუმცა მემუარებში არახოტების დაპყრობაზეა საუბარი...

3. კრამიტისას აღნიშნავს სახლების სახურავებს მოგვიანებით სტრაბონიც, როცა ის ალბანეთსა და იბერიას აღწერს.

4. ისიდორე ხარასკელზე ავტობიოგრაფიული ცნობები შემონახული არ არის, ვარაუდობენ, რომ ის ახალ წელთაღრიცხვის I-საუკუნის გეოგრაფია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ქვეყანას, რომელიც ყველა ნიშნით იბერიაა, ის არახოსიას უწოდებს. (თანაც ზუსტად უთითებს მის მდებარეობას , განსხვავებით სტრაბონისა, რომლისთვის არახოსია ავღანეთშია) როგორც მინიმუმ, მითრიდატული ომების შემდეგ, ამ ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო წარმონაქმნი ფიქსირდება, იბერია-ალბანეთის სახელით, რომელთა არსებობა ხარასკელმა არ იცის, და რომელიც მითრიდატულ ომებზე ადრინდელი მოღვაწე ჩანს ....და კიდევ, ისიდორ ხარასკელის მიერ კამბედანა დაფიქსირებულია მიდიის სამხრეთის საზღვრამდე. ამ სახელით ახსენებს იგი კამბისენას, რომელიც სტრაბონთან ფიქსირდება მიდიის უკვე ჩრდილო საზღვარზე. ჩანს კიზიკელებს გამოყოფილი რომელიღაც თემი მიგრირებს ჰელესპონტიდან და მცირე აზიიდან კასპიის ზღვის მიმართულებით. ტომი შემდგომი საუკუნეების მანძილზე კამბეჩოვნად იხსენება (დღევანდელი ქიზიყი) ის, რომ ტომი სტრაბონთან უკვე ისიდორე ხარასკელის მითითებულზე გაცილებით ჩრდილოეთით მოიხსენიება, ცხადყოფს რომ „პართიული სადგომების“ შედგენის თარიღი მთელი საუკუნით (და შესაძლოა მეტითაც) უსწრებს სტრაბონის შრომებს. შესაბამისად, ისიდორე ხარაკელის მოღვაწეობა შესაძლებელია შეფასდეს II-I საუკუნე ჩვენ. წ. აღრიცხვამდე, და მითრიდატულ ომებამდე. რაც შეეხება მდინარეების, ევფრატისა და ხაბურის შეერთების ადგილას არსებულ ფონს და იქ გადასულ პართიულ ლაშქარს უკვე I საუკუნეში, გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს, ისევე როგორც ტიგრან არმენიელის ხსენება.

5. ალექსანდრე მაკედონელი კავკასიაში ორი ქალაქი, ორი ალექსანდრია აქვს

დაარსებული: პირველი ალექსანდრია-ეს ტარკი ჩანს დღევანდელ დაღესტან-ში. მეორე ალექსანდრია-ბაბ ალ ბაბი იგივე დერბენტი, დიოდორე სიცილიელ-ის მიერ მოხსენებული პირველი ქალაქიდან ერთი დღის სავალზე. თუ ვის ტო-ვებს აქ მეციხოვნეებად, ეს უკვე სხვა ისტორიაა!

6. ამ ეპიზოდში კვინტუს კურციუს რუფს, რომელიც იმავე მემუართ სარგებლ-ობს, რომლითაც დიოდორე სიცილიელი (უცილობლად პტოლომეოსის მემუ-არით) რომლის წყაროშიც იგივე წყვეტა ჩანს ალექსანდრეს მიერ ჩატარებული მუხანათური საომარი ოპერაციისა იბერ მეომართა კასტის წინააღმდეგ. რუფი სრულიად უსამართლოდ და შეიძლება ითქვას გაუაზრებლადაც კი სვამს ეპი-ზოდს ლაკედემონელთა ბრძოლისა მაკედონელთა წინააღმდეგ, უკვე ლაკედე-მონელთა ტერიტორიაზე. აღნიშნულ ბრძოლას ალექსამდრე მაკედონელის მე-ფისნაცვალი ანტიპატრე აწარმოებს. ეს მაშინ, როდესაც პტოლომეოსის მიერ აღ-წერილ მემუარში ერთმნიშვნელოვნადაა აღნიშნული, რომ ამ „ინდების“ წინა-აღმდეგ ბრძოლას თავად ალექსანდრე მაკედონელი ხელმძღვანელობს.

7. აორნის სახელით ორი ქარაფიანი ადგილი აქვს აღწერილი დიოდორე სიცი-ლიელს, რომელთაგან ერთი ნამდვილად არახოსიას-იბერიას ეხება.

8. სავარაუდოა, რომ ეს ადგილი მეტაფორიზირებული ზედაზენის (და არა ზე-და ზადენის) მთა უნდა იყოს. თავისთავად საინტერესოა დიოდორე სიცილი-ელის (და მისი წყაროს) მოსაზრება, რომ მთის სამხრეთის ნაწილს ინდოეთის ყველაზე დიდი მდინარე ინდი რეცხავს. ინდი ინდოეთის ყველაზე დიდი მდი-ნარე არ გახლავთ, ხოლო ზედაზენის სამხრეთით გამავალი მდინარე მტკვარი მართლაც ,,თეთრი ინდების“, არახოტების ყველაზე დიდი მდინარეა.

9. ფლავიუს არიანე მაკედონელთა ,,გათეთრებას“ ცდილობს. ომში უიარაღოდ თვით უკანასკნელი ინტენდანტიც კი არ მიდიოდა და მიდის...

10. პაროპამისელების ქალაქს სტრაბონის გავლენით ფლავიუს არიანე ჯიუტად და არასწორად ბაქტრიაში ათავსებს.

11. ფლავიუს არიანე ამ შემთხვევაშიც ცდება. ნიკეა-ეს ქალაქი მაკედონელის სარდალის მიერ გვიან დაარსებული ქალაქია და ალექსანდრე მაკედონელი იქ ვერ მოხვდებოდა. ასევე საეჭვოა მოტივი, სალოცავად დაბრუნება ჰირკანიიდან ასე შორეულ მანძილზე. თუ მაკედონელი ნამდვილად გამოჩნდა მცირე აზიაში, ეს მის გამაფრთხილებელ და პრევენციულ ჟესტს უფრო ჰგავს მოსალოდნელი მეამბოხეების წინააღმდეგ მის სამშობლოში მაკედონიაში. რაც შეეხება ნიკეას, ეს ის მიდიური ქალაქი ჩანს, სადაც თვითმარქვია მაგი და მისი ძმა მოიკლა.

12. სპილოები რომლებიც ადგილობრივებთან გამარჯვების შემდეგ საჯინიბო-ებიდან გამოიყვანეს, ფლავიუს არიანეს იმპროვიზაციის შედეგი ჩანს, მათ არ ასახელებს დიოდორე სიცილიელი. დღევანდელ საომარ სიტუაციას თუ შევა-

დარებთ, საომარი სპილოების საჯინიბოში გამოკეტვა ომის წინ, ტანკების პარკში გამოკეტვა და საომარ სიტუაციაში არმონაწილეობის ტოლფასია...თუმცა ფლავიუს არიანესთან სპილოები სავარაუდოდ ყოველთვის ინდოეთთან ასოცირდება...ესენი სულ სხვა ინდები, კერძოდ თეთრი ინდები, არახოტები- იბერები და ქართები არიან, რომელნიც ყოველ ბრძოლაში თავიანთი მკლავის და გულის იმედით გადიოდნენ...

13. ალექსანდრე მაკედონელს ქალებთან დამოკიდებულებაში ისტორია ერთობ თავშეკავებულ, ღირსეულ პიროვნებად იცნობს. პლუტარქეს სიტყვებით, როქსანამდე მას მხოლოდ ერთი სექსუალური პარტნიორი, მემნონის ნაცოლარი, ბარსინა ჰყავდა (თუ არ ჩავთვლით ამაზონების დედოფალთან სექსუალურ კავშირს ამ უკანასკნელის დაჟინებული მოთხოვნით) ღირსეულად იქცევა აზიის ულამაზეს ქალებთან, დარიოსის ცოლსა და მის საკმაოდ მოზრდილ ქალიშვილებთან. ანდაზაა, ყველა თავისი გაფუჭებულობის დოზის მიხედვით მსჯელობსო-ალბათ ასეა პომპეი ტროგთანაც, ანალოგიურ პიზოდს დიოდორე სიცილიელი არ ადასტურებს, ხოლო კვინტუს კურციუს რუფი ამ პიზოდის აღწერისას, ტროგის ხელნაწერებით სარგებლობს (მისივე სიტყვებით)

14.სპარსულ იმპერიაში ყველა პროვინციის სტრაპი სპარსელივე ჩანს. ბარსაენტის გაცემით ინდები ფაქტიურად დამოიუკიდებლობას იბრუნებენ, რომლისთვისაც არა ერთხელ აჯანყებულან...თუმცა სპარსელებს მალევე მაკედონელები ჩაენაცვლნენ ...

15.ლეონტი მროველის მიხედვით, მცხეთის შორიახლოს მდებარე სარკინეთის ციხე და და მისი მცველი დიდოელები 11 თვეს უძლებდნენ ალყას, მერე კლდე გახვრიტეს და კავკასიის მთებს შეაფარეს თავი, ზუსტად იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ...

16.ფლავიუს არიანე ინდების დედოფლის ძმად ასაკენს ასახელებს-სრულიად შესძლებელია არახოსიის სატრაპი ბარსაენტის მეუღლე ასაკენი- მართლაც ფხოველი ქალი ყოფილიყოყო- ასევე არახოზიის მოქალაქე...არც ისაა გამორიცხული, რომ დედაქალაქის, მასაგის დაცვას იგივე ხელმძღვანელობდეს...

17. აი ზუსტად ხარახვატის სატრაპიის მაგალითზე ჩანს, რომ ნებისმიერი პროვინციის სატრაპი სპარსელია ... ხარახვატის-არახოზიის სარდალი ვივანა, ტომით სპარსი, ალბათ ერთადერთი გამონაკლისი არაა.

18.დარიოსისეული ბეხიტუნის წარწერებში მოხსენიებული არშადის (ვერ შევა-არ გავუშვებ) ციხე არახოზიაში -სინამდვილეში დღევანდელი არშის ციხე ჩანს...ფხოველები ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში კავკასიის ჩრდილოეთითაც ჩანან გავრცელებული... როგორ ჩანს ინარჩუნებენ ურთიერთობას დასავლეთის სკვითებთან, უკრაინელებთან და განსაკუთრებით მის ყირიმულ ნაწილთან, ტავრებთან... ალექსანდრე მკედონელმა დაამარცხა ასაკენები-ფხოვე-

ლები და არშადის ციხესთან ერთად მისი ჩრდილო კავკასიური სამფლობელო-ებიც ჩამორთმეული უჩანს... ციხე გადასცა მის თანამებრძოლ ილირიელებს-ლაზებს და კავკასიის ჩრდილოეთი კარების გუშაგად განამწესა...

19. ლიდია ჰეროდოტეს აღწერით სინოპას კონცხამდე ვრცელდება(ამ მიმართ-ულებთ ალექსანდრე მაკედონელმა აქ შეაჩერა ლაშქრობა, გარკვეული მოსაზ-რებიდან გამომდინარე) ჰეროდოტეს ნახსენები ლასონიები - სინამდვილეში იასონიელებია-ასე ეწოდებოდა ოდესღაც ამ კონცხს, შესაბამისად ჰეროდოტე ამ ტერმინის ქვეშ ხალდებს-ჭანებს უნდა გულისხმობდეს. კაბელები, სხვა ადგი-ლას კაბელ-მეიონები, აქვე მცხოვრები პუნები, ლაზები ჩანან-ხალიბები

20. გაიდარა-ჰეროდოტესეული განდარა და განდარიები,მართლაც ამ უკანასკნ-ელს ნიშნავს. ამას ადასტურებს ჰეროდოტეს მიერ სხვა ეპიზოდში ნახსენიები განდარიები და დადიკები (უთუოდ სხვა წყაროების დახები) სოგდიანას, ხვა-რასმიას და საკას მოლაშქრეების გვერდი-გვერდ.

21. ჰეროდოტესთან კასპების (სხვები მას კოსეებად იცნობს) ორი სატრაპიაა და-ფიქსირებული, აქ გამომწვევი მიზეზი ამ სატრაპიის გეოგრაფიული ფორმა ჩანს, გაჭიმული შედარებით ვიწრო ზოლად ზაგროსის მთებიდან კასპიის ზღვამდე...თვით ტერმინი კასპიის ზღვა, უთუოდ იმას მიმანიშნებელია, რომ ის ერთ დროს ზღვამდე აღწვდა...უცნობია ის დრო, როდესაც დრანგების-კოსა-ლების ნაწილი არახოტიის შემადგენლობაში მოყვა, თუმცა სავარაუდოდ ეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე XVI საუკუნე უნდა იყოს, როდესაც კასპიის ზღვის სანაპიროს უკვე სხვა ქართველური ტომები იკავებენ...ან ჩვ.წ აღრიცხვამდე 686 წელი, რო-დესაც ლეგების საკურმა ტომმა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე დაიდო ბინა.

22. ჰეროდოტე აფრიკელი ეთიოპების თმის განსაკუთრებულ სიხუჭუჭეს აღ-ნიშნავს, ეს ნეგროიდულ ტომთან მჭიდრო ურთიერთობას და შეჯვარებაზე მიგვითითებს... და როდის ხდება ეს არ ვიცით, თუმცა ყველა შემთხვევაში ჩ.წ. აღრიცხვამდე 1262 წლის შემდეგ...

23.გელები-ეს მრავალსახელა ტომია...გელებია ლიკიელები და ლიკაონიელები მცირე აზიის სამხრეთით. ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში ტომი, მცხოვრ-ები ჩრდილო კავკასიაში, კადუსიებად და გელებად არის მოხსენიებული, და სულ ერთადერთ წყაროში ბორკანებად, რომელსაც ჰირკანებში ურევენ, თუმცა ისინი განსხვავდებიან ბინადრობის ადგილით..

24.სინამდვილეში უცნობია, როდის ღებულობს ტომი ეთიოპის სახელს. თუმცა სავარაუდოდ ეს სახლი მას ევრაზიული ექსპედიციისას,ჩვ.წ.აღრიცხვამდე XXV უკვე უნდა ერქვას...ამავე დროს არ უფიქსირდებათ ეს სახელი ინდოეთში, ეპოს „მახაბხარატაში“...

25.ჰეროდოტე აზიელ და აფრიკელ ეთიოპებს მხოლოდ ენის და თმის მიხედ-

ვით ანსხვავებს...და მართლაც ელამიტური წარმოშობის ქართები, რომლებიც კავკასიაში ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXV საუკუნეს მოვიდნენ კავკასიაში, უკვე გარკვ ეულწილად უნდა განსხვავდებოდნენ ელამიტებისაგან, რომლებიც იმავე ელა-მიდან აფრიკაში მიგირებულნი ჩანან ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1262 წელს... (თუმცა სტრაბონი ფაქტიურად საწინააღმდეგოსამტკიცებს) ამასთან აფრიკელი ეთიო-პების თმების უჩვეულო სიხუჭუჭე აშკარად მიუთითებს მათ ნეგროიდულ რა-სასთან შერევას, რაც ენობრივ აღრევასაც გულისხმობს...

26. **„დანარჩენი სანაპირო დაკავებულია ველური ტომებით, მელანხლაინებით და კორაქსებით , კოლხური ქალაქი დიოსკურიადა მდინარე ანფემუნტასთან“ (პლინიუს უფროსი; წიგნი VI, V-15)**

არსად, არავინ ისტორიაში მდინარე ანფემუნტს არ ახსენებს! თხრობის მანერი-დან გამომდინარე, პლინიუსი მის მიერ მოძიებულ სხვადასხვა ავტორთა ყვე-ლა ცნობას აღწერის ობიექტზე, ერთსა და იმავე ადგილას ათავსებს. ამიტომაც ძალიან ხშირია მის ნაწერებში პარალელური დროში (ხანდახან სივრცეშიც) განვრცობილი ცნობები , რაც სინამდვილის აღქმას აძნელებს. ინფორმაციის თვალსაზრისით, მისი ცნობები ფასდაუდებელია. ამჯერადაც პლინიუს უფრო-სის ხელქვეშ ჩანს ცნობა იგივე თუკიდიდეს ზემოთ ხსენებული ნაწარმოები-დან, რომელსაც ის არასწორად ინტერპრენირებს:

„ბრასიდი მივიდა ქალაქთან ჯერ კიდევ ღამე და გაჩერდა ჯართან ერთად <u>დიოსკურების სამსხვერპლოსთან</u>, ქალაქიდან სამი სტადიონის მოშორებით, (ქალაქ) **ტორონას სხვა მოსახლეობისაგან და გარნიზონისაგან შეუმჩნევლად “ (თუკიდიდე, ისტორია პელოპონესის ომებისა, წიგნი IV-110)**

მკითხველს შევახსენებთ, რომ აქ ლაპარაკია ჰედონიის მეორე ნაწილზე, სიფ-ონიის ქალაქ ტორონას დალაშქვრაზე! უდავოა, პლინიუს უფროსის წარმოდ-გენაში, ანფემუნტა და სიფონია, ეს ერთი და იმავე ობიექტია, მისი შეცდომა ქა-ლაქ დიოსკურიასა და დიოსკურების სამისნოს გაიგივებაში გამოიხატა. ამიტო-მაც ახსენებს ის მდინარე ანფემუნტას (სავარაუდოდ აქ მდინარე ბესლეთი იგუ-ლისხმება) კოლხების ქალაქ დიოსკურიადასთან.

27. მიუხედავად ტერმინ „ანთემუნტას“ განვრცობისა, ის ერთ ადგილას და ერ-თი ტომის წიაღში ჩანს აღმოცენებული. კუნძულ სომოსის პირველსახელად სტრაბონი ანთემუნტას დებს, მაგრამ სომოსელები იბერები ჩანან, კუნძულ კრე-ტიდან წამოსულნი (გამოძევებულნი). კუნძულ კრეტაზე ევბოადიან-ხალკიდი-დან ჩანან გადმოსული მიზეზთა და მიზეზთა გამო (ამ თემაზე მომავალში ვი-საუბრებთ). თვით კონტინენტური ანთემუნტა ამავე კუნძულის იბერიული მო-სახლეობის მიერ ჩანს დაარსებული (VIსაუკენეს ჩ.წ. აღრიცხვამდე ის უკვე არ-სებული ჩანს იმავე ჰეროდოტესთან)...და მცირე აზიაში არსებული ანთემუნ-ტაც ასვე დარიოს პირველის ხალკიდიდან გადმოსახლებული იბერების მიერ

ჩანს დაფუძნებული. ძნელი სათქმელია, თუ რომელი ანთემუნტიდან არიან ალექსანდრე მაკედონელის „ანთემუნტელი მეგობრები“, თუმცა კანდიდატთა სია სულ ორამდე დადის: კუნძული ხალკიდის იბერიული მოსახლება, რომელიც მხოლოდ 338 ჩ.წ. აღრიცხვამდე გახდა მაკედონიაზე დამოკიდებული,შესაბამისად მხოლოს ვასალურ სახელმწიფოს წარმოადგენს და მცირე აზიის ანთემუნტა, გვიანდელი ედესა-ოსროენას „არაბული სამეფო.“

დურძუკეთი, ალბანეთი, სანარია, ჰერეთი,

ლეკეთი

„ხოლო ამან ალექსანდრემ მოსწყვიდნა ყოველი ნათესავი შერეულნი, თვინიერ ქართლოსიანთა და ურიათა, და დაიპყრა საქართველო და დაუტევნა ლაშქარი რ ჩ და ზედა მთავარი აზონ“ (ქართლის ცხოვრება, ტომი IV; გვ-54, თბილისი 1973 წ)

რ ჩ ქართული ალფავიტის აღთვალვის სისტემით-ეს 100000-ია. რასაკვირველია აქ ტრადიციულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, სინამდვილეში ციფრი ერთიათად ნაკლები უნდა იჯდეს.

„ამ ქალაქში მან დაასახლა 6 ათასი ბარბაროსი, 3 ათასი იმ ხალხის რიგებიდან, რომლებიც მოაცილებდნენ ჯარს და ის მოქირავნენი, რომლებმაც თვითონ მოინდომეს. თვითონ არმიასთან ერთად წავიდა ბაქტრიაში, იმიტომ რომ გაიგო, ბესმა (ბაქტრიის სატრაპმა) **სამეფო გვირგვინი დაიდგა და ჯარებს აგროვებსო. ასე ჰქონდა საქმე ალექსანდრეს''**
(დიოდორე სიცილიელი; წიგნი XVII-38)

დიოდორესეული ციტატის კონტექსტიდან ძნელია განისაზღვროს, შედის თუ არა იმ ექვსი ათას ბარბაროსში სამი ათასი გამცილებელი თუმცა ბარბაროსების, გამცილებელების და მოქირავნეთა ჯამური რიცხვის თითქმის თანხვედრა ქართველ მემატიანესთან გვაფიქრებინებს, რომ ქალაქში დასახლებულთა ჯამური რიცხვი სულ10000 სული იყო. დიოდორე სიცილიელი ისე ხატავს სიტუაციას, თითქოს ა ქ კავკასიაში, პაროპამისში-მაკედონელის ლაშქრის მხოლოდ დაღლილი, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი მეომრები და ბარბაროსები დარჩნენ, რაც რბილად რომ ვთქვათ, სწორი არა ჩანს (1)

ფლავიუს არიანეს მიერ აღწერილ ალექსანდრე მაკედონელისეულ ეპოპეაში, რომელიც მაკედონელის თანამედროვე და თანამებრძოლი არისტობულის მემუარების მიხედვით აქვს დაწერილი, მინიმუმ ორგზის ჩანს სკვითებთან, სტეპის ამ მომთაბარე ტომებთან მაკედონელის ლაშქარის საომარი კონტაქტი. პირველ შეტაკებაში ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა სკვითთა შედარებით მცირერიცხოვანი რაზმი, უკუაქცია და გაფანტა ისინი. მეორე შეტაკება უკვე მაკედონელის გარეშე მოხდა . სოგდთა და სკვითთა გაერთიანებულმა რაზმმა სასტიკად დაამარცხა და გაანადგურა მაკედონელთა რაზმი, რომელსაც ჰიპარხი კარანი მეთაურობდა. აღსანიშნავია, რომ სკვითებთან ეს შეჯახებები

ხდება კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მიუხედავად დროებითი ზავისა და სიმშვიდისა,შორსმჭვრეტელი ალექსანდრე მაკედონელი აქ, ქალაქ ალექსანდრიას აფუძნებს. რასაკვირველია ქალაქი ხანდაზმულ მეომართა თავშესაფარს არ წარმოადგენს. ის შემდეგში ეს ცნობილი კასპიის (აღმოსავლეთ სანაპიროს) კარიბჭეა, რომელსაც მომთაბარე სკვითური ტომების მიდიაში (შესაბამისად მაკედონელთა ზურგში) შემოჭრისაგან იცავს.

რაც შეეხება ევროპელ სკვითებს, რომელთა დელეგაცია მეოტიდიდან მოდის, მათთან საზავო ხელშეკრულება შედგა კიდეც. სავარაუდოდ ამავე სკვითებთან ადრე დასაზვერად გაგზავნილმა მაკედონელის ხელქვეითებმა მათი მრავალრიცხოვნების ცნობა ჩამოიტანეს. დიდი სტრატეგოსი, ალექსანდრე მაკედონელი უკვე ამის შემდეგ, დიოდორე სიცილიელის ცნობის მიხედვით,უკვე სხვა ქალაქს იმავე სახელით ალექსანდრია აფუძნებს, ისტორიკოსებისათვის იგი ცნობილია კასპიის (დასავლეთის) კარად. ციხის დანიშნულება ასევე მაკედონელთა დაპყრობილი ტერიტორიების (შესაბამისად მაკედონელის ახალი იმპერიის) ზურგიდან დაცვა ჩანს. ამ ამოცანის შესრულება, როგორც ეტყობა ოდრისებს დაევალა, იგივე თრაკიელებს...უფრო მეტიც, იგივე დიოდორე სიცილიელის სიტყვებით, პირველი ალექსანდრიიდან ერთი დღის სავალზე მეორე ქალაქიც გაშენდა იმავე სახელით, უთუოდ პირველის სამხედრო დუბლიორი და მეშველი ძალა საჭიროების შემთხვევაში. აი ამ ამოცანის შესრულება კი ილირიელ მეომრებს დაევალათ, მაკედონელის უახლოეს მოკავშირეებს.(2)

ერთ-ერთ ალაქსანდრიაში გვიანი შუა საუკუნეების თურქი მოგზაური ევლია ჩელები დერბენტს გულისხმობს, ხოლო მაკედონელისეული მეორე ქალაქი (უფრო სწორედ პირველი) ჩრდილო კავკასიაში ტარკი ჩანს(3) ....და ვინ შეიძლება ყოფილიყო ალექსანდრე მაკედონელის თანმხლები და თანამებრძოლი 6 ათასი ბარბაროსი? კითხვაზე პასუხს დიოდორე სიცილიელის ნაშრომში ვპოულობთ:

„მაკედონური ფეხოსანი აღმოჩნდა 12 ათასი, მოკავშირეები 7 ათასი, დაქირავებულები 5 ათასი, ყველა ისინი პარმენიონს ემორჩილებოდნენ. ოდრისები, ტრიბალები და ილირიელები მოჰყვებოდნენ მათ 5 ათასი. მემშვილდოსნები, ეგრეთ წოდებული აგრიანები, ათასი-ასე რომ მთელი ფეხოსანი იყო 30 ათასი“(იქვე; წიგნი XVII-17)

ოდრისები, მაკედონელთა ჩრდილოელი მეზობლები, ისტორიაში კარგად ცნობილი თრაკიული ტომია, რომელთაც მცირე დროით დამოუკიდებელი სამეფოც კი ჰქონდათ (431-424 ჩვ წ.აღრიცხვამდე) ტრიბალები-ბალკანეთის მთებს შორს განლაგებული ტომები იყო დიოდორე სიცილიელი და სტრაბონი მათ თრაკიულ ტომებად თვლიან, თუმცა მოგვიანებით მათ სტეფანე ბიზანტიელი ილირიკულ ტომად მოიხსენიებს. ტერიტორიულად ტრიბალები საკმაოდ და-

შორებულნი იყვნენ მაკედონიიდან(ტრიბალთა სახელს დღეს ალბათ ტოპონომი ტრბოვლე ინარჩუნებს,სლავური ტომი) მესამე კომპონენტი ბარბაროსულ ლაშქარში ილირიელები არიან, ალექსანდრე მაკედონელის სიჭაბუკის „სამშობლოდან“...

დიოდორე სიცილიელის მიხედვით, პაროპამისთან დატოვებული ხალხი ალექსანდრე მაკედონელმა ორ ქალაქს, ორ ალექსანდრიას შორის გადაანაწილა. ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის გამგებელად, პატრიკად, აზონი დაინიშნა, ძე არიან ქართლის მეფისა, სავარაუდოდ უკვე ელინიზირებული მეომარი. აზონი ალექსანდრე მაკედონელის კანონიკურ სარდალთა შორის არ იხსენება, ის ანთემუნტელი მეგობრების რიგებიდან ჩანს(4) ქვეყნის სამართავად მას ილირიელ მეომართა გარდა, რომლებიც მის დაქვემდებარებაში იგულისხმება, სხვა დასაყრდენიც უჩანს:

„და დაუტევა ქართლს ერისთავად და მის თანა სპანი იგი მპყრობელად ქართლსა'' (ქართლის ცხოვრება; ლეონტი მროველი, გვ-23, თბილისი-2012 წ)

სავარაუდოა, რომ აზონისათვის დატოვებული სპა მისივე თანამემამულენი არიან, როგორც ადრე გამოვარკვიეთ, ანთემუნტელი მეგობრები, იგივე იბერიელი და პელაზგყოფილი ეტრუსკებია. აზონმა ხელისფლების შენარჩუნება დიდი ხნით ვერ შეძლო:

„...და კაცი ძნელი და მესისხლე, და ესრე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: ყოველმან ქართველმან, რომელმან პოვოს საჭურველ-მოკალით იგი! და ჰყოფდეს ესრეთ ჰრომნი ქართველთა ზედა . და ვინცა ვინ გამოჩნდის ქართველთაგან კეთილი და ჰასაკოვანი, მოკლან. და იყო ჭირი დიდი ნათესავსაზედა ქართველთასა "(იქვე)

მიუხედავად იბერთა და „ჰრომაელთა'' გენეტიკური ერთობისა, აზონი და აზონაურნი უფრთხიან იბერ მოსახლეობას, უკრძალავენ მათ იარაღის ტარებას და გამორჩეულს, მათ პოტენციურ მოწინააღმდეგეებს ხოცავენ კიდეც!

....და მომწიფებული ჩანს აზონის წინააღმდეგ აჯანყება, რომელსაც იბერიელი ფარნავაზი აწყობს, მცხეთის მამასახლისის ვაჟი (5)

„მაშინ შეიერთეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა (6) ხოლო მათ განიხარნეს, რამეთუ არა სთნიდა ხარკისა მიცემაი აზონისა, და გამოიყვანეს ოვსნი და ლეკნი, და განიმრავლეს სპანი ეგრისით. და შეკრიბეს ურიცხუნი სპათა და მოჰმართეს აზონს, ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თვისთა და შემოიკრიბნა. მაშინ ათასი მხედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდეს აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს, ხოლო სპანი, რომელიც დარჩეს, ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტისმოქმედი იყო. და წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და განმაგრდა იგი სიმაგრე-

თა კლარჯეთისასა (იქვე; გვ-28)

ერთობ ინფორმაციულია ლეონტი მროველის ეს ამონარიდი, თუმცა არცთუ უშეცდომო. როგორც წესი, მემატიანე წერს საკუთარი ეპოქის გადასახედიდან (ამ შემთხვევაში მე-11-ე საუკუნიდან) და იმ დროისათვის დამყარებული რეალობიდან.

1.ოვსები(ოსეთი)-ალანები გაცილებით გვიან ჩნდებიან ჩრდილო კავკასიაში და აზონის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ, თუმცა ამ აჯანყების აქტიური მონაწილე პაროპამისელები (დურძუკები-და სვამები) შეიძლება ყოფილიყვნენ.

2. ლეგები (და არა ლეკეთი) სავარაუდოდ ნამდვილად იღებენ რომაული (მაკედონური) მმართველობის წინააღმდეგ ქართველთა აჯანყებაში მონაწილეობასისინი ასაკენების (თითქმის) ქართველურ ტომს წარმოადგენენ, ისევე, როგორც ფხოველები, ფშავ-ხევსურები.

3. ეგრისი ლეონტი მროველის დროინდელი დასახელებაა, ის არქაული კოლხეთია (ლაზები აქ ჯერ არც ფიგურირებდნენ) და ასევეა მოხსენებული იმ ეპოქის წყაროებში(7)

4.ლეონტი მროველის ვერსიით, აზონისაგან გამდგარ ათას ''ჰრომაელ'' მხედარს ადრე ავი წაკიდებოდა აზონისაგან, ამიტომაც განუდგნენ მას. არაადეკვატური უნდა იყოს მმართველი, დესპოტი, რომელიც ერთადერთ საკუთარ საყრდენ ძალას უცხოეთში (ასეთად თვლის საქართველოს აზონი, რომელიც ადგილობრივებს იარაღის ტარებასაც კი უკრძალავს) ''ბოროტს წაჰკიდებს''

5.საფიქრალია, რომ აჯანყებული პელაზგყოფილების მნახველი, თავად ეპირელებიც და „ანფემუნტელი მეგობრებიც“ ამ უკანასკნელთა მხარეზე დადგნენ.

6.სავარაუდოა, რომ აზონის კლარჯეთში გამაგრება თავიდან ამ უკანასკნელის იბერიიდან საკმაო დაშორებით უნდა ყოფილიყო განპირობებული და არა ამ კუთხის აზონისადმი განსაკუთრებული სიმპათიით.

„ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთო სპანი საბერძნეთით, განძლირდა ფრიად და მოჰმართა ფარნავაზს...და ესე ყოველი შეკრიბა ფარნავაზმან და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტაანისა, რომრლსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური'' (აქვე)

ერთობ საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველი არ აღნიშნავს საბერძნეთიდან მოერთებული ძალის „ჰრომაელობას''. მართალია ალექსანდრე მაკედონელიც მროველისათვის საბერძნეთიდანაა დაძრული, შესაბამისად ეპირელებიც და ანთემუნტელი მეგობრებიც საბერძნეთის მცხოვრებნი გამოდიან (სინამდვილეში ანთემუნტა მაკედონიად ითვლება) თუმცა მროველი მათ ჰრომაელებად ნათლავს. მროველის ცნობების განხილვა აუცილებელი ჩანს სხვა ცნობებთან მიმართებაში. ქართველი მკვლევარის, პავლე ინგოროყვას მიხედვით,

უძველეს ქართულ საისტორიო მატიანეში, რომელსაც „მოქცევაი ქართლისაი“ ეწოდება, და აგრეთვე მიმდგომსავე ქართულ ტექსტებში (შატბერდისეულ-ჭელიშური ნინოს ცხოვრება, არსენი მეტაფრასტის ტექსტი) დაცულია საისტორიო გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან „არიან ქართლიდან“ (8)

„აზონი, ძე არიან ქართლის მეფისა...წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა ათასი სახლი მდაბიო უფლისა ათნი სახლნი მამამძუძუნი, და დაჯდა ძუელ მცხეთას'' (პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ-80)

საყურადღებოა, რომ მოყვანილი ცნობა არ აღნიშნავს აზონის მიერ არიან ქართლიდან წამოყვანილი ხალხის დასახლებას მცხეთას (ქალაქი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის პერიოდშიც ისედაც საკმაოდ ხალხმრავალი ჩანს) წინამდებარე ორი ეპიზიდის შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ აქ აბსოლუტურად სხვადასხვა ეპიზოსთან გვაქვს საქმე: აზონის მიერ საბერძნეთიდან **სპის მორთვა** და არიან ქართლიდან ქართველთა ჩამოსახლება სრულიად სხვადასხვა ეპიზოდებია!

1.ინგოროყვასეული ვარიანტი ხალხის გადმოსახლებაზე აკეთებს აქცენტს, რომელიც არიან ქართლიდან ჩამოასახლა აზონმა და არა საბერძნეთიდან.

2.ძნელია მდაბიო უფლისა დაუძახო ხალხს, რომელნის ლეონტი მროველის მიხედვით თვით რომაელებს არ ეპუებოდნენ და ეკირთებოდნენ. სავარაუდოდ, აზონის ჩამოყვანილი ეს ათასი ოჯახი ილირიელია.

3.ფარნავაზის მიერ ორგანიზებული აჯანყების დროს, როდესაც თვით „ჰრომაელი ათასი მხედარიც“ კი გადაუდგა აზონს, ის არ დარჩენილა ულაშქროდ, უბრალოდ მისი ლაშქრის და მომხრეების რაოდენობა არა ჩანს იმდენი, რომ გაერთიანებულ საქართველოს და ჩრდილო კავკასიას წინ აღდგომოდნენ.

4.წინა პლანზე წამოიწევა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ტომის და რომელი ქვეყნის ყოფილი მოქალაქენია ალბანეთი თუ გავითვალისწინებთ უძველეს შეხედულებას ალბანთა იტალიური წარმოშობის შესახებ, საკითხი თავად მოითხოვს დასკვნას: საქართველოს ალბანეთი ის მოსახლეობა ჩანს, რომელიც აზონმა ჩამოასახლა არიან ქართლიდან და რომლის სამშობლო საბერძნეთის გაგრძელებაზე მდებარე ილირიკად წოდებული ადრიატიკის ზღვის სანაპიროა! (9)

5. აზონის მიერ „ბერძენთაგან“ სპის მორთვა სრულიად სხვა ეპიზოდია, ხოლო მის მიერ წარმოებული ომი აშკარად თავდაცვითი ხასიათისაა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბრძოლა ქაჯთა ციხესთან გაიმართა (10)

აზონის ჩამოყვანილი ტომების პირველი ტალღა ეპირელებისა, ილირიელები და ალბანები ჩანან, რომლებიც ძირითადად კახეთის რეგიონში ჩანან ჩამოსახლებული. რაც შეეხება მეორე ტალღას უკვე მეშველად ძალად ჩამოყვანი-

ლებს აზონის მიერ, არტაანში ჩანან განსახლებული. ორიოდ საუკუნის ადრე ამ კუთხის მცხოვრებლებს კოლებად იხსენიებს ჰეკატე მილეტელი, თუმცა ამ კუთხის სახელი მოგვიანებით კოლა-არტაანი ჩანს! არტები-ეს ადრიატიკაში მცხოვრები ეპირელები და ილირიელებია, რომელთა ნაწილი ლაშქრობაში ალბათ თან მოყავდა ალექსანდრე მაკედონელს და აღმოსავლეთ საქართველოში დაფუძნდა, რომელის დასახელება ჯერ კიდევ ჩანს კახურ სოფლებში ართანას და არტაანის სახით.

...და როგორ ხვდებიან ადგილობრივი მოსახლეობა ამ ახალ მოსულ ხალხს, მარ-თალია ასევე მათსავე გენისა და სისხლისას, და მაინც განსხვავებულს დამხვდურთაგან? (გარდა ზემოთ მოყვანილი კერძო შემთხვევისა, რომელიც სახელისუფლებო ტერორად შეიძლება მოინათლოს)

„ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთაი, და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი და განიყვნეს ყოველთა ქალაქთა შინა...მას ჟამსა სადაითაცა ვინ მოვიდეს ძვირის მოქმედთაგანი- საბერძნეთით გინა ასურეთით, გინა ხაზარეთით-ოტებულნი. ყოველნივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა'' (ქართლის ცხოვრება; ლეონტი მროველი, გვ 26. 2012 წ თბილისი)

ცხადია საქართველოს გაძლიერებისათვის უცხოტომელთა დამმეგობრებელი ქართველი წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ ამავე მიზეზით აქ მისი სისხლისმიერი ნათესავი ჩამოსახლდებოდა...თუ სამხრეთ საქართველოში კოლებთან (პ.ინგოროყვა მათ სრულიად სამართლიანად კოლხებად თვლის) ასევე დასავლეთ ქართველური ტომები ჩანან ჩამოსახლებული,სხვა სიტუაცია ჩანს აღმოსავლეთ საქართველოში: გარდა ეტრუსკებისა, რომლებიც ძირითადად აღმოსავლური, იბერყოფილი ტომები ჩანან, აქაც დასავლური ტომების პრიმატი იგრძნობა.

„ალბანელებთან იაზონმა ზავი შეკრა; ამბობენ, ალბანები ოდესღაც იტალიიდან ჩამოყვნენ ჰერაკლეს, ალბანეთის მთებიდან, როდესაც იგი ჰერმიონის სიკვდილის შემდეგ მოერეკებოდა მის საქონელს ილირიაზე გავლით'' (პომპეუს ტროგი; ეპიტომა, ფილიპეს ისტორია, წიგნი IIXL, თავი-3)

ცხადია ალბანები ჰერაკლეს არ ჩამოყოლია, თუმცა სტრიქონების ავტორის ეპოქაში იტალიის საზღვარი ჩრდილოეთით ქალაქ პოლამდე მიდიოდა, ტრიესტის ყურეში და რომლის დაარსებასაც კოლხებს მიაწერდნენ,ხოლო ილირიაში უკვე რომაული გარნიზონები იდგა. ტროგის განცხადება საფუძველს მოკლებული არ ჩანს იმ განსხვავებით, რომ ალბანელები იტალიელები კი არა ილირიელები ჩანან...და სად, რომელ ტერიტორიაზე დასახლდნენ ილირიკიდან აზონის მიერ ჩანოყვანილი ხალხი გარდა ალბანეთისა და ვისი სახელით ფიგურირებს საქართველოს ისტორიაში?

...და აი აქ იხსნება ქართული ისტორიის კიდევ ერთი მივიწყებული ფურცელი, რომელიც ამ ისტორიას სხვა კუთხით გვიჩვენებს. ამოსავალი წერტილი აქაც ქართული ტოპონომიკა ხდება.

...ალაზანი-იყო ამ ტოპონომის გაშიფრვის მცდელობა. ერთ-ერთი ვერსიით ის ალაჰ-ზანს აღნიშნავს. ალლაჰი მე-7-ე საუკუნის რელიგიურ-ლიტერატურული ტერმინია. ალოზონიოსი-ასე ახსენებს შვიდი საუკუნით ადრე სტრაბონი, რომელსაც ეს სახელი მისი წინამორბედისაგან, არტემიდორის თხზულებიდან უჩანს ამოღებული უთუოდ, მითრიდატე-პომპეუსის დროის ისტორიკოსისაგან... ტოპონომის გაშიფრვის გასაღები მასშივე დევს. ალა-ზანი, ზანების ალა, ზანების ფრთას ნიშნავს ბერძნულ-რომაულ ენებზე...სავარაუდოა, რომ სწორედ აქეთკენაა ალექსანდრე მაკედონელის მიერ დატოვებული ილირიელი მოლაშქრეების გამრავლება- განსახლების არეალი...თეორია სამტკიცის გარეშე ჰიპოთეზაა მხოლოდ, დამტკიცებული თეორიაუკვე შემდგარი ფაქტი....

„ამ დროს ვონონმა, კილიკიიდან მის გაძევებაზე მე უკვე ვსაუბრობდი ზემოთ, სცადა გაქცეულიყო არმენიაში, რომ იქიდან გადასულიყო ალბანებთან და ჰენიოხებთან, ხოლო იქიდან თავის ნათესავ სკვითებთან''

(ტაციტი; ანალები, წიგნი II-68)

ტაციტი აქ ზანების (ჭანების) აღსანიშნავად ტერმინ ჰენიოხს ხმარობს, რომლებსაც ის კოლხეთის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროდან იცნობს, თუმცა ერთიც და მეორეც ნამდვილად ზანია. არც შემდგომ საუკუნეებში არ ქრება ამ ტერიტორიებზე ჭანთა-ზანთა სახელი, ბერძენი ავტორები მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცირეოდენი ინტერპრეტაციებით ახსენებენ: ტრაპეზუნდის მხარეში მათ სანებს უწოდებენ, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე სანიგებს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოში-სანარებს. გეოგრაფიის მამად წოდებული კლავდიოს პტოლომაიოსი აღნიშნავს, რომ ალბანებს იქით სანარები ცხოვრობენო.მე-7-ე საუკუნის არმენი ანონიმი გეოგრაფი ასე ახსენებს მათ:

„ წანარნი, რომელთაც უჭირავთ ალანთა კარი და წილკანის კარო''-ო...

IX საუკუნის არმენი ისტორიკოსის, იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, წანართა დიდი ქორეპისკოპოსი, ალანთა კარის ახლოს, გუგარათის დიდ ნაწილს ფლობდა''

(ლათინური ასო C, სხვადასხვა ქართულ წყაროებში ხან ჩ. ხან წ, ხან კი ჭ ხდება)

„სასაზღვრო ციხე--სიმაგრე ტფილისსა და უკვე ზემოთ ციხე-სიმაგრე ალანთა კარს შორის მდებარეობს ჭანართა სამეფო. რომლის მეფესაც ეწოდება ქურისქური (ქორეპისკოპოსი)...ამ ქვეყანაში ისინი ბატონობენ მრავალ ადგილობრივ ხალხებზე. წანარების სამეფოს იქით მდებარეობს შაქი'' (არაბი ისტორიკოსი მას'უდი)

„ალბანეთის ერისთავს, კრევატიდთა ერისთავს, ანუ ეგრეთ წოდებულ კრე-

ვატასს, კედონიის ერისთავს, ჭანარიის ერისთავებს -ერისთავს შირვანისას, რომელიც მდბარეობს ალანიასა და ჭანარიას შუა, ერისთავს აჟიისა, სადაც არის კასპიის კარები, ხრისას ერისთავს , ვრეჟანის ერისთავს , მოკანის ერისთავს (საცოდნელია რომ მოკანიდან იწყება მეოტიდა) (გეორგიკა, ტომი IV, წიგნი 2, კონსტანტინე პორფიროგენტი, გვ292, თბილისი 1952 წ)

ბიზნტიის იმპერატორის გზავნილი საუკუნეების სიშორიდან დამაფიქრებელია, მას თანამდებობრივი მოვალეობა აიძულებს რომ მისი მიმდებარე ქვეყნების გეოგრაფია საკმაოდ კარგად იცოდეს:

1.ის, რომ პორფიროგენტის სიტყვებით მოკანიდან იწყება მეოტიდა, გამოხმაურებას პოვებს მოვაკანის ერთ- ერთ ძველ სახელწოდებასთან და სულაც არ ნიშნავს მეოტიის ტბასთან მის ტერიტორიულ კავშირს (11)

2.ტოპონომი იმ ერისთავისა, აჟიისა, რომლის ტერიტორიაზე კასპიის კარებია განლაგებული, დღეს კახეთის რეგიონში ფიქსირდება, რაც შესაძლოა კასპიისპირა მოსახლეობის ნაწილის კახეთისაკენ მიგრაციის შედეგი იყოს კიდეც.

3.პორფიროგენტი ჭანარიის ორ ერისთავს აღნიშნავს, რაც აბსოლუტურ უნისონში მოდის არაბი ავტორის მიერ ასევე ორი ჭანური რეგიონის აღნიშვნასთან: ერთი, სანარია მდებარეობს არაგვის ხეობაში, მეორე სანარე-მდინარების, მტკვარისა და არაქსის შეერთების ქვემოთ.

4.ის, რომ შირვანის სამეფო მდებარეობს ალანიასა და ჭანარიას შუა, პირდაპირ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ბიზანტიის იმპერატორს ალანია დერბენტის ახლოს, უშუალოდ მასთანვე ეგულება! როგორც იმავე დროის არაბი ავტორებისაგან ცნობილია, დერბენტთან უშუალო სიახლოვეს სერირის სახელმწიფოა, რომელსაც არაბი ავტორები არცთუ იშვიათად სერირალანსაც უწოდებენ! მაგრამ ალანებს იმავე პორფიროგენტი აღწერს აზოვის ზღვის სანაპიროზე! როგორც ეტყობა, სწორია რუსი მეცნიერების მტკიცებულებანი, რომ ტერმინ ალანების ქვეშ ხშირად სრულიად სხვა ხალხებიც არიან გაერთიანებული, კერძოდ სერირელები, ტაუსტანელები.(12)

ბიზანტიელებსა და სპარსელთა შორის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის განხეთქილების ვაშლი სვანეთის თემა გახდა. ბიზანტიელთა მოსაზრებით, სვანეთი მათ ეკუთვნოდათ, ვინაიდან სვანეთის სუზერენი ლაზიკის მეფის მორჩილი იყო. ხოლო თავად ლაზიკა-ბიზანტიის ხელდებული. სპარსეთის ელჩის ზიქის სიტყვებით:

„სვანები თვითთავადნი იყვნენ და არასდროდ კოლხების ძალაუფლებას არ ექვემდებარეობდნენ. პეტრემ (ბიზანტიის ელჩმა) **კვლავ უთრა ზიქს: თუ გსურს ზიქი რომ საზავო ხელშეკრულებაში სვანეთის სახელი არ აღბეჭდო, დაწერ რომ მიბრუნებ ლაზიკეს მისდამი დქვემდებარებულ ტომებითურთ. ზიქმა უპასუხა: მე რომ ეს ვქნა, შენ საშუალება მოგეცემა იბერიის შესახებაც**

იდავო'' (იქვე; ტომი III, მეანდრე პროტექტორი, გვ-214-215, თბილისი 1936 წ)

ბოლო ფრაზა საკმაოდ დიდ გაუგებრობას იწვევდა ქართველ მეცნიერებში, ვინაიდან ამ ფრაზის დამაჯერებელი განმარტება არ არსებობდა. ჩვენის მხრივ აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული პერიოდისათვის იბერიის ქვეშ მთელი აღმოსავლეთ საქართველო იგულისხმებოდა. ზემოთ მოყვანილი დასკვნების საფუძველზე, მთელი აღმოსავლეთი საქართველო, თვინიერ იბერიისა, გაჯერებული იყო ზანური ელემენტით...ის რომ ქართულ საისტორიო წყაროებში მუწუს წყალი მოხსენიებულია ბზიფის ხეობაში, აფხაზეთში, მაწის წყალი და მაჭი კახეთში, მაჭახელა და ხელვაჩაური აჭარაში, ამ რეგიონთა ეთნოსების უმჭიდროეს დამოკიდებულებაზე მეტყველებს(13)

ეს ხაზრანებმა (ხევსურებმა) ააფრიალეს აჯანყების დროშა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ, რომელსაც სანარებმა უპირველესი თანადგომა გამოუცხადეს და რომელი აჯანყების მითვისებას უსამართლოდ ცდილობს ვაინახთა ჩაჩნური ტომი... მკითხველს შევახსენებ, რომ არაბებს და ვაინახებს ერთმანეთისაგან ამ დროისათვის 1000 კილომეტრი და არანაკლები წლები აშორებთ, ეს უკანასკნელნი ქართული აჯანყების პერიოდისათვის ყირიმში ცხოვრობდნენ. (იხ.ახაიელები)

„ამ მეგრელებს აქვთ საზღვარი ყაიტარებთან, რომლებიც კასპიის მთებთან ცხოვრობენ" (იოსაფატ ბარბარო; მოგზაურობა ტანაში, პარაგრაფი43)

მკითხველს შევახსენებ, რომ აქ მოხსენებული მეგრელები ბატში (დღევანდელი ანაპა) მცხოვრები ხალხია, ზიხები და მათ მართლაც არასდროს პირდაპირი საზღვარი ყაიტაღებთან არ უჩანთ, გარდა იმისა, რომ მათი თანატომელები ზიხები და ლაზები (ზანები) მართლაც ცხოვრობენ ყაიტაღების გვერდით დერბენტთან და საერთოდ დაღესტანთან:

„ხოლო მას ჟამსა იყო ლეკეთს კაცი მგრძნობელი, ნათესავი ზანიზიხისი. მან გრძნებით თვისითა დააბრმო ქვეკაპოს მეფე და სპაი მისი, და ვერა შევიდა ლეკეთს, უკუმოიქცა და მაშინღა განუნათლდა თვალნი''

ქართლის ცხოვრება; ლეონტი მროველი, ტომი 1.გვ-19. თბილისი 2012 წ)

რასაკვირველია შელოცვა ლეგისა, თუნდაც ლეკისა, სპარსულ ლაშქარს, იმ დროის N 2 ლაშქარს მსოფლიოში, უკან ვერ გააბრუნებდა ...მაგრამ გაერთიანებული ლაშქარის ხსენება ზანთა და ზიხთა (ილირიელთა) რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრის არცთუ უარეს ნაწილს წარმოადგენდა და რომელმაც უახლოეს წარსულში რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა სპარსული არმია, დიდი ფაქტორია იმისათვის, რომ იგი უბრძოლველად უკან გაბრუნდეს...

„როგორც ამბობენ, ალბანეთის ზემოთ ცხოვრობენ ამაზონები. ფეოფანი, რომელიც პომპეუსთან ერთად ლაშქრობდა, ეწვია ალბანთა ქვეყანას, ამბობს რომ ალბანებსა და ამაზონებს შორის ცხოვრობენ სკვითური ტომები, გელები და

ლეგები“ (სტრაბონი; წიგნი 11, 5-1)

როგორც ცნობილია, ბერძნულ-რომაული საისტორიო წყაროები მათთვის უცნობ ტომს ჩვეულებრივ სკვითურად ნათლავენ. ფეოფანის აღწერილი , ალბანეთს ზემოთ ჰერები ცხოვრობდნენ...

გელი-ამ სატომო სახელის ქართული ინტერპრეტაცია უეჭველად ჰერია!

გელი-ეს სვანური ლექსიკის მგელია (შეადარეთ ქართული მგელი, მეგრული გერი)

გელი-ამ სიტყვის პირდაპირი თარგმნა სპარსულ ენაზე, გორგი-გორჯი, სახელად მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დაენათლა!

....და იგივე ხალხის ნაწილს დღესაც აზებაიჯანში ინ-გილო, ყოფილი გელი ეწოდებათ..

ლეგი-ქართული ინტერპრეტაციით ლეკია, ევლია ჩელებისეული ლაკზი.

დიდი რაოდენობით ქართული გვარები აღმოსავლეთ საქართველოში , პრეფიქსით ჯანი-უთუოდ გვარის მატარებელთა ზანურ-ჭანურ წარმომავლობაზე მეტყველებს...

ასევე ჭანური უნდა იყოს ტერმინი ბაზალეთი-ბაზალი რომელი სიტყვის მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჩანს...

ისტორიული ექსკურსი

კასპის ზღვას და კასპებს პირველად ჰეროდოტე ახსენებს, რომლის მიხედვით კასპები ამავე დასახელების ზღვის სამხრეთ- დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ. პლინიუს უფროსის გონებამახვილური ახსნით, ეს ხალხები აძლევენ თავიანთ სახელს მთაგრეხილს, ზღვის სანაპიროს თუ სხვა დასახლებულ ადგილს. ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე და ზღვის სახელმდებელი კასპებისვე ტომი ჩანს. ტომი ქართულ ეთნიკურ სივრცეში ჩანს განბნეული (მაგალითად მარტო კასპის რაიონიც კი ერთ -ერთი წონადი სამტკიცია). კასპები მონაწილეობდნენ სპარსულ-ბერძნულ დაპირისპირებაში (V ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) და რომელნიც ჰეროდოტეს სიტყვებით:

„კასპიები, პავსიკები, პანტიმათეები, და დარეიტები ერთად იყვნენ დახარკულები და იხდიდნენ ორას ტალანტს. ესაა მეთერთმტე სატრაპია (ჰეროდოტე, წიგნი III-92)

„საკები და კასპიები 250 ტალანტს იხდიდნენ, ესაა მეთუთხმეტე სატრაპია“ (იქვე-93)

(კასპები ლაშქრობდნენ ტყაპუჭ -ჩაცმულები, მათ ჰქონდათ ლერწმის ადგილობრივი მშვილდები და აკინაკები. ისინი ასე იყვნენ აღჭურვილნი, წინამძღოლად ჰყავდათ არიომარდოსი, არტიფოსის ძე“ (იქვე, წიგნი VII-67)

კასპიებს ორ სატრაპიებს შორის ანაწილებს ჰეპოდოტე. მავანი ამას ჰერო-

დოტეს შეცდომად თვლის, თუმცა შესაძლებელი ასე არც იყოს. ის რომ კასპებს ცალკე სპარსელი სარდალი ჰყავდათ, და არავისთან კოოპერირებენ ბრძოლის ველზე,მათ მრავალრიცხოვნებას მიანიშნებს...და სულ რაღაც 150 წლის შემდეგ, იმავე სპარსელების და მაკედონელების დაპირისპირებისას, ისინი თითქოს აღარსად ჩანან...თითქოს...

აუცილებელი ჩანს რამდენიმე ისტორიული ცნობის შეპირისპირება, რომ კასპების სავარაუდო ისტორიულ გზას მივაკვლიოთ:

1.უძველესი ისტორიული წყაროების მიხედვით (იხ. იბერები, დიონისე პერიგეტი) ჩამოვიდნენ იბერები თანამედროვე იბერიის ტერიტორიაზე და სასტიკი ომი აჰკიდეს ჰირკანებს, რომელსაც ერთმანეთთან უშული კონტაქტის გარეშე ვერ შესძლებდნენ.

2. როგორც იმავე ჰეროდოტეს „ისტორიიდან“ გავარკვიეთ, იბერები მართლაც უშუალოდ ემეზობლებიან ჰირკანებს. უფრო მეტის, ისინი დარიოსის სპარსულ იმპერიაში ერთ სატრაპიაში შედიან კიდეც. (იხ, იბერები)

3. საომარ მწყობრში იბერიის (ასიელი ეთიოპები) და ჰირკანების (ჰეროდოტესეული პარიკანიები) ერთად სალაშქროდ გამოსვლა, მათ ტერიტორიულ მეზობლობას და ტომობრივ ნათესაობას მიანიშნებს.

4. იბერია ემეზობლება კავკასიაში მდებარე ჰირკანიას (ჰერებს) და მასთან ერთად ჰქმნის მეჩვიდნეტე სატრაპიას. მეთექვსმეტე სატრაპია, კასპია და საკასენა შესაძლებელია განლაგებული იყოს მხოლოდ იბერია-ჰირკანიის სატრაპიის ხაზის აღმოსავლეთით და დასავლეთით.

5.მართალია უფრო გვიანდელი ცნობებით მაგრამ იმავე სტრაბონთან, საკასენაეს არაქსის ხეობაა! შესაბამისად კასპებიც და საკებიც კასპიის ზღვის სანაპიროს საკმაოდ მოშორებულნი ჩანან.

თავად კასპები, რომლებმაც თავიანთი სახელი დაანათლეს ამ ზღვას, მისი სამხრეთი სანაპიროდან უკვე რამდენადმე სამხრეთ- დასავლეთით უნდა ცხოვრობდნენ...ასეთი ჩანს კასპების დისპოზიცია იმ ეპოქისათვის, როდესაც ისინი მონაწილეობდნენ სპარსეთის იმპერიისა და ბერძნული სამყაროს დაპირისპირებისას.

... და ალექსანდრე მაკედონელისა და დარიოსის სპარსული იმპერიის ომების დროს სადღა არიან? კასპიის ზღვის ახლოს (სავარაუდოდ მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც მდებარეობდა მარგიანა რომელიც სავარაუდოდ მარეგის პოლიტიკური წარმონაქმნი უნდა იყოს) დიოდორე სიცილიელი, რომელიც ეყრდნობა ალექსანდრე მაკედონელის მემუარისტთა ჩანაწერებს, აღწერს მარდებს და მათსავე გვერდით კოსეებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ არბელასთან მომხდარ ბრძოლაში:

„მასთან იყვნენ [აივას მატარებელნი], მრავალრიცხოვანი და გამორჩეული ვაჟ-

კაცობით, მათ გარდა მარდები და კოსეები, რომლებიც საკუთარი ფიზიკური სიდიდით გაოცებას იწვევდნენ. მათთან ერთად იბრძოდა სამეფო დაცვა და ყველაზე უმამაცესი მეომარი -ინდები . მაღალი ყიჟინა დასცეს მათ მტრებს, იბრძოდნენ ვაჟკაცურად და აღმატებული ძალის მეშვეობით დაიწყეს მაკედონელთა ძლევა" (დიოდორე სიცილიელი , წიგნი XVII თავი-LIX)

მეომარი ინდები- როგორც გაირკვა, ამ ტერმინით მაკედონელის თანამოლაშქრენი იბერ-ქართებს და ფშავ-ხევსურებს, ფხოველებს ახსენებდნენ. დიოდორე სიცილიელი აქ მეომარ კოსეებს ახსენებს, თუმცა ჯერ კიდევ თითქმის 200 წლის წინ შესრულებული წარწერები ბეხისტუნისა, რომელიც დარიოს პირველს ეკუთვნის , ამ ეთნოსის შესახებ დუმს. იმავე წარწერაში კახების ეთნოსი, (ჩვენივე კვლევების თანახმად)ზრანკას ქვეყნის სახელითაა მოხსენიებული. მოგვიანებით, 80-იოდ წლის შემდეგ, ამავე ზრანკას უკვე კასპებს ეძახის ჰეროდოტე (14) და მათ საკებთან ერთად მეხუთმეტე სატრაპიაში აერთიანებს. საკკასპთა გაერთიანებულ პოლიტიკურ ერთეულს ალექსანდრე მაკედონელის თანამოლაშქრე მემუარისტებთან უკვე დრანგიანა ეწოდება. იგივე სტრაბონთან, რომელიც მისი წინამორბედი არტემიდორის ცნობებით სარგებლობს,მითრიდატული ომების ისტორიკოსისა, უკვე აღწერილია ალბანეთი და მიდია. აღწერილია საკმაოდ დაწვრილებით და საქმის ცოდნით...მაგრამ ამავე დროს სტრაბონი აღწერს კოსეას, როგორც მის დროს არსებულს:

„ჩრდილოეთით კარმანიას ესაზღვრება პერსიდა, ამ უკანასკნელს უერთდება პარატეკანა და კოსეა კასპის კარამდე „(სტრაბონი;ტომი XVI, 1-17)

სტრაბონის სიტყვებით, კოსეა თვით კასპიის კარამდე ვრცელდება (საუბარი კასპიის აღმოსავლეთ კარიბჭეზეა, კლდეებზე ამ დასახელებით, არმისული თავად კასპიამდე- დასვლეთ კარიბჭეს სტრაბონი საერთოდ იგნორირებს)

„პოლიკლიტი ამტკიცებს, რომ ევფრატი არ იქსაქსება, იმიტომ რომ მოედინება ფართო ვაკეზე: ერთი მთა მდებარეობს მისგან 2000 სტადიონის მანძილზე, ხოლო კოსეისა თითქმის მხოლოდ 1000-მდე (180 კმ)(იქვე1-13)

სტრაბონის სიტყვებიდან გამომდინარე, კოსეა იწყებოდა იყო სპარსეთის ყურიდან 180 კილომეტრის მოშორებით და თითქმის კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული, ფაქტიურად მთელი ათასი კილომეტრი!...და როგორ გამორჩა ამხელა ტერიტორიაზე გადაჭიმული ქვეყანა ბეხისტუნის წარწერებში, რომელიც დარიოს პირველის საბრძანებლოს სრულიად აღწერს?

„კოსეელები, ისევე როგორც მთიელი ტომები, უმრავლესობა მოისარია, მუდმივად დაკავებული ძარცვით...ყოველ შემთხვევაში, ისინი გამოვიდნენ ელამელების დასახმარებლად, მებრძოლი ბაბილონელებთან და სუსელებთან, 13 ათასიანი ლაშქრით (იქვე; 1-18)

...და ყველაფერი თავის ადგილას დგება. თავის ნაშრომებში სტრაბონი ბა-

ბილონს აიგივებს ასირიასთან, რომელიც ამ უკანასკნელს ჩვ.წ. აღრიცხვამდე მე-7-ე საუკუნეში მთლიანად ანექსირებული უჩანს.იმდენად რამდენადაც ელამელთა საბოლოო დამორჩილება ასირიის მიერ 640 წელს ხდება ქრისტემდე,კოსეელთა დახმარება ელამელებისადმი ამ წელზე უფრო ადრეა სავარაუდებელი. სტრაბონს აქ მისი დროისთვისაც კი არქაული ცნობა მოყავს და თანამედროვედ ასაღებს! კოსეა უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს, თვით დარიოს პირველის მეფობისაც კი, მისი სამხრეთი ნაწილი კასპიაა, სხვა ტომებთან ერთად, ჰეროდოტესეული მეთერთმეტე სატრაპია... ხოლო მისი ჩრდილოეთი ნაწილი, გაერთიანებული საკებისა და კასპიებისა, მეხუთმეტე სატრაპიაა! ამას მოსდევს ჩამონათვალი პართია, ხორასმია , სოგდები და არიელები-მეთექვსმეტე სატრაპია, რომელიც მეხუთმეტე სატრაპიაზე აღმოსავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით არიან განლაგებული...სრულიად სამართლიანად მიანიშნებს ეს ობიექტური ისტორიკოსი, რომ კოსეას (კასპების)) ტერიტორიის თავისებურებიდან გამომდინარე,ის იმდენად წაგრძელებული ჩანს ფორმით, რომ მისი ჩრდილოეთი ნაწილი-ეს მე-15-ე სატრაპიაშია გაერთიანებული საკებთან, სამხრეთი ნაწილი მე-11-ე სატრაპიაში. (და რასაც შეცდომად უთვლიან ისტორიკოსები) ცხადია, დიოდორე სიცილიელის კოსეებში- დრანგები (კასპები, კახები) უნდა ვიგულისხმოთ. რასაკვირველია სპარსეთის იმპერიის დარიოსისეულ სატრაპიებად დანაწილება დროთა განმავლობაში ხელშეუხებელი დოგმა ვერ იქნებოდა. წინა თავში აღინიშნა კიდეც ის ცალკეული ცვლილებები, განსაკუთრებით სატრაპიათა მცირე აზიურ კონფიგურაციებშია მომხდარი. ზუსტად ასევე ჩანს ცვლილებები სატრაპიების კავკასიურ ნაწილშიც, უკვე დარიოს I- დან ერთი საუკუნის შემდეგ. სპარსეთის N11 სატრაპია კასპებისა-ეს ლურისტანის ოლქია დღევანდელ ირანში, ხოლო N15 სატრაპია კასპებისა-ეს უკვე დღევანდელი კახეთია საქართველოს შემადგენლობაში, რომლის აღმოსავლეთი საზღვრები გაცილებით შორს ვრცელდებოდა იმ დროისათვის...

არბელასთან ომის საკუთარ ხედვას გვთავაზობს ფლავიუს არრიანეც, თუმცა ისიც იგივე მემუარებით სარგებლობს:

„როცა ჯარები ერთმანეთს შეეჯახა, ნათელი გახდა, რომ დარიოსი თავისი გარემოცვით:სპარსი [აივას მატარებელნი], ინდები, ალბანები (15) და კარიელი-გადასახლებულები და მშვილდოსანი მარდები დგანან ალექსანდრეს და სამეფო ილის წინ“ (ფლავიუს არრიანე, ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი 3; 13-1)

ფაქტიურად ორივე ცნობა იდენტურია და ასეც უნდა იყოს, სავარაუდოდ ორივე ერთი და იმავე მემუარით სარგებლობს. თავად არრიანესეული ინდებიც მეომარი ინდები ჩანან, (მთის, თეთრი ინდები, ფშავ-ხევსურები, ფხოველები) თუმცა ერთი განსხვავება სახეზეა: დიოდორე სიცილიელი კოსეებს აღნიშნავს, ფლავიუს არრიანე -ალბანებს....როგორც გაირკვა, ალბანები ის ხალხია,რო-

მელნიც ალექსანდრეს მხარეს იბრძვიან ეპირელი „მეგობრების“ და ილირიელი მოლაშქრეების სახელით. ცხადია ალბანელები შეტაკებაში დარიოსის მხარეს ვერ იბრძოლებდნენ. ფლავიუს არრიანეს მიერ ალბანელების დასახელებას სპარსელთა რიგებში მხოლოდ ერთი სარჩული შეიძლება ჰქონდეს:ფლავიუს არრიანე რომაელი მეფისნაცვალია კაბადოკიისა , რომელსაც საკუთარი ფეხით (თუ ნავით) შემოვლილი უჩანს მთელი შავი ზღვის სანაპირო, მათ შორის კოლხეთი, მრავალი ისტორიული ტრაქტატის ავტორი. როგორც ჩანს, იგივე ისტორიიდან იცის, რომ კასპიის ზღვისპირა ტერიტორიებზე, მისი დროისათვის არც კასპების (და არც კოსეების) ხსენება არ არის. აქ ტონის მიმცემი უკვე ალბანთა სახელმწიფო და ალბანთა ილირიული ტომები წარმოადგენენ. რასაკვირველია, ალექსანდრე მაკედონელის მემუარების ავტორთა ჩანაწერებში დრანგთა ტომი უნდა ყოფილიყო, რომელთა ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ფლავიუს არრიანეს დროისათვის უკვე ალბანთა სახელს ატარებს...

როგორც სტრაბონის ვერსიით ირკვევა, კოსეა იწყება კასპიის ზღვის ახლოს და მთავრდება ორ ასეულ კილომეტრზე ევფრატიდან. ისინი საკმაოდ დიდ ტერიტორიებს აკონტროლებდნენ და მათი მრავალრიცხოვნობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს: ჯერ კიდევ სპარსელთა და ბერძენთა დაპირისპირებისას (V ს, ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ისინი (უკვე კასპთა სახელით) დამოუკიდებლად გადიან საკუთარი სპარსელი მეთაურის სარდლობით. მით უმეტეს, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ნებით თუ ძალით, მათ დატოვებული უჩანთ კასპიის ზღვის სანაპირო (რომელ ზღვასაც სახელი თავად დაანათლეს) და ზღვიდან სამხრეთის მიმართულებით ჩანან უკან დახეულები. სავარაუდოა, რომ ზღვიდან უკან დახევის მიზეზი ჰირკანები იყვნენ, რომლებიც ამ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე დასახლდნენ და ზღვასაც საკუთარი სახელი დაანათლეს . ჰირკანების აქ დასახლება მიეწერება სპარსელთა პირველ მეფეს, კიროსს, რომლის მიზანიც სავარაუდოდ იბერ-კახთა და პართ-ბაქტრთა განცალკევება წარმოადგენს: ამ მონათესავე ტომების მოსაზღვრეობა სპარსთა ახალშექმნილი იმპერიისათვის მიზანშეუწონლად ჩაითვალა. .ჰირკანების კასპიაზე ჩამოსახლება და კასპთა ნაწილის დახევა ზღვის სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროსაკენ, VI საუკუნის შუა წლებით ჩვ.წ. აღრიცხვამდე უნდა დათარიღდეს…

„შემდეგ ამბობენ, რომ არმენია, წარსულში პატარა ქვეყანა, გააფართოვეს არტაქსერქსისა და ზარიადრეს მეომრებმა....მიდიელებს წაართვეს კასპიანა, ფავნიტიდა და ბოსოროპედა“ (სტრაბონი, წიგნი XI; XIV-5)

სტრაბონის მიერ ნახსენები ფაქტი, მიდიისათვის არმენიის მიერ პროვინციების, მათ შორის კასპიანას ჩამორთმევა III საუკუნის დასაწყისს ხდება ჩვ. წ. აღრიცხვამდე. სავარაუდოა, რომ სტრაბონი აქ უკვე რეგიონის შესახებ მსჯელობს და არა თავად კასპების, უკვე ალბანელებად წოდებულების შესახებ. (რო-

გორც ზემოთ ვთქვით, კასპებს უკვე მიტოვებული უჩანთ კასპიანა, თავიანთი ყოფილი სამფლობელო და დასავლეთისაკენ არიან გადაადგილებული) რაც შეეხება კამბისენას (უკვე კამბისენას, კამბეჩოვანს, ქიზიყს) იმ დროისათვის ისიც არმენიის შემადგენლობაში იყო, თუმცა ალბათ გაცილებით სამხრეთით, ვიდრე დღეს არის...გარკვეული დროის შემდეგ, ალბანეთი ორ პოლიტიკურ ერთეულად ყალიბდება: კახები-კასპყოფილები (წარმოქმნილი ტოპონომიც აშკარად გამოხატულად ხი, ქართული ბოლოსართით ჩანს ნაწარმოები) და ჰერები-იგივე გელები...დროთა განმავლობაში ტოპონომი კახი თითქმის მთლიანად ითავისებს და აძევებს ტოპონომ ჰერს ხმარებიდან .

რეზიუმე: ზან-ზიხები, ალბანები, არასრული ჩამონათვალი ჩანს იმ ქართველური ტომებისა, რომლებიც ილირიკიდან თან ჩამოყვნენ ალექსანდრე მაკედონელს,დაემკვიდრნენ თავიანთ ამ ახალ სამშობლოში და დროთა განმავლობაში არაერთხელ შეასრულეს დადებითი როლი ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბება- განმტკიცებაში. დედა საქართველოს მოწყვეტილი მათი ნაწილი, დღეს უკვე სხვა ტერიტორიაზე, სხვა სახელმწიფოს დროშის ქვეშ აგრძელებს ცხოვრებას და მოღვაწეობას...მათმა დიდმა ნაწილმა ეჭვადაც კი არ იცის, თუ ვისი გორისანი არიან...

...და წიაღსვლანი...

განსხვავებული სურათი იხატება აღნიშნულ რეგიონთან მიმართებაში, მე-17-ე საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების აღწერილობის მიხედვით. თურქი მოგზაური ჩრდილო კავკასიური მგზავრობის აღწერას ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო მხრიდან იწყებს. იწყებს ბერბერეს ტომზე საუბრით, რომ იკერმანისა და იზმაილის ციხეები ყირიმის ნახევარკუნძულზე მათი აშენებულია. იგივე ხალხის საცხოვრისს აღწერს ტამანის ნახევარკუნძულზეც, ტემრიუკ- კერმენის მახლობლად. მისგან ნახევარი საათის სავალზე ჩრდილოეთისკენ (16) უკვე აზოვის ზღვის სანაპიროზე, ბერბერეს ყოფილ მიწა-წყალზე.აქ აშენებულ ციხე სიმაგრის ნანგრევებს, გზააბნეული მეფის სალ-სალის აშენებულს უწოდებს, თავად ციხეს-კალხასინჯას...და იგივე ტომს აღწერს ჩელები უკვე ჩრდილო კავკასიაშიც, ქაბარდას-ყაბარდოს გვერდით...ჩელებისეული ბერბერეს ტომის აღწერა აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში აშკარად მიანიშნებს ალანთა ტომის იდენტურობას ბერბერესთან.

მისი აღწერილობით, ბერბერეს ხალხი ცხოვრობს ქაბარდას გვერდით. ეს ოთხი ძმის სამფლობელოა. ორი მათგანი ყაბარდოს ქვეშევრდომია, ორი დანარჩენი დაღესტანისა. ბერბერეს ოლქის ჩრდილოეთით კალმიკები ცხოვრობენ. მათი ოლქები გადაჭიმულია მდინარე თერგამდე, ხოლო მათი ქვეყანა ათი გადა-

სვლის მანძილის ტოლია. ოთხ ძმას ყოველს ორ-ორი ათასი შეიარაღებული მეომარი ჰყავს. ვინაიდან ისინი მუსულმანები არ არიან, ზოგჯერ მათზე თავდასხმას აწყობს დაღესტანის ფადიშაჰი...

შემდეგი ტომი ყაბარდოელებია, ჩელების სიტყვებით „ნამდვილი ჩერქეზები“,მათი მოსაზღვრე ქვეყანა-- ეს უკვე ტაუსტანია. ეს მისი სიტყვებით „ვეებერთელა ქვეყანა “, განმარტებული რუსულენოვანი კომენტატორის მიერ როგორც მცირე ყაბარდო!

„ეს საოცრად დიდი ქვეყანაა, მისი ერთი მხარე ჩრდილოეთისკენაა გადაჭიმული მოსკოვის მიწებამდე. მეორე მხარეს აღმოსავლეთით ესაზღვრება დაღესტანის ფადიშაჰის ქვეყნები. სამხრეთით ბოლო ამ ქვეყნისა ელბრუსის კალთებქვეშ ესაზღვრება დადიანის სამფლობელოს“ (ევლია ჩელები: ჩრდილოეთ კავკასიის მიწები, ვოლგისპირეთი და დონისპირეთი.თავი 3, გამოცემა 1979წ <რუსულად)

წინამდებარე ნაწყვეტისათვის აუცილებელია რამდენიმე განმარტება:
1.როგორც ჩელების ნაწარმოების კონტექსტიდან ჩანს, ტერმინ ელბრუსის ქვეშ კავკასიონის ცენტრალური, უმაღლეს მთათა სისტემა აქვს მხედველობაში, და არა მწვერვალი ელბრუსი

2. ტექსტის რუსულენოვანი კომენტატორის განმარტება, რომ ტაუსტანი დაღესტანის ძველი დასახელებაა, ჭეშმარიტებას აბსოლუტურად აცდენილია. ამავე ისტორიულ ჩანაწერებში ტაუსტანი და დაღესტანი იხსენება როგორც გვერდიგვერდ მდებარე პოლიტიკური ერთეულები.

3. ტექსტის იგივე კომენტატორის მიერ უკვე სხვა ადგილას გაკეთებული განმარტების მიხედვით, ტაუსტანი მცირე ყაბარდოა! აზრი აქაც აშკარად აცდენილია ჭეშმარიტებას, რამეთუ ჩელებისეული ვეებერთელა ქვეყანა ტაუსტანი არ შეიძლება ისედაც პატარა ყაბარდოს კიდევ უფრო მცირე ერთეულს წარმოადგენდეს! სულ სხვა საკითხია, რომ ტაუსტანის რაღაც ნაწილი დროთა განმავლობაში გადაიქცა მცირე ყაბარდოდ (ანალოგიურად ჩრდილო შავზღვისპირელი ზიხების მეგრული ტომისა, რომელსაც ისტორია უკვე დიდი ხანია ჩერქეზებად იხსენებს)

4.ჩელების მოგზაურობა 1665-67 წლებით თარიღდება...და ერთობ სიმტომატურია, რომ ჩეჩნეთს არ ახსენებს, სარერთოდ არ ახსენებს...

„აღმოსავლეთის მხარე ამ მთებისა -ირანის მიწებია, რომლებიც მოიცავენ აზერბაიჯანს, ტიფლისს, ტუმანისს, სერირალანს და გილანს ...ამ მაღალი მთის ძირას ანუშირვანმა ეკასირების დინასტიიდან ა აშენა ციხე-სიმაგრე, რომელს-აც დაარქვა დემირ-კაპუ (დარუბანდი)...ამ ციხე--სიმაგრის საზღვრიდან ელბრუსის მთამდე ანუშირვანმა ააშენა მეტისმეტად მტკიცე კედელი, რომელიც მთავრდება კედელთან, აშენებული ისკანდერის მიერ ამ ელბრუსის

მთაზე...აღმოსავლეთით ამ ქალაქიდან, დემურ- კაპუდან, დევს ხაზართა ქვეყნის ქალაქები, ელერგის მიწები და ქვეყანა ლანისა. ამ დროისათვის ეს ქვეყნები მოსკოვის ხელისუფლების ქვეშაა, და წარმოადგენს ოლკუმენის ოლქს, რომელიც გადაჭიმულია თერგის ციხე-სიმაგრემდე...დემირ-კაპუ რჩება სპარსელების ხელში. მთა ელბრუსიდან ჩრდილოეთით ცხოვრობენ კაიტაღები, ისინი მოსკოვის მეფის ქვეშევრდომები არიან. სამხრეთით ელბრუსიდან ცხოვრობენ ქრისტიანი ხალხები, რომლებსად ეწოდებათ ლაზგი ან ლეგზი. მათ ყავთ ორმოცდათი ათასი მეომარი, სპარსელთა ქვეშევრდომები...აღმოსავლე - თით ამ მაღალი მთებიდან მდებარეობს ციხე -სიმაგრე ტიფლისი და ტუმანისი...ამ დროისათვის ეს ორი ციხე სპარსელების ხელშია"(ევლია ჩელები; იქვე)

ჩელების მიერ ჩრდილო კავკასიის ეს აღწერა რამდენიმე საინტერესო პასაჟს მოიცავს:

1.დემურ კაპუ-ეს დერბენდის ციხე სიმაგრეა, რომლის უპირველესი გამაგრებული პუნქტი ალექსანდრე მაკედონელის ქმნილებაა (მიუხედავად სტრაბონის მტკიცებისა, რომ ეს უკანასკნელი კავკასიაში არ ყოფილა. ყველა ნიშნით, მაკედონელის მიერ კავკასიაში, პაროპამისში აშნებული მეორე ქალაქიც ესაა.

2.ევლია ჩელები, ისევე როგორც ყველა სხვა მოგზაური, საფუძვლიანად ჩანს გაცნობილი ადრეული მოგზაურების ჩანაწერებს მისი სამოგზაურო ტრასაზე მდებარე ობიექტების შესახებ და უყოყმანოდ იყენებს მათ, გარდა საკუთარი დაკვირვებისა: ხაზართა ქალაქების შესახებ ინფორმაცია მას მე-10-ე, მე-13-ე საუკუნის არაბთა მოგზაურობის ჩანაწერებიდან უჩანს ამოკრეფილი. ასეთივე ხასიათისა ჩანს მისი სიტყვები სერირალანის შესახებ, რომელის დმანისსა და გილანს შორის აქვს მოხსენებული.

3. ელბრუსის სამხრეთით მდებარე ქრისტიანული მიწების შესახებ ჩელების ცნობები ასევე არაბი ავტორების ნაწერებიდან ნასესხები ჩანს.

„ელბრუსიდან სამხრეთით განლაგებულია დადიანის ქვეყანა, ხოლო უფრო სამხრეთით აფხაზების მიწებია და ორივე განლაგებულია შავი ზღვის პირად...დასავლეთისაკენ დევს ჩერქეზისტანი, რომელიც ჩვენ უკვე აღვწერეთ მასზე გავლილებმა. ეს ოლქებია, რომლებზეც დასახლებულია ჩერქეზები ყაბარდოსი და ტაუსტანისა'" (იქვე)

ციტატა აშკარად ამოვარდნილია ტექსტიდან, ჩელების კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს და აშკარად გვიანდელი ჩანართია:

1.ციტატის ავტორს აშკარად ელბრუსი-მწვერვალი აქვს ნაგულისხმევი, და არა მწვერვალთა ერთიანი მაღალი ქედი. ამ მწვერვალ ელბრუსის სამხრეთითაა დადიანის ქვეყანს (სამეგრელო) და ამავე მწვერვალიდან უფრო დასავლეთითაა აფხაზეთი.

2. ელბრუსიდან დასავლეთისაკენ მართლაც დევს ჩერქეზისტანი, მაგრამ არა

ყაბარდო და ტაუსტანი, ეს უკანასკნელები ელბრუსიდან (მათ შორის მწვერვალიდანაც და ქედიდანაც) ჩრდილოეთით მდებარეობენ.

3. ევლია ჩელები მთელი თხრობის მანძილზე მკაფიოდ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს (ტაუსტანის ჩათვლით) თუმცა მათ ნათესაობის თემას ვერ გაურბის, ისინი ერთ (უკვე ერთ) ენაზე საუბრობენ. ამ შემთხვევაში კი ერთი ხელის მოსმით ისინი ყაბარდოსა და ტაუსტანელების გვერდით მოიხსენებიან.

4. თხრობიდან ამოვარდნილი ჩანს იმერეთი, რომელსაც ჩელები აჩიკ ბაშების სახელით არაერთგან ახსენებს და ამის მიზეზიც სახეზეა: როგორც ზემოთ ით ქვა, ციტატის ავტორი ათვლის წერტილად ელბრუსის მწვერვალს იღებს, რომლისგანაც იმერეთი შორს, აღმოსავლეთისაკენ იმყოფება და მასთან არავითარი შეხების წერტილი არ ეძებნება.

5. წერილის ამ კონტექსტში, ავტორი დადიანის ქვეყანაში სამეგრელოს გულისხმობს, თუმცა ამ ტერმინით ევლია ჩელები ჩვეულებრივ სამეგრელოს არ აღნიშნავს! სამეგრელო მის ნაწერებში სამეგრელოდვეა მოხსენიებული.

ევლია ჩელები ტაუსტანში ორ ქალაქს აღწერს: ტაუსტანს, ქვეყნის დედაქალაქს აწმყოში და მსოფლიოში ერთ-უდიდეს ქალაქს ირაკ-ი-დადიანს, უკვე ნანგრევებად ქცეულს:

„ყველა გზა მიდის ელბრუსისაკენ. ეს ადგილი ითვლება ტაუსტანის მოსაზღვრე ოლქად. აქედან მოვიტოვეთ რა ელბრუსის მთისწინეთი სამხრეთით, მივდიოდით შვიდი საათი აღმოსავლეთით...ეს ქალაქი იწოდება აგრეთვე ტაუსულტანად. ეს ძალიან კეთილმოწყობილი უძველესი ქალაქია. ამბობენ რომ მისი დაფუძნება დაკავშირებულია ჰორმოზდთან, ანუშირვანის შვილთან (579-599 წ) და ეს სინამდვილეა. მრავალრიცხოვანი უძველესი შენობები აგებული ჩანს ბახისტანის მდინარის სანაპიროზე. დარჩა ათასამდე დიდი შენობა ხის გადახურვით. დანარჩენი თემურ-ლენგმა დაანგრია. სახლები მთელ ჩერქეზისტანში გადახურულია ისლით, მაგრამ შენობა პშუკოში (სოფელში) ყველა დიდი შენობაა ქვის კედლით და ხის გადახურვით. ამ ადგილებში ქალაქის გარეთ არის ხილის ხეები. ელბრუსის ძირში ბაღები და ვენახები არაა. ეს ქვეყანა წარმოადგენდა თავიდან დაღესტანის საფადიშაჰოს, რომელსაც უწოდებდნენ ტაუსტანს...ენები აქ ქართული და ჩერქეზულია. მისი არმია შედგება თორმეტი ათასი აზნაურისაგან, შეიარაღებული ორი ათასი თოფით და ყველა ისინი მუსულმანები არიან (17)

...მაგრამ ამასთან ისინი ითვლებიან ჩერქეზულ ტომად (18) ყველა დროში ისინი ქართველ ხალხთან კავშირში იყვნენ, ამიტომ მათი ენა განსაკუთრებულად ამჟღავნებს კავშირს ქართულთან, ირანულთან და კუმიკურთან. მათმა ვაჭრებმა და რაიატებმა იციან მოსკოვური ენაც...ხუტბას ისინი აღავ-

ლენენ დაღესტანის ფადიშაჰის სახელზე და მის გარდა ქუჩუკ საკბანზე. მათი ცხოვრების ნირი ისეთივეა, როგორც სხვა ცნობილი ბატონებისა. მუსულმანი აქ ცოტაა. ხელქვეითები ძირითადად ჩერქეზი ურჯულოები (კიაფერები) არიან. მომდინარე აქ ბახისტანი იწყება ქართულ მიწებზე დადიანისა და ჩაედინება მდინარე თერგში". (ევლია ჩელები; იქვე, თხრობა ტაუსტანზე)

ჩელების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყურადღებას და კრიტიკულ განხილვას მოითხოვს:

1.ევლია ჩელები ყაბარდოდან მოძრაობს, აგრძელებს აღმოსავლეთის მიმართულებით ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში, ზეგანზე.

2. ჩელების აღწერილი ქალაქი ტაუსულტანი,დღევანდელი ჯულატი ყაბარდოს და ოსეთის ტერიტორიაზე, სრულიად უსამართლოდ და უარგუმენტოდ მიკუთვნებული ოქროს ურდოსათვის ტექსტის რუსულენოვანი კომენტატორის მიხედვით (19) და რომლის აშენებასაც ევლია ჩელები სპარსეთის მეფე ხოსრო ანუშირვანის ძეს-ჰორმიზდს მიაწერს (ასევე უსამართლოდ 20)

3. ბახისტანის მდინარედ ჩელები მდინარე თერგის ზემო წელს თვლის, სადაც ქალაქი ჯულატია აშენებული,და რომელი მდინარე მართლაც საქართველოდან იწყება.

4. ჩელების სიტყვები, რომ მდინარე დადიანის ქართულ მიწებზე იწყება, სავარაუდოდ ნიშნავს იმას, რომ ის მეგრულ მიწებზე იწყება, რომელთა სინონიმად ჩელები ჩვეულებრივ დადიანს თვლის (21)ცხადია აქ ხევის მეგრულენოვან, ლაზურენოვან მოსახლეობაზე ჩანს მინიშნება.

5.ის, რომ ტაუსტანელთა ენა განსაკუთრებულად ამჟღავნებს კავშირს ქართულ ენასთან, დამაფიქრებელია;რამდენადაც ცნობილია, ქართულ ენას ანალოგი უჩანს მხოლოდ მეგრულისა და სვანურის სახით, რომელთაგან პირველს სავარაუდოდ ჩელები საკმაოდ კარგად იცნობს, ხოლო მეორესთან შეხება არ ჰქონია!

...და მაინც ეს ენა გელური ჩანს, ქართულის კიდევ ერთი და დღეისთვის სრულიად დაკარგული დიალექტი! ჰერეთში ის ქართულმა (კახურმა) ჩაანაცვლა, კავკასიის იქითა გელებში-ვეინახურმა.. .ძალიან დიდი ალბათობით, ჩელების ფრაზის გაგრძელება ამ ენის თავისებურების შესახებ, სადაც ის სპარსულთან და კუმიკურ ენებთან კავშირზე საუბრობს, აშკარად ჩამატებული ჩანს.

6. ჩელების ცნობა, რომ ტაუსტანელები ითვლებიან ჩერქეზებად, მათ შესაძლო ქართველობას, ან რომელიმე ქართველურ ტომებთან ახლო ნათესაობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

7. ტაუსტანის არმია შედგება თორმეტი ათასი აზნაურისაგან. არსად, არასდროს და არავის ყოლია პრივილიგირებული მეომრების, აზნაურებისაგან შემდგარი არმია, თვინიერ საქართველოსი. უფრო მეტიც, ტერმინი აზნაური ქართულია. (22) (ყოფილა ერთი არაქართველი აზნაური, მომღერალი. როგორც ირ-

კვევა,ის ახალციხელი სომეხი ყოფილა, ხოლო აზნაური-მხოლოდ ფსევდონიმი)
8. ჩელების ცნობის მიხედვით, რელიგიური მოწყობა თითქმის ისეთივე უჩანთ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. მმართველი ელიტა მუსულმანი (ჩანს ირანის აშკარა გავლენით) ხოლო ქვეშევრდომები „ურჯული“, არამუსულმანი ჩერქეზები.
8.ჩელების სიტყვებით, ქალაქი ტაუსულტანი აგებულია მდინარე ბახისტანის სანაპიროზე...სწორედ მისი მოსახლეობა ჩანს ქართველური, რომელიც თემურ-ლენგმა დაამარცხა და მისი სუზერენი-ბახისტანის სულთანად ცნობილი სიკვ-დილით დასაჯა. ზუსტად ქალაქ ტაუსულტანის უკვე მცირე ნაწილი ჩანს და-სახლებული იმავე ტაუსულტანელებით, და არა ასეულობით კილომეტრით დაშორებული ირაკ ი დადიანისა...

...ასეთი პოლიტიკური წარმონაქმნი ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ერთა-დერთი შეიძლება ყოფილიყო: იგივე ლეონტი მროველის მიხედვით, ეს დურძ-უკეთია, სვანთა მეზობელი ტომი და რომელსაც სახელი ინგუში რუსული ვერ-სიითმხოლოდ მე-19-ე საუკუნეში დაენათლათ რუსების მიერ, ახალი საცხოვრ-ებელი ადგილის მიხედვით... ვეებერთელა ქვეყნის, ტაუსტანის საზღვრებს ასე მიანიშნებს თურქი მოგზაური; დასავლეთით ყაბარდო (რასაკვირველია მცირე ყაბარდოსა და ჯულატის გამოკლებით)...სამხრეთით ელბრუსის მთა, აღმოსავ-ლეთით დაღესტანის საფადიშაჰო, ჩრდილოეთით რუსეთის სამფლობელოები.

...და ირაკ-ი-დადიანი....

მისი სიტყვებით, ეს დაღესტანის დიდი ქალაქია. დედამიწაზე ირაკი სულ ოთ-ხია, მათ შორის ერთი ირაკ-ი-დადიანი. ის ჩელების სიტყვებით აგებულია ბიბ-ლიური მოსეს მიერ, შემდეგ მისი მშენებლობა გააგრძელა ჰორმიზდმა, ანუშირ-ვანის ძემ.შემდეგ იყო სპარსული დინასტიის ეკასირების სატახტო ქალაქი, შემ-დეგ მონღოლი ჰულაგუ ხანის დედაქალაქი, საბოლოოდ გახდა დაღესტანის დედაქალაქი (23)

„ქალაქი იყო იმდენად კეთილმოწყობილი , რომ ამ დროისათვის კვალი მისი შენობებისა ჩანს ორი გადასასვლელის მანძილზე...უძველეს დროში ეკასირე-ბის ეპოქაში, ქალაქში იყო ორას ათასი მესაკუთრე არაჩვეულებრივი სახლისა…
....ეს იყო მეჩეთები და მედრესეები, დარულ-ხადისი და სკოლები, სახლი სადაც იკრიბებოდნენ ყურანის მკითხველები, დერვიშების მონასტრები, სასახლეები დიდებულებისა და ქარავან-სარაები, სახლები ხოჯებისა, სახლები განდეგილე-ბისა და სხვა კეთილმოწყობილი ახლები, აბანოები, ქრისტიანული მონასტრ-ები და დახლები, სადაც ვაჭრობდნენ საჭმელითა და ქსოვილით. ერთ დღეში

შეუძლებელი იყო მითითებული შენობების გარშემოვლა...მაგრამ ირაკ-ი-დადიანი დევს ნანგრევებში...ჩვენ გადავედით მაღალ მთაზე, წოდებული ტაუსად, რომელიც მდებარეობს ორი საათის სავალ გზაზე სამხრეთით დანგრეული ქალაქიდან. ახლაც კი მრავალი მახვილწვერა გუმბთი მწვანე, ყვითელი, წითელი და ცისფერი ჭიქურით ამშვენებს ქალაქის ნანგრევებს.და რამდენიმე ასეული ათასი გუმბათი დგას ნანგრევებს შუა, მიმართული წვეროთი ცისკენ...მაგრამ თუ რაღაცა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ქალაქში, ეს მისი სასაფლაოებია....იქაური სასაფლაო იკავებს მთელ ორ ფარსახს (11კმ) (იქვე)"

მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ქალაქის და სასაფლაოს მდებარეობაზე: ის დევს <u>ტაუსას</u> მაღალი მთიდან ორი საათის სავალზე ჩრდილოეთით.

„ცნობილია, რომ თემურ-ლენგის მიერ მავერენნახრიდან ლაშქრობის დროს ყირი მის მიწაზე თოხთამიშ ხანის წინააღმდეგ, <u>ირაკ-ი- დადიანის მოსახლეობა ქართველური იყო. ესენი იყვნენ ძლიერი დამამაცი ხალხი. ისინი არ</u> დაემორჩილნენ თემურ ხანს, ამიტომაც თემურ -ხანმა ალყა შემოარტყა ირაკ-ი-დადიანს. შვიდ დღე-ღამეში გადააქცია რა ქალაქი და მისი შვიდი ციხე-სიმაგრე ნანგრევებად, მოკლა ბახისტანის სულთანი,რომელიც ფადიშაჰი იყო.ამ დროისათვის ქალაქი ტაუსტანის სულთანის მფარველობაშია...ხალხი სავსებით არაა, მხოლოდ ერთ ნაწილში ცხოვრობენ ტაუსტანელები, ისიც მხოლოდ ერთი თემი." (იქვე)

აქ ევლია ჩელებ აშკარად ურევს ერთმანეთში ტაუსულტანს (ჯულატს) მდინარე ბახისტანის სანაპიროზე მდებარეს და მდინარე კუმთან მდებარე ირაკ-ი-დადიანს (მაჯარს). ეს პირველის- ტაუსულტანის მოსახლეობაა ქართველური და ზუსტად ისინი ამოწყვიტა მათი სუზერენითურთ თემურ-ლენგმა. ზუსტად ჩელების დროინდელ ტაუსულტანში უნდა ეცხოვრათ ქალაქის ნაწილში ტაუსტანელებს, და არა რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით ირაკ-ი-დადიანში. ზუსტად ამ უკანასკნელების სუზერენს ახსენებას ჩელები ავარად თემურ-ლენგის შემოსევის დროს და თუ ვინმე ცხოვრობს ამ ნახევრად მიტოვებულ ქალაქში ჩელების დროს-ეს ზუსტად ავარიელები უნდა იყვნენ...

...და აღწერილობა იმავე ადგილისა, უკვე თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ:

„...დიდი მლაშე ტბა, რომელსაც რუსები ეძახიან მაჯარასიმს ანუ უნგრულს..., ...მდებარეობს დაბალ და განიერ ვაკეში, საიდანაც იღებს თავის საწყისს მანიჩი. ....კუმიდან 22.5 ვერსტის მოშორებით...მდინარე კუმა აღწევს აქ 4 არშინის სიგანეს, მაგრამ არ ტბორავს დაბლობს, რომელზედაც ადვილი შესამჩნევია უძველესი მცირე არხების კვალი...სტეპის ამ ამაღლებაზე მდებარეობს მრავალი ძველი გუმბათოვანი ნასაფლარი, რომლის ქვემოთ ოდესღაც იდგა ძველი თათრული ტაძარი მართკუთხა ფორმისა, აშენებული აგურისაგან ...ეს ნანგრევები იწოდება ქვემო მაჯარად...აქ მდებარეობს ნარჩენები თათართა შენობებისა, შესამჩნევი

პირველი შეხედვისთანვე და ცნობილი დიდ ანუ ზემო მაჯარად, 1781 წელს ეს ნაგებობები, ნაწილი მთლიანი, ნაწილი დანგრეული, ითვლიდა 32 ნაგებობას...
...ამ დროიდან ახლო მახლო აშენებულ იქნა სოფლები და ფორტები, რომელთა ასაშენებლად აქედან იქნა გადატანილი მშვენიერი აგური...სრულიად შესაძ-ლებელია და ნარჩენების მიხედვით, ისინი გაშენებული იყო რიგში, სავარაუ-დოდ ეს იყო დიდი ქალაქის ქუჩები. მაგრამ უფრო დაკვირვებული შესწავლი-სას გამოირკვა, რომ ეს იყო ცნობილი სასაფლაო, კუთვნილი ცნობილი ადამი-ანებისა. მსგავსი კვალი შესამჩნევია მთელ (მდინარე) კუმის გაყოლებით ყველა მიმართულებით, მდინარის ორსავე მხარეზე, განსაკუთრებით მარჯვენა მხარ-ეზე, სამხრეთის მხრივ...შენობები შემონახული მთლიანად არის მხოლოდ სა-ფლავზე და მეჩეთები მუსულმანური ნაციისა, შესაძლებელია თათრული წარ-მომავლობისა. თუ განვსჯით მხოლოდ დასახელების მიხედვით, მიკუთვნებუ-ლი ამ ადგილას, მაშინ ჩვენ ჩავთვლიდით, რომ ეს რეზიდენცია ვენგრთა ან კუმანებისაა...ეს განსაზღვრა შეიძლება შევუფარდოთ ყველა აგურის შენობის ნანგრევებს, განლაგებული მაღალ მთაზე დიდი ჯანჯიკის ახლოს, წოდებული ჩერქეზებისაგან მაჯარ უნად, ანუ მაჯარის სახლად...შენობა მდებარე 200 საჟე-ნით კუმის სანაპიროდან და 250 ბივალიდან (მდინარე) გამორჩეულია შემოხ-ვეული ვენახით და გამოირჩევა დანარჩენი სამისაგან არქიტექტურით, ზომით და გუმბათით. შენობა სიგრძეში 36 ინგლისური ფუტია და სიგანეში 25... ასე-თივე საფუძველი 16 კვადრატული ფუტი მდებარეობს ამ და სხვა შენობას შო-რის, რომელიც 35 ფუტის სიგრძისაა და 25 სიგანისა, ის დაშორებულია პირვე-ლისაგან 57 ნაბიჯით და აქვს მრგვალი გუმბათი-ფორმა მიღებული თათრებში' ... 100 ნაბიჯით . შემდეგ ამავე მიმართულებით იყო სხვა ფუნდამენტი სიგრძ-ით 35 და სიგანით 25 ფუტი. მას იქით დაახლოებით 92 ნაბიჯზე ჩრდილოეთ-ით...ჩვენ აღმოვაჩინეთ ნანგრევები მრგვალი შენობისა, 61 ნაბიჯის გარსემოწე-რილობით. მეხუთე რიგში ასი ნაბიჯის მოშორებით მდებარეობს ორი სრული-ად მთელი შენობა, ამავე სტილით აშენებული...აქვს 26 ფუტი სიგრძეში და 24 სიგანეში, გამოშვერილი პარისტილით და სიმაღლით 8 ფუტი, ორნამენტირე-ბული ყოველი მხარეს ოქტაგონალური კოლონებით. მეორე შენობა პირველი-საგან დაშორებულია 75 ნაბიჯით, და აქვს ყოველ მხრივ ზომა 25 ფუტი, ხოლო ვესტიბულში 8 ფუტის სიმაღლისა, შემკობილია ორი ოქტაგონალური კოლო-ნით...სამი მხრივ ოთხივე კუთხეში მათ აქვთ გუმბათოვანი ბრტყელი ნიშები, რომლებიც იმაგრებენ გუმბათს და აქვს რვაკუთხედის ფორმა. აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ნიშაში მე შევამჩნიე მცირე ღიობი, ფანჯრების შემცვლელი...
...ვაკეში, შენობებს და ნანგრევებს შუა ჩვენ ასევე ვნახეთ რამდენიმე ამოთხრი-ლი საფლავის ქვები სიმაღლით 6 და 8 ფუტი კუთხოვანი ფორმისა, ისინი გა-მოთლილი იყო კირქვისა და ქვიშნარის ნარევისაგან, მსგავსი ბერძნებისა და

ებრაელებისა და განლაგებული იყო ჰორიზონტალურად ,უწარწეროდ. სამხრეთისაკენ მდებარეობს მრავალი გაფანტული საფლავზედა ბორცვები ძალიან დიდი ზომისა. (პალასი პ. ს. მოგზაურობა ასტრახანიდან კავკასიის ხაზამდე. 1793-1794წ. პუბლიკაცია 1974 წ <რუსულად>)

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ფაქტს, რომ ავტორი აღწერს ქალაქ მაჯარს და მის სასაფლაოებს მას შემდეგ, რაც დანგრეულ-დაშლილ ქალაქში მოპოვებული საშენი მასალით, აგურით, რამდენიმე სოფელი და სამხედრო ფორტი იქნა უკვე აშენებული! მართლაც გრანდიოზული ქალაქი ყოფილა ირაკ-ი-დადიანი, აღწერილი თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების მიერ, დახასიათებული როგორც იმ ეპოქის მსოფლიოს გამორჩეული ოთხ ქალაქთაგან ერთ-ერთი!...ირაკ-ი-დადიანის ჩელებისეულ აღწერაში ფანტასტიკაც საკმაო ჩანს, თუნდაც ის , რომ არსებობდა ეპიტაფია 200 წლის მამაკაცისა, 245 წლის ქალისა და 300 წლის რაინდისა, საფლავები სპარსეთის მეფის ჰორმიზდისა, ჩინგიზ ხანის შვილებისა და შვილიშვილებისა...მკითხველს კიდევ ერთხელშევახსენებ, რომ ამ ქალაქის მემკვიდრეებად თავს ინგუშები, ყარაჩაელები და ავარები თვლიან! თუმცა მათი რიცხვი შეიძლება გაცილებით მეტიც იყოს (24)

მიუხედავად ევლია ჩელების მტკიცებისა, რომ ქალაქი თემურ-ლენგის დანგრევამდე XIV საუკუნის ბოლოსათვის ქართველური იყო, სინამდვილეს არ შეეფერება-ქართველური ჯულატი იყო, მისი მფლობელები კი ინგუშები... შერეფ-ედდინ ალი ეზდის, თემურ- ლენგის მემატიანეს ცნობით, ზუსტად ის, ქლაქი ჯულატი, უმაღლეს კლდეებზე მდებარე და მისი ხალხი, მის მიერ „არკუდანად“ წოდებული, არ დანებდა თემურ-ლენგს, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და საბოლოოდ მოისრა მათ მეფესთან ერთად...

ეს ქალაქი, ევლია ჩლების მიერ ირაკ-ი-დადიანად ცნობილი, მოგზაურ პალასის მიერ მაჯარად სახელდებული, პანონიელების-უნგრელების ქალაქი ჩანს...სწორედ მათ ეძებდა უნგრელი მეცნიერი XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში და ვერ მიაკვლია...ვერ მიაკვლია იმიტომ, რომ მათ სახელი ნაცვალი უჩანთ, მითვისებული აქვთ თუშების ადრინდელი სახელი-ხუნძები და მათივე მიწა- წყალი დღევანდელ დაღესტანში...ხუნძახი და ავარიელები-ეს მათი ახალი მისამართი და სახელი ჩანს...ქალაქი მაჯარასიმის და პანონიელთა- დღევანდელი ავარების პოლიტიკური წარმონაქმნი (შესაძლოა სახელმწფო სერირში შემავალი) აზოვის ზღვის უკიდურესი ჩრდილო წერტილიდან აღმოსავლეთით- 300 კილომეტრის მოშორებით, ასევე დღევანდელი სტავროპოლიდან- 200 კილომეტრით ჩრდილოეთით მდებარეობდა, მანიჩის ტბის მახლობლად...

ტაუსულტანისა და დაღესტანის საზღვრების გარკვევაში დაღესტანის აღწერილობა დაგვეხმარება:

„მდინ არე აკსაი გამოსული საქართველოს მთებიდან, ჩაედინება მდინარე თე-

რგში. ქალაქ ჩარბახს, ამ მდინარის ნაპირზე განლაგებულს, კუმიკური მოსახ-ლეობა უწოდებს ჩარბახს, ხოლო ლეკური ჭარბაკს. 1578-79 წელს, ოზდემირ ოსმან ოღლუ ფაშამ (25) წაართვა ქართველებს ეს ქალაქი და სიმაგრე დაან-გრია, მიწები გადასცა დაღესტანის სულთანს" (ევლია ჩელები; იქვე, თავი-4)

ჩელების ეს ინფორმაცია ერთობ საყურადღებოა:

1.ის, რომ პირიქითა კავკასიის ნაწილი (ჭარი) ოსმან ფაშამ (ვახუშტი მას ლალა-ფაშას უწოდებს) ქართველებს წაართვა, აშკარად მიანიშნებს, რომ ეს ქართველე-ბი სხვა არავინაა, თუ არaჭანების ტომი, რამეთუ მათ სამხრეთ კავკასიურ ჭარ-ბელაქანს (26)

2.ჭარი- ეს პირიქითა კავკასიაში არსებული პოლიტიკური ერთეული ჩანს, და არა გვიამდელი კაკ-ენისელის ნაწილი, საინგილო

ზუსტად ამ ჭარში ოდესღაც მომხდარ პოლიტიკურ კატაკლიზმის ამსახველი ჩანს მუჰა-მედ რაფისეული გახმოვანებული ვერსია ''ტარიხ დაღესტანად'' ცნო-ბილი ნაწარმოებისა, რომელიც სავარაუდოდ თაობების განმავლობაში ხალხუ-რი ზეპირსიტყვიერების საშუალებით ჩანს შემონახული და რასაკვირველია დამახინჯებულიც:

„ისინი სრული თანხმობით გამოვიდნენ მეომართა ამ ოლქებში სპილოებით, აქლმებით, სწრაფი ცხენებით. როცა დაღესტანის მცხოვრებლებმა გაიგეს ამ-ის შესახებ, შეიკრიბნენ ერთად წყეული ურჯულოები დაღესტნისა და მეომ-რები უვარგისი ურუსებისა, რომლებიც დაღესტანელების თანხმობით თანა-ბრად იყოფდნენ სიკეთეს, სიავეს, მნიშვნელოვან საქმეებს, ქალაქ ჯურთან განზრახვით, მოეგერიებინათ ისლამი, თავი დაეცვათ (მომხდური) **ჯარისაგ-ან და დაეზარალებინათ მუსულმანები იძულებით და ძალით. მუსლიმანებ-მა გააგზავნეს ასი მამაცი მეომარი, რათა მათ ეთვალთვალათ წყეული ურ-ჯულოების ჯარისათვის და გაეგოთ მათი მდგომარეობა. მათ დაამყარეს თვალთვალი ურჯულოებზე, გაიგეს რომ ისინი მათზე მამაცები არიან "**

(История Дагестана. Мухамед Рафи)

მუსლიმანებმა უკადრისი გზით შეძლეს ჯურელთა (ჭარელთა) დამარც-ხება, მოწამლეს მათი მეომრები (ერთობ გაზვიადებული ცნობით 700000 მეო-მარი)...ტექსტის კომენტირებისას ავტორები ჯურს ჩორთან აიგივებენ, რაც აბ-სოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს -ჩორი ეს ხევის მოსახლეობაა, არც ერთ დროში ჭარად-ჯურად წოდებული...ერთმნიშვნელოვანია, რომ აქ საუბა-რია დაღესტანის ქრისტიან მცხოვრებლებზე, რომელიც არა ერთი სუვერენული (თუ ვასალური) წარმონაქმნი ფიქსირდება იმავე დაღესტანში...თურქი მოგზა-ურ-ის ევლია ჩელების და მუხამედ რაფის ცნობა ჭარის შესახებ უნუსონში მო-დის ლეონტი მროველისეულ ქვემოთ მოყვანილ ცნობასთან, რამდენიმე საუ-კუნით ადრე დაწერილს მუჰამედ რუფის თუ ევლია ჩელებიზე, ხოლო აღწერი-

ლი სცენა უკვე ათეული საუკუნით ადრინდელ ეპიზოდს შეიცავს:

„ ამისა მეფობასა (მირვანი, ფარნავაზის შვილიშვილი) **დურძუკთა დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზისა და საურმაგისა, გარდმოვიდეს დურძუკეთს მყოფნი და გაერთნეს თანა <u>ჭართალეთსა მსხდომნი კავკასიანნი,</u> მოტყუენეს კახეთი და ბაზალეთი...და შევიდა მირვან დურძუკეთს, და მოაოხრა დურძუკეთი და ჭართალი. და შეაბნა კარი ქვითკირითა, და უწოდა სახელად დარუბალ ''(ქართლის ცხოვრება; ლეონტი მროველი, გვ-32-33, თბილისი 2012 წ)**

ციტატა ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას არც კი იძლევა: დურძუკეთი და ჭართალი გვერდიდვერდაა, კავკასიონის ქედს იქით, მირვანის მიერ შებმული ქვითკირის კარს იქით და რომლის სახელი დარუბალ-დარიალანის აშკარა პროტოტიპი- პირველსახელი ჩანს. (27)...პროვინცია ჭარის საქართველოში დაარსებას ასე გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი:

„ხოლო მთის ძირას არის ფიფინეთი, სადაც დაასხა მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული და იყო არჩილამდე ასრეთ'' (ქართლის ცხოვრება ტომი-4, კაკისა და ელისენისათვის, გვ539,თბილისი-1973) ''ხოლო ლევან მდიდარი და ქვეყანა აღვსილ იყო მშვიდობით, არამედ უკეთუ კავკასთა ლეკნი ლევანს არ მორჩილობდნენ, გარნა ვერცარას ჰყოფდნენ სავნოს მისსა. გარნა თქმულ არს რამეთუ ჟამსა ლევანისასა მოუხდა ლეკი ვინმე დაღესტანს გაღმა მხარისა და წარიყვანა ზროხა ერთი. ჰსცნა ესე ლევან, შემოიკრიბა იდუმალ სპანი გაღმა მხარისა და წარვიდა ეტიკით, ვლო დღე და ღამე, მიუხდა და შეიპყრა კაცი იგი დედაწულითა და ქონებითა, და მოვიდა მესამე დღესა მუნვე და მოსწყვიდა იგინი, რათა არა კადნიერ იქმნეს სხუანი კუალად კირთებად კახეთისა. ამანვე ლევან მოიყვანა ლეკნი და დაასხა ფიფინეთს (28) ზიდვად ყინულისა ზაფხულს კავკასიდამ, რომელთაგან შეუდგა ბოროტი ქვემორე თქმული „ (იქვე; გვ-574-75)

ვახუშტის ეს ორივე ცნობა, ერთი და იმავე ეპიზოდი ისტორიისა, კრიტიკულ ყურადღებას იმსახურებს:

1. როგორც ვახუშტის სიტყვებიდან ჩანს, ჭართალელი (პირიქითა) ლეკები კახეთის მორჩილი არასდროს არ ყოფილან. ჩელების სიტყვებით კი ჭარი ქართველებს ჩამოართვა თურქმა ფაშამ და გადასცაა დაღესტანის ფადიშაჰს. ერთადერთი ქართველური პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელსაც ჭარი ესაზღვრება და სავარაუდოდ შედიოდა კიდეც მის შემადგენლობაში ეს მხოლოდ და მხოლოდ ტაუსტანია, სერირის ყოფილი სამეფო.(30)

2. ზემოთ მოყვანილი ცნობა ვახუშტისვე სიტყვებით, მას ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან უჩანს ამოღებული...გარნა თქმულ არს... ერთი ძროხის ქურდობისათვის ომის დაწყების პრეცედენტი ალბათ მსოფლიოს არც ახსოვს...

3. ძროხის ქურდობისათვის მთის კანონი (ძეგლი ერისთავთა) რომელიც საუკუ-

ნეების წინ არის მიღებული, არც ერთ შემთვევაში ადამიანის (მით უმეტეს მთელი ოჯახის) მოკვდინებას არ ითვალისწინებს. მით უმეტეს ძროხის საფასური (და გაცილებით მეტი) ქურდის ქონების სახით მეფეს დაბრუნებული უჩანს...
ხელაღებით შეუძლებელია გამორიცხვა, რომ ლეკთა (სავარაუდოდ ჭანთა) ნაწილი მეფე ლევანის დროს ჩამოსახლდა კაკ-ელისენში (დღევანდელი საინგილო) თუმცა მათი დიდი ნაწილი (პირიქითა) ჭარის დაღესტანის მფლობელობაში გადასვლასთან დაკავშირებით ჩანს ჩამოსახლებული. სავარაუდოდ ეს ფილანების-ჭარელების ის ნაწილია ვისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა არაქართველურ სახელმწიფოში ცხოვრება მათ აქეთ, კახეთისაკენ გადმოინაცვლეს და ახალ სამშობლოს იგივე სახელი დაარქვეს. მაგრამ.....

... ჩვენთვის ხომ ფერეიდანელი ქართველი-სპარსია!

... ჩვენთვის ხომ ტრაპეზუნდელი ლაზი-თურქია!

...ჩვენთვის ხომ ყუბანისპირელი ზიხი-ჩერქეზია!

... ჩვენთვის ხომ ვეინახურ შეთვისებული დურძუკი-ინგუში!

...ლეგი ლეკია, დაღესტანელი, ინგილო-თათარი!

გენიალურ ქართველ პოეტს უთქვამს, ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია-ო.
სავარაუდოდ ქრისტიანული ჭარის ქართველური (ჭანური) მოსახლეობა მდინარე აკსაის ორსავე სანაპიროზე ცხოვრობდა და წარმოადგენდა სერირის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს.დიდი ალბათობით, ეს არაბი მოგზაურების მიერ არა ერთგზის აღნიშნული ფილანი უნდა იყოს , რომელსაც ხან ცალკე ერთეულად აღწერენ, ხან სერირის სამეფოს ნაწილად(30). სავარაუდოდ უკვე დეზინტეგრირებულმა სერირის სამეფომ, რომლის დიდ ნაწილსაც ტაუსტანი წარმოადგენს, ვერ ან არ შეძლო ფილანის ინტერესების დაცვა თურქი ფაშის წინაშე. ჩელების სიტყვებით, 1665 წლისათვის ტაუსტანის ელიტა მაჰმადიანია, ხოლო მოსახლეობა კიაფერი (ურწმუნო) თუმცა მათი გამაჰმადინება მხოლოდ დროის ამბავია, რამეთუ მომხდური გარდა სამხედრო იარაღისა, ეკონომიურ ბერკეტებსაც კარგად იყენებდა:

„ამ ქვეყანაში არ არის ტიმარები, (გლეხური მეურნეობები) მხოლოდ მეომარი ტომები თესავენ და იღებენ მოსავალს, მაგრამ აშარს (გადასახადს) ფადიშაჰს არ უხდიან, ხოლო შარიათით კუთვნილი აშარი მიეკუთვნება მათ როგორც ჯამაგირი'' (ევლია ჩელები; ჩრდილოეთ კავკასიის მიწები, ვოლგისპირეთი და დონისპირეთი, თავი3. 1979წ)

ცხადია საგადასახადო შეღავათი მძლავრი ეკონომიური ბერკეტია, რომლის მეშვეობით პირიქითა (და უკვე პირაქითა, ბელაქანის მეზობელი) ჭარის მიმაგრება ხდება დაღესტანის ფადიშაჰის ხელისუფლებაზე და შემდგომი მათი მუსულმანიზაცია...და რომელი აღმსარებლობის მატარებელი ჩანს კავკასი-

ის მთებს იქითა ქართველი თემურ ლენგის მიერ ჩრდილო კავკასიის დალაშქვრამდე?

„1363 წლის ახლოს მატრეგას საარქიეპისკოპოსოს შიგნით გამოიყოფოდა კასპიის მთის საეპისკოპოსო, რომელიც მოიცავდა დაღესტანის ტერიტორიის ნაწილს. 1392 წელს ფრანცისკელთა ორდენის მონაცემებით, ის ითვლიდა 10000 კათოლიკედ მოქცეულ მორწმუნეს. ხოლო კაიტაღთა ქვეყანაში წარმოიშვა ხუთი საეპისკოპოსო ცენტრი: CHOMEK, THUMA, TARAHI, DEGWEL, MICHAHA ''

(დასავლეთ ევროპელი მოგზაურების ცნობები მე-15-ე საუკუნის დაღესტანის შესახებ; <რუსულად>)

უნდა აღინიშნოს, რომ რუსი მეცნიერები თავს არიდებენ ამ საკითხში სი ნათლის შეტანას, თუმცა პასუხი კითხვაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს კავკასიის იქითა ქრისტიანი ხალხი, ზედაპირზევე დევს:

1. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის იმავე რუსულ ენოვან ლიტერატურაში მოიპოვება ცნობები ტარკიდან ჩერქეზეთში (ადიღეში) ბავშვთა მოსანათლავად ჩამოსული სასულიერო პირის შესახებ. ცხადია ზემოთ მოყვანილი ცნობის TARAHI-უეჭველად ტარკია!

2. 1363 წელს ჯერ კიდევ შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ სერირის სამეფოში შემავალი, მაგრამ ფაქტიურად ლეგთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გუმიკი-GOMEK- ქრისტიანულია!

3.1392 წელს დაფიქსირებული ხუთი საეპისკოპოსი ცენტრიდან, გარდა ტარკისა, დანარჩენი ოთხი დიდი ალბათობით სერირის, დურძუკთა და ღლიღვ-ქისტთა ტერიტორიაზე ჩანს განლაგებული! THUMA-ხუმრაჯი ჰქვია სერირირის დედაქალაქს არაბ მოგზაურთა ჩანაწერებში, იგივე ხუმა-რაიჯი, ხუმას ციხე!

4. DEGVEL-დასახლებული პუნქტი აგვალი არის აღნიშნული დაღესტანის ტერიტორიაზე, რომელიც ადრე სერირის სამფლობელოში უნდა ყოფილიყო.

ქვეყანა ტაუსტანის აღწერილობაში სულ რამდენიმე ორიენტირია, რომელიც მითითებას გვაძლევს ამ (ქართველური) ქვეყნის სავარაუდო ადგილმდებარეობაზე:

„არაბულ ენაზე ამ მთას ჰქვია აბულჯიბალი-მთების მამა. სპარსელები უწოდებენ ამ მაღალ მთებს კუხ-ი-ალბორზი, იმიტომ რომ ამ მაღალი მთისწინეთში დასახლდნენ მთიელები ბორზის ტომიდან. ბერძნულ ენაზე ამ მთებს ჰქვია პეტრე აჯანი. მონგოლურ ენაზე ტილტავი. კახტანთა ენაზე პუშტუ-და - დადიანი'' (ევლია ჩელები, იქვე)

ჩელების ვერსიით აქ უძველესი ენა კახტანურია, რომელიც მთას ირაკ-დადიანს უწოდებს. დადიანი-ეს სიტყვა ჩელებისთან ყოველთვის და ყველგან დასავლეთ ქართველურ ეთნოსთან ასოცირდება.ძნელიარა ჩანს თანამრდროვე რუკაზე ამ აღწერილობის დასაწყისის მონახვა, რომელიც სპარსულ ენაზე ამ

მთისწინეთში დასახლებულ მთიელთა ტომს ბორზს (31)უწოდებს. სოფელი ბორზოი (ვეინახურად მგელი) მდებარეობს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ითუმ-კალეს რაიონში, ცენტრიდან ათი კილომეტრით ჩრდილოეთით, მდინარე არღუნის მახლობლად.

შეიძლება ითქვას, პირველი რეალური ორიენტირი ტაუსტანის ვეებერთელა ქვეყნისათვის ჩელების ეპოქაში (მე-17-ე საუკუნის მესამე მეოთხედი) ნაპოვნია მეორე რეალური ორიენტირი-ეს მდინარეებია. ჩელების სიტყვებით, ტაუსტანის მდინარეები,ბახისტანი და ბალიკბაი საქართველოს მთებში იწყება და მდინარე თერგში ჩაედინება. მეორეს მხრივ, ტაუსტანელთა დედაქალაქი, ასევე ტაუსულტანად სახელდებული მისივე სიტყვებით, მდინარე ბახისტანის სანაპიროზეა გაშენებული. როგორეც ცნობილია, ამ პოლიტიკური წარმონაქმნის დედაქალაქს ერთადერთი პრეტენდენტი ყავს, მდინარე თერგის სანაპიროზე მდებარე უძველესი ქალაქის, ჯულატის ნანგრევების სახით. დაკვირვებული მკითხველისათვის ძნელი არ უნდა იყოს მიხვედრა, რომ ჩელები ბახისტანად თერგის ზემო წელს თვლის, რომელიც მართლაც საქართველოს მთიანეთში იწყება და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება, ხოლო შემდეგ მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისაკენ.

ჩელებისეული მეორე მდინარე, ბალიკბაი, რომელის ასევე საქართველოს მთიანეთში იწყება, მდინარე ასა უნდა იყოს.

მესამე რეალური ორიენტირი, ეს ჭარია, ჩელების სიტყვებით ჭარბახი. პირველადი ჭარი- პირიქითა ჭარი, კავკასიის ქედს ჩრდილოეთით მდებარე, რომელიც ოსმან ფაშამ (ოზდემირის ძემ, სხვათაშორის სერბმა) წაართვა ქართველებს და დაღესტანს გადასცა. ეს ჭარი (ჭარბახი) ჩელებისვე სიტყვებით, მდინარე აკსაის სანაპიროზე დევს,სავარაუდოდ ორსავე ნაპირზე. ის რომ ოსმან ფაშამ პროვინცია ჭარი ქართველებს (ტაუსტანელებს, რამეთუ კახეთის მეფის ძალაუფლება აქ არ ვრცელდება) წაართვა და დაღესტანს გადასცა, აშკარად მიანიშნებს, რომ თვითონ ტაუსტანი ამ დროისათვის დაღესტანისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნია.

მეოთხე რეალური ორიენტირი ჩელებისვე ნაშრომში-ეს კუმიკების (კუმანებიყივჩაღები) დედაქალაქი ენდერეია. რუსული სარწმუნო წყაროებით, ენდერეი დაღესტანის რესპუბლიკის ხასავ-იურტის რაიონში მდებარეობდა. დღესაც თავისუფლად შეიძლება მისი მონახვა თანამედროვე 20 კმ-იან რუკაზე, აღნიშნული რაიონის უკიდურესად დასავლეთ ნაწილში, მდინარე აკტაშის სანაპიროზე: **„დასავლეთით ამ ქალაქიდან (ენდერეიდან)-ტაუსტანის ჩერქეზული მიწებია“ (ევლია ჩელები, იქვე თავი -4)**

გამომდინარე თვითმხილველის, ევლია ჩელების აღწერილობიდან, მე-17-ე საუკუნის ქართველური პოლიტიკური წარმონაქმნი ტაუსტანი, მართლაც

ვეებერთელა ქვეყანა, საკმაოდ დიდ სივრცეზე ჩანს გადაჭიმული: მისი საზღვრები ჩელების მიხედვით, დასავლეთით ყაბარდო და ბერბერეს ოსური წარმონაქმნი ჩანს, ჩრდილოეთით მისი საზღვრები მოსკოვიტების (რუსების) მიწებამდეა გადაჭიმული მდინარე კუმის ჩათვლით, აღმოსავლეთით მისი საზღვარი კუმიკების პოლიტიკური წარმონაქმნი ჩანს, სამხრეთიდან მისი საზღვარი მთავარი კავკასიონია, რომლის იქით, ჩელებისვე სიტყვებით, ელბრუსის ძირში ესაზღვრება დადიანის მიწებს. ცხადია ეს მიწები ხევის ლაზურ (მეგრულენოვან) მოსახლეობას ეკუთვნის.

ის რომ მდინარე ბახისტანი (თერგი, ტაუსტანის მთავარი მდინარე) იწყება დადიანის (ლაზთა, მეგრელთა) ქართულ მიწაზე, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს სტეფანწმინდის ლაზურ მოსახლეობაზე. ტაუსტანის რიგით მეორე მდინარე, ბალიკბაი (ასა) იწყება საქართველოს მთებიდან და ჩაედინება მდინარე თერგში. მესამე მდინარე სუნჯაა, რომელიც ჩელების სიტყვებით იწყება აჩიკ-ბაშების (იმერლების) ქართველურ მიწაზე (სავარაუდოდ იმერლებში აქ ჩელები რაჭველებს გულისხმობს) მეოთხე მდინარე, აკსაი, ჩელების სიტყვებით ასევე იწყება ქართულ მიწებზე. თამამად შეიძლება ითქვას რომ, ტაუსტანს სამხრეთის მხრიდან და ელბრუსის გადაღმა მხრიდან ქართველური მიწები ეკვრის.სავარაუდოდ, რომ ანტიკური ეპოქის ტაუსტანის საზღვრები კიდევ უფრო შორსაა გადაჭიმული (32)

საინტერესოა შუა საუკუნეების არაბული ცნობები ჩრდილო კავკასიის შესახებ:

„ბახრამმა (გურმა) **მიიტაცა გვირგვინი და სკიპტრა ხაკანისა, დაიმორჩილა მისი ქვეყანა, შემავალი თურქთა ქვეყანაში, და დააყენა დაპყრობილ მიწებზე მარზუბანი, რომელსაც აჩუქა ვერცხლის ტახტი''**

(ატ-ტაბარი, მოციქულთა და მეფეთა ისტორია, თავი 10)

რატომღაც ჩათვლილია, რომ სპარსეთისა და ბაჰრამ მე-5-ე გურის მიერ ეფტალიტებზე გამოლაშქრებაზეა საუბარი , რაც აბსოლუტურად არ შეეფერება სიმართლეს: მოსაზრება დამყარებულია იმ ფაქტზე, რომ ბაჰრამ გურმა მოსაზღვრეს მარზუბან -ი-კუშანი უწოდა. ერთი შეხედვით თითქოსდა ყველაფერი სწორია, კუშანთა (კიდევ ერთი) სახელმწიფო დაფიქსირებულია შუა აზიის ტერიტორიაზე...მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით:

1)სპარსეთში ბაჰრამ V გურის მმართველობა421-438 წლებშია დაფიქსირებული.
2)კუშანთა (შუა აზიური)სახელმწიფოს განადგურების თარიღი 387 წლით არის დაფიქსირებული.

ასევე არავითარი ყურადღება არ ექცევა ბაჰრამ გურის გადაადგილებას და მოქმედებას ხაკანის წინაარმდეგ ლაშქრობისას:

„... და მხოლოდ უფრო მეტად მიეცა ლხინს, დროსტარებას და ნადირობას.

მერე ის გამოეწყო და გაემართა აზერბაიჯანისაკენ, დატოვა რა მმართველად ერთ- ერთი საკუთარ ძმა, სახელად ნერსე. გაიგეს რა ბახრამის გამგზავრება და მასზე, რომ დატოვა საკუთარი ძმა ნაცვალად, ხალხს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ის გარბის მტრისაგან და ღალატობს საუთარ სახელმწიფოს. მათ დაიწყეს თათბირი ხაკანთან ელჩის გაგზავნის თაობაზე და მისთვის მორჩილების გამოსაცხადებლად.... ბახრამთან მოვიდა მსტოვარი, რომელიც მან მიუგზავნა (ხაკანს) რომ მოეტანა ცნობები ხაკანზე და გაეგებინებინა მისი საქმეები და განზრახვა. მაშინ ბახრამი გამოემართა ხაკანის წინააღმდეგ იმ ხალხით, რომელიც მას ახლდა, დაესხა ღამე თავს, მოკლა საკუთარი ხელით ხაკანი და აოტა მისი ჯარი (ტაბარი, იქვე)

1.უხსოვარი დროიდან აზერბეიჯანი კასპიის ზღვის სამხრეთ დასავლეთის სანაპიროზეა განლაგებული, ხოლო ეფტალიტები, რომელთა ირანზე თავდასხმასაც რუსული წყაროები ვარაუდობს, კასპიის ზღვის სიახლოვეს არც კი ჩანან, ისინი გაცილებით აღმოსავლეთისაკენ, არალის ტბისაკენ არიან დაფიქსირებული.

2)ტაბარი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს სპარსეთზე სახელდებულად ხაკანატის თავდასხმას და არა ეფტალიტებისა.

3)ბახრამი გალაშქრების წინ აზერბაიჯანში მოდის, შესაძლოა ეს ხაკანის (ეფტალიტების) ყურადღების მოსადუნებელ მანევრადაც კი ჩაითვალოს: ამ შემთხვევაში აზერბაიჯანიდან კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ გალაშქრებული ბახრამ გური სპარსეთის ძირითად ლაშქარსაც თან გაიყოლიებდა თურქებზე თავდასასხმელად, რომლის დისლოცირებაც აქვე, სპარსეთშია ნაგულისხმევი, ბაჰრამ-გურის ლაშქრობის ტრასაზე. ტაბარი ერთმნიშნელოვნად მიანიშნებს,რომ ბახრამმა მხოლოდ მასთან მყოფი ხალხი წაიყვანა ღამეულ, მოულოდნელ შეტევაზე და ესოდენ სარისკო ოპერაციაში წარმატებასდაც მიაღწია. ცხადია, ბახრამ გური კასპიის დასავლეთი სანაპიროსაკენ აწყობს ლაშქრობას და მისი ლაშქრობის ობიექტი ხაზართა ხაკანატია, რომელსაც ყველა ნიშნით ჯერ სახელი ხაზარი არ მიუღია, თუმცა ტიტული ხაკანი უკვე სახეზეა...მხოლოდ ამ გამარჯვების შემდეგ აჯილდოებს ერთ- ერთ ადგილობრივ მეფეს ვერცხლის ტახტით და ანიჭებს მას ქუშან-ი- მარზუბანის წოდებას!

„ბაბ-ულ-აბვაბი დევს ტაბარისტანის ზღვაზე...ეს ქალაქი ხაზართა ზღვაზე ემსახურება სარირს და სხვა ქვეყნებს კიაფერებისას (არამუსლიმანებისას)“ (Караулов Н. А. ალ-ისტარხი, 930 წელი ქრისტესით)

საინტერესოა, რომ ალ-ისტარხი ხაზგასმით აღნიშნავს სარირელთა არამუსლიმანობას. რუსული წყაროების მიხედვით, მათ ქრისტიანობა V საუკუნეში უჩანთ მიღებული...ალ- ისტარხის მიხედვით, ხაზართა სამეფოს დედაქალაქი მდინარე ვოლგაზეა (იტილი) გაშენებული და მასაც იტილი ჰქვია. მმართველი

ელიტა ებრაული წარმოშობისაა. აქვეა მეორე ქალაქი სამანდერი (სავარაუდოდ ასევე ხაზარებით დასახლებული, თუმცა მაინც მათგან დისტანცირებული) რომელსაც ყავს საკუთარი მეფე, ებრაული წარმოშობისა და ხაზართა მეფის ნათესავი. ქალაქი სამანდერი გაიგივებულია დღევანდელ ტარკთან, მახაჩყალის მიმდებარედ. სამანდერის ადგილსამყოფელად ზოგიერთები ყიზლიარს მიიჩნევენ, თუმცა აზრი უფრო პირველისაკენ იხრება.

„სამანდერსა და სარირის საზღვრებს შორის ორი ფარსახის (11კმ) მანძილია. სამანდერსა და სარირს შორის მშვიდობაა. ხალხი სარისისა (ტახტისა) ქრისტიანებია. ამბობენ რომ ეს ტახტი ოქროსია, სპარსელი მეფის ყოფილი კუთვნილება, მაგრამ მათი მეფობის შეწყვეტისას გადატანილ იქნა სერირის ქვეყანაში და წაიღო ერთ-ერთმა სპარსელმა მეფემ, როგორც მე გავიგე, ბახრამ გურის შთამომავალმა'' (იქვე)

ღია კარებში შესასვლელად მისი მტვრევა არასწორია, რასაც ამ ტექსტთან მიმართებაში რუსი კომენტატორი აკეთებს: ალ-ისტარხი თვითონვე აცხადებს, რომ ეს ცნობა მისთვისაც საიმედო არაა და იგი ზეპირი გადმოცემიდან აქვს მოყვანილი...რასაკვირველია სერირის (ტახტის) ხალხი , ეს ის მენაპირებია, რომელიც ბახრამ გურმა დააჯილდოვა ამ ტახტით და მენაპირეებად დააყენა!

„ხოლო სერირი სახელმწიფოს სახელია და არა ხალხისა '' (იქვე)

მართლაც არც ერთი არაბი ავტორი არ ასახელებს სერირთა ტომობრივ მიკუთვნებულობას, თუმცა ზოგიერთი მათ მმართველს ფილან შაჰად მოიხსენიებს, ზოგიერთი აგრარაურან შაჰად.(33)

ოდნავ განსხვავებულ ვერსიას იძლევა არაბი გეოგრაფი იაკუტი და ეს გასაგებიცაა, ადგილმდებარეობის ამ ორ აღწერას შორის მთელი 300 წელია:

„ბაბ-ულ - აბვაბი პორტია ამ ზღვაზე. აქ თავს იყრიან ხაზარები, სერირები, შაზანები, ხაიზანები, კურჯები, რუკლანები, ზარიკრანები, გუმიკები ჩრდილოეთიდან, ასევე მოდიან ხალხი ჯურჯანიდან, ტაბარისტანიდან, დეილემიდან და ჯილიდან'' (იაკუტი; 1179-1224წ)

ხაიზანები-როგორც ირკვევა ქართველი ფხოველებია, ფშავები და ხევსურები. რუკლანები-მოსკოვიტები, რუსები...კურჯები-ქართველები.

აღსანიშნავია, რომ ავტორის აღწერილი ყველა ხალხი არ წარმოადგენს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულს: გუმიკები და ზარიკრნები სერირის ვასალურ წარმონაქნის სახეს ტოვებს, რამეთუ მათ ერთი და იგივე რელიგია აკავშირებთ და საერთო სახელმწიფოს, სარირის შემადგენლობაში ფიგურირებენ. ამ ხალხში მარტივად შეიძლება ჰენიოხთა-ხალიბთა ტომის გამოცნობა.

„ეს ფაქტიურად ხეობის გამოსასვლელია, კაბკის (კავკასიის) მთებით შექმნილი, დაცული სიმაგრეებით, რომელთაგან ღირსშესანიშნავია ბაბ-სული, ბაბ-ალ-ლანი, ბაბ-ას- შაბირანი, ბაბ-ლაზიკა, ბაბ-ბარიკა, ბაბ-სამსახი, ბაბ საჰიბ-ას

სერირი (ტახტის მფლობელები) ბაბ -ფილან-შაჰი. ბაბ-კარუნანი, ბაბ-ტაბარსე-რან-შაჰი, ბაბ-ლირან-შაჰი, ბაბ- ლიბან -შაჰი, ბაბ-ანუშირვანი. ქალაქი სამანდე-რი დევს ბაბს იქით და მთელი ქვეყანა მას იქით ხაზართა მფლობელობაშია. ...ბაბს იქით მდებარეობს სუვარების სამეფო, ალ-ლაკზი, ალლანი, ფილანი, მასკატი, სახიბ-ას სერირი და სამანდერი" (Караулов Н. К. იბნ-ხორდადბე; 912-913წ ქრისტესით)

არ შეიძლება ითქვას, რომ ხორდადბეს ცნობები გამოირჩევა დიდი სიზ-უსტით, თუმცა კვლევისათვის უდავოდ მნიშვნელოვანი ცნობებია:

1.საინტერესოა მასკატ-ების პოლიტიკური წარმონაქმნის ხსენება (34)

2.სიმპტომატურია ხორდადბეს მიერ ბაბ-ალანის ხსენება, რომელიც კონტექს-ტიდან გამომდინარე, ქალაქ შაბირანის ახლოს უნდა იყოს საგულისხმებელი.

3. ერთობ მნიშვნელოვანია ხორდადბეს მიერ ბაბ-სამსახის, სამსახის ციხის აღ-ნიშვნა, ტექსტიდან გამომდინარე, ეს სიმაგრე და მიმდებარე ტერიტორიები მხოლოდ,ცენტრალურ კავკასიონზეა საძიებელი, რაშიც სხვა ავტორის ცნობით დავრწმუნდებით.

4. არაბი ისტორიკოსები ალბანურ-ლაზურ სახელმწიფო წარმონაქმნებს სხვად-ასხვა სახელით იხსენებენ (მათ შორის ხორდადბეც)

ლაზიკა, აფხაზი, ლაიზანი (ლაირანი) ხანდახან სანარე და ჩერქეზებიც კი მათ-თვის სინონიმური სიტყვები ჩანს, თუმცა არც ერთ შემთხვევაში ისინი აბაზგ-ებს, აბაზგეთს არანაირი ფორმით არ აღნიშნავენ. რაც შეეხება სერირს, ისინი მათ ერთხმად ტახტის ხალხს უწოდებენ.

„ხაზარეთიდან სარირამდე 12 დღის სავალია სტეპზე, ხოლო შემდეგ სა-მი დღე მაღალ კლდეებსა და ხეობებზე თვით მეფის ციხე -სიმაგრემდე. ეს ციხე- სიმაგრე დგას მთის მწვერვალზე, ოთხი ფარსახია სიგრძეში და ამდე-ნივე სიგანეში (22x22კმ) და გარსემორტყმულია ქვის კედლით. მისთვის არ-სებობს ტახტი როგორც ოქროსი, ასევე ვერცხლისა. ციხე-სიმაგრის მცხოვრ-ებნი ყველა ქრისტიანია, ხოლო დანარჩენი მცხოვრები ამ სახელმწიფოსი ყვე-ლა კიაფერი...მათ მეფეს ჰქვია ავარი. მარჯვენა მხარეზე ამ ციხიდან გადა-ჭიმულია გზა მაღალ მთებსა და მრავალრიცხოვან ტყეებში, ამ გზით თორ-მეტ გაჩერებაზე მდებარეობს ქალაქი სახელით ხაიზანი" (Караулов Н. К. იბნ-რუსტე; წიგნი ძვირფასი ქვებისა, ას-სარირი, 903 წელი ქრისტემდე)

1.იბნ-რუსტეს მიერ ნაჩვენები მანძილები, როგორც კონტექსტიდან ჩანს, დედა-ქალაქიდან დედაქალაქამდეა. 12 დღე მდინარე ვოლგის შესართავიდან დღევან-დელი სტავროპოლის სტეპებზე და დაახლოებით 40-50კილომეტრი ცენტრალ-ურ კავკსიონზე, ასეთია გზა ბალანჯერს-ხაზართა დედაქალაქსა და სერირის დედაქალაქს შორის.

2.დედაქალაქი სარირისა, ეს გრანდიოზული შემოკავებული ქალაქი შესაძლოა

მხოლოდ ჯულატი იყოს, დღეს ყაბარდოსა და ოსეთში განლაგებული.
3.საინტერესოა რომ იბნ-რუსტესთან უკვე ორ ტახტზე, ოქროსა და ვერცხლისაზეა საუბარი, რაც უბრალოდ ფაქტის ჰიპერბოლიზაცია უნდა იყოს.
4. ის რომ მხოლოდ დედაქალაქის მცხოვრებნი არიან დასახელებული ქრისტიანებად, ხოლო დანარჩენი მცხოვრებნი წარმართებად, გვაფიქრებინებს რომ ქრისტიანიზაციის პროცესი ჯერაც უსრულია:მართლაც როგორც ცნობილია,ჩრდილო ავკასიელთა მეზობელ ფხოვში,300 წლის შემდეგაც ქრისტიანიზაციის პროცესს იძულებითი ხასიათი ჰქონდა, რომელიც თამარ მეფემ ივანე მხარგრძელის ხელით ჩაატარა.
5. იბნ-რუსტეს მიერ ას-სერირის მეზობლად მოხსენიებული ქალაქი ხაიზანი,ეს მასუდისეული ხაზრანების (ფხოველების) ქალაქია.

კიდევ ერთი საინტერესო წარმომადგენელი, ეს არაბი მოგზაური და ისტორიკოსი მას'უდია.საინტერესოა,რომ ამ არაბი მოგზაურისათვის არამუსულმანი ყველა კიაფერია:

„ყველაფერი ეს (ციხე-სიმაგრეები) ემსახურება იმ ხალხებისაგან თავდაცვას, რომლებიც კაბკის მთის იქით ცხოვრობენ, როგორიცაა ხაზარები, ალანები, თურქები, სერირები თუ სხვა კიაფერი ტომები" (Караулов Н. А. მას'უდი; ოქროს მდელო და ძვირფასი ქვების წყაროები, თავი 17; 966 წელი ქრისტესით)

როგორც ვხედათ, მას'უდის ერთ ქვაბში აქვს „მოხარშული" ზემოთხსენებული ტომი და მათ სარწმუნოებისდა მიუხედავად კიაფერებს ეძახის:

„ბარზბანის სამეფოს შემდეგ მოდის გუმიკის სამეფო, მისი მცხოვრებნი ქრისტიანებია. ისინი არ ემორჩილებიან მეფეს და მათ ყავთ რამდენიმე ბელადი. ისინი მშვიდობიანად არიან ალანებთან (35) გუმიკებს იქით მთების მიმართულებით სამეფო, სახელად ზერეკერანი (მეაბჯრეები) ამ რაიონს მოყვება სერირები, რომელთა მეფე ატარებს ფილან შაჰის ტიტულს. ისინი ქრისტიანები არიან....იწოდება ის საჰიბ ას-სერირად (ტახტის მფლობელები)...ამ სახელმწიფოს დედაქალაქს ჰქვია ხუმრაჯი, ეს სამეფო შეიცავს 1200 დასახლებას. ...ეს ქვეყანა მიუვალია და დაცულია თავისი მიუვალობით: ის მდებარეობს კაბკის ერთ ხეობაში. მეფე გულიანად და წარმატებით ებრძვის ხაზარებს,იმდენად რამდენადაც ეს ხალხი ცხოვრობს ვაკეში, თვითონ მთებში"
(მას'უდი; იქვე)

სიმპტომატურია, რომ სერირის ხალხის მეფე ატარებს ფილან-შაჰის ტიტულს. როგორც წინა ნაწყვეტებიდან ვიცით, საკუთრივ ფილანი მცირე, უმნიშვნელო პოლიტიკური წარმონაქმნია, დიდი ალბათობით ფილანის ხალხი (და ესენი ყველა ხალხებია გარდა სერირისა, რომელიც სახელმწიფოს კრებსითი სახელიც ჩანს, საკუთრივ სერირის ხალხისა) ერთ-ერთი შემადგენელია სერირის დიდი სახელმწიფოსი, რომელთა მეფე ხანდახან აგრაურან შაჰის სახელსაც ატა-

რებს (ანალოგიურად ქართველთა მეფის ტიტულისა, რომელის საკუთარ ტიტ-ულატურაში რამდენიმე ტომის, ხალხის სახელს აერთიანებს)...ზუსტად ეს ქრი-სტიანი ფილანები ჩანან ჭარელები, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ, ლეონტი მროველისეულ ცნობაში მირიან მეფის მიერ ჩრდილოკავკასიური ჭარის საპა-სუხო დარბევის შესახებ...ზუსტად მათზე აქვს მითითებული მუჰამედ რუფის, როცა დაღესტანელების მიერ ქრისტიანული ჯურის აწიოკებაზე საუბრობს...და ზუსტად ეს ჯური ჩამოართვა ტაუსტანს-სერირს ევლია ჩელების სიტყვებით ოსმან ფაშა ოზდემირის ძემ და დაღესტანს მიუერთა... ზუსტად ეს ხალხი, მუ-სულმანური დაღესტანიდან ოტებული ქრისტიანი ფილანები დაასახლა კახე-თის მეფე ლევანმა „ფიფინეთს“ და არა ლეკები...

ბარზბანი-ეს მარზუბანის, მენაპირის დამახინჯებული ფორმა ჩანს მხოლოდ და ამ შემთხვევაში სერირის მენაპირე, მისი საზღვრების დამაფიქსირებელი ჩანს მხოლოდ...ამავე ლოგიკით გუმიკის ქრისტიანული სამეფო სერირის შემადგენ-ლობაში შემავალი ჩანს...ის რომ გუმიკი ქრისტიანულია, მტკიცდება სხვა წყა-როებითაც:

„გუმუკის დაქცევა მოხდა ორშაბათს, რამადანის თვის დასაწყისში, ან- ნაჯმ ად-დინის დროს, და დაიღუპა რწმენისათვის მთელი ჯარი გუმიკისა, გარ-და ათას სამას ოცდა ცამეტი მეომრისა, ექვსას ოცდა ჩვიდმეტ წელს <1239-40წელი>''(Мухамед Рафи. Тарих и дагестани)

თარიღის მიხედვით ცხადი ხდება, რომ გუმიკის დაქცევა მონღოლთა ხე-ლით მოხდა, შესაძლებელია გუმიკელთა სარწმუნოებრივი მიკუთვნებულობა სადავოდ ჩათვალოს ვინმემ, თუმცა მა'სუდის ცნობა აშკარად მიანიშნებს გუმი-კელთა ქრისტიანობას...არ არის გამორიცხული, ზერეკერანი თავად გუმიკში შემავალი და მისივე გარეუბანია (გუნიბი, სავარაუდოდ იგივე გუმიკი და ზერ-ეკერანი, როგორც ცნობილია გამოირჩეოდა საუკეთესო ხარისხის აბჯარით და-ღესტანსა და მთელს კავკასიაში, ინარჩუნებს ხალიბთა არქაულ ტრადიციას, არ დაამზადოს თავდასხმის იარაღი და მხოლოდ დაცვითი საშუალებით, აბჯრის დამზადებით შემოიფარგლება)...ქრისტიანულ გუმიკელთა (და ზერეკერანელ-თა) დისტანცირება ასევე ქრისტიან სერირებთან, მხოლოდ მათი ტომობრივი განსხვავებულობის მიზეზი ჩანს: გუმიკი და ზერეკერანი იმ ჰენიოხთა შთამო-მავალი ჩანს, რომელსაც ტაციტი აღნიშნავს.

...გუმიკის (და ალბათ ზერეკერანელთა შემდეგი ბედის შესახებ რაფი გვიყვება: **„ის იყო პირველი, ვინც დაიკავა (ტახტი) ხაიდეკის (კაიტაღის-მონღოლური) ვილაიეთისა, ქალაქი ყარა ყურეიში, განლაგებული კლდეზე, მდინარის ნაპი-რას. ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი გუმიკის ემირთან, მაგრამ გავიდა რამდ-ენიმე ხანი, მათ დაარღვიეს ეს ხელშეკრულება და მოტყუებთ მისცეს ურწმუ-ნოები (ქრისტიანები) ხმალს, გაანადგურეს ისინი, დაიმორჩილეს მათი დასახ-**

ლებები და მოაქციეს იქაური მცხოვრებნი მუსულმანებად“ (ТАРИХ ДАГЕСТАН; МУХАМЕД РАФИ)

აი ასეთი დასასრული ერგო ქრისტიანულ გუმიკს და ზერეკრანს- სახელგანთქმულ მეაბჯრეებს ჰენიოხთა-ხალიბთა ტომიდან...

„ალანების სახელმწიფო ესაზღვრება სერირის სახელმწიფოს. დედაქალაქს ჰქვია მა’ასი...320 წლის (ჰიჯრით) შემდგ, ისინი მიიქცნენ ქრისტიანობიდან, გააძევეს ყოფილი ეპისკოპოსები, რუმის მეფის გამოგზავნილები... ალანების სახელმწიფოს და კაბხის მთებს შორის არის ციხე-სიმაგრე და ხიდი, გადებული ვეებერთელა მდინარეზე. ეს სიმაგრე იწოდება ალანების ციხედ...იქ მოთავსებული იყო დარაჯა, <u>რომლის მოვალეობა იყო დაეცვა კაბხის მთისაკენ მიმავალი გზა ალანებისაგან...</u>ამ ხალხისათვის არ არსებობდა სხვა გზა, გარდა ხიდზე გამავალი, რომელზედაც ბატონობდა ციხე-სიმაგრე. სიმაგრე აშენებულია მიუწვდომელ კლდეზე და არამცთუ არ იყო საშუალება მისი დაპყრობისა, არამედ ციხეში მყოფთა ნებართვის გარეშე გავლაც კი. ამ სიმაგრის შიგნით , კლდის მწვერვალზე არის მტკნარი წყლის წყარო., ასე რომ ეს ციხე-სიმაგრე ერთერთი განთქმული სიმაგრეა მსოფლიოში თავისი მიუდგომლობით... როცა მასლამა იბნ-აბდილმელეკ-იბნ-მურვანი მივიდა ამ რაიონში და დაიმორჩილა მცხოვრებლები, განათავსა ამ ციხე სიმაგრეში არაბული გარნიზონი, ამ დროისათვის ამ ადგილის დამცველი“...(მას’უდი, იქვე)

მას’უდის ეს ინფორმაცია საკმაოდ დიდ საფუძველს იძლევა, განისაზღვროს თვით სერირელთა ტომობრივი მიკუთვნებულობაც კი:

1.სერირს, ამ ტახტის ხალხს დასავლეთის მიმართულებით ალანები (ოვსები) უჩანთ, ეს საოცრად მოძრავი ტომი. ისინი აღწევენ მეოტიდის ტბის ჩრდილო აღმოსავლეთის სანაპიროს, მათი კვალი ჩანს თვით ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო განშტოებაში, ყირიმის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე. მათი კვალის აღმოჩენა შესაძლებელია ცენტრალურ ევროპაშის და თვით აფრიკის კონტინენტზე (ბერბერთა სახით) მასუდის ეპოქისათვის ისინი ემეზობლებიან სერირს.

2.ალანების სახელმწიფო ესაზღვრება სერირს, თუმცა ვერ აღწევს იმ მონაკვეთამდე, სადაც ციხე დგას. მართალია მას ალანთა ციხეს უწოდებენ (სავარაუდოდ ალანთა სიახლოვის გამო, როგორც ორიენტირი) თუმცა ისინი სრულიადაც არ ფლობენ მას, პირიქით, ციხე აშენებულია იმისათვის, რომ დაიცვას კაბხისაკენ (კავკასიონისაკენ) მიმავალი გზა იმავე ალანებისაგან.

3. მას’უდის ეპოქისათვის ალანები განდგომილნი ჩანან ქრისტიანობიდან. ეს პროცესი შესაძლებელია ცვალებადი იყოს კავკასიაში ძალთა ბალანსის ცვლილებასთან ერთად.

4. ციხე-სიმაგრეს ამ დროისათვისაც არაბები ფლობენენ.

კიდევ უფრო აზუსტებს მანძილებს არაბი ისტორიკოსი იბნ-რუსტე:

„გამოდიხარ რა სარირის სამფლობელოდან მარცხენა მხარეს, მიდიხარ სამი დღე მთებსა და მდელოებზე, და ბოლოს მიდიხარ ალანთა მეფემდე. თავად ალანთა მეფე ქრისტიანია, ხოლო მისი სამეფოს დიდი ნაწილი კიაფერი და ეთაყვანებიან კერპებს. შემდეგ შენ გადიხარ ათდღიან გზას მდინარეებსა და ტყეებზე, სანამ არ მიაღწევ ციხე სიმაგრეს წოდებულს ბაბ-ალ-ლანად. ის მდებარეობს მთების მწვერვალზე, ხოლო მთების ქვეშ გადის გზა, და ციხე სიმაგრის ირგვლივ მაღალი მთებია. ამ კედელს (ციხე-სიმაგრეს) **იცავენ ყოველდღე 1000კაცი მისი მცხოვრებლებიდან. ისინი განლაგებული არიან გარნიზონად დღე და ღამე'' (იქვე; იბნ-რუსტე, ალანები)**

იბნ რუსტეს მიერ ნაჩვენები მანძილების მიხედვით, ალანები დარიალანიდან ათი დღის სავალ მანძილზე ცხოვრობენ. მართლაც კავკასიის მთებს ალანები თავს აფარებდნენ მხოლოდ სტეპებზე დიდი მტრის გამოჩენისას. შუა საუკუნეებში ალანებს რამდენიმე კონკურენტი-მეტოქე უჩნდებათ სტავროპოლის სტეპებში, რომელთა ქრონოლოგიური ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ყივჩაყები, მონღოლები, თემურ- ლენგის ურდოები- ახალმონღოლები. ზემოთ ჩამოთვლილი მასალა საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ ის კრიტერიუმი, რომელსაც სერირის (ტაუსტანის) სამეფო უნდა აკმაყოფილებდეს:

1.სერირი არაა ოვსეთი (არაბი ავტორების ალანეთი) რომლებიც თითქმას ყველა ტექსტში სერირის გვერდიგვერდ მოიხსენება.

2.სერირი მდებარეობს ოვსეთიდან აღმოსავლეთით.

3.სერირი არაა ლეკური პოლიტიკური წარმონაქმნი და ისინი პარალელურად მოიხსენიება ასევე ყველა წყაროში.

4. სერირი ქრისტიანული სახელმწიფოა და ამ რელიგიას იგი ინარჩუნებს თვით მე-14-ე საუკუნეებშიც.

5.სერირის ლაშქარი მოწყობილია ქართველურ ყაიდაზე, მის ძირითად ბირთვს აზნაურები წარმოადგენენ.(ამ სახელით პრივილიგირებული მეომარი,მსოფლიოში დაფიქსირებული მხოლოდ საქართველოში)

6. სერირის სახელმწიფოს ენა ერთ-ერთი ძირითადი ქართველური დიალექტია.

ჭეშმარიტად არაა საჭირო ღია კარების მტვრევა,ასეთი ტომი ჯერ კიდევ XI საუკუნეში აღწერილი აქვს ლეონტი მროველს:

„...და მივიდეს (საურმაგი, ძე ფარნავაზ მეფისა) დურძუკეთს დედიძმათა მისთა თანა...და ვეღარა იტევდა მათ დურძუკეთი. ამან საურმაგ წამოიყვანა იგინი, ყოველთა კავკასთა ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დაასხა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი"(ქართლის ცხოვრება;ლეონტი მროველი, ტომი 1, გვ.31-342 თბილისი, 2012წ)

ლეონტი მროველის მიხედვით, სვანები- ეს დურძუკთა ნაწილია, თუმცა მისი მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს...ამ შემტთხვევაში ფაქტიურად იკარგება გელების-ჰერების ტომი, რომელიც კავკასიის ამ რეგიონში ფიქსირდებოდა... მაგრამ იმავე ლეონტი მროველის წინა ამონარიდის მიხედვით, დურძუკებს ის კავკასის ჩამომავალს უწოდებს, სვანებს კი ნათესავთა ნახევარს.

...არსებობს თუ არა სხვა ალტერნატიული წყარო, დამამტკიცებელი დურძუკ-სვანთა თანაცხოვრებისა?

ასეთი წყარო არსებობს და თანაც არა ერთი...სომხურ ანონიმიურ გეოგრაფიად ცნობილ ტექსტში,რომელიც მე-7-ე საუკუნით თარიღდება და რომელიც არ შეიძლება მე-8-ე საუკუნეზე (35)ადრიმდელი იყოს:

„შემდეგ კავკასიის ქედით, საქართველოსა და ალბანეთის მიმდებარედ კასპიის ზღვამდე და მასში მდინარე სოანას-ის ჩავარდნამდე''

(Армянская география 7-го века; ახალი სია)

აქვე სავარაუდოდ ხელნაწერის არშიიდან მოხვედრილა სიტყვები: **ასეთ მდინარეზე არაფერია ცნობილი...**ცნობილია და ისიც ათი საუკუნის შემდგომი ხელნაწერიდან:

„ ..და უდის შორის მდინარე თვისი და მოერთვის <u>სონა მდინარეს</u>, რომელი განვლის ჩაჩანს და მოერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს'' (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება,ტომი-4, გვ-553-4,თუშეთისათვის, თბილისი 1973 წ)

კავკასიის მდინარე სუნჯის უძველესი სახელი სოანისი-სვანებისა ყოფილა! მდინარე სუნჯას თანამედროვე სახელიც სავარაუდოდ ამ სატომო სახელისაგან ღებულობს დასახელებას, სუნ-ჩაი, სვანების მდინარე, ასე ნათლავენ სავარაუდოდ ამ მდინარეს თურქულენოვანი მემატიანენი, საიდანაც ამ უკანასკნელის დასახელება ჩანს მიღებული.

„მეოთხე ხალხი სოანებია, ცხოვრობენ მდინარე ბაქსანის სათავეებთან, მდინარეების, კუმისა და ყუბანის სათავეების ახლოს. აქვთ განსაკუთრებული ენა. ატარებენ მოკლე ტანსაცმელს (კაბას) გერმანულის მსგავსს. გრძელ თმებს ატარებენ. ბევრი მათგანი ახლაც ქრისტიანია. მათ ჰყავთ ბატონი. მათი გზა გადაჭიმულია მდინარე ბაქსანზე, სადაც ცხოვრობენ დიდი ყაბარდოს მფლობელები, მუჰამედ კორგოტკინი ძმებით და სამი დღის სავალია“

(ПОКАЗАНИЕ КНЯЗОВ; кумыкскского и кабардинских)

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 1743 წელს, სვანები კიდევ ცხოვრობენ მამაპაპათა მიწის ნაწილზე მაინც. რასაკვირველია აქვე ცხოვრობენ დურძუკები (ინგუშები) რომელნიც ყველა ნიშნით უკვე ვეინახურ ენაზე საუბრობენ.

„სვანური თქმულებებით, მდინარეების, უბანის სათავეები და თერგის აუზის ნაწილი მათ წინაპრებს ეკუთვნოდათ... 1887 წლის ჩანაწერებით, ჯერ კიდევ 20-30 წლის წინათ სვანები იღებდნენ საიჯარო გადასახადს მიწისას ჩრდი-

ლო კავკასიელებისაგან. ეს იჯარა შეწყდა დასავლეთ კავკასიის რუსების მიერ დამორჩილების შემდეგ'' (იქვე)

რეზიუმე: სვანები და დურძუკ-ინგუშები ლეონტი მროველის მიხედვით ჩვ. წ. აღრიცხვამდე კიდევ III საუკუნის დასაწისს ჯერ ერთ პოლიტიკურ ერთეულში შემავალი ტომებია. ალექსანდრე მაკედონელის მემატიანეებისელი მათი საერთო დასახელება პაროპამისია...და როგორც ადგილის ტოპონომიკა გვიჩვენებს, იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ამ ორ ტომს შორის დომინანტი ძალა სვანები უნდა ყოფილიყვნენ...მათი საქართველოში გადმოსახლებიდან დიდი ხნის შემდეგ იღებენ სახელწოდებას სერირს (ტახტის ხალხს) ინგუშეთი- მისი სამართალმემკვიდრეა, თუმცა უკვე შეთვისებული ვეინახური ენ-ით...

ტავლისტანი

„ტავლისტანის მცხოვრებნი გაყოფილია ორ მთავარ ხალხად -ზონტებად და ტავლისტანელებად. ზონტები ცხოვრობენ მაღალ მთებში საქართველოს ახლოს და აქვთ მრავალი სოფლები, ლაპარაკობენ საკუთარ ენაზე და ყველანი წარმართები არიან...ტავლინები ცხოვრობენ მაღალ და თითქმის ყოვეთვის თოვლიან მთებს შორის (შესაბამისად ტავ თუ ტაუ თათრულ ენაზე ნიშნავს მაღალ მთას) ესაზღვრება საქართველოს, ავარეთს და დაღესტანს. ეს მიწები გაყოფილია მრავალ ოლქად, იმიტომ რომ სოფელი მთებს შორის ხეობებში დევს მეზობლად, იმდენი რომ თავად არა აქვთ დათვლილი. მათი ენებიდან ცნობილია ხუთი, რომლებიც ერთმანეთს არა გავს...მცხოვრებლებს, იმის მიხედვით როგორ ზეგანზე ცხოვრობენ, აქვთ ნათესები, ვენახები და განვითარებული მეცხოველეობა...ისინი იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს სხვანაირი საკეტით, სხვანაირი პატრუქით...მაზრებში ყავთ უხუცესები, რომლებსაც თვითონ ირჩევენ...

...ისინი არ იმყოფებიან ვინმეს მფლობელობის ქვეშ, არ იხდიან გადასახადს და რამდენადაც მათი მთაგორიანი მიწებიდან გადასახადის მიღება არ ეიმედებათ, არავინ არ ცდილობს დაიმორჩილოს ისინი...დაღესტანის მეზობელი მაზრები ემორჩილებიან - შამხალს...თუმცა იმავე მიზეზით, რის გამოც ეს ხალხი არავისაგან ხელდებული არაა, ისინი მათსავე დამოუკიდებლობაში დატოვებული იქნება....ისინი ითვლებიან მუსულმანებად, მაგრამ მათ აქვთ მრავალი წარმართული ჩვეები და სინამდვილეში უფრო კერპთაყვანისმცემლები არიან, ვიდრე მაჰმადიანები''

(Гербер Иоган Густав. Записки о народах и землях; 1728 წ. ტექსტი-2010წ)

თურქი მოგზაურის,ევლია ჩელების 1660 წლის ახლო ჟამის ჩანაწერი მტკი-

ცდება 60-70 წლის შემდგომ ჩანაწერშიც, თუმცა გარკვეული ცვლილებებით:
1.გერბერის მიერ აღრიცხული ხალხი ზონტები და ტავლისტანი საქართველოს სიახლოვეს - სავარაუდოა რომ ჩეჩნები და ინგუშები არიან, რომელთაც საკუთარი(განსხვავებული ტავლისტანისაგან) ენა გააჩნიათ, თუმცა ეს ხალხები უკვე ფაქტიურად ერთ მთლიან მასად მოიხსენიება. (გერბერის ჩამონათვალში არ ფიგურირებს ვეინახი და ჩეჩენი ხალხი, რომელიც სავარაუდოდ ზონტებად არის ნახსენები)
2.გერბერს მოხსენებული (უკვე მოხსენებული) აქვს ავარები, რომელიც 60-70 წლის წინ აქ არაა დაფიქსირებული...
3. ტავლისტანელთა ხუთი ენა აშკარად მიანიშნებს ამ უკანასკნელთა რიგებში ქისტ-ღლიღვების უცილობელ გულისხმობას.
4.ტავლისტანელების და ზოტების ინგუშების და ჩეჩნებიასადმი მიკუთნებულობა ჩანს მისი გეოგრაფიული მდებარეობით: ის ესაზღვრება საქართველოს, ავარებს და დაღესტანს...
5.ტავ-ტაუ, მთის ეს სახელი თათრული ენებს თითქმის საერთო უჩანთ ქართველურთან...

რუსულენოვანი მწერალი და მეცნიერი გიულდენშტედტი ქისტ და ინგუშ ხალხს ერთმანეთისაგან აღარ ანსხვავებს, მისი სიტყვებით ისინი ჩეჩნურ-ვეინახურ ენაზე საუბრობენ...ასევე რუსულენოვანი მწერის, იაკობ შტელინის სიტყვებით, ყაბარდო ფიქრობს, რომ ფლობს ჩეჩნეთს (1772წელი)

დროთა განმავლობაში,ტავლისტანსა და მიმდებარე მიწებზე აშკარა ხდება ვეინახური ენის დომინირება, საწყის ეტაპზე როგორც პატუა-საკომუნიკაციო ენა: რუსულენოვანი ისტორიკოსი იაკობ რეინეგსი (1779- 1783 წ; პუბლიკაცია 2010წლისა) აღნიშნავს ჩეჩნური და ქისტური ენების არსებით დაახლოებას. საყურადღებოა, რომ ავტორი აღნიშნავს ჯერჯერობით ამ ორი ენის დაახლოებას, თუმცა ინგუშური ენა ჯერ კიდევ დამოუკიდებლელია და ამ ორთან არავითარ სიახლოვეს არ ამჟღავნებს (ჯერ არ ამჟღავნებს).სავარაუდოა, რომ მოსახლეობის შეუდარებლად მცირერიცხოვნობის გამო ინგუშებთან შედარებით, ენის დაკარგვა ქისტებში გაცილებით ჩქარა ხდება...საბოლოოდ, ინგუშური ენაც ამავე, ვეინახური მიმართულებით ვითარდება....

„მარჯვენა მხარეს თერგისა. .. დასახლებულია ხალხით, რომელიც საკუთარ თავს ინგუშებს ეძახის (ეს სახელი მათ დაუმკვიდრდათ ადგილის მიხედვით, სადაც ისინი რუსებმა მე-18-ე საუკუნეში ჩამოასახლეს) საკუთარი ჩამომავლობა მოჰყავთ მაჯარიდან'' (იაკობ რეინეგსი, 1779 წ)

ისევე როგორც არა ერთ ეთნოსი ჩრდილო კავკასიის ისტორიაში, რომელთაც დიდ და მცირე მაჯარის დასახლებით იცნობენ, სინამდვილეში ოდესღაც სერირის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეები ჩანან.

„კუმიკები ამჟღავნებენ ულმობელ სიძულვილს ურჯულო ინგუშების მიმართ და ხშირად კლავენ მათ, იმიტომ რომ ისინი არ ღებულობენ მუსულმანურ რელიგიას, იმიტომ რომ უპირატესობას აძლევენ ქრისტიანობას'' (იქვე)

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნი ს ბოლოსათვისაც კი დურძუკები (ინგუშები) უპირატესობას ქრისტიანულ რელიგიას ანიჭებენ, თუმცა თავად რეინეგსი ამას რუსულ წახალისებით ხსნის. სინამდვილეში, ინგუშები მე-5-ე საუკუნის შემდეგ ქრისტიანები იყვნენ ქისტ-ღლიღვებთან ერთად, და ჯერ კიდევ თემურ -ლენგის ლაშქრობისას მე-14-ე საუკუნის ბოლოს ასევე ქრისტიანები ჩანან. მე-18-ე საუკუნეშიც ინარჩუნებენ რიგი ქრისტიანული სარწმუნოების ნიშნებს და სრულიად ბუნებრივი ჩანს მათი მიდრეკილება წინაპართა სარწმუნოების მიმართ.

...მაგრამ არსებობს ტომი, რომელიც ადგილმონაცვლებული ჩანს იმავე ჩრდილო კავკასიის ფარგლებში და სერირის სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ თვლის თავს. საუბარი ეხება ავართა ტომს:

„ავართა შესახებ...

ბევრი ხეტიალის სემდეგ მოვიდნენ ისინი ალანთა ქვეყანაში და ემუდარნენ ალანთა წინამძღოლ საროდის, რომ მათი საშუალებით გასცნობოდნენ რომაელებს, იმანაც აცნობა ავარების შესახებ იუსტინეს, გერმანეს შვილს,რომელიც ამ დროს ლაზიკეში მდგომ ჯარს წინამძღოლობდა, ხოლო იუსტინემ იუსტინიანე მეფეს...როდესაც იქ ვალენტინიანე მივიდა და გადასცა საჩუქრები და უთხრა რაც მეფემ დააბარა, ისინი ჯერ უიგურებს შეებრძოლნენ,შემდეგ ზალებს, ჰუნთა ტომს, ხოლო საბირები კი გაანადგურეს''

(გეორგიკა. ტომი III; მეანდრე პროტექტორი, გვ 209-210. თბილისი 1936წ)

...მაგრამ ბაჰრამ-გურის ზეობის პერიოდი (421-438წ) , როდესაც სერირის სამეფო მარზუბანად დაინიშნა, მთელი ასი წლით უსწრებს იუსტინიანეს მეფობას (527-536) როდესაც მან ავარებს დასახლების ნება დართო (დღევანდელი სტავროპოლის ჩრდილოეთით, მანიჩის ტბის და მდინარე კუმის სათავეების ლობლად, როგორც ეს ევლია ჩელების და პალასის ცნობებიდან ირკვევა)

... როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავარები ისტორიის თვალსაწიერზე ბაჰრამ გურის მიერ სერირის მარზუბანად დანიშვნიდან 100 წლის მერე გამოჩნდნენ, ამდენად მათი მენაპირეობა და სერირობა გამორიცხულია!... რაც შეეხება მეანდრე პროტექტორის მიერ მოწოდებულ ცნობას, რომ ავარებმა გაანადგურეს საბირები, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ შეესაბამება-სუვარებს (საბირებს) იტილთან (ვოლგასთან ახსენებს არა ერთი არაბი ავტორი, მათ შორის მუკადენსი:

„ქალაქები მისი ბულგარი, სამანდერი, <u>სუვარი,</u> ბაგანდი, კაიშვა, ხამლიჯი, ბალანჯერი და ბაიდუ... სუვარი ამავე მდინარეზეა (ვოლგაზე) საცხოვრებლად აქ გამოიყენება კარვები; სუვარებს დიდი ნათესები და ბლომად პური

აქვთ'' (36) **(Караулов Н. А. ალ-მუკადენსი. საუკეთესო დაყოფა კლიმატების განსაზღვრისათვის, 985 წელი ქრისტესით)**

სავარაუდოდ, სავირების ქვეშ კუმანები უნდა იგულისხმებოდეს, ისტორიაში ერთი და იგივე ერი ხშირად სხვადასხვასახელით იხსენიება(ეპოქის მიხედვით) ...რაც შეეხება ავარებს, მათი ისტორია მოგვიანებით სპეციალურ განხილვის საგანი გახდება.

მართალია ქართულ ისტორიულ ლიტერატურას არ გააჩნია ევლია ჩელების თანადროული ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი კავკასიის ქედს იქით მდებარე რეგიონებისა, მაგრამ ანალოგიური ლიტერატურა, შექმნილი მთელი 80 წლით გვიან არსებობს.ეს ბატონიშვილ ვახუშტის ქართლის ცხოვრებაა, რომელიც უშუალო დაკვირვების გარდა, მდიდარ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა.

„გარნა სდებენ ამის გამო კახნი ძურძუკთა, ღლიღუთა და ქისტთა თვისად, გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამით, ოდეს განდგნენ''

(ვახუშტი; ქართლის ცხოვრება, ტომი IV, გვ-532-534, თბილისი-1973წ)

უკიდურესად საყურადღებოა, რომ კახელები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედშიც კი დურძუკებს, ღლიღვებს და ქისტებს თავისიანად თვლიან. ამ ხალხებიდან , როგორც ზემოთ დავამტკიცეთ, სერირი ქართულ დიალექტზე საუბრობდა, ხოლო ქისტებსა და ღლიღვებს სავარაუდოდ საკუთარი დიალექტი უჩანთ, ინგუშურისაგან განსხვავებული.რაც შეეხაბა მათ განდგომას კახეთისაგან და საერთო ქართული სახელმწიფოსაგან, ეს ყველა ნიშნით თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგი უნდა იყოს.

„ ამის ზეით ბოეთანს, ერთვის ალაზანს ბელაქნის წყალი. ამ წყალსა და გიშის - წყალს შორის , ალაზანამდე და კავკასამდე, არის ელისენი, არამედ აწ ქურმუხს აქეთი...მზვარავს ელისენს აღმოსავლით მთა კავკასი, კულმუხსა (ქურმუხი) და მას შორის; სამხრით ალის -სულტნის საზღვარი; ჩრდილოეთით წყალი ბელაქნისა; დასავლით ალაზანი. ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორის კავკასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად''

(იქვე, გვ-540)

ერთადერთი მდინარე, რომელიც აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებს, ეს მდინარე კაბალაა, რომელიც დაღესტანში იმავე დასახლებულ პუნქტ ხუნძახსა და ობოდას ჩაუვლის. მკითხველისათვის გასაგები რომ იყოს, ეს ვახუშტი დროინდელი კახეთის უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილია, ხოლო მის დასავლეთით იგივე დაღესტანის შემადგენლობაში მყოფი ტაუსტანი (ძურძუკეთი) იგულისხმება.

... მიუხედავად იმისა რომ ამ ხალხს ქართული წყაროები დურძუკებსა უწოდებს, არაბული სერირს, რუსული ინგუშებს, როგორც ევლია ჩელების თხრო-

ბიდან ირკვევა, ისინი საკუთარ თავს მე-17-ე საუკუნის შუამდე ტაუსტანელებს უწოდებენ..... და რატომ ტაუსტანელებს? ამ საკითხისათვის სინათლის მოსაფ-ენად, ისტორიის წიაღში უკუსვლა და ფაქტების ნამცეც- ნამცეც მოძიებაა აუცი-ლებელი.

ისტორიოული წიაღსვლანი

„დიაოხი-ქართველურ ტომთა ძველაღმოსავლური ტიპის გაერთიანება, რომელიც წარმოიქმნა ძვ.წ. მე -12-ე საუკუნეში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანა-პიროზე და განადგურებულ იქნა კიდევ ერთი ქართველური სამეფოს, კოლ-ხას მიერ ძვ,წ,მე-8-ე საუკუნეში. დიაოხი იხსენიება ასურეთის, ბერძნულ და ურარტულ წყაროებში.

დიაოხის დაპირისპირება ასურეთთან

ამ პერიოდში მას უხდება დაპირისპირება ასურეთთან, კერძოდ ტიგლათფი-ლესერ პირველთან (ძვ.წ. 1115-1077წ) ამას მოწმობს ძვ,წ, 1112 -ით დათარიღე-ბული წარწერა, რომელშიც ტიგლლათფილესერ პირველი იხსნებს 60 მეფის გაერთიანებას (ნაირის ქვეყნები) სწორედ ეს გაერთიანება დაამარცხა ასურეთ-მა და ჩრდილოეთის, ანუ შავ ზღვამდე სდია.

დაპირისპირება ურარტუსთან

ტიგლათფილესერის გარდაცვალების შემდეგ ასურეთი სუსტდება, მაგრამ დი-აოხს ახალი მეტოქე უჩნდება ურარტუს სახით. ურარტუ საფრთხეს უქმნის არა მარტო დიაოხს, არამედ ასურეთის სამეფოსაც. ამიტომ თუ ეთმანეთს ეომებოდნენ დიაოხის მეფე საიენი და ასურეთის მონარქი ტიგლათფილესე-რი, ამჟერად მათმა შთამომავლებმა, ასიამ და სალმანასარ მე-3-ემ კოალიცია შექმნეს და ერთობლივი ძალით დაუპირისპირდნენ ურარტუს. ძვ.წ. მე-9-ე საუკუნის ბოლოს და მე-8-ე საუკუნის დასაწყისში ურარტუმ დაამარცხა ასუ-რეთი და დიაოხი მარტო აღმოჩნდა მის წინააღმდეგ. დიაოხი ჯერ კიდევ მენუამ (810-786ძვ.წ) დაამარცხა და დახარკა, რომელსაც ჩვენ ერთ -ერთი წა-რწერიდან ვიგებთ, სადაც მენუა უტუფურსს ახსენებს, ხოლო დიაოხს ძლი-ერ ქვეყანას უწოდებს. ამავე უტუფურსს უხდება ბრძოლა მენუას ძის არგიშ-თის (786-764 ძვ.წ) წინააღმდეც, მანაც დაამარცხა ეს ქვეყანა და დახარკა.

დაპირისპირება კოლხასთან

დასუსტებულ დიაოხს ამჯერად კოლხასთან წინააღმდეგ უხდება ბრძოლა, რომელიც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ად-რეკლასობრივ კოლხას არ გასჭირვებია ძლიერ დაკნინებული დიაოხის და-მარცხება. ძვ.წ. მე-8-ე საუკუნეში დიაოხის ქვეყანამ არსებობა შეწყვიტა, იგი კოლხას სამეფომ გაანადგურა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს არგიშთი პირ-

ველის მემკვიდრის სარდურ მე-2-ის წარწერა, რომელიც ამ ტერიტორიაზე ლაშქრობისას აღარ ახსენებს დიაოხს, მისი წარწერაში მხოლოდ კოლხა იხ-სენება. (ვიკიპედია)

აღნიშნული ისტორიულ დასკვნები უფრო ჰიპოთეზად შეიძლება ჩაითვა-ლოს, ვფიქრობთ მას არასწორად აქვს მინიჭებული სტატუსი, ქართველი ერის ისტორიულად დამტკიცებული საწყისები ვუწოდოთ (ის საწყისები, რისი წაკი-თხვის უფლებასაც ისტორია ჯერჯერობით იძლევა, ჯერჯერობით!) ერთის მხრივ ქართველური ტომების (შესწავლილი და მათთვისვე მიკუთვნებული) არქაული ისტორია არ და ვერ იძლევა სარწმუნო ცნობებს მათი სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოწყობის შესახებ, რაც ერთობ აძნელებს ისტორიული ფაქ-ტების (ის რაც მათვე შეეხება) სწორ შეფასებას.

მეორეს მხრივ, უამრავი მსგავსი ხასიათის ცნობა და ლიტერატურა არსებობს ეტრუსკთა (ტირსენთა) სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური თუ რელიგიური მოწყობისა და თვით მენტალიტეტის შესახებაც კი. როგორც ზემოთ მოხსენებ-ულ ნაშრომში მტკიცდება, ეტრუსკები ქართველური წარმოშობის ტომები არ-იან. ამ რეალობის გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დიაოხის ტომები ეტრუსკების მსგავსი პოლიტიკური მოწყობის წესებით სარგებლობენ.

„ძველი იტალიის და კორსიკის კულტურა, თავად ეტრუსკები იყენებდნენ ტერმინ რასენას...მარადიული ქალაქი რომი 575 წელს დაარსა ტარკვინიუს პრისკუსმა (ეტრუსკმა)...ეტრურიის ცენტრად ითვლებოდა ქალაქი ტარკუ-ნა. ქალაქის დაარსებას მიაწერენ ტირენეს ძმას თუ შვილს ტარკონს (თარ-ხონს) რომელმაც დაარსა 20 პოლისი . (ქალაქი სახელმწიფო) ქალაქების და-არსებისას ეტრუსკები იცავდნენ რომაულის მსგავს რიტუალს. (უფრო სწო-რად პირიქით , რომაულმა შეითვისა ეტრუსკული რიტუალები) აირჩეოდა იდეალური ადგილი, ითხრებოდა ჭა (მუნდუსი?), სადაც იყრებოდა შესაწი-რავი მსხვერპლი. ამ ადგილიდან ქალაქის დამაარსებელი გუთნით, რომელ-შიაც შებმული იყო ძროხა და ხარი, ავლებდა ხნულს, რომელიც საზღვრავ-და მომავალი ქალაქის კედლებს...ეტრუსკული ქალაქი პოლისები არაფრით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, გარდა რელიგიისა'' (ვიკიპედია)

როგორც ანტიკური ისტორიიდან ირკვევა, ქალაქ რომის დამფუძნებელი ეტრუსკები, მეორე, მესამეხარისხობან როლს სჯერდებიან რომისავე იმპერიაში. პირველობას რომაელები (ტევკრული-რომაული) ტომები იკავებენ, ხოლო ოდ-ესღაც უმძლავრესი ეტრუსკები ჯერ ბერძენთა გაერთიანებულმა ძალამ დაამა-რცხა, შემდეგ რომაელებითან. თმობენ პოზიციებს ეტრუსკები სამნიტებთან მიმართებაშიც. მხოლოდ ამდენი წარუმატებლობის მერე გაანალიზეს ეტრუსკ-ებმა მიზეზი, რომელიც ამ ტომის თავისუფლება მოყვარეობისა და ინდივიდ-უალიზმში იყო საძიებელი (მათ ერთიანი ცენტრალიზირებული სახელმწიფო

არ შექმნეს). მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ეტრუსკულმა ქალაქებმა გარკვეული კონფედერაციის შექმნა დამოუკიდებელ ქალაქ- პოლისებს შორის, თუმცა სახელმწიფოს მშენებლობისათვის ხელაყრელი დრო უკვე დაკარგული იყო, სულ უფრო იკრებდა ძალას რომაელთა სამეფო და იმპერია, რომელიც სათავეს ეტრუსკებისვე დაარსებული ქალაქი რომიდან იღებდა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის ფონზე, უცნაურად მოჩანს მტკიცებულება, რომ მთელი 8-9 საუკუნით ადრე მცირე აზიის ტერიტორიაზე, ეტრუსკების უძველეს სამშობლოში და მათსავე წინაპრებთან სამეფო თვითმპყრობელური წყობილება და დიდი სამეფო გაერთიანებები არსებობდა!

ის რომ ეს ''სამეფოები'' ქალაქი პოლისებია, და არა ცენტრალიზირებული, დიდი ფართობზე გადაჭიმული სახელმწიფოები, ისევ და ისევ უძველეს ლურსმნულ წყაროებშია მოცემული:

„ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ დიაოხის ძლევამოსილი ქვეყნის წინაარმდეგ--ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია, ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა სალაშქროდ მენუა იშფუინის ძე, წინ მიუძღოდა მას, სამეფო ქალაქი, ბრძოლით დავიპყარი. ქვეყანა გადავწვი, ციხე სიმაგრეები (დავანგრიე) <u>მივედი სესეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუამდე, ქალაქი უტეხაი''</u>

(წარწერა ამოკვეთილი კლდეზე ქალაქ არზრუმის მიდამოებში. მე-9-ე საუკუნის დასასრული და მე-8-ე დასაწყისი ქრისტემდე; საქართველოს ისტორიის ნარკვევები გვ-375. თბილისი1970წ)

მნიშვნელოვანია, რომ ცნობის მიხედვით, ურარტუს მეფე მენუამ, სანამ ის მივიდოდა სესეთის ქვეყანაში, უკვე დაანგრია და გადაწვა დიაოხი მისი დედაქალაქით სასილოთი. შესაბამისად შემდგომი ქალაქები, ზუა და უტეხაი (ალბათ უტეხი) სესეთის ქვეყნის ქალაქებია.

„...მივედი ბიას ქვეყანამდე..<u>ხუშანის ვეყანამდე</u>, გავემართე მე სალაშქროდ დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ, ქალაქი ზუა, დიაოხის ქვეყნის სამეფო ქალაქი, მე გადავწვი; წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში, წავედი მე ქვეყნის კარით აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ, 105 ციხე--სიმაგრე დავანგრიე, 453 ქალაქი კი გადავწვი '' (იქვე; გვ -377, 785 წ ქრისტემდე)

ამ ლაშქრობას მეფე მენუას შვილი, მეფე არგიშთი აწყობს. საყურადღებოა, რომ სესეთის ქალაქი ზუა, უკვე დიაოხის დედაქალაქი, მენუას მიერ გდამწვარი დიაოხის დედაქალაქის, სასილოს ადგილს იკავებს. სავარაუდოა, რომ სესეთის ქვეყანა, ქალაქი პოლისი დიაოხის გავლენის სფეროში შემავალია, აუცილებლობის შემთხვევაში დიაუხის სიმძიმის ცენტრის აქ გადმოტანა უპრობლემოდ ხდება...და ერთობ საყურადღებო ცნობა ხუშანის ქვეყნის შესახებ, რომელცაც მოგვიანებით დავუბრუნდებით...

„დიაოხის მეზობელ იგენიახის ტერიტორიაზე (ჩილდირის ტბის მიდამოებში) არგიშთი პირველის მემკვიდრე სარდურ მე-2-ე ერთი დღის განმავლობაში ხელთ იგდებს 35 ციხე--სიმაგრეს და 200 ქალაქს“ (იქვე; გვ-381)

ისტორიის მამად ცნობილი ჰეროდოტეს მიხედვით, თვით მსუბუქად აღ-ჭურვილი ქვეითისათვისაც კი დღიური გასასვლელი მანძილი საშუალოდ 30 კმ-ს უტოლდება, ხოლო სარდურის მეომრებს ბრძოლით გაცილებით ნაკლები მანძილის გავლა თუ შეეძლოთ. იგენიახის ქვეყნის ზომები აშკარად არ აჭარბ-ებს 500-1000 კვადრატულ კილომეტრს, რაც დღევანდელი რაიონის ტერიტორი-ის ტოლფასია. სარდურის მიერ ნახსენები ქალაქები აშკარად სოფლის (ხუტო-რული, სტანიცური, კახეთის სოფლებისათვის დამახასიათებელი) ტიპის დასა-ხლებაა. თავად ქვეყანა, ქალაქი პოლისი, მიმდებარე სახნავ-სათესით, საძოვრ-ით, სათიბითა და ტყით არის წარმოდგენილი...დიაოხის გავლენის ქვეშ მყოფი ტომები ცენტრალიზირებულ სახელმწიფოს არ ქმნიან! ქართველურ ტომებში იმდენად ჩანს გამოხატული თავისუფლების მოყვარე ხასიათი, ინდივიდუალ-იზმი, დემოკრატიის პირველადი პრინციპები, რომ ისინი ქალაქი პოლისის შე-ქმნით კმაყოფილდებიან!

დიაოხისადმი მეზობელი ქალაქი პოლისების მერ ომში დახმარების მცდელო-ბა სუფთა პრაგმატული მიზეზით და მიზნით ჩანს ნაკარნახევი: ყოველ ქალაქ პოლისს თვალნათლივ აქვს შეგნებული, რომ ასირიის (თუ ურარტუს) იმპერია დიაოხზე არ გაჩერდება, მისი დაქცევის და გადაწვის შემდეგ არც მათი მომავა-ლი ჩანს სახარბიელო. დიაოხი აქ მართლაც ამ ქართველური ქალაქების ლიდე-რის, მათ შორის მორალური ლიდერის როლს თამაშობს.

...და რა სიტუაცია ჩამოყალიბდა ამ დროისათვის შუამდინარეთსა დაანა-ტოლიის ზეგანზე, სადაც ქართველი ტომები და მათი მოწინააღმდეგე ასირიე-ლები ოპერირებენ?... ყურად საღებია ქუშების ელამიტური სახელმწიფო სპარ-სეთის ყურეში, რომელსაც ხელეწიფება <u>მთელი კავკასიიდან</u> და ფინიკიიდან (ფინიკიელების თემა აშკარად ცილდება წიგნის ფორმატს) ნარჩევი მეომრების ორგანიზირება ელინებთან (ევროპულ სამყაროსთან) საბრძოლველად. ამერი-კელი ასტრონომების უკანასკნელი გამოთვლების მიხედვით, რომელიც ჰომე-როსის პოემის ვარსკვლავურ პასაჟებს ეყრდნობა, ოდისევსის ითაკაზე დაბრუ-ნების თარიღი 1178 ჩვ. წ. აღრიცხვამდე, შესაბამისად ტროას ომის დაწყების თა-რიღი 1198 წ. მეფე (როგორც მას ბერძნული წყაროები უწოდებენ) მემნონის მი-ერ აღმოსავლეთ ქართველური ტომების ნარჩევი მეომრების ორგანიზირება და ჩამოყვანა კავკასიის უშორესი მთებიდან 1188წლით უნდა დათარიღდეს, ტრო-ას ომის დასასრულით...ავტორის უკანასკნელი კვლევით, ტროას ომის თარიღი სინამდვილეში მთელი ას ოცი წლით ძველია!

ისტორიის მამა ჰეროდოტე, სუსას მემნონის სამეფო ქალაქად ასახელებს....

...და რას წარმოადგენს ქალაქი სუსა და ვინ განაგებს მას ამ დროისათვის?

„სუზი,ერთ- ერთი უველესი ქალაქი მსოფლიოში. განლაგებულია თანამედროვე ხუზისტანის პროვინციაში ირანში. 3-1 ათასწლეული ჩვ. ერამდე , დედაქალაქი ელამისა. მე-6-ე, მე-4-ესაუკუნეს ჩ. წ. აღრიცხვამდე --სუზიანას ცენტრი, ერთ -ერთი დედაქალაქი აქამენიდთა დინასტიისა. მე-3-ე საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე, მე-3-ე საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვით პართიის სამეფოს საზაფხულო დედაქალაქი...სახელი მიიღო შროშანისაგან (ელამურად სუსანი) ისტორიაში ცნობილია როგორც ელამის სახელმწიფოს დედაქალაქი. შუმერული დოკუმენტებით ცნობილია, რომ ქალაქი მიძღვნილია ინანასადმი, ურუკის მფლობელისადმი(?) თავად სუსას მფარველი ღმერთი იშუშინაკი იყო.

...ტერიტორია მიიტაცეს აქადებმა. ელამელთა აჯანყების შედეგად მოიპოვა დამოუკიდებლობა. შემდგომ სუსას იკავებს ურის მესამე დინასტია. 2004 ჩვ. წ .აღრიცხვამდე, ელამის მეფემ კინდატუმ გაანადგურა ური და გახადა სუსა თავისი დედაქალაქი. <u>1175 ჩვ.წ .აღრიცხვამდე, ელამიტების მეფე შუტრუკ-ნახუტუს მეთაურობით გაძარცვეს ბაბილონის ტაძარი, კერძოდ, მოიტანეს სუსაში ნადავლის სახით ბაბილონის სტელლა მეფე ხამურაბის კანონებით. ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორ პირველმა 50 წლის შემდეგ შურისძიების მიზნით გაძარცვა სუსა''</u> (ვიკიპედია, თავისუფალი ისტორია)

მეფე მემნონის სატახტო ქალაქად აღიარებული სუსა ელამელების დედაქალაქია და ტროას ომის ეპოქისათვის ამ რანგში ის მინიმუმ მთელი ათი საუკუნეა იმყოფება)!

(არაფერს ვამბობთ ელამელთა მეფის ორმაგ სახელზე, რომელთაგან პირველი მთელი ასი პროცენტით ემთხვევა კახური კილოკავის ჩოჩორს, ვირის შვილს, და რომელი ეპითეტიც ამ უკანასკნელმა ასევე მთელი ასი პროცენტით დაიმსახურა ტაძრის გაძარცვისათვის)

ქუშ (ეთიოპ) მემნონის სახელმწიფო-პოლისს და ელამს შორის, ყველა მეცნიერული პრიორიტეტების დაცვით, ტოლობის ნიშანი უნდა დაისვას!

ელამი--ეს ტომია ქუშებისა(37)

ხუზისტანი-დღევანდელი ეს სახელი ირანის პროვინციისა მეწამულინ ზღვის სანაპიროზე, სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა ირანიზირებული ფორმა ხუშისტანისა, ხუშების , ქუშების ქვეყნისა. სიმპტომატურია, რომ სპარსეთის მეფე დარიოსისა და ალექსანდრე მაკედონელს შორის დაპირისპირებისას, არახოტები (იბერები) და სუზელები (სუსელები) ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან და იბრძვიან მაკედონელის არმიის წინააღმდეგ (38) (იხ.კვინტ კურციი რუფი; ალეექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა, წიგნი IV, თავი 5-12)

ელამის სახელმწიფო და ქუშები-ეს ის ხალხია,რომელსაც დიოდორ სიცილიელი კელტებს უწოდებს და რომლებსაც დასავლეთ ქართველურ ტომებთან,

იბერებთან და ხალდებთან მტერ-მოყვრული ურთიერთობა აკავშირებს! აქ, შუ-ამდინარეთსა და ანატოლიის ზეგანზე ხდება მათ შორის საომარი შეტაკებები, რომელიც დროთა განმავლობაში დანათესავებასა და თანაცხოვრებაში გადაიზარდა. აქედან ეწყობა იბერ-ქუშთა (ასევე ასაკენთა და ფინიკიელებად ცნობილ ხალხთა) შორეული ლაშქრობა პირენეის ნახევარკუნძულზე. აქედანვე ხდება მათ მიერ ერთობლივი ათვისება იტალიისა თუ სიცილიისა (იხ. ეტრუსკები)

არც შემდგომ პერიოდებში ჩანს შეწყვეტილი საომარი შეტაკებები მათ შორის, მაგრამ საკმარისა საერთო მტერი გამოუჩნდეთ ასირიის სახთ, ისინი (ელამი და ბაბილონი)საერთო ძალით ცდილობენ მასთან გამკლავებას. ასირიის სამეფოს გაძლიერება ფაქტიურად იბერ-ხალდთა და ელამელთა დასუსტების პირდაპირპროპორციული ჩანს: უკვალოდ არ ჩაუვლია ამ ოთხი (იყო სხვებიც...) ეთნოსის მიერ პირველად პირენეის ნახევარკუნძულის ათვისებას (სავარაუდოდ XXV საუკუნეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ხოლო შემდგომ აპენინის ნახევარკუნძულისა (XIII საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე, უფრო ზუსტად 1262 წელს ქრისტემდე) ქვეყანა მეომრების (და ხალხის) რესურშემცირებულ-გამოფიტული ჩანს. ელამი-ქუშის ეს სახელმწიფო პერმანენტულ ომში ასირიასთან ხშირად მარცხდება, თუმცა ბაბილონის მხარდამხარ და მის მოკავშირედ განაგრძობს ბრძოლას. რამდენჯერმე ფაქტიურად წინასწარ განწირულ ომშიც კ ი ჩაერთო ელამი ასირიასთან, ბაბილონის საშველად. არ აძლევენ ისინი ასირიას დამარცხებულ და და გამოქცეულს ბაბილონიდან მეფის მემკვიდრეებს, თუმცა ამისთვის ასირიისაგან რამდენჯერმე განიცადეს აოხრება...და საბოლოდ, ასირიისაგან ლტოლვილი ელამელთა ნაწილისაგან ყალიბდება ქუშის ახალი სამეფო , რომელიც ქართების ტომის კიდევ ერთ ცალკე თემს უდებს საფუძველს (ურარტულლი წყაროების ხუშანის ქვეყანა)

ის, რომ ნაირის სამეფოები და მათი ფლაგმანი დაიენი (დიაოხი) ქართველური (იბერიული) სამეფოებია, ეჭვის გარეშე უნდა იდგეს: ასირიელთა ლაშქ-რ-ობა სირიიდან ჩრდილოეთისკენაა მიმართული, ამასთან ასირიის ლაშქარს 16 მთის გადალახვა უწევთ . რასაკვირველია ეს ელამი არაა, რომელიც დაბლობზეა გაშენებული.მათი განლაგების ადგილი მდინარებს ყარა-სუსა და მურად-სუზეა. მთებისკენ კი ჩვენივე მტკიცებით იბერთა საზღვარი თვით VII საუკუნის ბოლომდეც კი ფიქსირდებოდა (იხ. იბერები) ასირია იბერ-ქუშებზე (მიგრაციით დასუსტებულებზე) ლაშქრობს. რასაკვირველია ასირიულ წყაროებში ნახსენები ზემო ზღვა-ეს შავი ზღვაა და სხვა კანდიდატურა არცა ყავს: ასირიელები მშვენივრად ანსხვავებენ ზღვასა და ტბას. ზუსტად ტბისკენ, ცალკე მდებარე წყლის სივრცისაკენ მიანიშნეს მათ ელამელთა მეფის, უმბახაბუას ლტოლვა, სადაც ეს უკანასკნელი არსებული ქუშის ბიბლიურ სამეფოს შეეფარა. ქალაქი პოლისების ფლაგმანის როლს დაიენი (დიაოხი) ირგებს. თუმც ასირ-

იის მძლავრ შემოტევას ვერ უძლებს. აქ თავი და თავი ამავე პოლისების სუსტ სამხედრო კოორდინაციასა და დეზინტეგრაციაშია საძიებელი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ასირიის ქვეყნის არც ერთი ლაშქრობა არ აღნიშნავს ხუშების ქვეყანასთან კონტაქტს ჩრდილოეთის მიმართულებით, თუმცა ცნობები ამ ქვეყანაზე მოიპოვება ურარტუს ცნობებში, უკვე მთელი სამი საუკუნით გვიან. ქუშის ეს სამეფო არ არის ელამი და მისგან სულ სხვა მიმართულებით, ვანის ტბის მიდამოებშია საძიებელი. ეს ქუშის სხვა სამეფო ჩანს, არა ელამი და მოგვიანებით ფორმირებული იმავე ქართველური ტომების მიერ და რომელიც საკუთარი სიძლიერის ზენიტს, როგორც ბიბლიიდან ჩანს, მე-7-ე, მე-6-ე საუკუნში აღწევს ქრისტეს წინ.

რაც შეეხება საკუთრივ დიაოხის სამეფოს, ის ერთობ დასუსტებული ჩანს ურარტუსაგან რამდენჯერმე დალაშქვრის შემდეგ. ეს ამ დიაოხის, ქალაქი პოლისის ცალკეულ ნაწილს, ტაოხებს შეეჯახა ბერძნული მოქირავნე ჯარი ქსენოფონტეს ფაქტიური მეთაურობით ანატოლიის ზეგანზე და რომელსაც სისხლისღვრის გარეშე არც ჩაუვლია. აქვე შეეჯახა ბერძნული ჯარი მაკრონებს, სვანურენოვან ტომს (ისტორია მოთხრობილია ამავე წიგნში) რომელიც ბედნიერი შემთხვევის წყალობით სისხლისღვრის გარეშე დასრულდა. ტაოხთა იბერიული ტომი ქსენოფანტესთან შეხვედრიდან 13 საუკუნის გასვლის შემდეგ ფაქტიურად აქვე აყალიბებს ძლიერ ქართველურ სახელმწიფოს.

ნიშანდობლივია, რომ ქართული წყაროები სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ ხალხს ტაოელებს-ტაოს მცხოვრებლებს ეძახიან, თუმცა ეთნიკურად ისინი მესხები ჩანან. ტაო აქ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ჩანს და არა სატომო სახელი...ტავრი-ასე უწოდებენ მთათა სისტემას ბერძნები და რომაელები ევროპასა და აზიაში, მათ შორის იმ ნაწილსაც რომელიც მცირე აზიაშია განთავსებული. სავარაუდოდ, ძველ ქართულ ენაში, ტაუ მთათა სისტემის, მთიანი ქვეყნის აღმნიშვნელი ჩანს. აქედაა სავარაუდოდ მთათა სისტემისათვის მთელ ევრაზიაში ტავრი შერქმეული. რომელიც ბერძნებს შეთვისებული უჩანთ. ყოველ შემთხვევაში, ტავრის ასე თუ ისე მისაღები განმარტება ინდოევროპულ ენებს არ მოეძებნებათ. (ტაუსა-ს უწოდებენ ტაუსტანელები დიდ მთას ევლია ჩელების მიხედვით ჩრდილო კავკასიაში. თვით ელბრუსის მთის სახელწოდება ყარაჩაი-ჩერქეზეთში, რომელიც ამ უკანასკნელებს ტაუსტანელებისაგან ა თვისებული უჩანთ, მინგი-**ტაუ-ა!** (თანამედროვე ქართული სიტყვა მთა-ტაუსაგან თაუსაგან მიღებული ჩანს!)

„ტაული მთიელსა ნიშნავს...თათრები ეძახიან მთელ რაიონს სუნჯიდან შავ ზღვამდე გიაურ-ტაუ-ს, ე.ი. ურჯულოების მთას“ (კლაპროტი; ოსები, 1967 წ. გამოცემა, ნაწილი 2)

უფრო დიდი და ავტორიტეტული წყაროს ძიება ფაქტიურად შეუძლებელიცაა:

ტაოელები-ეს მესხი მთიელები ჩანან, მთიანი ქვეყნის მცხოვრები.
ტაუსტანელები-ეს ასევე მთიელებია, გელები-ასევე მთიანი ქვეყნის მცხოვრებლები.
ანტიკური ტაოხები, რომლების შუა საუკუნის ტაოხებზე გაცილებით აღმოსავ-ლეთისაკენ (როგორც ირკვევა სამხრეთისაკენაც) არის სავარაუდებელი (39) ასე-ვე მთიელები ჩანან. 16 უზარმაზარი მთის გადალახვა მოუწია ტიგლათფილე-სერ პირველს, სანამ დაიენის (დიაოხის, ტაოხის) სანახეებს მიაღწია!

რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, აქ გელების ტომი ქართველური ტომი ჩვ. წ. აღრიცხვამდეVII დასაწყისს ჩანს დაფუძნებული, ისევე როგორც ლეგები ტო-მი დასავლეთ კასსპიის ზღვისპირეთში. მაკრონები, მოსინეკები და ბასიანები აქვე, ჩრდილო კავკასიაში მკვიდრდება ჩვ.წ. აღრიცხვამდე IV საუკუნეს. ხოლო ცენტრალიზირებულ სახელმწიფოს სერირის სახელით უკვე ჩვ. წელთა აღრიც-ხვის IV საუკუნეს ქმნიან...გვიანდელ ტაუსტანს (ჩელების სიტყვებით)

არის თუ არა, გარდა ევლია ჩელებისა ავტორი თუ წყარო, რომლებიც ტა-უსტანელთა ამ რეგიონში ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მიანიშნებენ?
„საჰიბკირანი წავიდა უფრო შორს და გაჩერდა მდინარე სავიჯითან (სუნ-ჯა) თოხთამიშ ხანი იდგა თავისი ლაშქრით მდინარე თერგის მეორე სანა-პიროზე, სანგრებს თხრიდა, ზღუდავდა მესერით და საზიდრებით, ემზა-დებოდა ომისათვის. საჰიბკირინის ჯარი მოვიდა თანდათანობით და მოწი-ნააღმდეგედ დადგა. თოხთამიშის ლაშქარმა, შენიშნა რა მისი სიდიდე და ბრწყინვალება, ვერ გაუჩერდა და დაიხია უკან მდინარე კურაიაზე (სტავრო-პოლის მხარის მდინარე) **და კვლავ დაიწყო (დამატებითი) ჯარის მოგროვება. ყოველ მხრივ დაგზავნა კაცი არმიის შესაგროვებლად. მაგრამ საჰიბკირინმა მონახა ფონი თერგზე, მთელი ჯარი გადასული მეორე მხარეს გაჩერდა. მა-გრამ ამ დროს საჰიბკირინის არმიაში გათავდა საკვები და შიმშილობა დაი-წყო. საჰიბკირინმა გაიგო ამის შესახებ. წავიდა მდინარის გაყოლებით ჩოლა-ტის** (ჯულატის) **რაიონისაკენ, რომ არმიისათვის საკვები ეშოვნა''**
(შერიფ ად-დინ ალი იეზიდი. წიგნი ამირა თემურის გამარჯვებებისა; წიგნი - 6, საჰიბკირინი შეიარაღებული არმიის დათვალიერებას აკეთებს-რუსულად)

ჯულატი, ზემო და ქვემო-განლაგებულია თანამედროობე ყაბარდოსა და ალანიაში.-ოქროს ურდოს დიდი ქალაქი-ასე ახასიათებს ტექსტის კომენტატო-რი ამ ქალაქს და სასტიკად ცდება კიდეც. ქალაქი არ შეიძლება ოქროს ურდოს ეკუთვნოდეს. (იხ. შენიშვნა N17)
„ბედნიერი საჰიბკირინი ჰაზავათის მიზნით გაემართა ბორიბერდისა და ბა-როკანის მხარეს, რომლებიც იყვნენ ასების ტომის წარმომადგენლები (40). ამ გზაზე იყო ტყე, ჩეხავდნენ მას, გაჰყავდათ გზა. ჰაჯი სეიფ ად-დინ-ბეგმა, და-ტოვა აღალი და ჯიჰადის მიზნით გაემართა ელბრუსის მთისაკენ. იქაური

ციხე სიმაგრეები იყო მთაში, ამიტომაც მიდიოდნენ მიუვალი ხეობებით და ებრძოდნენ რელიგიურ მტრებს'' (იქვე; თავი -7. საჰიბკირინი გაემართა ელ-ბრუსის მთისაკენ)

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თემურ ლენგის ეს ლაშქრობა პირდაპირი გაგრძელებაა ზიხეთის (ჩერქეზეთის) დალაშქვრისა, სავარაუდოდ იგი ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთი ფერდობებისაკენაა მიმართული აქვე მთების ძირში, როგორც ევლია ჩელები აღნიშნავს, ბერბერეს ტომის გზააბნეული მეფის, სალ-სალის ციხე-სიმაგრეებია. რაც შეეხება ძურძუკეთის ციხე- სიმაგრეებ, მათ შესახებ შემდეგ პარაგრაფში გადმოსცემს ავტორი:

„საჰიბკირინმა ისევ დატოვა აღალი და იქიდან გაემართა ციხე--სიმაგრე კულა და ტავუსისაკენ. ეს სიმაგრეები ელბურზის მთაზე იდგნენ. აქ მთების მწვერვალზე აშენებული იყო მიუდგომელი ციხე, ძალიან მაგარი, მისასვლელი გზა ძალიან რთული იყო, ციხე ძალიან მაღლა. ციხე სიმაგრე ტავუსი ასევე მთის მწვერვალზე იყო, ქედის მესამე უნაგირზე, თვალით მიუწვდომელი. თუ მას უყურებ, ვარდება ქუდი, იქ ვერ წვდება ვერც ისარი, ვერც ზარბაზნის ბირთვი'' (იქვე; ბედნიერების მომტანი თემურ-ბეგი მიემართება კულასა და ტაუსის ციხე,,სიმაგრეებისაკენ)

კომენტატორი ამ ციხეებს ევლია ჩელების მოშველებით ოსეთში ათავსებს, მუხედავად იმისა, რომ ჩელები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს მათი ტაუსტანის კუთვნილებას...თემურ ლენგის მიერ აღებულ ციხე სიმაგრეებს აღწერს აზერბაიჯანელი ავტორი ბაკიხანოვიც: მისი სიტყვებით ეს ციხე- სიმაგრეებია ბერიკ-ტოუ, ალხაზ-ტოუ, ჩუბან-ტოუ! რასაკვირველია ეს სიხე-სიმაგრეები ტაუსტანისაა, ხოლო მათი დასახელების დაბოლოება, ტერმინ ტაუს დამახინჯებული, სახეცვლილი ვარიანტი!

ეს თემა დურძუკებზე ამ სიტყვებით გვინდა დავამთავროთ: არ არს იგი საიდუმლო, რომელ არ გაცხადდეს!

ისტორიული ექსკურსი

„სახელი ბასიანი წარმოიშვა მათი სახელგანთქმული წინაპრისაგან. ადრე ისინი ცხოვრობდნენ მდინარე კუმის სტეპებში. მათი დედაქალაქი იყო მაჯარი. ...ომების შედეგად მათ დაიხიეს დღევამდელ ადგილამდე, მდინარე მალკის მიხედვით, სადაც მათი ნაწილი გაჩერდა, იწოდებიან მალკარებად ანუ ბალკარებად. 1207 წელს, ისინი დაიქვემდებარა ქართველმა დედოფალმა თამარმა, განავრცელა მათში ქრისტიანობა, რომლის კვალი დღევანდელამდე დარჩა. ქართველებისაგან განთავისუფლებული ბალყარელები ყაბარდოელების ბატონობის ქვეშ აღმოჩნდნენ...ამ გადასახადს ბასიანები იხდიან, როცა ქაბარდაში მიდიან

მარილზე, ღომზე, გამხმარ თევზზე, ქსოვილსა და სხვა ნივთზე, რომლისთვისაც ისინი გასაცვლელად აძლევენ შალს,ულეშ მაუდს, ჭვავს, თექის გადასაფარებელს, მელიისა და კვერნის ტყავებს, გოგირდს, დენთს, რომელსაც თვითონ ამზადებენ. ზამთარში ისინი მიერეკებიან თავიანთ ფარებს ყაბარდოში, რომელიც მათ ჩერქეზებზე დამოკიდებულს ხდის. როცა მათი მოსავალი უხვია და საძოვრები გაბიბინებული, ისინი უპირატესობას აძლევენ მარილის შეძენას იმერეთსა და საქართველოში, ან ხდიან თავად მთის მარილიანი წყაროებიდან; ამ წლეებში ისინი საქონელს თავისთან აზამთრებენ და არა მარტო არ დადიან ყაბარდოში, არამედ ამ უკანასკნელებს უკრძალავენ თავიანთთან მოსვლას, რაც წარმოშობს ხშირ კამათს და განუწყვეტელ ომებს...ისინი პატივს მიაგებენ ღმერთს, წოდებულს არა ალლაჰად, არამედ ტეგრად, რომელიც ითვლება სიკეთის შემოქმედად, და ასევე წინასწარმეტყველ ილიას...მათი თავადები იძულებულ იყ-ვნენ მიეღოთ ისლამი" (Клапрот; Питешествие по Кавказу и Грузии, 1974 წ-ნაწილი I)

კლაპროტი დაკვირვებულ მკვლევარს საინტერესო ცნობას სთავაზობს:

1. კლაპროტიოს მიხედვით, მალყარის (ბალყარის) დედაქალაქი მაჯარია, პანოიელთა-ავარების ქალაქი, რაც სიმართლისგან შორს უნდა იყოს. სავარაუდოდ, ბალყარის დედაქალაქი ჯულატი იყო, სერირის დედაქალაქი...

2. მალყართა სახელი ბასიანი-არავითარი ბელადის სახელი არა ჩანს! ეს უკანასკნელად ბასიანის მთებში შეხვდა მაკრონთა ტომს ქსენოფონტე V-IV საუკუნის გასაყარზე ჩვ. წ.აღრიცხვამდე, და რომელიც როგორც ზემოთ გაირკვა, მკვიდრდება ჩრდილო კავკასიაში შემდგომი სერირის სახელმწიფოს შემადგენლობაში. მაკრონებს მიკედლებული ჩანს ბასიანთა (მალყართა) იბერიული ტომიც!

3.არავითარი საჭიროება ამ ხალხის გაქრისტიანებისა მე-13-ე საუკუნეში საქართ-ველოს დედოფლისა და ხელისუფლების წინაშე არ მდგარა, ისინი მე-5-ე საუკუნიდან უკვე ქრისტიანულ აღმსარებლობას მისდევენ.

4.მალყარები, სავარაუდოდ მთიელთათვის ასე ნაცნობ ღვთაებას-ელიას აღიარებენ, ჭექა -ქუხილის ღმერთს და არა ილიას. რაც შეეხება ტეგრს, რომელსაც ისინი უზენაეს ღვთაებად რაცხავენ, ადვილი გასაშიფრია მონღოლთა უზენაესი უფალი ტენგრი. სავარაუდოდ, მალყარელები ვერ გადაურჩნენ მონღოლურ გავლენასაც.

5.ის რომ მალყარელთა მიხედვით, ისინი გაერიდნენ ომებს, მიანიშნებს იმ ეპოქას, როდესაც ხალხი დასახლდა აქ: ჩანს მალყარები თემურ- ლენგის მიერ სერირის დაწიოკებისას, მე-14-ე საუკუნის მიწურულს, უკვე აქ ცხოვრებენ, სერირის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ყაბარდოელები მე-14-ე საუკუნეს ჩანან ყირიმიდან მიგრირებული. ხოლო ქრისტიანული ძეგლების კვალი მათ კუთვნილ მიწებზე-ეს სერირის ქრისტიანული სახელმწიფოს ნამსხვრევებია!

6. რასაკვირველია ქართველები ჩერქეზებს ეძახის ამ ხალხს, რამეთუ ტაუსტანის მთელი ხალხი ასევე ჩერქეზებს მიეკუთვნება, თუმცა ლინგვისტური მონაცემით აშკარად განსხვავდება მათგან.
7. ინგუშებთან, ქისტებთან, ღლიღვებთან ერთად ბალყარები იმ ხუთ ძირითად ეთნოსში შემავალი ხალხები, რომელსაც იაკობ რეინეგსი ინგუშებთან და მათშივე აღწერს!

არ უნდა იყოს გასაოცარი ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე ქართული მთიელი ტომების, სვანების დივიდენდები ზემოხსენებულ მეზობელსავე ტომებთან კავკასიის იქით: ეს მათი გენეტიკური მახსოვრობის შედეგი ჩანს, როდესაც ისინი ათეული საუკუნე ერთ სახელმწიფოებრიობას აშენებდნენ...

... და კიდევ...

„ყარაჩაელები-შავი წყარო....თათრები ეძახიან მათ ყარა-ჩერქეზი, ანუ შავი ჩერქეზი, რამდენადაც ისინი ჩერქეზთა ქვეშევრდომნი არიან. ქართველები მათ შუა საუკუნეებშიც ეძახდნენ მათ ყარა-ჯიქებს, ისე რამდენადაც ჯიქი ანუ ზიხი სინონიმებია და ნიშნავს ჩერქეზს. ისინი თვლიან, რომ დატოვეს მაჯარი იმისათვის, რომ დაეკავებინათ ახლანდელი მდგომარეობა, ჩერქეზების ყაბარდოში მოსვლამდე. მათ თავიანთი სახელი მოყავთ ყარაჩა ბელადისაგან,რომელიც დასახლდა მდინარე ყუბანის სანაპიროზე...ყველა ყარაჩი იყო წარმართი, ისევე როგორც ბალყარები და ჩეგემები. თუმცა ახლა სხვა რწმენას ვერ ნახავ, გარდა მაჰმადიანობისა. ეს ხალხი არ უხდის არავის არავითარ გადასახადს...ყარაჩები მიეკუთვნება კავკასიაში ყველაზე ლამაზ მცხოვრებთა რიცხვს, და გაცილებით უფრო გავს ქართველს, ვიდრე სტეპში მომთაბარე თათრებს. ისინი კარგი აგებულობისანი არიან და ახასიათებთ ძალიან თხელი სახის ნაკვეთები, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებს შავი თვალები და თეთრი პირისკანი. მათ შორის სავსებით ვერ შეხვდებით განიერ, ბრტყელ სახეს და ღრმად ჩამჯდარ თვალებს, როგორც ნოღაელებს...ყარაჩები არ არიან გატაცებული ძარცვით, როგორც მათი მეზობელი ჩერქეზები და აბაზინები. მათში იშვიათად გაიგონებ სიტყვას ძარცვას და მოტყუებას. ისინი ცხოვრობენ სუფთა ფიჭვის მორებისაგან აშენებულ სახლებში (იქვე)

პირდაპირი ცნობა ყოველთვის საინტერესოა და არც კლაპროტი წარმოადგენს გამონაკლისს:
1.ყარაჩაები ყაბარდოელთა კავკასიის ქედზე საკმაოდ გვიან მოსვლას ადასტურებენ.
2.ისინი საკუთარ თავს ქალაქ მაჯართან აიგივებენ,შესაბამისად პანონიელებად თვლიან თავს (თუმცა შესაძლებელია ეს სიმართლეს არც შეეფერებოდეს)

3.თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების მიერ კავკასიის ჩრდილო კალთების აღწერისას გაკვრით არის ნახსენები ოგუზური ტომები, რომლების სავარაუდოდ ყარაჩაულ ეთნოსს წარმოშობს.
4.ყარაჩი, იმ დროის ყირიმის სასაუბრო ენაში, იმავე ევლია ჩელების მიხედვით, ვაჟკაცს უნდა ნიშნავდეს. სავარაუდოდ, ეს საერთო თურქული ტერმინია.
5. რასაკვირველია , ოღუზი თურქი შეხედულობით მომგებიანად გამოირჩევა სტეპის ახალმონღოლ-ნოღაელისაგან.

...და სხვები…

„დავუბრუნდეთ ახლა კაბხის მთის აღწერას...ალანების გვერდით ცხოვრობენ აფხაზები, ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები, და ჩვენი დროისათვის მათ ყავთ მეფე. მეფე ალანებისა მათზე ძლიერია და მათი ოლქები ვრცელდება კაბხამდე. აფხაზების ახლოს მდებარეობს ჯურიის სამეფო, დასახლებული ქრისტიანული სარწმუნოების დიდი ტომით. ჰქვიათ მათ ხაზრანები. მეფეს, რომელიც მათ მართვთ ამ დროისათვის, უწოდებენ ტაბ'-ს და ცხოვრობს ადგილზე, წოდებული მესჯიტ-ზულ კარნაინ. მერე ხაზრანის სამეფოს გვერდით მდებარეობს სამსახა, რომლის მოსახლეობა ქრისტიანია შერეული წარმართებთან. მათ მეფე არა ჰყავთ... სამსახას მეზობლად, თბილისსა და ალანების სიმაგრეს შორის, რომელიც ჩვენ უკვე ვახსენეთ, მდებარეობს სამეფო სახლი სანარია, ხოლო მათ მეფეს ჰქვია კურისკური. ეს ხალხი ქრისტიანობის მიმდევარია...არცთუ ისე შორს სანარიიდან მდებარეობს შაქელები, ქრისტიანული ტომი, რომელთა შორისაც ცხოვრობს მრავალი მუსლიმანი, დაკავებული ვაჭრობით და ხელოსნობით....მათ იქით მდებარეობს კილახის სამეფო, მისი დედაქალაქის მოსახლეობა მუსულმანია, მაშინ როდესაც ირგვლივ სოფლების მოსახლეობა ქრისტიანია...ის შეხებაშია მუკანის (მოვაკანის) **სამეფოსთან, რომელზედაც ვამბობდით და რომელიც დაიმორჩილა შირვან-შაჰმა'' (Караулов Н. К მას'უდი,იქვე)**

მას'უდის მოყვანილი ციტატა მართლაც სენსაციურია, თუ მას გულდასმით და ყურადღებით განვიხილავთ:
1.ალანების (ოსების) გვერდით აფხაზები ცხოვრობენ და ცხოვრობენ ისინი არა მთის გადაღმა, სამხრეთ კავკასიაში, არამედ ალანების გვერდით ჩრდილო კავკასიაში, და მათ აქვე აღნიშნავს მას'უდი. როგორც ზემოთ დავამტკიცეთ, მუსულმანი ავტორები ზანურ ტომს-ზიხს (ძიგს, დიხს) ჩერკესს უწოდებს, ხოლო იგივე ზანური ტომის წარმომადგენელი ლაზი მისთვის აფხაზია! ტერმინი აბაზგი მისთვის საერთოდ უცნობია! მას'უდისეული აფხაზი ალანების უშუალო მეზო-

ბელი ჩრდილო კავკასიაში, ეს ლაზთა იმ ტომის შთამომავალი ჩანს, რომელიც კავკასიის ამ კარიბჭის დასაცავად დატოვა და დაასახლა ილირიელ მოლაშქრეთაგან ალექსანდრე მაკედონელმა. ეს მათი ოლქები ვრცელდება კაბხამდე (კავკასიონამდე) ჩრდილოეთის მხრიდან! უბრალოდ ძნელია, ამ აფხაზებში დღევანდელი ხევი, სტეფანწმინდა ვერ იცნო!

2.ამ აფხაზების ახლოს მდებარე ჯურიის (გურიის) სამეფო კაბხის-მთავარი კავკასიონის მიმდებარედ, ეს ფშავ- ხევსურეთია, ძველ ქართული წყაროების ფხოვი, ხაზრანად სახელდებული, ხოლო მისი საცხოვრებელის სახელწოდება, მესჯიტ ზულ-კარნაინ, პირდაპირ მიანიშნებს აქ ზულ-კარნაინის, ორრქიანის, ალექსანდრე მაკედონელის ოდესღაც ყოფნას (და რასაკვირველია არა გასართობად)

3.ხაზრანის (ფხოვის) სამეფოს გვეერდით მდებარე სამსახა- ეს მხოლოდ მთათუშეთი შეიძლება იყოს ! ანალოგიურ დასახელების სოფელთა ხომლს ახლც შეხვდება კაცი პირიქითა თუშეთში.

4.მას'უდის ნახსენები სანარიის სამეფო საკმაოდ ზუსტად ლოკალირდება, ეს დუშეთის და თიანეთის რაიონია, მდინარე არაგვის შუაწელი. როგორც სახელი გვიჩვენებს, ჭანური ტომის წარმომადგენლები.

...ამ კუთხიდან იყო ის სამასი არაგველი მოლაშქრე, ვაჟასეული კაი ყმა, რომელიც არაგვის ხეობიდან დაგვიანებით მოსული, მართლაც არაგვივით (41) შეელეწა აღა-მაჰმად-ხანის ურდოებს თბილისის აღმოსავლეთ კარიბჭესთან, კრწანისის ველზე...არაგვის წყალივით არ დაიშურეს სისხლი საერთო ქართველური დედაქალაქისათვის და ქვიშაზე დასხმული არაგვის წყალივით გაიპარა სამშობლოსათვის შეწირული მათი სისხლი და სიცოცხლეც...დანარჩენი, შაქის, კახეთის და მოვაკანის სამეფოები ლოკალიზაციას არ საჭიროებენ...

ამავე ქალაქს, მესჯიდუ ძულ კარნაინს ახსენებს ახსენებს სხვა არაბი ავტორიც:

„და მესამე ნაწილი; ქალაქები ჯურზანისა, ტიფლისი და ქალაქი ცნობილი სახელით მესჯიდუ ძულ--კარნაინისა'' (Караулов Н. А. ალ-იაკუბი; წიგნი მეფეთა, 904 წ)

ამავე ქალაქის ხსენება უკვე სხვა არაბი ისტორიკოსის მიერ, აშკარად ამტკიცებს მაკედონელის სახელობის ქალაქის არსებობას ხევსურეთში და ამტკიცებს მისივე ლაშქრობას ფხოვისაკენ.

„ალანების მეზობლად კაბხსა და რუმის ზღვას (კავკასიონსა და შავ ზღვას) შორის მდებარეობს ტომი, სახელით ქეშაკი. ეს ტომი კეთილმოწყობილია და ემორჩილება მაგთა რელიგიას. ჩვენს მიერ აღწერილი ტომებიდან არ არსებობს ამ ქვეყნებში ხალხი, რომელშიც შეიძლებოდა შეგხვედროდა ტიპი უფრო ნათელი კანით, თეთრი სახით დ უფრო ლამაზი ქალები და კაცები...

...ალანები სიძლიერით აჭარბებენ ამ ტომს, და ის ვერ შეძლებდა შეენარჩუ-

ნებინა საკუთარი დამოუკიდებლობა ალანების პირისპირ, თუ არა გამაგრე-ბები, მათ მიერ მოწყობილი ზღვის სანაპიროზე. ამ ზღვის შესახებ სხვადა-სხვა აზრია; ზოგიერთის სიტყვებით, ეს რუმის (შავი) ზღვაა, ხოლო სხვების სიტყვებით, ზღვა ნიტასი (მეოტია) **...რაც შეეხება მათ სისუსტეს ალანებთან შედარებით, ეს იმის გამო, რომ მათ არა ჰყავთ საერთო მეფე. ცნობილია, რომ თუ ეს ხალხი, მოლაპარაკე ამ ენაზე გაერთიანდებიან, ვერც ალანები, ვერც სხვა ხალხი ვერაფერს დააკლებს'' (იქვე)**

მასუდი ისევ მორიგ სენსაციას გვთავაზობს:

1.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბი ავტორები ზიხთა ტომს ჩერქეზებს ეძახი-ან.

2.ალანების მეზობლები ოდითგანვე ჯიქები (ზიხები, ძიგები) ჩანან, და ზუსტ-ად მათი შთამომავლობა გამოირჩევა საოცრად ნათელი, თითქმის მწითური ელფერით.

„...და განვიდეს პაჭანიგეთსა, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიგეთი, მოსაზღვ-რედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისას წიაღ და ჯიქეთი მუნვე იყო. შე-მდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიგნი და ჯიქნი თურქთაგან, და წა-რვიდეს პაჭანიგნი იგი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლ-ოსა აფხაზეთისასა''(ქართლის ცხოვრება;ტომი I, ჯუანშერი, გვ-188, თბილისი-2012წ)

არა მარტო ჯუანშერი აღნიშნავს ჯიქების ჩრდილო კავკასიაში დასწრებულო-ბას, ასეთივე აზრს გამოთქვამს ვახუშტიც (იხ ზიხებთან)

3.ზიხების მიერ მოწყობილ გამაგრებებზე ზღვის სანაპიროზე საუბრობს იმპე-რატორი ბიზანტიისა კონსტანტინე პორფიროგენტი, მას'უდის თანამედროვე, სადაც ზიხები ალანების თავდასხმისაგან აფარებენ თავს. (იხ ზიხები)

4.მას'უდი საუბრობს ქეშაკთა ტომის შესაძლო გაერთიანებაზე, რომელიც მათ მოუწყვლადს გახდიდა გარეშე მტრებისაგან.კერკეტებს- ყაბარდოულ ტომს არც ერთ შემთხვევაში არ შეეძლო გაერთიანება ისინი სულ ერთი ტომი და ერთ თე-მი იყო-ქაბარდა, განსხვავებით ზიხებისა, რომელნიც ერთ ათეულ ტომს მოიც-ავდა.

5. მასუდი ქეშაკებს რუმის (შავ) ზღვაზე აღნიშნავს. როგორც იმპერატორ კონს-ტანტინე პორფიროგენტის ცნობებით ირკვევა, კერკეტები (პაპაგია- ყაბარდოე-ლები) ამ დროისათვის აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ. მართალია მას'უდი ვერ არის გარკვეული ბოლომდე, ქეშაკები რომელ ზღვაზე ცხოვრობენ, შავსა თუ მეოტიდაზე, თუმცა ეს მხოლოდ ზიხთა ტომების საცხო-ვრისი უწევს ორივე ზღვას.

მას'უდისეული ქეშაკები- ეს დასავლეთ ქართული ტომებია, ილირიკიდან ჩამოსახლებული ზიხები!

„მდინარე კურა (მტკვარი) იღებს სათავეს ხაზრანის (ხევსურეთის) ქვეყანაში, გაივლის ჯურჯინის სამეფოს, გაივლის რა აფხაზის ფარგლებს, აღწევს მოსაზღვრე ქალაქს თბილისს....მიაღწევს რა სანარეს, ის ღებულობს არ-რასს“ (Караулов Н К მას'უდი, იქვე)

მასუდი აქ მცირეოდენ, თუმცა არაბი მოგზაურისათვის დასაშვებ შეცდომებს უშვებს:

1.მდინარე მტკვარის სათავედ ის მდინარე არაგვს მიიჩნევს და არა მტკვარის ზემოწელს.

2.მისი სიტყვებით, მდინარის სათავე ხაზრანშია (ზოგიერთი არაბი ავტორი ხაზრანს მხოლოდ ქალაქად მიიჩნევს განსხვავებით მას'უდისა) და გაივლის ჯურჯინის (ჯურიის) საზღვრებს, ასევე აფხაზის ფარგლებს, რომლის ქვეშაც მას'უდი აქ აფხაზთა მეფის მიერ დაპყრობილ შიდა ქართლს გულისხმობს.

3. მას'უდი მდინარე მტკვარისა და არაქსის შესართავთან კიდევ ერთ ქართველურ ეთნიკურ დასახლებას აღნიშნავს-სანარე. განსხვავებით სანარიასაგან, რომელსაც საკუთარი მმართველი,ქურისქური ყავს,აქ არაბი მოგზაური ასეთს არ აღნიშნავს. ის, რომ ერთი ტომი აღნიშნულია სანარიად, მეორე სანარედ, მიანიშნებს რომ ეს უკანასკნელიც ჭანური ტომია (42) რომელიც მისგან მნიშვნელოვანი მანძილითა დაცილებული და ამ უკანასკნელთან არავითარი ადიმინსტრაციული მოწყობა არაბ ავტორს არ აღუნიშნავს...გაცილებით მწირია სხვა არაბი მოგზაურის, იბნ-ხაუკალის ცნობები ცენტრალური კავკასიონის ქვეყნების შესახებ:

„ამ დროისათვის მეტ-ნაკლებად გამორჩეული მათი მეფეები შემდეგია: შირვან-შაჰ მუჰამედ-იბნ-აჰმედ-აზდელი, მას შემდეგ აფხაზის მეფე, რომლის სამეფო გადაჭიმულია კაბკის ზოგირთ განტოტებამდე, და ოლქები, მისი საკუთრება, იწოდება აფხაზ შაჰად. მისი მეზობელია სანარიის მეფე, სახელწოდებით სანახერიბი''(Караулов Н. А. იბნ-ხაუკალი, წიგნი გზებისა და მეფებისა)

ხაუკალი აქ შირვანსა და მის მიმდებარე ტერიტორიას აღწერს და ერთადერთი რითაც ეს ცნობა საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, კიდევ ერთხელ ხსენებაა აფხაზი და აფხაზ შაჰისა, რომელიც ხშირად შარვანის მეზობლად მდებარე ოლქსაც აღნიშნავს,ის მეზობელია სანარიისა, მდებარე მტკვრისა და არაქსის შესართავთან და სრულიად სხვა სამართალსუბიექტია, არა ქართლი! და არც სანახერიბი იყო როდესმა არაგვის ხეობაში მდებარე სანარიას სუზერენი... მართალია ზემოთ მოყვანილი მსჯელობა სათანადო ცნობების მოყვანით აშკარად გამოსულია ჰიპოთეზის რანგიდან და ფაქტიურად საქართველოს ისტორიის არსებულ გვერდებს სულ სხვა ინტერპრეტაციას აძლევს, მაგრამ დამტკიცებული თეორია არ ჩანს სრულყოფილი, თუ ის ვერ ხსნის იმავე ისტორიკოსების მიერ მოყვანილ ერთ რეალობას:

ვისი მარზუბანად, მენაპირედ არის დანიშნული სერირის სახელმწიფო სპა-

რსთა მეფის ბაჰრამ გურის მიერ? მარზუბანი, რომელსაც სპარსელები მარზ-უბან -ი-ქუშანს უწოდებენ, მენაპირეს ქუშების ტომთან, ხალხთან.

ცხადია ქუშების ტომი სერირის უშუალო მაზობელი და მოსაზღვრე უნდა იყოს, რათა ამ უკანასკნელმა შესძლოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება. სერირი სპარსეთსა და ხაზარეთს შორის მარზუბანად არ გამოდგება, რამეთუ ხაზარეთს პირდაპირი საზღვარი უჩანს სპარსეთთან. სერირის მეზობლები, რომელთა თავდასხმას საკუთარ ტერიტორიებზე უფრთხოდა ირანი (ირანის შემადგენლბაში შედიოდა დაღესტანიც) სულ ორი ჩანს: ხაზრანები და ალანები.

...მაშასადამე, ალანეთი და ხაზრანი (ხევსურეთი) რომლის მარზუბანის ფუნქცია სერირის შესასრულებელია...

VII საუკუნის სომხური ანონიმი გეოგრაფის მცირე ფორმატიანი ნაწარმოების მიხედვით:

„13) ალანია...17)არგავეთი (არგვეთი)**; 18) მარგოლი** (მეგრელი**...23 დვალი... 26) ცანარი, რომელთა მიწაზე არის გადასასვლელი ალანიისა და ცეკანისა** (წილკანისა) **27) თუში; 28) ხუში; 29)კუსტი; 30) კაციჭამიები; 31) ცხავატი; 32) გუდამაყარი;...34) დიდოელები; 35)ლეკი;...**

(ზემოთ დასახელებული ნაშრომი, აზიის სარმატია; ძველი სია)

სია, სადაც ხუში თუშსა და ქისტს შორის არის მოხსენიებული. ეჭვის სფუძველს აღარც ტოვებს, სომხური გეოგრაფიის **ხუში-ეს ამ წყაროსათვის ხევსურია, ... და დურძუკები (ინგუშები) ხევსურებს დღესაც ხუშს ეძახის!**

...და როდის. რა გზებით ხვდება ხევსური, (ზოგიერთი წყაროების, მათ შორის არაბულის) ხუში ამ ტერიტორიაზე?

პასუხი წიგნის ამ ფორმატში არ და ვერ იქნება გაცემული,ის აშკარად სცილდება წინამდებარე წიგნის თემას,ვიტყვი მხოლოდ, რომ მიუხედავად აღმოსავლეთ ქართველური ტომების საკუთრივი დასახელებისა, მათი კრებსითი სახელი ქუშანური ტომებია...ქუშანური ტომები, რომელთა ფაქტიური უმრავლესობა კავკასიის მთისწინეთში მცხოვრებლებად გვევლინებიან უკვე: თვით ისინიც კი, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ სიაში ფიგურირებენ... საკუთრივ ქართები, ქუშები, კუშანური ტომების უპირობო ლიდერი, ასაკენების ფხოველებად, ხევსურებად და ფშავებად ცნობილი ტომი, ლეგების ასევე ასაკენური (ნარევი) ტომი, სვანების ასევე ქუშანური ტომი და თვით ფინიკიელების და ასაკენების ზან-ზიხებად ცნობილი ნარევი ტომი...შესაბამისად, კავკასია ეს ქუშანური ტომების სამშობლო, საცხოვრისი და მისივე კერაა... (ისევე როგორც შუა აზია, თუმცა ეს საკითხი ასევე სცდება აღნიშნული წიგნის ფარგლებს)

...და ბაჰრამ გური...ბაჰრამ V გური.. .გამეფდა 420 წელს, მეფე სასანიდების დინასტიიდან, იმეფა 439 წლამდე. ებრძოდა ბიზანტიას, თუმცა შემდგომ ზავი

შეიკრა მოწინააღმდეგე მხარებს შორის... ზავის პირობით, ბაჰრამ Vგურმა ივა-ლდებულა კავკასიის კარიბჭის დაცვა, რათა მის წინ მდებარე სტეპებიდან მომ-თაბარეები და ავისმოქმედნი არ შემოჭრილიყვნენ, პირველ რიგში კავკასიაში, როგორც ჩანს ბიზანტიის ხელდებულსა დ ა შემდგომ თავად ბიზანტიაში...ამ მომსახურეობის ღირებულებას ბიზანტია ფულადი თანხით გადაუხდიდა სპა-რსეთს...და კავკასიას ორი კარიბჭე გააჩნდა, ერთი დარუბანდის კასპიის პირას და მეორე დარიალის...და როგორც ჩანს, ამ ორივე კარს აღიქვამდნენ, როგორც ქუშანთა კარებს, კარებს რომლის შემდეგ ქუშანთა ტომის მიწები იწყებოდა... ზუსტად ამ კარების, დარუბანდის და დარიალის დაცვა ივალდებულა სპარსე-თმა და ბაჰრან გურმა, რომელი მოვალეობის ნაწილი (ტახტთან ერთად) გელ-ებს, სერირის ხალხს გადააბარა...ამ წიგნის თემა არ და ვერ იქნება ის, იცავს თუ არა სერირი დარიალის კარებსაც, მაგრამ დარუბანდის კარების დაცვა აშკარად მისი პრეროგატივა ჩანს.

ლეგეთი (ლეკეთი)

მთის ამ რესპუბლიკის მოსახლეობა, 21 საუკუნის დასაწყისის აღწერით, 2576000 ადამიანია. დაახელება რესპუბლიკისა, როგორც ირკვევა თურქული სიტყვა დაღ-იდან მოდის, რაც მთას ნიშნავს, შესაბამისად დაღესტანი-მთების ქვეყანას. ტერმინი მე-14-ე, მე-17-ე საუკუნეებში მყარად მკვიდრდება როგორც წერილობით წყაროებში, ასევე ზეპირსიტყვიერებაში. ძველი და შუა საუკუნეე-ბის ქართული წყაროები, შესაბამისად მას ლეკეთად აფიქსირებს თუმცა აღწე-რის შედეგით როგორც ირკვევა, ლეკები და მათი მონათესავე თემები (ტაბასა-რანელები, აღულები, რუთულები, წახები)აღნიშნული მოსახლეობის მხოლოდ მეათედს შეადგენს

... იმ საომარი მოქნედებებში საქართველოს წინააღმდეგ, დავლას გამოკი-დებული მთიელისა, რომელიც საქართველოში ლეკიანობად იხსენება, მინიმა-ლურად თუ შეიძლება ამ ტომის დადანაშაულება, რომელიც მათი რიცხოვნე-ბის გამო ამ ქვეყნის უმცირესობას შეადგენდნენ. ლეკების ტომი ფაქტიურად ვერც კი მიიღებდა ამ საომარ მოქმედებებში მონაწილეობას, ტერიტორიული სიშორის გამო-ისინი კასპიისპირა რეგიონში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეგები კუშანური ტომი ჩანს,ასაკენური, ფშავ -ხე-ვსურთა თანატომელები (ლეგები ორი მჭიდროდ მონათესავე ტომების სიმბი-ოზი ჩანს, ასაკენების და ...კან-გოის ტომისა) სახლიკაცები, თუმცა საკუთარი და განსხვავებული ისტორიით. ასევე განსხვავებული ისტორიის მატარებელი ჩანან რუტულები, რომლების ალექსანდრე მაკედონელის მოლაშქრეები ჩანან

ასევე განსაკუთრებული ისტორიით და მის მიერვე დერბენტის საფორტიფიკაციო ნაგებობების დამცველებად დატოვებულნი, რომლებიც მის მიერ დაპყრობი-ლი იმპერიის ზურგის დამცველებად მოიაზრებოდა. ამავე ტრადიციის გამაგრძელებელი ჩანს სპარსეთიც და მის მიერ დასახლებულინიც:

„ამ ადგილას დასახლებული იყო დამცველები, გადმოსახლებული სხვადასხვა ოლქებიდან და საიმედონი მისი (ხოსროს) აზრით. მთელი დასახლებები , რომელსაც ისინი ფლობენ, მიკუთვნებული იყო მათთვის სარგებლობაში, ყოველგვარი გადასახადის გამორიცხვით...დამცველებად აქ დასახლებულთა შორისაა ტაბასარანის ტომი, ამ უკანასკნელის სიახლოვეს ტომი ცნობილი ფილანებად და ლაკზებად. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და გულადები არიან. მათ გარდა აქ არსებობს ტომი ლირანი, შარვანი და სხვა''

(Караулов Н. А. ალ-ისტარხი, იაკუტი, -არმენია, არანი და აზერბაიჯანი;)

ფილანი-ეს სავარაუდოა იგივე ხალდები(სანარები) უნდა იყვნენ. რაც შეეხება ტაბასარანის თემს, ფაქტიურად ასევე უკვე ლეგებს, მსგავსება მათ დიალექტებს შორის საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრებას უნდა მიეწეროს. ტაბასარანელები ტაბარისტანიდან ჩამოსახლებულნი ჩანან:

„ ტაბასარანი, რომლის მცხოვრებლბნი დერბენტის ოლქის საუკეთესო მეომარნი არიან, გადმოსახლებულია ტაბარისტანიდან)

(Бакиханов Абас Кули-мирза. გიულისტანი და ირანი; ნაწილი1)

ჩვენის მხრიდან დავუმატებთ, რომ ტაბარისტანი (ის ტაბარისტანი, რომლის დაპყრობაზეც საუბარია არაბულ წყაროებში) დერბენტიდან კასპიის ზღვის ზუსტად მოპირდაპირე მხარეზე იმყოფებოდა და დანარჩენი ლეკეთისაგან მნიშვნელოვანი მანძილით იყო დაცილებული (იხ. აბაზგები) საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელთა მიწაზე დაფიქსირებულია ტოპონონი, ტურუნჯა და ტამიში!(განვმარტავთ, რომ პირველი მათგანი მტრედს ნიშნავს დასავლეთ ქართულ ენაზე, ხოლო მეორე-სოფელია ოჩამჩირის რაიონში)

...და ვინ არიან დაღესტანის დანარჩენი (ისტორიულად გარკვეული) მოსახლენი? როგორც ისტორიიდან ცნობილია, დაღესტანის მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი კუმიკებია, რუსეთის ფედერაციაში 503 ათასი მცხობრები, აქედან დაღესტანში 431 ათასი. კუმიკები თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების მიხედვით, დაღესტანის სამეფოს ძირითადი მცხოვრებლებია მე-17-ე საუკუნის შუა წლებისათვის (რასაკვირველია ტაუსტანელთა ჩაუთვლელად, რომლებიც დამოუკიდებლობის ნიშნებს იმ ეპოქისათვისაც კი ინარჩუნებდნენ). თუ პომპონიუს მელას უნივერსალურ ფორმულა გავიხსენებთ ტომების შესახებ, ცხადია ეს ტომი დაღესტანის ტერიტორიაზე ჩელებიზე ადრეც უნდა იყვნენდაფიქსირებული:

„ბაბ-ვალ-აბვაბის მცხოვრებლები განიცდიან შევიწროებას მეზობელი სახელ-მწიფოსაგან, სახელდებული ჯიდანიდან, ხაზართა ქვეშევრდომებისაგან, რო-მლის დედაქალაქია სამანდერი, მდებარე ბაბიდან რვა დღის სავალ მან-ძილზე. ის ჯერ კიდევ დასახლებულია ხაზარული ტომებით, მაგრამ მას შე-მდეგ რაც პირველ ხანებში ის დაიპყრო სულეიმან-იბნ-რაბია-ალ-ბაგალიელ-მა, სამეფო ტახტი გადატანილ იქნა იტილში, შვიდი დღის სამგზავროზე. იტილში ცხოვრობენ ამ დროს ხაზართა მეფეები''

(Караулов Н. А. მას'უდი; თავი მე-17-ე) 966წ ქრისტემდე.

ჩანს მე-10-ე საუკუნისათვის სამანდერი ფაქტიურად ცალკე სახელმწი-ფოს, ჯიდანის დედაქალაქია, რომელსაც საკუთარი მეფე ჰყავს. მიუხედავად ჯიდანის ფაქტიური დამოუკიდებლობისა, დედაქალაქ სამანდერში ხაზარული ტომებიც ცხოვრობენ და სამეფო ხაზარეთის ხელდებულია.ზუსტად ასეთივე სიტუაცია ჩანს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, სადაც მიუხედავად ზიხთა (დასავლეთ ქართველური ტომის) ფაქტიური დამოუკიდებლობისა, ისინი ხაზ-ართა სამეფოს ხელდებულნი ჩანან და თავად ქართული წყაროებიც მცირე ხა-ზარეთს უწოდებს...აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ალ-ისტარხის ჩანაწერებში (930 წელი ქრისტესით) სახელმწიფო ჯიდანი არ ფიგურირებს, თუმცა მასთანაც სამანდერს საკუთარი მეფე ყავს, ხაზართა მეფის ნათესავი. სახელმწიფო ჯიდა-ნის დაარსების თარიღი 930-960 წლით უნდა განისაზღვროს. ფაქტიურად ეს სამეფო, ჯიდანი, ნახსენები პერიოდის შემდეგ უწყვეტ არსებობას განაგრძობს:

„ ხაზარებს აქვთ აგრეთვე ქალაქი სახელით სამანდერი და ის მდებარეობს ხაზარებსა და ბაბ-ალ-ბაბს შორის...მერე მოვიდნენ რუსები, ყველაფერი და-ანგრიეს და გაძარცვეს, ხაზართა ხალხის კუთვნილება...ყველაფერი ეს დაი-ღუპა ქვეყანასთან ერთად, და ის საკმაოდ უხვი იყო ვენახებით...მისი მცხო-ვრებლები იყვნენ მუსულმანები და სხვები. ქალაქში მათ ჰქონდათ მეჩეთე-ბი, ქრისტიანებს ტაძრები, ებრაელებს სინაგოგები. ცხოვრობენ ხაზარები კა-რვებში, ხოლო შენობები მოწნულია წკნელისაგან, წვერწამახული სახურა-ვებით. მათი (სამანდერის) მეფე იუდეველია და ხაზარების მეფის ნათესავი"

(Караулов Н. А იბნ- ხაუკალი; წიგნი გზებისა და სამეფოებისა, ხაზარების ზღვა 978 წ.)

მართალია ხაუკალი არ აღნიშნავს სამანდერის (ჯიდანის) სამეფოს არსე-ბობას, მაგრამ მისი სიტყვები, რომ სამანდერს ყავს მეფე, ხაზარეთის მეფის ნა-თესავი, ამ უკანასკნელის ფაქტიურ დამოუკიდებლობას მიანიშნებს:

„სამანდერი--დიდი ზღვისპირა ქალაქია, მდებარე ხაზარეთის მდინარისა და ბაბ-ულ-აბვაბს შორის. სახლებად აქ გამოყენებულია კარვები. მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქრისტიანია...ეს ქალაქი ხაზარზე (ქალაქი) უფრო დიდია: მას-ში ბევრი ბაღია, ვენახის ზვრები და ხეები. სამანდერში საცხოვრისი ხისაა,

მოწნული ლაქაშისაგან, სახურავები წვერწამახული და იქ ბევრი მეჩეთია'' (Караулов Н. А. ალ-მუკადენსი; საუკეთესო დაყოფა კლიმატების შესასწავლად 985 წ)

ფაქტიურად ხაუკალის და მუკადენსის ცნობები ანალოგიურია. განსხვავებით ხაუკალისაგან მუკადენსი არ აკეთებს აქცენტს რუსების მიერ სამანდერის დანგრევა-გაძარცვაზე, რამეთუ არაბი ავტორების სიტყვით, ნიადაგის საუკეთესო თვისებების გამო სულ სამიოდ წელში განადგურებული ბაღები აღდგენილ იქნა. გარდა ზემოთ თქმულისა, მუკადენსი სამანდერში იუდეველებს და სინაგოგებს არ აღნიშნავს, რაც აშკარად მიანიშნებს ქალაქზე ხაზართა ძალაუფლების შესუსტებაზე, ხოლო მოსახლეობის საცხოვრისის არსებითი განსხვავება, ასევე შერეული მოსახლეობის უცილობელი ნიშანია:

„რაც შეეხება ქალაქ სამანდერს, ის ოდესღაც მსხვილი გაფურჩქვნადი ქალაქი იყო. ის აშენებული იყო ანუშირვანის მიერ. აქ იყო ბაღები და ვენახები, რომელთა რიცხვი უთვალავი იყო. მერე ქალაქს თავს დაატყდა რუსთა ტომი და დაღუპა იგი. ასე რომ ქალაქის აყვავება გაქრა წარსულში'' (იდრისი; ქვეყნიერების გადაკვეთის მძაფრი მსურველის სიხარული, ნაწილი 2,მე-5-ე კლიმატი მე-7-ე სექცია) 1165 წ

მართალია იდრისი დანგრეული და განადგურებული ქალაქ სამანდერის შესახებ ყვება, თუმცა ქალაქი მალევე აყვავებული ჩანს: სამანდერს აყვავებულ ქალაქად აღწერს იაკუტი ნახევარი საუკუნის შემდეგ, სადაც 4000 ბაღია და რომლის საზღვრები სერირის სამეფომდე აღწევს. რაც შეეხება აქ მაცხოვრებელ ხალხებს:

„ბაბ -ულ-აბვაბი პორტია ამ ზღვაზე. აქ თავს იყრიან ხაზარები, სერირები, <u>შანზანები</u>, ხაიზანები, კურჯები, რუკლანები. ზერეკერანები და გუმიკები ჩრდილოეთიდან. (ასევე მოდიან) ხალხი ჯურჯანიდან, ტაბარისტანიდან, დეილემიდან დ ჯილიდან''

(Караулов Н. А. ალ-ისტარხი-იაკუტი, არმენია, არანი და აზერბაიჯანი)- 1224)

იაკუტის მიერ ჩამოთვლილი ხალხებიდან, რუკლანები-ეს რუსებია, კურჯები- ქართველები- გურჯები, სერირი- ეს ძურძუკებია, ხაიზანები-ხევსურები. რაც შეეხება იაკუტის მიერ ნახსენებ შანზანებს-ამ ხალხებში იაკუტი უთუოდ ჯიდანის სამეფოში მცხოვრებლებს გულისხმობს, რომელსაც მოგვიანებით შანდანებს უწოდებენ:

„მერე გახდა მმართველი (შარვანისა) მისი შვილი ალი ბ. ხაისან მუამედი. ის შეთანხნდა ალ ბაბის ემირთან, რომ ერთად თავს დაესხან შანდანს. მათ შეუერთდა მრავალრიცხოვანი მოხალისეები და ყურანის მკითხველები სხვადასხვა ადგილიდან. როცა ისინი მივიდნენ შანდანის გასასვლელთან, მოხდა შეტაკება, რომელიც მუსულმანთათვის სავალალოდ დამთავრდა. ალი ბ.

ხაისანი და ალ ბაბის ემირი აიყვანეს ტყვედ 10 ათას მუსულმანთან ერთ-ად. ურწმუნოებმა გაიყვეს ტყვეები შანდანებს, სერირებს და ხაზარებს შო-რის. ისინი, რომლებიც მოხვდა სერირელთა ხელში, სამი თვის შემდეგ გამ-ოსასყიდის გარეშე გამოუშვეს... მაგრამ ისინი, ვინც მოხვდა ხაზარების და შანდანების ხელში, გაიყიდნენ და მხოლოდ ცოტა მათგანს თუ ეშველა. ალ-ბაბის მოსაზღვრე ურწმუნოთა ტომებიდან, მუსულმანების უბოროტესი მტე-რი შანდანელები იყვნენ. ნახსენები შეტაკება მოხდა 912 წელს.

(აღმოსავლეთის ისტორია; ისტორია შირვანისა და ალ-ბაბისა. & 8)

მართალია ერთი შეხედვით თითქოს არც კი ჩანს შეტევის მიმართულე-ბა, თუმცა შემტევები-ეს შირვანი და დერბენტია,ხოლო თავდამცავი მხარე, ხაზ-არები, სერირელები და შესაბამისად შანდანიც მხოლოდ დერბენტიდან ჩრდი-ლოეთით შეიძლება იყოს. ცხადზე ცხადია, რომ მასუდისეული ჯიდანი და ამ ეპიზოდში მოხსენებული შანდანი ერთი და იმავე სამეფოა, ხოლო ხოლო შანზ-ანი-მისი ერთ-ერთი ფორმა.

„და აპრილსა დაესხნეს შაბურანს დარუბანდელსა და მისწყვდეს ქურდნი, ლაკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შირვანის ციხენი, ხო-ზაონდი და მიმდგომი მათი ქვეყანაი'' (ქართლის ცხოვრება; დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი, გვ-277, თბილისი-2012წ)

აქ ქართველი მემატიანე ტერმინ ყივჩაყნი დარუბანდელისანი-ს ქვეშ იმ ხალხს აღნიშნავს, რომელსაც არაბი ისტორიკოსები ჯიდანს, შანზანს და შანდ-ანს უწოდებენ ... დავით აღმაშენებელის მემატიანე მოწინააღმდეგეს „ყივჩაყნი დარუბანდელისანი''-ს უწოდებს, ყივჩაყთა მეორე ნაწილისაგან განსასხვავებლ-ად, რომელიც დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა სტეპიდან გადმოიყვანა საქართ-ველოში. აღნიშნული მასა ყივჩაყებისა სულ 7 წელი დარჩა საქართველოში და ყირიმის ნახევარკუნძულზე მიგრირდა (იხ წიგნის ბოლო)

„მეორე მოვიდა სულტანი შირვანს, შეიპყრო შირვანშა, აღიღო შემახია... ხო-ლო ესმა რაი მეფესა, სწრაფ ხმა -უყო ყოველთა სპათა თვისთა...ყივჩაყი ოდ-ენ აღთუალულ იყვნედ მაშინ და იპოვა შემბმელი კაცი ორმეოცდაათი ათ-ასი...მასსავე დღესა სულტნისა თანა მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული ძალითა მრავლთა მოსრეს მონათა მეფისათა, ვითარ ოთხ ათას კაც...იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა და სასდუნით მეოტი სხვთგზით წარვიდეს სოფლად თვისად (იქვე)

ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართულ-ყიფჩაყურ ლაშქარს შო-რის შუღლისა და უთანხმოების ჩამოვარდნის გამო , დავით ა ღმაშენებელმა უომრად მიატოვა შირვანი, რომელიც მეორე თვეს ხელახლა ასაღები გაუხდა. ქართველი მეცნიერები ქართველ-ყიფჩაყთა შუღლის და უთანხმოების მიზეზს პირველ მეომრობის, მეწინავეობის პრეტენზიაში ხედავენ, რაც აბსოლუტურად

არასწორი ჩანს: ძალიან დიდი ალბათობით ყიფჩაყებმა არ ისურვეს ხმლის აღმ-ართვა თანატომელების წინააღმდეგ, რომელიც მოპირდაპირე კოალიციაში აუცილებლად მოიაზრება. უფრო მეტიც, დარუბანდელი ყივჩაყები არა მარტო თანატომელები ჩანან დავით აღმაშენებლის ყივჩაყებისა, არამედ ნაცნობები და უშუალო მოყვრებიც კი....და ვინ არიან დარუბანდის ყიფჩაყები? ყიფჩაყების მეორე და უფრო ძველი სახელი ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთათვის ეს კუ-მანებია. კუმანი და კუმიკი ერთი და იმავე ტომის სახელის სხვადასხვა ინტ-ერპრეტაციაა მხოლოდ. კუმიკები, დღევანდელი დაღესტანის რესპუბლიკის შე-მადგენელი ტომი, უკვე მე-10-ე საუკუნისათვის ჩასახლებული და მტკიცედ ფე-ხმოკიდებული ჩანს. თავდაპირველად დაღესტანის სტეპურ ნაწილში, კასპიის ზღვის მიმდებარედ, რომელთა ორგანიზირებული ჩასახლება დაღესტანის მთი-ნ რეგიონებში გაცილებით გვიან ხდება.

მესამე დიდი ჯგუფი მოსახლეობისა-ეს დარღოელებია. ტომი ინდოევრ-ოპული წარმოშობისა და სავარაუდოდ მათი ჩასახლება დაღესტანის ტერიტო-რიაზე სპარსეთის ძლევამოსილ მეფეს, ხოსრო ანუშირვანს (მე-6-ე საუკუნე) უნ-და უკავშირდებოდეს.დიდი ალბათობით, არაბი ავტორების მიერ არა ერთგზის და ერთგან ნახსენები ხაშდეკები-ირანული წარმოშობის დარღოელებია.

დაღესტანის მეოთხე ეთნიკური ჯგუფი -ეს ყაიტაღებია. ტომი მონღოლ-ური წარმოშობისა და მათი დაღესტანში განსახლება მხოლოდ მე-13-ე საუკუნ-ის შემდგაა სავარაუდებელი, მონღოლური ლაშქრობების კვალდაკვალ.

დაღესტანის რესპუბლიკის მოსახლეობის მეხუთე ჯგუფი-ეს ნოღაელე-ბია, ახალმონღოლები, თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდგომ გავრცელებული რუსეთის სტეპშებში და დაღესტანში.

ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო ხალხთა ჯგუფი დაღესტანში-ეს საქ-ართველოს უშუალო მეზობელი (დღევანდელი რეალობით) ავარიელებია. ქარ-თული ლიტერატურა და მეცნიერება ამ ხალხს ხუნძახებად მოიხსენიებს, მაშინ როდესაც ისინი მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის ავარებია. მიზეზი ლეონ-ტი მროველის ქართლის ცხოვრებაშია საძიებელი:

„და დაეშენა უობოს, და მათნი მათესავი არიან ოვსნი. და იგი არს ოვსე-თი, რომელი ნაწილი იყო კავკასისა. ხოლო დურძუკ, რომელი უწარჩინლეს იყო შვილთა შორის კავკასისა, მოვიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთასა, და უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი, და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართა-სა. ხოლო მასვე გზობასა მისცა მამის ძმისწულსა მისსა ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანისა, აღმოსავლით, ზღვიდან დარუბანდისით , მდინარემდე ლომეკისა, და მისცა ტყე რანისა და მოვაკანისაი. და დაეშენა იგი მუნ, რომ-ელი ნაწილი იყო ლეკანისა. ხოლო ხოზონახ, რომელ უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთასა, აღ-

აშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ხოზონახეთი''(იქვე; ლეონტი მროვ-ელი, გვ-17)

ლეონტისეული ეს ხოზონახი და ხოზონახეთი ჩათვლილია ავარეთად, ვინაიდან ამ უკნასკნელს ეკუთვნის დღევანდელ დასახლებულ პუნქტი ხუნზ-ა-ხში (ხოზონახეთი) ...რასაკვირველია ლეონტი მროველის ქართლის ცხოვრება არ და ვერ წარმოადგენს მატიანეს კლასკური გაგებით, რამდენადაც ამ უკანასკ-ნელში გაძნელებულია თარიღის დასმა მიახლოებითაც კი... და არა იმიტომ, „რომ ქართლის ცხოვრება''-ში მოთხრობილი სიუჟეტები არ უნდა შეეფერებო-დეს რეალობას- წიგნში გადაშლილი რეალობის დროს, წელთააღრიცხვის სის-ტემა საერთოდ არ არსებობდა...თვით ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროს, მისი თანამოლაშქრე და მემუარული ჩანაწერების (თუ მომდევნო ეპო-ქის) ავტორები ალექსანდრეს ლაშქრობის ეპიზოდებს, დროში რომის სენატის მიერ მიღებულ აქტებს და მოქმედებებზე აბამენ...

რჩება შთაბეჭდილება, რომ ლეონტი მროველი სარგებლობს რამდენიმე არქაუ-ლი წყაროთი ერთდროულად და განურჩევლად წინა -უკმო ეპოქისა, აღწერილი და მოყვანილი აქვს ეპიზოდები ქართველურ ტომთა მოქმედებისა...და მაინც მროველის ჩანაწერებში გარკვეული სინათლის შეტანა შესაძლებელი ჩანს, ისევ და ისევ იმ ეპოქის მსოფლიო ევრაზიის რეალობის გათვალისწინებით.

ისტორიული წიაღსვლანი

როგორც ისტორიული ცნობების და გადმოცემების ანალიზმა გვაჩვენა,ქა-რთველური ტომები კავკასიაში უხსოვარი დროიდან ფიქსირდებიან:

„ხოლო შვილთა შორის თარგამოსთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი. ძლი-ერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს; პირველს ერქვა ჰაოს, მეორესა - ქართლოს, მესამესა -ბარდოს, მეოთხესა- მოვაკან, მეხუთესა -ლეკან, მეექვსესა -ჰეროს, მეშვიდესა - კავკას, მერვესა -ეგროს'' (იქვე. გვ 10)

ლეონტი მროველის ეს ცნობა რიგითია იმ მრავალთაგანი, რომელიც უძ-ველეს მსოფლიო ისტორიაში არსებობს და რომელიც ცდილობს მოგვცეს ახსნა კაცობრიობის გენიოლოგიური სიცოცხლის ხის შესახებ. მროველის მიერ მოწო-დებული ცნობა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ გვიჩვენებს თუ როგორი წარმოდ-გენა არსებობდა მისი ეპოქისათვის ქართველურ ტომთა სისხლისმიერი ნათესა-ობის შესახებ. თუ აპრიორი დავუშვებთ, რომ მროველი სარგებლობს თვით მის-თვისაც უძველესი ცნობებით, თარგამოსის შვილები შეუძლებელია აქ, კავკასი-აში დაბადებულ-გაზრდილად მივიჩნიოთ, ვინაიდან მათ მიერ კავკასიის რეგ-იონის ათვისება არ ხდება ერთდროულად, თუმცა მათი საერთო წინარე სამშო-ბლო ხმელთაშუა ზღვა, სპარსეთის ყურე და ანატოლიის ზეგანი ჩანს.

„(შემდგომად) ამისა რამდენიმე წელიწადთა მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღუაი ისრაელთაი და იზრდებიან იგინი უდაბნოსა მანანაითა'' (იქვე. გვ-19)

მროველის მიერ მოხსენებული მოსე წინასწარმეტყველი-ეს დამტკიცებული ფაქტებით XIII საუკუნის მოღვაწეა ჩვ.წ. აღრიცხვამდე. მროველის სიტყვები, „მოვიდა ამბავი'' მიანიშნებს ქართველთა უკვე აქ, კავკასიაში ყოფნას მოსეს გარდმოსვლამდე და ეს ხალხი მხოლოდ იბერები და ქუშები უნდა იყვნენ. შესაბამისად მროველის მატიანე, რომელიც ქართველური ტომების ქმედებებს აღნიშნავს თვით ხაზართა ძლიერების ხსენებამდე, აშკარად სხვა ცნობაა, რამეთუ ხაზარები ისტორიის თვალსაწიერზე გაცილებით გვიან, IV საუკუნეში ჩვ. წ. აღრიცხვამდე ხვდებიან.

Эაფრიდონ ეუფლა ყოვლისა ქვეყანასა სპარსთასა...და ერისთავობდა აფრიდონ მრავალთა წელთა, ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქვეყანაი სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, მასვე ხუდა წილად ქართლი'' (იქვე. გვ-18)

სპარსეთი, როგორც შემდგარი სახელმწიფო, და მისი პირველი ხსენებაესVI საუკუნეა ქრისტემდე. მროველის მატიანეში, ფაქტიური და რეალური პირველი სიუჟეტი, ეს ცნობაა (44)

„ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა უფალ იყო დურძუკ, ძე ტირეთესი'' (იქვე; გვ-16)

როგორც ადრე ითქვა, დურძუკები-ეს გელების ტომია, დამკვიდრებულნი კავკასიის მთების ორსავე მხარეზ ჩვ.წ აღრიცხვამდე VII საუკუნის დასაწყისში, ხოლო სვანები- ეს მაკრონთა ტომია, რომელიც V-IV საუკუნის გასაყარზე ჩვ.წ. აღრიცხვამდე ანატოლიის ზეგანზე შეხვდა ბერძენ მოქირავნე მოლაშქრეებს. მით უმეტეს, ისინი განვლილი 70-80 წლის განმავლობაში გადაადგილებული ჩანან კავკასიის მთებისაკენ, იკავებენ მის ჩრდილო -აღმოსავლეთის ნაწილს და რომელსაც მაკედონელის თანამოლაშქრე მემატიანენი პაროპამისს უწოდებენ:

„ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქვეყანასა საბერძნეთისასა'' (იქვე; გვ-22)

ეს უკვე ყველასათვის ცნობილი IV საუკუნეა ჩვ.წ აღრიცხვამდე.

„მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა, ხოლო ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა'' (იქვე.)

ეს ცნობა ფაქტიურად აკონკრეტებს იმ ეპოქას, რომელსაც ლეონტი მროველი აღწერს:

„ეგრისწყალიდან ვიდრე მდინარემდე მცირე ხაზარეთისა ესე საზღუარი არს საბერძნეთისაი ალექსანდრობითგან'' (იქვე; ჯუანშერი, გვ-157)

ცხადია ეს ეპოქა ლეონტი მროველის ნაწარმოებში ეხება მაკედონელის შემდგომ ეპოქას და მდინარე ე გრისწყალიდან (ღალიძგიდან) მდინარე ყუბანს

შორისი ტერიტორიის საბერძნეთის ხელდებულობას აღნიშნავს. მროველის ქრონოლოგიურად მონდევნო ციტატა:

„და შემდგომად ამისა მრავალთა წელიწადთა კუალად განძლიერდეს სპარსნი, და განდიდნა მეფე სპარსთა, რომელსა ერქუა ქვეკაპოს. ხოლო ჟამსა იყო ვინმე ლეკეთს კაცი მგრძნობელი, ნათესავი ზანიზიხისი.'' (იქვე, ლეონტი მროველი; გვ19)

როგორც ზემოთ ვთქვით, ზანიზიხისი, ეს ალექსანდრე მაკედონელის მოლაშქრეთა, ზანური და ზიხური ტომის შესაძლო გაერთიანების ხსენება ჩანს, რამაც სავარაუდოდ ხელი ააღებინა სპარსელთა მეფეს მათდამი დაპირისპირებაზე. შესაბამისად ეპიზოდი III საუკუნეს ეხება ჩვ.წ.აღრიცმდე. შემდგომი ეპიზოდი მროველისეულ ქართლის ცხოვრებაში, ეს მეფე ფარნავაზია და მისი შემდგომი მეფეები.

ჩვენს თვითმიზანს არ წარმოადგენს ლეონტი მროველისეული ქართლის ცხოვრების ქრონოლოგიური დალაგება, თუმცა საინტერესოა შემდეგი ციტატა ამავე ნაწარმოებიდან:

„მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და უწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკანისთა და კავკასისთა...ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავი თარგამოსიანთა და გრდავლეს მთაი კავკასისაი და მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი...ამისა შემდგომად ხაზართა იჩემეს მეფე და დაემორჩილნეს ყოველი ხაზარნი მეფესა მას, ჩინებულსა მათსა, და წამოიზღუანიეს იგი და გარდმოვლნეს ზღვისკარი და დარიალან, რომელსა აწ ჰრქვან დარუბანდი... ხოლო ოდეს პირველად გამოვიდა თანა ძე მისი, სახელით უობოს...და დაეშენა უობოს. და მისი ნათესავნი არიან ოვსნი. და იგი არს ოვსეთი, რომელი ნაწილი იყო კავკასისა. ხოლო დურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალს შინა მთისასა, და უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი, და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა...ხოლო ხოზონახ, რომელი უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ხოზანახეთი'' (იქვე; გვ-16-17)

ჩვენი, როგორც მკვლევარის უპირველესი მიზანია გავარკვიოთ დრო, ისტორიული პერიოდი, რომელიც მოიცავს ლეონტი მრეველის ამ ამონარიდის ეპოქას.

„ ხაზარები მომთაბარე ტომებია, დასავლეთ თურქეთის ხაკანატი. ისინი იკავებდნენ კავკასიისწინა რეგიონს, ქვემო და შუა ვოლგისპირეთს ჩრდილოდასავლეთ ყაზახისტანს, აზოვისპირეთს, ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილს, ასევე სტეპებს და ტყე-სტეპებს აღმოსავლეთ ევროპისა თვით დნეპრმდე ... სახელმწიფოს ცენტრი პირველად მდებარეობდა დაღესტანის

ზღვისპირა რაიონში, შემდგომ გადაადგილდა მდინარე ვოლგის ქვემო წელში. მათი ენა თურქული, სავარაუდოდ ეკუთვნოდა ოღუზურ ჯგუფს, რომელთაგან პირველნი გამოჩნდნენ ევროპაში 463 წელს. მათ ევროპულ სამშობლოდ ითვლება ბარსილია, თანამედროვე დაღესტანში, კასპიისპირეთში'' (ვიკიპედია

ხაზარების პირველი ხსენება (ამ სახელით) ირან-ბიზანტიის იმის პერიოდში (602-628 წ) ხდება. ამავე ომის მიმდინარეობისას 627 წელს, ხაზარებმა გაძარცვეს კავკასიის ალბანეთი. როგორც ჩანს, ხაზარეთის სახელმწიფოს ისტორიის ფურცლებზე მოხვედრა ზუსტად ამ ომის შედეგად ჩანს განპირობებული, როდესაც ის ბიზანტიის იმპერიის მოკავშირე ხდება, რომელმაც განაპირობა მისი ბიზანტიურ ისტორიულ წყაროებში მოხვედრა. ის, რომ ხაზარეთი მხოლოდ VII საუკუნეში ხვდება ისტორიის ფურცლებზე, სრულიადაც არ და ვერ ნიშნავს მის არარსებობას წინა საუკუნეებში. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ დამტკიცდა,ხაზარეთი არა მარტო არსებობს ფიზიკურად V საუკუნეში, სპარსეთში ბაჰრამ-გურის ზეობისას (420-438 წ) არამედ ის სახელმწიფო წარმონაქმნს წარმოადგენს საკუთარი სამეფო ხელისუფლებით და რომლის წინააღმდეგაც ამ უკანასკნელს ომიც უწევას. (თუმცა მათ ჯერ მხოლოდ თურქებად იხსენებენ). აპრიორი ძნელია დაუშვა, რომ ბაჰრან გურის წინააღმდეგ მებრძოლი თურქთათვის (ხაზართათვის) ეს რიგით პირველი მეფეა, თუმცა ერთი დასკვნის გაკეთება უშეცდომოდ შეიძლება: 425 წლის სიახლოვეს (ხაზართა გამოლაშქრება ბაჰრამ გურის მეფობის დასაწყისშივე მოხდა)- ხაზარებს უკვე მეფე ყავთ!

(როგორც ირკვევა, ხაზარები გაცილებით ადრე დამკვიდრდნენ ჩრდილო კავკასიაში და არავითარი ეთნიკური ნათესაობა თურქულ ეთნოსთან არ უჩანთ. ხაზართა ეთნოგენეზისის განხილვა სცილდება წინამდებარე წიგნის თემას)

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ლეონტი მროველისეული წინა ციტატა ეხება არა უადრეს 425 წელს, გამომდინარე ციტატიდან ისტორიული დასკვვნებით:

1.დურძუკი შვილი კავკასისა, ხაზართა ამ ექსპანსიამდე ცხოვრობდა გაცილებით აღმოსავლეთისაკენ, კასპიისპირეთისაკენ (პაროპამისისაკენ) სადაც მათზე ლაშქრობას აწყობს ალექსანდრე მაკედონელი და საიდანაც ისინი ხაზართა ზეწოლით გადაადგილდებიან დასავლეთით.

2.ოვსების კავკასიაში ჩამოსახლების პერიოდს ზუსტად ხაზართა გავლენას უკავშირებს ლეონტი მროველი, რომელის მათ ხაზართა უახლოეს ნათესავად რაცხავს. (თუმცა ისინი მხოლოდ ხელდებული, ყმანაფიცი სახემწიფო ჩანს ხაზარეთისა და ისიც ხოლოდ ერთ IX საუკუნეს ქრისტესით.

3. ლეონტი მროველი ამ პერიოდისათვის, 425 წლისათვის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს ხუნძთა ჩამოსახლებასა და მათ მიერ ქალაქ ხოზანახეთის აღშენებას!

(ლეონტი მროველი ხუნძებს ლეკთა ნათესავებად რაცხავს, ვფიქრობთ არასწორად)

4. ბარდოს-ეს პუნები ჩანან, ასაკენებთან შერეული, მოვაკანი-ასაკენები.

...და შეიძლება იყოს თუ არა ხუნძები ავარიელები?

ავარიელთა ისტორიაში პირველი ხსენების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ავარებმა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წ) დასასახლებელი ადგილი თხოვეს ალანთა მეფის, საროდის მეშვეობით. იმ პერიოდისათვის, როდესაც ავარები ჩრდილოეთ კავკასიის სიახლოვეს გამოჩნდნენ, ხუნძები მინიმუმ უკვე X საუკუნეა ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ქალაქ ხოზონახეთსაც (ხოზაონდი) აშენებენ…

...და სად მისცა დასახლების ნებართვა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ ავარებს?კითხვაზე პასუხს არაბი ისტორიკოსის, იბნ-რუსტეს ნაშრომებში ვპოულობთ:

„97. მეოთხე კლიმატი.....კალიკალა, შიმშატი.

98.3 მეხუთე კლიმატი....გაივლის ხაზართა ქვეყანას, გადაკვეთს ტაბარისტანის ზღვას რუმის ქვეყანამდე და გადის ჯურზანს (code: xazrani; fergh:xarzani) მეშვიდე კლიმატი...მოიცავს თურქთა მიწებს, მერე მოიცავს ტაბარისტანის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე ქვეყნებს...

რაც შეეხება ქვეყნებს, გადაჭიმულს კლიმატებს იქით და ბოლო საზღვრამდე ჩვენთვის ცნობილი დასახლებული ადგილებისა...მოიცავს მიწებს ალლანებისა და აბარებისა'' (Караулов Н. А. იბნ-რუსტე; სახელები ქვეყნებისა ქალაქებისა და ხალსებისა კავკასიაში, შემავალი შვიდ კლიმატურ ზოლში)

გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, არაბები დასახლებულ სამყაროს წარმოიდგენდნენ შვიდი კლიმატური ზოლის სახით, რომელიც მათი სამშობლოდან სხვათა ტერიტორიამდე ვრცელდება, მათთვის ნაცნობი ტერიტორიებიდან უცნობისაკენ.

1.მეოთხე კლიმატი გაივლის არმენიის ზეგანზე, მდინარე არაქსის პარალელურად, სადაც გაშენებული იყო ქალაქი კალიკალა.

2.მეხუთე კლიმატი რასაკვირველია მეოთხის ჩრდილო- დასავლეთით მოიაზრება, გადაკვეთს არმენიისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს.

3.მეექვსე კლიმატი კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთითაა, გადაკვეთს ხაზართა ქვეყანას, ჯურზანს (გოდე და ფერგიუსონი, სავარაუდოდ ტექსტის თანახმად, კიდევ უფრო აზუსტებენ, მიუთითებენ საქართველოს ყველაზე უფრო ჩრდილო წერტილს, ხევსურეთს) და აღწევს რუმის ტერიტორიას ციხისძირ-შეკვეთილის რაიონში (სადაც იმ დროისათვის ბიზანტია-საქართველოს საზღვარი

გადიოდა)

4.მეშვიდე კლიმატი მოიცავდა კასპიის ზღვის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწებს, თვით ნიტასის -აზოვის ზღვამდე, სადამდეც წვდებოდა არაბების გეოგრაფიული ცოდნა. და ავართა ქალაქი, მაჯარასიმიც ზუსტად აქაა განლაგებული, მანიჩის ტბის სიახლოვეს, დღევანდელი ქალაქ სტავროპოლიდან 200 კილომეტრი ჩრდილოეთით.

როგორც ვხედავთ, სამეფოებისა და მიწების განლაგება იბნ-რუსტეს მიერ ნაჩვენებია მკაცრად აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით. ცხადია კლიმ ატაებს იქით გადაჭიმული მიწები ალლანებისა და აბარებისა როგორც მინიმუმ, დღევანდელი დისპოზიციით სტავროპოლის სტეპებში მდებარეობდა!

აქვე აღნიშნავს მათ არაბი დიდმოხელე და ისტორიკოსი ხორდადბეც: **„ამ ქვეყანაში მდებარეობს კიდევ ბაბრი, ტაილასანი** (45) **ხაზარი, ალანი, სლავი და აბარი (ავარი)'' (იქვე; იბნ-ხორდადბე, ცნობა ჯერბის შესახებ)**

მიმდევრობით აბარი (ავარი) თვით სლავებს შემდეგ (შესაბამისად შორს ტაილასანიდან - სერირიდან) არის მოხსენიებული; თვით სერირსა და ალანებს შორის ათი დღის სავალს აღნიშნავს არაბი ავტორი!

...და მართლაც, ამავე ტექსტის N 16 განმარტებაში აბარების (ავარების) შესახებ სიტყვა- სიტყვით წერია: აბარი- ავარი, ხალხი მცხოვრები სამხრეთ რუსეთში რუსულ მატიანებში ისინი წოდებულია ობრებად (ПОГИБОША АК ОБРЕ) -ეს ხალხი, ერთ დროს ძლიერი და ცნობილი, ჩაიყლაპა სხვა ხალხების მიერ.

„კავკასიის ავარების ხანი იწოდება ავარ უცმიად (ნუცალად) **1727 წელს ის მივიდა რუსულ ბანაკში, სურდა როგორც ის ამბობდა, ენახა ხალხი, ასე სახელგანთქმული, რომელთა მეფემაც ერთ დროს დაუბრუნა მათ წინაპრის დაკარგული სამფლობელო, რომელზეც მას აქვს სიგელი, მოცემული ამ შემთხვევასთან დაკავშირებით რუსი მეფისაგან. თუმცა სიგელის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ის მიღებული იყო ბათო ხანის მიერ რუსეთის მფლობელობისას'' (Бакиханов Абас –Кули-Ага; Гюлистан и Иран, შესავალი)**

ცხადია ავართა ხანისათვი ს ბათო ხანის მიცემული სიგელი მიწის იმ მფლობელობას შეეხება, რომელიც სტავროპოლის სტეპში ჩანს განლაგებული, და არა კავკასიაში, სადაც მე-17-ე საუკუნის 60-იანი წლებისათვისაც კი ტაუსტანს აღნიშნავს თურქი მოგზაური ევლია ჩელები და ენასაც კი არ ასველებს ავარეთზე... რბილად რომ ვთქვათ, რუსული ხმები ავარი ხალხის გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულია, ისინი დღეისათვის სერირის სამეფოს ყოფილ ტერიტორიას იკავებენ. ხოლო მათი საცხოვრისი, მაჯარი დარბეული უჩანს თემურლენგს.

სოფელ ობოდას (მდებარეობს ქალაქ ხუნძახთან) შეთანხმება (АДАТИ АВАРЦЕВ) შედგენილი 1667-68 წლებში, აშკარად და ზუსტად გვიჩვენებს ავართა

აქ ჩამოსახლების თარიღს: ჯერ კიდევ თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების 1665 წლის ახლოს მოგზაურობისას, ავართა შესახებ ხსენება არ არის, იმ პერიოდისათვის ეს ტაუსტანის ტერიტორიაა.ხოლო ერთი ორი წლის შემდეგ ზენოთ მოყვანილი საბუთის მიხედვით, უკვე ავართა ტომია დაფქსირებული..

...და ვინ არის ხოზონახეთის მოქალაქენი, რომელსაც ქართული ისტორია (ერთადერთი) მსოფლიოში) ჯიუტად ხუნძებად-ავარიელებად ნათლავს?

„და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი. და იყო მაშინ, რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისასა, სახელით აბუხუასრო, და არ ინება მისგან წაღება წუქეთისა'' (ქართლის ცხოვრება, ჯუანშერი, გვ-198, თბილისი2012 წ)

ამ ტერმინს არ იყენებს ლეონტი მროველი, თუშეთი აქ პირველად არის ნახმარი და მასთან ერთად ხუნძეთი. სავარაუდოდ, თუშეთ-ხუნძეთი აქ გარდამავალი ტერმინი უნდაიყოს, ტერმინს არ იყენებს მოგვიანებით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც კი:

„და აპრილსა დაესხნეს შაბურანს და დარუბანდელსა და მოსწყდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანის ციხენი, ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა'' (იქვე; დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი გვ-277)

...და რა ცნობები არსებობს თუშებისა და ხუნძების სავარაუდო იდენტობის შესახებ?

„შემდეგ (გუმიკის ქრისტიანული-ჰენიოხური დასახლების დაპყრობის მერე) ისინი გაემართნენ სამხრეთის მთებისკენ, მხედველობაში მაქვს ავარეთი. ავარის მფლობელმა ბაირი, სულაკის შვილი, ტიტულით ნუცალი, გაიქცა ზოგიერთი თავისი ნათესავის და მათი ოჯახებით <u>თუშეთის</u> რეგიონში, ეს მათი რაიატებია. მუსულმანები აწარმოებდნენ მრავალრიცხოვან ომებს, განახორციელეს ჯიხადი მთიან რაიონებში მთლიან სიგრძე- სიგანეზე და მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს.მათი შთამომავლობა და შვილიშვილები წავიდნენ ყირიმში, დაანგრიეს იქ მრავალი დასახლება და დაეუფლნენ მათ მიწებს და საძოვრებს. მუსულმანებმა გაანადგურეს უძლიერესი ქალაქები დაღესტანისა, რეზიდენცია მათი მფლობელი <u>ხუმზი (ხუნძახი)</u> ძალდატანებით და იძულებით , დახოცეს მრავალი მეომარი და მათი დამხმარეები, დაატყვევეს მატი ცოლები და შვილები, წაართვეს სიმდიდრე. მას შემდეგ რაც ავარეთის მოსახლეობამ მიიღო ისლამი, ტახტი (მათი სუზერენის) დაიკავა ერთმა შთამომავალმა შეიხ ახმადისა-მუმბეკმა"(ТАРИХ ДАГЕСТАН; МУХАММЕД РАФИ)

აი ეს არის ფაქტიური სურათი თუშეთის მეორე ნაწილის, ხუნძახის დაპყრობისა დაღესტანის მუსილმანური (როგორც ამავე მემატიანის ნაწერებიდან

ირკვევა, კაიტაღების-გამუსლიმანებული მონგოლური) ტომის მიერ. სავარაუ-
დოა, რომ ამ დაპყრობაში ავარიელები არც უნდა მონაწილეობდნენ,ისინი შეიხ
ახმადის შთამომავალი მუმბეკის თანამემამულები ჩანან. (არსებობს ახალი, უძ-
ველესი ცნობები ხუნძების, თუშების მეორე თემის შესახებ, რაც ამ ტომის პირ-
ველად სახელს ხუნძებად ამტკიცებს)

არცთუ ისე დიდი ხნის შემდგ,XVIII მეთვრამეტე საუკუნის დამდგს, ზუს-
ტად ამავე ტერიტორიაზე აღნიშნავს ვახუშტი ავარებს (ჰავარებს)...ფაქტიურად
ამავე დროს ფიქსირდება ჩრდილო კავკასიელი მთიელების, ავარების შემოტე-
ვა ქართულ პროვინციებზე, რაც ლეკიანობის სახელითაა ცნობილი. ის 50-იოდ
წელიწადი, რაც ავარების ყოფილ ხუნძეთში დაფუძნების შემდეგ გავიდა კახე-
თზე პირველ შემოტევამდე, ამ ტომის ადგილზე აკლიმატიზაციის და მომძლა-
ვრების პერიოდად უნდა ჩაითვალოს...

მოსაზრება იმის შესახებ, რომ სერირის ყოფილ ტერიტორიაზე (უკვე ავა-
რეთში) შემორჩენილი წარსული ქისტიანობის ნიშნები XIII-XVIII საუკუნის ქა-
რთული მისიონერული მოღვაწეობის შედეგი ჩანს,ღიმილის მომგვრელია მხო-
ლოდ: ეს საუკუნეები საქართველოს, ხასიათდება ქრისტიანობაზე არანახული
ზეწოლით, რომლის შედეგად საქართველოს მეფეებიც კი იძულებული ხდებო-
დნენ მიეღოთ მაჰმადიანობა (მოსახლეობა ყოველთვის ქრისტიანული რჩებო-
და). ქრისტიანული სიწმინდეები დღევანდელი დაღესტანის და კერძოდ ავარ-
ეთის მიწებზე, სერირის სამეფოს (ინგუშები, ჭარელები-ფილანები, გუმიკები-
ჰენიოხები, ქისტები და ღლიღვები) მოქალაქეებს ეკუთვნით უთუოდ, და რე-
გიონში არავითარ ქართულ მისიონერულ მოღვაწეობას ადგილი არ ჰქონია...
...რაცშეეხებატერმინ ნუცალს,რომელიც ავარელი ბელადების უცვლელ ტიტუ-
ლატურას წარმოადგენდა გვიან შუა საუკუნეებში, მართლაც ქართული ჩანს.
ავარეთის (უკვე ავარეთის) ტერიტორია საქართველოს იურისდიქციაში უკვე
არასდრორ მოქცეულა...ტერმინი სავარაუდოდ მოსახლეობის სახენაცვალობის,
შეცვლის მიმანიშნებელი ჩანს, რასაც ანალიზის მიხედვით 1667 წელს ჰქონდა
ადგილი...

საინტერესოა, რომ ხუნძთა ორ ციხეს აღნიშნავს აღმაშენებლის მემატიანე,
მაშინ როდესაც მას'უდის მიხედვით ამ ხალხს სამსახა (სამი ციხის პატრონი სა-
მციხე) ჰქვია და რომელი დასახელებაც თუშების ჩამომავლობის საიდუმლოს
ხსნის ... (თუშების გენეზისის კვლევა სცილდება წიგნის ფორმატს)
სავარაუდოა, რომ ხუნძ-თუშთა ძალაუფლება უფრო აღმოსავლეთითაც ვრცე-
ლდებოდა, ვიდრე მოგვიანებით ვახუშტის ეპოქაში.

**„ხოლო ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრხე ჯუარისციხე და ლომ-
სიათი, გუარამისვე აღშენებული“(იქვე; მატიანე ქართლისაი, ტომი 1 გვ-213)**

ეს უკვე სხვა სამცხე და სამი ციხე ჩანს, რომელიც ქართული წყაროების

მიხედვით გუარამ მამფალის აგებულია მთელი ასი წლით ადრე სამცხეში (თუ ოძრხეში?), ვიდრე არაბული წყაროების სამსახა, მდებარე კავკასიის მთიანეთსა და დერბენდის სიახლოვეს.

„მოიყვანა ქუთათისისა სამოქალაქოისი ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი, მოყვანა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანი და ჰბრძოდეს“ (იქვე; გვ-237)

...და ვინ არიან ეს ლომსიანნი მებრძოლები? გურულების (ხაზრანების, ფხოველების, ფშავ-ხევსურთა) გვერდით მათი ხსენება და ბრძოლა მიანიშნებს, რომ ესენი მათივე მეზობელი სანარები არიან, ხოლო ლომსიანნი-ლომისის ხატის ყმათა აღმნიშვნელი იყო ყოველთვის! თქმულება ლომისის სალოცავის დაარსების შესახებ, გაცილებით ძველ შრეებში ჩანს საძიებელი, ვიდრე სულთანი ჯალალ-დ-ინი და XIII საუკუნე. გუარამის აშენებული ციხე ლომსიათი-ეს IX საუკუნეა, რა დროსაც ლომისის სალოცავი უკვე დაფუძნებული ჩანს, ხოლო ლომისელების (სანარები) ნაწილი ოძრხეში (სამცხეში) მცხოვრებნი...დიდი ალბათობით ქართველი ხალხის ის მტარვალი, რომელიც დასაჯა წმინდა გიორგის ხატმა, მურვან ყრუ იყო, რომელმაც არა ერთგზის დალაშქრა საქართველოს კუთხეები, მათ შორის სანარია. ფშავ-ხევსურთა დასახლება გურიაში ქართველ მთიელთა ჭარბი მოსახლეობის ბარისაკენ გადანაცვლების პროცესი ჩანს.სავარაუდოა,რომ ასეთივე პროცესს ადგილი ჰქონდა სხვა ქართველ მთიელებთან მიმართებაშიც.

შარვანი

„შარვანი-ისტორიული ოლქი კავკასიაში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან დერბენტიდან სამხრეთში მდინარე მტკვარის დელტამდე. XV-XVII საუკუნემდე დასახელება -შარვანი. ჩვ .წ. აღრიცხვამდე II საუკუნიდან VIII საუკუნემდე უკვე ჩვ.წ. აღრიცხვით, შედიოდა კავკასიის ალბანეთში. სამეფოს მოსახლეობას წარმოადგენდა ტომთა კავშირი, მოლაპარაკე ლეზგიურ ენაზე'' (ვიკიპედია, თავისუფალი ისტორია)

ვერსია რეგიონის სახელის სპარსელი მეფის, ხოსრო ანუშირვანის სახელთან დაკავშირებით უსაფუძვლო ჩანს-როგორც ზემოთ ითქვა მას შარვანი ჰქვია, მე-10-ე საუკუნიდან მოყოლებული არაბი ავტორები რეგიონის აღმნიშვნელ სიტყვად მხოლოდ და მხოლოდ <u>**შარვანს**</u> იყენებენ...ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, გეოგრაფიულ-ისტორიული დოკუმენტი, ცნობილი არმენიულ ანონიმ გეოგრაფიად, უპირველეს სიაში N 44-ად შირვანს ასახელებს (არა შარვანს) ამასთან დოკუმენტის ავტორი აღწერს **ხალხებს** აზიის სარმატიაში , და არა სახელმწიფოებს! გასაგებად რომ ვთქვათ, ანონიმ ავტორს ამ უპირველეს დოკუმენტ-

ში, რომელშიც შირვანი იხსენიება, შარვ-ები ტომად ჰყავს გამოყვანილი. დოკუ-მენტის განმეორებით ტექსტში, რომელიც გაცილებით გვიან და საქმის ნაკლები ცოდნით ჩანს შედგენილი, შარვანი უკვე სამეფოს რანგში იგულისხმება. ასევე ტომად იხსენიებს არაბი მოგზაური და ისტორიკოს შარვანს:

„(დერბენტის) აქ დასაცავად ჩამოსახლებულთა შორისაა ტაბარსარანის ტო-მი, ხოლო ტომები მეზობლად ცნობილია ფილანებად და ლაკზებად. ეს უკ-ანასკნელი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მამაცია. გარდა ამისა, აქ არის ტომი ლირანი, <u>შარვანი</u> და სხვა '' (Караулов Н. А. ალ-ისტარხი, იაკუტი)

შარვნის დალაშქრვა ქართველებს პირველად დავით აღმაშენებელის მეფ-ობისას უჩანს:

„და მეორესა თუესა,- ესე იყო ივნისი, - კუალად წარვიდა შარვანს და აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისაი, სიცხეთა მათ საშინელთა , მოირ-თო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთ-ანი'' (ქართლის ცხოვრება; დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი, გვ-277, თბილისი 2012)

განმეორებითი ლაშქრობა უჩანს მეფეს ერთი წლის შემდეგაც, თუმცა შე-ტევის მიზანი ამჯერად შარვანის დაუმორჩილებელი ციხეები და ქალაქები მო-ჩანს:

„და აპრილს დაესხა შაბურანს დაარუბამდელსა და მოსწყვდეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანის ციხენი, ღა-სანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანაი'' (იქვე)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხოზაონდის ციხე და მისი მიმდგომო ქვეყა-ნა თუშების კუთვნილება ჩანს, პირიქითა კავკასიისა, რომელიც არ შემოდიოდა საქართველოს იურისდიქციაში აღმაშენებლის ეპოქისათვის და უთუოდ ამ უკ-ანასკნელის მონაგარი ჩანს. ყივჩაყნი დარუბანდელისანი-კუმიკები, დარუბან-დელი ყივჩაყები არიან და არა დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოყვანილი. რაც შეეხება ქურდთა ჩამოსახლების ისტორიას, ქართლის ცხოვრებას ეს ეპიზოდიც შემონახული უჩანს:

„და მოვიდეს მუნით აბაშეთს...ხოლო აბაშნი...საზღვრთა ზედა არს სპარს-თასა...და წამოსტყუენეს აბაშეთი ყოველი, და განყვნა მეფემან სპარსთამან აბაშნი ორად: ნახევარი დაუტევნა ადგილსავე ზედა თვისსა და ნახევარნი წარმოიყვანა, ვითარ სახლი ათასი, და განყვნა იგი ადგილითი ადგილად. და ესენი არიან ქურდნი ნათესავნი იგი, რომელნი წამოტყუენა აბაშთაგან'' (იქვე; გვ172)

ქურთები, უძველესი წყაროების ქურდები ის ხალხი ჩანან, ვინც სპარსე-თის მეფემ ხოსრომ ტყვედ წამოიყვანა და საკუთარ სამფლობელოში სხვადას-ხვა ადგილას დაასახლა, როგორც ეტყობა შარვანშიც. ის, რომ სპარსელმა სუზე-

რენმა მართლაც შარვანში ჩაასახლა ქურთების ნაწილი, ჩანს შუა საუკუნეების წყაროებიდანაც კი:

„იმავე წელს თურქები შემოიჭრნენ შირვანში. ისინი თავს დაესხნენ ქვეყანას, გაძარცვეს ქურთების ოლქები და წამოიღეს დიდი ნადავლი სულიერი თუ უსულო საგნების სახით' ' (История Ширвана и Ал –баба; პარაგრაფი 20)

სულ სხვა ისტორიისა ჩანან იეზიდები, რომელსაც ქართული საზოგადოება რატომღაც ქურთებთან თითქმის აიგივებს:

„იეზიდ იბნ ასადს უნდოდა საკუთარი სახელის უკვდავყოფა. მან ააშენა ერთი დიდი ქალაქი, სახელით იაზიდია, დატოვა მრავალი ხალხი თავისი ქვეშევრდომებიდან '' (Дербент- Наме)

ტექსტის რუსულენოვანი კომენტატორის შენიშვნის მიხედვით, პოლიტიკური ცენტრი შირვანისა, აშენდა 918 წელს. არაბი ავტორების მიერ ინტენსიურად გამოყენებული სიტყვა იეზიდი, რომლითაც ისინი ჩვეულებრივ სამხედრო მეთაურებს აღნიშნავენ-იეზიდები არაბთა წარჩინებული თემის, იეზიდთა წარმომადგენლები უნდა იყვნენ. დღევანდელი სინამდვილის იეზიდები საქართველოსა და აზერბაიჯანში, შირვანის ყოფილი დედაქალაქის ის მცხოვრებლები ჩანან, რომელიც ქალაქ იაზიდიის დამაარსებელის მიერ უნდა იყოს დატოვებული.

„ჯუმადის 1 იმავე წლისა (აპრილი 1066 წ) ფარიბურზი გაბრაზდა თავისი დედაქალაქის ხალხზე და მიუსია მათ ურჯულო ხუზები (ხუშები, ფშავ -ხევსურები) **რომლებმაც გაძარცვეს ის და აყვანეს ტყვედ იქ მყოფი მუსულმანი კანონიკები...შემდეგ საფარიში (იანვარი 1067წ) შირვანშაჰმა დაიჭირა რიგი მცხოვრები იაზიდიისა, მათ შორის ხაჯიბ ალ - ლაშქარი...მერე ყარა- ტეგინმა მეორედ გარემოიცვა იაზიდია ''(იქვე)**

როგორც ვხედავთ იაზიდია საკმაოდ გამოყენებადი ტერმინია რეგიონში არაბების ბატონობისას, რომელსაც დავით აღმაშენებელის ეპოქაში საბოლოოდ დაესვა წერტილი. არც ქალაქი იაზიდიის ხსენება დარჩა, თუმცა ამ ქალაქის მოსალეობის არაბული ტომის იეზიდთა თემისადმი კუთვნილება საეჭვოც არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ლეკებს (ლეგებს და არა დაღესტანელებს მთლიანად) ვიკიპედიიდან ზემოთ მოყვანილი ცნობებიც ადასტურებს შარვანის მოსახლეობის ლაკზური ეთთნოსისადმი მიკუთვნებულობას. თითქმის ამავე აზრისა არიან შუა საუკუნეების არაბი ავტორებიც:

„სახელმწიფო შარვანის დასაყრდენს ლაკზების სამეფო წარმოადგენს, მრავალრიცხოვანი ტომი, მცხოვრებნი ამ მთის მწვერვალებზე'' (Караулов Н. А. მას'უდი. ოქროს მდელოები და ძვირფასი ქვების წყაროები, თავი -17)

არაბი ისტორიკოსი მიერ ლაკზების შარვანის სახელმწიფოს დასაყრდენ-

ად გამოცხადება მათ შორის უცილობელ გარკვეულ კავშირზე უნდა უნდა მიუთითებდეს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც საგრძნობი უდა იყოს. (ლაკზებიეს ევლია ჩელებისათვი ლაზებია,ზიხების,ალბანელების სახლიკაცები...რაც შეეხება შარვების ტომს,თემა სავარაუდო გენეზისი სცილდება წიგნის ფორმატს)

ჩვენთვის ასევე საინტერესო ჩანს სხვა ქართველური ტომები, რომელსაც შუა საუკუნეების მრავალი ავტორი ახმოვანებს შარვანის და მიმდებარე ტერიტორიებზე...ერთ-ერთი ასეთი ერთეული, არაბი ავტორის მას'უდის გახმოვანებული სანარეა, მდებარე მისივე სიტყვებით მდინარეების, მტკვარისა და არაქსის შესართავთან (იხ.ზემოთ).მას;უდის მიერ ნახსენები სანარეს (არა სანარიას) სტატუსის გამოსარკვევად ისევ და ისევ არაბი ავტორების წყაროების მოშველიება ჩანს აუცილებელი:

„შამახიიდან შარვანამდე სამი დღის გზაა, შარვანიდან აფხაზში ორი დღის გზაა, აფხაზიდან ჯასარ -სამურამდე 12 ფარსახი (65 კმ) ჯახარ - სამურიდან ბაბ - ულ-აბვაბამდე 20 ფარსახი (105 კმ) " (იქვე; ალ-ისტარხი; არმენია, არანი, აზერბაიჯანი)

ცხადია, მას'უდისეული სანარე აფხაზი არაა, რამეთუ მის მიერ მითითებულ სანარესა და შარვანს შუა სულ 20-30 კმ-ის მანძილია!

„დერინკა ლაკზებისა და მეჯმა - ალ - ნახრაინი. შემდგომ ამის უკან ლირანი, და ამ ქვეყანაში დიდი გამაგრებული ციხე - სიმაგრეა" (იქვე, იაკუტი)

მეჯმა-ალ-ნახრაინი, რუსულენოვანო კომენტატორის მიერ განმარტებულია როგორც ორი მდინარის, კურასა და რასსის (მტკვარისა და არაქსის) შესართავი. ცხადია სანარე-ეს არაბი ავტორებისათვის ლირანია, -იგივე ლაიზანი- (ლაზებისა) ხოლო მისი მფლობელი აღინიშნება როგორც ლირან ანუ ლაიზან შაჰი!

„ალი რჩებოდა მმართველი (შირვანისა) სანამ 917 წელს მას არ აუჯანყდა მისი ნათესავი, რომელიც ლაიზანის მმართველი იყო. მიზეზი ის იყო, რომ როდესაც ხაისამ ბ ხალიდი გახდა დამოუკიდებელი მმართველი შარვანში, მისი ძმა იეზიდ ბ ხალიდი გახდა ასეთივე დამოუკიდებელი მმართველი ლაიზანისა'' (История Ширвана и Ал-Баба)

როგორც ტექსტიდან ირკვევა, 900-იანი წლებისათვის შარვანი და ლაიზანი ფაქტიურად ერთნაირი სტატუსით სარგებლობდა, სანამ არ ხდება შარვანის მმართველის მიერ ლაიზანის ანექსია.

„მან (შარვანის) სუზერენმა მისცა ლაიზანი როგორც ლანი, ერთ-ერთ თავის შვილს...მისმა (შარვანის) მემკვიდრე შვილმა მასუდმა...დანიშნა თავისი საკუთარი შვილი ახმედი ლაიზანში, ხოლო მეორე შვილი საისამი -ტაბარსარანში" (იქვე)

შარვანის მბრძანებელმა ფაქტიურად მიითვისა მეზობელი ტერიტორიები...ამ ეპიზოდით „ლაიზანის," სანარეს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტი-

კური ერთეულის ისტორიული ეპოპეა მთავრდება, თუმცა სავარაუდოდ კავკასიის მხოლოდ ამ რეგიონში...

„გზა ბარდადან ბაბ - ულ - აბვაბამდე : ბარდიდამ ბერზენჯამდე 18 ფარსახია (100კმ) ბარზენჯიდან მდინარე მტკვარის ფონით შამახიამდე 14 (ფარსახია 75 კმ) შამახიიდან შარვანამდე 3 დღის სავალია: შარვანიდან აფხაზამდე 2 დღის სავალია; აფხაზიდან ჯასარ (კაშხალი) სამურამდე 12 ფარსახი (65 კმ) ჯასარ სამურიდან ბან - ულ - აბვაბამდე 20 ფარსახი (110 კმ) (Караулов Н. А. იბნ-რუსტე)

ტექსტი საკმაოდ დაკვირვებულ განხილვას მოითხოვს:

1.ყურადსაღებია, რომ ამავე ავტორის სიის სხვა ვარიანტში, შარვანის ნაცვლად შაბარანი დგას და ეს აბსოლუტურად სწორი ვარიანტი უნდა იყოს:ავტორის მიზანს მისივე სიტყვებით წარმოადგენს გზის აღწერა ბარდადან ალ-ბაბამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ალოგიკურია , იმგზავრო ბარდა-ბერზენჯიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, მიხვიდე შამახამდე, საიდანაც ალ-ბაბი ასევე ჩრდილოეთითაა და მთელი 90 კილომეტრი იმგზავრო საბოლოო პუნქტის მოპირდაპირე მიმართულებით, სამხრეთისაკენ. ცხადია, შარვანი აქ არასწორადაა მოხსენიებული.

2.ამავე ავტორის სხვა სიაში, მანძილი ჯასარ სამურიდან ალ-ბაბამდე 10 ფარსახზე ნაკლებია აღნიშნული და სავარაუდოდ ეს ვარიანტიც სწორი ჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისე გამოდის ,თითქოს მდინარე სამურის გადასალახავად სათავეებამდე მისვლა იყოს საჭირო, რაც მდინარის ზომებიდან გამომდინარე არარეალური ჩანს.

3.ჯასარი-ეს სიტყვა კაშხალს აღნიშნავს...სავარაუდოა. რომ რეგიონის მცხოვრებლებს მდინარე თავდაცვითი ნაგებობისათვის აქვთ გამოყენებული: ხელოვნური პრიმიტიული კაშხალის საშუალებით, რომელის თხემზე გადასვლაც კი არ შეიძლება, აგუბებენ მდინარე სამურს, აფერხებენ მის ჩადინებას ზღვაში, ხელოვნურად სწევენ მდინარის დონეს მაღლა და აძნელებენ მასზე თავისუფალ გადასვლას. გზა მიმავალი ალ-ბაბისაკენ, უკვე მდინარის შუა წელთან ახლოს, ათეულ კილომეტრზე ზღვიდან დაშორებით მოჩანს შესაძლებელი.

გამომდინარე ზემოთ გამოთქმული მოსაზრებიდან, ასევე ალ-ისტარხის სიებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი-ეს კუბის სახანოა. (ამავე მოსაზრებებია გამოთქმული ტექსტის რუსულენოვანი კომენტატორის მიერ) თუმცა ერთი შესწორება აუცილებელია: კუბის სახანო გაცილებით გვიან შექმნილი პოლიტიკური ერთეულია, აფხაზი მოვაკანის ნაწილი და სერირის სამეფოში შემავალი ჩანს. რაც შეეხება მათ ეთნიკურ მიკუთვნებულობას, აღმოსავლეთის ავტორებში ეთნონიმ აფხაზით სულ ორი სუბიექტი სარგებლობს: ზანები და ზიხები.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ტერმინ ზიხს ლაკზეთთან მიმართებაში ლეონტი მროველიც იყენებს, რაც მათ იქ უცილობელ ყოფნას მია-

ნიშნებს. ასევე მე-19-ე საუკუნის აზერბაიჯანელი ისტორიკოსისა და განმანათ-ლებლის, ბაკიხანოვის მიხედვით, შარვანის და მიმდებარე ტერიტორიებისათ-ვის ეს ეთნოსი უცხო არ უნდა იყოს.

„...(ცხოვრობენ) სამურის პირს დასავლეთის მხრიდან. დაბლითა მთებს რუტ-ულს შორის და მაღალ მთას შალბურზას შორის. მათ აქვთ ხუთი მაზრა და თი-თოეული შედგება რამდენიმე სოფლისაგან. მათი ენა ლეკურია და სხვა არც ენასთან მსგავსება არა აქვს...(წარმოება) იკვებებიან მესაქონლეობით და აქვთ მთებს შორის მცირე ნათესები. ამიტომაც მათ აქვთ საჭიროება პურისა, რომელ-საც ცვლიან ისინი საქონელში კუბაში. თუმცა ყველა ქურდი და მძარცველია, მაგრამ კუბაში თავდასხმას და ქურდობას არასდროა არ ჩადიან“

(გერბერ იოჰან გუსტავი; ჩანაწერები ხალხებზე და მიწებზე. 17-1728წ)

მართალია ავტორი აქ ლეკების მიერ კუბაში ძარცვასა და ქურდობაზე თა-ვშეკავების მიზანს კუბელებთან ურთიერთობის არგაფუჭებას თვლის, თუმცა სავარაუდოდ ლეკებისა და კუბელების, ყოფილი ზიხების ახლო ნათესაობაზე უნდა მიანიშნებდეს....

...და ბოლოს, ვინ არის შარვანთან ახლოს მდებარე ის ეთნოსი, რომელიც ჩერქე-ზების სახელით არიან ცნობილი და რომელთა წინააღმდეგ საღვთო ომის გასა-მართავად მიემართება შეიხი ჯუნეიდი და აქვე პოულობს აღსასრულს? გასათ-ვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლაიზანის და აფხაზის სამეფოები უკვე დიდი ხანია დამოუკიდებელი ერთეულები არაა, შარვანის სამეფოში შემავალი ჩანს და დიდი ხნის გამუსლიმანებული:

„ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოით, მცირისა ალაზნისა შესართ-ავითგან ვიდრე ზღუამდე, და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი, და დაემკვი-დრა მუნ'' (ქართლის ცხოვრება; ლეონტი მროველი, გვ-10, თბილისი 2012 წ)

გვიანდელი ქართველი ისტორიკოსების მიერ მიჩნეულია, რომ მცირე ალ-აზანი-ეს იორია, თუმცა როგორც ჩანს, ლეონტი მროველი ასე არ ფიქრობს:

„ხოლო ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკუარისა ჩრდილოით, მცირისა ალაზნის თა-ვითგან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელსა აწ ჰქვია გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენს პირველად ქალაქი შესაკრებელთა ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი'' (იქვე)

ქართველი მკითხველისათვის ცნობილია, რომ მდინარე იორი გაცილებ-ით დასავლეთით მოედინება ვიდრე ალაზანი. ბოლო ციტატის მიხედვით, მი-წა ალაზანსა და მცირე ალაზანს შორის ჰეროსის წილხვედრია, რომელსაც მცი-რე ალაზნის მხრიდან ესაზღვრება მოვაკანი და ამ უკანასკნელის მიწები გრძე-ლდება თვით კასპიის ზღვამდე აღმოსავლეთის მომართულებით. შესაბამისად მცირე ალაზანი უნდა მდებარეობდეს მხოლოდ ალაზანისაგან აღმოსავლეთის მიმართულებით. ასეთი მდინარე მხოლოდ მდინარე კაბალა ჩანს. შესაბამისად

მოვაკანი- დღევანდელი გადასახედიდან იკავებდა ბელაქანის და ზაქათალის რაიონებს თავად კასპიის ზღვამდე (დღევანდელი აზერბეიჯანის ტერიტორია) ხოლო ჰერეთის ტერიტორია გაჰყვებოდა მოვაკანის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან...

ლეონტი მროველის თანამედროვე არაბი ისტორიკოსების ცნობით, მოვაკანის ზღვისპირა ნაწილს იკავებდა პოლიტიკური წარმონაქმნი აფხაზი. მართალია არაბი ისტორიკოსები აფხაზს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ცნობენ, სავარაუდოდ ასე არ ფიქრობს ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე პორფიროგენტი:

„...ჭანარიის ერისთავებს, ერისთავს შირვანისას, რომელიც მდებარეობს ალანიასა და ჭანარიას შუა...მოვაკანის ერისთავს (საცოდნელია რომ მოვაკანიდან იწყება მეოტიდა'' (კონსტანტინე პორფიროგენტი, იხ.ზევით)

მოყვანილი ციტატა ადრეც იყო განხილული, თუმცა ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ცალკე მოითხოვს გაშიფრვას:

1.იმპერატორი საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაში საკმაოდ კარგად ჩანს გარკვეული: მან იცის, რომ აქ ორი ჭანარიაა (სანარია) ერთი არაგვის ხეობაში, მეორე მტკვრისა და არაქსის შესაყართან.

2.შირვანს მართლაც ერთი მხრიდან ჭანარია ეკვრის, მაგრამ მის მეორე მხარეს, როგორც პორფიროგენტი აღნიშნავს და ამ ციტატიდანაც ჩანს, მოვაკანი ეკვრის. როგორ შეიძლება მოვაკანი ერთდროულად ალანიაც იყოს და აქედანვე იწყებოდეს მეოტიდა?

3.იმპერატორი საკმაოდ კარგად ჩანს გარკვეული იმ დროისათვის უკვე გამოკვლეულ გეოგრაფიულ რეალობებში. სავარაუდოდ მან ზუსტად იცის, რომ კასპიის ზღვა დაკეტილი ზღვაა და მეოტიდა მას არ უერთდება. სავარაუდოდ, აქ წერის მექანიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე, იმპერატორს სურდა ეთქვა, რომ აქ იწყება ალანია! ამ შემთხვევაში შარვანი მართლაც ალანიასა (სერირალანს) და ჭანარიას შუა მდებარეობს.

4.აზერბაიჯანელი განმანათლებლის, ბაკიხანოვის წუხილი, რომ შუა საუკუნეების ავტორები მუკანის სტეპს ალანებს მიაწერენ, არასწორია, ალანებს (სერირალანებს) მოკანის ტერიტორიას მიაწერენ (მათ შორის პორფიროგენტიც) რომელიც ქართულ მოვაკანს შეესატყვისება იმ ტერიტორიებით, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, და არა მუღანს.

5. რუსულენოვანი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ალანების სახელქვეშ ხშირად ჩდილო კავკასიის ადგილობრივი ტომებიც მოიაზრებიან. ძირითადი და მთავარი ამ ტომებში დურძუკები არიან, რომელთა სამეფოსაც ხშირად ისტორიკოსები სერირალანსაც უწოდებენ. გასაგებად რომ ვთქვათ, ყველა ასი (ოსი) გამოუკლებლივ ყველა ალანია, თუმცა ყველა ალანი ოსი არაა!

6. ამ კერძო შემთხვევაში, კონსტანტინე პორფიროგენტის თუ არაბი ისტორიკოსების ალანები, რომლებიც მოვაკანს და კასპიისპირეთის ნაწილს ფლობენ, სერირალანები არიან. ამ სერირალანში შემავალი ჩანს აფხაზი (მომავალი კუბის სახანო) და შაქი, რომელიც არაბი ავტორების სიტყვებით, ქრისტიანულია.
7. ამ ხალხებს, სერირალანელებს (უკვე ტაუსტანელებს) ჩერქეზებს უწოდებს XVII საუკუნეში ევლია ჩელები.ამ ჩერქეზების ნაწილის, შაქის წინააღმდეგ ჩანს გამოლაშქრებული (რომელიც იმავე არაბულ წყაროებში ქრისტიანულად იხსენება) საღვთო ომის გამოსაცხადებლად შეიხი ჯუნეიდი და აქვე აქვს აღსასრული ნაპოვნი.
8. სავარაუდოა, რომ ქართული ისტორიოგრაფია ერთმანეთში ურევს ალან-ოსებს და ალან-დურძუკებს. საკითხი განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს (46)
რეზიუმე:საქართველო სხვადასხვა დროს ჩანს დასახლებული, ასევა სხვადასხვა (თუმცა მონათესავე) ტომებით. პირველმოსახლე საქართველოს ტერიტორი-აზე XXV საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე უნდა ეკუთვნოდეს. თავად საქართველოს დასახლება გრძელდებოდა თვით XVI საუკუნეშიც კი,უკვე ქრისტესით.

ალქსანდრე მაკედონელის დალაშქრული პაროპამისი- ეს ინგუშები და სვანებია. ინგუშები ამ ტერიტორიას ჩვ.წ. აღრიცხვამდე VII საუკუნის დასაწყისს იკავებენ, ხოლოს სვანები ზუსტად სამი საუკუნით გვიან...ამ ტომს მცირე აზიაში ხეტიალის დროს მაკრონები (დიდები) დაენათლა. ამიერკავკასიაში, საქართველოში გადმოდიან ჩვ.წ. აღრიცხვამდე III საუკუნეს... ხოლო კავკასიონს იქით დარჩენილი დურძუკები სპარსეთის მეფეების მიერ უკვე სერირად წოდებულნი, დანიშნული იქნა მარზუბანად, მენაპირედ, რომელთაც დარუბანდის კარის საიმედოდ ჩაკეტვა დაევალათ. დიდი ხანი ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და დამოუკიდებლობას, საკუთარ სახელმწიფოს ტაუსტანს, მთიელებისას უწოდებდა. მათი ძლიერება და სახელმწიფოებრიობა თემურ-ლენგმა შეიწირა. ამავე, სერირის სახელმწიფოს ნაწილი გახლდათ ღლიღვ-ქისტი და მალყარელები (ეს უკანასკნელი ტომი ყველა ნიშნით იბერები ჩანან)...სერირის სახელმწიფოს სავარაუდოდ სხვა ვასალური სამთავროებიც უჩანს...სტეფანწმინდას, ხევის მოსახლეობა დასავლეთ ქართველური, ლაზური გახლდათ და მას აფხაზეთი ეწოდებოდა...ასევე დასავლურ-ქართული, ჭანური ჩანს სანარია და სანარე...

შენიშვნები

1.სინამდვილეში დიდ სტრატეგს, ალექსანდრე მაკედონელს მოლაშქრეები ზურგის უზრუნველსაყოფად უჩანს დატოვებული. ან მიზნით უღელტეხილებზე და ვიწროებში მისი განკარგულებით შენდება საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომელსაც სავარაუდოდ ილირიელი მოლაშქრეები იკავებენ. რასაკვირველია არ შეიძლება საუბარი იმაზე, რომ მაკედონელი დამკვრელ ძალებს ტოვებს ამ ადგილებში, ინდოეთისაკენ სამომრად მიმავალი. ამასთანავე, დაჭრილი თუ ავადმყოფი მეომრები დროებით მაინც ზურგში რჩებიან, თუნდაც გამოჯანმრთელებამდე. რაც შეეხება ხანშიშესულ მაკედონელ მეომრებს, მათ უკან, მაკედონიაში გაგზავნაზე არაერთი ისტორიკოსი მიუთითებს. მაკედონელის მიერ დატოვებული ილირიელი მოლაშქრეები ოდრისთა, ზანების (ლაზების და ზიხების) ტომები ჩანს, ქართველთათვის ხაზარებად, აფხაზებად და ალბანებად ცნობილი.

2.როგორც ცნობილია, მაკედონია და ილირია მეზობელი და მიმდებარე რეგიონებია**.** პლუტარქეს ცნობით, მამაზე, ფილიპეზე გაბრაზებული ჭაბუკი ალექსანდრე ილირიაში გარბის ბრაზის გასაქარვებლად, რასაკვირველია თანატოლებთან და მეგობრებთან, საიდანაც ფილიპეს დიდი მცდელობით დიდი ხნის შემდეგ ბრუნდება. პლუტარქესვე აღწერილი მაკედონელისეული ცხოვრების შესახებ მოთხრობილია, რომ ალექსანდრე დიდ დროს ატარებდა საქეიფო სუფრასთან, თუმცა უფრო ლაპარაკობდა (რასაკვირველია სადღეგრძელოებს!) ვიდრე სვამდა. უფრო მეტიც, ალექსანდრეს დედა ოლიმპიდა, ეპირის (ყოფილი კოლხეთის) მეფის ქალიშვილი გახლდათ, რომელსაც საკუთარი წარმომავლობა ნეოპტოლომისაგან, აქილევსის შვილისაგან მოჰყავდა!

3. დიოდორე სიცილიელის სიტყვებით, მეორე ქალაქი პირველიდან დაცილელი ჩანს ერთი დღის სავალით. ალექსნდრე მაკედონელის სამხედრო შორსმჭვრეტელობა ამ ეპიზოდიდანაც ნათელია: გაიგო რა ევროპელ სკვითთა მრავალრიცხოვნობა, მაკედონელი პირველი ქალაქის მაშველს საჭიროების შემთხვევითვის იქვე აფუძნებს. აფუძნებს იმ ამგარიშითი, რომ მან საჭიროების შემთხვევაში მოასწროს პირველის, ტარკის საშველად მოსვლა. სტრატეგიული თვალსაზრისით ცხადია, რომ მეორე ქალაქი -ეს დერბენტია, როგორც ამას არა ერთი ავტორი აღნიშნავს

4. „ანთემუნტელი მეგობრები'' -იხ. ალექსანდრე მაკედონელი.

5.მცხეთას, როგორც იბერიის პირველქალაქს, დედაქალაქს, სავარაუდოდ ამ ტერიტორიების სპარსელი მეფისნაცვალი მართავს. მეფინაცვალი სპარსეთისა ამ დროისათვის არახოსიაში, იბერიაში, ბარსაენტი ჩანს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დარიოსის მიერ ალექსანდრე მაკედონელის წინაღმდეგ გამართულ ომებში, არახოტებთან და ინდებთან ერთად (იხ. ფლავიუს არრიანეს ნაწარმოები მაკედონელის შესახებ) უფრო მეტიც, დარწმუნებულნი დარიოსის უუნარობაში წინააღმდეგობა გაუწიოს მაკედონელის ლაშქარს, ბაქტრიის სატრაპ ბესთან ერთად აპატიმრებენ დარიოსს, რომელიც ბარსაენტის და სატიბარზანის ხელით მოიკლა კიდეც. თავად ბესიც, ბარსაენტიც და სატიბარზანიც

სხვადასხვანაირი სიკვდილითვე ზღავენ სპარსეთის მეფის მოკვლას.
6. ოვსებს-როგორც ლეონტი მროველი აღნიშნავს, არ შეეძლოთ ქართველთა ამ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება, ისინი მხოლოდ რამდენიმე საუკუნის მერე თუ გამოჩნდებიან კავკასიაში...ცხადია ქართველი მემატიანე ერთმანეთში ურევს ოვს-ალანებს და <u>დურძუკ-ალანებს</u>, რომელსაც გვიანდელი წყაროები სერირალანსაც უწოდებს და რომელნიც ამ აღნიშნული პრიოდისათვის უკვე ბინადრობდნენ ჩრდილო კავკასიაში.
7.V საუკუნის ისტორიკოსი ჰეროდოტე კოლხეთის საზღვრად ფაზისს (რიონს) ასახელებს და რეგიონს კოლხეთად ნათლავს.
8. ქართველთა სამხრეთიდან ჩამოსახლების ფაქტი უცილობელი ჩანს იმ ფონზე, რომ მთელი ხმელთაშუა ზღვის კულტურა (შესაბამისად ევროპის კულტურის მამოძრავებელი ძალა) პელაზგები და დორიელები ჩანან, საბერძნეთ -ილირიკისა და მცირე აზიის მოსახლეობა. ქართველების მიგრაციის მინიმუმ ხუთი ტალღაა შესამჩნევი. (იხ. წინასიტყვაობა)
9.მოსაზრება ალბანთა იტალიელობის შესახებ, რაციონალურ მარცვალს შეიცავს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 230 წ. ქრისტემდე, რომაელთა (იტალიელთა) ჯარი შევიდა ილირიკაში და დაიმორჩილა ისინი, შეიძლება ჩაითვალოს რომ ილირიკა იმ ეპოქიდან იტალიაა. პომპეუს ტროგი, ავტორი ალბანთა იტალიურობისა, საკუთარ ნაწარმოებს გაცილებთ გვიან ჰქმნიდა, თუმცა ალბანების ილირიულობა უალტერნატივოა.
10. ქაჯთა ციხეს ასე განმარტავს ქართველი მეცნიერი, პავლე ინგოროყვა:
„ქაჯეთის ციხე - საქართველოს შემოსავალ კარებთან, ქართლის ყელთან (შემდეგ დროინდელი გურჯი ბოღაზი)
ჩვენის მხრიდან დავუმატებთ, რომ გურჯი ბოღაზი საქართველოს უკიდურესი სამხრეთი წერტილი იყო, დღევანდელობისათვის ცნობილი გეოგრაფიულ-ისტორიული მონაცემებით. შესაბამისად აზონისა და ფარნავაზის ომი, მროველის მიერ მოთხრობილი, საქართველოს საზღვარზევე ჩატარდა, რაც აზონისათვის თავდაცვითი ომის ტოლფასი ჩანს.ფაქტიურად,მეფე ფარნავაზი თავდამსხმელის როლში გვევლინება.
11.საკითხი დეტალურად განხილულია ამავე თავის ბოლოში.
12.აღნიშავს კიდეც არაბი ავტორი, რომ სერირი სამეფოს სახელია და არა ხალხისა
13. მუწუ და მაწი ზანური სიტყვა ჩანს, რომლის მნიშვნელობა უკვე დაკარგულია, თუმცა ბზიფის და კახეთის შესაბამისი რეგიონის, ალბანეთის მოსახლეობის იდენტურობა საეჭვოც კი არ უნდა იყოს. რაც შეეხება მაჭს, ბედნიერი შემთხვევის წყალობით ჩვენს მიერ იქნა ამოხსნილი, რომ ეს სიტყვა აგარაკის ასევე უძველესი,ზანური შესატყვისია...მაჭახელა-ეს სიტყვის არასწორი ინტერპრეტაცია ჩანს მხოლოდ და სწორი ფორმა მაჭახენაა, ხენების მაჭი, ხენების საზაფხულო სადგომი. ამავე დატვირთვისა ჩანს სიტყვა ხელვაჩაური, რომლის სწორი ფორმა ხენ -ვაჩაური უნდა იყოს
14.როგორც ჩანს, ჰეროდოტე მაინც ახერხებს კასპების სატრაპიის ძველი (სპარსული) სახელის ხსენებას:

„კასპიები ლაშქრობდნენ ტყაპუჭ -ჩაცნულები; მათ ჰქონდათ ლერწმის ადგილ-ობრივი მშვილდები და აკინაკები...სარანგები გამოირჩეოდნენ შეღებილი ტან-საცმლით, მათ ეცვათ მუხლებამდე ფეხსაცმელი და ეჭირათ მიდიური მშვილ-დები და შუბები. სარანგებს განაგებდა ფერენდატეს მეგაბიძოსის ძე...“ (ჰეროდ-ოტე; წიგნი VII-67) აქ ჰეროდოტე სარანგების სახელით იმავე ზრანკას მოიხსე-ნიებს, რომელიც ბეხისტუნის დარიოსის წარწერებში ასე იხსენიება.

15.ფლავიუს არიანეს მიერ ალბანების ხსენება არბელასთან სპარსელების და მა-კედონელების ომში, ამ ომში კახების (აღმოსავლეთ საქართველოს) მონაწილე-ობის უცილობელი ნიშანი ჩანს, თუმცა ისინი რასაკვირველია სხვა სახელით მონაწილეობდნენ ამ ომში. რამდენადაც ისინი ამ ომში მონაწილეობდნენ, ეს უცილობელი ნიშანია იმისა, რომ ისინი ბეხისტუნის წარწერებში (რომელიც აღწერს ირანის იმპერიის ყველა ხალხებს) ისინი აუცილებლად უნდა ფიგური-რებდნენ. სამწუხაროდ სტრაბონის ავტორიტეტმა (რასაკვირველია გადაჭარბე-ბულმა) არასწორად ამორიცხა აღმოსავლეთ საქართველო ევროპა-აზიის ამ მე-ორე დაპირისპირებიდან . (სხვათაშორის, ასევე არასწორად ამოირიცხა საქარ-თველო მათი პირველი დაპირისპირებიდანაც)

16. კუნძულად ევლია ჩელები ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილს თვლის, რომელიც შემოსაზღვრულია ორი ზღვითა და ორი მდინარით: ჩრდი-ლოეთიდან მეოტიის ზღვით, დასავლეთიდან შავი ზღვით, სამხრეთიდან მდი-ნარე ყუბანის შუა ტოტით, და აღმოსავლეთიდან იმავე მდინარის მარცხენა ტო-ტით.

17. ის,რომ თოფებით შეიარაღებული (სავარაუდიდ აზნაურული რაზმი) 12000 მეომარი მუსულმანია, სავარაუდოდ მიანიშნებს ტაუსტანის ელიტის გამაჰმად-იანების შეუქცევად პროცესს, მალევე მოსახლეობის დანარჩენ ფენაზეც გადად-ის, თუმცა ამ პერიოდისათვის ისინი კიაფერები არიან.

18. ტაუსტანელები ნამდვილი „ჩერქეზები“ ვერ იქნებიან თუნდაც იმიტომ, მათ საკუთარი ენა გააჩნიათ, ჩელების სიტყვებით ქართულის ახლო მონათესავე და არა ჩერქეზული, ყაბარდოული. ამდენად, ჩელებისვე სიტყვებით. ისინი ჩერქე-ზებად მხოლოდ ითვლებიან.

19. ჯულატი უბრალოდ ვერ იქნება ოქროს ურდოს ქალაქი. ისინი ქალაქებს არ აშენებდნენ და ცხოვრების მომთაბარე სტილით გამოირჩეოდნენ. მათი ქალაქი ქეჩის კარვებია, ხოლო ამ კარვების განლაგების ადგილი დეშტი- კიფჩაგის სტე-პები და არა ზეგანი კავკასიის მთიანეთში.

20.სპარსეთის მეფე , ჰორმიზდი თუ სხვა ვიღაცა, აქ ქალაქს არ და ვერ ააშენებს. სპარსეთის საზღვარი და გავლენის სფერო დერბენტში მთავრდება, სადაც მასვე მუდმივი დარაჯა უყენია სხვატომელების შემოსვლისაგან სპარსეთის დასაცავ-ად. სხვის ტერიტორიაზე. საკუთარი საზღვრებიდან ასეულობით კილომეტრის დაშორებით, ქალაქს არავინ არ აშენებს.

21.ის, რომ ხევი მეგრულენოვანია, თვალნათლივ ჩანს არაბი ავტორის, მას;უ-დის მიერ კავკასიის მთების აღწერისას. როგორც ჩანს ალექსანდრე მაკედონე-ლი ზურგის ტერტორიების დაცვის უზრუნველყოფას ილირიელ მეომრებს და ანთემუნტელ მეგობრებსღა ანდობს. დარიალის დაცვა, რომელსაც ადრე ხევს-

ურები იცავდნენ, მას ლაზთა ტომისათვის უჩანს მინდობილი, დერბენდისა-
რუთულთა ტომისათვის, თუმცა მისი უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწი-
ნებით, დუბლიორად ასევე თრაკიელები უჩანს მიჩენილი. კასპიის აღმოსავლე-
თი კარიბჭის დაცვა, მას ასევე ილირიელი დალმატებისათვის უჩანს მინდობი-
ლი, თუმცა დაცვის ობიექტის მნიშვნელობისა და სიდიდის გამო, ასევე მარუ-
ლი და ზიხური ტომებიც უჩანს ჩართული...რაც შეეხება სანარებს, რომლებიც
იკავებენ ტერიტორიებს არასაკვანძო ადგილებში, კავკასიის ტერიტორიაზე გა-
ცილებით გვიან ჩანან შემოსული. ისინი პართიის ასევე ქართველური სამეფოს
ნამსხვრევები ჩანან, რომელიც თავის მხრივ ურარტუს ასევე ქართველური სახ-
ელმწიფოს ნამსხვრევებზე ჩანს აღმოცენებული.
22. როგორც ქართული ენა ხსნის, აზნაური-აზონაურს ნიშნავს, აზონის თანმხ-
ლებ პრივილიგირებულ ეტრუსკ (პელაზგ, არგილიელ) ჰრომაელ მეომარს, რო-
გორც გავარკვიეთ, ალექსანდრე მაკედონელის ცხენოსან მეომარს „ანთემუნტე-
ლი მეგობრებიდან“ და ეპირელებიდან. ცხადია, მეომართა ეს კასტა მხოლოდ
საქართველოში და ქართველებში არსებობდა!
23.ჩელების მიერ ირაკ-ი-დადიანის ეკასირების, ხოლო შემდეგ მონღოლი ჰულ-
აგიდების სატახტო ქალაქად გამოცხადება, თურქი მოგზაურის შეცდომა ჩანს.
ის სხვა ირაკი ჩანს ეკასირების და ჰულაგიდების სატახტო ქალაქი, ერთი იმ სა-
მიდან, მაგრამ არა ირაკ-ი-დადიანი, რომელიც ამ დინასტიის კუთვნილებაში
არც კი შედიოდა. სპარსეთის საზღვარი დასავლეთით დერბენტზე და დაღესტ-
ანზე გადიოდა. რაც შეეხება დაღესტანის დედაქალაქობას, დაღესტანი სტავ-
როპოლამდე (ქალაქ მაჯარამდე) არასდროს გავრცელებულა, თუმცა მაჯარის
ოდინდელი მცხოვრებლები, გადმოსახლებული აღმოსავლეთით, უკვე დაღე-
სტანის ქვეშევრდომები ჩანან.
24. სერირის ქვეყნის მოქალაქეებს სავარაუდოდ კიდევ ის ხალხები უნდა წარ-
მოადგენდეს, რომლებიც გარდა აღნიშნული ტომებისა (დურძუკი ქისტი, ღლი-
ღვი, მალყარი) ჩრდილორთ კავკასიაში, ტაუსტანის ყოფილ მიწებზე დახვდნენ
ნახჩოებს, კერძოდ: პირიქითა თუშები, შუბუტები, ჯარახები-ჭარელები, ცორე-
ბი (ჩორები-მოხევეები) და გელები, თვით რუსებიც კი....
25. ვახუშტი ამ თურქ სარდალს ლალა -ფაშას ეძახის და მის მიერ პირიქითა ჭა-
რის დარბევაზე არფერს საუბრობს. ეს გასაგებიცაა: ლალა ფაშამ მართალია ქარ-
თველებს წაართვა ტერიტორია, თუმცა ეს საქართველოში არ მომხდარა და ვა-
ხუშტის ყურადღების ცენტრში არც ექცევა.
26. ქართული ვერსიით, ინგილო ახალმოქცეულს ნიშნავს. ვერსია სწორი არ უნ-
და იყოს, ინგილო ყოფილ გელს, ჰერს უნდა ნიშნავდეს.
27. ევლია ჩელების და მუჰამედ რაფის ცნობებიდან გამომდინარე, ჭარი ერთმ-
ნიშვნელოვნად კავკასს იქითა პოლიტიკური წარმონაქმნი ჩანს.
28. დასავლეთ საქართველოს წალენჯიხის რაიონი ის ტერიტორიაა, სადაც თავს
იყრის ლტოლვილი მოსახლეობა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროდან. სავარაუ-
დოდ, აქ აღმოსავლეთ საქართველოს ფილანური მოსახლეობის ჩამოსახლების
ნიშნებიც უნდა ჩანდეს. მცირერიცხოვანი გვარი ბელქანია-ეჭვის საფუძველსაც
არ ტოვებს, ისინი ბელაქანიდან გამუსლიმანებას გამორიდებულინი ჩანან. ასე-

ვე მცირე გვარი, ჭარაია-ამავე მიზეზით ჩამოსახლებული ჭარელი უნდა იყოს... ...და შედარებით მრავალრიცხოვან გვარი ფიფია...ვფიქრობთ, რომ ისინი პირიქითა ჭარიდან გადმოსახლებული ის ფილანური მოსახლეობა იყოს, რომელიც ამ სახელს-ფიფინეთს აძლევს ვახუშტის მიხედვით საკუთარი ჩასახლების ახალ ადგილს (ფიფინეთი ვახუშტის მიხედვით, მდინარეების, კაბალასა და ალაზანის შეერთების ადგილია , შემდგომში ჭარად სახელდებული) ... სავარაუდოა, რომ ასევე გამუსლიმანებას გამორიდებული ტომი, წალენჯიხის რაიონს შეეხიზნა, თანატომელებს... სავარაუდოდ, ეს ფილანების ის ტომია, რომელმაც საკუთარი სატომო სახელი საუკუნეებს გამოატარა სერირის შემადგენლობაში...
ფილან შაჰის ტიტულს ატარებს ერთი პერიოდი სერირის გამგებელიც...ამ გვარიდან სვანეთში მიგრირებული მცირერიცხოვანი თემი გვარს ფილფანს ატარებს, რაც საკმაოდ ახლოს დგას ფილანთან...
29. როგორც ზემოთ ვთქვით, ჭარი-ეს სავარაუდოდან ფილანთა ტომი უნდა იყოს, რომელთა შედარებით მცირერიცხოვნებაზე საუბრობენ არაბი ავტორები.
30.სერირის სამეფოს ძირითადი კომპონენტი-ტაუსტანი (მას ტაილასანადაც მოიხსენიებს ზოგიერთი არაბი ავტორი) ქართულენოვანი ჩანს, თუმცა მის შემადგენლობაში მყოფი ფილანი ჭანური ტომი ჩანს, ხოლო გუმიკი და ზერეკერანი, მეჯავშნეები-კენური, ხალიბური.
31. სიტყვა ბორზი ფიგურირებს ელბრუსის (იალბუზის) დასახელებაში XIV საუკუნიდან. ჩელების სიტყვებით, სახელს იმ ტომის მიხდვით ღებულობს, რომელიც ამ მთის ძირში სახლობს, გელებისგან...ანალოგიური ჩანს დიდოელთა თვითწოდებაზე, ცუნტალი-რაც არწივს ნიშნავს. სავარაუდოდ ელბრუსის მთის ძირას დაბინადრებული ტომი საკუთარ სახელად მგელს ირჩევს. ტომი სავარაუდოდ ვეინახებში გაითქვიფა ,მათ აქ დამკვიდრებასთან ერთად, ხოლო ბორზი, როგორც მგლის სახელი ვეინახურმა ენამ შეითვისა.(ბორზი-ეს გელის პირდაპირი თარგმნაა, ბორკანია, ასე ერქვა პირველ გელურ წარმონაქმნს ელამურ-სპარსულ წყაროებში, ქართულის სამივე დიალექტში ის ასევე მგელს აღნიშნავს)
32. ამ ტომის ოპერირების სივრცე გაცილებით დიდი ჩანს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ეპოქაში, როდდესაც მისი საზღვრები სამ მხარეს დაუსახლებელი ჩანს: ოსები, ყაბარდოელები, მოსკოვიტები, ხაზარები, კუმიკები გაცილებით გვიან გამოჩნდნენ კავკასიაში. თვით ავარიელებიც აქ მხოლოდ ატილას ლაშქრობის შემდეგ შეიძლება გამოჩენილიყვნენ.
33.ქალაქ აგრარაურანს აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მდინარე სულაყის მარჯვენა სანაპიროზე ათავსებს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ტაუსტანელთა (სერირის სამართალმემკვიდრის) ტერიტორიების სივრცელეს.
34.როგორც არაბული წყაროებიდან ცნობილია, დასახლება მასკატი ხაზარულია. მისი დასახლება მოხდა მურვან-ყრუს მიერ ხაზარეთიდან წამოყვანილი ტყვეებით, რომელთა სამართავადაც ხაზარეთიდან უკვე ნებაყოფილებით, მმართველიც კი ჩამოდის.შესაბამისად ანონიმის გეოგრაფიული ტრაქტატი შედგენის თარიღი მხოლოდ მასკატის დაფუძნების შემდეგაა შესაძლებელი737 წელს ქრისტესით.

35. სავარაუდოა, რომ აქ სერირის ალანები იგულისხმება, სერირისა, რომელსაც არაბი ავტორები ხშირად სერირალანს უწოდებენ. ბარზბანთან, სერირის აღმოსავლეთ საზღვრებთან ალანების-ოსების ბინადრობა გამორიცხულია.
36.რაც შეეხება საბირებს, ისინი ევროპული (ნორდული) ტომები ჩანან, რასაც ერთ- ერთი საბირის შემორჩენილი სახელი **ოგნარი** უნდა ადასტურებდეს.
37. ხუშებისს და ეთიოპების აღრევის მიზეზის შესახებ უკვე ვისაუბრეთ (იხ პელაზგები)
38. საომარი მოქმედებების მსვლელობისას, გვერდი-გვერდ მებრძოლი ხალხების კომუნიკაციის საშულაებების, კერძოდ ენის ურთიერგაგებადობის აუცილებლობის შესახებ უკვე ვისაუბრეთ (იხ.კენები) ითვლება, რომ ელამის ენა ფუნქციონირებდა ჩვ.წ აღრიცხვამდე IV საუკუნემდე! თუმცა ზოგიეთი მონაცემით, ის შესაძლებელია შემონახული ყოფილიყო შუა საუკუნეებშიც კი. ასე მაგალითად: ალ-ისტარხის მიხედვით, პროვინცია ხუზისტანში, გარდა არაბულისა და სპარსულისა, მოსახლეობა ლაპარაკობდა აგრეთვე ხუზურ ენაზე!
39. ზემო (შავ) ზღვამდე მივდიე მოწინააღმდეგესო, იკვეხნის ასირიელი მეფე, თუმცა დიაოხის დამარცხებაზე ლაშქრობის დასაწყისშივე გვამცნობს. იგულისხმება, რომ დიაოხის დასახმარებლად მოსული რამდენიმე ათეული მეფე ზუსტად ზღვასა და დიაოხს შორის ცხოვრობს., თუმცა დღევანდელი ტაო საკმაოდ ახლოსაა ზღვისაგან.
40. ოსთა ოთხ სხვადასხვა ტომს სხვა არაბი ავტორებიც აღნიშნავენ,
41. არაგვი დასავლურ ქართველურ-მეგრულ ენაზე ეძგერე-ს ნიშნავს.
42. სანარიის ორ ერისთავს აღნიშნავს კონსტანტინე პორფიროგენტიც.
43.ლეონტი მროველის ეს ამონარიდი იმით არის ქართველი მკითხველისათვის საინტერესო, რომ მროველის მიხედვით საქართველოში ამბავი მოდის მოსეს მიერ ებრაელების ამოყვანია შესახებ, 1200 წ ქრისტემდე. რასაკვირველია იგულისხმება, რომ საქართველო ამ დროისათვის დასახლებულია ქართველებით და ეს დასტურდება კიდეც: საქართველოს დასახლების მეორე ტალღა, სუკალმახების (შესაბამისად ქართული მოსახლეობის) გამოჩენა საქართველოში მინიმუმ სამი საუკუნით უსწრებს ებრაელების ამოყვანას მოსეს მიერ ეგვიპტიდან!
44. როგორც შედარება გვიჩვენებს, ქართველთა პოლიტიკური საზოგადოება კავკასიაში, მინიმუმ დუჟინი საუკუნით ძველი ჩანს სპარსეთის სახელმწიფოებრიობაზე, თუმცა ერთი განსხვავებით: ქართველები, როგორც წესი, არ ქმნიან ცენტრალიზირებულ სახელმწიფოს...
45. ხორდადბეს ტაილასანი სხვა არაფერი უნდა იყოს, თუ არა ჩელებისეული ტაუსტანი.
46. ქრისტიანული დურძუკეთი, სერირი, ტერიტორიის სიდიდით და დემოკრატიული მოწყობის პრინციპებით (მის შემადგენლობაში გარდა დურძუკებისა, სხვა ხალხებიც ჩანან, ფაქტიური თვითმმართველობის ქვეშ, დამახასიათებელი პროტო- ქართველური სინამდვილისათვის) საქართველოს ტოლსწორი ქვეყანა ჩანს, საიდანაც ქართველ მეფეთათვის სადედოფლოების შერჩევა სრულიად რეალური და ადექვატური მოჩანს. რასაკვირველია, სადედოფლოების შერჩევა ხდება ოსეთშიც, თუმცა სავარაუდოა, რომ უფრო ხშირ შემთხვევაში, საქართვე-

ლოს დედოფლები სერირელები ხდებიან. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აღრეული ჩანს ოსისა და ალანის მცნება: როგორც ზემოთ ვთქვით, ყველა ოსი გამოუკლებლივ ალანია. თუმცა ყველა ალანი ოსი არაა, რუსი მეცნიერები ალანს კრებსით სინონიმად მიიჩნევენ, რომელშიც ოსების გარდა კავკასიის რამდენიმე ადგილობრივი ეთნოსი შედის. საქართველოსათვის, ეს ეთნოსები სავარაუდოდ ინგუში, ქისტი და ღლიღვი, გუმიკი და ფილანი უნდა იყოს, ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანული მოსახლეობა. რუსი ავტორისათვის, იაკობ რეინეგსისათვის (1779 წ) ალანები-ეს ღლიღვები ჩანს. რასაკვირველია ალანები მხოლოდ ღლიღვები ვერ იქნებოდნენ, თუნდაც პირველის მრავალრიცხოვნების და მეორის მცირერიცხოვნების მიზეზით, თუმცა ტერმინ ალანის კრებითობადობა აშკარად სახეზეა.

ლაზები:ზან-ზიხები,ჭანები

აქსიომაა, რომ ერთმანეთისაგან რამდენიმე ათას კილომეტრზე დაშორებულ სხვადასხვა რეგიონში თუ ერთი და იგივე ენაა გავრცელებული, ამ ენის პირველსამშობლო მხოლოდ ერთადერთი რეგიონი შეიძლება იყოს,სხვა ყველა ამ რეგიონიდან ჩამოსახლებული ხალხებითაა დასახლებული.კერძო შემთხვევაში საქმე გვაქვს უნიკალურ მოვლენასთან, რომ პირველსამშობლოში ხალხი, ტომი, ინარჩუნებს ეთნიკურ განზოგადოებას,თუმცა ენა სრულიად დაკარგულია. ქრესტომათიული მაგალითია ვენეციის ოლქი,რომლის ენაც (წარმომავლობაც!) თითქმის (1) მთლიანად დაკარგულია, თუმცა ამას ოლქისთვის ხელი არ შეუშლია 2014 წელს ჩაეტარებია რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ.

...ასევე, წინამდებარე კვლევებზე დაყრდნობით, სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ ქართველური ტომების წინარესამშობლო ადგილი-ეს ადრიატიკის ზღვის სანაპიროა.სანაპირო რომლის ერთ ბოლოში დღევანდელი ვენეციაა განლაგებული (როგორც ეტყობა დასავლურ ქართული ტომების პირველსამშობლო ინდოეთიდან გამოსვლის შემდეგ) ხოლო მეორე ბოლოზე ეპირი, კოლხეთყოფილი... შუალედურ ზღვისპირა სივრცეს, ილირიკად წოდებულს, ასევე დასავლეთ-ქართველური ტომები ავსებდნენ, რომელთა შორისაც უნდა მოიაზრებოდეს სხვადასხვა ტომები, მათ შორის ზანები- ლაზები და ზიხები, რომლებიც ილირიკიდან მიგრირებულნი, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ასახლებენ...და შავი ზღვის სანაპიროზე დასახლებული ზანების მრავალრიცხოვანი ტომი, ავტომატურად უნდა გულისხმონდეს ამ ტომების რიცხოვნობის არსებით შემცირებას (თუ არა სრულ გაქრობას) ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. ამასთან ეს პროცესი დროში აბსოლუტურად თანხვედრილი უნდა იყოს...

ზანი და ზიხი სავარაუდოდ თვითდასახელებაა ილირიული ტომისა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედეგად ფუძნდება აღმოსავლეთ საქართველოში. ვინაიდან არც ერთ ანტიკური ეპოქის ისტორიკოსთან სატომო სახელი ზანი არ ფიქსირდება, ჩვენი ამოცანაა მოვძებნოთ ის ილირიული ტომი მისი რომაული დასახელებით, რომელიც კავკასიაში ფუძნდება ზანის სახელით. ყურადღებას იქცევს კახეთის რეგიონი (და არა მარტო) უცნაური დასახელების საცხოვრებელი პუნქტებით: არტაანი, ართანა, ასევე მესხეთის მხარეში გავრცელებული არტაანი, არტანუჯი. ეს უკანასკნელი ლეონტი მროველის სიტყვებით,აზონის, არიან ქართლის მეფეყოფილის თავშესაფარი ხდება, საიდანაც დამხმარე ძალების მოზიდვის შემდეგ, რევანშისათვის ემზადება (2) საფიქ-

რებელია,რომ არტები იმ ილირიული ტომის რომაულ-ბერძნული სახელია, რომელიც კავკასიაში ზან-ლაზ-ზიხების სახელითაა ცნობილი. საბოლოო დასტური ამ საკითხის ასეთ გადაჭრაში თურქი მოგზაურის ევლია ჩელების თითქმის ბიოგრაფიული ცნობებია, რომელიც მე-17-ე საუკუნის შუა წლებში დღევანდელი ქალაქ სოჭის ტერიტორიის მახლობლად არტების არცთუ ისე მრავალრიცხოვან ტომს აფიქსირებს. (ეს არტების სახელი იკითხება ქართულ არტანაში, ართაანში, არტაანში და არტანუჯში. იგივე სახელი იკითხება ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში, ამბრაკიის ყურის მეორე,სავარაუდოდ უფრო არქაულ დასახელებაში, არტების ყურე. არტების ყურე მდებარეობს უშუალოდ ადრინდელი კოლხეთის, ეპირის მიმდებარედ, საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთის მხრიდან. იგივე არტები ფიქსირდება სპარსელთა (სავარაუდოდ ერთ- ერთი ტომის) პირველსახელში და რომელზეც საუბარი შემდგომ გვექნება...(და სხვაგანაც,სრულიად მოულოდნელ ტერიტორიაზე)...

თუმცა სავარაუდოდ ილირიკის ტერიტორიაზე მცხოვრები და შემდგომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე განსახლებილი ტომები განსხვავებული გენეზისისანი უნდა იყვნენ, რომელიც ილირიის ტერიტორიაზე ინდოევროპული (სლავური) ტომებისაგან სასტიკ შევიწროებას განიცდის და რომლის ისტორია მეტ-ნაკლებად მოხვედრილია რომაელი ისტორიკოსების თვალთახედვის არეში. პირველი ხელმისაწვდომი ცნობა ილირიაზე , ეს ჰეროდოტესთანაა, V საუკ- ჩვ.წ. აღრიცხვამდე:

„ხოლო ზნე-ჩვეულებები მათ (ასირიელებს) ასეთი აქვთ, ყველაზე ბრძნული ჩვენი აზრით,რომელსაც შევატყვე ილირიელი ენეტებიც მისდევენ“ (ჰეროდოტე,ისტორია თავი I-196 ,თბილისი 1975)

აქ ჩვენთვის საინტერესოა ილირიელების ფიზიკური ხსენება და უფრო მეტად ის,რომ ისტორიკოსი ენეტებს (შემდგომში ვენეტებს) ილირიელთა რიგებში ახსენებს, რაც მათი ეთნიკური და ტერიტორიული ერთიანობის აშკარა ნიშანია. ილირიკა,როგორც ირკვევა, იწყებოდა დღევანდელი ევროპის ალბანეთიდან ადრიატიკის ზღვის სანაპიროს გაყოლებით, მთელი ისტრებამდე და ვენეციის ყურემდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით. (რაც შეეხება ასირიელების და ენეტების ჩვევათა მსგავსებას, ასირიელები ტერიტორიული სამართალმემკვიდრენი ხდებიან ხალდებისა, რომელიც ყველა ნიშნით ენეტიკიდან მიგრირებული ხხხააალდები ჩანან)

„ილირიელთაგან ჩრდილოეთის მიმართულებით მოედინება მდინარე ანგრესი, ჩადის ტრიბალიკონის დაბლობში,აქ ერთვის მდინარე ბრონგოსს, ხოლო ბრონგოსი კიდევ ისტროსს“ (ჰეროდოტე,იქვე თავი -IV -49).

საკმაოდ ძნელია უძველესი ტერმინების განსაზღვრა,თუმცა ტრიბალიკონის დაბლობი ჰეროდოტესი, დღევანდელ ქალაქ ტრბოვლე-სთან ასოცირდება სლოვენიაში, მდინარეები ანგროსი და ბრონგოსი შესაბამისად მურა და დრავა უნდა იყოს. ჰეროდოტეს ეპოქაში ილირია ერთ მთლიან ორგანიზმად აღიქმება და ტრიბალთა (სავარაუდოდ თრაკიული ტომი) რომელი სახელს აძლევს დაბლობს (თუ პირიქით) ასევე ილირიელებში იგულისხმება.

„ალექსანდრეს წინაპარი მეშვიდე თაობაში პერდიკესი იყო.მან მაკედონელებზე ძალაუფლება შემდეგნაირად მოიპოვა: არგოსიდან ილირიაში გაიქცა სამი ძმა, ტემენოსის ჩამომავალთაგანი:გავანესი,აეროპოსი და პერდიკესი.ისინი ილირიული ქვეყნიდან გადმოვიდნენ ზემო მაკედონიაში."(იქვე თავი- VIII -137).

ამ ნაწყვეტიდან ცხადი ხდება, რომ მაკედონია არ წარმოადგენს ერთიან პოლიტიკურ სივრცეს. მართალია არც ილირია წარმოადგენს ასეთსავე სივრცეს ,თუმცა მისი ერთიანობა შორეულ წარსულში ,როდესაც რეგიონს ეს სახელი დაერქვა ,უდავო უნდა იყოს. გადავინაცვლოთ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე: ჰეროდოტე,რომელიც მეტ-ნაკლებად აღწერს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს,კოლხების დასავლეთის საზღვრად მდინარე ფაზისს (ფოთი) ასახელებს, სანამდისაც კოლხთა ტომის მრავალწლიანი მიგრაცია იყო მიღწეული. კოლხთა ჩრდილო-დასავლეთით პირველი მოსახლეობა ,რომელსაც ის აფიქსირებს სინდები და სინდიკეა, დღევანდელი ტამანის ნახევარკუნძულზე:

„ამ ხნის განმავლობაში წყალს რომ გადააქცევ ტალახი არ ჩნდება,ხოლო თუ დაანთებ ცეცხლს, გაჩნდება ტალახი. ზღვა იყინება და აგრეთვე კიმერიელი ბოსფორიც, ისე რომ თხრილის იქით მცხოვრები სკვითები ყინულზე გადადიან ეტლებით გაღმა და ლაშქრობენ იქ მყოფი სინდების წინააღმდეგ".(იქვე წიგნი - IV -28).

ჰეროდოტე თხრილში გულისხმობს მონაყოფილების და მათი შთამომავლების მიერ გაკეთებულ თხრილს, (პერეკოპი) რომელიც მონებმა და მათმა შთამომავლებმა გათხარეს ყირიმის ყელზე,რათა ხელი შეეშალათ მომხდურთ (ადრე იქ მცხოვრები სკვითები) შემოსვლისათვის ხერისონესზე (ტერიტორიაზე (3)

„სრუტიდან ფაზისამდე (ეს ხომ პონტოს ყველაზე გრძელი მანძილია) ცურვას უნდებიან 9 დღესა და 8 ღამეს.ეს იქნება 1110000 ორგია,ხოლო ამ ორგიებიდან გამოდის 111000 სტადიონი,ხოლო სინდიკიდან თემისკირამდე (პონტო აქ ყველაზე უფრო ფართოა) მანძილი სამი დღისა და ორი ღამის საცურაოა. ეს იქნება 33000 ორგია ,ხოლო სტადიონებით რომ ვიანგარიშოთ 3300 სტადიონი. ეს პონტოც, ბოსფორიცა და ჰელესპონტიც ასე გავზომე და ყველაფერი ისეა ,როგორც ზემოთ ვთქვი". (იქვე, წიგნი IV-86).

რატომღაც ჰეროდოტეს ამ თავის, IV-85-86-ზე არავინ არ ამახვილებს ყურადღებას,თუმცა ეს პარაგრაფები,აშკარად გვიან, არა უადრეს წელთა აღრიცხვების მიჯნაზე უნდა იყოს ჩამატებული და ასეც უნდა იყოს განმარტებული.(4) შემდეგი ისტორიკოსი, რომლის თვალთახედვისარეში ხვდება ილირიული ტომი, თუკიდიდეა,ჩვ.წ.აღრიცხვამდე IV საუკუნე:

„იონიის ყურეში (ადრიატიკის ზღვის დასაწყისი) შესვლისას ხელმარჯვნივ არის ქალაქი ეპიდამი.მეზობელ მხარეში ცხოვრობენ ტავლანტები-ბარბაროსული ტომი ილირიული ტომიდან. (თუკიდიდე.ისტორია.წიგნი 1-24).

ბარბაროსები-ასე უწოდებენ ყველა არაბერძენ ტომს ელინები, მისი მიხედვით შეუძლებელია განისაზღვროს ტავლანტების ვინაობა, ავტოხთონი ქართველურია თუ ასევე ინდოევროპული, მხოლოდ არაბერძნული... თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თუკიდიდეს აღწერილი ტავლანტები ეპირელები, კოლხყოფილები არ არიან, რომლებიც აღნიშნულ ადგილას ცხოვრებენ-ისენი ჯერ კიდევ ჰეროდოტეს დროიდან უკვე ელინებად ითვლეოდნენ.

„სხვათა შორის,სანამ ბრასიდი და პერდიკა თათბირობდნენ შემდეგ მოქმედებაზე,მოვიდა ცნობა რომ ილირიელებმა უღალატეს პერდიკას და გადავიდნენ არაბეისთან. ამიტომაც ორივე მეთაურმა ჩაიფიქრა უკან დახევა ილირიელების შიშით, რამდენადაც უკანასკნელნი ძალზე მეომარი ტომი იყო“.(იქვე, 4-125)

მაკედონელთა სარდალი პერდიკაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, იმ მაკედონელებისა, რომლებიც ერთი საუკუნის შემდეგ ევრაზიის კონტინენტს აზანზარებენ, ბრასიდის, სპარტელ მებრძოლთა მეთაურის სიმამაცე ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ორივე მათგანმა თავისი ჯარებით ძლივს დააღწია თავი ილირიელთა შემოტევას და დიდ გმირობად ჩათვალა მცირე დანაკარგებით უკან დახევა. ამასთან, თუკიდიდესთან ილირიკა ჯერ კიდევ ჰომოგენურ, ერთგვაროვან მასად და ტომებადაა ჩათვლილი. ეჭვგარეშე დგას დიოდორე სიცილიელის ცნობა, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარში 5 ათასი ბარბაროსი, სკორდიქსი, ტრიბალი და ილირიელი მონაწილეობს. სკორდიქსი- ეს მაკედონელთა თრაკიელი მეზობლებია ზეგანზე და არა ზღვის სანაპიროზე, სადაც ილირიელები დომინირებენ. რაც შეეხება ტრიბალებს, ისინი ილირიკიდან დასავლეთით, საკმაოს შორს მოიაზრებიან. ცხადია, სკორდიქსები და ილირიელები, როგორც მაკედონიის უშუალო მოსაზღვრეები და მეზობლები, გაცილებით მეტ მოლაშქრეს გამოიყვანდნენ, ვიდრე შორეული ტრიბალები. დიოდორე სიცილიელის ცნობით, აღნიშნული მასა ჯარისკაცებისა თითქმის მთლიანად კავკასიაში რჩება. ქართული წყაროების ცნობით , მათი მეთაური აზონია, არიან-ქართლის მეფის შვილი.მისივე ინიციატივით ჩამოყვანილ იქნა 1000 ოჯახი (დაახლოებით 7 000 სული) უფრო მეტიც , ფარნავაზთან პირველ ომში დამარცხებული აზო თავშესაფარს არტანუჯში პოულობს. სავარაუდოა რომ ქართველი მე-

მატიანე ამ შემთხვევაში უკიდურესად სარწმუნო წყაროებით სარგებლობს. ჰეკატე მილეტელი აქ მხოლოდ კოლების ტომს აღნიშნავდა. თუ არტები უკვე მოსახლეობენ აქ, ესენი მხოლოდ იმავე აზოს გადმოყვანილი შეიძლება იყოს, ვინაიდან,ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა სულ სხვა მარშრუტით მიმდინარეობდა. ასეა თუ ისე კოლებს შეფარებული აზო, რომელიც რევანშისთვის ემზადება, რასაკვირველია ვერ დაეყრდნობოდა კოლთა ჯარებს და ახალ ლაშქრის (და მოახალშენების) ისევე ადრიატიკიდან მოწვევას ეცდებოდა. მისი ახალი ლაშქარი ფარნავაზის გაერთიანებულ ლაშქარზე (იბერებს პლუს კასპები და ზანები, ლეონტი მროველის მიხედვით, ლეკები და ალანებიც) ნაკლები არ უნდა იყოს. სავარაუდებელია, რომ აზონმა რამდენიმე ათასი მოლაშქრე და მოახალშენე გადმოიყვანა არა ადრიატიკიდან, არამედ საბერძნეთიდან, არტების ყურიდან ეპირის მოსაზღვრედ, სადაც არტების ტომის საცხოვრისია დაფიქსირებული (სავარაუდოდ, ენეტიკა,რომლის მცხოვრებლები რომის მოქალაქეები არიან, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობაში არ მონაწილეობენ). აზონის დამარცხების და სიკვდილის შემდეგ, მისი არმიის ცოცხლად დარჩენილი ნაწილი აქვე კავკასიაში რჩება უთუოდ.

შემდეგი ავტორი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონს ეხება, ეს აპპიანეა თავის ნაშრომში „რომის იმპერია“. მართალია ქრონოლოგიურად აპპიანე შედარებით გვიანდელი ისტორიკოსია (95-175 წ ჩვ.წ. აღრიცხვით) მაგრამ მისი ისტორიული წიაღსვლები წვდება ალექსანდრე მაკედონელის მოღვწეობის ეპოქას (IVსაუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვამდე). იმედი ვიქონიოთ,რომ აპპიანე საიმედო და ზუსტი წყაროებით სარგებლობდა :

„ელინები თვლიან ილირიელ ხალხებად მათ, ვინც ცხოვრობს მაკედონიასა და თრაკიას ზემოთ, ხაონებიდან და თესპროტებიდან (ხაონები და თესპროტები ეპირში მცხოვრები უკვე გაელინებული კოლხები იყვნენ) მდინარე ისტრამდე (დუნაი). ასეთია ქვეყნის სიგრძე,ხოლო სიგანეში გადაჭიმულია მაკედონიიდან და მთიული თრაკიელებიდან პეონებამდე. იონიის ზღვიდან და ალპების მთების დასაწყისამდე ...როდესაც რომაელები ზომავდნენ ამ ქვეყანას , მათ განსაზღვრეს სიგრძე მეტი, ვიდრე ექვსი ათასი სტადიონი (1200კმ) ხოლო სიგანე დაალოებით ათას ორასი სტადიონი (213 კმ) (აპპიანე.რომის ისტორია. მოვლენები ილირიაში 1-1).

ავტორი აქვე აღნიშნავს,რომ ილირიელი ხალხი მრავალი და მრავალრიცხოვანი იყო. (არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ ავტორი ცხოვრობს იმ ეპოქაში, როდესაც მთელი ილირიკა (ვენეტიკის გამოკლებით) დაქუცმაცებული და დასახლებულია ძირითადად ინდოევროპული ტომებით, ხოლო ავტოხთონი (წინარე მაცხოვრებელი) ტომები უკვე განდევნილია ან ასიმილირებულია ინდოევროპულ ტომებში. აპპიანეს დასახელებული აქვს შემდეგი ტომები, მცხოვრები ილ-

ირიაში: ტავლანტები, პერრები, ენხელეი, ავტარიატი, დარდანი, პარტენი, დეესარტიი, დარსები, პეონი, სკორდიქსი, ტრიბალი. მისივე ნაწერიდან ცხადი ხდება, რომ სკორდიქსი და ტრიბალი, პეონის შთამომავლებია ე.ი შემდგომი , მოსული ტომებია (შესაბამისად ინდოევროპული) და არა ავტოხთონები:

„მე ვერ შევძელი მიმეკვლია, საიდან წამოვიდა ეს სახელები , მაგრამ ისინი იყენებენ მას ახლაც, გადასახადი ამ ხალხებზე , ისტროსის სათავეებიდან პონტოს ზღვამდე, ისინი (რომაელები) იძლევიან გამოსასყიდად,როგორც ერთ მთლიანს და უწოდებენ მას ილირიულ გადასახადს.(5) რაც შეეხება იმას, როდის დაიმორჩილეს ისინი რომაელებმა, მე ღიად ვაცხადებ,რომ ვერ მოვნახე ზუსტი დასაწყისი (აპპიანე იქვე 1-6)“.

ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში ილირია დაუხარკავი ჩანს.მათი დახარკვა რომაელების მიერ გაცილებით გვიან მომხდარი ჩანს.

„ილირიელთა ტომი, როგორც ბუნებრივია ასეთ დიდ ქვეყანაში , მრავალი იყო, ცნობილია ახლაც.მათ ეკავათ დიდი ნაწილი სკორდიქსებისა და ტრიბალებისა, რომლებმაც ისე გამოფიტეს ერთმანეთი, რომ თუ ვინმე გადარჩა ტრიბალებიდან, გაიქცა ისტროსის იქით გეტებთან და ტომი, აყვავებულ ფილიპემდე და ალექსანდრემდე (იგულისხმება მაკედონელი) ითვლება ახლა ჩამქრალად... ასეთივე სახით <u>არდიები, გამორჩეული თავისი საზღვაო ძალებით,მრავალ ზიანს</u> აყენებდნენ <u>ავტარიებს, უმძლავრესს ხმელეთზე, იყვნენ მათ მიერვე განადგურებული ‘’ (აპპიანე იქვე 1-3)

აპიანე თავის შფასებებში გადაჭარბებული ჩანს:

1.მისივე ნაწარმოებში (და სხვებთანაც) ასევე გვხვდებიან არდიები, თუმცა სავარაუდოდ დიდად შემცირებულნი.

2.მართალია აპპიანე, მანამდე სტრაბონიც წარსულში ერთობ მნიშვნელოვანად მრავალრიცხოვან ტომად ასახელებენ ავტარიებს, მაგრამ იმდენად რამდენადაც სტრაბონთან მათი განთავსების ადგილი არაა მითითებული,ისინი ამ ტერიტორიაზე უკვე აღარ ჩანან!

3.აპპიანე უძლიერეს ტომად ასახელებს ავტარიებს, თუმცა სხვა ავტორებთან ამ ტომის შესახებ სხვა აზრებიც გვხვდება.

აპპიანეს მონაცემებიდან გამომდინარე, ორი ტომი, არდიები და ავტარიატები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. არდიებს, საუკეთესო მეზღვაურებს, გადაშენებულად აცხადებს აპპიანე. ალექსანდრე მაკედონელის ილირიელი თანამებრძოლების დიდი ნაწილიც ლაზები ჩანან... მართალია არდიებს გადაშენებულად აცხადება აპპიანე, თუმცა:

„არდიები და პალაროები ძარცვავდნენ რომაელთა დაქვემდებარებაში მყოფ სხვა ტომებს. სხვა საქმეებით დაკავებულმა რომელებმა გაუგზავნეს მათ ელჩები საყვედურის გამოსახატად, როცა მათ არ შეცვალეს მოქცევა, რომაელებმა

გააგზავნეს ათი ათასი ფეხოსანი და ექვსასი მხედარი. გაიგეს რა ლაშქრობის შესახებ, მოუმზადებელმა ილარიელებმა გააგზავნეს ელჩები რომაელებთან. სენატმა მათ მოსთხოვა აენაზღაურებინა ზარალი მათთვის, ვისაც უსამართლოდ მოექცნენ. რამდენადაც მათ მოთხოვნა არ შასრულეს, მათ წინააღმდეგ გაემართა ფლავიუს ფლავკი და ომი ამ ერთი შეჭრით დამთავრდა. (აპპიანე იქვე 1-10)

ერთობ ყურადსაღები და საინტერესოა ცნობები ილირიაზე სტრაბონთან, ტომით სირიელ რომაელ ისტორიკოსთან:

„პანონიელების ტომია: ბრიევკები, ანდიზეტი, დიტიონი, პირიუსტი, მაზაი, დესიატიატი (ბატონი-მათი უფროსი) და სხვა უმნიშვნელო და ნაკლებად ცნობილ ხალხებს, რომლებიც სამხრეთისაკენ გადაჭიმულია დალმაციამდე და თითქმის არდიებამდე" (სტრაბონი წიგნVII; 5-3-4)

სტრაბონის მერ ზემოთ ჩამოთვლილი ტომები პანონიელებია, დღევანდელი გადასახედიდან უნგრელები...და ჩრდილოეთ კავკასიის ავარიელები... როგორც ჩანს, ისინი ევროპას ატილას და ჰუნებამდე (V საუკუნე) გაცილებით ადრე ასახლებდნენ. სტრაბონის მიერ პანონიელები დაფიქსირებულია დღევანდელი ხორვატია, ავსტრია, უნგრეთის სამკუთხედზე.ამ ციტატიდან იკვეთება, რომ არდიები (განთქმული ზღვაოსნობით) დასახლებულნი იყვნენ დალმატეზის გაგრძელებაზე, აღმოსავლეთის მიმართულებით ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, დალმატებისგან აღმოსავლეთით...მართალია აპპიანე გადაშენებულად თვლის არდიებს, სტრაბონი თითქმის ორი საუკუნით ადრე ასე ახსენებს მათ:

„მერე მოდის დალმატების საზღვაო სანაპირო და მათი ნავმისადგომი სალონი. ეს ერთ-ერთი ტომია, რომელიც დიდხანს ეომებოდა რომაელებს... ძალიან დიდი ქალაქია, რომლის მიხედვით ტომი იწოდება დალმატებად-დალმიი... შემდეგ მოდის მთა ადრია, რომელიც დალმატებს ყოფს შუაზე, ერთი მიმართულებით ზღვისკენ, მეორე საწინააღმდეგო მხარეს, მერე მდინარე ნერონი - და ხალხები მასზე დაორიზები, <u>ადრიები</u> და პალარიები, ამ უკანასკნელთა ა ხლოს მდებარეობს კუნძული კორკირა, <u>არდიების</u> ახლოს არის კუნძული ფაროსი". (იქვე 5-6)

მკითხველს შევახსენებ, რომ კუნძული ფაროსი დღევანდელი ხორვატიის უკიდურესი აღმოსავლეთ სანაპიროსთან ახლოს მდებარე კუნძულია, ხოლო პალარიები, რომელთა უშუალო სიახლოვესაა კუნძული კორკირა-ესუკვე თავად ეპირია, ოდესღაც კოლხეთყოფილი, რომლს წინაც კუნძული კორკირა მდებარეობს, რამდენიმე კილომეტრზე ზღვის სიღრმეში...

„ყველაზე დიდი და უკეთესი ილირიული ტომი, იყო ავტარატები ოდესღაც ისინი აწარმოებდნენ გაუთავებელ ომებს არდიებთან მარილის გამო, რომელსაც გაზაფხულის დროში საზღვარზე მოიპოვებდნენ წყლებიდან რომელიც მიმდი-

ნარეობს ერთ ხეობაში. მარილი მოიპოვებოდა ჩვეულებრივ ხუთი დღის შემდეგ, ამ ორ ხალხს შორის არსებობდა პირობა მოეპოვებინათ მარილი მორიგეობით, როგორც კი დაირღვევოდა პირობა მცირეოდენით მაინც, მათ შორის იწყებოდა ომი. ავტარიატებმა დაიმორჩილეს ოდესღაც ტრიბალები, განლაგებული აგრიანებისაგან 15 დღის სავალ მანძილზე და ისტროსზე, გახდნენ სხვა თრაკიელების და ილირიელების მბრძანებლები. დაპყრობის გზაზე ის გააჩერეს თავ იდან სკორდიქსებმა, მერე რომაელებმა, რომლებმაც დაიმორჩილეს თვითონ, სკორდიქსები, დიდხანს დიდი ძალის მფლობელები'' (სტრაბონი იქვე 5-12)

სტრაბონის ეს ციტატა მრავლისმეტყველია და მრავლის მომცემი :

1. სკორდიქსები - ოდრისების დიდი სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ტო-მია. თავისი სიძლიერის ზენიტში ეს პოლიტიკური წარმონაქმნი მეფე სიტალკის ეპოქაში იყო, (431-424 ჩვ.წ აღრიცხვამდე) სტრაბონის ნათქვამი რომ ავტარიატები დაპყრობით ომების (სტრაბონი ავტარიატებს და მათ სიძლიერეს მხოლოდ წარსულ დროში ახსენებს ტომის საცხოვრისიც კი ვერ ფიქსირდება, თუმცა ისინი არდიების მეზობლები ჩანან-სავარაუდოდ ავტარიატები დღევანდელი ალბანები ჩანან) გზაზე გააჩერეს სკორდიქსებმა, ეხება სინამდვილეს რომელიც შეიქმნა V ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე. თვითონ ოდრისების მეფე დაიღუპა 424 ჩვ.წ. აღრიცხვამდე ზუსტად იმ ტრიბალებთან ომში როელიც დაამარცხა და დაიქვემდებარა ავტარიატთა ტომმა ოდესღაც.

2. ავტარიატებსა და არდიების დამოკიდებულებაზე სტრაბონს ზუსტად იგივე აზრი აქვს გამოთქმული, როგორც აპპიანეს. ეს უკანასკნელი ილირიელ ტომებს შორის უმამაცესად არდიებსა და ავტარიატებს ასახელებს.

3. განსხვავებული აზრისაა ავტარიატებზე ფლავიუს არიანე . მისი სიტყვებით, ალექსანდრე მაკედონელმა გაიგო გეტების დალაშქვრიდან უკან მობრუნებულმა, რომ მის მოლაშქრეებს გზაზე ავტარიატები უპირებდნენ თავდასხმას. აგრიანების მეფემ ,ლანგრმა მოახსენა რომ ავტარიატები ყველაზე მშვიდობიანი ტომია და მათზე ფიქრიც არა ღირსო. სუფთა ადამიანურად გასაგებია, რომ ნებისმიერი ტომი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე უმამაცესია ან პირიქით. ერის, ტომის მაღალ თუ დაბალ ბრძოლისუნარიანობას უახლესი ისტორიის მაგალითები განსაზღვრავს.(8)

4. არდიებისა და ავტარიატების ტომები განლაგებულნი ჩანან დალმატებსა და ეპირელებს შორის, ამავე თანამიმდევრობით (თუმცა სავარაუდოდ ისინი თავიდან ილირიკის გაცილებით მეტ ფართობზე ჩანან დასახლებული, თვით დალმატების დასავლეთითაც კი)

5.სტრაბონის და აპპიანეს მიხედვით,არდიებისა და ავტარიატების ტომი ფიზიკურად ქრება ადრიატიკიდან , ის მხოლოდ ისტორიის ფურცლებზეა შემონახული. ცხადია,ალექსანდრეს ილირიული მოლაშქრეების დიდი ნაწილი , ეს არდ-

იათა და ავტარიატთა ტომია. აზონის მიერ 1000 იჯახის გამოყვანა IVსაუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე,ამ ზღვის სანაპიროზე მათ ყოფნას არსებითად ასუსტებს... ხოლო არდიების-ლაზების და ავტარიატების ზიხების ფაქტიური გაქრობა ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან- მათი შავი ზღვის ჩრდილო სანაპირის ათვისების პროცესის თანხვედრილი უნდა იყოს. (დინამიკა ზიხების განსახლებისა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, თვალნათლივ იკვეთება სტრაბონისვე ჩანაწერებში, მოყოლილი არტემიდორიდ ან, მითრიდატე ევპატორის ეპოქის ისტორიკოსიდან) დარჩენილი ნაწილი არდიების, პალაროების და ავტარიატებისა-ეს დღევანდელი ალბანები ჩანან.(9)

„ არდიებს ბოლო დროს უწოდებენ ვერდეებს.უნდა აღინიშნოს,რომ რომაელებმა ისინი გადაასახლეს ზღვის პირიდან მატერიკის სიღრმეში და აიძულეს მიწათმოქმედებით დაკავებულიყვნენ, იმდენად რამდენადაც ისინი გამუდმებით აწუხებდნენ ზღვაოსნებს მეკობრეობით.არდიების ქვეყანა უსწორმასწოროა და უნაყოფო. ამიტომაც აქ არ არის მიწათმოქმედი მოსახლეობა, ასე რომ ეს ტომი შეიძლება მთლიანად დაიღუპოს. ეს ხდება სხვა აქაურ ტომებთან: ოდესღაც ძალიან მძლავრი,ახლა ან ძალიან დასუსტდნენ ან გაქრნენ, გალატებთან ბოი და სკორდიქსი, ილირიელებთან ავტარიატები, არდიები და დარდანები (10),თრაკიელებთან ტრიბალები“(სტრაბონი,იქვე 5-7).

არანაკლებ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია სტრაბონის ეს ცნობა: სტრაბონს აქ პირდაპირ აქვს მითითებული ავტარიატებზე,როგორც ილირიელთა გამქრალ ტომზე, გამქრალს როგორც ვხედავთ ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან. სტრაბონი ხაზს უსვამს , რომ დარდანების ტომიც გამქრალია სკორდიქს-ილირიელებთან ერთად:

„ფილიპე მაკედონელმა იერიშით აიღო დარდანების ქალაქი სინტია, რომელსაც შეეძლო მაკედონიისაკენ გზის გახსნა“ (ტიტუს ლივიუსი. XXVI-25,3)

ლივიუსის სიტყვებით სინტია დარდანიის ქალაქია, სინტიელები შესაბამისად დარდანია.

„მხოლოდ მუზას არ ეშინია არცა მახვილის და
არცა სინტელი მეომრის,
არც ზღვის, არცა ქარების, არცა ბარბაროსების“
(ოვიდიუს ნაზონი “ტრისტია“ IV 1, 19)

სავარაუდოა, რომ სტრაბონთან დაკარგული სინტების ტომი , ოვიდიუს ნაზონის მიერ აღწერილ ნაწარმოებში, რომელშიც აღწერს მეზობელ ტომებს ქალაქ ტომოსის (დღევანდელი რუმინული ზღვისპირა ქალაქ კონსტანცა) სიახლოვეს, ხვდება ტომების აღრიცხვის მისეულ ნუსხაში სინტია და დარდანი-ეს რუმინული ტომებია!

6.სტრაბონი პირდაპირ მიუთითებს იმ მიზეზებზე, რამაც შეიძლება არდიების

(და ავტარიატების) ტომის გადაშენება გამოიწვიოს. ეს ზღვაოსანი ტომი, რომელსაც აპპიანეს სიტყვებით უძლიერესი ფლოტი ჰყავდა, რომაელებმა უსწორმასწორო (მთებში) ადგილას გადაასახლეს, მწირ მიწაზე.

7.აპპიანეს ცნობები, რომ ადრიებმა და ავტარიატებმა ომებით გამოფიტეს ერთმანეთი და გადაშენდნენ, აუცილებლად შეიცავს სიმართლის დიდ ნაწილს. მართალია, როგორც ირკვევა მათი გადაშენება ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან სრულიადაც არ ნიშნავს მათ გაქრობას პირისაგან მიწისა.აპპიანეს აღწერა არდიებისა და პალარიებისა ეხება III-I საუკუნეს ჩ.წ. აღრიცხვამდე. სტრაბონი მათ შეჭირვებულ მდგომარეობას ხედავს ძველი და ახალი წელთა აღრიცხვის გასაყარზე, ხოლო მათი გაქრობა ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან ემთხევავა აპპიანეს მოღვაწეობას, ან ოდნავ წინ უსწრებს მას.

8.სტრაბონისეული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს აღწერის ქრონოლოგიური მიმდევრობა: სინდები,კერკეტები,ახაიელები, ჰენიოხები, ზედმიწევნით მიყვება არტემიდორისეულ აღწერას (II-საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვამდე). ამ ჩამონათვალში ადგილი არ მოიპოვება ზიხებისათვის , რაც თვალნათლივ აჩვენებს ამ ტომების არტემიდორის მოღვაწეობის შემდგომ ჩამოსახლებას.

9.სტრაბონისეული ნათქვამი, რომ უფრო მეტი დაეჯერებათ მითრიდატული ომების მემატიანეებს, რომლებიც მისი სიტყვებით ზიხებს პირველ რიგში ახსენებენ , ასევე პირდაპირ მიუთითებს,რომ ზიხთა დასწრებულობა უცხო არ არის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე უკვე I საუკუნეს ჩვ.წ აღრიცხვამდე პერიდიდან.

10.ზიხების მიგრაციის საწყის პერიოდად ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან I საუკუნე ჩვ.წ აღრიცხვამდე უნდა ჩაითვალოს, თუმცა სტრაბონის ეპოქისათვის ეს პროცესი ჯერ კიდევ უსრული ჩანს

11.როგორც ფლავიუს არიანეს„მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ცნობილია 136 წლისათვის, უკვე ჩვენი წელთა აღრიცხვისა,ზიხები-ძილქები დასახელებულია ტერიტორიულად სანიგების შემდეგ (ნაწილობრივ მათი, ახაიელების, კერკეტების და თვით სინდების ტერიტორიაზეც კი) დღევანდელი სოჭის ტერიტორიამდე, თვით ტამანის ნახევარკუნძულის ჩათვლითაც კი (ფლავიუ არიანე სანიგების შემდეგ მხოლოდ ზიხების ტომს და მათ მეფეს, სტაქემფაკს აღნიშნავს) ზიხების მიგრაციის მარშრუტის განსაზღვრა ძნელი არ უნდა იყოს: ადრიატიკის ზღვა, მაკედონია,ბოსფორის სრუტე,შემდეგ მცირე აზიის ტერიტორია ტრაპეზუნტამდე, სადაც ზიხების ნაწილი „ჩამომჯდარი“ჩანს (ტრაპიზუნტელი ლაზური ტომების სახით) შემდეგ ჭოროხი (ჯურუ) და გადაადგილება კოლხეთი-შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე.

12.რაც შეეხება ლაზებს, მათი ნაწილი ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისას დასახლდა აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მათი ნაწილი,

ჰენიოხებად დ სანიგებად,ჩანდებად ცნობილი, ოდნვ მოგვიანებით მკვიდრდე-ბა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე.
...და კიდევ, არდიებიდან არტებამდე-ართებამდე მხოლოდ მინიმალური გან-სხვავებაა...

ლაზები და ზიხები

რატომღაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია რომ ლაზები და ზი-ხები -ეს ორი სხვადასხვა ხალხია, რაც ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისაგან. ცდომილების წყაროს ზიხთა საცხოვრებელი ადგილი უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ისტორიის თითქმის არც ერთ ეპოქაში, ერთიანი საქართველოს შემა-დგენლობაში არ ყოფილა. როგორც ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ბერძნ-რომაელი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ ისინი ავტონომიური "ბარბარო-სი'' ტომებია, თუმცა ტერმინ ზი-ხის გენეზისი უცილობლივ ისეთივეა, როგო-რიც კოლ-ხი, ტაო-ხი, კა-ხი ნაწარმოებია სუფიქსი ხი-თ. განსხვავებული წარმო-ების ფორმის ჩანს ტერმინი ლაზი. ისე ისეთივე პრეფიქსით ჩანს წარმოებული ,როგორიცაა არა ერთი კოლხურ-ჭანური ადგილის თუ წარმომავლობის აღმნი-შვნელი სიტყვა, მაგალითად: ლა-გოდეხი; ლა-ტალი; ლა-ხამულა; ლა-ილაში; ლა-ჯიმოლი; ლა-ზი (საგულიხსმოა,რომ ლა-პრეფიქსი ხშირად ჩანაცვლებული ჩანს პრეფიქსით ლე: ლე-ჩხუმი; ლე-ძაძამე; ლე-ხაინდრე; ლე-სიჭინე და სხვა მრავალი.ზიხის და ლაზის საერთო ძირი მარცვალი ზი-ჩანს, რაც უდავოდ მათ იდენტურობას მიუთითებს. (ზი-ხის და ლა-ზის იდენტურობა მტკიცდება აფხა-ზეთის გლეხობის დიდ საკათალიკოზო დავთარის გვარობრივი ჩამონათვალ-ით, თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ)...მართალია ტერმინ ზიხების ხსე-ნება უცხო არ უნდა იყოს მითრიდატული ომების ისტორიკოსებისათვის (1 სა-უკუნე ჩვ.წ აღრიცხვამდე), რომელსაც სტრაბონი ახმოვანებს:
„ ზღვასთან განთავსებულია ბოსფორის აზიური ნაწილი და სინდების ოლქი .მას შემდეგ ცხოვრობენ ახაიელები, ზიგები,ჰენიოსები, კერკეტები და მაკროპა-გონები" . (სტრაბონი წიგნი XI- 2-1)
„სინდების ოლქის და გორგოპიის შემდეგ,რომელიც ზღვაზეა, მოჰყვება სანაპი-რო ახაიელებისა,ზიგებისა და ჰენიოხებისა". (იქვე 2-12)
„...შემდეგ არტემიდორი ასახელებს კერკეტებს (სადაც არის ხომალდთა სადგ-ომი და დასახლება) სიგრძით თითქმის 850 სტადიონი (125, 8 კმ), მერე სანაპი-რო ახაიელებისა - 500 სტადიონი (74 კმ); შემდეგ ხმელეთი ჰენიოხებისა -1000 სტადიონი (148 კმ);შემდეგ დიდი პიტიუნტი 360 სტადიონი (53, 3 კმ) თვით დი-ოსკურიამდე. მითრიდატული ომების ავტორები, რომლებიც იმსხურებენ მეტ ნდობას პირიქით ასახელებენ პირველად ახაიელებს,მერე ზიგებს, მერე ჰენიოხ-

ებს, მერე კერეტებს, მოსხებს, კოლხებს ,მცხოვრებს მათ ზემოთ ფტიროფაგებს და სოანებს და მრავალ მცირე ხალხებს კავკასიის მახლობლად“. (იქვე 2-14)

სტრაბონისეული ცნობები ვერ იძლევა ზიხების დასახლების ადგილის ზუსტ მონაცემებს,თუმცა გარკვეული ტენდენცია სახეზეა:

1.არტემიდორი, რომლის ცნობები თითქმის ნახევარი საუკუნით უფრო ადრინდელია ვიდრე ნებისმიერი მითრიდატული ომების აღმწერებისა, ასახავს იმ რეალობას,რომელიც ჩამოყალიბებული ჩანს მისი ეპოქისათვის,ამასთანავე მის მიერ ზიგთა არდასახელება ცხადად მიანიშნებს,რომ II-I საუკუნეების გასაყარზე ჩვ.წ აღრიცხვამდე, ისინი ჯერ კიდევ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში საცხოვრებლად არ გადმოსულან.

2.აპპიანეს ცნობით მითრიდატე ევპატორმა, რომელიც თავს დაესხა კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრებ ახაიელებს დაკარგა თავისი ძალების ორი მესამედი შეტაკებებში. მიუხედავად გამარჯვებისა კერკეტების მიერ ეს სანაპიროები დატოვებული ჩანს (11)

ლაზების პირველი ხსენება რომაელ ანტიკურ პოეტთან, ოვიდიუს ნაზონთანაა. გადასახლებული ქალაქ ტომოსში (დღეს რუმინული ქალაქი კონსტანცა) თავის ნაწარმოებში„ტრისტია”აღწერს მისთვის ნაცნობ უახლეს ტომებს:

<u>jazyges et colchi</u> vix prohilemluz aquis tibazanaeque tuzba getalgue (43-18წ)

ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ლაზებს ავტორი ახსენებს, ახსენებს შავი ზღვის სანაპიროზე წელთაღრიცხვების გასაყარზე. აღნიშნული სანაპიროს აღწერის მცდელობა აქვს პლანიუს უფროსსაც. მის აღწერაში უკვე ოფიციალურად მოხსენებულია ლაზები, შემდეგ ზიხები და თავად ხერსონესზე ქალაქი კიუტსი, რომელის მცხოვრებლები კვლევების შედეგად ისევ კოლხურ-ქართველურ ტომად გვევლინება.

„ ამ ადგილის მთებს იქით იბერიაა,ხოლო სანაპიროზე ჰენიოხები,ამპრევტები,ლაზები, მდინარეები აკამფსეონი, ისისი,ნოგრი,ბატისი“ (პლინიუს უფროსი წიგნი VI. IV. 12)

ლაზები-პლინიუს უფროსის ჩამონათვალის მიხედვით, დღევანდელი ქობულეთის მიდამოებში ჩანს მოხსენებული, თუმცა ამას არც არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს:

„ტანაისთან ცხოვრობენ.....ზაკეტები, ზიხები....’’(იქვე; VI-19)

თავად ხერსონესზე მართალია პლინიუს უფროსი ზიხებს არ ახსენებს, მაგრამ მოხსენებული აქვს ქალაქი კიუტსი, რომლის დამფუძნებელი და მცხოვრებნი მე-17-ე საუკუნისათვის ერთმნიშნელოვნად ქართველურ ტომად ფიქსირდება. გარდა ამისა ამ ხალხის ისტორია ერთობ არაორაზროვნად არის გადაჯაჭვული ქართველურ ისტორიასთან თავად ბერძენთა შემოქმედებაში ,რომელიც რამდენიმე საუკუნის წინ და რამდენიმე საუკუნის შემდეგაც არაერთი არქაული ლი-

ტერატურული ძეგლის ფაბულაა არგონავტიკად სახელდებული. (12)
...კომპეტენტური წყარო,რომელიც ფაქტიურად ფასდაუდებელი ინფორმაციის შემცველია, ეს ფლავიუს არიანე და მისი ნაშრომი „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“

„ძიდრიტების (ფარსმანის ქვეშევრდომები) გვერდით ლაზები არიან,ლაზების მეფე მალასაა,რომელსაც ტახტი შენგან აქვს მიღებული, ლაზების მეზობლები აფსილები არიან (ფლავიუს არიანე.მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო-11. -1961)

საინტერესოა, რომ ტერიტორიულად ძიდრიტებიდან აფსილებამდე, ფაქტიურადაც თითქმის მთელი კოლხეთი სახელწოდებულია ლაზეთად. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება, რომ ლაზთა ტომი კოლხეთის ტერიტორიაზე ჰეგემონი (უფროსი) გახდა- სინამდვილეს არ შეესაბამება. ლაზები, ემიგრირებული კოლხეთში, ფაქტიურად ხიზანის მდგომარეობაში გამოდიან, რომლებიც ვერავითარ შემთხვევაში ჰეგემონის როლს ვერ დაისაკუთრებდნენ. წარმოშობითი, ენობრივი და სავარაუდოდ რაოდენობრივი ფაქტორი (ილირიიდან ემიგრირებული ზანები, ავტარიატები და არდიები) გაცილებით მრავალრიცხოვანი ჩანან თავიანთ თანატომელ, (მაგრამ არა თემელ) კოლხებთან შედარებით,რამაც საკმაოდ დიდი ხნით კოლხთა სახელცვლილება გამოიწვია.

„აფსილების მეზობლები აბასკები არიან,აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან,მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი''(იქვე-16).

ის, რომ სებასტოპოლისი სანიგთა მიწაზე იმყოფება, განსაზღვრავს ამ მიწის სტატუსსაც:

1.მიუხედავად იმისა,რომ რომაელთა სამფლობელო სებასტოპოლისამდე ვრცელდება, ქალაქი მათ გამაგრებულ ციხე-სიმაგრედ გადაუქცევიათ, მაინც აღიარებენ ,რომ მიწა სანიგთა (ჰენიოხთა)კუთვნილებაა. რომაელთა და რომაელი გარნიზონის აქ ყოფნა, სავარაუდოდ ჰენიოხთა თანხმობასა და კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

„ესაა მთელი მანძილი ბიზანტიონიდან დიოსკურიამდე, თუ მისცურავ მარჯვნით. აქ მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის“.(იქვე17)

ცხადია,ჰენიოხია არ შედის რომაელთა სამფლობელოში.სებასტოპოლისი-ჰენიოხთა მიწაზე არსებული ქალაქია,სადაც რომაელი გარნიზონია დაბანაკებული, მისი მოსახლეობა კი შესაძლებელია მხოლოდ აფსილები იყვნენ. არ არის გამორიცხული, რომ აფსაროსიდან ,მათი წინარე სამშობლოდან საქართველოში, რომაელთა სურვილით და ხელშეწყობით გადმოსახლებულები

2. თუ სებასტოპოლი გაშენებულია სანიგთთა (ჰენიოხთა) მიწა- წყალზე, რასაკ-

ვირველია ასეთსავე მდგომარეობაში ჩანს მიწა-წყალი, რომელზედაც აბასკები ცხოვრობენ, რომელთა ტერიტორია სებასტოპოლისს ჩრდილოეთითაა.

„აქედან მდინარე მასაიტიკამდე ოთხმოცდაათი სტადიონია. აქედან მდინარე აქეუნტამდე-სამოცი. ეს მდინარე ჰყოფს ძილქებს (ზიხებს,ზიგებს) და სანიგებს. ძილქების მეფე სტაქემფაკია. ამასაც შენგანა აქვს ტახტი მიღებული. აქედან- ჰერაკლეს კონცხამდე ას ორმოცდაათი სტადიონი.აქედან ას ოთხმოცი სტადიონი ბორცვამდე ,რომელი იცავს (მოგზაურის) თრასკიული ქარისაგან და ბორეასისაგან.აქედან ძველ ლაზიკად წოდებულ ადგილამდე ას ოცი სტადიონია.აქედან ძველ აქაიამდე ას ორმოცდაათი. აქედან ნავსადგური პაგრამამდე-სამასორმოცდაათი.პაგრამიდანჰიერონის ნავსადგურამდე -ას ორმოცი.აქედან სინდიკემდე-სამასი“.(იქვე 18)

საყურადგებო და მრავლისმომცემი აღწერილობაა:

1.აღნიშნული მანძილი, არიანეს ვერსიით,სულ 1990 სტადიონად არის გაზომილი, მაშინ როდესაც სტრაბონისეული(არტემიდორის) ვერსიით იგივე მანძილი 2700 სტადიონს აღემატება. ცხადია,სტრაბონის და არრიანეს სინდიკე ერთი და იგივე პუნქტი არაა, მისი „სინდიკე“ რამდენადმე ახლოსაა იმავე სებასტოპოლისთან-დიოსკურიასთან.

2.ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ სტრაბონისეული და არიანესეული სინდიკეეს სრულიად სხვადასხვა ობიექტია.სტრაბონისეული ბატი,მდებარე სინდიკესაგან 400 სტადიონით აღმოსავლეთისაკენ,ეს ფლავიუს არიანესთვის სინდიკეა!

3.მიუხედავად იმისა,რომ მანძილები სტრაბონთან და არიანესთან განსხვავებულია ერთმანეთისაგან, თვით ტერმინ ძველ ლაზიკის (და ძველი ახაიას) დასახელებითაც ცხადად ჩანს, რომ ზიხები დასახლებული არიან სანიგების (ჰენიოხების) მიწების გარკვეულ ნაწილზე მდინარე დაგომისის ჩრდილო დასავლეთით.

4.ის, რომ აღნიშნულ ტერიტორიას უკვე არიანეს ეპოქაში ძველი ლაზიკა და ძველი აქაია ჰქვია, მიანიშნებს რომ ეს ტერიტორიები აღნიშნულ ტომებს აღარ ეკუთვნით...და მაინც რატომ ძველი ლაზიკა? კითხვაზე პასუხის გაცემას ამავე ისტორიული ნაწარმოების V საუკუნისეული დუბლიკატით შევეცდებით:

„აქამდე მოდის პონტოს ბარბაროსული სამეფო ტიბარანიაში, სანიკესა და კოლხიდაში . მეზობელი მხარეები ავტონომიურ ბარბაროსებს ეკუთვნით (ანონიმი მე-5 ს -14).

ცხადია,ავტონომიური „ბარბაროსული“ ტომები მე-2-ე საუკუნეშიც, ფლავიუს არიანეს ეპოქაშიც არსებობდნენ. არიანეს სიტყვები, რომ სებასტოპოლისიეს სანიგების მიწაა, მიანიშნებს რომ ამ ტერიტორიაზე რომაელთა გარნიზონი დგას, თუმცა ჰენიოხია (უკვე სანიგებად წოდებული) რომაელთ ხელქვეითები არ არიან, ისევე როგორც ზიხები, (სტრაბონისეული აქაელები უკვე გადასახლებულები არიან) რომლებიც „ავტონომიურ ბარბაროსებად“ იხსენიებიან. ფლავ-

იუს არიანეს ეპოქაში (ანონონიმის ეპოქაშიც და გაცილებით გვიანაც) კოლხეთი-ეს უკვე ლაზიკაა. ბუნებრივია რომ ამ სახელით იხსენიება ლაზიკის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილიც და მისი ნაწილის გადასვლა ზიხების ასევე ავტონომიური ტომის ტერიტორიაზე და მიწაზე მესაკუთრის შეცვლა,იწვევს აღნიშნული ტერმინის წარმოშობასაც.(13)

„ნავსადგური ჰიეროსიდანან ნიკაქსიდან სინდიკემდე (ან სინდურ ნავსადგურამდე,ახლა ევდუსია რომ ჰქვია) ორას ოთხმოცდაათი სტადიონია, ორმოცი მილი...ახლა კი ე.წ. ევდუსიანები ცხოვრობენ, რომელნიც გუთურ ან ტავრიდულ ენაზე ლაპარაკობენ.(ანონიმი იქვე 21-22).

ანონიმის მიხედვით, სინდიკეში მოსახლეობის ცვლილება აშკარად ჩანს, თუმცა სინდები ამ ტერიტორიიდან გაცილებით ადრე ჩანან გადასული (სავარაუდოდ ხერსონესზე). ჯერ კიდევ ფლავიუს არიანე 132 წლისათვის, ამ ტერიტორიაზე სინდიკეს აღნიშნავს,მაგრამარა სინდთა ტომს. ევსტათი -პლაკიდა, მცხოვრები პირველი საუკუნის ბოლოს და მეორე საუკუნის დასაწყისში რომში (არიანამდე) ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთ ზიხებად მოიხსენიებს.

„გურგენმა (იბერიის მეფე) მოინდომა იუსტინე მეფის მხარეზე გადასულიყო და პირობა მიეღო , რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. მანაც დიდი სიამოვნებით მისცა ეს დაპირება და ბოსფორში გააგზავნა დიდძალი ფულით პრობე, გარდაცვალებული ანასტასის ძმისწული, პატრიკიოსი, რათა ჰუნების ჯარი ფულის საშუალებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა. ბოსფორი ზღვისპირა ქალაქია ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტოში რომ შედიხარ -მარცხნივ, ხოლო ქალაქ ქერსონესს,რომელიც არის რომაელთა მიწა- წყლის უკანასკნელი ადგილი, ოცი დღის სავალ გზაზე დაშორებული, მათ შუა მდებარე მთელი ადგილი ჰუნებს უჭირავთ. ბოსფორიტები კი ძველად თვითთავადად ცხოვრობდნენ,ხოლო დიდი ხანი არ არის ,რაც იუსტინიანე მეფეს მიეკედლნენ“. (გეორგიკა. ტომი მეორე,პროკოპი კესარიელი, გვ 49,თბილისი 1965წ).

ცნობა ერთობ ტევადი და ადვილად გასაშიფრია:

1.ბოსფორი რეალობაში სულ ორი არსებობდა: თრაკიის ბოსფორი, სადაც კონსტანტინოპოლია გაშენებული და სავარაუდოდ ზემოთმოყვანილი ცნობა იწერებოდა და ყირიმის ბოსფორი. შესაბამისად ცნობაში მოხსენებული ბოსფორი მხოლოდ კიმერიული ბოსფორი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამასთან, ბოსფორი ქალაქი არაა... ბოსფორის სამეფო, ეს ყირიმის ნახევარკუნძულის უკიდურეში მხარე იყო, მიმართული ქერჩის მხარე და მისი ის ნაწილი სრუტის აქთ,რომელზედაც ჯიქები სახლობდნენ (დღევანდელი ადიღე). ჰუნი უტიგურები იმ დროისთვის თავად ყირიმში ფიქსირდებოდნენ.

2. კონსტანტინოპოლიდან კიმერიული ბოსფორისაკენ გზასავალი ხელმარცხნ-

ივ , ოდესის მიმართულებით ცურვით 2- ჯერ ნაკლებია, ვიდრე ტრაპეზუნტის მიმართულებით მოძრაობისას,შესაბამისად კიმერიული ბოსფორი სინამდვილ-ეშიც კონსტანტინოპოლიდან ხელმარცხნივაა.

ხერსონესის მოსახლეობის ნაწილიც ეთნიკურად იონიელებით, მილეტელებით დასახლებული ჩანს, მათ შორის თავად ქალაქი ფეოდოსიაც...რაც შეეხება ფეოდოსიასთან მდებარე ქალაქ კიტეის, ის სუფთა კოლხური ჩანს: ამ რეალობის ასახვას წარმოადგენს ბერძნულ მე-3-ე საუკუნის ლიტერატურაში ასახული გადმოცემა,რომლის მიხედვით აიეტი თოვლიანი სკვითიის მეფეა, მედეა მისი ქალიშვილი, ხოლო კოლხეთი ჩანაცვლებულია სკვითეთით (სტრაბონისეული მცირე სკვითია, ხერსონესი, ყირიმის ნახევარკუნძული). ხერსონესზე, მიტოვებულ ქალაქ ფეოდოსიასთან ქალაქ კიუტსის გაჩენა პირველ საუკუნეში (ქალაქს ამშენებელთა და მცხოვრებთა ენაზე რასაკვირველია ქუთაისი ერქვა) ამ რეგიონში ამავე დასახელების კოლხური (ან ისტრული) თემის ჩასახლების უპირველესი ნიშანია. გვიანდელივე ლეგენდებიდან გამომდინარე, ამ ტომს კოლხობის არცთუ უსამართლო პრეტენზია აქვს. ზუსტად ამ ფაქტმა მისცა საშუალება ზოგიერთ ჩვენს მეზობელს, ჩვენი წინაპართა სიქველე დაუმსახურებლად მიეწერა! (14) შესაბამისად, პროკოპი კესარიელი ციტატა ჰუნების შესაძლო დაქირავების შესახებ (იბერიელთა დასახმარებლად) თანაბრად შეიძლება ნამდვილ ჰუნებს-უტიგურებს შეეხებოდეს, ისევე როგორც ზიხებს სრუტის აღმოსავლეთ მხარეს-ორივენი ბოსფორის ყოფილ სამეფში ფიქსირდებიან...

შემდეგი წყარო,რომელიც აღნიშნულ ტერიტორიას ეთნიკური ხასიათის მიხედვით აღწერს კონსტანტინე პორფიროგენტია,ბიზანტიის იმპერატორი Xსაუკუნისა:

„დუნაის ქვედა წელში, დისტრის მოპირდაპირედ, იწყება პაჭანიკია . მათი განსახლების ადგილი გადაჭიმულია სერკელამდე, ხაზართა ციხემდე, რომელშიც დგას 300 მეციხობნე...მდინარე დუნაიდან ზემოთ ნახსენებ ციხე სერკელამდე 60დღის სავალია...დნეპრს ზემო წელში ცხოვრობენ როსები,მოცურავენ ამ მდინარეზე, ისინი მიემგზავრებიან რომეებამდე (15). პაჭანიკია (16) იკავებს მთელ მიწებს როსებამდე. ბოსფორის, ხერსონესის, (17) სარატის, ბურატის და კლიმატების ოცდაათ მხარემდე... იქ არის დიდი ყურე, ნეკროპოლად წოდებული, რომელზეც შეუძლებელია გავლა.დნეპრიდან ხერსონესამდე 300 მილია, ხოლო მათ შუა- ჭაობი და გროტები, რომელშიაც ხერსონესელები მარილს მოიპოვებენ.ხერსონესიდან ბოსფორამდე განლაგებულია კლიმატის ციხეები,ხოლო მანძილი 300 მილი.ბოსფორს იქით მდებარეობს მეოტიის ტბა, რომელსაც მისი სიდიდის მიხედვით უწოდებენ აგრეთვე ზღვას. თვითონ მეოტიდის უბე მიიწევს ნეკროპოლის მიმართულებით, მდინარე დნეპრის სიახლოვეს, ოთხ მილზე, იქ უერთდება, სადაც ძველებმა არხი გათხარეს, გაჭრეს ზღვამდე, შემოსაზღვრეს

მთელი მიწები ხერსონესისა, კლიმატებისა და ბოსფორისა,გადაჭიმული ათას ან მეტ მილზე. დიდი ხნის გავლის გამო ეს არხი ამოივსო და გადაიქცა ხშირ ტყედ. და არსებობს მისი გავლის მხოლოდ ორი გზა, რომლითაც პაჭანიკები მოდიან ხერსონესში, ბოსფორზე და კლიმატებზე'' (კონსტანტინე პორფიროგენტი-თემებზე).

კონსტანტინე პორფიროგენტი მშვენიერი გეოგრაფიული წყაროა:

1.ხერსონესის (ყირიმის) ყელი და მისი მიმდებარე ვრცელი ტრამალები დაკავებულია მიგრირებული მომთაბარეების, თურქული ჯიშის ტომის, პაჭანიკების მიერ. (გვიან ამ ხალხს ბოშები ეწოდა)

2.როსები, სამეფო სკვითების ეს აშკარა შთამომავალნი (დღევანდელი უკრაინელები), დახეულნი ჩანან ხერსონესიდან და მთლიანად ნახევარკუნძულის ყელიდან, დნეპრის ზემო წელში. განსაკუთრებული დაძაბული ურთიერთობა პაჭანიკებთან არ იგრძნობა,თუმცა როსებს მათ საკმაოდ დიდი ტერიტორიები წაართვეს.

3.ხერსონესის (ყირიმის ნახევარკუნძულის) ტერიტორია მთლიანად ავტონომიურია. მცხოვრებნი: ტავროსკვითები ,ბერძნები და ქართველური ტომი ზიხები (კიუტსების თემი) არიან.

„მეოტიდის ტბიდან გამოდის სრუტე ვურლიკის დასახელებით და მიედინება პონტოს ზღვისაკენ, სრუტეში დგას ბოსფორი, ხოლო ბოსფორის მოპირდაპირედ ეგრეთ წოდებული ციხე ტამატარხა. ამ გადასასვლელის სიგრძე სრუტეზე 18 მილია. ამ 18 მილის შუაში არის დიდი დაბალი კუნძული დასახელებით ატეხი. ტამატარხიდან 18 თუ 20 მილზე, არის მდინარე, დასახელებით უკრუხი, გამყოფი ჯიქეთისა და ტამატარიხსა,ხოლო უკრუხიდან მდინარე ნიკოფსისამდე , რომელზედაც არის ციხე-სიმაგრე,მდინარის თანამოსახელე,გადაჭიმულია ქვეყანა ზიხია.მისი მთლიანი სიგრძე 300 მილია.ზიხეთის ზემოთ დევს ქვეყანა, წოდებული პაპაგიად, ქვეყანა პაპაგიას ზემოთ-ქვეყანა კასახია, (18)ხოლო კასახიის ზემოთ კავკასიის მთები. ხოლო მთების ზემოთ-ქვეყანა ალანია. ზიხეთის სანაპიროს გაყოლებით არის კუნძულები. ერთი დიდი კუნძული და სამი პატარა, მათთან ახლოს ნაპირთან არის სხვებიც, გამოყენებული ზიხების მიერ საძოვრებად და მოწყობილი მათ მიერ: ესენია ტურგანრიხი, ჩარვაგანი და სხვა კუნძული. სპატალას ყურეში არის კიდევ ერთი კუნძული, ხოლო პტელეაში-სხვა, რომელზედაც ალანების (19) თავდასხმის დროს ზიხები პოულობენ თავშესაფარს. სანაპირო ზიხეთის საზღვარებიდან, ესე იგი მდინარე ნიკოფსიიდან, არის ქვეყანა აბასგია-თვით სიმაგრე სოტეროპოლისა. ის გადაჭიმულია 300 მილზე (444კმ)'' (კონსტანტინე პორფიროგენტი, იქვე).

ტევადი, მრავლისმთქელი და არასწორხაზოვანი ინფორმაციაა, რომელიც ფრთხილ და დაკვირვებულ განხილვას მოითხოვს:

1.კონსტანტინე პორფიროგენტი ბოსფორში, ბოსფორის ყოფილი სამეფოს ოფიციალურ დედაქალაქს, პანტიკაპეას გულისხმობს, ხერსონესის ნახევარკუნძულზე, შესაბამისად ბოსფორის სამეფოს ევროპულ ნაწილშ, სრუტის დასაწყისში მეოტიდის მხრიდან.

2. ბოსფორის-პანტიკაპეას მოპირდაპირედ მდებარე ციხე-სიმაგრე ტამატარხა -საკუთრივ ტამატარხით, ეს ტამანის ნახევარკუნძული ჩრდილო მხარეა...პორფიროგენტის დიდი და დაბალი კუნძული ატეხი, ეს კუნძული ჩუშკაა, მდებარე ევროპისა და აზიის მოპირდაპირე ნაპირებს შორის.

3.ის, რომ ციხე-სიმაგრე ტამატარხა დაშორებულია უკრუხიდან 18-20 მილზე, მიანიშნებს, რომ მდინარე უკრუხის (ყუბანის) ერთი ტოტი შეერთვის ქერჩის ყურეს (როგორც ამას აღნიშნავს XVII საუკუნეში ევლია ჩელები)

4.მართალია ციხე-სიმაგრე ტამატარხის კუთვნილებას კონსტანტინე პორფიროგენტი არ ახსენებს, 968 წლის ხაკანატის სამეფოს დარბევამდე კიევის რუსის მიერ, ის მცირე ხაზარეთის ხელდებული პოლიტიკური ერთეული იყო, თუმცა ზიხებით დასახლებული

5.ზიხეთიდან მდინარე ნიკოფსიამდე და ავასგიამდე მანძილი კონსტანტინე პორფიროგენტს მდინარე უკრუხიდან -მისი მარჯვენა ტოტიდან აქვს ათვლილი, რომელიც მეოტიდას უერთდება. აქედანაა ზუსტად ეს მანძილი 300 მილი.

6. პაპაგია, რომელიც ზიხიის ზემოთ მდებარეობს უკვე მეოტიდაზე-მხოლოდ ტამატარხის ზიხიის ზემოთ მდებარე შეიძლება იყოს...პაპაგია-ეს სავარაუდოდ კერკეტთა ტომი უნდა იყოს, მოგვიანებით ქაბარდად წოდებული

7.პაპაგიის-ქაბარდას ზემოთ მდებარე კასახია- ეს ერთმნიშვნელოვნად ახაიელები ჩანან.

8.ზემოთ როგორც პორფიროგენტი ახსენებს, კავკასიის მთებია, მთებს ზემოთ-ალანია.

9. მდინარე ნიკოფსიიდან სიმაგრე სოტეროპოლისამდე არის ავასგია-300 მილი-ეს მანძილია ნიკოფსიიდან ციხისძირამდე...

10.ზიხების ირგვლივ მყოფ კუნძულებში,რომელიც იდენტიფიკაციას არ ექვემდებარება, ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო სანაპირო და მდინარე ყუბანის მარჯვენა ტოტს შორის მდებარე რომელიღაც კუნძული უნდა მოიაზრებოდეს. ხმელეთთან ახლოს მყოფი მცირე კუნძულები, გამოყენებულია ზიხების მიერ საძოვრებად, პორფიროგენტის მიხედვით მათივე მოწყობილი, არ გამორიცხავს კუნძულის ხელოვნურ შექმნასაც კი საძოვრების შემოსასაზღვრად. ალანთა დარბევებისაგან თავისდასაცავად.

11.პტელეა - სავარაუდოა რომ აღნიშნული კუნძული ტამანის ნახევარკუნძულს

ჩრდილოეთით განშტოების ირგვლივ ყოფილიყო, მდინარე უკრუხის (ყუბანის) შესართავის ახლოს ზიხთა მიერ საძოვრად გამოყენებული, სადაც მახლობლად ალანების (ოსების} საცხოვრებელიც ფიქსირდება.

12.ალანთა თავდასხმები ზიხებზე მთიელთა ტრადიციულ მარბიელი, დავლა-ზე დაგეზებული უნდა იგულისხმებოდეს, ესოდენ სრულად ასახული ,, ნარ-თების ეპოსში'' და არა სერიოზული, მიბჯენითი ომები. კონსტანტინე პორფი-როგენტთან ალანების თავდასხმას ზიხებზე ფიქსირდება, თუმცა ყაბარდოელ-ებიც მე 10-ე საუკუნისათვის ალანების მიმდებარედ მცხოვრებნი ჩანან, აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანპიროზე (იხ. კერკეტები) . სავარაუდოა, რომ კონსოლი-დირებული ტომები , როგორიცაა კერკეტთა და ვეინახთა ტომები, საკმაოდ მრისხანე მოწინააღმდეგეა ალანებისათვის და მათზე თავდასხმას არც ანხორ-ცი-ელებენ. სულ სხვა საქმეა ზიხთა განცალკევებული ტომები, რომლებზედაც ალანთა თავდასხმაზე ჰყვება არაბი ავტორი:

,,ალანების მეზობლად კაბხს (კავკასიონს) და რუმის ზღვას შორის მდებარეობს ტომი, ქეშაკად სახელწოდებული.ეს თემი კეთილმოწყობილია და ემორჩილება მაგების რელიგიას. ჩვენგან აღწერილ ხალხში არ არსებობს არცერთი ხალხი, სა-დაც შეიძლებოდა შეხვედრა ტიპთან უფრო ნათელი კანით და ნათელი სახის ფერით, და უფრო ლამაზი მამაკაცებით და ქალებით. არცერთ ხალხს არ ააქვს ტანი უფრო მოხდენილი, წელი უფრო ვიწრო, ბარძაყები და მენჯი უფრო მოხ-დენილი ფორმისა და უფრო ლამაზი ვიდრე ამ ხალხს. მათი ქალები გამოირჩე-ვიან თავისი რბილი მიმართების დამოკიდებულებით. ისინი ატარებენ თეთრ ტანსაცმელს, რუმის ფარჩას, აბრეშუმის მატერიას, ოქროთი მოსირმულს. მათ ქვეყანაში ამზადებენ ტილოს მატერიას, ტალა-დ წოდებულს, როელიც გაცილ-ებით ფაქიზია ვიდრე დიბაკი და გაცილებით მეტს ძლებს, ამ მატერიის ტანს-აცმლის ფასი ათ დინარამდე მიდის. ასეთი მატერია გააქვთ მათი მეზობელ ხალხიდანაც, მით უმეტეს საუკეთესო ხარისხისთ გამოირჩევა ის, რომელიც ამ ხალხიდან გააქვთ. ალანები სიმძლავრით აღემატებიან ამ ხალხს, და ისინი ვერ იქნებოდნენ შემძლენი შეენარჩუნებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა ალან-ებთან, თუ არა მათი გამაგრებების, მოწყობილი ზღვის სანაპიროზე. ამ ზღვის შესახებ ვღებულობთ უთანხმოებას და ერთი სიტყვით ეს ზღვა რუმისაა, სხვისი სიტყვებით ნიტასის ზღვაა. ერთადერთი ცნობილია, რომ მათ კავშირი აქვთ ტრაპეზუნდთან ხომალდებით, და ისინი თავის მხრივ აღიჭურვებიან მათთან. რაც შეეხება სისუსტეს ალანებთან შედარებით, ეს იმის გამოა, რომ მათ არა ჰყა-ვთ საერთო მეფე. ცნობილია, რომ თუ ხალხი მოლაპარაკე მათ ენაზე, გაერთი-ანდებიან, მაშინ ვერც ალანები, ვერც სხვა ხალხი ვერაფერს მოახერხებენ მათ წინააღმდეგ. მათი სახელი სპარსულად ნიშნავს: მკვეხარა, უხეში და სინამდვ-

ილეში სპარსელებში სიტყვა კეში გამოიყენება ამაყი და მედიდურის მიმართ. (მას'უდი. ოქროს მდელო და ძვირფასი ქვების წყაროები. თავი მეჩვიდმეტე)

ფაქტიურად მას'უდი მთისწინეთის და ბარის მოსახლეობას აღწერს, რომელიც როგორც თვითონვე აღნიშნავს, კავკასიონის მთასა და ზღვას შორის მდებარეობს. ერთობ საყურადღებოა, რომ ის ამ ზღვას სახელს ვერ არქვეს, თუმცა შავი (რუმის) ზღვის შესახებ ის ინფორმირებული ჩანს.(სხვა არაბი ავტორები ამ ზღვას ფრანკებისას უწოდებენ) რასაკვირველია აქ აზოვის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზეა საუბარი, რომელსაც როგორც იმავე პორფიროგენტის სიტყვებით ვიცით, ზიხები ფლობენ, მდინარე ყუბანის მარცხენა მხარეს მთლიანად. ამავე პოფრიროგენტის უფრო კომპეტენტური ცნობებით, ალანებისაგან თავდასაცავად ზიხებს ისევ ბუნებრივი ზღუდე, მდინარე უკრუხი (ყუბანი) უჩანთ გამოყენებული და აზოვის ზღვის წყლიანი სივრცეები, რომელ კუნძულზეც იკავებენ თავთდაცვით პოზიციებს.

მას'უდი ლაპარაკობს ქაშაგ-ქეშეკთა ტომების მრავალრიცხოვნებაზე, როგორც ცნობილია, ასეთი მრავალფეროვნულ ტომთა სპექტრით მხოლოდ ზიხები გამოირჩეოდნენ. ყაბარდოელები-ერთი ცალკე მდგომი ტომი იყო,ისევე როგორც ახაიელები. მას'უდი აღნიშნავს, რომ ქეშაკების ტომები ბინადრობენ რუმის (შავი) ზღვის სანაპიროზე, თუმცა დარწმუნებული არაა, რომ ისინი ნიტასის (აზოვის) ზღვამდეც ვრცელდებიან. ამ პერიოდისათვის, როგორც ირკვევა, კერკეტები (ყაბარდოელები) უკვე აზოვის ზღვასთან ფიქსირდებიან იმავე კონსტანტინე პორფიროგენტის მიერ. ეს ზიხები ბინადრობენ ერთდროულად ორივე ზღვაზე, და არა ყაბარდოელები. სახის და საერთოდ განსაკუთრებული ნათელი ფერებით, დღესაც მხოლოდ ზიხთა შთამომავალი თუ გამოირჩევა, განსხვავებით ყაბარდოელისა, ახაიელისა და კერკეტისა. თვით სპარსული სიტყვა კეში აშკარად აჩვენებს, თუ საიდან და როგორ ჩნდება ეს ტერმინი ქართულში საწინააღმდეგოდ ევროპული წყაროების ზიხისა (ზიგისა) და როგორ მკვიდრდება სიტყვა ქაშაგი ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, რაც ხელს უწყობს არსებითად დასავლეთ ქართულენოვანი ზიხის შემდგომ ჩერქეზიზაციის პროცესს.

უკიდურესად ნაყოფიერია ფრანგი მოგზაურისა და დიპლომატის, ვილჰელმ დე რუბრუკას (რუბრუკასი, რუბრუკვასი) ჩანაწერები, რომელიც ხერსონესის ნახევარკუნძულს ეხება:

„ ...ის რომელიც მდებარეობს დასავლეთში ჰქვია სინოპოლი, ეს სულთანის ციხე-სიმაგრე და ნავსადგურია თურქეთში, და ის რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთის ოლქში, ლათინები მას გაზარიას უწოდებენ, ბერძნები კი მცხოვრებნი ამ ოლქში ზღვის სანაპიროზე, კესარიას უწოდებენ (20)... ჩვენ მივდიოდით გაზარიის ოლქში, ანუ კასარიაში, რომელთა თითქოს სამკუთხედს წაროადგენს, დასავლეთიდან ქალაქი კერსონა... შუაში კი დაახლოებით სამხრეთის მიმართუ-

ლებით, კესარიას აქვს ქალაქი, სოლდაიად წოდებული (სუდაკი). რომელიც მიმართულია სანაპიროსაკენ ცერად და აქ მიადგებიან ყველა ვაჭრები, მომავალი თურქეთიდან ჩრდილოეთის ქვეყანაში, ასევე საწინააღდეგოდ რუსეთიდან და ჩრდილოეთის ქვეყნებიდან, თურქეთში გასასვლელად.(21) ... ასე, რომ დასახლებული ოლქი გაზარია გარშემორტყულია ზღვით სამი მხრიდან, კერძოდ დასავლეთიდან სადაც მდებარეობს კერსონა, კლიმენტის ქალაქი, სამხრეთით საიდანაც მდებარეობს სოლდაია, რომელსაც ჩვენ მივადექით, ის თითქოს ოლქის წვეტია, ხოლო აღმოსავლეთისაკენ, სადაც ქალაქი მარიოტიდისია, ანუ მატრიკა, ტანაისის ზღვის ყურესთან. ამ ყურის ზემოთ დებარეობს ზიხია რომელიც არ ემორჩილება თათრებს, ხოლო აღმოსავლეთიდან სვევები (22) და ივერები, არა მორჩილი თათრებისა... კერსონასა და სოლდაის შორის მდებარეობს ორმოცი ციხე-სიმაგრე. თითქმის ყოველ მთგანს აქვს განსაკუთრებული ენა. მათ შორის მრავალი გოთია, მათი ენა გერმანულია... ამ სტეპებში, თათართა (23) მოსვლამდე, ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ კომანები (24) და აიძულეს ზემოთ ნახსენები ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, ეხადათ ხარკი მათთვის'' (მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში ვილჰელმ დე რუბრუკვასისა, ზაფხული 1253 წ. თავი1)

რუბრუკასის ჩანაწერებში რამოდენიმე საინტერესო მომენტია: გრძელდება ტრადიცია ბოსფორის სამეფოს ქვეშევრდომთა, ბერძენთა, სინდთა, ზიხთა და ტავრების კონსოლიდაციისა. პოლიტიკური წარმონაქმნი ერთი საერთო სახელით, გაზარიად იხსენება. ზიხები, რომლებსაც რუბრუკვასი მატრეგაში (ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილი) უთითებს, თათარ-მონღოლებისაგან დამოუკიდებელი ერთეულია. ასევე თათართა არამორჩილნი ჩანან სვევები (სანები-ჭანები) და ივერები. რასაკვირველია აქ დასავლეთ საქართველო, ლიხს დასავლეთი იგულისხმება. იტალიელი მოგზაურის პლანო კარპინის მიხედვით, ობეზები (დასავლეთ საქართველო) არ ემორჩილება მონღოლებს, რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ის ხარკს უხდის მონღოლებს და ისინიც არ ერევიან ქართველთა საშინაო საქმეებში.

,,... მოვიდნენ ჩვენთან ალანები, რომლებსაც აქ ასს ეძახიან, ქრისტიანები ბერძნული აღმსარებლობისა, ბერძნული დამწერლობით და ბერძენი მღვდლებით, მაგრამ ისინი (ალანები) სქიზმატები არ არიან ბერძნების მსგავსად, პატივს სცემენ ყველა ქრისტიანს განურჩევლად ... განვუმარტეთ მათ ეს დღესასწაული, რაც მათ ძალიან გაუხარდათ, იმიტომ რომ არ იცოდნენ არც ერთი ქრისტიანული რიტუალი, მხოლოდ ქრისტეს სახელის გარდა''. (იქვე თავი 13)

ალანები ევროპის კონტინენტზე უცხო ელემენტი არა ჩანს. ალანთა ტომები, საომარი რაზმები ჩნდებიან ესპანეთის, გერმანიის და თვით აფრიკის მიწაწყალზეც კი. განსაკუთრებული სიახლოვე მათი გერმანულ ტომებთან შეიმჩნევა. ეს ხერსონესელი ალანები (ეჭვის შეტანაც კი შეუძლებელია იმაში, რომ ესე-

ნი ალანები, ოსები არიან, იმდენად ზუსტი ჩანს მათი დახასიათება რუბრუკვასის მიერ) თითქმის ერთადერთი ქრისტიანული ტომია, რომელიც საუკუნეების შემდეგაც ზოგადქრისტიანული პრინციპების ერთგულია და ცალკეულ მიმართულებებს ქრისტიანობაში არ ანსხვავებს. ასევე მათი რელიგიური საკითხების ცუდად ცოდნა მიანიშნებს, რომ ესენი მხოლოდ და მხოლოდ ოსები შეიძლება იყვნენ . ისინი ჩრდილოეთ კავკასიურ, შედარებით დიდ ალანიას მოწყვეტილნი არიან და პოლიტიკურ ცხოვრებას გოთების (გერმანიკული ტომის) გვერდით ხერსონესზე განაგრძნობ. დიდი ალბათობით ისინი ფლობენ კლიმატის რამდენიმე ციხე-სიმაგრეს, რომლებსაც რუბრუკვასის მიხედვით, საკუთარი ენა აქვთ. ასეთივე მფლობელობა რამდენიმე ციხე-სიმაგრესი ზიხთა მიერ გამორიცხული არა ჩანს, ასევე როგორც ზიხური დასახლება კიუტი ხერსონების ნახევარკუნძულზე, ფეოდოსიის სიახლოვეს... და რომელი სახელიც ზიხეთის ხერსონესის ეპარქიაში ფიგურირებს და რომელთა არსებობაც გვიან შუა საუკუნეებში სხვადასხვა წყაროებით მტკიცდება ამავე ხერსონესის ტერიტორიაზე.

ზიხეთის პოლიტიკურ წარმონაქმნზეა საუბარი მე-14-ე საუკუნის პირველი მეოთხედის დოკუმენტზე, რომელიც იტალიელი მოღვაწის, ფრანჩესკო ბელდუჩი პატალოტის კალამს ეკუთვნის და სადაც ვენეციელთა კოლონიას, ტანას ექცევა საკმაოდ დიდი ყურადღება. დოკუენტი 1320 წელს არის არის შედგენილი. დოკუმენტი საშუალებას იძლევა გაირკვეს ისეთ საკითხები, როგორიცაა მარცვლეულის გატანა აზოვის ზღვის მიმდებარე ტერიტორიებიდან. მისი სიტყვებით ტანადან ზაბაკის ზღვის მარჯვენა მხარეს, მდებარეობდა პორტი პიზანო, კობარდი, ლიბუროსიმი, იპოლი და ვოსპერო (ქერჩი) აზოვის ზღვის გასასვლელთან, გაზარიის მხარეს. ქერჩთან ვენეციელების გავლენის სფერო მთავრდება: შემდეგი პორტი დასახელებულია კაფა-გენუელთა პორტი.

,,ზიხიის მხარეს'' მარცვალს ტვირთავდნენ პორტებში: ბალზამიკი, ტარო და ილ- პეშუ. ბოლო პორტი ამ ხმელეთზე წმინდა გიორგის პორტი იყო-დასატვირთად მოუხერხებელი და მასში მარცვლის დატვირთვა არ ხდებოდა. (როგორც ჩანს, ზიხების ეს პორტები მდებარეობენ აზოვის ზღვაზე, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ზიხთა საცხოვრებელი არეალის დასაკონკრეტებლად) ცხადია, პორტები დასახელებულია აზოვიდან შავი ზღვისაკენ მიმართულებით. ცნობა მეტად საინტერესოა და გარკვეულ დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: აზოვის ზღვის თითქმის შუა წელში, ზღვის მარჯვენა მხარეს მოხსენებული პორტი კობარდი პირდაპირი აღმნიშვნელია იმისა, რომ ზღვის ეს სანაპირო ათვისებულ აქვთ ჩერქეზთა ერთ ნაწილს, კერძოდ ყაბარდოელებს და ისინი დროის ამ მონაკვეთისათვის აზოვის ზღვის დასავლეთ ნაპირზე ცხოვრობდნენ.(25)

ზიხების მხარეს მდებარე პორტ ილ-პეშუში მარცვალი არ იტვირთება. დოკუმენტის მიხედვით, პორტი მარცვალის დატვირთვისათვის უსარგებლოა,

რაც სინამდვილისგან საკმაოდ შორს უნდა იყოს. ჯერ კიდევ კონსტანტინე პორ-ფიროგენტის ცნობით, ზიხები საძოვრებად იყენებდნენ მათ მიერვე გაკეთილ-შობილებულ ზღვისპირეთის კუნძულებს და არა მარცვლეულის მოსაყვანად, მიწათმოქმედებისათვის. ზიხია, როგორც პოლიტიკური ერთეული არსებობს 1320 წლისათვის... და არსებობს ის აზოვის ზღვის მიმდებარედ, მდინარე ყუბა-ნის მარჯვენა ტოტის სამხრეთით! როგორც წყაროების შედარება იძლევა საფ-უძველს, ზიხეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ სიძლიერეს ხალხთა დიდმა ჯიჰადგირმა, თემურლენგმა შეურყია საფუძველი.

როგორც ცნობილია, თემურ-ლენგის ლაშქარი რვაჯერ შემოიჭრა საქარ-თველოში. წინა შვიდი ლაშქრობისაგან განსხვავებით, მერვე ლაშქრობის დროს თემურ-ლენგის ლაშქარი დასავლეთ საქართველოშიც მიყვა კვალდაკვალ ქა-ართველთა მეფე გიორგის. ლაშქარი თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებდა , ლაშქარმა ქუთაისამდე მიაღწია, დალაშქრა გიორგი მეფის თავშესაფარი, სვანე-თიც (სავარაუდოდ ქვემო) მეფემ ენგურის გადაღმა გადაასწრო. მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდა თემურ -ლენგს და მეფე გიორგის შორის ზავის მიღწევა. ლე-ნგი მალევე საბოლოოდ გაეცალა საქართველოს...და დედამიწასაც...ამ მერვე და უკანასკნელი ომშიც, სამეგრელო დალაშქრული არ ყოფილა! ცნობილია, რომ თემურ-ლენგმა ჩრდილოეთ კავკასია საშინლად დაანგრია თოხთამიშთან დაპი-რისპირებისას, მაგრამ აღწევენ თუ არა ლენგის ჯარები ზიხიამდე?

,,გაზაფხული რომ დადგა, თემურ-ხანი სპარსეთიდან ტანაისის მხარეში მივიდა და ტავროსკვითები, ჯიქები და აბაზგები შეკრიბა, ბოსფორში დაბები დაანგ-რია“ (გეორგიკა, ტომი VIII.- დუკა. გვ.26 თბილისი-1979 წ)

აღნიშნული ფრაგმენტი ცხადყოფს, რომ თემურ-ლენგის ჯარები აღწევენ ზიხიამდე (ჯიქებამდე). ტავროსკვითებში დუკა სავარაუდოდ იმ ეთნოსს გულ-ისხმობს, რომელიც ჩამოყალიბდა VI საუკუნეში ჩამოსული ტავრებისა და ადგ-ილობრივი-ყირიმელი სკვითების შერევის შედეგად.(26) თემურ- ლენგის ლაშქ-რობას ჩრდილოეთ კავკასიასა და აზოვის სტეპებისაკენ (27) საკმაოდ დიდი ის-ტორია-დემოგრაფიული ცვლილებები მოყვა, რომლის ზოგიერთი ნიუანსი სა-თანადოდ არაა გაშუქებული. თემურ-ლენგის ერთ-ერთი მემატიანის შერეფ-ედ-დინ ალი იეზდის მიერ მოწოდებული ,, წიგნი ამირა თემირის გამარჯვებებზე'' მოთხრობილია თემურ-ლენგის ლაშქრობების შესახებ ევრაზიის კონტინენტზე, მათ შორის კავკასიაში და ჩრდილო კავკასიაში. აღნიშნული წიგნის მე-17-ე თა-ვი ძირითადად დათმობილი აქვს ჩრდილო კავკასიისა და აზოვისპირა ტერი-ტორიების დაპყრობა-განადგურების თემას. თემურ-ლენგის სისასტიკის ძირი-თადი ობიექტი ჩრდილო კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობა წარმოადგანდა. მრავალი ციხე-სიმაგრე მთებში რომლებსაც პირობითად შეიძლება ციხე-სიმაგ-რე ელბრუსის მხარეს ეწოდოს, ეს სერირის -ინგუშეთის და ოსების გამაგრებუ-

ლი პუნქტებია, რომლებიც საშინლად დაინგრნენ ამ ომში და მოსახლეობის დიდი ნაწილის განადგურებით დამთავრდა კიდეც(28). ალანები-ოსები ვინც სარწმუნეობრივი ჯალათების ხელთ სიკვდილს გადაურჩა, კავკასიის მთების ხევ-ხუვებს შეეფარა, ხოლო უფრო დიდი ნაწილი, როგორც ეს იტალიელი მოხელის და ვაჭრის იოსაფატ ბარბაროს ნაწარმოებიდან ირკვევა, თავს აფარებს ზაბაკის ზღვის დასავლეთ ნაპირებს. თემურ-ლენგის ეპოქისათვის შეიძლება ითქვას, ჩრდილო კავკასიაში ოსური პოლიტიკური ერთეული აღარ არსებობდა. (ცალკეული მცირე დასახლებების გარდა.) მათი დიდი ნაწილი მდინარე დონის მარჯვენა მხარეს და აზოვის ზღვის გაყოლებით ჩანს ემიგრირებული. შეტაკებები აქვს თემურ-ლენგის ლაშქარს დაღესტანელი მოსახლეობის ნაწილთანაც (თოხთამიშის მომხრეები) ნაწილი ნებაყოფლობით ემორჩილება ლენგს და სრულ ხელშეუხლებლობას ღებულობს (იხილეთ ზემოთ მოხსენებული ნაშრომი შერეფ-ედ-დინ ალ იეზდისა)...და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩერქეზეთში...და ზიხეთში?

„... დაიძრა და გაემართა ჩერქეზეთის მხარეს და გაემართა ყუბანისაკენს (იგულისხმება მდინარე) ყველა ბალახი ჩერქეზთა ქვეყანაში, აზაკასა და ყუბანს შუა, გადამწვარი იყო თვითონ ჩერქეზების მიერ... ამიტომაც მრავალი ცხენი და საქონელი დაეცა, ვერ იშოვა რა საძოვარი. მიდიოდნენ 7-8 დღე გზაზე და ვერსად ვერ პოულობდნენ ბალახს. გაიარეს მრავალი ჭაობი და საფლობი, გავიდნენ ყუბანზე. გაჩერდნენ ამ გადასასვლელზე რამდენიმე დღე. საჰიბკირანმა (თემურმა) გაგზავნა მეფისწული მოჰამედ სულტანი, მეფისწული მირან შაჰი და ჯახანშას-ბეკი ჩერქეზეთის მხარეში და დაამატა: ეცადეთ წახვიდეთ ჩქარა. კარგი იქნება თქვენ იაროთ ჩქარა და ადრე დაიმორჩილოთ ის მიწები. მეფისწულები, ბრძანების თანახმად გაემართნენ აჩქარებულად გაიარეს მთელი ის ოლქი, მივიდნენ ჩერქეზების განლაგებაზე და თავს დაესხნენ იქ მყოფ ხალხს. ციური დახმარებით და ხელმწიფის ძალაუფლებით, მთელი ჩერქეზული ულუსი დაიმორჩილეს, წაიღეს უთვალავი ნადავლი, დაბრუნდნენ იქიდან მთელი და ბედნიერები, მივიდნენ საჰიბკირანის სამსახურად.'' (შერეფ-ედ-დინ ალი-იეზდი. წიგნი ამირა თემურის გამარჯვებაზე. თავი VII ჩერქეზეთის დაპყრობები)

წარმოდგენილი ცნობები ახალი ასპექტით წარმოჩინდება მაშინ, როდესაც გავიაზრებთ, რომ ზიხები ასევე მეგრელენოვანი ტომია და მათი ჩრდილოეთი საზღვარი ზუსტად მდინარე უკრუხზე (ყუბანზე)-მის ჩრდილო ტოტზე გადის. ის რომ მარბიელი ლაშქარი მთელი და ბედნიერი დაბრუნდა მთავარსარდალთან , მიანიშნებს, რომ საომარ მოქმედებებს ადგილი არა ჰქონია. ცხადია, ზიხები თავდასხმას არ ელოდნენ და არც მომზადებული ჩანან...ტერიტორიები მდინარე ყუბანის მარცხენა ტოტიდან მისავე მარჯვენა ტოტამდე ოდესღაც ხაზარების ხელდებული იყო. ზიხთა ამ პოლიტიკური ერთეულის მმართველი ელი-

ტა ებრაელები ჩანან (29). რაც შეეხება სტეპებს აზაკიდან, ისინი ზიხების გადამ-
წვარი ჩანს (ალბათ სამეურნეო თვალსაზრისი, საძოვრის განსაახლებლად გაზ-
აფხულისათვის და არა თავდცვის მიზნით-ამას ზიხებისვე თავდაცვისათვის
მოუმზადებლობა მიგვანიშნებს). ყაბარდოელები ამ დროისათვის უკვე ყირიმ-
სა და აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ, სანამ მათ მყუდრ-
ოება იმავე დამპყრობელმა მოგვიანებით არ დაარღვია. სწორედ აქედან, ზიხეთ-
იდან უნდა უნდა იყოს ის უფალავი მეგრელი ტყვე რომელსაც ლაონიკე ხალკ-
ოკონდილე (იხ ქვემოთ) აღნიშნავს, რომელიც მონღოლ-თათრებმა აზაკისაკენ
გაირეკეს.

**,, მარჯვენა მხრიდან მოიტანა ცნობა: ჩვენ მივდევთ ოტურგუს (თოხთამიშის
მომხრე ხელქვეითი). ის გაიქცა ჩვენგან მთა ელბრუსისაკენ. დაიმალა აბასად
ცნობილ ადგილას . საჰიბკირანი შეჯდა ცხენზე, გადავიდა უღელტეხილებზე
და მივიდა აბასაში. იქაური ხალხი გაძარცვა და დაბრუნდა უკან. '' (იქვე)**

თემურ-ლენგის მიერ უღელტეხილის გადალახვა და აბასაში მისვლა ნიშ-
ნავს, რომ ის ნამდვილად სამხრეთ კავკასიაში, აფხაზეთად ცნობილ მხარეს გა-
დმოვიდა. უცნობია რომელ უღელტეხილზეა საუბარი, თუმცა ცხადია , რომ
ლენგის თავდასხმა უკვე ,,აფხაზებზე,'' ლაზ-ჭანებზე მოდის, დღევანდელ გაგ-
რასა და ტუაფსეს შორის ტერიტორიებზე, ე.წ. დიდი აფხაზეთზე.

**,, ბედნიერი საჰიბკირანი ჰაზავათის მიზნით გაემართა ბორიბერდისა და ბარ-
ოკანის მხარეს, რომლებიც იყვნენ ასების ტომის მმართველები... იქაური ციხე-
ები იყო მთებში, ამიტომაც მიემართებოდნენ მიუვალი ხეობებით. და იბრძოდ-
ნენ რელიგიური მტრების წინააღმდეგ, ყველა ომში იმარჯვებდა საჰიბკირანის
ჯარი...მოკლეს მრავალი ურწმუნო, დააქციეს ციხეები, აიღეს უამრავი ალაფი,
დაბრუნდნენ დამარჯვებით. (იქვე. თემური მიემართება მთა ელბრუსისაკენ)**

ასეთივე ბედი ეწია ოსთა მრავალ სიმაგრეს და რასაკვირველია მათ მოსახ-
ლეობასაც. არ უნდა იყოს საკვირველი, რომ ოსთა უვნებლად გადარჩენილი მო-
სახლეობა ზაბაკის ზღვის დასავლეთ სანაპიროსაკენ მიილტვის.ასების ტომი ეს
ოსებია- ალანები. თემურის მიმართულება მთა ელბრუსისაკენ ეს უკვე ქართვე-
ლური ტომების,სერირის სამეფოს წინააღმდეგ მიმართულ ლაშქრობაა.

**,, ხოლო აზიაში მოდებული არიან და ევროპაშიც, თრაკიასა და ბოსფორის მხა-
რეში სახლობენ. როგორც თავიანთი სამეფოს, ურდოს მოახალშენენი. ბოსფო-
რის მხარეში რომლებიც ცხოვრობენ, (მომთაბარე სკვითები) ისინი არბევენ მე-
ზობელ მხარეს ჩერქეზებისას და მეგრელებისას და სარმატებისას, აუარებელი
მონები მიჰყავთ ბოსფორში, კაფას ქალაქში და ეგრეთწოდებული მეოტიდის
ტბისაკენ მიჰყავთ, იაფად ჰყიდიან მათ ვენეტებსა და გენუელებზე და ასე ირჩე-
ნენ თავს.''(გეორგიკა. ტომი VIIIლაონიკე ხალკოკონდილე გვ.105)**

ხალკოკონდილე (1423-1490წელი) აქ თათარ-მონღოლთა მოლაშქრეებს ახასიათებს, რომლებიც ხერსონესზე (ყირიმის ნახევარკუნძულზე) და მიმდებარე ტერიტორიებზე დამკვიდრდნენ. ცხადია, ხალკოკონდილეს მოხსენებული მხარე ვერ იქნება თურქეთის ბოსფორი, აქ მხოლოდ და მხოლოდ კიმერიულ ბოსფორზე შეიძება იყოს საუბარი, რომლის მახლობლად ჩერქეზები, სარმატები (ალანები) და მეოტიდის ტბა ფიქსირდება... და ვინ არიან ის მეგრელები, რომელსაც მომთაბარე "სკვითები" (ახალ-მონღოლები, ნოღაელები) დიდი რაოდენობით იჭერენ, კაფას და ტანას ბაზრობაზე ჰყიდიან? პასუხი მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს, მონღოლები დარბეული ზიხეთის მეგრულენოვან მოსახლეობას ატყვევებენ და ჰყიდიან. სხვა ახსნა ამ სიტუაციისა უბრალოდ არ არსებობს! კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ზიხი, ეს ისეთივე დასავლეთ ქართველია, როგორც კოლ-ხი, სანი-ხი (ჭანი) და ლა-ზი.

ერთი შეხედვით თითქოს მარტივია, მაგრამ რთულად გასაშიფრავი ისტორიული ნაშრომი ,, მოგზაურობა ტანაში'', ვენეციელი პოლიტიკური მოღვაწისა, იოსაფატ ბარბაროსი, რომელიც ტანაში (ვენეციური ქალაქი მდინარე დონის შესართავთან) დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწეოდა წლების განმავლობაში. წიგნის მთარგმნელის მიერ (განსაკუთრებით კომენტარებში) დაშვებულია უამრავი არსებითი სახის შეცდომები, რომელიც რეალურ სინამდვილეს არსებითად ამახინჯებს:

„თათრეთის სტეპი წარმოუდგება ადამიანს, მდგომს ცენტრში, ასეთ საზღვრებში: აღმოსავლეთიდან (საზღვარი) მას აქეთ მდინარე ლადილი (30). დასავლეთიდან და ჩრდილო- დასავლეთიდან-პოლონეთი, ჩრდილოეთიდან - რუსეთი, სამხრეთიდან იქ სადაც მიწა მიმართულია დიდი ზღვისაკენ-ალანია, კუმანია, გაზარია: უკანასკნელი ქვეყნები ყველა ესაზღვრება ზაბაკის (აზოვის) ზღვას... დასახელება ალანია წარმოიშვა ტომიდან, წოდებულ ალანებად, რომელთაც მათ საკუთარ ენაზე ჰქვია ,, ას''-ი. ისინი ქრისტიანები არიან და განდევნილნი იყვნენ თათრებისაგან და გაძარცულები. ქვეყანა დევს მთებზე, სანაპიროზე, სტეპებზე. იქ არის მრავალი ყორღანი, ადამიანის ხელით დაყრილი '' (იოსაფატ ბარბარო" მოგზაურობა ტანაში &5-7)

იოსაფატ ბარბარო ცდილობს მკითხველს რაც შეიძლება ზუსტად გააცნოს ის სამყარო, მის გეოგრაფიულ პარამეტრებში, სადაც მას არაერთი წლის გატარებამ მოუწია. ასევე მკითხველს მოვახსენებ, რომ ავტორი პოლონეთის ქვეშ სრულიად უკრაინასაც გულისხმობს. თათრეთის სტეპის დასავლთი საზღვრის ქვეშ ასევე ყირიმში არსებული სტეპიც შედის, რომელიც ასევე თათრების ხელისუფლების ქვემდებარეა. საყურადღებოა, რომ ალანები თათრების მიერ არიან განდევნილები შესაბამისად ბარბაროს აღწერილი ეპოქისათვის, ცხოვრობდნენ არა კავკასიის მთიანეთში, არამედ დონისპირეთსა და აზოვისპირეთ-

ში, ასევე ყირიმზე. ყორღანები, რომელთაგან ერთი ბარბარომ და მისმა პარტნიორებმა გათხარეს, მდინარე დონის აყოლებით 60 მილზე, ბარბაროსვე სიტყვებით ალანთა ბელადის ინდიაბუს ეკუთვნოდა, მაგრამ თათრების მოახლოე ბისთანავე დატოვა ეს ადგილები(31) ...ის, რომ ბარბარო ოსების საცხოვრებელ ადგილად მთებსაც ასახელებს, აბსოლუტურად მართებული ჩანს: ისევ და ისევ თემურ ლენგის მემუარების ავტორის ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ იმ დროისათვის ოსები კავკასიის ქედის სამხრეთი ნაწილის ჩრდილოეთ კალთებზეც ცხოვრობდნენ.

„ვბრუნდები რა ტანაში, მე გავივლი დასავლეთის სანაპიროთი, ზაბაკის ზღვის გაყოლებით, ხოლო მისგან გამოსვლის შემდეგ მოვუხვევ მარცხნივ. მერე გავივლი ცოტაოდენს დიდი ზღვის სანაპიროზე პროვინციამდე, სამეგრელოდ წოდებულამდე''. (იქვე &41)

ამ კონკრეტულ შემთხვევაში იოსაფატ ბარბარო ცდილობს მკითხველი (ალბათ ევროპელი) გაარკვიოს ზაბაკის- აზოვის ზღვის კონფიგურაციაში, მის ირგვლივ და მახლობლად დასახლებული ტომების დახასიათება-დისლოკაციაში... შეუძლებელია ვენეციელ კონსულს, თავისი დროის განათლებულ ადამიანს დააბრალო, რომ ის აზოვის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს ერთმანეთში ურევს! აქ ერთმნიშვნელოვნადაა ლაპარაკი, რომ ის მიუყვება აზოვის ზღვის დასავლეთის სანაპიროს, დღევანდელი რუსეთის ქალაქ ტაგანროგისა და უკრაინის ქალაქ მარიუპოლის მიმართულებით! ამასთან, მისივე სიტყვებით, ის გარს შემოუვლის ზაბაკის ზღვას და ცოტაოდენის გავლის შემდეგ დიდი (შავი) ზღვის სანაპიროზე, მიდის პროვინცია სამეგრელომდე! მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ იმ ფაქტზე, რომ ბარბაროსათვის...არავითარი ზიხური მოსახლეობა ყირიმის ნახევარკუნძულსადა სამეგრელოს შორის არ არის...

„ თუ მიდიხარ ტანიდან ნახსენები ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სამი დღის შემდეგ სანაპიროდან სიღრმეში შეხვდები ოლქს, წოდებულს კრემუკად მისი მმართველები ატარებენ სახელს ბიბერდი (32) ის იყო კერტიბეის შვილი. მის ხელქვეით მრავალი დასახლებაა, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ გამოიყვანონ ორი ათასი მხედარი. იქ ბრწყინვალე სტეპია, მრავალი კარგი ტყე, ბევრი მდინარე. დიდებულები ამ ქვეყნისა ცხოვრობენ იმით, რომ დაეხეტებიან სტეპში და ძარცვავენ. განსაკუთრებით ქარავნებს, ადგილიდან ადგილზე მიმავალთ. აქაურ მცხოვრებლებს ჰყავთ ბრწყინვალე ცხენები, თვითონ ისინი ძლიერი ტანისანი არიან და ეშმაკები. სახით ისინი ჰგვანან ჩვენს თანამემამულეებს. პური ამ ქვეყანაში ბევრია, ასევე ხორცი და თაფლი, მაგრამ ღვინო არაა''
(იქვე &42)

ტანადან სამი დღის სავალი (რასაკვირველია მხედრისთვის) ეს 150-160 კმ.მანძილია. შესაბამისადკერტიბეის სამფლობელო-ეს დღევანდელი ბერდიან-

სკის ტერიტორიაა, აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე.(შესაძლებელია, აქედანაც მოდის ამ ქალაქისსახელი) ის, რომ აქ სრულიად არ მოიპოვება ღვინო, ახსნადია მხოლოდ იმით რომ ეს ხალხი ასევე მუსულმანები არიან და ნაკლები საერთო აქვთ მოპირდაპირე მხარეს მცხოვრებ ჩერქეზებთან, რომლებიც როგორც ირკვევა მუსულმანურ აღმსარებლობას გაცილებით გვიან ეზიარნენ. (სახელი კერტიბეი, შესაძლოა დაკავშირებული იყოს ქვემოთ მოხსენიებულ კევერტეისთან, რომელიც თავის მხრივ კობარდს-კაბარდინს უკავშირდება) ხოლო ღვინო ისეთი ყოველდღიური პროდუქტია 400 წლის შემდეგაც როგორც ყოველი ქართველებისთვის.

„ ამ ხალხების მერე, დევს ოლქები, დასახლებული ტომებით, განსხვავებული ენებით, თუმცა ისინი არცთუ ისე დაშორებულია ერთმანეთისგან. ეს ტომებია: კიპკე, სობაი, ტატარკოსია, კევერტეი, ასი ე.ი. ალანები, რომელზედაც ვლაპარაკობდით ზემოთ. ისინი მოჰყვებიან ერთ მეორეს თვით სამეგრელომდე, თორმეტი დღის სავალზე“ (იქ&42)

...და საით გრძელდება იოსაფატ ბარბაროს მარშრუტი? ნიშანდობლივია, რომ ბარბარო ტანადან სამეგრელომდე (მისი სიტყვებით) 3+12=15 დღეს ანდომებს...ამხედრებული კაცი ამ დროს მანძილზე 800-900 კილომეტს დაფარავს (მით უმეტეს სტეპებში). რუქაზე გადაზომვა მინიმალური 800 კილომეტრისა, ზაბაკის ზღვის დასავლეთი სანაპიროს გაყოლებით (ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ზაბაკის ზღვის დასავლეთ სანაპიროს მიჰყვება) ყირიმის ყელის გავლით და, ნახევარკუნძულის თითქმის გარე პერიმეტრის გაყოლებით (ბარბარო რასაკვირველია ნახევარკუნძულის დასავლეთი სანაპიროს მთაგორიან ნაწილს მოერიდებოდა) კაფას (დღევანდელი ფეოდოსიის) და მიმდებარე ტერიტორიის ზღვისპირეთით და ქერჩის გავლით, ზუსტად ამ მანძილს 800-900 კილომეტს გაივლის...ამასთან, კიპკე, სობაი, ტატარკოსია-ის თათრული ტომები ჩანან ჩანან, რომლებიც შესაძლებელია სკვითიის-დღევანდელი უკრაინის სტეპებში ცხოვრობენ, აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ყირიმში შესვლამდე, თუმცა მათ ყირიმში ცხოვრებასაც ვერ გამოვრიცხავთ... კევეტეი-ამ სატომო სახელის ქვეშ ქაბარდა უნდა იგულისხმებოდეს, ყირიმში მდინარე ბალბეკის ზემო წელში დაფიქსირებულნი ნახევარკუნძულის სიღრმეში, არა ზღვის სანაპიროზე (იხილეთ კერკეტები)

და ალანები? ალანები სად ცხოვრობენ, რომლებიც იგივე ბარბაროს სიტყვებით, ყველაზე ახლოს ბინადრობენ მეგრელებისგან?

„ვუბრუნდები კიდევ ტანას, გადავდივარ მდინარეზე, სადაც ადრე იყო ალანია (33, როგორც ზემოთ ვთქვი, და ვმოძრაობ მარჯვნივ ზღვის სანაპიროზე, მივდივარ წინ კუნძულ კაფამდე (34).აქ ვხედავ ხმელეთის ვიწრო ზოლს კუნძულებს შორის, თითქოს ზღვის საყელურს, ცნობილს ცუკალად. იქ მდებარეობს უდი-

დესი მარილიან ტბა, რომლის მარილი აქ ადგილზევე მყარდება. მივყვები რა კუნძულს ზაბაკის ზღვის სანაპიროზე, აქვე მდებარეობს კუმანია, რომელმაც სახელი მიიღო კუმანების ტომისგან. შემდეგ კუნძულ კაფას ბოლო, სადაც არის გაზარია (ფეოდოსია) (იქვე &45) და იქვე: **„კაფას შემდეგ, ხმელეთი მოხვევის ადგილას დიდ (შავ) ზღვაზე მდებარეობს გოტია-მას იქით ალანია, რომელიც გადაჭიმულია მონკასტროს (ოდესის) მიმართულებით. ვფიქრობ, ალანებთან მეზობლობის გამო წარმოიშვა დასახელება გოტალანი. პირველად ამ მიწაზე იყვნენ ალანები , მერე მოვიდნენ გოტები, მათ დაიპყრეს ეს ქვეყანა და შეერივ-ნენ ალანებს. ერთიც და მეორეც მისდევს ბერძნულ აღმსარებლობას, ასევე ჩერ-ქეზებიც (იქვე&51)**

იოსაფატ ბარბარო კიდევ ერთხელ აზუსტებს ზაბაკის ზღვის კონფიგუ-რაციას და მის ახლომახლო მცხოვრებიტომების დისლოკაციის ადგილს. ამჯე-რად ის ზაბაკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერს, წარმოსახვით მიყვება რა ამ ტრასას. მის მიერ ნახსენები ალანია-ეს მატრეგას ზემოთ არსებული ალა-ნური დასახლება უნდა იყოს, ასევე განადგურებული თემურ ლენგის მიერ (34*). მიდის ყირიმს ნახევარკუნძულის დასაწყისამდე, კაფამდე, ე.წ. „კუნძულ-ზე“ ყირიმის ნახევარკუნძულამდე და თავს ექსკურსს ისევ აზაკის ზღვის სანა-პიროზე, ამჯერად ყირიმის ნახევარკუნძულზე აგრძელებს. ცუკალა-ბარბაროს მიერ ვიწრო ზოლი ხმელეთისა, ზღვის საყელურად მონათლული-ეს „აქილევ-სის ბილიკია“, ხოლო ამხ მელეთის ვიწრო ზოლს შიგნით მდებარე უდიდესი მარილიანი ტბა, რომელშიც მარილი ადგილზევე მყარდება სივაში...და ზუს-ტად სივაშის ტბის სანაპიროზე მდებარეობს კუმანია, ქართველყოფილი ყივ-ჩაღები...ის რომ ამჯერად ბარბარო არ აღწერს თათრულ ტომებს, სობაის, კიპ-კეს და ტატარკოსიას, იმის მაჩვენებელი ჩანს, რომ ეს ტომები ყირიმის ნახევარ-კუნძულს გარეთ ცხოვრობენ, აზოვის ზღვის სანაპიროზე, თუმცა ეს უკვე საკ-უთრივ სკვითეთის სტეპში...

იოსაფატ ბარბარო ამჯერად უკვე ყირიმის ნახევარკუნძულის სმხრეთი ნაწილის აღწერით აგრძელებს... ზუსტად აქ, დღევანდელი სევასტოპოლის ყუ-რეში მდებარეობდა ფეოდორო, გოტების სამთავრო, თურქები ს მიერ იკერმან-დ გადანათლული...და მისგან დასავლეთით და მისივე გვედით ის ალანია, რო-მელიც ოსაფატ ბარბაროს აქვს მოხსენიებული, ჩამოთვლილ ტომთაგან სამ-ეგრელოსთან ყველაზე ახლო მდებარე... საყურადღებოა რომ ბარბაროს სიტყვ-ებით ტომების, ჩამონათვალი მიმდევრობითია ხოლო ყველაზე ახლოს სამეგრ-ელოსთან, ასები ანუ ალანები არიან . კიპკე, ტატაკოსია, სობაი - ბარბარო მათ ახსენებს ზაბაკის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, არა ყირიმის ნახევარკუნძ-ულზე. ის აშკარად უცხო სხეულია ჩრდილო კავკასიისათვის და ყუბანისათ-ვის. მათ მხოლოდ ევლია ჩელები ახსენებს აღნიშნულ რეგიონთან მიმართე-

ბაში, დარაიონების გარეშე, რაც აშკარად მიანიშნებს, რომ ჩელების აღნიშნული ტომების სახელები ბარბაროს ნაშრომიდან აქვს ამოკრეფილი (ან გვიანდელი ჩამატებულია, როგორც არა ერთი ფრაგმენტი. იხ, ქვემოთ). იოსაფატ ბარბარო არც ერთი სიტყვით არ ახსენებს ზაბაკის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ზიხ-იას, რომელიც ამ პერიოდისათვის სავარაუდოდ ერთიან პოლიტიკურ ერთე-ულს აღარ წარმოადგენს, ვერ გაიმართა წელში თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ. თავად- ალანია ბარბაროს სიტყვებითვე ფიქსირდება ზაბაკის ზღვის დასავლეთის სანაპიროზე, უკვე ყირიმში, კუმანებსა და თათრებს შორის, საი-დანაც მხოლოდ ქერჩის სრუტის გადალახვის შემდეგ თუ მოხვდები სამეგრე-ლოში.

„ ამ სამეგრელოს აქვს საზღვარი ყაიტაღებთან, რომლებიც ცხოვრობენ კასპის მთებთან, ნაწილობრივ საქართველოსთან და დიდ ზღვასთან ასევე მთიან ქედ-თან, გამავალს ჩერქეზეთში. ერთი მხრიდან სამეგრელოს აქვს მდინარე, წოდე-ბული ფაზოდ, რომელიც გარს უვლის მას და ჩადის დიდ ზღვაში.'' (იქვე &43)

ერთი შეხედვით უცნაური ჩანს სამეგრელოს და კაიტაღების მეზობლობა, თუმცა როგორც გამოირკვა კაიტაღების მეზობელი ჭანების-ლაზების ტომი, ეს დასავლეთ ქართული ტომია, რაც ბარბაროს ინფორმირებულობას უსვამს ხაზს, თუმცა ეს უკვე სხვა, ,,მეგრელყოფილი'' ტომია...და ის რომ კავკასიის მთიან ქე-დთან ბარბაროს დროსაც ფიქსირდება ჩერქეზები, მიანიშნებს იმას, რომ ისინი მხოლოდ სერირის (ჩელებისეული ტაუსტანის) ჩერქეზები უნდა იყვნენ, ვინაი-დან ყაბარდოელები ჯერ კიდევ ყირიმში ცხოვრობენ (იხ.კერკეტები)

„ამ პროვინციის მმართველს უწოდებენ ბენდიანს. ის ფლობს ორ ციხე-სიმაგ-რეს ხსენებულ ზღვაზე: ერთ ეწოდება ვატი (35) ,მეორეს სევასტოპოლი. ამის გარდა მას აქვს სხვა სიმაგრეებიც. მთელი ქვეყანა ქვიანია და უმოსავლო(36) იქ არ არის პური სხვა ხარისხისა, გარდა ფეტვისა. მარილი მოაქვთ კაფადან. მცხოვრებლები ამზადებენ უმნიშვნელო რაოდენობის ტილოს, საკმაოდ ცუდი ხარისხისას.იქ ხალხი ველურია, რომლის ჩვენება შეიძლება შემდეგ მაგალით-ზე. მე ვიყავი ვატში, სადაც მოვხდი ვინმე აცოლინე სკვარჩეფიგოსთან ერთ-ად, გენუელთან, გამგზავრებულ კონსტანტინეპოლიდან ერთ თურქულ პალ-ანდრიაზე (გემზე), რომ მივსულიყავი ტანამდე. სახლის ზღურბლზე იდგა ახ-ალგაზრდა ქალი, გენუელმა უთხრა მას: სურინა პატრონ ინ კოკონ,რაც ნიშნავს, ქალბატონო, პატრონი სახლშია?-იგულისხმა ქალის ქმარი. მან უპასუხა:არ ჩი-ლი მისი, რაც ნიშნავს:ის მოვა. გენუელმა სტაცა ხელი ტუჩებში, მაჩვენებდა მე და ამბობდა: შეხე, რა ლამაზი კბილები აქვს! მერე დაუწყო მკერდზე ფათური, ეხებოდა ძუძუს კერტებს. ქალი საერთოდ არ შეცბუნებულა და არც განძრეუ-ლა. მერე შევედით სახლში და დავჯექით. აცოლინემ მიუთითა, რომ მას შარვა-

ლში მწერი ყავს და მისცა ქალს ნიშანი, რომ მოეძებნა. ქალმა დაიჯერა და დაიწყო ძებნა მინდობილად და მზადყოფნით . მოვიდა ქალის ქმარიც, გენუელმა ხელი გაიკრა საფულეზე და თქვა:პატრონი, თეთრი სი ჩა, რაც ნიშნავს: პატრონი, ფული გაქვს? (35* როცა მან ნიშნებით აჩვენა, რომ მას არაფერი აქვს, გენუელმა მისცა რამდენიმე თეთრი, რომლითაც ამ უკანასკნელს რაიმე სასუსნავის ყიდვა უბრძანა. ქმარი წავიდა, დავრჩით კიდევ ცოტა ხანი და ჩვენ ჩვენი სიამოვნე ბისათვის გავისეირნეთ ამ მიწაზე. ამასთან გენუელი, იქაური წესების შემხედვარე, ყველა ადგილასა კეთებდა იმას, რაც მოაფიქრდებოდა, ყოველგვარი შიშის გარეშე, რომ ვინმე გაუბრაზდებოდა. ყველაფერი ამით ცხადი ხდება,რომ ნამდ-ვილად ესენი ველური ხალხია. ამ ქვეყანაში მოვაჭრე გენუელებმა მიიღეს ჩვევა მიმართვისა: შენ მეგრელი ხარ-როცა უნდათ ვინმეს უთხრან-შენ სულელი ხარ! (იქვე&43)

ბარბაროს ზუსტად ეს ციტატა ლომის წილს ასრულებს სამეგრელოს ისტორიის არასწორ შეფასებაში (უფრო სწორედ, სასურველის სინამდვილედ გასაღებაში და უფრო ზუსტად, ისტორიის გაყალბებაში რუსულენოვანი ისტორიკოსების მიერ) რამეთუ ამ ვატს, ანაპა I-ს,რომელიც მდებარეობდა უშუალოდ ქერჩის სრუტეში-სამეგრელოდ აღნიშნავს ბარბარო! სამეგრელოდ, რომლის მაცხოვრებნი, ბარბაროს და სკვარჩეფიგოს მასპინძლები,მეგრული ოჯახია! საოცრად ბრძნული ანდაზაა- კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო! თარგმანის რუსულ კომენტარებში, ყველა ცნობა თავდაყირაა დაყენებ

ზიხია, რომელიც სტრაბონი ს დროიდან ამ ტერიტორიაზე მდებარეობს, რომლის საზღვრებსაც აზუსტებს იმპერატორი ბიზანტიისა მე-10-ე საუკუნეში, კონსტანტინე პორფიროგენტი ტამანის ნახევარკუნძულზე,მდინარე ყუბანსა და ნიკოფსიას შორის იოსაფატ ბარბაროსათვის უკვე სამეგრელოა! პირდაპირი სამტკიცი,ეს თვით ბარბაროს ზემოაღნიშნული ნაწარმოებია,ირიბი-რამდენიც გნებავთ! რუსი ისტორიკოსები დაჟინებით ამტკიცებენ (ამავ ნაწარმოების წინასიტყვაობაშიც კი) რომ ხმელთაშუა ზღვიდან ტანასაკენ მომავალი ძირითადი სამგზავრო ტრასა შავ ზღვაში შემოსვლის შემდეგ, კონსტანტინეპოლ-ტრაპეზუნტ-ბათუმი იყო, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით. ძირითადი მიზანი ამ მტკიცებულებებისა ბათუმის სატრანზიტო პუნქტად და ბატ-ად აღიარებაა, რამეთუ იოსაფატ ბარბაროსეული ვატი ულაპარაკოდ მეგრული ქალაქი ჩანს! ვატი-(ანაპაI) ის ქალაქი ჩანს ქერჩის ყურეში, რომელიც სრუტეს და შიგ შემავალ გემებს სრულიად აკონტროლებდა და რომელიც ევლია ჩელების სიტყვებით დაანგრია თურქმა ფაშამ, რამდენადაც ქერჩის სრუტის კონტროლის საჭიროება უკვე მოისპო-სრუტის ორსავე ნაპირს უკე თურქეთის პორტა აკონტროლებდა!

ამ პერიოდისათვის მოძებული საზღვაო ტრასა კი სიგრძით ორჯერ ნაკლები ჩანს, ვიდრე კონსტანტინოპოლ-ტრაპეზუნდ-ბათუმი-ანაპას ტრასა და შემდ-

ეგნაირად გამოიყურება:

„ვენეცია, პოლა, ილირიისა და ალბანეთის სანაპირო სრუტე კუნძულ კორფუ-სთან კუნძული ლავკასი, კეფალონია, ზაკინფი ანუ ძანტო, კორინთი ყურის გვერდის ავლით პელოპონესის სანაპიროს გასწვრივ, კიარეცა, მოდონი და კორონი, კონცხი მალეა, კუნძული კიტორა ანუ ჩერგო. ეგეოსის ზღვაში გზა იყ-ოფა ერთი სირიასა და ეგვიპტეში, მეორე კონსტანტინოპოლში. მცურავნი კო-ნსტანტინოპოლში მიდიოდნენ პელოპონესის დასავლეთის ხმელეთის გაყო-ლებით-მონემვასიის (მალვაზია) გვერდის ავლით, ნავპლია (ნეაპოლი რომანი-ისა) ნეგროპონტი, კიკლადების გავლით სალონიკში შეუსვლელად; კუნძული ლემნოსი (საიდანაც მიდიან ლესბოსში, ქიოსში და მცირე აზიის სანაპიროსაკენ) კუნძული თანადოსი (აქ აღნიშნულია მატერიკზე მდებარე ტროა, ილიონი) ჰე-ლესპონტი და კონსტანტინოპოლი, ხოლო მის საპირისპიროდ პერა (იგივე გა-ლეტა) მერე შესასვლელი შავ ზღვაში რომელზეც მიდიოდნენ მცირე აზიის სან-აპიროთი ჰერაკლეამდ(37). შავი ზღვის გადაკვეთის შემდეგ, მოძრაობდნენ ტავ-რიკის დასავლეთი სანაპიროთი, სადაც მ დებარეობდა ,, გოთების მიწა'', მერე კაფა და ,,თათართა მიწების'' გვერდის ავლით ზაბაკის ზღვის შესასვლელამდე. ამ ზღვის აღმოსავლეთით ჩერქეზია,ხოლო ჩრდილოეთისაკენ ,,ცნობილი მდი-ნარე-ტანა'' (ტექსტი გამოცემულია ნიკოლო იორგას მიერ. 1896 წ. XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით. ,, მოგზაურობა ტანაში გვ.24)

ციტატის მთელ სიგრძეზე მოყვანა აუცილებელი გახდა იმდენად რამდე-ნადაც მოცემულია ყველა პუნქტი ძირითად ტრასაზე. ტრასა წყდება ქალაქ ჰე-რაკლეასთან(დღევანდელი ირიგლი ტურქეთში) სინოპამდე არ მისულ 150-200 კმ-ზე. ახლდება უკვე ყირიმის დასავლეთის სანაპიროზე, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს ტრასას კონსტანტინოპოლ-ტრაპეზუნდ-ბათუმი-ბატი (ანაპა)-ზაბ-აკის ზღვის შესასვლელამდე. ტრასა სინოპი-ბატი, ეს უმოკლესი მანძილია შავი ზღვის გადალახვისას და ათვისებულია მინიმუმ XV საუკუნის წინ (38) ჩერქეზ-ების ქვეშ აქ იგულისხმება როგორც ჩერქეზები ,,ზაბაკის ზღვის'' აღმოსავლეთი ნაპირებისაკენ, ასევე ტამანის ნახევარკუნძლის ზიხები-მეგრელები. დაბოლოს, მეგრელების რეაბილიტაციისათვის ვიტყვი, რომ ბარბაროსეული მეგრელები სინამდვილეში ზიხებია...და გენუელზე, მის მოქცევაზე...ვიცი ამ ხალხის გენე-ზისი, ამაზე უკვე IIტომში გვექნება საუბარი და არც ამ გენუელის-და გენუელ-ებისა საერთოდ მოქცევა არც მიკვირს, რაღაცნაირად კანონზომიერია კიდეც... **კამპანია-ოლქი, განლაგებული კაფას ახლოს, ჰყავს ცალკე ,,ტატარი'' მმართვე-ლი, ზიხია-გერკესია (მოგზაურობა ტანაში. ბაზილევიჩი. გვ 103. შენიშვნა 1)**

ცხადია აქ არავითარ შეცდომას არ ააქვს ადგილი. ახლახან წავაწყდი ცნო-ბას იმის შესახებ, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ვაჭრობას და ნაწილო-ბრივ კოლონიების დაარსებაში დამოუკიდებელი პოლისი კუნძული სომოსისა

მონაწილეობს...ესენი, ასევე იონიელები, განსხვავდებიან სალაპარაკო ენით მილეტელებისაგან-თუმცა ბერძნულს ენას ორივე პოლისი ფლობს (39) ამ ორ ტომის სალაპარაკო ენათა შორის განსხვავებას უცხოელები ვერ იჭერენ, თუმცა ისინი რასაკვირველია ერთი ენის ორი განსხვავებული დიალექტისენებია! (ამ საკითხის დაწვრილები გაშუქებას წიგნის II ტომისათვის გადავდებთ)

შემდეგი მოგზაური და ვატთან (40) მიმართებით დიდი გაუგებრობის მიზეზი, ამბროზიო კონტარონია, ასევე იტალიელი დიპლომატი და მოგზაური რომელიც საქართველოს დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის მიდამოებში ამავე პერიოდში მოგზაურობს:

„ ვატი-ეს ციხე-სიმაგრეა პატარა ნავსადგურით, ეკუთვნის სინიორს, სახელად გორბოლა. ეს ქვეყანა დამოკიდებულია სამეგრელოზე. (ამბროჯიო კონტარინი, მოგზაურობა სპარსეთში &11)ქალაქი ფაზისი ეკუთვნის სამეგრელოს. მის მმართველს ჰქვია ბენდიანი (იქვე &13)

საინტერესოა, რომ ვატისა და ფაზისის კუთვნილების შესახებ კონტარინი სხვადასხვა სიტყვას ხმარობს, თუმცა მალევე გორგორას (ყვარყვარეს) ახალციხისა და ვატის გამგებლად ასახელებს. არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ ამბროზიო კონტარინის მიერ მოწოდებულ ცნობაში, რომ ვატი (ბათუმი) დამოკიდებულია სამეგრელოზე, თუმცა მისი მფლობელი რეალურად გორბოლაა (ყვარყვარე), ახალციხისა და ვატის გამგებელი. ქართულ-ისტორიული წყაროების ცნობით, რომის პაპს ანტითურქული კოალიციის შესაქმნელად ვინმე ლუდოვიკო ბოლინიელი გამოუგზავნია. ქართველებმა თურქების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. კოალიციის წინააღდეგ მიმართული მონაწილეების სია ასეთია: მეფე გიორგისეული ვარიანტი:

1.მე მეფე გიორგი მეფე პერსთა.
2.ბედიანი სამეგრელოს მეფე
3.ყუარყუარე (გორბოლა)ქართველთა მთავარი.
4.რაბია ანაკოციის მთავარი.

ყუარყუარესეული ვარიანტი:

1.მე ყუარყუარე ქართველთა მეფე.
2.გიორგი მეფე პერსთა.
3.ბენდიანი სამეგრელოს მეფე.
4.რაბია ანაკოსიის მთავარი.

ქართველი ელჩების მიერ მიწოდებული ცნობები:

1.ბენდას, სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე.
2.ბაგრატი იბერთა, რომელნიც გიორგიანებად იწოდებიან.

3.მანია გურიის ერისთავი.
4.ფაბია ანგოსის ერისთავი.

ზემოთ მოყვანილ სიას უნდა დაემატოს ტრაპიზუნტის მეფის 30 000 ჯარისკაცი და სომხეთის პატრონი 20 000 ჯარისკაცი. ჯამური რიცხვი ანტითურქულ კოალიციისა 120 000 ჯარისკაცი...ზემოთ მოყვანილი ცნობები რიგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ტრაპიზონის და სომეხი მოკავშირეების გამ ოსაყვანი 50 000 ჯარი ს გარდა, ქართველი მოლაშქრეების რიცხვი 70 000 ჩანს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გადაუწყვეტელი და პრობლემატური ჩანს საკითხი, თუ რატომ უწოდებს საკუთარ თავს ქართველთა მეფე გიორგი- პერსთა მეფეს? ასევე უწოდებს მას ყუარყუარე ათაბაგიც, თუმცა პარალელურად თვითონ აქვს პრეტენზია ქართველთა მეფობაზე! გიორგი მეფე,ეს სუსტი მონარქი დასუსტებული ქართლის სამეფოსი, რომელმაც საკუთარი ტახტის დასაცავად 4 000 მეომარიც კი ვერ გამოიყვანა, რასაკვირველია 40 000 ქართველი მეომრის გამომყვანი არაა! ის საკუთარ თავს იმიტომ უწოდებს სპარსთა მეფეს, რომ 40 000 გამოსაყვან სპარსელ ჯარისკაცს თავის დამსახურებად თვლის. ქართველთა ლაშქრის გამოყვანას ყუარყუარე აპირებს უკვე თავისივე სახელით და ქართველთა მეფის ტიტულით! ამასთან, ყვარყვარეს ამბიცია ქართველთა მეფობაზე, ვატის-ბათუმის სამეგრელოსადმი დამოკიდებულობას საერთოდ გამორიცხავს!

ამიტომაც ქრება ყუარყუარე მესამე სიიდან, სადაც ამავე ქართველობის გამოყვანის პრეტენზია უკვე ბაგრატ მეფეს აქვს, რომელმაც მეფე გიორგი ჩაანაცვლა. საყურადღებოა, რომ სამივე სიაში ფიგურირებს რაბია-ანაკოფიის ერისთავი. ანაკოფია-ეს დღევანდელი გუდაუთის რაიონია, აბაზგთა (არლანთა-როგორც მათ ევლია ჩელები ასახელებს) სამშობლო, რომელსაც იმ ეპოქისათვის ავტონომიის პრეტენზია ჰქონდა. ერთმნიშვნელოვანია, რომ ანაკოფიის იქით სამეგრელო (და აფხაზეთი, რამეთუ ანაკოფიამდელი მიწები ჯერ კიდევ სამეგრელოა) გრძელდება (სხვა საკითხია-სადამდე!) და მის სუზერენად (ჯერჯერობით მაინც) ბენდიანი რჩება. საყურადღებოა და მრავლისმთქმელია ელჩების მიერ ევროპაში წარდგენილი ცნობა: მართალია აქ ანგოსის (ანაკოფიის, აბაზგიის) მთავარი ცალკეა მოხსენებული, მაგრამ აქვეა მოხსენებული ბენდასი-სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე. ეს აფხაზეთი სხვა არავინ ჩანს, თუ არა ყოფილი განაპირა ლაზეთი. აფხა-ლაზეთი , რომელიც აბსოლუტურად გამოცალევებულია (ანაკოფიიდან, აბაზგიდან) და კიდევ ერთხელ თვალნათლივ აჩვენებს, ტერიტორიის რა ნაწილი იყო აფხაზეთი. აჩვენებს ეს ცნობა -რეესტრი იმასაც, რომ აბაზგიის ჩრდილოეთი მხარე ბენდიანის (ბენდასის) გამგებლობის ქვეშაა, რომ იოსაფატ ბარბაროს ვატი- რომელსაც ბენდიანი ფლობს, ეს ანტიკური ბატია, ანაპა-1 და რომელიც მიერთებული ჩანს დადიანის მიერ. ახალი სამფლობელოების კვალობაზე, დადიანის ტიტული დადიან-ბენდიანია, რომელსაც ის კარგავს

ჭანეთ -ზიხეთთან ერთად 1533 წელს. ასევე ავტონომიის პრეტენზია უჩნდება ოდნავ მოგვიანებით, როცა ყუარყუარეს პოზიცია შესუსტებული ჩანს, მანია (მამია) გურიის ერისთავსაც. ის, რომ გურიის ერისთავს ავტონომიის პრეტენ-ზია აქვს, აშკარად გამორიცხავს ამ პერიოდისათვის ვატის (ბათუმის) მეგრელე-ბით დასახლებას (41) როგორც ეს ამბროჯიო კონტარინის აქვს მოხსენებული. ცხადია ამბროზიო კონტარინის ვატი-ეს ბათუმია, მაგრამ იოსაფატ ბარბაროს ვატი-ეს ანაპა-1-ია, სამეგრელოს მთავრის, ბენდიანის სამფლობელო, ზიხეთი, რომელიც მეგრულ დიალექტზე საუბრობს.

ქართული ისტორიისათვის ფაქტიურად ეს უცნობი ფატქები შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსათვისი ისტორიული პროცესების გადახედვის აუცილ-ებლობას მოითხოვს მაშინ, როდესაც გურიის სამთავრო გარკვეული ავტონომი-ით სარგებლობს სამეგრელოს შემადგენლობაში, აბაზგეთის სამთავრო (ანაკო-ფიის საერისთავო) სამეგრელოსაგან ფაქტიურ დამოუკიდებლობას აღწევს. ჩვენთის (და ისტორიისათვის) უცნობია ის რეაქცია, რაც აბაზგეთს იქითა მეგ-რულენოვან პროვინციებში ხდება. ერთადერთი ცნობა იოსაფატ ბარბაროსი, რომ ბატი-ანაპა ბენდიანის სამფლობელოა, მე-15-ე საუკუნის ბოლოს რეალობას ასახავს, მაშინ როდესაც სამეგრელოს მთავარი ჯერჯერობით ინარჩუნებს აფხა-ზეთს, ნომინალურად მაინც. სიტუაცია მკვეთრად იცვლება მე-16-ე საუკუნის დასაწყისისათვის. აბაზგეთის ფაქტიური დამოუკიდებლობის მიღწევის შემდ-ეგ. აფხაზეთს იქითა სამეგრელო მოწყვეტილი აღმოჩნდა დანარჩენ სამეგრელ-ოს. ყველა დაიმტერესებულ მხარეს საკუთარი მიზნები ამოძრავებს:

1.სამეგრელოს მთავარს-ერთიანობის და სამხედრო პოტენციალის, საკუთარი სამფლობელოების შენარჩუნება.

2.თურქეთი- იმ პერიოდისათვის იდუმალი მოწინააღმდეგე, ცდილობს გაატარ-ოს პრინციპი, გათიშე და იბატონე.

3.აბაზგეთი (ანაკოფია) - საკუთარი დამოუკიდებლობის განმტკიცება.

4)სანიგეთი-(ნაჟანეული-ხოირი) და სუბეში პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მიღწევას ბენდიანისაგან.

5)ზიხეთი- ასევე პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა ბენდიანისაგან.

6)კამიშები და უბიხები-ზღვაზე გასასვლელის გაჭრა, ოსმალებთან ურთიერთ-ობისათვის. (პირველ რიგში სავაჭრო)

ერთმნიშვნელოვნად შეიძება ჩაითვალოს აბაზგეთის პოზიცია, როცა მან შეერთებული (მეგრულ-გურული) ლაშქარი 1533 წელს საკუთარ ტერიტორიაზე არ გაატარა (42) სავარაუდოა, რომ მათ სანიგებიც (ჭანები) მხარს უჭერდნენ. ასე-ვე ერთმნიშვნელოვანია პოზიცია საძთა (სადაშთა) და უბიხთა, რომელთაც აღნ-იშნულ ტერიტორიაზე (სოჭის რაიონი) ზღვაზე გასასვლელი მოიპოვეს. ძნელი გასარკვევია სანიგთა და ზიხთა პოზიციები. სავარაუდოა, რომ ბენდიანისაგან

დამოუკიდებლობის მოპოვებას ეყოლებოდა როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. ფაქტია, რომ მეგრულ-გურულმა სადესანტო შენაერთებმა, მიუხედავად პირველი დღის წარმატებისა, მეორე დღეს სასტიკი მარცხი განიცადეს. სულ სხვა როლში და ამპლუაში გვევლინება ისტორიული პიროვნება ცანდია ინალიფა(43)

ფაქტი ისაა, რომ უბიხთა და სადაშთა ტომები ღებულობენ სანუკვარ მონაკვეთს ზღვის სანაპიროზე, რომელიც აქტუალური ხდება შავ ზღვაზე ოსმალეთის იმპერიის გამოჩენასთან ერთად.

სანიგეთ-ზიხეთი მოიპოვებს დამოუკიდებლობას ბენდიანისაგან, სანაპირო ტერიტორიების დათმობა -დაკარგვის ფასად და გრძელდება შემდგომი დეზინტეგრაცია,თუმცა რელიგიურ მთლიანობას აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიასთან ინარჩუნებს.

ბენდიანი-სამეგრელოს მთავარი კარგავს ტერიტორიებს და ტიტულს დადიან-ბენდიანი და იგი მხოლოდ დადიანის წოდებას ჯერდება. (45)

აი ასეთი რეალობაა ჩამოყალიბებული მე-17-ე საუკუნის შუა რიცხვებისათვის, როდესაც თურქი ემისარი და მოგზაური, ევლია ჩელები აღწერს დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთს. აუცილებლად ვთვლით, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ჩელებისეული ვერსია აფხაზების წარმომავლობის შესახებ და მხოლოდ შემდეგ გავაგრძელოთ შავი ზღვის ჩრდილეოთ სანაპიროს აღწერა: **„მას ჰყავადა ხუთი შვილი. პირველს ერქვა ჯებელ-ულ- გიმეტი. მეორეს არაბი, მესამეს კისუ (შვილბი: კაისი, მევალი და ტაი); მეოთხეს ერქვა ლაკზი,მეხუთეს აბაზი...აქ ჯორუგის (ჭოროხის) სანაპირო ციხე-სიმაგრე გონიოთი დაეთმო ლაზგებს...ძმა კისუს შეხვდა ჩერქეზეთის მთები...აბაზებს შეხვდათ ქვეყანა წოდებული დღეს მათი სახელით. ასე რომ ჩერქეზები, ლაზგები, აბაზები, ალბანელები, არაბული მუხლი ტაი და კისი ეკუთვნის კორიეშიტების გვარს.“ (ევლია ჩელები თურქი მოგზაურის მგზავრობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე 172-173 ტომი IX -1875წ.).**

ცხადია, ჩელების კაცობრიობის ისტორია , აგებული არაბულ ყაიდაზე, ერთ- ერთი მრავალთაგანია ანალოგიურ გენიოლოგიათა შორის, შედგენილი სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მიერ და ჭეშმარიტებასთან ცოტა რამ აქვთ საერთო. ჩელების და მათ მსგავსთა მიერ გახმოვანებული გენიოლოგიური ხეები კაცობრიობის ისტორიისა, გამოხატავს იმ ერებში იმ დროისათვის არსებულ შეხედულებებს. სავარაუდოა, რომ ასეთი გადმოცემები ეყრდნობა ეთნოგრაფიულ ლინგვისტურ თუ სოციალურ შეხედულებებს და მეტნაკლები სისწორით ასახავს ტომთა შორის არსებულ დამოკიდებულებებს აწმყოსა თუ წარსულში. საგულისხმოა რომ ჩელებისთვის ლაზგები , ჩერქეზები, აბაზები, ალბანელები ერთი გვარისანი არიან. საყურადღებოა რომ თარგმანებში ერთგან ნახსენებია

ლაზგები, მეორეგან ლაკზები ერთი დაიმავე ხალხის აღსანიშნავად, რომლებიც სამკვიდროდ ჯორუგსა და გონიოს ღებულობენ, ცხადია აქ საუბარია მხოლოდ ლაზებზეა და სხვა არავისზე! ერთობ საყურადღებო მომენტია, რომ ერთი გვარის მიკუთვნებულობის პირობებშიც, ეთნარქები ნათესაობის ხარისხით აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ლაკზი, აფხაზი და ალბანი (46) ძმების შთამომავლები არიან, ჩერქეზი-ეს მათი ბიძაშვილია, ამ უკანასკნელთაგან ერთი მუხლით უფრო შორს მდგომი. თუ ჩვენს მიერ მიკვლეულ ახალ ისტორიულ სინამდვილეს გადავხედავთ, თეორია მათი ასეთი სახით ნათესაობის შესახებ აბსოლუტურად მისაღები ჩანს.

„ორდღიანი სიარულის შემდეგ დასავლეთისაკენ, ჩვენ მივაღწიეთ ჩანდების (ჭანების) მუხლის საზღვრებს.ისინი ნამდვილი აფხაზები არიან,რიცხვით 1500-მდე მამაცი ვაჟკაცი და უწოდბენ მთის ჩანდებს.მათი ნავსადგური- კაკური. მის ახლოს დევს სოფელი ხაკე გარშემორტყმული ბაღებით ზღვის სანაპიროს გაყოლებით.შემდეგ მასთანვე სამი დღის სავალზე მოჰყვება საცხოვრებელი დიდი ჩანდებისა. ისინი 15000 ადამიანია 25 სოფელში და მათ ნავსადგომს უწოდებენ ჩანდალარს“ (იქვე)

ჩელებისეული ხაზგასმა,რომ ჩანდები-ეს ნამდვილი აფხაზები არიან,ცხადს ხდის, რომ აქაც და შემდგომაც აფხაზების ქვეშ მხოლოდ და მხოლოდ ლაზებს გულისხმობს(47)ჩელების სიტყვებით ჩანდების ნავმისადგომი ჩანდალარია,სადაც სიტყვის პირველი ნაწილი თავისთავად ტომის აღმნიშვნელია, ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი-ეს აშკარად შორეული წარსულიდან მომავალი სიტყვაა, დასახლების აღმნიშვნელი და დროთა განმავლობაში დაკარგული“

„ჩანდებიდან ხმელეთის გაყოლებით დასავლეთისაკენ და ერთდღიანი მგზავრობის მერე მივედით კეჩილარების ტომთან: მათი ქვეყანა ნამდვილი სამოთხეა; მასში 75-მდე სოფელია, შემძლები 2000 დახელოვნებული მსროლელის გამოყვანისა. წყალი აქ ბრწყინვალეა დიდი მდინარე პსუ მომდინერეობს კავკასიიდან (მთებიდან) და ჩაედინება ზღვაში. წყალი მასში გრილია, ზაფხულში ის უხერხული გადასასვლელია, მაგრამ ზამთარში გემებისათვის უხიფათო მისადგომით. ორიევ სანაპირო დაფარულია ბაღებით, კეჩილარების სადგომებით, შემძლე 10000 მეომრის გამოყვანის, ძირითადად ცხენოსნებისა. ისინი საკმაოდ მდიდრები არიან და მტაცებლები.ჩვენ ვსტუმრობდით სოფელ გაკაში, აფხაზის სახლში სახელით საფარი-აღა. ჩვენთან მყოფებმა იანაჩარებმა მოგვიმზადეს სადილი 10 ცხვრისაგან, რის შემდეგაც, ჩვენ მოვდიოდით შემდეგ დასავლეთისაკენ არტების ტომისაკენ, რომლებიც კეჩილარებზე მ რავალრიცხოვანი არიან, მაგრამ ნაკლებად მამაცები მასზე და ნაკლები მიდრეკილებით ძარცვისაკენ, დიდ წილად დაკავებული არიან ბეწვეულით ვაჭრობით. ისინი ზრდიან მრავალ ღორს. მათ არა აქვთ სჯულის წიგნები, არც სექტები არც სიტყვის შენახვა

იციან. მათი რიცხვი მიდის 30000-მდე. მათმა ბეგმა, 40 თუ 50 შეიარაღებული აფხაზის თანმხლებით, მოგვიტანა ჩვენ მოსასალმებლად 20 ცხვარი და 3 გარეული თხა. ის ჩაცმული იყო კაბაში. წოდებული <<kilchakli-gebe-chekmani>> წელზე ხმლით, ეჭირა ხელში მშვილდი და ისრები. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და გამოირჩეოდა ვაჟკაცური შესახედაობით. მის მსგავსად მის ყველა მსახურს ჰქონდა დიდი თმა. ამ ტომის მისადგომს ეწოდება არტლარი(48) ჩვენ აქ გავატარეთ ღამე.აქ გემს არ შეეძლო დგომა ვინაიდან ადგილი სრულიად ღიაა. მეორე ნავსაგდომს, სადაც გემებს შეუძლიათ თავშეფარება ექვსი თვის განმავლობაში, ეწოდება ლაიუში(49) (იქვე, 175-176)''

ცხადია კეჩილარის ტომი, დასახელების ლაზური სიტყვათა წყობით ლაზურია.საფარ-აღა თემის წინამდგომი ჩელების სიტყვებით სავარაუდოდ აფხაზია ე.ი ლაზი.მათი თემი არა ერთგზის ამოტივტივდება ისტორიის ფურცლებზე.

ლაზები ჩანან კეჩილარების მეზობელი არტებიც,რომელთაც შეძლეს საუკუნეების მანძილზე თავიანთი ტომის სახელის შენარჩუნება. არტები- ეს ის ტომია, რომელთაც სახელი დაანათლეს ადრიარკატის ზღვას, ცხოვრობდნენ ილირიაში, რომელთა შესაძლო გაქრობაზე წინასწარმეტყველებდა სტრაბონი და რომელთა გაქრობას მოგვიანებით კონსტანტირებდა აპიანე. ვახდენთ რა ანტიკურ ისტორიკოსთა პერეფრაზირებას, ვიტყვით რომ ტომები ამ ქვეყნად არ ქრებიან. ისინი განაგრძობენ ცხოვრებას იქვე სხვა სახელის ქვეშ, გადადიან სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებლად თავიანთი სახელით ან ცხოვრობენ სხვა ტერიტორიაზე ასევე სხვა სახელით.

„ჩრდილოეთით, მთებს შორის მდებარეობს სადაშა, ქვეყანა სიდი-აჰმედ-ფაშასი.მცხოვრებლები კარგად ლაპარაკობენ როგორც აფხაზურ, ისე ჩერქეზულ ენაზე. ისინი რიცხვით 7000 მამაცი ვაჟკაცია, მიკუთვნებული ჩერქეზებს (50). აფხაზები და ჩერქეზები მართალია არ ენდობიან ერთმანეთს, მაგრამ ცდილობენ შეინარჩუნონ ნორმალური ურთიერთობა ვაჭრობის ხათრით, რომელიც წარმოებს არტების ნავსადგომიდან მონებით და სანთლით. ტაჩაგუზები (51) ასევე მოდიან სავაჭრო გემებით და ვაჭრობენ შეუფერხებლად.

ჩვენ მივდიოდით სამი გადასვლა დასავლეთის მიმართულებით, ზღვის სანაპიროს გაყოლებით, ტყიანი და მაღალი მთების კიდეში სადაც მრავალი სოფელი და მინდორია კამიშების ტომამადე. -10000 მამაცი ვაჟკაცისაგან შემდგარი. მათ არაერთხელ დაამარცხეს არტების ტომები და დაატყვევეს მათი ბეგები. ვინაიდან აფხაზები პარავენ ბავშვებს ერთმანეთს და ადამიანი , რომელიც არ ქურდობს და არ ძარცვავს ითვლება ცუდ ამხნაგად,ისე რომ მათზე თავიანთ ქალიშვილს არ ათხოვებენ. მთებში კამიშები ამრავლებენ ღორებს, ვირისხელას. ნავსადგომში ხომალდი არ შემოდის, ხალხის შფოთიანი ხასიათის გამო. იქიდან

აფხაზების ბავშვები იგზავნება კონსტანტინოპოლსა და კაიროში.მათ აქვთ მეჩ-ეთი.ჰავა სასიამოვნოა. ყველა სოფელი მიმართულია კიბლისკენ და სამხრეთი-სკენ.ნავსადგომში მოწყობილია ბაზარი.“(იქვე,176-177)

ევლია ჩელები აშკარად ობიექტურობით გამორჩეული მემატიანე ჩანს.(გა-რდა შემთხვევებისა როდესაც ტექსტში აშკარად გვიანდელი ჩანართებია, მაგ-ალითად ვითომც „აფხაზური“ ენის მაგალითები) ჩელების სიტყვებით ჩრდი-ლოეთით მთებს შორის მდებარეობს ჩერქეზული სადაში. სიტუაციის გამოხა-ტვის ფორმა აშკარად მიანიშნებს, რომ სადაშები მთებში ცხოვრობენ, რომელიც ამ კერძო შემთხვევაში აშკარად ახლოსაა ზღვის ნაპირთან, მაგრამ არ ეკვრის მას. სადაშებს ნავსადგომი არ გააჩნიათ სარგებლობენ არტების ნავსადგომით და ამ გარემოებიდან გამომდინარე, ცდილობენ ნორმალური ურთიერთობის ქონას არტებთან. ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ სადაშები ეს ჩელებისავე სიტყვ-ებით ჩერქეზული ტომია,თუმცა აფხაზურად ლაპარაკობენ.

ტაჩაგუზები, რომლებიც გემებით მოდიან სავაჭროდ,რასაკვირველია არა-ადგილობრივი უცხო ტომია, ჩელებისვე მიხედვით ქედსიქითა ებრაელები, ვაჭრობის დიდოსტატები, სავაჭროდ შემოსული ნავსადგურში

კამიშები-ამ სახელის ქვეშ უბიხები იგულისხმება.(52) ჩელები ვერ საზღვ-რავს მათ ეროვნულ კუთვნილებას და აბსულუტურად სწორია. ასევე ვერ საზღ-ვრავს რუსი გენერალი დუბროვინი 200 წლის შემდეგ ჩელებისაგან და მათი ცხოვრების ნირით ჩერქეზებს მიაკუთვნებს. ენით რამდენადმე უახლოვდებიან აბაზგებს, რომელთა ეროვნულ მიკუთვნებულობას ჩელები ასევე არ ასახელ-ებს. (აბზოურ ტომებზე, აბაზგებსა და კამიშებზე, სანარელ სადაშებზე საკითხი დაწვრილებითი გაშუქებულია სათაურით „აბზოის ტომი და სხვები’’) ის, რომ კამიშთა ნავსადგომიდან მხოლოდ აფხაზი და არა ჩერქეზი ბავშვები იყიდებიან კონსტანტინეპოლსა და კაიროში, ამტკიცებს დუბროვინის კონფცეფციას-ისინი ერიდებიან ჩერქეზებთან კონფლიქტს, თუმცა ასეთ მორიდებას აფხაზების მიმ-ართ არ ამჟღავნებენ.

„სამი გადასვლი შემდეგ ჩვენ მივედით სუჯალარის ტომამადე. 1000 მამაცი ვა-ჟკაცი. მათ ცოტა სახლები აქვთ კლდოვანი ნიადაგის გამო.აქვთ ნავმისადგომი, მაგრამ მე დამავიწყდა მისი სახელი. ჩვენ ღამე გავათიეთ როგორც სტუმრებმა გადეკაში.შემთხვევით მოვხვდით ქორწილში და ისინი ჩვენ გაგვიმასპინძლდნ-ენ მრავალგვარი კერძით.ლამაზი გოგონები და ბიჭები მოგვიჩინეს მომსახურ-ებაზე, ხოლო მეორე დღეს გონიოს აღამ, ჩვენმა თანამგზავრმა აჩუქა სახლის პა-ტრონს ტიურბანი, რომელიც ისე დიდად დაფასდა, თითქოს გვირგვინი იყო. იმდენად რამდენადაც არ იყო ბაზარი, არც სასტუმრო სახლი, არც აბანო, არც მეჩეთი მათთვის უცნობია განათლებული ხალხის წესჩვეულებები. მათი სოფ-ლები შედგება 40-დან 50-მდე სახლისაგან, მდებარე მთებში. გემებს სხვადსხვა

ქვეყნიდან მოაქვთ დენთი, ტყვია, თოფი ძველი ფეხსაცმელი, მაუდის ნაჭრები, ქსოვილი,ბოკასინი (ასევე ნაჭრები) ქვაბები, სათევზაო ანკესები, მარილი, საპონი და სხვა საქონელი, რომელიც იცვლება ფულის გამოუყენებლად ტყვეებზე, კარაქზე, სანთელსა და თაფლზე. სუჯებიდან ჩვენ მოვდიოდით შემდეგ დასავლეთისაკენ, ზღვის სანაპიროს გაყოლებით დანბეს ტომამდე, რომელსაც შეუძლია **2000** შეიარაღებული ვაჟკაცის გამოყვანა. ჩვენ გავჩერდით სამი დღე ნავსდგომში და ვცვლიდით ჩვენ ძველ ტანსაცმელს გოგონებსა და ყმაწვილ მონებზე.თვითონ მე ვიყიდე აფხაზი ბიჭი.(იქვე **176-178)“.**

სუჯალარები ტომი ისევ და ისევ დასახელებიდან გამომდინარე ლაზური ტომი ჩანს. არ ჩანს შემთხვევითი რომ ჩელები აქ გამოყვანილი მონების ეთნიკურ შემადგენლობაზე არაფერს ამბობს.თუმცა მონებით ვაჭრობას აღნიშნავს: სავარაუდოდ მონები ჩერქეზული წარმოშობისა ჩანან.(53)

სუჯებიდან წასული მოგზაურები უკვე დამბეს ტომში ხვდება, სადაც მონას, აფხაზს ყიდულობს. დიდი ალბათობით დამბეს ტომიც უბიხური ჩანს, თუმცა ჩელები აფხაზების მიერ ერთმანეთის ბავშვების მოპარვას და გაყიდვის ფაქტებსაც აღნიშნავს.

„მეოთხე დღეს მოვდიოდით დასავლეთისაკენ და მივედით ბოზდუკების ტომთან, რიცხვით 7000 კაცია ბეგის მეთაურობის ქვეშ. ჩვენ წავასწარით ნავსადგომში ათ ხომალდს კონსტანტინოპოლიდან და მრავალს ჩვენი მეგობრების რიცხვიდან, ჩვენი დიდი გაკვირვების მიუხედავად. მენგლი-გურეის მიყავდა 3000 კაცი ბოზდუკებიდან სალაშქროდ, რომლის დამთავრების შემდეგ მან მისცა კარვები და ჩერქეზულ მთა ობურში, სადაც ისინი დარჩნენ. ეს ხალხი მამაცია, მოსაუბრე აფხაზურად და ჩერქეზულად. მთა ობური ჰყოფს აფხაზ ბოზდუკებს ჩერქეზ ბოზდუკებისაგან.მანძილი მათ შორის სამი გადასვლაა.ისინი ჰპარავენ ბავშვებს ერთმანეთს და ყიდიან.ორი დღის სავალზე დასავლეთისაკენ საზღვაო სანაპიროზე არის ნანგრევები ძველი ციხე სიმაგრისა სუბიში,სადაც ჩვენ გავატარეთ ღამე, როგორც სტუმრებმა.მცხოვრებლები აკეთებენ მშვილდს და ისრებს, მათ ბეგს ჰყავს 3000 ადამიანი შეიარაღებული თოფით. ციხე-სიმაგრეს ნავსადგომს ჰქვია სუბიში.(56)მთებში ბინადრობს დიდი რიცხვი დათვებისა, მელიებისა,ტურებისა, ბეკასი.ეს აფხაზური ხალხი უცნაურად ასაფლავებს თავის ბეგებს.მიცვლაბეულის სხეულს ათავსებენ ხის ყუთში, რომელიც მაღალი ხის ტოტებზე მაგრდება. თავს ზემოთ ყუთში ტოვებენ ნახვრეტს, რომ ბეგს შეეძლოს როგორც ისინი ამბობენ, ცას უყუროს. ფუტკრები ძვრებიან ყუთში და აკეთებენ თაფლს, მთლიანად ფარავენ ყუთში მოქცეულ გვამს. როცა დადგება დრო, ისინი ხსნიან ყუთს გამოაქვთ თაფლი და ჰყიდიან. ამიტომაც უნდა იყო ძალიან ფრთხილად თაფლის ყიდვის დროს აფხაზეთში.ვიყიდეთ რა რამდენიმე ყმაწვილი, ჩვენ მივდიოდით აშეღალის ტომის მიმართულებით,რომელთა ბეგებს

შეუძლიათ შეუძლიათ სალაშქროდ 2000 მამაცი ვაჟკაცის გამოყვანა, მაგრამ ყველანი ისინი ისეთი ქურდებია, რომ თავად აფხაზებს მათი ეშინიათ. აქ აგრეთვე არის ციხე-სიმაგრის ნანგრევები , რომლის ახლოს ნავსადგომი აშენდალია, სადაც მოდის მრავალი ხომალდი კაფადან და ტამანიდან, რომლებსაც აქა გამოზამთრება არ შეუძლიათ. დღის სავალის მანძილზე მდებარეობს აშენდალის კუთვნილი სოფელი ატიმა, სადაც მათ შორის მრავალი მუსლიმანია თოფხანეს აფხაზებიდან. ჩერქეზების მიწები აქედან ერთი დღის სავლზეა. ორი დღის სავალზე მდებარეობს სუკსუს ტომი. მათ ბეგს ემორჩილება 3000 შეიარაღებული მამაკაცი. მათ ჰყავთ ცხენები მაღალი ჯიშისა.ნავსადგომს ჰქვია გარდენა. მდინარე სუკი,უფონო,გამოდის ჩექეზების მთებიდან და ჩადინება შავ ზღვაში. მათ შორის გვხვდება რამდენიმე მდიდარი.ორი დღის სავალის შემდეგ კიუტასების ტომის საცხოვრისია, 7000 შეიარაღებული მამაკაცი ბეგების განკარგულებაში. მათი მაღაზიები დაფარული რქებით და ნავსადგომში ჩვენ წავაწყდით მრვალ ხომალდს კაფადან და ტამანიდან.ჩვენ შევხვდით რამდენიმე ნაცნობს ყირიმიდან, რამდენადაც მხედრები ამ მხრიდან მუდმივ ურთიერთობაში არიან ჩერქეზეთთან. ცნობების გადაცემის სიადვილის გამო ეს ხალხი მდიდარია.ისინი ასევე თესავენ ჭვავს, მაშინ როცა სხვა აფხაზები თესავენ ფეტვს, რომელიც იძლევა ასჯერად მოსავალს.კიუტასების სახლები გადახურულია ისლით. ჯგუფებს შემდგარი ათეულობით სახლებისაგან ეწოდება კაბაკი, რომელიც გარშემორტყმულია კედლებით ციხე სიმაგრის მსგავსად.ძაღლები ყარაულობენ ამ კაბაკებს ლომების დარად, საჭიროების და მიხედვით რამდენადაც ყველა საცხოვრისი მდებარეობს ტყეში და ყოველი სოფელი უფრთხის მეორეს. კიუტასების მეზობლად ცხოვრობენ შანები ჩერქეზებიდან, გამოყოფილი პირველებისაგან მხოლოდ მთით და ერთი დღის სავალით. ისინი ლაპარაკობენ ჩერქეზულად .(იქვე 178-180)".

ბოზდუკები ჩელებისთვის აფხაზური ტომია, რომლის ნაწილი ჩერქეზეთშია გადასახლებული და გაჩერქეზებული.(54)

ციხე-სიმაგრე სუბეშთან მცხოვრები სუბეშელები ეს უყოყმანოდ ქართველური ტომია,(55) ზანები. მიცვალებულის დაკრძალვის ასეთი მეთოდი-ეს უძველესი ლიტერატურული წყაროებიდან ამოკითხული ცნობაა, რომელსაც ასევე ვახუშტი ბატონიშვილი ახსენებს და რომელსაც აწყმოსთან არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს. ხალხისთვის რომელსაც ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლობა აქვს (უარეს შემთხვევაში ჰქონდა მაინც ადრე) დასაფლავების ასეთი წესი მიუღებელია. დასაფლევების ასეთი წესი აპოლონიოსის (როდოსელი) მიხედვით კოლხურია და სხვა არავისი.მისი სიტყვებით მიცვალებულ მამაკაცთა გვამებს ნიშნად პატივისა ხეზე ჰკიდებდნენ გასაშრობად, ხოლო ქალებს კი მიწას აბარაებდნენ. უნდა აღინიშნოს რომ, კოლხეთის მრავალ თემს

შორის ერთადერთი შკვითინები (შემდგომში სტრაბონისეული ჰეპტაკომიტე-ბი) არიან ის ტომები, რომლის სახელი ფუტკარსა და თაფლს საუკუნეების მან-ძილზე უკავშირდება(56)

აშეღალელთა ერთ-ერთი თვისება ეს ხელოვნების დარგში აყვანილი ქუ-რდობაა, დანარჩენი აფხაზური ტომისათვის მოუწვდომელი. ის რომ აშეღალე-ლთა ტომის სოფელ ატიმაში ბევრი მუსლიმანია, აშკარა მიმანიშნებელია ოსმა-ლეთის ექსპანსიისა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე:ყირიმის ნახევარკუნძ-ულს ისინი თითქმის 200 წელია ფლობენ.

პრობლემატურია სუკსუს ტომის ეროვნული მიკუთვნებულობა, თუმაცა სავარაუდოა,რომ ქართველური ტომები ინარჩუნებენ სანაპიროს სავაჭრო მო-ნოპოლიას ანაპამდე გარდა აბაზგეთის (ანაკოფიის) და კამიშების (უბიხების) კუთვნილი სანაპიროსი, რომელიც განსხვავებით აბაზგების სანაპიროსი,1533 წლის ომის შედეგად ჩანს მოპოვებული. სუკი ეს დასავლურ ქართველურ ენა-ზე სერის, წაგრძელებული გორაკის აღმნიშვნელი ტერმინია. მაღლობზე, ერთ სერზე მცხოვრებ ხალხს სუკარებს-სუკელებს ეძახიან.

კიდევ ერთხელ ამოტივტივდა ისტორიის ფურცლებზე კიუტების ტომი. ეს ის ტომია, რომელიც პირველი საუკუნის მესამე მეოთხედში აშენებს საკუთ-არ ქალაქს, დასახლებას, მიტოვებული ფეოდოსიის ახლოს, რომელსაც კიუტსი ჰქვია.ამ ქალაქმა და ამ ტომმა მისცა საფუძველი მითს, რომ აიეტი და შესაბამი-სად მედეა სკვითებია (რადგან ისინი სკვითეთში ცხოვრობენ) ეს ზუსტად ის „კამპანია“- შეიძლება იყოს, რომლესაც ცალკე მმართველი„ზიხი-გერკესი“ ჰყავს (იხ.ზემოთ). ოსმალების მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ შავი ზღვის ამ აზიურ სანაპიროზე გადმობარგებულ- დასახლებული. წლების შემდეგ ამავე ადგილიდან აყრილი განითესება გურია- სამეგრელოში და კიდევ ერთ ამოუხსნელ გვაროვნულ საიდუმლოს ჰქმნის რეგიონში(57)

შანები, რომელსაც ჩელები ჩექეზებად ასახელებს, რომლებიც ყველაზე დასავლეთით, ქართველური ტომებისაგან ყველაზე შორს, შესაბამისად ახლოს ცხოვრობს ყირიმულ თათრებთან, ოსმალებთან და ჩერქეზებთან, საკმაოდ კარ-გად არის შესწავლილი გვიანდელი რუსულ ლიტერატურაში და მოგვიანებით იქნება განხილული.

ევლია ჩელების მოგზაურობის მომდევნო პარაგრაფი, რომელიც აფხა-ზურ დიალექტებს, აღმოსავლურს და დასვალურს გადმოგვცმს, აშკარად გვიან-დელი ჩართულია (უცილობლოდ სხვის მიერ, რომელიც აფხაზურს და აბაზგ-ურს ვერ ანსხვავებს) ჩელები ერთმნივნელოვნად მიანიშნებს, რომ მისთვის აფ-ხაზური -ეს ჭანურ- ლაზურია, ჯორუგზე მცხოვრებთა ენა და არა არლანური-აბაზგური ენა. ჩელების ჩანაწერების გამყალბებელი დასავლეთ „აფხაზურად'' უბიხების ენას აცხადებს , რომელსაც ჩელები ხან აფხაზებს აკუთვნებს ხან ჩერ-

ქეზებს. ასევე გვიანდელი ჩანს მთის ტომების ჩამონათვალი მოხსენებული ვი-თომდა ჩელების მიერ. ჩელები,რომელიც დათვალიერებისას თანმიმდვრობით აღწერს შემხვედრ ტომებს, ბოლოში თითქოსდა ახსენებს ახჩიპსის ტომებს, რო-მლებიც მოგვიანებით გაგრის მთიანეთში ცხოვრობს, თუმცა ჩელების აქ უკვე დაფიქსირებული ჰყავს მთის ჩანდები,რომლებიც 1704 წლისათვის უკვე აღნიშ-ნულ ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ. შესაბამისად ბოლო ჩანაწერები , მე-18 საუ-კუნის დასწყისზე ადრე ვერ იქნებოდა შესრულებული და არ ეკუთვნის ჩელე-ბის კალამს!.. ქართველური ტომების აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრება -ეს შემდგარი ფაქტია. ამ თემაზე პირდაპირი სამტკიცო არქანჯელო ლამბერტის მემუარულ სტილის ნაწარმოებშიც თვალნათლივ ჩანს. შეგახსენებთ რომ არქ-ანჯელო ლამბერტი ფაქტიურად ჩელების თანამედროვეა, მაშინ როდესაც და-ნარჩენი საქართველოსგან ტერიტორიულად აღნიშნული რეგიონი ფაქტიურ-ად იზოლირებულია.

უაღრესად საინტერესოა საკითხი ინარჩუნებს თუ არა დედა სამშობლო-სთან მოწყვეტილი ნაწილი სასულიერო კავშირს ეკლესიათან, ამ შემთხვევაში აფხაზეთის საკათალიკოსოსთან? აფხაზეთის საკათალიკოსოს ქვეშ მთელი და-სავლეთ საქართველოს სულიერი სამყარო იგულისხმება. ბაგრატ მე-6-მ ისარ-გებლა რა იერუსალიმის ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის (1470-1484) ჩამოს-ვლით და მას აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) პატრიარქად ეპისკოპოსი იოაკიმე აკურთხებინა. მართალია პატრიარქ მიქაელის ჩამოსვლის თარიღი უც-ნობია, მაგრამ **შამადავლა დადიანის სიგელი** საკათალიკოსო სარგოს შესახებ, ამ თარიღის დაზუსტების საშუალებას იძლევა.

---დავამტკიცე--- ჯვარი და ბისონი კეთილთა შევამკეთ და დავასუენეთ და ვი-რწმუნეთ იერუსალიმის და ანტიოქიის პატრიარქიასა მიქაელის სა-რ-ქოთა და ომფორთა კათალიკოსი იოაკიმი ქრისტეს საფლავსა მარჯუენითა კათალიკო-სად დავაყენეთ და საკათალიკოსოდ ესე გავაშინეთ.

იერუსალიმ -ანტიოქიის პატრიარქი აღსაყდრებული ჩანს 1470 წელს, ხო-ლო შამადავლა დადიანი გარდაიცვალა 1474 წელს. სიგელი 1470-74 წლებს ეკუ-თვნის შესაბამისად აფხაზეთის საკათალიკოსოს დამოუკიდებლობაც (ივერიის საკათალიკოსოდან)ამ პერიოდთანაა საგულისხმებელი.

უაღრესად საგულისმოა აფხაზეთის კათოლიკოსის ტიტულის ცვლილე-ბა დროის სხვდასხვა მონაკვეთში, დაფიქსირებული ჩვნს დრომდე მოღწეული უძველესი საეკლესიო საბუთებით. ყველა სიგელი, რომელშიც მოხსენებულია უმაღლესი სასულიერო ხელისუფალი, ნახმარია ტერმინი კათოლიკოსი, უფრო იშვიათად აფხაზეთის კათოლიკოსი. ერთადერთი გამონაკლისი, ეს ერთ-ერთი უძველესი სიგელია, დათარიღებული 1619-1620 წლით, სადაც კათოლიკოსი ნა-ხსენებია ტიტულით, ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათოლიკოსი.

საფიქრებელია რომ დროით გაფუჭებული სიგელი გადაწერილია ახალ მასალაზე, უკვე ახალი სატიტულო დასახელებით. შემონახულია ასეთი სიგელების ნუსხა 1616 წლიდა 1664 წლამდე.

რასაკვირველია, საკათალიკოსო ტიტულში აფხაზეთის მოხსენება მიანიშნებს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის (არა აბაზგეთის-ანაკოფიის საერისთავო) რომელიღაც ეკლესია და შესაბამისად საეპისკოპოსო, აღნიშნული საკათალიკოსოს ეპარქიაა. მართლაც ყვაპუ შერვაშიძის საფიცარი წერილიდან მიწერილი გრიგოლ კათალიკოსისადმი, დათარიღებული 1696-1704 წლებით, მოხსენებულია საკათალიკოსო სოფელი ნაჟანეური და ხოირი. ჩვენი მიკვლეული ცნობების მიხედვით, ნახსენები ნაჟანეური- ეს ბიჭვინთა, გაგრა, ადლერის (არტლაარის) ტერიტორიებია, ხოირი -ტერიტორია გუდაუთასა და ბიჭვნთას შორის. ევლია ჩელების ცნობებით, ჩაჩის (შერვაშიძის) ქვემდებარე ტომები, კოდორსა და ბიჭვინთას შორის არიან განსახლებული. ცხადია ნახსენები ტერიტორიები ავტნომიურია, თვითმმართველი და მხოლოდ სულიერად ემორჩილება აფაზეთის კათალიკოსს. საკათალიკოსო სოფლები ნახსენები ყვაპე შერვაშიძის მიერ, პირდაპირი ნიშანია რომ დასახლებული ტერიტორიების სულიერი წინამძღვარი თვითონ კათალიკოსია! მართლაც 1705 წელს გრიგოლ კათალიკოსის შეწირულობის წიგნში, სადაც ის მიმართავს ბიჭვინთის ღვთისმშობელს, აღნიშნავს რომ **ნაჟანევს სფლი სკზო აყრილიყო.** ცხადია ნაჟანეური და ხოირი, ეს აფხაზეთის კათალიკოსის ხელდებული იყო. (უფრო დაწვრილებით საკითხი განხილულია „კენებთან’’)

...და ვინაა იქ, ჩრდილოეთში, ნაჟანეურის იქით, რომელიც 1664 წლიდან ინტენსიურად , თითქმის ყოველ მოხსენებულ სიგელში შეახსენებს თავის არსებობას აფხაზეთის საკათალიკოსოს და მის ტიტულს ასე გარდაქმნის: ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოსი?

პასუხი ერთადერთია: ეს ზანთა და ზიხთა ქართველური ტომებია, რომელიც თურქ მოგზაურს ევლია ჩელების, საგულდაგულოდ დაუთვლია, მათი სახელები შემოუნახავს და აღუნუსხია! (ტერმინ ჩრდილოში ის ტომები მოიაზრება უთუოდ, რომლებიც სადაშებისა და კამიშ-უბიხების ჩრდილოეთით სახლობენ)...საიტერესოა რომ 1760 წლამდე ტიტულატურა შენარჩუნებულია. შემდეგ წლებში ტიტულატურა გაუგებარ, აბსტრაქტულ ფორმას იძენს. ცხადია, ზიხების გაუცხოებისა და ქართული სამღვდელოების მიერ მათი მივიწყების პროცესი სახეზეა. რუსულ წყაროებში დაფიქსირებულია ტომები დღევანდელი ადიღეს ტერიტორიაზე, რომლებიც თითქმის მე-18-ე საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებენ ქრისტიანულ რელიგიას...(ამაზე ცოტა ქვემოთ)

ერთობ საყურადღებოა სერგი კაკაბაძის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი, დათარიღებული 1621 წლით და ცნობილი აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხო-

ბის დიდი დავთარის სახელით, დოკუმენტი შეიცავს ერთობ საყურადღებო ცნობებს: გეოგრაფიული, ისტორიული, სოციოლოგიური, აგრონომიული თუ ლექსიკური მიკუთვნებულობა-მდგომარეობის შესახებ.

როგორც წინა მასალებით დამტკიცდა , ნაჟანეული და ხოირი, ეს დღევანდელი აფხაზეთის უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებია. ნაჟანეულში მცხოვრები ჩანდები და მათი ჩრდილოეთის მეზობლები (და თანამემამულეები) კეჩილარები და არტლარები, მოხსენებულია თურქი მოგზაურის ევლია ჩელებისეული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს აღწერაში. აღწერის ფურცლებზე ვერ ხვდება ხოირი, არლანებს და მცირე ჩანდებს შორის მდბარე-ჩელები მათ ალბათ რომელიმე მხარეს ათვლის...საყურადღებოა ჩელების მიერ აღწერილი ტერიტორიები სადაშის ჩერქეზული ტომის და კამიშის (უბიხები, აბაზგთა მონათესავე ტომი, რომელსაც რუსი გენერალი დუბროვინი ჩერქეზებს უფრო აკუთვნებს, მისივე სიტყვებით გამომდინარე უბიხთა ცხოვრების ნირისგან). შემდეგ მდებარე ტომები, რომლებიც ამ დავთარში სავარაუდოდ გაერთიანებული ერთი, სუბეშის თემის ქვეშ.

ყურადღებას იქცევს ერთი უცნაური სახის ბეგარა, რომელიც დაფიქსისირებულია ზემოთ ხსენებულ დავთარში. საუბარი შეეხება გადასახადს, რომელიც მენავეობასთან, თევზჭერასთან და თევზის გადასახადთან არის დაკავშირებული:

1.ხონის გამოსავალში აღრიცხულია 2 თეთრი სათევზაო გადასახადი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აქ 2 თეთრი, ეს გადასახადია თევზჭერის უფლების დაკანონებისათვის,თუმცა ამავე დავთარის მეორე ცნობა ამ მოსაზრებას აბათილებს: აღნიშნულია გადასახადი 2 თეთრის თევზი, რაც მხოლოდ და მხოლოდ 2 თეთრის ღირებულების თევზის გადასახადს უნდა ნიშნავდეს. ვინაიდან ეს გადასახადი ფიქსირდება მხოლოდ ხონში, რომელიც მთის რაიონია და არა ზღვისპირა, ცხადია აქ საუბარი მდინარის თევზის გადასახადზეა, რომლითაც საკათალიკოსო გლეხმა უნდა მოამარაგოს ადგილობრივი სამღვდელოება მარხვის პერიოდისათვის.

2.მეორე გზამკვლევი პუნქტი, ეს თილითია, პავლე ინგროყვას მიერ ჩათვლილი შუა სოფლის (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონში, მოქვის წყლის ხეობის ზემო წელში) დასახლებულ პუნქტად. რასაკვირველია დიდი ქართველი მკვლევარი ამ შემთხვევაში ცდება, თილითი ზღვისპირა სოფელი ჩანს. თილითის ნაწილში მოხსენებულია ტყაურუ , დასახლებული პუნქტი, აქ მცხოვრებ ხუთ კომლ ერთი და იგივე ბეგარა ადევთ- მენავეობისა და მეთევზეობისა. როდესაც საუბარია ერთდროულად მენავეობასა და მეთევზეობაზე, ცხადია აქ ზღვა, ზღვაზე თევზჭერა და ზღვის თევზი იგულისხმება. თევზჭერა ხდება სამღვდელოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მარხვის დღეებისათვის. გარდა მარხ-

ვისა, საშუალო და გვიანი საუკუნეების საუკუნეების სამღვდელოების დიდი ნაწილი ვეგეტარიანელი იყო, ხოლო მათთვის აუცილებელი ხორცის რაციონი თევზეულით იცვლებოდა.

„ამის ზევით კიდევ ტეხურისვე კიდეზედ, არის სენაკის ეკლესია გუმბათიანი,კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოსისა“.(ქართლის ცხოვრება: ტომი მე-4-ე.გვ 777).

აფხაზეთის კათალიკოსის კათედრალური ეკლესია სენაკში ყოფილა, მაგრამ სად არის მისი რეზიდენცია, ყოველდღიური სამყოფელი?

„და ამ ფოთის ჩრდილო კერძ შესდის ზღვას ხორგის წყალი.მოიღო სახელი ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაც...არს სასახლე აფხაზთა კათალიკოსისა. ამ მდინარის ჩრდილოეთით ზღვის კიდეზე არის ხოფი. აქა არის ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული...ამ წყალზედ ჩრდილო კიდესა ზედა არის და ხოფს ზეით არის ეკლესია ჩაისის, დიდი, გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული.ზის ეპისკოპოსი მწყემსი ამ წყლის სამხრის კერძოსი უნაგირამდე და რიონი ზღუამდე“ (იქვე)

აფხაზეთის კათალიკოსის საცხოვრებელი სასახლე ხობის რაიონში ჩანს, სოფელ ხორგასთან. ცხადია მოქვის ზემო წელიდან აქ თევზს (გაუფუჭებელს) ვერავინ ჩამოიტანს და არც არის პრაქტიკული. თევზი ზღვაში იჭირება, ამ სახის ბეგარადადებული გლეხის მიერ და მარაგდება ამავე რეგიონში განლაგებული მრავალრიცხოვანი სამღვდელოება...შემთხვევით არა ჩანს რომ ჯამურ სიაში თილითი (ჭალასთან ერთად) მოხსენებულია მუხურის, სახაუჟელოს, ხეთას და სენაკს შორის. სავარაუდოა რომ მუხურის სახელი დღევანდელი განარჯია მუხურს აქვს შემონახული. ხეთა და სენაკი, ეს დღესაც არსებული დასახლებული პუნქტებია. საიტერესოა, რომ დასავლურ ქართულ დიალექტზე ტყაურუ, ეს უღრანი ტყის,ურუმი ტყის სინონიმი უნდა იყოს... რაც შეეხება შამბიათა მენავე და მეთევზე თემს, ამ გვარის ქვეშ ზუგდიდის რაიონის სოფელი შამგონაში (მდინარე ენგურის ორ ტოტს შუა და ზღვის შესართავთან ახლოს მდებარე სოფელი) იმ დროისათვის აქ მცხოვრები შამუგიათა გვარი უნდა იგულისმებოდეს . აქვე ამ რეგიონში ფიქსირდება გვარი ხაჟალია, რაც მხოლოდ და მხოლოდ დავთარში მოცემულ ხაუჟელთან ასოცირდება...როცა ფაქტიურად განსაზღვრულია აფხაზეთის დიდ დავთარში მოხსენებული დასახლებების ადგილმდებარეობა, საიდანაც მუხური, ხაუჟელი, თილითი, ტყაურუ იდენტიფიცირებულია როგორც ენგური-ხობისწყალს შორის მდებარე რეგიონი, ხოლო ნაჟანეული და ხოირი-ეს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე დასახლებული ადგილებია, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ დავთარშივე ნაჟანეულსა და ხოირს შემდეგ ნახსენები სუბვი-ეს ჩელებისეული სუბეშის რეგიონია!

3. სრულიად განსხვავებული სიტუაციაა დავთარში დაფიქსირებულ ნაჟანეულ-თან (ბიჭვინთა-გაგრა-ადლერი-სოჭი) მიმართებაში:

„მართებს მიხილიას უჩაიას გოჭკომე, ბეგარაის ტილო, ორი გობი ღომი, ორი ქათამი,ექვსი ფოხალი ღვინო, ნავტობაი, ყანობაი“.(აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დავთარი).

ასეთი სახის ჩანაწერები , რომლებიც აფიქსირებს აღნიშნულ რეგიონში მებეგრე გლეხებს, რომელთა ძირითადი გადასახადი მენავეობაა, თევზჭერის მოვალეობის გარეშე, ბეგარა რომლის ძირითადი არსი მენავეობაა, თერთმეტი გლეხური ოჯახის ვალდებულებაა, რომლებიც ფაქტიურად პროფესიონალი მე-ზღვაურები არიან... და რაში სჭირდება აფხაზეთის კათალიკოსს ზღვის სივრ-ცეების გადალახვა?

„ამ გადმოცემას ადასტურებს წმ. ანდრია მოციქულის სახელობის უძველესი სამ ნავიანი ეკლესია, აგებული ამ მხარის ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც ბიჭვ-ინთა ეწოდება. ეს ეკლესია მთელი კოლხეთის მეტროლოპოლიას წარმოადგენს ,სადაც სიცოცხლეში ერთხელ თითოეული კათალიკოსი ან პატრიარქი ჩამოდის ყველა ეპისკოპოსის თანხლებით წმინდა ზეთის დასამზადებლად, რომელსაც ისინი მირონს უწოდებენ .აქ ჩამოდის მთავარიც მთელი თავისი კარით. (შარდენის მოგზაურობა გვ.132. თბილისი 1957წ.)

სასულიერო პირების გადაადგილება აბაზგიის (არლანი, ალანი) ტერი-ტორიაზე აბაზგიის მთავრის და მოსახლეობის დიდ წინააღმდეგობას არ უნდა აწყდებოდეს. ევლია ჩელების ცნობით, ჩაჩის ტომის-აფსილების (ჩაჩი -ეს შერვ-აშიძის აბაზგური შესატყვისია) მიწა მდინარე კოდორის მარჯვენა სანაპიროზეა განლაგებული. მისივე სიტყვებით აქ სალაპარაკო ენა მეგრულია.(თუმცა ისინი შერვაშიძის პოლიტიკური ერთეულის, აფხაზეთის შემადგენელი ნაწილია) სა-მეგრელოს ეპარქიათა და ეპისკოპოსთა ჩამონათვალი, რომელიც ეკუთვნის პა-ტ-რი იოსებ ძამპის, დიდი ხნით კოლხეთში მცხოვრებ სასულიერო პირის, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ძამპის სიტყვებით, სამეგრელოს ექვსი ეპისკოპოსი ჰყავს დრანდელი-აფხაზეთის საზღვარზე, მოქველი; ბედიელი-შავი ზღვის სანაპირო-ზე; ცაიშელი; წალენჯიხელი და ჭყონდიდელი-იმერეთის სამეფოსა და კავკა-სიის მთების მახლობლად.

ჩელებისა და ძამპის ცნობების შედარებით, ცხადი ხდება , რომ დრანდის საეპისკოპსო (შესაბამისად ჩაჩი) იმ დროისათვის კოლხეთის სულიერ საზღვ-რებშია, თუმცა პოლიტიკურად ის შერვაშიძის მფლობელობაშია და შესაბამის-ად აფხაზეთის ნაწილია. სამეგრელო-აფხაზეთის მთავართა შორის არსებული დაპირისპირების გამო , საერო ხელისუფლება ბიჭვინთის ტაძარში ჩასასვლელ-ად მხოლოდ საზღვაო გზით თუ ისარგებლებდა. რაც შეეხება სამღვდელოებას, ჩაჩთა აშკარა ქრისტიანობისა და აბაზგთა ქრისტიანული ტრადიციებისადმი

პატივისცემის გამო, სავარაუდოა რომ სამღვდელოების აფზეთის ტერიტიაზე გადაადგილება აბსოლუტურად უსაფრთხო იყო. რაც შეეხება აფხაზეთის მთავრებს, შერვაშიძეებს, მათ XVIII საუკუნეშიც კი საფიცრად ღმერთი და მისი წმინდანები ჰყვადათ...ბიჭვინთაში ჩასული მღვდელმთავარი თუ არქიეპისკოპოსები რასაკვირველია სუბეშის მრევლსაც მოინახულებდნენ. სწორედ აქ ფასდაუდებელი ჩანს იმ „მენავტობეთა“,პროფესიონალი მეზღვაურების სამსახური, რომელსაც სასულიერო იერარქია სუბეშში ჩაჰყავდა. ბიჭვინთასა და სუბეშს შორის უკვე უბიხთა ტომია განლაგებული. მათ სოფელში მეჩეთის არსებობა კი აშკარად მიანიშნებს უბიხთა მაჰმადიანურ აღმსარებლობას.

მართალია ევლია ჩელები აქ მცხოვრებლებს რამდენიმე ნაწილად ცალცალკე განიხილავს, როგორიცაა, სუჯალარიები, აშეღალელები, სუბეშელები, სუკელები, კიუტსები, ისინი ქართულ სასულიერო სივრცეს ერთი, სუბვის სახელით აქვს გამოხატული. სუბვის მცხოვრებთა ძირითადი გვარი კიტი-აა, რაც აშკარად კიუტთა თემის კუთვნილების გვარია, თუმცა სხვა გვარებიც ფიგურირებენ. (იხ. აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხთა დიდი დავთარი)... და არსებობს თუ არა სხვა პარალელური ცნობები, დასავლეთ ქართველური ტომების მიერ ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ასეთი შორეული ნაპირების ათვისების შესახებ? **„საქართველოს მეფეები წინათ ფრიად ძლიერნი იყვნენ მათი უფლებამოსილებები დიდზე იყო გავრცელებული, ამის გამო სახელმწიფო მათ უნდა განეგოთ მოხელეების შემწეობით. შემდეგ კი ეს მოხელეები რომელთა რიცხვშიც დადიანიც იყო აჯანყდნენ და სრული პატრონები გახდნენ ამ მხარეებისა, რომლებიც მათ სამოურავოდ ებარათ. რაც ამის თაობაზე მეგრელებისგან გამიგონია, ეხლაც მოგახსენებთ. ..ამ დროს საქართველოს სამეფო გავრცელებული იყო ირანის მხრით თავრიზამდი და თურქეთის ანუ უკეთ რომ ვთქვათ სამცხის მხრით-არზრუმამდი. კოლხიდისაკენ კი საქართველოს სამეფო მიდიოდა კაფამდი, რომელიც ხერსონესშია. ამ მხრით საქართველოს შეიცავდა თავის სამფლობელოში აფხაზებს, ანუ აბასკებს, ჩერქეზებს და ძიქებს. საქართველოს სამეფოს რომ ასეთი სივრცე ეჭირა, ამის ცხადი კვალი დღესაც იპოვება იქ. არზრუმის ქალაქის ახლობლად ახლაც მოიპოვება ქართული სოფლები , უწინდელ დროში თვით ამ ქალაქში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, არზრუმელად წოდებული. კოლხიდის გარეთ, აფხაზებისა და ჯიქების ქვეყანაში, მშვენიერი ტაძრები დგანან ქართულად აშენებულნი და ქართულის ზედწარწერებით. მაგალითად ანაკოფიაში და ბიჭვინთაში არის კოლხიდის გურიის და იმერეთის პატრიარქის საჯდომი. ირანის მხრითაც თვით თავრიზამდი, სადაც ქართული ეკლესიების და ქართული სოფლების კვალი დღესაც ჩანს“. (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ.29 ,, მთაწმინდა'' თბილისი 2011)**

ის რომ საქართველოს სამეფო მიდიოდა კაფამდე (ფეოდოსიამდე) ლამბერტის სიტყვებით მეგრელთა მონათხრობია. კაფას მეგრულ ნაწილში სავარაუდოდ ზიხთა ქალაქი კიუტსი იგულისხმება , დაფიქსირებული პლინიუს უფროსი მიერ პირველ საუკუნეში და რომელიც ჩელების სიტყვებით უკვე სუბეშთან ფიქსირდება, თურქთაგან და მაჰმადიანურ სარწმუნოებისაგან ოტებული 1475 წლის შემდეგ. არიან მრავალრიცხოვანი ლაზებიც, რა მეგრელების პრეტენზიას კაფაზე (ფეოდოსიაზე) ნაწილობრივ მაინც ამართლებს...ლამბერტისათვის უკვე ტერმინი აფხაზი -აბაზგის აღმნიშვნელი ჩანს, ჩერქე-ზი კი ჭან-ლაზებისა, ძიქებ-ზიხებისა!

ხერსონესის ნახევარკუნძულიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან მოსახლეობის იმიგრაციას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა.თვით ოსმალეთის ხელისუფლებაც კი შეეცადა ხერსონესის ხალხისაგან დაცლის პროცესის ხელის შეშლას, თუმცა ქრისტიანულმა მოსახლეობამ (და არა მარტო მათ) ძირითადად დატოვა კუნძული და მიმდებარე ტერიტორიები. მოგვყავს იმ ხალხის ჩამონათვალი ვისი ადგილმონაცვლეობაც აშკარად ჩანს:

1.ზიხი კიუტები, ფიქსირდებიან უკვე აზიის კონტინენტალურ ნაწილში, ანაპასთან (ჩელების კიუტების დასახლება)

2.იტალიელები, რომელთათვის ბოსფორი ფაქტიურად ჩაიკეტა- გენუელები და ვენეციელები ტოვებენ ხერსონესს.

3.ასები, ანუ ალანები ტოვებენ ხერსონესის მიმდებარე ტერიტორიებს და უბრუნდებიან ჩრდილო კავკასიას.

4.ნავსადგური კობარდთან და თავად ყირიმზე განთავსებული ჩერქეზები გადმოდიან ზაბაკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და სამხრეთ კავკასიის მთისწინეთში.

5.ვაინახთა (ჩეჩნური) ტომი, რომელთა კუთვნილი ნახშუვანი დაფიქსირებულია დღევანდელი ქალაქ სიმფეროპოლის სიახლოვეს , მოგვიანებით, 1666 წელს, კავკასიის მთიანეთს აფარებს თავს.

6.აღარა ჩანს გოთური (და ალანური) დასახლების კვალი ხერსონესის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე.

7.რამდენადაც ცნობილია ბერძნები, მარიუპოლისაკენ მიგრირდებიან (ლაზურ მოსახლეობის ნაწილთან ერთად) ბერძენ-ლაზების მარიუპოლისაკენ მიგრაცია ეჭვმიტანილი ფაქტია.

8.სინდთა ტომის კვალის გარკვეული ანარეკლი უნდა იყოს მეგრულში დაფიქსირებული ორი, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გვარი, ბერისქუა და პაპასქუა. ორივე გვარი დედა ქართულში ბერიშვილის და პაპაშვილის აღმნიშვნელია. ამ უკანასკნელი გვარის მეგრული ინტერპრეტაციაა პაპავა. შესაძლოა პაპასქუა რაღაცნაირად დაკავშირებული იყოს რუმინულ თითქმის ანალოგიურ გვართან,

პოპესკუსთან, რომელიც სავარაუდოდ ასევე პაპაშვილს ნიშნავს. ანალოგიური დაბოლოებით გვარი რუმინეთში უამრავია, ქართულში (მეგრულში) მხოლოდ ეს ორი.

9.ერთი შეხედვით უცნობია ხერსონესი ფაქტიურად უძველესი მოსახლეობის, სინდების და ტავრების (შემდგომში სკვითურ მოსახლეობასთან შერევის შედეგად ტავროსკვითებად ცნობილი, ტომების ბედი, რომელსაც უკანასკნელი 20 საუკუნის მანძილზე ნახევარკუნძული არ მიუტოვებია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის ეს ნაწილი მიგრირებული ჩანს მდინარე დონის შესართავისაკენ, უკვე კაზახია-კაზაკია ხდება. მე- 17-ე საუკუნეშიც ეს ხალხი მიწათმოქმედებას ნაკლებად ეტანება (ტავრები ბინადართ მეცხოველეები იყვნენ) (58) ფაქტიურად ხერსონესის კუნძულზე მხოლოდ მუსულმანური მოსახლეობა რჩება: თვითონ ოსმალები, კუმანები- ყივჩაღები, დღევანდელი ყირიმელ-თათრები(59)და თათარ-მონღოლები, იგივე ნოღაელები.

,,კოლხთა ძველ სამეფოს მცირე ტერიტორია როდი ეჭირა, როგორიცაა დღეს. იგი ერთის მხრივ განვრცობილი იყო მეოტიის ჭაობამდე, მეორე მხრივ იბერიამდე''(შარდენის მოგზაურობა)

ის რომ ფრანგი მოგზაური კოლხთა სამეფოს აღნიშნავს და არა სამეგრელოს, ის რომ კოლხეთის სამეფო აღმოსავლეთით იბერიას ესაზღვრება ცხადყოფს , რომ შარდენს მხედველობაში დასავლეთ საქართველო ყავს, რომელიც ძველ წყაროებში (თემურ-ლენგის თანამედროვე მუსულმანური ავტორები) აფხაზეთად იხსენიებს. კოლხეთი რომლის საზღვარი შარდენის დროისათვის გაცილებით აღმოსავლეთით ჩანს, ვიდრე მეოტიდის ჭაობები, ასეთად მხოლოდ თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ თუ ჩაითვლება, როდესაც სამეგრელოს მთავარი ბენდიანი ნოვოროსიისკს და ანაპასაც კი ფლობს, თვით ქერჩის სრუტემდე. ეს სიტუაცია გრძელდება 1533 წლამდე, როდესაც ზიხეთ-სამეგრელოს შეტაკებაში დადიანსა და გურიელს დაუმარცხდათ. შედეგად მდინარე ბზიფის ჩრდილოეთით (60) ტერიტორიები სამეგრელოს მთავრობისაგან დამოუკიდებელი ხდება.

გვერდი არ აუვლია საქართველოს ამ ნაწილს აღწერისთვის, დიდ ქართველ ისტორიკოსს და გეოგრაფს.ვახუშტის ჩანაწერების ბოლო თავი 1744 წლით მთავრდება. მართებულად აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, რომ ვახუშტი შესანიშნავად იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს, შედარებით უარესად მის დასავლეთ ნაწილს. ტერიტორიების ცენტრიდან (თბილისიდან) დაშორების შესაბამისად, ვახუშტის ინფორმირებულობა კლებულობს, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიებისათვის, მდინარე ბზიფის ჩრდილოეთის სავსებით მწირი ცნობები აქვს:

„ხოლო აფხაზეთს იქით, კაპპეტის წყლის დასავლეთს ბაგრატიონის ჟამს აქეთ

აქემამდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხოვრება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩრდილო კერძოს, კავკასიის მთის იქით კერძს ზღუამდე. ამ აწინ-დელ ჯიქეთს ესაზღვრება : აღმოსავლეთით კაპპეტის წყალი (მდინარე ბზიფი), დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთით იგივე ზღვა, ჩრდილოე კავკასია და არის ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლითა და ცხოველით, წესით და ქცევითაცა. კაცნი უმეტეს მხეცთ მსგავსნი, ყოფილან პირველად ქრისტიანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი. გარდა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერ-ნიცა ხმარობენ". (ქართლის ცხოვრება ტომი IV გვ.786-787. თბილისი 1973წ.)

ერთობ მწირი ცნობა, თუმცა საყურადღებოა გორგასალის პერიოდში ჯი-ქების კავკასიის მთების ჩრდილოეთით სახლობა, რაც სხვა წყაროებითაც მტკი-ცდება (61) ერთი საგულისხმო ნიუანსი ვახუშტის ნაშრომში მაინც იპოვება: მრავალ ხალხებს,თუმცა თემებს და არა ტომებს ჩამოთვლის თურქი მოგზაური ევლია ჩელები, თუმცა თითქმის ყველა ისინი ჩერქეზებისა და ჩელებისათვის გაურკვეველი მიკუთვნილობის არლანების (აბაზგების) და კამიშების (უბიხე-ბის) გარდა ყველა ,, ნამდვილი აფხაზია'', ისეთივე როგორებიც ჯურუზე (მდი-ნარე ჭოროხზე) ცხოვრობენ. ჩელების მსგავსად, ვახუშტისათვის ჯიქების მი-წები მდინარე კაპეტთან (62) (ბზიფი) იწყება, დასავლეთიდან შავი ზღვა საზღ-ვრავს და შესაბამისად ქერჩამდე აღწევს. ვახუშტის ტერმინში „ჯიქი) აშკარად გამოხატულია აფხაზთა (ჭან-ლაზების) და ჩერქეზთა (ზიხების) ეთნოსები!

მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ჩვენთვის საინტერესო რეგიონის შესახებ ვინმე იტალიელთან , ქსავერიო გლავანისთან , რომელიც აღნიშნულ ტრაქტატს 1724 წელს წერს ყირიმის ნახევარკუნძულ ქალაქ ბახჩისარაიში. მისი სიტყვებით, ჩერქეზია 14 ოლქისაგან შედგება, რომლებიც გამოირჩევიან ყირი-მის ხანის მფარველობით, თუმცა ფაქტიური დამოუკიდებლობით სარგებლო-ბენ. მისი სიტყვებით ჩერქეზეთის აღწერის შედეგი ასეთია:

1.შაგაკე (შაგაკე) =500 სახლი

2.ჟანე (შანე) =500 სახლი

3.ბიზედუ ორი დამოუკიდებელი ბეით (ბჟედუგი) = 1000სახლი.

4.გამირგაი, ანუ გამირგოი ორი ბეით (კემგუი, თამირგოი) =2000 სახლი

5.ბასნეი (ბესლანები) =1000 სახლი

გლავანის სიტყვებით აფხაზური წარმოშობის თემები:

1)დუდარუკი=200სახლი

2)ლაუკაზე=200სახლი

3)ბიბერდი=120სახლი

4)კიმლიკი=60სახლი
5)ტრამი40სახლი

ცალკე აქვს გამოყოფილი ბაშილბეები (ხუთენოვნები)
6)ბაშილბაი=200 სახლი
7)კაბარდა (ყაბარდო) = 3000 სახლი
კუჩუკ-კაბარდა (მცირე ყაბარდო) =800 სახლი
8)ტაუზ-სულტან-კაბაკ (ტაუსულტანოვები) = 600 სახლი
9)გილაკსანი=400 სახლი
ქუჩუკ-კაბარდა და ტაუსულტანოვების ყაბარდოელები, ჩელებისეული ტაუსულტანის ქართველური სახელმწიფოს ნამსხვრევები, ფაქტიურად ნახევარი ყაბარდოს მოსახლეობაა:

„წესები მათი ჰგავს ფრანკებისას : ისინი ზრდილობიანნი არიან და მისალმების დროს ქუდს იხდიან, ქალები ღებულობენ უცხო მიწელებს სიხარულით, საკვების მისაღებად ისინი სხდებიან ფრანკების მსგავსად მაგიდასთან“ (კსავერიო გლავანი, ჩერქეზების აღწერა)

ცხადია გლავანი ცუდად იცნობს ყაბარდოელებს, ნამდვილ ჩერქეზებს, რომლებიც მისი ეპოქისათვის ბახჩისარაიდან შორს,შორეულ კავკასიის მთების ჩრდილო კალთებზე ცხოვრობენ (განსხვავებით ჩერქეზი-ზიხყოფილებისაგან, რომლების ყირიმის მიმდებარე ტერიტორიებზე ცხოვრობენ). რასაკვირველია დასაშვებია და სავარაუდოც, რომ ყაბარდოელები წარმართობის ეპოქაში საკვების მისაღებად მაგიდასთან ჯდებოდნენ კიდეც, თუმცა კავკასიის მთებში გადასახლების და მუსულმანობის მიღების შემდეგ, როგორც კლაპროტი აღწერს, ისინი მიწაზე მუთაქებზე მსხდომნი სადილობენ და დაბალი მაგიდებით მხოლოდ მხოლოდ ხორაგის შემოსატანად სარგებლობენ!

სტრიქონები გლავანის დაწერილი აქვს ყაბარდოს გამუსულმანებიდან 80 წლის შემდეგ. რასაკვირველია გლავანის მონათხრობი შეეხება ჩერქეზებს (შემდგომში ადიღეებს) და არა უკვე ყაბარდოელებს, რომლებშიც ისლამს ფეხი მყარად მოკიდებული უჩანს და რომლებიც რასაკვირველია აღმოსავლური წესის მიხედვით ფარდაგზე მსხდომნი მიირთმევენ საკვებს. ცხადია, ეს ორი სხვადასხვა ხალხია, თუმცა მონათესავე და საუკუნეების მანძილზე გვერდი-გვერდ მცხოვრები! გლავანი ხარკს უხდის არქაულ ისტორიას, როდესაც აცხადებს, რომ ჩერქეზები (ზიხები) მიცვალებულს არ ასაფლავებენ, ისინი მათ ხეზე ჰკიდებენ! გლავანიმდე მთელი საუკუნე ნახევრით ადრე, მეორე იტალიელის, გიორგი ინტერიანოს მიერ აღწერილია ზიხთა მიერ მიცვალებულის დასაფლავების წესი, რომლებიც მიცვალებულს მიწაში მარხავენ, მიცვალებულის კუბოდ შუაზე გაპობილ და ამოღრუტნულ მორს იყენებენ!

„მე თვითონ ვიზიარებ ამ აზრს, იმიტომ რომ მათი ენა არის გაფუჭებული იტალიური და როცა ისინი ლაპარაკობენ, კბილებს ერთმანეთს აჭერენ, როგორც გენუელები. მერე მათი ყველა ჩვეულება უახლოვდება ფრანკულს (იტალიურს) ''(იქვე)

გლავანის დაკვირვება უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, და ზიხებთან მიმართებაში ის აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ახმოვანებს! (იხ. ქვემოთ, მონპერესთან)

აღნიშნული ტერიტორიების შესახებ ცნობები მოიპოვება აკადემიკოს გიულდენშტედტთან, რომალმაც იმოგზაურა საქართველოსა და ყაბარდოში. იოჰან გიულდენშტედტი1773 წელს ასრულებს კავკასიურ ექსპედიციებს,1770 წლიდან დაწყებულს. მართალია მისი მოგზაურობა საქართველოს მხრიდან იმერეთს და ხონს არ გაცილებია, რუსეთის მხრიდან მდინარე დონის შესართავს და ყაბარდოს ტერიტორიას, მაგრამ ცნობები მაინც საყურადღებოა და ინფორმაციის შემცველი, თუმცა გარკვეულ ლაფსუსებს თავს ვერ აღწევს:

„აბხაზი, აფხაზეთი ანუ აბაზა''ქართველები უწოდებენ ამ პროვინციას აფხაზი და აფხაზეთი. ასევე ეძახიან მათ მცხოვრებლებს, რომლებიც თავიანთ თავს აბაზაე-ს უწოდებენ. ჩერქეზები ეძახიან აბაზა-ს. უძველეს დროს ქვეყანას ჰყავდა თავისი მმართველები. მოგვიანებით ისინი დიდი ხნით იმყოფებოდნენ ქართველი მეფეების ხელისუფლების ქვეშ, შემდგომში განთავისუფლდნენ ქართველებისგან მაგრამ მათ არა ჰყავდათ ერთიანი მმართველობა. ზოგიერთი ოლქი ცნობს თურქულ მფლობელობას, სხვები ითვლებიან ჩერქეზი კნიაზების ხელქვეითად. მათი თავადები გაღარიბდნენ, ამიტომ თავიანთ ოლქებში ირჩევენ უხუცესებს, მაგრამ ამ თავისუფლების დროს ხშირად ომობენ ერთმანეთთან. ასეთია მათი სახელმწიფო წყობილება. მათში როგორც სხვა კავკასიელებში ქრისტიანობა ჩაქრა. ძველი ქრისტიანობიდან მათ გარდა ეკლესიებისა და მათი ნანგრევებისა, დარჩათ კვალი დიდმარხვის სახით, აღდგომა და ღორის ხორცის ჭამა. მათ ყავთ ,, კალტაკოსი''(63) რომელიც ცხოვრობს ერთ-ერთ ძველ ეკლესიაში, უნდა გააჩნდეს უმწიკვლო რეპუტაცია და აკურთხოს ხორცი მარხვის შემდეგ. ეს ტიტული დამახინჯებული ქართული კათალიკოსია. აფხაზურ და ჩერქეზულ ენებს ერთი ძირი აქვთ (64) მაგრამ იმდენად განსხვავებულია დიალექტით, რომ მათი ნათესაობის დადგენა ყველგან არ ხერხდება, რომლის აღმოჩენა დიდი სიძნელეა. დიალექტი სამხრეთ დასავლეთის, ჩრდილო დასავლეთის და ჩრდილო აღმოსავლეთის ოლქებისა რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისგან. აფხაზეთი გაყოფილია სამ ნაწილად:

1. სამხრეთ-დასავლეთი, რომელიც განლაგებულია მთების ფერდობზე ზღვის მოპირდაპირედ მდინარე ყუბანის (მარცხენა ტოტი) და ენგურს შორის. ეს უკანასკნელი ჰყოფს მას სამეგრელოსაგან. ჩრდილო- დასავლეთი ნაწილი:

ა. ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, ალტა-ქესეკი
ბ) სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი , რომელიც არის საკუთრივ ძველი აფხაზეთი , მოიცავს ოლქებს: ხირპიტი, ჩაჯი, სადე და აიპგა, რომელსაც ჩერქეზები ეძახიან კუშხასიპი, ე.ი. მთისიქითა. ამ ნაწილს მართავენ თურქები ფაშას მეშვეობით და რომელიც ზის სიმაგრე სოკუნკულა-ში. და ამოირჩევა ჩვეულებრივი თავადური გვარიდან, მუდავიო (65). წინა ფაშა ატარებდა სახელს აბაი, რომელიც ქართველებმა გადააკეთეს საბაი და მოხვდა რუსულ ატლასში სახელით საბაელები.
2.ჩრდილო-დასავლეთი აფხაზეთი მოიცავს ოლქებს: ტუბი, უბიხი, შაპსიხი ან შაპსო, ახე და კოშუკი მდინარე ხუაჯთან და სახი ყუბანის მდინარესთან, რომელიც ესაზღვრება ჩერქეზულ ოლქებს ბჟანა და ხატუკაის. თურქებს აქვთ სიმაგრე სოჩუკალა შავ ზღვასთან, ამ ოლქების მოთვალთვალე თუმცა ისინი ნაკლებად ემორჩილებიან მას.
3.ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ყველაზე პატარაა. როცა წარსულში ყაბარდოელი თავადი გადასახლდა უფრო აღმოსავლეთისაკენ და თერგისაკენ, აბაზებმა მოიტაცეს ეს ოლქი და გახდნენ ყაბარდოელი თავადების ხელქვეითები. ალკასიკი ე.ი. 6 ნაწილი რამდენადაც ისინი ითვლიან 6 თემს.
4). 6 თემი განლაგებულია ჩერქეზული ოლქებს ქაბარდა და ბესლანს შუა, ყუბანის მდინარეების იმჯიპს და უასპს შუა და კუმის ზემო წელში. მაზრებს ჰქვია კიზილბეკი, ტამი, შაგრაი, ბარაკაი და ბახსი 300 ოჯახით, ბაშილბეი 1000 ოჯახით, და საბარი. ამ მაზრებზე გარდა საკუთარი კნიაზებისა (თავადებისა) პრეტენზიას აცხადებენ ჩერქეზების თავადები და შთამომავლობა საკუთარი კნიაზებისა მუდავიოს და შარაშიების გვარისა, რომლებსაც ჯერ კიდევ უარი არ უთქვამს საკუთარ უფლებებზე და ამიტომაც ცხოვრობენ გამუდმებულ მეტოქეობაში. მათ გააძლიერეს თავიანთი მტრული დამოკიდებულება რუსეთისადმი, რისთვისაც გენერალმა ფონ მედემმა სასტიკად დასაჯა ისინი. მთავარი ქალაქი პროვინციისა ანაკოპისი, ადრინდელი ნიკოფსისი, სხვა დასახლებულ ადგილებს ჰქვია ანაკლეა (66), ბიჭვინთა, ბედია, მოქვი, დრანდა, ილორი, ჭომი, ცალუბკა, ცუპუ, ბოვუდიაკი, ჯანკეტა-ხაბლე. დიდი სოფელი მდინარე პშაგასთან, მას უხუცესს 1772 წელს ერქვა არსლან ბეკ ხერსიგუკაი.“
(გუელდენშტედტი მოგზაურობა კავკასიაში
1.უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გიულდენშტედტის ცნობები ეხება ე.წ. დიდ აფხაზეთს, ტერიტორიებს, მდინარე ყუბანს და ენგურს შორის. განსხვავებით ევლია ჩელებისა, აფხაზეთისათვის მას დამატებული აქვს (სავსებით უმართებულად და უსაბუთოდ) ტერიტორიები მდინარე კოდორიდან ენგურამდე, თუმცა მისი წინამორბედი ვახუშტი აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარს აღმოსავლეთით მდინარე ეგრის წყალსა (ღალიძგა) და მდინარე მოქვზე აღნიშნავს. ასევე აღნიშნავენ ქრონოლოგიურად გიულდენშტედთის მომდევნო

ისტორიკოსებიც.

2.გიულდენშტედტის ცნობა, რომ აფხაზები დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქრთველი მეფეების ხელისუფლების ქვეშ და შემდგომ განთავისუფლდნენ, ეხება როგორც აბაზგებს ასევე აფხაზებს (ჭანებს, ლაზებს) და ასევე ზიხებს, ზიხებს ჭანეთის იქით ნიკოფსიამდე, აფხაზეთის ჯიქეთს, როგორც მას ქართული წყაროები უწოდებენ.

მტკიცებულება იმისა, რომ ქართველებისაგან განთავისუფლებაში გიულდენშტერტი აბაზგ-აფშილებთან ერთად დასავლეთ ქართველურ ტომებს, ჭანებს, ლაზებს და ზიხებსა გულისხმობს, მისსავე ცნობებშია. მისი სიტყვებით ზოგიერთი ოლქი ცნობს თურქულ მფლობელობას, ხოლო სხვები ჩერქეზი კნიაზების ხელქვეითებად ითვლებიან. თუ აბაზგების (უკვე აბაზგების) და აფშილების კუთვნილ მიწა-წყალზე, სოკუნ-კალაში (სოხუმში) თურქებს ციხე-სიმაგრე გააჩნიათ და აკონტროლებენ ტერიტორიებს აბაზგ-აფშილეთისას, ასეთივ ციხე-სიმაგრე გააჩნიათ თურქებს შოჩუკალა (სოჭი) სხვა ოლქების მოთვალთვალე, თუმცა გიულდენშტედტის სიტყვებით ნაკლებად ემორჩილებიან მათ. გიულდენშტედტი აღნიშნავს აფხაზეთის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილის,ე.წ. ალტი-ქესეკის ექვსთემიანებზე ყაბარდოელ თავადების პრეტენზიას. არც ერთ დროში, არც ერთ ისტორიულ წყაროებში, არ დაფიქსირებულა ყაბარდოს თავადთა პრეტენზია აბაზგური წარმოშობის ტომებზე. სხვა სიტუაციაა, როცა ისინი ანალოგიურ პრეტენზიას გამოხატავენ ალტი-ქესეკის ქართველური ტომების მიმართ, რომლებიც ტერიტორიულად ბესლანებსა და ყაბარდოელებს შორის არიან მოქცეული და რომელზეც მმართველობას მათივე თავადები, მუდავიოთა გვარიდან ახორციელებენ.

საკუთრივ აფხაზეთს,რომელიც ის ძველ აფხაზეთს უწოდებს და რომელიც მოიცავს ოლქებს: ხირპიტი, ჩაჯი, სადე და აიპგა. ამ აბზაცშიც გიულდენშტედტის აშკარა ინფორმირებულობა იგრძნობა.

ა) გიულდენშტედტისეული ხირპიტი - ეს დალის ხეობაა, თავად მარშანიანთა სამფლობელო, მარებისა და ხოირელების (ქართველური ტომების) სამშობლო.

ბ) ჩაჯი-ყველა ნიშნით ეს თავად შერვაშიძის დაქვემდებარებული თემებია. აქ უკვე გაერთიანებული ჩანს ევლია ჩელებისეული აფსილეთი-ჩაჩის ქართველური ტომი და არლანები-ასევე ჩაჩის (შერვაშიძის) აბაზგური ტომები.

გ) აიპგა- ეს გაგრის ზემოთა მთიანეთია, იმ დროისათვის ჭანებით დასახლებული. (შემდგომში ივანე ცანუბიას თემად სახელდებული)

დ) სადე- სახელწოდება და ადგილმდებარეობაც აშკარა მიმანიშნებელია, რომ გიულდენშტედტს აქ სადაშთა იგივე საძთა აბხაზური (ქართველური) ტომი ყავს მხედველობაში, რომელიც ტერიტორიულად თითქმის ეკვრის შარვაშიძის სათავადოს, თუმცა მის მფლობელობაში არც არასდროს ყოფილა.

ე) ჩრდილო დასავლეთი აფხაზეთი, გიულდენშტედტისეული: ტუბი, უ ბუხი, (უბიხი) კოშუკი, სახი-ასევე აბზოის ტომის თემები უნდა იყვნენ, თუმცა არა აბაზგები.

ვ. გიულდენშტედტისეული შაპსიხი, ბჟანა და ხატუკაი, საიდანაც შაპსი-ხი აფ-ხაზეთს ეკუთვნის (ტომი სახელს ყველა ნიშნით მდინარე შეპსის სახელის მიხ-ედვით ღებულობს, სავარაუდოდ ამავე მდინარეზე მობინადრე) ბჟანა და ხატ-უკაი მისივე სიტყვებით ჩერქეზული (უკვე ჩერქეზული) ტომებია, თუმცა ბჟანა-ბჟედუგები ჯერ კიდევ ევლია ჩელების მოგზაურობისას აფხაზურ ტომად განი-ხილება, თუმცა არსებობენ მთის მეორე მხარეს გადასული ბოზდუკები, უკვე ჩერქეზებიც. ხატუკაიც, გიულდენშტედტის მიხედვით ჩერქეზული ტომი, არ-ცთუ შორეულ წარსულში ჩელების მოგზაურობისას ჯერ კიდევ აფხაზებად იხ-სენება (ბოზდუკების მიმდებარე ტომი აფხაზების მხრიდან)

3. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი, გიულდენშტედტის სიტყვებით აფხაზურია (ქართველური) თუმცა მასზე ყაბარდოელებსაც აქვთ უსამართლო პრეტენზია.

მართალია გიულდენშტედტი სამხრეთ დასავლეთ აფხაზეთად (დიდ აფხაზეთად და არა აბაზგეთად) აცხადებს ტერიტორიებს ყუბანსა და ენგურს (ენგურს?!) შორის, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს რომ ეს მცნება მოიცავს მთლიანად ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო- აღმოსავლეთის ნაწილ-საც. ამასთან, გიულდენშდეტს აბსოლუტურად არა აქვს აღწერილი ტომები, რომლებიც ცხოვრობენ მდინარე კოდორსა და ენგურს შორის. (აბაზგები და აფ-შილები მას უკვე ერთ ტომად, ჩაჯად აქვს აღწერილი, ერთი პოლიტიკური მმართველის ქვეშ, თუმცა ეთნიკურად აბსოლუტურად განსხვავებული: ერთი აბზოის ტომია, მეორე კოლხური)

ცხადია აფხაზეთის პოლიტიკური (და ეთნიკური) საზღვარი მდინარე ენგურამდე არასდროს ვრცელდებოდა, ტომები კოდორიდან მდინარე ენგურა-მდე ქართველური ტომები იყო! ასევე არა ჩანს აღწერილი ავტორის მიერ ტომე-ბი, რომლებიც ცხოვრობენ სოჩი-ყალას ჩრდილო- დასავლეთით, თვით მდინა-რე ყუბანის აზოვის ზღვასთან შეერთების ადგილამდე. გიულდენშტედტის ერ-თობ ზედაპირული არასანდო და ზოგ შემთხვევაში ტენდენციურიც კი ჩანს. გიულდენშტედტისეული თავადური გვარის წარმომადგენელ მუდავიო, რომ-ელიც პირველობას ასევე თავადური გვარის შარაშიას (შერვაშიძე) შთამომავ-ლობას ეცილება, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ევლია ჩელებისეული ,,მეთაფლია აფხაზების'' მთავარი.იგივე მეორდება მე-19-ე საუკუნის შუა წლებ-ში, როდესაც რუსი გენერალი მედოუზების ტომს ახსენებს დღევანდელი გაგრ-ის მიდამოებში, სადაც ადრე ჭანები (დიდი და პატარა ჩანდები) ცხოვრობდნენ.

საყურადღებოა ფრანგი მოგზაურის ჟაკ-ფრანსუა გამბას ჩანაწერები, რომელიც მე-19-ე საუკუნის დასაწყისის რეალობას ასახავს. მისი ნაშრომი დათარიღებულია 1820-24 წლებით. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიების აღწერა მოგვყავს თითქმის სრულად:

თავიII

,,აფხაზეთის საზღვართან, დაახლოებით 60 კილომეტრზე გელენჯიკიდან მდებარეობს პშადის ყურე. დაახლოებით 30 კილომეტრზე პშადიდან სუბეშის ყურემდე საზღვარი ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის გადაჭიმულია ზუსტად ისე, როგორს ეს ნაჩვენებია დიდ რუკაზე. არ ვიცი დადგენილია თუ არა ეს საზღვარი რომელიმე პოლიტიკური აქტით, თუ შედეგია შემთხვევისა, თუ ის ბუნებრივად ყოფს ორ ხალხს, რომელიც ენით, ჩვეულებით და ხასიათით აშკარად სხვადასხვა წარმომავლობისაა.

თავი III

სუბეშის ყურე პირველი ყურეა აფხაზეთის სანაპიროზე. ხმელეთზე მასსა და ადლერს შუა არის მხოლოდ მცირე ყურეები, სადაც ადრე შედიოდა თურქული ხომალდები, ბზისა და ბეწვეულის შესაძენად. ადლერის ახლოს მხოლოდ ერთი პლაჟია, რომელსაც ჩრდილოეთის ქარებისაგან იცავს კონცხი. მის მეზობლად იხსნება გაგრის სახელით ცნობილი ბრწყინვალე ხეობა. გაგრა აშენებულია ზღვის სანაპიროსა და ფრიალო კლდეთა შორის და გამოყოფს სამხრეთ აფხაზეთს ჩრდილო აფხაზებისა და ჩერქეზებისაგან. აშენდეს აქ ქვის ციხე-სიმაგრე, საკმარისია გარნიზონი 500 კაცი, რომ დაიცვას კავკასიის ხალხებისაგან ეს ნაწილი აფხაზეთისა, რომელიც ესაზღვრება სამეგრელოსა და ძველ კოლხეთს. ბიჭვინთა უკამათოდ ითვლება ადგილად, რომელსაც უძველესი გეოგრაფები და ისტორიკოსები პიტიუსს უწოდებენ. ბიჭვინთაში დგას 15 სახლი, სადაც ცხოვრობს ამდენივე ოჯახი. ისინი დასაქმებული არიან მიწათმოქმედებით, ხოლო განსაკუთრებით ძველი, უმოქმედო მონასტრის მოვლით. აფხაზებსა და ჩერქეზებს აქ ხშირად მოაქვთ შემოწირულობის სახით ნაწილი ნაძარცვავი საქონლისა. აქაური მცხოვრებნი უზრუნველყოფილნი არიან ალბათ იმიტომ, რომ ითვისებენ სხვის მონაგარს და ფიცის საფუძველზე აქვთ უფლება მრავალრიცხოვანი ხალხის შემოწირულობაზე. ბიჭვინთა დაშორებულია სუხუმ-კალედან დაახლოებით 60 კილომეტრით. რუსეთის განკარგულებაში ითვლება მხოლოდ სუხუმ-ყალა და მისი ვიწრო ზღუდე: ამ ზღუდის იქით ყველა ნაბიჯზე მათ ემუქრებათ საფრთხე, როდესაც ჯარისკაცები მიდიან შეშაზე, ისინი მიდიან კბილებამდე შეიარაღებულნი, რომ არ მოიტაცონ აფხაზებმა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა შეიარაღებული თოფებით, ხანჯლებით და ხმლებით აფხაზე-

ბი ძირითადად დიდ ჯგუფებად ყოველდღიურად მიდიან სიმაგრის ალაყაფ-
თან. ციხეში შესვლამდე იხსნიან თავიანთ საბრძოლო აღჭურვილობას, მასპინ-
ძებისადმი მტრული დამოკიდებულობის ნიშანს-გამოსვლის შემდეგ ისევ იარ-
აღებიდან. აქ ისინი მოდიან თავიანთი საქონლის გასაცვლელად. ექვსი წლის
უკან სიმაგრის ზღუდის გარეთ იდგა **100-150** სახლი თუ ბარაკი, ზუსტად ეს
იყო ბაზარი, სომეხი თუ ბერძენი ვაჭრების კუთვნილება. ნაცვალის ბრძანებით
ეს სახლები დაანგრიეს, იმდენად რამდენადაც აფზახები იყენებდნენ ამ სახლ-
ებს საფარად და ადვილად გამოსდიოდათ რუსი ჯარისკაცის მოტაცება.

ჩერქეზებისა და აფხაზების ხალხები უძველესი დროიდან ეწეოდნენ მეკ-
ობრეობას. ერთი პერიოდი მათ შეწყვიტეს მეკობრეობა, როცა ზღვაზე ბატონ-
ობდა ოტამანთა პორტა და არსად ქრისტიანული ნაციის ალამი სანაპიროზე არ
ფრიალებდა. მას შემდეგ რაც გაიმარჯვა დედოფალმა ეკატერინემ, მისცეს მას
უფლება ესარგებლა დარდანელის სრუტით და ყველა საზღვაო სახელმწიფოს
მიეცა უფლება აქ მოსვლისა ... ჩერქეზებმა და აფხაზებმა კვლავ დაიწყეს მეკობ-
რეობა... იმდენად, რამდენადაც არ მინდა მივუძღვნა ცალკე თავი ხასიათს და
აღმსარებლობას, ავღნიშნავ , რომ საზღვარზე (იგულისხმება სამეგრელო-სამუ-
რზაყანოს საზღვარი) ილორში კიდევ ერთი ძველი ეკლესიაა... უნდა ითქვას
რომ ის არ ემორჩილება არცერთ ხელისუფლებას. აქ იშვიათად ნახავ დამუშავე-
ბულ მიწას და საერთოდ არ არის მოსახლეობა. ეს ნამდვილი უდაბნოა, თავია-
ნთი ძველი რწმენიდან აფხაზებმა შეინარჩუნეს მრავალი... დავუმატებ, რომ
მრავალმა აფხაზურმა ოჯახმა შეინარჩუნა ქრისტიანობა. სამეგრელო იყოფა სამ
პროვინციად: პირველი-სამეგრელო წოდებული იგივე ოდიშად, მეორე პროვინ-
ციაა ლეჩხუმი. მესამე პროვინცია სამეგრელოსი გადაჭიმულია ჩრდილოეთ
კოდორის კონცხამდე და საზღვრად ითვლება თანამოსახლე მდინარე კორაქსი,
ხოლო აღმოსავლეთით ცებელი (წებელდა) საკმაოდ მაღალი მთებით. ეს პრო-
ვინცია იწოდება ასევე სამურზაყანო და აფხაზეთად. ეს არის დადიანის ქვეყნის
ნაწილი, შეიძლება გამოცხადებული თავდაცვის საშუალებად და გამოიყენება
ბარიერად აფხაზებსა და მეგრელებს შორის. '' (ჟან-ფრანსუა გამბა. მოგზაურო-
ბა სამხრეთ რუსეთში)

ფრანგი მოგზაურის გამბას ჩანაწერები საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორ-
მაციის მატარებელია ისტორიისათვის:

1.გამბის მიერ ნახსენები საზღვარი ჩერქეზებს (წაიკითხე ზიხებს) და აფხაზებს
(ლაზ-ჭანებს) შორის ზუსტად იქ ფიქსირდება, სადამდეც ვრცელდებოდა საქარ-
თველოს საზღვარი მისი ძლიერების ზენიტში ყოფნის დროს, კერძოდ მდინარე
ნეჩეპსუხოსთან (იგივე ნიკოფსია) დღევანდელი ნოოვომიხაილოვკას რაიონში.
ამასთან აღსანიშნავია, რომ გამბას მიერ მისი ეპოქისათვის (1820წ.) დაფიქსირე-
ბული საზღვარი ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის დიდადაა განსხვავებული იგ-

ივე საზღვართან ევლია ჩელებისთან 170 წლის წინათ. ჩელების ეპოქისათვის ჩერქეზეთ-აფხაზეთის საზღვარი ანაპასთან გადიოდა, ახალი საზღვრიდან, ნოვომიხაილოვკიდან 160 კილომეტრით ჩრდილო-დასავლეთისკენ. თვალნათლივ ჩანს ჩერქეზული (პატუა) ენით ადგილობრივი, მეგრული ენის ჩანაცვლება მთელს ამ მანძილზე. თუ ჩელების პერიოდისთვის აქ აფხაზები (ლაზები) ცხოვრობდნენ, რომელთაც მშობლიური ენა აფხაზური-ლაზური იყო, მეორე საურთიერთობო ენა ჩერქეზული, 160 წლის შემდეგ ყველა ლაზი ჩერქეზ ტომს არის მიკუთვნებული.

2. გამბა უკვე ერთმანეთისგან გამოყოფს აფხაზეთის ორ ნაწილს. მისი სიტყვებით, გაგრა გამოყოფს სამხრეთ-აფხაზეთს ჩრდილო აფხაზეთისაგან.

3. გამბას მიერ ნახსენები 15 სახლი ბიჭვინთის ეკლესიასთან, რომლებიც ამ ეკლესიას ემსახურებიან აშკარად ჭანები ჩანან, ჩელებისეული მცირე ჩანდების შთამომავალნი. 1704 წლის ჭირის ეპიდემიას გარიდებული ჭანების ახალგაზრდა თაობა უკან აღარ დაბრუნებულა. ძველი თაობა ეპიდემიამ შეიწირა. საუკუნეზე მეტის შემდეგაც გაგრა და მიმდებარე ტერიტორია ფაქტიურად დაუსახლებელი ჩანს.(67)

4. ფრანსუა გამბა ორჯერ და სხვადასხვა ადგილას აღნიშნავს აფზახეთ-სამეგრელოს საზღვარს.

ა. მისი სიტყვებით, სამურზაყანო-სამეგრელოს საზღვართან, სოფელ ილორში დგას უძველესი ეკლესია(68)

ბ. მისივე სიტყვებით, სამეგრელოს მესამე პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე, ხოლო საზღვრად მდინარე კორაქსი (კოდორი) ითვლება. აღმოსავლეთისაკენ საზღვარი ციბელი (წებელდა) საკმაოდ მაღალი მთებით. უეჭველია რომ პირველი საზღვარი ილორთან, ეს სამურზაყანო-სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვარია, ამასთან სამურზაყანო-ეს სამეგრელოა. ტერიტორია სოფელ ილორსა და მდინერე კოდორს შორის, რომელსაც გამბა სამურზაყანოს უწოდებს, ესაა ისტორიული სამურზაყანო (საუმცროსო, სააზნაურო), დღევანდელი ოჩამჩირის და გულრიფშის რაიონები. რაც შეეხება საზღვარს მდინარე კოდორთან, ის დადიანის და შერვაშიძის სამფლობელოების საზღვარი ჩანს. პროვინცია სამურზაყანო (ოჩამჩირე, გულრიფში) გამბას სიტყვებით ფაქტიურად გაუკაცრიელებულია და მეგრელ-აფხაზთა შორის ბუფერულ ზონას წარმოადგენს. მისივე სიტყვებით აღნიშნული ტერიტორია დადიანების ქვეყნის (სამეგრელოს) ნაწილია, თუმცა არ ექვემდებარება არცერთ ხელისუფლებას, არც აფხაზეთისას და არც სამეგრელოს.

„იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ეს სათავადო (ტამატარხა-ზიხეთი, ტამანის ჩრდილო ნაწილი მდინარე ყუბანის მარჯვენა ტოტამდე) **რამდენიმე ჩერქეზული ტომი ჩამოვიდა მთიდან , განიფანტა აზოვის ზღვის სანაპიროზე და**

შეაღწია კიდევ ყირიმში. მთავარი და ცნობილი მათ შორის, ყაბარდოული ტომი დამკვიდრდა თათრებს შორის (თათრები-მონღოლები დაეპატრონნენ ყირიმს 1237 წელს) **მდინარე კაჩსა და ბალიკბაის შორის** (ყირიმში) **ბალიკბაის ზემო წელი ახლაც იწოდება კაბარდად. ამ ორ მდინარეს შორის დასახლება ახლაც ინარჩუნებს თათრულ დასახელებას ჩერკეს-ტაუს, ანუ ჩერქეზების ვაკეს.(69) ადილ ხანი, გადმოცემის თანახმად...იდგა ამ ყაბარდოელების სათავეში ყირიმში მე-14-ე საუკუნის ბოლოს და მე-15-ე საუკუნის დასაწყისში.**

ყაბარდოელებმა დატოვეს ყირიმი თავისი ნავებით და მიადგნენ ხმელეთს სუჯუკ-კალეში (თანამედროვე ნოვოროსიისკი) აქედან ისინი გადავიდნენ მდინარე ყუბანის კალაპოტზე და გამოჩნდნენ ვაკეში, განლაგებული სამხრეთისაკენ და დააფუძნეს ქალაქი შანჩირი...ფრანკები და გენუელები ბინადრობდნენ ყველა ვაკობში კვკასიის ჩრდილო კალთებქვეშ და მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ ქვეყნის მცხოვრებლებთან. ფრანკთა საცხოვრისი ძირითადად განლაგებული იყო კისლოვოდსკის ვაკეში და ყუბანის იქითა მხარესაც კი ვრცელდებოდნენ. ფრანკების ერთ ბელადს შეუყვარდა ყაბარდოელი ბელადის ცოლი და სთხოვა დაეთმო ის...ფრანკები შეიყარნენ ყაბარდოელებთან ერთად ეკლესიაში ყუბანს იქითა მხარეს (მოქმედების აღწერა ხდება თანამედროვე ყაბარდოში, საიდანაც ყუბანს იქითა მხარეს მყოფი ეკლესია-ეს მხოლოდ მდინარე ყუბანის მარცხენა სანაპიროზე, ზღვასა და ყუბანს შორის მდებარე ეკლესიაღა შეიძლება იყოს!) <u>კამარის</u> პირდაპირ სადაც ბელადებმა მისცეს ერთმანეთს ფიცი. მერე მათ გაიმეორეს ეს ფიცი ყაბარდოელის წარმართული კერპის წინაშე. დადგა მესამე დღე, ყაბარდოელმა ბელადმა გამოაცხადა თავისი პირობა: მან მოითხოვა რომ ფრანკები ყუბანს იქით გადასულიყვნენ, რაც ფიცის პირობის თანახმად უნდა შესრულებულიყო! ფრანკების ნაწილი წავიდა ელბრუსის კალთებქვეშ, სადაც დაივიწყეს თავიანთი წარმომავლობა და აღმსარებლობა“ (ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მოგზაურობა კავკასიის გარშემო. ჩერქეზი ხალხის ისტორია-1833 წელი)

მოვერიდებით ეპიზოდის გამეორებას და აღვნიშნავთ რომ „ფრანკების“ და ადგილმდებარეობა კამარის შესახებ ინფორმაცის ხილვა შეიძლება თემა სათაურით კერკეტებ-თან. თავად ქართველურ ტომებს ლომის წილი მიუძღვის იტალიური ეთნოსის ფორმირებაში: ეტრუსკები, რეტები და ვენეტები-აი ის სამი ქართველური შტო, რომლის იტალიელობა უკამათოა! (იხილეთ თემა პელაზგებზე) რაც შეეხება ზიხთა „იტალიელობას'', ანტიკური რომაელი პოლიტიკური მოღვაწის და რიტორის, ციცერონის მიხედვით, რომის (შესაბამისად იტალიის) იმპერია II-I- საუკუნეს ჩვ. წ. აღრიცხვმდე უკვე ფლობდა ილირიას, რაც აქედან შავი ზღვის სანაპიროზე მიგრირებულ ილირიელებს-ზიხებს აძლევს

სრულ უფლებას თავი იტალიელებად (და ფრანკებად) ჩათვალონ (ციცერონის ციტატა ილირიის შესახებ იხ. პელაზგებთან)

ფუნდამენტალური ნაშრომი კავკასიაზე, მის მცხოვრებლებზე და გეოგრაფიაზე, რუსების მიერ განხორციელებულ დაპყრობით ომებზე, მრავალტომეული აქვს შექმნილი რუს სამხედრო გენერალს და მწერალს, დუბროვინ ნიკოლაი ფეოდორის ძეს. წიგნის გამოცემის თარიღია 1871-1882წწ. ავტორი სარგებლობს უმდიდრესი სამხედრო არქივის დოკუმენტებით. ფაქტიურად, ტომეული ისტორიული შემაჯამებელი დოკუმენტია რუსეთის მიერ კავკასიაში ჩატარებული ომებისა და გატარებული პოლიტიკისა.

ჩერქეზები საკუთარ თავს ადიღეს უწოდებენ რაც მათივე დიალექტზე კუნძულებს ნიშნავს. რუსი გენერალი სამწუხაროდ სასტიკად ცდება! ჟან შარლ დე ბესეს მიხედვით, ადიღურ ენაზე კაცს ძიგი ჰქვია! **ა-ძიგე-ე** ასე უწოდებდა საკუთარ ადგილმამულს ალბათ ზიხი, რაც ძიგ-ების მიწას ნიშნავს. სამწუხაროდ ეს ასო ინდოევროპულ თუ აზიურ ენებში არც იხმარება, თვინიერ იაპონურისა. ინდოევროპულმა დამეწრლობამ კი იგივე ადიგე გახადა, ხოლო საქართველომ აბაზგს იქითა ქართვლობა საერთოდ დაივიწყა... დღემდე მაინც. ამავე მნიშვნელობისა ჩანს არაბი ავტორების მიერ არაერთგზის და არაერთგან მოხსენიებული ტერმინი დიხისტანი-ძიხისტანი, ძიხების ქვეყანა...ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ საკუთრივ ქართულ სიტყვას მამაკაცის ქვედა სამოსელის სახელი დაკარგული უჩანს, ხოლო სიტყვა შარვალი -შეთვისებული. ძიქვა- ასე ჰქვია მამაკაცის ამ ატრიბუტს დასავლურ-ქართულ, მეგრულ ენაზე. სავარაუდოა მისი ადრინდელი ფორმა ძიგქვა-იყო, რაც ძიგის, მამაკაცის ქვედა ჩასაცმელს ნიშნავდა... დღესაც არის სამეგრელოში შემორჩენილი სლენგი: მუჭო ო-ძიგვი-ნა, რაც სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: როგორ ძიგი-ვით (ყინჩად) დგახარო!

„ქალაქ გეორგიევსკის ქვემოთ, კაზაკთა მიწებისაგან სამხრეთით დასახლდა ადიღეს მნიშვნელოვანი ტომი ყაბარდოელები (კაბარტაი) გაყოფილნი დიდ და პატარა ყაბარდოდ. დიდი ყაბარდო, მიბჯენილი სამხრეთიდან ოსეთზე, განლაგებულია მდინარეებს მალკასა და თერგს შუა, ხოლო მცირე ყაბარდო, იკავებს თერგის მარჯვენა სანაპიროს, მთისწინეთსა და (მდინარე) სუნჯის ნაპირებამდე, მიბჯენილია აღმოსავლეთით ჩეჩნეთთან.... წარსულ დროში, დიდი ყაბარდოს მცხოვრებნი გაყოფილნი იყვნენ თავადურ გვარს შორის: კაიტუკინი, ბეკმურზინები, მისოსტოვები და ატაჟუკინები. მცირე ყაბარდო შედგებოდა სამი საზოგადოებისგან: ბეკოვიჩები, ახლოევები და ტაუსულტანოვები.შეადგენენ რა ადიღეს ტომის ნაწილს და ლაპარაკობენ მათთან ერთად ერთ ენაზე, ყაბარდოელები არ ესაზღვრებოდნენ უშუალოდ ამ ტომის სხვა თემებს. ვლადიკავკაზის 1-ლი კაზაკურ პოლკის კაზაკები გამოყოფდნენ, მათ მათივე თანამემამულე ჩერქეზული (ადიღეური) თემებისაგან. ყუბანის აუზი, მდინარეების ფერ-

ზი, გაგანე (დიდი ტეგენი) გაგენეზიი (მცირე ტეგენი) და ვოაპრის მიერ მორწ-ყული, დაკავებული იყო ბესლანელებით, მათგან ჩრდილო-დასავლეთით ვაკო-ბზე, მორწყული მდინარეებით ჩეხურაჯი, ბელოგაიკი და შადე, ცხოვრობდნენ მოხოშევცები. დასავლეთით ამ უკანას კნელისაგან მდინარეებს სხაგუაშს და პშიშს შორის , ცხოვრობდნენ ხატუკაელები , ხოლო მათგან ჩრდილოეთით , მდინარეებს ყუბანს, ლაბასა და სხაგუაშს შორის დასახლდნენ კემგუითა ტომი, თემირგოელები, აბაძეხების გვერდით. აბაძეხები ცხოვრობდნენ კავკასიის ქე-დის ჩრდილო კალთებზე, გადაჭიმულ მდინარეებს სხაგუაშს და სუპს შორის, რომელიც მათ შაფსუღებისაგან ჰყოფდა. აბაძეხები ყველაზე მრავალრიცხოვ-ანი და მეომარი ტომია, იყოფოდნენ მთისწინა ანუ შორეულ და ვაკისა, ანუ ახ-ლოს მყოფნი. მთისწინა აბაძეხები იბრძოდნენ ძირითადად ქვეითად, ვაკეში მცხოვრებნი კი ყოველთვის ამხედრებულნი. მთავარი დასახლება ანუ აულები განლაგებული იყო მდინარე კურჯიპსის, პჩეხე, ფშიში და ფსეკუაფსეს ხეობაში. ...დაწყებული მდინარე სუპიდან ყველა ხეობა განლაგებული მდინარე შიპსი-დან ჩრდილო-დასავლეთით, რომლებიც როგორც თავიანთი მეზობლები ჭაო-ბებში იკარგებოდნენ, ყუბანის ირგვლივ, დაკავებული იყო შაფსუღებით. უშუ-ალოდ შაფსუღების შემდეგ და მათგან აღმოსავლეთით, მდინარე ყუბანის მარ-ცხენა სანაპიროზე მდინარე ფშიშამდე ც ხოვრობდნენ ბჟედუგები, გაყოფილნი ორ მუხლად: ხამიშები, მცხოვრებნი შაფსულების საზღვრიდან მდინარე პსეკუ-ასემდე, და ჩერჩენები- მდინარე ფშიშს იქით. მდინარე შიპსს იქით, მთელი კუ-თხე ყუბანის დაბლობსა და შავ ზღვას შორის მთავარი ქედის ორივე კალთები დასახლებული იყო ნატუხაჟელი ტომებით (პოტკუაჯი) გადაჭიმული ქედის სამხრეთ კალთებიდან და შავი ზღვის ნაპირამდე პატარა მდინარე ბუ ანუ ბუან-ამდე, გამდინარე გოლოვინის პოსტს ქვემოთ და შემავალი შავ ზღვაში. დაწყე-ბული მდინარე აშედან, ნატუხაჟელთა საზოგადოება, მცხოვრები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე,ჰქონდათ საერთო სათემო დასახელების გა-რდა სხვა, განსაკუთრებული, (ხეობების მიხედვით: გოაიე ანუ შეხოკუაჯე; შემ-დეგ სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიყოლებით: ცეხუხი, შიმიტოკუაჯე.

	სულადობრივი რ-ბა **1835** წელს.	სულადობრივი რ-ბა **1858** წელს
დიდი ყაბარდო	24000	24284
მცირე ყაბარდო	6000	12756
გაქცეული ყაბარდოელები	4000	4707

შაფსუღები	200000	160000
ნატხაჟელები	60000	40000
აბაძეხები	160000	40000
ხატიუკაელები ბჟედუგები	9000	6521 4000
კემგუი-თემირგოი	15000	8168
ბესლანები	25000	5115
მოხოშეველები	5000	5000
უბიხები	**19000**	**25000**
	527000	**315549**

კუნძულებზე, წარმოშობილი ყუბანის ორი ტოტის მიერ და ეწოდება ყარაყუბანის კუნძულები. ზუსტად ასევე ნატუხაჟელთა შორის ცხოვრობდნენ სამი მუხლი ადიღესი, რომელთაც დაკარგეს თავიანთი თვითმყოფადობა და გაითქვიფნენ ნატუხაჟებთან: ჩებაინი, ხაგაიკი, მცხოვრებნი ანაპის მიდამოში, ჩეხურაის აუზში და ხატუკე ანუ ადალე, მცხოვრებნი ტამანის ნახევარკუნძულზე, ხოლო ახლა მიმოფანტულნი სხვადასხვა ადგილას ნატუხაჟელებთან...შემდეგი ცხრილი აჩვენებს ჩერქეზული მოსახლეობის რაოდენობას ორი სხვადასხვა პერიოდისათვის : ჩერქეზულ ტომს (ადიღე) ჩვენ უნდა მივათვალოთ უბიხებიც, მცხოვრებნი შავი ზღვის სანაპიროზე, ნატუხაჟელებისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარეებს ზიუბზესა და ხამიშს (ანუ ხოსტა) შორის ორ ხეობაში, ვარდანესა და საშეში. წარმომავლობით და ენით უბიხები საერთოდ არ მიეკუთვნებიან ად-ღეს ტომს: მაგრამ ხასიათით, ზნე-ჩვეულებით, საზოგადოებრივი წყობილებით და ბოლოს ჩერქეზული ენის გამოყენება მათი ბუნებრივი ენის თანაბრად, უნდა მიეთვალოს ჩერქეზულ ტომებს. **(история войны и владычества русских на кавказе. дубровин н. ф. ტომი I წიგნი 1 გვ. 85-88, 1871-1888წ)**

ფაქტიურად მწერალი იძლევა ცნობათა მთელ გამმას, რომელიც დაწვრილებით კრიტიკული განხილვის ღირსია: დუბროვინის ცნობა, რომ ადიღე ამ ტომების ყველა ენაზე კუნძულს ნიშნავს, რბილად რომ ვთქვათ არასწორია, ტერმინი ადიღე, როგორც ირკვევა აძიგეს, ძიგთა საცხოვრისს ჰქვია! დუბროვინის სიტყვებით კაზაკები და თათრული ტომები არჩევენ ყაბარდოელებს დანარჩენი

ადიღელებისაგან. ასევე არჩევს მათ ევლია ჩელები, რომელიც ყაბარდოელებს ნამდვილ ჩერქეზებს ეძახის. და ასეც არის: ყაბარდოელები იმ კერკეტების შთამომავალნი არიან, რომლებიც 15 საუკუნის წინაა დაფიქსირებული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ადიღები-პატუა ენა გათავისებული დასავლეთ ქართველური ტომის წარმომადგენლები, ზიხები და ჭანები.აბაზეხების მეზობლები, კემგუი-თემირგოი, რომელსაც საერთოდ არ ახსენებს ევლია ჩელები, ბიჭვინთა-გაგრასა და მიმდებარე ტერიტორიებიდან აყრილი დიდი და პატარა ჩანდებია, ყოფილი ჰენიოხები, ყოფილი კენები და ჰეროდოტესეული ხალიბები.

დუბროვინის სიტყვებით, აბაძეხები ყველაზე მრავალრიცხოვანი თემია ადიღელებს შორის. მისივე მოყვანილი ცხრილის მიხდვით რომლის სისწორეში თვითონაც არაა დარწმუნებული ყველაზე მრავალრიცხოვან ტომად შაფსუღები მოჩანს, რაოდენობით 200000-160000 კაცი, მაშინ როდესაც აბაძეხთა რაოდენობა 1858 წლის აღწერის მიხედვით არ აღემატება 40000-სს (ამავე რაოდენობებს ასახელებს მონპერეც, რომელიც სავარაუდოდ ასევე იმავე რუსული სამხედრო ცნობებით სარგებლობს) ცხადია, შაფსუღების სიაში შეტანისას დაშვებულია შეცდომა, მძიმე ერთი ნიშნით მარჯვნივ ჩანს გადატანილი. სინამდვილეში მათი რაოდენობა 20-16 ათასზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ასევე არასწორია ჩანს თავად აბაძეხთა რიცხოვნებაც, რომელიც 160000-40000 -ის დიაპაზონშია შეფასებული. შესაბამისად ადიღელთა და ყაბარდოელთა ჯამური რაოდენობა დიდი ცდომილების შემცველია!

რაც შეეხება მცირე ყაბარდოს ამ თემაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. მცირე ყაბარდო -ეს ჩელებისეული ტაუსტანის ვეებერთელა ქვეყნის ნაწილია, ამაზე თვით მათი ერთ-ერთი თავადის გვარი ტაუსულტანოვი მეტყველებს. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ტაუსტანის ქვეყანა- ეს გელური-ჰერული ტომია, რომლის ჩერქეზულ ენა ათვისებული ნაწილი ყაბარდოს მიეკედლა, ვეინახურ ენა ათვისებული ნაწილი განაგრძნობს დამოუკიდებელ არსებობას ინგუში ტომის სახელით, რომელიც მას ადგილდებარეობის მიხედვით დაენათლა, ძველი წარმოშობის დურძუკები. (ტაუსტანელები ჩანს მალყარები, რომლებიც განზოგადოებულობას ინარჩუნებენ). რუსული წყაროების მიხედვით მოხოშეველები კემგუი-თემირგოის ნაწილს წარმოადგენს. დუბროვინისეულ ბჟედუგებში აშკარად იკითხება ჩელებისეული ბოზდუკები, რომელნიც მისივე სიტყვებით აფხაზები არიან, ხოლო მათი ნაწილი -უკვე გაჩერქეზებულია. ნატუხაელებს და მათ საცხოვრებელ ადგილს რაც შეეხება, მათ ტერიტორიაზე დუბროვინის ნახსენები შიმიტოკვაჯე სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელობის ჩემიტოკვაჯე, რომელიც უფროსი თაობის წარმომადგენლებს მრავალჯერ წაუკითხავთ გზისპირა ტრაფარეტზე სოჭსა და ტუაფსეს შორის. დუბროვინისეული ჟანე ორიგინალში შანეა. ეს ტომი ისევე როგორც ანტიკური წყაროს ავტარიატები, არ ჩანს

გამქრალი პირისაგან მიწისა- კიდევ ერთხელ მოვახდენთ პომპონიუს მელას, პერიფრაზირებას, რომ ტომები არ ქრებიან, ისინი განაგრძნობენ არსებობას ან იქვე სხვა სახელის ქვეშ ან სხვაგან იმავე სახელით ან სხვა სახელით. შანებთან მიმართებაში, ადგილი აქვს მეორე ვარიანტს, მათი ნაწილის ადგილმდებარეობაზწ წინასიტყვაობაში უკვე ვისაუბრეთ ... ჩერქეზეთის ტერიტორიის საზღვრებს ასე აღწერს დუბროვინი:

„ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ადიღეს ტომის მიწები გადაჭრილია მთავარი კავკასიის ქედით, რომელიც როგორც ჩვენ ვხედავთ, იწყება ანაპრიდან-ყუბანის ყურის კუთხესთან შავ ზღვაში ადლერის კონცხამდე'' (დუბროვინი იქვე გვ.88)

ფრანსუა გამბას მოგზაურობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, რუსი ავტორის დუბროვინის მონაცემებით, აფხაზეთ- ჩერქეზეთის საზღვარი მოტანილია ადლერამდე, გადაადგილებულია აღმოსავლეთით თითქმის 130 კილომეტრით! რასაკვირველია გაუმართლებელია ის აზრი, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ხდება მოსახლეობის კარდინალური ჩანაცვლება. უბრალოდ პატუა ენა, ჩერქეზული ვრცელდება უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, ქართველური, მეგრული ენის მივიწყების ხარჯზე. მოსახლეობა, რომელიც ფაქტიურად ერთგვაროვანია, ზან-ზიხები და ჭანები, გარემოებათა გამო უუცხოვდებიან მშობლიური ენის და თავად საქართველოს. საკმაოდ ადვილი შესამჩნევია განსხვავება ჩერქეზებს (ადიღელებს) და ყაბარდოელებს შორის. უცხოელი ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ადიღეველები ევროპელთა-მსგავსად მაგიდაზე სადილობენ, მაშინ როდესაც ყაბარდოელები მხოლოდ სანოვაგის შემოსატანად სარგებლობებ დაბალი ტაბლებით. მიუხედავად ადიღეველებთა მუსულიმანობისა, დუბროვინის მიხედვით ყუბანისპირა ჩერქეზები აყენებენ ღვინოს, თეთრსაც და წითელსაც, რომელიც ნებისმიერი ნადიმის თანხლებია. (დუბროვინი იქვე გვ.93) რაც შეეხება რელიგიის საკითხს, ჩელების სიტყვებით ყაბარდოელებმა ისლამი 1641 წელს მიიღეს, მაშინ როდესაც ეს პროცესი ადიღეში მე-18 -ე საუკუნის დამდეგისთვის არაა დამთავრებული.

,,ანაპის დაკავების შემდეგ, თურქი სასულიერო პირების საშუალებით გაიზარდა რიცხვი ცრუ წინასწარმეტყველ მიმდევრებისა და თაყვანისმცემლებისა, და ნელ-ნელა ისლამი მართლა დიდი წინააღმდეგობებით მკვიდრდება თემებს შორის, კავკასიის ჩრდილო ფერდობებზე დასახლებულებისა. ხალხური გადმოცემა ინახავს ნაამბობს, იმ წინააღმდეგობაზე რომელიც დაუპირისპირა ადიღეს ხალხმა მუსულმანურ სწავლებას. შაფსუღები, რომლებიც ხედავდნენ რომ ანაპაში, ყაბარდოში, ნოღაის სტეპებში ვრცელდებოდა მუსულმანობა, გადაწყვიტეს თვითონაც მიეღოთ მედინელი წინასწარმეტყველის სწავლება. მათ ააშენეს მეჩეთები და დაიწყეს ლოცვა სამხრეთისაკენ, ხოლო ნატხაჟელები ძველებურ-

ად ეთაყვანებოდნენ ჯვარს და ლოცულობდნენ აღმოსავლეთისაკენ. ახალი მოძღვრების თანახმად, გაავრცელონ თავიანთი რელიგია ხმლით,-შაფსუღების საკმაო რაოდენობა თავს დაესხა ნატხაჟელებს, შეაგროვეს ყველა ჯვარი და დაწვეს. ამ უკანასკნელმა, შეურაცხყოფილმა ასეთი შემოჭრით, თავის მხრივ შეიჭრნენ შაფსუღების მიწაზე, დაანგრიეს და გაანადგურეს ყველა მათი მეჩეთი... პირველ ათწლეულს ჩვენი ასწლეულისა, ჰასან ფაშა ანაპელი შემოვიდა ჩერქეზთა მიწაზე მნიშვნელოვანი არმიით და ხან მუქარით, ხან დიდი საჩუქრით, მოასწრო ყველა ჩერქეზის გადაბირება მუსულმანურ რელიგიაზე. (დუბროვინი იქვე გვ.96-97)

ჩვენთვის მნიშვნელობანია, რომ ევლია ჩელები დიდი აფხაზეთის (შესაბამისად მისეული ნამდვილი აფხაზეთის, აფხა-ლაზების საზღვარი აღმოსავლეთით მდინარე კოდორთან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ანაპასთან ფიქსირდება. იგივე საზღვარი ჟაკ-ფრანსუა გამბასთან 160 წლის შემდეგ უკვე სხვანაირად ფიქსირდება. თუ აღმოსავლეთის საზღვარი პრაქტიკულად ემთხვევა ჩელებისეულ საზღვარს სამეგრელოსთან, ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი ადიღეს (უკვე) ჩერქეზებთან დასახლებულ პუნქტ ნოვომიხაილოვკასთან გადის, მდინარე ნეჩეპსუხოს ზღვის შერთვის ადგილთან (იგივე ნიკოფსია) საზღვარი 160 წლის შემდეგ კი ამდენივე კილომეტრითაა აღმოსავლეთით გადაადგილებული. 50 წლის შემდეგ, მე-19-ე საუკუნის მესამე მეოთხედისათვის, რუსი გენერლის და ისტორიკოსის, დუბროვინთან, რომელიც ხელმძღვანელობს ოფიციალური არქივის, ლულიეს, ბარონ სტალის და სხვათა ცნობებით, აფხაზეთის საზღვარი ჩერქეზებთან გაგრის ვიწროებში იწყება! სად ქრება ქართველური მოსახლეობა ზან-ზიხები და ჭანები გაგრიდან ანაპამდე ? (რომ არაფერი ვთქვათ ანაპის იქით მდებარე მატრეგას იგივე მატრახის-იგივე ტამანის ნახევარკუნძულის ზიხურ მოსახლეობაზე.) წამოჭრილ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ ჩელების ჩანაწერებს უნდა მივმართოთ. კვლევა საკმაოდ საინტერესო და ხელშესახებ შედეგებს იძლევა, რომელშიც უკვე ჩვენთვის საინტერესო სხვა ტერიტორიები და სხვა ხალხიც იხსენება, რომელიც ცდება ზიხთა თემს, მათ შორის მატრეგას ტერიტორიაზეც:

„კაფას ბეგლარბეგმა მოიყვანა აქ ორმოცი ათასი რჩეული მეომარი ჩერქეზისტანიდან: შაგაკე, ჟანე (შანე), მამშუხი, ტაკაკუ, ბუზდუკი, ბოლოტკაი, ხატუკაი, ბესნეი, კაბარდები (ევლია ჩელები. მიწები ჩრდილოეთ კავკასიისა, ვოლგისპირეთისა და დონისპირეთისა. ანაპრის ყურეში ლაშქრობა აზოვის ასაღებად.)

ჰამერის თარგმანის მიხედვით, მოხსენებული ჩერქეზი მეომრები იმ ოლქებიდანაა, რომელიც კაფას გუბერნიაზეა მიწერილი. ამავე წყაროს რუსული კომენტარების მიხედვით:

ა.შაგაკე (ხაგაკაელები)-ანაპის მახლობლად მცხოვრები ჩერქეზული ტომია, რო-

მელიც რუსული ვერსიის მიხედვით, 1812 წელს თითქმის მთლიანად გაწყდნენ შავი ჭირისაგან. შაგაკების გადარჩენილი ნაწილი შეუერთდა ნატუხაელებს. ნატუხაელები, ეს იმავე ჩელების წყაროების აფხაზებია, სუბეშელები, აშეღალელები და სუკელები. რუსი გენერლის დუბროვინის მიხედვით, ეს ხალხი მე-18-ე საუკუნეშიც ქრისტიანობის შენარჩუნებას ცდილობდა მომძლავრებული ისლამისაგან, ცხადზე უცხადესია აფხაზ ხალხს შეერთებული შაგაკაელები ასევე აფხაზებია, ზიხყოფილები, მიუხედავად ჩელების მიერ მათი ჩერქეზებად კლასიფიკაციისა. (სავარაუდოა, რომ მათი სალაპარაკო ენა ამ დროისთვის ჩერქეზულ- ყაბარდოულია)

ბ. ჟანე (chane-სხვა მთარგმნელების მიერ სწორად თარგმნილი შანე) - რუსული ვერსიის მიხედვით ასევე ადიღეული ტომი. მე-19 საუკუნის დასაწყისში, მეზობელ ყირიმელ და ნოღაელ თათრებთან განუწყვეტლივ შეტაკებებში დამცრობილი. რუსული ვერსიით, შანთა კატასტროფული შემცირების მიზეზი ასევე შავი ჭირი გახდა. გადარჩენილი ნაწილი ასევე შეუერთდა ნატუხაელებს. შანები, ზიხთა ეს პირველი ფორპოსტი, ევლია ჩელების მიერაც ჩერქეზებად (ადიღეელებად) არის შერაცხილი. სავარაუდოა, რომ მათი საურთიერთობო ენა (პატუა ენა) მე17-ე საუკუნის მე-3-ე მეოთხედშიც უკვე ჩერქეზული (ყაბარდოული) იყო, თუმცა შანი ,,ჩერქეზების''ომს და ჭირს (როგორც ირკვევა მიგრაციისაც) გადარჩენილი ნაწილი ნატუხაელებს უერთდება, ასევე ,,აფხაზყოფილებს და ზიხყოფილებს''. ცხადია შანების ისეთივე ქართველური ტომებია, როგორიც დანარჩენი ზიხყოფილები, ნატუხაელები.

გ. ბუზდუკი-რუსი კომენტატორის მიერ სრულიად სამართლიანად განმარტებული, გვიანდელი წყაროების ბჟედუგები, რომლებიც ადიღეს ტომში მოიაზრება. ჩელები ერთი მხრივ აღნიშნავს მათ აშკარა მსგავსებას აფხაზებთან (ქართველურ ტომებთან), ამასთანავე, აფხაზეთის აღწერაში მოხსენებული ჰყავს ბუზდუკი აფხაზები, რომლებიც ჩერქეზეთში დარჩნენ და გაჩერქეზდნენ. ცხადია ბუზდუკ-ბჟედუგი, ეს ისეთივე ქართველური ტომია, როგორც ზემოთ დასახელებული შაგაკე, შანე, თუ ნატუხელები. (ასევე სავარაუდოდ ჩერქეზული ენა შეთვისებულები) ბოლოტკაი, რუსი კომენტატორის მიხედვით ასევე ადიღური ტომია. მისეული ვერსიით, ეს უძლიერესი ტომი თემირგოი-კემგუი უნდა იყოს. მოსაზრება აშკარად არასწორია. თემირგოი-კემგუის ტომი, როგორც ზემოთ განვმარტეთ, დიდი და მთის ჩანდების სახელით ჩელების მოგზაურობისას ომის ყირიმის თეატრიდან ძალიან შორს, ბიჭვინთა-გაგრის მიდამოებში ცხოვრობს. აღნიშნული ტომის ბოლოტკაის ტომთან დაკავშირება თეორიულად შესაძლებელი მხოლოდ 1704 წლის შემდეგ მომხდარიყო, როდესაც დიდი ჩანდების ახალგაზრდული ნაწილი გაერიდა შავ ჭირს და შესაძლოა ბოლოტკაის თემს შეეხიზნა.

ე. ხატუკაი, რუსი კომენტატორის მიხედვით, ასევე ადიღეული ტომი, თემირგოელთა ნაწილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თემირგოელთა ადიღეში ბინადრობა მე-17-ე საუკუნის მესამე მეოთხედისათვის გამორიცხულია, ისინი აფხაზეთში ცხოვრობენ. რაც შეეხება ხატუკაელების და თემირგოელების ნათესაობას, საკითხი არავითარ ეჭვს არ იწვევს, ორივე მათგანი ლაზურ-ჭანური ტომია!
ვ. მამშუხები, ტაკაკუ, კავკასიის ქედის ჩრდილოეთით მოსახლე ებრაელი ტომე-ბია. ერთობ საინტერესოა მათი აქ მიგრაციის გზები (საკითხი აშკარად სცდება თემის ფარგლებს!) უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ცხოვრების მშვიდობიანი სტილისა, ჩელების სიტყვებიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში ისინი ომის ასპარეზსაც არ გაურბიან.
ზ. ბესნეი -ჩელების აზრით ხანის ნათესავებიარიან,თუმცა ვერსია ძალიან საეჭვოა. შესაძლებელია ისინი ხანს ენათესავებიან, როგორც აღმზრდელი, ატალიკის რანგში. რუსი კომენტატორის აზრით, ბესლანები - ეს ადიღეს ტომია. (ჩვენი ვერსიით, ეს მონპერესეული„ფრანკების“ის ნაწილია, რომელიც დასახლდა ელბრუსის კალთებქვეშ და თავისი წარმომავლობა დაივიწყა! მართლაც ისინი დუბროვინთან ყაბარდოელების სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობენ.
თ. კაბარიდა - ნამდვილი ჩერქეზები (ასეც იხსენიებს მათ სხვა ეპიზოდში ევლია ჩელები) ისტორიული კერკეტები, ქართველური ტომების ჭეშმარიტი და უახლოესი ნათესავი.
ი. ტაუსტანი - რუსი კომენტატორის მიერ განმარტებულია როგორც მცირე ყაბარდო. ცნობა ერთობ არადამაჯერებელია (ტაუსტანის თემა განხილულია ჰერეზის თემასთან ერთად)
,,რომ დაეცვა გარედან თავდასხმისათვის, თათრების ხანისათვის ნაბრძანები იყო, რომ სახიფათო ადგილას დაეყენებინა ყარაული. მისმა ბრწყინვალებამ, ხანმა დააყენა ოთხივე მხარეს მუსულმანური ჯარის სანდო და ნარჩევი რაზმები ყირიმის რაზმებიდან: ულუ-ნოღაი, კეჩი-ნოღაი, შაიდიკ-ნოღაი, ურ-მამბუკ-ნოღაი, შირინი, <u>მაისური</u>, სეჯეტი, მანკიტი, ნახშუვანი, ჩენიშკე, ბატი, ორი, ულანი, ბარდაკი არსლანბეგის ტომიდან, ჩობანიდან, დავიდან, ნავრუზიდან. ყვლა ესენი ყარაულობდნენ. (ევლია ჩელები იქვე, აზოვის სამაგრის უშედეგო ალყა)
როგორც ჩანს, გარდა ყირიმელთა ლაშქრისა (მათი ნაწილი აქაც არის მოხსენებული, რამეთუ ორი, ჯენიშკე და ნახშუვანი ჩელების ყირიმის ნახევარკუნძულზევე აქვს აღწერილი, უკვე სხვა ეპიზოდში) კაფას გუბერინიას მიწერილი საიმედო რაზმებიც ყარაულობენ, რომელთა კოორდინაცია ყირიმის ხანს დაეკისრა. ტომთა უმრავლესობას ნოღაელები (ახალმონღოლები) წარმოადგენდნენ, თუმცა მათ შორის თათრებიც ურევია. ჩვენთვის საინტერესო სულ რამდენიმე ტომია:

1.ჯანიშკე-ჭანიშკე- თემი და ციხე- სიმაგრე ყირიმის ნახევარკუნძულზეა, აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ყირიმის ნახევარკუნძულის კონტინენტთან შეერთების ახლოს (დღევანდელ გენიჩესკი) ჩელების სიტყვებით, თათრები ერი-დებიან ცეცხლსასროლი იარაღის, თოფის ხელში აღებასაც კი, თუმცა ეს ხალხი შეიარაღებულია თოფებით და იცავენ ყირიმის ყელს. აქ ადვილად წასაკითხავია ჭანები, საკუთარი სახელობის დასახლება გენიჩესკი და ჯანკოიში-დღეს.
2 . ბატი- ეს უკვე დღევანდელი ნოვოროსიისკიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომების, ზიხების სამხედრო რაზმი ჩანს.(70)
3.ორი- ყირიმის ნახევრკანძულზე ჯანიშკეს მეზობლად მდებარე ციხე-სიმაგრეა, რომელსაც ჩელების სიტყვებით, ასევე თოფოსანი მეციხოვნეები (არათათრები) იცავენ. ჩელები მათ ზოგჯერ ბერძნებთან აიგივებს (შესაძლოა მილეტელთა ყოფილი კოლონია იყოს კიდეც). (71) თუმცა ყირიმში ოდესღაც სინდეებიც ცხოვრობდნენ...ზღვისპირა სოფელი ზუგდიდის რაიონში, სახელიით ორსანტია (ორ-სინტია) ხომ არ გვიჩვენებს, რომ ჩამოსახლებული ტომის ფესვები უძველეს სინდებში ვეძებოთ? სინდიეტი-ასეთი სოფელი კი ხელვაჩაურის რაიონშია...
4.მართალია ჩელები ცალ-ცალკე აღნიშნავს შირინებს და საცხოვრებელი ადგილს ნახშუვანს, თუმცა ასევე ჩელებისთან სხვა ეპიზოდში ჩანს, რომ ეს ერთი და იგივე ხალხია. მოპოვებული ინფორმაციით, ეს ნახჩოთა ვეინახური (ჩეჩნური) ტომია, რომელზედაც დაკონკრეტებით შესაბამისი ტომის აღწერისას ვისაუბრებთ.
5.კეჩი-ნოღაი, ეს სიმამდვილეში ჩელების მიერ დღევანდელ ადლერთან დაფიქსირებული კეჩები უნდა იყვნენ. (სავარაუდოდ, აქვთ მიზეზი, რომ ყირიმში რუსების წინააღმდგ ლაშქრის შემადგენლობაში იყვნენ)

მოგზაურობის გაგრძელებისას ჩელების მოძრაობის მიმართულება ყირიმის სიღრმიდან ტამანისკენაა. ტამანის ერთი (ჩრდილოეთ) ნაწილს შაჰის კუნძულს უწოდებს, რომელიც სავარაუდოდ ყველა მხრიდან წყლით შემოზღუდულია. როგორც ჩელების აღწერილობის კონტექსტიდან ირკვევა, მდინარე ყუბანის ერთი ტოტი, ნახავრმილიანი სიგანის შესართავით უერთდებოდა შავ ზღვას ადახუნთან (ქერჩის სრუტესთან).ჩელების მიერ შაჰის კუნძულის აღწერა, რომლის გარშემოწერილობა მისი სიტყვებით, სამოცდაშვიდი მილია(100კმ) ზუსტად ემთხვევა ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილის პარამეტრებს, ქერჩის ყურის ნაწილის ჩათვლით. ამ კუნძულზე მას აღწერილი აქვს ტამან-კერმენის სიმაგრე, რომელიც ციხე-სიმაგრეთა მთელ ციკლს მოიცავს: გარე სიმაგრე, ქვემო სიმაგრე, შუა სიმაგრე, თემრიუკ-კერმენთან. შაჰის კუნძულის ჩრდილო მხარეზე მოედინება დიდი მდინარის, ყუბანის ერთ-ერთი ტოტი. ჩე-

ლებისვე სიტყვებით, ტამან-კერმენის მთელი მოსახლეობა მთლიანა მუსულმ-ანები და ჩერქეზებია.

ჩელების მოგზაურობის ტრასა შაჰის კუნძულის ჩრდილოეთით, აზოვის ზღვის სანაპიროზე გრძელდება. მისი სიტყვებით, აქ, ბერბერების მიწაზე აშენ-ებულია ციხე გზააბნეული მეფის, სალსალის მიერ, ჩელებისვე ვერსიით სასანი-დების ეპოქაში (226-551წ) ციხეს კალხასინჯა ერქვა. ამავე სალსალების მიერაა აშენებული იზმაილი და აკერმანი. კალხასინჯა დანგრეულ იქნა თემურლენგის მიერ.(72) ქრონოლოგიურად ჩელების მიერ შემდეგ ნახსენება პუნქტი ჩოქჩაა (ჩუშკა) ცხადია ჩელები მოგზაურობის და აღწერის მიმართულებას ცვლის, ტა-მანის სიღრმიდან, თემრიუკიდან ქერჩის სრუტემდე. შემდეგი პუნქტი ეს უკვე სოფელი სოვუკია, მთელი მოსახლეობა თავადითურთ ჩერქეზებია. მცირე სიმა-გრე კიზილ-ტაში, აშენებული თურქების მიერ, შემოგარენის დასახლება 80-მდე ჩერქეზი. კიზილ-ტაშით შაჰის კუნძული მთავრდება. კუნძულის დასასრული სამხრეთის მხრიდან, მდინარე ყუბანის ტოტი, შემდინარე ქერჩის სრუტეში (სა-ვარაუდოდ ახტენიზოვის ლიმანის დასავლეთით, დღევანდელი პრიმორისკო-ეს რაიონში) აქ მთავრდება სულტანის (შაჰის) კუნძული, ტუზლასა და ჩოკჩის მიმართულებით. აქ უერთდება დიდი მდინარე ყუბანი შავ ზღვას ნახევარი მი-ლის სიგანის (750მ) ყურე-შესართავით და უერთდება იგი ადახუნის ყურეში (შესაბამისად ქერჩის ყურე) ჩელებისვე სიტყვებით, კუნძულის საზღვრიდან სამხრეთით, ორი საათის სავალზე, ციხე-სიმაგრე ანაპაა(73) ანაპის ციხეს ორჯ-ერ აღწერს ჩელები, ორჯერვე სხვადასხვა კონტექსტში . შესაბამისად აქ ორი სხვადასხვა ციხე-სიმაგრე ანაპაა სხვადასხვა მდგომარეობაში. ჩელებისეული ეს (პირველი) ანაპა ადახუნის-ქერჩის სრუტეშივე მდგარი ჩანს:

,,ის ანაპა დააფუძნეს გენუელებმა, მაგრამ გადეკ-ახმედ ფაშამ დაიპყრო იგი: არ-ასაჭირო ციხეა, განაცხადა მან და დაანგრია ის, მაგრამ (ციხეში) არის სასიცოც-ხლო წყარო. თუ ეს ციხე- სიმაგრე იქნებოდა დასახლებული, მაშინ აქ ზემოთ ვერ გაივლიდნენ შავ ზღვაში აზოვის სრუტით. არც თუ ისე შორს, სახელწოდე-ბულს ტუზლა-ბურუნად (განლაგებულია ციხე-სიმაგრე)“ (იქვე თავი II)(74)

ჩელების სიტყვებით, კუნძულ ტუზლაზე ცხოვრობდნენ მდიდარი და მხი-არული ჩერქეზები. თათრებს ამ მიწებზე ცხოვრება ეკრძალებოდათ, რადგანაც კაფას ვილაეთი ითვლება ანატოლის მიწებად, რუმის მიწებად -ყირიმის საწინა-აღმდეგოდ მდებარენი. ეს ანაპა, კუნძულ ტუზლაზე აშენეული გენუელების მიერ და შემდგომ ოსმალო გადეკ ახმედ ფაშას მიერ დანგრეული ზუსტად ის ციხე ჩანს, რომელსაც იოსაფატ ბარბარო ბატს უწოდებს, რომელიც რაღაც დრო-ით დადიან-ბენდიანის შემადგენლობაში შედის და სადაც ის მეგრულ-ზიხურ ოჯახში სტუმრობს გენუელ აცოლინე სკვარჩეფიგოსთან ერთად. ევლია ჩელე-ბის სიტყვებით, კუნძულზე მცხოვრები „მხიარული და მდიდარი ჩერქეზები“

კარდინალურად განსხვავდებიან იოსაფატ ბარბაროს (და გენუელი აცოლინ სკვარჩეფაგოს დანახული „საწყალი და სულელი“ მეგრელისაგან...

,,ციხე სიმაგრე ყიზილ-ტაშიდან, რომელიც ადახუნის ყურეზეა, ის გაჭირვების გარეშე გადავიდა უდიდეს მდინარე ყუბანზე , მომზადებული გემებით . მე უბადრუკი გადავედი მოპირდაპირე მხარეს“ (იქვე)

კონტექსტიდან არგად ჩანს, რომ ჩელები გადავიდა ტამანის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში და მოგზაურობას იწყებს მდინარე ყუბანის მარცხენა შენაკადის მარცხენა მხარეს, შაგაკესა და ჩობანის ტომებიდან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროდან ერთი დღის სავალზე არიან დაშორებული (30-50კმ) ჩელები თხრობას მდინარე ყუბანის მარცხენა (დღეს არ არსებული) ტოტის გადალახვის შემდეგ აგრძელებს. მისი სიტყვებით ნოღაელთა ჩობანის ტომი დაუნათესავდა შაგაკეს ჩერქეზულ ტომს და დასახლდა მასსავე მიწაზე . ჩელების სიტყვებით, ეს ჩერქეზული ტომი შაგაკე ნოღაელებთან ერთად ფაქტიურად ერთი ხალხია. შაგაკეს მცხოვრებნი არც ურწმუნოები (ქრისტიანები) არიან და არც მუსულმანები. მათი რელიგია, ჩელების მიხედვით ცეცხლთაყვანისცემლობაა. შაგაკეს უკვე რეალური საბინადრო ადგილი შავი ზღვის სანაპიროდან ერთი დღის სავალზეა, სავარაუდოდ დღევანდელი ჯიგინკის ტერიტორია. ჩობანის ნოღაური ტომის საბინადრო ადგილი, ეს დღევანდელი სტაროტიტაროვსკაია უნდა იყოს. შაგაკეს ჩერქეზული ტომს საცხოვრისი შემოსაზღვრული აქვს ხეებითა და წკნელებით, რომლის შიგნითაც მთელი უბანი ცხოვრობს. ჩელების სიტყვებით, შავი ზღვის სანაპიროზე შაგაკეს ტომის ჩერქეზების გარდა სხვა ჩერქეზები არ ცხოვრობენ. შაგაკეს თემი მოითვლის სამი ათას შეიარაღებულ მეომარს, მთლიანად მათი რიცხვი სავარაუდოდ ათი ათასია. რაც შეეხება ჩობანის ტომს, მას აშენებული აქვს ციხე-სიმაგრე, სადაც ზამთრის პერიოდში იზამთრებს, თავს აფარებს ჩერქეზებისაგან თავდასხმის დროს, დანარჩენ დროს მთებში და სტეპებში ატარებს. ჩობანის ნოღაელები მოითვლიან რვა ათას შეიარაღებულ მეომარს, ხოლო მთელი მოსახლეობის რიცხვი სავარაუდოდ ოცდაათი ათასს აღწევს. ფაქტიურად ნათელი ხდება შაგაკეს ჩერქეზული ტომის და ჩობანის ნოღაური ტომის დაახლოების მიზეზებიც და შედეგებიც. ეს ქართული ანდაზის, დათვი რომ მოგერიოს ბაბა დაუძახეო, რეალური გამოხატულებაა!

ცხადია შაგაკეს 3 ათასიანმა თემმა მორიგება არჩია ომს ჩობანის 8 ათასიან თემთან. ჩელებისვე სიტყვებით, თუ ნავრუზის ნოღაური ტომს აშენებული აქვს ციხე-სიმაგრე და საჭიროების დროს სარგებლობს ამ ციხით, ჩერქეზების ტომს ციხის დაკავების, ფლობის უფლება არ აქვს, წინაღმდეგ შემთხვევაში მომაგრდებიან და აჯანყდებიან. ნათელი ხდება ოსმალური პოლიტიკა, რომ მედგარი ჩერქეზებს მეომარი სული როგორმე მოითოკოს. ოსმალეთის ეს პოლიტიკა ბუმერანგად დაუბრუნდა მათვე, როცა ამ ტერიტორიაზე მეორე დიდი მოთა-

მაშე რუსეთი გამოჩნდა! რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ იარაღი მხოლოდ ზიხყოფილმა ჩერქეზებმა აღმართეს და არა ოსმალეთის მიერ ჩამოსახლებულმა სხვა ტომებმა, რომელთაც რუსეთის მფლობელობაში შესვლა ირჩიეს და ამით მხოლოდ პატრონი გამოიცვალეს. მათ თავიანთი ჯოგები მდინარე ვოლგისაკენ გაირეკეს და ადგილმდებარეობას გაერიდნენ. ჩერქეზები დამოუკიდებლობისათვის, სამშობლოსათვის იბრძოდნენ რომელ ტერიტორიაზეც მათი წინაპრები უკანასკნელ ოცი საუკუნეს ცხოვრობდნენ... ჩელების შემდეგი აღწერის პუნქტია ეს ციხე-სიმაგრე ანაპაა. ანაპა რომელიც ჩელების სიტყვებით, არა გენუელების, არამედ ისკანდერ ზულ-კარ- ნაინის დროისაა აშენებული(ალექსანდრე მაკედონელი) და რომელიც გენუელების აშენებულ ანაპა-I ბედის საწინააღმდეგოდ, გადეკ- ახმედ ფაშას არ დაუნგრევია:

,,როდესაც თემურმა დაიპყრო ერაყი და დადიანი, (75) ყაზანი და 700 სხვა ქალაქი, წავიდა ყიმში მჯდომი თოხთამიშ - ხანის წინააღმდეგ, გაანადგურა ამ ქვეყნის შემოგარენიც, თუმცა ციხე (ანაპა) დარჩა როგორიც იყო... ანაპა ძალიან მტკიცე სიმაგრეა, ფრიალო კლდეზე ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთისა და ჩერქეზების საზღვარზე თუმცა აქ ახლა სულიერი არ ჭაჭანებს... შიგნით იზამთრებენ შაგაკეს ტომის, მცხოვრებთა შემოგარენში, თხები... თუ შეაკეთებ ციხეს და გამოიყენებ, შეიტან შიგ სამყოფ არსენალს და განათავსებ ლაშქარს, ადვილი საქმე იქნებოდა აფხაზეთისა და ჩერქეზების მიწები გადაქცეულიყო მორჩილ ოლქებად. (ეს საჭიროა) იმიტომ, რომ ნოღაელ მცხოვრებთ ჩერქეზისტანისა მოაქვთ აქ თავიანთი საქონელი და ჰყიდიან:" (ევლია ჩელები იქვე ანაპირს აღწერა)

კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ჩელების ორი სხვადასხვა ანაპა აქვს აღწერილი. ორ სხვადასხვა ადგილს რომელმაც დიდი გაუგებრობა გამოიწვია ისტორიის გეოგრაფიაში...

„ამ ადგილას თავდება ელბრუსისპირა სასაზღვრო რაიონი. შაგაკებისაგან აღმოსავლეთით დევს მთელი მიწა აფხაზეთისა, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროზე. ჩერქეზების ქვეყანა გადაჭიმულია ანაპისა და ობურის მთების კალთებიდან ელბრუსის მთასთან შეერთებამდე, ყუბანის სანაპიროზე... ჩერქეზეთი იწყება ელბრუსის მთიდან და მთავრდება შაგაკეს ხალხით, შავი ზღვის სანაპიროზე, ხოლო შაგაკეს მთა ელბრუსს უერთდება. ისინი გადაჭიმულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ელბრუსამდე, დაღესტნამდე, კუმიკების ქვეყნამდე დემირ-კაპუსა (დერბენტი) და სპარსეთის ქვეყნამდე". (ევლია ჩელები იქვე თავი II გვ713)

ჩელების სიტყვებით, კავკასიის მთების დასავლეთ ნაწილი შაგაკეს ტომიდან და ანაპიდან დაწყებული, მდინარე ყუბანამდე, ეს ჩერქეზების ტერიტორიაა. მართალია ზიხებს ისტორია (მათ შორის ქართულიც) ჩერქეზებად თვლის

თუმცა ისინი ნამდვილად დასავლეთ ქართველური ტომები, (ზანები, ზიხები, ლაზები, ჭანები) არიან. ახაელებისა და კერიკეტების მიგრაციის შემდეგ (ისინი უკანასკვნელად ტამანის ნახევარკუნძულზე დაფიქსირდენენ) შავი ზღვის სანა-პიროს ამ ნაწილს ისინი ფლობენ.

მირზები(76) (უფროსები) წითელი ფერის ტყავის წაღებს ატარებდნენ, რო-მლის ფერი და ფასონი უძველესი დროიდან ლაზეთ-ზიხეთიდან მიითვისა ბი-ზ-ანტიის იმპერიამ და რომლის ჩაცმა იმპერიის ტერიტორიაზე ეკრძალებოდა ყველას,თვინიერ იმპერატორისა! ჩელების სიტყვით, ეს ხალხი ქურდობაში კა-რგადაა გაწაფული. ჩერქეზულ - ქურდული აღწერა ჩელებისთანაც არსებობს თუმცა ახლოსაც ვერ მივა არქანჯელო ლამბერტისთან აღწერილ ანალოგიურ სიტუაციასთან სამეგრელოში. ვინაიდან ორივე სუბიექტი ერთი და იმავე ხალ-ხის ნაწილია, ჩავთვლით რომ უბრალოდ ლამბერტი უფრო ხატოვანი ენის პატ-რონია!

როგორც ჩანს, ევლია ჩელების ეს მოგზაურობა განსხვავებული მისივე პი-რველი მოგზაურობიდან, რომელიც ტრაპიზუნდიდან ყირიმის მიმართულებ-ით განხორციელდა მუნკესილით-მცირე გემით და მცველი ასკერების თანხლე-ბით. ამასთან მისი მუნკესილი ნაპირს უახლოვდებოდა და ჩერდებოდა ყოველ კომპაქტურ აფხაზურ დასახლებასთან. ამჯერად ის ფეხით გადაადგილდება, რასაკვირველი მცველი ჯარიკაცების-ასკერების თანხლებით, მაგრამ უკვე ხმე-ლეთის სიღრმეში, მდინარე ყუბანის გასწვრივ. შესაბამისად, ის აღნიშნავს მის-თვის უკვე ნაცნობ აფხაზებურ ტომებს მთის გადაღმა, უკვე ზღვის სანაპიროზე. **,,ყველა ჭამს მოხარშულ ცომს ფეტვისაგან (ღომი)... ფეტვის ოდნავ მოხარშულ ფაფას ჭამენ მთლიანად ცხელს, აწობენ საწბელში (საწებელში) ეს საწბელი თვი-თონ არის საკვები, განსაკუთრებული ცომი ნიგვზისა, აურევენ ცხელ მარილში, დებენ ფინჯანში და ასხამენ კაკლის ზეთს, აყრიან წითელ პილპილს. ამავე საწ-ებელში ურევენ ნიგვზის წითელ ზეთს, ქონიან ყველს და ღომს, აწობენ რა საწე-ბელში, ჭამენ... თავს, რქებს, ღვიძლს, ფეხებს, თირკმელს და თირკმლის ქონს, ქონიანი ცხვრებისა და ბატკნებისა, რეცხავენ შვიდპირ სუფთა წყალში." (ევლია ჩელები იქვე)**

საწებელი-საერთო ქართველური სიტყვა ჩანს. საწბელი- ასე ეძახიან დღე-საც სამეგრელოში. საკლავის შიგანის რეცხვის პრინციპი შვიდკეც წყალში, ასევე უცხო არაა მეგრული სამზარეულოსთვის.მათი საყვარელი ცხენის ფერი რუხია, დატალული ვაშლისტოლა ლაქებით - ეს ყველა ქართველისთვის საყვარელი ლურჯა ცხენია! ჩელების სიტყვებით, ანაპის პორტიდან მარგალიტიც გაჰქონდ-ათ, რომლის რეწვას და მოპოვებას მოსკოვიტი (რუსი) მეზღვაურები ეწეოდნენ.

მოგზაურობის თითქმის დასაწყისშივე ჩელები შანების (chane) დიდ და პატარა ჩერქეზულ ტომთან ხვდება. დიდი შანები - ეს ათი ათასი შეიარაღებუ-

ლი ვაჟკაციa, მცირე შანები- ეს სამი ათასი ასევე შეირაღებული მეომარი. როგორც რუსული წყაროები აღნიშნავს ეს უმამაცესი ჩერქეზული ტომები თათრებთან პერმანენტულ ომს და საბოლოოდ შავი ჭირის ეპიდემიას ემსხვერპლა. ჩელების მიხედვით, კი რომელმაც კარგად იცის ამ ტომის პერმანენტული ომების ისტორია,ამ ომების ადრესატად სადაშ-აფხაზებს ასახელებს.ცხადია,ჩელები ცდილობს მიჩქმალოს მამაც ჩერქეზთა ომს მუსულმან თათრებთან და მას სადაშ-აფხაზებს აბრალებს! (თავად სადაშებიც განსხვავებული აფხაზები ჩანან და მათ შესახებ სხვა თავში ვისაუბრებთ) სადაშ-აფხაზები დღევანდელ სოჭის რაიონში ცხოვრობდნენ, დიდი და პატარა შანებისაგან 2 ასეული კილომენტრის მოშორებით და მათ შორის სამარი კონტაქტი გამორიცხული იყო!

მდინარე ყუბანის მარცხენა სანაპიროზე, უკვე ხაგაკაის ჩერქეზული ტომის კუთვნილ მიწებზე, ნოღაელები სახლობენ: ჩერქეზული ტერიტორიებზე ოსმალთა მიერ დამყარებული ძალთა ბალანსი სახეზეა! ხატუკაელები-ჩელების სიტყვებით ასევე ჩერქეზები არიან, რვა ათასი კარგად შეიარაღებული მეომრით. მათსავე მიწაზე ცხოვრობს ნავროზის თათრები (ნოღაელები) ათი ათასი შეიარაღებული მეომრით. ჩერქეზებისაგან თავდასაცავად აშენებული აქვთ ციხე-სიმაგრე (ანალოგიური ციხე -სიმაგრის აშენება ჩერქეზებს ეკრძალებათ)

ციხე აკიფს-კერმენი ჩელების მიხედვით ააშენეს გენუელებმა, (თუმცა სავარაუდოდ ის ზიხების აშენებული უნდა იყოს) მასზე მ იშენებულია ციტადელი, ჩერქეზების მოსათვინიერებლად.შემდეგი სოფლიდან, კაბაკ სებაიდან, რომელიც ასევე ხატუკაელებს ეკუთვნის, ხანის (მასთან ერთად ჩელების) გასაცილებლად ათასი ჩერქეზი და სამი ათასი ნოღაელი გამოყვეს. ოსმალური ძალთა ბალანსი კიდევ ერთხელ თვალსაჩინო ხდება. ჩელების მიხედვით, ჩერქეზთა ეს ტომი დიდი ხნით ერთ ადგილას არ ცხოვრობს. თუ მოკვდება რამდენიმე თანასოფლელი, ისინი ამბობენ რომ ეს ადგილი უბედურია და გადადიან სხვა ადგილას, წვავენ რა ძველ საცხოვრისს და გამაგრებულ, ადგილს. ეს უკანასკნელი კი ასეთია: **„სოფელი პედასის გარემო წარმოადგენს სიმაგრეს თითქოსდა ოთხი რიგის მიწ-აყრლისა და ვეებერთელა მორებისაგან. ასეთია მთელი რიგი სოფლები ახლო-მახლო მიდამო ჩერქეზეთში (ევლია ჩელები, იქვე)**

ჩელების სიტყვებით, თუ ჩერქეზს ურჯულოს დაუძახებ, მოგკლავენ, თუმცა ისინი ღორს ჭამენ თვით კუდუსუნის ძვლამდე, იცავენ მარხვას, ნამაზს არ ასრულებენ. მათ ვინც ღორები არ ჰყავთ, ისინი სოფელში არ აცხოვრებენ. განთქმულნი არიან ლამაზი გოგონებით(77)კაბაკი პედასი, ასევე ხატუკაელების ტომია, მათ ერთი მთა ჰყოფთ აფხაზებისაგან:

„მთას იქით ცხოვრობენ არატ-აფხაზები, სადაშა აფხაზები, ჯენბა აფხაზები, კამიშ აფხაზები, სოვუკმ აფხაზები, აშეგა აფხაზები, იუკარ აფხაზები, კარიშან აფ-

ხაზები. საერთოდ ყველა ტომი აფხაზებისა მტრულადაა განწყობილი ამ მომთ-აბარე ჩერქეზი ტომებისაგან“ (ევლია ჩელები, იქვე)

მცირეოდენი სახელცვლილებით ყველა ეს მთას იქით მცხოვრები აფხაზ-ური ტომებია, რომელიჩ აფხაზეთის ხსენებისას აღწერილი აქვს ჩელების:

არატა აფხაზები-ადრე ნახსენებია როგორც ა’რტი

სადაშა აფხაზი-სადაშები

ჯენბა აფხაზები-ჩანდები, დიდი და პატარა

კამიშ აფხაზი-კამიშები, უბიხები

სოვუკ, იუკარ აფხაზები -სუკის აფხაზები

აშეგა აფხაზები-აშეღალის ციხესთან მცხოვრებნი

კარიშან აფხაზები-სავარაუდოდ დუბროვინის მიერ ნახსენები ხამიშები

აფხაზი ტომების მტრობა ამ მომთაბარე ჩერქეზული ტომისადმი ადვილი ასახსნელი ჩანს: ჩერქეზი (ზიხი) ტომები არასდროს მისდევდნენ მომთაბარე ცხოვრებას, ცხადია ტომი უკვე ფაქტიურად გათათრებულია, აფხაზები მათ ნო-ღაელებად თვლიან. რომლებმაც მათი ნათესავი და მოყვარე ზიხების ტომის ოკუპაცია მოახდინეს და მათ გავრცელება -დასახლებას ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდებით შეებრძოლებიან!

ჩელების შემდეგი აღწერის ობიექტი ადამეს, მამშუხის და ტაკაკუს ტომებია. ეს ტომები ჩერქეზულ ტრადიციებში ვერ ჯდება და როგორც წესი, ისტორიკოსები მათ მთის ებრაელებს აკუთვნებს (78) თვინიერ ადამეს ტომისა…შემდეგი ჩელე-ბი აღწერაში ბოლოტკაის ტომია, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და აღარ გავმეორდებით. მათ აღსაზრდელად მუჰამედ-გირეის ვაჟი დაიტოვეს, ჩელების სიტყვებით, ბევრი მათგანი თავს მუსულმანს უწოდებს, თუმცა ღორის ხორცს მიირთმევენ. მათ გაგრძელებაზე ცხოვრობს მოსკოველებისაგან გამოქცეული ნოღაელი რვა ათასი კაცი... შემდეგი მოსახლეები, ეს ბუზდუკები არიან, ჩელე-ბის სიტყვებით მათ ბევრი აქვთ საერთო აფხაზებთან, ბუზდუკები მიცვალებ-ულს არ მარხავენ, მსხვილ მორს ამოღარავენ თავსა და ბოლოში ნახვრეტს უკე-თებენ და ხეზე ჰკიდებენ. კლავენ მიცვალებულის სახელით ხუთ ან ათ ღორს. მათ ჰყავთ შეიარაღებული სამი ათასი კაცი. ჩვენი მხრივ დავუმატებდით, რომ ბუზდუკები (ბჟედეგები) კი არა ჰგავან აფხაზებს, თვითონ წარმოადგენენ მათ. რასაკვირველია, დასაფლავების ეს წესი ძველ კოლხურია და ჩელები მხოლოდ უძველეს გადმოცემას იმეორებს, გადმოაქვს რა თანამედროვე დროში. (ისევე როგორც ვახუშტი) ჩელების მიერ ბოზდუკების (ბჟედუგების) აღწერა, რომლე-ბიც მიცვალებულს არ მარხავენ, აშკარად ემთხვევა მის მიერვე აღწერილ სუ-ბეშის აფხაზებს, ბოზდუკთა უშუალო მეზობლებს...ჩანს რომ ტერმინ ბჟედუ-გის ქვეშ ფაქტიურად ჩელებისეული ორი თემია გაერთიანებული, ბოზდუკები და სუბეშელები.

ჩელების მოგზაურობის დაწვრილებითი განხილვა, ააშკარავებს რომ მისეული აფხაზებს (იგულისხმება თავად აფხაზები,-ჭანები და აფხაზეთის ჯიქეთი) და ჩერქეზეთს- ზიხეთს შორის საზღვარი და სხვაობა ფაქტიურად არ არსებობს. ორივე ტომმა (ჩელებისათვის აფხაზმა და ჩერქეზმა) ბრწყინვალედ იცის ორივე ენა, აფხაზურიც და ჩერქეზულიც. როგორც ზემოთ ვნახეთ, გარდა ჭანებისა, აფხაზეთის ჯიქეთი და ჩერქეზეთის ჯიქეთი, ორივე ერთი და იგივე ტომია. განსხვავება აფხაზეთის ჯიქეთსა და თავისუფალ ჯიქეთს შორის ისღაა, რომ პირველი არ ემორჩილებოდა საქართველოს ცენტრალიზებულ მთავრობის ხოლო მეორე გარკვეული პერიოდი ერთიანი საქართველოს პოლიტიკური შემადგენელი იყო (ხოსტიდან ნიკოფსიამდე) და რატომ ცნობს ჩელებისეული ჩერქეზები თავს ადიღედ და არა ჩერქეზად? პასუხი საკმაოდ მარტივია: ზღვისპირა ჩერქეზი, ზიხყოფილი (საკუთარ თავს აძიგეს ეძახის! ეს რუსულ ენაში გახდა ის ადიგე, რომელ ენასაც ასო ძ არ მოეპოვება! თავად აძიგე ზიხთა დიალექტზე ძიგების სამყოფელს, ძიგების სამშობლოს ნიშნავდა, ხოლო სიტყვა ძიგი ამავე დიალექტზე მამაკაცს აღნიშნავს!

ნაშრომის ამ თავში, აუცილებლად ჩავთვალეთ განგვეხილა დუბროვინის ისტორიულ-ლიტერატურულ-დოკუმენტური თხრობის ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიის მისეული ვარიანტს აღწერს, თუმცა ამ თავში შემოვიფარგლებით აფხაზეთის ჩრდილო დასავლეთის ნაწილის აღწერით:

„უშუალოდ უბიხების შემდგომ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროს გაყოლებით გადაადგილებისას, მოგზაური გადასახლდება სრულიად სხვა სამყაროში...ეს კეთილისმყოფელი ქვეყანა დასახლებულია აბხაზური ტომებით, ანუ აზეგას ტომით. აბხაზები იყოფიან ჩერქეზთა მსგავსად მრავალ თემად, ყველა საკუთარი სახელით. ასე, ზღვის სანაპიროზე, მდინარე ხამიშიდან (ხოსტიდან) გაგრის ვიწროებამდე, ცხოვრობდნენ ჯეგეტები, რომლებიც საკუთარ თავს საძენს უწოდებდნენ. ისინი იყოფოდნენ მრავალ თავისუფალ საზოგადოებად, მათი რიცხვი არ აჭარბებდა 11000 სულს, მათგან აღმოსავლეთით და უბიხებისაგან სამხრეთით მდინარე მზიმთას მთიან ხეობაში, ბზიფში, ახჩიპსოუში, ფსხუში, აიბგაში, ბაგაგაში და ციჯაში ცხოვრობდნენ მედოუზები, ანუ მედოვიელები, რომელთა რიცხვი აღწევდა 10000 სულს. ისინი იყოფოდნენ სამ ძირითად შტოდ: პსხუ, ახჩიპსოუ და აიბგა“ (დუბროვინი ნ.ფ. ტომი I წიგნი II გვ1)

დუბროვინის ცნობები ასახავს მე-19-ე საუკუნის შუა წლების ისტორიულ რეალობას და უაღრესად საინტერესო მასალას წარმოადგენს განსჯისათვის: დუ-ბროვინის მონაცემებით შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, განსხვავებით ჩელების ანალოგიური მონაცემებისაგან, რამდენიმე ტომი უკვალოდ დაკარგული (ადგილმონაცვლებული) ჩანს. საინტერესო სურათი იშლება დუბროვინისე-ული ამ ცნობების შედარებით V საუკუნის ანონიმ ავტორთან და იმავე ევ-

ლია ჩელების აღწერასთან მიმართენაში.V-საუკუნის ანონიმი ავტორის და იმ-ავე საუკუნის პროკოპი კესარიელისეული აღწერა აფხაზეთის ამ სანაპიროსი ფაქტიურადა ავსებს ერთმანეთს.

V-საუკუმის ანონიმი და პროკოპი კესარიელი:

1.აფსილები-კოდორიდან ანაკოფიამდე (ახალი ათონი) სებასტოპოლისის-დი-ოს-კურიას ჩათვლით ფიქსირდებიან.

2.აბასკები-ანაკოფიიდან მდინარე აბასკოსამდე, ფსოუმდე.

3.ჭან-ლაზები,აბაკოსიდან მდინარე აქეუნტამდე-დაგომისამდე.

4.ძიხები-დაგომისს იქით.

ევლია ჩელები:

1.აფსილები-იმავე ადგილას.

2. აბასკები-არლანები ჩამონაცვლებული ჩანან მდინარე ფსოუდან მაწის წყალ-ამდე-ცანაგვართამდე (სინამდვილეში ჭანაგვართა) თუმცა აბაკებს და ჭანებს შორის ამავე მონაკვეთეზე შანების ტომი ჩანს ჩამოსახლებული.

3.ჭანაგვართას დასავლეთით ჭან - ლაზები ცხოვრობენ, ჩელებისეული მცირე და დიდი ჭანები, თუმცა ისინიც აღმოსავლეთისკენ ჩანან ჩამონაცვლებული, დაგომისიდან თითქმის ადლერამდე და მდინარე მზიმთამდე.

4.ადლერთან კეჩი-ლარების აფხაზური (ლაზური) ტომი ცხოვრობს.

5.კეჩებს მერე არტ-ლარების ასევე აფხაზური (ლაზური) ტომი ცხოვრობს, ასევე მათთან ახლოს მდებარე სოფელი ლაია. (ეს სოფელი 37 კილომეტრით დასავლ-ეთით აქვს აღნიშნული მდინარე აქეუნტიდან-დაგომისიდან.

6.სადაშები-(საძები, სუჯები) დღევანდელ ქალაქ სოჩთან.

...და დუბროვინი:

1. აღარ ჩანან დიდი ჩანდები, რომლებიც ფაქტიურად ჩელების მიერ ამ ტერი-ტორიაზე დაფიქსირებულია, გაგრიდან სამი დღის სავალზე დასავლეთით მო-სახლენი. მართალია ევლია ჩელები დაწვრილებით აღწერს შავი ზღვის სანაპი-როს და მასზე მობინადრე თემებს მიმდევრობით, თუმცა მყარი საზღვრის დას-მა მათ შორის ჭირს, ვინაიდან მას თემთა განლაგება ერთიმეორის მიყოლებით, დღის სავალი მანძილის მიხედვით აქვს კლასიფიცირებული... როგორც ზემოთ დავამტკიცეთ, 1704 წლისათვის, ჟამიანობისაგან ოტებულმა დიდმა ჩანდების ახალგაზრდულმა ნაწილმა დატოვა ტომის საუკუნობრივი საცხოვრისი ნაწილი და შორს, ჩრდილო დასავლეთისაკენ კემგუის, თემირიგოის (ზოგიერთი რუსუ-ლი წყაროებით მოხოშეველებისაც) სახელით აგრძელებს არსებობას, რაც შეეხე-ბა ტომის ასაკოვან ნაწილს სავარაუდოდ მათ ჭირთან ადგილზე გამკლავება გადაწყვიტეს... ვერ გაუმკლავდნენ...

2. დიდი ჭანდების მიმდებარე ტერიტორიებს, ჩელების მიხედვით კეჩები (გე-ჩები) იკავებენ, მათ სოფელს კეჩილარი ჰქვია. მათი მეზობლები არტებია (ართ-

ები) სოფელი არტლარით. ართებისივეა სოფელი ლაია, ანონიმის მიხედვით დღევანდელ ლაზარესვსკაია. სავარაუდოა, რომ დიდი ჭანდების ტერიტორიების დაცარიელების შემდეგ, ამ ტერიტორიას გეჩები და არტები იკავებენ. (თემირგოის უძლიერესი ტომის ტერიტორიის დაკავების მცდელობა არ დაფიქსირებულა მათ ამ ტერიტორიიდან ლტოლვამდე) ასევე უნდა გადმოადგილებულიყო ართების კუთვნილი სოფელი ლაიაც, რომელი ტომობრივი სახელი შემონახულია დღევანდელი ადლერის რაიონის სახით. დუბროვინის ცნობებით, ეს ორი თემი, კეჩი (გეჩი) და არტი (ართი) მათივე სოფელი ლაია-თი, უკვე აღარ ფიქსირდებიან აღნიშნულ ტერიტორიაზე. თუ პომპონიუს მელას ფრთიან ფრაზას გავიხსენებთ. ეს თემები სადღაც ასევე უნდა აგრძელებდნენ არსებობას...

3. ამ ტერიტორიის ნაწილს ხამიშიდან (ხოსტიდან) გაგრის ვიწროებამდე, დუბროვინის სიტყვებით, ფლობენ ჯეგეტები (დამახინჯებული ქართული ტერმინი - ჯიქები) რომლებიც საკუთარ თავს საძებს-საძენებს უწოდებენ. საძები-საძენები სხვა არავინაა, თუ არა ჩელებისეული სადაშ-აფხაზები ჩელები მათ ზოგჯერ ჩერქეზებსაც უწოდებს) როგორც ზემოთ ვნახეთ, ორივე დასახელება ჩელებისა აფხაზი-ჩერქეზი, მხოლოდ და მხოლოდ ლაზის და ზიხების სინონიმია, შესაბამისად აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს რას უწოდებენ საკუთარ თავს თუ სხვები მათ. მთელი ეს შავი ზღვის სანაპირო დასახლებულია მეგრულენოვანო ტომებით... დუბროვინის მიხედვით, ნათელი ხდება, რომ სადაშები რომლებიც ჩელების ეპოქისათვის გაცილებით შორს ჩრდილო- დასავლეთისაკენ ცხოვრობდნენ, გადმოადგილდებიან აღმოსავლეთისაკენ, დაიკავეს ტერიტორია , დაკავებულს არტების, კეჩების და დიდი ჭანიდების მიერ სხვადასხვა დროს, დუბროვინის სიტყვებით, ისინი მრავალ თავისუფალ საზოგადოებას წარმოადგენდნენ. სავარაუდოა, რომ საძების რიცხვში ჩელების მიერ ნახსენები სუჯებიც შედიან.

4. დუბრიონის სიტყვებით მდინარე მზიმთას და ბზიფის ხეობებში, (პატარა ჭანდების და დიდი ჭანდების ტერიტორიაზე) ცხოვრობდნენ მედოვიელები. მედოვიელები - ეს ქართული ტერმინ მეთაფლიათა პირდაპირი თარგმანი ჩანს. მეთაფლია აფხაზებს ახსენებს ევლა ჩელები სუბუშთან ახლოს, რომელთა ზედწოდება ათეული საუკუნეებს გამოტარებული ჩანს, როგორც ზემოთ ვახსენეთ. ეს ,,მეთაფლია“ აფხაზური ტომები გადაადგილებულნი ჩანან გაცილებით, აღმოსავლეთით თავიანთი კუთვნილ ტერიტორიებიდან (სუბეშის მახლობლად). ამავე ტომის თავადის სახელი მუდავიო გიულდენშტედტთან 1772 წელს, გვიჩვენებს ამ ტომის მიერ აღნიშნულ ტერიტორიის ჯერ კიდევ წინა საუკუნეში ათვისებას. მედოვიელთა ტომის გამოძახილი დღევანდელ რუკაზეც ადვილი შესამჩნევ-დასაფიქრებელია (79)

თემების, ტომების დინამიკა აშკარად გვიჩვენებს მათ ტენდენციას აღმოსავლეთისაკენ გადაადგილებისა, თუმცა ერთმნიშვნელოვანი მიზეზები უცნობია. თურქი მოგზაური, ევლია ჩელები აღნიშნავს სადაშ- აფხაზების და არტ-აფხაზების ურთიერთმტრობას. მეომრული სულისკვეთების სადაშები არა ერთგზის ამარცხებენ და ატყვევებენ შედარებით მშვიდობიან არატებს და მათ ბეგებს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სადაშების ზეწოლით არტები აღმოსავლეთისაკენ დიდი ჭანდების გამოცარიელებული ტერიტორიისაკენ იხევენ, თუმცა ვერსია სრულად ვერ ხსნის კეჩის (გეჩის) თემის გაქრობა-მიგრაციის საკითხს ამავე ისინი არა ნაკლები მეომრული სულისკვეთების თემი ჩა-ნან, ვიდრე სადაშები. ასევე ვერსია ვერ ხსნის მედოუზების, ამ სუბეშელი მეთაფლია აფხაზების გამოჩენას მდინარე მზიმთასა და ბზიფის ხეობაში, რომელთანაც აქ მოსახვედრად, მაღალი საბრძოლო თვისებების და მეომრული სულისკვეთების სადაშთა აფხაზური ტომის და უბიხთა აბზოური თემების გამოვლა მოუწევდათ. გამართლებული ჩანს რუსი გენერლის და მწერლის, დუბროვინის ვერსია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ორი რელიგია, ქრისტიანობა და ისლამი შეეჯახა ერთმანეთს.

ჩრდილო-დასავლეთის ჩერქეზები (აფხაზები) შედარებით ადვილად გამუსლიმანდნენ (გამონაკლისი თურქებთან მეომარი შანების ტომია, რომელიც დუბროვინის სიტყვებით ამ ომებში ფაქტიურად გაწყდნენ) სამხრეთ-აღმოსავლეთის აფხაზები (ნატხვაჯები დუბროვინის სიტყვებით) მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც კი ცდილობდნენ ქრისტიანული ტრადიციების შენარჩუნებას.

სავარაუდოა, რომ არტები და კეჩები, ეს უძველესი ქრისტიანული თემები ისლამის მოძღვრების მომძლავრებას გამოექცნენ...გამოექცნენ მაგრამ საით? ...და აქ იხსნება ისტორიის კიდევ ერთი საიდუმლო, მივიწყებული სინამდვილე, რამეთუ ყოველი ახალი - ეს კარგად დავიწყებული ძველია! საიდუმლოს ამოხსნისა და მივიწყებული ძველის გახსენების სათავე ძველი დასავლეთ ქართულ ფრთიან გამონათქვამში უნდა ვეძებოთ და აი ისიც: ,,ჯვარალეფი არძა ართი“ - დედა ქართულზე ის ასე იკითხება: ჯვარელები ყველა ერთია!
შეგახსენებთ, რომ ჯვარი დაბაა წალენჯიხის რაიონში, ეს მთიანი სამეგრელოა. თავად ჯვარი თითქოსღა ამოგლეჯილა მიმდებარე რაიონების, გალისა და წალენჯიხის ტერიტორიებიდან და თავად წარმოადგენს მინი -რაიონს, ცენტრით დაბა ჯვარში. ზემოთ მოყვანილი გამონათქვამი საკმაოდ ადრინდელი ჩანს. იმდენად ადრინდელი, რომ უკანასკნელი 3-4 თაობა, რომელთაც გადაეცემოდა ეს გამონათქვამი, ვერ ხსნიდა და ვერ ხსნის მას.რასაკვირველია,არტების-ართების ტომის ჯვარში ჩამოსახლების შემთხვევაში, ყველა ჯვარელი ართია, რამეთუ ეს სიტყვა ერთს ნიშნავს მეგრულ დიალექტზე! დამხვედურის შეკითხვაზე, თუ ვინ არიან ისინი, პასუხს ართს (ერთს) მიიღებდნენ, რამეთუ ისინი მართლაც

ართები არიან! (ცხადია კომუნიკაციის დამყარება არ გაჭირდებოდა, დამხდურიც და მოსულიც ერთსა და იმავე მეგრულ დიალექტზე მეტყველებდნენ!)

...და ვინ არიან არტები? ძველი მეგრული ფოლკლორი არამხუტუსთან შეჯახებაზე, რომელმაც ქალი გაიტაცა, არქანიასა და ქარდავას ასახელებს...სავარაუდოდ, ეს ფოლკლორი მათი ჯერ კიდევ ადრინდელ საცხოვრისში ჩანს შექმნილი...მართლაც გვარში არქანია აშკარად იკითხება მათი ართების თემისადმი კუთვნილება, სავარაუდოა რომ მათი გვარის თავდაპირველი გახმოვანება ართანია იყო! ასევე აშკარად იკითხება გვარ ქარდავაში-მათი ართებისადმი მიკუთვნებულობა. გვარის სავარაუდო გახმოვანება ქ-ართ-ავა უნდა ყოფილიყო. ართების თემის კუთვნილება ჩანს გვარები: ეს-ართი-ა, ს-ართ-ანია, ქ-არჩ-ავა, ართი-ლაყვა, კ-არტ-ოზია, არდ-ია, ვ-არდა-ია, ნ-არდ-აია, ბ-ართ-აია და სხვა.

ქართველი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას მოსაზრება, რომ ლაიას ანალოგიური ტერმინი სამეგრელოშიც არის და სავარაუდოდ ლაიას მეგრულ წარმომადგენლობას უნდა აღნიშნავდეს - ნაწილობრივ არასწორია! წალენჯიხის რაიონის სოფელი ლია, რომელიც დაბა ჯვარზენის მიმდებარედ არის განთავსებული, თავად ანტიკური და გვიანი შუა საუკუნეების ლაია, ლაიუშელთა ამ თემების გაშენებულ- დასახლებული ჩანს, რომელთაც ეს ტოპონომი ზიხეთ-ჩერქეზეთიდან გადმოუტანიათ! საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ არქანიების სოფელს წალენჯიხის რაიონში, მუჟა-თითქმის ზუსტი ანალოგი ეძებნება მათსავე ყოფილ სამშობლოში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე -მუჯა!

ჭანების სახელი იკითხება წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში (საჩინო-საჭანო) მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა შენაკადზე. აქვეა ო-ჭანე-შესაბამის-ად საჭანო და აღნიშნული გვარიც საკმაოდ არის გავრცელებული, ჭანტურიას, ჭანავას და ჭაავასთან ერთად.

საინტერესოა ჩელებისეული დიდი და პატარა შანეს შემდგომი ბედი. პირველ შემთხვევაში (1785 წლის ნათრგმნ ტექსტში) რუსი მთარგმნელი სწორად თარგმნის ჩელებისეულ ჩანაწერებს და schane-ს თარგმნის მართლწერის პრინციპის მიხედვით შანედ. საწინააღმდეგო სურათია 1979 წლის თარგმანში. აქ და შემდგომ ჩელებისეული schane-თარგმნილია როგორც ჟანე. ჩელებისათვის ცნობილია, რომ ისინი გამუდმებით ებრძვიან სადაშა- აფხაზებს. ერთის მხრივ, ჩელე-ბი გვერდს ვერ უვლის ჟანების თემას და მათ გულოვნებას, თუმცა მათ საომარი და გასაყოფი სადაშების ტომთან არაფერი არა აქვთ, - მათ მინიმუმ 200 კილო-მეტრი აშორებს ერთმანეთისაგან. რუსი ავტორების ცნობით, შანებს (ჟანებს) გამუდმებული ომები ჰქონდათ თათრებთან და თურქებთან, რასაც საბოლოოდ შეეწირნენ კიდეც. რუსების აქ (ყუბანში) გამოჩენის მომენტისათვის. შანეს ტო-მი მუდმივი ომებით და ჭირის ეპიდემიით გამოფიტნენ კიდეც (მათივე სიტყვებით). ამ შემთხვევაში, ისევე როგორც სტრაბონის მონათხრობით ადრიტიკის

ზღვის სანაპიროზე მცხოვრებიმა არდებმა და ავტარიატებმა გამოფიტეს ერთ-მანეთი და გაანადგურეს (თუმცა ისინი არ განადგურებულან და მიგრირდნენ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსაკენ) შანების ნაწილიც მიგრირებული ჩანან მთიანი სამეგრელოს, წალენჯიხის რაიონისაკენ. აქვე, ამავე ჯვარის მიდამოებ-ში, ო-შანე, საშანო, შანების უბანიც ფიქსირდება. (სავარაუდოა, რომ მუსულმან-თა თუ რუსთა გაუთავებელმა შემოტევებმა, თანდართულმა ჭირის ეპიდემიამ, პირველი შანებს უბიძგა სამეგრელოში მიგრირებისაკენ, რამაც სხვა თემებშიც გამოიწვია ჯაჭვური რეაქცია. ეს და სხვა მიზეზებიც იკვეთება ამ თემის სამეგ-რელოსკენ მიგრირების საკითხში,რომელიც დამატებით შესწავლის საგანი უნ-და გახდეს, უკვე წიგნის II ტომში) ... ამავე თემისანი ჩანან დღევანდელი აბაზ-გი შანბებიც... რასაკვირველია არტების, შანების და ჭანების მიგრაცია ეს რუსე-თამდელი , შესაბამისად 1878 წლის მუჰაჯირობამდელი მოვლენაა. პირდაპირი ცნობები თემების ჩამოსახლების თარიღზე არ არსებობს, თუმცა გარკვეული ირიბი მონაცემების მიხედვით ჩამოსახლების თარიღს ლოკალიზაცია მაინც არის შესაძლებელი. ერთმნიშვნელოვანია, რომ ჩელების მოგზაურობის პერიო-დისათვის, მე-17-ე საუკუნეს მეორე ნახევარი, ზემოთხსენებული ტომები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, კოდორიდან დაწყებული ტამანის ნახევარკუნძ-ულის თითქმის ბოლომდეა დაფიქსირებული. დიდი ალბათობით 1704 წლის ეპიდემიამდე, რომელმაც დიდი ჩანდები (ჭანები) შეიწირა და განდევნა ბიჭვი-ნთა- სოჩის მონაკვეთიდან,აღნიშნულ ხმელეთზე სტატუს-კვო ნარჩუნდება. ამ-აში სავარაუდოდ დიდი წვლილი ჩანდების (ჭანების) მოსახლეობას ეკუთვნის, რომლის სახელი აფხა-ლაზი მთელი კუთხეს აქვს დანათლული, პირველი მო-სახლისა, მაღალი საბრძოლო თვისებებით, რომელიც სტაბილიზატორის როლს ასრულებს აღნიშნულ ტერიტორიაზე , ანაპამდე მაინც. (ყოფილი აფხაზეთის ჯიქეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია)

„როგორც ჩანს, თურქებმა მოახერხეს აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება, ჯიქეშია შერვაშიძის მემკვიდრეთა (მანუჩარის, შერვანისა და ზურაბის) შეპყრ-ობა და თურქეთში წაყვანა, აფხაზეთის გამგებლობა სოხუმის კომენდანტად დანიშნული ჯიქის-ასლან ბეი გეჩისა და შერვაშიძის მეტოქეების, თავად ძია-პშიპების ხელში გადავიდა. შერვაშიძეებმა მალე მოახერხეს თურქებთან შეთ-ანხმება. უკვე 1744 წელს მანუჩარ შერვაშიძე ბათომის ბეგად იჯდა, ზურაბი-სოხუმისა, ხოლო შერვანი ფაშის ტიტულით განაგებდა რიონს (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიზეს ამოღმა“ (საქართველოს ისტორიული ნარკვევები. ტომი IV. მასალები ი. ანთელავა, გ.ძიძარია, მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორი-ისათვის)

როგორც მოცემული დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, 1730-1744 წე-ლი, სოხუმის კომენდატი და აფხაზეთის გამგებელი (ძიაპშიპების გვართან ერ-

თად) ჯიქი ასლან -ბეი გეჩია. ცხადია ასლან-ბეი მინიმუმ უკვე აფხაზეთის მოქალაქე ჩანს, რომლის საზღვარი მაქსიმუმ გაგრასთან მთავრდება! ჯიქებს უკვე დაკავებული უჩანთ დიდი ჩანდების (ჭანების) ტერიტორია გაგრიდან ხოსტამდე და თვით დღევანდელი სოჭის ჩათვლით. ჯიქი გეჩი- შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ჩელებისეული კეჩების თემიდან იყოს, უკვე ჭანების ტერიტორია ათვისებული. ის, რომ 1744 წლის შემდეგ გეჩი არ და ვერ ჩანს აფხაზეთის გაგმებლობაში, პირდაპირ მიანიშნებს კეჩების (და მათთან ერთად არტების) თემების მიგრაციის უკვე მთიან სამეგრელოში. ამ პერიოდიდან კეჩის, გეჩის თემის საგვარეულოს გვარი გეთია, გუჩუა ჩანს . სიმტომატურია, რომ გეთიების გვარი არსად არ ფიქსირდება აზნაურად, თუმცა აღნიშნულ გვარს გააჩნია საკუთარი საგვარეულო ციხე-სიმაგრე ჯვარის მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად გეთიას გვარი მეციხოვნე აზნაურისათვის საჭირო ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ფაქტი აშკარად გეთიების საქართველოსათვის კონტროლირებად ტერიტორიაზე გვიან ჩამოსახლებაზე მეტყველებს. თვით გიულდენშტედტის ჩანაწერები, რომლის მიხედვით შერვაშიძეთა გვარის მეტოქე - ეს მუდავიოთა (და არა გეჩი) თავადია, მეტყველებს რამდენიმე ფაქტზე 1772 წლისათვის:

1.კეჩების, გეჩების თემი ამ დროისათვის მიგრირებულია აფხაზეთისა და მიმდებარე ტერიტორიებიდან. მიგრირებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ართების თემთან ერთად მთიან სამეგრელოში, წალენჯიხა- გალის რაიონების შესაყარზე!

2. გიულდენშტედტის სიტყვებით, მუდავიოთა თავადი პირველობას ეცილება შერვაშიძეთა გვარის, ცხადია მუდავიო შერვაშიძეს (მცირე) აფხაზეთის ტერიტორიაზე მეტოქეობას სუბეშიდან ვერ გაუწევდა. მეთაფლია აფხაზების თემი უკვე მისი დროისათვის გადმოსული ჩანს მდინარე მზიმთასა და ბზიფის ხეობაში.

3. როგორც ისტორიული ნარკვევებიდან ირკვევა, შერვაშიძის გვარის მეტოქე - მუდავიო-შერვაშიძესთან ერთად ეს ძიაპშიპების გვარია. გვარი აშკარად ჩერქეზული იერის ატარებს, რაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს აფხაზი (ლაზი) სუბეშელების მიერ პატუა ენის გათავისებას. ძიაპშ-მისი ჩერქეზული გახმოვანების მიუხედავად, აშკარად აფხაზთა-ლაზთა ბელადი ჩანს! (ძიქა-პშიში. ეს უკანასკნელი კი მდინარეა ზიხეთში)...და მარშანიები...შერვაშიძეთა მეტექე ეს უკანასკნელნი ჩანან, რომლების შერვაშიძეთა სუზერენობას არც არასდროს აღიარებდნენ...

სავარაუდო მიგრაცია არტების და კეჩების ტომისა მთიანი სამეგრელოსაკენ 1740-1745 წლი დიაპაზონში უნდა მომხდარიყო...მეთაფლია აფხაზების ნაკვალევი ჩანს დღევანდელი გალის რაიონში. სოფელ გუდავას და ხუმუშქურს შორის, არსებობს დასახლებული პუნქტი, ხუმენი-ნათოფურუ,(ხუმენი-ნათაფ-

ლარი) რომლის ეტიმოლოგია თანამედროვეთათვის გაუგებარია. სავარაუდოა, რომ თვით სიტყვა ხუმუშ-სქური) ხუმფების წყაროს, ხუმფების ღელეს იგივე ხუმფუების სკურს აღნიშნავს.ტერმინი ხუმენი-ნათოფურუ, მეთაფლია აფხაზეების განსახლების აღმნიშნვნელი უნდა იყოს, არცთუ მრავალმრიცხოვანი ხუფენიათა გვარისა.(ამავე თემის წარმომადგენელია სავარაუდოდ გვარი ხუბუა-ც)

რაც შეეხება გაგრის და მიმდებარე ტერიტორიის წინარე მცხოვრებლებს, ჩელებისეული მთის ჩანდებს, მათი ნაწილი ასევე შიდა სამეგრელოში, მარტვილის რაიონში ჩანს მიგრირებული.არანაირი ახსნა არ აქვს კაკულიათა (რასაკვირველია წინა პერიოდის კაკურიათა) გვარს მარტვილის რაიონში, რამეთუ კაკური გაგრას ერქვა, ხოლო კაკურია - წარმომავლობის აღმნიშვნელი ტერმინი ჩანს მხოლოდ.ამავე წარმომავლობისა ჩანს გვარი კაკუა (კაკუბა, კაკუბავა) რაც შეეხება მეორე შტოს გაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები (სავარაუდო მთის) ჭანდებისა, ამ თემაზე აფხაზეთის თემატიკასთან ერთად გვექნება *საუბარი.*

რეზიუმე: უნდა გავითავისოთ, რომ შავი ზღვის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები აფხაზები და ჩერქეზები, ეს ერთი და იგივე ხალხია, უძველესი წყაროების ზანები და ზიხები, რომელთა მშობლიური ენა მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ ქართველურია, მეგრული. ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან კოლხეთის (შემდგომი ეპირი, საბერძნეთისა და ალბანეთის შესაყარზე) დასავლეთით მცხოვრებნი, გაფანტულად თვით დღევანდელი ვენეციის პროვინციამდე(ყოფილი ჭანეთი). შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ისინი გადმოდიან წელთაღრიცხვების მიჯნაზე. მათი ნაწილი, აფხაზეთის ჯიქეთის სახით შედის დარუბანდიდან ნიკოფსიამდე სახელმწიფოში, დანარჩენი ნაწილი ნიკოფსიიდან მთელი ტამანის ნახევრკუნძულის ჩათვლით, მე-15-ე საუკუნამდე ცხოვრობენ როგორც ავტონომიური ზიხების ცალკეული ოლქები. უფრო მეტიც, მათი ნაწილი ფლობს ეგრეთ წოდებული კაფას ნაწილს ყირიმის ნახევარკუნძულზე ცენტრით ქალაქი ფეოდოსია, რომლის ანარეკლი რუსულ ლიტერატურაშიც იპოვება ზიხია-გერკესიის სახით. ყოველი ჩერქეზი, რომელიც გადალახავდა მდინარე ყუბანს და ეომებოდა რუს დამპყრობელს, ტომით მხოლოდ და მხოლოდ მეგრელი იყო! ყაბარდოელებს, ნამდვილ ჩერქეზებს,რუსეთისაგან მდინარე თერგი ჰყოფდათ და არა ყუბანი. აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა აგრეთვე ზან-ზიხთა მოყვარე და მეზობელი აბზოის ტომი, რომელზედაც წიგნის სხვა თავში გვექნება საუბარი!

შენიშვნები

1. როგორც წინა პარაგრაფებში, ანტიკური ისტორიული წყაროებზე დაყრდნობით მტკიცდება, ვენეციად წოდებული ადგილი დასავლეთ ქართველთა წინარე სამშობლოიყო, ხალდეურ-ჭანური, კოლხური და იბერიული ენის აკვანი...
2. იმავე ლეონტი მროველის ცნობით, ფარნავაზთან პირველ ბრძოლაში დამარცხებული აზონი თავს აფარებს არტანუჯს (არტები სამი საუკუნით ადრე ჰეკატე მილეტელის მიერ ამ ადგილის აღწერისას არაა მოხსენებული) გადმოყავს დამატებითი კონტინგენტი ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან, უმართავს გადამწყვეტ, გენერალურ ბრძოლას ფარნავაზს, მარცხდება და იღუპება.
3. ჰეროდოტესეული სკვითებში ის ტომი იგულისხმება, რომელმაც მისივე სიტყვებით განდევნეს კიმერიელები ხერსონესის-ყირიმის ნახევარკუნძულის ტერიტორიიდან, მათივე დევნის დროს მივიდნენ მცირე აზიამდე, სადაც გაატარეს 28 წელი. უკუქცეული სკვითების ნახევარკუნძულზე არ შეშვება სცადა მათივე ცოლებისა და მონების შთამომავლებმა, რისთვისაც ყირიმის ნახევარკუნძულის ყელზე თხრილი მოაწყვეს (პერეკოპი).
4. სინდიკიდან თემისკრამდე მანძილი ზღვის პირდაპირი ხაზით გადაცურვის შემთხვევისათვის არის გაზომილი. ცხადია, ჰეროდოტეს ეპოქისათვის მხოლოდ სანაპირო ცურვა, კაბოტაჟი იყო განვითარებული, რაც მანძილის პირდაპირ გაზომვას გამორიცხავს.
5. საინტერესოა, რომ გადასახადს, რომელიც მთელ ილირიკაზე ვრცელდება, დუნაის სათავეებიდან შესართავამდე, პონტოს ზღვამდე, ილირიულს უწოდებენ .
6. ქალაქი ეპიდამი სხვა ბერძენ ავტორებთან - ეს კოლხური ქალაქია. მეფე აგრონის ეპოქისათვის, სავარაუდოდ კუნძული კორკირა და კუნძული ფარიც კოლხური უნდა იყოს.
7. აფსაროსში, გონიოსთან მის მოკვლაზე საუბრობს ფლავიუს არიანე საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ.
8. ტომის ბრძოლისუნარიანობას მის მიერ ახლო ხანებში ნაწარმოები ომები განსაზღვრავს. რამდენიმე მიმდევრობითი გამარჯვების შემდეგ, ტომი თავდაჯერებული და მამაცი ხდება. მართებული იქნება შებრუნებული ვერსიაც. დიდი თურქობით დამარცხებული ქართული მხედრული შემართების გასაძლიერებლად, დავით აღმაშენებელს თითქმის მთელი თაობა დასჭირდა!
9. აპპიანე არდიეებისა და ავტარიების მიერ ურთიერთ განადგურებაზე საუბრობს. ამასთან არდიები უძლიერეს ილირიულ საზღვაო ტომად ითვლება, ასევე ავტარიატებს ასახელებს როგორც სახმელეთო ბრძოლების დიდოსტატებს. სა-

ვარაუდოა, რომ ლაზები-ეს არდიებია, ხოლო ავტარიატები-ზიხები.
10.საინტერესოა, რომ სტრაბონი აქ დარდანებს ილირელებში ახსენებს და არა თრაკიელებში, თუმცა დარდანების თრაკიელებისადმი მიკუთვნებულობა მრავალ სხვა ავტორთან მტკიცდება
11. სტრაბონის მიხედვით, მცირე აზიიდან უკუქცეული მითრიდატე კოლხებმა მშვიდობიანად გააცილეს, ზიხების სანაპიროს გავლა მითრიდატეს ძალიან გაუჭირდა, ხოლო ახაიელებმა პატივით მიიღეს და ბოსფორში ჩააცილეს. ჯერ ერთი, აქ კერკეტები საერთოდ აღარა ჩანან, ხოლო მითრიდატესადმი მტრულად განწყობილი ახაიელები მას პატივით ვერ მიიღებდნენ. ცხადია, ამ მითრიდატეს ომი ჰქონდა ბოსფორელთა უშუალო მეზობელ კერკეტებთან. გამარჯვების მიუხედავად, მითრიდატესაგან შურისძიების მომლოდინე კერკეტები სანაპიროს გაცლილნი და კონტინენტის სიღრმისკენ გადაადგილებულნი ჩანან.
12. ვერსია, რომლის მიხედვითაც აიეტი სკვითებს მეფეა, მედეა- სკვითების მეფის ქალიშვილი, პირველი საუკუნის რომაელ პოეტს, ვალერი ფლავკს ეკუთვნის. მისი სიტყვებით, მოქმედება კოლხეთში ხდება, თუმცა ეს კოლხეთი რატომღაც სკვითიაშია გადატანილი... სკვითიაში იმიტომ, რომ ყირიმის ნახევარკუნძული, ეს თოვლიანი სკვითიაა, ქალაქი კიუტსი-კუტაია, იმ პერიოდისათვის მხოლოდ იქაა, ქალაქის დამაარსებელი კიუტები არიან და რადგან მოქმედება მაინც კოლხეთში ხდება, კიუტთა ტომს კოლხობაზე აქვს პრეტენზია... და პრიორიტეტი ამ ნახევარკუნძულზე, რომელიც ქერსონესის ზიხეთის ეპარქიაა...
13. ,,ავტონომიური ბარბაროსები“ უკვე რომის ხელქვეითები არ არიან. ამასთან, ისინი ფლობენ ლაზიკის ძველ ნაწილს, თუმცა ეს ნაწილი განსხვავებული ლაზიკაა. მას ,,დედა“ ლაზიკისაგან მონათესავე, თუმცა არალაზური, აბაზგი ტომი ჰყოფს, ამიტომაც ლაზიკის ამ ნაწილს განაპირა მხრის ლაზიკა, აფხალაზიკა ერქვა
14. ერთ-ერთი სპორტულ ღონისძიებაზე კოლხეთის ,,სკვითური“ მითი გაჟღერდა კიდეც...
15. კონსტანტინე პორიფიროგენტის მიხედვით, დნეპრის ზემო წელში მცხოვრებ როსებს, რომლებიც რომეებამდე მდინარით მიდიან, რამდენიმე ჭორომის (პოროგის) გადალახვა უწევთ. ისინი იძულებული არიან ნავები ხმელეთზე ამოათრიონ, საკუთარი ზურგით ატარონ მდინარის თავთხელის დამთავრებამდე, ამასთანავე თავი დაიცვან ხმელეთზე მობინადრე პაჭანიკების თავდასხმისაგან. უშვებენ რა ნავებს მდინარეში, მეორე ჭორომის მიღწევისთანავე იმეორებენ იმავე ოპერაციას. ხუთი ჭორომის გავლის შემდეგ აღწევენ დნეპრის შესართავს და რომეებამდე. ცხადია, შემდგომი ეს როსები იწოდებიან ,,ჭორომს ი ქითა“ ხალხებად, ზაპაროგიელებად ხოლო ზედწოდება კაზაკი სავარაუდოდ მათ გვიან, უკვე დონელი კაზაკებისაგან გადმოიღეს, რომელთა ცხოვრების წესი და

ნირი აბსოლუტურად მსგავსი იყო

16. პაჭანიკები, როგორც ტომი, პირწმინდად იქნა განადგურებული ბიზანტიის მიერ, მე-12-ე საუკუნეში, დიდი დომესტიკის, ეროვნებით ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძის სარდლობით. გრიგოლ ბაკურიანი ღმერთს შენდობას სთხოვს იმ არაადამიანური ქმედებისათვის, რაც ბიზანტიის ჯარმა მისი სარდლობით განახორციელა.

17.უკვე წაშლილი ჩანს ზღვარი სკვითო-ტავრებს შორის, და გვიან ჩამოსახლებულ იონიელ ბერძნებს შორის, ორივე ერთი საერთო სახელით, გაზარია ეწოდება.

18. კონსტანტინე პორფიროგენტის ნახსენები პროვინცია ხერსონების ნახევარკუნძულზე გაზარია წარმოშვა ტერმინი კაზაკი-კაზაკია, რომელიც შემდგომში ხერსონესიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან თურქების მიერ განდევნილები სოციალურ ფენას ქმნიან უკვე მდინარე დონზე.

19. კონსტანტინე პორფიროგენტი ალანებს ხერსონესის ნახევარკუნძულზე არ ახსენებს. ასევე არ ახსენებს გოთებს, თუმცა მათი დასწრებულობა მე-13-ე საუკუნეში აღნიშნულ ტერიტორიაზე უცილობელი ფაქტია, სავარაუდოა, რომ ისინი ბიზანტიის მიერ ნახევარკუნძულის პაჭანიკებისაგან გაწმენდის შემდეგ მიგრირდებიან ხერსონესზე.

20. სინოპოლი- ეს სინოპის კონცხია თურქეთში, ქართველ ტომთა, კენების (ხალიბების) ოდინდელი საცხოვრისი.

21. რუბრუკასის მიერ აღწერილი რეალობა თვალნათლივ აჩვენებს უძველეს საზღვაო ტრასას, რომელიც სინოპადან სუდაკამდე ზღვის სივრცეების პირდაპირ გადალახვას ითვალისწინებს. ტრაპიზუნდი და ბათუმი (რუსეთისათვის ვატიბატი) ამ ტრასაზე ვერაფრით ხვდება!

22.სვევებს რუბრუკასის გვიანდელი ინტერპრეტატორი სვანებთან აიგივებს, რაც უხეში შეცდომაა. სვანების პილიტიკური ერთეულ, დასახლება ენგურის ხეობის დასავლეთით არასდროს არ დაფიქსირებულან. სვევები- ამ ტერმინის ქვეშ ჭანები, სანები იგულისხმება უთუოდ.

23. რუბრუკასი ტერმინ თათრებში მონღოლებს გულისხმობს.

24.რუბრუკასის კომანები-ეს ყიფჩაღებია, სხვათაშორის საკუთრივ ის ყიფჩაღები, რომლებიც დავით აღმაშენებელმა საქართველოში შემოიყვანა 1118 წელს და გავიდნენ საქართველოდან ყირიმში 1125 წელს იმავე დავით აღმაშენებლის სიმამრის, ათრახა შარალანის ძის მეთაურობით (რუსული წყაროების ოტროკი)

25.ყაბარდოელთა, ამ ნამდვილი ჩერქეზების (კერკეტების) მიგრაცია და ცხოვრება თვით ხერსონესის (ყირიმის) ნახევარკუნძულზეც მტკიცდება. მდინარე ბალბეკის მეორე სახელი, რომელიც ბაღჩისარაისა და სევასტოპოლს შორის მოედინება, დღესაც კაბარდაა!

26. თემურ-ლენგისაგან მდინარე დონის მარჯვენა სანაპიროზე ლტოლვილ ალანთა და მათი მეფის შესახებ მოგვითხრობს ვენეციელი ვაჭარი და დიპლომატი იოსაფატ ბარბარო მოგვიანებით, რომელმაც ერთ-ერთი ალანური ყორღანი გათხარა კიდეც.

27. გადახედვას მოითხოვს საყოველთაოდ მიღებული ვერსია, რომ თოხთამიშისა და თემურ-ლენგის გადამწყვეტი, გენერალური ბრძოლა მოხდა ტიუმენში, ციმბირის სტეპებში. თოხთამიშის ოქროს ურდოს დედაქალაქი (სერკელი-სარაი-ბერკე) და შესაბამისად პოლიტიკური წარმონაქმნის ცენტრი ევროპულ ნაწილში მდებარეობდა. აქვე მიმდინარეობდა ომები თოთხთამიშის სამკვიდროს განადგურება-დაპყრობისათვის. აქვე მდებარეობს ტუმენის სტეპი (მოგზაურობა ტანაში გვ44) და რასაკვირველია გენერალური ბრძოლაც აქ გაიმართა! რაც შეეხება ციმბირის ტიუმენს, წყაროების მიხედვით ის საუკუნით გვიან დასახლებული დასახლებაა, დაარსებული კაზაკთა ატამანის, ერმაკის მიერ. დასახლება სახელდებულია ტიუმენად, დაარსებულია ამავე სახელწოდების სტეპზე, რომელი დასახლების სახელი ერმაკის მიერ აზოვისპირა სტეპიდან ჩანს ჩამოტანილი.

28. სავარაუდოდ თემურ-ლენგის ჩრდილო-კავკასიურმა ლაშქრობებმა გატეხა წელში ჩრდილო კავკასიის ქართველური პოლიტიკური წარმონაქმნები, რომელთა ყოფილ სიდიადეს აღნიშნავს თურქი მოგზაური ევლა ჩელები 250 წლის შემდეგ.

29. ზუსტად ამ „მცირე ხაზარეთის“ ელიტა ჩანს ის ებრაული ტომები, მამშუხი და ტაკაკუ, რომელსაც აღწერს ევლია ჩელები კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ნაწილის ჩრდილო ფერდობზე.

30. ლადილი-მდინარე ვოლგა.

31.როგორც ცნობილია, თემურ ლენგი ღვთის რისხვას წარმოადგენდა არა მარტო საქართველოსათვის. ასეთივე როლი მიუძღვის მას სხვა ხალხების მიმართ. ალანები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ, თემურ- ლენგის ურდოების მიერ იქნა განდევნილი მდინარე დონის მარჯვენა სანაპიროზე, მათ შორის მათი ბელადი ინდიაბუც, როგორც ამას იოსაფატ ბარბარო აღნიშნავს. ამ მეფე ს გზააბნეული სალსალს უწოდებს მოგვიანებით ევლია ჩელები, ხოლო ალანი ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად მას ბერბერე უჩანს. ამავე თემურ-ლენგის ,,დამსახურება“ ჩანს ზიხთა პოლიტიკური წარმონაქმნის წაშლა მდინარე უკრუხზე (ყუბანზე) იოსაფატ ბარბაროსათვის ზიხია- როგორც პოლიტიკური ერთეული აღარ არსებობს!...მაგრამ არსებობს ერთიანი სამეგრელო, რომელიც მისივე ჩანაწერებიდან ირკვევა!

32. იოსაფატ ბარბაროს სიტყვებით, კრუმუკი აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროს სიღრმეში მდებარეობს. ამავე ოლქის სიღრმეში, აზოვის ზღვიდან სანაპი-

როდან გაცილებით შორს სიღრმეში, შენარჩუნებული ჩანს თითქმის ანალოგიური ტოპონომიკური სახელი კრემენჩუგი, ხოლო მის მიერ ამ ოლქში აღწერილი მცხოვრები ბიბერდის ხალხი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ათწერილი (თუ რასაკვირველია ამ უკანასკნელებში ქაბარდები-არ იგულისხმება)

33. ბარბარო საერთოდ არ ახსენებს ვატს-ბათუმს, რომელთანაც მას არაფერი არ აკავშირებს (საზღვაო ტრასაც კი). მისი ბატი -ეს ჩელებისეული ანაპა ჩანს, რომელიც გენუელების აშენებული იყო ქერჩის სრუტის შესასვლელში, კეტავდა მას და გადეკ ახმედ ფაშამ დაანგრია! წარმოუდგენელია თუ რა ესაქმება კონსტანტინოპოლიდან ტანაში (იკითხე როსტოვში) მიმავალ გემს ბათუმში, როდესაც ეს ტრასა სინოპადან ყირიმის ნახევარკუნძულისაკენ ზღვის გარდიგარდმო გადაკვეთას ითვალისწინებს! ბათუმის ვატად სახელდება მეორე იტალიელის, ამბროჯიო კონტარინის დამსახურება ჩანს. ასეთი წაკითხვა შორსაა ჭეშმარიტებისაგან,მაშინ როდესაც მე-17-ე საუკუნის თურქი მოგზაური ჩელები ქალაქს ბათუმად ასახელებს, უფრო მეტიც, მისთვის ტრაპიზუნდი - ეს ქვემო ბათუმია!

34. ვისაც საკუთარი თვალით უხილავს კოლხეთის დაბლობი, ვერაფრით ვერ იტყვის, რომ სამეგრელო მთაგორიანი და ქვიანია. სულ სხვა სიტუაცია აქერჩიდან სოხუმამდე, რომელიც ამ ეპითეტს იმ დროისათვის ნამდვილად იმსახურებს.

34*იოსაფატ ბარბარო ამჯერად იმ ალანიას კი არ მიუთითებს, ტანადან შორს, სადრაც კაკკასიის ხევ-ხუვებში ჩაკარგულს, არამედ სადღაც მატრეგასთან მდებარეს, ბერბერეს და სალსალების გზააბნეულ მეფეს, (როგორც ევლია ჩელები მიუთითებს) და რომელიც ასევე თემურ-ლენგის მიერ ჩანს განადგურებული. სავარაუდოდ, კონსტანტინე პორფიროგენტის მითითებული კასახიის და პაპაგიის ადგილი ზუსტად ალანებს უჩანთ დაკავებული, მას შემდეგ რაც მათმა ადრინდელმა პატრონებმა მიატოვეს ის.

35. თვით იოსაფატ ბარბაროს დროსაც ადრე ალანია უკვე დონის სანაპიროზე ყოფილა, (ლტოლვილი თემურ-ლენგისაგან) თუმცა მისივე პერიოდისათვის ის უკვე გაცილებით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ყირიმის ნახევარკუნძულზე ჩანს გადაადგილებული.

35*და რა ენაზე ლაპარეკება გენუელი აცოლინ სკვარჩეფაგო ვატში, ანაპაI მეგრელს-ზიხს? რასაკვირველია მეგრულად, რომელიც მისი პროფესიიდან გამომდინარე, იძულებულია ისწავლოს, თუმცა შეიძლება არა სრულყოფილად...არ ვიცი,ის დამახინჯებები აცოლინს ეკუთვნის,იოსაფატ ბარბაროს თუ იმ დროის მეგრული იყო ისეთი ...(ენა დროში იცვლება, და კმაოდ გამიჭირდა „ვოინჩის მანუსკრიპტად“ წოდებული წიგნის გაშიფრვა, თუმცა წიგნი რომ ლაზურ ენაზე იყო დაწერილი, ჩემთვის უეჭველი იყო...მაგრამ ზუსტად იოსაფატ ბარბაროს თანამედროვე ლაზურზე...და მაინც: აცოლინე-სურინა პატრონ ინ კოკონ?

ბარბარო-პატრონი სახლშია? და მე, თანამედროვე მეგრულზე: სო რენა პატრონ (ინ კოკონ-სავარადიდ მიმართვა-გოგონა); მეგრელი ქალი:არჩილი მისი-ბარბა-რო- მოვა მალე; და მე, თანამედროვე მეგრულზე:- არა ჩილი მისი; ქმარი არაა (ჩილი მეუღლეს ნიშნვს, უფრო ცოლს) ; აცოლინე:- თეთარი სი ჩა? ბარბარო-ფული (თეთარი) გაქვს? და მე; თეთრი სი ჩა...უკანასკნელი სიტყვა ფუძე ჩანს მე-გრული სიტყვა „ჩამა“-სი, რაც დაპურებას, ჭამას ნიშნავს...

36. კაფა-ფეოდოსია რასაკვირველია კუნძული არ იყო, თუმცა ადრეც და ბარბა-როს დროსაც მას კუნძულს უწოდებდნენ ასევე ნახევარკუნძულის, ხერსონესის შემადგენლობაში.

37. ჰერაკლეა-ეს დღევანდელი ირიგლია თურქეთის რესპუბლიკაში,200 კმ სინ-ოპას კონცხამდე. შავი ზღვის სანაოსნო ტრასა სანაპიროს მიუყვებოდა ირიგ-ლიდან კიდევ 100 კმ-ის მანძილზე, შემდეგ პირდაპირ გადაკვეთავდა ზღვას მის ყველაზე ვიწრო ადგილას ყირიმის მიმართულებით.

38. კაფას-ფეოდოსის გვერდითაა განლაგებული კიუტთა, (კოლხების) ქალაქი კიუტი, რომლის ნაშენი აშკარად განსხვავდება ქალაქ ფეოდოსის ძველი შენობა-ნაგებობისაგან.

39. სტრაბონის ეპოქაში, საუკუნეების გარდამავალ მიჯნაზე, შავ-ზღვის გარდი-გარდმო უმოკლესი გზა უკვე საფუძვლიანად ათვისებული ჩანს. თავად სტრაბ-ონი უთითებს, რომ უკვე არსებობს მეზღვარები, რომელთაც ორივე სანაპირო, პაფლაგონიის (სინოპის) კონცხი კარამბისი და ხერსონესის კრიუმეტოპონი ერ-თდროულად უნახავთ შავი ზღვის სიღრმიდან.

40. იოსაფატ ბარბაროს მიერ ნახსენები ვატი ის ციხე-სიმაგრე ჩანს, რომელიც ქერჩის სრუტის შესასვლელთან იდგა, ევლია ჩელების მიხედვით აგებული იყო გენუელების მიერ, ანაპა ერქვა და დანგრეულ იქნა გადეკ ახმედ-ფაშას მიერ.

41.ეს ტერიტორიები უკვე მინიმუმ XI-საუკუნიდან, ხუფათიდან არა საკუთარი სურვილით ,,ჩამოჩოჩებულ“ გურულებს უკავიათ. სამეგრელოსა და ახალციხის საათაბაგოს შორის გურიაა მოქცეული და გურული მცხოვრებლებით დასახლ-ებული, შესაბამისად ბათუმი, ,,ვატი“ მეგრელებით დასახლებული ვერ იქნებო-და, (საკმარისია გავიხსენოთ გურულთა განზოგადოება ადგილობრივი სუზე-რენისაგან პროკოპი კესარელის ეპოქაში. გურიის დამოუკიდებლობისაკენ მი-სწრაფებას პაპისადმი გაგზავნილი თურქეთის წინააღმდეგ მიმართული სავა-რაუდო კოალიციის სიაც მეტყველებს.

43. ის, რომ აბაზგებმა არ გაატარეს მეგრულ-გურული ლაშქარი საკუთარ ტერი-ტორიაზე, ანაკოფიის საერისთაოზე , გახდა მიზეზი იმისა, რომ ეს ლაშქრობა მოხდა მეგრულ-გურულთათვის ესოდენ უჩვეულო მეთოდით, ,,საზღვაო დეს-ანტის“ საშუალებით.

44. ცანდია- ეს აშკარად ჭანური წარმოშობის სახელია, ინალიფა-ინალის შვილი,

ინალიშვილი. ძნელია იმსჯელო მის თემურ მიკუთვნებულობაზე. ერთადერთი მინიშნება შესაძლებელია იყოს ის ფაქტი, რომ გასაჭირში ჩავარდნილი დადიანი მიენდო პირადად მას, სავარაუდოა, რომ დადიანი ფაქტიურად თანატომელს მიენდო, რომელმაც უღალატა. გვარი არსებულ სინამდვილეში მეგრულ თემთან ასოცირდება.

45.ვახუშტის მიერაა მოწოდებული **ინფორმაცია: მეფე რუსუდანის მერე შეცვლილი პოლიტიკური კონფიგურაცია შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე: მერმე აფხაზთა მეფე ლევანისაგან (ლეონისაგან) განიყო და ცხომის ერისთავი სხუა, ბედიისა სხუა, აფხაზთა სხუა, თამარ მეფემდე ესრეთ. შემდგომ რუსუდანისა - ოდიშისა დადიანი და ბედიელი მის აქეთასა, არრარა ცხომისა.**

აფხაზთა მეფე ლეონისაგან აფხაზეთისვე დაყოფას შემდეგი სახე ჰქონია

ა. ცხომის საერისთავო,-ყოფილი აფსილეთი.

ბ.ბედიის საერისთავო-აფსილეთს აღმოსავლეთით მდებარე კოლხური-ლაზური სამფლობელოები, შემოერთებული მეფე ლეონის მიერ

გ.საკუთრივ აფხაზეთი, სოხუმს იქით ნიკოფსიამდე, რომელიც მანამდე აფხაზ-აბაზგეთის კონფედერაციას წარმოადგენდა. რაც შეეხება რუსუდანის შემდგომ აფხაზეთს, ვახუშტის სიტყვებით, სამეგრელოს და მიმდებარე ტერიტორიას ფლობს დადიანი, მაგრამ ვერა სოხუმს. (თუმცა ასეთი კონფიგურაცია დასავლეთ საქართველოსი მხოლოდ მე-15-ე საუკუნის შუა წლებში შედგა, ამასთან სამეგრელოს მთავარი ფლობს მიწებს აბაზგეთის გაგრძელებაზე, თვით ნიკოფსიამდე) 1400 წლის შემდეგ, ავტონომიურ ზიხთა (მეგრელთა) პოლიტიკური წარმონაქმნის დასუსტების შემდეგ, ეს ტერიტორიები თვით ქერჩამდე მიერთებული უჩანს დადიანს, რომლის ტიტული სავარაუდოდ ასახავს ამ რეალობას - მას დადიან-ბენდიანის ზედწოდება აქვს! მე-16-ე საუკუნის დამდეგს, მას შემდეგ რაც აბაზგეთის მთავარი მოიპოვებს ფაქტიურ დამოუკიდებლობას (აბაზგეთი ამ საქმეში მარტო არ ჩანს, დამოუკიდებლობის მაძიებელი ჩანს ჭანეთიც) ზიხეთი-აფხაზეთისა თუ ავტონომიური, მოწყვეტილი აღმოჩნდა ოდიშს. ზუსტად ეს ჩანს მიზეზი მეგრელ-გურულთათვის ესოდენ უცნაური, საზღვარი ლაშქრობის ჩატარებისა. მეგრელ-გურულები ოდითგანვე კავალერიით ომს იყვნენ მიჩვეულნი, ამ შემთხვევაში მათ ბრძოლა ფეხოსნებს უხდებათ, რამეთუ ოლეჭ-კანდერებით ცხენოსანი ჯარის გადაყვანა წარმოუდგენელია. ომში დამარცხების შემდეგ, 1533 წელს, სამეგრელოს მთავარი კარგავს სიცოცხლეს, ხოლო მისი საგვარეულო ტიტული ბენდიანს, რომელიც არც არასდროს დაუბრუნებიათ!

47. მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ჩელებისეული, ფაქტიურად ავტობიოგრაფიული ჩანაწერებზე დაყრდნობით, ყოველგვარი ზედმეტი მტკიცებულების გარეშე ცხადდება, რომ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირა ტომები ,,აფხაზები“ - ესენი ლაზური ტომებია, გარდა არლანებისა და კამიშებისა!

48. არტლაარი - შემდგომში ჩვენთვის ეგოდენ ნაცნობი ადლერი, უკვე აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებული ტერიტორიულად.
49.ლაიუში - ეს არტების სოფელია, თურქული ზეწოლის შედეგად გადმოსული წალენჯიხის რაიონში და აქვე დასახლებულ სოფელს მათ ლია შეარქვეს!
50.სადაშებს ევლია ჩელები ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობისას აფხაზებს უწოდებს
51. ტაჩაგუზები-ჩელების მოგზაურობის ჩანაწერებში ეს ტერმინი გაშიფრული არ არის. კონტექსტიდან გამომდინარე, ტაჩაგუზები ვაჭრები არიან, ჩელები ტამანის და ჩრდილო კავკასიის აღწერისას აღწერს ებრაელთა ორ ტომს: მამშუხი და ტაკაკუ. რასაკვირველია, ტაჩაგეზები ტაკაკუს ტომის ვაჭრები ჩანან, თავიანთი ტრადიციული ხელობით დაკავებულები. (ტაჩაგუზების სახანოს აღნიშნავს თავის მოგზაურობაში ჩელები ქალაქ ასტრახანთანაც)
52.კამიში, ეს უბიხთა მამაცი აბზოური ტომია. ის, თუ რატომ განსხვავდება მათი ენა აბაზგურისაგან, (ასევე აბზოურიდან) წონადი მიზეზები გააჩნია, ზუსტად ასეთივე მიზეზი გააჩნია კამიშებში მეჩეთების არსებობას და ამაზე სხვა თავში ვისაუბრებთ.
53.ჩელები მონების ეროვნულ მიკუთვნებულობას არ აღნიშნავს, თუმცა თავად სუჯების დასახელების ფორმა-სუჯალარი, აშკარად ამ უკანასკნელთა აფხაზთა ტომისადმი მიკუთვნებულობაზე მიანიშნებს. რაც შეეხება მონებს, სავარაუდოდ ისინი რომელიღაც სხვა აფხაზური მოტაცებულნი ჩანან.
54. ამ ეპიზოდში ჩელები თავისდაუნებურად აღწერს ,,აფხაზი“ბოზდუკის ,,გაჩერქეზების'' პროცესს, რაც ამ ეთნოსის, შემდგომში ,,ჩერქეზი“ ბჟედუგების უცილობელი აფხაზობას (ზიხობას) ნიშნავს.
55. სუბეში - ამ სახელის ქვეშ აერთიანებს აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხობის დიდი დავთარი ჩელების მიერ აღწერილი ,,აფხაზების“ - მეგრელი ზიხების უმრავლესობას...
56. ჰეპტაკომიტების, იგივე შვიდსოფლელთა მიერ ველური თაფლით რომაელი ჯარისკაცების მოწამვლის და ამოხოცვის ფაქტს აღნიშნავს სტრაბონი. ლაზურ თაფლზე გავრცელებული ლეგენდა შუა საუკუნეების ბიზანტიელი ავტორების მიერ, ამტკიცებს, რომ ლაზური (კოლხური) თაფლი მომწაროა.ამ თეორიას უპირისპირდება ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც კოლხური თაფლის განსაკუთრებულ სიტკბოს აღნიშნავს.
57. როგორც „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხობის დიდი დავთარიდან“ ცნობილია, ამ რეგიონის მოსახლეობის ძირითადი გვარი კიტიაა, რაც კიუტთან უცილებელ კავშირში ჩანს. მიზეზთა და მიზეზთა გამო, კიუტთა ტომი გადმოდგილებული ჩანს შავი ზღვის სანაპიროზე აღმოსავლეთის მიმართულებით. მათი გარჩევა ადვილი ჩანს გურულ ეთნოსში ტი-თი დამთავრებულ გვარებით: ჯი-

ბუტი, ჟღენტი, ღლომტი. მეგრულში ტია-ზე დამთავრებულ გვარებით: ხუბუ-ტია, ჯუმუტია, გელანტია,ჩიკვატია, კორსანტია, ჩხეტია (ეს უკანასკნელი ლაზ-ების თავადებად ჩანან მე-17-ე საუკუნეში, ხოფასა და რიზეს შორის მდებარე ტერიტორიაზე)

58. წიგნში"წყნარი დონი", მიხეილ შოლოხოვი ხაზგასმით აღნიშნავს შავგრემა-ნი კაზაკების წარმომავლობას კაზაკ პროკოფისა და თათრის ქალის ნაშიერებ-ად. პროკოფის მემკვიდრე პანტელეი ჰყავდა, პანტელეის სამი შვილი, პეტრო, გრიგორი და დუნიაშა. პეტრო ქერა იყო დაბადებით და არც მისი მემკვიდრე ჩანს ნაწარმოებში. გრიგორის ერთი ბიჭი და დუნიაშას შვილები ნამდვილად ვერ შექმნიდა ,,შავ" ფონს სლავ კაზაკებში. სულ სხვა სიტუაციაა, როდესაც დო-ნის კაზაკთა ფორმირებაში გარკვეული წილი სინდ და ტავრ ტომებს უდევთ. ისინი თრაკიული (რუმინული-ბულგარული) ქართველური წარმოშობის ტომ-ებია და შესაბამისად შავგრემანები სამშობლოდაკარგული, უკვე კაზაკები, ვერ ურიგდებოდნენ არსებულ სტატუს- ქვოს. დონის კაზაკების უპირველესი და თვალსაჩინო მტრები ოსმალები იყვნენ, მათი სამშობლოს ოკუპანტები. აკი ებ-რძოდნენ და არა მარტო ზაბაკის (აზოვის) ზღვაზე თუ ყირიმში, არამედ მთელ შავ ზღვაზე, აღწევდნენ თვით კონსტანტინოპოლამდეც კი. ცხოვრების ამავე წესის გამო, ამავე სახელი კაზაკი დაენათლა პორფიროგენტისეულ დნეპრზე მცხოვრებ კაზაკებს, ზაპოროჟიელებს, ამ უკანასკნელთათვის პირველი ნომერი მტერი, ეს პოლონური შლიახტა გახლდათ, რომლებმაც კიევის რუსის და შესა-ბამისად ზაპოროჟიელთა სახელმწიფოებრიობა შეიწირეს, თუმცა ზაპოროჟი-ელი კაზაკები ოსმალებსაც მტრობდნენ და სრულ ჰარონიაში იყვნენ დონელ კაზაკებთან.

59. კუმანები - ყირიმელი თათრები, არა მარტო თავის დროზე დავით აღმაშენე-ბლის მიერ საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაღების თანამოსახელენი არი-ან, არამედ იგივე ყივჩაღური ტომია, მიგრირებული საქართველოდან ყირიმში 1125-26 წლებში. მათ მიგრაციის პროცესს ყირიმში თვით დავითის სიმამრი,ათ-რახა შარაღანის ძე ხელმძღვანელობდა (რუსული წყაროების ოტროკი). ყივჩა-ღთა საქართველოში ცხოვრების პერიოდი სულ შვიდ წელს მოიცავს 1118-25 წლები.

60. შარდენის მოგზაურობის პერიოდისათვის, კერძოდ მე-17-ე საუკუნის მესამე მეოთხედისათვის, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარი მდინარე კოდორზე ჩანს. თვითონ შარდენი სამეგრელოს ნაპირებს ისგაურში.(დღევანდელი სქურჩა) მეგ-რულ ნავმისადგომზე მიადგება. ცხადია ეს საზღვარი შარდენის დროისთვისაც მხოლოდ პოლიტიკურია და არა ეთნიკური.

61. ზუსტად ასევე აღნიშნავს კავკასიის ჩრდილი მხარეს ჯიქთთა ცხოვრებას მონპერეც, საიდანაც ისინი ყაბარდოელთა მოთხოვნით გადმოსახლდნენ მდი-

ნარე ყუბანის მარცხენა სანაპიროზე.

62.სავარაუდოდ ამ მდინარის სახელი ადგილობრივ სლენგზე კაბეტი-დიდი უნდა იყოს. (ტერმინი დიდის მნიშვნელობით შემონახულია მხოლოდ აფხაზეთის და მიმდებარე ტერიტორიაზე, ეს ბასკური სიტყვაა დიდს ნიშნავს...)

63. ის რომ, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მცხოვრებ ,,აფხაზებს" (აქ საუბარია დიდ აფხაზეთზე, რომლის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც ზემოთ დავამტკიცეთ, მეგრულენოვანი და მეგრული წარმოშობისაა, ლაზები) სასულიერო პირი „კალტაკოსი " ჰყავს, აშკარად და ყველანაირად განსხვავდებიან ნამდვილი ჩერქეზების, ყაბარდოელებისაგან, რომლის ანალოგიურ სასულიერო პირს უძველესი დროიდან შოგენი ეწოდება! გიულგენ შტედტის ეპოქოსათვის, ჩერქეზები (ყაბარდოელები) დიდი ხნის გამაჰმადიანებული ჩანან.

64. გიულდენშტედტს ენათა ნათესაობაში აშკარად აფხაზური (დღევანდელი ადიღეს ენა) და ყაბარდოული აქვს მხედველობაში! ყაბარდოული დიალექტი და სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ცუდად გათავისებული იმავე ენა ადიღეელების მიერ!

65. გულდენშტედტი აქ და შემდგომაც ასახელებს თავად მუდავიოთა გვარს, რომელსაც არც მანამდე და არც მის შემდეგ არცერთი ისტორიკოსი არ აღნიშნავს. გვარი იმავე თავადი მარშანიებისა ჩანს....

66. გიულდენშტედტი, რომლის მიერ აფხაზეთის აღწერილობა ძირითადად ემყარება აფხაზთა მეზობლების მონაყოლს (თვითონ აფხაზეთში არც ყოფილა, არც საქართველოს და არც რუსეთის მხრიდან განხორციელებული ექსპედიციების მიმდინარეობისას), საკმაოდ ბევრ ლაფსუსებს და უზუსტობას მოიცავს. მის მიერ ნახსენები ანაკლეა-ეს პლინიუს უფროსისეული ჰერაკლეა, ჰერაკლეს კონცხი უნდა იყოს. რაც შეეხება მდინარე ენგურს, არც გიულშტედტამდე არც მერე სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი არ ყოფილა.როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ღალიძგა-მოქვზე გადიოდა, ძველი წყაროებით ეგრის წყალი, რომელიც ქართველი და არაქართველი მეცნიერის მიერ ენგურადაა მოხსენიებული (ვახუშტისეული ეგური). და ბოლოს, გიულდენშტერტის ცნობები აფხაზეთზე მეგრელი გლეხის მონაყოლით ყოფილა ჩაწერილი ხონის ბაზარში...

67.მართალია, მოგზაური გამბა არაა ვალდებული თემების დაწვრილებითი აღწერა ჩაატაროს , მაგამ გაგრის მიდამოებში ის საერთოდ არ აღნიშნავს მოსახლეობას, ანალოგიურს დუბროვინისას 50 წლის შემდეგ. მიუხედავად ამისა გაგრაში ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ჭანი, ცანუბიები (ცანების) სახით შეიმჩნევა უკვე მუჰაჯირობის პერიოდისათვისაც კი.

68.სოფელ ილორში მდგომი ეკლესია უდავოდ სამურზაყანო-სამეგრელოს პო-

ლიტიკურ საზღვარს აღნიშნავს. ეთნიკურ საზღვარი სამეგრელო- აფხაზებს შორის გუმისთის ხეობაში გადიოდა!ამასთან,ეს სამურზაყანოც-ოჩამჩირის და გულრიფშის რაიონი დადიანის ხელდებულია!

69.ამ ნაწყვეტის მიხედვით, ყაბარდოელებს ყირიმი XV საუკუნის ბოლოს აქვთ დატოვებული, სავარაუდოა რომ მათ ყირიმის ნახევარკუნძული ოსმალური დაპყრობის მიზეზით დატოვეს, იმავე საუკუნის ბოლოს.

70.იოსაფატ ბარბაროს და ჩელების ბატი აშკარად სხვადასხვა ობიექტებია.

71. ტერმინი ორი შესაძლოა ზუგდიდის რაიონი სოფელ ორსანტიასთანაც იყოს კავშირში,არ არის გამორიცხული, რომ ორების ტომი სინტიები-მოლდაველები ყოფილიყვნენ, ნახევარკუნძულის ერთ-ერთი უძველესი მცხოვრებლები...

72. ჩელების მიერ აღწერილი კალხასინჯას ციხე, ბერბერეს-ალანების მიწაზე, რომელიც დანგრეულ იქნა თემურ-ლენგის მიერ, კიდევ ერთხელ ნათელყოფს ლენგის ზიხეთში (ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში) ლაშქრობის ფაქტს.

73.ჩელებისეული ანაპა-2, ეს დღევანდელი ანაპის ციხეა, ის რომლის აგებასაც ალექსანდრე მაკედონელის დროს მიუთითებს და ჩელებისვე დროს თითქმის ხელუხლებლად არის შენახული.

74. ცხადია ეს ციხე-სიმაგრე, სახელით ანაპა, უკვე დანგრეულია. ტუზლა-ბურუნი, ეს დღესაც არსებული კუნძული-მეჩეჩია, ოდესღაც აქვეაღმართული ანაპაI ციხე-სიმაგრით და მახლობლად მცხოვრები ჩელებსეული მხიარული და მდიდარი „ჩერქეზებით“-მეგრელებით. მხოლოდ სრუტეში მდებარე ციხე სიმაგრეს შეეძლო ჩაეკეტა სრუტე და არა მისგან 50კილომეტრით მოშორებულ ანაპა-2.

75. ირაყ-ი-დადიანის თემა აქტუალურია, საკითხი ჰერებთან კავშირში იქნა განხილული შესაბამის თავში.

77. სახეზეა აშკარა ნიშანი, თუ როგორ შეიძლება მთელი ტომები (ერი) სხვა ხალხების კლასიფიკაციაში მოხვდნენ. ორი საუკუნის წინ, აქ მცხოვრები ხალხები იოსაფატ ბარბაროსათვის ზიხები (მეგრელები) იყვნენ, ხოლო ევლია ჩელებისათვის ისინი უკვე ჩერქეზებია. აფხაზებთან საზღვარი ჩელების დროს მათ ანაპასთან უჩანთ. ორი საუკუნის შემდეგ, რუსი ისტორიკოსებისათვის ჩერქეზების საზღვარი უკვე გაგრასთანაა, და არ იმიტომ, რომ ისინი გაქრნენ. პომპონიუს მელას სიტყვებით ტომები არ ქრებიან, ისინი განაგრძობენ ცხოვრებას იმავე ტერიტორიაზე სხვა სახელის ქვეშ, ან სხვა ტერიტორიაზე თავიანთი სახელით, ან უკვე შეცვლილი სახელით. ზან-ზიხების და ლაზების შეთხვევაში, სამივე ეს ვარიანტი მოქმედებს.

78. ამავე სუბაის კაბაკს, სუბაშელებს ჩელები ოდნავ ადრე, მისი მოგზაურობის დასაწყისში, ჯერ კიდევ აფხაზებად ასაღებს.

79. მამშუხი და ტაკაკუ მართლაც მთის ებრაელების ტომი ჩანს (თემა ცილდება წიგნის ფორმატს). რაც შეეხება ჩელებისეულ ადამეს ტომს-ისინი მალყარელები ჩანან, ბასიანები...

მისიმიანები

მისიმიანელთა ტომი ეს ქართველური ტომია, რომელიც მოიაზრება დღევანდელ დალის ხეობისა ზემო წელში. მისიმიანეთი, როგორც პოლიტიკურ-ტერიტორიალური ოლქი, ბიზანტიელთა თვალსაწიერში VI საუკუნეში ხვდება, რამეთუ ის ზღვის სანაპიროდან საკმაოდ დაშორებულია და რჩებოდა ისტორიკოსთა ყურადღების მიღმა. ამ ტერიტორიაზე ანტიკური (და თანამედროვე) ისტორიკოსების მიერ შეცდომითაა დაფიქსირებული გირჩიჭამიების (ფტიროფაგების) ტომი, რომელსაც ისტორიის მამა ჰეროდოტე დღევანდელ ბელორუსებთან აიგივებს (1)

რაც შეეხება სტრაბონის მიერ დასახელებულ სოანებს (სვანებს) დიოსკურიის ზემოთ მთებში, როგორც ჩანს გამართლებულია ლეონტი მროველის ვერსია, რომლის მიხედვით:

„ხოლო ტყუენასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილ იყვნეს სიმაგრისაგან ქუეყანასა, და ვეღარ იტევდა მათ დურძუკეთი. მაშინ საურმაგ წამოიყვანნა იგინი, ყოველთა კავკასისა ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს დიდოელთაგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (ქართლის ცხოვრება; ლეონტი მროველი,ტომი-I, გვ 31-32. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012 წ)

აქ ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა, კვკასიონის ქედის გასწვრივ, მთლიანად სვანური ტომებისთვისაა მინდობილი ჯერ კიდევ ფარნავაზის შვილის, საურმაგის მიერ...და როგორც ჩანს, მროველის ეს ვერსია სიმართლესთან ძალიან ახლოს უნდა იყოს, გარდა იმ შემთხევებისა, როდესაც ბუნებრივი გადასასვლელი-უღელტეხილი დაკავებული არაა სხვა ქართველური თუ არაქართველური ტომებით,უფრო ადრე დასახლებულებით.

ქართველური და კავკასიური ტომების განსახლების გარკვეულ სურათს შავი ზღვის სანაპიროზე ჯერ კიდევ ჰეკატე მილეტელი გვაძლევს, ძვ.წ VI საუკუნეს:

190. ხოი, ბეხირების მეზობელი ტომი, აღმოსავლეთის საზღვარზე ცხოვრობენ დიზერები. (2)

191.მაკრონები, ამ დროისათვის სანები.

192.მარები, მოსინეკების მეზობელი ტომები.

193.ტიბარანების აღმოსავლეთ საზღვარზე ცხოვრობენ მოსინეკები, მათ აქვთ ქალაქი ხოირედესი.

194. ტიეია, ლევკოსირების ქალაქი.

195. ხალიბები, მცირერიცხოვანი ხალხი პონტოსთან, თერმოდონტზე, ხალიბებს სამხრეთით ეკვრის არმენა

196. სტემენა, ხალიბთა ქალაქი.

უნდა აღინიშნოს,რომ ჰეკატესეული ეს ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია სვიდას ლექსიკონის საშუალებით, რომელიც განუზომლად გვიანაა შედგენილი და ზოგიერთი კომენტარიც იქიდანვე ჩანს ტექსტში შეტანილი. ასევე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჰეკატე მილეტელი არა მარტო ზღვისპირა ტომებს აფიქსირებს, არამედ აღწერს კონტინენტის სიღრმისაკენ მდებარე ტომებსაც (3).ამასთან, ჰეკატე მილეტელი აღწერს შავი ზღვის ამ სანაპიროს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. როგორც სხვა წყაროებიდან ცნობილია, ხალიბები, ტიბარანები და მოსინეკები ზღვისპირა მაცხოვრებელი ტომებია, მაშინ როდესაც მაკრონები, მარები, ხოი და სავარაუდოდ ბეხირებიც კონტინენტის სიღრმეში მცხოვრებ ტომებს წარმოადგენენ.

„ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონტთან და პართენიოსთან ცხოვრობენ, და მაკრონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ,რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან" (ჰეროდოტე.ისტორია, წიგნიII-104)

ჰეროდოტე თითქმის იმავე ადგილას აღნიშნავს მაკრონებს, როგორც მისი წინამორბედი ჰეკატე, თუმცა მის ამ ციტატაში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია მიჩქმალული: მაკრონებს წინდაცვეთა კოლხებისაგან აქვთ ნასწავლი,ჰეროდოტეს სიტყვებით ახლო ხანებში. თერმოდონტთან და პართენიოსთან კოლხები არც არასდროს და არც ვინმეს არ აღუნიშნავს! (მათ შორის ჰეკატე მილეტელს და თავად ჰეროდოტეს) სავარაუდოა, რომ ტრაპეზუნდს ზემოთ მაკრონების ტომმა საკმაოდ ხანი დაჰყო, რის შედეგადაც აქვე მცხოვრები კოლხებისაგან წინდაცვეთას ითვისებენ, თუმცა ჰეროდოტეს სიტყვებით ეს საკმაოდ ახლო ხანებში ჩანს მომხდარი...

გაცილებით შორს ჩრდილოეთით ჩანს გადაადგილებული მაკრონთა ტომი ნახევარი საუკუნის მანძილზე:მათ ჩვ.წ. აღრიცხვამდე V-IV საუკუნის გასაყარზე, ბაბილონიდან-კუნაქსიდან 14000 ბერძნულ ჯართან ერთად მომავალი ქსენოფონტე აწყდება- მოშორებით, ფაქტიურად იქ სადაც ჰეკატე მილეტელი აღწერს, მოსინეკთა ორ სხვადასხვა, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ თემებს. თუ ლეონტი მროველის ზემოთ მოყვანილ ციტატას გავითვალისწინებთ, მაკრონები და მოსინეკები საკმაოდ მალე გაერთიანებული (მაკრონები და მოსინეკები აშკარად ახლო მდგომი თემებია) ჩანან და მიგრირებულნი ჩრდილოეთის მიმართულებით. ჩვ.წ. აღრიცხვამდე 332 წელს, ისინი პაროპამისელების სახელით ხვდებიან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარს ჩრდილო კავკასიაში...

მოსინეკების ტერიტორიის გავლის შემდეგ, ბერძენი მოლაშქრეები თავიანთი საცხოვრისი ადგილიდან დაძრულ და აღმოსავლეთისაკენ გადაადგილებულ ხალიბებს ხვდებიან.საინტერესოა, რომ ბერძენთა და პაფლაგონიელთაგან ლტოლვილი და დისტანცირებული ხალიბები მეზობლებს, ტიბარანებს არ მიკედლებიან და უფრო შორეული მეზობლების, მოსინეკების მფარველობაში ყოფნას ამჯობინებენ.

ხალიბთა და მოსინეკების ტომის გავლის შემდეგ, ბერძენი მოლაშქრეები სანაპიროზე ტიბარანებს და მათ ქალაქ კოტიორას გაივლიან. ტიბარანების გაგრძელებაზე. ხალიბთა ყოფილ ტერიტორიაზე უკვე ინდოევრპელ პაფლაგონიელთა ტომი ჩანს, რომელთაც ხალიბთა საცხოვრებელი მთლიანად ათვისებული უჩანს. უფრო მძიმე სურათი იკვეთება ოთხი საუკუნის მერე, უკვე სტრაბონის ეპოქაში:

„ტრაპეზუნდს და ფარნაკიის ზემოთ განლაგებულია არიან ტიბარანები, ხალდები, სანები, რომლებიც იწოდებიან მაკრონებად (4) და მცირე სომხეთი: აპეტები, ადრე წოდებული კერკეტებად ცხოვრობენ სადღაც ამ სიახლოვეს. ამ ოლქს ქვემოთ მთა სკიდისი, შეერთებული მესხეთის მთებთან, რომელიც კოლხეთის ზემოთაა (მწვერვალებს იკავებენ ჰეპტაკომიტები) და მთა პარიადრე, რომელიც გამოჭიმულია სიდენის ოლქიდან , თემისკირა და მცირე სომხეთი, აყალიბებენ რა პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროს. ყველა მცხოვრებნი ამ მთიან ადგილას ველურები არიან, მაგრამ ყველაზე მეტად ჰეპტაკომიტები აჭარბებენ სხვებს. ზოგიერთები ცხოვრობენ ხეებზე ან კოშკებზე, მოსინებად წოდებულში. ისინი თავს ესხმიან მგზავრებს, ახტებიან რა თავზე პირდაპირ თავიანთი ფიცრული კარვებიდან, მოწყობილი ხეებზე. ჰეპტაკომიტებმა გაანადგურეს პომპეუსის სამი მანიპულა ჯარი, როცა ისინი გადიოდნენ ამ მთიან მხარეში. ბარბაროსებმა დაალაგეს გზებზე ჭურჭლები მათრობელა თაფლით , რომელსაც ხის ტოტებიდან ღებულობდნენ. მერე ისინი თავს დაესხნენ რომაელ ჯარისკაცებს, მათრობელა თაფლდალეულებს და გრძნობადაკარგულებს და ადვილად ამოხოცეს ისინი. ზოგიერთი ამ ბარბაროსთაგანი იწოდება ბიძერებად“ (სტრაბონი, წიგნი 12: თავი 3-18)

სტრაბონის ზედმიწევნითი აღწერის შედეგად ჩანს, რომ ეს ჰეპტაკომიტები (შვიდსოფლელები-შკვითინები) ძარცვავენ ხალხს, ახტებიან რა პირდაპირ ხეებზე მოწყობილი კარვებიდან. რაც შეეხება მცირერიცხოვან (სავარაუდოდ) მოსინეკებს, ისინიც იმავე მარაქაში უჩანს გარეული :მოსინის (კოშკის) მნახველი მგზავრი უკვე გაფრთხილებული ახლო-მახლო ადამიანის ყოფნაზე და შესაბამისად მოულოდნელობის ეფექტიც დაკარგულია. არაა გამორიცხული, რომ მოსინეკების მცირერიცხოვანი მასა დარჩენილიყო კიდეც ჰეპტაკომიტებთან. ისინი ჯერ კიდევ ფარნაკიასა (დღევანდელი გირესუნი) და ტრაპეზუნტის

ზემოთ მთებში იკავებენ ადგილს. სტრაბონის ზემოთ ნახსენები ბიძერები უნი-სონში ჩანს ჰეკატე მილეტელისეულ დიზერებთან. რაც შეეხება მარებს, არც ქსე-ნოფონტე და არც სტრაბონი მათ არ აღნიშნავს, რაც მარების ტერიტორიის კონ-ტინენტის სიღრმეში მდებარეობას გულისხმობს. სინოპიდან ფარნაკიამდე, სა-დაც პირველი ქართველური ტომის, ხალდთა საცხოვრისს აცხადებს სტრაბონი (ისიც კონტინენტის სიღრმეში). 300 კილომეტრი სანაპირო ზოლი ქართველურ ტომებს დაკარგული უჩანთ. ცოტათი ადრე ამ ტერიტორიებს მითრიდატე ევპა-ტორი, მეფე მითრიდატიდების დინასტიიდან აკონტროლებდა , სტრაბონის დროს უკვე რომის იმპერიის შემადგენელი ნაწილია. რასაკვირველია ქართვე-ლური ტომების უკან დახევა სანაპიროს გაყოლებით, იძულებითი ხასიათისაა და ინდოევროპული ტომს, ბერძნების ზეწოლის შედეგია. ბერძნების გადაად-გილება თანდათანობითი ხასიათისა ჩანს. თავიდან სავარაუდიდ სავაჭრო ემ-პორიით იწყება, შემდეგ კოლონიის ხასიათს ღებულობს და ბოლოს ადგილობ-რივი მოსახლეობა, აღმოჩენილი მეორეხარისხოვანის რანგში, ტოვებს საცხოვ-რისს და უკან იხევს ბერძნებისაგან სანაპიროს გაყოლებით (გარდა ბერძნებში ასიმილირებული ნაწილისა) ადგილობრივი ტომების გადაადგილება -თანხვე-დრილია ინდოევროპული ტომების ანექსიის მიმართულებასთან, თუმცა მას-შტაბებით და სიჩქარით რამდენადმე ჩამორჩება მას. ასე მაგალითად, ჰეკატე მილეტელის და ჰეროდოტეს შემდეგ ინდოევროპელებმა 300 კმ-ით გადაიწიეს წინ ჩრდილოეთისაკე, ამავე პერიოდისათვის კოლხურმა ტომებმა, რომელთა საზღვარი ჰეროდოტეს დროს ფაზისამდე აღწევდა, მხოლოდ დიოსკურიამდე შეძლეს გავრცელება, სამჯერ ნაკლებ მანძილზე.

როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონი თავის ისტორიაში დიოსკურიის ზემო მხარეს, დალისა ხეობის აღწერას არ ეხება, თუმცა სავაჭროდ ჩამოსულ სვანურ ტომს ახსენებს, ყველაზე მძლავრს დიოსკურიადაზე. თუმცა ჰეროდოტეს ისტ-ორიის არასწორი ინტერპრეტაციის გამო, აქვე მიანიშნებს (რასაკვირეველია არასწორად) ფტიროფაგების არსებობას. პირველი მინიშნება, რომ მოსინეკები და მისიმიანელები შესაძლოა ერთი და იგივე ტომი იყოს, პლინიუს უფროსთან მოიპოვება:

„მდინარე თერმოდონტის იქით ცხოვრობენ კენთა ტომები, ხალიბები, დევს ქა-ლაქი კოტიორა, შემდეგ ტიბარანები, <u>მასინები</u> ტატუირებული სხეულით“ (პლინიუს უფროსი 4-11)

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პლინიუს უფროსი დროში ერთანეთი-საგან საუკუნეებით დაშორებულ მოვლენებს ხშირად ერთსა და იმავე, აწმყო დროში მოიხსენიებს...ზუსტად ამასთან უნდა გვქონდეს საქმე მოსინეკებთან მიმართებაში, თუმცა მათი მასინებად მოხსენიება ალბათ ლეგიტიმურია.

„დიოსკურიადის იქით, სებასტოპოლიდან 70000 ნაბიჯზე, არის ჰერაკლეა. ხალხები: ახაიელები, მარდები, კერკეტები, მათ იქით სერები, კეფალოტომები, ხოლო ამ ოლქის სიღრმეში ქალაქი პიტიუნტი, ჰენიოხების მიერ გაძარცვული“ (პლინიუს უფროსი 5-16)

პლინიუს უფროსი ერთადერთი წყარო არაა, ვინც ჰეროდოტესეულ ქართველურ ტომებს მარებს და სპარსეთისაკენ მცხოვრებ მარდებს აიგივებს.(და ურევს კი?). საყურადღებოა რომ მარდების ხსენება პლინიუსის მიერ რამდენადმე უსწრებს აბაზგი ტომების ხსენებას აღნიშნულ რეგიონში, თუმცა პლინიუს უფროსი მარდების პარალელურად უკვე სხვა ეპიზოდში და სხვა გეოგრაფიულ სივრცეშიახსენებს აბზოის მრავალსახელა ტომს:

„ამ მხარეში კლდეზე დგას ციხე, რომელიც იწოდება კუმანიად, აგებული მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლის დამაბრკოლებლად“.(პლინიუს უფროსი 12 -30)

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ციტატა ეხება არა მარუხის (მარების) უღელტეხილს ალანებთან, არამედ უღელტეხილს, შემდგომში დარიალანად წოდებულს. აღნიშნული ციხე სიმაგრე მხოლოდ პლინიუსს აქვს მოხსენებული, მისივე აღწერის მანერიდან გამომდინარე , სავარაუდოა, რომ მის ხელთ არსებული ცნობები უღელტეხილებზე კავკასიის მთებში, მან ერთ ციტატაში მოაქცია. იმ დროისათვის, როგორც შემდეგი დროის ბიზანტიური წყაროები აღწერენ, ჩრდილოეთისაკენ სამი უღელტეხილი მაინც არსებობდა: დარიალანი, ქლუხორი და მარუხი. დიდია იმის ალბათობა, რომ დარი-ალანი,პირველად მარუხის უღელტეხილს ერქვა, სადაც პირვანდელი ალანია ჩანს დაფუძნებული. სხვა საქმეა კუმანია მოსინეკებისათვის, რომლებიც თითქმის ამავე დასახელების ქალაქის (6) სიახლოვეს ცხოვრობდნენ ტრაპიზუნდთან. სავარაუდოა, რომ თავიანთ გამაგრებულ პუნქტს უღელტეხილის მახლობლად მათ ასე უწოდეს. დიდია ალბათობა იმისა, რომ პლინიუსმააქ აფხაზეთის მთებში მდებარე კომანა იგულისხმა!

პლინიუსის ციტატიდან გამომდინარე, მარდების დასწრებულობა აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ დროისათვის უცულობელი ფაქტია, თუმცა სავარაუდოდ ჰეგემონიას აფხაზეთის მთიანეთში ჯერჯერობით მოსინეკთა ტომი იკავებს.მარების თემა იმდენად მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული მოსინეკებთან, რომ მათი აბსოლუტური სხვაობის მიუხედავად (პირველი -აღმოსავლეთ ქართული ტომია, მეორე-დასავლეთ ქართული) ამავე თემაში განხილული იქნება მათი კვეთის წერტილები, რომლებიც ასე მრავლად ჩანს გაბნეული ადრე შუა საუკუნეების წყაროებში.

იმის მინიშნება, რომ აღმოსავლეთ შავ ზღვისპირეთში ტერმინი მოსინეკები (მით უმეტეს მარები) აღარ არის ხმარებაში, ჩანს ფლავიუს არიანეს ზღვისპ-

ირეთის აღწერაში, რომელსაც ისინი ტრაპიზუნტთან საერთოდ არ დაუფიქსირებია. ქართველური თემი მარებისა ის თემია, რომელიც ჰეროდოტეს მიხედვით მოსაზღვრე ტომებია, ერთ სატრაპიაში შემავალი:

„მოსხებს, ტიბარანებს, მაკრონებს, მოსინეკებსა და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი.ესაა მეცხრამეტე სატრაპია.'' (ჰეროდოტე 3-94)

და მარები ნებაყოფილებით წყვილდებიან კოლხებთან ერთად სალაშქროდ, ერთი სარდლობის ქვეშ:

„მარებსა და კოლხებს განაგებდა ფარანდატეს ტეასპისის ძე“ (ჰეროდოტე 7-79)

სალაშქროდ ერთად დაწყვილების სურვილი, ეს საერთო საკომუნიკაციო საშუალებაზე, საერთო (ან მონათესავე) ენაზე უნდა მიუთითებდეს-მოლაშქრეთა წარმატება დიდადაა დამოკიდებული ურთიერთშეთანხმებითი სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაც მიიღწევა ენობრივი ბარიერის არ არსებობისას. თავად ჰეროდოტე მარების წარმომავლობაზე აქცენტს საერთოდ არ აკეთებს. საყურადღებოა, რომ არმენიული წერილობითი წყაროებიც კი ერთმანეთში ურევენ მარებსა და მიდებს: სომხური წყაროების მიხედვით, მარების სახელმწიფ-ო-ებრი-ობა სპარსეთმა შეიწირა! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არმენია და მიდია უშუალოდ მოსაზღვრე სამეფოები ჩანს, არმენ მემატიანეთა ეს შეცდომა ერთი შეხედვით უცნაური ჩანს , თუმცა მანძილის და დროის გათვალისწინებით აბსოლუტურად გასაგები. სავარაუდოდ მარების ყოფილი ქალაქი, მარაში ბეხისტუნის დარიოსისეულ წარწერებში უკვე მიდიურ ქალაქად იხსენება. როგორც მტკიცდება ტერმინი მარი, მარდი და მარგი ეკვივალენტურია და ერთი ტომის აღმნიშვნელი.

არც შემდგომ საუკუნეებში ჩანს მარების სახელი დაკარგული აღნიშნულ ტერიტორიაზე: მდინარე ევფრატის სანაპიროზე, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე დღესაც აღნიშნულია ქალაქი კახრამან -მარაში (კახრამანი-ეს ქართული ყარამანის შესატყვისია) სავარაუდოა, რომ სწორედ ეს იყოს მარების მიერ ოცდახუთ საუკუნეს გამოტარებული ეთნონიმი და მათივე საცხოვრისის ნაწილი...და მარების სამეფო ბიბლიოთეკა, შექმნილი თიხის ფირფიტებით, უდანაკარგოდ (და ასევე შეუსწავლელად) ინახებოდა ახლო წარსულში დამასკოს ბიბლიოთეკაში... უკვე მარდებია (7) სავარაუდოდ აღწერილი პროკოპი კესარიელის ნაშრომებში და არა მარები:

„აბაზგების საზღვრების შემდეგ, კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუხები, აბაზგიის და ალანიის შუა“ (გეორგიკა, ტომი2 პროკოპი კსარიელი გვ 135 თბილისი 1965წ)

პროკოპისეული ბრუხები თავისი ჟღერადობით საკმაოდ ახლოს დგას მარუხთან-უღელტეხილის დღევანდელ სახელთან რომელსაც უთუოდ ამ ტომმა მისცა ეს სახელი...ამ ტომის, აბაზგების-აბასკების თავდაპირველი სახელიც

მარი იყო, მარუ-ხი, მისგანვ ე ნაწარმოები ქართველიზირებული ფორმა ჩვეული მარცვალ ხი-თ ნაწარმოები. აქვეა მდინარე მარყა, რომელიცუღელტეხილიდან ჩრდილოეთისაკენ მიედინება. მარები-მარუხები იმავე აბაზგური ტომის წარმომადგენლები ჩანან. (თუმცა დიდი ალბათობით ადრე-და პრველად ამ უღელტეხილსაც სვანთა-მისიმიანური ტომი უნდა აკონტროლებდეს, ფუსტეზად ცნობილნი). აბაზგია და ალანია ჯერ კიდევ X საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანრინე პორფიროგენტის სიტყვებით გამოყოფილია ერთმანეთისაგან მხოლოდ კავკასიონის მთებით...(კავკასიის ქედის დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთის მხარეს კონსტანტინე პორფიროგენტთან თუ თუ არაბ გეოგრაფთან, მას'უდისთან, მხოლოდ ალანები არიან დაფიქსირირებული)

„სპათარმა თან გაიყოლია ორმოცდათი ალანი, თხილამურების საშუალებით გადალახა თოვლიანი კავკასიონი- სხვათაშორის მაისი იყო და იპოვა რომაელები. დიდად გახარებულმა ჰკითხა-სად არის ჩვენი ჯარიო? ჯარები უკან გაბრუნდნენ, ჩვენ კი ვერ მოვახერხეთ რომანიაში გადასვლა და მოვედით ალანიაშიო.(გეორგიკა ტომი-4-1; თეოფანე ჟამთააღმწერელი გვ112-113თბილისი 1941წ)

მართალია თეოფანე ამტკიცებს, რომ რომაელთა გზააბნეული ჯარის ნაწილი აფსილიასა და კავკასისაკენ წავიდა საძარცვავად , თუმცა ტექსტიდან გამომდინარე მოქმედება აშკარად ალანია-მისიმიანეთის საზღვარზთან ხდება:

„აქ არის ერთი ციხე, ეგრეთწოდებული რკინის ციხე, სადაც მცველად იჯდა ვინმე ფარესმანი, სარკინოზების მიერ დაყენებული.“ (იქვე, გვ 112) სპათარმა ალყა შემოარტყა ციხეს...მარინემ, აფსილთა შორის უპირველესმა კაცმა, გაიგო ციხეს ალყა აქვს შემორტყნულიო და შიშმა შეიპყრო, რადგან ეგონა სპათარს თან დიდძალი ჯარი ჰყავდა." (იქვე

აფსილების და მისიმიანების საზღვრად აგათია სქოლასტიკოსი ციხე ტიბელიოსს ასახელებს (ისევე როგორც პროკოპი კესარიელი, რომელიც აფსილების ციხეს წებელესს უწოდებს) რომლის ქვეშაც აშკარად იკითხება რომანიზირებული დასახელება დღევანდელი წებელდისა. ხოლო რკინის ციხე, ეგრეთ წოდებული ძახარი, მისივე სიტყვებით, მისიმიანეთის საკმაოდ შორეულ სიღრმეში იყო განლაგებული. თეოფანე ჟამთააღმწერელის მტკიცებით, მარინე აფსილთა შორის პირველ კაცად ითვლება. თუმცა მისი სახელი უჩვეულო მამაკაცისათვის, მის მარობას უნდა მიგვანიშნებდეს, და არა აფსილობას: აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით აფსილთა სამფლობელო მხოლოდ წებელდამდე ვრცელდება, ხოლო კავკასიის მთიანეთის ამ ნაწილს და კავკასიის მთიანეთის უფრო აღმოსავლეთით მდებარე ნაწილსაც კი უკვე დანამდვილებით მისიმიანები აკონტროლებენ. მათ შორის მეორე უღელტეხილს, ქლუხორს, და მასთანვე მდებარე ციხეს, ჯიხა-ხორს, იგივე ბუქლოოსის ციხეს...რაც შეეხება უღელტეხილის დასახელება მარუხს , რომელიც მარების- აბასკების და ალანების

უშუალო მოსაზღვრეობაზე მიანიშნებს, გაცილებით გვიანდელი (სავარაუდოდ X საუკუნე) უნდა იყოს. თეოფანე ჟამთააღმწერელის სიტყვებით, აფსილებიც და მისიმიანელებიც დიდად აფასებენ მარინეს (ალბათ მარს- აბასკს) თუმცა რკინის ციხე- მისიმიანელებთან ძახარად წოდებული, მაინც მისიმიანელებისა ჩანს:

„ხოლო სიმონ და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, (8) იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს იქ, მრავალი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგი-აში.'' (ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, იქვე)

სავარაუდოდ, ზუსტად ეს ფუსტაა ის ქალაქი, რომელიც გვიან მარუხის (მარების) უღელტეხილად ცნობილ გადასასვლელს იცავს, ალანების მოსაზღ-ვრედ. ამ პერიოდისათვის აფსილია ლაზთა ვასალური ქვეყანაა, ასეთივეა მი-სიმიანეთი. (ფუსტა სვანურად უფროსს, საუფროსოს ნიშნავს) ფუსტა, რომელ-იც აბაზგიასა და ალანიას შორის ჩანს მოქცეული, რასაკვირველია მისიმიანეთ-ის ქალაქია. რასაკვირველია ბუნებრივი ბარიერების და მათზე გადასასვლელე-ბის გაკონტროლება, რომის იმპერიის უპირველესი ამოცანა იყო. ლაზიკის სახ-ელმწიფო არავითარ ფინანსურ ვალდებულებას არ იღებდა რომის იმპერიის წინაშე, პირიქით, მატერიალურ მხარდაჭერასაც მისგანვე ელოდა ამ უღელტე-ხილების დაცვის პირობით. ხანდახან რომი, თავდაცვის უზრუნველსაყოფად, მთების იქითა მხარეს, ალანებსაც კი უგზავნიდა ფულს. ამ გადასასვლელების დაცვა ცალკეულ ტომისათვის იყო მინდობილი, რომელიც ლაზიკის მეფის გან-საკუთრებული ნდობით სარგებლობდა. რაც შეეხება მარებს, ამ ტომს ისტორია იმ დროისათვისაც უკვე აბასკებად იცნობს.

რაც შეეხება ბიძერებს და ხოის ხალხს, სავარაუდოდ ისინი ცალკე ტომ-ებს არც წარმოადგენენ. ჰეროდოტე მათ არ ახსენებს არც ხარკის გადამხდელთა სიაში და არც საომარი მწყობრის აღწერისას. ისინი ცალკეული თემები უნდა იყოს, სხვა შედარებით დიდ ტომებს შორის. ხოი-ეს სავარაუდოდ მოსინეკთა შუალედური რგოლი უნდა იყოს, რომლის სახელი კარინთან-ერზერუმთანაც ფიქსირდებ ა გვიან შუა საუკუნეებში (ურიგო არაა გავიხსენოთ სტრაბონის ფრაზა, რომლის მიხედვით არმენებმა ხალიბებს წაართვეს კარიენტიდა-კარი-ნი, ხოლო მოსინეკებს ქსერქსენა-ხოი, ზუსტად ეს უკანასკნელი უნდა იყოს) ხოირედესი- ეს მოსინეკთა ქალაქია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მისიმიანების გაერთიანებაში მოსინეკებიც მონაწილეობენ, სავარაუდოდ ორი ცალკე თემის სახით, რომლებიც ოდესღაც, ქსენოფონტეს ეპოქაში ერთმანეთს მტრობდნენ კიდეც. მისიმიანელთა რიგებში მოიაზრება ხოის ხალხის ნაწილიც, როგორც მარების მეზობელი თემები.

საინტერესოა რომ მეგრული საცხოვრისის მთავარი აღმნიშვნელი ტერ-მინი, ფაცხა-წკნელისაგან მოღობილი (ხშირად შელესილი) საცხოვრისია, ყუდე-

საყუდარი, სახლის აღმნიშვნელი ტერმინი არსებობს, მაგრამ თანამედროვე მეგრულში ფართოდ გამოყენებული სიტყვები: ო-ხორე, დო-ხორე, ნო-ხორე, მა-ხორო, მოსინეკური ტომიდან შემორჩენილი სიტყვები უნდა იყოს. თვით ქართულ ენაში შემონახული დურგლის სინონიმი ხურო, ამავე ტომების დიალექტი ჩანს. ხორია- ასე აღნიშნავდნენ ანტიკური ავტორები მოსინეკთა კოშკებს, რომლებიც ძირეულად განსხვავდება კოლხთა საცხოვრისი ფაცხისაგან. სტრაბონიც კი აღნიშნავს , რომ ისინი (მოსინეკები) თავზე ახტებოდნენ მოგზაურებს ხეებზე მოწყობილი ფიცრული კარვებიდან თუ კოშკებიდან. ცხადია, რომ ფიცრის მოპოვება და დახერხვა ამ ტომებისათვის მაშინაც არ ყოფილა უცხო. საფიქრალია, რომ ტერმინი ჯიხა-ხორი, ძა-ხარი, ქლუ-ხორი ასევე მოსინეკური სიტყვებია.თავიანთი (და მონათესავე) ტომების საცხოვრისს ისინი ხოირს უწოდებენ (მოსინეკთა ქალაქს ათეულობით საუკუნის წინაც ხოირედესი ერქვა). მოსინეკები, ისევე როგორც უძველეს დროში, აქაც მარების გვერდით ჩანან დასახლებული, თუმცა ეს მარების სრულიად სხვა-ავტონომიური თემი ჩანს. დიდი ქართველი მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მოსინეკთა სალაპარაკო დიალექტი ახლოს უნდა იდგეს სვანურთან (მეგრულთანაც) და ეს ასეც ჩანს, თუმცა ენის ეს თავისებურება აქ შეძენილი არ უჩანთ. (გავიხსენოთ მაკრონების და მოსინეკების დაწყვილება საომარ დისპოზიციაში ჰეროდოტესთან (9)

ისტორიაში მიღებულია რომაული ვერსია, რომ მისიმიანელთა აჯანყება რომაელთა წინააღმდეგ უსაფუძვლო იყო, არ მართლდება. აჯანყების მიზეზი რომაელი მოხელე სოტერიქე გახლდათ. მისიმიანელებმა იეჭვეს, რომ რომაელი მოხელე სასაზღვრო ბუქლოსის ციხის მოსაზღვრე მხარეს, ალანებისათვის აპირებდა გადაცემას. მისიმიანელებმა გააფრთხილეს სოტერიქე, რომ მსგავსი მოქმედებისაგან თავი შეეკავებინა. რომაელმა მოხელემ ჯოხით აცემინა მოციქულები. შეურაცხოფილმა მისიმიანელებმა ღამე სოტერიქე, მისი შვილები და მხლებელი ჯარისკაცები პირწმინდად ამოწყვიტეს, და ალანთათვის გამიზნული ფულიც გაიტაცეს . აჯანყებულმა მისიმიანელებმა დ ახმარებისათვის სპარსეთს მიმართეს, თუმცა ვერავითარი ქმედითი დახმარება ვერ მიიღეს და რომაელთა პირისპირ მარტო აღმოჩნდნენ. მათ ძახარის ციხეს შეაფარეს თავი. რომაელებმა მისიმიანელები დაამარცხეს და ბევრი მათგანი განურჩევლად ქალი, კაცი, ბავშვი ამოხოცეს. დამარცხებული მისიმიანელებისაგან არა მარტო სოტერიქესათვის წართმეული ფული, არამედ რამდენიმე ათასი ნომიზმა, ოქროს მონეტა ამოიღეს, რომელიც სავარაუდოდ იმავე რომაელებისაგან მიღებული საზღვრის დაცვის გასამრჯელო უნდა ყოფილიყო. (გეორგიკა წიგნი III, აგათია სქოლასტიკოსი გვ 86-175 თბილისი 1936წ) აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით, ბუქლოოსი მისიმიან-ალანეთის საზღვარზე მდებარე ციხეა, მისიმიანელთა კუთვნილი და რომაელ- მისიმიანთა ომის მიზეზი.მაგრამ:

„უფალი ამბა ანასტასი და ამ წერილის დამწერი შესხეს ცხენებზე და ასე გაამგ-ზავრეს და ჩაამწყვდიეს: პირველი აბაზგების მახლობლად ერთ ციხეში, რომ-ელსაც სკოტორი (10) ეწოდება, ხოლო მეორე სხვა ციხეში, ზემოთხსენებულ ალ-ანთა საზღვრებში რომ მდებარეობს და ბუკოლესი რომ ეწოდება''(გეორგიკა, წიგნიIV-1 თეოდოსი განგრელი ,გვ 42 თბილისი 1941წ)

ცხადია ბუკოლესი და ბუქლოოსი ერთი და იგივე ციხეა და ამ მომენტის-ათვის უკვე ალანიისათვის გადაცემულია, მის საზღვრებში იმყოფება..

სკვიმნია-ლეჩხუმი და რაჭა

სკვიმნიის (ლეჩხუმი) თემი და მისიმიანეთი ერთდროულად VI საუკუნ-ის დამდეგს ხვდებიან რომაელი ისტორიკოსების თვალთახედვის არეში და ის-ტორიის ფურცლებზე.პირველად მას პროკოპი კესარიელი ახსენებს (გეორგიკა, ტომიII, გვ 197 თბილისი 1965წ). მოგვიანებით, წმინდა მაქსიმეს გადასახლებას-თან დაკავშირებით ნახსენებია ციხე თაკვრია, რომელიც უცილობლად სკვიმნიაშია საგულისხმებელი:

„ის (წაიყვანეს) სვანეთის ციხეში, ხოლო მე ეგრეთ წოდებულ თაკვრიის ციხეში, აბაზგიის მახლობლად''(11) (იქვე, გვ43).

თაკვერი-ეს შუა საუკუნეების საქართველოს საფეოდალოა, დღეს ლეჩხუ-მად ცნობილი. ციხე თაკვრიის ხსენება გვიჩვენებს, რომ აქ არსებობს საფორტ-იფიკაციო ნაგებობა, მისი თანმხლები ყველა ატრიბუტიკით. აქ უნდა არსებობ-დეს საფეოდალოც, რომლიც მხოლოდ სკვიმნიის კუთვნილება შეიძლება იყოს. სკვიმნიაში, რომელიც ლაზიკის დაქვემდებარებაშა, ისევე როგორც სვანია თუ აფსილია, მოსახლეობის გადადინება ერთი მხრიდან მეორეში, ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს. ამ მიმართულებით სათანადო ყურადღება არაა მიქცეუ-ლი „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხობის დიდ დავთარში“ხოირში, მდებარე მდინარე ბზიფის ზემო წელში (ხოლო XVIIIსაუკუნის დასაწყისიდან მისიმან ეთშიც) გავრცელებულ გვარზე ლასურიაზე , რომელთა წარმომადგენლებიც დღეს აფხაზობენ. სავარაუდოა, რომ ზუსტად ამ გვარმა მიცაცა დასაბამი სკვიმ-ნიის ლეჩხუმად გადაქცევის პროცესს, რაც ამ უკანასკნელში სოფელ ლასურია-შის არსებობით მტკიცდება. სიტყვა ლასურიაში კ უთვნილებით ფორმას წარმ-ოადგენს, მიანიშნებს რომ დასახლებული პუნტი ეკუთვნის ლასურიებს, თუმცა აბაზგეთისაგან განსხვავებით, ამ გვარის ადამიანები იქ არ ფიქსირდებიან. დავ-ესესხოთ ცნობლ ქართველ მეცნიერს, გ. ჩიტაიას, მისი თვალსაზრისით, წარმა-რთულ საქართველოში თევზის კულტი არსებობდა:

„ქართლში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით: სათევზაოდ რომ წავიდო-დით, ვიტყოდით- ღმერთო და ლასას მადლო, დაგვაჭერინე და პირველად შენ

დაგიკლავთ თევზსო. მართლაც რომ დავიჭერდით, კარგ თევზს ამოვარჩევდით და ლასას შესანდობარს დავლევდით.“ (შინამრეწველობა, M-2 მეთევზეობა, ხელნაწერების საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ისტორიის ინსტიტუტი. ეთნოგრაფიის განყოფილება გვ18-19)

ცხადია, ლასი-ლასა აქ თევზის, თევზთა წინამძღოლის სინონიმია. ლასი- (ჩხომი, ჩხუმი) თევზი, თევზთა წინამძღოლი, ლეჩხუმი- სათევზე. მართალია ლეჩხუმი მთიანი მხარეა და თევზის მრავალფეროვნებით ვერც დაიკვეხნის, მაგრამ როგორც დასახელება გვიჩვენებს, აქ ლასურიები- თევზები ცხოვრობენ. ლასურია-ეს გვარი აქ მთელ რიგ სახელწარმომქმნელად გვევლინება. ისევე როგორც კოლი ჩანს კოლ-ხის ფუძეში, ლასი, ლას-ხის მწარმებელ სიტყვად გვევლინება. ზუსტად ასე ჩანს ამ კუთხის არქაული სახელი, ლაშხეთი ჩამოყალიბებული. ამავე გვარის მატარებელი ჩანს ვახუშტისთან ოდიოზური ფიგურა, ავისმოქმედი და რისკიანი პიროვნება, ხოსია ლაშხი. ლასი-ლაშხი, -ლასხიშვილი- ასე ჩანს ამ გვარის ჩამოყალიბების ისტორია, რომელიც ერთ პერიოდში ამ რეგიონის სუზერენიც კი იყო.

აშკარაა, რომ მოსახლეობის მიგრაციას სპონტანური ხასიათი ვერ ექნებოდა, მოსახლეობა თავისი სუზერენის ხელმძღვანელობით გადადის ახალ საცხოვრებელ ადგილას და მკვიდრდება იქ. უჯერო არაა გავიხსენოთ, რომ მოსინეკთა ტომი ქსენოფონტეს მიხედვით ორ თემად, ორ მოწინაარმდეგე ბანაკად არის გაყოფილი. სავარაუდოა, რომ მოსინეკთა ერთ-ერთი თემი ლეჩხუმია, საერთო სამშობლოდან ჩამოსახლებული ლასურიები.

რაც შეეხება რაჭის საერისთავოს, ქართული ისტორიული წყაროები ფაქტიურად დუმან ამ საფეოდალოს წარმოქმნის წინარე პირობებისა და დროის შესახებ...და ვინ შეიძლება ყოფილიყო რაჭის ერისთავი, რომლის აღზევებამ სკვიმნიის (ლეჩხუმის) საერისთავოს დაკნინება გამოიწვია კიდეც? ქართულ ისტორიაში დამკვიდრებული (დაუმტკიცებელი) შეხედულებებით, რაჭა ლიპარიტის შვილის, რატის სამკვიდრო ყოფილა. მთელი მტკიცებულება ემყარება იმას, რომ ტერმინი რაჭა ვითომდა წარმომდგარია სიტყვა რატა-დან, რაც რატის საკუთრებას ნიშნავს, ხოლო რატი-ეს ბაღვაშთა საგვარეულო სახელია!

როგორც ირკვევა, თავად ლიპარიტ ბაღვაშის სამფლობელო იყო:ატენის ციხე, თრიალეთი, მანგლისი და სკორეთი. ქართული ისტორიული ვერსიით, ლიპარიტ ბაღვაში, დასავლელი ფეოდალი, მფლობელი არგვეთისა, იმერეთიდან აღმოსავლეთში იქნა განდევნილი: ლეონტი მროველის მიხედვით, არგვეთი მოიცავდა დღევანდელ ხარაგაულის, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლას, ბაღდათს და ჭიათურის რაიონებს. უცნაურია მტკიცება, რომ დასავლეთიდან გამოძევებული დიდთავადის შვილს, რატის, სამემკვიდროდ რაჭა უბოძეს, როცა ეს გვარი თითქმის თავისი არსებობის მანძილზე მხოლოდ ასუსტებდა ცენ-

ტრალურ ხელისუფლებას.(ბაღვაშთა გვარი დამატებითი კვლევის საგანია, რომელიც ამ წიგნის თემა ვერ იქნება)

ყურადღებას იქცევს ერთი ქართველი დიდებული, მართლაც ბუმბერაზი პიროვნება, იოანე მარუშის ძე. მართალია მის ღვაწლს მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილი, თუმცა ვფიქრობთ ის იმსახურებს უფრო რელიეფურ წარმოჩენას. საქართველოს ტერიტორიების დაქუცმაცებულობის დროს, მოიძებნა პიროვნება, რომელმაც ფაქტიურად ყოველგვარი ანგარების გარეშე საქართველოს გაერთიანების იდეა ჩაიფიქრა. მან ბაგრატი, შემდგომ ბაგრატ მესამედ წოდებული, ტაოს უშვილო მეფის, დავით კუროპალატის მემკვიდრედ ჩაიფიქრა. საინტერესოა მემატიანის დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი. აი როგორ აღწერს მას:

„სწორედ ამიტომაც იოანე მარუშის ძე ეძებდა მეფედ ბაგრატსა" (მატიანე ქართლისაი)

აქ ჩანს იოანე მარუშის ძის ფაქიზი დამოკიდებულება საკითხისადმი. მემატიანის სიტყვებით იგი კი არ სთავაზობს დავით კუროპალატს მემკვიდრეს, არამედ ეძებს მეფედ ბაგრატს. როცა მძლავრი მეფის, დავით კუროპალატის მიერ მოწონებული იქნა ეს წინადადება და კახელებმა უომრად დაიხიეს უკან, დავით კუროპალატი მოვიდა და ქვახვრელთან დადგა, იოანე მარუშის ძემ კახური გარნიზონისაგან დაცლილი ციხე **გადასცა** მას. აქ უკვე იოანე მარუშის ძე უფრო გაბედულად მოქმედებს, მისი იდეა იმარჯვებს და ციხეს უკვე როგორც გამარჯვებული გადასცემს მეფეს. იოანე მარუშის ძის გეგმა, რომ ბაგრატი გაერთიანებული საქართველოს მეფე გამხდარიყო, მალე ასრულდა. ბაგრატის უსინათლო ბიძას, აფხაზეთის მეფე თეოდოსის საქმეები აეწეწა და როგორც მემატიანე გვამცნობს:

„ინება რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა“ (იქვე)

ბაგრატის აფხაზეთში გამეფების საკითხს უკვე იოანე მარუშის ძე **წყვეტს** კიდეც, რაც აშკარად მიანიშნებს მის მიკუთვნებულობას აფხაზეთის პოლიტიკური ელიტისადმი. აფხაზეთისა, რომლის საზღვარი იმ დროისათვის ლიხის ქედზე გადიოდა. ქართული საისტორიო წყაროები გაკვრით მიანიშნებენ, რომ იოანე მარუშის ძე დასავლეთ საქართველოს ფეოდალია, აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსული, თუმცა არც ერთი წყარო არ უთითებს სახელდობრ რომელი მამულის მფლობელი იყო იგი. ერთადერთი საფეოდალო, რომლის მიკუთვნებულობაც არა ჩანს, ეს რაჭის საერისთავოა, რომლის ხსენება საქართველოს ისტორიაში გვიანი შუა საუკუნეებიდან იწყება. ყველა ნიშნით რაჭის საერისთავო იოანე მარუშის ძის სამემკვიდრეო ჩანს(12). მიზეზი მოსინეკთა დიდი ნაწილის გადასახლებისა მეათე საუკუნეში ახალი, რაჭის საერისთავოს წარმოქმნა უნდა იყოს. რაჭის ერისთავის, იოანე მარუშის ძის ჯილდო, გაერთიანებული

საქართველოა! ტომით ქართველს, თემით მარს- აბასკს ქართულ ისტორიაში, ერთიანი საქართველოს წინაშე უზარმაზარი დამსახურების მიუხედავად ჯილდოები არ მიუღია (არც მოუთხოვია), მისი ჯილდო ერთიანი და ძლიერი საქართველო იყო. ზვიად მარუშის ძე, სავარაუდოდ იოანეს შთამომავალი, ბაგრატ მესამის შვილის, გიორგი პირველის ამირსპასალარი ხდება. ეს მან ჩამოასვენა და დაკრძალა ქუთაისში უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა მეფე.

მოსინეკთა გადაადგილების ერთ ერთი საბუთი სვანური კოშკები უნდა იყოს, რომელიც მოსინეკთა ხის კოშკების უკვე ქვის ასლს წარმოადგენს (13). ხის ხუროობით-დურგლობით ოდითგანვე ცნობილი მხარე რაჭა იყო საქართველოში.

რაც შეეხება 1704 წლის ჟამიანობას ხოირში (სავარაუდოდ ეს დასახელება იმ დროისთვის ჯერ კიდევ მხოლოდ ბზიფის ხეობას უნდა შეეხებოდეს) რომელმაც ყვაპუს (14) სიტყვებით ხოირი მთლიანად გაწყვიტა, და მხოლოდ ერთი მოსახლე გადარჩა , ბოლომდე სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ამის საბუთი მარშანიათა არსებული გვარია. (მარშანიათა გვარის ისტორია დამატებით კვლევას მოითხოვს. ეს აფხაზეთის მასშტაბით მძლავრი გვარი ადგილგადანაცვლებული ჩანს, მარშანიებმა მთებს და პირიქითა კავკასიონს შეაფარეს თავი, სავარაუდოდ მისიმიანეთსაც, გარკვეული დროით, შეიძლება წლებითაც კი,) ამ თემთან დაკავშირებული გვარებია: მარშანია, მარშავა, მარღანია... საყურადღებოა, რომ ყველაზე შორეული დასახლება ქალაქ ტყვარჩელში, აკარმარაა. ყველა ქართველურ დიალექტზე. ეს სიტყვა მარების კარს ნიშნავს. მარების და მოსინეკების ტომების ასიმალაციის შედეგი ჩანს გვარი ხორავაც, რომელთა გვარი პირდაპირ აჩვენებს მათ დამოკიდებულებას ხოირზე.(15) საინტერესოა, რომ ამ გვარის ადგილობრივი სლენგი ხვარაა.

ხოირელი საეკლესიო გლეხების გვარებია: ჩაგუა, ლასურია, მუზურგია, ქუნია, ჯიტავა, გრიგოლია, ჯიქია, ბიჭვაია, დამკოჩია, ამბალია, კ კუა, ქურია, კოსატაია, გამკერელია, ხერგუა. საყურადღებოა ზემო სვანეთში დამკვიდრებული არცთუ ისე მრავალრიცხოვანი გვარები, ხერგიანი და ხორგუანი. შესაძლოა ისინი ხოირელ ხერგუათა შთამომავლებია, ჟამიანობას გამორიდებული 1704 წელს (ასევე მარგიანებიც). უაღრესად საინტერესოა კაკუა- კაკუბა- კაკუბავათა გვარის ისტორია. კაკუა, როგორც გვარი, დაფიქსირებულია ხოირში, (უთუოდ დღევანდელი გაგრის მახლობლად) აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში. ხოირელთა დაქვეითებისა და აბაზგთა ზეობის პერიოდში გვარი კაკუბა-დ ჩანს შეცვლილი (დამატებული აქვს თურქულენოვანი დაბოლოება ბაი, საკუთრივ აფხაზური შეკვეცილი ბოლო ხმოვანით). დროთა განმავლობაში, სოციალური უფლებების გათანასწორების შემდეგ,დართული აქვს მეგრული და-

ბოლოება ვა. მიღებულია სამმაგი გვარი კაკუბავა, ზუსტად ისევე, როგორც ეს ტრაპიზუნტულ ვარიანტშია, მაგალითად ჭანი-ხი-ტი-სი.

უნიკალურ ფაქტს აქვს ადგილი გალისა და წალენჯიხის მიმდებარე რაიონებში, შესაბამისად სოფლებს ღუმურიშსა და მუჟავაში, კაკუბავებსა და არქანიებს შორის. მათ კოლექტიურ მახსოვრობას შემონახული აქვს გადმოცემა, რომ კაკუბავათა თემი, გზააბნეული მთებში და მომწყვდეული მითიურ გვირაბში გაუვალ ადგილას, იხსნა არქანიათა თემის წარმომადგენელმა. დღესაც კი, ხუთ წელიწადში ერთხელ, კაკუბავათა გვარს არა ნაკლებ ხუთ წლიანი ხარი ჩაყავთ სოფელ ღუმურიშიდან სოფელ მუჟავაში რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, იკვლება საკლავი და იმართება საერთო ქეიფი. უკვე რამდენიმე ათეული ხარია შეწირული უძველეს აღთქმას. კოლექტურ მეხსიერებას დამახინჯებულად აქვს შემონახული კაკუბავათა ჟამს გამორიდებული თემის შეფარება არქანიათა თემის მიერ 1704 წელს. რასაკვირველია მთელი თემით კაკუბავები გაჭირვებას, ჟამიანობას უნდა გაქცეოდნენ და არა სოკოს სამებრად ჩანან გაუვალ მთებს შეხიზნული.... და კიდევ, ნაჟანეულელი კაკუბავების მეზობლები ჩანან არქანიებიც, რომლებიც ამ პერიოდისათვის იმავე ჩელების მიხედვით, ხოსტა- სოჭის მონაკვეთზე ცხოვრობდნენ. თავისთავად გასაგებია ის უდიდესი რისკი, რომელიც ამ უკანასკნელთა თემმა გასწია ჟამს გამოქცეული ხიზნების მიღებისას.

რა სიტუაციაა1704 წლის შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიაზე? პირველი ცნობა 1772 წელს ეკუთვნის გერმანელ ორიენტალისტს და მეცნიერს გიულდენშტედტს. მეცნიერის სიტყვებით, მას იმერეთში ხონის დასავლეთით ფეხიც არ დაუდგამს და ისტორიული ცნობები სამეგრელოსა და აფხაზეთზე აქვე, ხონის ბაზრობაზე შემხვედრი მეგრელი მოვაჭრეებისაგან აქვს ჩაწერილი. ცხადია, გიულდენშტედის ჩანაწერები აფხაზეთზე ისტორიული თვალსაზრისით პრობლემატური ჩანს და განსაკუთრებით მას ხოირისათვის არაფერი მოეპოვება.

ქართველი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი მონაწილეობდა ეგრეთ წოდებულ რუხის ბრძოლაში, რომელშიაც აფხაზეთის გაერთიანებული ლაშქარი და ასევე სამეგრელო- იმერეთის გაერთიანებული ჯარი დაუპირისპირდა ერთმანეთს, 1779 წელს მდინარე ენგურთან. აგრესორის, დამპყრობელის როლში აფხაზეთი გამოდიოდა და როგორც წესი, ბრძოლა მოწინააღმდეგის, შესაბამისად სამეგრელოს ტერიტორიაზე, მდინარე ენგურთან გაიმართა და არა ღალიძგაზე, მოქვზე ან კოდორზე.

''ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანთა, კერმუგთა ამცნეს ცნობითა
ყივჩაღთა შემოიწვევდნენ, ინდობდნენ სჯულის ძმობითა
აფხაზნი შეეფიფიცოდნენ, ქრთამით და ეგრევ ძღვენითა

და მეგრელთ სისხლი სწყუროდათ, თუმცა შეესვათ გობითა''

ამ ექვს ენაზე მოსაუბრე ჯარის, როგორც ბესიკი ახასიათებს, გაშიფრვაც შესაძლებელი ჩანს:

1.ყირიმელები-აქ უდავოდ ყირიმელი თათრები-ნოღაელები იგულისხმება, რომელთა არა მცირე რაოდენობა ჩანს დაფიქსირებული სხვადასხვა წყაროებში სოხუმის მიდამოებში

2.ჯიქელნი-ეს ზიხებია, რომლითაც მთელი შავი ზღვისპირეთის ჩრდილო სანაპიროა დასახლებული. რასაკვირველია, მათ რიცხვში უპირველეს ყოვლისა ხოირელებიც მოიაზრებიან, უახლოესი მეზობლები აბაზგებისა.

3.ალანები-დასავლეთ საართველოში მე-18-ე საუკუნის მეოთხე მეოთხედისათვის ოსთა ლაშქარის გამოჩენა გამორიცხულია, ისინი ჩრდილო კავკასიაშიც განიცდიან შევიწროებას და ქართველ ფეოდალებს სთხოვენ ქედის სამხრეთით ჩასახლებას. აქ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი, ასევე ბესიკიც ცდება-ევლია ჩელების მიერ არლანად მონათლული აბაზგი მას ალანში ერევა.

4.კემურგები-ეს რასაკვირველია დამახინჯებული სიტყვაა და ჭანთა-სინამდვილეში ლაზთა ამ ტომს ჰენიოხი ერქვა,შემდეგი სანიგი, ჩანდი, რომელიც გაგრასა ბიჭვინთასა და ხოსტას შორის ცხოვრობდა. 1704 წლის ჟამიანობას გარიდებული, დასახლდა მაიკოპის ახლოს და ორმაგ დასახელებას კემგუის და თემირგოის ატარებს, ხალიბყოფილი..

5.ყივჩაღები-ეს ტომი ასე დიდი ხანია უკვე აღარ იწოდება, ბესიკი სავარაუდოდ ალბათ ყირიმელ თათრებს ახსენებს, ნამდვილად ნაყივჩაღარებს და დღევანდელობაში ყირიმელ თათრებად მონათლულები.

6.აფხაზები- ამ ტერმინის ქვეშ სავარაუდოდ უბიხები იგულისხმება, ასევე აბზოის ტომი და სადაშები იგულისხმება, რომელთა ომში მონაწილეობა უბრალოდ აქსიომაა.

მიუხედავად დიდი მასშტაბისა და რეზონანსისა, ეს ბრძოლა საბოლოოდ მაინც სამთავროთა შორის ომად უნდა შეფასდეს, თუმცა საქართველოს ისტორია მას თურქ-აფხაზთა შეთქმულებად აფასებს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV გვ 665 თბილისი 1973წ, სცია ფ1448, ს3412)

შემდეგი პიროვნება, ვისაც ჩვენთვის საინტერესო კუთხესთან შეხება ჰქონია, ეს ჟან ფრანსუა გამბაა 1826წ. იგი საკმაოდ ზუსტად აღწერს აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარს, თუმცა ეს საკითხი ამ თავის თემა არაა. აღმოსავლეთით მას აღნიშნული აქვს ცებელი(წებელდა) საკმაოდ მაღლა მთებში. საინტერესოა ფრანგი მოგზაურის თვალით დანახული აფხაზეთისა და სამეგრელოს შეხების წერტილები:

„სამეგრელო იყოფა სამ პროვინციად, პირველი-საკუთრივ სამეგრელო, წოდებული ოდიშად, მეორე-პროვინცია ლეჩხუმი, მესამე პროვინცია სამეგრელოსი. გადაჭიმულია ჩრდილოეთ კოდორის კონცხამდე და საზღვრად ითვლება თანამოსახელე კორაქსი ძველი ავტორებისა, აღმოსავლეთით ცებელი, საკმაოდ მაღალი მთები. ეს პროვინცია იწოდება აგრეთვე სამურზაყანო და აფხაზეთად . ეს არის დადიანების ქვეყნის ნაწილი , მაგრამ შეიძლება ითქვას არ ემორჩილება არც ერთ ხელისუფლებას. აქ იშვიათად ნახავ დამუშავებულ მიწას და საერთოდ არ არის მოსახლეობა. ეს ნამდვილი უდაბნოა, გამოცხადებული თავდაცვის საშუალებად და გამოიყენება ბარიერად აფხაზებსა და მეგრელებს შორის.''

(ჟან ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში 1826წელი)

საგულისხმოა, რომ გამბა წებელდას სამეგრელოს არ მიაკუთვნებს, თუმცა არც აფხაზეთისადმი მისი მიკუთვნებულობაა ხაზგასმული. რაც შეეხება სამურზაყანოს ნეიტრალურ ტერიტორიას (და მაინც დადიანების ქვეყანად ცნობილი) მისი დასავლეთი საზღვარი მდინარე კოდორი ჩანს, ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ღალიძგასა და მოქვზე გადის, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს (და რომელიც მეცნიერებს, მათ შორის ქართველებს არასწორად აქვთ ინტერპრეტირებული, ეგრის წყალს- ღალიძგას, მდინარე ენგურად თვლიან)

საკმაოდ ამომწურავი ცნობები მოიპოვება რუსი ისტორიოგრაფების, ბუტკოვის, დუბროვინის და პოტტოს ნაშრომებში. ამ კერძო შემთხვევაში ხოირს (უკვე ბზიფის და დალის ხეობასაც) შევეხებით მხოლოდ:

„წებელდელები ანუ ზამბალები, მცხოვრებნი აფხაზეთის ზემოთ, მთის ზეგანზე, მდინარე კოდორის ზემო წელსა და უპირატესად დალის ხეობაში. ჩერქეზები ეძახიან წებელდელებს ხირპიტ-კუაჯს. ყველაზე ჩრდილოეთით განლაგებული არიან ბარაკაი (ან ბრაკიი) მცხოვრებნი მთებში მდინარე გუაპსს ზემო წელსა და მდინარე ბელაია (სხაგუაში) და ხაგურს (ხოოძი) შორის ჩამდინარე მდინარე ლაბაში.ეს თემი არაა მრავალრიცხოვანი, შედგება არა უმეტეს 1250 მცხოვრებისაგან. ის გაყოფილი იყო ორ თავადურ გვარს შორის. ბარაკაელებისაგან სამხრეთით, მდინარე ხაგურს ძემო წელში, მთა აშიშბაგის ფეხქვეშ, ცხოვრობდა თემი ბაგი, რომელნიც ცხოვრობდნენ ერთ აულში 600 სული მოსახლე. მათ გვერდით, პატარა ლაბის ზემო წელში, ცხოვრობდა ტომი ტაგარაი, ხოლო უფრო აღმოსავლეთით, დიდი ლაბის ზემო წელში, ყოფილი ახმეტოვსკის სამმართველოს ზემოთ, მუხლი ტამი. პირველის რაოდენობა, 600 სული იყო და უზდენი შოკუმის ხელქვეითები იყვნენ, ხოლო მეორე რაოდენობით 550 სული, ემორჩილებოდნენ უზდენ ზაურ-იფას. ამ ორი მუხლის სამხრეთით, მდინარეებს დიდსა დ ა პატარა ლაბას შორის, ცხოვრობდა 500 სული კაზილბეკები (ანუ ყაზბეგ კუაჯე) რომელთა შორის ბატონობდა მარშანიას გვარი. სამხრეთ-აღმო-

სავლეთით მდინარე ურუპსა და ზელენჩუკს ზემო წელში, ცხოვრობდნენ ბაშილბეები, ისინი მარშანიებს ემორჩილებოდნენ და მათი რიცხვი არ აჭარბებდა 1800 სულს. და ბოლოს, აბაზინელებს ეკუთვნოდათ ბასხოგთა ტომი, გაფანტული ცალკეულ აულებად და ცნობილი თათრებისაგან სახელით ალტი-ქესეკი (ექვსთემიანები). ეს ხალხი მართლაც შედგებოდა ექვსი თემისაგან, თავიანთი მმართველების განკარგულებაში: ბიბარი, ლოო, დუდარუკი, კიაში, ჯანტემირი და კლიში. ბიბეროვების აული არსებობდა ურუპზე 1829 წლამდე, როცა ის მთლიანად დანგრეულ იქნა რუსის ჯარის მიერ და მცხოვრებლები გადმოსახლდნენ ჩვენს საზღვრებში. ლოოს აული განლაგებული იყო ყუბანის მარჯვენა მხარეზე, მდინარე კუმის ახლოს. დუდარუკოები- ყუბანის მარცხენა მხარეზე, ბატალფაშინსკის სტანიცის პირდაპირ. კლიში- მდინარე პატარა ზელენჩუკზე, კანტემიროვის აული და კიაში, მდინარე კუმზე, მცირე უბნებით თვით კისლოვოდსკის ციხემდე. ბაშილბაი, ტამი, კაზილბეკი. ბაგი, ბარაკაი და ბასხოგი სხვადასხვა ჩერქეზ მთავრებზე იყვნენ დამოკიდებული და უხდიდნენ მათ ხარკს. გახადეს რა ისინი თავიანთ მეხარკეებად, ჩერქეზი მთავრები არ სცნობდნენ ამ თემების მთავრებს , უარს ეუბნებოდნენ მათ ამ ტიტულზე.“

'(история войны и владычество русских на кавказе Н. Дубровин. том 1 книга 2 ст2-3 1871-1888г)

უნდა ითქვას, რომ წიგნის ავტორი, როგორც სამხედრო პიროვნება, სარგებლობს იმ მდიდარი რუსული სამხედრო არქივით, რომელიც დაუგროვდა რუსეთის მთავრობას 1780 წლიდან მოყოლებული. შეთანხმებული ვერსიით (რუსული, ქართული და აფხაზური) მთიანი აფხაზეთი სამ ერთეულად არის დაყოფილი: წებელდა, დალი და ფსხუ, მდინარეების, კოდორისა და ბზიფის ზემო წელში.ყველა წყაროების მიხედვით, სამივე ამ ერთეულის გამგებელი თავადთა გვარი მარშანიაა. მარშანიების (და არა მარტო მათი) გვარის პირად ვერსიებსა და პრეტენზიაზე იტალიელობაზე უკვე ვილაპარაკეთ და აღარ გავიმეორებთ. სიმპტომატურია რუსი გენერლის და მწერლის, დუბროვინის მტკიცება, რომ ჩერქეზმა მთავრებმა ისინი დაიმორჩილეს და მეხარკეებად გაიხადეს. საყურადღებოა რომ მათ აფხაზებსაც კი არ უწოდებენ არამედ წებელდელებს, ზამბალებს და ამ სახელებით გამოჰყოფდნენ ძირძველი (მათი აზრით) აფხაზებისაგან.

რა შეიძლება იყოს მიზეზი ჩერქეზების მიერ მარშანიათა თავადური გვარის იგნორირებისა? უპირველეს ყოვლისა განვსაზღვროთ, სავარაუდოდ რომელი ჩერქეზები იგნორირებენ მარშანიებს, როგორც თავადებს. მარშანიათა სამფლობელოების ფიზიკური მდებარეობა გვიჩვენებს,რომ მათი ტერიტორიები ფაქტიურად ესაზღვრება ქედსგადაღმა ყაბარდოელების ტერიტორიებს და თითქმის არავითარი შეხება არა აქვთ ადიღეველებთან. ცხადია მარშანიების სამ-

ფლობელოები ყაბარდოელი თავადების მიერაა დახარკული და მათივე მიერ ხდება ამ გვარის იგნორირება, როგორც თავადური გვარისა.

მოსაზრება, რომ მარშანიების ეს თავადური გვარი, ხიზნის (ასასის) უფლებებით იმყოფება შერვაშიძეებთან, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ შეეფერება. ვერსია სათავეს ქართული წარმოშობის აბაზგი ისტორიკოსის ნაშრომიდან გამომდინარეობს:

„სხვა დანარჩენი თავადები (მარშანიები, ჩაბალურხვები, ემუხვარები) ცხოვრობდნენ საუფლისწულოს სხვადასხვა სოფლებში, ფეოდალური კომენდაციის საფუძველზე ასასის (სტუმრის)უფლებებით, ე.ი.მათ არ ჰქონდათ პირად საკუთრებაში მიწა და არც გლეხები ჰყავდათ''

(კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. . ზ. ანჩაბაძე. მსხვილი ფეოდალური სენიორის სოციალურ- პოლიტიკური ევოლუცია მე-19-ე საუკუნის აფხაზეთში)

ის რომ თითო- ოროლა თავადი ცალკეული თავადი (მარშანია თუ ემუხვარი-ეს უკანასკნელი ხოის თემის თავადი ჩანს) შემოკედლებული შერვაშიძეთა ერთ-ერთ შტოსთან, არა და ვერ ნიშნავს, რომ ამ თავადურ გვარებს დაკარგული აქვს საკუთარი (მიწა) თავადური უფლებები. სავარაუდოდ ამ ერთეულ თავადებს გააჩნდათ წონადი საფუძველი საკუთარი ადგილ- მამულის დატოვებისა. ის, რომ მარშანიები (სავარაუდოდ ემუხვარებიც) ინარჩუნებენ უზენაეს უფლებებს საკუთარ სამფლობელოებზე, ბზიფის და კოდორის ზემო წელში) აშკარად და რელიეფურად ჩანს იმავე რუსი გენერლის, დუბროვინის ნაწარმოებში, ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტშიც კი. უფრო მეტიც, იმავე ანჩაბაძის ამავე ნაშრომშიც:

„კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო ყმა გლეხების გაქცევა ფსხუში, ახჩიფსხუში, დალსა და წებელდაში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა უფრო სუსტად იყო განვითარებული'' (იქვე)

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა რეგიონი მარშანიების (და სავარაუდოდ იმავე ემუხვარების) სამფლობელოებია! თავად ისტორიკოს ანჩაბაძის სიტყვებიდან გამომდინარე, ამ რეგიონებში შერვაშიძეთა ძალაუფლება არ და ვერ ვრცელდებოდა, იმ დონეზეც კი, რომ გაქცეული ყმა დაებრუნებინა!

რა შეიძლება იყოს მიზეზი ჩერქეზთა (ყაბარდოელთა) მიერ მარშანიების თავადური გვარის იგნორირებისა?

1.უპირველესი მიზეზი მარშანიათა საგვარეულოს დამცრობისა, იმავე ოდიოზური ფიგურის, აფხაზეთის მთავრის ყვაპუს სიტყვებში უნდა ვეძებოთ, რომ ჟამისაგან საკათალიკოსო სოფელი ხირი ჟამმა ამოწყვიტა. მართლაც, ხირის ამოწყვეტიდან 160 წლის შემდეგაც, 1865 წლის სტატისტიკის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა ოლქების მიხედვით ასეთი იყო:

სოხუმის ოლქი 2826 მოსახლე 16475 სული

ბზიფი 3726 მოსახლე 20090 სული (გუდაუთითურთ)
აბჟუა 5049 მოსახლე 32182 სული
წებელდის საპრისტავო 1436 მოსახლე 10443 სული
მართალია ჟამისაგან ხოირელები, წებელდელები მთლიანად არ ამოწყვეტილ-ან, მაგრამ მძიმედ დაზარალებულნი ჩანან. ყმა გლეხების მცირერიცხოვნობა, აი ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც შესაძლოა მარშანიათა გვარის თავადობა ყაბარ-დოელ დიდთავადთა თვალში საეჭვო შეიძლება ჩანდეს.
2.მეორე მიზეზი ამ გვარის(სავარაუდიდ ნაწილის) დამცრობისა ყაბარდოელთა თვალში, იმავე დუბროვინის ნაწერებშია საძიებელი. მდინარე ლაბა, სადაც ის მარშანიათა სამფლობელოების ნაწილს აღწერს, უკვე კავკასიის ქედს გადაღმა მიედინება და შესაბამისად ხსენებული ოლქებიც იმიერ კავკასიაა, რომელზედ-აც საფუძვლიანი მფლობელობის პრეტენზია ყაბარდოელ თავადებს გააჩნდათ. დიდი ალბათობით, 1704 წელს ჟამიანობას გარიდებული ხოირელთა ნაწილი, გუდაუთა-გარგას შორის მცხოვრებნი, საკუთარ თავადებთან ერთად აქ აფარებ-დნენ თავს, სადაც დარჩნენ კიდეც. რასაკვირველია, ყაბარდოელ ფეოდალებს სრული და კანონიერი უფლება ჰქონდათ, მათ ტერიტორიაზე ჩამოსახლებული უცხო ტომიდან ხარკი მოეთხოვათ და როგორც დუბროვინი წერს, ითხოვდნენ კიდეც. რასაკვირველია, დახარკული მოსახლეობის თავადს ისინი უკვე თავის ტოლად ვერ და არ თვლიან. (როგორც ბოლო კვლევებით ირკვევა, ასევე არსებ-ობს გარკვეული მიზეზი , რის გამოც ყაბარდოელი თავადები მარშანიათა გვა-რის თავადობას იგნორირებენ. საკითხი სცილდება სცილდება განხილულ ფო-რმატს და განხილულ იქნება წიგნის II ტომში)
3.რაც შეეხება მისიმიანეთის დალისა და წებელდის ნაწილს, აქ არამცთუ ყაბარ-დოს თავადებს, შარვაშიძესაც კი არავითარი (თუ ვერავითარი) პრეტენზია არ უჩანს. სავარაუდოდ ჟამიანობასხოირელები ისინი ქლუხორის უღელტეხილი-საკენ გაერიდნენ, თავიანთსავე ტერიტორიაზე.
4.უნდა აღინიშნოს ის პატრონყმური ურთიერთობის განსხვავებული სახე, რომ-ელსაც თავად ანჩაბაძეც აღნიშნავს: სავარაუდოა, რომ იქაური გლეხების თავა-დისადმი დაქვემდებარებულობა, ამ უკანასკნელის მამულში ბეგარის სახით გა-რკვეული დროით მუშაობა წარმოადგენს მხოლოდ და არავითარ გადასახადს არ იხდის (ისევე როგორც არქაულ პერიოდში თავისუფალი მეთემე)

დასასრულს, მისიმიანთა მესაზღვრე ტომის დასახასიათებლად რამდე-ნიმე შტრიხი:
1.მისიმიანეთი, ხოირი, ისეთ მძავრ მოწინააღმდეგესთანაც კი, როგორიც რომია, ლაზიკის მეფისაგან დამოუკიდებლად წყვეტს ომისა თუ მშვიდობის საკითხს.
2.დამოუკიდებელი ჩანს იგი ისეთი მოკავშირის ძიებისას, როგორიც სპარსეთის იმპერიაა.

3.დამოუკიდებლად იცავს კავკასიის უღელტეხილებს, მარუხს,ქლუხორს, სავარაუდოდ სანჭაროსაც.

რაც შეეხება საკუთრივ თავადურ გვარს, მარშანიებს:

1. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ არ სცნობს სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის სუზერენობას და ებრძვის კიდეც მას ბზიფის წყალზე.

2.1810 წელს არ სცნეს აფხაზეთის მთავრის, გიორგი შერვაშიძის ხელისუფლება

3.ამავე წელს კუთხე არ შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ .

4.რუსების შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე გამოჩენის შემდეგ, პერმანენტული ბრძოლა ჰქონდათ მათთან.

8. საბოლოოდ, რუსეთთან ბრძოლაში დამარცხებულნი, მთელი აფხაზეთის მთიანეთი, ხოირელები, რუსეთისვე ძალდატანებით, გადასახლდა თურქეთში. ამ რეგიონში სულ 87 სული ჩანს დარჩენილი...

რეზიუმე: საქართველოს ამ უძველესი კუთხის, მისიმიანეთის ისტორია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: მისიმიანეთი, აფხაზეთის ეს მთიანეთი, დასახლებული ქართველური ტომებით, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰეკატე მილეტელი აღწერს, ჩ.წ. აღრიცხვამდე მე-6-ე საუკუნეს, მცხოვრებნი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ისინი გაერთიანებული ჩანან მონათესავე ტომთან, მაკრონებთან. მათთანვე ერთად მიგრირდებიან ჩრდილო კავკასიაში, კასაპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. აქ ხვდება მათი პოლიტიკური წარმონაქმნი ალექსანდრე მაკედონელს პაროპამისელთა სახელით და აქედანვე გადმოდიან საქართველოს მთიანეთში საცხოვრებლად ქართველთა პირველი მეფის, ფარნავაზის შვილის, საურმაგის მოწვევით. მოგვიანებით მათ უერთდება მარების აბასკური ტომი, წელთააღრიცხვების გასაყარზე

შენიშვნები

ჰეროდოტე სკვითიის მოსაზღვრეების აღწერისას, ბუდინებზე საუბრობს (სხვათა შორის ჰეროდოტეს სიტყვებით, ისინი სკვითები არ რიან...წითური და ლურჯთვალა ტომი, რომელსაც ჰეროდოტე არ იცნობს, მხოლოდ გერმანიკული ტომი შეიძლება იყოს)-დღევანდელ ბელორუსები...

„ხოლო ბუდინები იმავე ენაზე არ ლაპარაკობენ, რომელზედაც გელონები (იგულისხმება რომ ისინი არც სკვითურ ენაზე ლაპარაკობენ) არც ცხოვრება აქვთ ისეთი, როგორც გელონებს.ბუდინები ამ ქვეყნის მკვიდრნი არიან, მომთაბარეობენ და აქ მცხოვრებთაშორის მხოლოდ ისინი არიანგირჩიჭამიები“ (ჰეროდოტე, IV-109)... ჰეროდოტე მხოლოდ აქ და მხოლოდ ერთადერთხელ ახსენებს გირჩიჭამიების ტომს-როგორც ვხედავთ, ეს ბუდინებია-ბელორუსები... ჰეროდოტეს აღწერა, რომელიც კავკასიონიდან შორს, ჩრდილოეთში მიმდინარეობს, სტრაბონს კავკასიის მთების დასავლეთად აქვს ჩათვლილი.

2.ჰეკატე მილეტელის ბეხირები და დიზერები ასევე სტრაბონის მთელი V საუკუნით ერთმანეთისაგან დაშორებული ბიძერები ზღვის სანაპიროდან დაშორებული ტომები უნდა იყვნენ. გარკვეულ ასოციაციას იწვევს დღევანდელი თურქეთის რუქაზე არსებული დასახლებული პუნქტი ბახარი, არსებული ბათ-უმსა და ტრაპიზუნდს შორის.

3. ჰეკატე მილეტელი არა მარტო ზღვისპირა ტომებს აღწერ ს, არამედ მცირე აზიის სიღრმეში 200 კილომეტრამდე დასახლებულ ტომებსაც. ბეხირები, დიზერები და მარები აშკარად არა ზღვის პირა ტომები ჩანან-ესუკანასკნელი მცირე აზიის სიღრმეშია საძიებელი.

4.ტრაპიზუბდის მახლობლად მცხოვრებ სანებს სტრაბონი სვანებად თვლის, თუმცა ამ ტერმინის ქვეშ ანტიკური ლიტერატურა ჩვეულებრივ ჭანებს გულისხმობს-ასო ჭ ბერძნულ ალფავიტს არა აქვს, შესაბამისად ს, ც და ჩ ასოების საშუალებით გამოსახავენ. სავარაუდოდ,სტრაბონი სარგებლობს ქსენოფანტეს „ანაბასისით“ (ისევე როგორც პლინიუს უფროსი) რომელიც ტრაპიზუნდს ზემოთ და მახლობლად მაკრონთა და მოსინეკთა ტომს აღნიშნავდა, მთელი V-IV საუკუნით ადრე. ქსენოფანტესთან შეხვედრიდან საკმაოდ ახლოხანში, მაკრონ-მოსინეკ-ბასიანთა ტომები გაერთიანებულნი და ჩრდილო კავკასიაში მიგრირებულნი ჩანან

5.სავარაუდოა, რომ მარუხის უღელტეხილს ადრე სახელად დარინისა ერქვა:

„ალანიაში რომ მივიდნენ, მათ (რომაელებს) უნდოდათ მათთან მყოფ თურქებთან ერთად, ალანიის წინამძღოლ საროდისთან მისვლა...საროდიმ ურჩია ზემარქესა და მის კაცებს, არ წასულიყვნენ მისიმიანთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებული და შინ დაბ-

რუნება უმჯობესია ეგრეთ წოდებული დარინის გზითო....მებარგენი წავიდნენ, ხოლო ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში:მისიმიანთა გზა მან უარყო, დატოვა იგი მარცხნივ: ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დასხმოდნენ სპარსელები '' (გეორგიკა, ტომი 3; მენანდრე პროტექტოი გვ 236-237; თბილისი 1936წ)

დარიალის ხეობით და შესაბამისად უღელტეხილით, აბსილიაში ვერ მოხვდები, ცხადია აქ აბსილიაში მდებარე უღელტეხილებია ნაგულისხმევი. დატოვო ერთი უღელტეხილი (მისიმიანებისა) მარცხნივ და მეორეს საშუალებით მოხვდე აფსილიაში, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი:დარინი-ეს მარუხის უღელტეხილია, ხოლო მისიმიანთა უღელტეხილი-ეს ბუქლოოსია,-ქლუხორი, რომელიც ტოპონომ ხორსაც ინარჩუნებს.

6. კუმანია-ციხე. რომელსაც პლინიუს უფროსი კავკასიის კართან ათავსებს, დარინთან ათავსებს, მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთში მდებარე კომანი, კამანი შეიძლება იყოს.

7. მარდების, (მარი-დების) სხვა პოლიტიკური წარმონაქმნი კასპიის ზღვის ახლოს მარგიანა უნდა წარმოადგენდეს, სანამ ფრაატ I არ დაიმორჩილა ისინი და კასპიის იმ მთებთან დაასახლა, საიდანაც იწყება კასპიის ჩრდილო კარები.

8.ფუსტა, ფიუსტი, სვანურში ბატონის აღმნიშვნელია. თავად რეგიონი, ფუსტა-მისიმიანელების -ბრუხების უშუალო ბინადრობის ადგილს უნდა ნიშნავდეს. ის, რომ მისიმიანეთი ლაზიკის მორჩილი, სატელიტი სამთავროა, არა ერთ რომაელ ავტორს აქვს აღნიშნული. პოლიტიკური დაქვემდებარება მხოლოდ უღელტეხილის დაცვის პირობას უბდა ითვალისწინებდეს. მისიმიანეთი თავისუფალი ჩანს ომისა თუ მშვიდობის გადაწყვეტის საკითხშიც კი.

9. მართალია ჰეროდოტესთან მაკრონები და მოსინეკები ერთი სარდლობის ქვეშ ერთიანდებიან, თუმცა მათი დიალექტის სრულ ანალოგიურობაზე საუბარი არ არის. ქსენოფონტეს მონაყოფილი მეომარი, რომელიც მაკრონი აღმოჩნდა, მაკრონებთან თავისუფლად საუბრობს, თუმცა ასეთივე მომენტი არ დაფიქსირებულა ბერძნების მიერ მოსინეკების ტერიტორიის გავლისას. ცხადია, მათი დიალექტი მხოლოდ ნაწილობრივ თუ ამჟღავნებს მსგავსებას.

10.აბაზგიის მახლობელად მდებარე სკოტორის ციხის ხსენება არ არის გამორიცხული, ტოპონომ კოდორის პირველი ხსენება იყოს ამ სახით.

11. თეოდოსი განგრელის სიტყვები, რომ იგი გადაიყვანეს აბაზგიის მახლობლად თაკვრიის ციხეში, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი უშუალოდ ეკვრის აბაზგიას. ავტორი მკითხველთათვის უცნობი ციხის ადგილმდებარეობის მითითებას ცდილობს მისთვის ნაცნობი მცნებით. მართლაც აბაზგია იმ პერიოდისათვის გაცილებით ცნობადი ერთეული ჩანს, ვიდრე თაკვრია. ამასთან რომის მასშტაბიდან გამომდინარე, ორიოდ ასეული კილომეტრი, რაც ამ ადგი-

ლებს ერთმანეთისაგან აშორებს, მართლაც რომ იქვეა!

12. რაჭის საერისთავო, ეს ის ერთადერთია, რომლის ერისთავი X საუკუნის ქართული ისტორიისათვის უცნობია. ასევე უცნობია ამავე პერიოდის ისტორიული მოღვაწის, იოანე მარუშუს ძის კუთვნილი მამული, თუმცა ისტორია ერთხმად ამტკიცებს, რომის ის დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში გადმოსული დიდებულია. რაჭის საერისთავოა ის ერთადერთი, რომლის მიკუთვნება ერთნაირი წარმატებით შეიძლება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსათვის. მოსახლეობის უცილობელი გადაადგილება დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოსაკენ (ასევე უცილობლად მათ სუზერენთან ერთად და მის კვალდაკვალ) იწვევს ახალი კათედრალური ტაძრების, ცაგერისა და ნიკორწმინდის აღმშენებლობის აუცილებლობას. (არსებობს სხვა წონადი მტკიცებულებები, რომ მარუშისძეთა სამფლობელო მართლაც რაჭაა, მაგრამ ამაზე სხვაგან დასხვადროს...

13.როგორც პროფესორი მაქსიმოვა აღნიშნავს, დიოდორე სიცილიელის მიხედვით, მოსინეკების კოშკები, ხორია-დ წოდებული, შვიდსართულიანი ნაგებობებია...(Максимова М И Античние города юго-восточной причерномория ст 132)

14.რაც შეეხება ყვაპუს დახასიათებას, ენგურის სანაპიროს მარჯვენა მხარეს გავრცელებული მეგრული სლენგი გაოჩნებული პირუტყვისადმი, სი ყვაპუში თია-აღმოსავლურ ქართული შე სამგლეს იდენტურია!

15.ხორავა, ხვარა-ეს ხოირელთა ტომის წარმომადგენლები უნდა იყვნენ, ხოლო ემუხვარი-ხოირელთა თავადი.

ა ფ შ ი ლ ე ბ ი

ქართულ სინამდვილეში აფშილები საინტერესო და გამოუცნობი ტომია. ისტორიის ფურცლებზე ისინი აბაზგებზე ოდნავ ადრე, ჩვ. წ. აღრიცხვის I საუკუნიდან იხსენებიან (ამ სახელით). ზოგიერთი ქართველი მეცნიერი მას ქართველურ ტომად მიიჩნევს, ზოგიერთი აბაზგთა მონათესავე ტომად. მათი ტომობრივი მიკუთვნებულობის შესახებ არგუმენტირებული მოსაზრება ჯერჯერობით არ არსებობს. აფსილთა შესახებ პირველ ცნობას პლინიუს უფროსი გვაწვდის:

„...140000 ნაბიჯზე ტრაპეზუნდიდან (196 კმ) მდინარე აფსარი თანამოსახელე ციხე-სიმაგრეთი შესართავთან“პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ისტორია, წიგნი VI, IV-12

პლინიუსის ნახსენები მდინარე-ეს მდინარე ჭოროხია, ციხე-სიმაგრე-გონიო.მართალია პლინიუს უფროსი აქ მხოლოდ მდინარე აფსარს და თანამოსახელე ციხე-სიმაგრეს ასახელებს, აფსარები აქ აღარ ცხოვრობენ, მაგრამ მათი აქ ადრინდელი ცხოვრება აქსიომაა.

„აფსარიდან იგი (გლავკი- მდინარე რიონი) დაშორებულია 70000 ნაბიჯი (98) კმ” (იქვე-130)

უნდა ვიცოდეთ, რომ აქ პლინიუსი ორმაგ ნაბიჯს გულისხმობს, შესაბამისად მანძილი ჭოროხსა და რიონს შორის საკმაო სიზუსტითაა ნაჩვენები:

„...ხრისორიი, აფსილთა ტომი, ციხე-სიმაგრე სებასტოპოლი 100000 ნაბიჯით (150კმ) ფაზისიდან“ (იქვე-14)

აი აქ უკვე აფსილთა ახალ საცხოვრებელ ადგილსაც უჩვენებს, სებარტოპოლისთან-დიოსკურიასთან.დამაფიქრებელი აქ მხოლოდ ერთი მომენტია, აფსილთა როგორც ადრინდელი საცხოვრებელი, ისევე როგორც ახალი, რომაული ციხე-სიმაგრის გვერდითაა. ეს უბრალო დამთხვევა არ ჩანს, ტომი რომაული გარნიზონის სიახლოვეს (რგორც ირკვევა ამის წონადი მიზეზიც აქვს, რომელზედაც ამ ფორმატში ვერ ვისაუბრებთ) ირჩევს ცხოვრებას. მას უკვე მიტოვებული უჩანს გონიოს ციხე და რომაელთა ახალ ციხესთან, სებასტოპოლთან დასახლებულან (სავარაუდოდ რომაელი გარნიზონის კვალდაკვალ, რომელიც ახალი სივრცეების ათვისებას ლამობს)

„შუადღემდე ჩვენ გავიარეთ ხუთას სტადიონზე მეტი და მივედით აფსაროსში, სადაც დგას ხუთი კოჰორტა...ამბობენ რომ ადგილი აფსაროსი ძველად აფსირტედ იწოდებოდა. აქ აფსირტე მედეას მიერ იქნა მოკლული.“ (ფლავიუს არრიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო&-6)

აქ ფლავიუს არრიანე მიანიშნებს აფსილების და აფსირტის (შესაბამისად კოლხების) თანატომელობას, თუმცა აფსაროსი არც გონიოსთან და არც დიოს-

კურიასთან აფსირტეს მკვლელობის ადგილი არ არის. (როგორც „კოლხების“ თემიდან ვიცით, აფსირტე ადრიატიკის ზღვის კუნძულ აფსირტიდებზე იქნა მოკლული) რასაკვირველია, აფსილები არც არრიანეს დროს ცხოვრობენ აქ, ისინი დიდი ხანია დიოსკურიასთან (სებასტოპოლთან) ცხოვრობენ.

„ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ მეფობა შენი მამისგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან“ (იქვე-11)

შესაძლებელი ტომი რომაულ კოლონიას წარმოადგენს, რომის იმპერატორ ოქტავიანე ცეზარის მიერ რომის imპერიის სხვადასხვა ადგილას განსახლებულნი....და მაინც, საეჭვოა ეს ტომი რომის კოლონიას წარმოადგენდეს: როგორც წესი, რომი თავის გამოყვანილ კოლონიებს რომისვე მოქალაქეობით აჯილდოებს, ანიჭებს მას რომაულ (პრივილიგირებულ) უფლებებს, ან ლათინურს. არაფერ მსგავსს პლინიუს უფროსი არ აღნიშნავს (ესპანეთთან მიმართებაში ის ამას როგორც წესი, აკეთებს) არ აღნიშნავს ამას არც ფლავიუს არრიანე. აფსილთა დამოუკიდებელი ტომის შესწავლა გავაგრძელოთ იმ მომენტიდან, როდესაც პროკოპი კესარიელის მიხედვით, აბაზგიაში შექმნილია კონფერდერა-ცია(1), თანაბარუფლებიანი გაერთიანება აბაზგთა და სანიგთა შორის, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში საერთო სახელით, აბაზგიით იხსენება:

„ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირისპირ მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა. აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომები, რომლებიც მე ამ წიგნში მოვიხსენიე '' (გეორგიკა, პროკოპი კესარიელი, გვ-128; თბილისი 1965 წ)

საკმარისია საქართველოს რუქაზე უბრალო დახედვა ან წარმოდგენა მაინც, რომ პროკოპი კესარიელის ნახევარმთვარეში ზღვა ამოვიკითხოთ, ბათუმიდან მდინარე კოდორამდე: პეტრა-ეს ნახევარმთვარის დასწყისი-ციხისძირია ლაზების ქვეყანაში, მდინარე კოდორი და აფსილიის დასაწყისი-ნახევარმთვარის ბოლო...პროკოპი კესარიელის სიტყვები, როგორც მოვლენების თანამედროვისა, ერთობ წონადი ჩანს. მისი სიტყვებით, აბაზგ- სანიგები გაერთიანებული ჩანან და ერთობლივ ძალისხმევას უპირისპირებენ ბიზანტიის ვეებერთელა იმპერიას. აფსილები კი ლაზიკასთან ამჯობინებენ კავშირს, კოლხეთ ყოფილთან, მისი ვასალები ხდებიან, თუმცა ტერიტორია რომელზედაც ცხოვრობენ, არაერთი რომაელი და ბიზანტიელი ავტორის სიტყვებით, ჰენიოხებს (სანიგებს) ეკუთვნით. სავარაუდოა, რომ აბაზგ -აფსილთა არა მოკავშირეობას, ერთგვარ გაუცხოებასაც კი ენა უნდა იწვევდეს. ამ მიზეზით აფსილი,(ისევე როგორც მისიმიანელი) არ და ვერ შედის აბაზგ-სანიგთა კავშირში, რამეთუ ენობრივად მონათესავე სანიგებისაგან მას აბაზგთა ტერიტორია გამოყოფს. ამიტომაც აფსილია ლაზიკის ვასალური სახელმწიფო ჩანს და არა აბაზგია-სანიგეთის გაერთ-

იანების სრულუფლებიანი წევრი. შესამჩნევი საზღვარი ჩანს აფსილ-აბაზგთა შორის იმვე VI საუკუნეში(2)

„აფსილთა საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესასვლელში ასეთი ადგილია. მაღლა მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველთადვე აუშენებიათ უმტიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდისა'' (იქვე გვ.158)

რასაკვირველად აფსილ-აბაზგთა საზღვარი-ეს ტრაქეას ციხეა, ანაკოფია, დღევანდელი ახალი ათონი. ამავე წიგნში, პროკოპი კესარიელი აბაზგთა აჯანყების ჩაქრობასა და აფსილთა განდგომაზე საუბრობს:

„აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მოსახლეები მას წებელესს უწოდებენ“ (3)(იქვე გვ 162)

პროკოპი კესარიელის სიტყვებით, აღნიშნული ციხე ვინმე ტერდატემ,რომელიც მეფე გუბაზზე იყო ნაწყენი, გადასცა სპარსელებს... სპარსელების მეთაური ადგილობრივ გათხოვილ ქალს გაუმიჯნურდა. შეურაცხყოფილმა ქმარმა ღამით მოკლა სპარსელთა მეთაური და ამოხოცა მთელი სპარსული გარნიზონი. აფსილები გადაუდგნენ კოლხებს (ლაზებს), რადგან ჩათვალეს რომ გაჭირვების დროს ისინი მათ არ დაეხმაენენ. რომაელმა სარდალმა, იოანე თომას ძემ უბრძოლველად შეძლო აფსილებთან მოლაპარაკება და ისინი კვლავ ლაზთა ვასალები გახდნენ. დიდი განსჯის საფუძველს იძლევა აგათია სქოლასტიკოსის ჩანაწერებიც:

''სოტერიქე ჩავიდა ეგრეთ წოდებულ მისიმიანთა ქვეყანაში, რომლებიც კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებს მისდევენ'' (გეორგიკა ტომი III- აგათია სქოლასტიკოსი გვ386 თბილისი1936წ)

მისიმიანელთა ენის თავისებურება, რომლითაც ის სხვა ქართველური ენებისაგან განირჩევა, ძველთაგანვე ცნობილი იყო.თავისი ლექსიკით ის ენათესავებოდა მაკრონულ (სვანურ)ენას. მაკრონები და მისიმიანელები ერთი სარდლის მეთაურობით იბრძოდნენ სპარსელთა ჯარის რიგებში. მისიმიანთა ტომის ქართველურობა ეჭვის ვქვეშ არავის დაუყენებია,არც აგათია სქოლასტიკოსი აყენებს მათ ქართველურობას ეჭვქვეშ:

„ამ (მოლაპარაკების)**მიზნით მათ გამოარჩიეს, რამდენიც შესაძლებელი იყო წარჩინებული კაცები აფსილიელთა ტომებისაგან და მოციქულად გაგზავნეს მისიმიანელებთან. მათ სრულიად უარყვეს საერთაშორისო კანონები და მაშინვე მოკლეს ეს მოციქულები, თუმცა ისინი მათი <u>მონათესავე</u> და მეზობელ აფსილთა ტომს ეკუთვნოდნენ და არავითარი წილი არ მიუძღოდათ იმაში, რასაც მის-**

იმიანელები აბრალებდნენ რომაელებს და სოტერიქეს, პირიქით, ისინი აშკარ-ად უმტკიცებდნენ მათ თავიანთ მეგობრობას იმ რჩევა დარიგებით, რომელიც მუდამ მათ სასიკეთოდ იყო მიმართული“ (იქვე, გვ161-162)

ცხადია რომაელი ისტორიკოსი, თავისი, თავისი ერის შვილი, ცდილობს ტომთა განზოგადოებას, დაქუცმაცებულობის ხაზგასმას, პრინციპის, გათიშე და იბატონეს გატარებას. და მაინც აგათია სქოლასტიკოსი ხაზს უსვამს აფსილ-თა და მისიმიანელთა ტომის ნათესაობას. ეს უკანასკნელი საყოველთაოდ აღი-არებული მოსაზრებით და ამ ნაშრომითვე დასაბუთებული მოსაზრებით ქარ-თველური ტომია. ქართველურივე ჩანს მათი მონათესავე აფსილთა ტომიც.

XVII საუკუნის თურქი მოგზაური (და სავარაუდოდ ემისარი) ევლია ჩე-ლები, რომელმაც იმოგზაურა შავი ზღვის სანაპიროზე, აღწერა აქ მცხოვრები ტომები, ტრაპიზუნდიდან ანაპამდე. უკვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მდინარე კოდორის მარჯვენა მხარეზე გადასული ჩელები, თითქმის ყოველი ტომის აღ-წერისას ხაზგასმით აღნიშნავს ტომის ორენოვნებას. გამონაკლისს მხოლოდ რა-მდენიმე მათგანი წარმოადგენს. ერთ-ერთი ეს ჩაჩის (თავადი ჩაჩიბაიას) ტომია. ამ ტომის შესახებ ჩელები აღნიშნავს, რომ მათი სალაპარაკო ენა ის ენაა, რომე-ლზედაც ლაპარაკობენ მდინარე კოდორის მეორე ნაპირზე! ჩელების ნაწერი აშკარად და ხაზგასმით მიუთითებს, რომ ჩაჩის(აფსილთა) ტომის სალაპარაკო ენა მეგრულია და მხოლოდ მეგრული-დასავლეთ ქართული.

უეჭველია, რომ აფსილები აფსირტიდების კუნძულების ყოფილი მოს-ახლენი არიან, სახელს კი აფსირტიდების კუნძულ აფსოლიდან ღებულობენ, რომელსაც ახსენებს X საუკუნის ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე პორფ-ეროგენტი, და რომლებიც აქ კოლხეთიდან ჩამოსახლებულნი ჩანან: აპოლონ როდოსელის მიხედვით, ისინი აიეტ კოლხეთის მეფის მიერ არგონავტებისათ-ვის გამოდევნებული მდევრის ნაწილი ჩანს. არგონავტ იაზონის მიერ მათი სარდალის, უფლისწულ აფსირტეს მკვლელობის შემდეგ, მისია შეუსრულებე-ლმა კოლხებმა აიეტის რისხვის შიშით სამშობლოში ვერ დაბრუნდნენ. (და ეს სამშობლო მათგან სულ ორი ასეული კილომეტრებითღა იყო დაშორებული, ეპირი, კოლხეთყოფილი) მადევარი კოლხები აფსირტეს დაღუპვის ადგილას, ილირიაზე აფსირტიდების კუნძულზე, ასევე ადრიატიკის ზღვაზე დასახლდ-ნენ:

იქით კი კოლხებს თავზარს სცენდა აიეტ მეფის სასტიკი რისხვა,
ამიტომ ვეღარ გაბედეს უკან-კუტაიაში, შინ დაბრუნება,
საწყლად გზაშივე განიბნა ყველა: ზოგი სად დარჩა და ზოგი სად;
ერთნი დასახლდნენ იმ კუნძულებზე, სადაც გმირებმა დაჰყვეს ხანი და
დღესაც იმათი შთამომავალნი-აფსირტელები ცხოვრობენ იქა
სხვებმა ქალაქი იქ დააფუძნეს, სად ილირიის, დიდი მდინარის
მუქ წყალთა შორის, გმირის კადმოსის და ჰარმონიის არის სამარე“
(აპოლონ როდოსელი,არგონავტიკა; წიგნი IV-51-517,გამომცემლობა მეცნიერება 1975 წ)

ზუსტად ეს ხალხი ჩანს ფლავიუს არრიანეს მიერ აღწერილი აფსაროთან, რომელმაც ეს აფსაროსი მიიჩნია აფსირტის მკვლელობის ადგილად, შესაბამისად კუნძულ აფსირტიდებად, თუმცა სინამდვილეში აფსაროსის და აფსირტიდების მცხოვრებნი ერთი-და იმავე ხალხის შთამომავალი ჩანს, კერძოდ, კოლხთა გაცუდებული მდევარი, ისევ და ისევ მედეას ვერაგობის მიზეზით. ზუსტად ისინი ჩანან აფსილეთის შემდგომი მცხოვრებნი, რომლებიც დისტანცირებენ აბაზგ-აფხაზთა ფაქტიურად კონფედერაციულ პოლიტიკურ ერთეულიდან და ლაზიკის ხელდებულ ვასალურ პოლიტიკურ წარმონაქმნს წარმოადგენენ. ასევე დისტანცირება (თუნდაც მინიმალური) რაც მათ ლაზებისაგან, კოლხყოფილებისაგან განარჩევს-ეს მათი 13 საუკუნე ავტონომიური ცხოვრების შედეგი უნდა იყოს.

რაც შეეხება კოლხი მდევარის მეორე ნაწილი, რომელიც აპოლონ როდოსელისვე სიტყვებით ქალაქს აარსებს ილირიის დიდი მდინარის ნაპირას-ეს ქალაქ პოლას მცხოვრებნი არიან, კოლხური ქალაქისა, რომელთა სახელი და ისტორიულად გავლილი გზაც ცნობილია ანტიკური და გვიანი შუა საუკუნების ისტორიკოსთათვის:

„არსებობს გადმოცემა, რომ ისტრების ტომს თავიანთი წარმოშობა მოყავს კოლხებიდან, რომელნიც მეფე აიეტმა გააგზავნა არგონავტების მადევრად, რომელთაც მისი გოგო მოიტაცეს...იმდენად რამდენადაც კოლხებმა ვერ მონახეს არგონავტები, ასე შორს გამოცურულებმა თავიანთი მეფის შიშით თუ იმის გამო, რომ მათ მოზეზრდათ ხანგრძლივი ცურვა, დასახლდნენ აკვილიის ახლოს და დაერქვათ ისტრები მდინარის მიხედვით,რომლითაც ისინი მოცურდნენ ზღვიდან“ (ეპიტომა პომპეი ტროგისა, ფილიპეს ისტორია; წიგნი XXXII, 3-13)

კოლხების მიერ გამოცურულ ტრასაზე უკვე ვისაუბრეთ,რაც შეეხება მათ მიერ არგონავტების ვერ მონახვის ვერსიას, უფრო სარწმუნო ჩანს სხვა ავტორების მონათხრობი, რომელიც ზემოთ, კოლხეთის თემასთან ერთად იქნა განხილული. რაც შეეხება მადევარი კოლხების (უკვე ისტრების) მიერ დასახლებულ ქალაქს-ეს პოლაა, დღევანდელი პულა შესაბამის რუკებზე ტრიესტის ყურეში, დღევანდელ ხორვატიაში. ქალაქს მრავალი ანტიკური მწერალი, მათ შორის სტრაბონი, კოლხურ ქალაქად ასახელებს,თუმცა ეს უკანასკნელი მას ცალკეულ წყაროებში ისტრების ქალაქად აღნიშნავს. ასევე აღნიშნავს კოლხური მდევარის კუნძულ აფსირტიდებზე დასახლებას იოანე ცეცეც (იხ, კოლხები). ახლა როდესაც მოინახა სამტკიცი პომპეი ტროგის ჩანაწერების სახით, შეგვიძლია ფაქტის კონსტატაცია, რომ ისტრები-ეს კოლხყოფილებია და არც სტრაბონი სცდება ამ შემთხვევაში. სავარაუდოდ, ისტრებიც, კოლხყოფილები, ასევე უკვე აფსილებში მოიხსენიება... **რეზიუმე:** ყველა ნიშნით აფსილები მეგრულენოვანი ტომი ჩანს , კოლხები და მათი მიკუთვნება აბაზგური ტომისათვის-ქართული ისტორიისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თეთრი წერტილია.

შენიშვნები

1.პროკოპი კესარიელის სიტყვებით, აბაზგებს ორი მთავარი ყავთ. როგორც გავარკვიეთ, საუბარია ორ განსხვავებულ ტომზე, სანიგებსა და აბაზგებზე. მათი მთავრებია შესაბამისად სკეპარნა და ოფსიტე, რომლებიც სავარაუდოდ თანაბარი უფლებამოსილებით სარგებლობენ.
2.აფსილ-აბაზგების საზღვარი VI საუკუნეში ტრაქეას ციხეა, შემდგომი ანაკოფია, დღევანდელი ახალი ათონი.
3.წებელდის ციხე აფსილთა ჩრდილოეთი საზღვარია მისიმიანელებთან.

სვანები

როგორც სხვა, მოსაზღვრე თემებიდან ირკვევა, სვანურად სახელდებული ტომიც, ისევე როგორც ყველა სხვა ქართველური ტომები, ადრე სხვა სახელს ატარებდა. სვანების შემთხვევაში, განჭვრეტად წარსულში ტომის სახელცვლილება ასეთი ჩანს: სოანი, ბერბერე, კასიტი, რეტი, მაკრონი,ალანი, სვანი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეტების საბინადრ ადგილი იტალია იყო, ვენეტების სამხრეთი- დასავლეთის მეზობლად (რომეოსა და ჯულიეტას გახმაურებული ქალაქი ვერონა მათ ყოფილ ტერიტორიაზეა გაშენებული)

„რეტებზე ფიქრობენ, რომ ისინი ეტრუსკთა შთამომავალი არიან, წინამძღოლი რეტის დროს გამოდევნილები გელებისაგან . მათ აქვთ ლათინური სამართალი. კატონი იძლევა მათი 34 ქალაქის სიას“ (პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ისტორია, წიგნი III-133) ...და კიდევ: **„ფელეტა, ტრიდენტი, ბერუა,-რეტების ქალაქებია, ვერონა-რეტებისა და ზუგანებისა (იქვე;-130)**

აქ პლინიუს უფროსის ეს ციტატა დამაფიქრებელია. დამაფიქრებელია იმდენად, რამდენადაც თავისი დროის ეს უაღესად განათლებული პიროვნება სარგებლობს უარქაულესი ცნობებით და როგორც ჩანს, ეს ცნობაც ერთი იმათგანია: ტომი რეტების სახელით დაფიქსირებულია პომპეი ტროგთან, რომელიც ეგვიპტის ფარაონ სესოსტრისის,(სინამდვილეში ფარაონ ჰორემხების) მიერ რეტებთან დაპირისპირებას ყვება, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIV საუკუნეს, მცირე აზიაში...და იმ დროს, სვანების ამ ტომს, პლინიუს უფროსის სიტყვებით უკვე რეტები ეწოდებათ, თავიანთი ბელადის, რეტის სახელის მიხედვით...ვინაიდან გელები ფაქტიურად მხოლოდ მცირე აზიაში აღირიცხებიან (თვინიერ სირაკუზისა, სიცილიის ქალაქისა) რეტების სვანური ტომიც მხოლოდ იმავე მცირე აზიიდან ჩანან...ხოლო ზემოთ მის მიერ ნახსენები რეტები ვენეციაში, ეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე XIII საუკუნეს მცირე აზიიდან ჩატარებული მიგრაციული პროცესის შედეგად ევროპაში გადასახლებული სვანური ტომის რეტიული ნაწილი...

„მერე მოდის რეტიი-ქალაქი განლაგებული გორაკზე და მის მიდებარედ ზღვის დაბალი სანაპირო, რომელზედაც ეანტის სასაფლაოდა სამსხვერპლოა მის მეუღლესთან ერთად...რეტიის იქით მდებარეობს დანგრეული ქალაქი სიგეი, ახაიელების ყურე, ახაიელების ბანაკი... ამ სანაპიროს სიგრძე რეტიიდან სიგეამდე და აქილევსის ობელისკამდე პირდაპირი მიმართულებით ზღვით 60 სტადიონია (10კმ) მთელი სანაპირო გადაჭიმულია ილიონის ქვეშ: თანამედროვე ქალაქიდან და ახაიელების ნავსადგურიდან 12 სტადიონით (2 კმ) ძველისაგან, რომ-

ელზეც დევს 20 სტადიონით (3,4 კმ) მაღლა და სიღრმეში. იდას მთის მიმართულებით, სიგეიში მდებარეობს აქილევსის სამსხვერპლო და მოსაგონარი აქილევსისა, ასევე პატროკლესა და ანტილოხისა. ყველა ამ გმირებს, ისევე როგორც ეანტს, ილიონელები მსხვერპლს სწირავენ, თუმცა ჰერაკლეს პატივს არ სცემენ“ (სტრაბონი, წიგნი XIII; 1-30-31-32)

ეს რეტების კი აშკარად ის ნაწილი ჩანან, რომელიც მცირე აზიის სამხრეთ ნაწილიდან განიდევნა გელების (ასევე ქართველური ტომის) მიერ უკვე მცირე აზიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისაკენ და ევროპიდან მიგრაციისაკენ თავი შეიკავა...რეტები, აშკარად ერთი და იმავე ტომი, აღწერილია და მითითებულია ორ განსხვავებულ და ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სივრცეებში: სამხრეთ ევროპასა და სამხრეთ დასავლეთ აზიაში, ეტრუსკების ადრინდელ სამშობლოში. ანტიკური ავტორების მოსაზრებით, ევროპელი რეტები ასევე ეტრუსკული ტომია.მთავარი მახასიათებელი, ეს მმართველობის ზუსტად ერთნაირი ფორმაა, მმართველთა ერთი და იმავე დასახელებით, ლუკუმონი. იმავე ანტიკური ავტორების მიხედვით, მათი ენა მსგავსია (აშკარად მონათესავე) ეტრუსკულისა. ეტრუსკებს და რეტებს შორის განსხვავება მათი „გაფუჭებული ენა“ და მრისხანე ხასიათია! როგორც ირკვევა, ეტრუსკები-ეს ერთენოვანი ხალხები არ არის (იხ პელაზგებთან-ეტრუსკები) ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ დიფერენცირებულნი ჩანან, როგორც დასავლეთ ქართველური ტომები. (ამ ტომებისა და მათი საერთო წინაპარი ტომის კვლევა სცილდება ნაშრომის ფორმატს) შესაბამისად, ეტრუსკების ენაც ასევე დიფერენცირებული გამოდის ერთმანეთის მიმართ. ნიშანდობლივია, რომ აზიაში დარჩენილი რეტები ტროას მიმდებარედ ცხოვრობენ (როგორც ჩანს, ტროას ომის დროსაც.

აზიელი პელაზგები ტროას მხარეზე იბრძვიან, ევროპელი (ბერძენი) პელაზგები, ელინელთა მხარეზე. შეუძლებელია აზიაში მცხოვრებმა რეტმა აქილევსის და აიანტის სამსხვერპლოზე მსხვერპლი შესწიროს და მოიგონოს გმირები, რომლებიც მის წინააღმდეგ იბრძოდნენ! მაგრამ აზიელი რეტები აქილევსს და აიანტს მსხვერპლს სწირავენ, როგორც პელაზგებს, რომლის თანატომელებადაც თავად თვლიან თავს, იმდენად რამდენადაც რეტების ძირითადი ნაწილი უკვე ევროპაშია დაფიქსირებული...ამ ნონსენსს თავი ვერც სტრაბონმა გაართვა, ჩათვალა რომ აქილევსსა და აიანტს სამართლიანი ომისათვის სწირავენ რეტები მსხვერპლს, თუმცა ასეთ პატივს ჰერაკლეს არ მიაგებენ, ჰერაკლეს რომელიც ევროპელ პელაზთა მხარეს მოიაზრება (1)

„ასტეპალიები, რომლებიც ფლობდნენ რეტიის, პირველი დაასახლეს პოლოი... თანამედროვე დასახლება (ილიონი-ტროა) და სამსხვერპლო დაფუძნებულია

ლიდიელების ბატონობის დროს ... ქალაქია (ილიონის) ტერიტორია გაიყვეს სიგეის და რეტიის მცხოვრებლებმა და სხვა მეზობელმა ტომებმა“ (იქვე I-43)

სტრაბონის (და აპოლონ როდოსელის) მიხედვით მცირე აზიაში სვანი რეტების ტომის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს დარჩენილი... სვანური ტომების ძირითადი მასა, მცხოვრებნი და განმკარგველნი ბაბილონისა თითქმის X საუკუნე, ასირიის გავლენის ქვეშ ექცევიან. 605 წელს ჩვ.წ.აღრიცხვამდე, ასირიის იმ-ერიის საბოლოო განადგურების შემდეგ, მისი ნამსხვრევები დამოუკიდებელი მაკრონი ტომების სახით 200 წლის შემდეგ ხვდება ქსენოფონტეს და მის ბერძენ მეომრებს ტრაპიზუნდს ზემოთ მდებარე მთებში,ანატოლიიის ზეგანზე. ...სვანთა იმავე ეთნიკურ ჯგუფს (ჩრდილოეთისაკენ მიგრირებულთ) ჰეროდოტეც ახსენებს :

„თვითონ ამბობენ, ეგვიპტელთაგან ისწავლეს , ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონტთან და პართენიოსთან ცხოვრობენ და მაკრონები, რომლებიცმათი მეზობლები არიან, ამბობენ რომ კოლხებისაგან ისწავლეს“ (ჰეროდოტე; წიგნი 2-104, თბილისი 1975 წ)

„მოსხებს, ტიბარანებს, მაკრონებს, მოსინკებს და მარებს შეწერილი აქვთ 300 ტალანტი (იქვე, წიგნი 3 -94,)

„ლაშქრობდნენ ტიბარანები, მაკრონები და მოსინიკები, რომლებიც მოსხებივით ივნენ აღჭურვილი...მაკრონებს და მოსინიკებს განაგებდა არტტაიკტესი,რომელსიც ჰელესპრონტის სესტოსს მეურვეობდა. (იქვე წიგნი VII-78)

ჰეროდოტეს ამ ნაწყვეტში საინტერესოა, რომ მაკრონთა (სვანთა) ტომი ასევე იხსენიება ქართველური ტომების გვერდი-გვერდ და რაც მთავარია ჰეროდოტესთან ისინი მდინარე თერმოდონტის და პართენიონის ახლოს ფიქსირდებიან (სინოპა), მაშინ, როდესაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, ქსენოფანტესთან ისინი სადღაც ტრაპეზუნტის ზემოთ მთიანეთში არის დაფიქსირებული. ცხადია,როგორც ყველა ქართველური ტომი, ახალი სამოსახლოს ძიებისას, ის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიუყვება ანატოლიის ზეგანს. მაკრონებს (სვანებს) პირადად ხვდება ნახევარი საუკუნით გვიან ბერძენი მოლაშქრე და ისტორიკოსი ქსენოფანტე, 14 ათასიანი მოქირავნე ბერძნული სამხედრო შენაერთით, რომელიც 401 წელს ჩვ. წ. აღ-მდე ბრძოლებით უკან იხევს შუამდინარეთიდან და გზას იკაფავს სამშობლოსაკენ, საბერძნეთისაკენ. ბერძენთა სვლის გეზი სამშობლოსაკენ ანატოლიის ზეგანზე გადის, სადაც მცხოვრები ტომები კარდუხები (ქურთები), ტაოხები, ჭანები (ხალდები), ფასიანები, კოლხები და მათ შორის მაკრონებიც, არ ემორჩილებიან სპარსულ ხელისუფლებას, რომელსაც ბერძნები გაურბიან და რომლის შეიარაღებული ლაშქარი ცდილობს ბერძენთა განადგურებას. რომელიღაც მდინარის ფორსირებისას, რომლის გადალახვასაც ბერძენი მოლაშქრეები ლამობენ, წინ აღუდგება და წინააღმდეგობას გაუწევს

მაკრონთა ტომი. მოწინააღმდეგეები ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ესმით ურთიერთგადაძახილიც კი.

ბერძენთა რიგებში ლაშქრობის დასაწყისიდანვე მყოფი მონაყოფილი ხვდება, რომ მოწინააღმდეგის გადაძახილისაზრს გებულობს და, რომ ის ამ ტომიდანაა. მონაყოფილი ქსენოფონტესთან, შენაერთის ფაქტიურ მეთაურთან მიდის, ყოველივეს მოახსენებს და სთავაზობს მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკებას. ქსენოფონტე თანხმდება. მოლაპარაკება შედგა, ფიცის ნიშნად მოწინააღმდეგე მხარეებმა შუბები გაცვალეს. საერთო ძალებით სწრაფად მოხერხდა გადასასვლელის მოწყობა, ბერძნული არმიის დაპურება, რომელმაც გზა განაგრძო საბერძნეთისაკენ. სამი დღე მიაცილებდნენ მაკრონი მეომრები ბერძნულ არმიას კოლხთა საზღვრამდე. არც მანამდე ტაოხებთან თუ ხალიბებთან (ხალდებთან, ჭანებთან), არც მის შემდეგ კოლხებთან თუ მოსინიკებთან, მონაყოფილს, თავისი სამსახური, როგორც თარჯიმანისა მეთაურისთვის არ შეუთავაზებია. ცხადია, იგი მხოლოდ მაკრონთა ენას ფლობს. თარჯიმანი ფლობს ქართული ენის დიალექტს, რომელიც არც აღმოსავლეთ ქართულია: ტაოხები, მოსინეკური თუ ფასიანური-ბასიანური და არც დასავლურ-ქართული: ჭანური ან კოლხური. ის შეიძლება მხოლოდ სვანური იყოს. შესაბამისად, 401 წელს ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მაკრონთა (სვანთა)ტომი ფიქსირდება ტრაპეზუნტის აღმოსავლეთ მთიანეთში, რამდენიმე ათეული კილომეტრით კონტინენტის სიღრმეში და ჰეროდო-ტესთან დაფიქსირებული პარფენიიდან და თერმოდონტიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის ჩრდილოეთით. ცხადია, ტომი ახალი საცხოვრებლის ძიებითაა დაკავებული.შეხვედრის ეპიზოდის აღწერა რამდენიმე შორსმიმავალი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა:

1.მაკრონთა (სვანთა) ტომი აშკარად მამაცი და მეომარი ტომი ჩანს. ძალზე ძნელია მოულოდნელად შეეფეთო ბერძენთა ვეებერთელა არმიას, რომელმაც სპარსული არმიის ერთი ფლანგი უპრობლემოდ დაამარცხა და წინ აღუდგე მას.

2.ის, რომ მაკრონებმა (სვანებმა) გაბედეს ათიათასიანზე დიდი არმიის წინააღ მდეგ ხელის აღმართვა და ბრძოლის ველიდან არ გაქცეულან, მათ მრავალრიცხოვნობაზე მეტყველებს.

3. მაკრონებემა (სვანებმა) შეძლეს ამ მრავალრიცხოვანი არმიის დაპურება, რაც მათ სიმდიდრეზე მეტყველებს.

4. მაკრონები(სვანები) სამი დღის განმავლობაში მიაცილებდნენ ბერძენ მოლაშქრეებს კოლხთა ტერიტორიამდე, რაც, ასევე მაკრონთა ტერიტორიის სივრცელეს ადასტურებს.

ძნელია ზუსტი გრაფიკის აღდგენა სვანთა ამ მედგარი ტომის მიგრაციისა კავკასიის მთებისაკენ, თუმცა უშეცდომოდ შეიძლება მივუთითო, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარს 70 -ოდე წლის შემდეგ (330 ჩვ.წ.აღრიცხვამდე)

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში შეეგება, უკვე მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაფუძნებული:

„ამ წელს ალექსანდრემ ილაშქრა პაროპამისელებზე. მათი ქვეყანა დევს უკიდურეს ჩრდილოეთში, მთლიანად ჩაფლულია თოვლში და მიუწვდომელია სხვა ხალხებისათვის უკიდურესი სიცივის გამო. მისი დიდი ნაწილი უტყეო ზეგანია, დაფარული სოფლებით. სახლების სახურავი კრამიტისაა წვეტიანი კეხით, სახურავებს შუაში დატოვებულია სივრცე, საიდანაც კვამლი გადის. იმდენად რამდენადაც სახლი ყოველ მხრივ გარშემორტყმულია მიშენებით, მისი მცხოვრებლები დაცული არიან სიცივისაგან. დიდთოვლობის გამო მცხოვრებლები წლის დიდ დროს სახლში ატარებენ, იმარაგებენ რა წინასწარ მარაგს.ვენახსა და ხილის ხეებს ზამთარს წინასწარ ფარავენ მიწით, რომელსაც აშორებენ მცენარეთა გაფურჩქვნის პერიოდისათვის. ქვეყანა არ ტოვებს შეხედულებას დამუშავებულისა და დარგულისა: ის დევს მბრწყინავ სითეთრეში თოვლისა და გამაგრებული ყინულისა. არ შეჯდება სადმე ფრინველი, არ გადაირბენს გზაზე მხეცი: ყველაფერი უჟმური და მიუდგომელია ამ ქვეყანაში. მაგრამ მიუხედავად ასეთი წინაღობებისა, მეფემ გადალახა ის მაკედონელთა მამაცობით და მედგრობით. გადასვლის სიმძიმემ ბევრი ჯარისკაცი, ასევე გამცილებელი ხალხი გამოფიტა და ჩამორჩა. ზოგიერთები დაბრმავდნენ თოვლის ბრწყინვალებისა და სინათლის მკვეთრი არეკვლისაგან. არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა მანძილზე, მხოლოდ კვამლით მაკედონელები საზღვრავდნენ თუ სად მდებარეობდა სოფელი. სახლებში ჯარისკაცებს ხვდებოდათ საკმაო საკვები და აღიგენდნენ ძალებს. მალე მეფემ დაიმორჩილა ყველა ადგილობრივი მცხოვრები. ამის შემდეგ ის მივიდა კავკასიის მთასთან და იქ განალაგა ბანაკი. ზოგიერთები უწოდებენ ამ მთას პაროპამისს. გადალახა რა ეს მთა 16 დღეში, გადასასვლელთან, რომელიც მიდის მიდიაში, დაარსა ქალაქი, რომელსაც ალექსანდრია-დაარქვა ...

კავკასიის შუაში არსებობს ფრიალო კლდე, რომლის გარშემოწერილობა 10 სტადიონია (1.75 კმ) სიმაღლე 4 (0, 7 კმ) აქ ადგილობრივი მცხოვრებლები მიუთითებენ პრომეთეს მღვიმეზე, ზღაპრული არწივის ბუდეს და ბორკილის კვალს. ალექსამდრემ დაარსა კიდევ ერთი ქალაქი, ერთი დღის სავალზე ალექსამდრიიდან. ამ ქალაქებში მან დაასახლა 6 ათასი ბარბაროსი, 3 ათასი იმ ხალხიდან, რომლებიც ჯარს მოაცილებდა და ის დაქირავებულები, რომლებმაც მოინდომეს აქ დარჩემა" (დიოდორე სიცილიელი; წიგნი 17-LXXXII

არ დავიწყებთ აქ ამ ეპიზოდის დაწვრილებით გარჩევას, ვიტყვით უბრალოდ რომ ეს ეპიზოდი შეეხება ჩრდილოეთ კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობას, სავარაუდოდ კასპიის ზღვის შემოვლით. ლაშქრობის ობიექტი პაროპამისი გახლდათ, როგორც მას მაკედონელის თანამებრძოლები და მემატიანენი უწოდებენ. პაროპამისის მოსახლენი, როგორც ჩვენი კვლევებით

მტკიცდება, დურძუკ-სვანთა ფაერთიანებული ტომი გახლდათ! ამასთან, ისინი განლაგებული არიან ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში, ზეგანზე. (საკითხი დაწვრილებით განხილულია ამავე წიგნში, ალექსანდრე მაკედონელზე თხრობისას) შემდეგი ანტიკური წყარო, რომელიც სვანთა ტომს ახასიათებს, სტრაბონია, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების გასაყარზე:

„ხალხთა რიცხვს, რომლებიც თავს იყრიან დიოსკურიაში, მიეკუთვნება ფტიროფაგებიც, რომელთაც სახელი უსუფთაობისა და ჭუჭყის გამო მიიღეს, ახლოს ცხოვრობენ სოანებიც, რომლებიც არა ნაკლებ ჭუჭყიანები არიან, მაგრამ აჭარბებენ სიმძლავრეში. შესაძლოა, ისინი ყველაზე მოჩხუბარი და ყველაზე მძლავრები არიან, ყოველ შემთხვევისათვის ისინი მბრძანებლობენ ყველა მათგანზე, რომლებიც კავკასიის მწვერვალებს იკავებენ, დიოსკურიის ზემოთ. მათ ყავთ მეფე და საბჭო 300 კაცის შემადგენლობით და , მათ შეუძლიათ გამოიყვანონ 200 ათასი შეიარაღებული კაცი. სინამდვილეში მთელი ხალხი წარმოადგენს ბრძოლისუნარიან , თუმცა არაორგანიზებულ მასას. მათ ქვეყანაში, როგორც ამბობენ, მთის მდინარეებს მოაქვთ ოქრო და ბარბაროსები მათ მოიპოვებენ საცრებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით. ამბობენ, აქედან წარმოიშვა მითი ოქროს საწმისზე. ზოგიერთები უწოდებენ მათ იბერიელებსაც-დასავლეთის მსგავსად-ოქროს საბადოებისგან- მდებარე ორსავე ქვეყანაში. სვანები ისრის ბოლოებად იყენებენ საწამლავს, უცნაურს თავისი თვისებებით, რომლებიც თავისი სუნით აწამებს თვით ისრებისგან დაუჭრელთაც. სხვა ხალხები, მცხოვრებნი კავკასიის ახლოს, იკავებენ უნაყოფო და უმნიშვნელო სივრცეებს. (სტრაბონი, წიგნი 11, თავი 2-19).

„ყოველი შემთხვევისათვის ამ ქალაქში იკრიბება 70 ეროვნება (ზოგიერთის მიხედვით, რომლებიც არ ზრუნავენ სიმართლეზე, 300-იც კი). ყველა ისინი ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, იმიტომ რომ ცხოვრობენ ცალ-ცალკე და ჩაკეტილად, თავიანთი სიამაყის და სიველურის გამო (სტრაბონი, იქვე II-17).

სტრაბონი ის გეოგრაფი და ისტორიკოსია, რომლის ცნობები მაქსიმალურად არის რეალობასთან მიახლოებული(გარდა ცალკეული ლიაფსუსებისა) აღნიშნული ცნობები კი აშკარად რეალობას არის მოწყვეტილი. დავიწყოთ იქიდან, რომ სტრაბონის სიტყვები „არაკეთილსინდისიერი მთხრობელის“ შესახებ, რომლებიც არ ზრუნავენ სიმართლეზე-აშკარად ტიმოსთენ როდოსელს შეეხება-ეგვიპტის მეფის პტოლომეოსის ფლოტის ხელმძღვანელს 270-260 წ. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე, რომლის ნაწარმოებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. შეეძლო თუ არა ტიმოსთენს ეს ციფრი დაესახელებინა დიოსკურიადაში მცხოვრები ტომების რაოდენობად?

„აქედან დასავლეთისაკენ , ზღვიდან ზღვამდე ორი სანაპიროა გადაჭიმული, რომელთა შესახებაც მე მოვყვები. აქაა ერთი ნაპირი, რომელიც ფასისის ჩრდი-

ლოეთით იწყება და მიემართება ზღვისაკენ პონტოსა და ჰელესპონტოს გასწ-ვრივ, ვიდრე ტროას სიგეიონამდე. ხოლო სამხრეთით, იგივე ნაპირი მიემართ-ება მირიანდიის უბიდან, რომელიც მდებარეობს ფინიკიასთან, ზღვასთან მდე-ბარე ადგილამდე, ვიდრე ტრიაპიონის კონცხამდე. ამ სანაპიროზე ცხოვრობს 30 ტომი.(ჰეროდოტე, წიგნი IV -38)

ჰეროდოტეს მიერ აღწერილი ნაპირი ევრაზიისა, უჩვეულოდ მჭიდროდ დასახლებული და მრავალფეროვანი სახელმწიფოების რაოდენობის მხრივ, ერ-თიათად მაინც აღემატება დიოსკურიადის სანაპიროს სიგრძეს. თუმცა, სულ 30 ტომს ითვლის. ცხადია, ვერც ტიმოსთენე აღრიცხავდა რეალურად 300 ტომს დიოსკურიადაზე, აქაც უეჭველად ციფრი 30 იყო, შემდგომში გადამწერების მი-ერ შეცდომით 300-ად ჩაწერილი და ისტორიას შემორჩენილი. ხდება თუ არა ანტიკურ დროში ასეთი შეცდომები საერთოდ? რასაკვირველია, ხდება და მათი შემოწმება აქვე არის შესაძლებელი:

„ასეთი იყო ბაბილონის ქალაქის სიდიადე, ხოლო ის ისეა მოწყობილი, როგორც ჩვენთვის ცნობილი არც ერთი სხვა ქალაქი, უპირველეს ყოვლისა ის გარშემორ-ტყმულია ღრმა, ფართო და წყლით სავსე თხრილით, ხოლო შემდეგ კედლით, რომლსაც სიგანე აქვს 50 მეფური წყრთა, ხოლო სიმაღლე 220 წყრთა. მეფური წყრთა ჩვეულებრივ წყრთაზე სამი თითით მეტია. (იქვე, წიგნი I -178)

საეჭვო რომ არაფერი იყოს, ამავე წიგნიდან მოგვყავს წყრთის განსაზღვ-რება:

„ამგვარად, ეს პირამიდები 100 ორგიის სიმაღლისაა. 100 ორგია კი ექვს პლეთ-რიან სტადიონს უდრის. მაშინ, როდესაც ორგია შეიცავს 6 ფუტს ან 4 წყრთას. ფუტი 4 ციდაა, ხოლო წყრთა-6 ციდა.“ (2) (იქვე, წიგნი II-149)

ცხადია, სამეფო წყრთა 56 სმ-ზე ნაკლები არაა, ხოლო ჰეროდოტეს მიერ აღწერილი კედელი 123,2 მეტრი! რასაკვირველია, ამ სიმაღლე კედლის აგება იმ დროს წარმოუდგეენლი და არასაჭირო იყო. კედლის სიმაღლე გაცილებით ნაკ-ლები იყო! ზომაში ნაჩვენები ეს შეცდომა მხოლოდ გადამწერების ბრალი შეიძ-ლება იყოს.

„კედლის ირგვლივ დატანებული იყო 100 ბჭე, მთლიანად სპილენძისა და , ასე-ვე სპილენძის წირთხილები და ზეწირთხილები. (იქვე,წიგნი I – 179)

კარები ყოველთვის გამაგრებული გალავნის სუსტ ადგილებს წარმოად-გენენ, რომლებიც აუცილებელ დაცვას საჭიროებს. რასაკვირველია, ციფრი აქაც 10-ჯერ ჩანს გადიდებული. ბაბილონს,კედელს,სავარაუდოდ, სულ 10 (ათი) ბჭე უნდა ჰქონდა!

„გაკეთებულია ის, საგანგებოდ გაკრიალებული და ერთმანეთთან შეხამებული ქვებისგან. არც ერთი ქვა არ არის 30 ფუტზე ნაკლები“.

ჰეროდოტეს საუბრის თემა აქ ეგვიპტური პირამიდებია. ყოველგვარი შეცდომა გამორიცხულია, მისივე სიტყვებით, მან თვითონ იმოგზაურა ეგვიპტეში და საკუთარი თვალით იხილა ეგვიპტური პირამიდები. თითქმის ყველამ იცის, რომ ეგვიპტური პირამიდების ქვის ზომები ძირითადად 3 ფუტის ტოლია და არა 30 ფუტის. რასაკვირველია, აქ შეცდომები ერთმნიშვნელოვნად გადამწერების სინდისზეა...რასაკვირველია, ტიმოსთენს ტომების რიცხვი30-ად ექნებოდა აღრიცხული, რომელიც გადამწერთა შეცდომების შედეგად 300-ად გადაქცეულა. სტრაბონმა საფუძვლიანად ჩათვალა, რომ ცნობები ნატყუარია და ტომთა რიცხვი 70-მდე შეამცირა. თუმცა ტიმოსთენის მიერ დასახელებული რეალური ციფრი 2-ჯერ და მეტად აქვს გადიდებული. საინტერესოა, რომ იმავე პლინიუს უფროსი, რომელიც ამავე ტიმოსთენეს და მის მიერ დამახინჯებულ რიცხვს იმოწმებს, ტომების მრავლრიცხოვნების აღსანიშანავად მითითებს, რომ რომაელები საქმეებს 130 თარჯიმნის საშუალებით აწარმოებენ. სავარაუდოდ, რიცხვი აქაც 10-ჯერ არის გადიდებული უკვე პირადად პლინიუს უფროსის მიერ (130-მდე არათუ თარჯიმანი,არამედ ლეგიონერიც არ უჩანს რომაელებს დიოსკურიაში იმ ეპოქისათვის).

საინტერსოა სწორია თუ არა მითითებული 200 000 კაცი, რომლებიც სტრაბონის თქმით, სვანებს სალაშქროდ გამოყავს? საქმე იმაშია, რომ ასეთი ლაშქარი არათუ სვანებს, ერთიან საქართველოსაც არ გამოუყვანია არასდროს, იმის შემდეგაც კი, რაც მოსახლეობის რიცხვი 10და 20-ჯერ ჩანს გადიდებული. გავიხსემოთ, რომ 5 საუკუნით გვიან,რომაელთა მოკავშირეს და სპარსელთა მოწინააღმდეგეს გუბაზ ლაზთა მეფეს სულ 7 000 მეომარი გამოჰყავს, მაშინ როდესაც იგივე სვანები არა მარტო დიოსკურიადიდან-მისიმიანეთიდან, არამედ ზემო და ქვემო სვანეთიდანაც გუბაზსვე ემორჩილებოდა. საერთოდ, „ბარბაროსთა რიცხვის“და მათი ჯარების უზომოდ გადიდება პირველი შემთხვევა არაა ბერძენი და რომაელი ავტორებისათვის. ჰეროდოტე ბერძნებთან მეომარი სპარსელების შიარაღებულ ძალებს 5,5 მილიონად აფასებს! რასაკვირველია, ციფრები აშკარად გაზვიადებულია. თვით თუკიდიდე, პელოპანესის ომების (შიდაბერძნული, V საუკუნე ჩვენს წელთა აღრიცხვამდე) ავტორი შიარაღებულ ბერძნულ არმიებს სულ რამდენიმე ათასად აფასებს. ვერც სტრაბონი გაურბის მოწინააღმდეგის რიცოვნობის ჰიპერბოლიზაციას:

„...მათ (ალბანებს) უფრო დიდი არმია გამოჰყავთ, ვიდრე იბერიელებს. ისინი აიარაღებენ 60 000 ფეხოსანს და 22 000 მხედარს. ასეთი მრავალრიცხოვანი არმიით გამოვიდნენ პომპეუსის წინააღმდეგ. (სტრაბონი, წიგნი 11, თავი IV-5).

რასაკვირველია, ეს ციფრებიც უზომოდ გაბერილია. პომპეუსის და, შესაბამისად, რომაული არმიისა და იარაღის სადიდებლად, რომელთაც ესოდენ მრავალრიცხოვანი მტერი დაამარცხეს. ასეთი ლაშქარი 12 საუკუნის შემდეგ, ბა-

სიანის ბრძოლაში თუ გამოიყვანა ერთიანმა საქართველომ. 88 000- ამ რიცხვიდან ამოვიღეთ. რასაკვირველია, ალბანეთი, რომელიც თითქმის მთელს ახლანდელ აზერბაიჯანს, კახეთს და დაღესტნის ნაწილს მოიცავდა, უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე ცალკე აღებული იბერთა ტომის სამხედრო პოტენციალი. იბერთა სამხედრო პოტენციალი, სტრაბონზე დაყრდობით, ყველაზე მეტი 50.000 კაცად შეიძლება შეფასდეს. იბერთა თანატოლი სამხედრო პოტენციალის მქონედ შეიძლება განისაზღვროს დიოსკურიადის ჯამური პოტენციალიც. (სინამდვილეში დიოსკურიადის სამხედრო პოტენციალი რამდენადმე ნაკლები უნდა ყოფილიყო იბერთა ასეთივე პოტენციალზე). სტრაბონისავე სიტყვებით, ტომები თავიანთი ველურობისა და კარჩაკეტილობის გამო, ცალ-ცალკე, ერთმანეთთან ურთიერთობის გარეშე ცხოვრობენ. სამხედრო ძალაც, რასაკვირველია, ცალ-ცალკე გამოჰყავთ.რამდენია სტრაბონისეული70ტომის თითოეულის ცალკე აღებული სამხედრო პოტენციალი? 50 000: 70= 710 შეიარაღებულ მამაკაცს... და თუ სვანებს 2000 შეიარაღებული მამაკაცის გამოყვანა ხელეწიფებათ, (თვით მე-11 საუკუნებამდე, საშიშროების შემთხვევაში თავდაცვაში უკლებლივ ყველა სვან მამაკაცს უნდ ა მიეღო მონაწილეობა) რასაკვირველია, ისინი, ყველა ცალ-ცალკე აღებულ ტომზე მძლავრი ჩანს ამ რეგიონში! სტრაბონის სიტყვებით სვანებს რომ საბჭო აქვთ 300 კაცის შემადგენლობით, ტრადიციულად 30 მახვშს უნდა ნიშნავდეს, დიდი ოჯახის უფროსს.

რასაკვირველია, სტრაბონის ნაშრომში თავიდანვე ციფრი 2000 იჯდა და არა 200 000. წიგნის შემდგომი გადამწერი რომაელისთვის, რომელიც მიჩვეული იყო რომის თვალუწვდენელ მასშტაბებს და რომაელ ჯარისკაცთა კოლოსალურ რაოდენობას, წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ტომი 2000 მეომრით სხვებზე მძლავრი იყოს და „ასწორებს“ ამ ციფრს 200 000-ად.(3). სვანეთის მთების საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისთვის შეზღუდული საყოფაცხოვრებო პირობების გამო, სვანებს 2000 კაცის დიდი დაძაბვით გამოყვანა თუ შეეძლო და არა 200 000-ის.

სვანური ტომის დღევანდელი განსახლების არეალი მათი შესაძლო მიგრაციის ხასიათი, ტომის რიცხოვნობა,პასუხგაუცემელ კითხვას ტოვებს: სვანური ტომის რაოდენობა,უკანასკნელი მონაცემების მიხედვით 25 000 (ოცდახუთიათას) სულს არ აღემატება. როგორ შეძლო ტომმა, რასაკვირველია ადრეულ საუკუნეებში გაცილებით მცირერიცხოვანმა, შეენარჩუნებინა ენა, თუ რასაკვირველია, მას ამ ენის თანამოზიარე არ ჰყავდა მისივე ტერიტორიის სიახლოვეს (ფაქტიურად არ წარმოადგენდა უფრო მრავალრიცხოვანს). წარმოშობილ კითხვებს სრულყოფილად პასუხობს ლეონტი მროველის ერთი ცნობა. როგორც ვთქვით, უეჭველია, მას გააჩნია უძველესი, არქაული, არასისტემატიზებული და მაინც ნამდვილი და საიმედო ცნობები.

„ხოლო ტყუევნასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილ იყვნეს. სიმაგრისასა ქვეყნისა და ველარა იტევდა მათ დურძუკეთი.მაშინ ამან საურ-მაგ წამოიყვანა იგინი, ყოველივე კავკასისა ნათესავთა ნახევარნი, და რომელი-მე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დაასხა მთიულეთს დიდოელთაგან ვიდრე ეგრისამდე, რომელი არს სვანეთი“. (ქართლის ცხოვრება, ლეონტი მროველი, ტ-1,გვ 31-32,ბ. სულაკაურის გამომცემლობა)

რასაკვირველია ლეონტი მროველი სვანური ტომების რიცხვში თვლის ლაშხეთისა(ლეჩხუმისა)და რაჭაში იმდროისათვის არსებულ მოსახლეობას, ას-ევე მისიმიანეთს და თუშეთს (სავარაუდოდ ფუსტასაც) რაც ჭეშმარიტებისაგან შორს ნამდვილად არ უნდა იყოს: ისინი უახლოესი ტომები გახლავთ!

(სვანური ტომების ჩრდილო კავკასიიდან მიგრაციის შესახებ ზემოთაც ვისაუბრეთ) ლეონტი მროველის ვერსიით (როგორც მინიმუმ მისი ეპოქისათვ-ის,მე-11-ე საუკუნე) ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე სულ რამდენიმე ტო-მი ფიქსირდება, ქართველთა ნათესავი თუ არანათესავი:

1.დურძუკი, ძე კავკასისა და შთამომავალი თარგამოსისა, რომელიც თავის ბი-ძაშვილთან ერთად ლეკანის კუთვნილ ტერიტორიაზე იკავებს, დარუბანდიდან ლომეკის მდინარემდე (თერგამდე).

2.ხოზონახი-ხუნძეთ, რომელსაც მროველი ლეკანის შთამომავლად დათარგამო-სიანად თვლის, და ყველა ნიშნით ეს თუშთა მრავალსახელა ტომი უმდა იყოს.

3. ლეგები, რომლებსაც ქართველები ლეკებს ეძახიან, სუფთა ქართველური ტომი.

ჩრდილო კავკასიაში იმ დროისათვის არ შეიძლება ცხოვრობდნენ:

ა. ყაბარდოელები, რომლებიც ამ დროისათვის ჯერ კიდევ ყირიმსა და აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ფიქსირდებიან.

ბ.ვაინახები, რომელთა საცხოვრისი ამ დროისათვის ასევე აზოვის ზღვის სანა-პირო ჩანს.

გ.კუმიკები-კუმანთა (ყივჩაღთა) პირდაპირი შთამომავლები, რომლებიც მოგვი-ანებით,მე-12-ე საუკუნიდან ჩანან ამ ტერიტორიაზე.

დ. კაიტაღები- მონღოლური წარმომავლობის ტომები, მე-13-ე საუკუნის მერე დამკვიდრებულნი ჩრდილოეთ კავკასიაში.

ასევე საინტერესო საკითხია სვანური თავადური გვარის, დადეშქელია-ნის წარმოშობის ისტორია, რაც სამწუხაროდ არასწორად ჩანს გაშუქებული ქარ-თულ სინამდვილეში.

„ლაზებში ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილება ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარჯო სიაში და ლაზი კიდეც იღებდა მისგან ფუტკრის ნაყოფს, ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც, ხოლო, როდესაც სვანე-

თის მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვი-საც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. იმავ დროს წერილ-ობით აცნობებდა რომაელთა თვითპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნე-ბი, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი უნდა ყოფილიყო".(გეორგიკა, წიგნი III, მეანდრე პროტექტორი,გვ.224).

რასაკვირველია, ეს ტრადიცია ვასალური დამოკიდებულების შემდგომ ხანებშიც ჩანს გაგრძელებული. შუა საუკუნეების შემდეგ, როცა სამეგრელოში მყარად დაიკავა დადია-დადიანთა საგვარეულო შტომ თავისი ადგილი, სვანე-თის სარდალი, ანუ მეთაური ასევე დადიას ხელით დასმული პიროვნება უნ-და ყოფილიყო, რაც შემდგომში სვანთა თავადის, დადეშქელიანის გვარს წარმო-შობს: დადიშ-ხელიანი, დადიშქელიანი.

ასევე, სვანეთის ისტორიასთან მიმართებაში არსებული თეთრი ლაქა, რო-მელიც ერთ-ერთ დღესასწაულს შეეხება, გამოკვლევას და გასწორებას მოითხ-ოვს. ეს არის ლამპრობის დღესასწაული, რომელიც მისი მნიშვნელობის დაკარ-გვის გამო გაზაფხულის დღესასწაულად გამოცხადდა, თუმცა მას სულ სხვა ფე-სვები და წარმომავლობა უნდა ჰქონდეს. „Georgika"- ში, ბერძნული წყაროები საქართველოს შესახებ, მოთხრობილია სამი შერისხული და დასჯილი ბერის ლაზიკაში გადმოსახლების ისტორია.„Georgika"-ში მოცემულია აღნიშნული ის-ტორიის ორი ვარიანტი, რაც, არსებითად, საკმაოდ განსხვავებულია ერთიმეო-რისაგან და გაუგებრობებს იწვევს. როდესაც კონსტანტინოპოლის კეისრის ტახ-ტი ირაკლის ეჭირა, ხოლო კონსტანტინოპოლი ს სასულიერო ტახტი-სერგის, ქვეყანას მწვალებლობა მოედო. წმინდა მაქსიმე მოწაფეებითურთ წინ აღუდგა ამ მიმართულებას. ბერები სასტიკად დასაჯეს. მარჯვენა ხელი და ენა მოაჭრეს სამივე ბერს და ლაზიკის ქვეყანას გაამწესეს. ლაზიკაში გამწესებული იყო სამი ერთნაიარად დასჯილი ბერი:

1.წმინდა მაქსიმე აღმსარებელი.

2.ამბა (უფალი) ანასტასი .

3. ანასტასი ბერი (აპოკრისიარი)(4)

ანასტასის (აპოკრისიარის) სიტყვებით, ჩასვლისთანავე ისინი ერთმა-ნეთს დააშორეს. წმინდა მაქსიმე, რომელსაც არც სახედარზე შეჯდომა შეეძლო, აღარც საკაცეზე დაწოლა, დააწვინეს წნელებისგან მოწნულ ლასტზე და მოათ-ავსეს სქიომარის (სხვა ვარიანტით სხემარის, სხიმარის) ციხეში. რასაკვირველია სვანეთის ციხეში, ცხუმარში! შევნიშნავთ, რომ მისი რომელიმე სხვა მხარეში და ციხეში გადაყვანის ფაქტი არც ანასტასი აპოკრისიარის და არც თეოდორ განგრ-ელის წყაროებში არ მოიპოვება.

ანასტასის (აპოკრისიარის) ცნობით, უფალი ამბა ანასტასი ჩამწყვდეული იქნა სკოტორის ციხეშ, აბაზგიის მახლობლად, ხოლო თვითონ ანასტასი (აპოკრისიარი) ბუკოლესის ციხეში ალანთა საზღვრებში (მისიმიანეთში). რამდენიმე დღის შემდეგ ამბა ანასტასი გაგზავნილი იქნა სვანიდის ციხის (სავარაუდოდ, იგივე ცხუმარის ციხეში) მიმართულებით სკოტორიდან, ხოლო ანასტასი (აპოკრისიარი) თაკვერის ციხეში, აბაზგიის მახლობლად. (კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ტერმინი"აბაზგიის მახლობლად"-ეს უცნობი ადგილის განმსაზღვრელი ჩანს ცნობილი ადგილით-აფხაზეთით). სიმპტომატურია ის, რომ ორივე პატიმარი ერთმანეთს მუკორისში ხვდება,(5) აფხაზეთიდან მომავალი სვანეთის და თაკვერის გზაზე.სვანეთის (უკვე სვანეთის) ციხეში გადაგზავნილი ამბა ანასტასი გზაში გარდაიცვალა, სადაც სავარაუდოდ ის დაკრძალეს. ანასტასი (აპოკრისიარი) თაკვერის ციხეში ორი თავის განმავლობაში ყოფნის შემდეგ გადააგზავნეს აფსილეთისა და მისიმიანების მხარეში, ფუსტას ციხეში.(6) ფუსტელთა ციხიდან წაყვანილი პატიმარი ახალმა მთავარმა თავისი სახლის ახლოს მოათავსა. ერთი წლის შემდეგ, ისევ შერისხა დასჯილი ბერი და ისევ ფუსტას ციხეში გააგზავნა, შემდგომ ამისა გააგზავნა სხემარის (ცხუმარის) ციხისაკენ. მთავარმა უკვე შერისხული ბერი სხემარის ციხის გზიდან უკან დააბრუნა და თავისი სახლის მახლობლად მოათავსა ხუთი სხენის (სხენი=5.000 ნაბიჯის) მოშორებით. აქ საკუთრივ ანასტასის (აპოკრისიარის) ხელით დაწერილი წერილი მთავრდება, ისტორიას თვითონ თეოდოსი განგრელი ასრულებს.

თუსუმესი (თუსავი) რქმევია იმ ციხეს, სოფელ მოქვის ზემოთ, ხუთი სიმიის მანძილზე ჯიხახორიდან,(მისიმიანეთში, დალის ხეობაში) სადაც თავის უკანასკნელ, მესამე ექსორიაში მყოფს უცხოვრია ანასტასის (აპოკრისიარი), აქვე უწერია წიგნები და ნაშრომები ხელის უმტევნოდ და უთითებოდ, თავისუფლად და დაუბრკოლებლად ლაპარაკობდა ღვთაებრივი და უხილავი ენით, (რომლიც მას ძირში ჰქონდა მოჭრილი) და თეოდოსის თქმით, აქვე გარდაცვლილა იგი(მისიმიანეთში)

ზემოთ ნახსენები ციხე თუსუმე, სოფელი მოქვი, სახლი და გამაგრებული ადგილი მთავრისა, ჯიხახორი (ჯიხა-ეს ციხეა, გამაგრებული ადგილი) ანასტასი აპოკრისიარის თეოფანე განგრისეულ ნაწილში არ ფიგურირებს. სავარაუდოდ, ზემოთ ნახსენები ადგილების იდენტიფიკაცია თეოდორე განგრელის მიერ ხდება ლაზიკის პატრონის მონაყოლიდან:

„როგორც გვიამბო ჩვენ, საშინელი ფიცის ქვეშ, ლაზიკის პატრონმა ლებარნაკიოსმა, რომელიც ღვთის განგებით, ამის თანამხილველი ყოფილა და თავის თვალებს ძლივს უჯერებდა ამ დიდი საკვირველების უცნაურობის გამო".
(გეორგიკა, ტომი IV-I თეოდორ განგრელი,გვ.49,თბილისი).

...და წმინდა მაქსიმე...ზოგიერთი მონაცემებით, იგი დეხვირელმა (ლეჩხუმელმა) გლეხმა მოკლა შემთხვევით. შესაძლებელია, ის მართლა ვინმე ბერი მა-

ქსიმე იყო, გადაყვანილი სოფელ დეხვირში, თუმცა სავარაუდოდ ეს სრულიად სხვა მაქსიმე იყო, წმინდა მაქსიმეს სეხნია მხოლოდ(7)

ჩვენი მიზანი არ არის გამოვიკვლიოთ, რომელი ვერსია შეეფერება სიმართლეს. ფაქტია, რომ წმინდა მაქსიმე აღმსარებელმა ლაზიკაში გადასახლების დიდი პერიოდი ცხუმარის (სხიმარის, სხემარის, სქიომარის, სვანიდის, სვანეთის) ციხეში გაატარა.

„შემდეგ, წმინდა და ნეტარხსენებული მაქსიმე...რომლის ძეგლი ყოველ ღამეს ლამპრებს აჩენს, იხილება იმ დღიდან, როდესაც გარდაიცვალა, ვიდრე დღევანდლამდე... როგორც ამას გვამცნობს ზემოთ მოყვანილი წერილი. ჩვენ თვითონაც საკუთარი ყურით გვსმენია იმ ადგილების მმართველების და მცხოვრებლებისაგან, რომლებიც ფიცის ქვეშ გვიამბობდნენ დარწმუნებით ამ საკვირველების შესახებ. ხოლო იმათგან, რომელთაც საკუთარი თვალით უნახავთ ეს ლამპრები, ერთი დღესაც ცოცხალია. იმავე სხიმარის ციხის უფროსი მისტრიანე, რომელიც თავის ჯარისკაცებთან ერთად დარაჯობის დროს არა ერთხელ და ორჯერ, არამედ ხშირად უნახავს ეს ლამპრები და პირველს მას უამბნია ყველასთვის“.(იქვე,გვ. 50-51).

ცხადია, დღეს არსებული ლამპრობის დღესასწაული, რომლის არსებითი მნიშვნელობა დაკარგული ჩანს, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის დღის ხსენება ასეთი სახით. დროთა განმავლობაში გაქრა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელის ხსენება და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მისტერიული სვანური დღესასწაული სვანი მოსახლეობის გონებაში. დღეს მას გაზაფხულის დღესასწაულს ეძახიან.

რეზიუმე: სვანური ტომის თემას აქ ამოწურულად ვერ ჩავთვლით. თემა ცალმხრივად ჩანს გაშუქებული და ის უსრულიადა უსასრულო...

შენიშვნები

1. რასაკვირველია ტროას ომის დროსაც რეტები ტროას სიახლოვეს ცხოვრობენ თუმცა მათი ამ ომში მონაწილეობის არავითარი საბუთი არ არსებობს.რეტებზე შენიშვნებს სტრაბონი საუკუნეების გასაყარზე წერს. ამ დროისათვის გარდა ტროასთან მცხოვერები მცირერიცხოვანი სვანებისა, რეტებად წოდებულების, მცირე აზიაში სვანური ტომი უკვე აღარ ფიქსირდება. სავარაუდოდ, ტომი საქმის კურსშია მისი თანამემამულე რეტების იტალიასა და დანარჩენ ევროპაში ცხოვრების შესახებ. ჩვეულებრივ, ტომის მახსოვრობა სულ 200 წლის შემდეგ ნიველირდება, თუ ის წერილობითი წყაროებით არ არის შემაგრებული. რეტებს დამწერლობა არ შეუქმნიათ, ხოლო სტრაბომის ეპოქისათვის უკანასკნელ სვანურ ტომს (გარდა რეტებისა) მცირე აზია ოთხი საუკუნის დატოვებული უჩანთ (მცირე ნაწილი ბებრიკთა სვანური ტომისა ჰელესპონტზე, ბერძნებში ჩანს ასიმილირებული)...სავარაუდოდ რეტები თავს ევროპელებად თვლიან, რომელთა ნათესავებიც ევროპაში ცხოვრობენ...ვფიქრობ ზუსტად ეს მიზეზია, რის გამოც ისინი ევროპელ გმირების, აქილევსის და აიანტის საფლავებს პატივს მიაგებენ. ასეთ პატივს რეტები ჰერაკლეს არ მიაგებენ-აქ ტროასთან ჰერაკლეს არც საფლავია, უფრო მეტიც,ჰერაკლეს ტროას ამ ომში არც უომია, იმ დროისათვის ის ცოცხალი აღარც იყო.

2.ციდა-აქ ხელის გულის სიფართე იგულისხმება მხოლოდ, რომელიც საშუალო ადამიანისათვისმინიმუმ 8,25 სანტიმეტრის ტოლადაა მიჩნეული:
შესაბამისად, ჰეროდოტეს დროს ფუტი 4X8, 25=33 სმ; წყრთა 6X8, 25=49, 5სმ;
სამეფო წყრთა=49, 5+6, 5=55სმ. ორგია=33X6=198 სმ; ორგია=49, 5X4=198 სმ;
ჰეროდოტეს დროს სტადიონი=100 ორგიას-198 მეტრს...და ზუსტად ეს 198 მეტრია ის სიდიდე, რომლის გავლაც სულმოუთქმელად შეეძლო ჰერაკლეს-ბერძენთა უპირველეს გმირს...

3..საინტერესოა, რომ რომაული მცნება
2000=MM-ასე აღინიშნება
200000=MM-ასევე აღინიშნება, ერთი არსებითი განსხვავებით: ყოველი ასოს ზემოთ ორწერტილი ესმევა მხოლოდ...

4.აპოკრისიარი-უცნობია თუ რატომ სარგებლობს ბერი ამბა ამ ტიტულით-იმ დროის საბერძნეთსი ეს ელჩის აღმნიშვნელი სიტყვაა.

5.მუკორისი- არ არის გამორიცხული, დღეს წალენჯიხა- ჩხოროწყუს რაიონის გასაყარზე მდებარე სოფელი იყოს, საიდანაც შესაძლებელი იყო როგორც ზემო სვანეთში (ცხუმარში), ასე ლეჩხუმისაკენ (თაკვრიისაკენ) გზის გაგრძელება.

6.ეს ნაწყვეტი წერილიდან ცხადჰყოფს, რომ ფუსტას ციხე-ეს უშუალოდ მისიმიანეთის მეზობელ ტერიტორიაზეა.

7.ლეჩხუმში, დეხვირში მავანი ბერის შემთხვევით მკვლელობა შემდეგნაირადაა აღწერილი: ნისლის დროს ესროლა ვიღაცამ შემთხვევითო ...სროლის ქვეშ ყველა შემთხვევაში თოფის სროლა იგულისხმება და არა ისრისა...შესაბამისად, მავანი ბერი აქ შემთხვევით მოიკლა არა უგვიანეს XVI საუკუნისა, ფაქტიურად X საუკუნის შემდეგ წმინდა მაქსიმე აღმსარებელის გარდაცვალებისა...

ი მ ე რ ე თ ი

საქართველოს ამ კუთხეზე და აქ მცხოვრებ თემებზე არაფერია ნათქვამი თვით პროკოპი კესარიელთანაც, რომელიც რომი-სპარსეთი დაპირისპირების კოლხურ თეატრს აღწერს,VIსაუკუნეს.ფაქტიურად დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ომის პერიოდში ლაზები,იშვიათად სვანები და აბაზგებია წარმოდგენილი. იმერული (აღმოსავლეთ ქართულენოვანი) თემები კესარიელთან საერთოდ არ ფიგურირებს. იმერელთა აქ არ დაფიქსირება VI საუკუნისათვის, მიმათითებელი ჩანს იმისა, რომ ისინი აქ მოგვიანებით გადმოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან, არაბთა შემოსევის დროს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით…

1.მურვან ყრუს წინააღმდეგ მებრძოლი არგვეთის საერისთავო, ერისთავების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების მეთაურობით, უკვე შემდგარი საერისთავო ჩანს, რაც ზემოთ ნახსენებ ვერსიას სრულიად გამორიცხავს

2.საქართველოს მხარეების აღწერისას, ვახუშტი ბაგრატიონი ასე მოიხსენებს გურიას, კერძოდ მათ ენას:

„და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხური და არა იმერთაებრი“

(ქართლის ცხოვრება ტომი IV გვ 789 თბილისი 1973წ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იბერიულ, მესხური, გურული, ეს ერთი და იმავე ტომის სხვადასხვა თემების სალაპარაკო დიალექტებია. ვახშტი ბატონიშვილი პირდაპირ მიანიშნებს, რომ იმერული დიალექტი ამოვარდნილია იბერიულ-მესხურ-გურული დიალექტებიდან, რაც იმერელების აღმოსავლეთიდან მიგრირების საკითხს ფაქტიურად გამორიცხავს…დამტ კიცებულად ვიცით რა უკვეე კოლხურ -იბერიული წინარე საცხოვრისი, იმერთა გენეზისის განსაზღვრა დიდ სიძნელეს არც უნდა წარმოადგენდეს. საკითხის გარკვევაში პლინიუს უფროსის, ამ ერთი შეხედვით კონტრასტული ისტორიკოსის ერთ-ერთი ცნობა გვევლინება:

„მათ იქით, 30 მილის დაშორებით, არიან არმენოხალიბების ტომი და დიდი არმენია, ტრაპიზუნტის წინ სანაპიროზე-მდინარე პიქსეტი. მას შემდეგ ტომი სანი- ჰენიოხებისა, მდინარე აფსარი იმავე სახელწოდების ციხე -სიმაგრით შესართავთან (დაშორებული ტრაპიზუნტს 140 მილით). ამ ადგილას მთებს იქით იბერები, ხოლო ხმელეთზე ჰენიოხები, <u>ამპრევტები</u>, ლაზები, მდინარე აკამფსეონი, ისისი, ნოგრი, ბატისი, კოლხთა ტომები, ქალაქი მატიი, მდინარე ჰერაკლეა და მისივე სახელობის კონცხი და პონტოს (ყველაზე სახელგანთქმული მდინარე) ფაზისი. (პლინიუს უფროსი. წიგნი 6; 4-12)

პლინიუს უფროსის ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩვენთვის საინტერესოეს ამპრევტების თემაა! არსად, არავის, არც ერთ ისტორიულ ნაშრომში ამპრევტების მეტ- ნაკლებად სწორად გაშიფრული ჰიპოთეზაც კი არ შემოუთავაზებია! ჩვენს მიერ განვითარებული ვერსიის თანახმად, იმერელთა თემიც საბერძნეთის მიმართულებითაა საძიებელი. ერთი უცნაური დასახლება იქცევს ყურადღებას ეპირის (კოლხეთყოფილის) ახლოს, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ეპირის სამეფოში შემავალი მოიაზრება კიდეც: ამფილოხია და მისი მთავარი ქალაქი არგოსი. ამფილოხია მდებარეობდა ამპრაკიის (ყოფილი არტების) (1) ყურეში და სავარაუდოდ ამ სახელსაც მისივე მიხედვით ანათლავენ ყურეს. ამ დასახლების შესახებ არაერთგვაროვანი აზრია გამოთქმული სხვადასხვა ანტიკური ავტორების მიერ:

„ქალაქ პოსიდეიონიდან (რომელიც ამფილოქოს ამფირეოსია ძემ ააშენა კილიკიის და სირიის

პამფილია-პოლიტიკური წარმონაქმნია ანტიკურ ეპოქაში, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით. და ისევ ჰეროდოტე:

„პამფილიელებმა 30 ხომალდი მოიყვანეს და ისინი ელინური იარაღით იყვნენ შეჭურვილი; ეს პამფილიელები იმათი ჩამომავლები არიან, რომლებიც მიმოიფანტნენ ტროიდან ამფილოქოსს და კალქანტთან ერთად წამოსულები“ (იქვე, წიგნი VII-91)

ქალაქ ამფილოხიის დაარსების თითქმის ანალოგიურ ვერსიას გვთავაზობს თუკიდიდე:

„ის დაარსა ტროას ომიდან დაბრუნებულმა ამფილოხმა, ამფიარეის ძემ, რომელიც უკმაყოფილო იყო საქმის მდგომარეობით არგოსში (ამფილოხის ძმამ ალკმეონმა მოკლა თავისი დედა ერიფილუ, შური იძია მამის, ამფიარეოსის გამო) დაარქვა კოლონიას ძველი სამშობლოს სახელი. არგოსი იყო ამფილოხიის ყველაზე დიდი ქალაქი, ხოლო მცხოვრებლები- ყველაზე მდიდარი. მაგრამ მრავალი წლის შემდეგ უბედურების გავლენით მოიწვიეს ამპრაკიელები,ამფილოხების მეზობლები, გადასახლებულიყვნენ მათთან და თავიანთი ელინური ენა პირველად ამპრაკიელებისაგან აითვისეს, მათთან ერთად მცხოვრებლებისაგან.(2) დანარჩენი ამფილოხები -ბარბაროსებია. დროთა განმავლობაში ამპრაკიელებმა გააძევეს არგოსელები და თავად დაიკავეს ქალაქი. ამის შემდ-ეგ ამფილოხებმა დაიწყეს მფარველის ძიება აკარნანებთან და მათთან ერთად დახმარებისათვის მიმართეს ათენელებს,რომლებმაც გამოაგზავნეს 30 ხომალდი ფორმიონის ხელმძღვანელობით. ფორმიონის მოსვლის შემდეგ ამფილოხებმა შტურმით აიღეს არგოსი და დაიმონეს ამპრაკიელები. ამ დროიდან ამფილოხები ცხოვრობენ აკარნანებთან ერთად ქალაქში“(თუკიდიდე, პელოპონესის ომები, წიგნი II-68)

ნაწყვეტების შედარებიდან ჩანს, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, ჰეროდოტეს და თუკიდიდეს ვერსია არსებითად განსხვავებული ერთმანეთისაგან: ჰეროდოტეს ვერსიით არგოსელი ამფილოქოსი ტროას ომიდან დაბრუნების შემდეგ საცხოვრებლად მცირე აზიაში გადადიის და პამფილიელების კოლონიას უდებს საფუძველს, თუკიდიდეს ვერსიით კი ის საბერძნეთშივე აარსებს კოლონიას,ამპრაკიის ყურეში. თავად ამფილოხიის არგოსი, ერთიც და მეორეც საკმაოდ შორეულ წარსულში ჩანს დაარსებული, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIII-საუკუნეს...თუკიდიდეს ამ ნაწყვეტიდან ცხადი ხდება, რომ ყურის პირველმოსახლენი ამფილოხები არიან, არტები-მათი სხვა სახელი და ამპრაკიოტელი მოახალშენების დასახლბის შემდეგ ერქმევა მას ამპრაკიის ყურე.

მაგრამ იმავე ამფილოხების ქალაქს აფიქსირებს სტრაბონი პირენეის ნახევარკუნძულზეც. გამართლებას კი იმით ცდილობს, თითქოს ის ტროადან წამოსულმა ამფილოხის თანამგზავრებმა დაარსეს, ოდისევსთან ერთად პირენეებზე მოხვედრილებმა...და რატომ უნდა ემოგზაურათ ამფილოხის თანამგზავრებს ამჯერად ოდისევეთან, თანაც მათ მიერ დაფუძნებული ქალაქისთვის ყოფილი მეთაურის სახელი ეწოდებინათ, მათგან უკვე რამდენიმე ათასეული კილომეტრის დაშორებით მყოფისა, ვერ ხსნის...და არც ოდისევსის მოგზაურობა დაფიქსირებლა ასე შორს...

სავარაუდოდ ამფილოხები, როგორც ყველა დორიული ტომი,თავიდანვე ორ ადგილას ბინადეობდნენ: ძირითადი ბინადეობის ადგილი-ეს სპარსეთის ყურე და მიმდებარე მცირე აზიაა, ხოლო დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე ათეული საუკუნის მერე ჩანან გადმოსახლებულნი. ამფილოხები, ისევე როგორც სხვა დორიული (აღმოსავლეთ ქართველური) ტომი, ტეარკონ ეთიოპთან-სინამდვილეში თარხონ ქუშთან და იბერიულ ტომთან, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXV საუკუნეს უკაცრიელი ევროპის ათვისების პროცესში მონაწილეობენ...
ამფილოხები (ასევე მრავლობითში აღნიშნავს ამ ტომის საცხოვრისს სტრაბონი) პირენეიზე ფუძნდებიან. მათი მცირე აზიაში დარჩენილი დიდი ნაწილი-მცირე აზიის სამხრეთ აღმოსავლეთ მხარეს იკავებს (სავარაუდოდ, პამფილებიც ტომის გვიანდელი სახელი უნდა იყოს)...ვფიქრობ, ამფილოხ ამფიარეის ძე მემნონ ეთიოპთან ერთად ტროელთა დამხმარედ მოსულ რაზმში ირიცხება, საკუთარი რაზმით, სუზელებთან და ფინიკიელებთან ერთად...აქვე მონაწილეობენ კავკასიიდან ჩამოსული „ეთიოპი“ მეომრებიც...მკითხველს შევახსენებ, რომ ზუსტად ამ „ეთიოპებმა“ მოახერხეს ბერძნებისათვის სუზელი მემნონის ცხედრის გამოტაცება...და ამფილოხ ამფიარეის ძე ზუსტად საკუთარ სახლში, სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მიდის და იქვე სახლდება...და სრულიად სხვა ჩანან ის ამფილოხები, რომლებიც ტროას ომის შემდეგ (სინამდვილეში ტირსენ

ატისის ძის პარალელური) ადრიატიკული ექსპედიციის დროს, ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1262 წელს სახლდებიან არტების- ამპრაკიის ყურეში, ეპირის- კოლხეთის უშუალო მეზობლად.

თუკიდიდეს სიტყვებით, ბარბაროსმა-იმ დროისათვის დორიულ და არა ელინურ ენაზე მეტყველმა ამფილოხებმა მოიწვიეს მეზობელი ამპრაკიელები, აქვე მცხოვრებლები:

„მეგარელებმა ამჯერადაც იმდენი ხომალდი მოიყვანეს, რამდენიც არტემისიონში, ამპრაკიოტები შვიდი ხომალდით მოვიდნენ საშველად, ხოლო ლევკადები-სამით, ესენი დორიული ტომები იყვნენ კორითოდან“ (ჰეროდოტე, წიგნი VIII-45)

შესაბამისად, თავად დორიელმა ამფილოხებმა ასევე დორიელი ამპრაკიოტები მოიწვიეს ერთად საცხოვრებლად. მცირე აზიის მცხოვრებლები ელინურ ენას არ ფლობენ (გარდა მცირერიცხოვანი ორენოვანი ტომებისა- ელინური ენა მცირე აზიაში გვიან იკიდებს ფეხს) ხოლო ამპრაკოტები უკვე ელინიზირებული ჩანან. (ანტიკური ბერძნული წყაროებით, თავად კორინთოც კოლხყოფილი ჩანს, ისევე როგორც საბერძნეთის 1/3 მაინც (3)). მაგრამ თუკიდიდეს სიტყვებით, დროთა განმავლობაში ამპრაკიელებმა საერთოდ გააძევეს ამფილოხიის არგოსიდან ამფილოხები...აკარნანებთან ერთად ამფილოხებმა დაამარცხეს ამპრაკიოტები, დაიმონეს ეს უკანასკნელი და აკარნანებთან ერთად გააგრძელეს თანაცხოვრება.

...და ვინ შეიძლება თავად „ბარბაროსი“ ამფილოხები იყვნენ?

„ამფილოხია-ეს ისევ ეპირელებია“ (სტრაბონი; წიგნი VII, 7-8) და კიდევ:

„ნაწილი აკარნანიისა და ეტოლიისა-თესპროტები, ამფილოხები,მოლოსები და აფამანები-ეპირული ტომები“ (იქვე, VII-VII-1)

ვერ ვიტყვით, რამდენად სწორია სტრაბონის ეს ჩამონათვალი, მაგრამ თესპროტები,და მოლოსები იმ დროისათვის ნამდვილად ორენოვანი ტომი ჩანს (4) მშობლიური კოლხურით, ხოლო ამფილოხია-შეთვისებულით... ამიტომაც აღმოჩნდნენ დილემის წინაშე ამფილოხები პელოპონესის (ფაქტიურად სამოქალაქო) ომის წინ, თუ ვისი მხარე დაეჭირათ: სპარტის და დორიელების მხარე, რომელსაც თავადვე წარმოადგენდნენ, თუ ათენელენის- იონიელების მხარე, რომელიც მათთვის უკვე მშობლიური ენა გამხდარა?…ამფილოხებმა, როგორც თუკიდიდეს ზემოთ მოყვანილი ცნობის მიხედვით ირკვევა, პელოპონესის ომში დორიელ-იონიურ ტომებს შორის ამ უკანასკნელის მხარე აირჩია. მათ ხომ არცთუ ისე შორეულ წარსულში აკარნანების და ათენელი სარდლის, ფორმიონის დახმარებით დაამარცხეს და დაიქვემდებარეს ამპრაკიოტები. ამფილოხიის არგოსში შემოიყვანეს მოკავშირები, აკარნანები (სავარაუდოდ

იონიური ტომი) განუდგნენ დორიულ სპარტას და ათენელების მხარდამხარ დაუპირისპირდნენ მათ.

წელთააღრიცვვების გასაყარზე ამფილოხია ჯერ კიდევ დასახლებულია თუმცა:

„წარსულ დროში როგორც უკვე ვთქვი, მთელი ეპირი და ილირია მჭიდროდ იყო დასახლებული, თუმცა ეს ქვეყანა უსწორმასწოროა და გადასერილია მთე-ბით (მაგალითად ტომარი, პოლიანი და რამდენიმე სხვა) ახლა დიდი ნაწილი უდაბურია და დასახლებული რაიონები წარმოდგენოლია სოფლებით და ნან-გრევებით“ (სტრაბონი, წიგნი VII; 7-9)

რაც შეეხება ამფილოხების მეზობლებს, კორინთოს კოლონისტ ამპრაკი-ოტებს ამპრაკიიდან:

„ქალაქი და რაიონები აკარნანელებისა შემდეგია, ანაკტორია, განლაგებული ნახევარკუნძულზე აქციუმის მახლობლად. ეს სავაჭრო პორტია ნიკოპოლისა, დაფუძნებული ჩვენს დროში...არის აგრეთვე ქალაქები, პალერი, ალიზია, ლევ-კადა, ამფილოხიის არგოსი და ამბრაკია, რომელთა უმრავლესობა ან ყველა ნიკოპოლის გარეუბანია “(სტრაბონი. წიგნი X 2-

სტრაბონის დროისათვის ამპრაკიოტთა კორინთული კოლონია უკვე მთლიანად შერწყმული ჩანს მეზობელ აკარნანიასთან, რომელთანაც თუკიდეს პერიოდისათვის ერთობ მტრული დამოკიდებულება უჩანდათ. მიზეზი უთ-უოდ ერთიანი ელინური ეთნოსის ჩამოყალიბებაში უნდა ვეძიოთ.

მართალია კორინთელები ისეთივე კოლხები არიან, როგორც ეპირელე-ბი, მაგრამ უკვე დიდი ხნის ელინიზირებულნი ჩანან. თავად ამპრაკიელები, რომლებიც ამფილოხებთან საკმაოდ დიდი ინცენდენტი ჰქონდათ, აგრძელებენ ამფილოხებთან ერთად ცხოვრებას. ცხადია, იონიურად მეტყველ აკარნანია და დორიულ ამპრაკია უკვე ერთ, საერთო ბერძნული ენაზე საუბრობს. ამპრაკია არათუ აკარნანიის, მხოლოდ ერთი ქალაქის , ნიკოპოლის გარეუბანი გამხდა-რა. რაც შეეხება ამფილოხიას, სტრაბონის სიტყვებით ისინი ეპირელთა თანა-ტომელები არიან და სტრაბონის ეპოქისათვის გარკვეულწილად ინარჩუნებენ ეთნიკურ განზოგადებულობას ელინებისაგან, თუმცა მისივე სიტყვებით ტომი უკვე ორენოვანი ჩანს.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, ისტორიკოს პლინიუს უფროსისათვის ამპრაკიოტების, როგორც ტომის ხსენება არ არის, ამბრაკია პლინიუსისათვის მხოლოდ ზღვის ყურე და ქალაქია:

„მასზე (განლაგებულია) ეპირი, აკარნანია, ეტოლია, ფოკიდა, ლოკრიდა, ახაია, მესენია, ლაკონია, არგოლიდა, მეგარიდა, თრაკია...საკმაოდ ცნობილი ამბრაკი-ის ყურე...ყურეში ქალაქი ამბრაკია.''(პლინიუს უფროსი, წიგნი IV & 1-4) თავად

ამფილოხია: **„შემდეგ აკარნანიის ქალაქები: ალუზია, სტრატოსი, არ-გოსი, წოდებული ამფილოხიისად“ (იქვე; & 1-5)**

ამფილოხიის არგოსი- პლინიუსის მიხედვით უკვე აკარნანიის ქალაქია, ცხადია ელინური: ამფილოხთა ეპირული ტომი და ამფილოხია როგორც რეგიონი უკვე ნახსენებიც არაა. (ისევე როგორც ამპრაკია და ამპრაკიოტთა კორინთული ტომი)

...მაგრამ ამავე დროს პლინიუს უფროსის ისტორიის ჩანაწერებში შავი ზღვის სანაპიროს-მათ შორის შავი ზღვის ჩრდილი სანაპიროს აღწერისას გამოჩნდება გამოუცნობი თემი ამპრევტებისა , გამომდინარე პლინიუს უფროსის აღწერის მანერიდან, დღევანდელი ბათუმ-რიონს შორის არსებულ რეგიონში. ამპრევტები, აფსილები დ აბასკები ამ უკანასკნელი ავტორის ჩანაწერებში ერთდროულად ხვდება, არაა გამორიცხული სამივე ერთი და იგივე ისტორიული პროცესის შედეგი იყოს...

Notitia Dignitatum

საყურადღებო ცნობა ბასილი სოფენელისაგან (XI საუკუნე) ლიტერატურაში ცნობილი ამ სახელით. ძეგლი შეიცავს რომის იმპერიის ყველა,როგორც სამოქალაქო, ისევე სამხედრი თანამდებობათა ნუსხას.შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ჩამოთვლილია აღმოსავლეთის პროვინციის მოხელეები, მეორეში დასავლეთისა. ამ ნუსხის უკანასკნელი (აქ წარმოდგენილი) რედაქცია მკვლევართა აზრით მეხუთე საუკუნის (413-415 წლები) მიეკუთვნება.აღმოსავლეთის სიაში დასახელებულია ცამეტი სარდალი. ერთ-ერთი Dux Armeniae. დუკს ექვემდებარება(ასეა განმარტებული) „პონტოს საზღვარის ხაზი“ (Limen Ponticum) დუკის განკარგულებაშია ერთის მხრივ ის სამხედრო ერთეულები, რომელიც შედის შიდა არმენიაში, ხოლო მეორე მხრივ პოლემონიის პონტოში ჩაყენებული დანაყოფები. ამ უკანასკნელთ ეკუთვნის:

Praefectus legion primae PonticoTrapezunts
Ala Rizena Aladxleaeis
Ala Theodosiana apud Avaxain
Aka felix Theodosiana Silvenis
Ala prima Sovia chaszenica
Ala Theodosiana Pitiae
Cohors prima Theodosiana Valentia
Cohors apulela civinm Bomarun Usiporto

Cohors prima lepidian, Caene Parambole
Cohors prima Claudia oquctate, Sebastopolia
Cohors sekunda valentine, Zigane
Cohors Mochora
ლეგიონი:2500-5000 მებრძოლი სხვადასხვა ეპოქაში,კოჰორტა- 1/10 ლეგიონისა

....და დოკუმენტის განმარტების (ჩემთვის ხელმისაწვდომი) ვარიანტები:

1. სომეხი პროფესორი ადონცის მიხდვით, ყველა აღნიშნული ობიექტი, ალას თუ კოჰორტას ბინადრობის ადგილი შიდა არმენიაა, შესაბამისად აქ ქართული არაფერი არ უნდა იყოს.

2. სიმონ ყაუხჩიშვილის მიხედვით, ლეგიონი განთავსებული ჩანსტრაპეზუნ-დში, ალა-ეს ცხენოსანთა რაზმებია : პითია-ბიჭვინთა, უსიპორტო-სუსურმენე დღევანდელ თურქეთში, სებასტოპოლისი-დიოსკურია- სოხუმი,ზიგანე-გუდ-აყვა გალის რაიონში, მოხორა-ბიზანტიელი მწერლების მიერ არაერთგან ნახ-სენები მუხურისი, კენე პარამბოლე-ბურგუსნოისი უკვე დღევანდელ თურქე-თში...

...და რეალურად...

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს მცირე აზიის და შავი ზღვის ჩრდი-ლო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობაზე რომის იმპერატიული უფლებე-ბის გავრცელების ხასიათს და სიღრმეს...განსაკუთრებულ გავლენა რომის იმპ-ერიამ ამ ტერიტორიებზე დაამყარა მითრიდატე ევპატორის დამარცხების შემ-დეგ, ჩვ.წ. აღრიცხვამდე I საუკუნეს...ამ მომენტამდე და რომის იმპერიის დეზ-ინტეგრაციამდე სულ ორი მოცემულობა, ორი Notitia Dignitatum მოქმედებდა:

1.ადრეული რესპუბლიკის პერიოდი ჩვ.წ.აღრიცხვამდე IV-I საუკუნე

2.გვიანი რესპუბლიკის პერიოდი I-V საუკუნე ქრისტესით.

მიუხედავად მტკივებულებისა, რომ დოკუმენტი 413-415 წლების დის-პოზიციას წარმოადგენს და შესაბამისად მხოლოდ გვიანი რესპუბლიკის პერი-ოდის რედაქციას წარმოადგენს, სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს.

... მიუხედავად სიმონ ყაუხჩიშვილის მტკიცებისა, Pitiae-ბიჭვინთა არ არ-ის...ეს ანტიკურ მწერლებთან არა ერთ გზის და არა ერთ ადგილას ნახსენები პხვენისი, პინუსია- ბერძნულ ენაზე, პლინიუს უფროსისეული პენიი...

…Pitiae სინამდვილეში კოლხეთის ფიჭვნარს შეესაბამება, ჩ.წ. აღრიცხვამდე II-I საუკუნეს ზღვის ტრანსგესიის მიზეზით გაუკაცურებულს (ქართული ცნობით)

...და რა მნიშვნელობა აქვს?

რომაული ადრეულ რესპუბლიკის და გვიან რესპუბლიკის პერიოდს შორის

ზემოხსენებული დოკუმენტის ტერმინოლოგიის ცვლილებას აქვს ადგილი, კერძოდ:
ადრეულ რესპუბლიკის პერიოდში Ala -ფრთეული, ეს რომაული ლეგიონის ფლანგების გამაძლიერებელ მოკავშირეთა (ადგილობრივთა) რაზმს ნიშნავს, რიცხოვნობით თავად ლეგიონს აღმატებული. კავალერია-ეს ეკვიტია, 300 ცხენოსნი, 30 კაციან ტურმად დაყოფილნი, რომაელნი.
გვიანი რესპუბლიკუის პერიოდი-Ala-ეს ფლანგებზე განლაგებული რომაელი ცხენოსანია, ასევე 300 მხედარი და ტურმი ასევე 30 მხედარია...

და არსებობს თუ არა სხვა სამტკიცი ჩემეული ვერსისა? რასაკვირველია... იმავე ზემოთ მოყვანილ რომაულ განწესში(იხ. ზემოთ) დასახლებული პუნქტი აფსაროსი არაა მოხსენებული, სადაც კაბადოკიის მეფისნაცვალი ფლავიუს არრიანე 134 წელს ქრისტესით 5 კოჰორტას, ნახევარ ლეგიონს, თითქმის 2500 ჰოპლიტს ასახელებს!...ასევე არაა დაფიქსირებული ზემოხსენებულ რომაულ განაწესში ფაზისი(ფოთი) თუმცა ამ უკანასკნელში ფლავიუს არრიანე იმავე ინსპექტირებისას აქ ციხე-სიმაგრეს და ლეგიონის მეორე ნახევარს აფიქსირებს!...
და არამცთუ კოჰორტებს ვერ ასახელებს ზემოთ ხსენებული დოკუმენტი აფსაროსში, თავად აფსაროსსაც კი არ ასახელებს! რატომ? იმიტომ რომ ამავე განაწესში მოხსენიებული კოჰორტა Apulela-აპულიელებისა რომის იმპერატორ ოქტავიანე ცეზარის მიერ არის ფორმირებული ჩვ.წ. აღრიცხვამდე 9 წელს...იმ დროს, როდესაც არც აფსარები და არც აბასკები კავკასიაში არ ჩანან დაფუძნებულები(ამ უკანასკნელების დაფუძნების დრო და მოტივი სცილდება წიგნის თემას)

შესაბამისად ზემოთ ხსენებული Notitia Dignitatum-ის წარმოდგენილი ვარიანტი წელთააღრიცხვების ადრეულ ეპოქაში შექმნილი ჩანს და სრულიად სხვა დატვირთვას ღებულობს, ვიდრე ამის ახსნას სიმონ ყაუხჩიშვილი ცდილობს…
შესაბამისად: ზღვისპირა დასახლებების სრული ლეგიონი მიწერილია ტრაპეზუნდზე, უკვე ბერძნულ ქალაქზე (ქალაქი სავარაუდოდ ორენოვანია)
1 კოჰორტა Valentia-ეს ვფიქრობ ტრაპიზუნდის სამხრეთით იმყოფება.
1 კოჰორტა Usiporto-ეს სუსურმენეა, ტრაპიზუნდიდან 26 კმ.ჩრდილოეთით.
1კოჰორტა Caene Parambole-განწესის შემდგენი მიმართულებას იცვლის, აფიქსირებს რომაელთა ბოლო პუნქტს ამ სანაპიროზე-ეს ჰენიოხიაა (5)
1კოჰორტა Sebastopolia-ეს სებასტოპოლისია, დიოსკურია, სოხუმი.
1კოჰორტა Zigane-ეს გუდაყვაა, დღევანდელი გალის რაიონი.
1კოჰორტა Mochora-ეს განმუხურია-ანაკლია, ბერძნებისათვის ჰერაკლეა (6)

…და 5 Ala –მოკავშირეთა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც თავიანთი ჯამური რაოდენობით აღემატებიან კიდეც რომაულ ლეგიონს 2500-5000 კაცის. 1-4ალა-ეს მოკავშირეთა რაზმებია ტრაპიზუნდიდან ბათუმამდე, ხოლო:
Ala Pitiae -ეს დღევანდელი ქობულეთის ფიჭვნარის სამოკავშირეო რაზმია.მართალია ქალაქი ფიჭვნარი უკვე წარეცხილი უჩანს ზღვას, მაგრამ ხალხი, ახლო-მახლო ხომ ცხოვრობს...ერთობ საყურადღებოა, რომ ზემოხსენებული რომის განაწესის მოქნედების დროისთვის ლაზები-კოლხყოფილები რომაელთა მოკავშირეებად არ ფიქსირდებიან...

...და ერთი კაზუსი ზემოხსენებულ რომაულ განწესში... ამ განწესის მიხედვით, რომაულ გარნიზონს, ლეგიონერთა ჯამურ რაოდენობას რამდენმე ასეულ ათასს ითვლიან, თუმცა ამ რაოდენობის არმია რომის იმპერიას არც არასდროს გამოუყვანია...ლეგიონების მაქსიმალური რაოდენობა ერთდროულად 30-ს არასდროს აღემატებოდა, შესაბამისად 150000 ლეგიონერს…

და რა ხდება სინამდვილეში?

ვალერიანე-ასე ჰქვია ანტიკურ რომში სამხედრო ვალდებულს...და ვინ არიან ისინი? ერთ -ერთ ომში მავანი ავტორი ირწმუნება, რომ ვალერიანებმაც საკმაოდ კარგად იომეს...უკვირს ავტორს- შესაბამისად ისინი ყოფილი ლეგიონერები არ ჩანან-მათგან ხეირიანი ომი რა გასაკვირია...
სავარაუდოდ, Notitia Dignitatum – მოხსენებული ლეგიონების მხოლოდ აქტიური ნაწილია სრულად დაკომპლექტებული, ნაწილი კადრირებულია-მხოლოდ ოფიცერთა შემაგენლობით დაკომპლექტებული. საჭიროების დროს მათ ავსებს ვალერიანები, სამხედროვალდებულები... რასაკვირველია ისინი ომის დროს ანაზღაურებადი ლეგიონერები ხდებიან, თუმცა შესაძლოა რაღაც თანხას რეზერვში ყოფნისათვის მშვიდობის დროსაც იღებენ...ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია...

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ პერიოდს, როდესაც ზემოხსენებული რომაული განაწესის ვარიანტი იქნა შედგენილი. ამპერიოდში მოღვაწე ისტორიკოსი სტრაბონი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მცხოვრებ ზიგებს-ძიგებს აფიქსირებს. აფიქსირებს მათ დარაიონების გარეშე, თუმცა ვერა ქობულეთის და მიმდბარე ტერიტორიებზე. რასაკვირველია ზიხები ზუსტად სტრაბონის ეპოქაში ჩანან მიგრირებული ადრიატიკის ზღვიდან შავი ზღვის სანაპიროზე. ფაქტიურად, სტრაბონთან ეს პროცესი უსრული ჩანს კიდეც. არ გამოირიცხება, რომ მათი მიგრაციის მამოძრავებელი ძალა ისევ და ისევ რომის იმპერატორ ოქტავიანე ცეზართან იყოს დაკავშირებული (თემა სცილდება წიგნის ფორმატს)...თავად პლინიუს უფროსი, მთელი ნახევარი საუკუნით გვიან მოღვაწე

სტრაბონზე, საკუთრივ ზიგებს არც ახსენებს, თუმცა მათი შავი ზღვის სანაპიროზე მიგრაციის პროცესი უკვე შემდგარი აქტი ჩანს. დიდი ალბათობით მიგრაციიც ტალღა ამპრაკიელებსაც შეეხო, თუმცა ისინი ზიგების- ილირიელების უშუალო მეზობლები არცა ჩანან-მათ შორის ეპირია მოქცეული, კოლხეთყოფილი. პლინიუსისეული ამპრევტები ამპრაკიელები ჩანან, სინამდვილეში ამპრაკიოტების და არტების ნარევი ტომი- შეიძლება კიდეც მათი წაკითხვა პლინიუსისეულ ამპრევტებში...

დიდი ალბათობით, პლინიუსის მიერ ილირიელების მიგრაციიდან ნახევარი საუკუნის მერე ქობულეთთან ნახსენებ ამპრევტებში Notitia Dignitatum-ში იმავე ქობულეთის ფიჭვნართან მოხსენიებული მოკავშირეები იგულისხმება. (მკითხველს შევახსენებ, რომ რომაელებს მოკავშირეებში კოლხები ჯერ კიდევ არა ყავთ) ...პლინიუსისეული ამპრევტები- ეს დორიული ამფილოხთა-არტების და ასევე დორიული ამპრაკიოტელთა გაკოლხებული ტომია, მიგრირებული ილირიული ზანური ტომების კვალდაკვალ კოლხეთის მიმართულებით. დიდი ხნის შემდეგ, XVII საუკუნეში, არტების ტომისს ნწილს უკვე ადლერთან აღწერს თურქი მოგზაური, ევლია ჩელები. (ამპრევტები-ამპრაკიელები ადგილმონაცვლებული ჩანან შემდგომი იმერეთისაკენ)....რაც შეეხება იმერელთა მეორე ნაწილს, ისინი კოლხთა სახლიკაცების-მარების შთამომავალი ჩანან (თემა სცილდება წიგნის ფორმატს)

შენიშვნები

1.ამბრაკიის ყურის მეორე, ასევე ისტორიული (და უფრო ადრინდელი) სახელ-წოდება არტების ყურეა. არტები-ეს ქართველური ტომებია, რომლებსაც თურქი მოგზაური ევლია ჩელები ქალაქ სოჩის მიდამოებში აღნიშნავს.
2.თავად ამპრაკია კორინთოს კოლონია ჩანს, ტირან კიფსელოსის მიერ დაფუძ-ნებული ჩვ.წ. აღრიცხვამდე 650-625 წლებში. ცხდია ამფილოხია უფრო ადრე უნdა ყოფილიყო დაფუძნებული, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIIIსაუკუნეს. თავად კორ-ინთელებს უძველეს დროში იონიელებად, კოლხებად თვლიდნენ: არა ერთგ-ზის არის მოხსენიებული აიეტი კოლხეთის (ეპირის) და კორინთოს მეფედ, თუმცა აღნიშნულ ტერიტორიებს საკმაოდ დიდ მანძილი აშორებს.
3.საბერძნეთი თავდაპირველად სრულიად იონიური იყო. ცხოვრობდა სამი ტომი:
ა.საბერძნეთის აღმოსავლეთი ნაწილი იონიელები-იბერები, იგივე მალი.
ბ.კოლხები ასევე იონიელები, საბერძნეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში.
გ.ეოლიელები-ჭანები, საბერძნეთის ცენტრალურ და სამხრეთ მხარეს.
4.თესპროტებს და მოლოსებს ჰეროდოტე ეპირულ ტომებად მიიჩნევს...შესაბამისად, ეს ტომები იმ დროისათვის ორენოვანი კოლხურ-ელინური ჩანს.
5.ეს ტერიტორია ოდითგანვე სტრაბონის და მისი წინამოებედების მიერ აღიარებუ-ლია ჰენიოხთა ტერიტორიად. პლინიუსი სადღაც აქვე კენებს ახსენებს, ფლავიუს არ-რიანესათვის ისინი სანიგებია, ევლია ჩელებიც ჩანდებს, ჭანებს უწოდებს. სინამდვი-ლეში ტომის მხოლოდ 1/10 ჩანს ჭანები, სვები ლაზებია-კენები, ხალიბები.
6.მოხორა-ეს დღევანდელი განარჯია მუხური-განმუხური ჩანს, აქვე აღნიშნავს ევლია ჩელები ბერძნულ ქალაქ ჰერაკლეას-მეგრული ენის მიერ ანაკლიად სახელცვლილი.

აბზოის ტომი...და სხვები...

...და ბოლოს, მას შემდეგ რაც იდენტიფიკაციას დაექვემდებარა თითქმის ყველა ქართული და ქართველური ტომები, ანტიკურ ლიტერატურაში- ასევე აღმოავლურ ლიტერატურაში არსებულ მთელ რიგი ცნობები იძლევა საშუალებას, გამოკვლეულ იქნეს ჩვენივე მეზობელი და თანამემამულე, ასევე ნათესავი და მოყვარე, აბზოის ტომის მიერ გამოვლილი ისტორიული გზა. მიყოლა იმ წერტილამდე მაინც, სადაც იგივე ქართველური და კავკასიური ტომების ისტორიულად ხილული საწყისები ჩანს. აბზოის ტომი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, პირველად პლინიუს უფროსის, ამ პრობლემატური გეოგრაფიის თვალთახედვის არეში ხვდება:

„ავსებს სივრცეს ეს ზღვა (კასპიისა) ვიწრო და გრძელი სრუტით და იქ სადაც ის იწყებს გაფართოებას, ის მოიხრება ნახევარმთვარის რქების მსგავსად, თითქოს ეშვება მეოტიდის ტბისკენო, ვარონის სიტყვების მიხედვით ნამგლის მსგავსად. პირველი ყურე იწოდება სკვითებისად. ყურის ორსავე მხარეს ცხოვრობენ სკვითები და მისი საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს; ამ მხარეზე, ნომადები და სავრომატები მრავალ დასახელების ქვეშ, იმ მხარეზე -აბზოი არანაკლები (დასახლების რიცხვით). მარჯვნივ ზღვის შესასვლელიდან ცხოვრობენ უდეი-სკვითური ტომი, შემდეგ სანაპიროზე-ალბანელები, გადმოცემით რომელთაც თავიანთი წარმომავლობა იასონისაგან მოყავთ - ამიტომ ამ ნაწილს ზღვისას ჰქვია ალბანეთისა.“ (პლინიუს უფროსი. წიგნი VI; XV.38)

ერთი შეხედვით რამდენადაც ალოგიკურად არ უნდა მოჩანდეს აბზოის ტომის კასპიის ზღვის სანაპიროზე ხსენება, ყველა შემთხვევაში შესწავლულ უნდა იქნეს ეს საკითხი სკრუპულოზულად, რამეთუ ეს ადგილი აბზოის ტომის (ამ სახელით) ბინადრობის პირველი დასახელებაა ისტორიაში. თავად კასპიის ზღვა პლინიუსის ეპოქის ისტორიისათვის ცნობილია როგორც (პლინიუსისვე სიტყვებიდან გამომდნარე). წყლის სივრცე, რომელიც ჩრდილოეთის (ყინულოვან) ოკეანეს შეერთებული გრძელი და ვიწრო სრუტით. ამ ეპოქის (სტრაბონის დროინდელი) რუკებიც არსებობს, რომელიც აბსოლუტურად ასახავს ამ რეალობას (1) პლინიუსის სიტყვებით, სრუტის ორივე მხარეს სკვითები ცხოვრობენ ... და რომელ მხარეს ცხოვრობს აბზოის მრავალსახელა ტომი? ყველაზე უკეთესი ორიენტირი საკითხის გამოსაკვლევად ალბანელთა ტომია. საინტერესოა, რომ ალბანელთა ტომს პლინიუსის მიხედვით იასონის შთამომავლებად მიიჩნევენ (2) პლინიუსის ეპოქისთვისაც, ალბანელთა ტომები ბინადრობენ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე:

„ისინი (ალბანელები) ცხოვრობენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის“
(სტრაბო-ნი, წიგნი XI; IV-1)

პლინიუს უფროსს აქ დასახელებული აქვს უდები- მისი სიტყვებით სკვითური ტომი, რომელსაც სტრაბონი საერთოდ არ აღნიშნავს (3) და პლინიუსისვე სიტყვებით, ალბანელების გვერდით ცხოვრობენ. რაც შეეხება აბზოის ტომს, პლინიუსი მათ ზღვის ,,იმ" მხარეს ასახელებს. გამომდინარე პლინიუსის თხრობის მანერიდან, აბზოის ტომის ადგილ-მდებარეობის დაზუსტება გაძნელებულია, თუმცა:

„...მოხსენებულთან ერთად ჩრდილო მხარეში არის ხუთი ტომი, რომელთა ეპისკოპოსი ოცდაოთხია; მათი კათალიკოსი არის დიდ ქალაქ დვინში, სპარსულ არმენიაში. სახელი მათი (პირველი) კათალიკოსისა, სჯულიერი და სახელოვანი კაცისა, იყო გრიგოლ. შემდეგ ქვეყანა გურზანი არმენიაში ბერძნულის მსგავსი ენით. მათ ჰყავთ ქრისტიანი მთავარი, რომელიც სპარსეთის მეფის ქვეშევრდომია, -შემდეგი ქვეყანა არრანი, აგრეთვე არმენიის ქვეყანაში, თავისი საკუთარი ენით, მორწმუნე და მონათლული ტომი, რომელსაც ყავს სპარსეთის მეფი ს ქვეშევრდომი თავადი. -შემდეგი ქვეყანა სისაგანი საკუთარი ენით, მორწმუნე ტომი, ამ ხალხში წარმართნიც <u>მოიპოებიან- ქვეყანა ბაზგუნი, საკუთარი ენით, რომელიც აღწევს კასპიის ზღვის კარამდე , რომელიც ჰუნთა ქვეყანაში</u> არის." (გეორგიკა. ტომი III ფსევდო ზაქარია. კავკასიის ქვეყნების აღწერა. გვ17-18 თბილისი 1936წ)

მიხედავად ქართველი და არაქართველი მეცნიერების მცდელობისა, ვერ ხერხდება ავტორის დასახელებული ბაზგუნის ქვეყნის აფხაზეთთან გაიგივება:

1.ტერიტორიულად ეს ორი ობიექტი- ბაზგუნი და აბაზგია მნიშვნელოვნად დაშორებული ჩანს ერთმანეთისგან, მინიმუმ 1000კმ-ით მაინც (ისიც იმ პირობით, რომ პოლიტიკური გაერთიანება ბაზგუნი არ მდებარეობს დერბენტზე უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით)

2.ტრაქტატის შედგენის თარიღს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით ბაზგუნის მდებარეობის განსაზღვრის მხრივაც, რამეთუ არაბთა შემოსევა ირანის და საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებული არაა და შესაბამისად კასპიის ზღვის მი-მდებარე რეგიონში პოლიტიკურ-ეთნიკური სიტუაცია მეტ-ნაკლებად სტაბილურია.

...და კასპიის რომელ კარებს აღწევს ქვეყანა ბაზგუნი, კარებს მდებარე კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, თუ...კარებს მდებარე ამავე ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე?

ყურადსაღები მინიშნებაა ზემოთ ხსენებულ ციტატაში, რომ ბაზგუნის ქვეყანა კასპიის ზღვის იმ კარს აღწევს, რომელიც ჰუნთა ქვეყანასთანაა! იმავე ფსევდო ზაქარიას მოღვაწეობის პერიოდისათვის, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე კასპიის კარის, დერბენტის შემდეგ ხაზართა ცენტრალი-

ზირებული სამეფოს არსებობა აბსოლუტურად ცნობილი ფაქტი იყო! ფსევდო ზაქარია კი ბაზგუნის ქვეყნის არსებობას კასპიის ზღვის იმ კ ართან აღწერს, რომელიც ჰუნებს ესაზღვრება! დიდი ალბათობით, ეს კასპიის ზღვისპირა აღ-მოსავლეთის კარიბჭეა! შესაძლებელია ბაზგუნის ტერიტორიულ მდებარეობის დაზუსტებაში შემდგომი ციტატა შეგვეშველოს:

„კარებს იქით Burgare საკუთარი ენით და ბარბაროსი ტომი, რომელსაც აქვს ქა-ლაქი; ალანები, რომელთაც ხუთი ქალაქი აქვთ და Dadu სამეფოს მცხოვრებ-ლები, რომლებიც მთებშია დაბინავებული და ციხეები აქვთ: Ungur, კარავში მცხოვრები ტომი, Ogar, Saber, Burgar, Kurdalar, abar, Khazar, Dijarmar, Sirurgur, Bagarsik, Khulas, Abdal, Eftalit.ეს ცამეტი ტომი კარავებში მცხოვრებია; ისინი იკ-ვებებიან საქონლის ხორცით და თევზით, გარეული ცხოველებით და იარაღის საშუალებით: ამათ გადაღმა ცხოვრობს Ammazazte-ს და ძაღლიკაცების ტომი. ჩრდილო დასავლეთის მხარეზე ამათგან, ამაზონები, ცალძუძუ ქალები, რომ-ლებიც განმარტოებით ცხოვრობენ...ის ხალხი, ამათ მეზობლად რომ ცხოვრო-ბენ, არიან ჰროსები, მამაკაცები გრძელი ასოებით...რომელთა ტარება ცხენებს არ შეუძლიათ, ვინაიდან მათ დიდი ასოები აქვთ“ (იქვე გვ18)

ტექსტის მინაწერის მიხედვით შემდეგი რამ ირკვევა: პტოლომემ, ეგვიპ-ტის მეფემ, შიკრიკი გაუგზავნა პროვინციის მმართველებს და მოსთხოვა მათ ცნობები იქ მოსახლე ტომების შესახებ...და ვინ არის წარმოშობით პტოლომე, ეგვიპტის მეფე- ფარაონი? ეგვიპტის ეს დინასტი ა პტოლომედან (ბერძნულად პტოლმაიოსი) მოდის, ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდლისგან... მისი სიკვდილის შემდეგ, ალექსანდრეს დიდი იმპერია მისმა სარდლებმა გაი-ყვეს. პტოლომეს ეგვიპტე ერგო, პტოლემეიდები-ეგვიპტის ფარაონების დინას-ტიაა ალქსანდრეს სარდალ პტოლომეს მემკვიდრეები. ერთ-ერთი მემუარიც ალექსანდრეს ლაშქრობის შესახებ პტოლემეს- პტოლომაიოსს ეკუთვნის. ვინ ვინ,და პტოლომედმა მეფეებმა ზუსტად უნდა იცნობდნენ ქვეყნის ამ ნაწილის გეოგრაფიაც და მისი სრული რუკაც...მაგრამ ეგვიპტის ამ ფარაონს, პტოლომეს უნდა აინტერესებდეს ის დემოგრაფიული ცვლილები ამ რეგიონში, რომელიც განიცადა მისი დიდი წინაპრის ლაშქრობიდან მთელი VIII-IX საუკუნის შემ დეგ...ამდენად მას უფრო ის ტომები და ის ხალხები უნდა აინტერესებდეს, რო-მლებიც ცხოვრობენ კავკასიის მთებს გადაღმა, ჩრდილოეთით, ასევე კასპიის კარად წოდებული მთების გადაღმა, და არა უშუალოდ კონკრეტულად რომე-ლიმე კარს იქით მცხოვრებლები...პტოლომემ მიიღო ცნობები ყველა მხარის შე-სახებ, გარდა ჩრდილოეთ მხარისა, რომელთა შესახებ მკითხველს დამატებით ცნობებს აწვდის კომპილატორი-ფსევდო ზაქარია. ცხადზე ცხადია ეგვიპტისა-თვის ჩრდილოეთი-ეს მხოლოდ კავკასია და მისი მიმდებარე რეგიონი ვერ იქნ-ება,ასეთი ჩანს მისთვის კასპიის ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო თვით

არალის ზღვის მიმდებარე ტერიტორიითაც კი! შესაბამისად, ზაქარიას ცნობები არ შეიცავს კონკრეტულად რომელიმე კარის იქით მცხოვრები ხალხის აღწერას,არამედ სრულიად ახლო ჩრდილოეთს და ასევე ახსენებს კიდეც:

1.ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ფსევდო ზაქარიას ტექსტში საუბარი ასი პროცენტით დერბენტის კარზე მიმდინარეობს, სადაც ნახსენებია კარებს იქით მცხოვრები Burgare, (ბულგარელები, ასე ეწოდებათ ხაზარებს ხანდახან, თუმცა მხოლოდ ხანდახან და ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შორს, ვოლგისაკენ დაიხიეს უკან)

2.ალანები, ხუთი ქალაქის მფლობელები, ეს ოვსთა წინაპარნი ჩანან.

3. გაუშიფრავი სახელწოდება Dadu სამეფოს მცხოვრებნი - ეს მხოლოდ და მხოლოდ არაბი ავტორების სერირი შეიძლება იყოს. თურქი მოგზაურის, ჩელების სიტყვით, ვებეერთელა ქვეყანა ტაუსტანი -ეს დღევანდელი ყაბარდოა, ინგუშეთი, დაღესტანის დიდი ნაწილი, ყიზლარი, ქისტთა და ღლიღვთა ტომის მიწები, დიდოეთი.

4.ზაქარიას მიერ დასახელებული ამაზონთა ტომი, ეს სრულიად რეალური ტომი ჩანს კავკასიურ (და არაკავკასიურ) სინამდვილეში, თუმცა ის ბაზგუნის ქვეყნიდან ჩრდილო-დასავლეთითაა ნაჩვენები (ამაზონების თემა სცილდება წიგნის ფორმატს) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტომი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროსა და კავკასიაში (ამიერ თუ იმიერ) მცხოვრები არიან. არაფერს ვამბობთ კანონიკურ სამეფოებზე: გურზანზე (გურჯებზე) არანზე და სისაგანზე.

რაც შეეხება დანარჩენებს:

5.ჩამონათვალის ბოლოში დასახელებული Eftalit-ი, ერთმნიშვნელოვნად თურქებია, ოღუზები, ზუსტად VI საუკუნეში გამოსული პოლიტიკურ ასპარეზზე, აღმოსავლეთ თურქესტანის (შუა აზიის) დაპყრობით და ზუსტად იმ საუკუნეში, როდესაც ფსევდო ზაქარია ზემოთმოყვანილ ტექსტს წერდა.

6. რაც შეეხება ფსევდო ზაქარიას მიერ ნახსენებ 13 ტომს მართალია დღევანდელი მდგომარეობით შეუძლებელია კარავში მცხოვრებ მომთაბარე ტომებთან შეხვედრა კასპიის ზღვის სანაპიროზე, თუმცა ასეთი და მსგავსი ტოპონონების მოძიება შესაძლებელია რუქაზე ამავე ზღვის თურქმენეთის სანაპიროზე. ურიგო არაა გავიხსენოთ, რომ კასპიის აღმოსავლეთ კარიბჭედ ცნობილი მთები გეოგრაფიულად არც აღწვს კასპიის ზღვას.

7.ძაღლიკაცების ზღაპრული ტომი არაერთი ანტიკური მწერლების ნაწარმოებში გვხვდება, რომლებიც შუა აზიის ტრიტორიაზე აფიქსირებს იტალიელი მოგზაური მარკო პოლო. (ეს თემაც სცილდება წიგნის ფორმატს)

8.რაც შეეხება ჰროსებს, მამაკაცებს დიდი ასოებით, აქ კურიოზთან უნდა გვქონდეს საქმე: იუმორისტული დახასიათება, მავანი იუმორის გრძნობის არმქონეს მიერ პირდაპირი აზრით გაგებული ჩანს: რუსები (და რომ ჰროსები რუსები არ-

იან, დიდი მიხვედრა არ უნდა სჭირდებოდეს) იმიტომ ვერ ჯდებიან ცხენზე, რომ ერთი რამე, კერძოდ ასო უშლით ხელს (იგულისხმება რომ ამის ასო -ტრა-კი -ვაჟკაცობა არ ყოფნით!) .

საკუთრივ ჩრდილოეთის კარებზე

ანტიკურ ისტორიისათვის ცნობილია კასპიის ზღვის ორი კარი: კასპიის ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროზე და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. დიდი არეულობაა ანტიკურ ლიტერატურაში ამ ორი კარის ირგვლივ. სტრაბონი, ეს ანტიკური ავტორი ჩვენამდე მოღწეული უდიდესი გეოგრაფიულ- ისტორიული შრომებისა, კასპიის დასავლეთ კარიბჭეს საერთოდ არ იცნობს. არ იცნობს თუნდაც იმიტომ, რომ პომპეუსის ლაშქრობას კასპიის ზღვამდე არც მიუღწევია. სტრაბონი ამ ლაშქრობის მონაწილე ქრონოგრაფის, არტემიდორის ცნობებს აქტიურად იყენებს, თუმცა როგორც ითქვა, პომპეუსის ლაშქრობას კასპიის ზღვამდე არც მიუღწევია. ვერც აპოლოდორის შრომებში იპოვიდა ცნობას კასპიის დასავლეთ სანაპიროზე არსებული კარის შესახებ. რაც შეეხება სხვა ცნობებს, ასეთი მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლთა: არისტობულის და პტოლომეოსის მემუარებში თუ იქნებოდა, მაგრამ სტრაბონი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლების მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობას გამორიცხავდნენ (რასაკვირველია არასწორად)

„...სხვა მთები აღმართულია აღმოსავლეთისაკენ, სახელდობრ ისინი, რომლებიც განლაგებულია კასპიის ზღვის ზემოთ თვით მიდიამდე, როგორც ატროპატენის მიდია, ასევე დიდ მიდიამდე. ყველა ეს ნაწილი მთებისა, როგორც ისინი, რომლებიც გადაჭიმულია კასპიის კარამდე და ისინი, რომლებიც კიდევ უფრო აღმოსავლეთითაა, ეხება არიას, იწოდება პარახოაფად....ამგვარად, მე ვათავსებ ტავრის ამ მხარეს მიდიას (რომელშიც შედის კასპიის კარები) და არმენიას“ (სტრაბონი; წიგნი XI; XII-4)

უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონის ეს ციტატა კასპიის კარებს ფაქტიურად პარახოაფის მთებში ათავსებს (და არა კავკასიისაში!) ამავე დროს ათავსებს კასპიის კარებს მიდიაში (და არა ალბანეთში, რომელიც ყველა ნიშნით მისი დროისათვის აღწევდა კასპიის ზღვას: ალბანეთი მისივე სიტყვებით კასპიის ზღვისპირა ქვეყანაა!)კასპიის სტრაბონისეული კარების დაზუსტება სხვა მისივე ციტატით უფრო მართებულია,თუმცა ის ამ შემთხვევაში ირიბად მიანიშნებს მის ადგილმდებარეობას:

„კასპიის ქვეყნების შემადგენლობაში შედის კომისენა და ხორიენა, ასევე მთელი ოლქები კასპიის კარამდე, რაგ-ამდე და ტაპირების ქვეყანამდე, ადრე მიდიის კუთვნილებაზე. რაგის ახლოს მდებარეობს ქალაქები აპამეა და ჰერაკლეა.

კასპიის კარიდან რაგამდე , აპოლოდორის სიტყვებით 500 სტადიონია (89 კმ) ხოლო პართიის დედაქალაქ ჰეკატომინიდან 1260 (223კმ) (იქვე; III-5)

პართიის დედაქალაქი ჰეკატომინა-საკმაოდ ცნობილი გეოგრაფიული პუნქტია. იგი მდებარეობდა კასპიის ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს შესაყარის და დასახლებულ პუნქტ მეშხედს შორის (100 კმ-იანი რუქა ინტერნეტში) აქედან მანძილი დერბენტამდე, კასპის დასავლეთ კარიბჭემდე მინიმუმ ოთხჯერ აღემატება სტრაბონის (და აპოლოდორის) მიერ დაფიქსირებულს. ყველა ნიშნით ჩანს, რომ ანტიკური გეოგრაფების, აპოლოდორის, არტემიდორის და სტრაბონის კასპიის კარები-ეს კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეა! ყურადღება არც ექცევა კასპიის დასავლეთ მხარეზე მდებარე კარებსდა არც ესაა გაუგებარი და აუხსნელი-დერბენტი იმ დროის მიმდინარე პოლიტიკური პროცესისაგან საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთით მდებარეობდა. პოლიტიკური ცენტრიდან, რომიდან და პართიიდან დაშორებული დერბენტი (და ტარკი) ჩაფიქრებული სკვითების მესაზღვრედ-არააქტუალურია.

...და ბოლოს, დამარცხებული დარიოსი კასპიის კარებისაკენ გარბის. მიუხედავად დამარცხებისა, დარიოსი უგზო-უკვალოდ არ გარბის-ის მიისწრაფვის ცენტრალური აზიის, ბაქტრიისაკენ (დღევანდელი თვალსაზრისით უზბეკეთი). შესაბამისად კასპიის კარად ცნობილი ადგილი დარიოსის ეპოქისათვი-კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ადგილია. დერბენტი-ეს მეორადია, იმავე ალექსანდრე მაკედონელის დაარსებული. თავად კარებს დაარსების საკუთარი ისტორია აქვს, რომელიც დღევანდელ ისტორიაში სათანადოდ არცაა შეფასებული: კარები იმ საზღვრების გაყოლებაზე , რომელიც დაიპყრო და საკუთარი იმპერიისათვის მოხაზა ალექსანდრე მაკედონელმა, მისივე მოწყობილი იყო. ფაქტიურად, საზღვრები ეწყობოდა ორი საზოგადოების გზაგასაყარზე. ეს გახლდათ საზღვარი მიწათმოქმედ და მომთაბარე მოსახლეობის შორის. ამ უკანასკნელის მიერ სამიწათმოქმედო ზონის საზღვრის გადმოლახვა ნიშნავდა მიწათმოქმედის შრომის სრულ ანულირებას. ამასთანავე, აღმოსავლეთისკენ, ინდოეთში სალაშქროდ მიმავალი ალექსანდრე მაკედონელი ვერ დატოვებდა დაუცველად გადასასვლელებს, სადაც შესაძლებელი იყო მისი არმიისთვის სახიფათო ძალის უკანა მხრიდან შემოვლა-თავდასხმა. ასეთ ძალად, როგორც მისი მემატიანები აღწერენ, მას სკვითები მიაჩნდა, როგორც აზიელი ასევე ევროპელი.

„აქ უნდა გავასწოროთ შეცდომა მრავალთა, მათიც კი, რომლებიც უკანასკნელ დროს იღებდნენ მონაწილეობას კორბულონის ლაშქრობაში არმენიაში. ისინი უწოდებენ კასპიისას იმ კარებს იბერიაში, რომელიც როგორც ჩვენ ვთქვით, იწოდება კავკასიისად: ეს სახელწოდება დგას იქიდან გამოგზავნილ სიტუაციურ

რუქებზეც და მუქარა იმპერატორ ნერონისა თითქოსდა ეხებოდა კასპიის კარ-ებს, როდესაც მასში იგულისხმებოდა ის, რომელსაც მივყავართ იბერიის გავლ-ით სარმატების მიწისაკენ:ხომ არსებობს ძლივს მისადგომი რომელიღაც (კარი) კასპიის ზღვასთან, იმდენად მჭიდროდაა ის გარშემორტყმული მთებით. აქვთ მართლა სხვა კარი კასპიის ხალხებს, მაგრამ ამის შესახებ შეიძლება გავიგოთ ერთადერთი ალექსანდრე დიდის თანამგზავრების ნაამბობიდან"(პლინიუს უფროსი, წიგნი VI-XV-40)

კავკასიის ეს კარიბჭე პლინიუს უფროსზე მთელი 50 წლით ადრე აქვს აღწერილი თავად სტრაბონს. ის კარიბჭემდე მისასვლელ ტრასაც აღწერს სევსა-მორას (წიწამურის) და გარმოძიკის (არმაზის) ციხის გვერდიტ, მდინარე არაგის (არაგვის) გაყოლებით. ზუსტადაც აღნიშნავს, რომ ეს გადასასვლელი ჩრდილ-ოეთით იბერთა ქვეყანაში მდებარეობს. პლინიუს უფროსი მხოლოდ იმეორებს სტრაბონის ცნობებს....მაგრამ ამ უკანასკნელს გააჩნია ცნობა კასპიის კარზეც... იმ კარზეც, რომელზე წარმოდგენაც არა აქვს სტრაბონს და რომლის შესახებ ცნობებიც მას მხოლოდ მისივე ნახსენები ალექსანდრე მაკედონელის თანამგზ-ავრების მემუარებიდან უნდა იცნობდეს: პლინიუს უფროსი ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვანი ისტორიკოსებიდან , რომელსაც მაკედონელის კავკასიურ ლაშქრობაში ეჭვიც არ ეპარება.მის მიერ ნახსენები „კასპიის ძლივს მისადგომი კარი მთების ზღვასთან სიახლოვის გამო"-ეს აშკარად დერბენტია, ნამდვილად ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით აშენებული, ევროპელი სკვითებისაგან-უკრაინელთა წინაპრისაგან მის მიერ დაპყრობილი-შექმნილი იმპერიის საზღ-ვრის დასაცველად. რაც შეეხება კასპიის სხვა კარებს:

„გზა ალექსანდრე მაკედონელის და მისი მეომრებისა ცენტრალურ აზიაში მიე-მართებოდა სხვადასხვა უღელტეხილებით კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპირო-ზე"

ასეთია პლინიუს უფროსისზემოხსენებული ციტატის რუსულენოვანი კომენტ-არი. ამ კომენტატორისთვისაც თითქმის შეუმჩნეველი მითითება კასპიის სხვა კარის შესახებ უყურადღებოდ რჩება. ასეთივე უღელტეხილი, საცალფეხო სავ-ალი კლდეებსა და მიმდებარე ვაკობებს შორის რამდენიმე იყო, რომელიც ანტი-კური მწერალთათვის გადაუჭრელ გორდიას კვანძს წარმოადგენს. ეს გადასასვ-ლელები სასტიკად არის აღრეული სხვადასხა ავტორის მიერ. ის, რომ სტრაბო-ნისეული კასპიის კარები გულისხმობს კასპიის აღმოსავლეთის კარებს და არა სამხრეთისას, აშკარად იკითხება ამინე მარცელანესთან:

„სპარსეთის საზღვრები, კასპიის კარები, ალბანები ... (სპარსეთი) ჩრდილოეთის მხარეს კასპიის კარამდე, ესაზღვრება კადუსებს, სკვითების მრავალ ტომს და არიმასპებს, ცალთვალა ველურ ხალხს, დასავლეთის მხრით ემიჯნება არმენი-ელებს და ნიფატებს, აზიაში მობინადრე ალბანელებს, მეწამულ ზღვას, სკენიტ

არაბებს, რომლებსაც შემდგომში შთამომავლობამ სარკინოზები უწოდა.“ (გეორგიკა; ტომი I ამინე მარცელანე XXIII -6-13. გვ. 121. 1961წ).

ამონარიდიდან თვალნათლად იკითხება, რომ კასპიის პირველი -დასავლეთის კარები ისაა, რომელსაც არმენიელები და ნიფიტები, აზიაში მობინადრე ალბანები (4) ესაზღვრება, შემდეგ მეორე-აღმოსავლეთისა ესაზღვრება კადუსიებს, სკვითებს და თვით არიმასპებს, რომელნიც ჰეროდოტეს ეპოქიდან არალის ზღვის მიმდებარედ მოიაზრებიან, კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროზე! ცხადზე ცხადია, რომ ამიანე მარცელანეს მიერ ნახსენები კასპიის კარები ორია და ერთი ამავე სახელწოდების ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს , რომელ მხარეს ალბანეთის საცხოვრისი იწყება. მეორე კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს რომელც კადუსიებს (ჰირკანებს-გელებს) ესაზღვრება. დასასრულს უნდა ვთქვათ, რომ ამიანე შემდგომ ნაწყვეტში უკვე ქალაქ ჰერაკლესაც ახსენებს, რომელიც ქალაქ რაგთან ახლოს მდებარეა და რაზეც სტრაბონიც მიუთითებდა, რაც შესაბამისად ამ აღწერის რეალურ ხასიათს მიანიშნებს.

ასეთივე არეულობა არსებული კარიბჭეების შესახებ შემდგომი დროის მწერლობაშიც. ასე მაგალითად, იოანე ცეცე წერს, რომ ალანები მეოტიდისა და ტანაისის მიდამოებში არიან, მათვე უკავშირებს მეოტიდიდან აგრერიგად დაშორებულ გასასვლელს ჰირკანიელებისა და კასპებისას, სადაც ისინი თურმე ასევე არიან და რომელი კარებიც ალექსანდრე მაკედონელმა ჩაკეტა. **(გეორგიკა. ტომი VII -გვ36. თბილისი 1967წ).** რასაკვირველია ჰირკანელთა და კასპთა გადასასვლელი ერთი და იგივე არც შეიძლება იყოს. ერთი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, მეორე დასავლეთ სანაპიროზე. ასევე ურევს ერთმანეთში საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ არსებულ გადასასვლელებს პროკოპი კესარიელიც. მას აღწერილი აქვს იბერთა კარი, შემდგომში დარი-ალანად წოდებული. თუმცა მას ისევე ურევს კასპიის კართან, როგორც ამას 500 წლის უკან პლინიუსი აღნიშნავდა. **(გეორგიკა. ტომი 2. გვ.46 თბილისი 1965წ)**

ბიზანტიელ და რომაელი ისტორიკოსები ერთ რამეში ერთმნიშვნელოვნად თანაბარ პოზიციებზე დგანან: გადასასვლელები გამაგრებულია ალექსანდრე მაკედონელის მიერ! გადასასავლელი, რომელსაც სტრაბონი კასპიის კარებს უწოდებს, ამ ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ახალშექმნილი იმპერიის ზურგს იცავს, სოგდი თუ სკვითი მომთაბარეებისაგან. იგივე კარი იცავს მოგვიანებით პართიის, ხოლო შემდგომ სპარსეთის სახელმწიფოს იმავე მომთაბარეებისაგან! ...და ვინ შეიძლებოდა დაეტოვებინა ალექსანდრე მაკედონელს მოახალშენებად ამ მისთვის მნიშვნელოვან სასაზღვრო მონაკვეთზე? კასპიის დასავლეთის კარიბჭეს ოდრისები-თრაკიელები, შემდგომ ხაზარებად ცნობილნი და რუტულები-ეტრუსკყოფილი ლათ-

ინები იცავენ(5), ჩორის გადასასვლელთან ილირიელები მკვიდრდებიან და იცავენ (6) რაც იმას მიანიშნებს, რომ იქაც, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ზოლსაც შესაძლოა ალექსანდრე მაკედონელისათვის მაკედონიის ეგზომ საიმედო მეზობელი, ილირიელები იცავენ!.... და აი აქ წამოტივტივდება ზუსტად სახელი აბზოის მრავალსახელა ტომისა, რომელიც პლინიუს უფროსს აქ, უშუალოდ კასპიის ზღვის აღწერისას აქვს ნახსენები- ესაა ის ბაზგუნის სამეფო, რომელსაც ახსენებს ზაქარია მიტილენელი **(გეორგიკა. ტIII)** და რომლის დარაიონებასაც ამაოდ ცდილობენ ქართველი თუ არაქართველი ისტორიკოსები. ბაზგუნის ამ პოლიტიკურ წარმონაქმნს არა ერთგზის აღნიშნავენ არაბები, რომლებიც დაპყრობითმა ომებმა ჩამოიყვანა ქვეყნიერების ამ ნაწილში. უცხო არაა ბაზგუნის პოლიტიკური წარმონაქმნი იმდროინდელ რუქებზეც და ის აბასკუნი სახელით იხსენიება.

ტაბარანმა-შემოინახა სახელი არაირანული ტომისა, რომელმაც შემდგომში მიიტაცა მარდების განსახლების ტერიტორია (ქალაქ ამულის მახლობლად ტაბარისტანში, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე) რომლებიც ჩაასახლა აქ არსაკიდმა მეფემ თრდატ I-მა. (62-88წ)(ვიკიპედია)

მეფე თრდატის მიერ კასპიის სამხრეთ სანაპიროზე ჩამოსახლებული ტაბარებ, რასაკვირველია ჩამოსახლებამდე აქვე პართიაში მცხოვრებნი ჩანან, თუმცა დაუდგენელია მათი ვინაობა და პართიის ტერიტორიაზე მოხვედრის ისტორია. უკიდურესად საინტერესოა ის თუ რატომ გადაფარა არა ირანული ტაბარის ტომის სახელმა მარდების (როგორც ირკვევა ასევე არა ირანული ტომის) სახელი. ვინ და რომელი ტომები იფარება მათი სახელის ქვეშ, მით უმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მართა- მარდთა ტომი სახელწარმომქმნელი გამოდის რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანებისათვის ევროპასა და აზიაში, მათ შორის აბაზგებისაც კი.

საყურადღებოა, რომ იმავე ბეხისტუნის წარწერებში მარგიანა -მარგების საცხოვრისი და ზემოთ მოყვანილ ციტატაში ნახსენები მარდები სხვადასხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი პოლიტიკური ერთეულები ჩანს. აი სად და როგორ ფიქსირდება ბეხისტუნის წარწერების მარგიანა, განსხვავებით ქალაქ ამულთან მდებარე მარდებისა:

„პართია-შეესაბამება შეესაბამება ჩრდილოეთ ირანსა და სამხრეთ თურქმენეთს. შემოსაზღვრულია ჩრდილოეთით ყარაყუმის უდაბნოთი, კოპეტდღის მთებით და უდაბნო დეშტი-იკავით, დასავლეთით მიდიით, ჩრდილო დასავლეთით ჰირკანიით და მარგიანათი ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაფუძნებული აქ არა უგვინეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე XV საუკუნისა“ (ვიკიპედია, პართია)

შესაბამისად, მარგიანა გაცილებით ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობდა, ვიდრე ქალაქ ამულთან და კასპიის ზღვის სამრეთ სანაპიროზე მდებარე ტაბარისტანი, მარდების ახლანდელი საცხოვრისი და დღევანდელი მაზანდერანი...რასაკვირველია მარგიანა და გვიანდელი მარდები-ტაბარისტანი -ეს ორი სხვადასხვა [პლიტიკური გაერთიანების სიმბიოზი უნდა იყოს, შესაძლოა და სავარაუდოდ ერთი იმავე წარმოშობის ტომებით, თუმცა სრულიად სხვადასხვა ისტორიის მქონე და სხვადასხვა ისტორიული პროცესების შედეგად დაფუძნებული ასევე სხვადასხვა ადგილას.

ისტორიული ექსკურსი

მარები, ეს ჯერ კიდევ ჰეროდოტესთან, მეცხრამეტე სატრაპიაა, გაერთიანებული ქართველურ ტომებს, მოსხებს, ტიბარანებს, მაკრონებსა და მოსინეკებს შორის. სატრაპიაში გაერთიანებული ჩანს როგორც აღმოსავლურ ქართული, ისევე დასავლეთ ქართული ტომები, რაც აძნელებს მათ ეთნიკურ მიკუთვნებულობას გარკვევას . მაგრამ ამავე დროს თავისუფალი არჩევნების არსებობისას, ისინი კოლხებთან წყვილდებიან, მათთან ერთად იბრძვიან ერთი სარდლის მეთაურობით. დიდი ალბათობით მარები (უკვე) დასავლეთ ქართველური ტომები არიან.

პლინიუს უფროსი დიოსკურიის მიდამოების აღწერის დროს მარდებს აღწერს და არა მარებს! გაურკვეველია მარები და მარდები, ეს ერთი და იგივე ტომია, თუ სახვადსხვა? ჰეროდოტეს მიხედვით, მარდები მომთაბარე ტომებია, მას ისეთ ტომებს შორის ასახელებს, როგორიცაა, **დაიები,** დრიპიკები და საგარტიები.

„უმრავლესობა სკვითებისა კასპიის ზღვიდან დაწყებული, იწოდება დაიებად.“ (სტრაბონი . წიგნი XI; VIII-2)

ჰეროდოტეს მიერ აღნიშნული ერთ-ერთ ტომს სტრაბონი რატომღაც უკვე სკვითს უწოდებს. აქვე ასახელებს სტრაბონი ამარდებსაც:

„ზღვის გარშემო ჰირკანებს იქით ბინადრობენ ამარდები, ანარიაკები, კადუსიელები, ალბანელები.“ (იქვე VIII-8)

მარგუს და მარგების ტომს აღნიშნავს მეფე დარიოსის ბეხისტუნის წარწერები კლდეზე:

„10-19 ამბობს მეფე დარიოსი: მარგუს ქვეყანა ამბოხდა. ერთი ადამიანი, სახელად ფრადა, მარგუელი, მათ გახადეს უფროსი. ამის შემდეგ მე გავაგზავნე სპარსელი, სახელად დადარშიში, ჩემი მონა, ბაქტრიის სატრაპთან (და ვუთხარი მას: მიდი და გაანადგურე ჯარი, რომელიც არ ცნობს ჩემს ძალაუფლებას. შემ-

დეგ დადარშიში გაემართა ჯარით და გაუმართა ომი მარგუელებს. აჰურამაზ-და დამეხმარა მე. აჰურამაზდას წყალობით ჩემმა ჯარმა გაანადგურა აჯანყებუ-ლი ჯარი. 23-ე დღეს ასმადის თვეს (დეკემბერი 521 წ) მათ გამართეს ბრძოლა. 19-21 ამბობს მეფე დარიოსი. ამის შემდეგ ქვეყანა გახდა ჩემი. აი ეს გაკეთდა ჩემს მიერ ბაქტრიაში. (ბეხისტუნის წარწერები, სვეტი-3) (7)

ზუსტად ეს მარგუ, მცხოვრებნი სატრაპია ბაქტრიაში ჩანან ის მარდები, რომლებსაც ევროპული (მაკედონური და შემდგომ რომაული) ისტორია მარდ-ებს უწოდებს. დიდი ალბათობით, ამ ტომის ნაწილია ის მარები, რომელსაც აღ-ნიშნავს ჰეროდოტე თავის ისტორიაში, და რომლებიც ტომთა თავისუფალ (ნე-ბაყოფილებით) დაწყვილებაში საომარ რიგს კოლხთა გვერდით ირჩევენ. და რატომ კოლხთა გვერდით?

„კსიუსუსტრიდან და წარღვნიდან მანამდე,სანამ მიდიელებმა დაიპყრეს ბაბი-ლონი,პოლიგესტერი თვლის 86 მეფეს და სახელებით ახსენებს ყოველივეს, ბე-როსის წიგნის მიხედვით, და მათ მმართველობას ყველასას ერთად თვლის 3 მირიადი 3 ათს 91 წელი.ხოლო მათ შემდეგ, მათი მძლავრი დინასტიის შემდეგ მარებმა (მიდიელებმა) გაგზავნეს ჯარი ბაბილონის წინააღმდეგ, აიღეს იგი და დააყენეს იქ თავიანთი ნაცვალი. მათ შემდეგ ის ასახელებს მართა ნაცვალებს, სულ 8-ს, მათი მმართველობის დრო 224 წელი“ (ბეროსი; ბაბილონის ისტორია F-5)

როგორც ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, მარებმა შეძლეს ბაბილო-ნის დაპყრობა და მართავდნენ მას (მეფის) ნაცვალთა ინსტიტუტით 224 წლის განმავლობაში.

„მარი-ქალაქი,სახელმწიფო,არსებული ევფრატის სანაპიროზე, ჩრდილოეთ სი-რიაში III-IIათასწლეულს ჩვ წ. აღრიცხვამდე. ყველაზე დასავლეთით მდებარე შუმერთა ქალაქებისაგან (თანამედროვე სირიის ქალაქი აბუ-კემელთან (8) პრა-ქტიკულად ხელუხლებელი სამეფო არქივი გადატანილ იქნა დამასკოსა და ალეპოში.მრავალი ექსპონატი ექსპონირებულია ლუვრში. დაიპყრო აქადმა XX IV-XXIII საუკუნეს ჩ.წ.აღრიცხვამდე, დაიპყრო ურის მესამე დინასტიამ XXII-X XI საუკუნეს ჩვ.წ.აღრიცხვამდე. XXI საუკუნის ბოლოს აღიდგინა დამოუკიდე-ბლობა.1758 წელს მარი დაპყრობილ იქნა ბაბილონის მეფის, ხამურაბის მიერ. შემდგომში დამოუკიდებელ როლს არ თამაშობდა. (ვიკიპედია)

ვიკიპედიის ეს ცნობა სიმართლეს არუნდა შეესაბამებოდეს. რატომ? რა-საკვირველია პრიმატი ბეროსის ცნობებს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც უძვე-ლესი (სავარაუდოდ წარღვნამდელი ცნობებითაც კი სარგებლობს) მისი ცნობე-ბის მიხედვით კი მარები ჩვ.წ. აღრიცხვიამდე XXVI საუკუნიდან მართავდნენ ბაბილონს (შუმერს) ჯერ მეფისნაცვალთა ინსტიტუტით 224 წელი, ხოლო შუმ-ერთან სრული შერწყმის შემდეგ კიდევ 308 წელი...ბეროსის ცნობების მიხედვ-

ით, ისინი ჰურიტების შემოჭრამდე (ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXI საუკუნე) მართავ-დნენ ბაბილონს! რასაკვირველია ამდენი საუკუნე ხალდეურ (ჭანურ) ეთნოს-თან ურთიერთობის შემდეგ მათ ენა, ისედაც ახლოს მდგომი და მონათესავე კოლხურსა, როგორც ერთი ფუძიდან აღმოცენებული, კიდევ უფრო უახლოვ-დება ერთმანეთს. ამიტომაც ირჩევენ ისინი კოლხებთან დაწყვილებას საომარ მწყობრში (ასევე იკვეთება მათი გენეტიკური მჭიდრო ნათესაობა კოლხებთან, თუმცა თემა სცილდება წიგნის ფორმატს) რაც შეეხება მიდიელებს, ის შემდგ-ომი დროის გადამწერების მიერ ჩანს ჩამატებული ცნობაში: მიდიელები ერთი ათეული საუკუნის შემდეგაც არ ჩანან ისტორიულ ასპარსზზე გამოსული.

პარალელურ რეჟიმში ახსენებს ჰეროდოტე კოლხთა მეზობელ მარებს (და ეს მეზობლობა მხოლოდ და მხოლოდ ევფრატის ხეობაშია საგულვებელი) და სპარსთა ქვეშევრდომ მარდებს, თუმცა ცხადზე ცხადია-ეს ერთი და იმავე ეთნოსია! საბუთი მათი იგივეობისა ზედაპირზევე დევს: ბაქტრიაში არსებულ უდაბნოს მარებისა ეწოდება და არა მარდებისა ან თუნდაც მარგებისა!
საინტერესოა, რომ ზუსტად მარდებმა (9) მოიპარეს სახელგანთქმული ცხენი ალექსანდრე მაკედონელისა, ბუცეფალი. ალექსანდრე საშინლად გაბრაზდა მა-თზე და დედაბუდიანად ამობუგვას შეჰპირდა, თუ ისინი ცხენს არ დაუბრუ-ნებდნენ. საბედნიეროდ ყველაფერი მორიგებით და შერიგებით დამთავრდა, უსისხლოდ.

უცნაურია, მაგრამ შუა საუკუნეების სომხური ლიტერატურა მარებს და მიდიელებს აიგივებს. ასევე არმენი ასოღაკი (XII-XIII საუკუნე) აიგივებს მარებს და მიდებს. საუკუნეების მანძილზე სომხები შორს ჩრდილოეთისაკენ გადაად-გილდებიან (რასაკვირველია არა ნებაყოფილებით) კარგავენ მარებთან ქრონო-ლოგიურ და ტერიტორიულ მეზობლობას, როგორც ჩანს ასევე ინფორმაციას მათ შესახებ. ჰეროდოტე სამივე ეთნოსს ცალ-ცალკე აღნიშნავს, აღნიშნავს სხვა-დასხვა რანგში. მიდები, გარკვეული პოლიტიკური ავტონომით უფლებამოსი-ლნი ჩანან, თუმცა სპარსელების გვერდით ლაშქრობენ. ნაკლები პოლიტიკური ავტონომიის უფლებით ჩანან მარები, რომლებიც ლაშქრობაში კოლხების გვე-რდით არჩევენ დგომას. მარდების პოლიტიკურ უფლებას ჰეროდოტე არ აღნი-შნავს, და სრულიად სამართლიანად: დარიოსის სიტყვებით ის მხოლოდ ბაქ-ტრიის სატრაპიაში შემავალი, თუმცა მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ტომი ჩანს. ასევე გარკვეული დამოუკიდებლობის ნიშნები გააჩნიათ ალექსანდრე მა-კედონელის ეპოქაში.

... ალექსანდრე მაკედონელი...

ისევე როგორც იბერიაში სადაც მან მმართველი ელიტა „მეგობრები“ რიგებიდან დანიშნა, სავარაუდოა რომ პართიის ელიტაც იმავე „მეგობრები“ რიგებიდან დანიშნულიყო. რაც შეეხება მომთაბარეებისაგან, განსაკუთრებით ევროპელ თუ აზიელ სკვითებისაგან მისი ახალი იმპერიის საზღვრების დასაცავად და მაკედონელთა ინდოეთისაკენ მიმავალ ლაშქრის ზურგის უზრუნველსაყოფად, მაკედონელს ქმედითი ღონისძიებები უჩანს გატარებული. კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მან შეძლო დამცველი კედელის და გამაგრებული ზღუდის აშენება ზღვიდან მთებამდე, ადგილის სივიწროვის გამოყენებით. სიმაგრეში (დერბენტში) მას რუტულთა ლათინური ტომი დატოვა. მეორე მისგანვე აშენებულ ქალაქში, პირველიდან ერთი დღის სავალზე ჩრდილოეთით (ტარკი ჩრდილოეთ კავკასიაში) მან თრაკიელ ოდრისთა ლაშქარი დატოვა, ურთიერთ დამხმარედ და ქომაგად მომთაბარეთა ჭარბი ძალების შემოტევის შემთხვევისათვის. ის, რომ საზღვრის (ზურგის) დაცვაში ყველა შემთხვევაში ჩართულია ორი ან მეტი ავტონომიური ტომი, ალექსანდრე მაკედონელის გენიალურ პოლიტიკოსობას უსვამს ხაზს: ავტონომიური ტომები ნაკლებად შეძლებენ გაერთიანებას და სუზერენისაგან (ამ შემთხვევაში მაკედონელებისაგან) დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას!

განსხვავებული სიტუაცია უჩანსმაკედონელს კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ზღვიდან მთამდე დამცველი კედელი აღმოსავლეთ სანაპიროზე არ აშენებულა, ხელსაყრელ ვიწრო ადგილის არ ქონის გამო. კედლის საკომპენსაციოდ დიდ სტრატეგს, მაკედონელს არა ორი, არამედ სამი დასახლება უჩანს კასპიის ზღვის აღმოსავლეთით დაფუძნებული: და რასაკვირველია სამივე მისთვის ეგზომ საიმედო ილირიელთაგან: დიხისტანი, ტაბარისტანი, ჯურჯანი! (აბასკუნი ტაბარისტანის შემდგომისახელი ჩანს) თვით სიტყვა აბასკუნი იმდენად სპეციფიკურია, რომ შეცდომა გამორიცხულია. ის აბასკთა საცხოვრისს უნდა აღნიშნავდეს, მით უმეტეს პლინიუს უფროსი აბზოის ტომის საცხოვრისს I საუკუნისათვის ზუსტად აქ ასახელებს. მისივე სიტყვებით მარები, მარიდები უკვე ფიქსირდება შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ხოლო სულ რაღაც 50 წლის შემდეგ, უკვე ფლავიუს არიანე აბასკთა ტომს, (სავარაუდოდ ერთერთს აბზოის მრავალსახელა ტომთაგან, როგორც პლინიუს უფროსი აღნიშნავს) დღევანდელ გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე აფიქსირებს.

...და ვინ შეიძლება იყოს აბზოის ტომის სხვა წევრი, გარდა აბასკისა? კითხვაზე პასუხს ისევ სტრაბონის მიერ ტომთა მისეული სრული აღწერა თუ მოგვცემს. მართალია სტრაბონი აბასკთა ტომს ილირიკში უკვე აღარ აღწერს, თუ-

მცა მისი ეპოქისთვის ის იქ უბრალოდ აუცილებულიც კი ჩანს (10) მისთვის ის სხვა სახელით უნდა იყოს ცნობილი. სტრაბონის (და არა მარტო მის) მიერ აღწერილი ილირიკულ ტომებში ერთ-ერთი იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელი ტომიც საუკუნეების მანძილზე ასევე იპყრობს ყურადღებას უკვე სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც. და ზუსტად იმ ადგილის მახლობლად, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა სავარაუდოდ კასპიის ჩრდილო სანაპიროს გაყოლებით, იმპერიის ზურგის დასაცავად ილირიელთა დასახლებები შექმნა და დატოვა:

„მერე მოდის სანაპირო დალმატებისა და საღუზე სადგომი სალონი. ეს ტომი-ერთ ერთი იმათთაგანია, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა რომაელებს. დალმატებს ჰქონდათ 50 მნიშვნელოვანი დასახლება და რამდენიმე ქალაქიც კი, როგორიცაა სალონი, პრაამონი, ნინია და სინოტიი, როგორც ახალი, ისე ძველი. ისინი მისცა ცეცხლს ავგუსტუსმა. აქ მდებარეობს მათ, გარდა, გამაგრებული ადგილისა ანდეტრიი, ასევე დალმიი-დიდი ქალაქი, რომლის მიხედვით დაერქვა ტომს. მაგრამ ნაზიკამ (ნაზიკა კორკული 155წ ქრისტემდე) მცხოვრებთა მტაცებლობის გამო, გადაიქცა დიდი ქალაქი პატარად, ხოლო ტერიტორია, ცხვრების საძოვრად," (სტრაბონი. წიგნი VII თავი V-5)

მართალია სტრაბონის სიტყვებით ქალაქი არქმევს სახელს ტომს, მაგრამ მისი ეს შეფასება სწორი არ უნდა იყოს. ამ ტომისთვის იმდენად ძვირფასი ჩანს მათი საკუთარი თვითწოდება, რომ ის არა ერთგზის აღინიშნება სხვადსხვა ისტორიკოსების მიერ სხვადსხვა დროს სპარსეთის ტერიტორიაზე:

„ეს დოლიმიტები ბარბაროსები არიან და სპარსეთის შიდა ადგილებში მოსახლეობენ, მაგრამ არასდროს არ ყოფილან სპარსთა მეფის ქვეშევრდომები. ისინი ციცაბოსა და სრულად მიუვალ მთებში დაფუძნებულან და ძველიგანვე ვიდრე დღეინდელად დღემდე თვითთავადობა შეუნარჩუნებიათ; ხოლო როგორც და-ქ-ი-რავებული ჯარისკაცები, ისინი მუდამ ლაშქრობდნენ სპარსელებთან ერთ-ად მათი მტრების წინააღმდეგ. ისინი ყველანი ქვეითად იბრძვიან, თითოეული მათგანი ატარებს მახვილსა და ფარს და ხელში სამი ხელშუბი უჭირავს. ისინი მარდად ხტიან როგორც კლდებსა და მთის მწვერვალებზე, ისე ტრიალ მინდორზეც (გეორგიკა. ტომი II პროკოპი კესარიელი გვ 189-190 თბილისი 1965წ)

კესარიელის მიხედვით, ეს დოლომიტები სპარსეთში მცხოვრებნი კი არიან, მაგრამ სპარსეთის ქვეშევრდომებად თავს არ თვლიან, სპარსულ ჯარში მხოლოდ დაქირავებულების რანგში მსახურობენ. ამ ტომის შესახებ უფრო ამომწურავი ცნობები მოიპოვება ანტიკური ბერძნული ავტორთან, აგათია სქოლასტიკოსთან:

„დილიმნიტები წარმოადგენენ იმათ შორის ვინც მდინარე ტიგროსის იქით მოსახლეობენ სპარსეთის საზღვრებთან, უდიდეს ტომს და ძალიან მამაცი მებრძ-

ოლნი არიან და არა მხოლოდ მემშვილდეები და მტყორცნელები. როგორც ყველა მიდიელები, ისინი ხომ შუბსა და სარისებს ატარებენ და მხარზე მახვილი აქვთ ჩამოკიდებული. მარცხენა ხელზე პატარა ხანჯალს იბამენ და წინ ფარებსა და პელტებს იფარებენ. ისე რომ ვერც იმას იტყვი, რომ ისინი სრულიად მსუბუქად არიან შეიარაღებულნი. და ვერც იმას, რომ ისინი ჰოპლიტები არიან და ახლო საბრძოლველად გამზადებულნი. შორიდანაც თუ შემთხვევა მოიტანს- ისვრიან ისრებს და ხელჩართულ ბრძოლაშიც მიდიან. მტრის ფალანგასაც მარჯვედ ეძგერებიან ხოლმე და ამ ძგერებით მტკიცედ შეკრულ ფალანგას არღვევენ. მოხერხებულადაც შეცვლიან რაზმთა განწყობას და შექმნილ მდგომარეობას ეგუებიან.ისინი უცბად აირბენენ ხოლმე დაქანებულ ბორცვებზე, წინასწარ იკავებენ შემაღლებულ ადგილებს და მარდად გამოძვრებიან უკან. კვლავ მიბრუნდებიან და მოხერხებულად აწვებიან სხვებს დადევნების დროს; ერთი სიტყვით, ყოველგვარი საომარ საქმეში გაჩვეულნი და გაწვრთვნილნი არიან და დიდ ზიანს აყენებენ მოწინააღმდეგეს. მეტწილად სპარსელებთან ერთად ლაშქრობენ ხოლმე, მაგრამ იძულებით კი არა, როგორც ქვეშევრდომები; ისინი თავისთავადნი არიან და თავისუფალნი და ძალადობას არავისგან არ მოითმენენ.
(გეორგიკა ტომი III აგათია სქოლასტიკოსი გვ 91-92. თბილისი 1936წ)

აგათია სქოლასტიკოსი ერთ რამეში სწორია, დილიმნიტები (და არა დოლომიტები) მართლაც სპარსეთის საზღვართან მცხოვრებნი ჩანან, თუმცა არა მდინარე ტიგროსის, შესაბამისად სპარსეთის, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროს მცხოვრები, პიროვნულად და თემურად თავისუფლების მოყვარული და თავისუფალი ტომი.

,,ამ უკანასკნელს უბრძანა გამგზავრებულიყო ყაზვინში, თუ ალლაჰი დაიპყრობს ქალაქს მისი ხელით, მაშინ აქედან გაილაშქრებს დეილამიტების წინააღმდეგ.“ (ახმედ ალ-ბალაზური. წიგნი ქვეყნების დაპყრობისა. გვ. 321) ,,მათ გაგზავნეს დეილამიტებთან, თხოვდნენ მათ დახმარებას...მაგრამ დეილამიტები იდგნენ მთაზე, ხელიც არ აღმართეს მუსლიმებზე... (იქვე)

ცხადია პროკოპი კესარიელის აგათია სქოლასტიკოსის და ბალაძურის მიერ ნახსენები ხალხი ერთი და იგივეა, ისინი ცხოვრობენ ყაზვინსა და კასპიის ზღვას შორის. სიმტომატურია, რომ ბალაძურის მიერ მათი საცხოვრებელი ადგილი აღწერილია მე-9-ე საუკუნეში. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და დეილამიტების აქ ჩამოსახლებას ბალაძურის ეპოქიდან მთელი 13 საუკუნე აშორებს. ამ პერიოდისათვის ტომი საკმაოდ დიდ მანძილზე ჩანს ადგილმონაცვლებული პირველი დასახლების ტერიტორიიდან, ხოლო სატომო სახელს, რომელიც რასაკვირველია არა ქალაქის სახელის მიხედვით აქვს შერჩეული, მთელი ამ საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებს. ყველა ნიშნით, ეს აბზოითა მრავალსახელა ტომის ის კომპონენტია, რომელიც კასპიის ზღვის (უკვე) სამხრეთ-დას

ავლეთ სანაპიროზე (უკვე) დეილემების სახელითა ა ცნობილი. ამავე ტომის სრულუფლებიანი წევრი ჩანს აბასკიც, რომელთა საერთო სახელი აბასკუნი, ადრე გაცილებით ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ადგილს (დამოუკიდებელ პოლიტიკური ერთეულს) ერქვა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (11)

უნდა აღინიშნოს, რომ პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები აბზოის მრავალსახელა ტომიც არ ჩანს ერთგვაროვანი:

1. უდავოა, რომ კასპიის ზღვისსანაპიროზე პლინიუსის მიერ დაფიქსირებული აბზოის მრავალსახელა ტომთა შორის პირველი-ეს აბასკებია, რომელიც ამ საკითხზე სერიოზული ლიტერატურის არარსებობის მიუხედავად (გარდა მავანი რუსი ავტორის, ვორონოვისა აბაზგების ფინიკიელობის შესახებ) სავარაუდოდ მარგების ტომი უნდა იყოს, დალმატების გვერდით მცხოვრებმი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე,ალექსანდრე მაკედონელის ილირიელი მოლაშქრეები შთამომავალნი...თუმცა ადრიატიკაზე იმავე სტრაბონის მიერ მხოლოდ მდინარე მარგია აღნიშნული, დიდი ალბათობით, ამ დასახელების ტომმა დაარქვა სახელი მდინარე მარგს ოდესღაც...თუმცა სტრაბონის დროს ტომი უკვე სხვა სახელს ატარებს (ამის შესახებ უკვე წიგნის II ტომში)

2. აბზოის მრავალსახელა ტომებში ზიხებიც მოიაზრება (არაბული წყაროების დიხები-დიხისტანი) წარმოშობით ასევე აღმოსავლურ ქართული ტომები, ასევე ალექსანდრე მაკედონელი ილირიელი მოლაშქრეების შთამომავალნი...

3. დეილემები-უბიხები-დამბე, მიუხედავად იმისა,რომ ისინი აბაზგთა ნათესავ ტომადაა ჩათვლილი, სინამდვილე სრულიად სხვას გვკარნახობს: დეილემებიეს დასავლურ ქართველური ტომები, ხალდები არიან, რომლის ისტორიული და გეოგრაფიული წარსული დიდად განსხვავებულია მეორე ხალდეურ-ჭანური ტომისაგან, სადაშ-საძებისაგან...ასევე ალექსანდრე მაკედონელის ილირიელი მოლაშქრეების შთამომავალნი... (დეილემის ტომის ბექრაუნდი განხილულ იქნება მეორე ტომში)

კასპიის ზღვის აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროების შესწავლისათვის აუცილებელია აღნიშნული რეგიონი განხილული იქნეს დროის რამდენიმე პერიოდში, რომლის განმავლობაში ცვლილებები ამ სანაპიროზე აშკარა ჩანს და რომლის აღრევა ერთმანეთში, ისტორიის არასწორი წაკითხვის მიზეზი ხდება:

1.პირველი პერიოდი - პოლიტიკური და ეთნიკური ცვლილებები ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედეგად.

2. მეორე პერიოდი-ასეთივე ცვლილებები VII საუკუნეში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არაბთა ლაშქრობების შედეგად.

3. მესამე პერიოდი -კასპიის ზღვის აღნიშნულ სანაპიროები X-XIII საუკუნეები, არაბული ლაშქრობების ტალღის მიქცევის შემდეგ.

როგორც ცნობილია, აზიის დაპყრობილ ტერიტორიებზე ალექსანდრე მაკედონელს რამდენიმე ქალაქი (ძირითადად საკუთარი სახელობისა) აქვს აშენებული, თუმცა იგი ქალაქების აშენების იდეა-ფიქსით შეპყრობილი არა ყოფილა. (ამისთვის მას მაკედონიის ტერიტორიაც თავისუფლად ეყოფოდა). ალექსანდრე მაკედონელი მის მიერ დაპყრობილ-შექმნილი იმპერიის საზღვრების მონიშვნას, მის გამოყოფას მომთაბარე სამყაროსაგან და დაცვას, აგრეთვე იმპერიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქალაქი პოლისების აშენებას ცდილობდა. როგორც უდიდესი სტრატეგი, იგი ფიქრობდა ამ ახალი იმპერიის ვრცელი საზღვრების დაცვას შეზღუდული სამხედრო რესურსებით. ცდილობდა შესაძლებლობის მიხედვით ხალხის მინიმალური რესურსებით აზიის თითქმის მთელი სივრცის გაკონტროლებას. ამ მიზნის ნათელი მაგალითია ჩორის (დარი-ალანის) უღელტეხილის მიმდებარედ დასახლების შექმნა და გაკონტროლება (მიუხედავად სტრაბონის აბსურდული თეორიისა, როგორც მტკიცდება ალექსანდრე მაკედონელი იყო კავკასიაში და საქართველოში, და ეს უკანასკნელი გადასასვლელიც მისივე ილირიული ჯარის ნაწილების მიერ იქნა დასახლებულ-ათვისებული).

იმავე ალექსანდრე მაკედონელის სტრატეგიული ხედვის შედეგია დერბენტის კარიბჭის მოწყობა და დუბლიორი ქალაქის მშენებლობა ტარკში, ჩრდილო კავკასიაში. ზუსტად ანალოგიური შემთხვევა გვაქვს კასპიის აღმოსავლეთი სანაპიროსთან მიმართებაში, სადაც იგივე სტრაბონი კასპიის კარიბჭეს, კასპიის აღმოსავლეთ კარს აფიქსირებს. რამდენადაც ცნობილია, სპარსეთის, ხოლო შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში, განაპირა ჩრდილოეთი ოლქი ხორეზმი (დღევანდელი თურქმენეთი) იყო, რომელიც ადმინისტრაციულად ხორასანის ოლქს ეკუთვნოდა:

„ის ცნობილია როგორც ზღვა ალ-ბაბ-ვა-ლ-აბვაბისა, ალ- ხაზარი, ჯურჯანისა და ტაბარისტანისა. მის სანაპიროზე ცხოვრობენ სხვადასხვა (ტომები) თორქები. ერთ-ერთ მის სანაპიროს ეკვრის ხორეზმის ქვეყნის ოლქები, რომელიც (შედის) ხორასანის მიწებში.“ (აბუ-ლ-ჰასან ალ იბნ ალ-ჰუსეინ ალ-მას'უდი. თავი XIV)...„მესამე ზღვაზე-ზღვა ალ-ხაზარიია. კასპის ზღვა არაბულ წყაროებში) ... ბევრი ეძახის ამ ზღვას ალ-ხურასანისას, იმიტომ რომ ის ხორეზმის ქვეყნის (სანაპიროს) რეცხავს. (რომელიც შემოდის) ხორასანის ტერიტორიაში“(იქვე)

დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ თურქმენეთის ტერიტორიის დასავლეთი, კასპიისპირა რეგიონი და სამხრეთი ნაწილი თურქმენისტანისა, შემოდიოდა სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ქალაქი ნისა, რომელიც მდებარეობდა რამდენიმე ათეულ კილომეტრზე თურქმენეთის დღევანდელ დედა-

ქალაქ აშხაბადიდან, მაკედონელის თანამედროვეთა მემუარებზე დაყრდნობით, ბაქტრიის სატრაპიაში (სპარსეთის საგანგებლოში) შემოდიოდა, ხოლო ქალაქ მერვს (მარგების ქალაქს) 330 კილომეტრით დაშორებულს დღევანდელ ქალაქ აშხაბადიდან აღმოსავლეთით, ხორეზმის ტერიტორიაზე, ხორასანის ოლქში შემავალ ქალაქად ახსენებენ.

...და ალექსანდრე მაკედონელის დიდი სტრატეგობა რაში შეიძლება გამოიხატოს, თუ არა იმაში, რომ ყარა-ბოღაზ-გოლისა და კასპიის ზღვის გამომყოფ ხმელეთის კილომეტრიან ზოლზე გამაგრებული ზღუდე შექმნა შესაბამისი კონტინგენტით და ამ მცირე, კილომეტრიანი ტერიტორიის დაკავებით უზრუნველყო 150 კმ სიგრძის სასაზღვრო ზოლის შექმნა იმავე ბოღაზის სამხრეთი სანაპიროს სახით. უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ ზღვა და ლიმანი ხელოვნურად იქნა შეერთებული არხით, რომელიც პირველ თავდაცვით ზღუდეს წარმოადგენდა იმავე მაკედონელის იმპერიის მესაზღვრეთათვის. აზროვნების მინიმალური ლოგიკაც კი გვკარნახობს, რომ ილირიელი მოლაშქრეთა ერთი ნაწილი, ამ ზღუდეს იკავებს. მართალია გვიანდელი წყაროებით, მაგრამ ეს ვერსია მაინც მტკიცდება:

„აბასკუნიდან ალ-ხაზარის საზღვრამდე, ზღვის მარჯვენა სანაპიროზე არაა არც სოფელი, არც ქალაქი, იმ ადგილის გამოკლებით, დაშორებული ორმოცდაათ ფარსახზე აბასკუნიდან და წოდებული დიხისტანად. ის ჰგავს სოფელს, რომელშიც მცხოვრებლები ცოტაა...(იქ) თითქოსდა ფარული ნავმისადგომია ზღვაში. იქ დგებიან ღუზაზე ხომალდები, როდესაც ზღვაში ძლიერი ღელვაა. ამ ადგილას თავს იყრის მრავალი ხალხი (სხვადასხვა) ოლქებიდან და რჩებიან აქ თევზ ჭერის ხათრით. მე არ ვიცი მეორე ასეთი ადგილი, სადაც იცხოვრებდა თუნდაც ვინმე გარდა სიიაკუხისა. მასზე ცხოვრობენ თურქი ოღუზების ტომი, რომლებიც დასახლდნენ აქ არცთუ შორეულ წარსულში მომხდარი უთანხმოების გამო მათსა და (სხვა) ოღუზებთან. ისინი გამოეყვნენ მათ და აირჩიეს (კუნძული) თავიანთ საცხოვრებლად, თავშესაფარად. კუნძულზე ვრცელი საძოვრებია და წყაროები“ (კასპიის ზღვა არაბულ წყაროებში;აბუ-ლ-კასიმ იბნ ხაუკალი გვ. 387.)

ხაუკალი აქ ალ-ხაზარის საზღვარს ახსენებს, რომელიც აბასკუნიდან (უკვე იმ აბასკუნიდან,რომელიც უშუალოდ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეა გაშენებული) დაშორებულია 50 ფარსახით (270კმ). შესაბამისად ალ-ხაზარი მხოლოდ ყარა ბოღაზ გოლი შეიძლება იყო და არა მთელი კასპიის ზღვა! მანძილი ამ (ახალი) აბასკუნიდან 50 ფარსახი აბსოლუტურად ემთხვევა ხმელეთის იმ ნაწილის სიგრძეს, რომელიც ყარა-ბოლაზ-გოლისა და კრასნოდონის ყურეს შუა არის მოქცეული.

დიხისტანი ეს ხმელეთის ის ნაწილია რომელსაც დღეს თურქმენბაში ეწოდება!

კრასნოდონის ყურე, ეს დიხისტანელთა (ან ჯურჯანელთა) თითქოს ფარული ნავსადგომია, აბსოლუტურად დაცული ზღვის ღელვისაგან და გემების თავშესაფარი ღელვის დროს! იხ, რუქა-N 21 ...და რატომ ადარებს ხაუკალი ამ ტერიტორიას კუნძულ სიიაკუხს? პასუხი მარტივია, ეს უნიკალური ფორმის ნახევარკუნძულია, რომელიც სამი მხრიდან მთლიანად გარშემორტყმულია წყლის სივრცით: კასპიის ზღვა, ყარა ბოღაზ გოლი და კრასნოდონის ყურით. სი-ტყვა-სიტყვით იმეორებს ხაუკალის ამ აღწერას ალ-ისტარხიც.

უდავოა, რომ ალექსანდრე მაკედონელს ბუნების ამ საჩუქრით უსარგებლია და აღნიშნულ ტერიტორიაზე, იმპერიის საზღვრის დასაცავად, გასამხედროებული დასახლება უჩანს შექმნილი! სინ-სული, ასე ეწოდება ყარა-ბოღაზ-გოლის ყელს, ადგილს ზღვის და ლიმანის შეერთებისას (სავარაუდოდ ხელოვნურად მოწყობილი ალექსანდრე მაკედონელის ნება-სურვილით)

ბაბ-სული ასე უწოდებს ხორდადბე ციხეს, თუმცა ის ამ ციხეს დერბენტის მხარეს უჩვენებს, რაც თავისთავად არასწორია, სული კასპიის ზღვის მხოლოდ აღმოსავლეთ სანაპიროზე ფიქსირდება იმავე არაბი ისტორიკოსების მიერ. ბაბ-სული, ეს სულის კარს ნიშნავს, სავარაუდოდ ბოღაზის ზღვასთან შეერთების წერტილის აღმნიშვნელს. (სავარადოა, რომ ხორდადბეს აღნიშნული ბაბ-სული დერბენტის მხარეს, იმავე რუზბან სულის აშენებულია, რომელმაც არაბებთან შეთანხმებით, თავისი ოჯახის წევრებით და მახლობლებით დატოვა დიხისტანი და იქ მდებარე სულის ციხე) ... და საუკუნეების განმავლობაში უყურადღებოდ დარჩენილ ერთი ცნობა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ჩანაფიქრის ამოხსნაში უნდა დაგვეხმაროს:

„მდინარე (ბალხი) გადაჭრის ხორეზმს, ვარდება ხოროსანის ზღვაში, ხოლო შემდეგ შედის სინ-ში.“ (იბნ ალ-ფარიკ ალ-ჰამადინი, ქვეყნების წიგნი.)

მდინარე ბალხი-ეს ამუ-დარიაა- ყველასათვის ცნობილია, რომ ამ დროისათვის ის არ ვარდება ზღვაში... საკითხი გაცილებით ღრმად გასააზრებელია. ...რომც ჩავარდეს ზღვაში, ამის შემდეგ თუ საით მიდის მდინარე და რა **სინ-ში** ვარდება, ვერავინ ამ ქვეყანაზე ვერ უნდა განსაზღვროს და თქვას, ვერც თუნდაც არაბმა ჰამადანიმ! ამ გამოცანას სწორი პასუხი მხოლოდ ერთადერთია: ჰამადანის ნახსენები ხოროსანის ზღვა კასპიის ზღვა არ არის და შესაბამისად არც მდინარე ამუ-დარიის ჩადინების ბოლო პუნქტი! ამ შემთხვევაში, ხოროსანის ზღვა **(იგივე ალ ხაზარი)-** ყარა-ბოღაზ გოლი ჩანს, ხოლო გამოუცნობი სინ-ი, ეს სულთან მოწყობილი ხელოვნური არხი უნდა უნდა იყოს, მოწყობილი ლიმანს და ზღვას შორის, რომელითაც ეს უკანასკნელი კასპიის ზღვას უერთდება. შსაბამისად, მდინარე ამუ-დარია, რომელიც უერთდება ყარა ბოღაზ-გოლს,სინ-ად წოდებული ამ არხის საშუალებით ვარდება კასპიის ზღვაში. იმავე ჰამადა-

ნისთან აღნიშნულია, რომ: **„ამ ზღვას ეწოდება ხოროსანის წრე. დიამეტრი მისი 100 ფარსახი(560კმ), ხოლო თუ ვინმე შემოუვლის მას ირგვლივ 1500 ფარსახი (8400კმ)“** (იქვე)

ეს კი უკვე აშკარად კასპიის ზღვაზეა საუბარი, თან ზომები აშკარად არასწორად არის მითითებული, ჰამადანის მიერ მოცემული ზომები თვით კასპიის ზღვის ზომებსაც რამდენადმე აღემატება, თანაც წრეს ან ელიფსოიდს მიახლოებული სხეულის პერიმეტრი (გარშემოწერილობა) შეუძლებელია დიამეტრს 15-ჯერ მეტად აღემატებოდეს! (ჩვეულებრივ ის 3-ის ტოლია) ჰამადანის მიერ პირველ შემთხვევაში ნახმარი ციფრი 100 ფარსახი- რომელი ერთეულის ხმარებაც ჰამადანის ეპოქის მოგზაურთა და გეოგრაფთათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და შეიძლება კასპიის ზღვის გასაშუალებული დიამატრის ტოლი ჩაითვალოს (კასპიის ზღვის დიამეტრი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დიდად აღემატება მისსავე დიამეტრს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე). ხოლო პერიმეტრში აშკარა უზუსტობა იკითხება.(პერიმეტრი ასევე კასპიის ზღვისა ჩანს, მაგრამ რასაკვირველია უკვე მილებში აღნიშნული 2700კმ) ასეთივე შეცდომაა ხორდადბეს ნაშრომში, რომელიც კასპიის ზღვის დიამეტრს (კუტრს) 500 ფარსახად აფასებს.ამ შემთხვევაშიც ეს გადამწერების შეცდომას უნდა იყოს, ზღვის დიამეტრი-კუტრი აშკარად მილებში ჩანს გამოსახული. (თუმცა გარკვეული ცდომილებებით) (ფარსახი= 5,6 კმ) **...**შეუძლებელია ხოროსანის წრე უწოდო მთელ კასპიის ზღვას, რომლის ხმელეთის ზოლის მეათედს თუ ფლობს ხორეზმი, იგივე ხოროსანის მიწა. სხვა შემთხვევაა, როდესაც ამ სახელს დაუძახებ ყარა-ბოღაზ-გოლს, რომელიც მთლიანაად ხორეზმის, ხოროსანის ტერიტორიაზე დევს!

„... ხორეზმი მდებარეობს მდინარე ბალხის შესართავთან, იმ ადგილას, სადაც წყალი მდინარე ბალხისა შედის დეილემის ზღვაში...“ (აბუ-ლ-აბას ახმად იბნ აბუ იაკუბ-ალ იაკუბი“იქვე)

...და როგორ შეიძლება ისტორიკოსმა დეილემის ზღვა უწოდოს კასპიის ზღვას იმ ნაწილში, რომელიც დეილემის სანაპიროდან მინიმუმ 400 კმ-ით არის დაშორებული? (მდინარე ბალხის შესართავი კასპიის ზღვის ფაქტიურად შუაწელშია ნაჩვენები) ვერ იქნება კასპიის ზღვის ცენტრალური ნაწილი დეილემის ზღვა, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ კასპიის ზღვის სანაპიროზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ხალხები ცხოვრობენ, რომელთაც განსხვავებით დეილიმიტებისა საკუთარი სახელმწიფოებრიობაც აქვთ. დეილემის ზღვაში ისტორიკოსი ისევ და ისევ ყარა ბოღაზ გოლს უნდა მოიაზრებდეს, სადაც ალექსანდრე მაკედონელის ჩანაფიქრის მიხედვით ვარდებოდა მდინარე ამუ -დარია, რომლის სანაპიროზეც იმ პერიოდისათვის დეილიმიტები ცხოვრობდნენ (და არა კასპიის ზღვის სამხრეთ დასავლეთ სანაპიროზე) რომელზედაც ეს ხალხი (დე-

ილემიტები) მოგვიანებით ჩანან ჩამოსახლებული და სანაპიროსაც დეილემის სახელი გაცილებით გვიან უჩანს მიღებული.

ცხადია დეილემები ამ შემთხვევაში ყარა- ბოღაზ-გოლის (დეილემის ზღვის) სანაპიროსთან მცხოვრები ტომის აღმნიშვნელია. კიდევ ერთხელ იკვეთება ალექსანდრე მაკედონელის სტრატეგიული ნიჭი, როცა იგი იმპერიის და საკუთარი არმიის ზურგის უზრუნველყოფას უკვე აზიური სკვითების მომთაბარე ტომებისაგან, ხალხის შეზღუდული რესურსებით და ბუნებრივი ზღუდეების გამოყენებით ცდილობს. იბადება კითხვა, თუ დეილემის ზღვაში ვარდება მდინარე ბალხი(ამუდარია) საიდან შეიძლებოდა იგი აქ მოხვედრილიყო იმავე ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში?

„ჰირკანიაზე გადის მდინარეები ოხი და ოქსი, ზღვაში ჩასვლამდე, ამ მდინარეებიდან ოხი მოედინება მხოლოდ ნესეიზე,(თურქმენეთზე) მაგრამ ზოგიერთების სიტყვებით, ოხი ვარდება ოქსში. არისტობული აცხადებს, რომ ოქსი ყველაზე დიდი მდინარეა მის მიერ აზიში ნანახისაგან, ინდოეთის მდინარეების გარდა... ძველები საერთოდ არ ახსენებენ ოქსს. მაგრამ აპოლოდორი, ავტორი პართიის ისტორიისა, მუდმივად ასახელებს ამ მდინარეს როგორც პართიის საზღვრიდან ძალიან ახლოს გამდინარეს... იმავე ინდოეთის მთებიდან, საიდანაც მოედინება ოხი, ოქსი და სხვა რამდენიმე მდინარე, გამოედინება იაკსარტიც და ამავე მდინარეების მსგავსად ვარდება კასპიის ზღვაში; ეს ყველა ამ მდინარეებზე ჩრდილოეთით მოედინება.“ (სტრაბონი, წიგნი IX. VII-3,4)

სტრაბონი თავისი გაურკვევლობით საკმაოდ დიდ განსჯის ველს ტოვებს:

1. მისი ფრაზა, რომ ძველები საერთოდ არ ახსენებენ ოქსს-პირდაპირ შეეხება ჰეროდოტეს. თვით არისტობული, რომლის ცნობებითაც სტრაბონი სარგებლობს, ალექსანდრე მაკედონელის თანამოლაშქრეა და სტრაბონზე რამდენადმე უფროსი.ეპითეტი ძველი-ნიშნავს რომ სტრაბონი ითვალისწინებს ავტორს, რომელიც მის წყაროზე უფროსია და აღწერს ამავე ტერიტორიებს. ასეთი პირველ რიგში ჰეროდოტეა, რომლის მიმართ სტრაბონს გარკვეული შეუთავსებლობა უჩანს, რომელიც ამ უკანასკნელის მეტი ინფორმირებულობით უნდა აიხსნას. ამიტომაც ერიდება სტრაბონი ჰეროდოტეს სახელის ხსენებას და ამით ხაზს უსვამს მის აგდებულ (შურიან) დამოკიდებულებას ამ უკანასკნელის მიმართ.

2.არისტობული, როგორიც ზემოთ ვახსენეთ, ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლია, საინჟინრო და საფორტიფიკაციო სამუშაოთა დამგეგმავ-შემსრულებელი. ამ შემთხვევაში მის სიტყვას, როგორც სპეციალისტისა, ყველაზე მეტი ფასი აქვს. მისი სიტყვებით, ოხი ვარდება ოქსში, ხოლო ოქსი ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა შემავალი კასპიის ზღვაში. ოქსი-ეს მხოლოდ მდინარე ამუდარია შეიძლება იყოს, ხოლო ოხი, ერთ-ერთი შენაკადი (ამუდარია წარმოიშობა მდინ-

არეების პიანჯისა და ვახშის შეერთებით, რომელშიც შემდგომშიც შედის ოთხ-ამდე დიდი შენაკადი) ამუ-დარიის შესვლის გზა კასპიაში, ყარა-ბოღაზ-გოლის გავლით მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: ამუ დარია უერთდება სა-რიყამიშის ტბას და აქედანვე გამოსული შედის ყარა-ბოღაზ-გოლში!...სარიყამი-შის ტბა ყარა-ბოღაზ-გოლის ხაზი უჩანს გამაგრებული დიდ სტრატეგს, ალექსნ-დრე მაკედონელს. წყლის ორ სივრცეს, ყარა-ბოღაზ-გოლსა და სარიყამიშს ტბას შორის 150 კმ-ის სიგრძის სახმელეთო საზღვრის მოწყობა-გამაგრებით, რომელ-საც ასევე უჩანს ხელოვნური ზღუდე, არხი. მდინარე ამუდარიის სახით სარიყა-მიშ-ბოღაზის გოლის ტერიტორიაზე, მაკედონელმა ფაქტიურად უზრუნველყო ზურგის პოზიციები ინდოეთში გალაშქრების წინ. სავარაუდოა, რომ ამ საფორ-ტიფიკაციო სამუშაოებში არისტობულის არც ისე მცირე წვლილი ურევია.

3.რაც შეეხება ერატოსთენეს, იგი პატროკლეს (ალექსანდრეს ფლოტის ადმირა-ლი) ცნობებს ეყრდნობა , რომელიც ასევე არისტობულის ცნობებს ემთხვევა, უფრო მეტიც ის ამტკიცებს საქონელ ბრუნვას ინდოეთიდან ამუ დარიას დინე-ბის მიმართულებით ჰირკანიის (კასპიის) ზღვისაკენ, თვით შავ ზღვამდეც კი.

4.სხვა რეალობის ამსახველია აპოლოდორი. მისთვის მდინარე ოქსი მხოლოდ პართიის საზღვართან ძალიან ახლოს გამდინარე მდინარეა! სავარაუდოა, რომ აპოლოდორის ეპოქისათვის ამუდარიას კალაპოტი უკვე ნაცვალი აქვს მისი უდიდესი ნააწილი სარიყამიშის ტბის ნაცვლად არალის ზღვაში ჩაედინება!

5.რაც შეეხება მდინარე იაკსარტს (სავარაუდოდ სირ-დარია) ა ქაც სტრაბონის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. სტრაბონის სიტყვებით, მაკედონელები თავიანთი ბელადის განსადიდებლად, ავრცელებდნენ მითებს, რომ მან ილაშქ-რა მეოტიდაში და კასპიის ზღვას მეოტიდად თვლიან, მისი სიტყვებით, ტანა-ისი (დონი) ვარდება მეოტიდაში, ხოლო იაკსარტი (ყველაზე ჩრდილო მდინა-რე, სირდარიაა) კასპიაში. მათ იაკსარატს ტანიასი დაარქვეს და ჩათვალეს რომ კასპია-ეს მეოტიდაა. აქაც სტრაბონის უღიმღამო და დამაჯერებლობას მოკლებული მსჯელობაა მხოლოდ. მეოტიდის შედარება შეუძლებელია კასპი-ის ზღვასთან თუნდაც მათი ფართობრივი სხვაობის გამო. თვით ალექსანდრეს ფლოტის ხელმძღვანელი პატროკლე კასპიის ზღვას შავი ზღვის ტოლად მიიჩ-ნევს, რომელიც რამდენადმე აღმატებულია მეოტიდაზე... მაგრამ მეოტიდა ფა-ქტიურად ტოლი იყო არ დამცრობილი არალის ტბისა, რომელშიც იაკსარატი (სირდარია) ნამდვილად ჩაედინებოდა. ცხადია აქ სტრაბონის კიდევ ერთ შეც-დომასთან გვაქვს საქმე.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სარიყამიშ-ყარა-ბოღაზ- გოლი ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში საწყალოსნო სივრცით ყოფილაა დაკავში-რებული, ხოლო ამ მონაკვეთების დამცველად როგორც მინიმუმ, სამი ხალხი, სამი გამაგრებული პუნქტი უჩანს, დიხისტანი, ტაბარისტანი და დეილემი. ის

რომ ყარა-ბოღაზ-გოლი და სარიყამიშის ტბ ა დაკავშირებული ჩანს (ხელოვნური) საწყალოსნო სივრცით, ჩანს ტაბარის აღწერილობაშიდაც:

„12000 მათგანი მან მიიყვანა ალ-ანდარხაზთან, ჯურჯანის მდინარესთან და თქვა თუ ვინმეს შურისძიება უნდა, მოკლას.“ (ატ-ტაბარი. მოციქულთა და მეფეთა ისტორია. ჯურჯანის საბოლოო დამორჩილება)

ჯურჯანი-დეილემი ჩვენი დასკვნით, გაშენებული უნდა ყოფილიყო ამ ორ ტბას შორის ხმელეთის ზოლზე, ხოლო ჯურჯანის მდინარე ანდარხაზი, მხოლოდ მათი შემაერთებელი შეიძლება ყოფილიყო. ფაქტიურად აპოლოდორის მიხედვით ამუ დარია უკვე არალის ზღვაში ჩამდინარედ მოიაზრება, თუმცა როგორც ჩანს VII საუკუნისათვის მაკედონელის მიერ გათხრილი არხი ჯერ კიდევ მოქმედია, მდინარე ამუ დარიის წყლის ნაწილი მოაქვს ყარა ბოღაზ გოლში და მას მდინარე ანდარხაზი ეწოდება. მართალია არსებობს მსგავსი დასახელების მდინარე ავღანეთის საზღვართან, ანდარზახი, მაგრამ ჯურჯანის მდინარე ჯურჯანის მახლობლად უნდა მდებარეობდეს და არა მისგან ათასეული კილომეტრის მოშორებთ. ნონსენსია ჯურჯანში აყვანილი ტყვეების დასახოცავად წაყვანა ასეულობით კილომეტრით მოშორებით მდებარე მდინარის სანაპიროზე. სტრაბონისავე სტილისა ჩანს ცნობა, რომელსაც უკვე მე-X-ე საუკუნეში არაბი ისტორიკოსი გვაწვდის:

„მდინარე კალიფი, იგივე ჯეიხუნი (ამუდარია) ეს მდინარეა ბალხისა, აკ-ტერმეზისა, ხორეზმისა. ის იღებს სათავეს მეხუთე კლიმატის წყაროებიდან, რიბათს იქით, წოდებულს ბადახშანად. ეს მდინარე მოედინება ხორეზმის ქვეყანაზე და ვარდება ტბაში, წოდებულს ალ-ჯურჯანია, ხოლო ალ-ჯურჯანია- ქალაქია-მდებარე შესართავთან. ეს ტბა ერთ ერთი ყველაზე დიდია დასახლებულ (მსოფლიოში) მისი (სავალი) მანძილია 40 დღე, ამდენივეზე (სიგანეში). ამ ტბიდან იღებს სათავეს დიდი მდინარეები, შემავალი ალ-ხაზარში.“ (აბუ-ლ-ჰასან ალი იბნ ალ-ჰუსეინ ალი მას'უდი)

მას'უდის აქ მხედველობაში რასაკვირველია არალის ზღვა აქვს, სადაც სინამდვილეში ვარდება ამ დროისათვის მდინარე ამუდარია, თუმცა არალის ტბიდან მდინარეები ალ-ხაზარში, კასპიის ზღვაში არ ვარდება(თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მას'უდის დროისთვის ვარდება კიდეც)... რაც შეეხება ქალაქს ალ-ჯურჯანია, მისი მდებარეობა არალის ზღვასთან ანაქრონიზმია, ასევე როგორიც არალის ზღვის მონათვლა ალ-ჯურჯანიად. ასეთი პასაჟი არც ერთ მის თანამედროვე ავტორთან არ მოიპოვება. დიდი ალბათობით, მას'უდის მის ხელთ არსებული ცნობები აღრეული უჩანს. ეს ტომი აძლევს სახელს ტბას,მთაგრხილს და არა პირიქით, ქალაქი ალ -ჯურჯანია კი (უთუოდ ჯურჯანის ნაწილი) როგორც ჩანს მდებარეობდა სარიყამიშიდან გამომავალი არხის ნაკადის უკვე ყარა -ბოღაზ-გოლთან შესვლის ადგილას... მთიანი მასივი და მთის ჩქარი

მდინარე სარიყამიშის მთის აღმოსავლეთით, ამ ტერიტორიების მტრისათვის მეტად ძნელად გასავალ ადგილებად ხდიდა, რაც ამცირებდა საზღვრის დაცვის აუცილებლობას. ამაში გამოიხატება სამი სასაზღვრო პუნქტის მოწყობით რამდენიმე ასეული კილომეტრი საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა.

მაშასადამე, სამი სასაზღვრო პუნქტი, სამი ცალკეული ტომი (რაც მათ საერთო ღალატის გამორიცხვის პირობა ჩანს) დიხისტანი, ჯურჯანი და ტაბარისტანი, ეს სასაზღვრო დასახლებები განლაგებულია არა კასპიის ზღვის სანაპიროს პარალელურად, არამედ მართობულად ყარა-ბოღაზ-გოლი- სარიყამიშის ტბის მიმართულებით...და ვინ ყავს ალექსანდრე მაკედონელს ამ მისიის შესასრულებლად დატოვებული? როგორც ჩანს, ეს ხალხი ტერიტორიულად და ეთნიკურად მისი ახლობელი ხალხი, ილირიელივე მოლაშქრეები ჩანან.

დიხისტანი-აქ აშკარად გამოიყოფა სიტყვა დიხი, დიდი ალბათობით ის არაბი ისტორიკოსების მიერ დამახინჯებული სიტყვა-ზიხი-ძიხი უნდა იყოს, ძიხთა ტომი. დეილიმიტები- ჯურჯანელები, სტრაბონის მტკიცების მიუხედავად ტომი ჯიუტად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი სახელი... ტაბარისტანი, ეს მარების ასევე ადრიატიკული ტომი ჩანს, ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლები.

...და ჯამურად ის ის აბზოის მრავალსახელა ტომი ჩანს, როგორც პლინიუს უფროსი ახსენებს, თუმცა სამივე ტომის (სავარაუდო კონფედერაციულ) გაერთიანებას, იმავე ზაქარია მიტილენელის ცნობის მიხედვით, უკვე აბაზგუნი ჰქვია! ძნელია იმარჩიელო, თუ როდის ხდება აბაზგთა ერთი ნაწილის მიგრაცია კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ და ქალაქ აბასკუნის დაფუძნება, თუმცა ფსევდო ზაქარიას ეპოქისათვის V-საუკუნეს, ალექსანდრე მაკედონელისეული მენაპირეები ერთ ორგანიზმს, ბაზგუნის სამეფოს წარმოადგენს, რომლის სუზერენი რუზბან სული (დიხი) ჩანს. ასეთია რეალობა, დაკანონებული ალექსანდრე მაკედონელის მიერ, მე-4-ე საუკუნეს ჩვ.წ.აღრიცხვამდე...

განსხვავებული ჩანს სიტუაცია ატ-ტაბარისთან, რომელიც აღრიცხავს ისტორიულ ფაქტებს უკვე პართიის სამეფოს დაცემის შემდეგ (III საუკუნე ქრისტესით)

,,სავადიდან არდაშირი გაემართა ისტარხში, იქიდან საჯესტანში, შემდეგ ჯურჯანში, შემდეგ აბრაშახარში, მერვში, ბალხსა და ხორეზმში, ხორასანის ბოლომდე. ბევრი ხალხი დახოცა და მათი თავი გაგზავნა ცეცხლის ღვთაების (ანაჰიტის) ტაძარში, მერე მერვიდან დაბრუნდა ფარსში, დაბრძანდა ჯურში, მაშინ მასთან მივიდნენ <u>მეფეები კუშანისა,</u> მეფე თურანისა და მეფე მუკრანისა, მორჩილების გამოსაცხადებლად“ (ატ-ტაბარი, მოციქულთა და მეფეთა ისტორია თავი I)

საინტერესოა, რომ ირანის (პართიის სამართალმემკვიდრის) ისტორიული საზღვრები აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ, ტაბარის სიტყვებით, ქალაქი მერვი და მდინარე ბალხი (ამუდარია) ითვლება ახალი სპარსეთის სამეფოს იმავე აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ საზღვრად. ასეთივე საზღვარი კასპიის ზღვის გაყოლებით, ყარა-ბოღაზ-გოლია სავარაუდებელი, რომელსაც მას'უდი ხორასნის წრეს ეძახის და შესაბამისად ხორასნისვე ფარგლებშია სავარაუდებელი:

„როცა ხელისუფლება გადავიდა არდაშირის ხელში, პაპაკის შვილისა, მან ბრძანა მხეცურად მოეკლათ არშაკიდები, რომლიდანაც იყვნენ მეფეები სხვა ტომისა, სანამ მან ისინი არ გაანადგურა" (იქვე თავი II)

რასაკვირველია აქ სხვა ტომების ქვეშ პართები იგულისხმება. ფარსის ტომის სასანიდები მხეცურად ხოცავენ პართელი არშაკიდების დინასტიის წარმომადგენლებს სანამ ტაბარის სიტყვებით სრულიად არ ამოწყვიტეს ისინი. **„პირველი ვინც გაბედა გაჯიბრებოდა ბაჰრამ გურს სიმძლავრეში, ხაკანი იყო, მეფე თურქებისა, იმიტომ რომ ის გამოვიდა მის წინააღმდეგ 250000 თურქით... ბახრამმა მოიტაცა ხაკანის გვირგვინი და სკიპტრა, დაეუფლა მის ქვეყანას, შემავალი თურქთა ქვეყნის შემადგენლობაში, დააყენა დაპყრობილი ტერიტორიების მარზუბანი, რომელსაც აჩუქა ვერცხლის ტახტი" (იქვე თავი X)**

1.რატომღაც ტაბარის რუსი კომენტატორების მიერ ჩათვლილია, რომ ხაკანი -ეს კასპიის ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს თურქული გაერთიანების ბელადია, თუმცა ასეთი გაერთიანება კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბაჰრამ გურის ზეობიდან საუკუნეების განმავლობაში არ გამოჩენილა. ხაკანი ჰქვია ხაზართა მბრძანებელსაც, რომლებსაც არაბი ისტორიკოსები თურქულ ტომებად იხსენებენ.

2.როგორც ტაბარის რუსულენოვანი კომენტატორის შენიშვნით ირკვევა, მოსაზღვრე რაიონის მმართველი, მენაპირე სატრაპი, ბაჰრამ- გურის დანიშნული იწოდა **მარზბან-ი-კუშანად.** კუშანი-ეს იგივე ქუშანია, ქართველური პოლიტიკური ერთეულის აღმნიშნავი. (როგორც მტკიცდება, ამ კუშანის ქვეშ ქართლის გაერთიანებული ძალები იგულისხმება! ...ხოლო კარი, ეს კავკასიის კარია, კასპის კარია, რომლის დაცვაც სპარსელებმა იკისრეს, ბიზანტიისაგან გასამ რჯელოს მიღების პირობით, ხოლო საქართველო-სპარსეთის ხელდებული ქვეყანა. იხ, დურძუკეთში....)

3.დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვთ გაიხსენოს ბაჰრამ-გურის მიერ მარზუბანისთვის ნაჩუქარი ვერცხლის ტახტი, რომელიც ქართველური სახელმწიფოს, ას-სერირის მეფის ქვეშ ამოყვინთა! ას -სერირისა, რომელთაც ოფიციალურად ტახტის ხალხს უწოდებს შუა საუკუნეების არაბული მწერლობა! (იხ.დურძუკებში)

,,მაშინ ფირუზმა ააშენა ქალაქი რეის ოლქში და დაარქვა მას რამ-ფირუზი (თეი-რანის ახლოს) სხვა ქალაქი-ჯურჯანსა და სულის კარს შორის, დაარქვა მას რუ-შენ-ფირუზი, ხოლო მესამე ქალაქი აზერბაიჯანის ოლქში წოდებული შახრამ-ფირუზად.“ (იქვე თავი XIVა)

კომენტატორის ცნობით, ამ უკანასკნელი ქალაქის მდებარეობა სრულიად გაურკვეველია.

„კიდევ ფირუზმა ააშენა სულ-ის ქვეყანაში და ალანების ქვეყანაში ქვის ნაგებობა, თავისი ქვეყნის განსაცალკევებლად ამ ხალხებისაგან, ხოლო ფირუზის შვილმა, კობადმა კიდევ ბევრი ნაგებობა ააშენა ამ ადგილებში და ბოლოს როცა გამეფდა ხოსრო, ბრძანა აეშენებინათ ულ-ის ქვეყანაში რიგი ქალაქებისა, ჯებირებისა და სხვა ნაგებობებისა ქვიდან, მოპოვებული ჯურჯანის ოლქში.“ (იქვე თავი XXII)

1.როცა ტაბარი აღნიშნავს ფირუზის მიერ ალანების ქვეყანაში ქვის ნაგებობების (კედლის) აშენებაზე, ის სერირ-ალანსა და დერბენტის კედლის შეკეთება-გაძლიერებაზე უნდა საუბრობდეს. 2. ტაბარი როდესაც ლაპარაკობს საშიშროებაზე სულის ქვეყანის მოსახლეობიდან ხოსროს მეფობის საწყის პერიოდში, გულისხმობს რომ სულის ხალხი პართიის სამეფოს თანამდგომია.

3.ის, რომ ტაბარის ნაწერში სულ-ის ხალხი მოხსენებულია ულ-ად, კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვაჩვენებს თუ რაოდენ დიდ დიაპაზონში იცვლება ამ ხალხის დასახელება: სულ-ი, ულ-ი, სინ-ი;

4.სულ-ის ნაგებობის და ქალაქების აშენება ჯურჯანის პროვინციაში მოპოვებული ქვებით, ამ რეგიონების მჭიდრო სიახლოვის მინიშნებულია. სული რასაკვირველია მხოლოდ კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შეიძლება იყოს, ჯურჯანის უშუალო სიახლოვეს...ან ჯურჯანშივე. ქვები ასეულობით კილომეტრის სიშორეზე არც არავის უთრევია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა და განსაკუთრებული ქვისა .

X საუკუნის არაბი ისტორიკოსის, ხაუკალის სიტყვებით, დიხისტანი (პირველი მენაპირე ზღვის სანაპიროზე, სულ-ის ხალხი) ჰგავს სოფელს, რომელშიც ცოტა მცხოვრებია. რატომ?

„ხოსროს მიერ ტყვედ იქნა წაყვანილი სხვა ხალხი, სულ-ად წოდებული. ისინი მიიყვანეს მასთან და მან ბრძანა მოეკლათ ყველა, გარდა 80 რაინდისა მათგან: მან დატოვა ისინი ცოცხალი და ბრძანა დაესახლებინათ ისინი შახრამ-ფირუზში და მიეზიდათ ისინი თავინათ ომებში მონაწილეობის მისაღებად.“(იქვე) (12)

სპარსეთის მეფეს ხოსროს (VI საუკუნე), დიხისტანის მოსახლეობა ფაქტიურად გაუწყვეტია რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი ირანის (ფარსის) ხელისუფლებისადმი არალოიალურნი ჩანს. რაც შეეხება დარჩენილ 80 რაინ-

დის განსახლებას, სავარაუდოა რომ ისინი არა აზერბაიჯანში აშენებულ შახრ-ამ-ფირუზში განაწესეს, არამედ დატოვეს სულსა და ჯურჯანს შორის გაშენებულ რუშენ-ფირუზში, სადაც ასი წლის შემდეგ უკვე მათ შთამომავალს რუზბ-ან სულის წინამძღოლობით, ებრძვის არაბი სარდალი.

...ფაქტიურად სპარსეთის მეფის, ხოსროს ეპოქის გაგრძელებას წარმოადგენს არაბთა დაპყრობითი ომები სპარსეთის ტერიტორიაზე. პირველი შეეხება VI საუკუნის რეალობას ხოლო მეორე VII საუკუნეს.რიგი არაბი ავტორების მონაცემებით, დიხისტანის სულ-ის კარის მცველები, იმავე ადგილზე ფიქსირდებიან:

„აბასკუნიდან ალ-ხაზარის საზღვრამდე, ზღვის მარჯვენა სანაპიროზე არაა არც სოფელი, არც ქალაქი, იმ ადგილას გამოკლებით, აბასკუნიდან ორმოცდაათი ფარსახის მოშორებით და წოდებული დიხისტანად. ი ს გავს სოფელს, სადაც ცოტაა მცხოვრებნი, (აბუ-ლ-კასიმ იბნ ხაუკალი).

50 ფარსახი მანძილი-რუკაზე გადაზომილი ზუსტად ის მანძილია აბასკუნიდან (უკვე ახალი აბასკუნიდან, კასპიის ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთ სანაპიროს შეერთების ადგილიდან) ყარა-ბოღაზ-გოლამდე. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიხისტანი იქვე მდებარეობს, სადაც მდებარეობდა ალექსანდრე მაკედონელის დროს და საიდანაც დაიწყო ლაშქრობა არაბმა სარდალმა. არაბთა ლაშქრობების უძველესი მემატიანის, ტაბარის მიხედვით, ჯურჯანის პირველი დამორჩილებ ა ფაქტიურად სისხლისღვრის გარეშე გახდა შესაძლებელი:

„(18=639 წ) ამბობენ: სუვეიდ იბნ მუკარანი, განლაგდა ბანაკად ბისტუმში და დაიწყო მიმოწერა ჯურჯანის მეფესთან, რუზბან სულთან (13), ხოლო შემდეგ გარემოიცვა ბისტუმი. რუზბან სულმა მიწერა მას, სასწრაფოდ შესთავაზა მშვიდობა იმ პირობით, რომ ის გადაიხდის ხარკს, გამორიცხავს ჯურჯანთან ომის აუც ილებლობას, მაგრამ დაეხმარება მას (სხვასთან) ომის დროს და სუვაიდი დათანხმდა პირობას.“ (ატ-ტაბარი. მოციქულთა და მეფეთა ისტორია. ჯურჯანის დაპყრობა)

აღნიშნული აქტი, ფაქტიურად სამშვიდობო, საზავო ხელშეკრულება, ფაქტიურად ჯურჯანის მფარველობის და ვასალობის ხელშეკრულება არაბებთან გაფორმდა 639წ. საინტერესოა, რომ დიხისტანის სუზერენი, რუზბან სული ჯურჯანის მეფედ არის მოხსენებული. თავად ხელშეკრულებაში ნახმარი ტერმინი **,,მცხოვრებნი დიხისტანისა და სხვა მცხოვრებნი ჯურჯანისა.“**- ხაზს უსვამს ამ პერიოდისათვის დიხისტანიდ და ჯურჯანის ერთ პოლიტიკურ სივრცეში ყოფნას, თუმცა აშკარად მიანიშნებს მათ (დიხებისა და ჯურჯანელების) ტომობრივ სხვაობას. ტაბარის ნაწარმოებებში ,,ჯურჯანის დაპყრობა“ სამ ნაწილად არის გადმოცემული და სამივე განსხვავებულ თემებს შეეხება. როგორც

ვნახეთ, ჯურჯანის პირველი დაპყრობაში დიხისტანისა და ჯურჯანის გაერთიანებულ პოლიტიკური ერთეულის, ჯურჯანის სამეფოდ წოდებულის მშვიდობიანი ინკორპორაციაა ასახული არაბების მიერ. განსხვავებული სიტუაცია ჯურჯანის მეორე, უკვე სისხლიანი დაპყრობის დროს 650 წელს.

„(30=650წ) ამ წელს მოხდა ტაბრისტანის წინააღმდეგ გალაშქრება საიდ-იბნალ-ასას მიერ... სეიფი კი იბნ ომარი ჰყვება, რომ ისპეხბედმა(14) დადო ხელშეკრულება სუვაიდ იბნ მუკარანთან მასზე, რომ ის არ დაესხმება ტაბარისტანს, თავის მხრივ გულუხვად გადაუხადა მას ფული, რაზედაც მე უკვე ვყვებოდი ომარის მმართველობაზე. რაც შეეხება ალ იბნ მუჰამედ ალ-მადაინს, ის ამბობს, როგორც ამობობს ომარი მისი სიტყვებიდან: არავის არ განუხორციელებია ლაშქრობა ტაბრისტანის წინააღმდეგ. ოსმან იბნ აფანის მმართველობაში მოსვლამდე, ხოლო მაშინ მის წინააღმდეგ გაილაშქრა სა'იდ იბნ ალ-ასმა (ტაბარი. იქვე ჯურჯანის დაპყრობა -2-)

ტაბარი აქ ყვება თითქოსდა იმ უთანხმოებაზე, რაც არაბულ წყაროებში არსებობს ამ რეგიონის შესახებ. საქმე იმაშია, რომ წინა ეპიზოდში, ჯურჯანის მშვიდობიანი დამორჩილების დროს, თვით ტაბარისვე სიტყვებით, საქმე ეხება დიხისტანსა და ჯურჯანს, თუმცა არავით შემთხვევაში ტაბარსტანს. ეს ჯურჯანელები დათანხმდნენ მშვიდობის სანაცვლოდ ხარკის გადახდას და როგორც ეტყობა, ლაშქრობას ტაბარისტანამდე არც მიუღწევია. ამდენად ჯურჯანში მეორე ლაშქრობა, უკვე 650 წელს, იგივე ტაბარისტანში პირველი ლაშქრობა უნდა იყოს.

„ის მივიდა ჯურჯანთან, ხოლო მისმა მცხოვრებლებმა დადეს მასთან მშვიდობიანი ხელშეკრულება 200 000 გადახდის პირობით. მერე მივიდა ტამისამდე. ყველა ეს-ქალაქებია ტაბარისტანისა, ჯურჯანის მოსაზღვრე, ხოლო ტამისა-ქალაქია ზღვის სანაპიროზე, მდებარეობს ის ჯურჯანის საზღვრებში...მას შემდეგ, რაც დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება სულთან და დაიპყრო ალ- ბუხეირი და დიხისტანი, მან დადო სამშვიდობი ხელშეკრულება ჯურჯანთან" (ტაბარი, იქვე)

განსხვავებით 639 წლისა, 650 წელს რუზბანი უკვე ჯურჯანის მეფე არა ჩანს, ამ უკანასკნელთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო მის შემდეგ, რაც სულის კუთვნილი ტერიტორიები, ალ- ბუხეირი და დიხისტანი დაპყრობილია. ხელშეკრულება ჯურჯანის შესახებ ამჯერად რუზბან სულის მონაწილეობის გარეშე ჩანს დადებული და სულის ტერიტორიებისაგან განსხვავებით, ჯურჯანი არ დაუპყრიათ ...და მაინც, მტკიცედ იმის თქმა რომ ტაბარისტანი სარიყამიშის ტბის მიმართულებით დევს, ამ ნაწყვეტიდან შეუძლებელია. უფრო მეტიც, ქალაქ ტამისა, ჯურჯანის საზღვრებში მყოფი (თუმცა ტაბარისტანის ქალაქი) ზღვის სანაპიროზეც კი დევს ...და რომელი ზღვის?

როგორც ზემოთ მოყვანილი ხაუკალის ციტატიდან ვიცით,აბასკუნიდან დიხისტანამდე კასპიის ზღვის სანაპიროზე არც სოფელია და არც ქალაქი, შეუ-ძლებელია ჯურჯანის და ტაბარისტანის კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე-ობა, რომელიც ტაბარისთან ჯურჯანის მეზობელი ტერიტორიაა. ცხადია აქ მე-7-ე საუკუნის დისპოზიციაა ასახული, ხოლო ჯურჯანი-ეს სულის აღმოსავლე-თით მდებარე ტერიტორიაა. ჯურჯანის ფარგლებში მდებარე ზღვისპირა ქალ-აქის, ტამისა კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობა გამორიცხულია: იგი დე-ილემის ზღვის (ყარა- ბოღაზ- გოლის) სანაპიროზე მდებარე ქალაქია! უფრო ამომწურავი ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო რეგიონის შესახებ მოიპოვება იმავე ტაბარისთან, დასახლებით: ჯურჯანის საბოლოო დაპყრობა:

„(98=716წ) ამ წლის იეზიდ იბნ ალ-მუხალაბმა განახორციელა ლაშქრობა ჯურ-ჯანსა და ტაბარისტანში... იეზიდ იბნ ალ-მუხალაბი, როცა ის მივიდა ხორასა-ნში, გაჩერდა იქ 3 თუ 4 თვე, მერე გაემართა დიხისტანისაკენ და ჯურჯანისა-კენ, მან გაგზავნა თავისი შვილი მახლადა ხოროსანის სამართავად, ხოლო თვი-თონ მივიდა დიხისტანის განლაგებამდე, რომლის მცხოვრებლებიც ერთ-ერთი თურქული ტომი იყო. ის დარჩა მისახლოს, გარემოცვა მისი მოსახლეობა. მას-თან იყვნენ მცხოვრებლები კუფისა, ბასრისა, სირიისა და წარჩინებულები ხორ-ასნისა და რეისა. სულ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ იყვნენ 100 000 მეომარი, გარდა კლიენტებისა, მონებისა და მოხალისეებისა. ისინი (მცხოვრებლები) აკე-თებდნენ გამოხტომებს და ებრძოდნენ ამ ხალხს, მაგრამ ესენი უკუაქცევდნენ და ისინი შედიოდნენ თავიანთ სიმაგრეში, მერე დროგამოშვებით ისევ აწყობ-დნენ გამოხტომებს და გააფთრებით იბრძოდნენ... როცა მათ უკვე ამოწურეს სა-კუთარი ძალები და არ ჰქონდათ მეტი შესაძლებლობა ებრძოლათ მუსულმანე-ბთან და შეუძლებელი შეიქმნა მათთვის ალყა და გასაჭირი, სულმა, დიხისტა-ნის უფროსმა გააგზავნა იეზიდთან სათქმელად: მე შევთანხმდები შენთან მშვი-დობაზე პირობით, რომ შენ იძლევი გარანტიას ჩემი და ჩემი ოჯახისათვისხელ-შეუხებლობას, და გაბარებ ქალაქს ყველაფრით, რაც მასშია და მის მცხოვრებლ-ებს და იეზიდმა დადო მასთან ხელშეკრულება მიიღო მისი პირობები და დაი-ცვა ისინი.“ (ტაბარი, საბოლოო დაპყრობა ჯურჯანისა)

ამავე ლაშქრობის რამდენიმე დაწვრილებითი და ოდნავ განსხვავებული ვარიანტი აქვს მოცემული იმავე ტაბარის, სხვადასხვა წყაროების მიხედვით და სხვადასხვა ინტერპრეტაციით. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ტაბარის სიტყვებით ყვება ვინმე ახმედი, რომელმაც გაიგო ეს ალისაგან, ალიმ კულეიბა იბნ ხალეფ ალ- ამინისაგან, კულეიბამ ტუფეილ იბნ მირდასისაგან, -ტუფეილმა ბიშრა იბნ ისისგან, ამ უკანასკნელმა საფვანის სიტყვებისაგან: მე მიამბო აბუ-ხაქს ალ -აზდიმ სულეიმან იბნ კასირას და სხვების სიტყვებისაგან: **„თქვა ალიმ: მე მიამბო აბუ-ხაფს ალ-აზდიმ სულეიმან იბნ კასირის და სხვების**

სიტყვებისაგან, რომ სული, თურქი, ცხოვრობდა დიხისტანსა და ალ-ბუხეირში, კუნძულზე ზღვაში, რომლიდანაც დიხისტანამდე 6 ფარსახია. ორივე ისინი მდებარეობენ ჯურჯანში, ხორეზმის მხრიდან. სული ხშირად ესხმოდა თავს ფირუზ იბნ კულს, ჯურჯანის მარზბანს, ხოლო მათ შორის იყო 25 ფარსახი, აყენებდა ზიანს მის გარეუბნებს, შემდეგ ბრუნდებოდა ალ-ბუხეირსა და დიხისტანში. ფირუზსა და მის ბიძაშვილს, სახელით ალ-მარზბანი, მოხდა უთანხმოება. ალ-მარზბანი გამოეყო მას და დასახლდა ალ-ბაისანში. ფირუზი, შეშინებული თურქთა მოსალოდნელი თავდასხმით, ეახლა იეზიდ ალ-მუხალიბს ხორასანში, ხოლო სულმა მიიტაცა ჯურჯანი." (ტაბარი. იქვე)

ტაბარი არა მარტო დიხისტანისა და ჯურჯანის შედარებით ზუსტ ადგილმდებარეობას იძლევა, არამედ განმარტავს იმ სავარაუდო მიზეზებს თუ როგორ და რატომ შეძლო სულმა ჯურჯანის დაპყრობაც:

1.ყარა-ბოღაზ-გოლის წინ კუნძული საერთოდ არ არსებობდა და არც დღეს არსებობს. კუნძულში ტაბარი ალ-ბუხეირს გულისხმობს, თუმცა არაბების მიერ მისი აღებისას არავითარი ფლოტი არ დაუფიქსირებია. თითქმის უშეცდომოდ შეიძლება ითქვას, რომ ტაბარის ალ-ბუხეირი;- ეს ხმელეთის ის ნაწილია, მოქცეული კასპიის ზღვის, ყარა-ბოღაზ-გოლსა და მის ყელთან კასპიის ზღვასთან, მარცხენა (თურქმენბაშის) მხარეზეა. მისი სიგრძეც 6 ფარსახია, დაახლოებით 33.5 კმ. როგორც ტაბარი აღწერს. ნახევარკუნძულის ბოლოდან, დღევანდელ თურქმენბაშამდე-ეს უკვე ტაბარისეული დიხისტანია.

2.ჯურჯანამდე მანძილი ტაბარისვე სიტყვებით, 25 ფარსახია, 139კმ-ი. დღევანდელ რუქაზე გადაზომვით, ეს ქალაქი (დასახლება) მდებარეობდა ყარა-ბოღაზ-გოლის აღმოსავლეთით და სამხრეთი ნაპირების შეერთების კიდეში. აქვეა ზემოთ ნახსენები ქალაქი ტამისაც, ზღვის (ოღონდ დეილემის, ყარა-ბოგაზ-გოლის ზღვად ჩათვლის შემთხვევაში) სანაპიროზე.

3.მართალია ტაბარი ჯურჯანის მარზბანად ფირუზს ასახელებს, მაგრამ თვით სახელიც ფირუზის ბიძაშვილისა, ალ-მარზბანი, აჩვენებს რომ ნამდვილი მენაპირე ის იყო, და რომლის წასვლის შემდეგ ფირუზ-იბნ-კული ვერ უზრუნველყოფს ჯურჯანის დაცვას.

4.სულის თავდასხმა ჯურჯანზე სპონტანური ხასიათისა არა ჩანს. თვით ალ-მარზბანი და რასაკვირველია ფირუზ იბნ კული სპარსელები ჩანან, არაბი ხელისუფლების მიერ დასმული ამ სახელო თანამდებობაზე ლოიალობისთვის. თვით ფირუზ იბნ კულის ხორასანში წასვლა და იეზიდ იბნ ალ-მუხალაბთან ხლება-შეჩივლება საკუთარი უმწეობისა, ამის ნათელი მაგალითია.

5.თავად ჯურჯანის მცხოვრებნი არაბთა აშკარა მოწინააღმდეგენი ჩანან, თუმცა ტაბარი მათ თურქებთან არ ახსენებს.

6. ტაბარისეული ჯურჯანი,რომელიც დიხისტანიდან 25 ფარსახის (196კმ) მანძ-

ილზე იმყოფება დიხისტანიდან, ის დასახლებული პუნქტი ჩანს, რომელიც სარიყამიშის ტბის გამოსასვლეკთან იყო გაშენებული, მის დასავლეთ ნაწილში...
7. ტაბარისტანი დიხისტანს და ჯურჯანს შუა ჩანს გაშენებული, არხის-მდინარე ანდარხაზის ნაპირას...
„თურქები რჩებოდნენ ალყაში, ახერხებდნენ გამოხტომებს, შემდეგ ბრუნდებოდნენ საკუთარ სიმაგრეში 6 თვის განმავლობაში, სანამ არ დაიწყეს ლამში დარჩენილი წყლის დალევა. მათ შორის გავრცელდა ავადმყოფობა მლაშე წყლის გამოყენების გამო და მრისხანებდა მათ შორის სიკვდილი. ასეთ მდგომარეობაში სულმა გაგზავნა ელჩები და მშვიდობას ითხოვდა. იეზიდ იბნ ალ-მუხალაბმა თქვა: არა, თუ მხოლოდ ის არ ჩაბარდება ჩემი მოწყალების იმედით. მაგრამ მან უარყო ეს წინადადება და გააგზავნა მასთან სათქმელად: მე დავზავდები შენთან ჩემი შეწყალების პირობით, ჩემი ავლადიდების და სამასი კაცის, ჩემი ოჯახის წევრების და ახლობლების, და შენ მიიღებ ალ-ბუხეირს და იეზიდი დათანხმდა ამაზე. სული გამოვიდა თავისი ქონებით და სამასი მათგანით, რომელთა უსაფრთხოება მან ითხოვა და შეუერდა იეზიდს. იეზიდმა დახოცა <u>12000</u> ტყვე თურქი.“ (იქვე)
8. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ალ ბუხეირი კუნძული არაა, ამ ნაწყვეტის მიხედვით, არაბი სარდალი კუნძულზე არ გადასულა და წყაროები არ გადაუკეტია, თუმცა მოსახლეობა მტკნარი წყლის დეფიციტს განიცდის და მლაშე წყლის სმისგან ავად ხდება. ცხადია ალ- ბუხეირი ბოღაზისა და კასპიის შერთეების წერტილია.
9.სულის ხალხი და ახლობლები 300 კაცი ჩანს, რაც რეალობასთან აბსოლუტურად ახლოს მდგომი ციფრი ჩანს. 150 წლით ადრე, სულ-ების მეომართა რაოდენობა სპარსთა მეფემ ხოსრომ 80-მდე დაიყვანა! **(სავარაუდოა , რომ რუზბან (15) სული-ეს იოანე საბანისძის ნერსე ქართლის ერისთავის პროტოტიპი უნდა იყოს. რუზბან-ნერსეს და მის თანამებრძოლებს ცოლშვილი გახიზნული უჩანთ შავიზღვისპირეთის აფხაზეთში, საკუთარივე სახლიკაცებთან(16)**
8.სული, აღიარებული ჯურჯანის მეფედ,ისევ თურქთა დახარებით იცავს იმავე სპარსეთის სასაზღვრო ზოლს, თუმცა ეს საზღვარი უკვე არაბთათვის აქტუალური აღარცა ჩანს. საზღვრის დამცველი თურქებისაგან არაბებმა 12000 მეომარი ამოხოცეს, თუმცა სისხლისმიერი დიხები (დიხისტანელები) ამ ომს ცოცხლად გადაურჩნენ(17)

იგივე ტაბარისთან გაძნელებულია ჯურჯანსა და ტაბარისტანში მიმდინარე საომარი პროცესების სრულყოფილი აღქმა, რამეთუ ის ერთსა და იმავე პროცესს რამდენჯერმე უბრუნდება. ტაბარისვე ცნობებიდან გამომდინარე, ჯურჯანის არც მეორე და არც საბოლოო დაპყრობისას, რუზბან სული ჯურჯანის მეფე უკვე არა ჩანს. (განსხვავებით ჯურჯანის პირველი დაპყრობისა). სავარაუ-

დოა, რომ ტაბარი (თუ მისი წყარო) ერთმანეთში ურევს დიხისტანის სუზერე-ნებს 639-650 და 716 წლებში. რასაკვირველია ყველა მ ათგანს რუზბანი ჰქვია (დარაჯის სპარსული შესატყვისი), თუმცა შესაძლებელია 639 და 650 წლების რუზბანი-ეს სხვადასხვა პროვნება იყოს, ხოლო 716 წლის რუზბანი კი ერთმნი-შ-ვნელოვნად სხვა პიროვნებაა.....სავარაუდოდ პირველი რუზბანი, მართლაც ითვლებოდა ჯურჯანის მეფედ, ორი დანარჩენი კი არა...აქედანვეა ვერსიების სხვადასხვაობა იმავე ტაბარის ცნობებში.

„მერე ის გამოვიდა და მოვიდა ჯურჯანში...ისინი შეხვდნენ მას საზავო ხელშე-კრულებით და მან დაუყენა მათ ნაცვლად კაცი, აზდ-ის ტომიდან, რომლის სა-ხელი იყო ასად იბნ აბდალაჰი, თვითონ შედგა ფეხი ისპეხბადის სამფლობელ-ოში ტაბარისტანში. მასთან იყვნენ მუშები, რომლებიც კაფავდნენ ტყეს და ასწ-ორებდნენ გზას. ისპეხბადმა დაიწყო მიმოწერა ჯურდანის მცხოვრებლებთან, თხოვდა რომ თავს დასხმოდნენ იეზიდის ჯარს და მოეჭრათ მათთვის სურსა-თის მოსატანი და არაბებთან დამაკავშირებელი გზა და ამისთვის ჯილდოს პი-რდებოდა...იეზიდ იბნ ალ-მუხალაბი, შეკრა რა ზავი სულთან, მოინდომა ტაბა-რისტანის დაპყრობა და გადაწყვიტა მის წინააღმდეგ გალაშქრება. მან დანიშნა აბდალახ იბნ ალ-მუსამარ ალ იაშკური ალ-ბაიასანის და დიხისტანის მმართვე-ლად, დატოვა მასთან 4000, მერე მივიდა ჯურჯანის რაიონში, ტაბარისტანის სიახლოვეს და დანიშნა ასად იბნ ამრა ანუ იბნ აბდალახა იბნ ალ-რაბგე ანდარ-ისტანის მმართველად, ხოლო ეს ოლქია ტაბარისტანის მახლობლად (ანდარის-ტანთან ჩანს დაკავშირებული იმავე მდინარე ანდარხაზის სახელიც.ავტორი) **მან დატოვა იგი 4000-ის უფროსად. ხოლო იეზიდი შევიდა ისპეხბადის ქვეყან-აში. მას შემდეგ როცა მუსულმანთა ავანგარდმა ჯერ გაიმარჯვა, ხოლო შემდეგ დამარცხებულ იქნა, ისპეხბადმა რომელიც მათგან ახალ საფრთხეს ელოდა, მი-წერა ალ-მარზბანს, ფირუზ- იბნ-კულის ბიძაშვილს, რომელიც იმყოფებოდა ჯურდანის შორეულ ნაწილში. ალ-ბაისანის მახლობლად: ჩვენ მოვკალით იეზ-იდი, შენ კი დახოცე არაბები, რომლებიც ალ-ბაისანში არიან." (ტაბარი. იქვე)**

ალ-მარზბანმა, რომელიც ტაბარისტანის ისპეხბადის ეს სურვილი გააცნო ჯურჯანელებს, რომლებიც ამ წინადადებას დათანხმდნენ და პირწმინდად ამო-წყვიტეს არაბების 4000-იანი სამხედრო კონტინგენტი. ეს სამხედრო აქცია რუზ-ბან სულთან საერთოდ არა ჩანს შეთანხმებული... ცხადია ეს რუზბანი ჯურჯა-ნელების მეფე არაა-ის მხოლოდ დიხისტანი მეფე იყო... ტაბარის მიხედვით, ამას მოყვა არაბი სარდლის იეზიდის მიერ ტაბარისტანელებთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. უცნობია, თანხმდებიან თუ არა ტაბარისტანელე-ბი ხარკის გადახდას, თუმცა ფაქტი ერთია, ჯურჯანი მარტო დარჩა გამხეცებუ-ლი არაბების წინააღმდეგ. თვით ტაბარის სიტყვები,რომ:

„...მერე იეზიდი თავისი მომხრეებით გამოვიდა იქიდან, თითქოსდა გაქცეულე-

ბი. თუ არა ეს, რაც გააკეთეს ჯურჯანის მცხოვრებლებმა, ის არ წამოვიდოდა ტაბარისტანიდან, სანამ არ დაიპყრობდა.“ (ტაბარი. იქვე)

კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ტაბარისტანიდან მას არც არაფერი და ვერაფერი ვერ წამოუღია. თუმცა ფაქტია, რომ ტაბარისტანელებმა ანალოგიურ გაჭირვებაში მყოფი ჯურჯანელები არაბებთან მარტოდმარტო ომისთვის გაწირეს... ჯურჯანიის აღწერა იმავე ტაბარის მიერ, ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს, რომ ის ზღვისპირა ადგილი არ არის:

„.... მივიდა ჯურჯანში, რომელიც ამ დროისთვის ქალაქი არ იყო, იყო მხოლოდ მთები, რომლებიც მას გარემოიცავს, გასასვლელები და მწვერვალები, ისე რომ როცა კაცი დგას ერთ-ერთ გადასასვლელთან, მასთან ვერ მივა ვერავინ.“ (ტაბარი, იქვე)

რაც შეეხება ფსევდო ზაქარიასეულ ბაზგუნის სახელმწიფოს, რომელიც კასპიის (ჩრდილოეთ) კარამდე აღწევს, აქ უცილობლად სამივე პოლიტიკური წარმონაქმნის კოალიცია იგულისხმება. ეს ის ჯურჯანია, სადაც არაბმა სარდალმა ტაბარის სიტყვებით:

,,ზოგიერთები ამბობენ, რომ იეზიდმა გაწყვიტა 4000 ჯურჯანის მცხოვრებთაგანი.“ (ტაბარი. იქვე)

ეს აქტი არაბული შურისძიება ჩანს-მათ ზუსტად იმდენი (4000) ჯურჯანელი დაუხოცავთ, რამდენი არაბიც ამ უკანასკნელებმა დახოცეს ტაბარისტანის სუზერენის-ისპეხბადის პროვოცირებულებმა. რაც შეეხება X საუკუნეში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ რეალობას კასპიის ზღვის გარშემო, არაბი თანამედროვეების რუქებზე საკმაოდ ზუსტად არის ასახული ეს რეალობა და ის პოლიტიკურ-ეთნიკური ერთეულები, რომლებიც აღნიშნულ სივრცეში ოპერირებენ. რუქა აბუ ისსხაკ იბრაჰიმ იბნ მუჰამედ ალ-ფარისი ალ-ისტარხის რუქა, შედგენილი X საუკუნის პირველ ნახევარში, არ იმსახურებს საკმარის ნდობას, თუნდაც იმიტომ რომ N32 ობიექტად მოხსენებულია ქალაქი ასტრაბადი, რომელიც XVI საუკუნის მეოთხე მეოთხედის ქალაქია. შეიძლება ითქვას რუქა გვიანაა დართული ისტარხის ნაშრომისთვის...უფრო მეტიც,შესაძლოა გვიანდელი ჩართული იყოს პირველი აბზაციც :

„ალ-ხაზარის აღმოსავლეთის სანაპიროზე (მდებარეობს)ალ-დეილემის ნაწილი, ტაბარისტანი, ჯურჯანი და უდაბნოს ნაწილი, რომელიც (დევს) ჯურჯანსა და ხორეზმს შუა, ხოლო დასავლეთის (სანაპიროზე)-არანი და ას-სერირის ფარგლები, ქვეყანა ალ-ხაზარი და გუზების უდაბნოს ნაწილი; ჩრდილოეთისაკენ- გუზების უდაბნო სიიკუხის მხარეს, ხოლო სამხრეთით ალ-ჯილ და ალ-დეილემი“ (ისტარხი იქვე)

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ალ-დეილემი; ეს ჯურჯანელთა ახალი დასახლებაა კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. გუზების უდაბნო უბრალოდ ვერ იქნება ჯურჯანსა და ხორეზმს შუა, რამეთუ ჯურჯანი თავად წარმოადგენს ხორეზმში (როგორც ხორასნი ოლქის ნაწილი) შემავალ ერთეულს, რომელიც თავად არის განფენილი კასპიის ზღვის და ხორეზმს შუა, ხოლო გუზების უდაბნო ჯურჯანიდან ჩრდილოეთისაკენაა, სადაც ხორეზმის მიწა არც არასდროს ყოფილა, მისი საზღვარი ჯურჯანსა და დიხისტანზე გადიოდა. შესაბამისად ჯურჯანსა და ხორეზმს შორის ნახსენები უდაბნო გუზებისა ვერ იქნება, ეს სხვა (სავარაუდოდ გაცილებით მცირე) უდაბნო უნდა იყოს...ამასთან, ავტორი მიუთითებს უკვე ორი დეილემის არსებობას: ერთი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და მეორე ამავე ზღვის სმხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. საჭვო მომენტი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ ავტორისათვის უცნობი ჩანს დეილემების ყოფილი ჯურჯანელობა...გაცილებით მეტი ნდობის ღირსია რუქა რომელიც აბუ-ლ-კასიმ იბნ ხაუკალის (X საუკუნის II ნახევარი. იხ.რუქაN-22) სახელითაა მოცემული აღმოსავლეთის ლიტერატურაში (კასპიის ზღვა არაბულ წყაროებში)

რუქის აღმოსავლეთ მხარეზე ნაჩვენებია კასპიის ზღვის მოშორებული ბუნებრივი ლანდშაფტის კონტურები, რომელიც წიგნის რუსულენოვან კომენტატორს გაურკვეველი მიკუთვნებულობის მთად აქვს მიჩნეული, თუმცა ავტორისეული მოშტრიხვით აშკარად ჩანს რომ ეს საწყალოსნო სივრცეა, როგორც კასპია და არა მთათა სისტემა, როგორც დეილემის მთები. აქვე, ავტორს N1 ქვეშ მოხსენებული აქვს ზღვა ალ ხაზარი, დიდი ზღვიდან საკმაოდ მოშორებით. სავარაუდოდ, ის ყარა ბოღაზ გოლს გულისხმობს, რომლის აღნიშნვა მას მარცხნივ და მოშორებით აქვს ნაჩვენები. (რუქა საკმაოდ ცუდი ხარისხისაა, მისი ავტორისეული გაშიფრვა თან დაერთვის რუკას)

რასაკვირველია უსწოროა იმის მტკიცება რომ მთელი ტაბარისტანი (მაზანდერანი, გორგანის დასავლეთ ნაწილი, გილიანის აღმოსავლეთი ნაწილი) (18) -ესენი ყარა-ბოლაზ-გოლისა და სარა ყამიშის ტბის მიდამოებიდან აყრილი და ამ რეგიონში ჩასახლებული, ალექსანდრე მაკედონელი ილირიელი მოლაშქრეების შთამომავალნი არიან. კასპისპირა სამხრეთი ტერიტორიები მაკედონელის ლაშქრობის ეპოქაშიც ინტენსიურად დასახლებულია. გორგანი-ეს ჰირკანები ჩანან...ის, რომ ყარა- ბოღაზ -გოლთან მდებრე ჯურჯანი მცხოვრებლები ის ხალხია, ვინც შემდგომ კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ მთიანეთში დეილემთა სახელითაა ცნობილი, თვალნათლივ ირკვევა ბალაძურის ნაშრომებიდანაც :

„ამის შესახებ ცნობა მივიდა იეზიდამდე, მან გააგზავნა ხაიანი, კლიენტი (მაული) მასკალი, ხოლო ის იყო დეილიმიტელი ტყვე, და მან უთხრა ისპეხბადს:

მე შენი კაცი ვარ და (შენი მომხრე ვარ), თუმცა ჩვენ გვაშორებს რელიგია“ (ახმა-დ ალ-ბალაძური) წიგნი ქვეყნიერების დაპყრობისა. ჯურდანის დაპყრობა არა-ბების მიერ)

კლიენტად- მაულად, ითვლებოდა არაბებში პირი, არაარაბული წარმო-შობისა, თუმცა მათ მფარველობაში მყოფი. ეს ხაიანი, ზედმეტსახელით ან-ნაბ-ათი, იყო მეთაური ირანელებისა, ჩარიცხული არაბულ არმიაში და განსაკუთ-რებული რაზმის უფროსი, საკმაოდ დიდისა. ხორასანის ტომებთან შეტაკებაში ის და მისი შვილი მუტაკილი, ზოგჯერ გადამწყვეტ როლსაც კი თამაშობდნენ. კლიენტი მასკალის სიტყვები, რომ ის ტაბარისტანის ისპეხბადის კაცია, მათ ტომობრივ სიახლოვეს მიანიშნებს. ის რომ ხაიანი ისპეხბადს მათ შორის რელი-გიური სხვაობის შესახებ მიუთითებს, რომელიც მიუხედავად მათი ტომობრი-ვი სიახლოვისა აშორებთ მათ ერთმანეთისაგან, ისევ და ისევ რელიგიური მო-ტივებიდან გამომდინარე ჩანს: მუსულმანი არაბები მათი მომხრე ხაიანისაგან რასაკვირელია ასევე გამუსლიმანებას მოითხოვდნენ.რაც შეეხება ტაბარისტანს რომლის ზეობის წლებად IX-XII საუკუნე სახელდება, შემდგომ საუკუნეებში უკ-ვე ირანის პროვინცია მაზანდერანად არის ცნობილი . რატომ? ნუთუ მაკედო-ნელის ილირიელმა მოლაშქრეების შთამომავალმა, რომელმაც 15 საუკუნეს გა-მოატარა საკუთარი სახელდება, ერთბაშად დათანხმდა ამ სახელის დაკარგვა-ზე? რასაკვირველია არა...

„ტაბარისტანი-შუა საუკუნეებში (IX-XII საუკუნე) აღნიშნული პროვინცია, გან-ლაგებული კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, გილიანი-დასავლეთით და **ხოროსანიდან აღმოსავლეთ შორის. (XIII საუკუნიდან ცნობილი როგორც მაზა-ნდერანი)...აბუ ისხაკ იბრაჰიმ ისტარხი ასე აღწერს მას: ტაბარისტანი-ვაკე ადგ-ილი ტალიშურ მიწაზე,მოსახლეობა დაკავებულია მიწათმოქმედებით, ზრდი-ან სასაპალნე და გამწევ პირუტყვს. მათი ენა არც არაბული და და არც სპარსუ-ლი... ამული, ნატოლი, ჩალერი, კაპარი, რეიანი, ბურჯი, ჩაშმ-იი, ალხანი, სარი, მიხრავან და ტამიში მდებარეობს ტაბარისტანში. სასანიდების დროს დამოუ-კიდებელი მფლობელობამაზანდერანის მმართველებისა, არაბული ხალიფატ-ში სამნიდებთან, სელჯუკებთან და მონღოლებთან აქ მართავდა ადგილობრი-ვი მაზანდერანული დინასტია.XVI საუკუნეში შაჰ აბას I მიერ ლიკვიდირებუ-ლი იქნა ადგილობრივი დინასტია და შეერთებულ იქნა სეფევიდების ირანს“ .. (ვიკიპედია)**

...და რასაკვირცელია ვერ იქნება აბსოლუტურად კორექტული ვიკიპედი-ის ცნობა, გაჟღერებული სტატიის დასაწყისში, რომ ტაბარები პირველ საუკ-უნეს ჩამოასახლა პართიის მეფე ფრაატ I მაზანდერანის მიწაზე.... თვით IX სა-უკუნემდე იმავე ტაბარის დაფიქსირებული აქვს მათი ბრძოლა ჯერ სპარსე-ლებთან, შემდეგ არაბებთან და ისევ სპარსელებთან იმ ტერიტორიაზე, სადაც

ისინი განამწესა ალექსანდრე მაკედონელმა თავისი იმპერის მენაპირედ, მაშინდელი ხოროსანის ტერიტორიაზე...და მაინც ძირითად მასა ტაბარისტანისა მაზანდერანის პროვინციაში IX საუკუნის მერე ჩანს ჩამოსახლებული...მათივე ნაწილი თავისუფლებამოყვარე ტომისა დაღესტანისაკენ ჩანს მიგრირებული, სავარაუდოდ იმავე XVI (19) ... დაღესტანისაკენ ჩანს მიგრირებული, დაბლობიდან მთებისაკენ, სწორი მოსაზრებით, რომ დამპყრობლების ბატონობისაგან ამ პირობებში შეძლებდნენ თავდაცვას. დაღესტანის ტაბასარანი - ეს ტაბარისტანის მოსახლეობაა, რომელიც სარიყამიშის ტბის მიმდებარე ტერიტორიიდან მიგრირდება კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ, არქმევს მას საკუთარ სახელს, ხოლო სპარსული ზეწოლის შედეგად კიდევ ერთხელ მიგრირდება, უკვე დაღესტანში და ახალ საცხოვრებელ ადგილას თითქმის ამავე სახელს, ტაბასარანს არქმევს. ტაბარისტანელები და ტაბასარანები ისტორიის გრძელ გზაზე საკუთარ ენას კარგავენ და უფრო მრავალრიცხოვან ტომებში, შესაბამისად სპარსელებთან და ლეგებთან ასიმილირდებიან...

"რაც შეეხება აბასკუნს-ის ჯურჯანელთა პორტს წარმოადგენს" (მასუდი, წიგნი ცნობათა და ცოდნათა 160.6)

როგორც ციტატიდან ჩანს, აბასკუნი ჯურჯანელთა (იგივე დეილემთა) პორტია მხოლოდ და მხოლოდ, ამდენად ის აბაზგუნი ვერ იქნება: აბაზგუნი-ეს სამი ტომის, ტრიუმვირატის კრებსითი სახელი ჩანს. უკვე ჯურჯანად ცნობილი ადგილი კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში, იგივე დეილემთა საცხოვრისს წარმოადგენს. რაც შეეხება მაზანდერანელებს, ისინი მართლაც ყოფილი ტაბარისტანელები ჩანან-მარები, მაგრამ უკვე ინდოევროპული-ირანული ენის ენის მატარებელები (რასაკვირველია გარკვეული რაოდენობის დეილემისა და ტაბარისტანელების ტომების შერევა ჰირკანებში, ეს უბრალო აქსიომაა, ამას თვით ატ-ტაბარის გვარიც მოწმობს).რაც შეეხება დახისტანელებს, სულის ხალხს,როგორც ამავე ნაწერიდან ირკვევა დიხი-ზიხი, ეს მუსლიმანებისათვის ჩერქეზია, ხოლო ლაზი-აფხაზი.

საინტერესო ცნობაა შემონახული აბზოის ტომის ამ ნაწილის შესახებ,რომელიც უკვე კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ჩანს დამკვიდრებული. ვიკიპედიის ზემოთ ხსენებული სტატია, რომელიც თრდატ-I მიერ (62-88 წ) ტაბარების ჩამოსახლებას ყვება, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ქალაქ ამოლის მახლობლად, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მართალი იყოს : ალექსანდრე მაკედონელის მარი მოლაშქრები, რომლებიც კასპიის აღმოსავლეთის კარის დაცვის მხოლოდ ერთ ელემენტს წარმოადგენდა სამიდან: დიხისტანი, ჯურჯანი და ტაბარისტანი, თავად წარმოადგენდნენ ამ უკანასკნელის, ტაბარისტანის ტიტულატურულ ტომს. რასაკვირველია მათი ნაწილის გადმოსახლება ქალაქ ამულის სიახლოვეს, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, შეიძლება მართლაც

პართიის მეფე თრდატს მიეწეროს: პართიის სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვარი დიდად გადაცილებული ჩანს ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოხაზულ ადრინდელ საზღვარს: მიზეზი ისევ და ისევ პართიის სამეფოს დაფუძნებაში უნდა ვეძებოთ, სადაც წონადი წვლილი საკებისა-შუა აზიური პოლიტიკურ ერთეულს მიუძღვის, რომლებიც იმ პერიოდისათვია აღნიშნული საზღვრის ჩრდილოეთით ფიქსირდებოდნენ. შესაბამისად,პართიის სამეფოს ჩრდილო საზღვარი დიდად გასცდა მაკედონელისეულ საზღვარს და მისი დაცვის საჭიროებაც არსებითად შემცირებული იყო...ზუსტად ამ მიზეზით უჩანს თრდატ I მარების, ტაბარისტანელების ნაწილის გადმოსახლება კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე...კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ტაბარისტანი და ტაბარი-ეს ქვეყნის, პოლიტიკური ერთეულის სახელია, ხოლო ამ ქვეყნის მოქალაქენი ტომობრივად მარები გახლდნენ...(არ არის გამორიცხული, რომ ალექსანდრე მაკედონელისეული მუქარა მარგებისადმი, რომელთაც მისი ცხენი, ბუცეფალი მოიპარეს, ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლმა მარებმა შეარბილეს, იმავე მარგების სახლიკაცებმა, მას შედეგ, რაც მათი ენობრივი თანხვედრა და იდენტობა (ალბათ შემთხვევით) გაირკვა...

საინტერესო ისტორიას გვთავაზობს История Табаристана (Тарихе Табаристан)

ამა წელს (910 წელი) ზღვაში გამოჩნდა თექსმეტი ხომალდი, რუსების კუთვნილება და წავიდნენ ისინი აბასკუნზე, ისევე როგორც ხასან იბნ ზაიდ ალიდის დროს (864-883 წ) როცა რუსები მოვიდნენ აბასკუნში და დაიწყეს ომი, ხასან ზაიდმა გააგზავნა ჯარი და ყველა გაწ ყვიტა. ამ დროს, როცა გამოჩნდა რუსების თექსმეტი ხომალდი, მათ დაანგრიეს და გაძარცვეს აბასკუნი და ზღვის სანაპირო ამ მხარეს, მრავალი მუსულმანი მოკლეს და გაძარცვეს. აბუ-ლ-ზარგებ ახმად იბნ ალი კარიმმა , რომელიც იყო მმართველი სარისა (ტაბარისტანის დედაქალაქი) მიწერა ამაზე აბი-ლ -აბასს და მან გამოგზავნა დახმარება. ამ დროისათვის რუსები გადმოსხდნენ აჯილიში (სარიდან ჩრდილოეთით) რომელიც ჩვენს დროს იწოდება კალედ (ციხე) და მან (ახმად იბნ-ალ-კარიმმა ღამე შეუტია მათ, ბევრი მოკლა და აიყვანა ტყვედ და გააგზავნა ტაბარისტანის ცენტრში (დედაქალაქ სარიში)

შემდეგ წელს (911) რუსები მოვიდნენ დიდი რაოდენობით, მოუკიდეს ცეცხლი სარს და ოლქებს ხაზარებთან, წაიყვანეს ტყვეები და ნააჩქარევად წავიდნენ ზევით, მივიდნენ რა ჩაშმი რუდასთან, დეილემში, ნაწილი გადმოვიდა ხმელეთზე ნაწილი დარჩა ზღვაში. გილები (გილიანელები) ღამე მივიდნენ ზღვის ნაპირთან, მოუჭრეს გზები და მოკლეს ისინი, რომლებიც ხმელეთზე იყვნენ...

სხვები, ზღვაში მყოფნი გაიქცნენ. იმდენად რამდენადაც მეფე შირვანშაჰმა გაიგო ამის შესახებ, ბრძანა მოეწყოთ ზღვაში ჩასაფრება და საბოლოოდ არც ერ-

თი მათგანი არ დატოვა ცოცხალი. და ასე ხშირი გადმოსხმა რუსებისა შეჩერე-ბულ იქნა (ცნობა იბნ ისფენდიარისა; თარგმანი ს.ა. ალიევისა. 1969 წ)

რასაკვირველია ისფენდიარის „რუსები“-ეს დასავლეთის სკვითები, უკრ-აინელები არიან. ზუსტად ისინი ლაშქრობდნენ ხაზართა ხაკანატზე და ისინი-ვე შემოდიოდნენ კასპიის ზღვაზე სამეკობროდ. მეორე ტაბარისტანელი ისტო-რიოგრაფი და ასევე „ტაბარისტანი ისტორიის“ავტორი, მავანი მირ საიდ ზახ-ირ ად-დინ მარაშია. ასევე ტაბარისტანელი აღმატებული საგვარეულოდან-მა-რაში...დიახ, ეს გვარი <u>მარასი-</u>ს აღნიშნავს, ზუსტად ისევე, როგორც მეგრულ-კოლხურ ენაზე...არ დაგვავიწყდეს, ტაბარისტანის რეგიონშია მოხსენენიებუ-ლი ზღვისპირა ქალაქი ტამისა)აშკარად ტამისი) და ტურუნჯა. პირველი მათ-განი დასახლებული პუნქტია გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონს შორის , ხო-ლო მეორე მტრედისას ნიშნავს...სინამდვილეში, დღევანდელ თურქმენეთში (ყოფილ პართიაში) არსებული მარგიანა და კასპიის ზღვის სანაპიროზე არსებ-ული ტაბარისტანი-მაზანდერანი, მარების პოლიტიკური წარმონაქმნი, საქარ-თველოში შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე არსებული აბაზგეთის მხოლოდ სახლიკაცები არიან და ეს უკანასკნელნი სრულიად სხვა პოლიტიკური პროცე-სებისა და სრულიად სხვა დროს არიან დაფუძნებული ამ ტერიტორიაზე:

„მაგრამ მან გაზარდა რიცხვი თავისი მიურიდებისა, გამოაცხადა საკუთარი თა-ვი დამოუკიდებლად და 10 ათასიანი ჯარით გაემგზავრა შირვანში, ჩერქეზებ-თან ომის მიზნით სარწმუნოებრივ ნიადაგზე. წიგნში ფუტუხატ-და-ამინი ნათ-ქვამია, რომ ის წავიდა შირვანის დასაპყრობად. როგორც არ უნდა ყოფილიყო, შირვანშაჰი სულტანი ხალალი, ტაბასარანელების შეგულიანებული, ეწინააღმ-დეგებოდა მის წასვლას დაღესტანში. მძლავრი შეტაკებაში სამურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ კიპჩაკთან, შეიხი ჯუნეიდი მოკლული იქნა.“(აბას კულ- აღა-ბაკიხანოვი. გიულსტანი და ირანი მეოთხე პერიოდი)

როგორც ზემოთ დავამტკიცეთ მუსულმანთათვის დიხი (ზიხი) ეს ჩერ-ქეზია, ხოლო ლაზი-აფხაზი. მიუხედავად ბაკიხანოვის მტკიცებისა, რომ შეიხი ჯუნეიდი ყაბარდოში წავიდა ჩერქეზებთან საომრად, ის შირვანის გვერდით სულ ორი დღის სავალზე აპირებდა ამ ,,ჩერქეზებთან“ შეტაკებას. რაც შეეხება დეილიმიტებს , დეილემებს , მათი ნაწილი განაგრძობენ ცხოვრებას კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთის მთიანეთში. (დღევანდელ სპარსული რაიონების, მაზანდერანის და გილიანის პროვინციების ნაწილი)...აქტიურად მონაწილეობს დეილემი მეზობელი შარვანის პოლიტიკურ საქმიანობაშიც. რამდენჯერმე მოხ-და დეილემების თავდასხმა შირვანზე, რომელსაც შედადიდების (იეზიდი) დი-ნასტია მართავდა. თითქმის გაუგებარია ის გზა და მიმართულება, თუ როგორ აღმოჩნდება აბზოის ეს ტომი, (უბიხ-კამიშები) შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო-ზე, ე.წ. აფხაზებსა და ჩერქეზებს შუა და რა გახდა მიზეზი მათი მიგრაციისა შა-

ვი ზღვისაკენ:

„აგვისტოს ბოლოს, ჩვეულებრივ ლოცვის შემდეგ წამოწყების წარმატებისა, შამილი გამოვიდა დარღოდან სალატოვის სოფელ <u>დილიმი-საკენ</u>, სადაც მოისწრაფოდნენ ცხენოსანი თუ ქვეითი ჩეჩნები და სხვა მიმდებარე საზოგადოებიდან.“ (ოლშანსკი მ. ი. კავკასია 1841-1866 წლებში. ნაწილი 1)

დილიმი-ეს სოფელი სავარაუდოდ დეილემის, დეილიმიტთა, პროკოფი კესარიელისეული დილიმნიტების სოფელი უნდა იყოს, რომელიც ამ სახელს (გარკვეული მიზეზების გამო) ანტიკური პერიოდიდან უფრთხილდება და არ კარგავს. უცნობია ის, თუ რომელი ეპოქიდან ფიქსირდება დაღესტანის (თუ ჩეჩნეთის?) მთებში აღნიშნული სოფელი, თუმცა სავარაუდოა, რომ დეილემიტთა თავისუფლების მოყვარე ნაწილი ვერ ურიგდება ახალი ცენტრალიზირებული სახელმწიფოს შექმნას ირანში სეფიანთა დინასტიის სახით,1502 წელს და მიგრირდება არაცენტრალიზირებული დაღესტანისაკენ (ამავე პროცესის მონაწილე ჩანან სადაშ აფხაზები, ეს უძველესი სანარელები, ჭანები)...და საცხოვრებლად დაღესტანის თავისუფალ მთებს ირჩევენ. სავარაუდოა, რომ ოდითგანვე საწყალოსნო სივრცის და ერთდროულად მთების მცხოვრები აბზოის ეს ტომი არაკომფორტულად გრძნობს თავს დაღესტანის მთების შიდა სივრცეში. მათი ნაწილი აქედანვე გადმოდის საცხოვრებლად შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, სადაც მათ კამიშების და დანბეს სახელით, XVII საუკუნის შუა წლებისათვის აფიქსირებს თურქი მოგზაური ევლია ჩელები. (დეილემის ტომისთვის ეს მიწები უცხო არ უნდა იყოს, მათი წინაპრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სპარეთ-ბიზანტიის ომში VI საუკუნეს, დაქირავებული მებრძოლების რანგში) სავარაუდოა, რომ დეილემის ტომი საცხოვრისის ძიების ამ პერმანენტულ პროცესში მარტო არაა: ყურადღებას იქცევს იმავე ჩელებისეული აფხაზთა ტომი, მცხოვრები უბიხებისავე გვერდით (ჩელების მიხედვით) სახელდებული სადაშ აფხაზებად. სადაშები აშკარად ამოვარდნილი არიან იმ კანონზომიერებიდან, რომელიც ჩელების პერიოდისთვის და უფრო გვიან, ჩამოყალიბებული ჩანს ამ სანაპიროზე: ისტორიაში არაა დაფიქსირებული კონფლიქტი უბიხებსა და სადაშებს შორის, თუმცა ამ უკანასკნელებს გაფუჭებული უჩანთ ურთიერთობა სანაპიროს ყველა აფხაზურ ტომთან. ცხადია, სადაში არაა იმ ისტორიული პროცესის მონაწილე, რომელსაც შეიძლება ზიხების მიგრაცია დავარქვათ. ზიხებზე ოდნავ მოგვიანებით ჩანან მიგრირებული მარდები- აბაკები, თუმცა კამიშების (უბიხების) და სადაშების მიგრაცია არა უადრეს მე-16-ე საუკუნეს ეკუთვნის (20). თავად სადაშები დეილემთა მეზობელი სანარები ჩანან, უძველესი დროიდან სახელდებული აფხაზებად, თუმცა ისინი სრულიად სხვა პროცესის სამართალსუბიექტები ჩანან...მას'უდის სიტყვებით ისინი მდინარეების, მტკვარისა და არაქსის შესაყართან ცხოვრობენ, ფაქტიურად იმავე დეილემთა მეზობ-

ლად. არც სადაშთა მუსულმანობისაკენ მიდრეკილება უნდა იყოს საოცარი, რომელთა შორისაც უკანასკნელი ათეული საუკუნე გაატარეს. დეილემთა და სანართა ჩრდილო კავკასიის გამოვლით მიგრაცია-ჩამოსახლება ჩანს დალექილი ქართველურ კოლექტიურ მეხსიერებაში, როდესაც საუბარია კავკასიის ჩრდილო მხრიდან ტომების ჩამოსახლებაზე მე-16-ე საუკუნეში.

ძალიან დიდი ალბათობით ისინი, კამიშები და სადაშები წარმოადგენენ მთავარ ძალას 1533 წელს მომხდარ შეტაკებაში „აფხაზ-ჩერქეზ"-მეგრელებს შორის. ზუსტად ამაში უნდა იყოს ჩამარხული მიზეზი, თუ რატომ არ გაატარეს აბაზგებმა მეგრელთა ლაშქარი ხმელეთით, რომელიც მათი თანატომელების, აბზოის ორი დანარჩენი ტომის წინააღმდეგ სალაშქროდ იყო მიმართული. არ უნდა იყოს საკვირველი ენობრივი განსხვავება აბასკ- უბიხთა შორის, ეს ორი განსხვავებული ენაა, და არაფერი საერთო მათ შორის არ არსებობდა...ომის მიზეზებზე ამ თავში აღარ გავიმეორებთ, თუმცა ომმა არსებითად შეცვალა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური კონფიგურაცია . დეზინტეგრაციის პროცესი გაცილებით უფრო ღრმად ვითარდება. სამეგრელო და გურია, უკვე ორი სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულია. ცალკე პოლიტიკური ერთეულია ანაკოფიის საერისთავო, რომელიც აფსილიასთან ერთად გამოეყოფა სამეგრელოს. არ ჩანს მთის მოსახლეობის ყოფილი მისიმიანეთის პოლიტიკური მდგომარეობა, თუმცა სავარაუდოდ ის შანური-ძიხური წარმოშობის პოლიტიკური ელიტის ნებით, უბრალოდ გვერდზე დგება მიმდინარე პროცესებიდან და არ ცნობს არც დადიანის სამეგრელოს და არც შერვაშიძის აბასკეთის ხელისუფლებას (ასევე ცნობს ამ უკანასკნელის ხელისუფლებას 300 წლის შემდეგაც). ასევე დამოუკიდებული ჩანს სანიგეთი, რომელიც სამხედრო ძლიერებით არ ჩამოუვარდებოდა ერთად აღებულ აბასკეთსა და აფსილეთს. სანიგების მიმდებარედ, ზღვის სანაპიროზე კეჩების და არტების იგივე ლაზური ტომები ცხოვრობენ, უკვე აფხაზებად სახელდებული. მათი გვერდით კი სადაშები მკვიდრდებიან, ასევე აფხაზური ტომი, შირვანის ყოფილი მეზობლები. მათ გაგრძელებაზე, სადაშებთან ერთდროულად მკვიდრდება დეილემთა (აბზოის) უბიხური ტომი, მათსავე გაგრძელებაზე ზიხები ისევ აგრძელებენ დანარჩენი საქართველოსაგან დამოუკიდებელ არსებობას, როგორც თემურ-ლენგის შემოსევამდე.

აბაზგების ტომის იქითა საქართველოს დანარჩენი საქართველო ნელ-ნელა ივიწყებს ; ჯერ ადმინისტრაციულად,შემდეგ რელიგიურადაც კი... იდეოლოგიის თავისუფალ ადგილს ნელ-ნელა ისლამი იკავებს... ენაც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცემა და მის ადგილას უცხო, ე.წ. პატუა ენა-ყაბარდოული სლენგი იკავებს იკავებს, რომლითაც მოსახლეობა ურთიერთობს გარე სამყაროსთან, თურქეთთან თუ ყაბარდოელებთან... ნელ-ნელა, დამახინჯებული ჩერქეზული ენა- სლენგი, მშობლიური მეგრულს ჩაანაცვლებს! ამ პროცესს, საბედნიეროდ

თუ საუბედუროდ დამფიქსირებელი ყავს, XVII საუკუნის მეორე ნახევრის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების სახით. მისი მოგზაურობის დეტალები სრულყოფილადაა გაშუქებული ზემოთ აღწერილ თემებში კენებისა და ზიხების შესახებ, ამდენად ზემოთ ნახსენები ავტორის ციტირების აუცილებლობა არ არსებობს...ჩელების სიტყვებით, ჩერქეზები, ლაზგები, აფხაზები, ალბანელები-ეს ერთი არაბული მუხლის კორეიშების საგვარეულოა, მისივე სიტყვებით, ლეზგები ჭოროხთან არიან განსახლებული , აფხაზები აფხაზეთში. ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ ჭოროხთან ნამდვილად ლაზები არიან განსახლებული, აფხაზთა ძმები და არა აბაზგები! აფხაზებმა ჩელების სიტყვებით მიიღეს ქვეყანა, მათ სახელით სახელწოდებული.

...და ვის გულისხმობს ჩელები აფხაზის ქვეშ? რიგით პირველი ტომი აფხაზეთის მიწაზე ჩაჩია-იგივე აფსილი. ჩელები მიუთითებს, რომ იგი ისეთსავე მეგრულ ენაზე ლაპარაკობს, როგორიც მდინარის მეორე მხარეს. სხვა ენაზე- მეორე ენაზე ის საერთოდ არ საუბრობს. აფსილთა ტომი როგორიც ზემოთითქვა, წმინდა მეგრულენოვანია, ილირიული ტომი. არლანის მუხლის შესახებ, რომელიც რიგით მეორეა და მდებარეობს ჩაჩების შემდეგ, ჩელები მათ რიცხოვნებას 10 000 მამაც ვაჟკაცს ასახელებს, მაგრამ...ენის შესახებ საერთოდ არ საუბრობს... რასაკვირველია არლანები მეგრულ ენასაც ფლობენ, როგორც ტომთაშორისი ურთიერთობის ენას, თუმცა სავარაუდოდ საკუთარი ენაც უნდა გააჩნდეს, აბასკური... ტომი აშკარად აბასკურია, აბასკურადვე მოსაუბრე და მისი საცხოვრებელი ადგილი ანაკოფიის საერისთავოა!

საკითხი იმის შესახებ, თუ ვის გულისხმობს ჩელები აფხაზებში მალევე ირკვევა, ორდღიანი მოგზაურობის შემდეგ ისინი ჩანდების (ჩანდები ეს იმათ თვისაა ვისაც ანბანში ასო ჭ არ მოიპოვება, ჩვენთვის ქართველებისთვის ისინი ჭანდებია, ჭანიდები) საზღვარს აღწევს. მათ მთიელი ჭანდები ეწოდება და გაგრასთან ცხოვრობენ. ანონიმისაგან განსხვავებით სანიგების, ჭანდების საზღვარი ჭანდრიპშიდან მდინარე ბზიფამდე ჩანს გადმოწეული... და რაც მთავარია, მათ ჩელები არსით ნამდვილ აფხაზს უწოდებს! ... რასაკვირველია, ჭოროხელი ლაზის ძმა, ასევე ლაზურ-ჭანური წარმოშობის სანიგი (ჭანიგი, ჭანიდი) შეიძლება იყოს მხოლოდ! შემდეგი უკვე დიდი და მრავალრიცხოვანი ჭანდები არიან: უნდა აღინიშნოს, რომ ჭანდები აფხაზეთის ტომებში ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან 16500 ვაჟკაცი მეომარი.

...შემდეგი მოსახლე ეს კაჩილართა ტომია, ჩელები ხაზგასმას აკეთებს მათ აფხაზური (ლაზური)ტომისადმი კუთვნილებას, აღნიშნავს,რომ სტუმრობდნენ აფხაზთან სახლში, სახელად საფარ-აღა. თვით კუთვნილების აღმნნიშვნელი სიტყვა ლარი - სავარაუდოდ ძალზე შორს იღებს სათავეს და დასახლებას ნიშნავს… ჩანდა-ლარი.

კეჩი-ლარი.
არტ-ლარი.
სუჯა-ლარი.
შემდეგი ტომი არტებია, რომელიც ბეგმა 50 შეიარაღებული აფხაზის თანხლებ-ით მოსაკითხავის სახით 20 თხა მიუყვანა, რასაკვირველია, ტომი ასევე აფხაზ-ურია (ზან-ზიხურია) ჩრდილოეთით მათგან, მთებს შორის ცხოვრობენ სიდი ახმედ ფაშას სადაშები, აფხაზური (ჭან-ლაზური) და ჩერქეზულ ენაზე მოლაპა-რაკე. ეს უკვე ის გარდამავალი ფორმაა, როდესაც ტომი ენის ცვლილების ფაქტ-ის წინაშე ადრევე ჩანს დამდგარი, ჯერ კიდევ შირვანთან ცხოვრების ეპოქიდან და შესაძლებელია ადგილობრივთა მიერ ენის ცვლილების ერთ-ერთი ძლიერ-მოქმედი ფაქტორია კიდეც...ჩელების შემდეგი პუნქტი, ეს კამიშთა ტომია, რომ-ელმაც ჩელებისვე სიტყვებით, რამდენჯერმე დაამარცხა არტების საკმაოდ მრა-ვალრიცხოვანი ტომი-კამიში ეს უბიხთა აბზოური ტომია. სავარაუდოდ, ეს ზუ-სტად ის ადგილია, სადაც მოხდა ცნობილი 1533 წლის შეტაკება მეგრელ-გურუ-ლთა და ,,ჯიქთა“ ლაშქარს შორის, რომლის შედეგად აბზოურმა ტომებმა (კამ-იშ-უბიხი, და დანბე) ზღვაზე გასასვლელი მოიპოვეს , ხოლო ლაზ-ჭან-აბაზგებ-მა- ბენდიანის მმართველობა მოიშორეს და დანარჩენი სამეგრელოსაგან დამო-უკიდებელი გახდნენ.

ზუსტად ისევე, როგორიც არლანების შემთხვევაში, ჩელები სიჩუმით უვ-ლის კამიშების ტომობრივი მიკუთვნებულობას, თუმცა აღნიშნავს, რომ მათი ნავმისადგომიდან აფხაზების (არა ჩერქეზების) ბავშვებს აგზავნიან კონსტანტ-ინოპოლის და კაიროს ბაზრობებზე. კამიშებს (უბიხებს) უკვე აქვთ მეჩეთი, ის-ინი მუსულმანები არიან.

შემდეგი ტომი ეს სუჯალარაა, მხოლოდ ტომის დასახელების მიხედვით თუ არის შესაძლებელი მისი აფხაზებისადმი (ჭან-ლაზი) მიკუთვნებულობა, რადგან ზუსტად ასეთი ფორმით გამოითქმება: ჭანდალარი, კეჩილარი, არტლა-რი, სავარაუდოა რომ სოფელი და ტომი აფხაზური (ზან-ზიხური) იყოს. შემდე-გი ტომი დამბე-ეს ნამდვილად აბზოის ტომის სოფელი უნდა იყოს აქ ჩელები აფხაზ ყმაწვილს ყიდულობს. ბოზდუკები შემდეგი ტომი, ჩელების სიტყვებით, არიან როგორც აფხაზები, ასევე ჩერქეზები, მენგლი-გირეის მოლაშქრენი, რიც-ხვით 3000, ნაწილი დარჩა ჩერქეზეთის მთებში, ობურში ლაპარაკობენ როგორც აფხაზურად ასევე ჩერქეზულად. შემდეგი ხალხი ეს სუბეშელებია ასევე აფხა-ზები (სავარაუდოდ კოლხები) ჩელების სიტყვები რომ ისინი ხეებზე ჰკიდებენ მიცვალებულ მამაკაცებს-ეს უძველესი მითია კოლხთა დასაფლავების წესის შესახებ მხოლოდ და რომელი ტექსტითაც არაერთი გეოგრაფ- ისტორიკოსი სა რგებლობს.

შემდეგი ტომი ეს აშეღალელებია, იმდენად დაოსტატებული ქურდობაში, რომ თვითონ აფხაზებიც კი ერიდებიან (თვით სიტყვებშივე იკითხება მათი ეროვნული მიკუთვნებულობა). შემდეგი ტომი ა ტიმა, ჩელებისვე სიტყვებით აფხაზია (ზან-ზიხი) ტომი სუკ-სუ ასევე აფხაზური, მათ ტერიტორიაზე გადის ჩერქეზიიდან მომდინარე მდინარე და ჩაედინება ზღვაში. კიუტასი- კაფადან გადმოსახლებული ტომი, რომლის კოლხურობაზე პრეტენზიამ წარმოშვა მითი მედეას სკვითეთის სამეფოსადმი კუთვნილებაზე უკვე III საუკუნეში.

ჩელების სიტყვებით, ისინი თესავენ ჭვავს, მაშინ როდესაც სხვა აფხაზები თესავენ ფეტვს-ღომდს. კიუტასების მეზობელი შანები არიან. ჩელების სიტყვებით ისინი ჩერქეზები არიან (უკვე ჩერქეზები არიან) ერთი დღის სავალზე დაშორებული კიუტასებიდან- ისინი უკვე მხოლოდ ჩერქეზულ ენაზე ლაპარაკობენ. თუ შევაჯამებთ ჩელების მოგზაურობის შედეგებს საბოლოო დასკვნა ასეთია:

1.ჩაჩი - აფსილეთი მეგრული(კოლხური) ტომი,კოდორიდან გუმისთამდე.
2.არლანი - ანაკოფია, აბასკური ტომი, გუდაუთა.
3.მთის ჩანდები - ჭანები, გაგრა
4.დიდი ჩანდები - ლაზები, დღევანდელი დაგომისის ტერიტორია
5.არტ ლარი - ზან-ზიხები, იმერული ტომი,დღევანდელ ადლერთან
6.კეჩი- ლარი-ზან-ზიხები, დღევანდელი სოჭის მახლობლად.
7.სადაში-ჭანები, სანარები შირვანის სამფლობელოდან, სოჭის ახლოს-მთისკენ.
8.კამიშები - უბიხები აბზოური ტომი, ყოფილი ჭანები.
9.სუჯა ლარი - ზან-ზიხები
10.დანბე - აბზოური ტომი-უბიხები, ჭანები.
10.ბოზდუკები - ზიხებიც და უკვე ჩერქეზებიც.
11.სუბეშელები - შკვითინები, ჰეპტაკომიტები, მედოუზები, კოლხები.
12.აშეღალელები - შკვითინები ასევე კოლხები.
13.სუკსუ - შკვითინები ან ზიხები
14.კიუტასი - კოლხები
15.შანები - ჩერქეზები, ზიხყოფილები.

ზემოჩამოთვლილი ტომებიდან, გარდა აბასგებისა, აბზოური ტომია კამიში და შესაძლოა დანბეც. რაც შეეხება ჩელების ჩანაწერს მთიელი ტომების შესახებ, იგი უთუოდ გვიანდელ ჩანამატს, ნაყალბევს წარმოადგენს იმავე დუბროვინის წაბაძვით, ისევე როგორც აფხაზური ენის ნიმუშები...როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩელები აფხაზურად ჭანების და ლაზების ენას ცნობს და არა აბასკებისას. გარდა ამისა,სადაშა აფხაზური ენის ნიმუშის დასახლება ამ ცვლილების ავტორის აშკარა შეცდომაა - სადაშებს აქ ჩელები უბრალოდ ჩერქეზებს მიაკუთვნ-

ებს, ამდენად მათ საკუთარი აფხაზური ენა არ უნდა გააჩნდეთ.(მით უმეტეს აბ-ასკური)

რაც შეეხება ანაპის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებ ტომებს, ჩელებისა-თვის ყველა ეს ტომი ჩერქეზულია. თუმცა ისინი ზიხეთის ყოფილ ტერიტორი-აზე ცხოვრობენ, რომლებიც ზიხებით იყო დასახლებული თვით XV საუკუნის ბოლომდეც კი. ცხადია აქ უდიდეს როლს თამაშობს სამეგრელოდან კონტაქტე-ბის გაწყვეტა -დაშორება, მეზობელ ტომებთან სალაპარაკო ენის ფლობის აუცი-ლებლობა. ორიოდე საუკუნის შემდეგ ჩელების აღწერილ მთელი „აფხაზურ“ მოსახლეობა რუსების აღწერით უკვე ჩერქეზულად ითვლება,თვით გაგრის ვი-წროებამდე. მოსახლეობა რომელიც მდინარე ყუბანის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდა, გარდა აბზოური ტომებისა, ყველა მეგრულენოვანი იყო, ზანები და ზიხები(ენის ცვლილება ყაბარდოულ დიალექტზე ცალკე კვლევის საგანია და წიგნის II ტომში იქნება ასახული) მოსახლეობის ერთი ნაწილი მიგრირებუ-ლი ჩანს საქართველოში, გალის და წალენჯიხის რაიონში. მათი კომპაქტური განსახლება შეინიშნება, განსაკუთრებით დაბა ჯვარის ირგვლივ მიმდებარე სო-ფლებში. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ტრაგიკული მოვლენა, ცნობილი მუჰაჯირობის სახელით,შეეხო ჩრდილო კავკასიასაც, დაღესტანსა და ჩეჩნეთის პოლიტიკურ-დემოგრაფიულ არეალს. მათი სიშორის გამო მუსულმანური თუ-რქეთიდან, შავ ზღვასთან, შესაბამისი კონტაქტების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდული იყო. მით უმეტეს, შავი ზღვის ქართული სანაპიროს უკვე რუსე-თი აკონტროლებდა, მუჰაჯირობის ამ ორი რეგიონში მასობრივი ხასიათი არა ჰქონია. რაც შეეხება ჩერქეზეთს-დიდსა და მცირე ყაბარდოს. მათ საკმაოდ ადრე ფხიზლად შეაფასეს მდგომარეობა და რუსეთის წინააღმდეგ იარაღი არ აღუმა-რთავთ. (რასაკვირველია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის მეფის, ივა-ნე მრისხანეს ქორწინებამ ყაბარდოს მფლობელის ქალიშვილზე და ყაბარდოე-ლი ახალგაზრდობის ჩარიცხვამ რუსი მეფის სამხედრო სამსახურში)

რუსეთი-დასავლეთ კავკასიის ომის ძირითადი სუბიექტები ჩერქეზები-ადიღეელები (იგივე ქართველური ტომი ზიხები) და აბზოური ტომები (უბიხე-ბი, კამიში, დამბე) არიან, რომლებმაც ბოლომდე ვაჟკაცურად იომეს, რიცხობ-რივი უპირატესობის გამო დამარცხდნენ. დამარცხებულმა მხარემ მორჩილება გამოუცხადა რუსეთს და უსაფრთხოება ითხოვა. პასუხად რუსეთის იმპერატო-რის, ალექსანდრე II-ის ულტიმატუმი მიიღო: ან გადასახლება ყუბანისპირა (მა-რჯვენა სანააპირო) დაბლობში ან თურქეთში. მიზანი ერთი იყო: როგორც გენე-რალი ფადეევი აღნიშნავს,აუცილებელი იყო მთიელების მოშორება შავი ზღვის სანაპიროდან რამდენიმე ათეული კილომეტრით...და რუსეთის არმიისაგან დე-ვნილი მოსახლეობა მიაწყდა ანაპისა და ნოვორასისკის ნავმისადგომებს. გადა-სახლების პირველი ტალღის მსხვერპლნი ეგრეთწოდებული ჩერქეზები აღმო-

ჩნდნენ, ზიხყოფილები. მათზე დაწვრილებით საუბარი შესაბამის თავში (ზიხ-ებში) იყო.. ყურადსაღებია რომ, გადასახლების ამ ტალღამ თითქმის მთლიანად გაიყოლია აბზოური ტომის წარმომადგენლები, უბიხები (კამიში, დამბე) მათზე დაუვიწყარი ლიტერატურული ნაწარმოებიც აქვს შექმნილი **აბაზგ მწერალს, ივანე თარბას)**

ამ ისტორიის შესწავლა (თუნდაც სამოყვარულო დონეზე) შესაძლებელია შემდეგი საძიებელით: Восточная литература; Документы ; განყოფილება:**Кавказ; Венников М. И.1861-1863. К историй заселения западного Кавказа**. და იქვე: **Выселение Адыгов в Турцию 1863-65 г. N-1; Комисии по делу переселении горцев в Турцию; Феврал 1665 года. гТифлис...შესვლა გუგლიდან...ამავე ისტორიის შედეგი ჩანს: ლაიუშელთა,არტების, კეჩების გადმოსახლება სამეგრელოში, დღევანდელი წალენჯიხის რაიონში...კიუტების ტომის გადანიწილება გურიასა და სამეგრელოში...უბიხების ნაწილის გადმოსვლა იმავე სამეგრელოში...(20*)**

გადასახლების მეორე ტალღა რომელიც 1867 წელს ხდება, როგორც ადრე მივუთითეთ, მთლიანად ეხება აფხაზეთის მთიან თემებს, მდინარე ბზიფის ზემო წელის-ფსხუს და მდინარე კოდორის ზემო წელის-წებელდასა და დალის ხეობის მცხოვრებლებს...(შემდგომში ხოირის თემი)...უნდათქვას,რომ ზემოხსენებულ ადგილები თავად მარშანიათა სამკვიდროა...იმ მარშანიათა, რომელნიც არ ცნობენ აფხაზეთის მთავარს-შერვაშიძეს სუზერენად და არც რუსეთის მეფის უზენაესობას აღიარებენ...ესენი განსაკუთრებული ყაიდის აფხაზები არიან, შანები-1559 წელს განდევნილი ყაბარდოელების მიერ, რომლებმაც ამ საქმეს მხოლოდ რუსული ძალის დახმარებით ართმევენ თავს...ზუსტად ამ პროცესს ასახავს მათივე გვარი, გამარებული შანები, არა აბასკები...გადასახლების ვერ გადაურჩა ივანე ცანუბიას ჭანური თემიც, რომელიც ასევე არ აღიარებდა შერვაშიძის სუზერენობას და მხოლოდ სამეგრელოს დედოფლის რეკომენდაცი-ით შემდეგ შევიდა რუსეთის მფარველობაში. ვერ უშველა რუსეთის იმპერატორისათვის ერთგულების ფიცის მიცემამ ცანდებსაც (ჩვენთვის ისინი ჭანები-ჭანდები-ჭანიდები არიან, ქრისტიანული თემი,1704 წლის ეპიდემიას გადარჩენილნი...

,,1867 წლის 31 მარტს მეფისნაცვალი იმპერატორს წერდა, რომ ბიჭვინთის ოლქის მცხოვრებთ არ სურდათ თურქეთში წასვლა. აფხაზები ნებაყოფლობით ქრისტიანობასაც იღებდნენ, რომ დარჩენა მოეხერხებინათ“ (აფხაზეთის 1867 წლის მუჰაჯირობა ბ.ხორავა)

ის რომ ბიჭვინთაში მცხოვრები აფხაზები, ცანდები მზად არიან ქრისტიანობის მისაღებად საკვირველი არც უნდა იყოს . ისინი ხომ უძველესი ქრისტიანული თემის წარმომადგენლები იყვნენ. ვერ უშველათ!...მართალია მუჰაჯირობის საკუთრივ ეს პროცესი თითქოსდა ნებაყოფილებითია, მაგრამ როგორც

ჩანს ბიჭვინთას ეს არ შეეხება! ბიჭვინთაზე იმ დროიდან რუსეთს ეტყობა თვალი უჭირავს! ყველა თურქეთში გადაასახლეს გარდა იმათი, ვინც სამეგრელოს და აფხაზეთს შეეკედლა! (21) ბატონი ბ. ხორავას მიერ მოძიებული ცნობებით, გადასახლებულთა რიცხვე 20 ათასს (ოცი ათასსი) აღწევს...რაც შეეხება 1877-78 წლის გადასახლებას , იგივე ბ. ხორავას სიტყვებით მას ძალდატანებითი ხასიათი არ ჰქონდა, თუმცა სხვის ტერიტორიაზე თვალხარბი რუსეთის იმპერია ყოველნაირად ახერხებდა ადგილობრივთა გასახლება- გადასახლებას. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ არაპკინის მასალების მიხედვით ადვილი გასარკვევი ჩანს 1877-78 წლის აფხაზეთის მუჰაჯირობის მასშტაბები და ცალკეული თემების თურქეთში გადასახლების ისტორია.

ოჩამჩირის ოლქი	ომამდე		გადასახლდა	
	ოჯახი	სული	ოჯახი	სული
ა) სამურზაყანოს უბანი 9	11920	24461	-	-
თემი				
ბ) კოდორის თემი	493		49	
ოჩამჩირა	356		12	
ფოქვეში	650		47	
გუფისა	392		57	
მოქვისა	319		56	
კვიტოულისა	338		12	
ტამიშისა	516		184	
ჭლოუსი	481		356	
ჯგერდისა	390		298	
აძიუბჟასი				
სულ	3935		1071	
ბიჭვინთის ოლქი				
ა) გუმისთის უბანი				
დრანდის თემი	455	2147		
პშაფი	90	434		
მაჭარი	69	289		
აბჟაკვარა	226	1005		
აკაპისა	371	2001	ყველა	
იაშთუხასი	207	1049	გადასახლდა	
გუმისა	510	1049		
ეშერისა	293			
სულ	2131	9985		
ბ) გუდაუთის უბანი				

გაგრის თემი	191	815	-	-
ლიძავა	110	462	36	160
ბლაბურიხვა	222	985	147	653
ოთხარისა	220	952	205	845
ბარმიშისა	222	1017	173	766
მუგუზირხვისა	320	1479	87	364
ხოფისა	315	1446	74	342
კალდახვარისა	266	1169	126	522
ლიხნისა	362	1559	150	587
დურიფშისა	492	2147	378	1582
რუიუტისა	213	946	3	14
აჭანდარისა	286	1408	36	163
აცინისა	502	2325	26	110
ყულანურხვას	507	2216	3	13
ანუხვისა	405	1817	-	-
სულ	5293	23545	1518	6385

...და ის რეალიები, რაც უძღოდა ამავე სიების შედგენას აფაზეთში: წინამდებარე სიაში მოცემულია სამურზაყანოს უბანი N9...ეს სახელდება ოდიშის ნაწილზე უკვე რუსების „შემოქმედება“ ჩანს...ჯერ კიდეც 1820-1824 წელს, როდესაც ფრანგმა მოგზაურმა ჟან-ფრანსუა გამბამ იმოგზაურა ამ ტერიტორიაზე, მისითვი აქ მდებარე პოლიტიკური წარმონაქმნის შემდეგნაირია:

„სამეგრელო იყოფა სამ პროვინციად, პირველი-სამეგრელო წოდებული ოდიშად, მეორე პროვინცია ლეჩხუმი, მესამე პროვინცია სამეგრელოსი გადაჭიმულია ჩრდილო კოდორის კონცხამდე და საზღვრად ითვლება თანამოსახელე მდინარე კორაქსი, ხოლო აღმოსავლეთით წებელდის მაღალი მთები. ეს პროვინცია იწოდება სამურზაყანოდ და აფხაზეთად, ეს არის დადიანის ქვეყნის ნაწილი, გამოიყენება ბარიერად აფხაზებსა და მეგრელებს შორის“

(ჟან ფრანსუა გამბა, მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში)

შესაბამისად, რუსეთის მიერ აფაზეთის შეერთებამდე მდინარე კოდორამდე დადიანის ოდიშის მიწებია...ამასთანავე, სამურზაყანოდ წოდებული მხარე მთავრდება მდინარე კოდორთან...და სად იწყება?

„ჩერქეზებმა დააფხაზებმა კვლავ დაიწყეს მეკობრეობა. იმდენად რამდენადაც არ მინდა მივუძღვნა ცალკე თავი ხასიათს და აღმსარებლობას, აღვნიშნავ რომ საზღვარზე (იგულისხმება სამეგრელო-ოდიში და სამურზაყანოს საზღვარი) **ილორში კიდევ ერთი ძველი ეკლესიაა“ (იქვე) (22)**

შესაბამისად, სამურზაყანო-ეს ფაქტიურად ნეიტრალური ტერიტორია სამეგრელოს და აფხაზეთს შორის (თუმცა მაინც დადიანის პრიორიტეტით,რო-

გორც თავად გამბა გვამცნობს) იწყება ეკლესია ილორითან და მთავრდება მდინარე კოდორზე-ეს დღევანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაა... და მხოლოდ რუსების მიერ აფხაზეთის მიერთების შემდებ ეს სახელი (ყოვლად დაუსაბუთებლად და უსამართლოდ) გალის რაიონზე გადადის...შესაბამისად, ისტორიაში დამკვიდრებული ვერსია, რომ რუსეთმა დადიანისაგან შეისყიდა სამურზაყანო, შეიძლება მხოლოდ ოჩამჩირის ტერიტორიას შეეხებოდეს...და როგორც ირკვევა, ამ „გამოსყიდვასაც" მხოლოდ ფიქტიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს-რუსეთის მთავრობას სამურზაყამოს საფასურში არც არაფერი დაუხარჯავს, გარდა სიტყვიერი შეპირებისა...

...და სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარი?

„სორეხ შარვაშიძემ და მისმა სახლიკაცმა ყვაპუმ, მათი მომხრე აფხაზი ფეოდალების დახმარებით რამდენჯერმე სცადეს ენგურის დასავლეთით გადასვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ მტკიცედ დამკვიდრნენ ოდიშის ჩრდილო ნაწილში ენგურის მარჯვენა მხარეზე. ასე შეიქმნა XVII საუკუნის ბოლოს მდინარე ენგური აფხაზეთის და ოდიშის სამთავროს საზღვრად" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები; ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, გვ 317;И.Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, 1949 გვ-36)

...და ეს პატივცემული გვამი ვახუშტის დამოწმებით ამტკიცებს, რომ ბატონიშვილი სამეგრელო აფხაზეთის საზღვრად XVII ბოლოსათვის დებს მდინარე ენგურს...და რამდენად სწორია მისი მოსაზრება?

„კუალად ამ ეგურსის (ენგურის) **ჩრდილოთ დის დადის-წყალი, წოდებული დადის დაბის გამო (23). გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მოერთვის ზღვას. ამ დადის წყალს ზემოთ დიდ ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის გამო. გამოსდის მავე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღვას ილორს. ხოლო ზღვის კიდეზე , ამ წყლის დასავლითს კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმინდა გიორგისა.ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქვისა, და უძეს სამხრით ზღვა და ჩრდილოთ ველი...აქ მოიყვანს ხარს ყოველწლივ ნოემბერს, რომელსა დაჰკლავენ და განიყოფენ მეფე დიდებულებითუთ" (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, გვ779-80)**

აი ეს ერთადერთი ამონარიდი ვახუშტის „ქართლის ცხოვრებიდან,"რომელიც საშუალებას იძლევა დავაზუსტოთ საზღვარი სამეგრელო- აფაზეთს შორის XVIII საუკუნის დასაწყისისათვის: დადის მდინარეს დღევანდელი ოქუმი ჩანს, ამასთან ირკვევა ოქუმის (ენგურს დასავლეთით სამეგრელოს ცენტრის) უპირველესი სახელი-ეს მდინარე დადი და დაბა დადი ყოფილა (დღეს მდინარესაც და დაბასაც ოქუმი ჰქვია) დადის მდინარის ჩრდილო გამდინარე მდინარე ეგრისისა ჰქვია და ზღვას ილორის ეკლესიის აღმოსავლეთით ერთვის-ეს

დღევანდელი მდინარე ღალიძგაა...ილორში გიორგობას მოყვანილ ხარს მეფე და დიდებულები ინაწილებენ-აქ უკვე მხოლოდ სამეგრელოს სუზერენზე შეიძლება იყოს საუბარი : სამეგრელოს სუზერენს იშვიათად მეფედაც იხსენიებდნენ, მაგრამ არასდროს ამ ტიტულით აფხაზეთის მთავარს არ ახსენებდნენ... შესაბამისად, სამეგრელო-სამურზაყანიოს საზღვარი ზუსტად იქ გადის-ილორზე-როგორც ჟან ფრანსუა გამბა, საფრანგეთის კონსული საქართველოში ახსენებდა...

...და აფხაზეთის „კლასიკური“ მოწყობის ქრესტომათიული მაგალითი? **„XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე აფაზეთის სამეფო პატარ-პატარა ფეოდალურ სამთავროებად იყო დაშლილი. მთავარ ზეგნაყ შარვაშიძის შვილებმა სამთავროს ტერიტორია გაიყვეს. უფროსს, როსტომს ერგო ჩრდილო ნაწილი, მდინარე ბზიფსა და კოდორს შორის მდებარე მიწები. შუათანას, ჯიქეშიას -შიდა სოფელი (აბჟუა)ტერიტორია კოდორსა და მდინარე ღალიძგას შორის, ხოლო უმცროსს, ყვაპუს-მდინარე ღალიძგას და ენგურს შორის მდებარე მხარე, რომელიც სამეგრელო აფხაზეთს შორის მდებარე, ომის დროს ძალიან მოოხრდა. ყვაპუ შერვაშიძემ თავის სამფლობელოში ბზიფის ხეობიდან მოყვანილი აფხაზები ჩამოასახლა. აფხაზეთის მთიანი თემები, მაგალითად წებელდა (წიბელი, დალის ხეობა) მთავარ შერვაშიძის ხელისუფლებიდან თითქმის დამოუკიდებელი იყვნენ“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV-გვერდი 468)** და იქვე შემიშვნა **გადმოცემით, ყვაპუს მემკვიდრე მურზაყანმა ეს მხარე „აღაყვავილა“ და ამის გამო დაერქვა სამურზაყანო.** წყარო: მითითებულია ჟურნალი კვალი-ის (უავტორო!?) სტატია1897 წელი-N20 ....შესაბამისი თავის ავტორი: ქ. ჩხატარაიშვილი...

რასაკვირველი ცრუ იმფორმაციაა, ყოველგვარი სამტკიცის გარეშე...და რა სიტუაციაა სინამდვილეში სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარზე, უკვე მოძიებული ფაქტების საფუძველზე? სად არის ეს საზღვარი დაფიქსირებული?

1. 1657 წელი-კელასურის დიდი კედელი, ლევან IIზეობის ბოლომდე...
2.1665 წელი-მდინარე კოდორი, თურქი მოგზაურის ჩელების მიხედვით...
3.1730 წელი-ეკლესია ილორი, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით...
4.1820 წელი, ეკლესია ილორი, ჟან ფრანსუა გამბას მიხედვით...
5.1804 წელს სამეგრელო შედის რუსეთის მფარველობაში, იმავე საზღვრით...
6.1810 წელს აფხაზეთი შედის რუსეთის მფარველობაში, იმავე საზღვრით...
7.1840 წელს სამეგრელოს ჩამოართვეს ტერიტორია ენგურიდან ღალიძგამდე, დაარსდა ცალკე საბოქაულო, არ შემავალი არც სამერგრელოში, არც აფხაზეთში, მოგვიანებით სამურზაყანო დაერქვა...
9.1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო...
10.1867 წელს გაუქნდა სამეგრელოს-ოდიშის სამთავრო...

…და ერთი საყურადღებო ფაქტი: არც სამეგრელოს და არც აფხაზეთის შიდა საქმეებში რუსეთი არ ერევა, ამ სამთავრობოების გაუქმებამდე... შესაბამისად შიდა სამთავრო მოწყობაამავე სამთავროს სუზერენთა პრეროგატივაა. ამ მხრივ აფხაზეთი ნამდვილად დაყოფილი ჩანს, აბჟუას- შუა ქვეყანას თავისი სუზერენი უჩანს, თავადი შერვაშიძე უმცროსი შტოდან...ისტორიის ფურცლებზე არ იძებნება, მაგრამ სხვა სუზერენი, სხვა შერვაშიძე უფროსი შტოდან მართლაც უნდა მართავდეს მდინარეებს კოდორსა და ბზიფს შორის აფხაზეთს... და დიდი ალბათობით, სამეგრელოსგან ჩამოშორებულ უკვე სამურზაყანოდ წოდებულ რუსულ საბოქაულოს საკუთარი სუზერენი-თავადი ყავს, შესაძლოა სახელად მურზაყანიიც კი...და ამ უკანასკნელს მართლაც უჩანს ჩამოყვანილი ბზიფელი (აფხაზები) თუმცა მისი სუზერენობა ამ ტერიტორიაზე აფხაზეთის სამთავროს და ბატონყმობის გაუქმებამდე გრძელდება მხოლოდ, ოციოდ წელიწადზე ცოტა მეტს, ერთი თაობა...(24)

სკრუპულოზული სამუშაო აქვს გაწეული ბატონ ბ. ხორავას, თუმცა ერთი შენიშვნა გვაქს ამ საკითხთან დაკავშირებით...არა ჩანს ოსმალეთის მთავრობის მზაობა მუჰაჯირების ამა თუ იმ რაოდენობის მიღებისა, როგორც ეს წინა მუჰაჯირობისას, 1867 წელს იყო...იმ დროისათვის, ბატონი ბ.ხორავას სიტყვებით, ოსმალეთი მზად იყო მუჰაჯირების 4000 ოჯახის მისაღებად, რუსეთის მოთხოვნა კი 4500ოჯახის გასახლებას ითვალისწინებდა... საბოლოოდ, 20000 (ოცი ათასი) სული მიგრირდა ოსმალეთში...1878 წლის მუჰაჯირობის დროს არ ჩანს შეთანხმების ეს მექანიზმი, თუმცა მუჰაჯირობის ამ პროცესს 30000- მდე (ოცდა ათი ათასი) სული დაექვემდებარა...არ ჩანს მათი ტრანსპორტირებისთვის საჭირო მექანიზმის დეტალები...ძირითადი მოსახლეობის წილი, აყრილი საკუთარი სამოსახლოდან 1878 წელს და მუჰაჯირად შერაცხული, მდინარე ღალიძგასა და მდინარე ბზიფს შორის მოდის, 100 კმ სიგრძეზე...და რა მოსახლეობაა ეს? როგორც ცნობილია, 1878 წელს აფხაზი მოსახლეობის ნაწილი ოსმალთა მხარეს იბრძოდა, ამიტომაც ისინი მეფე ალექსანდრე II ბრძანებით რუსული იმპერიისათვის არასაიმედო- დამნაშავე მოსახლეობად გამოცხადდა და აეკრძალათ ზღვის სანაპიროსთან 20 კილომერტრზე ახლოს ცხოვრება, მდინარეებს კოდორსა და ბზიფს შორის (25)...ბატონი ბ.ხორავა სწორად აღნიშნავს, რომ აფხაზეთის სანაპირო ზოლი დაიცალა მოსახლეობისგან-ეს ზუსტად ის მოსახლეობაა, რომელიც ზღვის სანაპირო 20 კილომეტრიან ზოლში აიყარა და აფხაზეთის სიღრმეში დასახლება ებრძანა(26)...მხოლოდ მმავანმა პრინცმა შერვაშიძემ, რუსეთის დედოფალ სოფიას(ალექსანდრე II დედა) მორგანტულმა ქმარმა შეძლო მოგვიანებით აფხაზი ხალხისათვის მოღალატე და არასიმედო სტატუსის გაუქმება...

რეზიუმე: აბზოის მრავალსახელა ტომი, რომელსაც ისტორიაში პირველად პლინიუს უფროსი ახსენებს, (ახსენებს მას კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და უცილობლად მათი ტიტულატურული პოლიტიკური გაერთიანება აქ უნდა მდებარეობდეს) ისეთივე ილირიული ტომი შეიძლება იყოს , როგორც ზანები, ზიხები და დეილიმიტები- ისინი ალექსანდრე მაკედონელის ისეთივე მოლაშქრენი გახლდათ, როგორც ეს უკანასკნელები. აბზოის ტომი, ისევე როგორც ზანება, ალექსანდრე მაკედონელის დიდი ჩანაფიქრის ერთ-ერთი რეალური რგოლი ჩანან.ზიხებთან და (დიხებსა და ჯურჯანელებთან) ერთად ახალი მაკედონური იმპერიის ახალივე საზღვრების დასაფიქსირებლად დატოვებულ-დასახლებული იქნა კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჯურჯანად (აბასკუნად) სახელდებულნი. აბზოის მრავალსახელა ტომში ძირითადი დამრტყმელი ძალა დეილიმიტები ჩანან, მომავალი უბიხები... მართალია ისინი მსახურობდნენ და ბრძოლაში მონაწილეობდნენ სპარსელებთან ერთად, თუმცა მხოლოდ დაქირავებულის რანგში (ისინი სპარსელთა უზენაესობას არ აღიარებდნენ!) ილირიაში მათი საცხოვრისი დასავლეთ ქართველურ ტომებს შორის იყო განთავსებული, დალმატიის ტერიტორიაზე (დღევანდელი ხორვატია), ლაზებსა და ზიხებს გვერდით. (ადგილს სატომო სახელის მიხედვით მიეცა ეს ზედწოდება) აქედანვე არიან წარმოშობით აბასკები და მათივე სახლიკაცები, ბასკები და გასკონელები, რომელთა ესპანეთში და საფრანგეთში ჩასახლება რომაელთა საყრდენი კოლონიის სახით მოხდა, შესაბამისად ისტორიული ბასკონია. ...დეილემთა ტომის სახელი აფრიკაშიც, სუდანის ტერიტორიაზე ფიგურირებდა, მაშველი ძალა გაგზავნილი სპარსეთიდან ადგილობრივი ხელისუფლების დასახმარებლად და იქვე დამკვიდრებული. თავად აბაზგები აფხაზეთის ტერიტორიაზე წელთააღრიცხვების გასაყარზე ჩანან ჩამოსახლებული, ჰენიოხთა (სანიგთა) მიწა-წყალზე, და როგორც ჩანს მათ პირდაპირი კავშირი ჯურჯანელ აბასკებთან არა აქვს...აბასკების და აფშილების შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ჩამოსახლება პირდაპირ ილირიკიდან ჩანს განხორციელებული (27) ...ამასთან, ეს პროცესი დაკავშირებულ ჩანს რიგ პოლიტიკურ მიზანშეწონილებასთან...რაც შეეხება უბიხებ ს და მათთან ერთად სადაშ აფხაზებს (სანარელებს) ისინი არა უადრეს XVI საუკუნის ჩამოსახლებულები ჩანან, ჩრდილო კავკასიის გზით.

რაც შეეხება მუჰაჯირობის პროცესად ცნობილ გადასახლებას, ის მთლიანად შეეხო უბიხ- კამიშ-დანბეთა აბზოურ ტომს, რომელთაგან აფხაზეთის მიწაზე საერთოდ არავინ დარჩენილა. საფუძვლიანად შეეხო ეს პროცესი ძიხებს (დიხებს) რომელიც ბედის ირონიით უკვე ჩერქეზებად იწოდება: მათი მცირე ნაწილი ზღვის ნაპირისაგან შორს, ყარაჩაევო-ჩერქეზეთში იქნა ჩასახლებული,

დიდი ნაწილი თურქეთში იქნა გადასახლებული. არ აუარა ამ პროცესმა გვერ-
დი აფხაზებს, იგივე ლაზებს, რომელთა ერთმა ნაწილმა სამეგრელოში პოვა თა-
ვშესაფარი, დანარჩენი მუჰაჯირობის პროცესის მსხვერპლი გახდა. რაც შეეხება
აბასკებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის მთავრობის მიერ არასაიმედო
ხალხად იქნა შერაცხული და აეკრძალათ რამდენიმე კილომეტრზე ზღვის სანა-
პიროსთან ახლოს დასახლება...

P.S.როგორც უკანასკნელი კვლევებით ირკვევა, შავიზღვის ჩრდილო სანაპიროს
დასახლების მოტივი და ასაკი ყველა ზემოთ დასახელებული ტომისათვის გან-
საზღვრადია, მათ შორის უპირველეს მცხოვრებთათვის-ჰენიოხთთვისაც, თუმ-
ცა ამაზე უფრო დაწვრილებით და საფუძვლიანად II ტომში ვისაუბრებთ...

შენიშვნები

1.ის, რომ კასპიის ზღვა არ არის დაკავშირებული ჩრდილო ყინულოვან ოკეანე-სთან არავითარი საწყალოსნო სივრცით, ცნობილია ყველა გეოგრაფიული ანბა-ნის მცოდნეთათვის.(თუ რატომ გავრცელდა ასეთ მოსაზრება ანტიკური ისტ-ორიოგეოგრაფიულ წყაროებში, სცილდება დღევანდელი კვლევის საზღვრ-ებს)
2.ერთობ მნიშვნელოვანია, რომ **ალბანელები** იასონის შთამომავლებად მიაჩნი-ათ. როგორც იმავე ანტიკური წყაროებით ირკვევა, იასონი (და მისი მშობლირი ქალაქები, ორქომენი და იოლკოსი) ფინიკიურია და არა ელინური. არგოს სამ-ხედრო ექსპედიციაში მონაწილე გმირთა ნაწილი ასევე პელაზგია. ბერძენთა და პელაზგთა აღმოსავლური შტო, რომელიც ოქროს საწმისის მოსაპოვებლად კო-ლხეთში (პელაზგთა სამხრეთელ შტოს) ტერიტორიაზე ლაშქრობს, იონიისა და ადრიატიკის ზღვის შესაყარზე. პელაზგიეს, აღმოსავლეთის პელაზგთა და ბერ-ძენთა საერთო ლაშქრობიდან დაახლოებით 20 წლის მერე მერეღა ეწოდა თესა-ლია, იაზონის შვილის, თესალის სახელის მიხედვით, რომელიც კოლხთა ლაშ-ქარის საშუალებით გამეფდა მამისეულ ტერიტორიაზე.
3.კიდევ ერთხელ მტკიცებულება იმისა, რომ ბერძენ-რომაელები მათთვის უც-ნობ ტომს ყველას სკვითებს აკუთვნებენ. უდები-სკვითური ტომი არ არის, იგი აშკარად გამოხატული სემიტური ტომია, როგორც გენეტიკური, ისე ეთნიკური თვალსაზრისით. სტრაბონი მათ ვიტიების სახელით აღნიშნავს... ეს უცნობი მცირერიცხოვანი ტომია, რომელთა იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება...
4.ამიანე მარცელანე (300&400 წელი) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ ნახ-სენები ალბანელები აზიელები არიან...შესაბამისად, უკვე მის დროს ადრიატი-კაზე (და აბა სხვაგან სად?) ფიქსირდებიან ალბანური ტომები, თუმცა სავარაუ-დოდ იმ დროისათვის ჯერ კიდევ პოლიტიკური ერთეულის გარეშე.
5.დერბენტთან ალექსანდრე მაკედონელს რუტულები უჩანს მეცხოვნებად დატოვებული-ის რუტულები, რომელსაც იტალიელი პოეტი ვირგილიუსი ლა-თინებად ახსენებს და ბედის განგებით მაკედონელის ლაშქარში მოხვედრილ-ნი...(რუტულების თემაც II ტომში იქნება განხილული)
6.ამ გადასასვლელს ჩორი ჰქვია (დაბალი ხმოვანით) რომელსაც ბატონი სიმონ ყაუჩიშვილი კასპიის (დერბენტის) კართან ურევს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ გადასასვლელთან მცხოვრები ტომი და შესაბამისად გუშაგები ლაზები არი-ან, რომელთა ენა დასავლეთ ქართულია, რომ ყველაფერი საკუთარ ადგილზე დადგეს: საკმარისია დასავლურ-ქართულის ცოდნა მინიმალურ დონეზე ასევე მინიმალურ ფიზიოლოგიურ განათლებასთან ერთად და ვიზუალურად ნახვა ამ გადასასვლელისა, რომ დარწმუნდე, ეს მართლაც ჩორის გადასასვლელია!

7.მარგუ-ეს ქალაქი მერვია-მარი დღევანდელ თურქმენეთში, აშხაბადიდან 330 კილომეტრი აღმოსავლეთით, უზრეკეთის საზღვართან. როგორც ჩანს, ადრე ის ბაქტრიის-დღევანდელი უზბეკების შემადგენლობაში შემავალი მარების პოლ-იტიკური ერთეულია, სატრაპიამდე ვერ ამაღლებული.

8.მარი, სირიის ქალაქ აბუ-კემელთან, თურქეთის საზღვრის სიახლოვეს. ასევე მარებისა უნდა ყოფილიყო კახრამან-მარაში დღევანდელ თურქეთში, აბუ კემა-ლიდან 120 კილომეტრი დასავლეთით.

9.მარგუ, ასე ახსენებს ამ პროვინციას დარიოს I „ბეხისტუნის წარწერებში", თუ-მცა უდაბნოს მერვის ახლოს მარების სახელი შერჩა.

10. მარგი-ასე ახსენებს სტრაბონი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, დღევანდ-ელ ხორვატიაში მდინარეს. არავითარი ტოპონომიკა აღნიშნულის გარდა ვერ ამტკიცებს, რომ მარგები აქ ცხოვრობდნენ, თუმცა ეს ელემენტარული აქსიო-მაა- მარგებს იმ დროს ლიბურნები ეწოდებოდათ. ეს თემაც დაწვრილებით II ტომში იქნება გამხილული.

11.აბასკუნი-ასე აღინიშნება კასპიის ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთის სანაპირო, თუმცა ის უფრო გვიანდელი წარმონაქმნი უნდა იყოს, მენაპირე ტომების ნაწი-ლის სამხრეთით 250კილომეტრის გადმოადგილების და გადმოსახლების შედ-ეგად გაჩენილი. სკრუპულოზული ყურადღებაა მისაქცევი არაბი ავტორების მიერ კასპიის ზღვის მიმდებარე რეგიონები ს აღწერას. ყველა ის კომენტარი, რომელიც თან დაერთვის შესაბამის არაბულ ტექსტს, გაკეთებულია XVIII-XIX-XX საუკუნებში. შესაბამისად ისინი გამოხატავენ ამ პერიოდის გეოგრაფიულ-ისტორიულ მდებარეობებს რეგიონებისას, რომელიც შესაძლოა ათი საუკუნის წინ სხვა გეოგრაფიულ-ისტორიული პარამეტრებით გამოირჩეოდნენ. გასაგებ-ად რომ ვთქვათ, არაბების ეპოქაში ჯურჯანი, ტაბარისტანი და აბასკუნი ჩანს XVIII საუკუნის რეალობიდან 200-500 კმ-ის მოშორებით, რაც შენიშვნებში საერ-თოდ არაა გათვალისწინებული. ამდენად აუცილებელი მიგვაჩნია ამ დასახე-ლების ტერიტორიების მონიშვნა იმ ადგილებზე სადაც ისინი არაბთა ზეობის ეპოქისთვის იმყოფებოდნენ.

12. მართალია ტაბარი ამჯერად არ ახსენებს სულ-ის ხალხის ვინაობას, მაგრამ ჩვენ უკვე დანამდვილებით ვიცით სულ-ის დარაჯთა ტომობრივი მიკუთვნე-ბულობა-ისინი დიხისტანელები არიან.

13.ის, რომ სული-ეს მენაპირებია, ხოლო მათი მეთაური რუზბანი (სული) სავა-რაუდოდ მარზაპანია (მენაპირეთა სარდალი) ჩანს თავად ტაბარისთანაც: სულ-ის კარიბჭე ასე აღნიშნავს ტაბარი შაჰ ფირუზის დაარსებულ ქალაქს. რასაკვირ-ველია კარიბჭე ეწყობა იქ, სადაც ორი გარემოს ორი სამყაროს გამყოფი სივრ-ცეა. სურ-ი არაბულად კედელია ამტკიცებს აზერბაიჯანელი ისტორიკოსი XIX საუკუნისa, ბაკიხანოვი. შესაბამისად ბაბ-სული, ბაბ-სური - კედლის კარს (გად-

ამღობავი კედლის კარს) უნდა ნიშნავდეს.

„როცა გამეფდა ხოსრო, მან ბრძანა აეშენებინათ სულის ქვეყანაში რიგი ქალაქებისა, სიმაგრეებისა და სანგრებისა და სხვა მრავალი ნაგებობა ქვებისაგან, მოპოვებული ჯურჯანის ოლქში.“ (ატ-ტაბარი, მოციქულთა და მეფეთა ისტორია. თავი XXII).

ცხადია ჯურჯანის ოლქი იქვეა, სულის ქვეყანასთან, ყარა-ბოლაზ-გოლთან. არავის არ მოუვიდოდა აზრადაც კი, ქვის თრევა სამას კილომეტრზე, გვიანდელ ასტრაბადიდან (აბასკუნიდან) თურქმენბაშის ნახევარკუნძულამდე.უფრო მეტიც მასუდის ჩანაწერების მიხედვით, (წიგნი ცნობისა და ცოდნისა [60,6] აბასკუნი ჯურჯანის პორტია. იმავე რუსულენოვანი ავტორის განმარტებით ერთ დროს მნიშვნელოვანი ნახევარკუნძული კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულზე მდებარეობდა ჯურჯანის ნავსაყუდარი, ახლანდელ ასტრაბადის ოლქში. რასაკვირველია საზღვაო ლანდშაფტი, მით უმეტეს დახურულ ზღვისა, რომელსაც მიქცევა-მოქცევის პროცესი არ ახასიათებს ასე ჩქარა არ იცვლება (თუ იცვლება საერთოდ) ასტრაბადის- აბასკუნის წინ არავითარი ნახევარკუნძული არ არსებობს და არც არსებულა. უბრალოდ, ტერიტორიის, ჯურჯანის და აბასკუნის სახელებმა გადმოინაცვლა 300 კმ-ი სამხრეთისაკენ, აბასკუნი-ეს დღევანდელ რუქაზე ის ადგილია, რომელიც მოქცეულია ყარა-ბოლაზ-გოლსა და კრასნოდარის ყურეს შორის.

14.არც ისპეხბადის ვინაობას აზუსტებს ტაბარი, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე, ის ტაბარისტანელების სუზერენი ჩანს.

15.რუზბანი-სპარსულად დარაჯს ნიშნავს,რუზბან სული-სულის გამაგრების დარაჯს. შესაბამისად, რუზბანი ვერც საგვარეულო სახელი იქნება...და სინამდვილეში ვინაა ეს პიროვნება, რა არიც ცნობილი მის შესახებ? ჩვენი თანამემამულეები მას ნერსე ქართლის ერისთავად იცნობენ, არაბთა წინააღმდგ მებრძოლისა, რომელზედაც ისტორიის დაწერა იოანე საბანისძის სიტყვებით-დაავალეს. ...დავალების მიმცემი კი ქართველი სამღვდელოება უნდა ყოფილიყო, ურწმუნოთა წინააღდეგ მებრძოლი ქართლის ერისთავი-დიხები (ზიხები) მართლაც აღმოსავლურ ქართული ტომი ჩანს, დასავლეთ-ქართულ შეთვისებული...

16.რუზბან -სულს, ნერსე ქართლის ერისთავს, ცოლშვილი არაბებთან მოსალოდნელი დაპირისპირების წინ, მართლაც აფხაზეთში უჩანს გახიზნული, არა ბაქოსთან-შირვანთან მდებარე აფხაზში, არამედ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარეში-მხოლოდ აქ არსებობდა შანსი იმისა, რომ არაბები მათ ვერ მიწვდებოდნენ...გარდა ამისა, ამ აფხაზეთში მართლაც ცხოვრობდნენ დიხების თანატომელები, ახფაზეთის ჯიქებად, დიხებად ცნობილი ხალხი.

17.რუზბანი სულის კარიბჭეს თურქების საშუალებით იცავს...თავად სულ 300 დიხი მებრძოლი ყავს...წარსულში ისინი სპარსეთის მეფე ხოსრომ გაწყვიტა,

გარდა 80 კაცისა, რადგან პართებისადმი ერთგულება შეატყო...რუზბანმა საკუთარი 300 კაცისთვის სიცოცხლის გამოვაჭრება შეძლო არაბებისაგან, მაგრამ თანამებრძოლი 12000 თურქი სასიკვდილოდ გაწირა...

18. აბსოლუტურად არასწორი ჩანს ცნობები თანამედროვე ირანის რამდენიმე პროვინციის შესახებ: ა) თანამედროვე გორგანი, განმარტებულია როგორც იგივე ჯურჯანი-მგლების ქვეყანა, მდებარე მაზანდერანის აღმოსავლეთით. სინამდვილეში გორგანი-ეს ყოფილი ჰირკანიაა, მგლების ქვეყანა...ბ) გილიანი-ყოფილი გელები, აღინიშნება ქართველურთან გენეტიკური და ლექსიკური მსგავსებაც კი...რასაკვირველია ეს გელური ტომია, ყოფილი ჰერები...რაც შეეხება მაზანდერანს, სინამდვილეში აქ ნამდვილად მარები-ტაბარისტანელები და მათგან დასავლეთით დეილემები, ყოფილი ჯურჯანელები ფიქსირდებიან...რაც შეეხება დიხებს-ზიხებს, იოანე საბანაისძის მიხედვით ისინი აფხაზეთში მიგრირდებან...

19.ტაბასარანის ტომის ნაწილი გაცილებით ადრე ჩანს გადასული დაღესტანისაკენ, ჯერ კიდევ სარიყამიშის ტბიდან მიგრირების პერიოდში.ტაბასარანელებს ასახელებს არა ერთი არაბი ავტორი უკვე მე-X-ე საუკუნის დამდეგს დერბენტთან მიმართებაში, რომლის უშუალო სიახლოვესაც ისინი ჩანან დასახლებული.

20.საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ირანი დეცენტრალიზირბულ ქვეყანას წარმოადგენდა, რაც ერთობ ხელსაყრელი იყო თავისუფლების მოყვარულ დეილემთა და სადაშების ტომისათვის. 1502 წლიდან ირანი უკვე ცენტრალიზირებული ქვეყანა ხდება, შაჰის მმართველობით. სავარაუდოდ, ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ამ უკანასკნელი ორი ტომის გადასახლება კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გაყოლებით ჩრდილოეთისაკენ- ირანის ექსპანსიასთან ერთად მთიანი დაღესტანისაკენ ჩანან გადანაცვლებული. თუმცა ოდითგანვე ზღვის პირას მცხოვრებნი ვერ შეეგუუნენ მთას და კავკასიონის გადმოლახვით შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მკვიდრდებიან.

20* ისტორიის ის ფურცელი, რომელიც ადიღთა 1863-65 წლის მუჰაჯირობადაა ცნობილი,უდიდეს კვალს ტოვებს დასავლეთ საქართველოს ისტორიაშიც... რატომ? აღნიშნული პერიოდისათვის „ჯეგეტები“ ჯიქები უკვე გაგრის ვიწროებამდე ფიქსირდება... არა იმიტომ, რომ აფხაზეთის ის მოსახლეობა, რომელსაც ევლია ჩელები ჯერ კიდევ 1665 წელს ანაპამდე აღწერს, სადღაც გაქრა... უბრალოდ, იმ აფხაზებს ახლა უკვე ჯეგეტები-ჩერქეზები, ადიღები ჰქვია...არ უნდა დავავიწყდეს, 1865 წლის მთიელთა გადასახლების ალექსანდრე II წინადადება ორ ალტერნატივას ითვალოსწინებდა: ან გადასახლება ოსმალეთში, ან გადასახლება რუსეთის იმპერიის შიდა რაიონებში(აფხაზეთ-სამეგრელოში, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის ხელდებული იყო...აფხაზური (ლაზური) მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სამეგრელოს შემოეხიზ-

ნა... ადლერთან მცხოვრები არტები ძირითადად დაბა ჯვარზენის მიმდებარედ განსახლდნენ, არქანიები და ქარდავები...ლაიუშელები-ეს დღევანდელი ლიაა წალენჯიხისვე რაიონში, სადაშები-ჭანიები-ოჭანეში...კეჩები-გეთიები და გუჩ-უები ასევე ჯვარზენის მახლობლად...არც უკანასკნელი უბიხი უნახია ბაგრატ შინკუბას გმირს თურქეთში, დღეს ისინი უბილების არც ისე მრავალრიცხოვან გვარს ამრავლებენ...კიუტასები-გვარის ტია დაბოლოებით სამეგრელოში... მოკ-ლედ, ჩელებისეული აფხაზები - ლაზები ძირითადში არც არსად წასულან... არქანიები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისს, ზაფხულში ნახირს ყუბანისა-კენ მიერეკებოდნენ...და გენეტიკური მახსოვრობა? ეს საკმაოდ სუსტი სუბსტრ-აქტი ყოფილა, თუ მას წერილობითი წყარო არ უმაგრებს ზურგს...მაგალითი: ჩემი გვარის ისტორიაა. 1704 წელს ნაჟანეულიდან-დაგომისიდან აიყარნენ. სა-მეგრელოში გადმოსული მცირე ნაწილი ორიოდ ათეულ წელიწადში სვანეთში ჩანან გადსულნი, სოფელ ლახამულაში და ხაიშში...ჩემი წინაპარი, მარტოკაცი-სახელად კიკო საუკუნის შემდეგ ბარში, უკვე სამურზაყანოდ ცნობილ მხარეში ჩამოსახლებულა, სავარაუგოდ 1820-30 წელს. 1880 წელს დაბადებულ ბაბუაჩ-ემს ჯერ კიდევ ახსოვდა, რომ მისი წინაპარი სვანი იყო, მაგრამ არაფერი უკვე იმაზე, რომ იმ „სვანი“ წინაპრის წინაპარი ასიოდ წლით ადრე ლაზი იყო, ხალ-იბი...ამ ფაქტიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვეულებრივ ერის მახსოვრობა სულ სამი -ოთხ თაობაზე გრძელდება...

21. საინტერესოა მთის ჩანდების ვინაობა და მათი ბედი...სანიგები-კემგუითა, იგივე თემირგოელთა ეს უძლიერესი ტომი ჟამიანობას გარიდებული, ანაპისა-კენ მიგრირებს, მხოლოდ მცირე ნაწილი სამეგრელოსაკენ და შემდეგ სვანეთი-საკენ...და ვინ შეიძლება იყოს ზემოთ ნახსენები 500 ოჯახი და მათი წინამძღო-ლი ივანე ცანუბია (ჭანია) თუ არა მთის ჩანდები(ჭანიდები)?....და რა ბედი გა-უმზადა მათ უზენაესმა? სავარაუდოა, რომ მათმა დიდმა ნაწილმა შეძლო სამე-გრელოსათვის (ნაწილობრივ აფხაზეთისათვის და აბაზგეთისათვის) თავის შეფარება! ამ უკანასკნელებს ეს ჭანური გვარის აბაზგურ ყაიდაზე გადაკეთებ-ის ფასი დაუჯდა! როგორც ცნობილია, გაგრის იმ დროინდელი დასახელება კა-კური გახლდათ, ხოლო სავარაუდოდ ნაჟანეულის საკათალიკოსო დავთარში ნახსენები კაკუა-კაკურის მოსახლე უნდა იყოს! შემდეგი პერიოდისათვის, გვა-რი აბაზგურ ყაიდაზე, კაკუბად გადაკეთებული ჩანს! რაც შეეხება სამეგრელო-სათვის თავშეფარებულ მთის ჭანდებს, ისინი კაკულიების-შესაძლოა ბარქაიე-ბის და ბარკალაიების გვარებს ატარებენ, თუმცა ეს უკანსკნელნი გაგრაში უფ-რო გვიან ჩანან დმკვიდრენულნი

22.საინტერესოა, რომ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი ჟან ფრანსუა გამბასი, ფრა-ნგი კონსულისა თბილისში, ამოღებულია Восточная литература ბიბლიოთეკი-დან, რომესაც რუსეთის სახელმწიფო კურირებს... არა მთლიანად ავტორი, არა-

მედ ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის აღწერას შეეხება...არადა ეს მასალა,მოცე-
მული აქ და სხვა თავშიც სულ რამდენინე წლის აქდანვე ამოვიწერე... ხვდებით
ალბათ, რა ძალას ხელეწიფება ეს...
23. გარდა იმისა, რომ ვახუშტის ეს ჩანაწერი ფაქტიურად აფიქსირებს სამეგრე-
ლო-სამურზაყანოს ადიმინსტრაციულ საზღვარს, ერთ საინტერესო ინფორმაც-
იასაც შეიცავს: თურმე დაბა ოქუმს, ტერიტორიის ადიმინსტრაციულ საზღვარს
ადრე დადი ერქვა, ისევე როგორს ამ დაბაზე გამდინარე მდინარეს...დღეს ერთს
და მეორესაც ისევ ერთი და იმავე სახელი, მაგრამ უკვე ოქუმი ჰქვია
24.სამურზაყანო-ამ რეგიონისათვის ეს სახელი რუსების დარქმეული ჩანს-ად-
რეც ნეიტრალური სამურზაყანო-ოჩამჩირის რაიონი ესაზღვრებოდა სამეგრე-
ლოს, რუსებმა ეს საზღვარი უბრალოდ მდინარე ღალიძგადან მდინარე ენგურ-
ზე გადაიტანეს-გადაიტანეს სამეგრელოს მოსაზღვრე კუთხის სახელიც...რაც
შეეხება თავადის გავლენა გლეხებზე, ეს გავლენა აფხაზეთში და სამურზაყანო-
ში უფრო დიდი ინერციის მქონე ჩანს: აფხაზეთ-სამურზაყანოში (ამ ახალ სამუ-
რზაყანოშიც) თავადს და გლეხს შორის არსებული არქაული ურთიერთობები
საკმაო ხნით შენარჩუნებული უნდა იყოს: გლეხი ვალდებული იყო აფხაზი თა-
ვადის მამულში წელიწადის განმავლობაში გარკვეული დღეები ემუშავა... ორ-
იოდ თაობის წინა მოგონებიდან მახსოვს, რომ ეს ურთიერთობა თვით 1917-21
წლამდეც კი გრძელდბოდა...ამ ახალი სამურზაყანოს „აფხაზი“ მოსახლეობაც
1877-78 წლების სანაპიროდან აყრილი მოსახლეობა იყო. ძირთადად ორი მრა-
ვარიცხოვანი გვარი სახელდებოდა უხუცესებისაგან, ბზიფიდან გადმოსულე-
ბი: ძანძავა და ყოლბაია... იხსენებდნენ შემთხვევას, როდესაც თავყრილობა ოქ-
უმში მიმდინარეობდა-უფრო უკეთესი ცხენის პატრონი ყოლბაია უფრო პატი-
ვდებული აღმოჩნდა, ვიდრე ცუდი ცხენის პატრონი ძანძავა...უხუცესი ყოლბ-
აიათა შორის, უცნაური სახელით სალდთი-ხშირად იხსენებდა, რომ მათი ძი-
რეული ხატი ბზიფიდან იყო...და როგორ, საიდან მოხვდნენ იქ? 1704 წელს ლა-
ზი ხალიბები, ჭირისაგან ლტოლვილები, ამ რეგიონს გაერიდნენ და არც დაბ-
რუნებულან...სადღაც საუკუნის ბოლოს, ამ ტერიტორიაზე გიულდენშტედტის
მიერ ფიქსირდება თავადი მუდავიო, რომელიც პირველობისათვის ტოქება
შარვაშიძს...უფრო გვიან გენერალ დუბროვინის მიერ ბზიფთან დაფიქსირებუ-
ლია მედოუზების ტომი...ერთიც და მეორეც მეთაფლია აფხაზებს ნიშნავს, რო-
მლებსაც აშეღალთან, გელენჯიკთან ახლოს აფიქსირებს თურქი მოგზაური ევ-
ლია ჩელები...ეს ისტორიისათვის შკვითინებად ცნობილი კოლხური ტომია,
რომლებმაც სტრაბონის ცნობით, იმავე მათრობელა თაფლის საშუალებით და-
ათვრეს პომპეუსის ჯარისკაცები და ხუთი მანიპულა (მანიპულა=60-100 ჯარი-
სკაცი) ამოუხოცეს...კოლები არიან, კოლხები და მათი გვარიც აქედანვე მომდი-
ნარებს კოლ-ბაი...ამ ორი ხალხის თავადები აქირთავები იყვნენ, დანამდვილე-

ბით მარშანიების განაყოფი...ახალ სამურზაყანოს სხვა გვარის თავადი არ ახსოვს...და როგორც ჩანს, გარკვეულ პრივილიგიებს ინარჩუმებენ 1778 წელს და საუკუნის ბოლნდისაც...

25.როგორც ზემოთ მოყვანილი სიიდან ჩანს, გადასახლებას უფრო დიდი მასშტაბები აქვს-ფაქტიურად გადასახლებამ მოიცვა მდინარე ღალიძგასა და მდინარე ბზიფს შუა არსებული სანაპირო, მთელი 100კმ. სიგრძეზე.

26.სავარაუდოდ, ზუსტად ამ დროს უნდა იყოოს დასახლებული ქალაქ ტკვარჩელის უშორესი კუთხე, ა-კარ-მარა, რაც ზუსტად ამასვე,მარების კარს ნიშნავს.

27. **„...ასე მოვიქეცი მე, პირველი და ერთადერთი მათგანი,რომელმაც ჩემს თაობაში გამოიყვანა სამხედრო კოლონიები იტალიაში თუ პროვინციებში...მე გადავიხადე ნაღდი თანხა მეომრების დასაჯილდოებლად, რომლებიც დავასახლე მუნიციპებში სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ...მე გამოვიყვანე კოლონიები აფრიკაში, სიცილიაში, მაკედონიაში, ორივე ესპანეთში, ახაიაში, აზიაში, სირიაში, ნარბონის გალიასა და პისიდიაში. იტალიაში კი ოცდარვა კოლონია, რომლებიც ჩემს ცხოვრებაში იყვნენ გაურჩქნული და მრავალრიცხოვანი ქალაქები, იყვნენ ჩემი ინიციატივით დასახლებულნი“ (RE GESTAE AUGUS-TSC ;18-20)**

სიტყვები ეკუთვნის ოქტავიანე ცეზარს (63-14 წლები). ის რომ ოქტავიანე ცეზარს გაყვანილი ჰყავდა კოლონიები ესპანეთში, ხოლო ერთ-ერთი მათგანი ბასკეთია, მტკიცდება პლინიუს უფროსის ჩანაწერებიდან:

„ცეზარ ავგუსტა-კოლონია განთავისუფლებული გადასახადებისაგან, გვედით მოედინება მდინარე იბერი და, და დგას იმ ადგილას, სადაც ოდესღაც იყო ქალ-აქი სალდუბა, ედიტანიის ოლქში შემავალი. ცეზარ-ავგუსტას ექვემდებარე-ბა 55 თემი,მათ შორის მცხოვრებნი ბილობილისისა (მათ რომაული უფლებები აქვთ) (პლინიუს უფროსი, წიგნი III-24)

პლინიუსის ნახსენებ ცეზარ-ავგუსტას, უთუოდ პროვინციის ცენტრს, რომლის შემადგენლობაში შედის 55 თემი, მხოლოდ ბილობილისას მცხოვრებლებს აქვთ უმაღლესი-რომაული უფლებები. სხვა თემები ძველი ლათინური უფლებებით კმაყოფილდებიან, რომელიც რამდენადმე დაბალია რომაულ უფლებებზე. უდავოა, რომ კოლონია ცეზარ-ავგუსტა, ეს ოქტავიანე ცეზარის ამოყვანილი ერთ-ერთი კოლონიათაგანია, ხოლო თემის (ქალაქის) თვითდასახელება ბილობილისა-მხოლოდ თანამედროვე ბილბაო შეიძლება იყოს, თანამედროვე ბასკეთის დედაქალაქი, რომელიც ოქტავიანე ცეზარს ილირიკიდან უჩანს ამოყვანილი. სტრაბონი ოქტავიანე ცეზარის თანამედროვეა, შესაბამისად ბასკების ტომი, რომელიც ცეზარმა ილირიკიდან ამოიყვანა, აუცილებლად სტრაბონის თვალთახედვის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. ადრიატიკაზე გადის მდინარე მარგიც და მისი თანამოსახელე ტომიც აქვე უნდა ცხოვრობდეს, თუმცა მათ უცი-

ლობლად სტრაბონი სხვა სახელით იცნობს...სავარაუდოს, რომ ოქტავიანე ცეზარის მიერ ბასკების პარალელურად არის ამოყვანილი აბასკების კოლონიაც, უკვე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, რომაული გარნიზონის-ბიჭვინთაში მდგარის საყრდენ მოსახლეობად...უფრო მეტი, უფრო შორეული და უფრო დეტალური ცნობები აბასკების ამ ტომზე მოთხრობილი იქნება წიგნის II ტომში...

კერკეტები და ახაიელები

კავკასიელ მთიელთა ტომების იდენტიფიკაცია, რომელთა შესახებ ანტიკ-ურ ლიტერატურაში ერთობ მწირი ცნობები მოიპოვება, მხოლოდ გვიან შუა საუკუნეების შემდეგ არის შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ მათ შესახებ სერიოზული კვლევა თითქმის არ არსებობს ან თუ არსებობს მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათის და არასრულყოფილი. მაგალითად ამდაგვარი:

1.ჩერქეზები ჩარასა და კესისგან არიან წარმოშობილი. (ჩარა-იგულისხმება მდედრობითო სქესი, ხოლო კესი-მამრობითი). რუსული ვერსია მე-19 საუკუნისაა.

2.ჩერ-კესი (თურქული სლენგი) შარაგზის ყაჩაღს ნიშნავს. და ალბათ ერთგვარად საკუთარი სამშობლოს შეუპოვრად დამცველი მთიელის დახასიათებას შეიცავს.

3.სერ-კესი-თავის მჭრელი...ყირიმელი თათრებისა და დაღესტნელი ბეების მიერ ახსნილი.

4.კერკეტი- მტკიცე, ძნელად გასატეხი ნაჭუჭის მქონე კაკალს ნიშნავს ქართულად.

ჩერქეზის მნიშვნელობის ყველა ზემოთ მოყვანილი ახსნა, ცხადია, სერიოზულ კვლევად ვერ ჩაითვლება. ხატოვნად თუ ვიტყვით, ზემოთ მოხსენიებულ ენებზე ჩერქეზის მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის გარკვევა ეგვიპტური იეროგლიფის ესპერანტოს ენაზე გაშიფვრას ჰგავს.არადა რაოდენ ბრძნული და თანადროული ჩანს პომპონიუს მელას განმარტება:

„იწყება რა აქედან მთები, გადაჭიმულია გრძელჯაჭვით რიპეის მთების შეერთებამდე. ერთი მხრით, ისინი მიმართულია ევქსინის (ზღვა) მეოტიდისაკენ და ტანაისისაკენ, მეორეთი - კასპიის ზღვისაკენ და იწოდება კერევნისად, იგივე (მთები) სხვა ადგილას იწოდება ტავრიულად, მოსხურად, ამაზონისად, კასპიისად და კავკასისად, დამოკიდებულია იმ ტომების სახელზე, რომელთა მიმდებარედაც ისინი მდებარეობენ" (პომპონიუს მელა, ხოროგრაფიაზე ; წიგნი I-109).

ცხადია, მთაგრეხილის ესა თუ ის მონაკვეთი იმ ხალხის სახელს ატარებს, რომელთა ტომიც ამ მთაგრეხილის კონკრეტულ ადგილას არის განსახლებული

„თესალიის უძველესი მოსახლენი იყვნენ ძლევამოსილი ლაპითები და ცხენკაცი კენტავრები. ლაპითების მეფეს ქორწილი ჰქონდა.ის ქორწინდებოდა მშვენიერ ჰიპოდამიაზე.კენტავრები ევრიტითონის წინამძღოლობით ლაპითებს დაესხნენ თავს და ჰიპოდამიას მოტაცებას შეეცადნენ. გაჩაღდა სისხლისმღვრელი

ბრძოლა. მამაცმა ლაპითებმა ცხენკაცი კენტავრები გაჟლიტეს და ჰიპოდამია გადაარჩინეს“.

მითი კენტავრების, იგივე ცხენკაცების შესახებ? ბუნება ასეთ ჰიბრიდს არ და ვერ წარმოშობს. ეს ბერძნებმა ათასეული წლებით ადრე გაიაზრეს. მათივე ვერსიით, კენტავრები ეს ბარბაროსული (რასაკვირველია ცხენოსანი) ტომი იყო, რომელიც ლაპითებმა განდევნეს (ან გაანადგურეს). ჯერ კიდევ სტრაბონი ხვდებ-ა, რომ კერკეტები-ეს ბარბაროსთა ტომია და არავითარი ცხენკაცები:

„...ოლქებში სადაც, პოეტის სიტყვებით გამოძევებული იყვნენ პირიფოეს მიერ კენტავრები; მაგრამ ისტორიკოსები ამბობენ რომ ისინი გაქრნენ. ეს გაქრობა შეიძლება ვივარაუდოთ ორნაირად: ან მოსახლეობა გაქრა და ქვეყანა მთლიანად დაცარიელდა, ან დასახელებული ტომი უკვე აღარ არსებობს, და მისი გაერთიანება უკვე არ შემოინახა იმ სახით, როგორც იყო“ (სტრაბონი; წიგნი 9 თავი 5-12)

„მერე პერრები ჩააცხრეს და დაახევინეს უკან წყლიან სივრცეში, ქვეყნის სიღრმეში და ლაპითებმა დაიკავეს მათი ქვეყანა-ლაპითებმა იქსიონმა და პირიფოემ; ამ უკანასკნელმა მიიტაცა აგრეთვე პელიონი, გარეკა იქიდან ველური ტომი კენტავრებისა, ამ ოლქის მფლობელები'' (იქვე, თავი 5-19)

„სხვები ამბობენ, რომ კენტავრებმა, შობილებმა ნეფელესა და იქსიონისაგან, პირველებმა გახედნეს ცხენი, რისთვისაც ისინი მონათლეს ჰიპოკენტავრებად (ცხენ-კენტავრებად) და ჩათვალეს ისინი ზღაპრულ არსებებად ორმაგი ბუნებით. ისინი ნათესავები იყვნენ პირიფოისა. კენტავრებმა მოსთხოვეს მამის კუთვნილი ძალაუფლების ნაწილი. პირიფოიმ უარი უთხრა და კენტავრებმა წამოიწყეს მისი და ლაპითების წინააღმდეგ ომი. მოგვიანებით, როდესაც მოაგვარეს ეს დავა, პირიფოი დაქორწინდა ჰიპოდამიაზე, ბუგის ქალიშვილზე. მოიწვია ქორწილში თესეი და კენტავრები, რომლებიც შეზარხოშდნენ, შეეცადნენ ძალით დაემყარებინათ სქესობრივი კავშირი წვეულებაზე მოწვეულ ქალებთან. მაგრამ აღშფოთებულმა ამ უკანონობით, თესეიმ და ლაპითებმა დახოცეს მრავალი მათგანი, ხოლო სხვები განდევნეს ქალაქიდან'' (დიოდორე სიცილიელი; წიგნი-4-70)

ელინების ვერსიით, ამ საქმეს წერტილი ჰერაკლემ დაუსვა. კენტავრების განადგურება-განდევნის პერიოდიც ჰერაკლეს მოღვაწეობის ხანას ემთხვევა XIV საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვამდე. თვით ცხენზე ამხედრებული ადამიანიც კი ერთობ ველური სანახაობა იყო ელინთათვის, რომლებიც ცხენს მხოლოდ სამხედრო ეტლებში შესაბმელად იყენებდნენ.ჩვეულებრივ ცხენის თავი მომქროლავი მხედრის ტორსის ფონზე ქრება ხოლმე და ადამიანი ცხენ-კაცის ერთარსებად ქცეულ გამოსახულებას ხედავს. ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში, ანალოგიუ-

რი ბუნების ხალხს ცხენთამბრძოლებს, ცხენთამხედნავებს უწოდებდნენ. ასეთივე ცხენთამებრძოლი იყო კასტორი, ერთ-ერთი ძმა დიოსკურებიდან.

კენტავრების გაქრობის პროცესი ჩვ.ე. აღრიცხვამდე XIV საუკუნეში მიმდინარეობს. გაქრობის ადგილი კი ევროპის ნაწილია, სადაც კონტინენტური საბერძნეთი მდებარეობს, კერძოდ, ოსას და ოლიმპოს მთების სიახლოვეს, სადაც სტრაბონიც და პლინიუს უფროსიც ერთხმად აღნიშნავენ ლაპიდთა ტომის ბინადრობის ადგილს და რომლის ზუსტი დასახელება <u>კერკეტის მთაგრეხილის</u> მიმდებარე ტერიტორიაა. ყოველივე ზემოთქმული აშკარად მიუთითებს, რომ კერკეტთა ცნობილი პირველი სამშობლო საბერძნეთი, ელადა, კერკეტია!

„თითონ ფილირეს ვაჟი ქირონი მთის მწვერვალიდან დაბლა დაეშვა, ზღვასთან მივიდა, დადგა იქ , სადაც ტალღა ტყლაშუნით ეცემა ნაპირს. ჯერ წყალში ჩადგა წინა ფეხები, მერე ასწია მძიმე მარჯვენა,
სალამს უთვლიდა მიმავალ გმირებს, გზას ულოცავდა, აძლევდა რჩევებს
და უსურვებდა ბრძენი კენტავრი მათ უხიფათოდ შინ დაბრუნებას.
აქირონს თან ახლდა თავისი ცოლი, ყრმა აქილევსი ეჭირა ხელთა
და მაღლა სწევდა აღსაზრდელს, რათა მამამისს პელევსს ეხილა შორით.
(არგონავტიკა წიგნი 1—552, თბილისი, 1975 წ).

ჟესტი ატალიკობისაა, მამამძუძუობისა, უძველესია კავკასიურ ერებს შორის და სიმპტომატიურია, რომ კენტავრს აღსაზრდელად პელაზგი ყმაწვილი ჰყავს! უძველესი ელინების თვალსაწიერში ამჟამად კენტავრები (კერკეტები-ჩერქეზები) მოხვდნენ, თუმცა ეს სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს სხვა მთიელი მხედრების არარსებობას ამ რეგიონში. ნიშანდობლივია ისიც, რომ არგონავტების გასაცილებლად კენტავრი (მხედარი) ქირონი მთებიდან ეშვება ძირს. ევროპის კონტინენტიდან განდევნილი მთიელები მცირე აზიის ტერიტორიაზე უკვე წიგნიერი მემატიანის, ჰეროდოტეს თვალსაწიერში ხვდებიან:

„მატიენებს, სასპერებსა და ალაროდიელებს შეწერილი ჰქონდათ ორასი ტალანტი. ესაა მეთვრამეტე სატრაპია“.(ჰეროდოტე, ისტორია. თავი III-94 გვ,226, თბილისი, 1975წ), და კიდევ: **„ალაროდიელები და სასპერები კოლხების მსგავსად შეიარაღებულები ლაშქრობდნენ. მათ განაგებდა მასისტიოსი, სირომიტრესის ძე“ (იქვე თავი VII -79).**

აღნიშნული ცნობის მიხედვით ალაროდიელები მეთვრამეტე სატრაპიაში არიან მოქცეული, არმენია-მოსხებსა და კაბადოკიელებს შორის...და სავარაუდოდ რატომ იღებენ ამ დასახელებას ალაროდები, მხედრები, მთიელი მხედრები და შემდგომი კავკასიელები? საქმე იმაშია, რომ ჰეროდოტეს ეპოქისათვის ცხენოსანი ჯარი უცხო სანახავი უკვე აღარ არის. უფრო მეტიც, რიგ არმიებს (მათ შორის სპარსელებს თუ სინოპში დამკვიდრებულ პაფლაგნიელებს (1) უკვე გა-

აჩნიათ თავიანთი კავალერია. კავალერიით სარგებლობენ თვით ბერძნული თუ რომაული არმიები. ამასთან, კავალერია გამოიყენება როგორც ქვეითი კოჰორტ-ების დიდი სისწრაფით მოძრავი ნაწილი და მათივე ფლანგის დამცველი ნაწი-ლი, ფრთეული-ალა.

„ala prima Abasgozam, hibelios Oaseos maioris"
პირველი ფრთა აბაზგებისა, ჰიბელიოსი, დიდ ოაზისში".
Cohors nona Tsanorum-Nitnu.
მეცხრე კოჰორტა ჭანებისა, ნიტნუ.
(გეორგიკა, წიგნი IV, პირველი Notitia dignitatum).

ცხადია, აქ არც ჭანი და არც აბაზგი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ჭანე-ბი- ეს ფეხოსანთა კოჰორტაა, აბაზგები-ცხენოსანთა ფრთა. საყურადღებოა, რომ ალაროდები ერთიანი სარდლობის ქვეშ იბრძვიან სასპერებთან, სავარაუდოდ ქართველურ, მაგრამ საკამათოდ შექმნილ ტომთან ერთად. (ალა- ფრთას ნიშნ-ავს ბერძნულად. ალაროდი- სავარაუდოდ, ცხენოსანი ტომის სინონიმად იქცა, სწრაფმოძრავი და დანარჩენი ლაშქრის ფლანგების დამცველი). ალალი-ქართ-ულ ენაში პატარა, სწრაფი მტაცებელი ფრინველია. ქართულ ენაში ის სისწრა-ფის, სითამამის და სიმამაცის სინონიმადაა ქცეული.

შემდგომი მემატიანე, ისტორიკოსი სტრაბონია, რომელიც საკმაოდ რელ-იეფურად ეხება ჩვენთვის საინტერესო ტომთა განსახლების არეალს, თუმცა ზოგიერთო ტომის თუ მისი ნაწილის ამოცნობა საკმაოდ გართულებულია. სტრაბონი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ახაიელთა დასახლების არსებობის შესახებ, უშუალოდ ჰენიოხთა შემდეგ, რაც ასევე ტომთა დასახლების თანმიმდევრობასაც უნდა გამოხატავდეს. სინოპში შევიწროებული და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე დასახლებული ჰენიოხე-ბის მერე თავისუფალ ტერიტორიებს ახაიელები იკავებენ. ახაიელთა ტომს ანტ-იკური ბერძნები აქაველებად თვლიან, ტროას ომის შედეგად გზააბნეულები და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე დასახლებულები, თუმცა ამავე ბერძნულ წყაროებში ისინი უფრო გვიანდელი რომელიღაც ომის შედეგად გადმოსახლე-ბულები მიაჩნიათ. სავარაუდოა, რომ ეს ახაიელთა კავშირის დაშლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, როდესაც ისინი ქართველური ტომების გვერდი- გვერდ ცხო-ვრობდნენ ფტიოტიდაში, აქილევსის სამშობლოში...(ახაიელთა წარსულის კვლევა აშკარად ცილდება წიგნის ფორმატს, ისევე როგორც ტორეტებისა)
სტრაბონი ასევე მიუთითებს, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ახაიელე-ბის მიმდებარედ კერკეტები მოსახლეობენ. მათსავე დასახლებაზე მიუთითებს სტრაბონი ტრაპეზუნტის მიმდებარე ტერიტორიაზეც:
„შემდეგ - დანგრეული ისხოპოლი...აქ სადღაც მდებარეობს ერთი დასახლება,

სახელდებული ზიგოპოლად ... ტრაპეზუნტს ზემოთ არიან აპეტტები, ადრე წოდებული კერკიტებად.“ (სტრაბონი, წიგნი12, 3-17-18).

როგორც ჰელანიკე მიტილენელის ცნობით ირკვევა (იხ.კენებთან), კერკიტები და კერკეტები ერთი და იმავე სატომო სახელის განსხვავებული ინტერპრეტაციაა.(ალაროდთა ტომის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსკენ მიგრაცია, ისევე როგორც ახაიელებისა, სცილდება წიგნის ფორმატს, თუმცა ალაროდთა, კერკეტთა წინარე სამშობლო მართლაც მცირე აზია ჩანს) ალაროდთა და ზიხთა გადასახლების პროცესი სტრაბონის ეპოქისათვის ჯერ კიდევ უსრული ჩანს. ზემოთ ნახსენები ტომების თემას გვერდს არც პლინიუს უფროსი უვლის: **(შემდეგ ცხოვრობენ) „ახაელები, მარდები (2), კერკეტები“...(პლინიუს უფროსი, წიგნი VI, V-11)** და კიდევ:**„ხოლო სანაპიროზე კერკეტების ახლოს (მდებარეობს) მდინარე იკაროსი, ახაელების ქალაქი გიერით და (თანამოსახელე) მდინარი“. (იქვე V-17)**

აღსანიშნავია, რომ ახაელებს და კერკეტებს პლინიუს უფროსი იმავე თანმიმდევრობით ასახელებს, როგორც მისი წინამორბედი სტრაბონი და ასევე, იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც ეს ტომები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ჩანან განსახლებული. რაც შეეხება მარდებს, მათ შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოცემულია სხვა თემაში (იხ. მისიმიანები; აბზოის ტომი).

ფლავიუს არიანე, რომის იმპერიის მეფისნაცვალი, რომელიც 132 წელს სკრუპულოზურად აღწერს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს, ამ ტერიტორიაზე ახაიელებს და კერკეტებს უკვე არ ახსენებს.

„აქედან ძველ ლაზიკად წოდებულ ადგილამდე ას ოცი სტადიონია, აქედან ძველ აქაიამდე-ასორმოცდაათი“.(ფლავიუს არიანე, პარაგრ.12).

ფლავიუს არიანე „ძველ აქაიას“, შესაბამისად, ყოფილ აქაიას ასახელებს. ცხადია აქაიელები ამ ტერიტორიაზე აღარ მოსახლეობენ. არ ჩანან მათ გაგრძელებაზე სტრაბონის და პლინიუს უფროსის მიერ დაფიქსირებული კერკეტებიც. მათი შემდგომი საცხოვრისი, როგორც ჩანს, ფლავიუს არიანესათვის უცნობია. სანაპიროზე, სადაც სტრაბონი ოთხ სხვადასხვა ტომს აღნიშნავდა, მხოლოდ ჰენიოხები (სანიგები) და ზიხები მოჩანან. ამასთან, ახაიელებს და კერკეტების საცხოვრისი ადგილი მთლიანად უკავია მესამე, ზიხების ტომს. ამ ტომების მიერ თვით ტერიტორიის პირველმფლობელი, ჰენიოხებიც ჩანს შევიწროებული. მათი ტერიტორიის ნაწილი, ძველ ლაზიკად წოდებული, რომელიც ამ ტომის <u>სხვა</u> სახელსაც უსვამს ხაზს, უკვე ზიხთა ტერიტორიაა. მართალია, ფლავიუს არიანეს თქმით, რომის სამფლობელოები დიოსკურიაში მთავრდება, მაგრამ რომის იმპერატორის მიერ აბაზგთა, სანიგთა და ძილქთა მეფეების ხელდასმა, რომისადმი ამ მეფეების ვასალურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, განსხვავ

ებით ბოსფორის მეფე კოტისისა, რომელსაც მეფობა რომის იმპერატორისგან არ მიუღია. თითქმის ანალოგიური ტექსტი აქვს მოცემული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს აღწერისას ანონიმ ავტორს (ჩვ.წ. V ს.) იმ განსხვავებით, რომ მისთვის ახაიელთა, კერკეტთა განსახლების ახალი ადგილი ცნობილია. ანონიმი ავტორი, სტრაბონისგან განსხვავებით, სინდიკის ნავსადგურად ანაპას მიიჩნევს. (ისევე როგორც ფლავიუს არიანე)

„სინდიკის ნავსადგურის შემდეგ არის სოფელი, რომელსაც ეწოდება კოროკონდამე, მოთავსებულია ყელზე ან ვიწრო ზოლზე ტბასა და ზღვას შორის. მის მეზობლად კოროკონდამიტის ტბაა, ახლა ოპისა ეწოდება, ქმნის დიდ უბეს ექვსას ოდაათი სტადიონის, 84 მილის მანძილზე. თუ ტბაში შევა ვინმე და ნაპირის ირგვლივ დაიწყებს ცურვას, ქალაქ ჰერმონესამდე იქნება ოთხას ორმოცი სტადიონი, 58 , 2/3 მილი. ჰერიმონესადან სინდიკის ნავსადგურამდე, მეოტიდის გასწვრივ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა ტომი სინდებად იწოდება... სინდების მერე კერკეტები, იგივე ტორეტები არიან... კერკეტების მეზობელი ქვეყანა აქაველებს უკავიათ... მრავალნი არიან და კერკეტების მტრებად ითვლებიან ‘‘ (ანონიმი ავტორი).

ანონიმი ავტორის მიერ სხვადასხვა ტომების განსახლების შესახებ მოწოდებული ცნობის თანამედროვე რუკასთან შედარება გვიჩვენებს, რომ მისეული ტბა ოპისა-ეს ვიტიაზევოს ლიმანია, კიზილ-ტაშის ლიმანთან ერთად (სავარაუდოდ მათ შიდა გადასასვლელი აკავშირებდათ კიდეც) . ჰერმანოსა-ქალაქი, ამავე ლიმანის ბოლოში, ლიმანსა და ტამანის ყურეს შორის, დღევანდელი ვინოგრადნის რაიონშია საძიებელი. სინდებით დასახლებული ტერიტორიაა-ეს ლიმანების ჩრდილო სანაპირო ჩანს , რომელიც ანონიმს მეოტიის (აზოვის) ტბისათვის უჩანს მიკუთვნებულ, ანაპამდე. სოფელი კოროკონდამე, დღევანდელი დასახლებული პუნქტი ბლაგოვეშენსკაია ჩანს. ამ შემთხვევაში სინდების მეზობელი კერკეტები და ახაელები მდინარე ყუბანის შესართავის სიახლოვეს არიან სავარაუდებელი, უკვე აზოვის ზღვის სანაპიროზე. დისპოზიცია ნათელს ხდის თუ რატომ ვერ აფიქსირებს ახაიელებსა და კერკეტებს ფლავიუს არრიანე, რომელის აღწერილი ტრასიდან ეს უკანასკნელენი საკმაოდ შორს, ჩრდილოეთით რჩებიან. საყურადღებოა, რომ უკვე მეორე საუკუნეში, ახაიელები და კერკეტები ამოძრავებულნი ჩანან, ისინი ჩრდილოეთისაკენ მიგრაციას იწყებენ. სავარაუდოდ არა უკანასკნელ რიგში უნდა იდგეს არგუმენტი ზიხთა მასობრივი ჩამოსახლების შესახებ, რაც ამ უკანასკნელთა მიგრაციას იწვევს. რაც შეეხება ტორეტებს, ისინი კერკეტებისგან აბსოლუტურად განსხვავებული ტომი ჩანს, განსხვავებული აწმყოთი და მომავლით.

გარკვეული ინფორმაციის მატარებლად გვევლინება ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობა (X საუკუნე)

„ტამატარხიდან 18 თუ 20 მილზე არის მდინარე დასახელებით უკრუხი (ყუბანი), გამყოფი ჯიქეთისა და ტამატარხისა, ხოლო უკრუხიდან ნიკოფსიამდე, რომელზედაც არის ციხე-სიმაგრე, მდინარის თანამოსახელე, გადაჭიმულია ქვეყანა ზიხია... ზიხეთს ზემოთ დევს ქვეყანა, წოდებული პაპაგიად. პაპაგიის ზემოთ - ქვეყანა კასახია, ხოლო კასახიის ზემოთ კავკასიის მთები, ხოლო მთებს ზემოთ- ქვეყანა ალანია. (კონსტანტინე პოფიროგენტი, თემების შესახებ).

თუ პომპონიუს მელას ციტატის პერიფრაზირებას მოვახდენთ, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ზემოთ ხსენებული ქვყნები არაფრისგან აღმოცენდნენ და ასევე უკვალოდ გაქრნენ. ამ ორ მეზობელ ქვეყანაში-პაპაგიასა და კასახიაში, შეიძლება ერთმანეთთან არცთუ გულითად დამოკიდებულებაში მყოფი ახაიელები და კერკეტები ამოვიცნოთ, რომელნიც მეოტადის ტბის უფრო ჩრდილო ნაწილისკენ, მდინარე ყუბანის მარჯვენა ტოტს არიან გადაცილებული, პრიმორსკი-ასტირისკოეს მიმართულებით . ამ პერიოდიდან დაწყებული , ცნობები ამ ტომების შესახებ საკმაოდ ძნელი მოსაპოვებელია. როგორც წესი, მათი მოპოვება მხოლოდ სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა ავტორთანაა შესაძლებელი, ამდენად საფუძვლიანი ჩანს მათი ცალ-ცალკე განხილვა-შესწავლა.

კერკეტები-ყაბარდოელები

პორფიროგენტის შემდეგ, საკამაოდ დიდი ხნის განმავლობაში კერკეტთა თემა ტერა-ინკოგნიტაა.კვალიფიციური ცნობების მოწოდებას ფიქრობს მათ შესახებ ფრანგი მეცნიერი და ნატურალისტი დიუბუა ფრედერიკ დე მონპერე, რომელმაც 1833 წელს იმოგზაურა კავკასიაში., შეაგროვა მდიდარი გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა კავკასიის ხალხების, მათ შორის ჩერქეზების შესახებ.მართალი მონპერე ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან „ნამდვილ ჩერქეზებს“, კერკეტებს და ზიხებს ერთმანეთისაგან, თუმცა გააჩნია სურვილი დასავლეთ და ჩრდილო კავკასიის ამ „გორდიას კვანძის'' გახსნისა:

„იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ეს სათავადო (ტმუტარაკანი-ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში მდებარე ზიხების ნაწილი)(4) რამდენიმე ჩერქეზული ტომი ჩამოვიდა მთიდან და განიფანტა აზოვის ზღვის სანაპიროზე და შეაღწია კიდეც ყირიმში. მთავარი და ცნობილი მათ შორის, ყაბარდოელი დამკვიდრდა თათრებს შორის (თათარ - მონღოლები დაეპატრნონენ ყირიმს 1237 წელს) მდინარე კაჩსა და ბალბეკს შორის. ბალბეკის ზემო წელი ახლაც იწოდება კაბარდად. ამ ორ მდინარეს შორის ვაკე დღემდე ინარჩუნებს თათრულ

დასახელებას ჩერკეს-ტუს, ანუ ჩერქეზების ვაკეს...აბდულ ხანი გადმოცემის თანახმად...იდგა ამ ყაბარდოელების სათავეში ყირიმში მე -14 -ე საუკუნის ბოლოს და მე -15-ე საუკუნის დასაწყისში“ (Дюбуа, Фредерик де Монпере . История черкеской нации том 1)

მონპერეს, ამ სწავლულ მეცნიერს რამდენიმე აშკარად გამოხატული შეცდომა უჩანს, მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს შესახებ ანტიკური თუ შუა საუკუნეების ცნობები მოძიებული აქვს:

1.ჩერქეზულ ტომებს შუა საუკუნეებში აზოვის ზღვის სანაპიროს ასათვისებლად მთებიდან დაშვება არ სჭირდებათ: ანტიკურ პერიოდში და ადრეულ შუა თუ საშუალო საუკუნეებში (კონსტანტინე პორფიროგენტის მიხედვით) ისინი ორივე ზღვის სანაპიროზევე ცხოვრობენ.

2.ყირიმში თათრებთან (მოღოლებთან) ერთად და მეწინავედაც კი შირინთა (ახაიელები) ტომი შედის, და არა ყაბარდოელები (კერკეტები).

უფრო მეტიც, ყაბარდოელთა ტომის სახელი გაცილებით გვიანაც კი ყირიმს გარეთაც ფიქსირდება. ცნობა იტალიელი მოღვაწის, ფრანჩესკო ბელდუჩი პატალოტის კალამს ეკუთვნის- 1320 წელს, სადაც აღწერილია მარცვლეულის გატანის საკითხი აზოვის ზღვის მიმდებარე ტერიტორიიდან. მისი სიტყვებით, **ზაბაკის ზღვის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა პორტი პიზანო, კობარდი, ლიბუროსიმი, იპოლი და ვოსპერო -ქერჩი)** (იგულისხმება აზოვის ზღვის დასავლეთი სანაპირო) კობარდის ხსენება-ეს პირველადაა ისტორიაში. სახელი იმდენად სპეციფიკურია, რომ ჩვეულებრივი ასოთა თანხვედრა გამორიცხული ჩანს-ეს აშკარად კაბარდას, ყაბარდოელთა თვითდასახელებას ნიშნავს.

საინტერესოა, რომ კობარდის ხსენება ხდება თითქმის საუკუნით ადრე, ვიდრე თემურ-ლენგის ლაშქრობებმა ძირფესვიანად შეცვალა აღმოსავლეთ აზოვისპირეთის პოლიტიკური და დემოგრაფიული სიტუაცია. დიდი ალბათობით, კონსტანტინე პორფიროგენტის ეპოქიდან, კავკასიელი ტომების მიერ აზოვის ზღვის გარშემოვლას აქვს ადგილი, ხოლო დასავლეთ სანაპიროს ათვისება კავკასიელთა მიერ ჩვეულებრივი მოვლენა ჩანს, რომელთა ერთ-ერთი პირველი ტალღა ყაბარდოელები (კერკეტები) და ახაიელები ჩანან.

ჩვენი დაკვირვებით, აზოვის დასავლეთ სანაპიროზე კერკეტთა გადასვლა ნებაყოფლობითი მიგრაციული პროცესი ჩანს. სავარაუდოა, რომ პორტი კობარდი აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ზუსტად აჩვენებს კერკეტთა (ყაბარდოელთა) მიგრაციის ტრასას. მათ უკვე კონსტანტინე პორფიროგენტის ეპოქის შემდგომ, წლების განმავლობაში თანდათანობით შემოუარეს აზოვის ზღვას და აღმოჩნდნენ მის დასავლეთ სანაპიროზე, რის სამტკიცადაც მათისახელობის (სავარაუდოდ მათივე) პორტი ჩანს ამავე სანაპიროზე. კაბარდელებს მოგვიანებით ათვისებული უჩანთ ყირიმის ნახევარკუნძულიც. უკვე XV საუკუ-

ნიდან მდინარე ბელბეკის სათავე ხერსონესში, დღევანდელი სევასტოპოლის შემოგარენში სახელს„კაბარდა“ატარებს. საინტერსოა, რომ მდინარე კაბარდა და პორტი კობარდი რამდენიმე ასეული კილომეტრითაა ერთმანეთს დაშორებული. სახელდებათა ასეთი განცალკევებულობა კაბარდის ტომის მიგრაციის მარშრუტის მიმანიშნებელია ყირიმის ნახევარკუნძულზე. ნიშანდობლივია, რომ ტომის საკუთარი თვითდასახელება **<u>კაბარდაა</u>**, მხოლოდ კაბარდა და სახელწოდება ჩერქეზი მეორე პლანზეა გადასული, ხოლო კერკეტი საერთოდ გამქრალი. ცხადია, კერკეტთა, (ჩერქეზთა) საკმაოდ დიდი ნაწლის ასიმილაცია ყირიმულ ეთნოსში , უცილობელი ფაქტი უნდა იყოს. ხოლო ერთი ნაწილი:

„ყაბარდოელებმა დატოვეს ყირიმი თავიანთი ნავებით და მიადგნენ ხმელეთს სუჯუკ- კალესთან (დღევანდელი ნოვოროსიისკი) აქედან ისინი გადავიდნენ მდინარე ყუბანის კალაპოტზე და გამოჩნდნენ ვაკეში განლაგებული სამხრეთ-ისაკენ და დაარსეს ქალაქი შანჩირი'' (იქვე)

მნიშვნელოვანია ფრანგი სწავლულის მტკიცება, რომ **<u>ყაბარდოელებმა გადალახეს მდინარე ყუბანი და მხოლოდ მის ჩრდილოეთ სანაპიროზე დასახლდნენ. (5)</u>**

აქვე ასახელებს მონპერე ყაბარდოელთა (ყოფილ) ქალაქს შანჩირსაც, ისევე როგორც კლაპროტი...თუმცა მონპერეს სიტყვებიდან გამომდინარე, მათ აქაც ჰყავთ კონკურენტი:

„ფრანკები და გენუელები ჩრდილო კავკასიის ზეგანზე მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ ქვეყნის მცხოვრებლებთან.(6) ფრანკთა საცხოვრებელი ძირითად-ად განლაგებული იყო კისლოვოდსკის ვაკეში და ყუბანს იქითაც კი ვრცელდებოდნენ, ფრანკების ერთ ბელადს შეუყვარდა ყაბარდოელი ბელადის ცოლი და სთხოვა ყაბარდოელს დაეთმო ის...ფრანკები შეიყარნენ ყაბარდოელებთან <u>ეკლესიაში, ყუბანს იქით, კამარის პირდაპირ</u>, სადაც ბელადებმა მისცეს ერთმანეთს ფიცი(7) მერე მათ გაიმეორეს ეს ფიცი ყაბარდოელის წარმართული კერპის წინაშე. დადგა მესამე დღეც, ყაბარდოელმა ბელადმა გამოაცხადა თავისი პირობა: მან მოითხოვა, რომ ფრანკები <u>ყუბანს იქით გადასულიყვნენ,</u> რაც უნდა შესრულებულიყო...მათი ნაწილი წავიდა ელბრუსის კალთებქვეშ, სადაც დაივიწყეს თავიანთი აღმსარებლობა და წარმომავლობა...“(იქვე)

მონპერეს ეს ჩანაწერი, მისივე სიტყვებით ჩაწერილი სტავროპოლში, განსახილველი ჩანს, როგორც ლეგენდა, ბილინა, რაც უპირველეს ყოვლისა წარსულში (ნამდვილად) მომხდარ ამბავს ნიშნავს და არა გამოგონილ მითს:

1.პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ადგილზე მოსულ ყაბარდოელებს აქ მოსახლეობა დახვდა. მოსახლეობა, რომლისაგან მათ ამ მიწების მოპოვება მოუხდათ,

თუნდაც არატრადიციული საფასურის გადახდით.
2.აქ მოსული ყაბარდოელები წარმართები ჩანან, რასაც მათი წარმართული კერპი აჩვენებს. ყაბარდოელთა გამუსლიმანების თარიღი და გარემოება ზუსტადა აქვს დაფიქსირებული თურქ მოგზაურს, ევლია ჩელების (იხ, დურძუკები)(8)
3.ის რომ „ფრანკების“ ნაწილი გარიგების შემდეგ გადაუდგა თანამემამულეებს და დასახლდა ელბრუსის ძირში, სავარაუდოდ ამ „ფრანკების“ წარმომავლობის უნდა ხსნიდეს(9)
4.სავარაუდოდ ეკლესია, რომელიც „კამარის“ პირდაპირ დგას, უნდა მიანიშნებდეს ჯერ კიდევ პლინიუს უფროსის დაფიქსირებულ კუმანიას და რომელიც უღელტეხილის პირდაპირ მდებარე ციხე-სიმაგრე უნდა იყოს, ამ დრისთვის ეკლესიაც-ალბათ კამანისა...
5. ფრანკების, ევროპელობის პრეტენზია ზიხებს ქონდათ, რომელთა საცხოვრისი ადრიატიკის სანაპიროზე ჯერ კიდევ ქრისტემდე დიდი ხნით ადრე, რომაელთა (არასრული) ძალაუფლების ქვეშ იყო. „ფრანკების“ მიერ ეკლესიაში ფიცის მიცემა მათი ქრისტიანობის დამამტკიცებელი უცილობელი საბუთია!
6. ცხადია გასაგებია ის გარემოებაც, თუ რატომ ითხოვს ყაბარდოელი ბელადი „ფრანკების“ მხოლოდ ყუბანს იქით გადასვლას, ამ უკანასკნელებსაც მხოლოდ ეს სამშობლო და მიწა -წყალი გააჩნდათ!

კლაპროტის მიხედვით, ყაბარდოელებში ახლაც არსებობს გამოთქმა:„ჩვენ დავთმეთ ჩვენი ცოლები ამ ქვეყნის მოსაპოვებლად“

ჩერქეზთა რაღაც ნაწილს აღწერს იოსაფატ ბარბარო (XVს.) ტანას ახლომახლო (მდინარე დონის შესართავი), რომლებიც მისი თქმით, მთებს აფარებენ თავს. ზუსტად ესენი და იმ დროს ჩანან ყაბარდოელები...(10)

...და მავანი სწავლულის, იაკობ რეინეგის ცნობები, რომელიც ყაბარდოელთა ისტორიის ერთი უკმარი და მთავარი რგოლი უნდა იყოს:

რეინეგსის სიტყვებით, ყაბარდოელებს თავიანთი წარმოშობა ეგვიპტელი კოპტებისა და ბოშებისაგან მოყავთ.ეგვიპტიდან გადმოსულები დასახლდნენ თრაკიაში (ბულგარეთ) და ყუბანზე, მოგვიანებით გადავიდნენ მეოტიდაზე (აზოვის ზღვის სანაპირო)

რასაკვირველია ყაბარდოელებს არავითარი საერთო ეგვიპტელებთან, კოპტებთან არ უჩანთ, ისევე როგორც ბოშებთან. მათ ისტორიულ მეხსიერებაში შემოახული ეგვიპტე და კოპტები მათ სავარაუდო მიგრაციის გზას უჩვენებს მხოლოდ, ხოლო ბოშებისგან წარმოშობის ვერსია, ყაბარდოელების ინდოეთიდან მიგრაციის პროცესს, ისევე როგორც ბოშებისა და საეთოდ მთელი ევროპისა. დიდი ალბათობით, ყაბარდოელები ე.წ. „ზღვის ხალხებში“ უნდა მოიაზრებოდეს, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XV საუკუნეს მიგრირებული ინდოეთიდან, უკვე ეგვიპტის გავლით...

„ჰიჯრით VI (ქრისტესით XII) **საუკუნის დასაწყისს დასახლდნენ დონზე, მაგრამ მოუსვენარი მეზობლებით გაბეზრებულებმა, ისინი წავიდნენ და განმარტოვდნენ ტავრიდაში (ყირიმის ნახევარკუნძული) დასახლდნენ მდინარე კობარდ-ზე. აქედანაა მათი სახელწოდების წარმოშობა“** (იქვე)

რასაკვირველია რეინეგსი აქ ცდება: ეს ტომები და ხალხები არქმევენ საკუთარ სახელს მდინარეებს, მთაგრეხილებს და არა პირიქით...ეს სახელი ყაბარდოელებისა არქაული ჩანს, ჯერ კიდევ ინდოეთში ცხოვრების დროინდელი. „ჰიჯრით VII (ქრისტესით XIII) **საუკუნეს ყაბარდოელებმა ამ სახელით დატოვეს ტავრიდა, ისევ და ისევ იმ პირობების გამო, რომლებსაც ისინი უკეთესს ელოდნენ და დაბრუნდნენ მდინარე ყუბანის შესართავთან იმ კუნძულზე, რომელსაც მდინარის ორი ტოტი წარმოქმნის, ყიზილ ტაგი (ოქროს მიწა) (იქვე)**

იაკობ რეინეგსი მიუთითებს, რომ ყაბარდოელებმა ფაქტიურად ერთი საუკუნის მერე დატოვეს ყირიმის ნახევარკუნძული (რაც სიმართლეს არ შეეფერება, ისევ და ისევ მონპერეზე დაყრდნობით, იხ ზემოთ)...რეინეგსის სიტყვები საშუალებას გვაძლევს გავშიფროთ ყაბარდოელთა „მოუსვენარი და აბეზარი მზობლები“ რომელთაგანაც თავის ასარიდებლად ჯერ ტავრიდაში (ყირიმის ნახევარკუნძული) დასახლდნენ, ხოლო საუკუნის მერე (მონპერეს მიხედვით, უკვე XVსაუკუნეს) მიატოვეს ეს ახალი სამშობლო: სტრაბონის სიტყვებით, კერკეტთა მეზობლები ახაილები იყვნენ, მაგრამ უკვე კონსტანტინე პორფიროგენტის მიხედვით, X საუკუნეს ისინი უკვე მეოტიდაზე ჩანან გადასაული...მაგრამ მათივე მახლობლად ფიქსირდება კასახია-უცილობლად ახაიელები... მეოტიდიდან წამოსული კერკეტები, მეზობლებს გარიდებული, ტავრიდაზე ჩანან დასახლებული...ჯერ კიდევ დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ახაილებს გაურბიან...მაგრამ 1237 წელს, ყირიმის ნახევარკუნძულზე შემოჭრილ მონღოლებს წინ ხმლით ხელში ახაიელები მიუძღვიან, რომლებიც ნახევარკუნძულზე გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ...ზუსტად ეს ჩანს მიზეზი, რომ ყაბარდოელებმა ტავრიდაზე ცხოვრების პირობები მიუღებლად ჩათვალეს და რეინეგსის სიტყვებით მდინარე ყუბანის სათავეებთან გადასახლდნენ...აი აქ კი რეინეგსი უკვე ცდება-მდინარე ყუბანის სათავე და მისი ორი ტოტისაგან შექმნილი კუნძული უკვე დიდი ხნის დაკავებულია და იქ უკვე ზიხები ცხოვრობენ, როგორც ჩანს შანების ტომი, ქართული უძველესი წყაროების „მცირე ხაზარეთი“:

„სავარაუდოდ, არც ამ ადგილზე აწყობდათ ყველაფერი, რამდენადაც ისინი წავიდნენ უფრო შორს, ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ, სადაც უკვე ცხოვრობდნენ ჩერქეზები“.(იქვე)

აი ამ ჩერქეზების, სინამდვილეში ზიხების და მათთან დამყარებულ მტერ-მოყვრულ ურთიერთობაზე უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, და დადებული პირობის თანახმად, ზიხები მდინარე ყუბანის მარცხენა სანაპიროზე, ზღვისპირეთში გადავიდნენ...

„რეინეგსის მიხედვით, იქ დახვედრილი ჩერქეზები, ახლო-კაბაკის მცხოვრებნი, ყაბარდოს შეუერთდნენ და მოგვიანებით მცირე ყაბარდოდ იყო ცნობილი“. (იქვე)

სინამდვილეში, მცირე ყაბარდო საკუთარი თავადები თავადების, ტაუსულტანოვების სახელით გვეუბნება, რომ მცირე ყაბარდო ტაუსტანის, ყოფილი სერირს სამეფის ნაწილია და ხალხი-ინგუშებია...უფრო მეტიც, სახელი <u>ახ-ლო-</u>კაბაკი გვეუბნება, რომ XIII საუკუნისათვის ინგუში ხალხის ენა ჯერ ქართულია...ქართულია ეს მხარე მთელი საუკუნით გვიანაც, თემურ-ლენგის ლაშქრობის დროსაც, როგორც ამას თურქი მოგზაური ევლია ჩელები გვიამბობს... ქართველური ჩანს 1667 წელსაც, იმავე მოგზაურის სიტყვებით...

იაკობ რეინეგსი (1744-1793 წ) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჩაატარა ხუთი ეთნოგრაფიული ექსპედიცია კავკასიაში...საკუთარ თავს კითხვას აძლევს (და სრულიად მართებულსაც) არიან თუ არა ყაბარდოელები სტრაბონის და პლინიუს უფროსის ნახსენები კერკეტები, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ცხოვრობდნენ...

საკმაოდ გამარტივებული წარმოდგენა აქვს კერკეტთა (ყაბარდოელთა) მიერ გამოვლილ ცხოვრებისეულ გზაზე თურქ მოგზაურს, ევლია ჩელების:

„პირველად ჩერქეზი ხალხი გავრცელდა შაგაკეს მიწაზე, შემდეგ კი ამ ხელშეუხებელ (უკაცრიელ) მიწაზე“ (Эвлия Челеби, Книга путешествий; Земли северного кавказа поволжья и подонья, -3- путь через земли болшой и малой кабарды)

მართალია ჩერქეზი (კერკეტი-ყაბარდოელი) შაგაკეს (დღევანდელი ნოვოროსიისკი) ტერიტორიაზე არის დაფიქსირებული პირველად ისტორიაში სტრაბონის და მისი წინამორბედის მიერ, თუმცა ამ ხალხის მიერ შემდგომი განვლილი გზა აზოვის ზღვის სანაპიროზე და ყირიმში, თურქი მოგზაურისათვის უცნობი ჩანს (11)

„სულ ჩერქეზი შაგაკე ათი ათასი ადამიანია. გარდა ამ ხალხისა, შავი ზღვის სანაპიროზე (სხვა) ჩერქეზები არ არიან....შაგაკედან კიბლესკენ დევს მიწები აფხაზებისა...ჩერქეზისტანის ქვეყანა ანაპის ფერდობიდან და ობურის მთებიდან უერთდება მთა ელბრუსს, თვით მდინარე ყუბანამდე...ჩერკესისტანი იწყება მთა ელბრუსიდან და მთავრდება (მიწები) შაგაკეს ხალხით შავ ზღვის სანაპიროზე'' (იქვე-2-Описание пшуко черкесов шагаке)

თურქი მოგზაური ფაქტიურად არ ანსხვავებს ზღვისპირა ჩერქეზებს, ზიხყოფილებს ყაბარდოელებისაგან (კერკეტებისაგან), თუმცა:
„ჭეშმარიტად (ეს) ხალხი - გულის საყვარელია, მამაცი, მრავალრიცხოვანი, ფართოდ განსახლებული. <u>მთელ ჩერქეზისტანში ის ითვლება ნამდვილად, გამორჩეულად და</u> კეთილშობილდ“ (იქვე; - 3 - Обстоятельство освобождения крепости Шад-кермен)

თურქ მოგზაურს აქ საუბარი აქვს ყაბარდოელებზე, რომლებიც ჩერქეზებს შორის მხოლოდ ერთნი ითვლებიან ნამდვილად! (ჩერქეზთა თემა გამოწვლილვით განხილულია ზიხებში)

რეზიუმე: ალაროდთა ტომის კაშკაშა წარმომადგენელი,ყაბარდოელები-კერკეტები, ეს ანტიკური ბერძნული ლიტერატურის კენტავრთა ტომი გახლავთ. ისინი ცხოვრობდნენ ცენტრალურ საბერძნეთში, ოსასა და ოლიმპოს მთებთან. ამ ტომის მამაკაცები პირველები ამხედრდნენ ცხენზე, რის გამოც ტომს კენტავრთა სახელი დაენათლა. თვით არგონავტიკის ეპოქაში, ისინი პელაზგთა უახლოესი ნათესავის როლში გვევლინებიან: კენტავრი ქირონი აქილევსის მამამძუძუ იყო. საბერძნეთიდან ლაპითთა ბერძნული ტომის მიერ განდევნილები, გადასახლდნენ მცირე აზიაში. (ის, თუ რა მიზეზებით და მიზნებით ხვდებიან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, სცილდება წიგნის ფორმატს, თუმცა ცნობილია) მათი მოძრაობა ზღვის სანაპიროს გაყოლებით ჩრდილოეთისაკენ უკვე პირველ საუკუნეში სახეზეა. გადაადგილდებიან რა აზოვის ზღვის სანაპიროზე, შემოუვლიან მას და ხვდებიან ყირიმის ნახევარკუნძულზე. ორიოდ საუკუნეში ტოვებენ ყირიმს და კავკასიის მთიანეთში მკვიდრდებიან დურძუკების (ინგუშების) გვერდით, რომელთა ნაწილსაც თავადვე იერთებენ მცირე ყაბარდოს სახელით. განსხვავებით ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ზიხებისა, რომელთაც სახელი ჩერქეზი დაენათლათ, ისინი ყაბარდოელთა სახელს ინარჩუნებენ, რომელიც მათ ჯერ კიდევ ყირიმის ნახევარკუნძულზე მოხვედრეამდე (როგორც ირკვევა, უხსოვარი დროიდან) დაენათლათ. ტომი ყოველთვის კერპთაყვანისმცემელი იყო, ხოლო მუსულმანობა 1641 წელს მიიღო,

ახაიელები

გარკვეული ინფორმაციის მატარებელია დომინიკელი ბერის დ’ასკოლის ჩანაწერები ყირიმის ნახევარკუნძულის შესახებ, რომელიც წლების განმავლობა-ში ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას კაფაში (ფეოდოსიაში):
„თათრებს მართავს ოთხი მთავარი უფროსი, ე.ი.ხანი თავისი უმთავრესი სულტანებით, და სამი სხვა თათრის კნიაზი, კერძოდ: შირინ -ბეი, კრიმ -ბეი და მან-

კოლ-ბეი, რომელთა სამფლობელოებს და ხელქვეითებს ნიშნავს ხანი. ეს ბეები თხოულობენ ქვეშევრდომთაგან მოსავლის მეათედ ხარკს. აღწარმოება მთლიანად მათ ხელშია, ბეის წოდება მათთვის მემკვიდრეობითია, თუმცა ისინი ითვლებიან ხანის ვასალებად, ამიტომ რომელსაც კანონის ძალით შეუძლია დასაჯოს ისინი ფიზიკურადაც, ჩამოართვას მას საკუთრება და გადასცეს სხვას'' (დ'ასკოლი;შავი ზღვისა და თათრეთის აღწერა. <რუსულად>)

დომინიკელი ბერი, ეზიდიო დასკოლი (XVIIსაუკუნე) კარგად ჩანს გათვითცნობიერებული ყირიმის პოლიტიკურ თუ სოციოლოგიურ მოვლენებში. ამ ამონარიდიდან ჩვენთვის საინტერესოა შირინ-ბეითა პოლიტიკური თუ სოციალური სტატუსი. ხანისა და მისი ოჯახის წევრების შემდეგ ყირიმის პირველი სუზერენი, შირინები არც თათრული და არც ნოღაიური წარმოშობისა არ ჩანან. ყურადღების გარეშე ჩვენთვის საინტერესო ტომები არ რჩება თურქ მოგზაურს ევლია ჩელებისაც:

„რომ დაეცვა გარედან თავდასხმებისაგან, თათრების ხანს ებრძანა სახიფათო ადგილას დაეყენებინა ყარაული. მისმა ბრწყინვალება ხანმა ოთხივე მხრიდან მუსულმანური ლაშქარი დააყენა, გამორჩეული ყირიმის ლაშქრიდან მეომრები: ულუ-ნოღაი, კეჩი- ნოღაი, შაიდიკ-ნოღაი, შირინი, მანსური, მანკითი, ნაკშუვანი, ჯანიშკე, ბატი, ორი, ულანი, ბარდაკი, არსლანბეკის ტომი, ჩობანი, დავი,ნავრუზი. ყველა ისინი იდგნენ ყარაულში. (ევლია ჩელები; მოგზაურობათა წიგნი. ჩრდილო კავკასიის მიწები, ვოლგისპირეთი და დონისპირეთი. თავი-1-; 1979წ <რუსულად>)

ფაქტიურად ჩელები მთელი ყირიმის თათრულ (ვასალურ) ლაშქარს ჩამოთვლის, გარდა ჩამოსული ოსმალური ლაშქრისა. ჩვენთვის საინტერესოა ყირიმელთა ლაშქარის ჩამონათვალის ზოგიერთი რუსული ინტერპრეტაცია, რომელიც ამავე თავის N40 შენიშვნაშია მოცემული:

1.კეჩი- ნოღაი, მცირე ნოღაელი. დაფუძნებული ყაბარდოსა და აზოვს შორის, ნომინალურად თურქეთის სულთანის ხელქვეითი. დაუნათესავდნენ რიგ ჩერქეზ და ყაბარდოელ ტომის ბელადებს.

2. შირინი-პირველი იმ ოთხ თათრულ თემს შორის, რომლის სამხედრო-ფეოდალური კასტა, ყარაჩაი, განსაკუთრებულ როლს თამაშობდა არა მარტო ნოღაურ, არამედ ყირიმის თათრებშიც.

3.ნაკშუვანი, ჯანიშკე, ბატი, ორი-თათრული რაზმების სახელწოდება. ცნობილია, რომ ნაკშუვანი-თურქული სახელწოდებაა ყირიმის ნახიჩევანისა. კავკასიის ნახიჩევანიდან გამოქცეულებმა ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში დაარსეს დასახლება ჩეტირდაგის მთის ძირას. მე-18-ე საუკუნის 70-იან წლებში, სომეხმა ვაჭრები და ხელოსნები (განსაკუთრებით ცნობილი იყო ნა კშუვანის ბულ-

ატი) (12)გადასახლდნენ რუსულ სახელმწიფოში, დაფუძნდნენ მდინარე დონის შესართავთან. ამ დროს ეს რუსული ნახიჩევანი ითვლებოდა დონის როსტოვის ქალაქის ნაწილად. ჯანიშკე-თანამედროვე გენიჩესკი. ორი-პერეკოპი. ბატი-ალ-ბათ რაზმები, მოყვანილი დღევანდელი ნოვოროსიისკიდან . ტატებს ეძახდნენ ქრისტიანულ მოსახლეობას ტატის სანჯაყის ვილაიეთისა (მთიანი რაიონი სუ-დაკსა და ძველ ყირიმს შორის)-ბერძნები და სომხები,შეზღუდული თვითმმარ-თველობით. (იქვე-შენიშვნა N 40)

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი კომნტატორის აქ მოტანილი გან-მარტება არც ერთი სიმართლეს არ შეესაბამება:

1.დიდი ალბათობით, რუსი კომენტატორის მიერ მცირე ნოღაელად შერაცხუ-ლი ტომი კეჩი, ჩელების მიერ დღევანდელ სოჭის ტერიტორიასთან დაფიქსი-რებული კეჩი-ლართა ტომია., რომელიც ნომინალურად მართლაც ემორჩილე-ბოდა თურქეთის სულთანს. კეჩის ტომი საზაფხულო საძოვრებზე ნახირს ყუბ-ანისაკენ მიერეკებოდა და აქვე მომთაბარეობდა. ის რომ კეჩის ტომის ბელადი ჩერქეზ და ყაბარდოელ ბელადებს დაუნათესავდა, სრულიად რეალური ცნობა ჩანს:კეჩი-ჩელებისთან ჯერ კიდევ აფხაზ ტომად ითვლებოდა, თუმცა მისი უახ-ლოესი მემკვიდრეები უკვე ჩერქეზ თავადებად გვევლინებიან (13)

2.შირინების მიერ პრივილიგიების მოპოვების გარემოებაზე თავად ჩელები ამ-ომწურავად საუბრობს შემდეგ ეპიზოდში, ხოლო მათი შესაძლო ვინაობა-ზუს-ტად ამ თავის თემა გახლავთ.

3.ამ ორ ნაკშუვანს სახელწოდების გარდა არაფერი არ აკავშირებთ. დონის როს-ტოვთან დაარსებული ნახიჩევანი მართლაც წარმოადგენს მე-18-ე საუკუნის სო-მხურ ქალაქს, თუმცა პირველ ნაკშუვანს სულ სხვა ისტორია უდევს საფუძვლ-ად. ნახჩამატიანე- ჯერ კიდევ მე-7-ე საუკუნის ანონომი სომეხი გეოფრაფის მი-ერ მოხსენებული ტომია, აზოვის ზღვის სანაპიროზე. როგორც ირკვევა, ეს შავი ზღვის სანაპიროზე ანტიკური ეპოქიდან მცხოვრები ახაიელები არიან, რომელ-საც უკვე აზოვის ზღვის სანაპიროზე კასახიას სახელით აფიქსირებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენტი (იხ. ზემოთ) და რომელნიც ყველა ნიშნით XIII საუკუნეში ჩეტერდაგის მთის ძირას მართლაც აარსებენ ამ დასახე-ლების დასახლებულ პუნქტს.

4.ჯანიშკე-თანამედროვე გენიჩესკი; ამ დასახელების ქვეშ პირდაპირ იკითხება ჭანების (ლაზების) სახელი, რომელთა ბინადრობასაც ყირიმის ნახევარკუნძუ-ლზე არაერთგზის აღნიშნავს ევლია ჩელები.

5.ორი-პერეკოპი; ამ სიმაგრეს ჩელების სიტყვებით, თოფ-ზარბაზნებით შეიარა-ღებული ბერძნები (იკითხე ლაზები) იცავდნენ, რადგან ნოღაელი თოფ-ზარბ-აზნის ხმაზე ფრთხება და საერთოდ არ ეკარება მათ.

6.ტატები-ასე ეძახის ჩელები ქრისტიანულ მოსახლეობას, თუმცა იგი მათ აბსოლუტრ უმრავლესობას ლაზებად თვლის.
7.ბატი-ეს ყველა შემთხვევასი იმ ტერიტორიიდან მოყვანილი ჯარი ჩანს, რომელსაც მოგვიანებით ნოვოროსიისკი ეწოდა.

„ბეგლარ ბეიმ კაფისა, ბექირ-ფაშამ მოიყვანა ორმოც ათასამდე შერჩეული ჯარი ჩერკესისტანისა: შაგაკე, შანე, მამშუგი, ტაკაკუ, ბუზდუკი, ბოლოტკაი, ხატუკაი, ბესნეი, კაბარტაი, ტაუსტანი, დაღესტნის მმართველლისაგან, შამხალი სულტან-მახმუდისაგან ასევე შვიდი ათასი საზიდარი“ (იქვე)

ცხადია, საომარ მოქმედებებში ჩერკესისტანიდან მოწვეული რაზმები იღებენ მონაწილეობას.სავარაუდოდ, ზუსტად შაგაკეს რაზმი უნდა იყოს მოხსენებული ბატის სახელით. შირინების წარმომავლობისა და მათ მიერ პრივილიგიების მოპოვება ყირიმის ნახევარკუნძულზე ხატოვნად აღწერილი აქვს იმავე ჩელების:

„შირინების ბეები ხანის ქალიშვილების ნაშიერები არიან, რის გამოც ისინიც ჩინგიზიდების (ჩინგიზ ხანის შთამომავლები) გვარს მიეკუთვნებიან. შირინელი ბეი ხანებზე (ყირიმელ ხანებზე) უფრო ადრე იყო ყირიმის მფლობელი, იმიტომ რომ სანამ ჯოჩიმ (ჩინგიზ ხანის უფროსი შვილი, რუსეთის დამპყრობი) ყირიმის დამორჩილება დაიწყო, პირველი რომელი ყირიმში ხმლით შემოიჭრა და დაიპყრო, იყო შირინ- ბეების წინაპარი. ზუსტად მაშინ ჯოჩი გირეი ხანმა მისცა თავისი ქალიშვილი ცოლად ამ რაინდს და ამ წესის მიხედვით ჯოჩი ხანისა, ყველა ხანები ყირიმისა ამ დრომდე ათხოვებენ თავიანთ ქალიშვილებს შირინთა ბეებზე. ამიტომაც შირინები ითვლებიან ხანის ნათესავებად. <u>შირინების ამ ბეის სამასი კეთილშობილი მირზა-ეს ტომი ყველა მისი ჯიშია, ცხოვრობენ ისინი ნახშუვანის ოლქში, ჩეტირდაგის მთის ძირას“</u>(იქვე, მოგზაურობათა წიგნი; ნაწილი 4, განყოფილება 2, ყირიმის წესების შესახებ. 1996 წელი <რუსულად>)

როგორც ჩელების ამონარიდიდან მტკიცდება, შირინები თათრები (მით უმეტეს ნოღაელები) არ არიან. ისინი შემოუძღვნენ მონღოლებს ყირიმში, მათი არმიის პირველმეომრები იყვნენ. რასაკვირველია, ისინი ყირიმის გარედან შემოუძღვნენ მონღოლებს და ყირიმის დაპყრობის მომენტისათვის ნახევარკუნძულს გარეთ მცხოვრებნი ჩანან. ამავე ვერსიას ამტკიცებს ჩანაწერები ბარონი ტოტტისა, უნგრელი წარმოშობის ფრანგი დიპლომატისა, რომელიც წლების განმავლობაში ასრულებდა საფრანგეთის მთავრობის კონსულის მოვალეობას ყირიმში:

„ხანის ოჯახის წევრები თავს თვლიან ჩინგიზ-ხანის პირდაპირ შთამომავლებად. ხუთი სხვა ოჯახი თვლის თავს სხვა ხუთი ხანის შთამომავლებად, რომ-

ლებიც ჩინგიზ-ხანს ნებაყოფილებით დაემორჩილნენ. მათი გვარები შემდეგია: შირინი, მანსური, სეჯედი, არგინი და ბარუნი. ჩინგიზ- ხანის გვარის წევრები ყოველთვის იკავებენ ხანი-სუზერენის ტახტს, ხუთი დანარჩენი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს დიდ ვასალებს" (ბარონი ტოტტის მოღვაწეობა კონსულის რანგში ყირიმში 1767 წელს <რუსულად>)

შეიძლება ითქვას, რომ თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების ვერსია შირინების წარმომავლობის შესახებ, ასი წლის გვიანდელი წყაროებით აბსოლუტურად მტკიცდება. ჩელების მიხედვთ, შირინ-ბეები აღშფოთდნენ ყირიმის ახალი ხანის მიერ დამატებით გადასახადის დანიშნვის გამო და თავიანთი უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატეს, რომელმაც ამბოხის ელფერი მიიღო. ყირიმის ხანმა საკუთარი გადაწყვეტილებები ახალი გადასახადების შემოღების შესახებ უკან წაიღო. შირინებმა ჩათვალეს რომ შეძლეს ახალი ხანის დაფრთხობა, რომ ის სუსტი მმართველია:

„ჩქარმა როგორც ქარი, შირინის თათრები რაოდენობით ორმოცი ათასი კაცი შეიყარნენ მთა აკაიასთან, რომელიც განლაგებულია არცთუ შორს კარასუდან, მოითათბირეს და გადაწყვიტეს რომ დაარტყამენ ბახჩისარაის და მოკლავენ ხანს, კალკას, ვიზირს ისლამ-აღას" (ევლია ჩელები; წიგნი მოგზაურობათა; თათრების ჯანყი ჩაგვრის წინააღმდეგ, ნაწილი-5 , პუბლიკაცია 1996 წელი)

ხანმა შეიტყო აჯანყების შესახებ და სამხედრო ძალით მომზადებული დახვდა მას. შირინ-ბეებმა ღია დაპირისპირება ვერ გაბედეს და დაიშალნენ. ამის შემდგომ, ხანმა მოსკოვის წინააღმდეგ საომრად აწვია შირინ-ბეები მათი ლაშქრით:

„როცა შირინების ამ ჯიუტ ლაშქართან მივიდნენ მოციქულები, რომ ისინი შეერთებოდნენ ალაჰის მოციქულთა სახელით მოსკოვზე ლაშქრობას, ამ ამბის მიმტანი მოციქულები გალახეს და განდევნეს. შირინები არ მოვიდნენ, არ დაემორჩილნენ ალაჰის მოციქულის კანონებს... პატივცემულმა ხანმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, რომ შირინების ლაშქარი გასაწყვეტია, გამართა ალაჰის მოციქულის ალმები და გამოვიდა ბახჩისარაიდან სალაშქროდ... სადგომი ქალაქ ალ მარჯიტში, მეორე სადგომი ქალაქ კარასუში, მერე ხუთი საათის მოძრაობა კიბლისაკენ (და) ნახშუვანის ოლქი ანუ ქვეყანა შირინებისა. როდესაც შირინებმა ნახეს, რომ მათ საზღვართან მოვიდა ამდენი ათასი მძლავრი მეომარი, ისინი გაიქცნენ, სამას თათარ კალმიკთან ერთად, რომლებიც მუსულმანებია და ცხოვრობენ ყირიმში და სამას თავიანთ ცხენოსან თათართან ერთად, გაორმაგებულ-ჩლიქანი ცხენებით (14) ყველა შირინ-ბეიმ, მუჰამედ გირეი-ხანის მსგავსად, მიატოვეს თავიანთი ნათესავები, ახლობლები და ქონება, არჩევანი გააკეთეს რა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის, გაიქცნენ ყირიმის ნახევარკუნძულიდან, არაბატის ფონის გავლით, რომელიც სიმაგრე ჯანიშკეს ახლოს მდებარეობს. ამ ფონით

გაქცევის დროს ბევრი კალმიკი და ბევრი ყარაჩი დაიხრჩო, მაგრამ თვითონ შირინებმა თავიანთი სიცოცხლე დაიცვეს გაქცევით . როდესაც ამის შესახებ ცნობა ხანთან მოვიდა, მან შირინების დასადევნებლად გააგზავნა მათი მძლავრი მტრები მანსურლი და სამი ათასი ყარაჩი , მძლავრი გოლიათები და ყოჩაღები. ისინი გადავიდნენ სასიკლიკის ფონით. ხაიხეტის სტეპში მანსურლი მისდევდა თავის საშველად გაქცეულ შირინებს, დაეწია სამას კალმიკს და ყველანი ამოხოცა. მაგრამ შირინები მხედრებთან ერთად, რომლებიც მოდიოდნენ მშვენიერ ცხენებზე ჩიტის ფრთებით, მიაღწიეს სიმაგრე აზოვს და თხოვეს თავშესაფარი სულეიმან ფაშას და მონლაგლი ფაშას, მაგრამ მათ დაკარგეს მთელი ქონება, დარჩნენ თითო ცხენის ამარა. ჩობან გირეი ხანმა ყველა შირინს დაატოვებინა ნათესავები და ახლობლები. შირინებმა ვერ შეძლეს აზოვის ციხე-სიმაგრეებში გაჩერება. უზენაესმა ღმერთმა აიძულა ისინი გაქცეულიყვნენ დაღესტანში, ყოფილ ხანთან, მუჰამედ გირეისთან. შირინ ბეების მდევარი მანსურლუ ჩობან გირეისთან მოვიდა და აცნობა, რომ შირინები აზოვის ციხე-სიმაგრეში ვერ ჩერდებიან და იქიდან დაღესტანში გარბიან. ხანმა მაშინვე ბრძანა გაელაშქრათ ყარა-სუს სტეპებზე და ნახშუვანის თემში არსებული მთელი ქონებისა და პროდუქტების კონფისკაცია მოეხდინათ. ასევე მან მოლაშქრეებს ხალხის ძარცვისა და აკლების, მათი ბაღების, ვენახების, სახლების, მიწის, ჯოგების მსახურების დასაკუთრების ნება დართო, რითაც ყირიმის ხალხი ძალიან გამდიდრდა“. (ევლია ჩელები. „ყირიმის ხალხი და მიმდებარე რაიონები“).

ჩელები სავარაუდოდ სწორად აღწერს შირინ-ბეების ქონების გატაცებას და იავარქმნას, რომელიც ჩელების მიხედვით 1667 წელს მოხდა. ყირიმის ხანმა მკაცრად და სამაგალითოდ დასაჯა ყირიმელი შირინ-ბეები. თუმცა მათი კვალი ამ დარბევით ყირიმში საბოლოოდ არ დაკარგულა: 1784 წელს, ყირიმის რუსეთის იმპერიაში გადასვლასთან დაკავშირებით, დედოფალ ეკატერინეს განკარგულებით ჩატარებულ იქნა ამ უკანასკნელის კამერალური აღწერა:

ამ პერიოდის მონაცემების მიხედვით, შირინთა თაობა სულ 30 ოჯახით არის წარმოგენილი (ყირიმის კამერალური აღწერა 1784 წ, ნაწილი -6- <რუსულად>

ყირიმიდან შირინ-ბეების ლტოლვიდან მთელი 130 წლის შემდეგაც კი, შირინთა მოდგმა სულ 30 ოჯახით (ჩელებისეული მირზა) არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ჩელების ეპოქისათვის მათი რაოდენობა ათჯერ მეტი იყო დაფიქსირებული. მართალია ყირიმის ხანის მიერ შირინთა მოდგმა სასტიკად გაჩანაგებული და დარბეული ჩანს, მაგრამ შირინებმა შესძლეს წელში გამართვა: სავარაუდოდ მათ სხვადახვა მეთოდებით შეძლეს ცოლ-შვილი წამოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გამრავლება და თვით სახელის შენარჩუნებაც კი შეუძლებელი იქნებოდა. სამართლიანია დაისვას კითხვა, რამდენად სარწმუნოა ვერსია, რომ რომ რომაული წყაროების ახაია, მდებარე ტუაფსეს მახლობლად,

სომხური ანონიმიური გეოგრაფიის ნახჩამატელები და ევლია ჩელებისეული ნაკშუვანელი შირინ -ბეები ერთი და იმავე ხალხია?

„პ.პალასი წერდა, რომ შირინები, ყველაზე მძლავრი ყირიმული ტომი, რომელსაც ჰქონდა რეზიდენცია ყარასუ ბაზარში, ხოლო მათი სამფლობელო გადაჭიმული იყო ქერჩის ნახევარკუნძულამდე (pallas.p.s. observations…..ტ-2, გვ-308)

სავარაუდოა, რომ მასალა ევლია ჩელების ნაწარმოებიდან არის ამოკრეფილი, რამეთუ ამ უკანასკნელის მიხედვით ქალაქი კარასუ, რომელიც მდებარეობდა 40 კმ-ზე სიმფეროპოლიდან ჩრდილო -აღმოსავლეთით, ეკუთვნოდათ შირინებს და მათი სამფლობელო აღწევდა სივაშამდე ყირიმის ჩრდილოეთით **(იქვე, გვ-130-131)** ფ.რემიმ დაწერა, რომ შირინები ცხოვრობდნენ მთა აკაიას გარშემო, 6 კმ-ით ჩრდილოეთით ქალაქ კარასუდან.

Remu.F. Die Krim of etnographisher Landschaftlicher beriehung Odessai-Leipzig 1872, s-189 (ევლია ჩელები; მოგზაურობათა წიგნი, პუბლიკაცია 1996 წელი. შენიშვნა N290)

„ჰაჯი გირეი და კრიმ გირეი გავაგზავნე მე, რომ გარემოიცვან კაფა და წყალი შეუწყვიტონ, მე თვითონ აკაიას მთასთან მივდივარ-უპასუხა მათ ხანმა“ (იქვე, ნაწილი მეოთხე, მესამე განყოფოლება)

სხვა მტკიცებულების მოძიება ალბათ ზედმეტიცაა: ტუაფსედან ყირიმის ნახევარკუნძულამდე (აზოვის ზღვის შემოვლით)გადასულ ახაიელებს საკუთარი სატომო სახელი მთისათვის დაურქმევიათ (სავარაუდოდ ვაინახები ამ მთას ახაიას უწოდებდნენ) და რომლის ირგვლივაც დასახლებულან.(15) არ იკარგება ყირიმიდან ლტოლვილი ნაკშუვანელი შირინების კვალი კავკასიაშიც:

„მთებში, არც თუ ისე შორს ვედენოდან, ცხოვრობდა დევგმირი ნოხჩე, რომელსაც ყავდა ოცი შვილი, ისეთივე მაგარი და მძლავრი, როგორიც თვითონვე იყო. როცა ნოხჩე დაბერდა, მაშინ მისი შთამომავლობა, მისი შვილები და შვილიშვილები, აღმოჩნდნენ იმდენად დიდი, რომ შეტაკებებისა და უკმაყოფილების გამორიცხვის მიზნით, მან ურჩია თავის შვილებს რომ გაფანტულიყვნენ საცხოვრებლად მთებში, არა უახლოეს ერთი დღის სავალისა ერთმანეთისაგან...გაყოფილნი ოც ცალკეულ ოჯახად, ნოხჩეს შვილებმა თავიანთ დასახლების ადგილს დაარქვეს თავიანთი სახელი და იმ დროიდან ჩამოყალიბდა საზოგადოება დღეისთვის ჩვენთვის ცნობილი:იჩქერია, აუხი, ჩიბირლი, <u>შუბუტი</u>, შატო, <u>ზუმსო, ქისტი</u>, ცორი, <u>გალაში, ღალღაი,</u> ჯარახი და <u>ინგუში</u>....როცა თერგამდე თავიანთი მოახლოების კვალობაზე, ისინი ცნობილი გახდნენ თავიანთი მტაცებლობით და ძარცვით, მაშინ ყიზლარის და მოზდოკის სომხებმა მათ დაანათლეს [<u>ჩეჩენი</u>] რაც მათ ენაზე ნიშნავს ავაზაკს, ბანდიტს. ჩვენ გადავარქვით სახელი ნოხჩეს შთამომავალთ ჩეჩნებად, დავარქვით რა თერგს იქითა ნაწილს ჩეჩნეთი. ... ასეთია აზრი, თუმცა დამყარებული მოხუცთა ნაანბობზე, მაგრამ იმსახურ-

ებს დაჯერებას, მით უმეტეს ჩეჩნეთის ახლანდელი მცხოვრებნი საკუთარ თავს ჩეჩენს არ უწოდებენდა როგორღაც ერცხვინებათ კიდეც ეს სახელი. (16) ისინი უწოდებენ საკუთარ თავს თავიანთი მამათმთავარის ნოხჩეს მიხედვით, ან მათი შთამომავალის მიხედვით'' (ოლშანსკი მ.ი; კავკსია 1841 -1866 წელი განყოფილება 4 <რუსულად>)

რუსი გენერლის მოგონებების ეს ნაწყვეტი იმ ეპოქის ვერსიებს და რეალობას გამოსახავს, თუმცა სამართლიანია დაისვას შეკითხვა, თუ საიდან გაჩნდა ვეინახი ხალხის ეთნარქი, დევგმირი ნოხჩე კავკასიის მთებში?

„სპარსელები უწოდებენ ამ მაღალ მთებს კუხ- ალბორზს, იმიტომ რომ ამ მაღალი მთების კალთებქვეშ დასახლდნენ მთიელები ბორზის ტომიდან" (ევლია ჩელები, წიგნი მოგზაურობათა; მიწები ჩრდილო კავკასიისა, ვოლგისპირეთისა და დონისპირეთისა, თავი -3- უდიდესი ქვეყანა ტაუსტანისა <რუსულად>)

ჩვენის მხრიდან დავუმატებთ, რომ ჩელების მიერ დასახელებული ეს და-სახლებული პუნქტი ახლაც ადვილად იძებნება თანამედროვე 20 კილომეტრიან რუკაზე: ის რესპუბლიკა იჩკერიის ითუმ -კალეს რაიონის დასახლებული პუქტია! ბორზ-ვეინახურ ენაზე მგელს ნიშნავს, და ეს სიტყვა სავარაუდო შეძენილი უჩანს დანხვდურ ტომთაგან, რომელთა დიდი რაოდენობა ვეინახურმა ეთნოსმა გაიწოვა. თავად გენერლის მიერ ნახსენები დევგმირი ნოხჩე, ვეინახი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში დალექილი ცნობა ჩანს მათი წინარე სამშობ-ლოს, ყირიმის ნახშუვანის შესახებ (ახაია, სახელი).

ვეინახი ხალხი საკუთარ თავს ნახჩოს ეძახის, მის კოლექტიურ მეხსიერებაში ინახება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარკვეული ხანი ქართველების გვერდით იცხოვრეს, რომ მათი საგვარეულო სპილენძის ქვაბი ინახება ყირიმში, რომელიც გამოკვერილია თითოეული ვეინახური ტაეპის მოტანილი სპილენძის ნაჭრისაგან, რომელზედაც ტაეპის სახელია ამოტვიფრული... და ნამდვილი ვეინახი, ნახჩო ისაა, ვისი ტაეპის სახელი ამ ქვაბზე აღმოჩნდება ამოტვიფრული!...რასაკვირვილია ჭეშმარიტია ჩანს დებულება, რომ ვეინახები ახაიელების, ნახჩამატიანელების და შირინ-ბეების პირდაპირი შთამომავლები არიან, ყირიმიდან ლტოლვილები და კავკასიის მთიანეთში დასახლებული XVII საუკუნის მესამე მეოთხედში, უფრო ზუსტად-1667 წელს...

„ოსების მეზობლად და მათგან აღმოსავლეთით დასახლდა ჩეჩნეთის ტომი, შემოსაზღვრილი: ჩრდილოეთიდან მცირე ყაბარდოთი, მდინარე სუნჯით და კუმიკური სამფლობელოებით. აღმოსავლეთით ამავე სამფლობელოებით, მოულოდნელი წინაღობით და მდინარე აგტაშით, გამომყოფი ჩეჩნეთისა დაღესტანის ს ალატაუსაგან. სამხრეთით სულაყ-თერგის წყალგამყოფი ქედი გამოყოფს ჩეჩნეთს მთიანი დაღესტანისაგან, ხოლო შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურთა ოლქები და ოსური საზოგადოება დარიალის სიმაგრემდე. დასავლეთის საზღვარი ჩეჩ-

ნეთისა მდინარე თერგი იყო. (დუბროვინი ნ. ი. ომების ისტორია და რუსეთის სამფლობელოები კავკასიაში; წიგნი-1- ჩეჩნები, გვ-368, 1871 წ <რუსულად>)

საკუთარ ნაწარმოებში გენერალი დუბროვინი ხაზს უსვამს, რომ ჩეჩნები მისი სიტყვებით აღმოცენებული იჩქერიის მთებიდან, თავიდან მშვიდობიანი მიწათმოქმედი ტომი იყო, რომელსაც თავდაცვის უზრუნველყოფაც კი არ შეეძლო და ამ მიზნით მოიწვია მეზობელი გავლენიანი თავადი ტურლოევი, თუმცა მისივე სიტყვებით, მოძლიერებისთანვე მათ ტურლოევი გარიყეს... რომ არაფერი ვთქვათ ვეინახთა დამოუკიდებელ ხასიათზე და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე ყირიმში, შეუძლებელია ამ მრავალ ჭირნახულ ტომს თავდაცვის უნარიანობის თვისებების არქონა შესწამო: ყირიმიდან სასტიკ დევნას თავდაღწეულ ხალხს თავდაცვის უნარიანობის მეზობლებისაგან შეთვისება ნამდვილად არ სჭირდება! ახალჩამოსახლებული ტომის მიერ ტერიტორიების ათვისებამდე გავლენიანი მფარველის მოძიება, თავადი ტურლოევებისა და გენერალ დუბროვინის მიერ შეფასებული იქნა, როგორც ახალი ბატონების ძიება, რაც თავად ყირიმში ბატონყოფილი შირინებისათვის ადრე თუ გვიან მიუღებელი აღმოჩნდებოდა და აღმოჩნდა კიდეც.

„მიწის სივრცე, შემოსაზღვრული მდინარე სუნჯით, მდინარე არგუნით, გუდერმესით და ასით, დაკავებულია სუნჯელი ჩეჩნებით, რომელიც მდინარე გოიტით გაყოფილია ორ ნაწილად: სივრცე, რომელიც მარცხენა მხარეზე დევს, ატარებს მცირე ჩეჩნეთის სახელს, ხოლო მარჯვენა მხარე დიდი ჩეჩნეთისა. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შედის მიჩიკოველები, მცხოვრები მდინარე მიჩიკის ორსავე მხარეზე“ (იქვე, გვ 368)

რასაკვირველია მთელი ეს ტერიტორიები ჩელებისეული უდიდესი ქვეყნის, ტაუსტანის (დურძუკეთის) ნაწილია, რამეთუ ჩელების აღწერის პერიოდისათვის ნახჩოთა ტომი ყირიმში ცხოვრობს და თითქმის მის ნახევარს აკონტროლებს.

„ნახჩოს სახელით იცნობენ ყაბარდოელები ჩეჩნებს, მათ ყველა დანარჩენი ხალხი ეძახის ისევე როგორც ჩვენ ჩეჩნებს, გამოყავთ რა ეს სიტყვა უკვე არ არსებული ამ დროისათვის აულის, დიდი ჩეჩენის სახელის მიხედვით“ (იქვე, გვ 369)

განსხვავებით სხვებისაგან, ამ ხალხს ყაბარდოელი ნახჩოს ეძახის და მიზეზიც ზედაპირზევე დევს: ყაბარდოელებმა კარგად იციან ამ ტომის ისტორია, ისინი მათ გვერდზე ცხოვრობდნენ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, მათთანვე ერთად გადაადგილდებოდნენ ტამანზე, აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ, ამავე ზღვის დასავლეთ სანაპიროსაკენ. მხოლოდ ყირიმში მოხვედრისას ჩანს მათი გზები გაყოფილი. უცნობია, ერთდროულად შეაღწევს ეს ტომი ყირიმში თუ ცალ-ცალკე, თუმცა ყაბარდოელთა ტომი ნახჩოთა ტომზე ადრე

ტოვებს მას და მათზე ადრევე მკვიდრდება ჩრდილო კავკასიაში (ყოფილი სერ-ირის სამეფოს ტერიტორიაზე) დაახლოებით ოთხი საუკუნით გვიან, ტომი რომელსაც მათ გვერდით და მათივე მსგავსად უცხოვრია საუკუნეების მანძილ-ზე, აქვე დაუმეზობლდა მათ! ცხადია ყაბარდოელი ფაქტიურად მსოფლიოში ყველაზე კარგად იცნობს ნახჩოს!

„მტაცებელი კუმიკები გავრცელებული კასპიის ზღვიდან მდინარეებზე სულა-ყსა და აკსაიზე, სხვებზე ადრე შეხვდნენ ჩეჩნებს. ეს შეტაკება მოხდა მდინარე მიჩიკზე, ამიტომაც შეარქვეს ახალ მოვლენილ ტომს კუმიკებმა მიჩიკიტი, რომ-ელი სახელითაც დღევანდელ დღესაც უხმობენ“ (იქვე, გვ-370)

თუ შევადარებთ ჩეჩნების დაყოფის დუბროვინისეულ სქემას, მდინარე გოიტის მიერ გაყოფილი ერთი ნაწილი, დიდი ჩეჩნებია კუმიკთა მიერ წოდებუ-ლი მიჩიკიტებად.

„არცთუ ისე ადრე მოხუცი ტუზემცები ლაპარაკობდნენ, რომ ჩეჩენი ხალხი გამოვიდა იჩკერიის მთიდან ორი მთელი ერთი მეოთხედი საუკუნის წინ“(იქვე, გვ-369)

მარტივი არითმეტიკული გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ მოხუცი „ტუ-ზემცების“ ნაამბობი იჩქერიის მთებიდან გამოსვლის შესახებ შესახებ დროში აბსოლუტურად ემთხვევა შირინ-ბეების ლტოლვას ყირიმიდან.

„ძნელია განსაზღვრო, როდის მიიღეს ჩეჩნებმა მუსულმანური რელიგია, მაგ-რამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ხალხის სხვადასხვა თემმა მიიღო ეს რელიგი ერთდროულად, ყოველ შემთხვევაში ისლამი გაბატონდა არა უად-რეს წინა საუკუნის დასაწყისისა. ერთმა უმნიშვნელოვანესმა თოხუმმა ანუ ჩეჩ-ნურმა გვარმა მუსლიმანური რელიგია მიიღო დაახლოებით ასი წლის წინათ. ეს თოხუმი ცნობილია გუნოს სახელით, და უკანასკნელის წინა თაობა ჯერ კი-დევ იცავდა ქრისტიანულ წესებს არა უგვიანეს 60 წლის უკან. -არ დავმალავ შე-ნგან, ეუბნება ჩეჩენი ზაური მაიორ ვლასოვს, რომ მე ზუსტად ვიცი, რომ ჩემი მეშვიდე წინაპარი ჭამდა ღორის ხორცს. მე არ მახსოვს ჯვრები, მაგრამ გამიგო-ნია, რომ ჩვენ რაღაც სხვა სარწმუნოებისა ვიყავით, მაგრამ რომლისა არ ვიცი” (იქვე , გვ383-384)

ცხადია, ზაურის ქრისტიანი წინაპარი ვერ იქნებოდა ნამდვილი ნახჩო, შირინ-ბეების შთამომავალი, რადგან ეს უკანასკნელები დიდი ხნის მუსულმა-ნები ჩანან, მინიმუმ მონღოლი მეომრების მიერ ყირიმის დაპყრობის ეპოქიდან. მართალია დუბროვინი არ განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა წარმომავ-ლობის ჩეჩენს და მათ ყველას ნახჩოს სახელით მოიხსენიებს, რეალობა სულ სხვა მიმართულებას გვაჩვენებს:

„ნაზრანელები, ანუ ინგუშები, ქისტები, ღლიღვები, ცორი და ჯარახი მიეკუთვ-ნებიან შერეულ რელიგიას. დიდი ნაწილი ამ ხალხებისა გარეგნულად მართლ-

მადიდებელი სარწმუნოებისაა, სხვები მაჰმადიანები და მესამენი სრულიად კე-რპთაყვანისმცემლები“ (იქვე, გვ-384)

მკითხველს შევახსენებთ, რომ ნაზრანელები ანუ ინგუშები, ქართულ ისტორიაში მივიწყებული დურძუკთა ტომია , რომელთა ენა გელურია, ხოლო ევლია ჩელების მიხედვით ქართულის მსგავსი! რაც შეეხება ჯარახს, ის ქართველთათვის ლალა-ფაშა ოზდემირის ძის მიერ წართმეული პირიქითა ჭარის ნაწილი ჩანს, რომლის ერთი ნაწილი ვახუშტის სიტყვებით ლევან კახეთის მეფეს მიეკედლა და ბელაქანს გვერდით დაარსა ახალი ჭარი. რაც შეხება დუბროვინისეულ ცორებს, აქ აშკარად იკითხება ჩორელებiს, დარიალის უღელტეხილის მცველი მოხევეების სახელი...ქართველური ჩანს აგრეთვე ქისტური და ღლიღვური ტომები, რომელთაც საკუთარი სალაპარაკო ენა შირინ-ბეების მოსვლამ დეც გააჩნდათ და ქრისტიანულ სარწმუნოებასაც მისდევენ:

„იცავენ რა რამდენიმე ქრისტიანულ კანონს, ინგუშები, ქისტები და ღლიღვები ახალ წელს ზეიმობენ ჩვენზე სამი დღით ადრე“ (იქვე , გვ-385)

ღლიღვებს საკუთარი საყდარიც კი აქვთ, არა მეჩეთი (იქვე , გვ-387)

განსხვავებულია ჯარახელების, ქისტების, ღლიღვების, ცორების და მერეჯინელების, რომლებიც შეადგენენ ინგუშების ოლქს, საცხოვრებლები- ეს ძირითადად ქვის კოშკებია, ქვის წყობით, ცემენტის გარეშე და აქვს რამდენიმე იარუსი. ისევე როგორც წარსულის სვანეთში, ოჯახი იკავებს ზედა სართულებს, მაშინ როდესაც საქონელი დაბინავებულია ქვედა სართულზე. სულ სხვა ტიპისა ჩანს ჩეჩნური აულები, რომელიც სივრცეშია გადაჭიმული რამდენიმე კილომეტრზეც კი და ყველა სახლი ხისაა. გარდა ზემოხსენებული დურძუკებისა, მთელმა რიგმა ტაეპებისამ იცის საკუთარი არა ვეინახური წარმოშობის შესახებ, თვით დუბროვინის ეპოქაშიც:

„ასე მაგალითად, გვარი ზუმსოი საკუთარ თავს ქართველურ წარმოშობისად თვლიდა, კელოი-თუშურად; ვარანდინის გვარის ფუძემდებელი-ხევსურული წარმოშობისა'' (იქვე , გვ-373)

რეზიუმე:) ახაიელების (ვეინახების) გამოვლილი გზა და ასპარეზი თითქმის იდენტურია კერკეტებისა. ახაიელები, ისევე როგორც კერკეტები, ერთს და იმავე დროს და გამოჩნდნენ (მათი ჩამოსახლების მიზეზი და მიზანი ასევე ცდება წიგნის ფორმატს) ქართველური ტომის ჰენიოხების მამულების გაგრძელებაზე იკავებენ ადგილს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. ამავე სანაპიროზე ილირიული ტომების, ზიხების მომრავლების კვალდაკვალ მოძრაობენ დასავლეთის მიმართულებით, იკავებენ ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილს. აგრძელებენ მოძრაობას აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებით, შემდეგ ამავე ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. ყირიმის ნახევარკუნძულის მონღოლე-

ბის დაპყრობის კვალდაკვალ, ყირიმის ხანის შემდეგ უმაღლეს იერარქიულ საფეხურს იკავებენ. ყირიმის ხანთან უშუალო უთანხმოების გამო, შირინებად სახელდებულებმა სასტიკი დევნის გამო დატოვეს ნახევარკუნძული და თავს გაქცევით უშველეს 1667წელს. დამკვიდრნენ ჩრდილო კავკასიაში, მათი უძველესი მეზობლების, და მტერ-მოყვარეების, კერკეტ-ყაბარდოელების გვერდით. ტომი უახლოესი ნათესავია ქართული, იბერიული ტომისა...

შენიშვნები

1.პაფლაგონიელთა, სინოპას მიმდებარედ მცხოვრებ ტომთა მეფე კორილაზე და მათ კავალერიას აღნიშნავს ქსენოფონტე, 400 წ. ქრისტემდე.

2.მარების, მარდების, მარგების და მიდიის შესახებ იხ. თემაში „აბზოის ტომი“

3.ჰერმონესა, სინდიკის ნასადგური და მეოტიდა

4.ტმუტარაკანის სამთავრო, რომელიც სლავებმა ომით მოიპოვეს, კონსტანტინე პორფიროგენტის მიხედვით ზიხების კუთვნილი მიწაა, შანების ტომისა, თუმცა ის ნომინალურად ხაზარეთის ხელდებულ სამეფოდ იწოდებოდა, ქართული წყაროების „მცირე ხაზარეთი“

5. ყაბარდოელებს ევლია ჩელები ნამდვილ ჩერქეზებს-კერკეტებს უწოდებს და ასეც არის...ისინი მდინარე ყუბანს ჩრდილოეთით გადავიდნენ, შესაბამისად ჩერქეზები მხოლოდ ყუბანს ჩრდილოეთით ცხოვრობენ...

6.ფრანგები და გენუელები მეგობრულად ცხოვრობდნენ იქ ... ციტატა უფრო დამაფიქრებელია, ვიდრე გასაგები...შევეცდებით, წიგნის მომდევნო ტომში ავხსნათ ეს ქარაგმა...

7.ეკლესია კამარის პირდაპირ-აქ დანამდვილებით კამანის ეკლესია იგულისხმება, რომელიც თურმე XI საუკუნეს უკვე აესებული იყო...

8.თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ 1665 წელს იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამავე მოგზაურობისას, მის მიერ დაფიქსირებულია რომ ყაბარდოელები უკვე 25 წელია მუსულმანები არიან. შესაბამისად ყაბარდოელთა გამუსლიმანების თარიღი 1641 წელია.

9.სავარაუდოდ, „ფრანკებისაგან“გამდგარი ტომი ბესლანები უნდა იყვნენ, რომლის ყაბარდოელებზე თუ ჩერქეზებზე მიკუთვნებულობის შესახებ იმავე რუს ავტორებში ერთი აზრი არ არსებობს. რაც შეეხება თავად „ფრანკთა'' ტომობრივ მიკუთვნებულობას, ის ჩრდილოეთ კავკასიაში ადრე მცხოვრები ზიხები ჩანან, მათ აქ ადრე ცხოვრებას აღნიშნავს როგორც ფრანგი მოგზაური, აგრეთვე ბატონიშვილი ვახუშტი.

10.იოსაფატ ბარბარო ტანაში მსახურობისას, შეიარაღებული ოცეულით ჩერქეზების ასულს შეეჯახა და აოტეს...ერთმა თათარმა სრულიად მარტომ გააგრძელა დევნა, თუმცა ვერ დაეწია...იმავე ციკლში ჩერქეზებზე-ზიხყოფილების აღწერისას, თავად თათრები ყვებიან, რომ 20 თათარს შანსი არა აქვს ათ ჩერქეზთან შეჯახებისას, ჩერქეზები უბრალოდ აჩეხავენ კიტრივით...ასევე ათ ჩერქეზთან შანსი არა აქვს 30 ბუჯაკს-ნოღაელს...ნამდვილად არ და ვერ გვანან ტანასთან ოტებული ჩერქეზები ზიხყოფილებს...

11. კერკეტთა მიერ აზოვის ზღვის გარშემოსვლის ფაქტი ნაჩვენებია უტყუარი ცნობებით ანონიმისა, კონსტანტინე პორფიროგენტისა და პატალოტის ცნობე-

ბის საფუძველზე.
12. ნახშუვანის ცნობილი ფოლადი მხოლოდ ყირიმული შესაძლოა ყოფილიყო, შირინ ბეების ქვეშევრდომთა გამოჭედილი. ინფორმაცია ცნობილ სომხურ ფოლადზე ბუნებაში არ არსებობს.
13.არცთუ ისე შორეულ წარსულში ადგილი ჰქონდა ასეთ ცნობილ ისტორიას: ჟანდარმერიისაგან დევნილი იოსებ ჯუღაშვილი ყუბანში მივიდა მწყემსებთან. საჭირო იყო მისი სასწრაფოდ ყუბანის მეორე სანაპიროზე გარიდება, თუმცა ადიდებული მდინარე გადაულახავი დაბრკოლება ჩანდა...მწყემსმა ჯარნაზ არქანიამ ორი ხარი რქებით გადააბა ერთმანეთზე, ხოლო იოსებ ჯუღაშვილმა კუდებში მაგრად ჩაავლო ხელი. ჯარნაზის შოლტით შეხურებული ხარები შეიჭრნენ მდინარის ტალღებში და ახალგაზრდა რევოლუციონერი მეორე ნაპირზე გაიყვანეს. არავის, არსად და არასდროს აზრად არ მოსვლია თუ რა მიზეზით მოხვდა ჯვარელი მეჯოგე საკუთარი ჯოგით ყუბანში...
14.აქ თურქი მოგზაური ხატოვნად მიუთითებს შირინთა ცხენების საუკეთესო ხარისხზე. ჩელები საკუთრ ნაწერებში მიუთითებს ცხენებზე, რომელიც შექმნა ალლაჰმა და ის რამდენიმე ნიშნით გამოირჩევა ჩვეულებრივი ცხენისაგან: ის სხვა ფერისაა, გაყოფილი ჩლიქები აქვს და ზურგზე, ბეჭებთან ფრთები ეზრდება. რასაკვირველია აქ ზღაპრულ რაშებზეა საუბარი, ჩელები სიწრაფისა და გამძლეობისათვის შირინთა ცხენებს ამ რაშებს ადარებს.
15. ახაია-ეს სახელი ძვირფასი ჩანს ამ ტომისათვის. იმდენად ძვირფასი, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროდან მიგრირების შემდეგ (სადაც მათ ახაიელები ერქვათ) ეს სახელი ყირიმზე, ახალ სამშობლოში მნიშვნელოვან მთას შეარქვეს, რომლისირგვლივაც დასახლებულან. სავარაუდოდ ოქროს ორი ცალი მონეტა, რომელიც მე-2-ე საუკუნეს ეკუთვნის ქრისტეს წინ, წარწერით „აკი“ და ნაპოვნია ტრაპეზუნდსა და ხონში (სოფელ კინჩხაში) ამავე ხალხის დამზადებული უნდა იყოს, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ქართველების მეზობლად ცხოვრობდნენ (მიზეზთა და მიზეზთა გამო, ტომი მონეტის მომჭრელიჩანს და ეს თემაც სცილდება წიგნის ფორმატს
16. ნოხჩეს ჩეჩენის სახელი ორმაგად ერცხვინებათ: იმავე გენერლის ცნობის მიხედვით ჩეჩენი ავაზაკსა და ბანდიტს ნიშნავს. გარდა ამისა ჩეჩენი ნახჩოთა სახელი არ ჩანს,ის ამ ტომისთვის შეძენილი სახელი ჩანს. იმავე შუბუტები , რომელსაც გენერალი საკუთარ ცნობებში აღნიშნავს, არ შეიძლება ნახჩო იყოს. ნახჩო აქ 1667 წელს გადმოვიდა ყირიმიდან, ხოლო შუბუტი დაფიქსირებულია აქვე ათი წლით ადრე 1657 წელს (**ჩეჩენ რუსთა ურთიერთობები, აქტი N94, N95, N96 <რუსულად>** ამავე მიზეზით ნახჩოსათვის სახელი ჩეჩენი შეძენილი ჩანს ადგილობრივი ტომის სახელის მიხედვით. ამავე ცნობების მიხედვით **N109, N114 –** 1665 წლიდან დაფიქსირებულია დასახელება ჩეჩენი და ის იმავე თავად-

ური გვარის ტურლოევებისა ჩანს, რომლებსაც ნახჩოებმა თავიდან მფარველობა სთხოვეს.

ბოსფორი,ხერსონესი

კიმერიელები, სინდები, ტავრები და სკვითები

ბოსფორი და ხერსონესი პირველდ ჰეროდოტესთან იხსენება, ფაქტიურად კაცობრიობის პირველ ისტორიულ ტრაქტატში. ხერსონესის (ყირიმის) პირველი მცხოვრებლებად ის კიმერიელებს ასახელებს, ყოველგვარი ეთნიკური მიკუთვნებულობის გარეშე. ისტორიოგრაფიაში შექმნილი მოსაზრება , რომ კიმერიელები გერმანიკული (ტევტონური) ტომია, სტრაბონს ეკუთვნის, ჰეროდოტეს შემდგომ მთელი ხუთი საუკუნით გვიან მცხოვრებ ისტორიკოსს და კიმვრების (ტევტონური ტომი)და კიმერიელების ტომობრივი სახელის ნაწილობრივ მსგავსებას ემყარება მხოლოდ.

მსგავსი არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც ეპოქალურად, ტერიტორიულად და ეთნიკურად დაშორებულ ტომებს მსგავსი დასახელება გააჩნდეთ. სატომო სახელის (შორეული) მსგავსება სულაც არ ნიშნავს ტომების იდენტურობას. სხვადასხვა ანტიკურ ისტორიულ წყაროებში გაბნეული მონაცემები საშუალებას იძლევა კიმერიელთა ტომობრივი მიკუთვნებულობის განსაზღვრისა და არა მარტო...

„ჩანს, რომ კიმერიელები, რომლებიც აზიაში გაექცნენ სკვითებს, დასახლდნენ იმ ნახევარკუნძულზე, რომელზედაც არის ახლა სინოპე, ელინური ქალაქი (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი IV -12. თბილისი 1975 წ)

ჰეროდოტეს ცნობები კიმერიელების შესახებ ერთობ მნიშვნელოვანი ჩანს, ვინაიდან ისინი დაწერილია კიმერიელთა ლტოლვა-ლაშქრობიდან (630-ჩვ წ. აღრიცხვამდე) 180 წლის შემდეგ, როდესაც კიმერიელთა დასწრებულობა სინოპეზე ჯერ კიდევ შესამჩნევი უნდა იყოს. სინოპეს ნახევარკუნძულზე, თვით ჰეროდოტეს ეპოქისათვის ქართველური ტომები ხალიბები (კენები, ხენები) ცხოვრობდნენ, მათგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ასევე ქართველური ტომები, ტიბარანები და მოსინეკები იკავებენ.

„ხოლო ჰალისი მოედინება სამხრეთიდან , სირიელთა და პაფლაგონიელთა შორის, მოემართება ჩრდილოეთისაკენ და ეგრეთ წოდებულ ექსენის პონტს ერთვის (იქვე; წიგნიI-6)

ჰეროდოტეს მიერ გადმოცემული ცნობით, პაფლაგონიელები სინოპის ნახევარკუნძულის სიღრმისაკენ უფრო მოიაზრებიან, თუმცა უახლოესი პერიოდისათვის მათ ზღვის სანაპიროს გაკონტროლებაც შეძლეს, სადაც მათ ქსენოფონტე თავისი ლაშქრით გადააწყდა 400 წელს ქრისტემდე. საყურადღებოა ფაქტი, რომ პაფლაგონიელთა მეფეს , ბელადს, **კორილა** ჰქვია. თავად სკვითების შესახებ, რომლებმაც გამოდევნეს კიმერიელები ბოსფორიდან და გამოეკიდნენ მათ აზიის უკიდეგანო კონტინენტზე,ჰეროდოტეს ასეთი აზრი აქვს:

„მომთაბარე სკვითები ცხოვრობდნენ აზიაში. ომში მასაგეტების მიერ შევიწ-როებულებმა გადაიარეს მდინარე არაქსი და მივიდნენ კიმერიელების ქვეყ-ანაში (რადგანაც ეს ქვეყანა, სადაც ახლა სკვითები ცხოვრობენ, ამბობენ კიმერი-ელებისა იყოო)'' (იქვე; წიგნი IV-11)

როგორც ცნობილია, არამარტო სკვითები, მთელი ევროპელი ხალხები აზიის კონტინენტიდან მიგრირებული ინდოევროპელები არიან, ამდენად ჰერ-ოდოტეს ვერსია სინამდვილისაგან შორს არც უნდა იდგეს.

„გეროსის გადარმა არის სამეფოდ წოდებული სკვითების მხარე, სადაც არის უმამაცესი და მრავალრიცხოვანი სკვითები, რომლებიც სხვა სკვითებს თავ-ის მონებად მიიჩნევენ. სამხრეთისაკენ ისინი აღწევენ ტავრამდე, ხოლო აღმო-სავლეთით მიწაყრილამდე, რომელიც მოთხარეს უსინათლოებმა და მაიეტ-ის ტბის სავაჭრო პუნქტამდე, რომელსაც კრემნო ეწოდება“(იქვე, წიგნი IV-20)

სამეფო სკვითების საზღვრების დარაიონება დღევანდელ რუკაზეც ადვ-ილად გასაკეთებელი ჩანს: აღმოსავლეთით ეს <u>**მდინარე დონია,**</u> დასავლეთით მდინარე დუნაი.

„ისტროსიდან (დუნაი) დაწყებული ნაწილი არის სკვითია, იგი მდებარეობს სამხრეთისაკენ, სამხრეთის ქარის მიმართულებით და ვრცელდება კარკენტ-ისად წოდებულ ქალაქამდე. შემდეგი ნაწილი არის იმავე ზღვასთა ნ. ესაა მთელი ქვეყანა დასახლებული ტავრების ტომით და ვრცელდება ნახევარკ-უნძულამდე, რომელსაც ეწოდება კლდოვანი. ის შედის ზღვაში აღმოსავლე-თის ქარის მიმართულებით. სკვითიას ორივე მხრივ საზღვრად აქვს ზღვა, სამხრეთით და აღმოსავლეთით, ისევე როგორც ატიკის ქვეყანას. ტავრები ისე ცხოვრობენ სკვითიაში, როგორც მაგალითად ატიკაში რომ სხვა ტომს ეცხოვრა და არა ათენელებს სუნიონის კონცხზე (მხოლოდ ისე, რომ ზღვაში უფრო ,მეტად ყოფილიყო კონცხი შეჭრილი) თორიკოსიდან სოფელ ანაფლე-სტოსამდე. ამის შესახებ მე იმდენ ხანს ვლაპარაკობ, რამდენადაც შესაძლებელ-ია პატარა რამის შედარება დიდთან. აი ასეთია ტავრიკე.'' (იქვე; წიგნი IV-99)

ჰეროდოტე ფაქტიურად ზუსტ აღწერას და განმარტებას აკეთებს სკვით-ებისა და ტავრების განსახლების ადგილის შესახებ. სკვითების აღწერას ის დუ-ნაიდან იწყებს, რომელიც კარკენტისად (დღევანდელი ევპატორიის მიდამოები) წოდებულ ქალაქამდე ვრცელდება-უკვე ყირიმის ნახევარკუნძულზე, ეს სკვით-ეთის ერთი ნაწილია. მეორე ნაწილი აღმოსავლეთით ყირიმის ყელის, არმიანსკ-მელიტოპოლი-მარიუპოლის მიმართულებით,თვით მდინარე ტანაისამდე (დო-ნი)ვრცელდება. ტავრების საცხოვრებელი ადგილმდებარეობის გამოსახატავად ჰეროდოტე ატიკის თვალსაჩინო მაგალითს იშველიებს-ტავრები დღევანდელი ყირიმის ნახევარკუნძულზე სამხრეთის სანაპიროზე ჩანან, ევპატორია-ფეოდო-სიის ხაზზე. უფრო აზუსტებს საზღვრებს ჰეროდოტე შემდგომ ციტატაში:

„ტავრებს აქეთ, ტავრებს ზემოთ და აღმოსავლეთის ზღვისაკენ ცხოვრობენ სკვითები, რომელთაც უჭირავთ კიმერიის ბოსფორის დასავლეთი ნაწილი და მაიეტსის ტბის მიდამოები მდინარე ტანაისამდე, რომელიც ერთვის ამ ზღვის ყურეს.'' (იქვე წიგნი IV-100)

ჰეროდოტეს სიტყვებით, სკვითები აკონტროლებენ ბოსფორის დასავლეთ სანაპიროს (დღევანდელ ქერჩთან) და მაიეტსის (აზოვის) ზღვის მთელ ჩრდილო - დასავლეთ სანაპიროს დღევანდელ ქალაქ როსტოვამდე მდინარე დონზე. ჰეროდოტეს ნაწყვეტების შედარება, სადაც ის გეროსის აქეთა სკვითებს სამეფოს უწოდებს, აშკარაა რომ სამეფო სკვითებში ის გულისხმობს მდინარე დუნაიდან დაწყებული, ხერსონესის ნახევარკუნძულის , მისსავე ყელთან და მდინარე დონამდე , აგრეთვე მდინარე დნეპრის მთელ ქვემო წელში მცხოვრებ სკვითებს. ფაქტიურად აღნიშნული ტერიტორია მთლიანად ემთხვევა უკრაინის ტერიტორიას. რაც შეეხება რუსულ ტომებს, საოცარია და ფანტასტიკური ჰეროდოტესეული ცოდნა მათ შესახებ:

„ხოლო მდინარე ტანაისს რომ გადაივლი, უკვე სკვითია კი აღარაა, არამედ აქ არის პირველი სავრომატული ქვეყანა.(1) ეს სავრომატული ქვეყნები იწყება მაიეტსის ტბის უკიდურესი წერტილიდან და ვრცელდება ჩრდილოეთის მიმართულებით 15 დღის სავალი გზის მანძილზე...ამათ ზემოთ მეორე მხარეში ბუდინები ცხოვრობენ...ბუდინებს ზემოთ ჩრდილოეთისაკენ პირველია დაახლოებით 7 დღის სავალი უდაბნო. ამის შემდეგ რომ გადაუხვევ უფრო აღმოსავლეთისაკენ, არიან თისაგეტები... მათ მახლობლად ამავე ადგილებში ცხოვრობენ ხალხები, რომლებსაც სახელად ჰქვიათ იირკები...<u>ამათ ზემოთ ცხოვრობენ სხვა სკვითები, რომლებიც სამეფო სკვითებს გამოეყვნენ და ასე მოვიდნენ ამ ადგილას''</u> (იქვე; წიგნი IV-22)

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჰეროდოტეს მიხედვით (იქვე; წიგნი IV-101) ერთი დღის სავალი გზა 200 სტადიონია (37 კმ), სამეფო სკვითებს გამოყოფილი ტომი დღევანდელ რუკაზე გადაზომილი, რიაზან- ნიჟნი ნოვგოროდის ადგილას ხვდება! უნდა აღინიშნოს, რომ საოცარი ჩანს ჰეროდოტესეული ეთნიკური გეოგრაფიის ცოდნა დედამიწის იმ ნაწილისა, რომელიც იმ პერიოდისათვის აბსოლუტურად გამოუკვლეველი ჩანს! ჰეროდოტეს მიხედვით, რუსები-ეს უკრაინელებთან ერთად იგივე სამეფო სკვითების ტომია, გამოყოფილი უკრაინელებს მრავალი საუკუნის წინ (არა უადრეს XVI-საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე)... დასასრულს, სკვითების შესახებ კიდევ ერთი ცნობა, რომელსაც მთელი 25 საუკნე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ბიჭვინთასთან აიგივებდა ყველა ანტიკური (და მათი გავლენით თანამედროვე) ისტორიკოსი:

„ბუდინები ამ ქვეყნის მკვიდრნი არიან, მომთაბარეობენ და აქ მცხოვრებ ხალხთა შორის მხოლოდ ესენი არიან გირჩისმჭამელები'' (იქვე; წიგნი IV-109)

ჰეოდოტეს აქ საუბარი აქვს მაიეტრსის ტბიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყანეზე, რომელიც დაახლოებით დღევანდელი ბელორუსიის ადექვატური უნდა იყოს. რაც შეეხება ტავრებს, ჰეროდოტე მკვეთრად გამოყოფს სკვითებს და ტავრებს ურთიერთისაგან. ეს უკანასკნელები ყირიმში მოსული ჩანან კიმერიელთა განდევნის შემდეგ პერიოდში (მე-6-ე საუკუნეს ქრისტეს წინ). მოსახლეობა, რომელიც ფიქსირდება ბოსფორის სრუტის აღმოსავლეთით,აზიურ სანაპიროზე, ეს ჰეროდოტესეული სინდებია:

„ამ ხნის განმავლობაში წყალს რომ გადააქცევ, ტალახი არ ჩნდება, ხოლო ცეცხლს თუ დაანთებ, გაჩნდება ტალახი. ზღვა იყინება და აგრეთვე კიმერ-

იული ბოსფორიც, ასე რომ თხრილს აქეთ მცხოვრები სკვითები ყინულზე გადადიან ეტლებით გაღმა და ლაშქრობენ იქ მყოფი სინდების წინააღმდეგ'' (იქვე; წიგნი VI-28)

ჰეროდოტეს ნახსენები თხრილი (პერეკოპი) ისაა, რომელიც ბრმა მონა-ყოფილებმა და მათმა ნაბიჭვრებმა გათხარეს, რომ ხელი შეეშალათ მომხდურ-თათვის, ამავე ტერიტორიაზე ადრე მცხოვრები სკვითებისათვის, რომლებმაც კიმერიელები განდევნეს ყირიმიდან, გამოეკიდნენ (2) მათ და 28 წლის შემდეგ დაბრუნდნენ შინ. მათი ყოფილი ბატონების ნახევარკუნძულზე შემოღწევისა-თვის. სინდები-ეს ის ტომია, რომელიც ჰეროდოტეს აღნიშნული აქვს ბოსფორ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

„ხოლო მაიეტიდის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის'' (იქვე; წიგნი I-104)

ტერიტორი სინდებიდან ფასისამდე,ჰეროდოტეს საერთოდ არ უჩანს აღ-წერილი... ხერსონესის შესახებ შემორჩენილი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნო-ბები სტრაბონს ეკუთვნის, წელთააღრიცხვაღა გარდამავალი ეპოქის ისტორიკ-ოსს, რომელიც წინა საუკუნის მწერალთა და ისტორიკოსთა ცნობებით სარგებ-ლობს:

„მეოტიის ტბის ირგვლივ ცხოვრობენ მეოტები. ზღვასთან განთავსებულია ბო-სფორის აზიური ნაწილი და სინდების ოლქი“ (სტრაბონი;წიგნი XI; 2-1)

ტერმინ ბოსფორის ქვეშ სტრაბონი ხერსონესსაც (ყირიმის ნახევარკუნძუ-ლის აღმოსავლეთი ნაწილი) გულისხმობს, რომელიც მისი დროისათვის ერთი-ან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა:

„მოხსენებული მთიანი მხარის შემდეგ დევს ქალაქი ფეოდოსია. ქალაქი იკავ-ებს ნაყოფიერ მინდვრებს და გააჩნია ნავმისადგომი, სადაც შესაძლებელია 100 გემის დატევა. ეს ყურე ადრე იყო საზღვარი ტავრებსა და ბოსფორელთა შორ-ის“ (იქვე; წიგნი VII; 4-4)

როგორც სტრაბონის ციტატიდან ჩანს, ის ბოსფორის სამეფოს ტერიტორ-იის ნაწილად ხერსონესის-ყირიმის გარკვეულ ტერიტორიასაც თვლის. აზიის და ევროპის ეს ნაწილი უკვე ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული და ამ პროცესს არა ერთი ასწლეულის ისტორია უჩანს. ჩვენთვის საინტერესოა ბოსფორსა და ხერსონესში მცხოვრები ტომების ეთნიკური შემადგენლობა, რო-მლის მინიშნების პოვნასაც სხვადასხვა წყაროებით შევეცდებით:

„შემდეგ მოდის მდინარე ბორისთენი (დნეპრი) სანაოსნო 600 სტადიონის მან-ძილზე. ახლოში გადის მეორე მდინარე ჰიპანისი (დნესტრი) და დევს კუნძ-ული ბორისთენის ყურეში. თუ გასცურავ ბორისთენზე 200 სტადიონს, იქნ-ება მდინარის თანამოსახელე ქალაქი. ეს ქალაქი იწოდება აგრეთვე ოლბი-ად (ანტიკური დროის ქალაქის ნანგრევები ნიკოლაევთან) აქვს დიდი პორ-ტი და დაარსებულია მილეტელების მიერ. მთელი ქვეყანა განლაგებული დასახელებულ ნაპირზე ბორისთენსა და ისტრს შორის, შედგება უპირველ-ეს ყოვლისა გეტების უდაბნოსაგან, მეორე მხრივ ტირაგეტების ოლქისაგან, რომლის შემდეგ მოდის იაზიგების სარმატები, ქვეყანა სახელწოდებული სა-მეფო სარმატებად და ურგების ქვეყანა, დიდწილად მომთაბარე მცხოვრებ-

ლებით (თუმცა ბევრი დაკავებულია მიწათმოქმედებით) ეს ხალხები, როგორც ამბობენ, ცხოვრობენ ისტრამდე (დუნაი) ხშირად მდინარის ორივე სანაპირო-ზე. ქვეყნის სიღრმეში ცხოვრობენ ბასტარინები და ტირაგეტები გერმანელ-ების მოსაზღვრედ. ბასტარინები შესაძლებელია გერმანიკული ხალხები იყ-ოს, გაყოფილი რამდენიმე ტომად. სინამდვილეში ერთნი იწოდებიან ატონ-ებად, მეორენი <u>სიდონებად;</u> ისინი, რომლებიც ფლობენ პევკას, კუნძულს ისტ-როსზე, ატარებენ სახელს პევკინებს, ხოლო ყველაზე ჩრდილოეთისა, მცხო-ვრებნი ტანაისსა და ბორისფენს შორის—როკსოლანებს'' (იქვე, წიგნი7; 2-17)

სტრაბონისეული ამ ამონარიდიდან რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძ-ლება:

1.სტრაბონის მიერ ნახსენები სამეფო სარმატები, იგივე სამეფო სკვითები არიან. ის, რომ სარმატები იგივე სკვითებია, რომ ტერმინი სკვითი თანდათანობით,ბუ-ნებრივად გადადის ტერმინ სარმატში, თავად სტრაბონის ნაშრომშივეა ხაზგას-მული:

„ხოლო ევპატორიის კიდევ უფრო შორს, ქვეყნის სიღრმეში-სარმატები (ასე-ვე სკვითები) (იქვე, წიგნი XI;2-10)

2.სტრაბონის ტანაისსა და ბორისთენს შორის მცხოვრები ტომები, როკსოლანე-ბი- სავარაუდოდ ალანთა ტომები უნდა იყვნენ! ამ როქსოლანების რუმინული სახელი ოლანებია! ალანები ჩანან ასევე იაზიგიის სარმატები...

3.ბასტარინები, რომელთა ტომობრივი მიკუთვნებულობა სტრაბონს ბოლომდე გამორკვეული არა აქვს და რომლის ნაწილს იგი სიდონებად ასახელებს, ეთნიკ-ურად აზიის სინდურ მოსახლეობასთან ჩანს დაკავშირებული:

„როკსოლანები იბრძოდნენ მითრიდატე ევპატორის სარდლების წინააღმდეგ, ტასიას მეთაურობით. ისინი მოვიდნენ პალაკის დასახმარებლად, სკილურის შვილისა...რაც შეეხება მომთაბარეებს, მათი ქეჩის კარვები მაგრდება ოთხთ-ვალაზე, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ. კარვების ირგვლივ ბალახობს საქო-ნელი, რომლის რძით, ყველით და ხორცით ისინი საზრდოობენ. ისინი გად-ადიან სხვადასხვა საძოვრებზე, ყოველთვის მორიგეობით ირჩევენ ბალახით მდიდარ ადგილს, ზამთარში ჭაობებში მეოტიდის მახლობლად, ზაფხულში მინდვრებზე'' (იქვე; წიგნიVII;3-17)

მართალია სტრაბონი ამ მომთაბარეების კონკრეტულ ვინაობას არ აზ-უსტებს, მაგრამ მათი სამომთაბარეო ტერიტორიებიდან გამომდინარე, ისინი სკვითები და როკსოლანები ჩანან. ცხადია, თვალმიუწვდენელი სტეპები მათ-თვის, გაზაფხულ-ზაფხულის გამოულეველ საძოვრებს წარმოადგენდა . ამავე დროს მეოტიდის ჭაობები, შემოდგომა- ზამთრისათვის მათი ჯოგების აუცილ-ებელი საკვები ბაზა იყო, რომლებიც ზამთარში ამ ჭაობებში პოულობდნენ საკვ-ებს.

„ეს ქალაქი (ხერსონესი-სევასტოპოლი) ადრე იყო დამოუკიდებელი, მაგრამ ბარბაროსების მიერ გაძარცვული, იძულებული გახდა ეძებნა მმართველი მი-თრიდატე ევპატორის სახით'' (იქვე; წიგნი VII; 4-3)

...და რა გახდა მიზეზი ამ გაუთავებელი თავდასხმებისა, რამაც აიძულა ხერსობესის მმართველი, გადაეცა თავისი სამეფო მითრიდატე ევპატორისათვის? **„მომთაბარეები მართალია უფრო მეომრები, ვიდრე ყაჩაღები, მართავდნენ ომებს ხარკის (იჯარის) გამო. სინამდვილეში ისინი გადასცემდნენ თავიანთ მიწებს იმას, ვისაც უნდა ის დაამუშავოს და კმაყოფილდებიან, თუ იღებენ სამაგიეროდ გარკვეულ გადასახადს, მასაც ზომიერს, არა გასამდიდრებლად, არამედ იმისათვის, რომ დაიკმაყოფილოს ყოველდღიური მოთხოვნილება. მაგრამ იმათთან, ვინც არ იხდის ფულს, მოთაბარეები ომობენ. ამიტომაც ჰომეროსმა დაარქვა ამ ხალხს ერთდროულად სამართლიანები და ღარიბები. და მართლაც, თუ მათ სამართლიანად გადაუხდიან საიჯარო გადასახადს, ისინი არასდროს დაიწყებენ ომს, მაგრამ მათ არ უხდიან სამართლიანად ხალხი, დარწმუნებული იმაში, რომ მათ გააჩნიათ საკმაო ძალა, რომ ადვილად მოიგერიონ თავდამსხმელები ან შეუშალონ ხელი მათ შემოჭრას. სახელდობრ, ასე მოიქცა გიფსიკრატეს ცნობით ასანდრი, რომელმაც ააშენა ხერსონესის (ყირიმის) ყელზე, მეოტიდის ახლოს კედელი, სიგრძით 360 სტადიონი (61 კმ) და ააშენა ყოველ სტადიონზე 10 კოშკი'' (იქვე, წიგნი VII; 4-6)** (1)

სტრაბონის მიერ აქ ნახსენები მომთაბარეები კი, რომლებიც მიწათმოქმედთათვის იჯარით გაცემულ მიწებში გადასახადს ითხოვენ, ხერსონესის-ყირიმის ნახევარკუნძულის ზემოთ-ჩრდილოეთით მცხოვრები სამეფო სკვითები ჩანან...სტრაბონისეული ან ნაწყვეტიდან ცხადია, რომ კედელი ყირიმის ყელზე აშენებულია მხოლოდ და მხოლოდ სკვითების წინააღმდეც, ტავრები ამ კედლის შიგნით რჩებიან. (ამასთან, ეს სკვითებს შეარქვა ჰომეროსმა სამართლიანები და ღარიბები, რამეთუ სარმატების სახელის ტომის ხსენება ჰომეროსის დროს არც ყოფილა.) მართალია ტავრებიც მესაქონლეები არიან და არა მიწათმოქმედები, მაგრამ ისინი ნომადი (ბინადარი) მესაქონლეები ჩანან და არა მომთაბარე. გარდა ამისა, ტავრები ხერსონესის ვრცელ მინდვრებს თავიანთ კუთვნილებად ვერ ჩათვლიან, რამეთუ ამ მიწაზე გვიან მოსულები ჩანან, სკვითების მიერ კიმერიელების გადარეკვის შემდგომ(დაროგორც ჩანს, სკვითების კეთილი ნებით)

„მოხსენებული მთიანი მხარის შემდეგ დევს ქალაქი ფეოდოსია. ქალაქი იკავებს ნაყოფიერ ვაკეს და გააჩნია ნავსადგური, რომელსაც აქვს 100 ხომალდის დატევის საშუალება. ეს ყურე ადრე იყო საზღვარი ბოსფორელების მიწებსა და ტავრებს შორის. შემდეგი მხარე ასევე ნაყოფიერია პანტიკაპეამდე, რომელიც ბოსფორელების დედაქალაქია, მდებარე მეოტიდის ყურეში. მანძილი ფეოდოსიასა და პანტიკაპეას შორის 530 სტადიონია. ყველა ეს მხარე პურის მომყვანია;მასში არის დასახლება და ქალაქი ბრწყინვალე ყურით, ნიმფეას სახელწოდებით...დიდი ხანი ქალაქს, ისევე როგორც ყველა მეზობელ დასახლებას მეოტიდის ყურის ახლოს ორივე მხარეზე, მართავდნენ მბრძანებლები, როგორიცაა ლევკონი, სატირი და პარისადი, სანამ პარისადმა არ გადასცა ხელისუფლება მითრიდატეს'' (იქვე, წიგნიVII; 4-4)

1.მართალია პანტიკაპეა ხერსონესისა (ყირიმის)ქალაქია, მაგრამ ამავე დროს ის ბოსფორის სამეფოს, მათ შორის სინდიკას ოლქის დედაქალაქიცაა . ცხადია ბო-

სფორის სამეფოს ევროპული ნაწილი, ეს სინდთა ტომის ექსპანსიის შედეგია ევროპაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე.
2.სტრაბონი მკვეთრად განასხვავებს ბოსფორელებს (სინდებს) და ტავრებს. მართლაც ბოსფორელები, ეს ყოფილი სინდიკეს სინდური მოსახლეობა ჩანს, ხოლო ტავრები იმავე სტრაბონის მიხედვით-კელტებია.
3.სტრაბონი აღწერს ამ ადგილების თვალსაჩინო ქალაქებს, ოლბიას, ხერსონესს (სევასტოპოლი), ფეოდოსიას, პანტიკაპეას, ნიმფეას, მაგრამ კრინტსაც კი არ ძრავს ქალაქ კიუტსზე, რომელიც უშუალოდ ფეოდოსიის გვერდზე მდებარეობდა და რომელსაც აღწერს ფსევდო სკილაქს კარიანდელი და სტრაბონის მომდევნო ისტორიკოსი ქრონოლოგიურად-პლინიუს უფროსი. ცხადია ქალაქი კიუტსი სტრაბონის ეპოქაში არც არსებობდა, შესაბამისად მისი აღმნიშვნელი ფსევდო სკილაქსიც მხოლოდ და მხოლოდ სტრაბონის შემდგომი პერიოდის ისტორიკოსია!
4.ის, რომ ბოსფორის სახელმწიფოს, როგორც სინდიკის სამართალმემკვიდრეს, აქვს პრეტენზია, რომ მიწები როგორც სინდიკეში, არამედ ხერსონესშიც მისი კუთვნილებაა, უკადრისობენ ხარკის გადახდას და მთლიანი ხერსონესის დაცვასაც კი ცდილობენ მომთაბარე სკვითებისაგან სამხედრო გზით, აშკარად მიანიშნებს სინდების კიმერიელებთან, ხერსონესის ყოფილ მფლობელებთან მჭიდრო ნათესაობას.

„დიდი ხერსონესი ფორმოთ და სიდიდით ჰგავს პელოპონესს. ხერსონის მფლობელები ბოსფორის მბრძანებელია, თუმცა მთელი ეს მხარე გაუბედურებულია მუდმივი ომებით. ადრე ისინი ფლობდნენ მცირე ნაწილს მეოტიდის შესართავთან და პანტიკაპეას ფეოდოსიამდე, ხოლო დიდი ნაწილი (ნახევარკუნძულის) ყელამდე და კარკენტის ყურემდე ეკავათ ტავრების სკვითურ ტომს'' (იქვე, წიგნი VII; 4-5)

1.სტრაბონი იმეორებს ჰეროდოტეს ციტატას ხერსონესის შესახებ, თუმცა ჰეროდოტესაგან განსხვავებით ხერსონესს არა ატიკას, არამედ პელოპონესს ადარებს.
2.სტრაბონი ამ ციტატაში აღნიშნავს სინდიკელთა ძალაუფლების თანდათანობით გავრცელებას ხერსონესის დიდ ნაწილზე.
3.თუ ჰეროდოტე მკვეთრად ანსხვავებს ტავრთა ტომს სკვითებისაგან, სტრაბონი მათ უკვე სკვითებთან აიგივებს და სკვითოტავრებს ეძახის, რაც ამ ორი განსხვავებული ტომის ურთიერთშერწყმის ნიშანია.

„მთიანი ზღვისპირა ოლქის გარდა, გადაჭიმული ფეოდოსიამდე, დანარჩენი ხერსონესი წარმოადგენს სწორ ადგილს და ნაყოფი მიწებია. განსაკუთრებით იგი მდიდარია პურით... ამ ქვეყნის მცხოვრებნი აზიურ ოლქ სინდიკასთან ერთად უხდიან გადასახადს მითრიდატეს 180000 მედიმნ (3) პურს და 200 ტალანტ ვერცხლს. ხერსონესის მცხოვრებნი იწოდებიან «გეორგებად» ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმიტომ რომ სკვითური ტომები, მათ მაღლა მცხოვრებნი, იყვნენ მომთაბარენი (იქვე, წიგნიVII; 4-6)

სტრაბონის სკვითურ ტომებში ნახევარკუნძულს ზემოთ მცხოვრებ სამეფო სარმატებს-იგივე სამეფო სკვითებს უნდა გულისხმობდეს.მართალია წინა ეპიზოდში ნახსენები სკვითოტავრები ასევე ნომადური ტომები არიან და შესა-

ბამისად არამიწათმოქმედები, მაგრამ სავარაუდოა, რომ მითრიდატეს მიერ დაწესებული ხარკის გადახდაში ისინიც უნდა მონაწილეობდნენ, ფულადი გადასახადის სახით...რაც შეეხება სტრაბონისეულ ''გეორგებს'', აქ მათი საქმანობა, პროფესია, მიწათმოქმედებაა ნაგულისხმევი და ქართველურ ტომთა დასახელებასთან არაფერი საერთო არა აქვთ.

„მთელი ეს მხარე, ასევე მთელი ოლქი ნახევარკუნძულის ყელიდან ბორისთენამდე იწოდებოდა მცირე სკვითიად,იმის გამო, რომ მრავალი ხალხი მცირე სკვითიიდან გადავიდა მდინარე ტირასზე და ისტრზე და დასახლდა იმ ქვეყანაში, თრაკიის (4)მნიშვნელოვან ნაწილს ეწოდა მცირე სკვითია'' (იქვე, წიგნიVII; 4-5)

ეს ეპიზოდი ზუსტად ასახავს ხალხთა გადასახლების პროცესს, გამოწვეული დემოგრაფიული აფეთქებით. მცირე სკვითია- ეს სავარაუდოდ ასევე სლავური ტომები ჩანს, დასახლებული თრაკიაში (აღმოსავლეთ ევროპაში). მართალია სტრაბონი არ საზღვრავს ხერსონესისა და სინდიკის მოსახლეობის ეთნიკურ მიკუთვნებულობას, თუმცა ყველა ნიშნით ისინი ის ხალხი ჩანან, რომელთაც მოგვიანებით რუმინელები და მოლდაველები ეწოდათ ეწოდათ, გარდა ტავრებისა(5) ტირასი-ეს დნესტრი ჩანს. უცნობია კი, რატომ ჰქვია მას მცირე სკვითია, თუმცა არაა გამორიცხული, რომ სტრაბონის ეპოქისათვის ამ ტერიტორიას აღმოსავლეთ ევროპის სკვითები (შემდგომი პოლონეთი ან სლოვაკეთი იკავებდნენ)

„უკანასკნელს (მითრიდატე ევპატორს) სურდა გამხდარიყო ბარბაროსების მეთაური, მცხოვრებთა ნახევარკუნძულის ყელს იქით, ბორისთენამდე და ადრიამდე. ეს იყო მომზადება რომაელებზე გალაშქრების წინ. ასე რომ მითრიდატემ, ფრთაშესხმულმა ასეთი იმედით, სიხარულით გაგზავნა ჯარი ხერსონესის წინააღმდეგ და ერთდროულად დაიწყო ომი სკვითებთან, არა მხოლოდ სკილურთან, არამედ ამ უკანასკნელის შვილების წინააღმდეგაცპალაკსა და სხვების წინააღმდეგ (პოსიდონიის სიტყვებით, ისინი 50 იყვნენ, აპოლოდორის მიხედვით-80) ამავე დროს მითრიდატემ შეძლო მათი დაქუცმაცება, ძალით და გახდა ბოსფორის მბრძანებელი, მიიღო რა ეს ოლქი ნებაყოფილებით მის მფლობელობაში პარისადისაგან' (იქვე, წიგნი VII; 4-3)

რა მოტივაციით ხელმძღვანელობდა ბოსფორის მბრძანებელი პარისადი, როდესაც თავის სახელმწიფოს ნებაყოფილებით გადასცემდა მითრიდატე ევპატორს? მოტივი ანტიკურ ისტორიულ წყაროებში საერთოდ არა ჩანს. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ბოსფორის შეერთებანდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ევპატორის მამის ზეობისას, პონტოს სამეფოს შეერთებული აქვს პაფლაგონია (სავარაუდოდ ყოფილი ხერსონესელები- კიმერიელები). რასაკვირველია პარისადის მიერ ბოსფორის გადაცემა მითრიდატესადმი არ მოხდებოდა მატერიალური დაინტერესების გარეშე და აქ მცირე როლს არ უნდა თამაშობდეს პონტოს მეფის ზღაპრული სიმდიდრე, მაგრამ ერთ -ერთი ფაქტორი ხერსონესი-ბოსფორის პონტოს სამეფოს რიგებში შესვლისა, სავარაუდოდ პაფლაგონია-ბოსფორის თანატომელობამაც შეუწყო ხელი. (პაფლაგონია სინოპას კონცხზე ჰეროდოტეს მიხედვით, ლტოლვილი კიმერიელების დასახლებულია...)

...და მაინც, სტრაბონი არ აჩვენებს მიწათმოქმედი სინდებისა და დანდარ-ი-ების თუ ნომადი ტავრების ეთნიკურ მიკუთვნებულობას. მართალია ის ტავ-რებს უკვე სკვითურ ტომებად აღიარებს, თუმცა დაკვირვებული თვალისათვის მისი ნაშრომიდან გარკვეული ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი...ტავრი-ტავრები, ასე ეწოდება მთათა სისტემას თითქმის მთელ ევროპის კონტინენტზე. მიუხედავად ამისა, ისტორიულად სულ ორი ტომი ჩანს აღნიშნული დასახელე-ბის მატარებელი (ერთმანეთისაგან არცთუ ისე შორ მანძილზე). პირველი-ეს ჰე-როდოტესეული ტავრებია ხერსონესის (ყირიმის) ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე-სტრაბონისეული ტავრისკები, მცხოვრები ისტროსის (დუნაის) სანაპიროზე, რომლებიც დაკების მეფემ ბერებისტამ (82-44 ჩვ.წ. აღრიცხვამდე) სრულიად გაანადგურა.

ტერიტორიული სიახლოვე, სატომო სახელის თითქმის სრული იდენტ-ურობა, თითქოსდა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასახელებული თე-მები ერთი ტომის წარმომადგენლებია.იმდენად რამდენადაც ტავრები ხერსონ-ესზე მოგვიანებით (კიმერიელებისა და სკვითების შემდეგ) მოსული ტომი ჩანს, ჰეროდოტეს სიტყვებით ისინი მოქცეულნი არიან უცხო, სკვითურ გარემოში. ნიშანდობლივია, რომ ტავრებსა და მომიჯნავე ფეოდოსიელებს შორის თითქმ-ის ყველა ისტორიკოსი მდგრად საზღვარს აფიქსირებს. სავარაუდოდ, ტავრები საქმიანობით და ტომობრივადაც განსხვავებულნი არიან მათგან. სტრაბონის სიტყვებით, ტავრები-ეს კელტური ტომია.(6) (ბოლო კვლევების შედეგად ტავ-რები სრულიად სხვ ა გენეზისის ტომები ჩანან, თუმცა მათთან დაკავშირებუ-ლიკვლევა სცილდება წიგნის ფორმატს)

გაცილებით მეტი ცნობები მოიპოვება ბოსფორისა და ხერსონესის მცხო-ვრებ მეორე სუბიექტზე, „გეორგებზე“ რამდენადაც ისტორიკოსების (მათ შო-რის სტრაბონის) მიხედვით, ბოსფორელთა ძალაუფლება ხერსონესზე თანდათ-ანობით ვრცელდება, სტრაბონისეული ტომობრივი განზოგადოებულობა სულ ორი ელემენტით ამოიწურება: სინდები და დანდარიები(7)...დიდი ალბათობ-ით, ორივე ეს ტომი სინდური ჩანს, ისევე როგორც პაფლაგონიელები. დანდა-რიების ტომი პირველად დასახელებას ჰეკატე მილეტელს უნდა უმადლოდეს (VI საუკუნე ჩვ,წ.აღრიცხვამდე) , ამ სატომო სახელს იმეორებს სტრაბონი თავის გეოგრაფიულ ტრაქტატში და აპიანე „მითრიდატულ ომებში“. სავარაუდოა, რომ დანდართა ტომი-ეს იგივე დარდანებია, ისტორიკოსების მიერ მრავალგ-ზის ხსენებული.

უცნაურია და დაუფასებელი ამ დიდი ცივილიზაციის მატარებელი ტო-მის ისტორია. ძველბერძნული ისტორიული მითიოლოგიის მიხედვით, დარდ-ანი ზევსის შვილია. ცხოვრობდა კუნძულ სამოთრაკიაში. უბედური შემთხვე-ვის შემდეგ, იგი გადადის აზიის ტერიტორიაზე, ცოლად ირთავს ადგილობრი-ვი მეფის, ტევკრის ქალიშვილს, ბატოსს.მათმა შვილმა დაარსა ქალაქი დარდა-ნი, ამ ქალაქისა და ამ ტომის მიხედვით დაერქვა სრუტეს დარდანელი...

ტროელები-ეს დარდანთა ტომის წარმომადგენლებია! დარდანი ითვლება ლა-ომედონტის,პრიამოსის,ანქიზეს მამად, შესაბამისად ჰექტორისა და ენეასის პა-

პად!...ანტიკურ ლიტერატურაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები დარდანები ტროადან გადმოხვეწილი მოსახლეობის სახლიკაცებია! უფრო მეტიც, იტალიის რომაული მოსახლეობა ფესვებს დარდანთ ა ტომის წარმომადგენელ ენეასში ეძებს! ბალკანეთის დარდანი მოსახლეობის შესახებ, ანტიკურ ბერძნებს სინამდვილე ყირაზე უჩანთ დაყენებული. ტომთა მიგრაციის ამ ეტაპზე და კონკრეტულად სამხრეთ ევროპაში, მიგრაციის პროცესის მიმართულება თავიდან აზიიდან ევროპისაკენ ჩანს, მოგვიანებით-ევროპიდან აზიისაკენ (თემის ფუნდამენტალური განხილვა სცდება წიგნის ჩარჩოებს)

რასაკვირველია, კრიტიკას ვერ უძლებს ვერსია, რომ დარდანი უზენაესი ღმერთის, ზევსის შვილია. კუნძულ სამოთრაკიაზე ის სხვა რეგიონიდან ჩანს მოხვედრილი, კუნძულის სახელწოდებაში აშკარად იკითხება მისი თრაკიული ტომისადმი მიკუთვნებულობა. გალიოპოლისის ნახევარკუნძული, რომელიც ქმნის დარდანელის სრუტეს ჰელესპონტსა და ეგეოსის ზღვას შორის და რომლის წვეტი სატევარივით ებჯინება ტროადას, ადრე თრაკიული ხერსონესი (ნახევარკუნძული) ერქვა, რაც ამ რეგიონში თრაკიელების დასწრებულობის აშკარა ნიშანია.

„ბერძნები თვლიან გეტებს თრაკიელებად. გეტები ცხოვრობენ ისტროსის ორივე ნაპირზე, ისევე როგორც მისიელები, რომლებიც ასევე თრაკიელებია და იგივდება ხალხებთან, ახლა მესიელებად წოდებულებთან. ამ მისიელებისაგან წარმოიშვნენ ის მისიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ლიდიელების, ფრიგიელების და ტროელებს შორის. თვითონ ფრიგიელები-ესენი ბრიგებია, რომელიღაც თრაკიული ტომი, ისევე როგორც მიგდონები, ბებრიკები, მედო-ბითვინიელები, ფინები და როგორც მე ვფიქრობ მარიანდინები.ყველა ამ ხალხმა დატოვა ევროპა, მხოლოდ მისიელები დარჩნენ'' (იქვე, წიგნი VII; 3-2)

აქ სტრაბონი თრაკიელებს და მისიელებს, სინამდვილეში სინდებს ფაქტიურად აიგივებს! (არა გამორიცხული, რომ შორეულ წარსულში ეს ტომები სახლიკაცები იყვნენ, ერთი საერთო წინაპარი ყავდათ კიდეც) ასევე აქ პირდაპირ მიანიშნებს ზემოთ ხსენებული ტომების ევროპულობას, ევროპიდან აზიაში მიგრაციას. თრაკიელები მოხსენებულია ჰომეროსთანაც, ტროელთა საშველად მოსულები. მართალია ტექსტიდან ძნელია განსაზღვრა, თრაკიელი მეომრები ევროპიდანაა ჩამოსული თუ უკვე ადგილობრივები, აზიელები არიან. თუმცა ომის ხასიათი, რომელმაც აზიისა და ევროპის დაპირისპირების სახე მიიღო, გვაფიქრებინებს, რომ ტროელთა მხარეზე აზიელები იბრძვინ, მათ შორის თრაკიელები. და კიდევ :

„ბელადი პილემენი პაფლაგონიელებს მოუძღოდა, მკერდჯაგრიანი წამოყვანილი გენეტებიდან, სადაც ჯოგდებიან ველური ჯორები''2-851) (ილიადა)

ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში რატომღაც ჩათვლილია, რომ პაფლაგონელთა ბელადი ენეტებს მოუძღოდა წინ, მაშინ როდესაც ჰომეროსის ტექსტში თვალნათლადაა ნათქვამი, რომ პაფლაგონთა ბელადი წინ პაფლაგონიელებს მოუძღოდა. როგორც ზემოთ ვთქვით, პაფლაგონები (კიმერიელები) ამ ტერიტორიაზე გვიან მოვიდნენ (630წ. ქრისტემდე) ამდენად მათი მონაწილეო-

ბა ტროას ომში გამორიცხული ჩანს-ჰომეროსი თავისი ეპოქის რეალობას აღწ-ერს. მიუხედავად თქმულისა, პაფლაგონები აშკარად თრაკიული -სინდური ტომი ჩანს, რომელიც მწერლის ვერსიით მოიჩქარიან თანამემამულეთა დასახ-მარებლად.(8)

იგივე სტრაბონის მიხედვით, გალაბრიელები-ეს დარდანთა ტომია, მაკ-ედონელთა მიმდებარე ტომი. მრავალი მეცნიერის მოსაზრებით, იტალიური კალაბრია-ეს თრაკიელ გალაბრთა ახალშენია. ანტიკურ მწერალთა ნაწილი და-რდანებს ილირიელებად თვლის, თუმცა ეს ტერიტორიული კუთვნილების აღ-მნიშვნელი ჩანს და არა ეთნიკური. პოლიბოის და ლივიუსის მიხედვით, ილი-რიელები და დარდანები ორი სხვადასხვა ტომია, რაც მათ გარკვეულ ნათესაურ კავშირებს არ და ვერ გამორიცხავს: თვით ენეასის დედა ტომით პელაზგი გახ-ლდათ.

ცხადია, ევროპელი დარდანები და აზიელი ტროელები-ეს ერთი და იგივე ტომია. რა დამოკიდებულებაში ჩანან ისინი ჩვენს მეზობელ დანდარიებთან და სინდებთან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე? ის, რომ დანდარიები და სინდე-ბი უცხო სხეული არაა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსათვის, ირკვევა ანტიკუ-რი ცნობებითაც. რომაელი პოეტი, ოვიდიუს ნაზონი (43-18 წელი ქრისტეს წინ) ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო(9) გადასახლებულ იქნა ქალაქ ტომოსში (ახ-ლანდელი ქალაქი კონსტანცა რუმინეთში) ოვიდიუს ნაზონი თავის **ტრისტიაში (წიგნი IV, 1-19) ამბობს:**

„მხოლოდ მუზას არ ეშინია არც მახვილის, <u>სინტი</u> მეომრის,
არც ზღვის, არც ქარების, არც ბარბაროსების“

...ცხადია, რუმინინული ტომის სინტი და მასთან ტერიტორიულად საკმა-ოდ ახლოს მდებარე ბოსფორელი სინდი ერთი და იმავე ეთნიკური ტომის წარ-მომადგენელი ჩანს, თუმცა გაურკვეველია ამ ტომის სასიცოცხლო სივრცის, გა-ვრცელების არეალის ფარგლები: შემოისაზღვრება თუ არა იგი მხოლოდ ბოსფ-ორითა და ისტროსის (დუნაის) სანაპიროთი?

„სიტალკემ ოდრისების მეფე) გადალახა კერკინის მთა, რომელიც ამაღლებ-ულია სინტების და პეონების საზღვარზე“(თუკიდიდე, პელოპონესის ომები, თავი II; 98,1)

ოდრისების მეფე მაკედონიისაკენ მიეშურება სალაშქროდ. პეონებისა და სინტების გვერდი-გვერდ ხსენება აშკარად მიანიშნებს, რომ სინტებში ამავე ტე-რიტორიაზე არაერთი ანტიკური ისტორიკოსის მიერ არაერთგზის აქვე ხსენებ-ული დარდანთა ტომი უნდა იგულისხმებოდეს. გამოთქმული მოსაზრება შესა-ბამისი სამტკიცის გარეშე, მხოლოდ ჰიპოთეზად შეიძლება დარჩეს, თუმცა:

„გააჩანაგა რა მეზობელი ილირიკის მიწები (ფილიპე მაკედონელმა) ასევე სწრა-ფად შე მოტრიალდა პელაგონიისაკენ და დაიპყრო ქალაქი სინტია, დარდან-თა ქალაქი'' (ტიტუს ლივიუსი, წიგნი XXVI, 25,3)

ეჭვმიუტანელად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინტები-ეს დარდანთა ტომია! ერთადერთი და ბუნდოვანი, დარდან-სინტ-სინდ ტომებში რჩება საკითხი, სინ-ტი -სინდი, სინტიკე-სინდიკე რამდენად ერთმანეთის სინონიმური მცნებებია. საკითხის გასარკვევად აუცილებელია სტრაბონის შრომების მოშველიება:

„ადრიატიკის ზღვის ახლოს მდებარეობს მთელი ადრია, ხოლო შუაში პეონია, მთლიანად მაღალმთიანი ქვეყანა. პეონია ორსავე მხარეზე შემოსაზღვრულია მთებით: თრაკიის მხარეზე-როდოპის მთით, ყველაზე მაღალი გემას შემდეგ. ხოლო მეორე მხარეს, ჩრდილოეთის მიმართულებით, ილირიის ნაწილებით, ავტარიატთა და დარდანთა ოლქით'' (სტრაბონი, წიგნი VII; 5-1)

საინტერესოა, რომ მაკედონიის და მისი მიმდებარე ტერიტორიების აღწერისას, სტრაბონი საერთოდ არ ახსენებს სინდებს. ტომთა აღწერისას ის ყველა შემთხვევაში დარდანს ასახელებს, ცხადია სტრაბონისათვის თუკიდიდესეული სინტია-ეს დარდანიაა!...მაგრამ თავად დარდანიის, როგორც პოლიტიკური ერთეულის (და ტომისაც კი) არსებობა თვით სტრაბონისავე პერიოდში უკვე პრობლემატური ჩანს:

„არდიებს შემდგომში უწოდეს ვერდეები. რომაელებმა ისინი ზღვის სანაპიროდან ხმელეთის სიღრმისაკენ შეავიწროვეს (იმიტომ რომ მათ ზიანი მოჰქონდათ მეკობრული თავდასხმებით) და აიძულა ისინი, დაკავებულიყვნენ მიწათმოქმედებით. მაგრამ ეს ქვეყანა ქვიანია, უნაყოფო და გამოუსადეგარია მიწათმოქმედებისათვის, ასე რომ ტომი სრულიად გაღატაკებულია და თითქმის ამოწყდნენ. ასევე მოხდა სხვა ტომებთან მიმ ართებაში ამ ოლქებში. სინამდვილეში მძლავრი ტომები წარსულ დროში, ამ დროისათვის სრულიად დაქვეითებულია და გაქრნენ. ასე მაგალითად, გალატებს შორის –ბოიები და სკორდიქსები, ილირიელთა შორის ავტარიატები, არდიები და <u>დარდანები</u>, თრაკიელთა შორის-ტრიბალები. თავიდან ისინი იტანჯებოდნენ ერთმანეთს შორის ომით, ხოლო შემდგომში მაკედონელებთან და რომაელებთან შეჯახების გამო " (იქვე, წიგნი VII; 5-6)

სტრაბონის მიერ გამქრალად გამოცხადებული არდიები და ავტარიატები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ამოტივტივდა ისტორიულად, ხოლო მისივე კალმით ასათსავე ბედს წეულ დარდანებს, სინტებს,ასე ახსენებს ისტორია:

„გაგზავნა ამფიპოლში პუბლიუს ნაზიკა მხედართა და ქვეითთა მცირე რაზმით... და <u>სინტიკის</u> დასარბევადაც'' (ტიტუს ლივიუსი, წიგნი IVL, 46,1)

სინტიკა-განმარტებულია როგორც სინტების ოლქი მდინარე სტრიმონის (დღევანდელი სტრუმი) ორსავე ნაპირზე. ჭეშმარიტად გენიალურია პომპონიუს მელას ფრთიანი ფრაზა, რომ ტომები არ ქრებიან, ისინი განაგრძნობენ არსებობას იქვე, სხვისი სახელის ქვეშ, ან სხვაგან ძველი სახელით, ან სულაც სხვა სახელით. დარდანების, სინტების მეორე ნაწილი, ოვიდიუს ნაზონის მიერ დაფიქსირებულია ზემოხსენებული სინტიკიდან 300 კილომეტრის სიშორეზე პირდაპირი ხაზით პირველისაგან, რუმინეთის ქალაქ ტომოსში (კონსტანცა). საინტერესოა ისტორიის ფურცლებზე შემონახული ის გზა, რომელიც სინტთა ტომის ამ ნაწილის მიერ ჩანს გამოვლილი:

„ის ხალხები, რომლებზეც ამბობენ რომ ცხოვრობენ ისტროსზე და არცთუ იშვიათად მის ორსავე ნაპირზე. ქვეყნის სიღრმეში ცხოვრობენ ბასტერანები, ტირაგეტების და გერმანელების მეზობლად. ბასტერანები აგრე თვე შესაძლებელია გერმანული ტომი იყოს და იყოფა რამდენიმე თემად. და მართლაც,

ერთი ნაწილი იწოდება ატმონებად, მეორენი სიდონებად" (სტრაბონი, წიგნი VII; 3-17)

სტრაბონის ზემოხსენებული ცნობით, სიდონები, რომლებიც ბასტერანების მეზობლად (ან მათ ნაწილად) მოიაზრება მდინარე ისტროსზე (დუნაი) გაცილებით ახლო მანძილზე ჩანან გადაადგილებული შავი ზღვის სანაპიროს მიმართულებით, ვიდრე დარდანთა სხვა ნაწილი,აღნიშნული სხვა ავტორების მიერ.სტრაბონისეულ სიდონებში აშკარად იკითხება ოვიდიუს ნაზონისეული სინტი მეომარი,რომელიც ამავე ისტროსის შესართავთან არის დაფიქსირებული.

...და არიან თუ არა სტრაბონისეული სიდონები სხვა ავტორების (და თვით სტრაბონის სინტი თუ დარდანი? ისტორიულად ცნობილია, რომ დარდანთა პოლიტიკური ერთეულის ბოლო ხსენება შემოიფარგლება 30-29 წლით ქრისტემდე, მას შემდეგ, რაც ისინი დაამარცხეს მათივე მეზობლებმა, ბასტერანებმა. ამ დამარცხების შემდეგ დარდანთა პოლიტიკური ერთეული აღარ არსებობს. ზუსტად ამ დამარცხების შედეგი ჩანს ბასტერანთა გვერდით (ან მათშივე) ნახსენები სიდონები-დარდანები. სტრაბონის მსჯელობა, რომ ბასტერანები შესაძლოა გერმანული ტომი იყოს, ხოლო მათსავე გვერდით მდებარეობს სიდონთა ტომიც, აშკარად მიანიშნებს ბასტერანების გვერდით სახელმწიფოება დაკარგულ სინტთა-დარდანთა არსებობასაც. თავისუფლებაში დარჩენილი დარდანები გაითქვიფა მათსავე მონათესავე მეზიელებში (მთელი თავი აქვს მიძღვნილი ევროპელი და აზიელი მისიელების-მიზიელების ტომობრივ იდენტურობაზე იმავე სტრაბონს)

თრაკიული ტომის, სინდ-დარდანთა მეორე ნაწილი სავარაუდოდ შემორჩა ისტორიას ბოსფორზე. ამავე თრაკიული ტომის სხვა თემი ჩანს ხერსონესიდან ლტოლვილი კიმერიელებიც(10) ეს უთუოდ ბოსფორსა და ხერსონესში შემორჩენილი სინდ- დარდანთა (დანდართა) ტომი იკითხება სტრაბონის მიერ „გეორგებად“... საკმაოდ შორ მანძილზე ჩანან მიგრირებული და გაფანტული თრაკიული წარმოშობის სინდ-დარდანები (სინტები და დანდარები აბსოლუტურიად იდენტური ცნება ჩანს) სამართლიანია კითხვა, იყო თუ არა შორეული მიგრაციები ჩვეულებრივი მოვლენა ამ დროისათვის? კითხვაზე პასუხს სტრაბონის ნაშრომი იძლევა:

„ძირითადი თვისება ამ ტომებისა ამ ადგილას (ევროპაში) ისაა, რომ მათი თვისებაა ადვილად გადასახლდნენ მათივე ცხოვრების წესის უბრალოების გამო, რომ ისინი დაკავებული არ არიან მიწათმოქმედებით და არც საკვების მარაგს იქმნიან, ცხოვრობენ დროებითი სახის ქოხებში, კვების პროდუქტს მომთაბარეების მსგავსად იღებენ ძირითადად საქონლისაგან. ასე რომ მომთაბარეების მსგავსად ტვირთავენ თავიანთ ბარგი—ბარხანას საზიდრებზე და თავიანთი ჯოგებით მიემართებიან“(იქვე, წიგნი VII;თავი 1-4)

ცხადია ტომების, თემების მიგრაციას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე. ბრწყინვალე მაგალითი რუსეთია, რომელიც სამეფო სკვითებისაგან (დღევანდელი უკრაინელების წინაპარი) გამოყოფილ თემს შეუქმნია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დარდანების პოლიტიკური გაერთიანების გაცამტვერება სრულიადაც არ ნიშნავს დარდანთა და სინტთა ტო-

მის სრულ განადგურებას. ისინი ამავე სახელით იხსენებიან მრავალი ანტიკური ავტორის შრომებში, მათი ნაწილი შესულია მეზიის რომაულ პროვინციაში. ერთობ საინტერესოა, რომ ქალაქი ოლბია (დღევანდელი ნიკოლაევის მახლობლად) და მისი მიმდებარე ოლქები ბორისთენიტების (დნეპრელები) ტერიტორიაზე, მეორე საუკუნიდან შედის რომის იმპერიაში ქვემო მეზიის სახელით.

ქრონოლოგიურად შემდეგი ისტორიკოსი, ესპანელი პომპონიუს მელაა. მელას ცნობების მიხედვით, მეოტიის მიმდებარე ტერიტორიაზე **სინდონები** ცხოვრობენ, მათივე დაარსებულია ქალაქი სინდი.

„მერე გვერდზე მოდის არცთუ ისე ფართო ოლქი, განვრცობილი პონტოსა და ჭაობს შორის ბოსფორამდე. მდინარე კოროკონდა, შემავალი ერთი კალაპოტით ტბაში, ხოლო მეორეთი ზღვაში, აქცევს რა მას ნახევარკუნძულად. იქ არის ოთხი ქალაქი—გერმონესა, კეპი, ფანაგორია და თავად შესართავთან კიმერიკი'' (პომპონიუს მელა, ხოროგრაფია, წიგნი I; 110-112)

მელას ნახსენები სინდონები, იგივე სინდები, აშკარად რეზონანსში მოდის სტრაბონისეულ სიდონებთან და გვიჩვენებს, რომ სინდთა ტომი არა მარტო ისტროსის გაყოლებაზე ცხოვრობს. ცხადია მელა უარესად იცნობს ხერსონესს, ვიდრე სტრაბონი. ქალაქი სინდი, რომელსაც მის გარდა არც ერთი ისტორიკოსი არ ახსენებს, სავარაუდოდ ყველასთვის ცნობილი სინდიკაა. მელას ნახსენები მდინარე კოროკონდა, რომელიც ტერიტორიას (უეჭველად ტამანს) ნახევარკუნძულად აქცევს, მდინარე ყუბანი ჩანს, ორმაგი (გაყოფილი) ტოტით. ერთი ტოტი სავარაუდოდ იმავე ადგილას ერთვოდა მეოტიის ტბას, როგორც დღეს ხოლო მეორე ტოტი ერთვოდა შავ ზღვას პრიმორსკოესა და მარტინსკის ტბას შორის (XVII საუკუნის შუა წლებში, თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების მოგზაურობისას, მდინარის ერთი ტოტი ჯერ კიდევ აქ ერთვოდა შავ ზღვას) მელას მრავალი ცნობა, რომელიც ეხება გელონებს, ბუდინებს, ისედონებს და არიმასპებს, გრიფებსა და ა.შ. ჰეროდოტეს 500 წლის წინანდელი ცნობების გადამღერებაა, ჰეროდოტესაგან განსხვავებით მანძილების გამოთვლის შესაძლებლობების გარეშე და მეცნიერებისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

„მიწები, მიმართული ჭაობისაკენ, უკავიათ სატარხებს, მიმართული ბოსფორისაკენ-კიმერიული ქალაქები: მურმეკიონი, პანტიკაპეონი, ფეოდოსია, გერმესეი, ხოლო მიმართული ევქსენის ზღვისაკენ, ტავრებს. მის იქით მდებარეობს ყურე მოხერხებული ნავმისადგომებით, რომელსაც ამიტომაც ჰქვია კალოს ლიმანი. ის შემოსაზღვრულია ორი კონცხით...გვერდით ქალაქი ხერსონესია. მერე ზღვა უტევს ხმელეთს და მისდევს რა უკან დახეულ ხმელეთს, მიდის ადგილამდე, საიდანაც მეოტიდამდე ხუთი მილია და გადააქცევს (მიწას) რომელსაც ფლობენ სატარხები და ტავრელები ნახევარკუნძულად. ადგილი ჭაობსა და ყურეს შორის იწოდება ტაფად, ხოლო ყურე -კარკინტისად. აქ მდებარეობს ქალაქი კარკინა, რომელსაც ჩამოუდის ორი მდინარე, გერირი და გიპაკარესი, ჩამდინარე ზღვაში ერთი შესართავით, გამომდინარე სხვადასხვა წყაროებიდან სხვადასხვა ადგილას. გერირი მოედინება ბასილდებსა და ნომადებს შორის, ხოლო გიპაკარესი-ნომადების მიწაზე. მე-

რე მოდის ტყე, რომელიც ამ მიწაზე ყველაზე დიდია და მდინარე პანტიკა-პესი, რომელიც ყოფს ნომადებსა და გეორგებს. შემდეგ მოდის ვიწრო ზოლი ...აქილევსის ბილიკი"(იქვე, წიგნი II; 3-4-5)

ამონარიდი მელას ნაშრომიდან რამდენიმე დასკვნის საშუალებას იძლევა:

1.ტერიტორიები, რომლებიც მდებარეობენ ხერსონესის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში (დღევანდელი ლენინო, კალინოვკა, შელკინო, ბელინსკოე გლაზოვკამდე) სატარხებით არის დაკავებული.

2.სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, მელა ბოსფორის (სინდურ) ქალაქებს, მურმეკიონს, პანტიკაპეონს, გერმისეის და თვით ფეოდოსიას კიმერიულ ქალაქებს უწოდებს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს კიმერიელების სინდებთან ნათესაობას, ფაქტიურად იდენტურობას.(11)

3.მელას მიხდვით, ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი , მიმართული შავი ზღვისაკენ, ტავრებს უჭირავთ. სავარაუდოდ მათგან გამოყოფის მიზნითაა შეტანილი ბოსფორისაკენ მიმართულ ქალაქების სიაში ფეოდოსია, რომელიც არ არის მიმართული ამ უკანასკნელისაკენ და მისგან საკმაოდ შორს იმყოფება, თუმცა წარმოადგენს საზღვარს ბოსფორის სინდებსა და ტავრებს შორის.

4.მელა მხატვრულად აღწერს ხერსონესის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროს. ზღვის ზეწოლის შედეგად წარმოიშობა თავად ხერსონესი (ყირიმის ნახევარკუნძული) რომლის ყელის სიგანე 8 კილომეტრია. ესაა მანძილი ნახევარკუნძულის ყელზე, შავი ზღვიდან მეოტიის ტბამდე.

5.ტაფა-ეს დღევანდელი ჯანკოი და მისი მიმდებარე ოლქები ჩანს.

6.რატომღაც ჩათვილია, რომ მელას ქალაქი კარკინა-ეს დღევანდელი ევპატორიაა. ჰიპოთეზა სწორი არ ჩანს და რატომ:

ა. კარკინტის ყურე, რომელთან უშუალო სიახლოვეს მელა ქალაქ კარკინას აღწერს, გაცილებით ჩრდილოეთისაკენაა, ვიდრე ქალაქი ევპატორია.

ბ. მელას თხრობიდან გამომდინარე, ქალაქო კარკინა საძებარი ჩანს იქ, სადაც ხმელეთი ზღვის ზეწოლით იხევს უკან...გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ანტიკური ქალაქი კარკინას მდებარეობა დონუზლავის ტბის ჩრდილოეთითაა საძიებელი, ევპატორიიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, დასახლებულ პუნქტ ჩერნომორსკოესთან. თავად დონუზლავის ტბა ხმელეთში ღრმად შეჭრილი და ვიწრო კონტურით აშკარად ჰგავს მდინარეს, რომელსაც მელას წარმოსახვაში მდინარეების, გერირისა და გიპაკარესის გაერთიანებულ კალაპოტს წარმოადგენს.ტავრების და ბასილიდების-სამეფო სკვითების საზღვარიც აქ უნდა ყოფილიყო, დონუზლავის ტბაზე, როგორც ბუნებრივ ბარიერზე ორ ტომს შორის. სავარაუდოა, რომ დონუზლავის ტბასს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდანაც ერთვოდა მცირე მდინარეები, რომელიც მელას გერირად და გიპაკარესად უჩანს მონათლული.

7.მდინარე პანტიკაპესს, რომელიც ნომადებს (ტავრებს) და გეორგებს (სინდებს) შორის მოედინება. ანალოგი მხოლოდ მდინარე ბულანჯაკის (12)სახით მოეძებ-

ნება, რომელიც ფეოდოსიიდან 25 კილომეტრის სამხრეთით მოედინება და გამ-ოყოფდა ამ უკანასკნელებს.

ერთადერთი ხელშესახები ცვლილება, რაც სტრაბონის მერეა მომხდარი კონტინენტის ამ ნაწილში, სატარხების გამოჩენაა, რომლებიც იკავებენ ფართ-ობს ხერსონესის იმ ნაწილში, რომელიც მეოტიის ჭაობისაკენაა მიმართული. რატომღაც ითვლება, რომ ისინი ტავრებს მიეკუთვნება, რომლებისც ნახევარკ-უნძულის მოპირდარირე მხარეს ცხოვრობენ. ანტიკური ავტორების მიხედვით, სატარხები სკვითური ტომია, თუმცა ისინი როგორც წესი, მათთვის უცნობ ტო-მებს ყველას სკვითებად ნათლავენ. რასაკვირველია პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს, თუ ვინ შეიძლება იყოს ეს ხალხი, თუმცა თუ მელას აღწერა ემთხ-ვევა ზამთრის პერიოდს, მეოტიის ჭაობები ხალხმცირობას არ უნდა უჩიოდეს: ზამთრისათვის იგივე ხალხი, რომელსაც ჰეროდოტე სამეფო სკვითებს უწოდ-ებს, და სტრაბონისეული როქსოლანები, მეოტიის ჭაობს თავიანთი ჯოგებისა-თვის ზამთრის საძოვრებად იყენებენ.

შემდეგი ისტორიკოსი, რომელიც აღნიშნულ რეგიონს აღწერს, პლინიუს უფროსია:

„ხმელეთზე კერკეტების მახლობლად მდებარეობს იკაროსი, ახაიელები ქალა-ქი გიარით და მდინარეთი 136 მილზე (200 კმ) ჰერაკლიიდან. მერე კრუნოს კონცხი, მის უკან ციცაბო ამაღლებას იკავებენ ტორეტები, სახელმწიფო სინ-დიკა 67,5 მილზე (90კმ) გიარიდან და მდინარე სატარიიდან. (11) იქიდან კიმ-ერიული ბოსფორის შესასვლელამდე 88, 5 მილი (121კმ)“ (პლინიუს უფროსი, წიგნი VI, 5-17)

პლინიუსის ეს ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია და მისი სწორი გაშიფ-რვაა აუცილებელი.

1. წინა 5-16 ნაწყვეტის მიხედვით, ქალაქ ჰერაკლეა დაშორებულია ქალაქ სებას-ტოპოლისიდან (სოხუმიდან) 100 მილზე (148კმ) -მისი შედარება არიანესეულ შავი ზღვის სანაპიროს აღწერასთან, მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ეს ჰერაკლეა არ-იანესეული ჰერაკლეს კონცხია დღევანდელ ლაჟვარდოვან სანაპიროზე, მდინა-რე შახესთან.

2. ახაიელების ქალაქი გიარი, რომელიც 136 მილითაა დაშორებული ჰერაკლი-იდან, დიოსკურიიდან შესაბამისად 236 მილზე (350კმ) ჩანს დაშორებული. თა-ნამედროვე რუკაზე მასშტაბური გადაზომვა გვიჩვენებს, რომ ახაიელთა ქალაქი გიარი-ეს თანამედროვე ნოვოროსიისკია. სტრაბონის ეპოქიდან გასული 50 წე-ლზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, ახაიელები მთელი 100 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ჩანან მიგრირებული. ახაიელთა ყოფილ ტერიტორიებს უკვე ზიხები იკავებენ.

3.პლინიუსი ახაიელებთან მეზობლად ასახელებს კერკეტებსაც. რადგანაც პლი-ნი- უსის მიერ ტერიტორიის აღწერა სოხუმიდან ნოვოროსიისკის მიმართულე-ბით ხდება, კერკეტები ახაიელების უკვე აღმოსავლეთი მოსაზღვრე მეზობლე-ბი ჩანან...სტრაბონის მიხედვით ბატიდან (ანაპიდან) მოყოლებული ზღვის სან-

აპიროზე კერკეტები ცხოვრობენ, და მხოლოდ მათ შემდეგ აღმოსავლეთით, ნოვომიხაილოვკას რაიონში ახაიელები. პლინიუსის ეპოქისათვის სურათი შეცვლილი ჩანს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქის ახაიელებმა შემოუარეს კერკეტების ტერიტორიას და უკვე კერკეტების დასავლელი მეზობლები გახდნენ.
4. კრუნოს კონცხის შემდეგ ციცაბო ამაღლებას, პლინიუსის მიხედვით თორეტები იკავებენ. (ტომის ეთნიკური მიკუთვნებულობის საკითხი ცდება კვლევის ჩარჩოებს) მართალია პლინიუს უფროსი მანძილს არ აღნიშნავს, თუმცა შესაბამისი ციცაბო ამაღლება მხოლოდ ქალაქ ანაპასთანაა.
5. სახელმწიფო სინდიკა 67,5 მილი (90კმ) ქალაქ გიარიდან-ეს მხოლოდ ტამანის ნახევარკუნძულის მარცხენა განშტოებაა, ტუზლას ლიმანთან.
6.კიმერიულ ბოსფორამდე მანძილი88,5 მილი (121კმ) გადაზომილია გიარიდან (ნოვოროსიისკიდან) შესაბამისად ბოსფორის შესასვლელი სინდიკიდან, სინდთა ქალაქიდა ნ 88,5-67,5=11 მილია (16,5კმ) და ის ზუსტად უწევს დღევანდელ გადასასვლელს ქერჩზე
.7.პლინიუსის ნახსენები მდინარე სატარიი, გარკვეულ უნისონში ჩანს მელასეულ სატარხებთან და ზიხებთან, რომელთაც ამ სანაპიროზე თავად სტრაბონი აფიქსირებს.

პლინიუს უფროსი, განსხვავებით პომპონიუს მელასაგან ორით მეტ-ექვს ქალაქს აღნიშნავს:გერმონესა,კეპი,ფანაგორია, კიმერიკი, სტრატოკალა და აპატური.

„კიმერიის იქით ცხოვრობენ მეოტები, გალები, სერნები, სერრეი, სკიზი, გნისი, მერე ტანაისიდან, რომელიც ჩადინებისას ქმნის ორ შენაკადს, ცხოვრობენ სარმატები, წარმოშობილი როგორც ამბობენ მედებისაგან, თავისთავად გაყოფილნი მრავალ თემად. პირველი სავრომატები, გინეკოკრატუმები, წარმოშობილი ამაზონებთან შეუღლებით, მერე ნევეზები, კოიტები, კიზიკები, მესენიანები, კოსტობოკები, ზაკეტი, ზიგი, ტინდარი, ტუსაგეტი, ტირკები თვით უდაბურ ადგილამდე, ძნელად მისადგომი ტყიანი ხეობების გამო, მათ იქით არიმაფები, რომლებიც რიპეის მთებს აღწევენ'' (იქვე, VI-19)

პლინიუს უფროსი, როგორც ყოველთვის, სიურპრიზებს გვთავაზობს: იგი მის მიერ მოპოვებულ ცნობებს, განურჩევლად ავტორისა და ეპოქისა, ყველას ერთ „ქვაბში ყრის და ხარშავს“. ასე მაგალითად, მის მიერ ნახსენები ტირკები და არიმასპები, ეს ჰეროდოტესეული იირკები და არიმასპები ჩანს, პლინიუსამდე 500 წლით ადრე ნახსენები, ისევე როგორც სკვითი-სატავკები (მის მიერ შემდეგ ეპიზოდში მოხსენიებული)-ეს პომპონიუს მელასეული სატარხები ჩანს, პლინიუსამდე ათეული წლით ადრე გახმოვანებული. მიუხედავად მისი ნაწერების ექსცენტრულობისა, ყველაზე ძვირფასი და მოულოდნელი-მის ცნობებში ჩანს მიმალული, თუმცა მრავალი ტომი, ისევე როგორც პომპონიუს მელასთან, არ ექვემდებარება იდენტიფიკაციას, მისეული აღწერის რთული სტილი გამო, მრავალი შორეულ რიპეის (ურალის) მთებისკენაა საძიებელი.

რაც შეეხება პლინიუს უფროსის მიერ ხერსონესის აღწერას, ის ამას ევროპიდან აზიის მიმართულებით აკეთებს:

„კარკენტიდის მდინარედან იწყება ტავრია (ხერსონესი) ოდესღაც გარშემორტ-ყმული ყველა მხრიდან ზღვით, მათ შორის იქაც, სადაც ახლა სტეპია. გაგრძელ-ებაზე თანდათან მაღლდება, გადადის კლდოვან მთებში. აქ ცხოვრობს 30 თე-მი, 23 მთიანი მასივის სიღრმეში, 6 ქალაქში...მთების თხემზე ცხოვრობენ სკვი-თოტავრები, დასავლეთიდან ესაზღვრება ახალი ხერსონესი, აღმოსავლეთიდან სკვითი-სატავკები. კარკენტის შესართავთან, სანაპიროზე ქალაქები:ტაფრა ნახ-ევარკუნძულის ყელზე, შემდეგ ჰერაკლეა-ხერსონესი, რომაელებისაგან მიღე-ბული თავისუფალი ქალაქის სტატუსით, ადრე მას ერქვა მეგარიკა, ის გარშემ-ორტყმულია ხუთმილიანი კედლით და აქაურ რაიონებთან შედარებით ყვე-ლაზე უკეთესად შეესაბამება ბერძნულ გემოვნებას. მას უკან პარფენიის კონც-ხი, პლაკეა-ტავრების ქალაქი ყურე, სიუნბოლი, კონცხი კრიუმეტოპონი, გამ-ოწეული 170 მილზე ზუსტად პონტოს შუაგულში, აზიური კონცხის, კარამბ-იონის მოპირდაპირედ...მერე ბევრი (კუთვნილი) ტავრებისა ყურე და ტბა, ქა-ლაქი ფეოდოსია 150 მილზე კრიუმეტოპონიდან, ხოლო ხერსონესიდან 165 მი-ლზე, მერე ქალაქი კიუტი, ზეფირი, აკრი, ნიმფეი, დია...პანტიკაპეი, დაარს-ებული მილეტელების მიერ ბოსფორის შესასვლელში, რჩება ყველაზე აღმა-ტებული თავისი სიმძლავრით. მისგან ფეოდოსიამდე 87,5 მილია, ხოლო კი-მერიელების ქალაქამდე იმ მხარეს, ორნახევარი მილი, როგორც უკვე ვთქვით. ზუსტად ასეთი მანძილი ჰყოფს აზიასა და ევროპას მისი ფეხით გადასასვლ-ელ ადგილას, თუ სრუტე გაიყინება. კიმერიული ბოსფორის სიგრძე 12,5 მი-ლია. მასზე ქალაქი გერმონესა, და მირმიკეა, სრუტის შუაში კუნძული ალო-პაკა" (იქვე, წიგნი IV; 84-85-86-87)

პლინიუს უფროსის ეს ცნობა ტევად და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოი-ცავს;

1.პლინიუსის მიერ კარკენტიდის მდინარედ წოდებული, ბორისფენი (დნეპრი) ჩანს, განსხვავებით პომპონიუს მელასი,რომელიც კარკენტიდის მდინარედ დო-ნუზლავის ტბას თვლის.

2.მდინარე კარკენტიდის შესართავთან, რომელიც პლინიუსისავე სიტყვებით ნახევარკუნძულის ყელზე მდებარეობს, ქალაქი ტაფრაა განლაგებული. რასაკვ-ირველია, ეს მელასეული ქალაქი ტაფაა.

3. პლინიუსი თითქმის არ ანსხვავებს ტავრებს და ბასილიდებს. მის ჩამონათვა-ლში 30 ტომის შესახებ, უეჭველად ბასილიდთა ტომებიცაა ნაგულისხმევი. მათ გვერდზე, მთის თხემზე სკვითოტავრებიც ცხოვრობენ,ამაღლებული მთის თავ-ზე.

4. ყურადღების მიღმაა დარჩენილი, რომ პირველად პომპონიუს მელა, შემდგ-ომ კი პლინიუს უფროსი სინდთა ქალაქებს კიმერიულ ქალაქებად იხსენიებენ. ერთი საქმეა ბოსფორს დაუძახონ კიმერიული, რომლის ლანშაფტი და სახელი სავარაუდოდ უცვლელი ჩანს აქ კიმერიელების ცხოვრებიდან მოყოლებული... და სულ სხვა საქმეა ქალაქებს დაუძახო კიმერიული, როდესაც გასული 700 წე-ლი მათ საცხოვრისს ნაცარტუტად აქცევდა! ცხადია აქ სინდურ ქალაქებზეა სა-უბარი და მათი კიმერიულად მოხსენიება, ამ უკანასკნელთა მჭიდრო ნათესა-ობის კიდევ ერთი ნიშანია...სინდები-ეს თრაკიული (რუმინული) ტომები კიმე-

რიელთა უახლოესი მონათესავეები ჩანან, თავიდან ბოსფორის აღმოსავლეთის სანაპროზე ვიწრო ზოლად შემორჩენილი, შემდგომ ეპოქაში გავრცელებული ყირიმის ნახევარკუნძულზე, მონათესავე ტომების სამშობლოში.

5...და ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი....ქალაქი კიუტის ხსენება, კოლხური ტომების ქალაქისა, რომელმაც საფუძველი მისცა ანტიკურ რომაელ პოეტს, ვალერიუს ფლავკს დაეწერა არასრული პოემა **<u>სკვითიის მეფის, აიეტის ქალიშვილ მედეაზე</u>**.ის, რომ პლინიუსის წინამორბედები, სტრაბონი და პომპონიუს მელა არ აღნიშნავენ ქალაქ კიუტს, მიანიშნებს იმაზე,რომ ეს უკანასკნელი დაარსებულია23-78 წელი ქრისტესით.(13)

სანდო და პასუხისმგებლობით შედგენილი ჩანს ფლავიუს არიანეს ცნობები. ჩანაწერები შედგენილია რომის იმპერიის პონტოს პროვინციის (აქვე შედ ის კოლხეთიც) მეფისნაცვალის ფლავიუს არიანეს მიერ, წარმოადგენს მისსავე სამართავად მინდობილი პროვინციის საზღვაო სანაპიროს ინსპექცირების ანგარიშს და გამიზნულია იმპერატორთან წარსადგენად:

„ესაა მთელი მანძილი ბიზანტიონიდან დიოსკურიამდე თუ მისცურავ (პონტოში შესვლის შემდეგ) მარჯვნით. აქ მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის. რადგანაც გავიგე რომ <u>კოტისი</u>, ეგრეთწოდებული კიმერიული ბოსფორის მეფე გარდაცვლილა, მე შევეცადე ბოსფორამდე, თუკი რამეს მოისურვებ ბოსფორის მიმართ, შესაძლებლობა გქონდეს იმსჯელო ამ გზის ცოდნის საფუძველზე“ (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. პარაგრაფი-17; თბილისი 1961 წ)

1. ჩვ.წ. აღრიცხვის 131 წელს, რომაელთა საზღვარი საქართველოს ტერიტორიაზე, ავტორის სიტყვებით დიოსკურიაზე (სოხუმზე) გადის, თუმცა სულაც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიოსკურიის გაგრძელებაზე მყოფი ტომები ასევე ქართველური არ იყო.

2. ბოსფორის მეფის სახელი კოტისი, რომელიც სინდური წარმოშობის მეფეების დინასტიური სახელი ჩანს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რომელი ტომია ამ დროს ბოსფორის სახელმწიფოში დომონანტი.

თავისი დროისათვის უდავოდ განათლებული პიროვნება (14) ფლავიუს არიანე, რომელიც უცილობლად გაცნობილი ჩანს იმ დროისათვის არსებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჩანაწერებს, აშკარად არასწორად კითხულობს პლინიუს უფროსის მიერ მოწოდებულ ცნობებს სინდიკის ადგილმდებარეობის შესახებ, რომელსაც ჰეროდატეს, სტრაბონის და პლინიუსის ცნობების საწინააღმდეგოდ ანაპაში ათავსებს, რომელიც ამ დროისათვის თორეტებით ჩანს დასახლებული:

„აქედან ნავსადგურ პაგრამამდე-სამას ორმოცდაათი, პაგრამიდან ჰიერონის ნავსადგურამდე-ას ორმოცი, აქედან სინდიკემდესამასი (სტადიონი) (იქვე)

აღნიშნული მანძილის გადაზომვა არსებულ რუკებზე აშკარად მიანიშნებს, რომ ეს მანძილი ემთხვევა პლინიუს უფროსის მიერ აღწერილი თორეტების დასახლებას, ნავმისადგომ ანაპას, რომელსაც სინდები არც არასდროს არ ფლობდნენ (14)... ანაპის შემდეგი ტერიტორიების აღწერისას, ფლავიუს არიანე არ აღნიშნავს ადგილობრივი მნიშვნელობის მეფეებს, რაც იმ დროისათვის ჩამოყალიბ-

ებული პოლიტიკური კონიუნქტურის მაჩვენებელია. ბოსფორი-ეს მეფე კოტი-სის რომის იმპერიაზე ნახევრად დამოკიდებული, ვასალური სახელმწიფო ჩანს, ხოლო ბოსფორის შემდეგ მდებარე შავიზღვისპირა ევროპული ტერიტორიები-რომის იმპერიის უშუალო სამფლობელო.

„პანტიკაპეიდან სოფელ კაძეკამდე, ზღვასთან რომაა მოთავსებული, ოთხას ოცი სტადიონია, აქედან თეოდოსიამდე, გაუდაბურებულ ქალაქამდე-ორას ოთხმოცი სტადიონია. <u>ეს იყო ძველი ბერძნული ქალაქი, იონიური, მილეტე-ლთა ახალშენი.</u> (16) მისი ხსენება მრავალ ლიტერატურულ ძეგლშია. აქედან სკვითოტავრების მიტოვებულ ნავსადგურამდე ორასი სტადიონი, აქედან ტა-ვრიის ლამპადამდე-ექვსასი. ლამპადიდან ნავსადგურ სიმბოლონამდე (ტავრ-იდულია ესეც) ხუთას ოცი სტადიონია, აქედან ტავრიდის ქერსონესამდე-ას ოთხმოცი. ქერსონესიდან კარკენტიდამდე-ექვსასი. კარკენტიდან ნავსადგურ კალოსამდე (ესეც სკვითურია)-კიდევ შვიდასი" (სტადიონი) (იქვე)

წყაროების შედარება და გადაზომვები თანამედროვე რუკაზე გვიჩვენ-ებს პუნქტების დღევანდელ მდებარეობას:

თეოდოსია-დღევანდელი ფეოდოსია

მიტოვებული ნავსადგური სკვითოტავრებისა-დღევანდელი სუდაკი.

ლამპადა-ტერიტორია დღევანდელი იალტის სიხლოვეს.

სიმბოლონი-ბალაკლავა, სევასტოპოლის უშუალო სიახლოვეს.

ტავრიდის ქერსონესი-სევასტოპოლი.

კარკენტიდა-ევპატორია

კალოს ლიმანი-დღევანდელი დასახლებული პუნქტი ჩერნომორსკაია.

აღსნიშნავია, რომ ქალაქების სახელი ყველა ისტორიკოსისათვის ერთი და იმავე ადგილის აღმნიშვნელი არა ჩანს. კარკენტიდა-ეს სრულიად სხვადასხ-ვა ადგილები ჩანს სტრაბონთან, პლინიუს უფროსთან და ფლავიუს არიანესთან (ისევე როგორც ანაპა)

„ნავსადგურ კალოსიდან ტამირაკამდე სამასი სტადიონია, ტამირაკას შიგნით არის პატარა ტბა. აქედან ტბის შესართავამდე სამასი სტადიონი. ტბის შეს-ართავიდან ეონამდე-სამას ოთხმოცი, აქედან მდინარე ბორისთენამდე-ას ორ-მოცდაათი" (იქვე, პარაგრაფი 20)

ანალიზის და გადაზომვების მიხედვით, ფლავიუს არიანეს ნახსენები ტამირაკა იქაა საძიებელი, სადაც დღეს ტბა ბაკალსკოე მდებარეობს, კოტოვს-კოე, სლავნოე და ავრორას სამკუთხედში. როგორც ანალიზის შედეგი ცხადყ-ოფს, არიანეს ყირიმის ყელისაკენ არ გაუცურავს, ტამირაკადან მისი საზღვაო კრუიზის მიმართულება მოპირდაპირე მხარისაკენ, დაბა ლაზურნოესაკენ ჩანს მიმართული. აქედან ეონამდე (ეონში არიანე მეჩეჩს გულისხმობს, ტენდროვს-კის ყურის ბოლო წერტილს) ხოლო მდინარე დნეპრის მთელი ლიმანი-დნეპრ-ად (ბორისთენად) არის ჩათვლილი. ამავე პერიოდიდან ყირიმის ნახევარკუნ-ძულის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართველური, ლაზური ელემენტი, რომლის წამოჩინებაც აუცილებელია.

ანონიმი ავტორი მე-5-ე საუკუნისა, რომელიც ასევე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს აღწერს, სრულიად იყენებს არიანესეულ ფაბულას და ნაბიჯ ნაბიჯ

იმეორებს მის მოგზაურობას, აღწერის თანხლებით. ამასთან, ანონიმი ცდილობს დააფიქსიროს ადგილმდებარეობათა და მდინარეთა სახეცვლილება, აგრეთვე ტომების მიერ საცხოვრებელი ადგილების ცვლილების ყოველი შემთხვევაც. ის მიუთითებს რომ მდინარე აქეუნტის (დაგომისის) ნაპირიდან მოყოლებული, ტერიტორიას ჯიქთა (ზიხთა- ზიგთა) დასავლეთ ქართველური ტომები აკონტროლებენ:

„ძველი აქაიადან ვიდრე ძველ ლაზიკამდე და შემდეგ ვიდრე აქეუნტის მდინარემდე , წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები და კილიკელები, მელანქლენები, მაქელონები , კოლხები და ლაზები, აჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები''(ანონომი მე-5-წ საუკუნისა; პარაგრაფი 18)

ანონიმის აღწერის მიხედვით, ტერიტორიები ნოვოროსიისკიდან მდინარე დაგომისამდე ჯიქთა დასავლეთ ქართველურ ტომებს უკავიათ:

„პაგრამის ნავსადგურიდან ძველ აქაიამდე (350 სტადიონი) წინათ ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული აქაიელები, ხოლო ამჟამად ცხოვრობენ ჯიქები" (იქვე, პარაგრაფი-20)

ტერიტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი დაკავებული ჩანს ჯიქთა მიერ, ხოლო აქაიელები და კერკეტები, იმავე ავტორის მიხედვით გადაადგილებული ჩანან ტამანის ნახევარკუნძულზე. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ანონიმის თხრობა სცდება არიანეს ფაბულას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს ცდომილება აშკარად ნაშრომის გადამწერთა შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რომელიც არა ერთი ეყოლებოდა ანონიმ ავტორს საუკუნეების მანძილზე. ასე მაგალითად, არრიანეს &-18-ში, მანძილი ჰერაკლეს კონცხსა და თრასკიული ქარისაგან დამცავ ბორცვს შორის:

„აქეუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე ას ორმოცდაათი სტადიონია, აქედან ას ოთხმოცი სტადიონია იმ ბორცვამდე რომელიც იცავს (მოგზაურს) თრასკიული ქარისაგან და ბორეასისაგან''(ფლავიუს არრიანე, მოგზაურობა შავი ძღვის გარშემო)

იგივე მანძილი ანონიმ ავტორთან, &-17-ში ასე გამოიყურება:

მდინარე აქეუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე (ახლა უკაცრიელი ჰქვია) ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი. ჰერაკლეს კონცხიდან იმ კომცხამდე, რომელზედაც ახლაცაა სიმაგრე, ბაგად (17) წოდებული, ათი სტადიონია, 1,1/3 მილი. ამ კონცხიდან იმ კონცხამდე, რომელიც დაცულია თრასკიისა და ბორეას ქარისაგან (სადაც ახლა იმყოფება ე.წ. ლაია) ოთხმოცი სტადიონია, 10. 1/3 მილი'' (ანონიმი)

ანონიმი, რომლის თხრობის ფაბულა და ტომთა შორისი მანძილები ანალოგიურია არრიანესეულისა,მისეულ მანძილს ჰერაკლეს კონცხსა და თრასკიული ქარისაგან დამცავ ბორცვს შორისს განსხვავებული უჩანს, თუმცა როგორც ირკვევა, აქ უბრალოდ შემდგომი გადამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე (18)

1.ნონიმის სიტყვები, რომ ''სინდურ ნავსადგუდში'' ადრე სინდები ცხოვრობდნენ, მხოლოდ არრიანეს შეცდომაზე ჩანს დამყარებული, რომელიც ერთადერთი ყველა ისტორიკოსებს შორის აღნიშნავს ანაპაში სინდების ნავსადგურს. არიანეს შეცდომას ობიექტური მიზეზი უნდა გააჩნდეს (19)

2.ანონიმის აღნიშვნა, რომ სინდების ნავსადგურს ახლა ევდუსია ჰქვია, ხოლო მოსახლეობა ლაპარაკობს **ტავრიდულ** ან გუთურ ენაზე, მხოლოდ ერთი ფაქტ-ის კონსტატაციას ახდენს: ანონიმს, სავარაუდოდ ბერძენს ან რომაელს არ ესმის ამ ხალხის ენა. (ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ხალხი ტავრები ან გუთები იყვ-ნენ, თუმცა თორეტების ეთნიკური მიკუთვნებულობის საკითხი ცდება წიგნის ფორმატს)

3.ის, რომ ჰერმონესადან სინდურ ნავსადგურამდე და მეოტიის გასწვრივ ცხოვ-რობენ სინდები, მეოტიისა, რომელიც ტამანის ნახევარკუნძულისგან ჩრდილო-ეთოთ იწყება, აშკარად მიანიშნებს კერკეტებისა და ახაიელების ცხოვრებას ამ უკანასკნელისაგან ჩრდილოეთით, მეოტიდის გასწვრივ.

4.კრიტიკას ვერ უძლებს კერკეტების და თორეტების გაიგივება ანონიმის მიერ. თუ კერკეტები მეოტიდის ტბის აღმოსავლეთი სანაპიროსაკენ მიგრირდებიან, ისევე როგორც ახაიელები,სრულიად საწინააღმდეგო მიმართულება უჩანს თო-რეტთა მიგრირების პროცესს. (თემა აშკარად სცილდება წიგნის ჩარჩოებს)

5. ანონიმს ახაიელები კერკეტების მტრებად უჩანს დაფიქსირებული, რაც მათ ეთნიკურ სხვაობას და არსებულ ტენდენციას უნდა მიანიშნებდეს.(იხ. კერკეტ-ებთან)

საინტერესოა, რომ ბასილი სოფენელის მიერ შედგენილი საეპისკოპოს-ოთა სიაში, VI საუკუნის მიწურულს და VII საუკუნის დამდეგს მოხსენიებულ-ია ჯიქეთის სამი (სამი!) ავტოკეფალიური საეპისკოპოსო:

1.ეპარქია ჯიქეთისა-ქერსონესის ავტოკეფალია

2.ეპარქია ჯიქეთისა-ბოსფორის ავტოკეფალია

3.ეპარქია ჯიქეთისა-ნიკოფსიის ავტოკეფალია

(გეორგიკა, ტომი 4; წიგნი 2; ბასილი სოფენელი, გვერდი 129; თბილისი-1952 წ)

ნოტაცია 6-გვ139; მეორდება იგივე ეპარქიები

ნოტაცია 7-გვ140; მეორდება იგივე ეპარქიები

ნოტაცია 8-გვ 141; მეორდება იგივე ეპარქიები

ნოტაცია -10 გვ145; მოხსენიებულია ჯიქეთის საარქიეპისკოპოსო

ნოტაცია 10 ა. გვ150 მოხსენიებულია მატრახის (მატრეგის) საარქიეპისკოპოსო

ნოტაცია 10 დ. გვ180;N 22-ჯიქეთის ქერსონესის ეპარქია

N 39-ჯიქეთის ბოსფორის ეპარქია

N50-მატრახის ჯიქეთის ეპარქია

ჯიქეთის ნიკოფსიის ავტოკეფალი ყველა ნიშნით სუფთა ქართველური საეპისკოპოსო ჩანს, თუმცა დანარჩენი ავტოკეფალებიც ჯიქეთისად არის მოხს-ენიებული, რაც ამ უკანასკნელთა აშკარა პრიმატის მაჩვენებელია ხერსონესის და ბოსფორის ტერიტორიაზეც.

...და მაინც, ბოსფორისა და ხერსონესის ტერიტორიაზე ჯიქთა ტომის რაო-დენობრივ და შასაბამისად თვისობრივ აღმატებულობაზე საუბარი შეუძლებე-ლი ჩანს შესაბამისი მტკიცებულების მოშველიების გარეშე.

ისტორიული ექსკურსი

ამ საკითხზე ზიხების თემასთან დაკავშირებითაც ვიმსჯელეთ,თუმცა ზედაპირულად...უნდა ვაღიარო, მეც ნაწილობრივ ცრუ კვალზე გავიარე... ვფიქრობთ დროა გადაიჭრას ზიხეთის ისტორიის ის გორდიას კვანძი, რომელსაც ათასწლეულის სიშორიდან გვიგზავნის ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე პორფიროგენტი:

„მეოტიდის ტბიდან გამოდის სრუტე, სახელწოდებით ვურლიკი და მიედინება პონტოს ზღვისაკენ. სრუტეში დგას ბოსფორი, ხოლო ბოსფორის მოპირდაპირედ მდებარეობს ეგრეთ წოდებული ციხე-სიმაგრე ტამატარხა. ამ გადასასვლელის სიგანე სრუტეზე 18 მილია. ამ გადასასვლელის შუაში მდებარეობს დიდი დაბალი კუნძული, სახელით ატეხი. ტამატარხის იქით, 18 თუ 20 მილზე მდებარეობს მდინარე, სახელწოდებით უკრუხი, გამყოფი ზიხეთისა და ტამატარხისა, ხოლო უკრუხიდან მდინარე ნიკოფსიამდე, რომელზედაც მდებარეობს მდინარის თანამოსახელე ციხე-სიმაგრე, გადაჭიმულია ზიხეთის ქვეყანა, განვრცობილი 300 მილზე. ზიხეთს ზემოთ დევს ქვეყანა, წოდებული პაპაგიად, პაპაგიის ქვეყნის ზემოთ- ქვეყანა წოდებული კასახიად, ხოლო კასახიის ზემოთ მდებარეობს კავკასიის მთები, ხოლო ამ მთებს ზემოთ-ალანების ქვეყანა“ (კონსტანტინე პორფიროგენტი; იმპერიის მართვისათვის, თავი 42)

პორფიროგენტის ჩანაწერებში ჩვენთვის საინტერესო მომენტი-ეს ტამატარხის ციხე-სიმაგრისა და ზიხეთის დამოკიდებულებაა. იმავე რუსული წყაროების მიხედვით, VI-საუკუნის დასაწყისში ჩვ.წ. აღრიცხვით-აღნიშნული ტერიტორია შედიოდა ბოსფორის სამეფოში...იმავე VI-საუკუნეს უკვე ჩვ.წ. აღრიცხვით, ბიზანტიის იმპერიის ხელდებული ფედერაცია...იმავე საუკუნეში გადავიდა თურქული ხაკანატის (სინამდვილეში ხაზართა) გამგებლობის ქვეშ.

...და ხაზართა გამგებლობა რას ითვალისწინებს?

ხაზარეთის შესახებ განუზომლად დიდი მასალებია თავმოყრილი რუსულ საისტორიო ლიტერატურაში, რამეთუ ხაზართა კაგანატი განლაგებული იყო დღევანდელი რუსეთის ტერიტორიის ფარგლებში. აი ასეა დაფიქსირებული ხაზარეთის საზღვრები მისი ზეობის ზენიტში:

„ჩრდილოეთით დონეცისა და დონის ზემო წელი, დასავლეთით - დონეცის მარჯვენა სანაპირო და ჩრდილო აზოვის პირი. სამხრეთისაკენ აღმოსავლეთ ყირიმი და აღმოსავლეთ აზოვისპირეთი-ყუბანი და კასპიამდე მთისწინეთი, აღმოსავლეთოთ კასპიის ზღვა, ვოლგის მარცხენა სანაპირო სარატოვამდე, ვოლგა დონის შუამდინარეთი'' (Ппетнева С. А)

როგორც ირკვევა, მე-9-ე საუკუნის დასაწყისიდან, ხაზართა სახელმწიფოში ცენტრალიზირებული მმართველობა მოშლილი ჩანს, მმართველობის ფორმა არაბთა ხალიფატის ანალოგიურ სახეს იღებს:

„მე-9-ე საუკუნის დასაწყისში ბულანის (პირველი იუდეველი მეფე) შთამომავალმა –ობედიამ, კაგანის მომდევნო პოსტი დაიკავა და საკუთარ ხელში მოუყარა თავი რეალურ ძალაუფლებას. ამ მომენტიდან ხაზარეთში დამყარდა

ორმაგი მმართველობა, რომლის დროსაც ნომინალურად ქვეყანას მართავდა კაგანი ძველი სამეფო გვარიდან, მაგრამ რეალური მმართველობა ხორციელდ-ებოდა ბეგების (მეფეების)მიერ ბულანების გვარიდან'' (ვიკიპედია, ხაზარეთ-ის კაგანატი)

იმავე რუსული წყაროებით, ტამატარხა ჯერ კიდევ ხაზარეთის ხელდებ-ული პოლიტიკური ერთეული ჩანს (რომელსაც ქართული წყაროები მცირე ხა-ზარეთს უწოდებს). ვინაიდან კიევის რუსის კნიაზის, სვიატოსლავ იგორის ძის მიერ მისი დაპყრობა იმავე რუსულ წყაროებში დათარიღებულია 965 (ზოგიერ-თი წყაროებით 968-969) წლით. ის,რომ ტამატარხის ციხე-სიმაგრე პორფიროგ-ენტის ეპოქისათვის ჯერ კიდევ ხაზართა კაგანატის ხელდებულია, ჩანს კონს-ტანტინესეული დასახელებით. კიევის რუსმა დაპყრობისთანავე ციხე-სიმაგრ-ეს სახელი შეუცვალა და ტმუტარაკანი უწოდა. რუსი მეცნიერების კვლევის უნ-ისონში მოდის ძველი ქართული წერილობითი ცნობაც:

„ხოლო ეგროსს მისცა ქვეყანაი ზღვის ყურისაი და უჩინა საზღვარი; აღმოსა-ვლით - მთაი მცირე, რომელსა აწ ჰქვია ლიხი, დასავლით-ზღუაი; მდინარე მცირე ხაზარეთისაი, სადა წარსწუდების წუერი კავკასიისა'' (ლეონტი მროვე-ლი; ქართლის ცხოვრება, ტომი-1, გვ-11.თბილისი-2012წ)

ქართული საისტორიო წყარო იმ ქართველურ ეთნიკურ-პოლიტიკურ ერ-თეულს, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენტი ტა-მატარხად იხსენიებს (და რომლის ეთნიკური მოსახლობის აბსოლუტური უმ-რავლესობა ზიხია, გარდა მმართველი ხაზარული-ებრაული ელიტისა) მცირე ხაზარეთს უწოდებს! (20) სავარაუდოა, რომ ეს დასახელება ხაზარული პრიმა-ტია და ქართული წყაროები მას უბრალოდ იმეორებს. დიდი ხაზარეთის ასევე დიდი მდინარე-ეს ვოლგაა, რომლის სანაპიროზედაც მათ მეათე საუკუნეში არ-აერთი არაბი ავტორი ასახელებს. მცირე ხაზარეთის ასევე მცირე მდინარე (შე-დარებით ვოლგასთან) ეს უკრუხია, იგივე ყუბანი. უეჭველია, რომ ლეონტი მროველი ეგროსის შთამომავალთა- მეგრელების ეთნიკურ საზღვარს აღწერს, რომელის საზღვარი მდინარე ყუბანია და სადაც ნამდვილად უწევს წვერი კავ-კასის მთისა!

ზუსტად ეს უნდა იყოს ხაზარეთის კაგანატის მცირე ნაწილი, რომელ-საც ბულანიდი მეფე მართავს (არა კაგანი) და რომელიც გარკვეულ პოლიტიკ-ურ ფუნქციას ასრულებს აფხაზეთის (არა აბაზგიის) ტერიტორიაზე:

„ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთაი, სახელითა ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისაი, რომლისად მიეცა სამკვი-დროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვი-დრე ლიხამდე, სახელად იდვა მეფე აფხაზთა'' (ქართლის ცხოვრება, მატიანე ქართლისაი, გვ209, იქვე)

ჩანს, რომ მცირე ხაზარეთის (ზიხეთის) მეფე იმავე ბულანიდების გვა-რის წარმომადგენელია და უეჭველია ისინი ასრულებენ ლეონ მე-2-ის საყრ-დენ ფუნქციას, და რომელთა მეშვეობით აფხაზთა (ზიხ-სანიგთა და აბაზგთა) ხელისუფლება გავრცელდა ლიხის მთებამდე! (და არა ხაკანი ასტრახანიდან)

...და ვინ არის ხაზართა ხელდებული მცირე ხაზარეთის მოქალაქენი? რუსული წყაროების მიხედვით, ტამატარხის (უკვე ტმუტარაკანის) მოქალაქეები არიან ზიხები, ბერძნები, ალანები, სომხები, ებრაელები (და რასაკვირველია დამპყრობელი რუსებიც-უკრაინელები) თავად ტამატარხის მცხოვრებნი რასაკვირველია ვერ იქნებიან რუსები, ვერც ალანები (ზიხებსა და ალანებს შორის მტრობას აღნიშნავს არა მარტო კონსტანტინე პორფიროგენტი, არამედ მისი თანამედროვე არაბი ისტორიკოსი მას'უდიც) არც სომეხთა სამეფო ჩანს დაშლილ-დაქუცმაცებული და დაპყრობილი, რომელმაც ეს ერი აიძულა ახალი სამშობლო ეძებნა ევრაზიის სხვადასხვა კუთხეში. რაც შეეხება ბერძნებს, მათი დასწრებულობა ყოფილ ბოსფორსა და ხერსონესში უბრალოდ აქსიომაა...და მცირე წრე დიდგვაროვანი ებრაელი მმართველებისა, რომელიც ევრაზიის ამ ნაწილში მრავალ ადგილას არის დაფიქსირებული.

რუსული წყაროების მიხედვით, ეს ნიკოფსიის ზიხეთის ეპარქიაა გადატანილი მატრეგაში-ბოსფორში, როდესაც სინამდვილეში სამი ეპარქიაა დაფიქსირებული ზიხეთისა ერთდროულად, მათ შორის ბოსფორისა. სინამდვილეში საქმე გაცილებით მარტივადაა: ბოსფორის ზიხეთის ეპარქიას გადაერქვა სახელი მატრეგის ეპარქიად!

ის, რომ ტამატარხაში (მოგვიანებით მატრეგად წოდებული) ზიხური ელემენტი დომინანტია, ვერც რუსული წყაროების უარყოფენ:

ანთიმოზი-არქიეპისკოპოსი **ზიხეთისა**-1021წ

არქიეპისკოპოსი ანტონი-1039-1054 წ

არქიეპისკოპოსი **ზიხეთისა** გრიგორი-1072წ

ანონიმი არქიეპისკოპოსი **ზიხეთისა**-1081-1084წ

კიევ-პეჩორის მღვდელი ნიკოლაი-XI საუკუნე, კიდევ ერთი არქიეპისკოპოსი მატრეგისა-1169 წ

უკვე მიტროპოლიტი **ზიხეთისა** ვასილი-1285 წ

არქიეპისკოპოსი **ზიხეთისა**-ფეოდოსი XII-საუკუნის ბოლოს

არქიეპისკოპოსი **ზიხეთისა** ნიკოდიმი-1394წ

არქიეპისკოპოსი **ზიხეთისა** და მატრეგასი1396 წ

ცხადია, მატრეგაში, ტამანის ჩრდილო ნახევარკუნძულზე (ყოფილ ტამატარხაში) მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ზიხები წარმოადგენენ თვით მე-14-ე საუკუნის ბოლოსაც კი...თვით გიზოლფების დინასტიამ გენუელი დიდგვაროვნისა, რომელიც 1475 წლამდე (თურქების მიერ მატრეგას დაპყრობამდე) წარმოადგენდა მატრეგის სუზერენს, ეს უფლებამოსილება ზიხი თავადი ქალიშვილის (როგორც ეტყობა ერთადერთის) შერთვის შემდეგ მიიღო.

..და ისევ კონსტანტინე პორფიროგენტი და მის მიერ დასახელებული საზღვრები ზიხიისა და...აფხაზეთისა...

კონსტანტინე VII პორფიროგენტი, ბიზანტიის მეფე მაკედონიური დინასტიიდან, მეფობდა ნომინალურად 913 წლიდან, რეალურად 945-959 წლები... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრაქტატი იმპერიის მმართველობის შესახებ, კონსტანტინე პორფიროგენტმა დაწერა მისი ნომინალური მეფობის დროს, 913-945 წლების დიაპაზონში, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია თქმა, რომ ტრაქ-

ტატი 945-959 წლებზე გვიან შექმნილი ვერ იქნება... შესაბამისად, ტრაქტატში აღწერილი რეალიები შეეხება მხოლოდ 959 წლამდე არსებულ რეალობებს-ამ-ო-სავალი წერტილი ეს უნდა იყოს...

კონსტანტინე პორფიროგენტი იმავე ტრაქტატის იმავე N42 თავში სხვა მანძილებსაც აღწერს, ფაქტიურად ისეთებს, რომელთაც განვლილი ათასწლეულის განმავლობაში პარამეტრები არ და ვერ შეეცვლებოდა...მანძილს იგივე მილებში უჩვენებს , რაც რეალურ შესაძლებლობას გვაძლევს განსაზღვროთ, თუ რა სიგრძისაა კონსტანტინესეული „მილი“

1.ზღვის სანაპიროზე მანძილი მდინარე დუნაის და დნესტრს შორის=120 მილი.
2.მდინარე დნესტრს და დნეპრს შორის ასეთივე მანძილი=80 მილი.
3.დნეპრს და ხესონესს-სებასტოპოლისს შორის მანძილი=300 მილი.
4.ხერსონიდან-სებასტოპოლიდან ბოსფორამდე მანძილი=300 მილი.
5.ზიხიიდან ნიკოფსიამდე-დღევანდელ ნეჩეპსუხომდე მანძილი=300 მილი.
6.სანაპირო ზიხეთის საზღვრიდან-ნიკოფსიიდან-ნეჩეპსუხოდან წარმოადგენს აბასგიას, სოტირუპოლის სიმაგრემდე-ის გადაჭიმულია = 300 მილზე...

...და როგორც რუქაზე გადაზომვები გვიჩვენებს, კონსტანტინე პორფიროგენტის მილი= 0,85-0,9 კილომეტრს...არ ვიცით საიდან მოიტანა ეს განზომილება კონსტანტინე პორფიროგენტმა და ამის შესახებ მხოლოდ მარჩიელობათუ შეგვიძლია (21) ...პორფიროგენტის ნაჩვენები მანძილები N1; N2; N3;N4; აბსოლუტურად თანხვედრაშია მისსავე ნაჩვენები მანძილებისა მილებში, თუ პორფიროგენტისეული მილის სიდიდედ ზემოთ ნაჩვენებ 0,85-0,9კმ-ს მივიღებთ...

ზიხიის ერთ-ერთი საზღვარი ვიცით, ეს ნიკოფსიაა-დღევანდელი ნეჩეპსუხო,ხოლო აქედან 300X0,9=270 კილომეტრის გადაზომვა მიგვიყვანს იმ საზღვართან- ბუნებრივ ბარიერთან, საიდანაც სინამდვილეში ზიხია იწყება, ეს მდინარე ყუბანის მარჯვენა-დღეს არსებული ერთადერთი შენაკადია, რომლითაც ის აზოვის ზღვას ერთვის...და რასაკვირველია მცირე ხაზარეთი, ტმუტარაკანი, მატრეგა-ეს ზიხიის ნაწილია, ხაზარეთის მიერ ხელდებული...მისი მოქალაქეები შანების უმამაცესი ზიხური ტომია, რუსულ სპეციფიკურ ლიტერატურაში ამ კუთხის შესახებ, არაერთხელ ნახსებები და განდიდებული...

...და აბასკეთი? ბიზანტიის იმპერატორს, კონსტანტინე პორფიროგენტს ეთნიკური აფხაზეთი, მისი მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებით, აქვს აღწერილი და არა პოლიტიკური აფხაზეთი (რომელსაც ალბათ არც ცნობს და აღიარებს)...გადაზომვა იმავე პორფიროგენტისეული„მილით“ გვიჩვენებს, რომ სოტირიუპოლისის ციხე-სიმაგრე, ეს დღევანდელ კინდღში მდებარე ციხე-სიმაგრეა, იმავე ბიზანტიელების მიერაშენებული შორეულ წარსულში...როგორც ჩანს კიგნი-გედი, ეს დაბის დასახელებაა და არა ციხე-სიმაგრისა-ამ უკანასკნელს კონსტანტინე პორფიროგენტის სიტყვებით სოტირიუპოლი ჰქვია...

პაპაგია და კასახია

...დაქვეყნები პაპაგია და კასახია სად მდებარეობენ იმავე კონსტანტინე პორფიროგენტის აღწერილი იმავე ეპოქაში, რომლებსაც იგი ზიხეთის ზემოთ ათავსებს? და აი აქ საკითხის გასარკვევად ისევ უნდა დავუბრუნდეთ V საუკ-

უნის ანონიმის „პერიპლუსს“

„სინდიკის ნავსადგურის შემდეგ არის სოფელი, რომელსაც ეწოდება კოროკონდამე, მოთავსებული ყელზე ან ვიწრო ზოლზე ტბასა და ზღვას შორის.მის მეზობლად კოროკონდამიტის ტბაა, ახლა ოპისა ეწოდება. ქმნის მეტად დიდ უბეს ექვსას ოცდა ათი სტადიონი 84 მილის მანძილზე (124) კმ. თუ ტბაში შევა ვინმე და ნაპირის ირგვლივ დაიწყებს ცურვას,ქალაქ ჰერმონესამდე იქნება ოთხას ორმოცი სტადიონი 58, 7 მილი (86 კმ)“ (ანონიმი ; პერიპლუსი-23, V ს.ახ. წ.აღრიცხვით)

ანონიმი სოფელ კოროკონდამეს ვიტიაზევოს ლიმანის დასაწყისშივე მიუთითებს. მის მიერ ნაჩვენები მანძილი-124 კილომეტრი მიუთითებს, რომ ის ვიტიაზევოს და კიზილტაშის ლიმანს, ერთ-ოპისას ტბად აღიქვამს....და მაინც, მის მიერ ნაჩვენები მანძილი ორივე ლიმანის ჯამური გარშემოწერილობა შეიძლება იყოს, ვინაიდან ვიტიაზევოს ლიმანის დასაწყისიდან კიზილტაშის ლიმანის უშორეს წერტილამდე პირდაპირი მანძილი 50 კმ-ს არ აღემატება. მართლაც, ანონიმს მითითებული აქვს, რომ თუ ვინმე შევა ტბაში და მის ირგვლივ დაიწყებს ცურვას, ჰერმონესამდე 86 კმ-იქნება. ჯერჯერობით ჰერმონესის ადგილ-მდებარეობის განსაზღვრა არ შეგვიძლია, რამეთუ არ ვიცით რომელი წერტილიდან იწყება ტბაში შესასვლელი

„ ჰერმონესადან სინდიკის ნავსადგურამდე მეოტიდის გასწვრივ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა ტომი სინდებად იწოდება, ქვეყანას აქედან ჰქვია სინდიკე....სინდების შემდეგ კერკეტები...კერკეტების მეზობელი ქვეყანა აქაველებს უჭირავთ...მრავალნი არიან და კერკეტების მტრებად ითვლებიან“(იქვე 24)

სავარაუდოდ, აქ ანონიმს შეცდომა აქვს გაპარული, სინდები ოპისას ტბის გარ-შემომცხოვრებნი ჩანან და არა მეოტიდისა.

„ჰერმონესიდან - უბიდან რომ გამოხვალ, გაივლი 515 სტადიონს, 68,7 მილს (101 კმ) მეოტიდის შესართავამდე და აქილევსის სოფლამდე“ (იქვე25)

ანონიმის ეს ცნობა უკვე შეცდომის დაშვების შესაძლებლობას თითქმის გამორიცხავს: მეოტიდის შესასვლელი და აქილევსის სოფელი- ეს ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი დაბოლოება , საიდანაც გადაზომილი მანძილი 101კმ ოპისაში შემავალ უბემდე თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ტბა ოპისაში შესასვლელი ვიტიაზევოს ლიმანის დასაწყისშივეა აღმოსავლეთის მხრიდან.

„პირდაპირი გზით მცურავს სინდიკიდან ეგრეთ წოდებულ კიმერიულ ბოსფორის ქალაქ პანტიკაპეამდე მოუხდება გავლა ხუთას ოცდაათი სტადიონის, ანუ სამოცდათორმეტი მილისა“(106, 5 კმ) “(იქვე26)

ანონიმის ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს მარტივი არითმეტიკული მოქმედებებით შევამოწმოთ სინდიკის ნავსადგურისა და ტბა ოპისას ყელის ადგილმდებარეობა: ის სინამდვილეში ვიტიაზევოს ლიმანის დასაწყისშივე მდებარეობს...ახლა, როდესაც ვიცით ოპისას ტბაში შემავალი უბის ადგილმდებარეობა, შესაძლებელია ანონიმისეული ჰერმონესას ადგილმდებარეობს მონიშვნაც: გადაზომვების მიხედვით ჰერმონესა უნდა ყოფილიყო ყიზილტაშის ლიმანის ჩრდილო ნახევარმთვარისებრი სანაპიროს თითქმის შუაში, სტაროტიტოროვსკაიას პირდაპირ. რაც შეეხება კერკეტებისა და ახაიელების საცხოვრისს,

ისინი ამავე ლიმანში არ და ვერ მოიაზრებიან: წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ასევე დააფიქსირებდა ფლავიუს არრიანე, რომელიც მხოლოდ მკაცრად ზღვის სანაპიროს აღწერს, რამეთუ ის ნავით მოგზაურობს. ანონიმის სიტყვები, რომ ისინი ცხოვრებენ მეოტიდაზე, როგორც ჩანს მხოლოდ მათ, კერკეტებსა და ახაიელებს შეეხება.

ამავე ვერსიას ამართლებს კონსტანტინე პორფიროგენტის ჩანაწერები მათზე, სადაც ის ორივე ქვეყანას უშუალოდ ზიხიის ზემოთ აფიქსირებს. კერკეტებისა და ახაიელების ცხოვრება მდინარე უკრუხის (ყუბანის) მარცხენა ტოტის სამხრეთით გამორიცხულია: ეს ზიხების ქვეყანაა. ასევე გამორიცხულია მათი ცხოვრება ტამატარხაში (ტამანში) რამეთუ ეს მცირე ხაზარეთია, ასევე ზიხებით დასახლებული. ერთადერთი და სწორი წაკითხვა პორფიროგენტისა-ეს კერკეტების და ახაიელების უკრუხის მარჯვენა ტოტს ჩრდილოეთით ცხოვრებაა. (თუმცა ანონიმის დროს ისინი ჯერ კიდევ ყუბანის ამ ტოტის დასავლეთით ცხოვრობდნენ)

როგორც ჩანს ტამატარხა-მცირე ხაზარეთი ქართული წყაროებისა-სახელის ქვეშ ხაზარეთის მფარველობის (და მართვის) ქვეშ მყოფი ზიხეთი ითვლება. მისი საზღვარი ორივე მხარეს მდინარე უკრუხია (ყუბანი) რომელმაც ფაქტიურად განაპირობა გამგებული მხარის ციხე-სიმაგრედ ქცევა. ასევე, საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ზიხები-ეს აფხაზეთის ზიხებია. ამ ორ სუბიექტს შუა განთავსებული ზიხები-თავისუფალი ზიხები, რომელსაც ბარბაროსებს უწოდებს ბიზანტიის იმპერია თავისი ზეობის პერიოდში.

კონსტანტინე პორფიროგენტი ეთნიკური ზიხების საზღვრებს აღწერს, რომელიც იწყება არა უკრუხის (ყუბანის) მარცხენა ტოტზე, არამედ მის მარჯვენა ტოტზე. აქვეა მრავალრიცხოვანი კუნძულები, მათ შორის ჩანს მისი დასახელებული კუნძულები, ჩარვაგანი და ტურგანრიხი. აქვეა ის ადგილები, რომელიც ზიხებს უჩანთ თავდასაცავად თუ საძოვრებად მოწყობილი, რამეთუ რელიეფი ამის მშვენიერ შესაძლებლობას იძლევა. აქვე ემეზობლება ის ალანებს, რომელთა აშენებულ (გზააბნეული მეფე სალსალის) ციხე-სიმაგრეებზე საუბრობს თურქი მოგზაური ევლია ჩელები. ზუსტად აქედანაა ათვლილი ის 300 „მილი“, რომელიც ნიკოფსიასთან თავდება, სამივე ზიხეთის სიგრძეზე ზღვის გაყოლებით.

ზიხების პორტებს აღნიშნავს იტალიელი კომერსანტი ფრანჩესკო ბელდუჩი პატალოტი მეოტიის ტბაზე, სახელებით ბალზამიკი, ტარი და ილ-პეშუ. ცხადია, ზიხების ეს პორტები, აზოვის ზღვაზე მდებარენი, რომელიც მხოლოდ ტამატარხის (მატრეგას-ტამანის) ჩრდილოეთ ნახევარკუნძულზე შეიძლება ყოფილიყო, მეოტიდაზე... ზიხური (ლაზური) მოსახლეობა XVII საუკუნის შუა წლებშიც ფიქსირდება ხერსონზე, რომ არაფერი ვთქვათ კაფას (ფეოდოსიის) ზიხურ-ლაზურ ნაწილზე და მათ უძველეს ქალაქ კიუტზე.

ქალაქ ბალაკლავას შესახებ თურქი მოგზაური ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ მისი მცხოვრებლები ძირითადად ლაზები არიან, რამეთუ მთიან ნიადაგზე თათრები ვერ ახერხებენ ცხოვრებას:

„ადგილს ყირიმის სამხრეთით ჩეტერდაგს იქით, მდებარეს კაფას ვილაიეთ-

ში, ეწოდება ტატების ქვეყანა. ამ დიდ ქვეყანაში ყინვები არაა და კლიმატი საკმაოდ სასიამოვნოა. იქაური ხალხი—ძირითადი ნაწილი ბერძნები და ჯო-ჯოხეთიდან მოსული ლაზებია, რამეთუ 300 მილზე ამ ადგილებიდან, შავი ზღვის მეორე სანაპიროზე მდებარეობს ტრაპიზუნდის ვილაიეთი, საიდანაც ახლაც მოდიან გემებით აქ დასასახლებლად''

(ევლია ჩელები; მოგზაურობათა წიგნი, ტატების მიწის აღწერა) „აღმართულია აქ ვეებერთელა მთა, რომლის მწვერვალებიდან თავისუფლ-ად შეიძლება ყირიმის ნახევარკუნძულის ხილვა, სამკუთხედის ფორმისა. სუდაკის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარეობს ტატების მთიანი ქვეყანა, განლაგებული კაფის ვილაიეთში. მრავალია აქ ციცაბო მთები და ხეობები. აქაური ხალხი—ეს ბერძნებისა და ლაზების ხალხია, საუბრობენ ერთმანეთში ბერძნულად. სულ აქ ხუთმეტი ათასი ტატია, ცნობილი მშვი-ლდოსნები. ლაპარაკობენ ისინი ერთმანეთში ბერძნულად, თუმცა აქვთ სხვა ენა და კილოკავიც.ეს ქვეყანა ტატებისა დევს ყირიმის ნახევარკუნძულის სა-მხრეთით, კონცხის ბოლოს, სრულიად ფრიალო მთებთან. გააჩნიათ ტატ-ებს თავისებური დიალექტი და სიტყვები. ეს არაა ბერძნული ენა, არაა ებ-რაული და ალანური, არამედ განსაკუთრებული დიალექტი. როცა ისინი ერთმანეთში საუბრობენ, ის საკვირველი მოსასმენია'' (იქვე; ტატების მთიანი მხარის ქება, ტატების ენის თავისებურების შესახებ)

ევლია ჩელების აღნიშნული ბერძნები მილეტელები ჩანან(მილეტელთა გენეზისი სცილდება წიგნის ფორმატს)...ყირიმის ყელზე მდგარი ციხე-სიმაგ-რე ჩენიშკეში (გენიჩესკი), რომელიც ყირიმის ხანია აშენებული ჩანს, ჩელების სიტყვებით ხანმა დაასახლა და დასაცავად გადასცა კომენდანტს 200 კაცით, შე-იარაღებულნი თოფებითა და მშვენიერი ზარბაზნებით. სავარაუდოდ ციხე-სი-მაგრის დასახლება დასახელებიდან გამომდინარე, ჭანური უნდა იყოს,რამეთუ ცეცხლსასროლ იარაღს ჩელებისვე სიტყვებით თათრები ვერ ჰგუობენ.ჩელების ჩანაწერები ცხადყოფენ ლაზების (ჭანების) დასწრებულობას ყირიმის ნახევარკ-უნძულის სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ჩანან ისი-ნი კაფას ვილაიეთში.

ლაზ-ჭანების შესახებ ინფორმაცია დაზუსტებას მოითხოვს, რომლის სა-შუალებასაც ძველი ბერძნული წყაროები იძლევა კიდეც:

„რადგან თეოდორე გავრა (გაბრა) **სამეფო ქალაქში ცხოვრობდა, ხოლო ალე-ქსიმ იცოდა, რომ იგი თავზე ხელაღებული იყო და საქმიანობაში ფიცხი, მოისურვა მისი მოშორება დედაქალაქიდან და დანიშნა ტრაპიზუნდის დუ-კად (ეს ქალაქი წინათ თვითონ გავრამ წაართვა თურქებს) <u>ეს გავრა ხალდ-იის თემიდან იყო</u>...და თვით ტრაპეზუნდი რომ აიღო და როგორც საკუთა-რი წილხვედრილი მიითვისა, უძლეველი გახდა'' (გეორგიკა; ტომი-6. ანნა კომნენე, გვ-111. თბილისი 1966წ)**

ქალბატონი ანა კომნენე ტრაპიზუნტის სამეფოს ჩამოყალიბების სათავე-ებზე საუბრობს...ასევე სრულიად მოგვყავს გამოცემის ავტორისა და სულის ჩა-მდგმელის, ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის ახსნა-განმარტება ამ გვართან დაკავშ-

ირებით:

„ამ ნაწყვეტში მოხსენებულია გავრა (გაბრა) როგორც აქვეა ნათქვამი, ხალდეის თემიდან იყო წარმოშობით და საფიქრალია, რომ ამიტომაც გახდა ის ტრაპიზუნტის დუკა. მასზე, თეოდორე გაბრაზე და მის შვილებზე ბევრს ლაპარაკობს ანნა კომნენე, რომ ის ხალდიის თემის წარჩინებული და შემლებული წინაპრების შთამომავალი იყო. პაპანდოპულო-კერამევსი შენიშნავს, რომ ძველი ხალდიის ტერიტორიაზე და ღურზუფის რაიონში, სადაც ბერძნული მოსახლეობა ცოტა არ იყო, ძალიან გავრცელებულია გვარი გავრა და გავრადისიო (იხ.Любарский გვ 545) ჩვენის მხრიდან შეგვეძლო დაგვემატებინა, რომ ხალდიის თემი, თავისი ცენტრით ტრაპეზუნტში, ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველი ტომების (ლაზ-ჭანების)ორბიტაში შემოდიოდა. არ არის უგულებელსაყოფი ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში გვარი გაბრიაძე (გაბრიჩიძე) ფრიად გავრცელებულია" (იქვე)

ჩვენის მხრიდან დავუმატებთ, რომ გვარი გავრას შესახებ არავითარი დამატებითი წყაროს მოძიება საჭიროც კი არაა. ის აქვეა, ყაუხჩიშვილისვე წიგნში:

„იყვნენ უკიდურესთაგანიც და ცუდსიტყვაობაში ამსუბუქებულთაგან ისეთები, რომლებიც დამატებითი გაქირდვის მიზნით ეძახდნენ მას მარმუწას და ამ სპარსულ სახელს იმ მიზნით ურთავდნენ, რომ ის (გერმანე)**<u>ტომით სრულიად ნამდვილად ლაზი იყო, სწორედ ისევე როგორც გაბრა"</u> (იქვე;ტომიVII გიორგი პახიმერე, გვ-63 თბილისი 1967წ)**

ფაქტების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ მარიუპოლელი და ღურზუფელი ბერძენი გავრადისები დასავლეთ ქართველური წარმომავლობისანი არიან, ტომით ჭანები, ხოლო ამ უკანასკნელთ და ლაზებს შორის გარჩევითობის საზღვარი ფაქტიურად წაშლილია კიდეც...

რეზიუმე:

მოყვანილ მტკიცებულებათა საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ კიმერიელები-ეს თრაკიული ტომებია (სინდური, რუმინული) რუსები, ეს სამეფო სკვითებს გამოყოფილი ტომი ჩანს XVIIსაუკუნის წინ ჩვ. წ. აღრიცხვამდე, რომლის აღმოსავლეთ ევროპისაკენ მიგრირებული ნაწილი ღებულობს უკრაინელის სახელწოდებას... ლაზები-ეს ჭანური წარმოშობის ქართველური ტომი ჩანს ღურზუფში, რომლის ნაწილი XVIII საუკუნეში მარიუპოლში ჩანს გადასული საცხოვრებლად...კაფაში (ფეოდოსიაში) მდებარე გაზარიის პროვინცია-ეს ზიხური (ლაზ-ჭანური) ეთნიკური წარმონაქმნი ჩანს.

მიუხედავად რუსი მწერლის, მიხეილ შოლოხოვის ვერსიისა, ერთადერთი პანტელეი პროკოფიჩ მელეხოვი, დედით თათარი და შესაბამისად შავგვრემანი, ვერ შესძლებდა დონელ კაზაკთა გაშავგვრემანებას. ეს კელტური ტომის, ტავრების დამსახურება უნდა იყოს, რომელთაც უკანასკნელი 20 საუკუნე სხვა სამშობლო არ უჩანთ, თვინიერ ყირიმის ნახევარკუნძულისა (და რასაკვირველია ჭანებისა). ადგილობრივ, სკვითურ ეთნოსთან შერეული არ წყვეტს ბრძოლას საკუთარი სამშობლოს თურქებისაგან გასანთავისუფლებლად. ცხოვრების იმავე ნირის გამო, ზაპოროჟიელ სამეფო სკვითებს,რომლებიც მსგავსი ცხოვრე-

ბით ცხოვრობენ, კაზაკები დაერქვათ, ისევე როგორც თრაკიულ ტომებთან შერ-
ეულ ადგილობრივ მოსახლეობას.

შენიშვნები:

1.მდინარე დონის ნახევრადრკალური კალაპოტის გათვალისწინებით (იხ.რუ-ქაზე), დასავლეთის სკვითების, უკრაინელების მიწების დიდ ნაწილს დღეს რუსეთის ფედერაცია აკონტროლებს... ამასთან, დღევანდელი სტავროპოლის სტეპებსაც მდინარე ვოლგის ზღვამდე შეერთების ადგილამდეც კი დასავლეთ-ის სკვითები აკონტროლებდნენ- აქ ხვდება ალექსანდრე მაკედონელის არმია დასავლეთის სკვითებს...და ბოლო ორი ლაშქრობა მცირე აზიაში დასავლეთის სკვითებს ზუსტად ამტერიტორიის გავლით უჩანთ განხორციელებული...

2.არასწორია ისტორიაში გაბატონებული ჰეროდოტეს მოსაზრება, რომ სკვითე-ბი კიმერიელების დევნის შემდეგ მოხვდნენ მცირე აზიაში. კიმერიელები-სინ-დები ზღვის სანაპიროს გაყოლებით გარბოდნენ, სკვთები-კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით...გარდა იმისა, შეუძლებელია კიმერილების დევნის პროცესი დაუძახო სკვითთა მცირე აზიაში ლაშქრობას, როცა პირველი პროცესი ხდება ჩვ. წელთა აღრიცხვამდე არა უგვიანეს 630 წლისა, მეორე-614 წელს ასვე ჩვ.წ. აღრიცხვამდე.

3. სტრაბონი ყირიმიდან პურის დიდი მოცულობის ექსპორტს ასახელებს...მე დიმნი-პურის სავარაუდოდ რომაული საწყაო, რომელიც ორჯერ მსუბუქია ბე-რძნულზე, შესაბამისად 52 და 26 ლიტრი.

4.თრაკიულ ტომის პირდაპირი შთამომავალი-ეს დღევანდელი ბულგარული, რუმინული (და მოლდავური) ტომია. სტრაბონის მიერ ამ ნაწილში სკვითების გავრცელება-აქ სავარაუდოდ პოლონური და სლოვენიური ნაწილი იგულისხმ-ება.

5.სინდები-ესენი დღევანდელი რეალობის რუმინული ტომია.

6.სტრაბონი ტავრისკებს ბოიებთან და სკორდიქსებთან ერთად და მათსავე სამ-ეზობლოში განიხილავს, ასევე კელტურ ტომებთან. როგორც ზემოთ ვილაპარა-კეთ, ტავრები და ტავრისკები-ეს სავარაუდოდ ერთიდა იმავე ტომი უნდა იყ-ოს, ორ სხვადასხვა ადგილას დასახლებულნი.

7.როგორც ჰომეროსი აღნიშნავს, ტროელთა (უკამათოდ დარდანთა) დასახმარ-ებლად წამოსულ პაფლაგონებს პილიმენი მოუძღოდათ წინ. ასევე, ეგრეთ წოდ-ებული დარდანიის ზავის პირობით, პაფლაგონია გაყოფილ იქნა ორ ადგილობ-რივ მეფეს, პილიმენსა და ატალს შორის (Первая Митридатовая война. Википе-дия) პაფლაგონ მეფეთა განმეორებადი სახელი გვიჩვენებს, რომ ეს დინასტიუ-რი სახელი უნდა იყოს. მეორე დინასტიური სახელი პაფლაგონებისათვის კორ-ილა-კოტისის დიაპაზონში მერყეობს. როგორც ცნობილია, ქსენოფანტეს ლაშქ-რობის პერიოდში (400 წელი ქრისტემდე) პაფლაგონთა ბელადს კორილა ერქვა. კოტისი ჰქვია პაფლაგონთა ბელადს კტესიას მიხედვით. (კტესია; პერსიკა, წიგ-ნი7 თავი 11-7) კოტისი ჰქვია ბოსფორელთა მეფესაც ფლავიუს არიანეს მოგზა-ურობის პერიოდში. მეფეების დინასტიური სახელების აბსოლუტური იდენტ-ურობა გვაფიქრებინებს, რომ პაფლაგონებიც და სინდებიც სახელმწიფოთა წარ-მომქმნელი თრაკიული ტომებია.

8.სავარაუდოა, რომ სინდები კიმერიელთა ის ნაწილია, რომელმაც უარი თქვა სამშობლოს დატოვებაზე. ცხადია კიმერიულ მოსახლეობას გადამალვა მხოლოდ ტერიტორიის აზიურ ნაწილში შეეძლოთ, ევროპულ ნაწილში ამის საშუალებას უკვე აქ მობინადრე სკვითები არ მისცემდნენ...ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ჰეროდოტეს მიხესდვით ლტოლვამდე კიმერიელ ბელადებს კონფლიქტი ჰქონდათ, სადც ერთმანეთი ამოხოცეს-კონფლიქტი ალბათ ლტოლვის და დარჩენის მსურველთა შორის იყო.
9.ფიქრობენ, რომ პოეტი შეესწრო ავგუსტუსის,კეისრის ოჯახის უხერხულ სცენას...
10.ცხადია ბოსფორს წარსულიდან შეიძლება შერჩეს სახელი კიმერიული ...მაგრამ ამას ვერ იტყვი ქალაქებზე-კიმერიელთა ლტოლვიდან უკვე შვიდი საუკუნეა გავლილი და კიმერიელთაყოფილი დასახლებები-გაცამტვერებული. ეს ახალი ქალაქებია სინდებისა, რომელსაც პლინიუს უფროსი კიმერიულს უწოდებს-ცხადია კიმერიელები დასინდები ერთი და მავე ტომია.
11. პომპონიუს მელა სხვებისგან განსხვავებით, სინდურ ქალაქებს კიმერიულს უწოდებს...რასაკვირველია კიმერიელები და სინდები ერთი ხალხია.
12.მდინარის სახელი ბულანჯაკი აშკარად გვიანდელი ჩანს, იმ ეპოქისა, როდესაც მე-15-ე საუკუნის დამდეგს ამ ტერიტორიაზე „ახალმონგოლები“, ნოღაელების ტომი მკვიდრდება, რომელთაც ბუჯაკებს უხმობდნენ.
13.ქალაქ კიუტის დაარსება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ზიხთა მიერ ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ათვისების პროცესი სავარაუდოდ ამით მთავრდება კიდეც. ის, რომ ქალაქი კიუტი, კიტეის სახით დაფიქსირებულია ფსევდო სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“, კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ აჩვენებს, რომ ეს უკანასკნელი პირველი საუკუნის ნაშრომია. რაც შეეხება ქალაქ კიუტს და კიუტთა ზიხურ ტომს, ეს ის ხალხია, რომელიც ყირიმში გამუსლიმანებას გამორიდებული, ზიხეთში (ჩერქეზეთში) ჩასახლებული აღწერილი აქვს ევლია ჩელების. აქედანვე იმავე პრობლემის გამო ლტოლვილი, იფანტება მთელ დასავლეთ საქართველოს (გურია-სამეგრელო) მოსახლეობაში. ამ თემის წარმომადგენელთა პირდაპირი და უცდომელი ნიშანია ტი-თი დაბოლოებული გვარები გურიაში და ტია-თი დაბოლოებული სამეგრელოში, რომელიც საბრდნიეროდ არც ისე ცოტა ჩანან ...ის რომ ქალაქი კიუტსი წელთააღრიცხვების მიჯნაზე აშენებულია, ერთი საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხში ჩანს სინათლის შემომტანი: ამ ქალაქს აღნიშნავს თავის „პერიპლუსში“ ფსევდო სკილაქს კარიანდელი... შესაბამისად, მიუხედად არსებული ვერსიისა, რომ ფსევდო სკილაქსი ჩვ.წ. აღრიცხვამდე III საუკუნის ქრონოგრაფია, სინამდვილეში ის უკვე პირველი საუკუნისა ჩანს ქრისტესით...ვფიქრობთ, ფსევდო სკილაქსის გეოფრაფიული ტრაქტატი თავად პომპონიუს მელასვე კალამს ეკუთვნის...
14.უნდა აღინიშნოს, რომ ამ კაბადოკიის მეფისნაცვალის, პოლიტიკური მოღვაწის კალამს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე სერიოზული ისტორიული ნაშრომი თუ ტრაქტატი.
15. აქ ავტორი სინდებად ნათლავს ციხე-სიმაგრე ანაპის მცხოვრებთ, სინამდვილეში თორეტებს, რომელთაც სინდებთან არაფერი არ უჩანთ საერთო.ავტორის

მიერ დასახელებული თორეტები საკმაოდ დიდი ისტორიული სა-იდუმლოს მატარებელი ტომებია, რომელთა შესახებ წიგნის II ტომში ვისაუბ-რებთ...
16. ასევე დიდი საიდუმლოს მატარებელი ჩანს მილეტელთა-იონიური-ბერძნ-ული ტომის ბექრაუნდიც...ამ ტომის შესახებაც წიგნის II ტომში ვისაუბრეთ...
17.უკიდურესად საინტერესოა ავტორის მიერ ნახსენები ციხე-სიმაგრე ბაგი...ეს ბაღვაშთა ტომის სამშობლო უნდა იყოს...და ასევე დიდი საიდუმლოს მატარე-ბელი...
18).როგორც ანონიმის ჩანაწერიდან ჩანს, ორ კონცხს შორის მანძილს 180 სტად-იონი, ანონიმი ორ ნაწილად ყოფს. ლოგიკურია, რომ 180 ვერ იქნება ჯამი 10 -სა და 80-სა! ანონიმის მიერ დასახელებული ციხე სიმაგრე ბაგადან, რომელიც ჰე-რაკლეს კონცხიდან მხოლოდ 10 სტადიონითაა დაშორებული, თრასკიული ქა-რისაგან დამცავ ბორცვამდე მთელი 170 სტადიონი უნდა ყოფილიყო, და არა 80. რასაკვირველია, ანონომი ავტორის აღწერაში კონცხთაშორისი მანძილი 100 და 80 სტადიონით ჩანს შეფასებული, ტექსტის გადამწერის მიერ შეცდომით გადა-წერილი, რომელიღაც ეტაპზე და საუკუნეების მანძილზე არ შესწორებული!

განსხვავებული სიტუაცია ჩანს სინდების (სინდეთის) ადგილმდებარე-ობის განსაზღვრისას, ფლავიუს არიანე მათ დღევანდელ ანაპასთან აიგივებს, რომელსაც არც ერთი ეპოქის ისტორიკოსი არ ადასტურებს (თვით ანონიმიც კი) შემდომი აღწერა ანონიმი ავტორისა ემთხვევა არრიანესეულს, გარდა სინდთა ნავმიდაგომისა:

„...ნავსადგურ ჰიეროსიდან ან ნიკაქსიდან სინდიკემდე (ან სინდურ ნავსად-გურამდე, ახლა ევდუსია რომ ჰქვია) ორას ოთხმოცაათი სტადიონი, ორმო-ცი მილი...ამრიგად, სინდურ ნავსადგურიდან პაგრამამდე წინათ ცხოვრობ-და ხალხი, რომელსაც კერკეტები ან ტორეტები ეწოდებოდა, ახლა კი ე.წ. ევ-დუსიანები ცხოვრობენ, რომლებიც გუთურ ან ტავრიდულ ენაზე ლაპარა-კობენ...ჰერმონესადან სინდიკის ნავსადგურამდე მეოტიდის გასწვრივ ცხოვ-რობენ ადამიანები, რომელთა ტომი იწოდება სინდებად. ქვეყანას აქედან ჰქვია სინდიკე. სინდები ბარბაროსები არიან, მაგრამ ზნე-ჩვეულებით მშვი-დობიანნი. სინდების შემდეგ კერკეტები, იგივე ტორეტები არიან, სამართ-ლიანი და კეთილი ტომია, ნაოსნობაში მეტად გამოწვრთნილი.კერკეტების მეზობელი ქვეყანა აქაველებს უჭირავთ...(აქაველები) მრავალნი არიან და კე-რკეტების მტრებად ითვლებიან."(ანონიმი;პარაგრაფი21-22-24)

განსჯის ობიექტი ანონიმის აღწერაში საკმაოდ ბევრი ჩანს:

ა. წინა ამონარიდის განხილვისას უკვე ითქვა, რომ ანონიმის მიერ აღწერილი სანაპიროს წინა ფრაგმენტი დამახინჯებული ჩანს გადამწერის მიერ. ამ ფრაგმე-ნტიდან ეს თეზა კიდევ უფრო მტკიცდება: ანონიმს არ შეეძლო მანძილი ნავსა-დგურ ჰიერონიდან სინდურ ნავსადგურამდე ორას ოთხმოცდაათი სტადიონით შეეფასებინა და მიეთითებინა, რომ ეს მანძილი ორმოცი მილის ტოლია! ორმოცი მილის ტოლი მანძილი სამასი სტადიონია და არა ორას ოთხმოცდათი! ანონიმის გადამწერს ანონიმისეულ სამასი სტადიონისათვის მოკლებული აქვს ის ათი სტადიონი, რომელითაც მისი აზრით აღემატება ანონიმის მიერ ათვლ-ილი მანძილი ფლავიუს არიანისას. (სინამდვილეში გადამწერის მიერ დამახინ-

ჯებული ჩანაწერით, ანონიმისეული მანძილი 90 სტადიონით ნაკლებია არიანესეულ მანძილზე იმავე პუნქტებს შორის)
ბ.ანონიმის გადამწერის მიერ გადაწერილი ტექსტის დამახინჯება აშკარად ჩანს, თუმცა ამ დამახინჯების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის პოვნაც კი არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს:საქმე იმაშია, რომ გადამწერის მიერ ტექსტის დამახინჯება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ათწილადი ათვლითი სისტემის გამოყენების პერიოდში, მართლაც:
10 სტადიონი=1,33 მილი
100სტადიონი=13, 3მილი
ცხადია აქ გადამწერს მძიმე გადაწეულად წაკითხული უჩანს,100 სტადიონის ნაცვლად 10 სტადიონი აქვს დაფიქსირებული, ხოლო მილებში მანძილი 13,3 მილის ნაცვლად მიღებული უჩანს 1,3 მილი. ამ ცდომილების გადაფარვას ცდილობს ის წინა ფრაგმენტში და არითმეტიკის ცუდი ცოდნის გამო ამძიმებს კიდეც ამ შეცდომას! ვინაიდან ევროპულ ათვლით სისტემაში ათწილადური ათვლითი სისტემა მე-16-ე საუკუნიდან ჩანს დანერგილი (ფლანდრიელი მათემატიკოსის სიმონ სტევინის მიერ) ცხადია შეცდომაც ამ საუკუნიდანაა სავარაუდებელი.
19.არიანეს დღევანდელ ანაპასთან ყველა ნიშნით იმავე ხალხი შეხვდა, რომლებსაც აქ ანონიმიც გადააწყდა, ერთისაც და მეორისთვისაც ამ ხალხის ენა იმდენად უცხო ჩანს, რომ ანონიმი მის იდენტიფიკაციას ვერც ახდენს. ჩანს, ასევე მოუვიდა ადრე არრიანესაც და მან ჩათვალა, რომ მისთვის უცნობი ენა სინდურია, ხალხი სინდები, ხოლო ნავსადგური სინდებისა. (თორეტების ვინაობის კვლევა ცდება წიგნის თემას)
20.ამ თემაზე ზემოთაც საკმაოდ ვისაუბრეთ...ყოველთვის დაყვება აბრავიატურა-მატრეგას (თუ ბოსფორის) ზიხების ეპარქია, რაც მათი-ძიხების აბსოლუტური უმრავლესობის მიმანიშნებელი...სპეციფიკურ რუსულ ლიტერატურაში არაერთი ცნობა მოიპოვება შანების ტომის შესახებ, რომელსაც თურქები უშუალოდ დაუმეზობლდნენ ყირიმში და პერმანენტულ ომშიც იყვნენ ამ უკანასკნელებთან...
21. ნამდვილად რთულია განსაზღვრო ეს შეცდომა კონსტანტინე პორფიროგენტისა, რაც მას მანძილის აზომვისას მოსდის, თუმცა მისი ეს შეცდომები ფაქტებით დამტკიცდა კიდეც. ერთადერთი ხელჩასაჭიდი ცნობა ისაა, რომ სტადიონი (ბერძნული-ბიზანტიური) ზოგიერთი წყაროებით 176, 6 მეტრი იყო, თუმცა იცვლებოდა 148-198 მეტრის დიაპაზონშიც...ჩემეული მონაცემებით, სტადიონის მნიშვნელობა იყო ის მანძილი, რომელიც ჰერაკლეს სულმოუთქმელად შეეძლო გაევლო და ის 198 მეტრს უდრიდა...შემდგომი ზომა, რომლითაც სტადიონი განისაზღვრა-უკვე 178 მეტრი იყო და ბოლოს, რომაული სტადიონი ითვლიდა 148 მეტრს, ას ორმაგ ნაბიჯს...ჰგავს, რომ კონსტანტინეს მილი 5 საშულო ბერძნული სტადიონია 5X178=890 მეტრი

საქართველოს ისტორიის არასწორად წაკითხული ფურცლები

XII-XIII საუკუნის მიჯნა, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ისტორიის ოქროს ხანად არის შეფასებული. საქართველო კავკასიის ერთპიროვნული ლიდერია, პოლიტიკური გავლენის სფეროს ეცილება ბიზანტიის იმპერიას მცირე აზიაში, უფრო მეტიც, ბიზანტიისვე ტერიტორიაზე ჰქმნის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს, ტრაპიზონის იმპერიას. ტრაპიზონის იმპერიის დიდ ნაწილს, ქართველური ტომები, ლაზები და ხალდები წარმოადგენენ. სამეფო ტახტზე დედით ქართველი ბაგრატიონების შთამომავალნი, კომნენები სხედან. საქართველოს ძლევამოსილი მხედრობა ლაშქრობას აწყობს შუა ირანში. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველო წმინდა მიწაზე. საქართველოს მთელს პერიმეტრზე შექმნილია ბუფერული ზონა ყმადნაფიცი თუ მოხარ-კე ქვეყნების სახით. საქართველო ნაყოფიერ სამისიონერო საქმიანობას ეწევა ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით.შენდება ეკლესიები, აკადემიის ტიპის სასწავლებლები, სარწყავი სისტემები, ხიდები. ითარგმნება ბერძნული სასულიერო და სპარსული საერო ლიტერეტურა, იწერება ვეფხისტყაოსანი. საქართველოს ისტორიაში გაბატონებული ვერსიით, საქართველოს მოსახლეობის რიცხვი XIII საუკუნის შუა წლებისათვის 4,5–5მილიონს აღწევს. საქართველოს იმდროინდელი მიღწევების ფონზე, ეს ვერსია საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება.

...თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მსოფლიოს მოსახლეობის რიცხვი აღნიშნული პერიოდისათვის 300000000 (სამასი მილიონი) არ აღემატებოდა, აუცილებელია კრიტიკული თვალსაზრისით შევხედოთ ქართველ ისტორიკოსთა ამ მოსაზრებას. რა ფაქტებს ეფუძნება ვერსია საქართველოს მოსახლეობის ასეთი მრავალრიცხოვნების შესახებ?

„ცხრასა გლეხსა სრულისა მიწის მქონებელს, ერთი ლაშქარს მიმავალი კაცი შეაგდიან. და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა (დავით ულუ) ცხრა დუმენი მხედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელი არს ცხრა ბევრი“ (ქართლის ცხოვრება, ჟამთააღმწერელი; გვ. 223–224; ტ2- 2012)

ჟამთააღმწერელის ეს ცნობა ეხება მონღოლთა მიერ ჩატარებულ აღრიცხვას, რომელიც ჩაუტერებიათ მონღოლებს მათ მიერვე დაპყრობილ ვრცელ ტერიტორიაზე, ბათო ყაენის ინიციატივით.

„ამათ ჟამთა შინა იქნა ესეცა, რამეთუ ყაენმან ბათო, რომელიც უდიდეს იყო ყოველთა ყაენთა, ინება გასწორება და აღთუალვა ყოვლისა ქვეყნისა“(იქვე)

როგორც ქართლის ცხოვრებიდან ჩანს, აღწერას ხელმძღვანელობდა სპარსელი, ვინმე არღუნი, რომელმაც საქართველოს, ადრიბეჯანის (აზერბეიჯანის) და ერანის აღწერის ზოგადი მეთვალყურეობა ხოჯა ნეჯმედდინს მიანდო. აღწერა დაწყებულა 1251 წელს, მუნქე ყაენის ტახტზე მომაგრების შემდეგ და დამთავრებულა 1254წელს. ჟამთააღმწერელის ამ ცნობაზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ასე საზღვრავს საქართველოს მოსახლეობის რიცხვს:

ბევრი=10000 (ათი ათასი)

ცხრა ბევრი=90000(ოთხმოცდა ათი ათასი)

90000 მხედარი, გამოყვანილია ყოველი მეცხრე კომლიდან

90000X9=810000 (რვაას ათი ათასი კომლი)

810000X5=4500000 (ოთხი მილიონ ხუთასი ათასი) სული

(კომლზე ნაგულისხმევია საშუალოდ ხუთი სული)

5000000 (ხუთი მილიონი) არის ნავარაუდევი უფრო გვიანდელი ვერსიით (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ III- გვ566 - 1979წ)

სხვა პირდაპირი თუ ირიბი მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ იმ პერიოდისათვის, არ არსებობს. ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის აღწერის პარალელური ცნობები არ არსებობს არც სომხურ, არც სპარსულ, არც ბერძნულ და არც უიუღურულ (მონღოლები უიუღურული ანბანით სარგებლობდნენ) ისტორიის მატიანეებში, აუცილებელია არსებული ერთადერთი ცნობა კრიტიკული თვალსაზრისით იქნეს განხილული. ჟამთააღმწერელის ცნობის პირველი ნახევარი, გაწვევის წესს განსაზღვრავს:

„ცხრასა გლეხსა სრულის მიწის მქონებელს, ერთი ლაშქარს მიმავალი კაცი შეაგდიან“.

გაწვევის ეს წესი მონღოლურია, მათსავე ულუსში მიღებული. მონღოლების ისტორიიდან ცნობილია, რომ საყოვალთაო გაწვევისას, მონღოლებს ყოველი 10 (ათი) იურტიდან (კარვიდან) 1–3 მეომარი გაჰყავდათ. **(მონღოლური იმპერიის არმია, ვიკიპედია)**

„ეგვიპტეში ლაშქრობისას, (რომელიც წარუმატებლად დამთავრდა) სარდალმა ჰულაგუმ, მუნქე ყაენის ძმამ, მიიღო ორ- ორი კაცი ყოველი ათი იურტიდან“ (Монголскаиа империя чингизидов. Чингизхан и его преемники. Александр Доманин)

ჟამთააღმწერილის ცნობის პირველი ნახევარი სწორია, მას სხვა, პარალელური წყაროებიც ადასტურებენ და ყოველგვარი კრიტიკის გარეთ დგას. ჟამთააღმწერელის ცნობის მეორე ნახევარი „და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმენი მხედარი თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“– საკმაოდ დიდ ეჭვს ბადებს. ირიბი არგუმენტები, რომ ჟამთააღმწერელს ეშლება მცნება 1000 (ათასი) და 10000 (ათი ათასი), საკმაოდ ბევრია. (არ არის გამორი-

ცხული, რომ ჟამთააღმწერელი მეომართა სრულ რაოდენობას, საქართველოს საომარ პოტენციალს მიუთითებდეს, და არა სამონღოლო სამხედრო ბეგარაზე გამსვლელ მეომართა რაოდენობას, რომელიც გვიანდელი გადამწერების მიერ დამახინჯებულადაა ინტერპრეტირებული)

არგუმენტი-1. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა XIII საუკუნის შუა წლებში, არ აღემატებოდა 300000000 (სამასი მილიონი). ციფრი რასაკვირველია მიახლოებითია, (დათვლილია არითმეტიკული რეგრესიით). თუ საქართველოს მოსახლეობა ამავე პერიოდისათვის 5000000 (ხუთი მილიონი) იყო, ქართველთა წილი მსოფლიოს მოსახლეობაში 1,5% ყოფილა! დღეს მხოლოდ 0, 07%–ია, 20-ჯერ ნაკლები.

არგუმენტი -2. სამხედრო მეცნიერთა გამოთვლებით, ქვეყნის სამხედრო-საომარი პოტენციალი, მოსახლეობის 12– 15%–ის ფარგლებში მერყეობს. ხუთ მილიონიანი ქვეყნის საბრძოლო პოტენციალი 750000 (შვიდას ორმოცდა ათი ათასი) მეომარია! სამ ნახევარ მილიონიანი საქართველოდან მეორე მსოფლიო ომში 560000 (ხუთას სამოცი ათასი) მეომარი იღებდა მონაწილეობას სახაზო- საბრძოლო ნაწილებში. (ზურგის გასამხედროებული ნაწილების ჩაუთვლელ-ად) ...

...და საკითხავია, ასეთი ქვეყნის პატრონს, დავით აღმაშენებელს რაში უნდა დასჭირდებოდა 15000 (ხუთმეტი ათასი) ყივჩაღური ოჯახის ჩამოსახლება საქართველოში?

არგუმენტი-3. ფეოდალური საქართველოს საჯარისო გაწვევა, კომლზე კაცი, ჟამთააღმწერელის ვერსიის მიხედვით, გამოიყვანდა 810000 (რვას ათი ათასი) მოლაშქრეს მარტო გლეხობიდან. სინამდვილეში სულ ორჯერ, ბასიანისა და შამქორის ბრძოლებში შესძლო საქართველომ 80000 (ოთხმოცი ათას) მეომრის გამოყვანა. 90000 (ოთხმოცდა ათი ათასი) მეომარს ასახელებს ჟამთააღმწერელი მონღოლთა წინააღმდეგ ლაშა გიორგის მიერ გამოყვანილი ლაშქრის რაოდენობას, თუმცა სომეხი ისტორიკოსი, გრიგოლ აკნერცი 60000 (სამოც ათასს) ასახელებს.

არგუმენტი-4. შუა ირანში ასასინების სექტის მიერ დაკავებული ალამუთის ციხე– სიმაგრის გარემოცვაში, მონღოლებთან ერთად , სამხედრო ბეგარით გაწვეული ქართველებიც მონაწილეობდნენ. მოალყეების კრებსითი რაოდენობა 120000 (ასოცი ათასი) იყო. ალყა 7 წელი გაგრძელდა. მას, შემდეგ, რაც ასასინმა მიპარვით მოკლა მონღოლთა სარდალი ჩაღატა ნოინი, მონღოლებმა ეჭვი ქართველებზე მიიტანეს და დასახოცად მიუვარდნენ. 120000 მოლაშქრიდან 90000-ქართველი რომ ყოფილიყო (უმრავლესობა!), მონღოლები ძალადობას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ:

„და ვითარ მიმართეს, განკრთეს ქართველნი და უღონობას მიეცნენ და არა უწყ-

ოდეს, რამც ყვეს, ხოლო ზოგნი ომისა მიმართ განემზადებოდეს, და ზოგნი აყენებდეს, რამეთუ ფრიად მცირენი იყვნეს“ (ქართლის ცხოვრება” ჟამთააღმწერელი ტ-II-გვ202 2012 წ)

ჰგავს,რომ ჟამთააღმწერელი შეცდა და ქართველნი არა 90000 (ოთხმოცდა ათი ათასი) იყვნენ, მონღოლთა თანა გამავალი, არამედ 9000 (ცხრა ათასი)

არგუმენტი -5. სამხედრო ბეგარის დაკისრების შემდეგ 1254 წლიდან, არსად ფიქსირდება მონღოლთა გვერდით მებრძოლი ქართული მრავალრიცხოვანი მხედრობა. 1277 წელს, ეგვიპტის სულტან ფუნდუყდარ ბეიბარსის წინაარმდეგ ბრძოლაში მონღოლებს თან ახლავს აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობა 3000 (სამი ათასი) მეომარი...1280 წელს, მეორე ეგვიპტურ ლაშქრობაში, მონღოლებს თან ახლავს გაერთიანებილი ქართულ– ბერძნული– სომხური ლაშქარი 30000 (ოცდა ათი ათასი) მეომრი.1281 წელს, ისევ დაიწყო ომი ეგვიპტესთან. მონღოლთა ლაშქარი 25000 (ოცდა ხუთი ათასი) მეომარს ითვლის, ქართველთა რიცხვი სულ 5000 (ხუთი ათასი) მეომრით შემოიფარგლება. 90000 (ოთხმოცდა ათი ათასი)–ს ხსენებაც არსად არ არის!

არგუმენტი -6. თვით მონღოლებიც დაიქსაქსნენ ევრაზიის ვრცელ კონტინენტზე, მათი ჯარიც ვერ არის ადრინდელივით მრავალრიცხოვანი. ჩრდილოეთის დიდი ყაენის დიდი ლაშქარი, რომელიც სამხრეთის ყაენს, აბაღას **ებრძვის: „დარუბანდისასა აურაცხელი ლაშქრით მას ჟამსა გადმოვიდა დიდი ყაენი ბერქა გზასა“ (ქართლის ცხოვრება ტ-II-გვ254 , 2012 *წ*)** სპარსი ისტორიკოსის სიტყვებით კი ეს„აურაცხელი» ლაშქარი *30000* (ოცდა ათი ათასი) მეომარს ითვლის (Рашид-ад-дин. Сборник летописей3; 1946. стр-68)

არგუმენტი- 7. 1242 წელს ქართველებს და მონღოლებს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით, საქართველო დაიყო 8 [რვა] დუმენად. დუმენი ისეთი სამხედრო– ადიმინსტრაციული ერთეულია, რომლის სამხედრო პოტენციალი 10000 (ათი ათასი) სამხედროვალდებულია. ყოველ ქართულ დუმენს შეუნარჩუნდა ქართველი სამხედრო მეთაური, ერისთავების სახით.

1დუმენი.ჰერეთის, კახეთის და კამბეჩიანის თემები

2. დუმენი.ჩრდილოეთ სომხეთის თემები.

3. დუმენი . ჩრდილოეთ სომხეთის თემები.

4.დუმენი. ქართლის თემები.

5 დუმენი.ჯავახეთის თემები.

6. დუმენი.სამცხისა და მესხეთის თემები.

7. დუმენი. სამეგრელო აფხაზეთის თემები.

8. დუმენი. ლიხთ იმერეთის და რაჭა –ლეჩხუმის თემები.

სულ ჯამურად, 80000 (ოთხმოცი ათასი სამხედროვალდებული)და არა 900000

!1260–61 წლებში, მონღოლთა წინააღმდეგ დავით–ულუს აჯანყებას, ერისთავე-ბისაგან მხოლოდ სარგის ჯაყელმა დაუჭირა მხარი. მეფემ და ერისთავმა,ერთი დუმენიდან სამცხის თემიდან , მხოლოდ 8000 (რვა ათასი) მეომრის გამოყვანა შეძლეს...XIII საუკუნის მიწურულს, სამცხის დუმენი, რომელიც „ხას–ინჯუდ“ შეიწყალა ყაენმა, აშკარად გაფართოებული ჩანს. სამთავროს ფარგლებში ერთ-იანდება სამცხე,აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კოლა, არტაანი, ჯავახეთის ნაწილი. სამთავროს ტერიტორიაზე შემოჭრილ და საზამთროდ დაბანაკებულ თურქებს 12000(თორმეტი ათასი) მეომრით თავს ესხმის და ამარცხებს სარგი-სის მემკვიდრე, ბექა. ჩანს 10000 (ათი ათასი) მეომარი მაქსიმალური სამხედრო პოტენციალია დუმენისა, კომლზე კაცი და არა მონღოლთა დაწესებული ერთი კაცი ცხრა კომლიდან. ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით,რომ 8 (რვა) დუმენად და-ყოფილ საქართველოს ექსტრემალურ სიტუაციაში თუ შეუძლია გამოიყვანის 80–90 ათასი მოლაშქრე, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ჟამთააღმწერელ-ის დაშვებული შეცდომა მონღოლთა ლაშქარში გასაწვევ ქართველთა რაოდენ-ობაზე.

არგუმენტი- 8. ჟამთააღმწერელის მიერ ნახსენები აღწერიდან ორი საუკუნის შემდეგ, 1459 წელს, პაპი პიუს მე–2–ის ელჩს, ლუდოვიკო ბოლონიელს ჩამოაქვს საქართველოში ევროპული გეგმა თურქებისაგან ბიზანტიის განთავისუფლები-სა. ქართველებმა ელჩს შემხვედრი სამხედრო გეგმა შესთავაზეს, რომელიც თუ-რქთა წინააღმდეგ მუსლიმანური ირანის გამოყენებასაც ითვალისწუნებდა. აღ-მოსავლეთი ქრისტიანული კოალიციის ჯარები ასე გამოიყურება: ტრაპიზონის მეფე დავითი–30000 (ოცდა ათი ათასი) მეომარი და 30 (ოცდა ათი) კატარღა. მცირე სომხეთის მეფე–20000 (ოცი ათასი) მეომარი. ქართველი მონაწილეები: გიორგი VII-40000 (ორმოცი ათასი), სამეგრელო– აფხაზეთის მთავარი ბენდია-ნი–10000 (ათი ათასი), გურიის მთავარი და ანაკოფიის ერისთავი თავიანთი ჯა-რებით. რაც შეეხება სამცხის მთავარს, მას ჯავახეთიც შეუერთებია და 20000 (ოცი ათასი) მეომარი გამოყავს., მონღოლური აღწერიდან ორი საუკუნის მერეც, საქართველოს კრებსითი სამხედრო პოტენციალი 80000 (ოთხმოცი ათასი) არ აღემატება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს გადატა-ნილი აქვს თემურ–ლენგის გამანადგურებელ ლაშქრობათა მთელი ციკლი, რო-მელმაც დიდი ნეგატიური გავლენა მოახდინა მოსახლეობის რაოდენობაზე. (თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველების გამოსაყვან 80000 მეომარში 40000 სპარსელი ჯარისკაციც ჩანს ჩათვლილი....)

არგუმენტი- 9. საისტორიო წყაროები ხშირად არასწორად აფიქსირებენ რაო-დენობრივ მაჩვენებლებს. ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით:

„ხოლო ამან მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპათა მისთა და შეკრიბა კაცი,

ოთხმოცი ბევრი, რომელ არს რვაასი ათასი“(ქართლის ცხოვრება ტII-გვ 120, 2021 წ)

საინტერესოა, რომ ქართლის ცხოვრების ადრინდელ გამოცემაში ოთხმ-ოცი ბევრი განმარტებულია როგორც 400000 (ოთხასი ათასი) საუბარი ეხება რუ-ქნ–ად–დინის ლაშქრობას საქართველოში 1202 წელს, ბასიანში მომხდარ ბრძო-ლას. ამავე დროს, სპარსი ისტორიკოსის, მაჰმუდ ქერომუდდინ აყსარაილის ცნობით, რუქნ–ად დინმა საქართველოში ილაშქრა 20000 (ოცი ათასი) მეომრ-ით. სავარაუდოა, რომ რუქნ–ად–დინის დამარცხების მიზეზის ახსნას სპარსი ავტორი, რომელიც ამ ომიდან 70–80 წლის შემდეგ დაიბადა, მუსლიმანთა ლაშ-ქრის სიმცირით ცდილობს. საქართველოს მხედრობის უკან საუკუნოვანი დაუ-მარცხებელი ომის ეპოპეაა. რუქნ–ად–დინის ცნობილი დიდი სამზადისი მიზ-ნად ისახავს საქართველოს და ამიერკავკასიის დაპყრობას, მთელ წინა აზიაში გაბატონებას. რასაკვირველია მცირერიცხოვანი მხედრობით ამ ამოცანის შესრ-ულება შეუძლებელი ჩანს და არც გამოცდილი სარდალი რუქნ-ად- დინი წავი-დოდა ასეთ ავანტიურაზე. მით უმეტეს, ოფიციალური ომში გამოწვევა რუქნ–ად-დინის მიერ იქნა გამოცხადებული და ქართველებმა ეს გამოწვევა მიიღეს. ორივე მხარე მაქსიმალურად ცდილობს სამხედრო რესურსების მობილიზირე-ბას. აშკარაა, სპარს ავტორს შეგნებულად აქვს შემცირებული მუსულმანური ლაშქრის რაოდენობა, დამარცხების გასამართლებლად. დამარცხების მიზეზის მიჩქმალვასვე ემსახურება მუსლიმი ისტორიკოსის, იბნ–ბიბის ცდა, ახსნას მარ-ცხის მიზეზი შემთხვევითობით. მისი სიტყვებით, როდესაც ქართველთა ლაშ-ქარს გაუჭირდა და სელჩუკთა გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა, სულთანის კარ-ვის მატარებელ ცხენს ფეხი ჭაობში ჩაეფლო, კარავი დაემხო, რაც სელჩუკთა ლაშქარმა უბედურების მომასწავებლად ჩათვალა და გაიქცა. გაცილებით რეა-ლურად აღწერს ომის ბატალიებს ბასილი ეზოსმოძღვარი. მისი სიტყვებით, ქა-ართველთა ლაშქარმა პირველმა შეუტია. ფიცხელ ომში წინა მებრძოლთ ცხენ-ები გამოუკლეს. ნაწილი ქართველებიც დაქვეითდნენ და განაგრძეს ბრძოლა მეთაურთა მხარდამხარ. გაუჭირდათ ბრძოლა ქვეითებს, მოქცეულთ მტრის და საკუთარ ცხენოსნებს შორის. ქართველთა სარდლებმა, ერთ ფლანგზე დავით სოსლანმა, მეორე ფლანგზე ზაქარია მხარგრძელმა მხედრობა გაარიდეს ქვეით მეომრებს:

„და ვითარ ქართველთა განეშორნეს, რათა არა ცხენითა მათგან დაითრგუნნენ ქვეითნი ქართველნი’’(ქართლის ცხოვრება ტ-II. გვ 125 , 2012წ)

ქართველი მხედრების ტაქტიკური გადაჯგუფება, რომელიც მცირე უკან დახევის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, მტერმა გაქცევად ჩათვალა. სწორედ ამას გულისხმობს იბნ–ბიბის ცნობა სელჩუკთა მოახლოებულ გამარჯვებაზე. სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა გადაჯგუფებული და საომარ წყობა გამა-

რთული ქართველი ცხენოსნების შეტევა ფლანგებზე, და ბრძოლის სასწორიც ქართველთა მხარეს გადაიხარა. სავარაუდოა, რომ ამერ– იმერთა (შესაძლოა მოქირავნე ჩრდილო კავკასიელთა) ერთიანი ლაშქარი თითქმის 100000(ასი ათასი) მხედრით იყოს წარმოდგენილი , ხოლო მუსულმანთა ლაშქარი არა ნაკლებ 200000 (ორასი ათასი) მეომარს ითვლის. მუსლიმანთა ლაშქრის რაოდენობას აყსარაილი სავარაუდოდ ათჯერ ამცირებს, ბასილი ეზისმოძღვარი კი ორჯერ (ზოგიერთი წყაროთი ოთხჯერ) ადიდებს.

ცხადია, ქართველებმა ამ წინასწარ გამოცხადებულ ომში მაქსიმალური საომარი პოტენციალი ჩართეს. წარმოუდგენენელია, რომ ქართველთათვის ამ სამკვდრო– სასიცოცხლო ომში, ყოველი ცხრა კომლიდან ერთი მეომარი ყოფილიყო გაწვეული. რასაკვირველია, აქ უპრეცედენტო გაწვევა, ქართველთათვის ესოდენ ჩვეული კომლზე კაცია გამოყენებული, ქუდზე კაცი, თავად– აზნაურობიდან. ჟამთააღმწერელის შეცდომა ამ ფაქტის განხილვითაც აშკარაა.

არგუმენტი -10. **„იერუსალიმის სრულიად მოსპოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ, ჟამთააღმწერელი და მრავლის მომთხრობი იოსიპოს წამოსტყუოს ესოდენ ძნელბედობასა ეუდელთასა, ვიდრე სამასსა ბევრსა, აღრიცხავს მამაკაცსა ოდენ სიყმილისასა და მახვილის მიერ აღსრულებულისა, რომლის მსგავსი იქნა ჟამთა ამათთა სარკინოზთა მიერ ქალაქსა ტფილისისასა''**

(ჟამთააღმწერელი ტ-II-გვ 176 , 2012წ)

როგორც ცნობილია, რომის იმპერიის მიერ იუდეის დაპყრობა მოხდა ძვ წ II საუკუნის შუა წლებში. ისტორიის ანალებში ებრაელთა მსხვერპლი შეფასებულია 600000 (ექვსასი ათასი) ადამიანად. ჟამთააღმწერელი ხუთჯერ ადიდებს ამ ისედაც დიდ რიცხვს...იგივე ჟამთააღმწერელი ასე აღწერს თბილისის დაპყრობას ჯალალ-ედ-დინის მიერ:

„ხოლო მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა მიიღეს გვირვინი წამებისა, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვგონებ, ვითარმედ ათი ბევრი აღიწია რიცხვი მოკლულთა''

(ჟამთააღმწერელი, იქვე]) და იქვე:

„ხორეზმელები გაექცნენ მტრებს და სპარსეთის საზღვარზე საქართველოს ქალაქ ტრიფელისს (ტფილისს) მოადგნენ, სადაც 7000 (შვიდი ათასი) კაცი ამოხოცეს“. (სიმონ დე სენ კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ. ასცელინის ელჩობა. დავით ნინიძე)

ავტორი, ჩვეულებრივ, ომში დახოცილ მხედრობას არ აღრიცხავს. ასეთივე კონტექსტში ახსენებს ქალაქ დარუბანდს:

„მოუხმეს მცხოვრებლებს და ყველა ამბოხებული დახოცეს, დააჭრეს ყურები, ძმარში ჩადებული აჰკიდეს ორ საპალნე ცხოველს და ხანს უძღვნეს...ათასი მო-

კლულიდან ერთს თავს წააცლიდნენ და ყირამალა აღმართავდნენ მაღალ ადგილას, ნიშნად ათასეულისა. საქართველოში, თბილისის დარბევისას, (მონღოლებმა) იქ 7 ადამიანი 7 სხვადასხვა მაღალ ადგილას თავწაცლილი ფეხებით ზემოთ ჩაარჭვეს. თათართა მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ხორეზმელებმა იმავე ქალაქში მოკლეს, როგორც ადრე ვთქვით, 7000 ადამიანი“

ცხადია, სამივე შემთხვევაში, სენ კვენტინი დახოცილ ხალხში მშვიდობიან მოსახლეობას გულისხმობს! ამასთანავე, სენ კვენტინის ცნობები უაღრესად საიმედოა, რადგან ის სავარაუდოდ ეყრდნობა მათივე ორდენის წევრების ინფორმაციას, რომლებიც ელჩობის საქართველოში ხვარაზმელების მოსვლის პერიოდისათვის უკვე 7 წელია თბილისში მოღვაწეობენ!

რაც შეეხება სხვა ცნობებს თბილისის შესახებ: XVII საუკუნის შუა ხანებში თბილისში ნამყოფი ფრანგი კომერსანტი, ტავერნიე წერდა:

„ტფილისი , რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია ,კარგი მდებარეობა აქვს, საკმოდ დიდია და კარგად გაშენებული. აქ აბრეშუმის დიდი ვაჭრობა სწარმოებს“ (ტავერნიეს მოგზაურობიდან, მოამბე N6–1898წ)

1663 წელს, ქართლის მეფის მკურნალი, ქიოსელი ბერძენი, ანდრია ეპიფანე, გაგზავნილ წერილებში აღნიშნავდა:

„რომ თბილისში ძლიერ ბევრი ხალხია და მკვიდრების გარდა აუარებელი ვაჭრები არიან აღმოსავლეთიდან მოსული (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი 1902 წ გვ 225)

„თბილისი ერთ–ერთი ულამაზესი ქალაქია, თუმცა დიდი არ არის (შარდენის მოგზაურობა გვ 316, 1975 წ) „ქალაქი თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული“ (იქვე)

1680 წლის დასაწყისში, იტალიელი მისიონერის, დიონჯო კარლოს ცნობით „თბილისის მოსახლეობა 12000 (თორმეტი ათასი) აღწევდა'' (დიონჯო კარლო თბილისის აღწერა ბ. გიორგაძის თარგმანი. მსკ. თბ. 1951წ ნაკვ.29.გვ 156)

1700 წელს, ფრანგი მოგზაური ტერნიფორის მიხედვით, 20000 სული მცხოვრები იყო. 1770 წელს, აღწერის მონაცემებით, თბილისის მოსახლეობა 4000 კომლი იყო.(ივ ჯავახიშვილი, ტ- IV-, გვ 446-447, 1996 წ)

ბუნებრივია, რომ ჯალალ–ედ–დინის თავდასხმისას, გარეუბნის ლტოლვი-ლი მოსახლეობა თბილისის გალავანს შეაფარებდა თავს. ჯალალ–ედ–დინის მემატიანის, ალ– ნასავის მიხედვით, ხვარაზმელმა სულტანმა ქალაქის ერთი ნა-წილი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო დაიპყრო, ისიც ადგილობრივი მუსლიმა-ნების დახმარებით. ქალაქის გარნიზონმა ისნის ციხეს შეაფარა თავი. ჯალალ– ედ–დინმა დაუნდობლად გაჟლიტა ქალაქის მეორე ნაწილის მშვიდობიანი ქრისტიანი მოსახლეობა, ქართველები და სომხები. რასაკვეველია თბილისის მუსლიმანი მოსახლეობისათვის ხვარაზმელებს ხელი არ უხლიათ. თუ 1680 წე-

ლს, თბილისის მოსახლეობა 12000 (თორმეტი ათასი) არ აღემატებოდა, ძალიან საეჭვოა, მოსახლეობა 450 წლის წინ ათჯერ მეტი ყოფილიყო. სავარაუდოდ, თბილისის ერთი ნაწილის ქრისტიანულმა მოსახლეობამ, 10000 (ათი ათასი) ადამიანმა, ქართველმა და სომეხმა თავი შესწირეს ქრისტიანული სიწმინდეებ-ის დაცვას. ჟამთააღმწერელს ამჯერადაც აერია რიცხვი და მადლობა უფალს, რომ 10000, და არა 100000 შეიწირა პირსისხლიანმა ჯალათმა და შარაგზის ავა-ზაკმა, ჯალალ– ედ– დინმა.

არგუმენტი- 11. **„ესე მაღალმან და ყოველთა ხელმწიფეთა უდიდესმან ხვა-რაზმშა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მიმხცოვანებულ იყო, და შვილისა ჯალალედინის და ხელთ ედვა სულტნობა და ქვეყანანი, რომელნი ეპყრა ჯე-ონს აქეთ ხუარასნისა და ერანისა, ცნა რა მოახლოება თათართა, მოუწოდა სპა-თა მისთა, ვითარ <u>ექუსი ათასითა</u> კაცთა, და წამოემართა ჩინგიზ ყაენსა ზედა. ხოლო იგი ხუარაზმშას წინა დაემთხვა. იქნა ძლიერი და ფიცხელი ომი, რომე-ლი მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ სიმრავლე. და იძლივნეს ხვარაზმელნი, დაშთა რაზმსა შინა ბერი ხუარაზმშა, მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარემოად-გეს. ცნა ესე სულტანმან ჯალალადინმა, რომელ იყო კაცი მხნე, ქველი შემმარ-თი, უშიში,ვითარცა უხრცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო, მოვიდა მცი-რედითა კაცით ა შველად მამისა და მყის წამოიყვანა მამა, და ივლტოდეს ხუარ-ასნად. ამის შემდგომად ებრძოდა კუალადცა სულტანი, ჯალალადინ მრავალჯ-ერ, რამეთუ სამჯარ ჯეონს იქით შეება და ოთხჯერ ხუარასანს, ჯეონს აქეთ. ვი-ნაიდან ღმერთსა ცოდვათა ჩვენთვის მიეცა ყოველი ქვეყანა, იძლია სრულად და ივლტოდა“(ქართლის ცხოვრება;ჟამთააღმწერელი ტII- გვ 165–166 , 2012წ)**

ჟამთააღმწერელს მხედველობაში აქვს ხვარაზმელთა და მონღოლთა პი-რველი შეტაკება, რომელიც მოხდა 1218 წელს, თურგაის სტეპში. ჩინგიზ ყაენის მიერ პირადი მტრების, მერკეტების გასანადგურებლად გაგზავნილი, ქართვე ლთათვის ავადსახსენებელი სუბუდაი ბაღათური ლაშქრითურთ, მერკეტების დევნის პროცესში, ხვარაზმელთა სასაზღვრო ზოლში შემოიჭრა.ხვარაზმშა, რო-მელსაც უკვე გაფუჭებული ჰქონდა ურთიერთობა მონღოლებთან, 60000 (სამო-ცი ათასი) და არა 6000 (ექვსი ათასი) ნარჩევი ჯარით შეეგება მონღოლებს. სუბ-უდაი ბაღათური, რომელსაც თან მხოლოდ 30000 (ოცდაათი ათასი) მეომარი ჰყავდა, თანაც ჩინგიზ ყაენისაგან არ ჰქონდა მითითება ხვარაზმელებთან დაპი-რისპირებისა, ომისათვის თავის არიდებას შეეცადა. ომი ხვარაზმელთა ინიცი-ატივით დაიწყო. მონღოლებმა ხვარაზმელთა მარცხენა ფლანგი და ცენტრი შე-ავიწროვეს, კინაღამ ტყვედ ჩაიგდეს ცენტრში მყოფი ხვარაზმშა. მდგომარეობა ჯალალ–ად–დინმა იხსნა, რომელმაც დაამარცხა მონღოლთა მარცხენა ფრთა, გააქცია და დაფანტა. შემობრუნებილმა ცენტრშიც გაასწორა ბრძოლა. მეომარი

მხარეები ღამემ გაყარა.სუბუდაი ბაღათურმა გაცლა ამჯობინა, თუმცა თავს დამარცხებულად არ თვლიდა.

პირველი სერიოზული დამარცხებაც ჯალალ–ად–დინმა აგემა მონღოლებს 1220 წელს. ბრძოლა პანდშერის ხეობაში მოხდა, პერვანის ველზე (თანამედროვე ავღანეთი) ორი დღის ბრძოლის შემდეგ მონღოლთა 30000 (ოცდა ათი ათასი) ზოგი წყაროებით 60000 (სამოცი ათასი) ლაშქარი, რომელსაც ჩინგიზ ყაენის ერთ–ერთი საუკეთესო სარდალი, შიქი–ყუთუყუ, (ზოგი მონაცემებით ჩინგიზის შვილი, ტოლაი ხანი) სარდლობდა, სასტიკად დამარცხდა.

.**(ჯუვეინი, თარიჰა ჯაჰანგოშა, გვ 135–136. Насави ст124-125. Рашид-ад-дин 12, გვ220-222] ჯალალ–ად–დინის გაერთიანებული ლაშქარი 120000 (ას ოცი ათა-სი) მეომარს ითვლიდა**.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ჟამთააღმწერელს 1254 წლის მონღოლურ აღწერასთან დაკავშირებით ერთმანეთში, ისევე როგორც ზემორე შემთხვევაში, აერია მცნება 1000 (ათასი) და 10000 (ათი ათასი). ამ შემთხვევაში, საქართველოში 1254 წელს ფიქსირდება 81000 (ოთხმოცდა ერთი ათასი) და არა 810000 (რვაას ათი ათასი) გლეხური კომლი. ამასთანავე, ყურადსაღებია რომ ჩვენამდე მოღწეული XVIII საუკუნსს აღწერის დავთრებში, კომლში სულადობრივი რაოდენობა საშუალოდ 6–10 სული ჩანს, და არა 5 სული, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი თვლის.

ისტორიული წყაროები და არითმეტიკა

ისტორია არაზუსტ მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნება. ჟამთააღმწერელის ერთი ცნობის საპირისპიროდ, არსებობს დუჟინი ირიბი საწინააღმდეგო არგუმენტი. შესაძლებელია თუ არა მოიძებნოს პირდაპირი არგუმენტი, რომელიც დაამტკიცებს ჟამთააღმწერელის შეცდომას მონღოლური აღრიცხვის შედეგების დაფიქსირებისას? არგუმენტი არსებობს ზუსტი მეცნიერების, არითმეტიკის სახით. ჟამთააღმწერელის მიხედვით, 1254 წლის აღწერისას დ აფიქსირდა 810000 (რვაას ათი ათასი) სრულფუძიანი გლეხური კომლი. საგლეხო მამულის, საკომლო ფუძის ოდენობა დროთა ვითარებაში ცვლილებას განიცდიდა. მე-XVII-XVIIIსაუკუნეში, ტენდენცია საკომლო მამულის, ფუძის შემცირებისაკენ იყო მიმართული. და მაინც, საკომლო მიწის ყველაზე გავრცელებული ოდენობა 60 (სამოცი) დღიურს უდრიდა. დღიური, მიწის ის რაოდენობაა, რომელიც ერთი დღის განმავლობაში იხვნება ერთი გუთნეულის მიერ. ის მერყეობს 0,4– 0,45 ჰექტარის ფარგლებში. 1756 წლის ერთ საბუთში საკომლო ფუძედ ნაგულისხმევია 60 (სამოცი) დღიური მიწა.

1803 წლის დოკუმენტში პირდაპირ აღნიშნულია„ ერთი საკომლო სამოცი დღიურის მიწაა'' (ხელნაწერების ინსტიტუტი ფ. Q.d N7866 მასალები საქართვე-

ლოს ეკონომიური ისტორია; წიგნი2 გვ 213. საქართველოს ისტორიის ნარკვევები გვ 533 ტ4, 1979წ)

რასაკვირველია, ჟამთააღმწერელის მიერ XIII საუკუნეში ნახსენები სრული საკომლო ფუძე ვერ იქნებოდა ნაკლები, ვიდრე XVII საუკნეში:

60დღიური=60X0,4=24 ჰექტარი.

რასაკვირველია, 24 ჰექტარ საკომლო ფუძეში შედის საკარმიდამო, სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყეც კი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონღოლების მიერ საქართველო დაყოფილ იქნა 8 (რვა) დუმენად.დღევანდელი საქართველო განლაგებულია 5 (ხუთი) დუმენის ტერიტორიაზე. ორი დუმენი, ჩრდილოეთ სომხეთის მიწები, თავისი ტერიტორიებითვე დაუბრუნდა ისტორიულ სამშობლოს, სომხეთს. ერთი დუმენის ტოლფარდი ტერიტორია, საინგილოს, კოლაარტაანის და ტაო–კლარჯეთის სახით, საქართველომ XIX-XX საუკუნეში დაკარგა. ჟამთააღმწერელის ცნობებზე დაყრდნობით საქართველოს დანარჩენ ხუთ დუმენზე მოდის მოსახლეობის 5/8 (ხუთი მერვედი) ანუ 500000 (ხუთას ათასი) სრულფუძიანი კომლი. ნახევარი მილიონი სრულფუძიანი კომლის განსახლებისათვის აუცილებელია:

500000X24=12000000 (თორმეტი მილიონი) ჰექტარი.

ამასთანავე,საკომლო ფუძის მიწის ფონდიდან ამოსარიცხია ფართობები, რომელიც უკავია:მდინარეებს, ტბებს, გზებს, ქალაქებს, წარმოადგენს საეკლესიო საკუთრებას, საბატონო და სამეფო ტყეები, მთავარი კავკასიონის მთები და მყინვარები.ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, საქართველოს რეალური ფართი რამდენადმე აღემატება რუკაზე დაფიქსირებულ ფართს:

70000კვ. კმX 100= 7000000 (შვიდი მილიონი) ჰექტარი

და XIII საუკუნეში, ამა თუ იმ სახით გამოყენებადი მიწის ფართი გაცილებით ნაკლები ჩანს, ვიდრე საკომლოდ აუცილებელი 12000000 (თორმეტი მილიონი) ჰექტარი. მონღოლთა მიერ 1254 წელს ჩატარებულ აღრიცხვის შედეგების მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობს: სრულფუძიანი გლეხური კომლის რაოდენობა არის 810000 (რვაას ათი ათასი) და მონღოლთა ლაშქარში ყოველწლიური გასაწვევი 90000 (ოთხმოცდა ათი ათასი) მეომარი, ან 81000 (ოთხმოცდა ერთი ათასი) სრულფუძიანი კომლი და 9000 (ცხრა ათასი) გასაწვევი მეომარი. აშკარაა, რომ 810000 (რვაას ათი ათასი) სრულფუძიანი გლეხური კომლი საქართველოს ტერიტორიაზე ვერ განთავსდებოდა!

...და მაინც, საკითხი იმდენად არაორდნარული ჩანს, რომ ჟამთააღმწერელის შეცდომის დაფიქსირება ირიბი (თუმცა აშკარად დამაჯერებeლი არგუმენტებით) არ ჩანს საკმარისი, რომ საქართველოს რიცხოვნობის საკითხი (თუნდაც შუა საუკუნეებისათვის) დამტკიცებულად ჩაითვალოს.

ერთ-ერთი იმ აუცილებელ იმ სიდიდეთა განსაზღვრისათვის, რომელიც პირდაპირ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობას შუა საუკუნეებისათვის, კერძოდ 1336 წლისათვის, ბუნებაში ცნობილია: საქართველოდან მონღოლთა იმპერიისათვის კუთვნილი ხარკის აბსოლუტური სიდიდე ცნობილია: **ის 120, 2 თუმანია!** (თუმანი- დუმენი= 10000) სულ რამდენიმე სიდიდის განსაზღვრაა აუცილებელი, რომ არითმეტიკული მოქმედებების საშუალებით განისაზღვროს საქართველოს მოსახლეობა დროის მოცემული პერიოდისათვის, როდესაც მოგროვდა ეს სამონღოლო ხარკი (1336 წელს)

1.ხარკის აბსოლუტური მოცულობა თითოეული კომლისათვის თუ ინდივიდისათვის

2.ხარკის აკრების ბაზა, ანუ საქართველოს სამეფოს ის ტერიტორია, რომელზედაც აიკრიფა ხარკი.

მოცემული სიდიდეები სრულიად საკმარისი ჩანს, რათა განისაზღვროს საქართველოს ხარკის გადამხდელი (შესაბამისად სრული) მოსახლეობის რაოდენობა.ზემოთ მოყვანილი სიდიდეების, ხარკის რეალური მოცულობის განსაზღვრა და მისი მეთოდი საინტერესო შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალისტთა მეტად ვიწრო ჯგუფისათვის, ამდენად შეიძლება ვერ იქნეს ასევე საინტერესო რიგითი მკითხველისათვის, თუმცა თემის (თუნდაც შემოკლებულის) განხილვა აუცილებელი ჩანს ზემოთ დაყენებული ამოცანის საბოლოოდ და უკამათო მტკიცებისათვის!

სააღრიცხვო სისტემები შუა საუკუნეებში

ცენტრალიზირებული ფეოდალური სახელმწიფოს ერთ–ერთი აუცილებელი ნიშანი მოსახლეობის აღრიცხვის სისტემის არსებობაა. აღრიცხვის სისტემას ფეოდალურ სახელმწიფოში ორმაგი დანიშნულება ჰქონდა:

1.მოსახლეობის რაოდენობის დაფიქსირება , გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით.

2.ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის აღრიცხვა, საომარი პოტენციალის განსაზღვრა.

პირველი ოფიციალური აღრიცხვა საქართველოში წერილობით დაფიქსი-რებულია 654 წელს, საქართველოში არაბების შემოჭრისას. ქართლის მესვეურებმა საღად შეაფასეს სიტუაცია და დაზავება არჩიეს. არაბთა სარდალი, ჰაბიბ –იბნ მასლამა, კმაყოფილი დარჩა ქართველთა წინადადებით, მორთმეული ძღვენის ღირებულება ხარკის ანგარიშში ჩათვალა და მოციქულს თავისი კაციც გააყოლა წერილით, რომელიც „დაცვის სიგელითაა'' ცნობილი. დოკუმენტის შინაარსი IX საუკუნის არაბი ისტორიკოსების, ბალაძორისა და ტაბარის თხზუ-

ლებებშია შემონახული, რამდენიმე პუნქტის სახით. ჩვენთვის საინტერესო პირველი პუნქტია:

„ქართველები აღიარებენ მორჩილებას და იხდიან ჯიზიას, კომლზე ერთ დინარს, ამასთან ეკრძალებათ კომლების გაერთიანება ჯიზიის შესამცირებლად, თავის მხრივ, არც არაბებს აქვთ კომლების გაყოფის უფლება ჯიზიის გასადიდებლად“ (ე. სიხარულიძე; არაბეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ73 1959 წ გვ 170–172]

რასაკვირველია, მოხდებოდა მოსახლეობის კომლობრივი აღრიცხვით განისაზღვრებოდა გადასახადის აბსოლუტური მოცულობა. ჯიზიის დადგენილი კომლობრივი ხარკის ადიმინსტრირება და არაბთათვის ჩაბარება ევალებოდა უკვე ადგილობრივ ხელისუფლებას. ხარკის აბსოლუტური რაოდენობა, გადაყვანილი ვერცხლში:

1ოქროს დინარი= 4,26 გრამს=10 ვერცხლის დნარი= 4, 26X7==29,8 გრამი (ვერცხლი). ოქრო ვერცხლის ფარდობა იმ ეპოქისათვის 1:7 **(M.N. Sauvaire, Materialux pour l’histoire de la namilsmatatique et de la metrologie et di metrologe musulmanes: Journal Asiatieque 1882, fevral- mars,გვ111.ივ ჯავახიშვილი, ტომი 9,გვ 585.1996წ)**

აღწერის სისტემა, რომლითაც მონღოლებმა საქართველო (და არა მარტო საქართველო) აღწერეს, საქართველოში მოქმედი სისტემის ანალოგიურია. მონღოლებამდე 131 წლით ადრე, 1123 წელს ზუსტად ამ სისტემით მოხდა ყივჩაყთა აღთვალვა-დავით აღმაშენებელის ნებით, შირვანზე ლაშქრობის წინ. აღწერის ეს სისტემა მოქმედებდა. მონღოლთა დაპყრობამდე დიდი ხნით ადრე, მოქმედებდა მონღოლთა განდევნის შემდეგაც, რუსეთის მიერ საქართველოს ინკორპორაციამდე. საქართველოში მონღოლთა ზეობის პერიოდში, მინიმუმ ორჯერ ჩანს ჩატარებული მოსახლეობის აღწერა, 1254 და 1295 წლებში, ორმოცწლიანი ინტერვალით. თუ რა ინტენსივობით ტარდებოდა მოსახლეობის აღრიცხვა XVII საუკუნემდე, ქართულ ისტორიულ წყაროებში არ ჩანს. XVII- საუკუნეში, ერეკლე პირველისგან 1689 ბოძებული საბუთიდან ჩანს, რომ თითოეული სადროშოს სათავეში მდგომი სარდარი ვალდებული იყო შვიდ წელიწადში ერთხელ, თავისი ხელქვეითი სადროშოს მოსახლეობა აღეწერინებინა და ხალხის აღწერის დავთარი ჰქონოდა.

(იხ. დ. ფურცელაძის Груз. Двор. грамота გვ10–12. ივ. ჯავახიშვილი)

მომთაბარე მოსახლეობისათვის, რომელიც მესაქონლეობას მისდევდა და თურქთა ტომებისაგან შემდგარი „ელი“–ის სახელითაა ცნობილი, დაწესებული იყო სამ წელიწადში ერთხელ აღწერა **(ივ ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია გვ27 ტ4 1996წ)** აღრიცხვის ეს სისტემა ითვალისწინებდა,როგორც კომლობრივ, ასე მამაკაცთა სულადობრივ აღრიცხვას. შესაძლებელია ქართული და მონღოლური აღრიცხვის სისტემების მსგავსება უბრალო დამთხვევაა, ორი მეტად

მილიტარისტული საზოგადოების ცხოვრების წესისა. (მართალია საქართველო უფრო მეტად თავდაცვით ომებს აწარმოებდა, მგრამ ომების ინტენსივობით მონღოლებს ნამდვილად არ ჩამორჩებოდა)

ქართული ფულის გენეზისი

ფული და საზოგადოება

ფული როგორც საქონელთა საქონელი და გაცვლის უნივერსალური საშუალება, კაცობრიობის ისეთივე კულტურული მონაპოვარია, როგორიც დამწერლობა. ანტიკური ბერძენი ისტორიკოსის, ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეს მიხედვით, მონეტები პირველად ლიდიელებმა, მცირე აზიის მკვიდრებმა მოჭრეს. სიმდიდრის სინონიმი, კრეზი და ლიდიელთა მეფე კროისოსი ერთი და იმავე პიროვნება იყო. (როგორც ჩვენი კვლევებით გაირკვა, ლიდიელები სხვა არავინაა, თუ არა ეტრუსკთა წინაპრები, რომელთა სამეფოს სახელი ლიდიამათივე მეფის სახელის მიხედვით დაერქვათ.

„ადამიანთა შორის ლიდიელები პირველები არიან, ვინც ჩვენ ვიცით, რომლებმაც მოსჭრეს და გამოიყენეს ოქროსა და ვერცხლის ფული“ (ჰეროდოტე, ისტორია; წიგნი I-94, თბილისი 1975 წელი)

ჰეროდოტესვე ცნობით, მონეტის მოჭრის ხელოვნება ლიდიელებისაგან ბერძნებმა შეითვისეს, ბერძენთაგან სპარსელებმა. სპარსეთის იმპერიის რიგით მესამე მეფე, დარიოს ჰისთასპესის ძე პირველი იყო, ვინც დაქვემდებარებულ ერებს ხარკი ძვირფასი ლითონის, ვერცხლის სახით შეაწერა. დარიოსის მეფობის საწყის პერიოდში, სპარსეთის პროვინციებში და ვასალურ სახელმწიფოებში მონეტის მოჭრის ხელოვნება არ არსებობდა, ვერცხლი წონით (ტალანტი) შემოსდიოდა. ხარკის სახით შემოსულ ვერცხლს გადაადნობდნენ, თიხის ამფორებში ასხამდნენ, გაციებულ ნადნობს თიხას აცლიდნენ და ინახავდნენ. მიღებული ზოდებიდან საჭიროებისამებრ ხდებოდა მონეტების ჩამოსხმა, ჭედვა. ჰეროდოტეს სიტყვებითვე, სპარსეთის იმპერიაში ოქროს მონეტების მოჭრის პრეროგატივას მეფე, დარიოს პირველი ფლობდა, ვერცხლის მონეტებს სატრაპიის მმართველები, სატრაპები ჭრიდნენ, ხოლო სპილენძის მონეტას, ადგილობრივი ხელისუფლება. სპარსეთის პროვინციის XIX სატრაპიაშიც, რომელიც მთლიანად ქართველური ტომებით, მოსხებით და ტიბარანებით, მაკრონებითა და მოსინიკებით იყო დასახლებული, რასაკვირველია იჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, თუმც ა ის რიგითი სპარსული მონეტა იყო, სპარსული საზომითა და სტანდარტით, სპარსულ მონეტარულ პრინციპებზე დაფუძნებული.

ამავე პერიოდიდან, კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე, ბერძნულ ახალ-შენებში და სავაჭრო ემპორიებში, მიმოქცევაშია კოლხური თეთრის სახელით ცნობილი ვერცხლის და სპილენძის მონეტები. პირველი ახალშენები კოლხეთ-ის სანაპიროზე მილეტელებს ეკუთნოდათ ჩვ.წ.აღ.VI საუკუნეში...მოგვიანებით სავაჭრო პროცესებში კუნძულ სომოსისა და ხიოსის წარმომადგენლები ერთვე ბიან. ანტიკური პერიოდის საბერძნეთი დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფ-ოებისაგან შედგებოდა, რომელთა უმრავლესობას ზომა-წონის საკუთარი ერთ-ეული გააჩნდათ და მონეტებსაც განსხვავებულს ჭედავდნენ.

ანტიკური ბერძნული და რომაულ-ბიზანტიური ფულადი სისტემები

ფულადი სისტემის უნიფიცირების შემდეგ, ანტიკურ -ბერძნული ფულ-ადი სისტემა, დაფუძნებული წონის ერთეულ ტალანტზე (26,16 კგ) შემდეგ სახ-ეს ღებულობს:

1 ბერძნული ტალანტი=26,16 კგ= 60 მინა (ვერცხლი)
1 მინა =0,436 კგ=50 სტატერი (ვერცხლი)
1 სტატერი=8,72 გრამი=2 დრახმა (ვერცხლი)
1 დრახმა=4, 36 გრამი=6 ობოლი (ვერცხლი)
1 პენტაბოლი=5/6 დრახმა= 5 ობოლი=3,63 გრამი (ვერცხლი)
1 ტეტრაბოლი= 2/3 დრახმა=4 ობოლი=2, 91 გრამი (ვერცხლი)
1 ტრიობოლი= ½ დრახმა= 3 ობოლი= 2,18 გრამი (ვერცხლი)
1 დიობოლი=1/3 დრახმა=2 ობოლი=1,45 გრამი (ვერცხლი)
1 ტრიდემიობოლი=1/4 დრახმა=1,5 ობოლი=1,09 გრამი
1ობოლი=1/6 დრახმა=0,73 გრამი (ვერცხლი)
1 ტრიდემიობოლი= ¾ ობოლი= 0,55 გრამი (ვერცხლი)
1 გემიობოლი=1/2 ობოლი= 0,36 გრამი (ვერცხლი)
1 ტეტრატემორი=1/4ობოლი=0,18 გრამი (ვერცხლი)

ვერცხლის რიგის შემდეგ აღრიცხვის სისტემა სპილენძის მონეტაზე გადადის:

1 ხალკი=1/8 ობოლი (სპილენძი)
1 ლეპტა=1/2 ხალკი (სპილენძი)

მონეტარიზმის რომაულ-ბიზანტიური სისტემა, რომელიც არსებითად განსხვა-ვებულია ანტიკური ბერძნულისაგან,დაფუძნებულია წონის სხვა ერთეულზე, ფუნტზე (ლიბრა) და სხვა კრიტერიუმებზე. რომაულ- ბიზანტიური ფორმულა ასეთ პრინციპზეა დაფუძნებული: ერთი ფუნტი (ლიბრა)=327, 45 გრამი, სამონ-

ეტე ძვირფასი ლითონისაგან უნდა მოიჭრას:ოქრო-72 ცალი, ვერცხლი-96 ცალი, სპილენძი-128 ცალი მონეტა

327,45:72=4,55 გრამი (ოქრო)

327, 45:96=3,41 გრამი (ვერცხლი)

327,45:128= 2,56 გრამი (სპილენძი)

რომაულ პერიოდში, ოქროს მონეტამ მისი დიდი საცვლელი ღირებულების გამო, დიფერენციაცია განიცადა:

ფუნტი (ლიბრა)=327,45 გრამი=12 უნცია=**288 სკრუპულა**

უნცია= 327,45:12=27, 2875 გრამი

სკრუპულა=27,2875: 24=1,137 გრამი

მონეტები:

პერპერა, ნომისიმა=4 სკრუპულა=4X1,137=4,55 გრამი (ოქრო)

ვიქტორიატი=3 სკრუპულა=3X1,137=3,41 გრამი (ოქრო)

კვინარიი=2 სკრუპულა=2X1,137=2,27 გრამი (ოქრო)

სესტერციი=1 სკრუპულა=1, 137 გრამი (ოქრო)

შიდა მოხმარებისათვის აქტიურად იჭრება ვერცხლის მონეტები, მილიარისი, ანუ მილისიმა.

1 ნომისიმა=4,55 გრამი(ოქრო)=12 მილისიმა (ვერცხლი)

1 მილისიმა=4,5 გრამი (ვერცხლი)=2 სილიკვა(ვერცხლი)

1 სილიკვა=2,25 გრამი (ვერცხლი)

ქართული ფულის სათავეები

ფულის მიმოქცევა საქართველოს ტერიტორიაზე პირველად შავი ზღვის პირა რეგიონში ფიქსირდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შავი ზღვისპირა მონეტებზე კოლხური მოტივების არსებობა შესაძლებელია აღნიშნავდეს მის ადგილზე მოჭრის ტენდენციას, მაგრამ ფაქტობრივი მასალებით ამ მოსაზრების შემაგრება ვერ ხერხდება. კოლხური მოტივები შესაძლებელია გაჩნდეს იმ მონეტებზეც, რომელიც საბერძნეთშია მოჭრილი, მაგრამ განკუთვნილია კოლხეთისათვის. სიმპტომატურია, რომ რომაული გარნიზონის ხელფასების ასანაზღაურებელი ფული, II საუკუნეში მეტროპოლიიდან იგზავნება (ფლავიუს არიანე). ასევე, VI საუკუნის დამდეგს, ალანების მოსასყიდი ფული ბიზანტიელ მოხელეს სოტერიხს ბიზანტიიდან ჩამოაქვს. ადგილზე ზარაფხანის არსებობის შემთხვევაში, ასეთი საჭიროება არ წარმოიქმნებოდა. ანტიკურ ეპოქაში და ადრეულ შუა საუკუნეებში, ფული გამზადებული სახით ჩანს შემოსული კოლხეთში.

ფულის, ნამდვილიქართული ერთეულის ბრუნვა შეინიშნება სამხრეთ საქართველოში, რაც თავისთავად კანონზომიერი მოვლენა ჩანს.(1) საქართველოს ტერიტორიის დამოუკიდებელ ერთეულზე მოჭრილი პირველი ქართული მონეტა, მოჭრილი ქართველი მეფის მიერ მისივე სახელით, ტაოს მეფე დავით კურაპალატის მონეტებია, დაფიქსირებული წონით 3,1-3,5 გრამი. ერთი შეხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტაოს სამხრეთ-ქართველური სამეფო განიცდის უშუალო მოსაზღვრის, ბიზანტიის მონეტარული სისტემის გავლენას, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით: ტაოს სამეფოს მონეტარული სისტემაში სინთეზირებულია ერთი მხრივ ანტიკურ-ბერძნული მონეტარული ათვლითი სისტემა, მეორე მხრივ რომაულ-ბიზანტიური წონითი სისტემა. სავრაუდოდ, ეს ლიდიური (ქართველური) მონეტარული სისტემის ნაწილია, რომლი სამართალმემკვიდრედაც ტაოს ასევე ქართული სამეფო გვევლინება! მონეტის მოჭრის პროცესში სტანდარტებისაგან გადახრის, ასევე მიმოქცევისას მონეტის ცვეთის გათვალისწინებით, დავით კურაპალატის ვერცხლის მონეტები მოჭრილი ჩანს ბიზანტიურ-რომაული წონითი სტანდარტით, როცა ერთი ფუნტი ლითონისაგან იჭრება 72 ცალი ოქრო, 96 ცალი ვერცხლი და 128 ცალი სპილენძის მონეტა:

327, 45:96=3,41 გრამი (ვერცხლი)

ამასთან, საუკუნეების შემდგომი ქართული მონეტების მწკრივშიც აშკარად იკითხება მონეტების ემისიის უძველესი პრინციპი, რომელიც უკვე ბერძნულ პრინციპად სახელდებული გვევლინება: თუ ანტიკურ-ბერძნულ მონეტარულ სისტემაში დომინანტი მონეტა დრახმაა, ქართულ მონეტარულ სისტემაში დომინანტი მონეტა დრაჰკანია. ანტიკური-ბერძნული სათვალავი სისტემის ფუძე ობოლია, ქართული სათვალავი სისტემის ფუძე თეთრი:

1 დრაჰკანი=3 სკრუპულა=3x1,137=3,41 გრ.=6 თეთრი (დავით კუროპალატი)
5/6 დრაჰკანი=2,5 სკრუპულა=2,5X1,137=2,84გრ.=5 თეთრი (დრამი)
2/3 დრაჰკანი=2 სკრუპულა=2X1,137=2,27 გრ.=4 თეთრი (არ მოჭრილა)
1/2 დრაჰკანი=1,5 სკრუპულა=1,5X1,137=1,7 გრ.=3 თეთრი ბაგრატ III
1/3 დრაჰკანი=1 სკრუპულა=1,137 გრ.=2 თეთრი (ბაგრატ IV, გიორგიII)
1/5დრაჰკანი=0,75 სკრუპულა=0,85 გგ.=1,5 თეთრი(აღმაშენებელი, გიორგიVII)
1/6 დრაჰკანი=0,5 სკრუპულა=0,57 გრ.=1 თეთრი (აღმაშენებელი, გიორგი VII)

მსგავსება იმდენად ზედმიწევნითია, რომ ერთი შეხედვით ალოგიკურ ბერძნულ მონეტას ეძებნება ანალოგი ქართულ მონეტარულ სისტემაში, დავით აღმაშენებელის და გიორგი მე-7-ეს 1,5 თეთრიანი მონეტის სახით. X საუკუნიდან, საქართველოს გაერთიანების კვალდაკვალ, სამხრეთ საქართველოს მონეტარული სისტემა ვრცელდება დანარჩენ საქართველოშიც. რასაკვირველია, ყვე-

ლა მონეტა ერთდროულად არასდროს მოჭრილა, მაგრამ ზომა -წონის ეს მატრ-
იცა შენარჩუნებული ჩანს საუკუნეების განმავლობაში

ფული როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის საშუალება

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის მშვიდობიან საშუალებას ფული წარმოადგენს. ძვირფას ლითონზე მიბმული ფულის ერთეულის შემთხვევაში, ფულის ღირებულებას მასში შემავალი ლითონის რაოდენობა და სინჯი განსაზღვრავს. სახელმწიფოთაშორისი ანგარიშსწორების საშუალებად ვერცხლი და ოქრო გამოიყენებოდა. მე-11-ე საუკუნეში, ვერცხლის მოკვლეული საბადოების გამოფიტვის გამო, ევრაზიის კონტინენტზე ვერცხლი დეფიციტური ლითონი ხდება. ქართული მონეტების მაგალითზე ჩანს , თუ როგორ განუხრელად მცირდება ვერცხლის მონეტის წონა. დავით აღმაშენებელის ზეობისას, ის მინიმალურთან მიახლოებული წონისაა, სულ 0,85 გრამი. თამარ მეფის ზეობისას, ვერცხლის მონეტის ნაცვლად იჭედება სპილენძის მონეტა წარწერით, რომ ის ვ ერცხლია. ამ წარწერის ძალით, მისი ღირებულება გათანაბრებულია ვერცხლთან. ზუსტად ასეთივე სიტუაციაა ახლო აღმოსავლეთის მუსულმანურ სამყაროში. იქაც იჭრება სპილენძის დირჰემი წარწერით, რომ ის ვერცხლია და გაფრთხილებით, რომ ყველა ვალდებულია მიითვალოს ის ვერცხლად. რასაკვირველია, წარწერა მოქმედებს ფარგლებში, სადამდეც ვრცელდება ემისიონერის ძალაუფლება და ვერ გავრცელდება სხვა სახელმწიფოზე. თამარის მიერ მოჭრილი ვერცხლად სახელდებული მონეტის ფასი ისპაჰანში სპილენძის ეკვივალენტი იქნება, ზუსტად ისევე, როგორც ისპაჰანში მოჭრილ სპილენძის ანალოგიურ მონეტის ფასი თბილისში.

XI-XII საუკუნეში, ევრაზიის კონტინენტზე ოქროს სტანდარტის მოქმედება უცილობელი ჩანს.სახელმწიფოთაშორისი ანგარიშსწორების საშუალება მხოლოდ ოქროთია შესაძლებელი. ლითონური ოქროს არსებობა საქართველოში ისტორიული წყაროებით მტკიცდება. არაბების შემოსევისას ქართლის მესვეურებმა არაბებთან ომს თავი აარიდეს და ხარკი ნებაყოფილებით იკისრეს. არაბი ისტორიკოსის, ბალაძორის ცნობით, ხარკის რაოდენობა ერთ კომლზე 1 დინარით (ოქრო) განისაზღვრა:

1 დინარი (ოქრო)==4,26 გრამი (ოქრო)=4,26X7=29,8 გრამი (ვერცხლი)

ბალაძორის წინამორბედი არაბი ისტორიკოსის, ტაბარის მიხედვით, ხარკი ოქროთი ეკისრება იმ ხალხებს, ვისაც ოქრო გააჩნია, დანარჩენ ხალხებს ხარკი ვერცხლის დირჰემებში დაეკისრა. ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვაში ორივე, ოქროს და ვერცხლის მონეტებია, ცხადია იმავ ე არაბული წყარო-

ებიდან:

„ადერბეიჯანსა, არანსა და არმენიაში მიმოქცევაში მყოფი მონეტა ოქროსია, ისევე როგორც ვერცხლისა“ (Караулов Н. А.X-XI საუკუნის არაბი მწერლების ცნობები კავკასიაზე, აზერბეიჯანსა და არმენიაზე. ალ-ისტარხი, წიგნი გზებისა და სამეფოებისა არმენია, არანი და ადერბეიჯანი.)

თბილისი (შესაბამისად აღმოსავლეთ საქართველოც) ავტორს არმენიის დასახელების ქვეშ აქვს ნაგულისხმევი. რასაკვირველია, მონეტა დამოუკიდებელ და ერთიანი დავით აღმაშენებელის სამეფოსათვის აუცილებელი და რიგითი ატრიბუტი ჩანს! საერთაშორისო ვალუტის, ოქროს მონეტის მოჭრა, დავით აღმაშენებელისათვის ობიექტური აუცილებლობაა,როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების ერთადერთი საშუალება (თუნდაც ვერცხლის დეფიციტის გამო იმ ეპოქისათვის) გარდა ამისა, დავით აღმაშენებელი, როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს სუზერენი მმართველი, უფლებამოსილია და ვალდებულიცაა მოჭრას სამეფო (ოქროს) მონეტა. ამ უფლება-მოვალეობით დავით აღმაშენებელს უსარგებლია კიდეც. ჟამთააღმწერელის სიტყვებით, როცა მეფე თავის აშენებულ ქსენონში მივიდოდა,სნეულებს ნახავდა,ავადმყოფებს ანუგეშებდა ხოლმე:

„მისცეს თითოეულს ოქრო კმა (სამყოფი)“...მაგრამ იყო კი ის „კმა ოქრო“ საქართველოში მოჭრილი? ჩვენი აზრით იყო და ამისი მტკიცებულების მოძიება შუა საუკუნეების ისტორიულ ჩანაწერებში შესაძლებელი ჩანს. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეს ჩანაწერებში ნაჩვენებია, რომ გრიგოლ ფანასკერტელს მონასტრისათვის უჩუქნია „ადგილი რვაას დრაჰკანად ნასყიდი“(გვ 31), არსენი მოძღვარმა „მოგვცა ორმოცდა ჩვიდმეტი სურული დრაჰკანი“ (გვ68) (ივ.ჯავახიშვილი)

პირველისგან განსხვავებით მეორე ჩანაწერში „სურული“ (სრული) დრაჰკანია მითითებული. ხაზგასმა იმაზე, რომ შემოწირულია სრული დრაჰკანი, ნიშნავს იმასაც რომ აუცილებლად არსებობს არასრული დრაჰკანიც. როგორი შეიძლება იყოს არასრული დრაჰკანი? საქრისტიანოში ნომისიმა, წონით 4,55 და 4,45 გრამი, იჭრება მხოლოდ ბიზანტიაში. მასთან წონით მიახლოებული,4,0-4,2 გრამი ოქროს მონეტები,„ზლატნიკი,“ იჭრება რუსულ სამთავროებშიც. მუსულმანური კანონიკური ოქროს მონეტა 4,*26 გრამია.*

1252 წელს, ფლორენციაში მოიჭრა ოქროს მონეტა ფლორინი. მისი წონა იმეორებს რომაულ ბიზანტიურ კანონიკურ ფორმულას მონეტების მოჭრის წესის შესახებ. ბიზანტიური ლიბრა წონით 327,45 გრამი, შეცვლილია ვენეციური ლიბრით 338 გრამი.

338:72=4,69 გრამი 4,69გრამი:4=1,174 გრამი=1 სკრუპულა

კათოლიკური ფლორენცია, მიზეზთა და მიზეზთა გამო არ ჭრის პერპერ-ას, საქრისტიანოს უდიდეს ნომინალის აღმატებულ 4 სკრუპულიან მონეტას და კმაყოფილდება 3 სკრუპულიანი მონეტის მოჭრით:

1,174X3=3,52 გრამი (ოქრო)

ანალოგიურ მონეტას ჭრის ვენეცია 1280 წელს, დუკატად სახელდებულ-ი, თუმცა საქართველოში მას ვენეტიკურ ფლურს ეძახიან. თვით ბიზანტიის სამართალმემკვიდრე, ოსმალეთის იმპერიაც კმაყოფილდება სამ სკრუპულიანი მონეტის მოჭრით. სულტან მეხმედ მეორის ცეხინი (ოქრო), მოჭრილი კონსტან-ტინოპოლის დაპყრობის აღსანიშნავად, 1459 წელს, ბიზანტიური სტანდარტი-სა, 3,43 გრამი იყო.

საქართველო, ოქროს მოჭრის შემთხვევაში ისარგებლებდა ამავე, ბიზან-ტიური სტანდარტით. სავარაუდოდ, ზემოთ ნახსენები დრაჰკანი ვიქტორიატი უნდა იყოს, რომისა და ბიზანტიის N 2 მონეტა, რომელიც იშვიათად იხმარება რომსა და ბიზანტიაში. ვიქტორიატი ოფიციალურად განკუთვნილია მოკავში-რე და სატელიტი ქვეყნებისათვის. (ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ბიზან-ტიის იმპერია კრძალავდა წითელი წაღების ტარებას, რომელიც კეისრის რეგა-ლიების ერთ-ერთ ატრიბუტად იყო მიჩნეული, ხოლო მისი ტარება კეისრისა და ბიზანტიის უზენაესობის ხელყოფად)

დრაჰკანი=3 სკრუპულა=3X1,137= 3,41 გრამი (ოქრო)

რასაკვირველია, ოთხ სკრუპულიან პერპერასთან შედარებით, სამ სკრუ-პულიანი ვიქტორიატი არასრული ოქროს მონეტაა. ოქროს მონეტის ეს წონა აუცილებელი ნორმა ჩანს შემდეგ საუკუნეებში მოსაჭრელ თუ მოჭრილი ქართ-ული მონეტებისათვის. ვახტანგ VI ჩანაწერებში ლაპარაკია, რომ „ორი შაურის წონა ოქროს რომ მისი დაღი აჯდეს, ერთი ფლური არის“-ო, იქვე „ერთი მისხა-ლი ორშურ ნახევარი წონა არის“-ო.

1 მისხალი=4,26 გრამი=2,5 შაური.

1 შაური=4,26:2,5=1,704 გრამი.

2 შაური=2X1,704=3,408 გრამი.

ამ წონისა ჩანს ვახტანგ VI მიერ ნახსენები ოქროს მონეტა.)

თითქმის ამავე ზომის ოქროს მონეტის მოჭრას აღნიშნავს პაპუნა ორბელ-იანი:

„გამოეგზავნა შაჰ -სულთან იბრეიმს თავის სახელზე ზარაფხანა ქალაქში. დაჰკ-რეს სიქა ბრძანებისაებრ მისისა, მოსჭრეს სამ-აბაზიანი და შაური, ფლური ოც-და ათი შაურისა“.

30 შაური=30X1,704=51,2 გრამი (ვერცხლი)

ოქროსა და ვერცხლის ფარდობა XVIII საუკუნისათვის1:15; 51,2:15= 3,41 გრამი (ოქრო)-ამ წონისაა პაპუნა ორბელიანისეული ოქროს ფლური.

დრაჰკანი, რომელიც თავიდან ვერცხლის დომინანტი მონეტის სახელი იყო, ვერცხლის მონეტების დაკნინების შემდეგ, ოქროს ქართული მონეტის აღმნიშვნელი ხდება. სხვა ქვეყნების მონეტების დასახელებისას, ზედსართავი დრაჰკანი ხდება მიმანიშნებელი იმისა, რომ ნახსენები მონეტა ოქროსია. ოქროს მონეტების, ქართულის თუ უცხოურის ბრუნვა შიდა ბაზარზე შეზღუდული უნდა ყოფილიყო, ოქროს მონეტების სწრაფი ცვეთის და შესაბამისად გაუფასურების გამო. ცნობილია, რომ ფლორენციაში ოქროს მონეტების ცვეთა-გაუფასურების თავიდან ასაცილებლად, მონეტები სპეციალურ ტყავის ბუდეში, პასპარტუში ჩასმულ -დაბეჭდილი იხმარებოდა. თვით ისეთ მდიდარ ქვეყანაშიც კი, როგორიც სპარსეთი იყო, XVII საუკუნეში აღებ-მიცემობაში და ურთიერთობაში მხოლოდ ვერცხლის და სპილენძის ფული ყოფილა. (ოლარიუსი, ივ. ჯავახიშვილი)

ქართული ოქროს მონეტა დრაჰკანი ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი, თუმცა ეს დრაჰკანის არსებობას ეჭვქვეშ ვერ დააყენებს. სრულიად შემთხვევით, ბედნიერმა შემთხვევამ შემოგვინახა დავით კურაპალატის ვერცხლის დრაჰკანები, რომელიც ლიპარიტის მიერ დამარცხებულ, დატყვევებულ და შეწყალებულ ვიკინგებს ავგაროზებად უქცევიათ და რომლის თითო ცალი შემონახულია მათ სამშობლოში, ფინეთში, შვეციაში, გერმანიასა და ესტონეთში.(2) ქართული ოქროს მონეტა დრაჰკანის არსებობა სავარაუდოა XII საუკუნის დამდეგს და XIII საუკუნის პირველ მეოთხედს შორის მაინც. ეპიზოდურად ოქროს მონეტები სავარაუდოა ადრეც მოჭრილიყო, ხოლო XIV საუკუნის შემდეგ საქართველოში დადასტურებულია ფაქტიური ცნობებითაც.XIII საუკუნის მეორე ნახევარიდან ევრაზიის კონტინენტზე ვერცხლის სტანდარტი მკვიდრდება. 1254 წლის შემდეგ საქართველო ხარკს უკვე ვერცხლით იხდის. ფლორენციაში ოქროს ფლორინის ვერცხლის ანალოგი იჭრება უკვე 1296 წლიდან. ვერცხლის მილიარისებს, წონით 4,45 გრამი, აქტიურად ჭრის ბიზანტია. ვერცხლისა იჭრება მუსულმანური დინარიც. საქართველოში აღარ იჭრება ოქროს დრაჰკანი, სავარაუდოდ დომინირებს ვერცხლის დრამი-დირჰემი. ქართულ შიდა ბაზარზე ხუთ თეთრად შეფასებული. ვერცხლის დრაჰკანის მოჭრა საქართველოში იწყება XIV საუკუნის დამდეგს. აღბუღას სამართალში ნახსენები, ხუთიანი ორი დანგი, ეს არის ახალი ქართული დრაჰკანი, უკვე მუსულმანურ წონით ერთეულზე დაფუძნებული. მოსაზრება, რომ ქართული მონეტარული სისტემა ასეთია და არა სხვაგვარი, მტკიცდება ქართული ისტორიული დოკუმენტებით, რომელსაც აქვე განვიხილავთ.

დოკუმენტიN1

XIVსაუკუნის ისტორიული დოკუმენტის, „ძეგლი ერისთავთა”-ს ერთი ჩანაწერის მიხედვით:

„ვინც ჰეროვანი კაცი მოკლას ჰეროვანივე კაცმან, სამს წელიწადს გარდაიხუეწოს და სისხლი ორასის დრაჰკანი დაეურვოს-ათას ორასი თეთრი“ (ქართული სამართლის ძეგლები, სამართალი მეფე გიორგისა, გვ 407)

ტექსტის მიხედვით: 200 დრაჰკანი=1200 თეთრს

1 დრაჰკანი=6 თეთრს!

დრაჰკანი ყველა შემთხვევაში სათვალავით 6 თეთრის ტოლია! ქართული ფულის სათვალავი სისტემა ანალოგიური ჩანს ანტიკური ბერძნული სისტემისა (რასაკვირველია ეს ბერძნული გავს ქართულს და არა პირიქით- ჰეროდოტეს მიხედვით ქართველი მონეტარული სისტემის პრინციპების შემქმნელია, ბერძნული მიმბაძველი) პირველი დაფუძნებულია ერთეულ თეთრზე, მეორე ობოლზე!..ამ პერიოდისათვის საქართველოში ბრუნვაში მხოლოდ გიორგაული თეთრია:

„ბატონის პაპის ჩემის განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო. ამა ჟამთა შინა ყაზანაურობაი არღარაი იყო: დიდისა წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამის თეთრი გავაჩინეთ, ორიანი ხუთი დანგი წ...ი (წმინდაი) ვერცხლი“(წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველსავე)

ხუთი დანგი=5X0,71 =3,55 გრამი ვერცხლი (დანგი=0, 71 გრამი)... რას შეიძლება ნიშნავდეს „ორიანი ხუთი დანგი“?

1.ორი ცალი მონეტის 1, 775 -ის ჯამს 1,75+1, 75=3, 5 გრამს

2. 1, 775-იანი მონეტის ორმაგ ნომინალს2X1,75=3, 5 გრამს

ორივე შემთხვევაში სიტყვა „ორიანი“უკვე განსაზღვრავს მონეტის 1, 775 გრამის წონით არსებობას უკვე გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის შექმნის პერიოდისათვის! ორივე ნომინალი, წონით 1,775 და 3, 5 გრამი გიორგი-V-ბრწყინვალის მიერ ჩანს მოჭრილი. მისივე მოჭრილი ჩანს ერთ თეთრიანი ნომინალი, წონით 0, 59 გრამი, რომელიც პროფესორ კაპანაძეს დაკნინებულ ქართულ მონეტად მიუჩნევია. ტანდემური ან მონეტათა ტრიო, დიდ -მცირე მონეტის მოჭრა აუცილებელი პირობაა მონეტარული სისტემის შეუფერხებელი მუშაობისათვის (3) ... მეფე გიორგი ბრწყინვალის სამართალში მოხსენებულ დრაჰკანს ივ. ჯავახ-იშვილი ერთმნიშვნელოვნად ოქროს მონეტად აღიქვამს (ასევე ამ მონეტას ოქროსად მიიჩნევს XVII საუკუნის ანონომი ავტორიც) თუმცა ზემოთხსენებული მონეტა აშკარად ვერცხლისა ჩანს (4)

დოკუმენტი N2

იმპერიები და ხარკები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბთა მიერ ქართველებისათვის დაწესებული ხარკი კომლზე ერთი დინარით განისაზღვრა:

1 ოქროს დინარი=4,26 გრამი (ოქრო)=4,26X7=29,82 გრამი (ვერცხლი)

(ოქრო- ვერცხლის კურსი იმ ეპოქისათვის მიღებულია 1:7...არაბების ხარკის სიმძიმე ყველა ხალხებისათვის ერთი ზომისა როდი იყო. არაბი ისტორიკოსის, ტაბარის მიხედვით, სხვადასხვა ხალხებისათვის ხარკის ფულადი მოცულობა კომლზე1- 4 ოქროს დინარის ფარგლებში მერყეობდა.

4 ოქროს დინარი=4X4,26=17,04 გრამი (ოქრო)=17,04X7=119,28 გრამი (ვერცხლი)

1014 წლისათვის, ბასილი ბულგართმმუსრველის მიერ დამარცხებული ბულგარელებისათვის შეწერილი ხარკის ფულადი კომპონენტი :

6 მილიარისი=6X4,5=27 გრამი (ვერცხლი)...თუ კომლში ორ სულ ბრძოლისუნარიან (შესაბამისად გადახდისუნარიან) მამაკაცს ვივარაუდებთ, კომლობრივი გადასახადი ბულგართათვის:

27X2=54 გრამი (ვერცხლი)

XVI საუკუნის მესამე მეოთხედიდან, ოსმალების მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოში, კომლზე დაწესებული ხარკის სიდიდე 25 აკჩე იყო:

25 აკჩე=25X1,15=28,75 გრამი (ვერცხლი)

ვახტანგ VI ეპოქაში,XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე, ფულადი გადასახადი ერთ სულზე 5,5 აბაზი იყო, კომლზე იყო.

11 აბაზი=11X6,82=75, 02 გრამი (ვერცხლი, ვახტანგVI აბაზი 6.82 გრამი იყო)

ცნობილია მონღოლების მიერ რუსებისათვის შეწერილი ხარკის აბსოლუტური ფულადი მოცულობაც. ერთობ მნიშვნელოვანია, რომ მონღოლთა მიერ შექმნილ ვრცელ იმპერიაში, აღწერის პროცესს ერთი პიროვნება, ვინმე არღუნი კურირებს. აღწერა მიმდინარეობდა 1251-1254 წლებში. მოსახლეობისათვის შეწერილი ხარკი დიფერენცირებული, 4-10 დინარი ყოფილა. XIII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის, ჯუვეინის სიტყვებით, 1261 წელს, არღუნის რეკომენდაციით და მონღოლ ყაანთა შეთანხმებით, **გადასახადი უნიფიცირებული გამხდარა, <u>შვიდი დინარი დავთარში დაფიქსირებულ თითოეულ სულზე.</u>** რატომღაც ითვლება, რომ XIII საუკუნის ბოლოს, ყაზან-ყაანის მიერ ჩატარებულ რეფორმამდე დინარი მხოლოდ ოქროსი იჭრებოდა, რაც საფუძველშივე არასწორია. მაშინდელი მემატიანეების, ჯუვეინის, რაშიდ-ად-დინის ნახსენები დინარი, აკჩეი-რუკნი, ვერცხლის დინარებია. (აკჩე- თეთრი). დინარი იმ დროს ვერცხლისა იჭრება, უფრო მეტიც, რაშიდ-ად-დინის სიტყვებით:

"რუმის (ვერცხლის) ფული, რომელიც უკეთესია ვიდრე სხვა ქალაქებისა, დაეცა იქამდე, რომ 10 (ათი) დინარის შენადნობი თუ მოიცავდა 2 (ორი) დინარის ვერცხლს, დანარჩენი სულ სპილენძი იყო".

მონღოლური ხარკის ფულადი კომპონენტი საქართველოსთვის, ჯუვეინ-ის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის, გრიგოლ აკნერცის ცნობით, რომელიც ცხოვრობს სომხეთის საქართველოსადმი დაქვემდებარებულ ნაწილში, 60 (სამოცი) თეთრია. რასაკვირველია, 7 (შვიდი) დინარი და 60 (სამოცი) თეთრი, ადეკვატური სიდიდეები უნდა იყოს.

7 დინარი=7X4,26=29,82გრამი (ვერცხლი)=60 თეთრი=10 დრაჰკანს

ერთი შეხედვით, 7 დინარი წონით საკმაოდ განსხვავდება 60 თეთრის, ანუ 10 დრაჰკანის ჩვენეული წონისაგან. მიზეზი მონღოლთა მიერ სპარსეთსა და საქართველოსთან დამოკიდებულობის ფორმებში უნდა ვეძიოთ. სპარსეთში მონღოლთა პირდაპირი მმართველობის ფორმა იყო შემოღებული. მონღოლები ხელოვნური გზით ცდილობდნენ შეექმნათ მონღოლური მმართველი არისტოკრატია. დაპყრობილ ტერიტორიებს ანაწილებდნენ დუმენის მეთაურებზე, ნოინებზე. ნოინები ათასისთავებზე, ათასისთავები ასისთავებზე, ასისთავები ათისთავებზე, ათისთავები ნუქერებზე. რასაკვირველია, ამ პირამიდის ყველა წევრი, ნუქერიდან ნოინამდე სარგოს და სარგებელს მონღოლთა მიერ აკრეფილი ხარკიდან, კერძოდ 7 დინარიდან ღებულობდა! სამოხელეო საქმიანობის სფეროს, უწიგნური მონღოლები მთლიანად სპარსელებს უთმობენ! რაც შეეხება საქართველოს (გრიგოლ აკნერცი ეთნიკურად სომეხია, სომხეთისვე ტერიტორიაზე მცხოვრები, მაგრამ მის მიერ აღნიშნული ხარკი მხოლოდ საქართველოს შეეხება, რომლის შემადგენლობაში შედის ჩრდილოეთ სომხეთი, აკნერცის სამშობლოც. რაც შეეხება დანარჩენ სომხეთს, აქ ფულის ერთეული დრამია და აკნერცის ცნობებში ის ვერ იქნებოდა მოხსენებული) ის უფრო ვასალური სახელმწიფოა, ვიდრე დაპყრობილი. ასეთი სიტყვებით დაუხასიათეს მანგუ ყაენს ქართველები და სპარსელები:

„ქართველნი სრულიად მოვიდეს, მეფე და ერთობილნი მთავარნი, რომელთა აქუს სჯული კეთილი, და ტყუილსა ევლტიან, მწამვლელი არცა თუ სახელიდ-ების მათ შორის'' და სპარსთათვის მიუმცნეს ესრეთ: „არიან სპარსნი ცრუ, მოღალატე და ფიცის არშემნახველ, და მრავალნი იპოვებიან მწამვლელნი და მამათმავალ ურცხვად".

მანგუ ყაენის რეაქცია ასეთი იყო:

„ვინაიდან ქართველნი წყობათა შინა კეთილად გიხილვან, და ტყუილი არა არს მათ შორის და მინდობა იციან, თქვენ თანა იპყრენით მტერთა თქუენდა ბრძოლად, ხოლო სპარსნი მოსწყვდენით, და მის ქუეყანისა თავადნი წარავლინეთ ყაენთა წინაშე''.

ჩრდილოეთის ულუსის ყაენის, ბათოს ნება კი ასეთია:

„უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგევითარ არს, ვბრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რომელნი არიან მორჩილებასა ქუეშე მოღოლთა, უმჯობეს და უწარჩინე-

ბულეს იყვნეს, და მოღოლთა თანა მხედართა აღრაცხონ, მამული და საქონელი მათთა ხელთა შინა იყოს და ყოველსა შინა მისანდოდ იყვნენ“.
[ჟამთააღმწერელი, ტომი 2. გვ192-193. 2012წ]

სპარსეთიდან განსხვავებით, საქართველოს შიდა ფეოდალურ წყობას მონღოლები არ ეხებიან. საქართველო ფაქტიურად სატელიტ, ყმადნაფიც ქვეყანას წარმოადგენს, შენარჩუნებული აქვთ საკუთარი ქართული არისტოკრატია და შიდა სახელმწიფოებრივი მოწყობა. ზოგიერთ სომხურ ისტორიულ წყაროებში, საქართველო და მცირე სომხეთი, მონღოლთა მოკავშირე სახელმწიფოებად განიხილება კიდეც. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში გადასახადი ერთი დინარით მეტია, ვიდრე სპარსეთში, და ეს ერთი დინარი ადგილობრივ ხარკის ამკრეფთა წილია მონღოლურ ხარკში. ოთხი საუკუნის შემდეგაც, ვახტანგ VI ზეობისას:

„ამათ აძეს მალი თავზედ შაური ოცდა ორი. ამათგან ხუთი აბაზი ბატონისა არის, შაურ-ნახევარი მოურავისა და <u>მემალისა</u>, ნახევარი შაური სალთხუცისა და მდივნებისა“. (დასტურლამა, დიღმის საბატონოს გამოსაღებისათვის).

ასეთ შემთხვევაში, ხარკი საქართველოს რიგითი მოქალაქისათვის სავარაუოდ **<u>8 დინარია!</u>**

8 დინარი=8X4,26=34,08 გრამი(ვერცხლი)=12 დრამს= 10 დრაჰკანს=60 თეთრს!

რადგანაც გიორგი ბრწყინვალის სამართალში მოხსენებული ვერცხლის დრაჰკანი სრულ უნისონში მოდის გრიგოლ აკნერცის და ჯუვეინის ცნობებთან, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გიორგი ბრწყინვალის ფულად რეფორმამდე:

1ქართული დრაჰკანი= 3,41 გრამი(ვერცხლი)=6 თეთრს

1 სომხური დრამი= 2,84 გრამი (ვერცხლი)=5 თეთრს

1 თეთრი= 3,41:6=0.57 გრამი (ვერცხლი)

1 თეთრი=8დინარი:60 თეთრზე=34,08:60=0,57 გრამი(ვერცხლი)

რეფორმის შემდეგ:

1 ქართული დრაჰკანი=3,55 გრამი (ვერცხლი)=6 თეთრს

1 გიორგაული თეთრი=1,775 გრამი (ვერცხლი)=3 თეთრს

1 თეთრი=3,55:6=0,59 გრამი (ვერცხლი)

(კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ გიორგაულის ქვეშ სავარაუდოა მონეტები წონით :0,57; 1,72; და 3,41 გრამი უნდა იგულისხმებოდეს, მოჭრილი გიორგი ბრწყინვალის მიერ აბუსაიდ ყაანის სახელზე)

შუა საუკუნეების ქართული მონეტების სათვალავი რიგის აღმოჩენა, პასუხს იძლევა ივ. ჯავახიშვილის დასმულ კითხვაზე, თუ რა მიზეზითაა გამოწვეული ქართული თეთრის და სომხური დრამის პარალელური ბრუნვა. დრამამ ქართული თეთრის სათვალავ რიგში დაიკავა კუთვნილი 5 (ხუთ) თეთრიანი

მონეტის ადგილი, ამასთან ის თავსებადი იყო ახლო აღმოსავლეთის ფულად სისტემასთან,ანალოგიური მუსულმანური დირჰემისა, როგორც წონით, სავარაუდოდ ასევე გაფორმება-დიზაინით. და ქართული მონეტების სათვალავი რიგი პასუხს იძლევა რიგ საკითხებზე, რომელიც არ იყო ჯეროვნად გაშუქებული.

კოლიზია -1

ივ.ჯავახიშვილის მიხედვით, 1218 წელს, ეტითანე კათალიკოსი ქართული ეკლესიის საკურთხევლად ანისს ჩავიდა, რომელიც დავით აღმაშენებელის ეპოქიდან საქართველოს შემადგენლობაში იყო მოქცეული. კათალიკოსის ანისს ჩასვლის მთავარი მიზეზი, ადგილობრივი მღვდელების მიერ მოსაცემელის გაზრდა ყოფილა. გვირგვინის კურთხევისათვის და მიცვალებულის დამარხვისათვის 100 დრამს ითხოვდნენ და იღებდნენ კიდეც, რაც ადგილობრივი ქართველი და ქალკედონი სომეხისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ივ. ჯავახიშვილი უკმაყოფილების მიზეზს ნიხრის გადიდებაში ხედავს, რაც არასწორი ჩანს. ქართულ სახელმწიფოში დომინანტი რელიგია იყო და არის მართლმადიდებლობა. მართალია, მოქმედება სომხეთის ისტორიულ მიწა-წყალზე ხდება, მაგრამ ითვლება რომ იმ მომენტისათვის დომინანტი, სახელმწიფო რელიგია იქაც მართლმადიდებლობაა. (თანაც, სავარაუდოდ ეს კოლიზია ზუსტად იმ ქართ ეკლესიაში უნდა ხდებოდეს, რომლის საკურთხევლადაც კათალიკოსო ეტითანე ჩანს ჩასული ანისში) ვერც ადგილობრივი მართლმადიდებელი მღვდელი გაბედავდა მართლმადიდებელ ქართველთა და სომეხთა დისკრიმინაციას. ანისში 100 დრამი მოსაცემელი ყველასთვის ერთნაირი ჩანს, თუმცა უკმაყოფილებას მხოლოდ მართლმადიდებელი სამწყსო გამოხატავს, და ჩანს შეთანხმების შედეგადაც მხოლოდ მათ შეუმსუბუქდათ მოსაცემელი. საქმე იმაშია, რომ მოსაცემელი თბილისშიც 100 ერთეული ჩანს, მაგრამ არა დრამი, არამედ, ტფილური. ტფილური ფულის ერთეული კი თეთრია, დრამი კი თბილისში 5 თეთრია! შესაბამისი მომსახურებისთვის თბილისში, 100 თეთრს იხდიან, მაგრამ დრამებში გამოხატული ეს სულ 20 დრამია! რასაკვირველია, უკმაყოფილებას გამოხატავს ანისელი ქართველი თუ ქალკედონიანი სომეხი, რომელმაც იცის, რომ ამავე სახელმწიფოს მეორე მხარეში, ამავე მომსახურებისათვის,ამავე მრწამსის ხალხი ხუთჯერ ნაკლებს იხდის! ანელ ხუცესთა ნიხრად დადებული100 დრამის მაგიერ, კათალიკოსს მხოლოდ „ძალისაებრ მოსაცემი“ ანუ ნებაყოფილებითი გადასახადი მიუჩნევია სამართლიანად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ტექსტი ძალიან დაზიანებულია და მისი ზედმიწევნით აღდგენა ვერ ხერხდება. კათალიკოსის სიტყვით, უთანხმოება ისე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი, რომ გვირგვინის კურთხევისათვის, ისე მიცვალებლისათვის წესის აგებაში ხუცესს „ეგდენ-

ივე ასისა ტფილურისა“მიეცეს და რაოდენაც „ძალა ედვას პური აჭამოს“-ო, ხოლო მიცვალებულს დასაფლავებაში მღვდელს „სხუაი წაღებაი ძალისაებრ“ მისცენო, იმ ვარაუდით და ანგარიშით რომ ტფილური ასი დრამა იყოს: დანგი ერთი გ (სამი)-ო. ივ.ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ეტითანე კათალიკოსს მოსაცემლის ოდენობა ისე შეუმცირებია, რომ სამი დანგის მაგიერ ერთი დანგის გამოღება დაუწესებია (ივ. ჯავახიშვილი,იქვე). დასკვნა, რომ მოსაცემელი სამჯერ შეუმცირებიათ, სწორია, მაგრამ არა დანგზე დამოკიდებით.

ტფილური თეთრი= 2,84 გრამი=4 დანგი=5 თეთრი

სავარაუდოდ, დაზიანებული ტექსტიდან არასწორადაა ამოკითხული, (ანქარაგმაა არასწორად გახსნილი), ფრაზის დაბოლოება უნდა ეწეროს:ტფილური ასი დრამა იყოს: დრამა ერთი გ (სამი). თუმცა ამით შინაარსი არ იცვლება, მოსაცემელი მართლაც სამჯერაა შემცირებული. ჩანს ეტითანე კათელიკოსი და ადგილობრივი სამღვდელოება კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ:

1. დრამა ანისში= 3 თეთრს და არა 5 თეთრს, როგორც თბილისშია მიღებული.

2. გამოსაღების რაოდენობა ადგილობრივი სომხებისათვს 100 ტფილური თეთრია, უკვე 33,34 დრამია.

3.გვირგვინის ფსკვნაში და მიცვალებულთათვის წესის აგებაში, ასი ტფილური თეთრი უნდა გადაახდევინოს, ანუ 20 დრამი...(სავარაუდოდ, მხოლოდ ქართულ ეკლესიაში...

კოლიზია- 2

1295 წელს, სპარსეთში ახალგაზრდა ყაზან ყაანი გამეფდა. დიდვაზირის, ებრაული წარმოშობის, რაშიდ–ად–დინის ინიციატივით და ყაზან ყაანის თანხმობით, იმპერიაში ფულადი რეფორმა ჩატარდა. მუსულმანური კანონიკური დირჰემი და დინარი რომელთა კანონიკური წონა შესაბამისად 2,98 და 4,26 გრამი იყო, მახინჯდებოდა თითქმის ყველა ქალაქის ზარაფხანაში. რეფორმის შემდეგ, დირჰემი და დინარი დაფიქსირდა ერთ სტანდარტზე როგერც სპარსეთში, ისე, ვასალურ სახელმწიფოებში ;

1დირჰემი=3 დანგი=3X0,71=2,13გრამი (ვერცხლი)

1 დინარი =6 დირჰემი=18 დანგი=2,13X6=12, 78 გრამი (ვერცხლი)

ყაზან–ყაანის მიერ გატარებული რეფორმის შემდეგ, საქართველოში მცირე ხნით ყაზანაური თეთრი ჩანს გაბატონებული.

„Даже в грузии, где никогда не чеканили монету во имиа бога и посланник (его), стали по необходимости (ее) чеканить, ибо (другие монети) помимо нее не имели (нигде) хождения, так что тем местам тоже пришлось чеканит эту монету, хотя они (грузины) и не признают власти (Газан-хана),а иначе их деньги нигде не прини-мали.“ (Рашид-ад-дин Джамал-ат-Таврих)

„პატრონისა პაპის ჩემის განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო. ამა ჟამს შინა ყაზანაურობაი არღარაი იყო; დიდისა წარჩინებულის მეფისა გიორგის ჟამის თეთრი გავაჩინეთ, ორიანი ხუთი დანგი წ'–ი ვერცხლი და როგორიცა თეთრი იყოს ანგარიშად, იმა წესითა აიღებოდეს. ამად არ ჩამოვამცირევით, რომე ავი საქმენუ ვისგან–გაადვილდების''(წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველსავე გვ 405)

ყაზან ყაანი 1304 წელს გარდაიცვალა. მისმა სამართალმემკვიდრე, ოლჯაითუ ყაანი 1317 წელს გარდაიცვალა. ყაზანაური თეთრის მოქმედება1296–1316 წლით უნდა განისაზღვროს. ამ პერიოდისათვის, ირანსა და მის სატელიტ ქვეყნებში მხოლოდ ყაზანაური თეთრის ბრუნვა ჩანს სავალდებულო. საქართველოში ბრუნვიდან ამოღებული ჩანს დრაჰკანი და დრამი. ყაზან ყაანის 3 დანგიანი დირჰემის გაქრობის შემდეგ ხმარებაში შემოდის გიორგი ბრწყინვალის 2,5დანგიანი მონეტა–გიორგაული თეთრი, ხუთდანგიანი დრაჰკანი და ერთ თეთრიანი ნომინალები. გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც სისხლისღვრის გარეშე გააერთიანა საქართველო, გაათავისუფლა მონღოლთა ხარკისაგან, არ ცდილობს საქართველოსათვის ტრადიციულ, ევროპულ წონით სისტემაზე გადასვლას, რასაც პრაგმატული მოსაზრება უდევს საფუძვლად. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები მუსულმანური სამყაროს ქვეყნებია, სახმელეთო გზა ბიზანტიისაკენ, მუსულმანურ რუმის სასულტნოს აქვს ჩაჭრილი, ხოლო ტრაპიზონი, თუმცა იმპერია ჰქვია, მაგრამ ფაქტიურად კომნენების საერისთავო უფროა.

ყაზანაური თეთრის გაქრობისა და გიორგაული თეთრის „გაჩენის“ შემდეგ, სამართლის წიგნის მუხლებით გათვალისწინებული საურავების გადახდა უნდა მოხდეს უკვე გიორგაულით. ზემოთ მოხსენებულ ციტატაში აღბუღა და მისი კანონმდებლები თითქოსდა ბოდიშობენ, რომ ახალი მონეტებით საურავების გადახდა სისხლის ფასის გაძვირებას და შესაბამისად კანონის გამკაცრებას იწვევს. რა აქვთ მხედველობაში აღბუღას კანონმდებლებს?

უბრალო არითმეტიკული გამოთვლები გვიჩვენებს, რომ „ყაზანაური“ მონეტების „გიორგაული თეთრით“ ჩანაცვლება სისხლის საურავების რამდენადმე გაძვირებას იწვევს(5) ვინაიდან მონეტის ღირებულება, მასში შემავალი ძვირფასი ლითონის რაოდენობით განისაზღვრება, ერთსა და იმავე რაოდენობის საურავის გადახდისას, გიორგაული თეთრით გადახდით შემთხვევაში, საურავი 10%-ით ძვირი გამოდის. ამიტომაც ბოდიშობს აღბუღა და მისი კანონშენოქმედნი, თუმცა საკმაოდ „მახვილგონივრულ“ახსნას პოულობენ, რომ ეს დანაშაულის პრევენციას შეუწყობს ხელს!

კაზუსი-1

ქართული სამართლის ძეგლები და მონეტარული სისტემა

ქართული სამართლის ორი ძეგლი, ბექა-აღბუღას სამართალით ცნობილი ძეგლი და სამართალი მეფის გიორგისა, ქრონოლოგიურად საკმაოდ ახლოს არ-ან ერთმანეთთან. ქართული სამართლის მესამე ძეგლი, ბატონისშვილის ვახტა-ნგისა, მთელი 300 წლის გვიან არის შექმნილი. ერთობ თვალში საცემია ის გარ-ემოება, რომ ერთსა და იმავე დანაშაულზე დაკისრებული საურავები პირველ ორ ძეგლსა და ვახტანგის სამართალს შორის კარდინალურად განსხვავებულ-ია. სანამ წიგნების ანალიზს შევუდგებიდეთ, აუცილებელია გავარკვიოთ, რამ-დენად დიდი იყო ინფლაციური პროცესები ვერცხლთან მიმართებაში, განვლ-ილი საუკუნების განმავლობაში. შედარებისათვის შეიძლება ქართული სამარ-თლის ძეგლები გამოვიყენოთ. გლეხი კაცის სისხლი, ბექა–აღბუღას სამართალ-ის მიხედვით, შეფასებულია 400 (ოთხასი) თეთრად.თითქმის ასევეა შეფასებუ-ლი გიორგი ბრწყინვალის სამართლის მიხედვით:

400 თეთრი=400X0,59=236 გრამი (ვერცხლი)

ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით, იგივე დანაშაულის საურავი 12თუმანია:

12თუმანი=120 მინალთუნი=600 აბაზი=600X6,8=4089,6 გრამი (ვერცხლი)

(ვახტანგის დროს აბაზი –6,8 გრამს იწონიდა)

ვახტანგის სამართალით განსაზღვრული საურავის ფასი17-ჯერ მეტია ფასზე, რომელიც დადგენილია სამი საუკუნით უკან. შესაძლებელია. ეს ინფლაციური პროცესების გავლენა იყოს, თუმცა ამის შემოწმება შესაძლებელი მოჩანს (6)

რა სიტუაციაა სხვა რანგის კაცის სისხლის შეფასებაში, სხვადასხვა სამართლის მიხედვით?

მხითარ გიშის სამართლის წიგნის მიხედვით,ქრისტიანის სისხლი 4745 დრაად არის შეფასებული. ქართული აღთვალვის სისტემით:

4745X5=23725 თეთრი...ლევონ მელიქსეთ–ბეგის ცნობით :

„ქართული ტექსტი შესაბამისი სომხური დედნის მხოლოდ თავისუფალ თარგ-მანს წარმოადგენს , ზოგან შემოკლებული, ზოგან დამახინჯებული, ამის გარდა ენა ცხადჰყოფს, რომ მთარგმნელს იურიდიული ტერმინოლოგია არ სცოდნია და ამ საქმისთვის შესაფერისი არ ყოფილა“(ივ. ჯავახიშვილი,ტ- 6,გვ-115,1982წ)

„ეს არის ფასი კაცისა, და ქრისტიანთა რიგითა პატრონთა და რიგით მეორედ მოუმატონ და მოემატოს'' (იქვე)

საკმაოდ უშინაარსო და ბუნდოვანი ტექსტია, ჩვენიაზრით აქ მოყვანილი ფასი, 4745 დრამი=23725 თეთრი–არის საბაზო ფასი სისხლისა, რაღაც საშუალო, რაც ბექას სამართლით საპატიო აზნაურის სისხლის ფასს შეესაბამება. დაზარა-

ლებულის რანგის მიხედვით,საურავის ფასს უნდა მოაკლდეს ან მოემატოს, და-ზარალებულის რანგის შესაბამისად:
4745დრამი=4745X2,98=14,140 კგ (ვერცხლი)
ქრისტიანის სისხლის რეალური ფასი მხითარ გოშის მიხედვით.
ბექა– აღბუღას სამართალის მიხედვით:
1.დიდებულის სისხლი–40000თეთრი=40000X0,59=22,800კგ (ვერცხლი)
2.საპატიო აზნაურის სისხლი–20000თეთრი=20000X0,59=11,400კგ (ვერცხლი)
3.აზნაურის სისხლი–12000თეთრი=10000X0,59=7,080 კგ (ვერცხლი)
4.ქოთლოსან–კარვოსანი, პატრონის მოხელე–12000 თეთრი=12000X0,59=7,080კგ (ვერცხლი)
5.მსახური, პატრონის განდიდებული–12000 თეთრი=1200X0,59=7,080 კგ (ვერც-ხლი)
6.ქოთლოსან –კარვოსანი, უხელო–6000=6000X0 X0, 59=3,540 კგ (ვერცხლი)
7.ქოთლოსან კარვოსანის შვილი, უვარგისი–1000 თეთრი=1000X0,59=0,590 კგ (ვერცხლი)
8.მსახური უბრალო–1000 თეთრი=1000X0,59=0,590 კგ (ვერცხლი)
9.გლეხი კაცი სახელიანი–1000 თეთრი=1000X0,59=0,590 კგ (ვერცხლი)
10. გლეხი კაცი უბრალო-400თეთრი=400X0,59 =0,236 კგ(ვერცხლი)
გერშისა:
11.ხელის ან ფეხის მოკვეთა–სისხლს მესამედი
12. ცალი თვალი–სისხლის მეოთხედი
13.თითის წარკვეთა–სისხლის 1/15
14 .კბილის ჩაგდება–სისხლის 1/15

ძეგლის დება მეფეთ–მეფის გიორგისა–ს მიხედვით, სისხლის საურავები თითქმის ანალოგიურია:
1.განმგებელი თუ მოიკლას–6000 თეთრი=6000X0,59=3,540 კგ (ვერცხლი)2
.ხევისბერი თუ მოიკლას–6000 თეთრი=6000X0,59=3,540 კგ (ვერცხლი)
3.ხევისბერის განაყოფი თუ მოიკლას–3000 თეთრი=3000X0,59=1,770 კ(ვერცხლი)
4.ციხისთავი თუ მოიკლას– 3500 თეთრი=3500X0,59=2,065კგ (ვერცხლი)

5.ჰეროვანის თუ მოიკლას–1200 თეთრი=1200X0,59=0,708 კგ (ვერცხლი)

ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით:
1.დიდებული თავადის სისხლი–1536 თუმანი=1536X340,8=523,468კგ (ვერცხლი)
2.შუა თავადის სისხლი–768 თუმანი=768X340,8=261,734 კგ (ვერცხლი)
3.მესამე თავადის სისხლი–384 თუმანი=384X340,8=130,867კგ (ვერცხლი)
4.გადიდებილი აზნაურის სისხლი–192თუმანი=172X340,8=65,433კგ (ვერცხლი)

5.შუა აზნაურის სისხლი–96 თუმანი=96X340,8=32,716 კგ (ვერცხლი)
6.ცალმოგვი აზნაურის სისხლი–48თუმანი=48X340,8=16,358კგ (ვერცხლი)7.მსახურის სისხლი–24 თუმანი=24X340,8=8179,2 გრამი (ვერცხლი)8. გლეხი კაცეს სისხლი–12 თუმანი=12X340,8=4,089 კგ (ვერცხლი)

გერშისა:

9. ხელის ან ფეხის მოკვეთა–სისხლის 1/3
10. ცალი თვალი–სისხლის 1/3
11.თითი–სისხლის 1/15
12. კბილი– სისხლის 1/15

„სხვა ჭრილობისა ასრე არის, ტანზედ, მკლავზედ, ბარკალზედ და წვივზედ თუ რასაცა ალაგას კაცი დაიჭრას დაუშავებლად, თორემ დაშავებისათვის ხომ დაგ-ვიწერია, ეს ჭრილობა ქერის მარცვლითა გაზომონ, რამდენი ქერის მარცვლის ზომა გამოვიდეს, მარცვალზედ ერთი ზროხა გლეხისა არის. ძროხა ორ მინალ-თუნად ჩავარდების. მსახურს ქერის მარცვლის ჭრილობაზედ ოთხი მინალთ-უნი, ცალმოგვ აზნაურზე რვა მინალთუნი, შუა აზნაურზე–თექსმეტი მინალთ-უნი, დიდს აზნაურზედ– სამი თუმანი და ორი მინალთუნი, დაბალს თავადზ-ედ ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი, შუა თავადზედ–თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი, დიდებულზედ– ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი“.

ბექას და აღბუღას სამართალით, უდიდესი საურავი 22 კგ და 800 გრამი ვერცხლია, უმცირესი 236 გრამი, ხოლო ვახტანგის სამართალის მიხედვით-შეს-აბამისად უდიდესი 523 კგ-ზე მეტი, უმცირესი 4,092 კგ. ინფლაციური პროცეს-ებიც ფაქტიურად უმნიშვნელოა...საყურადღებოა ვახტანგის სამართალში მოყვ-ანილი, სხვა ხელნაწერიდან შევსებული მუხლი:

N23–286V „მე ასე მგონია, იმ ძველის განაჩენებზე სამართალი ძნელი იყოს, ამი-ტომ რომე მაშინ ქართველი ბატონიც დიდი ხელმწიფე ყოფილა დიდი ალაგი სჭერია, და მის თავადსაც მამული და მორჭმა ბევრი ჰქონებიათ, ამიტომ ასეთი განაჩენი უბრძანებიათ. ახლა მაშინდელზე ქართველის ბატონსაც ბევრი ადგი-ლი აკლია და მისი თავადიც მამულზე დამცრობილა, გაყრილა და მისი სიდი-დე თავადვე დაუჩაგრავს. იმ განაჩენით ან ამას სისხლი როგორ აეღების და ან მიცემას როგორ შეიძლებს ვინმე“ (სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა გვ. 487).

ბატონიშვილი ვახტანგი დარწმუნებულია, რომ საურავები სისხლზე ჩამ-ოკლებული აქვს, მაშინ როდესაც სინამდვილეში საშუალოდ 20– ჯერ აქვს გა-დიდებული! როგორ შეიძლება ეს აიხსნას? სამართლის წიგნი აშკარად ნაწვალ-ებია, როგორც ივ. ჯავახიშვილი იტყოდა, ნატყუარია, გადასწორებულია შემდ-

გომი გადამწერების მიერ. ივ.ჯავახიშვილის სიტყვებით, ვახტანგის სამართლის წიგნის ბევრი ხელნაწერია შენახული, მაგრამ კარგი და ძველი მათ შორის ცოტაა. აშკარაა, ვახტანგის ტექსტის დედანში, თუმანზე ლაპარაკიც არ შეიძლბოდა ყოფილიყო! თუმანის ადგილას აუცილებლად მინალთუნი იჯდა, რაც მეტნაკლებად აახლოებს საურავების ფასებს რეალურთან. მაგრამ სამართლის წიგნის კარი სისხლის განჩინებისა, მუხლი 18, ამ თვალსაზრისს ეჭვქვეშ აყენებს:

„გლეხი კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთი გლეხის სიკუდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამ ჩვენ თეთრად[286Г] გაგვიჩენია. (ციფრობრივი აღნიშვნა 286 Г- მიანიშნებს, რომ ტექსტი სხვა ხელნაწერიდანაა შევსებული). ასევე კარი ასოთა და ჭრილობათა სისხლისათვის მუხლი 49[293რ] „სხვა ჭრილობისა ასე არის: ტანზედ, მკლავზედ. ბარკალსა და წვივზედ თუ რასცა ალაგს კაცი დაიჭრას დაუშავებლად, თორემ დაშავებისათვის ხომ დაგვიწერია, ის ჭრილობა ქერის მარცვალით გაზომონ, რამთენიც ქერის მარცვალისზომა გამოვიდეს, მარცვალზედ ერთი ძროხა გლეხისა არის. ძროხა ორ მინალთუნად ჩავარდების'' (იქვე)

ძროხის ფასი,2 მინალთუნი=10 აბაზს (ვახტანგის დროინდელს) X 6,82=68,2 გრამი ვერცხლი.თუ ძროხის მოცემულ ფასს შევადარებთ ცხენისა და ჯორის სამი საუკუნის წინანდელ ფასებთან, შესაბამისად 350 და 400 თეთრი (ივ. ჯავახიშვილი ტომი 9, გვ 557, 1996 წ) ძროხის ფასი აბსოლუტურად სწორი და მისაღები ჩანს. 60 (სამოცი) ძროხის ფასი კი ნამდვილად 12 (თორმეტი) თუმანი გამოდის. ამასთანავე, მეორეს მხრივ ,შარდენის ქართველი გამყოლის, სავარაუდოდ გლეხის თვითშეფასება მისი დაღუპვის შემთხვევაში (მიახლოებით 544- 588,6 გრამი ვერცხლი) აშკარად განსხვავდება ვახტანგისეულ 12 თუმნად, 120 მინალთუნად, 60 ძროხად და შესაბამისად 4092 გრამ ვერცხლად შეფასებულ გლეხის სისხლის ფასისაგან. აშკარაა, სადღაც ნაყალბევი ცნობაა გაპარული და ამ ყალბი ცნობის კვალს ისევ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში ვპოულობთ **:**

„1459 წელს შედგენილ სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნში ნათქვამია:„უკეთუ კაცი მოკლას ვინმე, მკვლელმა ხუთი ხარი მიართვას"-ო (ქრონიკები 2-275. ივ ჯავახიშვილი, ტ. 6 გვ 517 1982 წ).

უეჭველია თავდაპირველად,ვახტანგის სამართალის წიგნშიც შესაბამისად 6 (ექვსი) ძროხა იქნებოდა მოხსენებული, (რაც ღირებულებით და ზომით 5 ხარს უტოლდება) და არა 60 (სამოცი). ექვსი ძროხის ფასი 12 მინალთუნია, და არა 12 თუმანი! შესაბამისად,10ჯერ შემცირდება სისხლის საურავი ყოველი პუნქტისათვის ვახტანგის სამართალში და შემდეგ სახეს მიიღებს:

1)დიდებული თავადი=52,32 კგ (ვერცხლი)

2)შუა თავადი=26,17 კგ (ვერცხლი)

3)მესამე თავადი=13,09კგ (ვერცხლი)

4)გადიდებული აზნაური=6,54 კგ (ვერცხლი)
5)შუა აზნაური=3,27კგ (ვერცხლი)
6)ცალმოგვი აზნაური=1,64კგ (ვერცხლი)
7)მსახურის სისხლი=0,818კგ (ვერცხლი)
8)გლეხი კაცის სისხლი=0,409კგ (ვერცხლი)

რაც შეეხება მუხლს 286Г-ს, ვახტანგის სამართალში უფრო გვიანდელი ჩანართი ჩანს, ხევსურული თემის დაუწერელი კანონებიდან...და მაინც აშკარად თვალშისაცემია, რომ ვახტანგისეული უმაღლესი საურავი, 1536 მინალთუნი, 52,32კგ ვერცხლი.2,3 ჯერ აღემატება ბექა-აღბუღას სამართალით დანიშნულ მაღალ საურავს...**მაშ, საურავის რომელ დაკლებაზე საუბრობს ბატონიშვილი?**

საქმეც იმაშია, რომ ცოდნა, რომელსაც კარგად ფლობენ ბექა-აღბუღას სამართალშემოქმედნიXIII-XIV საუკუნეში, XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე, როცა ვახტანგის სამართლის ძეგლი იდებოდა, უკვე დავიწყებული ჩანს! არც ვახტანგ VI, არც მისმა კანონმდებლებმა არ იციან, წინა საუკუნეებში არსებული ქართული ფულის, თეთრის სათვალავი სისტემის შესახებ. ამას რასაკვირველია გააჩნია ობიექტური მიზეზები. სავარაუდოდ, თემურ-ლენგის დამანგრეველი ლაშქრობების ციკლის შემდეგ, საქართველოს დაქუცმაცებასთან ერთად, ქართული ფულის მოჭრის პროცესიც კნინდება, მუსულმანურ ყაიდაზე გადადის! უკანასკნელად თეთრი, როგორც გადახდის საშუალება 1440 წელს ფიქსირდება:
„უსჯულო თემურს...მცხეთა და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყოველნი საფუძვლითგან დაექცივნესო“. საქართველოს მთავრობას საგანგებო ღონისძიებისათვის მიუმართავს 15 წლი (1425-1440წ)

მთელი საქართველოს მასშტაბით საგანგებო გადასახადი, მალი შემოუღიათ, კომლზე 40 თეთრის ოდენობით. მალი სამონღოლო ხარკის სახეობა იყო, ფულადი გადასახადი...როგორც ცნობილია, მონღოლური ხარკის ფულადი კომპონენტი, დავთარში დაფიქსირებული ყოველი მამაკაციდან 60 თეთრის ოდენობის სულადობრივი ფულადი გადასახადიდან შემოსული თანხების ჯამია. ალექსანდრე მეფის 1440 წლის სიგელი იუწყება:
„ვიგულისმოდგინე ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას ჟამსა შემოსავალი ჩვენისა სახლისა არსით ღა იყო და ამად საქართველოს კუამლსა ზედან ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და ასოცდარვად ქორონიკონამდე (ე,ი 1440 წლამდე) რაოდენნი საქართველოს ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე სრულად ახლად აღვაშენენ და შევამკენ და აწ ჩვენსავე ჟამსა შიგან ამოგვიკვეთია“(ქართული სამართლის ძეგლები, 2, გვ 126, ქრონიკები 2, გვ 248).

სავარაუდოა, რომ მონღოლთა ბატონობის დასრულების შემდეგ, ხარკის ეს სახეობა, მალი, საქართველოში გაუქმებულია. მეფე ალექსანდრეს ხარკის ეს სახეობა დროებით (15 წლით) აღუდგენია, ისიც შემსუბუქებული ფორმით. 15 წლიანი წარმატებული აღმშენებლობის პერიოდს, საქართველო საკუთარი ფულად -მონეტარული სისტემის გარეშე რასაკვირველია თავს ვერ გაართმევდა! აუცილებელი ჩანს ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის პერიოდში ქართული ზარაფხანის არსებობა, თუმცა 250 წლის შემდგომ მეფე ალექსანდრის მონეტაზე ვერავითარ მინიშნებას ვახტანგ VI ვერ აკეთებს. ჰგავს, ალექსამდრე მეფის ეპოქაში მოჭრილი მონეტა ან გიორგაულის ანალოგებია, წონით 1,775-1,7 (გრამი), ან სპარსეთში და ოქროს ურდოში ამავე პერიოდისათვის ბრუნვაში მყოფი დირჰემი-თანგა, წონით-1,42 (გრამი). საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, ოქროს ურდოში, სპარსეთში და მის სატელიტ ქვეყნებში, თანგა-დირჰემი, წონით 1,42 გრამი-ს ბრუნვაა დაფიქსირებული. ამავე ალექსანდრე მეფის 1433 და 1442 წლის სიგელებში ნახსენები ბაჟის გადასახადი თანგაში არის შეფასებული:

„ციხე არმაზისა... და მისი ძუელითგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა საპალნესა ზედან (ისტ. საბ. 3, 15) ციხე არმაზისა.... და მისი ძუელთაგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა დიდსა საპალნესა ზედან...ესრეთ რომა ქარავანი შეღმა მივიდოდეს თუ ჩაღმა მოვიდოდეს და სითცა მოვიდოდეს ტუირთსა ზედან ორსა თანგას აიღებდით“-ო.(იქვე, 3, 24-25). 1452 წლის შეწირულობის წიგნში ნათქვამია:

„ვენახი მომყიდა, სამასი თანგა მივეც“-ო. (ისტ, საბ. 2, 10). გიორგი მეფის 1460 წლის სიგელში სწერია :„კზასზ მიხდა თანგა ხუთასი და კიდევ მოგუხდა სომი სამი“-ო. (ისტ. საბ. 3, 36). თანგა XVI საუკუნეშიც იხმარება: „**დაგუეჭრა და ავიღეთ შენგან ათასი თანგა და შენ შეგუიკუეთეთ აღაპი მისითა პანაშვიდითა“-ო (ქ’ კბი 2 , 329).** ბრეთის სახარების 1543 წლის მინაწერში წერია: **„ასისა თანგისა ცვილსა მიართმევდეს“ ო (ქ’ კბი 2, 386) (ივ. ჯავახიშვილი, ტომი 9, გვ 560. 1996წ).**

ქართული ფულის ერთეული ამავე ზომა-წონისა უნდა ყოფილიყო, მისივე მინამსგავსი და ცნობადი მუსულმანური სამყაროსათვის. ალექსანდრე დიდის მიერ დაწესებული მალის გადასახადი ასე გამოიყურება:

40X0, 59=236 გრამი ვერცხლი

სპეციალური გადასახადის აბსოლუტური სიდიდე კომლზე წლიური დეკელის ან მოზვერის საფასის ეკვივალენტია...საყურადღებოა, რომ შემდგომ საუკუნეებში მალის გადასახადი ისევ აღდგენილი ჩანს. ვახტანგ VI ზეობისას, მალი ანუ სულადობრივი ნაღდით გადასახადი 5 აბაზი და ორი შაურია:

5 აბაზი და 2 შაური=22 შაური=22X1,704=37, 49 გრამი (ვერცხლი)

ალექსანდრე მეფის ეპოქაში, თეთრის სათვალავი მნიშვნელობა შენარჩუნებული და ცნობილი ჩანს! შემდეგი სამი საუკუნე საქართველო, განსაკუთრებით ქართლი, პერმანენტული ომების ასპარეზს წარმოადგენდა! ამ საუკუნეებ-

ში ნახსენები ფულის ერთეულები, სომი, მარჩილი თუ შაური (შაჰური) ქართული ფულის ერთეულებს არ წარმოადგენს. არ არის ქართული არც შემდგომ საუკუნეებში მოჭრილი აბაზი (აბასი) და მისი თანამდევი მახმუტი და შაური. ის, რომ თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგ საქართველოში ფულის მოჭრა შეფერხდა, „სამართალი ბატონიშვილი ვახტანგისა"- თიც მტკიცდება:

„ისრეცა და ის გიორგაული თეთრი რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და პირველის ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ. ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და აიმითი იცნობთ. კიდევ ერთი რიგი სხვა თეთრიც ყოფილა, კირმანაულს ეძახდნენ.''(კარი თეთრის გარიგებისა)

რასაკვირველია, გიორგაული თეთრი ქრონოლოგიურად პირველი ქართული მონეტა ვერ იქნებოდა, მაგრამ ესოდენ განსწავლულმა მეფემ ეს უკვე აღარ იცის! ქირმანაული XIII საუკუნის მონეტაა, თუმცა მისი მინამსგავსი ვერცხლის მონეტა XIV საუკუნის დასაწყისშიც იჭრებოდა დასავლეთ საქართველოში. ბოლო გიორგაული, გიორგი ბრწყინვალის სეხნია გიორგი VIII მიერაც ჩანს მოჭრილი, XV საუკუნის დასაწყისში. ვახტანგ მეფე მის წონაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც აშკარად ამტკიცებს იმ პერიოდისათვის ქართული თეთრის რიცხვითი მნიშვნელობის დაკარგვა-დავიწყებას! ვახტანგის სიტყვები, რომ გიორგაული თურმე „საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა" ამტკიცებს, რომ ბექა-აღბუღას სამართალში მითითებულ საურავებში ერთ თეთრს აღიქვამს როგორც ერთ ცალ მონეტას, ერთ გიორგაულს!

ბექა-აღბუღას მიერ დაკისრებულ საურავებს ის ასე კითხულობს:

1)დიდებულის სისხლი=40000თეთრი=40000X1,775=71,00კგ (ვერცხლი)

2)აზნაური დიდი=20000თეთრი=20000X1,775=35,5 კგ (ვერცხლი)

3)აზნაური=12000თეთრი=12000X1,775=21,3კგ (ვერცხლი)

4)ქოთლოსანი=12000 თეთრი=12000X1,775=21,3 კგ (ვერცხლი)

5)მსახური პატრონის განდიდებული=12000თეთრი=21,3 კგ (ვერცხლი)

6)კარვოსანი=6000 თეთრი=6000X1,775=10,65 კგ (ვერცხლი)

7)ქოთლოსანის შვილი უვარგისი=1000 თეთრი=1000X1,775=1,775 კგ(ვერცხლი)

8)მსახური=1000 თეთრი=1000X1,775=1, 775 კგ (ვერცხლი)

9)გლეხი კაცი სახელიანი=1000 თეთრი=1000X1,775=1,775კგ (ვერცხლი)

10)გლეხი კაცი,უბრალო=400თეთრი=400X1,1775=0,710 კგ (ვერცხლი)

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ასეთი წაკითხვის შემდეგ, რასაკვირველია ვახტანგ მეფე თვლის, რომ მან საურავები შეამცირა!...1673 წელს განახლებული სამთავნელის გარიგების წიგნის ძველ, 1459 წელს შედგენილი საბუთების გარდმოწერილ ნაწილში, როდესაც გადასახადი ფულად არის აღნიშნული, ყოველთვის დრამა იხსენება (იხ ქრონიკები 2. ს. ჯანაშიას გადმონაწერი. ივ ჯა-

ვახიშვილი, იქვე). ივ. ჯავახიშვილის აზრით,სამთავნელის სარგოში იგი ტრადიციით არის შემორჩენილი, ჩვენი აზრით კ ი ამ პერიოდიდან ქართული თეთრის სათვალავი სისტემა საბოლოოდ მივიწყებულია.

ის რომ ვახტანგ VI დროს უკვე დაკარგულია ცოდნა ქართული თეთრის რაობის შესახებ, შემდეგი ფაქტიდანაც კარგად ჩანს: „ხელმწიფის კარის გარიგებისა“ და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების უძველეს ხელნაწერში, რომელიც ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა, ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. კიდეზე XVII საუკუნის მინაწერის სახით შენახული, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების იმ მუხლის გასწვრივ, სადაც აღნიშნულია, რომ ჰეროვანის მკვლელობისათვის უნდა „ორასი დრაჰკანი დაეურვოს, ათას ორასი თეთრი“, ასეთი განმარტებაა: „თეთრი რა არის ანუ დრაჰკანი“-ს სხვა უფრო მქრქალი მელნითა და ხელით ნაწერი ამგვარი ცნობა მოსდევს: „ერთი დრაჰკანი: ფლური ერთი: თეთრად ორ მარჩილ ნახევარი და ერთი თეთრი ხუთიანი არის“ (სამართალი მეფის გიორგისა, მუხლი 11-13). ერთი დრაჰკანი აქ ერთმნიშვნელოვნად განხილულია როგორც ოქროს მონეტა, თანაც წონით არანაკლები 3,4 გრამისა, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე ის შეიძლება მხოლოდ ვერცხლსა იყოს, როგორც ზემოთ დავამტკიცეთ. ბედის ირონია ის არის, რომ ზემოთ ხსენებული ერთი თეთრი ხუთიანი სწორედ ის დრაჰკანია, რომელიც სამართლის 11-13 მუხლში არის მოხსენებული)

...და რა ფულადი ერთეულით ხელმძღვანელობს შარდენის გამყოლი, საკუთარი სიცოცხლის თვითშეფასებისას? რასაკვირველია, თეთრის პირვანდელი მნიშვნელობა მისთვისაც უცნობია! მის მიერ მოთხოვნილი 20 ეკიუ, 400 ცალი ვერცხლის იმ მონეტის ეკვივალენტი ჩანს, რომელიც იმ ეპოქის საქართველოში დომინანტ მონეტას წარმოადგენდა. ამასთანავე, არ ჩანს გამოყენებული ახალი, აბაზზე დაფუძნებული ფულადი ერთეულიც! ჩვენ არ ვიცით, რომელ ეკიუზე შეთანხმდნენ შარდენი და გამყოლი, რომაულზე თუ ფრანგულზე, თუმცა გამყოლი უთუოდ კომპენსაციის (ვერცხლის) აბსოლუტურ წონაზე და სინჯზე იქნებოდა ორიენტირებული.

20 ფრანგული ეკიუ=20X27,19=543,8 გრამი (ვერცხლი)

სავარაუდოა, გამყოლი თხოულობს 400 ერთეულ შაჰ აბაზის რეფორმამდელ მონეტას, რომელიც ვახტანგ VI სიტყვებისა არ იყოს „ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა“, იმ ეპოქის საქართველოში:

543,8 გრამი (ვერცხლი):400=1, 36 გრამი (ვერცხლ

ფულის მიახლოებული ერთეული, 1,42 გრამი (ვერცხლი) აბუსაიდის ორდანგიანი ვერცხლის სპარსული დირჰემია, რომელსაც ჩრდილოეთის ურდოშიც აქვს შესაბამისი წონის ანალოგი , თანგად სახელდებული და რომელთა

ბრუნვა საქართველოში უცილობელი ჩანს XVII საუკუნის დამდეგსაც, თუმცა შესაძლებელია უკვე სახელშეცვლილი მონეტის სახელით.

ივ ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ სრული თეთრის გარდა ნახევარი თეთრიც არსებობდა, არ არის სწორი. ერთი თეთრის, წონით (0,57-0,59) გრამი-ს შემდეგ, სპილენძის მონეტა უნდა იდგეს შემდეგი კანონზომიერებით: 128 ცალი ერთი ლიბრიდან (327, 45) გრამი

327,45/128=2,56 გრამი (სპილენძი)

სავარაუდოდ, რომაულ-ბიზანტიურ (ანტიკურ) მონეტარულ სისტემაზე დაყრდნობით:

0, 57-0,6 გრამი (ვერცხლი)=6 ცალი 2,56 გრამი (სპილენძი)

6 ცალი 2,56 გრამი სპილენძი=12 ცალი 1,28 გრამიანი (სპილენძი)

.

მონღოლური ხარკი საქართველოში

როგორც ცნობილია, 1242 წელს მეფე რუსუდანმა დაზავება სთხოვა მონღოლებს. მოლაპარაკება ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც მონღოლთა ადგილობრივ მთავარსარდალთან, ასევე ბათო ყაენთან ვოლგაზე. მეფე რუსუდანმა ვოლგისპირეთში არსენ ჭყონდიდელი- მწიგნობართუხუცესი გაგზავნა. **(საისტორიო მოამბე,1925 წელი, გვ.131-132).** ზავის პირობებით, ლიხთამერ საქართველოში, როგორც ომით დაპყრობილ ქვეყანაში, ქართველ ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლი მოხელეები და სარდლები (ნოინები) ჯარითურთ. ლიხთიმერეთი ამ მხრივ თავისუფალი იქნებოდა. საქართველომ იკისრა ხარკი, ყოველწლიური 50000 (ორმოცდაათი ათასი) პერპერის გადახდა, აგრეთვე მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. ფიზიკურად რა სიდიდეა 50000 პერპერა?

50000X 4,55=227500გრამი ოქრო)=227,5 კგ. მაღალი სინჯის ოქრო.

თუ გავითვალისწინებთ ოქროს და ვერცხლის თანაფარდობას ევროპას (ბიზანტია) და საქართველოში 1:12

227,5 X 12=2730 კგ მაღალი სინჯის ვერცხლი.

1251წელს, ჟამთააღმწერელის ცნობით, ბათო ყაენის ინიციატივით მოეწყო მონღოლთა მიერ დაპყრობილი ვრცელ ტერიტორიებზე მოსახლეობის აღწერა. ამ საქმის განხორციელება მიენდო ვინმე არღუნს. არღუნმა საქართველოს, ადრიბეჯანის (თანამედროვე აზერბეიჯანის) და ერანის აღწერა ხოჯა ნეჯმედინს მიანდო. აღწერის პროცესი 1254 წლისთვის დასრულდა:

„ხოლო ვითარ მოიწია საქართველოსა, დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა დავითისანი და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყვთამდე, ყა-

ნით -ვენახამდე , წალკოტით - ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა სრულის მიწის მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოხდა სამეფოსა-გან დავითისა ცხრა დუმენი მხედარი. და განაწესეს ძღვენი სოფლისაგან ათასისა მხედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრის მთავარსა-ცხოვარი ერთი და დრაჰკანი ორი, და მიზდი ცხენისა, თეთრი სამი, დღისა ერთისა. (ჟამთააღმწერელი, გვ 224. ტ2 2012წ).

ორი ცხვარი და სამი დრაჰკანი სოფლის ყოველწლიური ძღვენი ჩანს მონღოლი სარდლებისადმი, მიზდი ცხენისა МЗДА -ქრთამი ცხენის დაღლისათვის, (ხელის მოოქროვება დრაჰკანით) რომელიც მონღოლ სარდალს „დაეღალა“ ქართველების სამსახურში... როგორც ზემოთ ვნახეთ რაშიდ-ად-დინთან, საკომლო გადასახადი 1/10 მარცვლეულისა მიდის მონღოლური ხარკის დასაფარავად. რაც შეეხება სულადობრივ გადასახადებს, ჩვეულებრივ ის ფულადი სახით აიღება. თითოეულ სულს, რომელიც დავთარში იყო შეტანილი (15-60) წ - 60 თეთრს ახდევინებდნენ (მალაქიას ცნობით),ანუ 7 (შვიდ) დინარს ჯუვეინის სიტყვებით. (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ 55 ტ 3. 1982წ). მალაქია ბერი- იგივე გრიგოლ აკნერცია, სომეხი ისტორიკოსი(1220-1275) წ . ავტორი „მოისართა ტომის ისტორისა“ ჯუვეინი-სპარსი ისტორიკოსი (1226-1283) ავტორი „ქვეყნიერების დაპყრობის ისტორიისა“... ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობაა! ორივე ერთი და იმავე ეპოქის ისტორიკოსია. ქვეყნიერების დაპყრობის ისტორია ავტორმა დაასრულა უკვე 1261 წელს, ხოლო მოისართა ტომის ისტორია 1274 წელს. ეს ორი პარალელური ცნობა ერთობ მნიშვნელოვანია ქართული თეთრის ჩვენეული ვერსიის დასამტკიცებლად! ცხადია, -7-დინარი და -60-თეთრი ადეკვატური ფულადი სიდიდეებია!

7 დინარი=4,26X7=29,82 გრამი (ვერცხლი)

60 თეთრი=10 დრაჰკანს=12 დრამს

60 თეთრი=3,41X10=34,1 გრამი(ვერცხლი)

60 თეთრი=2,84X12=34,08 გრამი (ვერცხლი)

1 თეთრი= 7 დინარი:60 თეთრზე=29,82:60=0,497 გრამი (ვერცხლი)

მაგრამ ქართული თეთრი ასეთი განზომილების (წონისა) არ ყოფილა!

სავარაუდოდ, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ,ერთი დინარი ქართველი საგადასახადო მოხელეების და არისტოკრატიის გასამრჯელო უნდა იყოს :

8 დინარი=8X4,26=34,08 გრამი (ვერცხლი)=12 დრამს= 10 დრაჰკანს!...

ერთი ქართული დრაჰკანი=34, 08:10=3, 41 გრამი

რადგანაც გიორგი ბრწყინვალის სამართალში მოხსენებული დრაჰკანი (ვერცხლისა) სრულ უნისონში მოდის გრიგოლ აკნერცის და ჯუვეინის ცნობებთან, ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გიორგი ბრწყინვალის

ფულად რეფორმამდე:

1 ქართული დრაჰკანი= 3,41 გრამი(ვერცხლი)=6 თეთრს

1 სომხური დრამი= 2,84 გრამი (ვერცხლი)=5 თეთრს

1 თეთრი= 3,41:6=0.57 გრამი (ვერცხლი)

1 თეთრი=8დინარი:60 თეთრზე=34,08:60=0,57 გრამი(ვერცხლი)

რეფორმის შემდეგ:

1 ქართული დრაჰკანი=3,55 გრამი (ვერცხლი)=6 თეთრს

1 გიორგაული თეთრი=1,775 გრამი (ვერცხლი)=3 თეთრს

1 თეთრი=3,55:6=0,59 გრამი (ვერცხლი)

1295 წელს, გამეფდა ახალგაზრდა ყაზან ყაანი, რომელმაც მუსულმანობა მიიღო. დაწესდა ჯიზიის გადასახადი არამუსლიმანებისათვის. ჯიზიის გადასახადი, რომელმაც ქართველი და სომეხი ფეოდალების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, იმავე წელს გაუქმდა. „ორიგინალურად“ გადაჭრა ეს პრობლემა ყაზანის მომდევნო, ოლჯაითუ ყაენმა (1304-1317წ). ჯიზიის გადასახად საყოველთაო გახდა, როგორც არამუსლიმი, ასევე მუსლიმი მოსახლეობისათვის. 1307 წელს, სომხური წყაროების ცნობით, ჯიზიის გადასახადის სიდიდე 10 დან 40 თეთრამდე მერყეობდა.

ისტორიული მასალების კრიტიკული განხილვა შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ჯიზიის აბსოლუტური რაოდენობა ქრისტიანული, თვითმმართველი სამეფოების მოქალაქეებისათვის:

„6783- (1275) დიდი თავადი წავიდა ურდოში. როცა მივიდა დიდი თავადი ურდოში და მოიტანა ხარკი თავისი მიწებიდან ნახევარი გრივნა (98 გრამი ვერცხლი) კავიდან (გუთნიდან) ხოლო კავში ითვლებოდა 2 მუშა მამაკაცი (ხარკის გადამხდელი, სრულასაკოვანი მამაკაცი)“ (В. И. Татишев; Историа РосиЙская 8 (43) Василий- II-син Ярослава რუსულად)

როგორც ზემოთ აღინიშნა, სპარსი თანამედროვე ისტორიკოსი ჯუვეინი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ 1261 წლისათვის ხარკი მთელს მონღოლურ იმპერიაში უნიფიცირებული გახდა და დავთარში დაფიქსირებული ერთი სულისათვის 7 მუსულმანური დინარის ტოლფასი გახდა!

7დინარი=7X4, 2=29, 4 გრამი (ვერცხლი)

სიდიდე აშკარად განსხვავებულია დიდთავადის მიერ ურდოში ჩატანილი ხარკის აბსოლუტურ წონით რაოდენობასთან ერთი ხარკის გადამხდელისაგან სულზე-49 გრამ ვერცხლთან. სრული დარწმუნებით შეიძლება ჩაითვალოს, რომ ურდოში ხარკის ჩატანის თარიღი აშკარად შეცდომით არის მითითებული და ის არ შეიძლება1304 წელზე ადრე მომხდარიყო!20 გრამი ვერცხლი, რომელსაც რუსი გლეხი იხდის ერთ სულზე, მხოლოდ ჯიზიის გადასახადი შეიძლება იყოს! ამასთან ტატიშევის ტექსტი, რომლის მიხედვით დიდთავადს

თავად ჩააქვს ხარკი ურდოში, აშკარად მიანიშნებს, რომ ხარკის ამკრეფი მოხელეები თავად რუსებივე არიან, რაც ქართული და რუსული სამეფოების მონღოლების იმპერიისადმი ანალოგიურ პოლიტიკურ დამოკიდებულებაში ყოფნას მიანიშნებს! ჯიზიის გადასახადი საქართველოს მოქალაქეებისათვის ასევე 20 გრამი ვერცხლის ტოლფასი ჩანს, ხოლო დავთარში დაფიქსირებული ერთი გადამხდელისათვის გადასახადის რაოდენობა:
30+20=50 გრამი (ვერცხლი)

მონღოლური ხაზინის შემოსავლები

როგორც ცნობილია, მონღოლი ჰულაგიდების ძირითადი დასაყრდენი ირანი გახდა. მომთაბარე მონღოლების ზეობამ, დიდად შეაფერხა აზიის კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული სახელმწიფოს, ირანის ეკონომიკა. XIII საუკუნის ბოლოს, ირანის პირველი ვაზირის, წარმოშობით ებრაელი რაშიდ-ად-დინის სიტყვებით, დამუშავებული მიწების რაოდენობა 10%- მდე დაეცა. ირანის შემოსავალმა 100 (ასი) მილიონი ვერცხლის დინარიდან 17 (ჩვიდმეტ) მილიონამდე დაეცა. ყაზან ყაენის გამეფებისთანავე, რაშიდ- ად- დინის გეგმით და უშუალო მონაწილეობით გატარდა რიგი რეფორმები, რომელიც ფინანსების გაჯანსაღებას ისახავდა მიზნად. ქვეყნის ძირითადი მონეტები, დინარი და დირჰემი, მონღოლების მიერ რამდენჯერმე იყო ზომა-წონაში შეცვლილი. ამასთან, ცალკეული ზარაფხანების მიერ მოჭრილი მონეტები დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან წონით. ყაზან ყაენის და რაშიდ-ად-დინის რეფორმით, დირჰემის ერთიანი სტანდარტი იქნა მიღებული მთელი საყაენოსათვის:
1 დანგი=0,71 გრამი(ვერცხლი)
1დირჰემი=3 დანგს=2,13 გრამი (ვერცხლი)
საქართველოში ამ მონეტას ყაზანურ თეთრს უწოდებდნენ...მუსულმანურ სამყაროში ადრე მიღებული ფარდობა დინარსა და დირჰემს შორის:
7 დინარი=10 დირჰემს
2 დინარი =3 დირჰემს
შეიცვალა ახალი ფარდობით:
1დინარი= 6 დირჰემს=18 დანგს=18X0,71=12, 78 გრამი (ვერცხლი)

შეგვიძლია შევადაროთ, ირანის ეკონომიური მდგომარეობა მონღოლთა დაპყრობამდე, დაპყრობის შემდეგ ყაზან ყაენის რეფორმამდე, ყაზან ყაენის რეფორმის შემდეგ, ოლჯაითუ ყაენის ზეობისას.(7) ისტორიაში გავრცელებული მოსაზრება, რომ ოლჯაითუ ყაენის არაეფექტური მმართველობის დროს რაღაც მანქანებით შემოსავალი ხაზინაში მაინც გაიზარდა, სინამდვილეს არ შეესაბამე-

ბა. ჯიზიის გადასახადის შემოღებაც ხაზინის შევსებას ემსახურება, თუმცა ეკონომიკის ვარდნა მაინც ვერ იქნა აცილებული. ყაზან ყაენის რეფორმიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც კარგად ჩანს მონღოლ (და ალბათ არა მარტო მონღოლ) საგადასახადო მოხელეთა თავაშვებულობა. გავეცნოთ ერთ მონღოლურ დოკუმენტს, რომელიც აბუსაიდ ყაენის „იერლიყი“-ს სახელითაა ცნობილი, ამოკვეთილია ქ. ანისის მანუჩეს მეჩეთის გარეთა კედლის ქვაზე, სპარსულ ენაზეა შესრულებული XIV საუკუნის ათიან წლებში.:

„აბუ საიდ ბაჰადურხან იერლიყი. ამჟამად დედამიწის პირის ფადიშაჰ მსოფლიოს სულტანისა, ქვეყნის და სარწმუნოების ამაღლებულის ტახტ- საჯდომისაგან, როდესაც მსოფლიოს მცხოვრებნი აღმოსავლეთითგან დასავლეთამდის მისი მოწყალების და სამართლიანობის ჩრდილის ქვეშ იმყოფებიან, მისი განკარგულება და ბრძანება ასეთია, რომ რაკი ქვეყნი ს ზედაპირი მის ბრძანებასა და დივანის განკარგულება მისი კალმის წვერზეა დამოკიდებული, მისი დაკლება ან გადამეტება ვერავინ გაბედოს და ტამღისა დასამართლიანი ბაჟის გარდა, სხვა აღარაფერი არ გამოართვან და არავინ ყალანის, ნემარისა თარხის და სხვა რამის მომიზეზებით არა სთხოვონ, როგორც წინათ ქალაქს ანისში და საქართველოს სხვა ვილაიეთებში ყალანს, ნემარსა და უკანონო გამოსაღებელს და ტარხს ძალით ჰკრებდნენ და ავიწროებდნენ. გაოხრდა, მდაბიო ხალხი დაიფანტა, ამ ქვეყნის მამასახლისებმა ყალანისა და დერნაგირის (საქალაქო კარის ბაჟი) გამო თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება და სახლ - კარი მიატოვეს და გაიქცნე” (Е. Бартолд. Персидские надписи на стене Аниское мечети Мануче 5-7)

წარწერა ადასტურებს გადასახადის ამკრებთა ძველებურ ძალმომრეობას, თუმცა ვერც ქვეყნების უზომო ძარცვამ ვერ შეძლო მონღოლური შემოსავლების არამცთუ ზრდა, არამედ ყაზან ყაენის დროს მიღწეული შემოსავლების დონის შენარჩუნებაც.

„რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს, სპარსი ისტორიკოსის და გეოგრაფის, ჰამადალაჰ ყაზვინის ცნობიდან ვიცით, რომ 1336 წელს აკრეფილი ხარკის რაოდენობა 120,2 (ას ოცი მთელი, ორი მეათედი) თუმანი ოლჯაითუ -აბუსაიდური დინარი, წონით 8,52 გრამი იყო.(ვ.გაბაშვილი. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხებისათვის. აღმოსავლური კრებული 1. 1960 წ)

თუმანი-დუმენი=10000 (ათი ათასი)

120,2X10000X8,52=10,241 ტონა (ვერცხლი)

თუ გავიხსენებთ, რომ აღწერამდე ქართველები იხდიდნენ ხარკის სახით 50000(ორმოცდა ათი ათასი) ოქროს პერპერას , ანუ 2730 (ორი ათას შვიდას ოცდაათი) კგ ვერცხლის ეკვივალენტს, გასაგები ხდება ჟამთააღმწერელის მიერ ნათქვამი „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსი დავითისანი.“ ქართველებს გადასახადი რამდენჯერმე გადიდებიათ! 1254 წლიდან 1307

წლამდე. ჯიზიის გადასახადის შემოღებამდე, ხარკის აბსოლუტური სიდიდე 40%-ით ნაკლები იქნებოდა:
10241-ის 40%=4096 კგ (ვერცხლი)
10241-4096==6145 კგ (ვერცხლი)
2,25- გაზრდიათ ხარკის სიმძიმე ქართველებს 1254 წელს! 2730 კილოგრამიდან 6145 კგ-მდე!

ფაქტიურად, უკვე გვაქვს მონაცემები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება: 1336 წელს ქართველებმა ხარკის სახით გადაიხადეს 10241 კგ ვერცხლი. სულადობრივი ფულადი გადასახადი ჯიზიის ჩათვლით ერთ მამაკაცზე (15-60წელი) არის 50 გრამი. რაოდენობა მამაკაცებისა, რომელნიც დავთარში არიან დაფიქსირებული 1295 წელს (მომღოლთა მიერ ქართველების ბოლო აღრიცხვის თარიღი):
10241040/50=204821 (ორას ოთხ ათას რვაას ოცდა ერთი) სული

მონღოლური ხარკის გავრცელების არეალი საქართველოში

XIV საუკუნის დასაწყისიდან, სამეფო ტახტზე ახალგაზრდა და ენერგიული გიორგი V ასვლით, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა გამოსწორებას იწყებს. 1317 წელს, ახალი ყაენის, აბუსაიდის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით, გიორგი V ურდოში გამოცხადდა. აბუსაიდ ყაენის ფავორიტმა, ჩობან ნოინმა მას ქართველი ისტორიკოსის სიტყვებით:
„მოსცა ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილი ბექასი''.
ეს ნიშნავდა ყაენის კარის დასტურსა და ნებართვას, რომ გიორგი V გაეერთიანებინა მთელი იმერი და ამერი საქართველო, დაემორჩილებინა დავით (იმერეთის) მეფის შვილები და ყველა თავადი, მათ შორის სამცხის ერისთავიც. საქართველოს გაერთიანების კურსი, რომელიც აბუსაიდ ყაენმა და ჩობან ნოინმა აიღო, მოწმობდა, რომ საილხანოსაც აღარ აწყობდა დაქსაქსული საქართველო, საიდანაც ხარკის სრული რაოდენობით აკრება ალბათ ვერ ხდებოდა.
(საქართველოს ისტორიის ნარკვევები. გვ 642 ტ 3 1979წ).

გიორგი V შემდეგში ბრწყინვალედ წოდებულმა, დაელოდა რა ხელსაყრელ მომენტს, ფაქტიურად უსისხლოდ შეძლო ამ უფლების რეალიზაცია:
„ჰერ- კახთა და სომეხთა ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ (მონღოლებს) მიუდგნენ, კახეთს , ცივზედ მოიწვია და ამოსწყვიტნა“ [იქვე]

1329 წელს გარდაიცვალა მიქაელი, იმერეთის მეფე. გიორგი ბრწყინვალე ლაშქრით ჩავიდ ა ქუთაისში, მცირეწლოვანი მემკვიდრე მიქაელისა ბაგრატი, თან წამოიყვანა, მოისპო ორმეფიანობა საქართველოში.

1334 წელს, როდესაც მესხეთის მთავარი სარგის ჯაყელი გარდაიცვალა, მისი შვილი ყუარყუარე, გიორგიმ თვითონ დასვა მთავრად. სრულიად საქართველო მთლიანად აღდგენილი იყო [იქვე]

15 წელი დასჭირდა გიორგი ბრწყინვალეს, რომ მონღოლთაგან მონიჭებული უფლება უომრად და უსისხლოდ განეხორციელებინა. 1336 წელს საქართველოდან მონღოლთა ხაზინაში შესული ხარკი 120,2 თუმანი ვერცხლის დინარი სრულიად საქართველოსდან აკრეფილი ხარკია, დავთარში აღრიცხულ ერთ სულზე 8 (რვა) დინარის ოდენობით. საქართველოში ხარკის აკრეფის პროცესში მონღოლი მოხელეების, ბასკაკების მონაწილეობა მინიმუმამდე ჩანს დასული.

1266 წელს ჰულაგუ ყაენმა „ხას-ინჯუდ“ შეიწყალა სამცხის მთავარი ბექა, რომელსაც ფაქტიურად მესამედი საქართველო ემორჩილება. „ხას-ინჯუს“ მიწები ამორიცხული იყო დივნის (სახელმწიფო მიწების) ფონდიდან. ეკონომიურად ეს იმას ნიშნავდა, რომ „ინჯუ-ხასად“ შეწყალებული ფეოდალის სამფლობელოში დივნის მოხელენი, ხარკის ამკრეფნი ვერ შევიდოდნენ.

(საქართველოსისთორიის ნარკვევები, ტ-3;გვ599 ტ

1260-61 წლის დავით ულუს აჯანყებას საბაბად მონღოლთა ხარკის ამკრეფ მოხელეთა უფროსის, ხოჯა აზიზის ბოროტმოქმედება და თავგასულობა დასახელდა.

„მე აღარა მნებავს მონობა თათართა მძლავრობისათვის ხოჯა აზიზისა, რომელი დაადგინა ჩემ ზედა არღუნ, რამეთუ ვერ თავს ვიდებ ესოდენ შეურაცხებას“ (ჟმთააღმწერელი, გვ 227 ტ 2, 2012წ).

ხოჯა აზიზი, არღუნ ყაენის სიმპათიების მიუხედავად, გადასცეს დავით ულუს, რომელმაც თავი მოაკვეთინა და ძელზე ჩამოაკიდებინა თბილისში... სავარაუდოდ ამავე პერიოდიდან, ხარკის ამკრეფი მოხელეები ქართლ-კახეთსა და მთიანეთში ადგილობრივი მოხელეები ჩანან:

„ერთი წლის შემდეგ ჟამურელებს უკვე დვალნი დაესხნენ , მაგრამ იქ მყოფი ბეგარის მკრეფელნი ცხრაზმელნი-ც დაეხმარნენ ჟამურელებს, ამიტომ შეშინებული დვალნიც გაიქცნენ და ქნოღოს ციხეს შეაფარეს თავი''.(ძეგლის დადება''. თ . ჟორდანია. ივ. ჯავახიშვილი გვ 164 ტ3 1989წ).

ჟამური-ქსნის საერისთავოს ეკუთვნის, ბეგარის მკრეფელნი ცხრაზმელებიც ამავე საერისთვოს მცხოვრებნი ჩანან, ქსნის ერისთავის მიერ გაგზავნილი ბეგარის ასაკრეფად. ლოგიკურია, რომ სამონღოლო გადასახადი,ერთი და იმავე გადასახადის ამკრეფი ორგანოს მიერ იკრიფება და შემდგომ ნაწილდება დანიშნულებისამებრ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გაგებით, საგადასახადოორგანოს უმაღლესი პირი ინიშნება ცენტრალიზებული წესით მონღოლების მიერ. XIII საუკუნის ბოლოს საქართველოს საქართველოს საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი, ხაკიმი, დიდვეზირი რაშიდ-ად-დინის ერთ-ერთი შვილია, ერ-

თი იმ თოთხმეტთაგანი, რომლებიც ილჰამების ირანის სხვადასხვა პროვინციებში დიდ თანამდებობებს იკავებენ. მისი მისამართითაა გაგზავნილი რაშიდ-ად -დინის წერილი, რომელშიც თხოვს და რჩევას აძლევს შვილს, რათა საქართველოსკენ დაძრულმა მონღოლთა ჯარებმა უსაფუძვლოდ ზიანი არ მიაყენონ რაიატებს, გლეხურ მეურნეობებს თუ ოსტატ ხელოსნებს. (ყველა ნიშნებით საუბარი მიდის 1299 წლის მონღოლთა ლაშქრობაზე, მიმართული დავით VII წინააღმდეგ მთიულეთში). რაშიდ- ად-დინს, როგორც განათლებული და კულტურული ერის შვილს, გათავისებული აქვს მიწათმოქმედების და საერთოდ ბინადარი მეურნეობის უპირატესობა მომთაბარე მესაქონლეობასთან შედარებით. ადგილობრივი, მონღოლური ბინადარი ფეოდალური ფენის ჩამოყალიბებას ემსახურება რაშიდ-ად-დინის ჩაფიქრებული და ყაზან ყაენის სახელით განხორციელებული საადგილმამულო რეფორმა. მონღოლური მომთაბარე არისტოკრატიის ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანის მცდელობა იყო დუმენის უფროსებისათვის ლენის, იკტის მიცემა. ლენს ევროპული, მონტესკიესეული ფეოდის სახე აქვს, მისი გაყიდვა, გასხვისება მონღოლ მეთაურს არ შეუძლია. იტოვებს რა უზენაეს ხელისუფლებას, ის უნაწილებს იკტს თავის ათასისთავებს და იტოვებს აკრეფილი ხარკის დადგენილ წილს. ათასისთავები უნაწილებენ იკტს ასისთავებს, ასისთავები ათისთავებს, ათისთავები რიგით მეომრებს. ხელოვნურად იქმნება, ადგილობრივი, ბინადარი, მრავალსაფეხუროვანი ფეოდალური კლასი.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც ყმადნაფიც ქვეყანას, მის შიდა ფეოდალურ წყობაში მონღოლთა ჩანერგვა არ მომხდარა.რასაკვირველია, ისევე როგორც მონღოლი ფეოდალი, ქართული ფეოდალური კლასიც არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს, დავთარში შეტანილ პირს. მონღოლთათვის ფეოდალური კლასი ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, გადასახადისაგან თავისუ-ფალია, „დარხანია“. პირიქით, ფეოდალი თვითონ წარმოადგენს აკრეფილი გადასახადის ნაწილის მომხმარებელს. აღწერის დავთარში ფეოდალური ფეოდალური კლასი დაფიქსირებული არა ჩანს, რასაც თვით ჟამთააღმწერელიც აღნიშნავს:

„და ცხრასა გლეხსა სრულის მიწის მქონებელს, ერთი ლაშქარს მავალი კაცი შეაგდიან'' (ჟამთააღმწერელი, იქვე).

დავთარში არ არის შეტანილი აგრეთვე სასულიერო პირები, მიუხედავად მათი ასაკისა:

„ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიო განწესებათა არა შეაგდონ საზღავი, არცა ყალანი, აგრეთვე შეიხთა და დავრიშთა, და ყოველითა სჯულისა კაცნი, საღმრთოდ განჩენილნი, გაანთავისუფლნა''(ჟამთააღმწერელი, გვ 224 ტ2 - 2012წ]).

ქალაქის მოსახლეობის, ვაჭრების და ხელოსნების დაბეგვრის შესახებ ცნობები ჟამთააღმწერელთან არ მოიპოვება. მალის ანუ სულადობრივ გადასახადს, ვახტანგ VI ეპოქაში ქალაქის მოსახლეობა სრულიად იხდის:

„გორის გამოსაღები და რიგის დებულება ასრე არს: ლაშქრობა აძეს, როდესაც ბატონს ეჭირვების და უბრძანებს, თორემ ისრე მაგ გვარს გადგომაზე არ დაეზახების. ამათვე აძეს მალი ექვსი აბაზი: ამ ექვსის აბაზისა ხუთი ბატონისა არის, ორი შაური ამილახორის, და ორის შაურისაგან ნახევარი სალთხუცისა და მდივნებისა, და ნახევარი მამასახლისისა არის“. (დასტურლამა, გორის გამოსაღებისა და რიგის დებულებისათვის).

სავარაუდოა, რომ ვაჭრებზე და ხელოსნებზე სამხედრო ბეგარა არ ვრცელდება. აკრეფილ სამონღოლო გადასახადში, ქალაქის მოსახლეობის წილი რასაკვირველია ჩათვლილია, ტამღისა და დერნაგირის სახით. გადასახადის ეს ნორმა, ჯამურად მეტია კიდეც, ვიდრე რვა დინარი დავთარში დაფიქსირებულ ერთ სულზე. ასე მაგალითად, სპარსი ისტორიკოსის და ფინანსისტის, ჰამადდალაჰ ყაზვინის მიხედვით, აზერბეიჯანის მიერ ირანის სახელმწიფო ხაზინაში შეტანილი ხარკი 2561700 (ორი მილიონ ხუთას სამოცდა ერთი ათას შვიდასი) ვერცხლის დინარია. აქედან სამი დიდი ქალაქის, თავრიზის (ირანის მაშინდელი დედაქალაქი) ხამხისა და მარაღის წილი ხარკში შესაბამისად 870500 (რვას სამოცდა ათი ათას ხუთასი), 39000 (ოცდა ცხრამეტი ათასი) და 70000 (სამოცდა ათი ათასი) დინარია, მთელი ხარკის 38%-ზე მეტია. შეგვიძლია თამამად ვთქვათ , რომ ხარკის ფულად ნაწილში ქალაქის მოსახლეობის წილი სრულიად არის დაფიქსირებული. იხდიან თუ არა გადასახადებს არასრულ მიწაზე მჯდომი კომლის სრულასაკოვანი მამაკაცები?

ის, რომ სრულ ფუძეზე ჯდომა ჟამთააღმწერელს პირდაპირ მიბმული აქვს სამხედრო ვალდებულებაზე, გვაფიქრებინებს, რომ არასრულ ფუძეზე მოსახლე ამ ვალდებულებისაგან თავისუფალნი არიან . სავარაუდოა, რომ ისინი თავისუფალნი არიან აგრეთვე კომლობრივი, მარცვლეულის გადასახადისაგან, რომელიც მოსავლის 1/10 ნაწილს შეადგენს. ვინაიდან ეს ხალხი ქვეყნის მოქალაქენი და შესაბამისად მონღოლთა ქვეშევრდომები არიან, მონღოლმა რაღაც სახით სარგებელი უნდა მიიღოს! წინააღნდეგ შემთხვევაში ყველა შეეცდება კომლის გაყოფის გზით დაჯდეს არასრულ ფუძეზე და მიაღწიოს გადასახადებისაგან განთავისუფლებას. ლოგიკურია, რომ ისინი რაღაც სახით დაბეგრილნი იყვნენ და ეს მხოლოდ ფულადი გადასახადი უნდა იყოს! დასტურლამას მონაცემებით, არათუ არასრულ ფუძეზე მჯდომნი, თვით ბოგანოებიც მალის გადასახადით ნაწილობრივ დატვირთული ჩანან. ამ მოსაზრებების საფუძველზე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამონღოლო გადასახადის გადახდაში არ

მონაწილეობს მ ხოლოდ სამღვდელოება და თავად-აზნაურთა კლასი, რომელ-იც პირობითად მთელი მოსახლეობის 17 % შეადგენს.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის არითმეტიკული განსაზღვრა 1336 წლისათვის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დავთარში აღრიცხული სრულწლოვანი (15-60 წელი), მამაკაცების რაოდენობა204821 (ორას ოთხი ათას რვაას ოცდა ერთი) სული იყო. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მოსახლეობა ასე გადანაწილდება: (0-15); (15-30); (30-45); (45-60). შუა საუკუნეებში მამაკაცის ასაკი 60 წელი, ცხოვრების ხანგრძლივონის თითქმის მაქსიმუმია. ჩვთვალოთ, რომ დავთარში დაუფიქსი-რებელ მამრობითი სქესის მოსახლეობის (0-15) და (60 წელს ზევით) -30%-ია :
204821-ის 30%=61448 სული
სულ მამრობითი სქესის მოსახლეობა:
204821+61448=266269 სული
ხშირი ომების გამო, მდედრობითი სქესის მოსახლობის წილი რამდენადმე მე-ტი იქნება მამრობითი სქესის მოსახლეობაზე. დასაშვები ჩანს პროპორცია 45:55
მდედრობითი სქესის მოსახლეობის რაოდენობა: 325440 სული

საქართველოს სრული მოსახლეობა 1336 წლისათვის:
266269+325440=591171 სული
აღურიცხავი მოსახლეობა: სამღვდელოება 2%, თვადაზნაურობა 15%
591171 -ის 17%=100499 სული
სულ მოსახლეობა:
591171+100499=691670 სული

ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ტერიტორიულად და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით , მოსახლეობის 1/4, ანუ 25% , ორი დუმენი რვიდან, ჩრდილოეთ სომხეთის მიწები იყო, ამ მიწაზევე მცხოვ-რები სომეხი მოსახლეობით:
691670-ის25%=172918 სული (სომეხი)
თემურ ლენგის დამანგრეველი ლაშქრობების შემდგომ, სომეხი მოსახლეობა და ჩრდილოეთ სომხეთის მიწები, ჩამოშორდა საქართველოს.
691670-172918=518752 სული (ქართველი)

საკუთრივ საქართველოს მოსახლეობა,1336 წლის აღრიცხვით ფიქსირდება 518752 სული. ათჯერ ნაკლები, ვიდრე აქამდე ითვლებიდა!

...და ყივჩაყები....

ახლა, როდესაც მათემატიკური მეთოდებით განვსაზღვრეთ საქართველოს მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობა XIII- XIV საუკუნეებში, რომელიც 10-ჯერ ნაკლებია, ვიდრე არსებული ისტორიული ვერსია, დგება ერთობ საჩოთირო საკითხი, რომელიც შეეხება ყივჩაღთა მიგრაციას საქართველოში:

„ხოლო ყივჩაყნი დააყენა ადგილსა მათსა მარჯვესა, დედა წულითა მათითა, რომელ თანა იყოს წყობად განმავალი რჩეული ორმეოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურვლითა; და კუალად მონანი, რომელ ყვეს რჩეული და განსწავლული ღუაწლისა, ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილი სიმხნითა''. (ქართლის ცხოვრება, გვ 271; ტ-1; 2012 წ)

მემატიანეს მიერ მოწოდებული ინორმაცია, ქართველ ისტორიკოსთა მიერ არასწორად იქნა ინტერპრეტირებული. ივ. ჯავახიშვილის ვერსიით, ერთ ყივჩაყ მეომარზე ნაანგარიშევია ოჯახის კიდევ ოთხი წევრი. სრულიად სამართლიანად მონასპაც ყივჩაყთა რიგებში აქვს მოქცეული და საერთო ჯამში:

40000+5000=45000 (ორმოც და ხუთი ათასი) კომლი ყივჩაყი.

45000X5=225000 (ორას ორმოცდა ხუთი ათასი სული) ყივჩაყი.

ყივჩაყთა გადმოსახლებისას, მათი აღრიცხვა რასაკვირველია მოხდა ქართული წესით (რასაც ქვემოთ დავინახავთ). აღრიცხვის ამ სისტემით, ომში ვარგისად ითვლება მამაკაცი ასაკით (15-60) წელი. (სიტყვა მამაციც მამაკაციდან მოდის ალბათ, ფუძეში მარცვლის კვეცით) რასაკვირველია, აქ 40000 (ორმოცი ათასი) კომლი კი არ არი სავარაუდო, არამედ 40000 სამხედრო ვალდებული, პოტენციური მეომარი, მამაკაცები ასაკით (15-60) წელი. მოსახლეობის ასაკობრივი დიფერენციაციის (1-15); (15-30); (30-45); (45-60), ადვილი გამოსათვლელია, რომ მამრობითი ასაკის მოსახლეობის რიცხვი არ აღემატება 55000 (ორმოცდა ხუთმეტი ათასი),ხოლო მთელი მოსახლეობა 115000 (ას ხუთმეტი ათასი სული)

ქართლის ცხოვრების ამავე აბზაცში ნახსენებია 5000 (ხუთი ათასი) მონასპა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ერთმნიშვნელოვნად ყივჩაყებად თვლის. მემატიანეს ისინი ახალ შემოსულ ყივჩაყებთან კონტექსტში აქვს მოსენებული და მითითებული აქვს, რომ ისინი უკვე ქრისტიანექმნილი არიან:

„უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავის სიმრავლე და სიმხნე წყობათა შინა, სიმსუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭვირვებლობა

და ყოვლითურთ მიმზავებლობა ნებისა თვისისა; და ამათა თანა უადვილეს იყვნეს მოსვლად მახლობლობითაცა და უპოვრობითა; და რამეთუ პირველ მრავლითა წელისასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა,ათრახა შარაღანის ძისა“ (ქართლის ცხოვრება გვ270, ტომი-1, 2012 წ).

საყურადღებოა, რომ დიდგორის ომში დავითის მონასპა ჯარის ჩამონათვალში არსადა ჩანს, თუმცა მონასპის მონაწილეობა უცილობელია. ჩანს, მემატიანე მათ ა თავსებს 15000 (ხუთმეტათასი) ყივჩაყის რიგებში. 1223 წელს, შირვანზე ლაშქრობის წინ, ჩატარდა ყივჩაყთა სრული აღრიცხვა:

„და წარემართა სულტანსა ზედა; ყივჩაყნი ოდენ აღთვალულ იყვნეს ყოველი მაშინ და იპოვა შემბმელი კაცი ორმეოცი და ათი ათასი“(ქართლის ცხოვრება გვ 276,ტომი-1, 2012წ)

აღთვალულ ყივჩაყთა რიცხვში, უცილობლად მოიაზრება დავითის მონასპაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია ყივჩაყი მეომრების 10000 (ათი ათასი)-თ ზრდა 1118 წლიდან 1123 წლამდე პერიოდში. ყივჩაყთა პირველი ტალღა სავარაუდოდ გურანდუხტ დედოფალს შემოყვა, გაქრისტიანდა და დავით აღმაშენებელის ერთგული დასაყრდენი ძალა გახდა მონასპის სახით. პირველი ტალღა არანაკლებ 2500 (ორი ათას ხუთასი) კომლს მოითვლის, 5000 (ხუთი ათასი) ბრძოლისუნარიანი წევრით, და 20000 (ოცდა ხუთი ათასი) სულით. ყივჩაყთა სრული რაოდენობა საქართველოში არ აღემატება:

115000+25000=140000 (ას ორმოცი ათასი) არა 225000 (ორას ოცდა ხუთი ათასი),

როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული.დიდგორის ომში ყივჩაყთა მეორე ტალღა, ჩვეულებრივი ქართული გაწვევით, კომლზე კაცი გამოდის, მონასპა კი სრული შემადგენლობით იბრძვის:

10000+5000=15000 (ხუთმეტი ათასი) ყივჩაყი მეომარი.

... და მაინც სარისკო მოქმედებაა დავით აღმაშენებლის მხრივ, 12500 (თორმეტი ათას ხუთასი) კომლი უცხოტომელის შემოყვანა, როდესაც საკუთრივ ქართული მოსახლეობა 40000-45000 (ორმოცი-ორმოცდახუთი ათასი) კომლს არ აღემატება! ყივჩაყთა შემოყვანა დემოგრაფიული სურათის მკვეთრ ცვლილებას გამოიწვევდა, თუ... თუ ისინი საქართველოში დარჩებოდნენ!

„იყო თავისი წინაპრის, მონომახის ღირსეული მემკვიდრე, რომელმაც (მონომახმა) დაასამარა თათარ-ყივჩაყები, გარეკა ხანი მათი ხანი ოტროკი (ათრახა შარაღანის ძე) აფხაზეთში (საქართველოში), რკინის კარებს მიღმა. ხოლო ხანი სირჩანი დარჩა დონზე, თევზჭერით ირჩენდა თავს. (ვლადიმირ) მონომახის სიკვდილის შემდეგ სირჩანმა, რომელსაც მხოლდ ერთი კაციღა შემორჩა, სახელად ორ, გაგზავნა იგი აფხაზეთში (საქართველოში), რომ ეთქვა: ვლადიმირი მოკვდა, დაბრუნდით ძმებო, მოდით თქვენს მიწაზე, უთხარი ჩემი სიტყვები (ოტრ-

ოკს, ათრახა შარაღანის ძეს), თან უმღერე ყივჩაყური სიმღერები, და თუ მაინც არ ინება წამოსვლა, აყნოსვინე მას სტეპის მწვანე ბალახი, რომელსაც ავშანი ჰქვია. მან (ოტროკმა) არ მოისურვა დაბრუნება , არც სიმღერებს მოუსმინა, მაშინ მისცა ორ მას მწვანე ბალახი, ავშანი. მან (ოტროკმა) უყნოსა რა ბალახს, ატირდა და თქვა: სჯობს მოკვდე და შენს მიწაში ჩაყარო ძვლები, ვიდრე უცხოეთში მორჭმულად იცხოვრო. წამოვიდა თავის მიწაზე''. . (Галицко-Волынсие летопись. Игнатыевский список;13 век. პირველი აბზაცი).

დავით აღმაშენებელის და ვლადიმირ მონომახის გარდაცვალებამ ერთსა და იმავე 1125 წელს, ხელსაყრელი პირობები შექმნა ყივჩაყთა რეპატრიაციისათვის საკუთარ სამშობლოში,სამხრეთ რუსეთის სტეპებში, დონის შესართავთან და ყირიმში. ისტორიკოს ჯ. სტეფნაძისმოსაზრებით, ყივჩაყები საქართველოში აღარ ჩანან1126 წლიდან, რაშიც სრულიად ვეთანხმებით.

ათრახა შარაღანის ძესთან ერთად სტეპებში წასული ჩანს ყივჩაყთა მეორე, მრავალრიცხოვანი ტალღა. პირველი ტალღა, დავითის მონასპა, დარჩენილი ჩანს საქართველოში ოჯახითურთ. ისინი არც შარაღანის ძეს ჩამოჰყოლია, ათეული წელია ცხოვრობენ საქართველოში, უკვე ადაპტირებულნი არიან ქართულ სივრცეში, ქრისტიანე ქმნილნი არიან, შეგუებული არიან ბინადარ ცხოვრებას, ემორჩილებიან მხოლოდ მეფეს, წარმოადგენენ პრივილიგირებულ სამხედრო ნაწილს (გვარდიას).

1130 წელს, დავით აღმაშენებელის უმცროსმა ვაჟმა ვახტანგმა, რომელიც დავითს ეყოლა წარმოშობით ყივჩაყი გურანდუხტ დედოფლისაგან, შეთქმულება მოაწყო უფროსი ძმის, კანონიერი მეფის, დემეტრე პირველის წინააღმდეგ. ვახტანგის გვერდით დგას დიდთავადი ივანე აბულეთის ძე, ორბელთა დინასტიიდან. როგორც სამეფო კარის ყველა გადატრიალებას, ამ შეთქმულებაშიც აუცილებლად მოიაზრება სამხედრო კომპონენტი. შეთქმულთა მხარდამჭერი ვერ იქნებოდა ორბელთა სათავადოს ფეოდალური ლაშქარი, ვინაიდან ამ შეთქმულებას ეწინააღმდეგებოდა ივანეს მამა, აბულეთი. ვახტანგის და ივანეს სამხედრო დასაყრდენად საქართველოში დარჩენილი ყივჩაყური მონასპა მოიაზრება, რომელიც სავარაუდოდ მხარს ეთნიკურად ნახევრად ყივჩაყ ვ ახტანგს დაუჭერდა.

დემეტრემ სასტიკად დასაჯა თავისი ნახევარძმა: თვალები დაათხრევინა (შეიძლება დაასაჭურისებინა კიდეც). ამის შემდეგ არც ვახტანგი და არც მისი შთამომავალი ისტორიაში აღარ იხსენება. ივანე აბულეთის ძე დილეგში გამოამწყვდიეს. სავარაუდოდ, არც ყივჩაყთა ეჭვმიტანილი ნაწილი დარჩებოდა დაუსჯელი, ბევრიც რეპრესიებს სტეპებში (შირვანში) გაქცევით აარიდებდა თავს. ყივჩაყთა ისტორია საქართველოში ამით არ მთავრდება. 1177 წელს, დემნა უფლისწულისა და იმავე ივანე ორბელის მიერ მოწყობილი აჯანყებისას, გაჭირვ-

ებაში ჩავარდნილ გიორგი მესამეს, პირველი დასახმარებლად მონასპის უფროსი, უკვე ნაყივჩაყარი ყუბასარი მიუვიდა 500 (ხუთასი), ასევე ნაყივჩაყარი მეომრით. საყურადღებოა, რომ მონასპის რიცხვი 5000-დან 500-მდე ჩანს შემცირებული. მონასპა პრივილიგირებული, ხელფასიანი მეომარია და დაქირავებულისგან განსხვავებით, ადგილზე დამაგრებულია ალოდით (სამკვიდრო მამულით, ფუძით). ასეთი კომლის ინტერესში შედის მონასპის ხელფასიან რიგებში ოჯახის ბრძოლისუნარიანი წევრის მაქსიმალური ჩართვა. შესაბამისად, საქართველოში დარჩენილი სულ 250 კომლი ყივჩაყი თუ მოიაზრება, არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) სული.

ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები შიდა ქართლში დაასახლა.ისტორიკოსები ქ. ჩხატარაშვილი და შ. მესხია, ს. ერემიანი თვლიან, რომ მათი დასახლება მოხდა ჩრდილოეთ სომხეთში და ჰერეთში. ვინაიდან მათი წასვლა, ფაქტიურად სრული შემადგენლობით სამხრეთ რუსეთის სტეპებში ეჭვს აღარ იწვევს, მათი განსახლების კვლევა კარგავს აქტუალურობას. რაც შეეხება მცირერიცხოვან მონასპას, რომლის რიგები მინიმუმ 10-ჯერ შემცირებული ჩანს დავით აღმაშენებელის შემდეგ, რასაკვირველია მეფესთან, მის სატახტო ქალაქთან მაქსიმალურად მიახლოებულ ტერიტორიაზე ჩანს განსახლებული„ადგილსა მათსა მარჯვესა“. ცნობილია, რომ ერის მეხსიერება ინახავს ისტორიულ ფაქტებს და ამა თუ იმ სახით და გადასცემს მას შთამომავლობას. ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა ლექსი:

შემომეყარა ყივჩაყი, მინდორსა მუხრანისასა!

კიდევ ერთხელ ჩნდებიან ყივჩაყები საქართველოს თვალსაწიერზე. მონღოლების მიერ შევიწროებულებმა, მათ დასასახლებელი მიწები სთხოვეს მეფე რუსუდანს. ქართველებმა, რომელთაც სავარაუდოდ ახსოვდათ ყივჩაყების მიერ გადატრიალების მოწყობის მცდელობა დემეტრე პირველის დროს, უარი უთხრეს ყივჩაყებს დასახლებაზე. ყივჩაყებს სხვაგან მოუხდათ საბინადრო ადგილების ძებნა. (ეგვიპტე, სომხეთი) იმ დროს, როდესაც როდესაც აზიის უდიდესი დამპყრობელი, მონღოლები საქართველოს კარზე იყვნენ მომდგარი, ყივჩაყებისათვის უარის თქმა არასწორი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, თუმცამეფე რუსუდანი და მისი სამეფო კარი არასდროს გამოირჩეოდა შორსმხედველობით!

P. S. ეს მცირე ისტორიული კვლევა ჩატარდა იმ მიზნით, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას სპეკულაციას თემაზე, რომ შუა საუკუნეებში ქართველები თურმე 5 (ხუთი) მილიონი ვყოფილვართ, გავწყვეტილვართ მუსულმანებთან ომში, XVIII საუკუნის ბოლოს გადაშენებამდე მივსულვართ და რომ არა ერთმორწმუნე რუსეთი, ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა გველოდა!

თუ რუსეთის იმპერიას რამეს გამოვრჩით, თუნდაც საქართველოს გაერთიანების სახით, ეს საქართველომ დაიმსახურა ქართველებისვე მიერ უშურველად დაღვრილი სისხლით, რუსეთის იმპერიის ყველა ომში, 1802 წლიდან მოყოლებული!

P.S.S, არა გვგონია ციფრებთან ასე ფრთხილ ივ. ჯავახიშვილს ჟამთააღმწერელის ცნობის მცდარობა ვერ დაეფიქსირებინა. მან უბრალოდ კრიტიკის გარეშე მიიღო ეს ჩანაწერი.რატომ? რა მიზნით?...დღესაც კი ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის ლიდერი საქართველოს „ორ გუბერნიად“ აღიქვამს. ადვილი წარმოსადგენია გასაბჭოების შემდეგ რუსული „დერჟიმორდული“ განწყობილება. ჟამთააღმწერელის მცდარი ჩანაწერი კი საშუალებას აძლევდა ივ. ჯავახიშვილს, რომ ემტკიცებინა: ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო!

რეზიუმე: ის, რაც ნიშანდობლივია ანტიკური ავტორებისათვის, კერძოდ უზუსტობანი ხალხების რიცხოვნობის ხსენებისას, დამახასიათებელია ქართველი მემატიანეთათვისაც. განსაკუთრებით ცდომილება გრანდიოზულ ხასიათს ღებულობს ქართველ მემატიანესთან, ჟამთააღმწერელთან. მიუხედავად დიდი წვლილისა ისტორიის წინაშე, ის ტექნიკურ მეცნიერებასთან, არითმეტიკასთან აშკარად მწყრალად არის! (თუმცა არაა გამორიცხული, აქ შემდეგი დროის გადამწერთა შეცდომასთანაც გვქონდეს საქმე) აშკარად იკვეთება ჟამთააღმწერელთან არითმეტიკული ტერმინების, ათასის და ათი ათასის აღრევა! ერთგან ის ჯალალ-ად-დინის მამის, ხვარაზმშას 60 000 (სამოციათასიან) ლაშქარს 6000 (ექვსიათასად) ნათლავს, ხოლო მეორე ადგილას, იმავე ჯალალ -ად- დინის მიერ თბილისში დახოცილ მართლმორწმუნე ქრისტიანთა რიცხვს ათ ბევრად, ასი ათასად აფასებს, მაშინ როდესც უცხოური წყაროებით ამ საზარელმა ხოცვა-ჟლეტამ 7000 (შვიდიათასი) ქრისტიანი იმსხვერპლა. ზუსტად ასეთივე შეცდომასთან გვაქვს საქმე, როდესაც მონღოლთა აღწერის შედეგად ის საქართველოში 81000 (რვაას ათი ათას) სრულფუძიან კომლს აღწერს! (ასეთი რაოდენობის მოსახლეობა თავად რომის იმპერიაშიც კი არ დაფიქსირებულა!)

კანონზომიერია დაისვას შეკითხვა, 3000000 (სამი მილიონიან) დავით აღმაშენებლის საქართველოს (8)რაში დასჭირდა 15000 (ხუთმეტი ათასი) კომლი უცხოტომელის, ყივჩაღის შემოყვანა საქართველოში მეშველი ლაშქარის სახით? თუ ქართველ ხალხს, პელაზგთა შთამომავალს, რომელმაც სტრაბონის სიტყვებით ომის ხელოვნებას აზიარა მთელი ევრაზიის კონტინენტი, თავდაცვის უზრუნველყოფა არ შეეძლო?...ის, რომ ჟამთააღმწერელი არითმეტიკაში ცდება, მთელი ამ თავის განხილვის და დამტკიცების საგანია , დაინტერესებული მკითხველი თავადვე დარწმუნდება ამ დებულების სისწორეში.

რაც შეეხება ყივჩაღთა თემას, ასევე ისტორიული მონაცემებით, ისინი სულ 7(შვიდ) წელიწადს რჩებიან საქართველოში. მათი უდიდესი ნაწილი, 1125 წელს მიგრირებულია ყირიმის ნახევარკუნძულზე. ეს მათი, საქართველოდან მიგრირებული ყივჩაღების შთამომავალი ჩანს ეთნოსი, დღეს წოდებული ყირიმელ თათრებად და ისტორიას შემორჩენილი ყივჩაღური ლექსიკონიც ამის დადასტურებაა!

როგორც ისტორიის ფურცლებიდან ირკვევა, ფულის მოჭრის ხელოვნებაც ქართველთა წანპრების, ეტრუსკთა (ლიდიელთა) ტომის პრიმატია! ქართული ფულის (ჩვენთვის ცნობილი) ისტორია სამხრეთ-ქართული სახელმწიფოდან , ტაოდან იღებს სათავეს IX საუკუნეში. ქართული ფულადი სისტემა გაცილებით რთულია სპარსულ ფულად სისტემაზე და ამავე დროს უფრო სრულყოფილი, ვიდრე ბერძნული და რომაული მონეტარული ფულადი სისტემები. როგორც მონეტის მოჭრის პირველწყარო, ის საკუთარ თავში აერთიანებს ანტიკურ ბერძნულ და გვიანდელ რომაულ-ბიზანტიურ მონეტარული პოლიტიკის პრინციპებს! ქართული (ჩვენთვის ცნობილი და მოღწეული) ფულადი სისტემა მოქმედებს IX საუკუნიდან XIV საუკუნის ბოლომდე, და როგორც ეტყობა მისი მივიწყება -დაკნინების პერიოდი ემთხვევა თემურ-ლენგის ათეულ დამანგრეველ ლაშქრობას ამ საუკუნის ბოლოსათვის.XV საუკუნიდან უკვე მონეტა საქართველოში სპარსულ პრიმიტიულ ყაიდაზე იჭრება!

შენიშვნები:

1.ის, რომ ტაოს სამეფო პირველი ქართველური სამეფო ჩანს (ჩვენთვისცნობილ ისტორიაში), აშკარა კანონზომიერებაა! ტაოში დამკვიდრებული დიდებულნი, გვარად ჩორდვანელები (ამავე გვარიდან მომდინარეობს დიდი თორნიკე ერისთავი, თორნიკე ბერი) ტრადიციულად სულა კალმახელის სახელს ატარებს. ცხადია ჩორდვანელების (სუკკალ-მახების) მიგრაცია თაოსაკენ თარხონის მიერ პირენეის ნახევარკუნძულზე ჩატარებული ლაშქრობის შემდგომი ჩანს. ის ჩატარდა წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ელამის სამეფოდან,არა უადრეს XIX-XV საუკუნისა ჩვენს წელთა აღრიცხვამდე (პერიოდი, როდესაც ელამის სა-

მეფოს სუკალ-მახები განაგებდნენ)
2.სკანდინავიის ქვეყნებში ქართული (ტაოს სამეფოს) ფულის უდიდესი ნომინალების პოვნა ისტორიულ ახსნას პოულობს: ბაგრატ მეოთხის მიერ ქართველი დიდფეოდალის წინააღმდეგ ვარანგების (ვარიაგების) საბრძოლო ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი. ბერძენთა იმპერატორის სამსახურიდან შინ მიმავალი 3000 (სამი ათასი) ვარიაგი ბაგრატ მეოთხემ ლიპარიტის წინააღმდეგ მიმართა. ვარიაგებმა არ მოისურვეს მესხთა საომარი ძალების დალოდება და თავიანთი ძალებით სცადეს ლიპარიტის დამარცხება. ლიპარიტმა სამტროდ მოსული ვარიაგები დაამარცხა, დაატყვევა, თუმცა მათი დახოცვა არ ისურვა. ამ უკანასკნელმა დამარცხებული მტრები დააპურა, კავკასია გადააცილა, საგზალიც მიუძღვნა. ამ ყველაფერთან ერთად მართალია მეფის მტერმა, მაგრამ სულის სიღრმეში ქართველმა არ გაძარცვა დამარცხებული მტერი, არც განაიარაღა! (წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც უიარაღო ვარიაგები ჩააღწევდნენ თავიანთ სამშობლოში და არც სავარაუდოდ ბაგრატ მეოთხის მიერ მოცემული ვერცხლის ტაოური მონეტები შემორჩებოდათ მათ და ისტორიას) სავარაუდოდ ქართველთა ამ დიდსულოვნების უსაზღვროდ მადლიერმა ვიკინგებმა თითო ცალი ვერცხლის ქართული (ტაოური) მონეტები სახსოვრად დაიტოვეს, რომელთაგან სულ რამდენიმემ მოაღწია ჩვენამდე!
3.ფულის მოჭრის ხელოვნება იმთავადვე ითვალისწინებდა რამდენიმე დიდ-მცირე მონეტის მონიშვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ხდება დიდი ნომინალის მონეტის დახურდავება.ზუსტად ასეთ სიტუაციას ჰქონდა ადგილი კიევის რუსეთში. სახურდავებელი მცირე ნომინალის არ არსებობის გამო მონეტა ქუცმაცდებოდა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და მას წონითი ღირებულებაღა ჰქონდა. ამ სახით დაქუცმაცებულ ფულს რეზანა ეწოდებოდა.

4. 1 დრაჰკანი=6 თეთრს...ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი 1 თეთრის ეკვივალენტად თვლის გიორგაულ 1 ცალ მონეტას, წონით 1,7 გრამს, მისეული წაკითხვით ოქროს დრაჰკანის ღიდებულება სულ ექვსი თეთრია, წონით:
1 დრაჰკანი (ოქრო)-6X1,7=10, 2 გრამი (ვერცხლი)
დრაჰკანი ოქრო,3,4 გრამი კანონიკური , ოქრო-ვერცხლის იმ დროინდელი ფარდობის გათვალისწინებით (1:15)
1დრაჰკანი (ოქრო)= 3,4X15=51 გრამი (ვერცხლი)
რასაკვირველია ხუთჯერადი სხვაობა ორ მიღებულ შედეგს შორის თვალნათლად გვიჩვენებს, რომ ზემოთ აღნიშნული დრაჰკანი მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლისა შეიძლება იყოს, მისი სათვალავი ღირებულება ექვსი თეთრია, ერთი სათვალავი თეთრის წონა 3,4:6=0, 57 გრამი ვერცხლია(და არა1,7 გრამიანი გიორგაული თეთრი)

5. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართული კანონიკური მონეტები აღბუღას პერიოდში ასე გამოიყურება:

1 დრაჰკანი=3,55 -3,41 გრამი= 6 თეთრი

1 დრამი=2,84 გრამი=5 თეთრი

1ყაზანაური=2,13 გრამი=4 თეთრს

1 გიორგაული= 1,775-1,7 გრამი= 3 თეთრი

1 უკნინესი=0,59-0,57 გრამი=1 თეთრი

ვინაიდან, ბექას სამართალის წიგნის შედგენისას,საქართველოში მოქმედი ერთადერთი ოფიციალური მონეტა ყაზანაური იყო, ეტყობა მას მიენიჭა 4 თეთრიანი მონეტის სტატუსი, რომელთანაც წონით ახლოს იყო, თუმცა ის საანგარიშო 4 თეთრზე (წონით 2,27გრამი) რამდენადმი დაბალია. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. ვთქვათ დამნაშავეს გადასახდელი აქვს 1200 თეთრის საურავი. როცა ყაზანაური გათანაბრებულია ოთხ თეთრთან, ერთი თეთრის წონა:

ვერცხლი=2, 13გრამი:4=0,53 გრამი (ვერცხლი)

1200თეთრი X 0,53=636 გრამი (ვერცხლი) გადასახდელი საურავი

როდესაც გადახდა ხდება გიორგაულით, წონით1,775 ნომინალით სამი თეთრი:

1,775:3=0,59 გრამი (ვერცხლი)

1200X0,59=708 გრამი (ვერცხლი) გადასახდელი საურავი

გადასახადი საურავი დანაშაულისა ბექა-აღბუღას სამართალით მთელი ათი პროცენტით ძვირი გამოდის!

6. 1672 წელს, საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა კომერსანტმა, შარდენმა,რომელსაც ერთობ ძვირფასი და საიმედო ცნობები გააჩნია ფინანსიური თვალსაზრისით:

„მამაკაცები ოცდახუთიდან ორმოცი წლის ასაკამდე, ღირდა მხოლოდ ხუთმეტი ეკიუ, ორმოცზე მეტი ხნისა-რვიდან ათამდე. ლამაზი ქალწულები- ცამეტიდან თვრამეტ წლამდე-ოცი ეკიუ, სხვები უფრო იაფად ფასობდნენ, ქალები თორმეტად, ბავშვები–სამ ან ოთხ ეკიუდ''. [შარდენის მოგზაურობა გვ 212 1975 წ) 15 ეკიუ=15X27,2=408 გრამი (ვერცხლი)

20 ეკიუ=20X27,2=544გრამი (ვერცხლი)

(შარდენი ანგარიშისას ფრანგულ ეკიუს იყენებს,წონით–27,19 გრამი.

ტყვის ფასი ავტომატურად მისი სიცოცხლის ფასიც უნდა იყოს! ამაში ისევ შარდენის ცნობებიდან დავრწმუნდებით. როდესაც კომერსანტი შარდენი დაბრუნებას აპირებს სამეგრელოში, სადაც თურქები არიან შემოჭრილი და განუკითხაობა მძვინვარებს, ქართლელმა გამყოლებმა იმერეთს იქით წასვლაზე უარი განაცხადეს. ერთმა გამყოლმა, რომელიც სხვა დანარჩენი სამის სახელითაც ლაპარაკობდა, წერილობითი საბუთი მოსთხოვა შარდენს, რომ ტყვედ ჩავარ-

დნის შენთხვევაში გამოისყიდიდა ოთხივეს, ხოლო გამყოლების დაღუპვის შემთხვევაში მათ ცოლებს გადაუხდიდა ოთხმოც ეკიუს. შარდენისგან ხელწერილის მიღების შემდეგ, მათ გზა გააგრძელეს. აქაც ზემოთ ნახსენები ოცი ეკიუ ერთ სულზე ფიგურირებს, ისიც სავარაუდო მომავალი მსხვერპლის მოთხოვნილი და შესაბამისად სისხლის მაქსიმუმი ფასი. **(იქვე, გვერდი 281)**

7.ფულადი შემოსავალი ირანის სახელმწიფო ხაზინაში მონღოლებამდე:

100000000X 4,26 გრამი=426 ტონა (ვერცხლი)

(რეფორმამდელი დინარის წონა 1 მისხალი=6 დანგს=6X0,71=4,26 გრამი.

ფულადი შემოსავალი მონღოლთა მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ დაეცა:

17000000 X 12,78=217,26 ტონა (ვერცხლი)

(17000000- დინარი სავარაუდოდ უკვე რეფორმირებული დინარია)

ირანის შემოსავალი ხაზინაში თითქმის ორჯერ ჩანს შემცირებული. ფულადი შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში ყაზან ყაენის რეფორმის შემდეგ:

21000000X12,78=268,38 ტონა (ვერცხლი)

რეფორმების შემდეგ შემოსავალი მთელი 20%-ით გაზრდილი ჩანს, თუმცა მონღოლთა დაპყრობამდე შემოსულ შემოსავლებამდე ბევრი უკლია.

ყაზან ყაენის მემკვიდრემ, ოლჯაითუმ, ჯიზიის შემოღებასთან ერთად ფულდი სისტემაც შეცვალა. 1307 წლიდან დირჰემის წონა კლებულობს 1 დანგით: 1 დირჰემი=2 დანგს=2X0,71=1, 42 გრამი (ვერცხლი)

ასევე იცვლება დინარის წონაც. 3 მისხალიანი დინარი ხდება 2 მისხალი:

1 დინარი =6 დირჰემს= 6X1,42=8,52 გრამი ვერცხლი

ამ მანიპულირების შედეგად, ფულადი შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში 28000000 (ოცდარვა მილიონი) დინარი ხდება:

28000000X8,52=238,56ტონა(ვერცხლი)

ერთი შეხედვით შემოსავალმა ხაზინაში მოიმატა 7000000(შვიდი მილიონი) დინარით, სინამდვილეში რეალურმა შემოსავალმა მთელი 12% ით მოიკლო, ვი-ნაიდან მონეტის მატერიალური ღირებულება არა მონეტის წრეშია გამოხატული, არამედ ძვირფასი ლითონის წონითი რაოდენობით მონეტაში.

8. თუ თამარის ეპოქაში მოსახლეობის რაოდენობა 5000000 (ხუთ მილიონი) აღწევდა,მისი დიდი პაპის, დავით აღმაშენებელის დროს, სულ ოთხი თაობის წინ, მისი რიცხოვნობა მინიმუმ 3000000 (სამი მილიონი) მაინც უნდა ყოფილიყო! თანამედროვე სტატისტიკური გამოთვლებით,სამეფოს ასეთი რაოდენობის მოსახლეობის რაოდენობით, მინიმუმ 400000 (ოთხას ათასი) მეომრის გამოყვანა შეუძლია! (რაღა შორს წავიდეთ, მეორე მსოფლიო ომში საქართველომ 3500000 მოსახლეობით, სახაზო ნაწილებში 560000 მეომარი გააგზავნა) შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლის საქართველოში, ქართველებს საომარი უნარ-ჩვევები საერთოდ დაუკარგავთ?!

სახელობითი გზათმკვლევი

ა

1.აბაევი ვასო- ოსი ენათმეცნიერი (1900-2001 წ)

2.აგათია სქოლასტიკოსი-ბერძენი ისტორიკოსი მცირე აზიის ქალაქ მირინადან (536-582 წ)

3.აკროპოლიტე გიორგი- ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე, რიტორი და ისტ-ორიკოსი (1217-1282 წ)

4. ალ-ისტარხი აბუ ისხაკ- არაბი გეოგრაფი (850-934 წ)

5.აპიანე- II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი, ავტორი დიდტანიანი ნაშრომისა „რომის ისტორია''(95-170 1)

6.არიანე- ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი (86-160 წ) იყო კაბადოკიის რომაული პროვინციის მმართველი 131-137 წლებში.

ბ

1. ბარბარო იოსაფატ- ვენეციელი ვაჭარი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. 1436-51 წლებში ცხოვრობდა ტანაში (დღევანდელი დონის როსტოვის მიმდებარე ტერიტორია)
2.ბარტოლდი ვასილი- რუსეთში მოღვაწე აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი (1869-1930 წ)
3.ბაკიხანოვი აბას კული აღა-აზერბაიჯანელი ისტორიკოსი და ფილოლოგი XIX საუკუნისა
4.ბალაძური-არაბი ისტორიკოსი (820-892 წ)
5.ბესე ჟან შარლი-უნგრელი მეცნიერი (1799-1838 წ) განახორციელა მოგზაურობა ჩრდილო კავკასიასი 1829 წ. (ეძებდა უნგრულ კვალს ქალაქ მაჯარის ნანგრევებსა და ყარაჩაიში) უნგრელები, პანონიელები სახელ- ენა- ადგილ ნაცვალნი ჩანან,ისინი დღეს ავარების სახელს ატარებენ

გ

1. გამბა ჟან ფრანსუა-ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის კონსული თბილისში (1763-1833წ)
2. განგრელი თეოდოსი-იერუსალიმელი მონაზონი დაბადებული ქალაქ პაფლაგონიაში, სინოპაზე VII-საუკუნე.
3.გერბერი იოან გუსტავ-გეოგრაფი, ეთნოგრაფი, არტილერისტი და სამხედრო მოღვაწე რუსეთისა (1690-1734 წ)
4. გიულდენშტედტი იოჰან ანტონ- ბალტიელი გერმანელი რუსულ სამსახურში, ბუნებისმეტყველი და მოგზაური (1745-1781 წ)
5. გლავანი კსავერიო- საფრანგეთის კონსული ყირიმში, ხანის პირველი ექიმი ბახჩისარაიში (ნაწარმოები ჩერქეზულ ტომებზე დაწერილია 1724 წელს)

დ

1.დასკოლი ემიდიო დოტტელი - (დომინიკანელი) პრეფექტი კაფისა, თათრეთისა და სხვაგან 1634 წელს
2. დიკტის კრეტელი- ლეგენდის მისედვით, იდომენევსის თანმხლები ტროას ომში, ავტორი „ტროას ომის დღიურებისა“. IVსაუკუნეში თარგმნილია ბერძნული ენიდან ლათინურზე (ორიგინალი დაწერილია ფინიკიურ ენაზე)
3.დომანინი ალაქსანდრ ანატოლის ძე - თანამედროვე რუსი მწერალი და ისტორიკოსი.

4.დინი რაშიდ-ად- ებრაული წარმოშობის გამუსლიმანებული მოღვაწე, ისტორიკოსი, ექიმი, სწავლული, მონღოლთა დიდვეზირი (1247-1318 წ)
5. დიოდორე სიციელი- ძველბერძენი ისტორიკოსი და მითიოლოგი კუნძულ სიცილიიდან (90-30 წ ჩვ წელთა აღრიცხვამდე) საკუთარ ნაშრომებში გამოყენებული აქვს წყაროები სხვადასხვაბ ავტორთაგან; ჰეკატე მილეტელი, ჰეროდოტე, იერონიმე კარდიელი, დიონისიი, დურისი, კლიტარხი, კტესია, მეგასთენე, პოლიბოი, პოსიდონიი, ტიმეი ტავრომენიდან, ფეოპომპი, ეფორი და სხვა. სულ 87 ავტორი.
6.დუბროვინი ნ.ფ.-რუსი ისტორიკოსი (1837-1904 აკადემიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი.
7.ისტორიკოსი დუკა - შვილიშვილია იმ მიხეილ დუკასი, რომელიც ნათესავი იყო დუკათა სამეფო ოჯახისა, აქტიურ მონაწილეობას ღებდა იოანე VI კანტაკუზენისა და იოანე V პალეოლოგს შორის ატეხილ დავაში. როგორც თავგამოდებული დამცველი კანტაკუზენისა, ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ 1345 წელს იძულებული გახდა გაქცეულიყო კონსტანტინეპოლიდან და გადასახლებულიყო სელჯუკთა ემირთან ეფესოში. შვილიშვილი დუკას დაბადების და გარდაცვალების თარიღი უცნობია, თუმცა დაახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ის უნდა დაბადებულიყოXIV საუკუნის ბოლოს და გარდაცვლილიყო 1462 წლის შემდეგ.

ვ

1.ვარონი მარკ ტერენციი- რომაელი სწავლული-ენციკლოპედისტი და მწრალი I საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე. ვარონის ავტორიტეტი, როგორც სწავლულისა და ორიგინალური მწერლისა, თვით მისსავე სიცოცხლეშიც აუწერელი იყო. ის იყო ავტორი 600-მდე წიგნისა, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.
2. ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი)-გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი (1696-1757 წ)
3. ვირგილიუსი პუბლიი მარონი- (70-19)ჩვ.წ. აღრიცხვამდე. ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ძველი რომი

ზ

1.ზონარა იოანე- ბიზანტიის პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და ისტორიკოსი (1159 წლის შემდგომი პერიოდისა)

თ

1.თუკიდიდე-ბერძენი (ათენელი) ისტორიკოსი (465-395 ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ავტორი ისტორიული მატიანისა „პელოპონესის ომები''. ამავე ომის მსვლელობისას ხელმძღვანელობდა ქალაქ ამფიპოლის დაცვას.

ი

1.ალ-იაკუბი- არაბი მოგზაური და ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „წიგნი სამეფოთა“ (დაიწერა 893-94 წ)
2.იაკუტი- წარმოშობით მცირეაზიელი ბერძენი, მუსულმანი სწავლული, მწერალი და ფილოსოფოსი. დაიბადა 1178-80 წლების მიდამოებში, გარდაიცვალა 1229 წელს.
3. იდრისი- ემირი იდრისიდების მოდგმისა, უკვე ძალაუფლება დაკარგული. არაბი გეოგრაფი (1100-1165 წ)
4. იეზდი შერეფედინ ალი- (1405-1447 წ) მისი ისტორიული ნაწარმოები თემურ-ლენგის ლაშქრობათა შესახებ დაწერილია 1425 წელს, თემურ-ლენგის ლაშქრობებიდან სულ ორიოდ ათწლეულის შემდეგ.
5. ინგოროყვა პავლე-(1893-1983 წ) ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი.
6.ალ-ისტარხი- (ავტორზე თითქმის არაფერია ცნობილი) დატოვა წიგნი „წიგნი გზათა და სახელმწიფოთა“ (წერდა 930 წლის ახლოს)
7.ინტერიანო ჯორჯიო- იტალიელი მოგზაური, გეოგრაფი და ეთნოგრაფი. დატოვა წიგნი ლიტერატურულ- მონოგრაფიული აღწერილობა ჩერქეზეთისა, გამოცემული ვენეციაში 1506 წელს. (ზუსტი ინფორმაცია მისი მოგზაურობის შესახებ არ არსებობს)

კ

1.კედრენე გიორგი- XI-საუკუნის ბიზანტიელი ქრონოგრაფი (სათაურის მიხედვით გიორგი კედრენეს ქრონოგრაფია წარმოადგენდა მსოფლიო ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 1059 წლამდე)
2. კესარიელი ევსევი- რომაელი საეკლესიო მწერალი, ისტორიკოსი, საეკლესიო ისტორიის მამად ცნობილი (დაახლოებით 260-340 წ. პალესტინა)
3. კესარიელი პროკოპი - დაბადებული (490-507 წლებს შორის) პალესტინაში. რიტორი და სოფისტი, აღწერა რომაული ისტორია პატრიკიოს ველიზარის ომებისა რომსა და ლიბიაში. ცხოვრობდა იუსტინიანე მეფის დროს, ასრულებდა ველიზარის პირადი მდივნის თანამდებობას. თან ახლდა ყველა ომში და მისი საქმიანობაც აღწერა 527-541 წლებში, როგორც ლაზეთის, ასევე იტალიისა და

აფრიკის ტერიტორიაზე წარმოებული ომების დროს.
4. კომნენე ანა- XII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი, რომლის საისტორიო თხზულება (ალექსიადა) ძვირფას წყაროს წარმოადგენს ბიზანტიისა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის.
5. კონტარინი ამბროჯიო - წარჩინებული ვენეციელი. 1474 წელს გაიგზავნა ვენეციის რესპუბლიკის მიერ (პოლონეთის, კიევის რუსის და საქართველოს გავლით) სპარსეთის ასამხედრებლად თურქების წინააღმდეგ კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად.
6.კონსტანტინეპოლელი ეპიფანე- კონსტანტინეპოლის კალისტრატთა მონაზვნის ხუცესი. მოღვაწეობდა VIIIსაუკუნისცმეორე ნახევარში.
7.კტესია-ძველბერძენი ისტორიკოსი (მოღვაწეობდა V საუკუნის მეორე ნახევარსა და IV საუკუნის დასაწყისში ჩვ. წ. აღრიცხვამდე) აღმოჩნდა სპარსელთა ტყვეობაში, სადაც გაატარა 17 წელი, იყო აქამენიდი მეფის, არტაქსერქსის პირადი ექიმი.

ლ

1. ლამბერტი არქანჯელო - იტალიელი მისიონერი, თეათინელთა ორდენის ბერი. 1630-49 წლებში რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ მოვლინებული იყო საქართველოს ერთ - ერთ კუთხეში, ოდიშში. (თეათინელთა ორდენი განლაგებული იყო დღევანდელი გალის რ-ნი სოფ. თაგილონის ტერიტორიაზე, რომელსაც ამ ორდენის სახელწოდების გავლენით თეათინელთა დასახლება ეწოდებოდა. (თაგილონი-ეს დამახინჯებული თეათილონია!) წიგნი სამეგრელოს შესახებ დაიწერა ლამბერტის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1655 წელს.
2.ლივიუსი ტიტუსი- ძველი პერიოდის (59- ჩვ წ. აღრიცხვამდე, 17 ჩვ.წ. აღრიცხვით, პატავიიდან, ვენეციიდან) რომაელი ისტორიკოსი, ავტორი ნაწილობრივ შემონახული საისტორიო თხზულებისა „ისტორია ქალაქის დაარსებიდან“. გადმოცემული იყო ისტორია რომის დაარსებიდან (753ჩვ .წ აღრიცხვამდე) 9 ჩვ.წ. აღრიცხვით დამთავრებული.

მ

1.მას’უდი- X საუკუნის არაბი გეოგრაფი და მოგზაური. დაიბადა IX საუკუნის ბოლოს. ახალგაზრდობიდან მოგზაურობდა და თითქმის ყველა მუსულმანური ქვეყანა მოინახულა. კარგად იცნობდა კასპიის ზღვას და მიმდებარე ქვეყნებს, ასევე როგორც შავი ზღვის აღმნოსავლეთ სანაპიროს. გარდაიცვალა ეგვიპტეში 956 წელს.

2. მეგასთენე - ძველბერძენად მონათლული მოგზაური, არახოსიელი (იბერიელი) სელევკ ნიკატორის დავალებით იმოგზაურა დიპლომატიური მისიით ინდოეთისაკენ (ჩანდრაპუტრისაკენ) ქალაქ პატალიპუტრაში, არა უადრეს 298 ჩვ. წ, აღრიცხვამდე. (ღვთაება ვაკხი მისი კალმის შედეგია!)
3.მელა პომპონიუსი-რომაელი გეოგრაფი (15-60 ჩვ.წ. აღრიცხვით)
4. მონპერე ფრედერიკ დიუბუა- (1798-1850წ)ფრანგული წარმოშობის შვეიცარიელი, არქეოლოგი, მოგზაური, ეთნოგრაფი და ნატურალისტი. იმოგზაურა ყირიმსა და კავკასიაში.
5. მუკადენსი-დაიბადა იერუსალიმში 977 წ. ბაბუა და მამა არქიტექტორები ჰყავდა, თავად კი ვაჭრობასა და გეოგრაფიულ სარბიელზე მოღვაწეობდა. იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში.

ნ

1.ნაზონი ოვიდიუს- ძველრომაელი პოეტი (43 ჩვ.წ. აღრიცხვამდე,18 ჩვ.წ. აღრიცხვით) გარდაიცვალა გადასახლებაში ქალაქ ტომოსში (დღევანდელი რუმინეთის ქალაქი კონსტანცა)
2. ნასავი- ისტორიკოსი და პირადი მდივანი სულტან ჯალალ ად-დინისა

პ

1.პალლასი.პ.ს- (1741-1811) გერმანული წარმოშობის რუსი სწავლული -ენციკლოპედისტი, ბუნებისმეტყველ და მოგზაური.
2.პატალოტი ფრანჩესკო ბელდუჩი- ფლორენციელი დიდვაჭარი და პოლიტიკური მოღვაწე XIV საუკუნე.
3.პახიმერე გიორგი-ბიზანტიელი ისტორიკოსი (1242-1310წ)
4. პირეგეტი დიონისე-ძველბერძენი გეოგრაფი ალექსანდრიიდან (II-საუკუნე ჩვ.წ.აღრიცხვამდე)
5. პლინიუს უფროსი, გაი პლინიი სეკუნდი- (22-79 ჩვ .წ. აღრიცხვით) ძველრომაელი მწერალი. ისტორიკოსი, გეოგრაფი, ეთნოგრაფი და ბუნებისმეტყველი, ავტორი ნაწარმოებისა „ბუნებრივი ისტორია''. რომაული ფლოტის მეთაური, ემსხვერპლა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევას, რომლის დროსაც მიცურდა სანაპიროსთან საყვრელი ქალბატონის გადასარჩენად.
6.პლუტარქე-ძველბერძენი ფილოსოფოსი, ბიოგრაფი და მორალისტი (46-127 წ)
7.პროტექტორი მენანდრე-ბიზანტიელი ისტორიკოსი VI-საუკუნის მეორე ნახევრისა. მისი საისტორიო შრომები მოიცავს 558-582 წლებს (ქრონოლოგიურად აგრძელებს აგათია სქოლასტიკოსის ანალოგიურ ნაშრომს)
8.პსელოსი მიქაელ- ბიზანტიელი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. მეცნიერი

და მწერალი, კეისრის (კონსტანტინე მონომახი) კანცელარიის უფროსი (1018-1071 წ)
9.პორფიროგენტი კონსტანტინე- ბიზანტიის იმპერატორი (908-959 წ)-რალურ-ად (945-959) ელები.

ჟ

1.ჟამთააღმწერელი თეოფანე - ანუ როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, თეოფ--ნე აღმსარებელი, ბიზანტიური ქრონოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომა-დგენელი, დაბადებული 760 წლის ახლო ხანებში.

რ

1.რაფი მუხამედ- დაუმტკიცებელი მონაცემების მიხედვით, დაღესტანელი ის-ტორიკოსი XIII საუკუნისა. მის კალამს მიაკუთვნებენ საისტორიო ნაწარმოებს „ისტორია დაღესტანისა“. რუსი ავტორების, მინორსკისა და ლავროვის დასკვ-ნებით, წიგნში მოთხრობილი პროცესები მიეკუთვნება XVI საუკუნეს. (ნაწარმო-ების ფურცლებზე ავარების თემის წინ წამოწევა აშკარად მიანიშნებს, რომ ის დაწერილია არა უადრეს XVII საუკუნის მესამე მეოთხედისა)
2. რეინეგსი იაკობ-საქსონელი გერმანელი (1744-1793 წ) მოგზაურობს ევროპა-ში. რუსეთის მთავრობის დავალებით მოაწყო 5 ექსპედიცია კავკასიაში.
3. რუბრუკვასი ვილჰემი -(1215-1270 წ) ავგუსტინელი ბერი, ლუდოვიკო IX –ის ნდობით აღჭურვილი პირი მონღოლთა ყაენ მუნქესთან. ამ უკანასკნელსა და სა-ფრანგეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად. ყირიმის გავლ-ით იმოგზაურა დიდი ხანის დედაქალაქ ყარაყორიუმამდე.
4.რუსტე იბნ-აღმოსავლელი სწავლული- ენციკლოპედისტი X საუკუნის პირვე-ლი ნახევრისა.მისი ნაწარმოები ეძღვნება ასტრონომიულ და გეოგრაფიულ თე-მებს.
5.რუფი კვინტ კურციი-რომაელი ისტორიკოსი, ავტორი ალექსანდრე დიდი მა-კედონელის ისტორიისა (1-2 საუკუნე)

ს

1. სენ-კვენტინი სიმონ-რომის პაპის, ინოკენტი IV-ის მიერ მონღოლებთან გაგზ-ავნილი ელჩობის ერთ-ერთი წევრი XIII საუკუნე.
2.სტეფანე ბიზანტიელი-ავტორი გეოგრაფიული ლექსიკონისა, ბიოგრაფიული ცნობები არ არსებობს. სავარაუდო მოღვაწეობის დრო (IV-VII) საუკუნე
3. სტრაბონი-ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი. ავტორი „ისტორიისა“

(ჩვენამდე არ მოღწეული) და თითქმის ბოლომდე შემონახული „გეოგრაფიისა“ 17 ტომად (64 ჩვ აღრიცხვამდე -23 ჩვ.წ. აღრიცხვით) მცხოვრები ამასიაში (სინოპას მახლობლად) დიდი გეოგრაფი და უფრო დიდი გეოგრაფიულ-ისტორიული შეცდომების სათავე და პირველავტორი.

ტ

1. ტაბარი, აბუ ჯაფარ მუჰამედ იბნ ჯარახ ატ - მუსულმანი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი (839-923 წ)
2. ტავერნიე ჟან ბატისტ- ფრანგი დიდვჭარი(1603-1689 წ) ხუთჯერ იმოგზაურა ინდოეთში.
3.ტატიშევი ვასილი ნიკიტას ძე-რუსი ისტორიკოსი, გეოგრაფი, ეკონომისტი და სახელმწიფო მოღვაწე. ავტორი ნაწარმოებისა „რუსეთის ისტორია“(1686-1750 წ)
4) ტაციტი პუბლიუს კორნელიუსი-ძველბერძენი ისტორიკოსი (50-100 წ)
5.ტოტტ ფრანცი, ბარონი- საფრანგეთის სამსახურში მყოფი უნგრელი თავადის შთამომავალი(1733-1797 წ)
6. ტროგი პომპეი-ტიტუს ლივიუსის თანამედროვე რომაელი საისტორიო მწერალი ნარბონის გალიიდან.მისი შრომები დაწერილია დაახლოებით 7 ჩვ. წ. აღრიცხვით. მისი წინაპრები მსახურობდნენ პომპეუსთან სარტორიუსის და მითრიდატეს წინააღმდეგ, მამა მსახურობდა ცეზართან მდივნად და მთარგმნელად. მისი ნაწარმოებში „ფილიპეს ისტორია“ ცენტრალური ადგილი უკავია მაკედონიისა თემას, ფილიპე მაკედონელს და ალექსანდრე მაკედონელს)

ფ

1.ფსევდო ზაქარია-სავარაუდოდ მონაზონი ამიდიდან (V-VI საუკუნე)

ქ

1.ქსენოფანტე- ძველი ბერძენი (ათენელი) მეომარი და ისტორიკოსი (427-355 ჩვ.წ. აღრიცხვამდე)

შ

1.შარდენი ჟან- ფრანგი იუველირი, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე და მოგზაური. იმოგზაური ყირიმის და საქართველოს გავლით სპარსეთში (1643-1713 წ)

ჩ

1.ჩელები ევლია- ოსმალო მწერალი, მემატიანე და მოგზაური. დედა- კავკასიელი წარჩინებული მანდილოსანი (1611-1683 წ)

ც

1.ცეცე იოანე - მეთორმეტე საუკუნის კომენტატორი და პოლიპისტორი (1110-1180 წ)

2.ციცერონი, მარკ ტულიუსი- (ჩვ.წ. აღრიცხვამდე 105-43 წ) რომაელი პოლიტკოსი, ადვოკატი და პოლიტ-იკური მოაზროვნე. სახელგანთქმული ორატორი ძველი რომისა, კონსული .

ძ

1.ძამპი ჯუზეპე მარია- თეათინელთა ორდენის წევრი, მისიონერი. 23 წელი იმოღვაწა სამეგრელოში.

ხ

.1.ხალკოკონდილე ლაონიკე- XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი. დაბადებული ჩანს 1423 წლის ახლო ხანებში, ხოლო გარდაცვლილი 1490 წლის ახლო ხანებში.

2.ხარაკელი ისიდორე - ბერძენი მწერალი ქალაქ სუზიდან (სუზიდან?!) ამ საისტორიო მწერლის კალამს ეკუთვნის „პართიული სადგომები“ არასწორად ჩათვლილია, რომ ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პირველ საუკუნეში, თუმცა მისივე ნაწარმოების მიხედვით ადვილი დასამტკიცებრელია, რომ ის არა უადრეს II საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე ცხოვრობდა.

3. ხაუკალი აბულ - ყასიმ მუჰამედ იბნ-არაბი გეოგრაფი და მოგზაური X საუკუნისა.

4. ხომიატე ნიკიტა -XII საუკუნის შუა წლების ისტორიკოსი, სტრატეგოსი და ლოგოთეტი.

5.ხორდადბე იბნ-მუსულმანი გეოგრაფი ირანული წარმოშობისა (820-913 წ)

ჯ

1.ჯავახიშვილი ივანე - ქართველი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი. საქართველოს და კავკასიის თანამედროვე სკოლის დამფუძნებელი. (1876-1940 წ)

2. ჯუვეინი ალა ალ- დინ ატა მალიქ იბნ მუჰამედი - ირანელი ისტორიკოსი და

სახელმწიფო მოღვაწე. ჯუვეინის პაპა ხვარაზმშაჰ მუჰამედის დაახლოებული პირი ყოფილა, ხოლო მამა და ძმა უკვე მონღოლებს ემსახურებოდა. თავად ჯუ-ვეინი 15 წლიდან მონღოლთა სამსახურში იყო, ბაღდადის და ერაყის გამგებლ-ობასაც მიაღწია. ჯუვეინი ავტორია თხზულებისა „ქვეყნიერების დაპყრობის ისტორია“ (თარიხე ჯაჰანგოშა). მღვაწეობდა 1226-83 წლებში

ʒ

1.ჰამადანი იბნ ალ-ფარიკი- მუსულმანი სწავლული, ისტორიკოსი, ბიოგრაფი. მის კალამს ეკუთვნის „ისტორია მაიფარაკანისა“ (1274-1348წ).

2. ჰეკატე მილეტელი-ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი. მისი თხზუ-ლებებიდან მხოლოდ ნაწყვეტებია შემონახული. ჰეკატე მილეტელის მოღვაწე-ობის წლებია დაახლოებით 550-480 ჩვ წ. აღრიცხვამდე.

3.ჰეროდოტე ჰალიკარნასელი- ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ისტორიის მამად ცნობილი. მოღვაწეობდა 484-426 ჩვ წ. აღრიცხვამდე.

4. ჰესიოდე- ძველბერძენი პოეტი და გენიალური მოაზროვნე, ავტორი „თეოგო-ნიისა“ მოღვაწეობდა VIII-VII საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე.

4ჰომეროსი - ლეგენდარული ბერძენი პოეტი, ავტორი პოემებისა ილიადა და ოდისეა. მოღვაწეობდა VII ჩვ. წ. აღრიცხვამდე.

რუქები

რუქა N 1- ელამი. სუზა-მემნონის ქალაქი. მეზობლები, შუმერი და ბაბილონი. დანარჩენი ქვეყნები, ასირია, არაბეთი, სპარსეთი, პართელები, მიდები და თვით კასიტებიც მოგვიანებით გაჩნდნენ ამ ტერიტორიაზე, 5-20 საკუნის შემდეგ....



საბერძნეთის მოსახლეობა ელინთა მოსვლამდე
მთლიანად პელაზგური იყო. იგი მოცავდა
ლაკონიკას, კონტინენტალურ საბერძნეთს,
ადრიატიკის ზღვის მთელ ჩრდილო სანაპიროს,
ილირიკისა და ენეტიკის ჩათვლით.

რუქა N 2 -საბერძნეთი

1 ელამის სამეფო
2 ვანის ტბა
3 ქუშის სამეფო
4 ხავილას სამეფო
5 ედომის სამეფო

რუქა N 3-ელამი, ხმელთაშუა ზღვა

რუქა N 5-ლიდიის ქართველური სამეფო, საიდანაც ვრცელდება ქართველური მოსახლეობა (დორიულ ტომთან შერეული) იტალიაში, ეტრუსკებად, ტირსენებად სახელდებულნი



1. ეპირი
2. ამბრაკიის (არტების) ყურე

რუქა N 6-ეპირელები, მცხოვრებნი საბერძნეთის საზღვარზე, რომელთაც შორეულ წარსულში კოლხები ერქვათ. როგორც ბოლო კვლევებით იკვეთება, არტებსაც დიდი როლი უჩანთ ქართველურ პოლიტიკური წარმონაქმნის ფორმირებაში...



1. რეტია
2. კენომანი
3. ვენეტები
4. კარნები
5. ისტრები
6. აფსილები
7. ზიხები
8. დეილემი
9. ლაზები
10. ეპირი
11. ამბრაკიის ყურე

რუქა N 7 –ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპიროს დასახლება ქართველური ტომების მიერ შორეულ წარსულში.

კენეების მიგრაციის ტრასა

1. ენეტიკა (ადრიატიკის ზღვა)
2. კუნძული (ევბეა(ეგეოსის ზღვა)
3. თრაკია (ეგეოსის ზღვა)
4. სინოპა (შავი ზღვა)
5. ხენვაჩაური, მაჭახენა (შავი ზღვა)
6. გაბრა სოჭის მონაკვეთი (შავი ზღვა)
7. კრასნოდარი (შავი ზღვა)
8. ზემო სვანეთი

რუქა N 8 -კენეების მიგრაციის ტრასა ადრიატიკის ზღვიდან

შავი ზღვის სანაპიროსა და ზემო სვანეთისაკენ

1. კავკასიისაკენ მიბრირებული ქუში
2. კავკასიისაკენ მიბრირებული ედომი
3. სინოპასაკენ მიბრირებული ტიბარანი

რუქა N 9- ქართული და ებრაული ტომების მიგრაცია ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთიდან.

გზამკვლევი რუქა ისიდორე ხარასკელის პართიული სადგომების მიხედვით

რუქა N 10-ისიდორე ხარასკელის მონაცემების მიხედვით შედგენილი. ხარასკელი, რომელიც ფაქტიურად რაგის (პართის მომავალი დედაქალაქ ჰეკატომპილის) მცხოვრებია, მდებარე უშუალოდ კასპიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე და განსხვავებით სტრაბონისა კარგად განსწავლული ადგილობრივ გეოგრაფიაში. მიღებული მოსაზრება, რომ ხარასკელი პირველი საუკუნის ისტორიკოსია, მცდარი ჩანს.



ᲠᲣᲥᲐ ᲡᲢᲠᲐᲑᲝᲜᲘᲡ (ᲔᲠᲐᲢᲝᲡᲗᲔᲜᲔᲡ) ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

რუქა N 11 -ერატოსთენეს (რომლის მონაცემებსაც სტრაბონი ახმოვანებს) მიხედვით შედგენილი კასპიის ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომების დისპოზიცია.



რუქა სტრაბონის (ერატოსთენეს) ცნობების მიხედვით

 რუქა N 12 – იმავე ერატოსთენეს მონაცემებით(სტრაბონის ხელნაწერებით მოღწეული) ცნობების მიხედვით ავტორის მიხედვით შედგენილი რუკა კასპიის ზღვის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროსაკენ მცხოვრები ტომების დისპოზიციისა

აღსანიშნავია, რომ აქ სტრაბონის უხეშ შეცდომასთან გვაქვს საქმე, რომელსაც მაკედონელის მემუარისტების დასახელებული ასაკენები (მთის ინდები) ინდოეთის მცხოვრებლებად მიაჩნია.შესაბამისად ინდებს და ორთოსპანს (გზაგასაყარს, დერბენტს) კასპიის ზღვის ჩრდილოეთით ათავსებს, ბაქტრიის (დღევანდელი უზბეკეთი) ზემოთ , საიდანაც ინდებამდე (ავღანელებამდე) შედარებით ახლოსაა. ზუსტად აქედანა

მისეული რუქების და აღნიშნული მანძილების მცდარობა, რასაც მისსავე წიგნებში დართული კომენტარები მეტყველებს.

კასპიისპირა ტომებისდისპოზიცია პლინიუს-უფროსის მიხედვით

რუქა N 13 -პლინიუს-უფროსის ცნობების მიხედვით კასპიისპირა ტომების დისპოზიცია, შედგენილი ავტორის მიერ.ფაქტიურად ემთხვევა სტრაბონისეულ რუქას, რომელიც შედგენილია სტრაბონის შეცდომის გათვალისწინებით



რუქა მედიელთა დიადკონოვის მიერ მ-20 საუკუნეში

რუქა N 14 -სტრაბონის არასწორი ცნობებით შედგენილი რუქა დიაკონოვისა.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არახოსია კურციუს რუფის მიხედვით, შავ ზღვამდე წვდება. დიაკონოვის დიდი მცდელობის მიუხედავად, ის ვერ ათავსებს არახოსიას ბაქტრიისაგან დასავლეთით, როგორც ამას ერატოსთენე აღნიშნავს და არახოტიისათვის მხოლოდ ბაქტრიისაგან სამხრეთით პოულობს ადგილს.რაც შეეხება გედროსიას, იმავე სტრაბონს ის ერთმნიშვნელოვნად არახოსიისაგან სამხრეთით აქვს მითითებული. შესაბამისად ის მხოლოდ არმენია შეიძლება იყოს, რომლის შესახებ ერთი სიტყვაც არაა დაძრული ალექსანდრე მაკედონელის მემუარების ავტორების მიერ.

 რუქა N 15 -რეცია, რომელიც ფაქტიურად ემთხვევა დღევანდელი შვეიცარიისტერიტორიას და სადაც ყოფილი რეტების 75 ათასიანი მოსახლეობა ფიქსირდება რეტო-რომანიული ენით. ეს იმ მოსახლეობის ნაწილია, რომლებიც ჩრდილო იტალიაში ცხოვრობდნენ ვენეტების

(თანამედროვე ვენეცია) მეზობლად. ეს მათი ქალაქი იყო შექსპირისაგან ესოდენ ცნობილი ქალაქი რომეოსი და ჯულიეტასი-ვერონა...აქედან ფრანგების მიერ აყრილი რეტები ალპების მთებს შეეხიზნენ....მათი დიდი ნაწილი ასიმილირდა სხვა ერებში....დიდი ნაწილი კავკასიისაკენ მიგრირდება...

1. ტოსკანა (ეტრურია)
2. კამპანია
3. ეტრუსკყოფილი ბელაზგები

რუქა N 16- ეტრუსკების (ჯერჯერობით)

დაფიქსირებული საცხოვრისი ტერიტორია, თუმცა ისინი გაცილებით დიდ ტერიტორიაზე ფიქსირდებოდნენ...

1. ელამი 2. კოსეა

რუქა N 17 – კოსეა, რომელიც სტრაბონის მონაცემებით გადაჭიმულია კასპიის ზღვიდან ზაგროსის მთებამდე ელამის მეზობლად (რიგ შემთხვევაში მისი პარამეტრები ემთხვევა არიის კონფიგურაციას სტრაბონისვე აღწერილს)

მისი ეპოქისათვის კოსეა უკვე VI- საუკუნე არ არსებულია, თუმცა ის აწმყოში აღწერს მას.რასაკვირველია კოსეა -ეს კასპიაა, დრანგიანა, ბეხისტუნის წარწერებია ზრანკას სატრაპია....

რუქა N 18 - ტიროლი, რომელიც დასახლებული იყო რეციული ტომით (სხვათაშორის, ძირითადად მათგანვე იყო დაკომპლექტებული გერმანელი ალპიური მსროლელები კავკასიის შტურმისას....საქართველოს მხრიდან მათ ძირითადად სვანები უპირისპირდებოდნენ....)



1. სინდები
2. თორეტები
3. კერკეტები
4. ახაიელები
5. ჰენიოხები

რუქა N 19 -შავი ზღვისპირა ტომების დისპოზიცია სტრაბონის (არტემოდორის) მიხედვით I - საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე.



1. ხერსონესის ზიხეთი
2. ბოსფორის ზიხეთი
3. ნიკოფსიის ზიხეთი
4. აფხაზეთი
5. პაპაგია
6. კასახია

რუქა N 20 - შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ტომების დისპოზიცია X-საუკუნემდე ჩვ.წ. აღრიცხვით, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენტის აღწერით



1. ყარა-ბოღაზ გოლი
2. სინ-სული
3. მდინარე ანდარხაზი
4. სარიყამიშის ტბა
5. არალის ტბა
6. მდინარე ამუდარია
7. დიხისტანი
8. ჯურჯანი
9. ტაბარისტანი

რუქა N 21 - ტომების დისპოზიცია ჩვ.წ. აღრიცხვამდე IV-III საუკუნეს, დაბალანსებული ალექსანდრე მაკედონელის

ლაშქრობის შემდეგ, რომელიც გაგრძელებული ჩანს VII საუკუნის არაბულ დაპყრობამდე



Рис. 4.

1 — море ал-Хазар, *2* — Джурджан, *3* — ал-Гуззийа, *4* — Абаскун, *5* —Табаристан, *6* — ал-Джил, *7* — Самиран, *8* — Мукан, *9* — ал-Баб, *10* — Азербайджан, *11* — Барза'а, *12* — округи ас-Сарир, *13* — Итил, *14* — Хазаран, *15* — ал-Хазар, *16* — остров Сийах Куйа, *17* — остров ал-Абваб, *18* — Нахр ар-Рас, *19* — Нахр ал-Кур, *20* — Варсан, *21* — горы ад-Дейлем

რუქა N 22 -კასპიისპირა ტომების დისპოზიცია X საუკუნის არაბული რუქის მიხედვით

1)ზღვა ალ-ხაზარი,ზემოთა ოდნავ მარჯვენა კუთხეში, სავარაუდოდ ეს წარწერა ეხება იმ სამმაგ ნახევარ-რკალს, რომელიც ყარა ბოღაზ-გოლს უნდა აღნიშნავდეს.

2)მარჯვნივ და მოშორებით ზღვიდან, ეტყობა ავტორს ჯურჯანიც ჯერ კიდ-ევ აქ ეგულება.

3) ზედა გახსნილ გარეთა წრესთან, ჩანს გუზები (ოღუზები)უკვე აქ გადმოსულან.

4)აბასკუნი, ჯურჯანის პორტი, ასევა გახსნილ წრესთან, ოდნავ ქვევით.

5)ტაბარისტანი, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მთების დასაწყისთან.

6)ალ-ჯილი, ქალაქი, ასევა გარე წრესთან, ქვემოთა მთის 2/3 ნაწილთან.

7)სამირან- აქ ავტორი ქალაქ შირვანს უნდა გულისხმობდეს, ალ ჯილიდან მარცხნივ.

8)მუკანი, მუღანის სტეპი შირვანიდამ მარცხნივ, შიდა წრეზე, ზღვის ნაპირას

9)ალ-ბაბი, დერბენტი, მტკვარის მარცხნივ და ზღვის შიგნით.

10)აზერბაიჯანი-ალ ბაბის პირდაპირ წრის გარეთ და დასავლეთით .

11)ბარდა, აზერბაიჯანის მარჯვნივ, მასა და მტკვრის აღნიშნვას შორის.

12)ას-სარირი, ზღვის გარე წრეზე და აზერბაიჯანიდან მარცხნივ.

13) იტილი, ვოლგა, რუქის მარცხენა მხარეს, მდინარის მოკლე აღნიშვნის ზემოთ.

14)ხაზარანი, აქ ნამდვილად ხაზარეთი უნდა იგულისხმებოდეს, იტილის დასავლეთით.

15)ალ-ხაზარი, ეს კი ნამდვილად კასპიის ზღვას აღნიშნავს, ზევით, გარეთა გახსნილ ნახევარწრეზე.

16)კუნძული სია კუხი, ზემოთა კუნძული რუქაზე.

17)კუნძული ალ-ბაბი, დაბლითა კუნძული რუქაზე.

18) პირველიმდინარის აღნიშვნა, არ-რასი, არაქსი.

19)მეორე მდინარის აღნიშვნა,ალ-კური, მტკვარი

20) ვარსანი, ქალაქი ალ-კურზე, მტკვარზე სამხრეთის მხრიდან.

21)დეილემის მთები, ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.